K 161 382
3

ნ. ბერძენიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიის საკითხები

VIII

«მეცნიერება»
1975

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1975

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Институт истории археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили

Н. А. Бердзенишвили

Вопросы истории Грузии

КНИГА VIII

Материалы из архива автора

Издательство
«МЕЦНИЕРЕБА»
1975

69283 220 3-85

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ბერძენიშვილი

საქართველოს ისტორიის საკითხები

წიგნი VIII

მასალები ავტორის არქივიდან

К 161 379
У

გამომცემლობა
«მეცნიერება»
1975

საქართველოს სსრ. სსრ
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

9(С.922) + 9(С 922)11
)საქართველოს ისტორია
9 (сил)
9+911] (47 922)
ბ 571

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2) საქართველოს ისტორიული გეოგრაფია

„საქართველოს ისტორიის საკითხების“ VIII ტომი განსვენებული მეცნიერის საარქივო მასალაზეა აგებული. წიგნში განხილულია საქართველოს ეკონომიური გეოგრაფიის, პოლიტიკური და ეთნიკური გეოგრაფიის საკითხები; აქვეა შიდა ქართლის, სვანეთისა და იმერეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციების დღიურები. მოკლე წერილებსა და შენიშვნებში გამოთქმულია საყურადღებო მოსაზრებანი საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების შესახებ.

ს.ს.ტ.ბ.
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია: გ. აკოფაშვილი, მ. ბერძნიშვილი, დ. ბერძენიშვილი, მ. დუმბაძე, დ. მეგრელაძე, დ. მუსხელიშვილი, შ. ხანთაძე, გ. ჯამბურია.

ბ $\frac{10664}{М\ 607\ (03)—75}$ 165—75 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

აკად. ნ. ბერძენიშვილის წინამდებარე ტომი მთლიანად საარქივო მასალაზეა აგებული (ერთი წერილის გარდა) და საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს ეხება. მათზე განსვენებული მეცნიერი დიდი ინტენსივობით მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, თუმცა იმავე ხასიათის შენიშვნები და მოსაზრებები მას ადრეც ჩაუწერია სხვადასხვა დროს.

შერჩეული მასალა ერთგვაროვანი არაა: აქ არის დღიურები ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციებისა, დასრულებული თუ დაუმთავრებელი წერილები, შენიშვნები ცალკეულ საკითხებზე და კომენტარები, რომლებიც წყარობებიდან ამონაწერებს მოყვება.

შინაარსობრივადაც მრავალმხრივია ავტორისათვის საინტერესო საკითხთა წრე: ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო (მთა, ბარი, ზეგანი, ზღვის პირი და მდინარისპირა ზოლი), ეკონომიური გეოგრაფია (მონო-და ბიკულტურული მეურნეობა ქართველ ტომებში, მორწყვა, მევენახეობა, გზები), პოლიტიკური გეოგრაფია (საზღვრების დადგენა, მათი ცვლა, ცენტრების ლოკალიზაცია, მათი ადგილმონაცვლეობის მიზეზები), ეთნიკური გეოგრაფია (ქართველური ტომები; მათი მოძრაობა და ურთიერთშელწევა), ტოპონიმიკა.

აღნიშნული ასპექტები ტრადიციულია და არაერთხელ მომარჯვებული ქართულ ისტორიოგრაფიაში, თუმცა აქ ახლებურია საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კვლევისას ყველა მათი ერთად გათვალისწინება ასეთი სისრულით.

სრულიად ახალი საკითხები, რომლებიც აკად. ნ. ბერძენიშვილს საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კვლევაში შემოაქვს, ესაა ე. წ. „გორების“ საკითხი და „ქვეყანა“ — ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი ცნება. თუ პირველის შესახებ ავტორს გაკვრით მაინც მოუხერხდა ეთქვა მისი შრომების I ტომში, მეორე

სრულიად უცნობია ჯერჯერობით; ავტორი თავისი ნაშრომის [illegible] ვალი წერილის მოხსენებად წაკითხვას ვარაუდობდა, [illegible] იგი წიგნის პირველსავე ნაწილში იბეჭდება. სწორედ ამ წერილში აღძრულ საკითხთა თანმიმდევრობის გათვალისწინებით დალაგდა კიდეც შერჩეული მასალა წინამდებარე ტომისა.

ეს წერილები და შენიშვნები უმეტესწილად უსათაუროა; თუ დედანში იგი გვხვდება სადმე, ცხადია, ის უცვლელად რჩება. განსვენებული მეცნიერის ზოგიერთ საქალალდეზე საორიენტაციოდ გაკეთებული წარწერები შეძლებისდაგვარად გადმოტანილია შესაბამისი თავის ან ნაწილის სათაურად. რედაქციისმიერი დასათაურებანი ტეხილ კავებშია ჩასმული, აქაც ხშირად ისინი ტექსტში ნახმარი, ავტორისეული გამოთქმებია. რაკი გაბმული თხრობა არ გვაქვს თავებს შიგნითაც, პარაგრაფები დანომრილია ურთიერთისაგან გასამიჯნავად.

ავტორის მიერ ციტირებული წყაროების უმრავლესობა ახლა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, ამიტომ წიგნში ამ წყაროთა უახლესი გამოცემების გვერდებია მითითებული, ხოლო მოტანილი ციტატები ურთიერთთან შეჯერებულია კითხვასხვაობით გამოწვეული შეუსაბამობის თავიდან ასაცილებლად. უცვლელი დარჩა წყაროთა მითითების ავტორისეული წესიც, ხოლო მათი ახსნა შემოკლებათა განმარტებაშია მოცემული.

არქივიდან ამოღებულ ამ მასალებში, ბუნებრივია, ზოგი საკითხი ბოლომდე დამუშავებული არაა, აქა-იქ ჩანს მეცნიერის დაეჭვებაც: ცხადია, ავტორი ისევ აპირებდა მიბრუნებოდა მათ. ზოგან მკითხველს შეიძლება გამეორებანიც მოეჩვენოს, თუმცა იქ ერთი აზრის სხვადასხვა კუთხით გაშუქების ცდებია. ამ შენიშვნებსა და ესკიზურ მონახაზებშიც კი არის ბევრი საინტერესო იდეა, ახლებურად დასმული საკითხი, რომლებმაც შეიძლება დააფიქროს, ახალი აზრი გაუჩინოს ამ პრობლემაზე მომუშავე სპეციალისტებს. წარმოდგენილი მასალები განსაკუთრებით გამოადგება საქართველოს ისტორიის ახალგაზრდა დარგს — ისტორიულ გეოგრაფიას.

დ. ბერძენიშვილი

მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

I ნაწილი

[ქვეყანა]

საქართველოს ისტორიული გეოგრაფია

[ზოგადი დებულებები]

რა არის ისტორიული გეოგრაფია? — საზოგადოების ცხოვრების ნაკვალევი ამა თუ იმ დროს, ამა თუ იმ მხარეში. რა არის ისტორიული გეოგრაფიის საგანი, მისი ამოცანა? — წარმოსახოს საზოგადოების ცხოვრების ეს ნაკვალევი და დაადგინოს კანონზომიერი კავშირი საზოგადოების ცხოვრების გარკვეულ საფეხურსა და ამ ნაკვალევს შორის, ან უკეთ, ამ ნაკვალევსა და მის შესაფერის საზოგადოებრივ ცხოვრების საფეხურს შორის. ეს დებულება გამოდის იქიდან, რომ ყოველ საფეხურს საზოგადოების ცხოვრებისას თავისი გეოგრაფია აქვს, რომ ისტორიული გეოგრაფია ისტორიასთან ერთად იცვლება. (აქ საჭირო იქნება ისტორიული გეოგრაფიის შედარება ბუნებისმეტყველებით, ე. ი. ფიზიკურ გეოგრაფიასთან და ეკონომიურ გეოგრაფიასთან, მათი ერთიმეორისაგან გამიჯვნა).

ავიღოთ, მაგალითად, საქართველოს ისტორიული, ე.ი. საზოგადოებრივი ცხოვრების გეოგრაფია XIX საუკუნის მიწურულისა, ან სულ ერთია, XX საუკუნის პირველი ოცეული წლისა და შევადაროთ ის ჩვენს დღევანდელ ისტორიულ გეოგრაფიას და თვალნათლივ დავინახავთ, თუ როგორ შეიცვალა „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკვალევი“ ამ ოცდაათიოდე წლის მანძილზე...

(აქ საჭირო იქნება ორი სპეციალური რუკა: რევოლუციამდელი საქართველოსი მისი ქალაქებით, დაბებით, ეკონომიური და

ადმინისტრაციული ცენტრებით, გზებით, ეკონომიური რაიონებით — საძოვრები, სათეს-სახნავი, ტყე, ბაღვენახები და ა. ა. ბ. (საქართველოსი იმავე პრინციპებით შესრულებული).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას ვხედავთ? საოცრად შეცვლილა „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკვალევი", სულ სხვა ქალაქები (ახალქალაქები), სულ სხვა ეკონომიური და ადმინისტრაციული ცენტრები (რაიონული ცენტრები), სულ სხვა „დაბები" (საბჭოთა მეურნეობანი, მსხვილი კოლმეურნეობანი). სულ სხვა გზები. მდინარეებსაც კი მიმართულება უცვლიათ. გამქრალა ან დაკნინებულა ზოგიერთი ძველი პუნქტი, წარმოშობილა მრავალი ახალი, გაზრდილან და სულ ერთიანად სახე შეუცვლიათ ძველ ცენტრებს, ქვეყანა დაუსერავს ახალ გზებს, წარმოშობილა ახალი სამეურნეო-ეკონომიური რაიონები, — ქვეყანას „პირი შეუცვლია".

ახლა რომ ავიღოთ ცოტა უფრო ადრინდელი ისტორიულ-გეოგრაფიული რუკა, მაგალითად, XVII—XVIII საუკუნისა და შევადაროთ ასეთივე რუკას XX საუკუნის პირველი ოცეული წლებისას, ჩვენ ასევე თვალნათლივ დავრწმუნდებით, რომ „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკვალევი" არა მარტო ჩვენს დროში სოციალისტური რევოლუციის შედეგად შეცვლილა, არამედ დიდად შეცვლილა ის იმ ერთი საუკუნის მანძილზეც — XVIII—XIX საუკუნეთა შორის; საჭირო იქნება სპეციალური რუკის დამზადება: საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული რუკა XVII—XVIII საუკუნისა მისი ქალაქებით, სოფლებით, ციხე-კოშკებით, სათავადო და საეზნაურო სასახლეებით, მონასტერ-ეკლესიებით, გზებით, ხიდებით, სამეფო-სამთავროებით, სახნავ-სათესებით, საძოვრებით, ეკონომიური რაიონებით — („ფ ე ო დ ა ლ უ რ ი ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი თ"), ზვრებით, მარნებით, საბაჟოებით, ზეთსახდელებით. ამ შედარებითაც დავინახავთ, რომ ამ მონაკვეთზეც ჩვენს ქვეყანას „პირი შეუცვლია".

ერთი სიტყვით თვალნათლივ ვხედავთ, თუ როგორ საფუძვლიანია ის შესწორება, რომელიც მარქსიზმმა შეიტანა საზოგადოების განვითარების ეგრეთ წოდებულ „გეოგრაფიულ თეორიაში". თვალნათლივ ვხედავთ, თუ როგორ ძლიერად ზემოქმედებს ადამიანთა საზოგადოება ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოზე, როგორ ცვლის ის ამ გეოგრაფიულ გარემოს, როგორ ქმნის ადამიანთა საზოგადოება თავის ისტორიულ გეოგრაფიას.

ჩვენ განზრახ ავიღეთ საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების სამი ეპოქის (სამი ფორმაციის) ისტორიულ-გეოგრაფიუ-

ლი სურათი. ჩვენი მიზნისათვის ასე შერჩეული მასალა ყველაზე
უფრო მარჯვეა. აქედან კარგად ჩანს, თუ როგორი კავშირია
თუ იმ საზოგადოებასა და მის ისტორიულ-გეოგრაფიას შორის.

რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის წარსულიდან ჩვენ გაგვიძნელ-
დებოდა სხვა ისეთი დროის მონაკვეთის დასახელება, როცა ისტო-
რიული გეოგრაფია ასე სწრაფად შეცვლილიყოს, როცა ჩვენს მი-
წას „პირი ასე შეეცვალოს". და ეს ადვილი გასაგებიცაა: ამ ას ორ-
მოცდაათი წლის მანძილზე საქართველო სამ სოციალურ-ეკონო-
მიურ ფორმაციას მოესწრო: მან დააგდო ძველი ფეოდალური სა-
ზოგადოებრივი წყობა, გამოიარა შემდგომი ბურჟუაზიული წყობა
და დღეს ახალს სოციალურ-ეკონომიურ წყობაში სოციალიზმის
ეპოქაში იმყოფება. ზემო სამი რუკა, სამი ისტორიული გეოგრაფია
ქართველი საზოგადოების ნაკვალევია სამ ფორმაციაში.

მაგრამ საზოგადოების ისტორიული გეოგრაფია არა მარტო
სოციალურ-ეკონომიური ფორმაციის ცვლის შესაბამისად იცვლება,
ის იცვლება თითოეულ ხანაში. იცვლება მეტ-ნაკლები სისწრაფით,
მაგრამ მუდამ შესაბამისად საზოგადოების ცხოვრების ცვლისა. და
როცა საზოგადოების განვითარება მდორეა და ნელი, მისი ისტორი-
ული გეოგრაფიაც ერთსახოვანი რჩება და ცვლილება მეტად მცი-
რედ ეტყობა. ისტორიული გეოგრაფია არა მარტო საზოგადოების
წინსვლას ასახავს, არამედ ასახავს ის საზოგადოებრივი განვითა-
რების შეფერხება-შენელებას, ამ განვითარების შედგომას თუ რეა-
ქცია-უკანდახევას.

მაგალითისათვის: ავიღოთ საქართველო XVII საუკუნისა და
საქართველო XII საუკუნისა და შევადაროთ ამ ორი ხანის ისტო-
რიული გეოგრაფია ერთიმეორეს და შემდეგ ისტორიული გეოგრა-
ფია ვთქვათ VII—VIII საუკუნისა შევადაროთ საქართველოს ის-
ტორიულ გეოგრაფიას XI—XII საუკუნისას.

ჩვენ თვალნათლივ დავინახავთ, თუ როგორ შეუცვლია ქვე-
ყანას პირი განვითარების გზით VII საუკუნიდან XII საუკუნემდე.
ახალი ქვეყანა (გაერთიანებული „საქართველო"), ახალი „ქ ვ ე ყ-
ნ ე ბ ი თ" (ფეოდალური, სოციალურ-ეკონომიური და პოლიტი-
კურ-ადმინისტრაციული ერთეულებით), ახალი პოლიტიკურ-ადმი-
ნისტრაციული „ცენტრებით" („დიდებულთა" ადგილსამყოფლე-
ბი), ახალი ეკონომიური რაიონებით (ქვეყნის ეკონომიური განვი-
თარების შედეგად მეურნეობის მეტ-ნაკლები სპეციალიზაციით. გა-
ერთიანების პროგრესული მნიშვნელობა ამ მხრით), ახალი ქალაქე-
ბი („ახალქალაქების ხანა"), ახალი გზები, საბაჟოები (ცლდეკარები,

ყელები, გზაჭრილები, გმირთ ნაკვეთები..) სასახლეები (მეფის ყველა დებულების, აზნაურების), ციხე-კოშკები, ეკლესია-მონასტრები, საძვალეები, ზვრები, ზეთსახდელები, საძოვრები, საფურე-საცხენეები, არხები, სამთამადნოები, ხიდები, ფუნდუკები.. (უნდა დაიხატოს სპეციალური რუკა: საქართველოს ისტორიული გეოგრაფია XI—XII საუკუნეებში. ასევე უნდა დაიხატოს სპეციალური რუკა. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია VII—VIII საუკუნეებში).

ასეთივე თვალნათლივ სურათს დავინახავთ მეორე შედარებისასაც. ამ მონაკვეთზედაც ქვეყანას „შეუცვლია პირი". მაგრამ, სამწუხაროდ, არა პროგრესის გზით. ქვეყანა დაშლილა სამეფოსამთავროებად, თითოეული მათგანი კი — სათავადოებად. სხვა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული „ცენტრები" წარმოშობილა. ქალაქების დიდი უმრავლესობა გამქრალა, სხვები დაკნინებულა, გზები დაყრუებულა, ხიდ-ფუნდუკები ახალი არ შენდება, ეკლესია-მონასტრები ინგრევა და ახალი არ ჩნდება, სასახლეებს ლაზათი დაკარგვიათ, საქართველო ტერიტორიულად შემცირებულია, ზოგიერთი კუთხე გავერანებულა, ზოგი ლეკებს, ოსმალებს თუ ყიზილბაშებს მიუტაცნიათ.

მაგალითებისათვის კმარა, თორემ ჩვენ შეგვეძლო ჩვენი ქვეყნის გრძელი წარსულის სხვა დროც აგვეღო და მისი ისტორიული გეოგრაფია შეგვედარებინა შემდგომი დროის ისტორიული გეოგრაფიისათვის, მაგალითად, V—VI საუკუნე (ვახტანგ გორგასლის მეფობის დრო) „უძველესი დროისათვის", „ფარნავაზის დროისათვის"...

მოკლედ რომ მოვჭრათ: ყოველ საზოგადოებას, საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ ხანას თავისი ისტორიული გეოგრაფია აქვს, თავისი ისტორიული გეოგრაფია შეესაბამება. ასე რომ ისტორიული გეოგრაფია მკვდარი (თუ ცოცხალი) პუნქტებისა, ციხე-სასახლეთა ნანგრევებისა, თუ გზების აღნიშვნა კი არ არის, არამედ ამ ნაშთების შესწავლის საფუძველზე და მისი საშუალებით აღდგენა ამა თუ იმ დროის საზოგადოებრივი ცხოვრების სურათისა.

ისტორიის, როგორც მეცნიერების, შეცნობაში. ისტორიის ცოდნაში, ამა თუ იმ ეპოქის მეცნიერულ შესწავლაში, ახლა გასაგებია, ისტორიული გეოგრაფიის გათვალისწინება სრულიად აუცილებელია და ამის გარეშე ასეთი ეპოქის ცოდნა შეუძლებელია. ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორიული გეოგრაფიის სურათის დადგენა საფუძველია იმისა, რომ ამა თუ იმ ხანის საზოგადოებრივი ცხოვრება რეალურ-ისტორიულად (და არა სქოლასტიკურ-ტრაფარეტულად) წარმოვიდგინოთ, ნამდვილ მეცნიერულად შევიცნოთ.

„ისტორიული ტერიტორია", „ისტორიული ქვეყანა" — ეს ფიზიკურ-გეოგრაფიული ტერიტორია, ფიზიკურ-გეოგრაფიული ქვეყანა კი არ არის, არამედ ადამიანთა საზოგადოების შემოქმედების არე (შემდეგ ამ შემოქმედების ნაკვალევი) ამა თუ იმ ფიზიკურ-გეოგრაფიულ ტერიტორიაზე, ქვეყანაზე. ისტორიული ტერიტორია საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი მთავარი კომპონენტთაგანია, ის საზოგადოებრივი შემეცნების საგანია: ყოველი საზოგადოება რეალურად გრძნობს თავისი დროის ქვეყანას (ისტორიულ ტერიტორიას) და ამ საზოგადოების არსებობისათვის ეს ქვეყანა სრულიად აუცილებელია, ეს ქვეყანა ამ საზოგადოების ორგანული ნაწილია. ყოველ საზოგადოებას თავისი შესაფერისი ქვეყანა ახასიათებს.

ყველა ზემონათქვამის შემდეგ გასაგებია ფასი და მნიშვნელობა ისტორიული გეოგრაფიისა საერთოდ და განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როცა ამა თუ იმ ეპოქის შესახებ წერილობითი, თუ სხვა რიგი მასალა მცირედ მოგვეპოვება. ასეთ პირობებში ისტორიული გეოგრაფია განსაკუთრებით სანდო მასალაა ბნელი წარსულის გასაშუქებლად. ისევე როგორც არქეოლოგიური (გათხრითი) მონაპოვარი, ისტორიული გეოგრაფიის ჩვენებანი საშუალებას იძლევიან აღვადგინოთ ამ გეოგრაფიის შემოქმედი საზოგადოების სახე... ასეთ შემთხვევაში ისტორიული გეოგრაფიის მონაცემები ისტორიული ეპოქის საიმედო გასაღებია.

მაგალითად, ჩვენ თვალი გავადევნეთ ერთს მეტად თვალსაჩინო გარემოებას კახეთის ტოპონიმიკაში: საგეოგრაფიო სახელები არაგვისა და ივრის ზემო წელისა უცნაური სიმრავლით მეორდება როგორც შიდა კახეთში, ისე გალმა მხარსა და საინგილოში, ყურადღება მივაქციეთ ისტორიულ გადმოცემებს და აწინდელი კახელების ჩვეულებასაც (მთაში რომ მიდიან სალოცავში) და ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ აწინდელი კახეთი გარკვეულ დროს იორ-არაგველთა კოლონიზაციის ობიექტი შექმნილა. ამ მთიელებს თავიანთი სოფლის სახელები უცვლელად გადაუტანიათ ახალ დასახლების ადგილებში. ისიც კი შესაძლებელი ხდება გაირკვეს, თუ რა ძველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყებულა ასეთი კოლონიზაცია მთიულებისა ჰერეთში. ასევე ისტორიულ-გეოგრაფიული დაკვირვებით შეიარაღებული ვაკვირდებით წერილობითი ხასიათის ცნობებს ერთი უცნაური ხალხის შესახებ, წანარების შესახებ და უცნაურობას და სიძნელეებს ადვილად ვძლევთ. ქართული, სომხური, არაბული წყაროები წანარებს იცნობენ მთაშიც, ბარშიც, კახეთშიც, ჰერეთშიც ისინი ზოგჯერ კახელის შესატყვისადაც კი არიან დასახელებული, ზოგჯერ (არაბულ წყაროებში) კახეთადაც იგულისხმებიან, ხევშიაც ჩანან და საინგილოშიაც... ჩვენ მიერ მოპოვებული ცოდნიდან, ტოპონიმიკური ფაქტებით, რომ დავადგინეთ, სრულიად დასაჯერებელი ხდება ვარაუდი, რომ წერილობით ცნობათა ასეთი სხვადასხვაობა აიხსნება იმით, რომ წანარები (იორ-არაგველები) თანდათან ესახლებიან მთიდან კახეთის (შემდეგი დროის კახეთის) დაბლობში და ამისდა კვალად წ ა ნ ა რ ე თ ი ც თანდათან იცვლის ტერიტორიას, ფართოვდება აღმოსავლეთისაკენ.

ასევე, შეგვიძლია გავედევნოთ, თვალი მივადევნოთ ქურდების მოძრაობას (ქურდ-ვაჭრის ხევი, ქურდევან-ები შაქი-შამახიის რაიონებში, „ქურდნი — ლეკნი და თარსანნი" დავითის ისტორიკოსთან, ქურდოვანიძე, ქურდიანი, ქურდთა, ნაქურდევი) და ჩვენ მივიღებთ საკმაოდ დამაჯერებელ სურათს იმისას, რომ ეს ქ უ რ დ ნ ი ერთ-ერთი ტომი იყო (იბერიულ-კავკასიური) და ისტორიულ ხანაში (ჩვენ თვალწინ) დებედას ხეობიდან შაქი-შამახიის მიდამოებში გადიან. ასეთივე ძვირფას დასკვნების გაკეთების უფლებას მოგვცემდა დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკის გათვალისწინება და სხვა.

ისტორიული გეოგრაფია, როგორც ისტორიის აუცილებელი ნაწილი, ვახუშტისაც სრულიად გათვალისწინებული ჰქონდა. მისი ქვეყნის აღწერა ამის ნაყოფია. ასევე უყურებდა ისტორიულ გეოგრაფიას აკად. ივ. ჯავახიშვილიც. მაგრამ ისტორიული გეოგრაფია პრინციპულ სიმაღლემდე ჩვენში არავის აუყვანია და იმ დროს, ისტორიული მეცნიერების განვითარების იმ დონეზე ეს არც შეიძლებოდა. ასეთი რამ დღეს უკვე შესაძლებელია და სავალდებულოც (მ—1,33. ფურც. 1—4).

ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ტ ე რ ი ტ ო რ ი ა

ისტორიული ტერიტორია ეწოდება იმ ფიზიკურ მიწა-წყალს, რომელიც ამა თუ იმ დროს, ამა თუ იმ საზოგადოების (გვარის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის, თემის, სამთავროს, სახელმწიფოს, ხალხის, ერის), საწარმოო, სამეურნეო აუცილებელ სარბიელს შეადგენს. ვიდრე ეროვნული ზოგადოებრივი ერთეული არსებობს და რამდენადაც [illegible] არც ეს ტერიტორია (არც მისი ისტორიული ტერიტორია) მოიშლება. ესა თუ ის საზოგადოება და მისი ისტორიული ტერიტორია ორგანული ერთიანობაა და ერთი უმეორისოდ არ წარმოიდგინება. ამა თუ იმ საზოგადოებას ესა თუ ის (გარკვეული) ისტორიული ტერიტორია ახასიათებს: სოფელს სასოფლო, თემს სათემო, გვარს საგვარეულო, ხალხს, ერს — სახელმწიფო. ამ ტერიტორიის სახეობა, მისი სიდიდე-სიმცირე ყოველ კერძო შემთხვევაში გარკვეულია (ძირითადად). ამ ტერიტორიას რეალურად გრძნობს როგორც მისი შესატყვისი საზოგადოება მთლიანად, ისე თითოეული წევრი ამ საზოგადოებისა (მეტნაკლებად). ამ ტერიტორიის დაცვა მიტაცებისაგან საზოგადოებისა, თუ მის წევრთა წმინდა ვალია [ქ]ცაში: გლოვა საზღვრის მიტაცების გამო. მთაში წესი ხალხის გაწყვეტისა მიტაცებულ მიწა-წყალზე, სოფლების (ოემების) ბოლომოუღებელი დავა და ბრძოლა საზღვრებისათვის, სახნავ-საძოვრებისათვის (კარუკუღმართი — თრიალეთში), ამილახვრიანთ და ერისთავიანთ ყმების დავა...].

ასეთი ტერიტორიული გაერთიანება მტკიცე და მოუშლელია, ვიდრე ამ სახის საზოგადოება ბატონობს.

ეს ასეა და მხოლოდ ასე, ე. ი. ამა თუ იმ საზოგადოების სახეობისათვის ესა თუ ის ფიზიკური ტერიტორია, გამოდის, აუცილებელია, ტერიტორიად, რომელიც ამ საზოგადოებამ უნდა აითვისოს, რომელზედაც ამ საზოგადოების სამეურნეო-ეკონომიური საქმიანობა უნდა მოეწყოს, ტერიტორია, რომელიც საკმაო და აუცილებელია ასეთი საზოგადოებისათვის.

ამრიგად, ისტორიული ტერიტორია იზრდება, იცვლება შესაფერისი საზოგადოების ზრდა-ცვლილებასთან ერთად. გვარს ერთი ტერიტორია ახასიათებს, ხალხს მეორე, ხოლო ერს კიდევ სხვა. და ეს შესაბამისად იმისა, რომ გვარი საზოგადოებრივი წარმოების ერთი გარკვეული სახეობის ზედნაშენია, „ხალხი" — მეორესი, „ერი" კიდევ სხვა. თუ ეს ასეა, მაშინ არ შეიძლება ერთი და იგივე ისტორიული ტერიტორია ახასიათებდეს გვარს, ხალხს, ერს, თითოეულ მათგანს თავისი ტერიტორია აქვს. ავიღოთ საქართველო: უძველესი დრო, ფეოდალური ხანა, ბურჟუაზიული, სოციალისტური... (მ—1,33. ფურც. 17).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით დავიწყოთ ისტორიული გეოგრაფიის კვლევა

ისტორიული გეოგრაფია ჩვენ საშუალებას მოგვცემს შეუდგენოთ ისტორიულ-არქეოლოგიური რუკა. არსებული პუნქტების გათვალისწინებით ჩვენ გასათხრელი ობიექტების სწორ გუმანს ავიღებთ...

ისტორიული გეოგრაფიის კვლევა-დადგენა საქართველოს ქვეყნობლივ უნდა დავიწყოთ. ესაა ყველაზე რეალურ-ისტორიული, ან კიდევ უკეთ ხეობათა მიხედვით („ქვეყანა" განვითარების შემდეგი საფეხური შეიძლება იყოს). შემდგომ კი შევეცდებით მთელი „საქართველოს" ისტორიული გეოგრაფია მოვხაზოთ, შემდეგ კვლავ დაშლილი ქვეყნებად, სათავადო-სამთავრო-სამეფოებად, შემდეგ მთლიანი ბურჟუაზიული... (მ—133. ფურც. 18).

1. დიდი ისტორიულ-გეოგრაფიული პრობლემა დავსვი 1963 წელს, „ქვეყნების" ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლის საკვლევაძიებო ამოცანად პრინციპულად დასმასთან დაკავშირებით (ე. ი. ქვეყანა საქართველოს შესწავლა მასში შემავალ „ქვეყანათა" შესწავლით უნდა წარიმართოს), რა დროს რა ქვეყნებისაგან შედგებოდა საქართველო. ეს ქვეყნები ხომ მუდმივ ერთი და იგივე შინაარსისა, ან გეოგრაფიული მოცულობისა არ იყვნენ? არაერთი ქვეყანა გამქრალა ან გაჩენილა, შემცირებულა ან გადიდებულა; (ჰერეთი გაქრა, კახეთი გადიდდა, სუჯეთი გაქრა, ქიზიყი გაჩნდა, ალგეთი გაქრა, ჟალეთი გაქრა ვერც კი მიგვიგნია სად იყო, აფშილეთი გაქრა, ჩაჩი გაქრა, თაკვერი გაქრა, ლეჩხუმი და რაჭა იშვნენ, ვაკე გაქრა, წანარეთი გაქრა, კახეთში მოჰყვა, თუ კახეთი იქცა წანარეთად და ასე უსასრულოდ...). ასევე ჩნდებოდა, იზრდებოდა (ახალ-ახალი ქვეყნების შემოერთებით, მათი გათქვეფა-ჩაყლაპვით, თუ სანახევროდ ჩაყლაპვით), თუ მცირდებოდა ქვეყანა „საქართველო"... აი ამ ისტორიული ტერიტორიის — („ქვეყნის") შესწავლას ისახავს მიზნად ისტორიული გეოგრაფია... ისტორიულ-გეოგრაფიული ატლასი ამ ქვეყნებისაგან უნდა შედგებოდეს.

რატომ მოხდა, რომ „ათი" სუფიქსიანი საგეოგრაფიო სახელები ძველ შინაარს შერჩნენ, არ გავრცელდნენ, „ქვეყნის" მნიშვნელად ვერ იქცნენ, მაშინ როცა „ეთ" სუფიქსიანი საგეოგრაფიო

(საისტორიულ-გეოგრაფიო) სახელები ამ უნარისა აღმოჩნდნენ (ველათი, ბაღდათი, იმნათი..., ხოლო კახეთი, ქობულეთი, ჰერეთი)...

როგორც კერძოული პუნქტის, ისე მთელი ქვეყნის ამსგავსად „ი ს“ სუფიქსიანი საგეოგრაფიო სახელები: დმანისი, მანგლისი, ბოლნისი და უეჭველია ქუთაისი („ქვეყანა ქუთათისისა“)...

რამდენი დაკვირვებაა ისტორიულ-გეოგრაფიული საჭირო! ხომ თანდათან ცხადი ხდება, რომ ეს გვიანი ხანის ნანგრევ-ნასახლარები, ნაციხარები ძველადვე „ათვისებულ“ ადგილებზეა. ქსნის ხევი რომ უძველესი დროიდანვე ქვეყანაა თავისი ცენტრით, ეს დღეს არავის სადაოდ არ უჩანს, ა ხ ა ლ გ ო რ ი ს არქეოლოგიური ნაშთები ხომ ამის უტყუარი მოწმობაა. წ ი ნ წ ყ ა რ ო რ ო მ ასეთივე ცენტრია, ესეც ხომ უდავოა, ასეთივე ცენტრებია ყველა ეს კ ა ს პ ე ბ ი, ნ ა ბ ა ღ რ ე ბ ი, უ ფ ლ ი ს ც ი ხ ე ე ბ ი, ზ ღ უ დ რ ე ბ ი (აქ მარტო ტოპონიმი რადა ღირს, ცხინვალიც ზღუდერი იყო ალბათ ერთ დროს) ძამაზე და ლიახვზე ზღუდერი (-„ქალაქი“). ასევე სავარაუდოა სურამი და რამდენი სხვა...

მთელი ქართლი ერთ ქვეყნად („ქართლად“) წარმოდგება: მტკვრის დინებით, მის შემდინარე ხევებზე გაშენებულია საკმაოდ ძლიერი ცენტრები, რომლებიც დროთა განმავლობაში ქართლის (ცენტრის) ჰეგემონობაში შემოდიან („ერისთავები“ და „მეფე“). არქეოლოგიური მასალით ცხადი ხდება (მსგავსება ბრინჯაოს დროის მონაპოვართა), რომ ქართლი როგორც ერთიანი ქვეყანა გვიანი ბრინჯაოს მიწურულს უკვე არსებობს („რეცა თავადი“)...

(დმანისი, ბოლნისი, მანგლისი, სამშვილდე... სულ სამთავროსა ე რ ი ს თ ა ვ ო „ ც ე ნ ტ რ ე ბ ი ა“...).

ეს საგეოგრაფიო სახელები საქართველოს ნაწილებისა (გურია, ეგრისი, არგვეთი, კახეთი, ქართლი და სხვა და სხვა...) ისტორიულ-გეოგრაფიული ნიშანსვეტებია... (მ—2,21. ფურც. 93—94).

2. ამ ფაქტების კვლევა, ე. ი. თითოეული ქვეყნის საზღვრების დადგენა სხვადასხვა დროს, ისევე როგორც საერისთავო ქვეყნების საზღვრების დადგენა, ამ ქვეყნების ტერიტორიული მოცულობის ცვალებადობა სხვადასხვა დროს ისტორიული გეოგრაფიის პირველხარისხოვანი ამოცანაა... ამისათვის, ე. ი. ქვეყნების საზღვრების დადგენისათვის, ჩვენს ხელთაა მრავალნაირი საშუალებანი წერილობითი, თუ მატერიალური ხასიათის ჩვენებანი, ისტორიულ-გეოგრაფიული მონაცემები: (წარმოებითი პრინციპი, ტოპონიმიკა,

გზები და სხვა); ამას ითვალისწინებს სწორედ ჩვენი ეს დარგიც. მაგრამ ეს დიდი საქმე დღეს მხოლოდ მის დასაწყისშია. ისტორიული გეოგრაფია შეძლებს (უნდა შეძლოს) ამ ამოცანის ბოლომდე მიყვანებას. მას შეუძლია მოგვცეს საქმიანი კრიტიკა ჩვენამდე მოტანილი ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის წერილობითი ცნობებისა. არსებითი კრიტიკა, მაგალითად, ლეონტი მროველის ისტორიულ-გეოგრაფიული წარმოდგენისა საქართველოს უძველეს წარსულზე. მაგრამ ყველაფერი ეს მომავალის საქმეა. და თუ ჩვენ დღეს ამა თუ იმ ქვეყანაზე ვსაუბრობთ (უპირატესად კი ქართლზე) ეს უფრო სადემონსტრაციო მასალად გამოგვაქვს.....

ჰევი „შლიდა" გორის ქვეყანას, სამთავრო „შლიდა" ჰევის ქვეყანას, „სამეფო" „შლიდა" სამთავროს და ყველანი რჩებოდნენ, არ იშლებოდნენ — ჰევიც, თემიც, სათავადოც... ვიდრე სოციალიზმამდე, როცა წარმოებითი პრინციპი ერთადერთი არ შეიქნა და ქვეყნის ახალი დაყოფა არ გამოიწვია (მ—2,7. ფურც. 66).

3. ამოცანა ისაა, რომ დავადგინოთ, თუ როდის, როგორ, რა საფუძველზე წარმოიქმნა თითოეული ქვეყანა (ქართლი, კახეთი, ეგრისი და სხვა). კიდევ მეტი: როდის და როგორ მოხდა და ამ შედარებით მოზრდილ ერთეულებში (ქვეყნებში), მაგალითად, ეგრისში, უფრო მცირე ერთეულები გამოიკვეთა (შიდა ეგრისი, მუხერისი, არგვეთი, ფერსათი, გურია...). რა ტიპის „გაერთიანება" (ქვეყანა) იყო პირველი (კოლხეთი-ეგრისი) და რა ტიპის იყო ეს შემდეგი (უფრო გვიანი)? პირველი თითქო იყო ნ ა თ ე ს ა ვ ი (წარმოშობის საფუძველი), მეორე — ს ა მ ე უ რ ნ ე ო ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი. პირველი დ ა შ ლ ი ს ტენდენციას ატარებდა, მეორე — შ ე კ რ ე ბ ი ს ა ს (მეურნეობის საფუძველზე) (მ—3,6. ფურც. 6).

4. ისევე როგორც ყოველი ისტორიული მოვლენა, ძეგლი დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ არ შეისწავლება, ის მხოლოდ „ცოცხალ ისტორიულ გარემოში" უნდა ისწავლებოდეს. ძეგლი ქვეყანით შუქდება. ქვეყანა ძეგლების ერთობლიობას წარმოადგენს... (მ—3,6. ფურც. 12).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქვეყანა

(ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი ცნება)

შესავალი

ჩვეულებრივ სამეცნიერო ნაშრომის „შესავალს“ ამ ნაშრომის ძირითადი ნაწილის დამთავრების შემდეგ წერენ (და სხვა რიგად არც შეიძლება). ოღონდ დამთავრებაც არის და დამთავრებაც.

ასეთი სახელწოდების შრომა, ზემოთ რომ დავასახელე, მე კარგა ხანია მოხაზული მაქვს, მასალა შეძლებისდაგვარად შეგროვებულ-შემუშავებული მაქვს და დასაწერად შემზადებული, მაგრამ ესაა, რომ მის საბოლოოდ გასაფორმებლად ვერ მოვიცალე.

ამავე დროს საკითხი მეტად მომწიფებულია და საქართველოს ისტორიაში მომუშავე ახალგაზრდობისათვის სახელმძღვანელოდ მისი გამუქება საჭიროა.

ზეპირ საუბრებს, რაც, ბუნებრივია, მე ჩემს კოლეგებთან ამ საგანზე მიხდება, ვარჩიე, ვიდრე ჩემი ის ნაშრომი მთლიანად გამოქვეყნდებოდეს, მისი შესავალი (უკეთ, ჩემი იმ ნაშრომის ზოგიერთი დასკვნა) ახლავე მივაწოდო საზოგადოებას.

მე ვითვალისწინებ, რა თქმა უნდა, რომ ეს შესავალი, შრომის საბოლოო გამართვის შედეგად, რამოდენადმე შეიძლება შესწორდეს, შეივსოს, მაგრამ ძირითადში, ვფიქრობ, ის უცვლელი დარჩება.

ამდენადვე მისი გამოქვეყნება გამართლებულად მეჩვენება.

К161.379
3

* * *

დღეს ჩვენი საზოგადოება ხელშესახებად გრძნობს და სამართლიანად მსჯელობს იმის შესახებ, რომ საქართველოს ძველი დაყოფა ადმინისტრაციულ ერთეულებად საფუძველმოშლილია, რომ ძველი სამეურნეო-ადმინისტრაციული ერთეულები („ქვეყნები“) არ შეეფერებიან ახლად შექმნილ ვითარებას. საკითხის ასე დაყენება სწორია, მისი ამოსავალი პრინციპი უცილობელია და ახალი „ქვეყნების“ ორგანიზაციის საქმე, უეჭველია, ჩვენი დროის მოთხოვნილების შესაბამისად მოგვარდება. — შეიქმნება ახალი სამეურნეო-ადმინისტრაციული რაიონები („ქვეყნები“), საზოგადოების ვითარებასთან მისი „ქვეყნის“ შესაბამისობის ამ ბუნებრივ კანონს ემყარებოდა ისტორიულად წარმოქმნილი რაგინდარა დროის „ქვეყანაც“, თუმცა ეს ძველი დაყოფა, აწინდელისაგან განსხვავებით,

ეროვნ. ბიბ.
რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ხელისუფლების რაციონალური ღონისძიების შედეგი კი არ ყოფილა, არამედ ძირითადში, ეს იყო ბუნებრივად წარმონაქმნი ერთეულების აღიარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე შესაბამისობის კანონისდა თანახმად საუკუნეთა სიგრძეზე იცვლებოდნენ ეს ისტორიული წარმონაქმნები („ქვეყნები").

* * *

ისტორიული გეოგრაფია გეოგრაფიული ნომენკლატურის, ტოპონიმიკური ფაქტების შეგროვება-დადგენით არ კმაყოფილდება. ასეთი მუშაობა არის მასალის შემზადება ისტორიული გეოგრაფიისათვის. ისტორიული გეოგრაფია შეისწავლის ისტორიულ-გეოგრაფიულ „ქვეყანას", მის წარმოქმნას, ზრდას თუ გადაშენებას, მის სახეცვლილებას სხვადასხვა ისტორიულ პირობებში, მის დამოკიდებულებას საზოგადოების საწარმოო ძალთა და წარმოებითი ურთიერთობის განვითარებისაგან, საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და ისტორიული ვითარებისაგან, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებისაგან, — გორიდან ჰევამდე, ჰევიდან მსოფლიომდე.

მოკლედ, ისტორიული გეოგრაფია არის ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნის" შემსწავლელი სამეცნიერო დისციპლინა.

საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ამოცანაა თვალი გაადევნოს ჩვენს ისტორიულ ტერიტორიაზე მისი „ქვეყნების" თავგადასავალს, გაარკვიოს ამა თუ იმ „ქვეყნის" წარმოქმნის საფუძვლები, დაადგინოს ის ცვლილებანი, რასაც ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთზე ესა თუ ის „ქვეყანა" განიცდიდა, მისი გაჩენიდან — გადაშენებამდე.

ერთი სიტყვით, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საგანია საქართველოს ტერიტორიის („ქვეყნების") ისტორიული შესწავლა, საქართველოს ტერიტორიის ისტორია.

„ქვეყანა" ისტორიულ გეოგრაფიაში ისეთივე მნიშვნელობის ცნებაა, რაც „არქეოლოგიური კულტურა" წიაღისეულის არქეოლოგიაში.

„ქვეყანა" ისტორიულ-გეოგრაფიულად არის საზოგადოებრივი ერთეულის საცხოვრისი გარკვეულ გეოგრაფიულ არეში.

ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა" ჩნდება საზოგადოების გაჩენასთან ერთად და საზოგადოების გარეშე არ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძლება არსებობდეს ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა“, ისევე როგორც არ შეიძლება არსებობდეს საზოგადოება ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნის“ გარეშე.

ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა“ ამა თუ იმ საზოგადოების განვითარების შესაფერისია. ამისდა კვალად ერთია ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა“ გვაროვნული წყობის საზოგადოებისა, სხვაა ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა“ სოციალისტური წყობის საზოგადოებისა, ისევე როგორც განსხვავდებიან ურთიერთისაგან კლასობრივი წყობის საზოგადოებათა ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნები“: მონათმფლობელურის, ფეოდალურის, თუ ბურჟუაზიული წყობისა.

ამრიგად, ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა“, ისევე როგორც მისი შემოქმედი საზოგადოება, ისტორიული კატეგორიაა.

ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნის“ სახეობა, როგორც აღვნიშნეთ, მისი შემოქმედი საზოგადოების შესაფერისია; მაგალითად, გამოქვაბულის დროის საზოგადოების „ქვეყანა“ არსებითად განსხვავდება გორული ეპოქის საზოგადოების „ქვეყანისაგან“ და აგრე შემდეგ.

ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნის“ სახეობა მხოლოდ ფიზიკურ გეოგრაფიული პირობებისაგან არ არის დამოკიდებული, ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები საზოგადოების სამოქმედო სარბიელია და ესა თუ ის საზოგადოება ამ სარბიელზე ქმნის თავის შესაფერის ისტორიულ-გეოგრაფიულ „ქვეყანას“; ასე რომ ერთსა და იმავე ფიზიკურ-გეოგრაფიულ არეზე სხვადასხვა დროს შეიძლება არსებობდეს სულ სხვადასხვა სახის ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა“.

ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა“, სივრცის თვალსაზრისით, ზოგი დიდია, ზოგი მცირე. ამ შემთხვევაშიაც განმსაზღვრელია, ძირითადად, ამ „ქვეყნის“ შემოქმედი საზოგადოების ვითარება: გვარს ერთი „ქვეყანა“ ახასიათებს, ტომს მეორე. ეროვნებას თავისი „ქვეყანა“ შეეფერება, ერს — თავისი.

ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნის ხასიათი მხოლოდ მისი შემოქმედი საზოგადოების ხასიათისაგან არის დამოკიდებული, მაშინ, როცა მის ტერიტორიულ გავრცელებაზე ამას გარდა ძლიერად მოქმედებენ როგორც ფიზიკურ-გეოგრაფიული, ისე ისტორიული ფაქტორები.

ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა“, როგორც აღვნიშნეთ, ისტორიული კატეგორიაა. მის შემოქმედ საზოგადოებასთან ერთად ის მუდმივ ცვლილებას განიცდის და საზოგადოებრივი ევოლუცია თუ „ნახტომები“ ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნის“ განვითარებაზე ისევე თვალსაჩინოდ შეინიშნება, როგორც ამ საზოგადოების სოციალურ წყობაზე. მაგალითად, მონათმფლობელური ურთიერთობის ისტორიული გეოგრაფია „სამოქალაქო“ „ქვეყნების“ წარმოქმნით აღინიშნება, ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვება — საციხისთავო „ქვეყნების“ განვითარებით, ბატონყმური ურთიერთობის „ქვეყანა“ ფეოდალური ქალაქით, ციხითა და მონასტრით ხასიათდება, ხოლო ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობის „ქვეყნის“ უმთავრესი ისტორიულ-გეოგრაფიული ნიშანი რკინიგზიანი ქალაქებია.

* * *

საზოგადოება ადამიანთა წარმოებითი გაერთიანებაა. თვით ადამიანი — homo sapiens საზოგადოებასთან ერთად წარმოიქმნება. ადამიანთა წარმოებითი გაერთიანებანი სხვადასხვა სახისაა. „გვარის“ **წარმომქმნელი წარმოებითი გაერთიანება** ერთია, ხალხის წარმომქმნელი წარმოებითი გაერთიანება სხვაა, ისევე როგორც სხვაა ერის წარმომქმნელი წარმოებითი გაერთიანება. გვარი, ტომი, ხალხი, ერი, წარმოებითი ურთიერთობის საზოგადოებრივი ფორმებია.

„ქვეყანა“ ამა თუ იმ საზოგადოების საარსებო მიწა-წყალია. მაგრამ „ქვეყანა“ შიშველი გეოგრაფიული სივრცე („უდაბნო“, „უშენი“) კი არაა, არამედ საზოგადოების მიერ ათვისებული მთავარი საწარმოო საშუალებაა. ამდენადვე „ქვეყანა“ თვით საზოგადოების შენამოქმედია. ამიტომაც თითოეულ საზოგადოებას, როგორც აღვნიშნეთ, თავისი შესაფერისი „ქვეყანა“ გააჩნია. „ქვეყნების“ ეს სხვადასხვაობა გეოგრაფიული სივრცის სხვადასხვაობაშიც ვლინდება, თუმცა ეს ნიშანი გარდაუვალი არაა. ერთსა და იმავე გეოგრაფიულ სივრცეზე, როგორც აღვნიშნეთ, არაერთი მაგალითი მოიპოვება, გვარიც არსებულა და ტომიც, ხალხიც და ერიც, ასე რომ „ქვეყნების“ ურთიერთისაგან განმასხვავებელი უმთავრესი ნიშანი ამ ტერიტორიის ათვისების ხასიათშია. სამამასახლისო, სახევისუფლო, სამოქალაქო, საციხისთავო, საერისთავო, სამეფო — ყველა ესენი სხვადასხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროსა და ვითარებაში წარმოქმნილი, ურთიერთისაგან განსხვავებული ხარისხის „ქვეყნებია“

როგორც ირკვევა, თავდაპირველად ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნის“ ცნება დამოუკიდებლად არ არსებობდა და ის შედარებით გვიან არის გაჩენილი. ადამიანთა ერთობა, საზოგადოება და მის მიერ ათვისებული მისი სამეურნეო სარბიელი, ბუნებრივია, თავდაპირველად ერთი და იმავე ტერმინით აღინიშნებოდა. ეს კარგად შეინიშნება იმ ფაქტში, დღემდისაც რომ ჩვენს ენას შემოუნახავს, — დასახლებული პუნქტების ძველი ქართული სახელები მრავლობით რიცხვის ნიშნებით „ნი“, “თა“, „ეთ“, „ები“. ორბნი (ორბეთი, ურბნისი), მაგალითად, ან წერონი (წერონისი), ისევე როგორც წობენი ან ფხოვენი (ფხვენისი) არა მარტო „ორბთა“, „წეროთა“, „წოვთა“, ან „ფხოვთა“ სიმრავლეს აღნიშნავდა, არამედ იმავე დროს აღნიშნავდა ადამიანთა ამ კოლექტივების ადგილსამყოფელსაც. შედარებით გვიანი ხანის მოვლენაა, რომ დღეს ასეთს სახელებს, როგორც წესი, „ის“ დაბოლოება გააჩნია. ეს ახალი გაფორმება აზროვნების უფრო მაღალი განვითარების მაჩვენებელია, როცა ამ სახელების შემრქმელი საზოგადოების ცნობიერებაში ერთიმეორეს გამოეყო ადამიანთა კოლექტივი და ამ კოლექტივის სამოღვაწეო ტერიტორია. „ურბნისი“ აქ უკვე საკუთრივ საგეოგრაფიო სახელია და მასში ორბთა სიმრავლე არ იგულისხმება, ე. ი. „ურბნისში“ შეიძლება არა „ორბნი“, არამედ, ვთქვათ, „ჩხიკვები“ ცხოვრობდნენ. ასე რომ ეს მოვლენა, „ის“ სუფიქსის დართვა მრავლობითის აღმნიშვნელ („ნ“) სახელზე, ვფიქრობთ არის არა იმდენად სხვა რომელიღაც ქართველი ტომის ნაგვიანევად მოსულობა-გაბატონების ნაკვალევი ძველი „ნ“ ტომის ადგილზე, არამედ, როგორც აღვნიშნეთ, მაჩვენებელია უფრო განვითარებული აზროვნებისა (თუმცა არც სხვა ტომის მოსვლა-გაბატონების ნაკვალევი ჩანს აქ გამორიცხული). ესევე მოვლენა ჩანს „თა“ სუფიქსიან გეოგრაფიულ სახელებში. ჩხიკვთა, აკაურთა, ყორანთა და სხვა ასეთი, გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, წარმოადგენს მრავლობით („ნ“) რიცხვის ირიბ ბრუნვას და მსაზღვრელად ერთვის სახელს „გორა“, „სახლი“ (შდრ. „ლომთა გორა“). ასე რომ ყორანთა მაგალითად, სრულის სახით იქნებოდა ყორანთა გორა, ყორანთა სახლი და ამ გამოთქმაში იგულისხმებოდა არა მარტო ყორნების კოლექტივი, არამედ ამ ყორნების ადგილსამყოფელიც, ყორნების „ქვეყანა“. შეიძლება იმის ფიქრიც, რომ „თა“ სუფიქსიანი ეს სახელები უფრო გვიანი ფორმაციისა იყოს, ვიდრე ზემოაღნიშნული

„ნ“ სუფიქსიანი სახელები, რომ „თა“ სუფიქსით აღნიშნული სახელები აზროვნების შემდგომი განვითარების მანიშნებელია. ისევ ჩვენება, რომ ლომთა გორაში მაინც მოჩანს გეოგრაფიული ცნების გამოყოფის ნიშანი ადამიანთა კოლექტივის ცნებისაგან, მაშინ როცა „ორბნიში“ ასეთი რამ სრულიად არ შეიმჩნევა. ასე რომ მივიღეთ საგეოგრაფიო ცნების („ქვეყნის“) გაჩენა-განვითარების რიგი: ყორანი, ყორანთა, ყორნისი.

ეთნიკურ-გეოგრაფიული აზროვნების განვითარების ასევე მაღალ საფეხურს მოწმობს „ეთ“ სუფიქსიანი სახელები (იხ. ნ. მარი, ვ. თოფურია, ს. ჯანაშია, ვ. დონდუა). ლიპარიტეთი არა მარტო ლიპარიტიანთა სახლია (მრავლობა, „სახლი ლიპარიტეთი“), არამედ ამ ტერმინშივე იგულისხმება მიწა-წყალი, ტერიტორია, რომელსაც ლიპარიტეთ სახლი ფლობდა. ასევე ეთნიკურ-გეოგრაფიული შინაარსისაა (ე. ი. „ქვეყანაა“) ყველა ეს თუშეთი ,რუსეთი, სპარსეთი, ბრანჯეთი და მისთანანი. აქ ეთნიკურ-გეოგრაფიული აზროვნება იმ ზღურბლს არის მიღწეული, როცა ორი ცნება, — ეთნიკური (თუშნი) და გეოგრაფიული (თუშთა სამყოფელი ადგილი) ერთი მეორეს ეთიშებიან. გაარჩიე: „იმიერი“ ქვეყანა და ადამიანი, იმერი, იმერეთი წმინდა საგეოგრაფიო სახელი, აქედან იმერელი... და ჩნდება „სა“ პრეფიქსით გაფორმებული წმინდა გეოგრაფიული სახელები (საქართველო, სამეგრელო, საჭილაო, სალიპარტიანო, სამიქელაო, საჯავახო-სალომინაო, საამილახორო, საჯავახიანო და ათასი სხვა), სადაც ეთნიკური მრავლობის ცნება გამორიცხულია. ამ ნიადაგზეა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩნდება სასომხეთი, საფრანგეთი, სათურქეთი, საყივჩაყეთი, საბერძნეთი, საიმერეთო, სარუსეთო, საკახეთო. ჩანს აზროვნება ამჩნევს განსხვავებას ბერძნეთსა, სომხეთსა, ფრანგეთსა (ბრანჯეთსა) და იმ ცნებას შორის, რომელმაც საკუთრივ ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა“ უნდა ასახოს და ამას ახერხებს „სა“ პრეფიქსის საშუალებით (შდრ. „საქართლის ციხე“. იყო საქართლი?).

(ყოველ ისტორიულ-გეოგრაფიულ ქვეყანას თავისი „ცენტრი“ აქვს. ამიტომაცაა, რომ ხშირად ისტორიულ გეოგრაფიული ქვეყანა ამ „ცენტრის“ სახელით აღინიშნება[1].)

ჩვენი თვალსაზრისის თანახმად ეს ბუნებრივია. გარკვეულ

[1] ლეონტი მროველს ეს მოვლენა წესად გამოაქვს: ქართლი და ქართლოსი, მცხეთა და მცხეთოსი, უფლისციხე და უფლოსი, ეგრი და ეგროსი, ვაჩიანი და გაჩიოსი და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეოგრაფიულ ტერიტორიაზე ჩნდება წარმოებითი კოლექტივი, იქმნება ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყანა (გვარი), რომელიც, ბუნებრივია, იმავე კოლექტივის სახელი იქნება (ოღონდ ამ კოლექტივის მიერ აუთვისებელი გეოგრაფიული ტერიტორია არც „ქვეყანა" არის და მას არც საკუთარი სახელი შეიძლება ჰქონდეს).

დროთა განმავლობაში კოლექტივი იზრდება, ახალ ერთეულებად იყოფა, ჩნდება ტომი. სატომო ქვეყნის სახელად, ბუნებრივია, უპირატესობის მქონებელი გვარის სახელი გამოვიდეს. ასეთი უპირატესობა მრავალი სხვადასხვა პირობისაგან შეიძლება წარმოდგეს (პირველშენებულობა, სატომო კულტის ადგილი, გეოგრაფიულ-ბუნებრივი უპირატესობანი და სხვ.). ეს არის ის „ცენტრი", რომელიც დროთა განმავლობაში სხვა კოლექტივებზე (გვარებზე) ჰეგემონობა-გაბატონების ტენდენციას ამჟღავნებს („რეცა თავადი"). მაგალითისათვის გამოდგებოდა ჭარის ცენტრობა აღმოსავლეთ კახეთში. XVII—XVIII საუკუნეში სოფელ ჭარის ჯამაათმა უპირატესი პოლიტიკური მნიშვნელობა მოიპოვა კავკასიის მთის ძირობა ლეკურ ჯამაათებს შორის და აღმოსავლეთ კახეთის ამ ნაწილს ქართველებმა „ჭარი" უწოდეს. ამრიგად ჭარი გახდა ამ ქვეყნის პოლიტიკური „ცენტრი". „კაკი", „რაჭა", რუსული ცნობებით. „სიონის ერისთავი" (უნდა მოვიტანო „გაგი" ციხე და „გაგი" ქვეყანა. ქუთათისი ქალაქი და ქუთათისი ქვეყანა, კარი ციხე-ქალაქი და კარული ქვეყანა, განძა ქალაქი და განძა ქვეყანა, ქალაქი და მიმდგომი მისი, ციხე და მიმდგომი მისი. უნდა მივაწერო ბოლოს: ამ საკითხის გარშემო საჭირო მასალას სათანადო მსჯელობით ჩვენ ვიძლევით ამ შრომის სხვადასხვა ადგილას წერილის მთელ სიგრძეზე). ბარდავი, ხლათი (ჟ. ა. 223) — ქვეყნების სახელი... მანგლისი (ცˉბა დავითისი, 341_{1-2}. ბარდავი, 340), ყოველი სამშვილდე 331. „ქუეყანა ოძრჯევისა, რომელსა ეწოდების სამცხე" (ლეონტი 47).

მთელი ჩვენი ეს მსჯელობა ისტორიული გეოგრაფიის ამ ძირითადი ცნებისა და მისი გამომხატველი ტერმინის (ქვეყანა) შესახებ რომ უსაფუძვლო „თეორიად" არ გამოიყურებოდეს, მივმართოთ დოკუმენტურ მოწმობებს (მ — 2.4).

[ბორა, დაბა, ციხე].

1. დღეს, 28/VII 1954 წ. ხოვლეს წავედი. გ. ცქიტიშვილის ჯგუფს (ისტორიულ-არქეოლოგიური სადაზვერვო ექსპედიცია შიდა ქართლში) დავავალე ენახა „ხ ო ვ ლ ი ბ ო რ ა" (ნადიმაშვილის

ცნობით საკულტო ძეგლი). ჯგუფმა ნახა ხსენებული გორაც და საგულისხმო ცნობები ჩამოიტანა. საჭიროდ დავინახე თვით მენახა ძეგლი, რომ თუ მიზანშეწონილად დავინახავდი, გათხრა დამეწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე და ნინა[2] წავედით. მსიამოვნებდა ახალი ფაქტი, რომელიც გაამაგრებდა ჩემ მიერ შარშან შენიშნულ მოვლენას იმის შესახებ, რომ გარკვეულ დროს ჩვენი საზოგადოებრივი განვითარებისა, ჩვენი წინაპრები გორაებზე ბინადრობდნენ (სწორედ ეს „დრო" არის დასადგენი). უფრო სწორად, გარკვეულ დროს, ე. ი. საწარმოო ძალთა განვითარების გარკვეულს სიმაღლეზე, ჩვენი წინაპრები გორაებზე დაბინავდნენ (აი საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა განვითარების ეს სიმაღლეა დასადგენ-განსასაზღვრი) და ამ გორაებზე ბინადრობას განაგრძობდნენ, ვიდრე საზოგადოებრივი საწარმოო ძალთა შემდგომმა განვითარებამ მათ ეს გორაები არ დაატოვებინა. ასე რომ დგას საკითხი არა მარტო იმის შესახებ, თუ განვითარების რა საფეხურზე „ავიდნენ" ჩვენი წინაპრები ამ გორაებზე, არამედ იმის შესახებაც, თუ განვითარების რა საფეხურზე დატოვეს მათ ეს გორაები...

ეპოქა (გორაების) კი მეტად თვალნათლივი და განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობისა ჩანს. სულ მცირედ ხელის მიყოფაც (საკვლევო-სადაზვერვო) საკმაო აღმოჩნდა ასეთ გორაების (აქამდე რომ სრულიად არ ჩანდნენ) დასადგენად, რომ საოცარი სიმრავლით და სიცხადით წამოიშალნენ ისინი ქართლსა და კახეთში, იმერეთში თუ ოდიშ-გურიაში... (განსაკუთრებით საინტერესოა დაკვირვება, მოიპოვება თუ არა ასეთი გორაები თრიალეთ-გუგარქის მხარეში, სადაც მეგალითური ნაგებობანი უხვად მოიპოვება? მაინც და მაინც ამ ირანის გორა ჯავახეთში ტიპიურია. დღეს ჩვენ გაბედულად შეგვიძლია ოცნებით წარმოვიდგინოთ (მაგრამ ეს იქნება რეალურ-ისტორიული სურათი) ჩვენი ქვეყანა გარკვეულ დროს (გარკვეული მეურნეობის მიმდევარი): ის სულ ერთთავად გორაებზეა განლაგებული. ეს გორაები ზოგი ხელოვნურია, ზოგი ნახევრად ხელოვნური, ზოგი კი ბუნებრივია. სხვადასხვა ადგილას, შესაძლებელია ამ დროის ადამიანი გორაზე არ ბინადრობდეს, არამედ ქვაბულში რჩებოდეს, ან მეგალითს იყენებდეს, მაგრამ ყველა ეს სპეციფიკური მოვლენებია, უფრო გამონაკლისია, გეოგრაფიული თუ სხვა პირობებით გამოწვეული, წესი კი გორაებზე ბინადრობაა. ასე რომ გორაებზე ცხოვ-

---

2 ნინო ბერძენიშვილი — ავტორის მეუღლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება ჩვენი წინაპრების მთელი ეპოქაა და მხოლოდ ამის შემდგომი განვითარება იძლევა დასახლების შემდგომ „სოფლობით“, „ქალაქებით“. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ [illegible] დება იმის დადგენა, თუ როდის და როგორი თანდათანობით მოხდა გორაების დატოვება (გორის გარშემო, თუ მის ახლო მოსახლეობის გაჩენა, რომელიც პირველ ხანებში გორის დანართი იყო და შემდეგ, უნდა ვიფიქროთ, თანდათან ცენტრი გახდა და ამდენად გორა მეორეხარისხოვან მოვლენად იქცა), „დაბების“ თუ „სოფლების“ (ხევების) გაჩენა, „ქალაქების“ გაჩენა, შრომის დანაწილების საფუძველზე მოსახლეობის სხვადასხვა ტიპების გაჩენა.

ასე რომ ისახება ერთი დიდი საფეხური ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების დამახასიათებელი, როცა მოსახლეობის სახე გორაა.

იგოეთში გადაუხვიეთ გორის გზიდან და ლეხურას პირით კასპისკენ წავედით. კასპი ძველადაც ქალაქი იყო. ის ალექსანდრე მაკედონელის წინა დროიდან იგულისხმება ტრადიციით (მოქცევაჲ ქართლისაჲ). საინტერესოა წარმოების რა დარგი იყო აქ ძველად განვითარებული რომ ქალაქად იქცა? კერამიკა ხომ არა?...

მაგრამ ჩვენ ამჟამად გორა გვაინტერესებს. ის უეჭველად მოიპოვება კასპის მიდამოებში. პოვნა უნდა ოღონდ ჩვენ ახლა ამის დრო არა გვაქვს. თანაც საშინელი სიცხე ფიქრის ხალისსაც ანელებს. მეტეხს გავუარეთ და სასირეთის გზით წავედით; „სასირეთის განძი“ არქეოლოგიაში ცნობილია. საინტერესოა ოღონდ, რომ მისმა შემსწავლელმა განძი ისე განიხილა, რომ საკითხიც კი არ დასვა ისტორიულად ამ განძსა და მის შემქმნელ საზოგადოებას შორის თუ რა კავშირი იყო, ან სად უნდა ვეძიოთ ჩვენ და როგორ ის საზოგადოება... გზიდან მარცხნით, სოფლის ბოლოზე ერთ განკიდებულ გორას თვალი შევავლე. ვიცანი „გორა“. გვეჩქარებოდა. „ცქიტიშვილს დავავალებ ნახოს“ — ვიფიქრე. ხოვლის მისასვლელში ყორღანია, რომელიც გზა-შარას გაუჭრია (საბედნიეროდ, მხოლოდ კიდე ჩამოუჭრიათ)... მაგონდება „რკონის სიგელი“, კახა თორელი, ჭკვიანი ფეოდალი...

მაგრამ ყველა ეს დღეს მინისლულია და წინა პლანზეა ხოვლიგორა. ექსპედიციის ჯგუფი იქვე გვიცდიდა, წითელქალაქიდან წამოსულიყვნენ. ხოვლიგორა სოფელ ხოვლეს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ორი კილომეტრის მოშორებითაა. ეს გორა ისეთივე ტიპის და დაახლოებით ისეთივე სიდიდისაა, როგორც ნიჩბისის,

ან ნასტაკისის, ან მჭადიჯვრის. ოღონდ ესაა, რომ გადაჭრილი ყელი კარგად ჩანს, ხოლო გარშემო თხრილი არ ატყვია (შეიძლება ნაწილი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან ჰქონოდა). სამაგიეროდ ბაზალეთში ახალი ელემენტია: კედლები. თითქო გარშემო შემოუყვება. დასავლეთ-აღმოსავლეთით გაშიშვლებული ჩანს... მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო ისაა, რომ მეორე კედელიც აქვს ამ გორას ისეთივე, როგორც პირველი. თუ პირველი გორის ძირს მიყვება, მეორე უფრო ზემოთ გორის გვერდზეა და აქვე ამ ქვების მაძიებელ გლეხის ედიშერაშვილის მოწმობით, ასეთივე წყობის კედელი აქ მესამეცაა გორის გვერდზე ოღონდ კიდევ უფრო მაღლა... ჩვენ ისე ცოტა ვიცით ამ გორაების შესახებ, რომ რისამე თქმა შეუძლებელია ამ კედლების გამო. ის კია, რომ ეს ფაქტი მეტად საინტერესოა და ახალი მომენტი შეაქვს ამ გორების შესწავლაში. გორაზე კერამიკის, თითქო გვიანი ბრინჯაოს ხანის, ფრაგმენტები მრავლად მოიპოვება. ესეც ახალი გარემოებაა: ასე გვიანაც, ჩანს, გორაზე ცხოვრება არ შეწყვეტილა. ერთ ადგილას (გორის ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდი), ქვის კედლის შიგნით ა ლ ი ზ ი თ ნ ა გ ე ბ ი კედელი ჩანს, იქვე უფრო ძველი ფენაც ჩანს თითქო...

აქვე, გორის ძირშივე (მის სამხრეთით) შეინიშნება ნასოფლარი ისეთივე ქვებით ნაგები სახლებით (საძირკვლები), როგორც გორის კედელი. აქაც მრავლად მოიპოვება გვიანი ბრინჯაოს დამახასიათებელი კერამიკის ფრაგმენტები (პეწიანი შავლეგა კერამიკა ორნამენტიანი და სადა). ასე რომ სოფლისა და გორის თანადროულობა გარკვეულ დროს სრულიად უდავოა. შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ეს კედელი გორისა უფრო გვიანია, ვიდრე გორაზე მოსახლეობის წარმოშობა. კედელი შეიძლება ამ სოფლის გაშენების დროისაა. ნასოფლარში ფეოდალური ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებიც მოიპოვება... შეიძლება ეს იყო სწორედ ძველი ხ ო ვ ლ ე და შეიძლება ამით აიხსნებოდეს, რომ ამ გორას დღეს ხოვლიგორა ეწოდება (და შეიძლება ამ გორას ერქვა უძველეს დროის ხოვლე თუ ხომლე?... ან ხოვლევი?). სოფლის და გორის ეს სინქრონულობა განსაკუთრებით საინტერესოსა ხდის მათ ორივეს შესწავლას ერთდროულად. მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო ისაა, რომ აქვე ასი თუ ცოტა მეტი მეტრის დაშორებით, აღმოსავლეთით მოიპოვება ნეკროპოლი, რომელიც შეიცავს როგორც ჩანს, იმავე დროის ინვენტარს, რასაც სოფელი და გორა ამ სოფლის თანამედროვე ნაწილში. ასე და ამრიგად გორა, სოფელი და ნეკროპოლი ურთიერთის თანამედროვეა და ეს ხომ უკვე მთელი ცხოვრებაა.

თითქო ამ სოფლის სახელიც კი დგინდება — ხოვლე, ხოვლევი (შდრ. ნოსტე, ნოსტევი) და შესაძლებელი ხდება იმის დადგენა, თუ რა სიდიდისა იყო გვიანი ბრინჯაოს დროის სოფელი. ეს ციხე-ქალაქი შირში იყო ის ჯერ კიდევ ძველ გორასთან, როგორი იყო წესი სამაროვნის შენებისა (რა მოშორებით) და სხვა და სხვა. ჩვენ, რა თქმა უნდა, კარგად ვიცოდით, რომ ამ გორაკების შორიახლო უძველესი სოფლები („დაბნები") იყო მოსალოდნელი, მაგრამ მათი აღმოჩენა ყოველთვის არ ხერხდება (ხან ახალმა სოფელმა გააქრო ამ ძველი სოფლის კვალი, ხან ღრმად დაიფარა) — ნასტაკისი ამ მხრით ფრიად ხელსაყრელი ობიექტია, თუმცა მისი ნეკროპოლი საძიებელია, სამაგიეროდ გორა და სოფელი კარგად ჩანს. ასე რომ, ამ კომპლექსის თხრა უეჭველად ნაყოფიერი იქნება ჩვენი ცოდნის გამრავლებისათვის... ხოვლე, ნასტაკისი და ასეთივე კომპლექსები კახეთში და დასავლეთ საქართველოში და ჩვენ ფეხზე დავაყენებთ იმ არქეოლოგიას, რომელიც ისტორიული მეცნიერების გაღრმავებას, მარქსისტულ ისტორიოგრაფიას მოემსახურება... და ჩვენ შევძლებთ ოდესმე დავწეროთ საქართველოს ბურჟუაზიული ხანის, ან საქართველოს ფეოდალური ხანის, საქართველოს სოციალისტური ხანის რუკების გვერდით საქართველოს რ უ კ ა გ ვ ა რ ო ვ ნ უ ლ ი, თუ მონათმფლობელური წყობილების დროისა...

ჯერჯერობით კი, სიმართლე რომ ითქვას, არც ერთი ხანის რუკა არა გვაქვს.

უკან დავბრუნდით. სიცხე ყოველგვარ ხალისს გვიკარგავს... გადავწყვიტე სასირეთს ჩავივლი და ჩემ მიერ შენიშნულ გორას ვნახავ. იქ მისვლისას ერთი გლეხი ვნახეთ. ვკითხე თუ რა ჰქვიან ამ გორას: კახიანთ გორა, ლარის გორა — იყო პასუხი. ამ გორაზე ხომ არ შეგხვედრიათ რაიმე ადამიანის ნახელავი? როგორ არა, თიხის ჭურჭლის ნატეხები ბევრი ამოდის — გვიპასუხა გლეხმა. მაგრამ ეს ცნობა უკვე ზედმეტი იყო, რადგან ჩვენ ამ დროს უკვე გორის ფერდს მივადექით და თიხის შავლეგა ჭურჭლის ნამსხვრევებს ვკრეფდით. გორას შემოვუარეთ. ის ხელოვნურად განმხოლოებული (და არა განკიდებული) ჩანს: დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხრით ხელოვნური თხრილით ეს გორაკი გამოყოფილია მცირე ქედიდან. თხრილი ამ გორაკს სამხრეთის მხრითაც უნდა ჰქონოდა. გორაკი ჩვეულებრივ სიმაღლისაა, ისევე ოვალური მოყვანილობისა, როგორც თითქმის სხვა ყველა... მრავლად შევაგროვეთ კერამიკული ნაშთები. ყველაზე უფრო უხვად გვიანი ბრინჯაოს დამახასიათებელი კერამიკაა წარმოდგენილი, თუმცა უფრო ადრინდელიც მოიპოვება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ერქვა ამ გორას. ვინ იცის სირის გორა, ან სირთა-გორა (ანალოგიით ჩხიკვთა, ლომთა, მელთა და სხვა)... „სურეფნული განძი“ გამახსენდა. საფიქრებელი იყო, რომ ის განძი სადღაც ახლოს იპოვეს აქ. ახლო, გორის გაღმა, კოლმეურნეობა პურსა ლეწავს, გავედით, ვიკითხეთ, დაგვიდასტურეს, რომ ის განძი აწინდელი სასაფლაოს მიდამოებში აღმოჩნდაო. ასე რომ გორი და მის ახლოს ამ გორის თანამედროვე (დროის გარკვეულ მონაკვეთზე) სასაფლაო თითქო დადასტურებულია... აქ ძველი ძეგლების პოვნის სხვა ფაქტებსაც აღნიშნავენ როგორც ამ სასაფლაოზე (საფლავების გათხრის), ისე ამ გორაკის დასავლეთითაც... (მ.—2, 19. ფურც. 65—70).

2. როგორც ირკვევა, ხოვლიგორა განსაკუთრებით საინტერესო ძეგლია მისი ჯერჯერობით წარმოჩენილი ნაწილით, ესაა გვიან ბრინჯაოს ხანის ძეგლი (და რკინის ვიდრე ანტიკურ ხანამდე). გრანდიოზული ნაგებობა — კედლები მოწმობს, რომ ეს გორა ამ დროს დიდი ციხეა წინაფეოდალური ხანისა (ფეოდალური ხანის ციხე არსებითად განსხვავდება ამისაგან).

საზოგადოება იქამდე განვითარებულია, რომ ციხე (თავის დასაცავი და საბატონო?) გამოყოფილია საცხოვრებლისაგან. თავდაპირველად საცხოვრებელი და თავდასაცავი ერთი იყო (ადამიანი ცხოვრობდა სახლად, ციხედ, ჯიხად...). ეს ნეოლით-ენეოლითში ჩნდება თანდათან დაბა: წინ მიდის საზოგადოების განვითარება და ციხიდან დაბად ჩამოდის ადამიანი, მრავლდება, მდიდრდება უკეთ შეიარაღდება ტექნიკურად, სოციალურადაც თანდათან სახეს იცვლის: მცირე გვარების (სახლების) ნაცვლად გვართა კავშირები, ტომები იქმნება. ჩნდება ციხე (ე. ი. განსაკუთრებით გამაგრებული პუნქტი), რომელთანაც გარკვეულს დამოკიდებულებაში აღმოჩნდებიან გარემო დაბები. დიდხანს ეს დამოკიდებულება ოდნავადაც არ ზღუდავს დაბას (გვაროვნულ ერთეულს) და ციხე მხოლოდ თავდასაცავი პუნქტია და საკულტო ადგილი, სადაც თავს იჩენს საერთო ამ თავისუფალი დაბების სალოცავი (რა თქმა უნდა, თითოეულ დაბას, გვარს თუ „კომლს“ ამავე დროს თავისი კერძო სალოცავიც აქვს).

ამ საერთო სალოცავის „მოურავი“ ამავე დროს, ბუნებრივია, ამ საერთო თავდასაცავის „მოურავიც“ იყოს. მაინც და მაინც ასეთი ტენდენცია სრულიად ბუნებრივია. თანდათან ისახება გვარი („ფენა“ „კლასი“) განსაკუთრებული ფუნქციით....

ხოვლიგორა იმის მოწმობაა, რომ აქვე ახლომახლო ასეთი გრანდიოზული გორაები არ იქნება, ის გორაები უფრო ძველ-ფეოდალური უფრო მარტივი შეიძლება იყვნენ მხოლოდ.

ბიბლიოთეკა

ჩვენი სქემით უნდა ვივარაუდოთ, რომ ხოვლიგორას უძველესი ფენა ასევე ძველია. განსხვავება აქ იმ მხრითაა სავარაუდებელი, რომ ხოვლიგორაზე უფრო დიდხანს შერჩა ცხოვრება (იმიტომ, რომ ის სპეციალურ ციხედ და საკადად იქცა). სხვა ახლო გორაები ამდენადვე ადრე უნდა დაეტოვებინათ, ან თუ ხედ შერჩა ცხოვრება, ის კი არ იყო წამყვანი, არამედ წამყვანი გახდა დაბა. მაინც და მაინც ხოვლიგორას გრანდიოზულობა გამოიცხავს იმას, რომ ის მხოლოდ მის გარშემო დაბის ციხეა და გვაფიქრებინებს, რომ ის რიგ დაბათა ციხეა.

ამრიგად ჩვენ თვალწინ საზოგადოებრივი განვითარების გარკვეული საფეხურია.

როცა ციხე, აგრე დიდის შრომით შექმნილი, დიდმნიშვნელოვან მომენტად ქცეულა, იქვეა საერთო კულტიც... ისახება, ბუნებრივია, არისტოკრატია, ამ ციხის მოურავ გვარს თანდათან გვერდში ამოუდგება ცალკე დაბებიდან გამოსულებიც (ეს, რა თქმა უნდა, ერთობ გვიან...).

რამ გააქრო ხოვლიგორა? იმან, რამაც შექმნა: საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებამ, დაწინაურებამ, ტექნიკის წინსვლამ, სოციალური ურთიერთობის თანდათანმა გართულებამ...

ხ ო ვ ლ ი გ ო რ ა გააქრო კლასობრივი ურთიერთობის წარმოქმნამ, ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობამ, ფეოდალის ციხედ არც ტექნიკურად, არც სოციალურად არ გამოდგებოდა ხოვლიგორა. და თუ ის კლასობრივ ურთიერთობის გაჩენის შემდეგ რამოდენიმე ხანს რჩებოდა, ეს იყო მისი არა აყვავების, არამედ დ ა ც ე მ ი ს ხ ა ნ ა, მისი გაქრობის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის ხანა (მ—2, 19. ფურც. 47—48).

3. შესანიშნავია, რომ ხოვლიგორა ხალხის რწმენით ეშმაკის გორაა, რომ იქ ეშმაკები ბუდობენ. ეს ფაქტი თითქო იმას მოწმობს, რომ ეს გორა ოდესმე საკულტო ადგილი იყო, მაგრამ არაქრისტიანული კულტისა. ასე რომ ყოფილიყო ეშმაკისად ის ვერ გახდებოდა. მაგრამ ხოვლიგორის ნაშთები უდავოდ მოწმობენ, რომ აქ ამაზედ უწინ ხალხი ცხოვრობდა. მატერიალურ ნაშთებთან ერთად ამის მოწმობაა თვით გორის სახელი ხ ო ვ ლ ე ვ ი-ხ უ ლ ე ვ ი-ხ უ ლ ე ბ ი. ის გარემოება, რომ ამ გორაზე ეშმაკებმა დაიბუდეს,

იმას მოწმობს, რომ ამ გორაზე ეკლესია არ აუშენებიათ, რომ ის ქრისტიანულ სამლოცველოდ არ ქცეულა. ეს კი იმას გვაფიქრებინებს, რომ ეს გორა მის გარშემო სოფლით (ამ სოფელსაც ... ის სახელი ერქვა) დაცლილა და მოსახლეობა აწინდელ სოფლისაკენ გადასულა (სახელი ხოვლე თან წაუღია) ჯერ კიდევ ქრისტიანობის წინა დროს. კულტის ადგილი, საფიქრებელია, ამის შემდეგაც დარჩა, თუმცა, უნდა ვიფიქროთ, არც თუ ძლიერი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში წარმართულ ძლიერ კულტს ქრისტიანულით შეცვლიდნენ. შეიძლება ვიფიქროთ ადგილის დაცლა დიდი ხნით ადრე მოხდა, ვიდრე ქრისტიანობა შემოვიდოდა (რამდენიმე ასი წლით) და ახალი ხოვლის მოსახლეობას თანდათანი დავიწყებისათვის მიეცა ეს ძველი ხოვლეს კულტი (შეიძლება მოსახლეობის ალრევაც მოხდა, სხვა სახლებს შეერია და ძველი საკულტო ადგილი თანდათან მივიწყებას მიეცა). ასეთ ვითარებაში ქრისტიანულმა კულტმა საჭიროდ არ სცნო აქ ეკლესიის აგება და ეს ძველი საკულტო ადგილი ეშმაკებს მიუგდო. ასე რომ ძველი ხოვლეს მიტოვების დროს დასადგენად თითქო ეს საბუთიც მოგვეშველება და ის სავსებით ეთანხმება ნასოფლარის მატერიალურ ნაშთებს.

Სახელი ხ ო ვ ლ ე ს ა თ ვ ი ს. აქ ეტიმოლოგია (ხოვლევი, ხულევი, ხულები) იმით არის განსაკუთრებით საინტერესო, რომ ის ამ გორას უნდა რქმეოდა. და თუ ამ გორას ეს სახელი (ხოვლევი) ერქვა, ეს იმის მოწმობა იქნება, რომ ეს გორა მართლაც ადგილსამყოფელი იყო გვარის („ხოვლე" სხვა გორაებისაგან განსხვავებული, განსაკუთრებულ ნაგებობათა შემცველი ხომ არ იყო და ამიტომ ხომ არ ეწოდა ეს სახელი?), რომ ამ გვარს აქ ხ უ ლ ე ვ ი ჰქონდა... თუ ეს ასე იყო და შემდეგ დაბასაც იგივე სახელი ეწოდა, ხოლო კიდევ უფრო გვიან აქედან გადასახლებულმა ხალხმაც ხ ო ვ ლ ე სოფელი შექმნა, ეს იმის მოწმობაა, თუ როგორ თანდათან და ბუნებრივად მოხდა, რომ გორა გაიზარდა, ბარად ჩამოსახლდა და ბუნებრივია იგივე სახელი შერჩა (ხოვლიგორა), შემდეგ გორა თანდათან მიატოვეს და ხოვლე დაბის სახელად შერჩა, შემდეგ დაბა გადასახლდა და თავისი სახელი ახალ მოსახლეობას შეარქვა. ხ ო ვ ლ ი გ ო რ ა კი დარჩა (მ—2. 19. ფურც. 56—57).

4. 6. VIII. 1954 წ. ედიშერის[3] ჯგუფმა საინტერესო ცნობა ჩამოიტანა ნაბაღრების შესახებ.

---

[3] ე დ ი შ ე რ ხ ო შ ტ ა რ ი ა. — მაშინ უნივერსიტეტის ლაბორანტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე და ნინა მის სანახავად წავედით. ძეგვი ბევრჯერ ამივლია. აქ სულ ვახტანგ გორგასალი მაგონდება. ვინ იცის სადმე აქ ... მოიპოვებოდეს ის სტელა, რომელზედაც ვახტანგის შეწირულობა მცხეთის ტახტისადმი შეიძლება ყოფილიყო... „ბარგიყარია“ მეტად ღამახასიათებელი სახელია. აქ იყო, ალბათ, მონღოლთა დროს ი ა მ ი, ხოლო შემდეგ ისევე, როგორც უწინაც, — ს ა ბ ა ჟ ო ან ფ უ ნ დ უ კ ი. საინტერესოა: ძეგვი ისეთივე ასპინძა ხომ არ იყო მცხეთის მისადგომზე, როგორც ა ს პ ი კასპის მისადგომზე? თვით ძეგვში გ ო რ ი ს ძებნა აზრიანია. ჩვენს „ზვერიაებს“[4], სამწუხაროდ, ვერაფერი უპოვნიათ (სძებნეს კია?). ამათ ვერც „ციხედიდი“ იპოვეს, თუმცა მის მიდამოებიდან სიძველის მაჩვენებელი ნიშნები (კერამიკა) კი მოიტანეს. ციხედიდის ადგილმდებარეობა დღესაც დაუდგენელი რჩება... ამაებისათვის ახლა არა მცალია, სხვა დროს...

ხევკორდულას ავყევით. ხევკორდ (ხევკორძი) სოფელს აუარეთ (მარჯვნით მოვიტოვეთ) და ვიწრო და ღრმა ხეობით წავედით. მანქანა დავტოვეთ და ქვეითნი გავყევით ძველისძველ გზას, რომელიც ამ ხეობას დიღმისაკენ მიმავალ ხეობებს უკავშირებს. მივდევთ ვიწრო ხეობას და თვალწინ მეშლება ჩვენი წინაპრების მიერ ა თ ვ ი ს ე ბ უ ლ ი ქ ა რ თ ლ ი ს ქ ე დ ი. მესაქონლეობა, სელი, მეხორბლეობა უნდა ყოფილიყო ამ მოსახლეობის უმთავრესი საშეურნეო საქმიანობა. საღი ჰავა, საამო წყაროები, უხვი შეშა, ადვილი გზები ხეობიდან ხეობაში, — ყველაფერი ეს მტკიცე და მკვიდრი მეურნეობის პირობა იყო შედარებით ხშირი მოსახლეობისათვის. და ეს მეურნეობა იქამდე მტკიცე იყო, რომ მიუხედავად არაერთგზისი გაერანებისა, ეს ადგილები კვლავ და კვლავ ესახლებოდა, ვიდრე ჩვენს დროში (უკეთ XIX—XX სს-ში) საწარმოო ძალთა განვითარება ისეთი არ შეიქმნა, რომ ეს მთიანეთი აღარ დასახლდა და ახალი მოსახლეობა უფრო ბარს მიეტანა...

ამ ხეობათა შესწავლის შედეგად შეიძლება მხოლოდ იმის ნათლად წარმოდგენა, თუ სად, ან რაში მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ დ ა ქ ა რ თ ლ ი ს ს ი ძ ლ ი ე რ ე, ის „უცნაური“ უნარი, ფენიქსობით რომ აღნიშნავენ... უნდა ნახო. თუ როგორ ირწყვება სოფელი ნაბაღრები წყაროს წყლით, რომელიც ექვს კვამლ მთიელს გამოუყვანია. არც სახელმწიფო ქურუმ-მირაბებით და არც ხელმწიფე ან ფეოდალი, არამედ სოფელი (შეიძლება ერთი სახლი, ერთი

---

4 ასე უწოდებდნენ მაშინ ხუმრობით ისტორიულ-გეოგრაფიულ დაზვერვებზე მყოფ ახალგაზრდებს (დ. ბ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარი). ნასოფლარების სიმრავლე დღეს რომ აღინიშნება ქართლის ქედზე, თუ ხეობებში, მხოლოდ იმისი მოწმობა როდესმე ძლიერი ქვეყანა გარეშე მტერმა გაავერანა, არამედ: ისიც, რომ აწინდელი ტექნიკის განვითარებამ მოსახლეობა ბარში ჩაიყვანა.

ჩვენი ვილისი დადგა და ქვეითად გავყევით გზას. საკმაო აღმართებია, მაგრამ უფრო მძიმე ისაა, რომ სიცხეა, თუმცა ტყე საკმაოდ ანელებს მას. მსუბუქად მივდივარ. ახალგაზრდები ზოგი წინ წასულან, ზოგი ჩვენთან მოდიან. მსიამოვნებს მათი ჭარბი ენერგია, ხალისი. მეცნიერების საქმეში მალე საკუთარ ფეხზე დადგებიან, საიმედონი ჩანან... ადვილად წარმოსადგენია, თუ რამდენს შეიძენენ და როგორ ძვირფას მასალას დააგროვებენ. ჩვენი ქვეყნის ისტორია უსაზღვროდ გამდიდრდება მასალით და უტყუარი მასალით... მაშინ ადვილად შეავსებენ „ქართლის ცხოვრების“ სიღარიბეს და ცალმხრივობას, ილია რომ უჩიოდა, ადვილად წარმოაჩენენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ (თუ სხვა რიგ) ცხოვრებას წარსულში...

აბულეთის წმინდა გიორგის, შეიძლება ძველად მხოლოდ „აბულეთის“ გორს, აღმოსავლეთის ფერდიდან შევუდექით. გზის პირს ჩამონაზვავებს ვუკვირდებით. კერამიკის ნამსხვრევები ამ გორაზე ცხოვრებას მოწმობს. ნამსხვრევები ძველს და ნაგვიანევს თანაბრად მოწმობენ. ვპოულობთ შავლეგა კერამიკას გაპრიალებულს („სამთავროს“ ტიპისას) და საშუალო საუკუნეებისას. გვხვდება კიდევ უფრო ძველის მანიშნებელი ნამსხვრევები: ღ ი ა ვ ა რ დ ი ს ფ ე რ ი (შუა ბრინჯაოს თუ კიდევ უფრო ძველი?)...

აბულეთის გორა (ასეთი სახელი რამოდენადმე ხელოვნურია:— ადგილს ჩვეულებრივ ნაბაღრებს, ნ ა ბ ა ღ რ ე ბ ი ს ხ ა ტ ს და ა ბ უ ლ ე თ ი ს წ მ ი ნ დ ა გ ი ო რ გ ი ს უწოდებენ, — მაგრამ შეიძლება ასეთი აღდგენა საფუძველს მოკლებული არ იყოს. შეიძლება ა ბ უ ლ ე თ შ ი აბულ-ტოტემის და შემდეგ გვარის ყველა წევრის სახელი იყო ამ გორაზე მცხოვრების, ხოლო შემდეგ ამ აბულების კრებულს და მათ ადგილსამყოფელს ა ბ უ ლ ე თ ი გამოხატავდეს) ჩვეულებრივი, ბუნებრივი გორაა, სამი მხრით ღრმა ხევებით შემოზღუდული, უკეთ ორი ღრმა ხევის შესაყარში ცხვირი, — მეოთხე მხრით (სამხრეთით) ის მაღალ ქედს „შუა ცხვირს“ უკავშირდება (ეს „ცხვირი“ კარგი საგეოგრაფიო ტერმინია „კონცხის ნაცვლად). ყელი, აბულეთის გორას რომ აკავშირებს შუა ცხვირის გორასთან, დაბალია და შეიძლება ხელოვნურადაც დადაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებულია, თუმცა დღეს ეს არა ჩანს (გათხრა უნდა). აბუ[illegible]
გორის მოცულობა საკმაოდ დიდია. გვიან ხანაში (საშუალ[illegible]
კუნეებში) აქ სოფელი ყოფილა (10—12 „კომლი", უკეთ 12-მდე
ნასახლარი) ორი ეკლესიით. ამ ადგილის სიფართოვეს და მის მო-
ხერხებულობას უნდა მიეწეროს, რომ ამ გორაზე ცხოვრება არ
შეწყდა და უწყვეტლად იყო გორის ეპოქიდან დაბის
ეპოქამდე და შემდეგაც... დიახ, სწორედ გორის ეპოქი-
დან და არა მასზე ადრე. გორაზე ასვლა, გორზე მოსახლეობა ხის
შენობას გულისხმობს, როცა ადამიანმა შეძლო ხელოვნური, მტკიცე
თავშესაფრის გაკეთება. მღვიმე, როგორც თავშესაფარი ბუნების
მოვლენებისაგან, შენობამ შეცვალა, ხოლო თავდაცვის მო-
მენტი გორის ფლატე ფერდებმა, გარშემო თხრილმა, ყელმა და
თხრილის პირს მესერმა (კედელმა?) იკისრეს. ადამიანი მღვიმიდან
მისმა სამეურნეო განვითარებამ გამოიყვანა: მესაქონლეობის, მემინ-
დვრეობის განვითარება მღვიმელ საზოგადოებას სულ უფრო და
უფრო დაბლობისაკენ, ველისაკენ ეწეოდა. საქონლის გამრავლება,
პურეულის მოყვანის ტექნიკის გაუმჯობესება თვით ადამიანთა სა-
ზოგადოების გამრავლებას შესაძლებელს ხდიდა. ძველი მღვიმე ვი-
წრო იყო, როგორც სადგომი, როგორც საცხოვრებელი ადგილი. მე-
მინდვრეობაც მას უფრო და უფრო აშორებდა ძველ მღვიმეს (ახლო-
ების მეურნეობა), რომლის ძველი სათნოება (ვიწრო, მიუდგომელი და
კლდოვანი ადგილი) ახლა უსარგებლო და შემაფერხებელ გარემო-
ებად ქცეულიყო: სამეურნეო ცენტრის მოშორებულობა, ჭირნახუ-
ლის მიტანის სიძნელე, საქონლისათვის სივიწროვე, კლდოვანების
გამო გარემოს სიმწირე, ყველა ამ ახალ უხერხულობათა საკომპენ-
საციოდ არ კმაროდა ის ერთადერთი სათნოება, რომელიც მას
დღემდე შერჩენოდა — ადგილის სიმაგრე თავდაცვის თვალსაზრი-
სით. თანაც ეს სათნოება, რაც უფრო დრო გადიოდა ადამიანი
ტექნიკურად იარაღდებოდა და ბუნებას სულ უფრო და უფრო
ეუფლებოდა, თანდათან ჰკარგავდა გადამწყვეტ მნიშვნელობას, რო-
მელიც მას ძველად ჰქონდა. და ადამიანმა დატოვა ასეთი მღვიმე-
ები, გორაზე ავიდა. რა თქმა უნდა, ადამიანს ყველა მღვიმე არ
დაუტოვებია. ისეთი მღვიმეები, რომელნიც ფართო და ნოყიერ სა-
ნავ-საძოვრის პირად იმყოფებოდა და არც მეტისმეტად კლდოვან-
მიუდგომელი იყო, ადამიანს არც ამ პირობებში დაუტოვებია, სა-
ნამ იქ მღვიმის მიდამოში საჭირო სამეურნეო საქმიანობა
უხერხდებოდა, ე. ი. სანამ ამა თუ იმ მღვიმეში ცხოვრება ამ მეურ-
ნეობის შემდგომი განვითარების შემაფერხებელი მომენტი არ გახ-

დებოდა. (ჩვენი არქეოლოგიის სისუსტეა, რომ არაფერი ვიცით
იმის შესახებ, თუ როგორი იყო ძველი ქვისხანის
ნის სადგომები აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ბუნებ-
რივი მღვიმეები არც აგრე თვალსაჩინოა, მით უფრო არაფერი ვი-
ცით აქაური ქვისხანის ადამიანის სამეურნეო იარაღის შესახებ...)
საგვარჯილე ამ თვალსაზრისით უნდა შესწავლილ იქნეს. ეს მღვიმე
ჩვენი ამ მოსაზრების კარგი მოწმობა შეიძლება იყოს. განსაკუთ-
რებით ნიშანდობლივია, რომ საგვარჯილეში მღვიმის გარეთ „ღია
სადგომიც" მოიპოვება. უნდა ვიფიქროთ, მთავარი მღვიმეს გარდა,
აქ სხვა მღვიმეებშიც გაჩაღდა ცხოვრება, როცა მღვიმელი საზოგა-
დოება გაძლიერდა, დაწინაურდა. ეს ღია სადგომი შეიძლება იმის
მოწმობაც იყოს, რომ ეს ხეობა ჩაკეტილი იყო. ასევე საინტერესოა,
რომ საგვარჯილეს პირას, სულ რაღაც ნახევარ კილომეტრში (აწინ-
დელი ნასოფლარი) აგრეთვე ძველი (ბრინჯაოს ხანის) ცხოვრების
(ნასადგომევის) კვალი ჩნდება. მოკლედ: საგვარჯილის ადამიანი
განვითარდა, მეურნეობრივად დაწინაურდა, გამრავლდა. იბარტყა,
იქვე ხეობაში მღვიმეები დაიჭირა, ან „ღია სადგომში" მოთავსდა,
ხეობის გარეთაც გავიდა, მაგრამ თვით საგვარჯილე მან საბოლო-
ოდ არ დასტოვა დიდხანს, რადგან ამ სადგომის მოსახმარისობის
მომენტი ჯერ კიდევ სჯობნიდა ამის საწინააღმდეგო მომენტს...

ანალოგიურია გორის ვითარებაც. გორაზე ადამიანი მოთავსდა,
როგორც შევნიშნეთ, გარკვეულ დროს, საზოგადოების საწარმოო
ძალთა განვითარების გარკვეულ პირობებში. იგულისხმება, რომ
ეს პირობები მას შეექმნა ნეოლითის ხანაში. ის გარემოება, რომ
სოციალური ტერმინი ადამიანთა საზოგადოების ერთობლიობის
აღსანიშნავად გორი (-ქორი) და სახლი (-ციხე) გვაქვს, იმის მოწ-
მობაა, რომ ეს ერთობლიობა (საგვარეულო წყო-
ბა) იმ პირობებში შემუშავდა, როცა ადამიანი მღვიმეში კი აღარ
იყო, მღვიმეში კი აღარ ბინადრობდა, არამედ გორზე და აქ მის
მიერვე შექმნილ შენობაში, სულ ერთია, ეს შენობა მოლობილი
(„ჩიხი") იქნებოდა, თუ მთლიანი ხეებისაგან შექმნილი (ჯიხა, ციხე,
ჯიხური). ასეთი სოციალური გაერთიანება შესაძლებელია პალეო-
ლით-ნეოლითის საზღვარზეც დაწყებულიყო, მაგრამ ამ ორგანიზა-
ციის საბოლოო გაფორმება უეჭველია მღვიმიდან
ადამიანის გამოსვლის შემდეგ. მისი გორზე
(ქორად, სახლად) დაბინავების შემდეგ მოხ-
და. ამის შედეგია და ამისივე მოწმობაა, რომ ქორი (გორი, გვა-
რი) შენობასაც ნიშნავს და სოციალურ ერთეულს, გვარს. ასეთივე

შინაარსისაა სახლი (=ციხე) შენობაც და სოციალური ერთეული
ლიც (გვარი). საინტერესოა, რომ ტერმინი სახლი (აგრეთვე
მნიშვნელოვანი და დიდად დამკვიდრებული ქართულ ენაში)
უთვისტომო არაა. მისი შესატყვისია მეგრული ოხორი... ქორისა
და სახლის ერთმნიშვნელობა იმის მოწმობა შეიძლება იყოს, რომ
წარმოშობით ისინი სხვადასხვა ქართველური ტომების საკუთრე-
ბაა და მეორეს მხრით ეს ფაქტი იმის მოწმობაა, რომ ამ ტომებს
გვაროვნული ცხოვრების დიდი ნაწილი (თუ მთლიანად არა) ურთი-
ერთისაგან დაშორებულობის ვითარებაში გაუვლიათ ძირითადად.
გორის მნიშვნელობის ეს სხვადასხვაობა ქორი — (გორი) სოცი-
ალური ერთეული, შენობა-სახლი, გოჯი, ქუჯი-ციხე,
ჯიხა, ჩიხი, ჩიხე იმის მოწმობაა, თუ რა იყო მთავარი მომენტი გო-
რის ცხოვრებაში: 1. სოციალური ერთეული (გვარი, გო-
რი, ქორი, სახლი), რომელიც ამ მაღლობზე ბინადრობდა და მტკი-
ცე (სოციალურ) ორგანიზაციას წარმოადგენდა, 2. შენობა-ნა-
გებობა, რომელშიაც ეს ერთეული ბინადრობდა — რა თქმა
უნდა, საფიქრებელია, რომ სოციალური ერთეული ყოველთვის ერთ
„ჭერქვეშ" არ იყო და ზოგჯერ, უპირატესად — გვიან, სხვადასხვა
ჭერქვეშ იყო მოთავსებული, თუმცა ჯერ კიდევ სოციალურად ის
ერთეულადვე რჩებოდა, თავდაპირველად, მღვიმიდან გამოსვლისას
და გორაზე დაბინავებისას ეს ერთეული, როგორც წესი, ერთ
ჭერქვეშ უნდა მოთავსებულიყო; ამის მოწმობაა, რომ ქორი, სახ-
ლი სოციალური ტერმინიცაა და საცხოვრებელი ნაგებობის ტერ-
მინიცაა, ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას: ქორი, როგორც
შენობა, მაღალ სახლს ნიშნავს სახლზე აშენებულს, სახლი კი ასეთ
შინაარსს არ შეიცავს. ეს იმის მოწმობა ხომ არ არის, რომ ქორი
უფრო ადრინდელია, რომ ის ამ სოციალური წყობის პირველ ნა-
ხევარში და გორაზე შემუშავებული ტერმინია, ხოლო სახლი (სა-
ხალი — ოხორი) უფრო გვიანი, სხვა ტომის მიერ შემოტანილი...
3. ციხე-სიმაგრე (ციხე, ჯიხა, ჯიხური), როგორსაც ეს დაფ-
ლატებული ადგილი წარმოადგენდა, 4. სადგური საქონლისათვის
(ჩიხე, ჩიხი), როგორსაც ეს ადგილი წარმოადგენდა. აქედან კარგად
ჩანს, რომ ამ მთაზე ადამიანი გვაროვნული წე-
სით ცხოვრობდა, რომ ადამიანი აქ უპირატე-
სად ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა, რომ ეს მთა მას სი-
მაგრედ ჰქონდა[5], რომ ამ სიმაგრეში მასთავისი უმ-

[5] ამის ნაშთი შეიძლება იყოს ძველი ციხეების ოვალური ფორმა. ძველი სახლი ამ ოვალური ფორმის გორაზე ასეთივე უნდა ყოფილიყო. არსები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავრესი სიმდიდრე — საქონელი ედგა. ეროვნული ძალთა შემდგომმა განვითარებამ გორი მოშალა (in principe) — ერთიანი სოციალური ერთეული დაშლის გზაზე ჯერ კიდევ მაშინ შედგა, როცა ერთიანი ჭერი მოიშალა და მცირე ერთეულები (ფაქტიურად) წარმოიშვა. გორზევე რჩებოდა ეს ახალი მოსახლეობა, თუ მის ახლოს გორის მიწაზე (დ ა ბ ა) ჯდებოდა[6], სულ ერთია სახლის რღვევის მომენტი დაწყებული იყო და მას ვერაფერი შეაჩერებდა, რადგან ადამიანთა საზოგადოების პროგრესი (-საწარმოო ძალთა განვითარება) ამას მოითხოვდა. ზოგი გორა სულ დაიცალა და დაბად დასახლდა, მაგრამ დაბის სოციალური წყობა ინდივიდუალური მეურნეობის გამარჯვებისათვის ასპარეზის გახსნაა, ის ამით ძირითადად განსხვავდება გორის სოციალური წყობისაგან. დაბის შემდგომი განვითარება საბოლოოდ დაშლის იმ სოციალურ წყობას, რომელიც გორზე შემუშავდა და რომელიც აგრე დიდხანს ცოცხლობს სულ უფრო და უფრო ნაკლების სიმრთელით, დაბის ცხოვრებაში (დაბა ეკონომიურად კერძო საკუთრების (მიწაზე) თანდათან წარმოქმნას გულისხმობს, მაშინ როცა გორი ამის შესაძლებლობას გამორიცხავს...

და გორი საბოლოოდ დააგდო ადამიანმა (in principe). ამიერიდან ის შეიძლება საერთო ს ა ლ ო ც ა ვ ი იყოს იმის ნიშნად, რომ ოდესღაც ფიზიკურად ერთი ერთეული, ერთ ჭერქვეშ მცხოვრები „ერთსისხლი“ იდეაში ერთიანი რჩება მას შემდეგაც, რაც ის ფაქტიურად დაიშალა: ეს ხ ა ტ ი მისი ყოფილი ერთიანობის სიმბოლოა (მაგრამ ყველა გორი ფაქტიურად არ დ ა ც ლ ი ლ ა თუ ის შემდგომ წინსვლას არ აფერხებდა. გორი კი ყველგან მ ო ი შ ა ლ ა სადაც კი ცხოვრება იქამდე განვითარდა, რომ დაბის გაჩენა აუცილებელი გახდა. ასე, რომ შეიძლება ესა თუ ის გორი მოიშალოს და არ დაიცალოს. ამიერიდან ის გორი კი არაა, არამედ დაბაა სოციალურად). მოკლედ, გ ო რ ი ს ა დ ა ბ ი ს გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა სოციალური ხ ა ს ი ა თ ი ს ა ა: გორი სახლად, ქორად, მტკიცე ერთეულად (ერთ ჭერქვეშ) ცხოვრებას გულისხმობს,

---

ლად ეს იგივე „ციხე“ იყო. „ციხე“ შეიძლება „სახლს“ ნიშნავდა ქ ო რ ი ს ენაზე, და „უ ც ხ ო“ „უსახლოს“ ნიშნავს? ფორმაც ამ სახლისა ოვალური შემუშავდა.

6 საიდან და როგორ წარმოიშვა ტერმინი დაბა მისი შინაარსით — მიწა, დ ა ბ ა ლ ი — ჩვენ ვერ ვიტყვით, მაგრამ გორელი კაცისათვის მისი სამეურნეო ადგილი — მიწა — დ ა ბ ა ლ ს რომ უკავშირდებოდა ეს სრულიად ბუნებრივია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბა კი დაშლის გზაზე შემდგარი გორია, როცა ინდივიდუალური მეურნეობა წამყვანი ხდება თანდათან, როცა მიწაზე კერძო საკუთრების გამარჯვებისათვის პირობები სულ უფრო და უფრო შემუშავდება და მტკიცდება, როცა გვარის ძალა ეცემა, როცა გორი კონსერვატულ — რეაქციულ ძალად ქცეულა, როცა ინდივიდუალური მეურნეობა პროგრესის მატარებელია — როცა მიწის ნაკვეთების დამისებას, შეკავებას, დასაკუთრებას და, ბოლოს, დაუფლებას მოითხოვენ სამეურნეო საზრისიანობა, საზოგადოებრივი წინსვლა (საინტერესოა გურიაში: „ჩემი საკავო", „გაშობა", „ყანა გაუშვა" ახლა რომ იტყვიან. არ კი ესმით, რომ ეს ნიშნავს: მიწა გაათავისუფლა, რომელიც აქამდე „შეხუთული", „შეკავებული" ჰქონდა. შეიძლება ადგილი სამსახუთე ასეთ ხუთვასთან იყოს კავშირში...). ამის შემდგომი თავგადასავალი გორის, როგორც ფიზიკური მოვლენის, ჩვენთვის საინტერესო არაა: შეიძლება ამა თუ იმ გორაზე სალოცავი (ხატი) ქრისტიანულმა ეკლესიამ შეცვალოს (ეს კიდევ არის რამოდენადმე კავშირში ძველი გორის შინაარსთან), შეიძლება ძველი გორის ადგილი ციხემ (ფეოდალურმა) დაიჭიროს, შეიძლება ფეოდალის სასახლემ. ამას რაიმე კავშირი გორის ცხოვრებასთან აღარ აქვს.

დღეს აბულეთის გორაზე ორი ეკლესია არის. ისინი ერთი დროისანი არ ჩანან. მომცრო ეკლესია თითქოს უფრო ძველი უნდა იყოს, თუმცა X—XI საუკუნისაზე ადრინდელი არც ისა ჩანს, მაგრამ უჩვეულოა ორი ეკლესია და ასეთი მოცულობისა (განსაკუთრებით მეორე) ამ პატარა სოფელში. რა თქმა უნდა, ეს ეკლესია სოფლის ეკლესია არაა. მას ამავე დროს სხვა რაღაც დანიშნულება უნდა ჰქონოდა. იყო თუ არა აქ საკრებულო-საეპისკოპოსო ძველ დროს, ჩვენ არ ვიცით. არც ისა ჩანს, რომ აქ მონასტერი ყოფილიყო. არც ის ვიცით, რომ ეს ეკლესია რომელიმე ფეოდალის კარის ეკლესიაა. თუმცა დიდ ფეოდალს შეეძლო საგვარეულო ტაძარი ასეთი აეშენებინა. ამისათვის მაგალითად საკმაოა კაცხი ბაღვაშების, ან პიტარეთი ქაჩიბაძეების და სხვ. მაინც და მაინც ეს ეკლესიები იმის უდავო მოწმობაა, რომ ეს ადგილი ნაბაღრები დიდმნიშვნელოვანი პუნქტი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ყოფილა იმ დროს. ახლა თუ ჩვენ გავითვალისწინებთ, რომ ამ ნაბაღრების დასამხარი მთები სავსებით ათვისებულია იმ დროს, რომ ეს მთები დღეს სავსეა ნასოფლარებით და თვით ამ ნაბაღრების მიდამოში არაერთი ასეთი ნაკვალევი მოიპოვება, მაშინ ადვილი გასაგები იქნება ნაბაღრების ცენტრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ნაბაღრებში კიდევ უფრო საინტერესოა აშკარა ფაქტი იმისა, რომ თავდაპირველად აქ შესანიშნავი ტაძარი ყოფილა ამ ტაძრის დანგრევის შემდეგ და ამ მასალით (უხეიროდ გამოყენებული მასალით) აუგიათ ეს ეკლესიები X—XI საუკუნეებში. გადარჩენილი ფრაგმენტები: შესანიშნავი სვეტის ბაზისი, თვით სვეტები მრავალწახნაგოვანი და მრგვალი, ვარდული ჩუქურთმა და ვაზის მოტივი მტევნებით, — ყველაფერი მოწმობს იმ ძველი ტაძრის სილაღეს და მორთულობას. ამ ფრაგმენტების ზოგადი იერი ჟალეთის სიონს გვაგონებს და არც არაფერია იმაში შეუძლებელი, რომ ის ძველი ეკლესია აქ აგებული ყოფილიყოს VI—VII საუკუნეებში, რაც თავისთავად ძვირფასი მოწმობაა იმისა, თუ რა ძლიერი იყო ეკონომიურად მთიანი ქართლი იმ დროს, როცა ფეოდალური ურთიერთობა საბოლოოდ იმარჯვებდა. ასე რომ ფეოდალიზმის გამარჯვების ხანის გასაშუქებლად კიდევ ერთი ახალი ფაქტი მოვიპოვეთ ჯვარის, ჯვარ-პატიოსნის, ატენის სიონის, ჟალეთის სიონის, ბოლნისის სიონისა და სხვა „სიონების“ გვერდით.

ნაბაღრების დასავლეთის ფერდი მოვიხილეთ. აქ მრავლად იპოვება კერამიკის ნამსხვრევები როგორც ძველი, ისე ნაგვიანევი. აქვე დასავლეთით, შუა ცხვირის ხევს გაღმა, დღეს რამოდენიმე კომლი მთიული ბინადრობს. ამ სოფელში გავედით და მოხუც სვიმონ წიკლაურს ვეწვიეთ. 100 წლის მოხუცია. პაპა თანდილა გადმოსულა მთიულეთიდანაო როცა იქ გზა გაჰყავდათ და ხალხს დიდი გასაჭირი დაადგაო. (სიმონის მამა ზურაბი ყოფილა). მაშინ მრავლად წამოსულან მთიულეთ-გუდამაყრიდანო. ასეთი რამ, მახსოვს, მაწგლისის მიდამოებშიაც დამიმოწმა ერთმა მთიულმა. ეგევე დაუმოწმებიათ გიორგი ცქიტიშვილისათვის გოსტიბელ-გარგალელ მთიულებს... აქ, რა თქმა უნდა, 1804 წლის აჯანყება იგულისხმება (რომლის შესახებ ჩვენი ზოგი ისტორიკოსი ფიქრობს, რომ ის ანტიფეოდალური იყო... ნამდვილად კი იქ მთაში ფეოდალები მათ არ ჰყავდათ, ხოლო სახელმწიფო უწყების წინააღმდეგ აჯანყებულნი, აქ ისინი ფეოდალ ციციშვილს, თარხნიშვილს თუ ჯავახიშვილს შეეყარნენ...).

სვიმონ წიკლაურის ცნობით, თბილისში ისინი ძეგვით კი არ დადიოდნენ, ვიდრე რკინის გზა არ იყო, არამედ მთას გადაივლიდნენ და დილომში ჩამოვიდოდნენ. დღეს გეოგრაფია შეცვლილია. სიმონ წიკლაური მრავალ ნასოფლარს უჩვენებს. ჩვენი მ ა მ უ ლ ე ბ ი, ასე უწოდებს სახნავ-სათესს, მზვარეს არის და სათოვლიას მოგვყავდა ს ე ლ ი (თბილისში ჩაგვქონდა და სანახევროდ ზეთს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიხდიდნენ). პურეული, ვენახიც უნდა ყოფილიყო აქა-იქ (ქვევრებს მრავლად ვპოულობთ), და უმთავრესი — ოთხფეხა საქონელი... უეჭველია ამათვე ექნებოდათ ფუტკრის მეურნეობა და ბაღჩეული ხელოსნობა (შალის ქსოვა). ცალკე აღსანიშნავია მორწყვის საქმე, მცირე ნაკადულების გამოყენება. ასეთი რამ უხსოვარი დროიდან ექნებოდათ ამათ, გარეშე ყოველგვარ სახელმწიფოებრივ ღონისძიებისა.

ასე რომ, იმ ძველ დროს შიდა ქართლი ქვემო ქართლისაგან ამ მთებით გაყოფილი კი არ იყო, როგორც ეს დღეს არის, არამედ სწორედ ეს მთები (დასახლებულ-ათვისებული) შიდა ქართლს აკავშირებდნენ ქვემო ქართლთან. ასე რომ, ქართლის ქედის მოხილვა სულ ერთიანად ცვლის ჩვენს წარმოდგენას საშუალსაუკუნეების ქართლზე, გვიაშკარავებს მისი მეურნეობის ხასიათს, გვიმოწმებს მის ძალას. XIX საუკუნის დასაწყისისთვის ეს ადგილები სრულიად დაცლილი იყო და გაუდაბურებული, მხოლოდ ბარში ბუუტავდა მინელებული სიცოცხლე. მთის სრული დაცლა, ხოლო ბარის გადარჩენა იმის მოწმობაა, რომ ბარის სიცოცხლე უფრო ძლიერი იყო, რომ ქართული მეურნეობა უკვე დიდი ხანია უპირატესად ბარის მეურნეობით განისაზღვრებოდა, რომ მთა მეორეხარისხოვანი იყო, რომ წამყვანი მეურნეობა ბარისა იყო და განვითარებული ფეოდალური მეურნეობა სხვაგვარი არც შეიძლება ყოფილიყო საქართველოში, სადაც მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ა, მ ე ა ბ რ ე შ უ მ ე ო ბ ა და . მ ე ხ ო რ ბ ლ ე ო ბ ა-მ ე ბ ა ღ ე ო ბ ა იყო განვითარებული. და ეს ფაქტი (მთის დაცლა, მიტოვება) ისე უნდა გავიგოთ, რომ საერთო გასაჭირისას ის მოსახლეობა (თავისი მეურნეობით) მოიშალა, რომელიც უფრო სუსტი და მეორეხარისხოვანი იყო (ბარს არანაკლები გასაჭირი ადგა გარეშე და შინაური მტრებისაგან, მაგრამ მან მაინც გაუძლო თუნდაც ძლიერ დაზარალებულმა). ასე რომ, ამ ადგილების დაცლა მხოლოდ ლეკთა თარეშით როდი აიხსნება, ლეკები, მართალია, პირველ ყოვლისა მთებს ეტანებოდნენ, აქ იდებდნენ ბინას, მაგრამ ეს იმიტომ ხდებოდა, რომ აქ მთაში მათ ნაკლები წინააღმდეგობა ხვდებოდათ და მთაში მოკალათებულები ებრძოდნენ ბარს, რომელიც მათ მედგარ წინააღმდეგობას უწევდა. მაინც, XIX საუკუნის დამდეგისათვის ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას მთა უკვე დაკარგული ჰქონდა და იქ, თუ ლეკი არ ბუდობდა, არც ქართველი ჰაჭანებდა. ასე რომ, როცა რომელიმე საშუალსაუკუნეებში (VI—XIII ს.) ქართლის ქედი მჭიდროდ დასახლებული იყო, ეს იმის მოწმობა კი არ არის, რომ

აქ იყო ცენტრი ქართული ფეოდალური ურთიერთობისა, არამედ იმისა, რომ ბარი ამ დროს კიდევ უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ფეოდალური ურთიერთობის სოციალურ-ეკონომიური ცენტრი — ქალაქი. და მართლაც ქართული ფეოდალური ურთიერთობა ეს არის ბარის და ზეგანის საწარმოო ძალთა განვითარების შესაბამისი წარმოებითი ურთიერთობა და არა მთის მეურნეობის ზედნაშენი. მართალია, ქართლის მთა არც ისეთი მთაა, როგორც, ვთქვათ, არაგვის თუ ენგურის მთა, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ აქ წამყვანი ვ ე ნ ა ხ ი და ბ ა ღ ი არაა და რომ მეხორბლეობაც აქ არაა უმთავრესი დარგი და არც მ ე ა ბ რ ე შ უ მ ე ო ბ ა ს შეუცვლია აქ სელი. ეს მთა უთუოდ პირველობდა ამის წინა ხანაში, საგვარეულო წყობილების დროს, როცა უმთავრესი სამეურნეო მნიშვნელობა მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა ს ჰქონდა. მიწაზე კერძო საკუთრების გამარჯვება და ამის შესაფერისი ინსტიტუტის წარმოშობა ბარის მეურნეობის შედეგია — მონათმფლობელობა თუ ფეოდალიზმი, მთაში ერთიც და მეორეც სუსტად და ისიც ბარის მეტ-ნაკლები გავლენით ისახება ხოლმე და სუსტია იმისდა შესაბამისად, რაც უფრო „მთურია“ მეურნეობა, ხოლო მაღალ მთიანეთში ის ვერასოდეს ფეხს ვერ იკიდებს („ისტორიის გარეშე“ ხალხები, პატრიარქალურ-საგვარეულო წყობას შერჩენილი ხალხები).

სიმონ წიკლაურმა ერთი განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის ცნობა მოგვაწოდა (მას ეს ცნობა ორიოდე დღის წინ ედიშერის ჯგუფისათვის მიეწოდებინა): აქვე ახლო (სოფლიდან სამხრეთით) მთაა, მზვარე ჰქვიან. ამ მთის მაღლობზე ველობია, იქ ჩვენი „მამულებია“ (სახნავ-სათესი). ამ მთის ფერდზე ჩვენ კალო გვქონდა, მახსოვს იქ ბევრი ეყარა ჭიქის ნამსხვრევები (ცისფერი, დაწნულ-დაგრეხილი ნამსხვრევები), ძველ დროს იქ ჩანს ჭიქას აკეთებდნენ. ედიშერი და ოთარ ლორთქიფანიძე წავიდნენ ადგილის დასათვალიერებლად. ერთი მთიული გაიყოლიეს თან. მე, ნინა და დევი სიმონთან დავრჩით. მთიულს ძველი ადათი შემორჩენოდა. გაგვიმასპინძლდა. იგონებდა თუ რამდენი ძველი ნასოფლარი იცის, ზოგი მათგანი დიდი სოფელი უნდა ყოფილიყო (ფიჭვები). გვიდასტურებს გზების სიმრავლეს, აქედან რომ დილმისაკენ გადადიან, აღნიშნავს, რომ „ბ ა ღ ი“ ძველად აქაც უკეთებიათ, ამას ქვევრები მოწმობენ. სიმონი „ბაღში“ ვენახს გულისხმობს, ასე რომ ეს სახელი ნ ა ბ ა ღ რ ე ბ ი ამ ადგილს შეიძლება XIX საუკუნეში შერქმეოდეს მთიელთა მიერ. მთიულეთიდან ჩამოყოლილი გაგებაა ალბათ, სიმონს რომ წამოცდა და ძეგვის მხარეს (სადაც ეს მთიუ-

ლები ღვინოს ყიდულობდნენ) ქართლს უწოდებს და ჩანს, ამ მთიან ადგილებს „ქართლიდან“ გამორიცხავს, მაგრამ უფრო ... ვიქნებით, თუ ვიფიქრებთ, რომ აქ დაპირისპირებულია მთა და ბარი (ბარი „ქართლია“), ისევე როგორც ეს ბაზალეთელმა (სოფელ მლაშედან) მთიულყოფილმა და „გაქართველებულმა“ დაგვიდასტურა ამას წინათ.

საინტერესოა სიმონის გამოთქმა: ტყე იყო (გულისხმობს მთების თხემ-პლატოებს), გავტეხეთ (ახო) და მამულად ვაქციეთ. ჩვენში მამული ვენახოვანს ეწოდება, აქ — სახნავ-სათესს (შრომის დაბანდება-დახარჯვა და ამ ნიადაგზე დაუფლება-„მამული“). სიმონ წიკლაური გუდამაყრელია და მთიულს არ უწოდებს თავს. სიმონის ცნობით ამ ადგილების მებატონე ციციშვილი იყო. ყოველ წელს მოდიოდა და მახტა მიჰქონდა. ბოლო წლებში წლიურად 33 მანეთი. ამაში გამოიხატებოდა ამ მთიულების დამოკიდებულება მიწის მფლობელისაგან...

ედიშერი და ოთარი დაბრუნდნენ და ჭიქის საწარმოს უტყუარი ნიშნები თან მოიტანეს. ასეთივე საწარმო ამავე ჯგუფმა (ედიშერის ჯგუფი) აღმოაჩინა ნიჩბისის ხევში შარობის მიდამოში („ჭიქიანი“). სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ ცოტა რამ ვიცით წარმოების ამ დარგის შესახებ, ჭიქის მოხმარების სიფართის შესახებ ფეოდალურ საქართველოში, რომ რაიმე გარკვეული ვთქვათ ამ მონაპოვართა შესახებ... მაინც და მაინც ამ საწარმოების ნაშთის აღმოჩენა ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტია... (24, 28 ფურც. 11—42).

5. ვახუშტი, აღწერა... 143

„კვალად არიან გორა-მთათა ზედა შენნი ეკლესია-საყდარნი, სადაცა ძნიად ხვდებიან კაცნი თჳნიერ დღესასწაულთა მათთა. ამისათჳს, რამეთუ, ვინათგან კერპობასა შინა მათ მთა-გორათა ზედა იყუნენ კერპნი აღმართებულნი და დღესასწაულობდნენ მუნ სიღოდობითა, და ქრისტეანობასა შინა შემუსრნეს კერპნი, არამედ კვალად არა დასცხრენ მუნვე განცხრომასა სიმთვრალითა, სიღოდითა და როკვითა, აღაშენეს მათ ზედა მუნ ეკლესიანი, რათა თაყვანისცენ ამათ და არღარა მოიხსენონ კერპნი სიღოდა განცხრომითა“.

ვახუშტის დაკვირვება სწორია. ოღონდ გამოსაცნობია თუ რატომ ჰქონდათ „კერპობასა შინა მათ კერპნი აღმართებულნი მთა-გორათა ზედა“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმართმა ქართველებმაო „კვალად უწყოდიან დღესასწაულსა კერპთა, ღმერთთა თჳსთა. განვიდეს თჳთ მეფე და დიდებულნი და მცირებულნი ბ უ კ დ ა ბ დ ა ბ ი თ ა და ყოვლითა ძნობითა და სახიობითა შესწირვიდიან ძროხათა, ჯართა ცხოვართა და ნადირთა. თაყვანისცემდნენ არმაზს და შემდგომად ზადენს და მერმე სხვათა ღმერთთა. არამედ უმეტეს დიდი იყო დღესასწაული არმაზისა და შემდგომად თაყვანისცემისა ჰყვიან ნადიმნი და განცხრომანი დიდითა ჭამითა და ღვინის სმითა, როკვითა ფერჯისითა, პირობითა (sic) სახიობითა და ძნობითა სამდღე და მოიქციან თჳსთჳსად სახით... ხოლო ჟამსა ქრისტეანობისასა ნაკერპავთა მათ მთათა მაღალთა და ბორცვთა ზედა ესევითარივე იყო განცხრომა-როკვანი; ამისთჳს აღაშენეს მათ ზედა ეკლესიანი და ჯვარებობდიან მუნ, ვითარცა აწ, ფერჯისა სიმღერითა გაათენიან“ (მ—2, 9. ფურც. 28).

6. გორაების აღმოჩენის მნიშვნელობა განსაკუთრებულია: ის უშუალოდ უკავშირდება ან უფრო სწორად, საფუძველია ქართული ქალაქის გენეზისის საკითხისა, საფუძველია ქართული ციხის, განსაკუთრებით აღრეფეოდალური ციხის გენეზისის საკითხისა.

გარეგნული ფორმაც კი აღრეფეოდალური ციხისა გორიდან, მისი ოვალური ფორმიდან ამოდის, დაბოლოს, გორაების დასახელებანი ტოპონიმია, ცხოველი მაჩვენებელია, მეტყველი მოწმობაა ქართველი გვარების (გორების?) და ტომების განსახლებისა ჩვენს უძველეს წარსულში.

„გორია ის ემბრიონი, საიდანაც განვითარდა, იშვა დ ა ბ ა, ც ი ხ ე, ქ ა ლ ა ქ ი, ს ა ლ ო ც ა ვ ი“ (მ—2, 19. ფურც. 36).

7. ეს ჩვენი დაკვირვება ამ გორაებზე, როგორც უძველეს ნამოსახლევზე, მიწის მოქმედი მოსახლეობის უძველეს ნასადგომევზე, საშუალებას გვაძლევს სოფლების შედარებითი ქრონოლოგია შევიმუშავოთ. უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ის სოფლები, რომლებიც ასეთ გორაებზეა, აწ მის ფერდებზე, თუ ასეთი გორის ძირას არის გაშენებული, ასეთი სოფლები უძველესია (რა თქმა უნდა, გამორიცხული არაა, რომ რომელიმე ასეთი სოფელი ახლახან დასახლებულიყოს ძველის გადაშენების შემდეგ, მაგრამ ეს არ უარყოფს იმ დებულებას, რომ ის „ძველი სოფელი“ უძველესია). ასეთი სოფლები უნდა ყოფილიყო იმ ძველ დროს ერთ გორაზე, თუ არაერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორაზე [რომი შვიდ გორაზე იყო, პლოვდივი ხუთ გორაზე იყო, დიდი მცხეთა სამ გორაზე იყო, თბილისი სამ გორაზე იყო, (ციხე, კალა, ისნი) შეიძლება ვიფიქროთ, რომ არც უჯარმა იყო ერთ გორაზე], თუ ამ გორის ფერდზე (შემდეგ) და ამ გორის ძირას (ციდევ უფრო გვიან). ასე რომ, გამოდის, თავდაპირველად გვარი თვით იყო სიმაგრეში („ციხეში", „ჯიხაში"), ე. ი. გორაზე რომელსაც დაქანებული გვერდები და გადაულახავი თხრილი მიუვალს ხდიდა. იდეალური იყო, როცა დაქანებული გვერდები ხევს უწყლოს თუ წყლიანს ებჯინებოდა, მაშინ თხრილი ერთი ან ორი მხრით უკეთდებოდა. თუ თხრილი ერთი მხრით ჰქონდა მხოლოდ, მაშინ მას თითქო „ყელი" უნდა რქმეოდა (ასეთია „საყდრის ყელი" ჩემს სოფელში — გოგოლეისუბანში. ალბათ ეს უბანი სწორედ იქ იყო პირველად გაშენებული, სადაც შემდეგ საყდარი იყო. ვგულისხმობ ძველ ნასაყდრალს და არა XIX საუკუნეში აგებულ ეკლესიას). ყელი აქვს მაგალითად მცხეთას („ძველ მცხეთას") კოდმანის მხრიდან.

დრო გადიოდა, ცხოვრება წინ მიდიოდა, საწარმოო ძალები ვითარდებოდა და გვარიც თანდათან მრავალრიცხოვანი ხდებოდა. გორის სოფლები იბარტყებდნენ: არც მეურნეობის სახე, არც სატრანსპორტო საშუალებანი არ ქმნიდა დიდი რაოდენობით ერთად ცხოვრების პირობებს. გამოყოფა და სოფლის აშენება აუცილებელი იყო, მაგრამ თავდაცვის საკითხი, წყალი, სალოცავი, სხვა პირობების გვერდით ძლიერად მოქმედებდნენ და ახალსოფლის ადგილს განსაზღვრავდნენ. ძველის, მშობლიური გორის მსგავსი გორა შესაძლებელია ეპოვნათ, მაგრამ ამ ახალ გორას ის სიწმინდენაკურთხობა აკლდა და, მეორეც, ახლა უკვე არც ის ძველი გორა იყო თავდასაცავი: მან ეს მნიშვნელობა, როგორც წესი, დაკარგა და ახლა უმთავრესად რელიგიურ სიწმინდედ იქნა ხატი, ძირი ხატი, მაგარი ხატი, ჯვარი, ჯვარობის ადგილი, წინაპართა სასაფლაო, სალოცავი (რა თქმა უნდა, იმ ადგილებს გარდა, რომელნიც ციხეებად იქცნენ). გაძლიერებული და გამრავლებული გვარის ადგილსამყოფელი ხევია, თავს ახლა ხევი იცავს ერთად, ან ხევთა კავშირი, „ბედნიერი ხევი", რომელიც რელიგიურად დაკავშირებულია იმ ძველ გორასთან (შესაძლებელია, რა თქმა უნდა, რომ ეს გორა მთელი ხევის მთავარი სიმაგრეც იყოს, მაგრამ ეს სავალდებულო არ არის და ხევის ციხე-სიმაგრე შეიძლება სხვაგან გაშენდეს, სადაც ეს უფრო მოხერხებული იქნება ყველა მოსაზრებით...), მაგრამ რელიგიური პიეტეტი, წინაპართა საფლავის მადლი მაინც და მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ძველ გორას და მის ფერდზე, თუ მის ძირას დამკვიდრებულ სოფელს უკავშირდება.

ამრიგად უძველესი სოფლები ესაა გ ო რ ი ს სოფლები, ანუ დგომი ხანისა ესაა სხვა სოფლები ხეობიდან. წყალი, თავდაცვა და საკუთარი ხატის სიახლოვე სხვა სამეურნეო მოსაზრებების გვერდით ძლიერად მოქმედი ფაქტორებია.

სხვა სოფლები მე უფრო გვიანი ხანის წარმონაქმნი მეჩვენა. ასეთია მაგალითად სოფლები, რომლებიც სარწყავ რუს უკავშირდებიან. ეს „რუისპირები" (პირობითია) შეიძლება ხშირად (და უპირატესად?) ხელოვნურადაც კი იყვნენ წარმოშობილი, მ ე რ უ ე-ებ ა დ, მ ე ვ ე ნ ა ხ ე ე ბ ა დ თუ მ ე ს ე ფ ე ე ბ ა დ დასმული დიდ-ეკოთაგან. ასეთი მეჩვენება მე მაგალითად სართიჭალა, ვახტანგ გორგასლის რუზე, ბოსტან ქალაქი რომელიღაც მეფის რუზე, ნასტაკისი რომელიღაც მეფის მერუე-მეზვრენი, გლახა-მესეფეები ქსნიდან გამოღებულ სამეფო რუზე — და სხვა (გვიანი ასეთი სოფლების ჩვენება, ალბათ, ადვილია).

სხვა სოფლები კიდევ უფრო გვიანი. სავაჭრო სამიმოსვლო გზებს უკავშირდება, მაგრამ ეს მეტად გვიან, რადგან გზა ძველ დროს არც აგრე მშვიდობის მაუწყებელი იყო და საფიქრებელია ხშირი არ იყო სოფლები: — ქარვასლები. ფუნდუკები, იამები, ასპინძები, ხიდისთავები...

1. სოფლები, რომელნიც შერჩნენ გ ო რ ა-ე ბ ს.

2. სოფლები, რომელნიც წარმოიშვნენ, გორაების გარეშე (გორაების ხანის შემდეგ).

3. სოფლები, რომელნიც წარმოიშვნენ რუის პირად („რუისპირები": სართიჭალა, რუისპირი და სხვა).

4. სოფლები, რომელნიც გაქალაქდნენ.

5. სოფლები აგარაკებით.

ასეთი დაკვირვებით თითქო შესაძლებელია „ძველი" და „ახალი" სოფლების დადგენა (რა თქმა უნდა, შედარებითი ქრონოლოგიით). გორაებს შერჩენილი სოფლები უძველესია, ასეთი სოფლების ნაბარტყია ხევში სოფელი, რომელსაც გორა არ ახლავს. ასეთი სოფელი შეიძლებოდა მაშინ წარმოშობილიყო, როდესაც გორამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა როგორც თავდაცვის საშუალებამ, როცა, მაშასადამე, თავდაცვა უფრო დიდ ტერიტორიას (ხეობას, ან ხეობათა კრებულს) გულისხმობდა, ე. ი. როცა „ბედნიერი ხევი" შეიქმნა, რომელიც თავს საერთო ძალით იცავდა, ამ ნაბარტყ სოფლებს ძ ი რ ი ს ა ლ ო ც ა ვ ი იგივე გ ო რ ა (ხატი) ჰქონდათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ამ გორას ძირში თუ მის ფერდზე შერჩენილ სოფელს ჰქონდა სალოცავად, აქ ამ გორაზე, (ან ეს გორა) იყო ის მ[illegible]ხატი (მ—2, 19ა. ფურც. 154—159).

8. ჭყონაგვარა (ნიგოითში ჩასავალს) წიფნაგვარე, წიფნაგარე, „მთაგორიანი ადგილი“ — აქედან ჩანს, რომ მთა=გორი; გორმაღალი (გამიგონია), დიდგორი, რა თქმა უნდა აქ „გორი“ „მთას“ ნიშნავს.

გორზე თუ გორაზე ცხოვრობდა ერთეული მოსახლეობისა. ეს იყო ერთი გორი მოსახლეობა, რომელიც მეორე (თუ მესამე და ა. შ.) გორი მოსახლეობისაგან განსხვავდებოდა იმით, რომ ერთ განცალკევებულ სისხლით მონათესავეთა ორგანიზაციას წარმოადგენდა, ეს იყო მისი ნიშანი, ასე რომ, გეოგრაფიული ცნება გორი შეერქვა მოსახლეობის ერთეულს (გარკვეული ნიშნის მატარებელს, მოსახლეობის ერთფეროვან ერთეულს (ეს უკვე შემდეგ) ე. ი. სოციალურ ერთეულს — გვარი.

რაც შეეხება გორისა და გვარის განსხვავებას, ასეთი რამ ბუნებრივად მოხდა, რამდენადაც არსებობდა ორივე გამოთქმა გორა, გვარა, გვარი, გორი. შინაარსის დიფერენცირებისას ერთს შერჩა „გორი“, ხოლო მეორემ მიიღო „გვარი“ (ისევე როგორც „პატრონი“ „ბატონი“), ფონეტიკური მოვლენა ადამიანმა ცნებების განსასხვავებლად გამოიყენა.

ახლა „ჯვარის“ შესახებ. ეს ტერმინიც ფონეტიკური მოვლენის ნიადაგზეა მიღებული. უნდა დავუშვათ, რომ იყო დრო, როცა გორი-გვარის ერთ-ერთი გამოთქმა იყო ჯორი, ჯვარი. და როცა გვარი გორიდან ჩამოვიდა, მის ფერდზე ან ძირში მოთავსდა, ან არადა შორიახლოს დაჯდა, გორზე მას სალოცავი დარჩა. (სალოცავს ის ვერ წამოიღებდა: სალოცავი ერთი პირის კი არ იყო, საერთო-საგვარეულო იყო ათასწლოვანი ტრადიციით ნაკურთხი). სრულიად ბუნებრივია, რომ ამ ტერმინში—გორი, გვარი—ამ საკულტო საქმიანობის შინაარსიც შესულიყო და რაკი არსებობდა ამ ტერმინის სახესხვაობა ჯორი-ჯვარი, ადამიანმაც ეს განსხვავებული შინაარსი სალოცავი ადგილი, საკულტო ადგილი ამ ტერმინით აღნიშნა. ასე გაჩნდა სამი სხვადასხვა ტერმინი გორი, გვარი და ჯვარი სხვადასხვა შინაარსით, ერთი შინაარსის ტერმინი გორისაგან, რომელიც სამნაირად გამოითქმებოდა (საზო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადოების განვითარებისდა კვალად საუკუნეთა მანძილზე
2, 19. ფურც. 18).

9. ჯ ვ ა რ ზ ე სადღაც მაქვს შენიშვნები. მასალა ხომ მაქვს და მაქვს. დიდი მნიშვნელობისა ჩანს.

ბ ო ბ ო — ჯ ო ჯ ო (მძრომ.).

ბოკინი — ვირის ყროყინი, კოკინი; ჯლოყინი (ჩვენში).

ბომარდი — ჯომარდი.

ვარჯიში — ვარდიში (ხაჭაპურიძე).

ბ უ მ ა თ ი — ჯუმათი (?).

ბ/ი/ლეხი — ჯილეხ (?).

ბრკო — ჯორკო, ჯირკი (?).

რომ ქართულ ქართველური ენების სამყაროში ბ-ანი უ შ უ ა ლ ო დ ჯ-ა ნ ა დ იცვლებოდეს, თითქო არ დასტურდება, თუმცა ამ ენების ისტორიული შესწავლა ისე ნაკლულია, რომ რისამე მტკიცება ან უარყოფა სახიფათოა. ასე რომ, „ბორი“, „ბვარის“, კავშირი „ჯორი“ „ჯვართან“, მსჯელობისათვის ამოსავალ მომენტად არ გამოდგება და თვით არის დამტკიცების საგანი...

ჯვარი, როგორც დღეს აღიარებულია, სალოცავის შინაარსით იხმარებოდა ჯერ კიდევ ქრისტიანობის წინა ხანაში, თუმცა ქრისტიანობის შემოსვლის ჟამს „ჯ უ ა რ ი“ უეჭველად იყო „ძელი გარდაჭდობილი სასიკუდილოთა კაცთა დასამსჭუალავად“, ე. ი. ჯვარს ის ფორმა ჰქონია უკვე, რაც შემდეგ. ამას მოწმობს სახარების თარგმანი (მ—2, 19°. ფურც. 3).

10. საბა: ბორი — ბორცვი.

ბორა — მცირე ბორცვი.

ბ ო რ ი, საქარეს ბორი, საკვერნიეს ბორი, ბორმაღალი, თელათბორი, ზედაბორი, ქვედაბორი, დიდბორი, შუაბორი, ბრძელი ბორი, კუდიბორი, ბორა (ბერეჟოული), ნაცარბორა, სამბორი...

ბორი თუ ოდესმე რომელიღაც ტომის (ქართველურის) ენაზე აღნიშნავდა მ თ ა ს, შემდეგ, როგორც ჩანს, მას აჯობა მ თ ა მ. ბორი კი „მ თ ი ს“ ცალკეულ ბ ა ნ კ ი დ უ ლ ს შერჩა. ასეთი ბანკიდული, სადაც კი იყო, ყველას ბორი ეწოდა, ან უკეთ, ასეთი სახელი შერჩა მათ. ბარში თუ ხეობაში ასეთ ბანკიდებულს ბორაებ-

ზე გარკვეულ დროს მოსახლეობა მოეწყო და მრავალ საუკუნეზე მანძილზე იქ ცხოვრობდა. ამ ერთ მთლიან მოსახლეობასაც (ან გვარი) ეწოდებოდა ალბათ. ამავე ტერმინს უკავშირდება ამ გვარის სალოცავი ჯვარი (იგივე გვარი — გორი). ამრიგად საცხოვრებელი ერთეული, მცხოვრებთა ერთეული და სალოცავი ერთი ძირიდან გამომდინარე ტერმინები ჩანს (გორი, გვარი, ჯვარი), რაც რეალურ ისტორიულად სრულიად შესაძლებელია და ბუნებრივი.

გუარი შემასრულებელი (15, 3 იერემია): გორვა, გოროხი (გოხი). გროება (დაფანტულის ერთად შეყრა), გრობა — გრო — მარტო მფრინველთაგანი ერთი. მუხურო (ერთი მუხურო, ჩვენი მუხურო, ასევე ალბათ ერთი გორი), უბანი (უმანო) მოსახლეობა, ჩვენი გორი (მოსახლეობა) (მ— 2,19. ფურც. 71).

11. შესანიშნავია ეს „ბორცვის ჯვარი“ (ქვემო ტბეთის ბორცვის ჯვარი, მანგლისის ბორცვის ჯვარი).

აქ ეს „ბორცვი“ საფიქრებელია ის „გორაა“, სადაც უწინ ცხოვრობდნენ, შემდეგ საკულტო ადგილად შერჩა, „ხატი“, „ჯვარი“, გახდა. შემდეგ შეიძლება, ქრისტიანული სალოცავიც შემოიღეს.

ქ^ცა I, მატიანე, 298 „გორთა ჯვარის ციხე“

(„იბირნა აფხაზთა მეფემან კახნი, აშოტ მთავარი მარილელი, ლისიძე კვირიკე მეფისა, და ხახჯლა გურთა ჯუარის ციხითა“).

მაშ იყო საგეოგრაფიო სახელი გორთაჯვარი, სადაც ციხე იყო აგებული.

შდრ. გორისჯვარი გორის ახლოს რომაა, უნდა ავიდე და დავადგინო, რომ იქ გორაა. აქამდე მეგონა, რომ ეს სახელი „გორისჯვარი“ ქალაქ „გორის“ სახელთანაა კავშირში, რომ ეს ჯვარი ამ გორისაა (მცხეთის ჯვარის ანალოგიით). ახლა კი ვგონებ, რომ ეს ჯვარი დამოუკიდებელი „გორის“ და არა ქალაქ „გორის“ ჯვარია.

გამოდის რომ გორის ჯვარი ისევე გავრცელებული სახელი იყო, როგორც ბორცვის ჯვარი, ე. ი. ზოგან ეს ჯვარი ბორცვზე იყო, ზოგან გორზე, ე. ი. ის უძველესი საცხოვრი-

სები, რომელ ადგილებშიც შემდეგ ეს ჯვრები (სალოცავები, წმინდა მართული თუ ქრისტიანული) გაჩნდა, იყვნენ „ბ ო რ ც ვ ი“ „გ ო რ ზ ე“.

საინტერესოა ასხვავებდნენ თუ არა „გორს“ „ბორცვისაგან“ და თუ ასხვავებდნენ რა ნიშნით? (სიდიდით? ხელოვნურ-ბუნებრივობით? სხვადასხვა კილოსი ხომ არ არიან?, (მ—2, 19ა. ფურც. 20-21).

12. გ ო რ ა ი მ ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო დაშვებიდან ამოდის (უკეთ რომ ვთქვათ, მე უკუსვლით მივედი იმ სავალდებულო დაშვებამდე გორის აღმოჩენის შემდეგ), რომ საზოგადოების ცხოვრებაში იყო დრო, როცა კულტი ადამიანისათვის იგივე პრაქტიკა იყო და იქვე სრულდებოდა, სადაც ადამიანი ბინადრობდა. მხოლოდ გვიან, საზოგადოების (გვარის) ტექნიკურად განსახლებისა, ე. ი. დაბების წარმოქმნის შემდეგ და ტომის გაჩენის პირობებში მოხდა, რომ საზოგადოებას საერთო სალოცავი, საერთო კულტი გაუჩნდა...

აქედან, პირველსაცხოვრისი ამ თავდაპირველი საზოგადოებისათვის („სახლისათვის“) „გორა“ იყო, სულერთია ის მღვიმეში ბინადრობდა თუ, იქიდან გამოსული, ბორცვებსა და ლოდოვანებში, ან სხვა მოხერხებულ ადგილებში ბინადრობდა. გ ო რ ა ს ო ც ი ა ლ უ რ ი ე რ თ ო ბ ა ი ყ ო. ჩვენ არ ვიცით გორა ტერმინის ურთიერთობა ტერმინ გვართან, მაგრამ, მიუხედავად საწინააღმდეგო მოსაზრებათა არსებობისა, გორის გვართან კავშირი შესაძლებლად მიგვაჩნია. მართალია „სახლი“ გვარის მნიშვნელობითაც გვხვდება („დედაჩემი შარაშიძის სახლისშვილია“), მაგრამ ეს არ გამორიცხავს, რომ ერთ-ერთი ქართველი ტომის ენას ეს ტერმინი (გორა) ჰქონოდა საზოგადოებრივი ერთეულის აღსანიშნავად...

მაგრამ აქ მთავარია არა ტერმინი („სახლი“, „გორა“ თუ სხვა რამ), არამედ ამ საზოგადოების საცხოვრისი იმ ძველ დროს.

ჩვენ უეჭველად ის მიგვაჩნია სწორად, რომ იყო დრო (გამოქვაბულში, ლოდოვანში, თუ ბორცვზე საზოგადოების ცხოვრებისას), როცა საზოგადოებას საცხოვრისი და კულტი ერთი ჰქონდა. მათი ურთიერთისაგან დაშორება გვიანი მოვლენაა და დაკავშირებულია გვარისაგან გვარების წარმოშობასთან, ტომის წარმოქმნასთან, ერთი გვარის დაწინაურებასთან (ბურდული, ლომისა...) და სხვა და სხვა...

გვარი სოციალური მოვლენაა და იმ ხანაშიც ყველა გვარი ბორცვზე როდი სახლობს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტი, როგორც წესი, უძველეს საცხოვრისზეა: იქ დარჩა, საიდანაც ახალი გვარები გამოეყვნენ, მაგრამ ესაა in principe პრაქტიკაში კი ეს ქრონოლოგიური პრინციპი არაა დაცული და სალოცავის გადაადგილება გამორიცხული არაა... მაგალითად, „ქართლი“ და „მცხეთა“... ბიჭვინტა და გელათი...

აქ წარმართული ქართლი (კულტი) ქრისტიანულმა მცხეთამ შეცვალა; ქრისტიანული ბიჭვინტა ქრისტიანულმავე გელათმა შესცვალა. მაგრამ მნიშვნელოვანი აქ ისაა, რომ კულტის ადგილი (ცენტრალური კულტის) იცვლება იმასთან დაკავშირებით, რომ კულტის (ძველის) ადგილს ახალი ადგილი სჯობნის მნიშვნელობით... ასეთივე ადგილმონაცვლეობა დასაშვებია ძველადაც...

ყველა ბორცვი ერთ დროს დასახლებული არაა, ასევე როგორც ლოდოვანი... ზოგი ძველად აუთვისებია საზოგადოებას, ზოგი შემდეგ დაუსახლებია და სანამ არსებობდა ამის პრაქტიკული საჭიროება, ის ბორცვებზე მიდიოდა, „გორად“ ცხოვრობდა... (მ—2,19. ფურც. 95—96).

13. გორაებზე საუბრისას უნდა ითქვას ცნობილი თეორიის შესახებ გორის ათვისებისა ნეოლით-ენეოლითში, მისი დატოვებისა ამის შემდეგ ვიდრე გვიანბრინჯაომდე...

გვარი გვარად ავიდა გორზე. გვარობას აქ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა... რატომ დატოვა (თუ დატოვა) გორი, წავიდა და კვლავ მობრუნდა და ისევ გორზე ავიდა (?). გასარკვევია გორის ძირა სოფელთა არსი... როდის შეიქმნა? რას ნიშნავს ასეთი დაბა სოციალურად?...

განა მეორედ ასული (თუ ასეთი რამ მართლა მოხდა) ისეთივე გვარი იყო როგორც პირველად? შეიძლება ამ დროს უკვე ეს გვარი სულ სხვაა, დაბად მოწყობილი გორის ძირას, მაშასადამე ძველი წმინდა გვარი დაშლილია და შეიძლება ის გორზე არც ასულა მეორედ, არამედ აქ გორზე მხოლოდ გვარის (და ტომის) მეთაური მოთავსდა. გვარის მასა კი დაბად ცხოვრობს...

შეიძლება მატრიარქატის გვარი მართლაც წავიდა, მაგრამ ის ასეთივე გვარად, რა თქმა უნდა, აღარ დაბრუნებულა იმ ძველ საცხოვრისზევე. ასე რომ, გორის დატოვება შეიძლება ენეოლითს დავუკავშიროთ და გორი გვიანბრინჯაოში გვარის უფროსის და კულტის სამყოფელი იყო, ხოლო მასა კი დაბად იყო... (მ—2,19. ფურც. 103).

14. მეტად საყურადღებო შეიძლება აღმოჩნდეს: თუ ბედენსა და თრიალეთზე (და ჯავახეთში?) გორაები არაა (მეგალითები ნომაა!! კი მაგრამ მეგალითებში ისეთივე მრავალსაუკუნოვანი ფენებია, როგორც გორაებზე?. რა მეურნეობის პატრონი უნდა ყოფილიყო მეგალითელი?), ხოლო ყორღანები აურაცხელია, ეს რის მოწმობა შეიძლება იყოს? ბარში გორაებად ცხოვრობდა, ხოლო მთიანეთში აძოვებდა (ამ დროს იქ ცხოვრობდა!).

დ. მუსხელიშვილის და გ. ცქიტიშვილის დაკვირვება შიდა ქართლის გორაებზე განა ამას არ მოწმობს?

აკი გორაები შიდა ქართვლის მთიან ზოლში აღარ გვხვდება!! (ან მეტისმეტად იშვიათად)...

თუ ეს გამართლდებოდა, მაშინ თრიალეთის სოფლები გვიან გაჩენილან გორაების ეპოქის შემდეგ..... (მ—2,19. ფურც. 104).

15. როგორი იყო ამა თუ იმ ქვეყნის როლი მონათმფლობელობის ხანაში (სამოქალაქოები) — აგარანი — განვითარებული სამეურნეო სანახები (რას ნიშნავს ტერმინი სანახი. მისი ეტიმოლოგია?) და შორს გარშემო (მთის იბერიაში — სტრაბონისეული) სამხედრო დემოკრატიის ჯ ე ვ ე ბ ი, ხევისუფალ — ერისთავებით; ხევისუფალთა ინსტიტუტის გადაშენება დამახასიათებელია. ბველი ხანის რუდიმენტად ის X—XI საუკუნეებამდის აღწევს. შემდეგ შეიძლება სადღაც მთაში შერჩენილიყოს.. (ხ ე ვ ი სოციალურად სამხედრო დემოკრატიის ხანაა, მასზე წინა ხანა ესაა გ ო რ ი ს ხანა, გვაროვნული წყობილების ხანა (გორა შემდეგაც რჩება, მაგრამ ეს მისი მოშლის ხანაა: როგორც დამოუკიდებელი ერთეული იგი ქრება, ხევში შედის, რომლის ცენტრში შეიძლება ერთ-ერთი გორა იყოს, მაგრამ ეს უკანასკნელი უკვე გ ო რ ა კი აღარ არის, არამედ გორათა გამაერთიანებელი, შეიძლება ზ ღ უ დ ე რ ი. აქედან განვითარდა უკვე ქ ა ლ ა ქ ი — მონათმფლობელური ხანის ცენტრი...).

ქ ვ ე ყ ა ნ ა ესაა უკვე ხევის მეტამორფოზი: ხევმა როგორც დამოუკიდებელმა ერთეულმა დაკარგა მნიშვნელობა უფრო ფართო (და ხარისხობრივად მაღალ) გაერთიანებაში. რამოდენიმე ხევი ერთ ქ ვ ე ყ ა ნ ა დ იქცა. ხ ე ვ ი ს უ ფ ა ლ ი (ხევის ეპოქის) მ ე თ ა უ რ ი ხ ე ვ ი ს ა. უეჭველია იმ დროის „უფალი“ ჯერ კიდევ არ იყო რაც შემდეგ — dominus, ის ნაკლებად აბსოლუტი უნდა ყოფილიყო, ისევე როგორც ხ ე ვ ი ს თ ა ვ ი. შეიძლე-

ბა „ხევისუფალი“ ხევისთავზე უფრო მეტი ძალის მქონე იყო ოდეს-
მე, მაგრამ ეროვანების პირობებში ის dominus-ი ვერ გახდებოდა.

ამ დროს ცენტრი უკვე ქალაქია, ხოლო პოლიტიკური
უფლება ერისთავის ხელში გადადის (ერისთავი უკვე
სამხედრო დემოკრატიის ხანაშივე ჩნდება) და შემდეგ ხანაში უფ-
ლებას მოიტაცებს მეუფე ხდება, მაგრამ მისი უფლება ძველებური
(რეცა თავადი!!) კი არაა, არამედ ის აბსოლუტი ხდება=მ ე ფ ე...
სამხედრო დემოკრატიის დროის ერისთავი შეიძლება თავდაპირვე-
ლად არჩევითიც კი იყო, მისი პოლიტიკური უფლება მცირე უნდა
ყოფილიყო, შემდეგ, ახალ ვითარებაში ის თახდათან ძლიერდება და
მ ე ფ ი ს სახელს მიითვისებს (მეუფე ერისთავი?), მაგრამ ახალი
შინაარსით. არჩევითობის მომენტი რჩება, მაგრამ შევიწროებული
ერთ სახლში...

ხ ე ვ ი ს უ ფ ა ლ ი (ხევისთავი) ზ ი ს „ზ ღ უ დ ე რ შ ი“...
მეფე ზის „ქალაქში“...

ტერმინი „ქ ვ ე ყ ა ნ ა“, ისევე როგორც ხევი, როგორც მოსახ-
ლეობისა და ამ მოსახლეობის მიერ ათვისებული, ეკონომიურად თუ
პოლიტიკურად გაერთიანებული ტერიტორიული ერთეული გ ვ ი-
ან გ ა ჩ ნ დ ა. თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ა დ ქ ვ ე ყ ა ნ ა ტ ე რ მ ი-
ნ ი დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ ა რ ც ა რ ს ე ბ ო ბ დ ა. ქვეყანა
თავდაპირველად ტერიტორიას (მიწას ფიზიკური გაგებით) ნიშნავ-
და. ასე რომ შეიძლებოდა არსებულიყო „ამის ქვეყანა“ (ქუთაისის
ქვეყანა), ე. ი. რაღაც მიწა-წყალი, ათვისებული... უკეთ რომ
ვთქვათ, ტ ე რ მ ი ნ ი ქვეყანა დამოუკიდებელი ტერმინი არასო-
დეს ყოფილა. იყო ამის თუ იმის მიწა-წყალი, რომელიც ასეთი იყო
თუ ისეთი იმისგან დამოკიდებით, თუ ვის მიერ იყო ეს მიწა-წყალი
ათვისებული... (მ—2, 21. ფურც. 105—107).

16. ურარტული წყარო[7] შესანიშნავი ნიშანდობლივობით გვი-
ხატავს მისი დროის დაიენების მოსახლეობის გარე სახეს. ასახელებს
მრავალ გამაგრებულ პუნქტს (ციხის იდეოგრამით) და
დაუცველ გაუმაგრებელ პუნქტებს („ქალაქებს“) ამ ციხეების გარ-
შემო. წყარო იმასაც აღნიშნავს, რომ მტერმა ერთ დღეს აიღო და
გაანადგურა მრავალი ასეთი ციხე და მისი მიმდგომი ქალაქები. ამ
ციხეთა და ქალაქთა რიცხვების შეფარდება ისეთია, რომ თითოეულ
ციხეზე მოდის ოთხი-ხუთი ქალაქი. აშკარაა ეს წარწერა იმას მიუ-

[7] Г. А. Меликишвили, Урартские клинообразные надписи, Москва, 1960, 124, В 1, გვ. 235.

თითებს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს დასახლების იმ ტიპთან, როცა ციხეები ამ სიტყვის გვიანი მნიშვნელობით ეს-ეს არის ჩნდებოდა ... აუხების ქვეყანაში არ არსებობს, როგორც ჩანს, დაბა, ... ამა თუ იმ ციხეს არ ეკედლებოდეს, უკეთ რომელიც ამ ციხის „ნაყარი“ (ფუტკრის ნაყარი) არ იყოს. ასე რომ, ეს არის გორაები, რომლებიც ციხეებადღა დარჩენილან, გორის მოსახლეობა კი, დაბებად ქცეულნი მის გარშემო განლაგდებიან... ზოგი გორი (გვარი) დიდი იყო, მრავლად იბარტყა და მისი შემავალი დაბებიც მეტია, ზოგი კი ნაკლები... შდრ. ხოვლე და სოფლები მის გარშემო, ან კიდევ გორაები ჭევჭმელას ხევში (ოთხია თუ ხუთი!). რა თქმა უნდა, შემდეგში, საზოგადოებრივი განვითარებისას, ციხეები ყველა აღარ შერჩა, გვარმა გვარი გააქრო, დაიმორჩილა. გვარი გვარს აერია, გვარები ტომობრივმა გაერთიანებამ დაჩრდილა. ყველა ასეთ ვითარებისას ეს საგვარეულო ციხეები ან ძალით მოიშალა დამპყრობელის მიერ, ან იმიტომ მოიშალა, რომ დაბების დაცვის ფუნქცია გაერთიანებული გვარების საერთო მმართველობამ საერთო ციხეს გადასცა (სატომო ციხე). ასე რომ, ციხის სახეობის ევოლუციისათვის ამ გარემოებას უნდა ამიერიდან ანგარიში გაეწიოს. მრავალციხიანობა მრავალი ქალაქით მოწმობაა საზოგადოებრივი განვითარების გარკვეული (დაბალი) საფეხურისა. იმისდა კვალად, რაც საზოგადოება იზრდება ნაწილდება, ახალი ერთიერთობა ისახება, გვარი ტომით იცვლება და ტომთა გაერთიანება ყალიბდება, ციხეც იცვლება, ძველი ციხეები ქრებიან და საგვარეულო ციხის ნაცვლად სატომო ციხენი იქმნებიან.

ასე რომ, არაა სავალდებულო ყოველი გორაკი ციხედ დარჩეს, ან ყველა გორა ერთნაირი ციხე აღმოჩნდეს. ზოგი გორა გვარის ციხეობას არ გასცილდა, ზოგი სატომო ციხედ იქცა, ზოგი ფეოდალური ხანის ციხედაც კი აღმოჩნდა. თავდაპირველად ციხე (= გორა) გვარის (სახლის) საცხოვრებელი (და ამავე დროს თავდასაცავი), შემდეგ ციხე (გორა) გვარების, ახლა უკვე დაბებად გაშლილის საერთო თავდასაცავი (იქვე შეიძლება იყოს საერთო კულტი), შემდეგ ზოგი ამ ციხეთაგანი იქცევა ტომის მეთაურის (მამასახლისის, მეუფე მამასახლისის) ადგილსამყოფელად და ამ მეთაურის სახლის უპირატეს სამყოფელად („უფლის ციხე“). ეს უფლის ციხეები, ბუნებრივია, ქალაქების ციხეებია, უკეთ, სადაც ციხის ახლოს ქალაქია (ჩვენი გაგებით და არა უბრალო დაბა, რადგან ძველისძველად ციხე ყოველ დაბას ჰქონდა, სადაც ის თავს

იფარავდა). ეს უფლები შეიძლება ახლა მონათმფლობელი გვარის თუ გვარების მამახახლისები, და მეტიც მეფედ, „მეფეთა ქცეული ხელისუფალნიც იყვნენ (მ—2, 19ა. ფურც. 29—30).

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. გიორგი ცქიტიშვილი და დურსუნ ხახუტაიშვილი ქვაციხეს იყვნენ ზემო იმერეთში. იქაურმა მასწავლებელმა ცნობა მოაწოდა ინსტიტუტს არქეოლოგიური ნაშთების შესახებ ქვაციხეში. აღმოჩნდა, რომ „ქვაციხე“ (ახლანდელ სოფელ ქვაციხეში არავითარი ციხე არაა, არც ყოფილა) ამ სოფელს ეწოდება იმ ქვაციხის გამო, რომელიც აქვე მაღალი მთის თხემზე ოდესმე არსებულა და რომელიც ტიპიური გორაა სამზღუდე. ზღუდის ნაკვალევი ქვისგან აშკარად შეიმჩნევა თურმე...

ისე გამოდის, რომ იყო გორა დასახლებული და ერქვა „ქვაციხე“. ამ გორის მცხოვრებნი თანდათან, გარკვეულ დროს ჩამოვიდნენ დაბლა და თან წამოიღეს სახელიც „ქვაციხე“. ჩანს ჯერ კიდევ გორის დასახლებულობის დროსვე ქვაციხე შეერქვა მაზედ მოთავსებულ მოსახლეობას (გვარს). ამავე დროს „ციხე“ და „ქვაციხე“ ერქვა იმ ნაგებობას, სადაც ეს მოსახლეობა იყო მოთავსებული. თითქო იმის ვარაუდიც შეიძლება, რომ ციხე აქ „სახლის“ შინაარსით (ან გორის შინაარსით) იხმარებოდა ამავე დროს. ან რა დაუშლიდა. შინაარსით ეს უძველესი ციხე იგივე სახლი (გვარი) იყო. ამიტომაც მოხდა, რომ იმ ადგილს, სადაც ეს ქვაციხე იყო, დღეს ეს სახელი არ ეწოდება. ქვაციხე დღეს სოფელს ჰქვიან, რომელიც საკმაოდ მოშორებულია (ძველი ქვაციხისაგან), ხოლო ამ თხემს ზოგადი სახელი "წვერო" ეწოდება.

მაინც და მაინც ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს უძველესი დადასტურება იმისა, რომ ზოგიერთ გორას ციხე ეწოდებოდა ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ამ გორაზე გვარი იყო მოთავსებული, როცა გორა და ციხე ერთი და იგივე იყო შინაარსეულად. ყოველი გორა მეტნაკლებად ციხე (სიმაგრე) იყო, მაგრამ „ციხე“ სახელად იმ გორებს შერჩა, რომელნიც განსაკუთრებულ სიმაგრედ იქცნენ და ამით სხვა გორებისაგან განსხვავდნენ... დროში ეს მოვლენა („ციხეთა“ გამოცალკევება „გორებისაგან“) ასე უნდა წარმოვიდგინოთ: გორა-ციხეთა მცხოვრებნი თანდათან სტოვებენ ძველ ნასადგომევს და (საზოგადოებრივ განვითარების შედეგად) გორიდან დაბლა (დაბად) ჩამოდიან. გორა-ციხე ამის შემდეგ დიდხანს რჩება დაბნების თავშესაფარად. ამავე დროს მიმდინარეობს მეორე (სო-

ციალური ხასიათის) მოვლენა — გორათა „შეკავშირება“ (უფრო სწორად: ურთიერთის დამორჩილება, დაქვემდებარება, ვასალობა), ძლიერი გვარის (გორის) გამოყოფა, ამ გვარის მეთაურის დაწინაურება. ასეთი გვარის ადგილსამყოფელი, უფრო სწორად ასეთი გვარის ციხე-სიმაგრე თანდათან პოლიტიკური ცენტრი ხდება, სადაც ამ გვარის მეთაური იმყოფება. ასეთი ციხე, ამრიგად, გვარის თავდაცვის გვერდით გვარის წევრებზე და სხვა სუსტ გვარებზე გაბატონების მომენტების შემცველიც ხდება. შემდგომში, საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე, გვარები იშლებიან, საზოგადოებრივი კლასები ყალიბდებიან, სახელმწიფო წარმოიქმნება და ციხედიდები, დედაციხეები, უ ფ ლ ი ს ც ი ხ ე ე ბ ი ჩნდება. (ციხე დიდი სარკინისა, უფლისციხე კასპისა, ურბნისისა და ოძრახისა. უ ფ ლ ი ს ც ი ხ ე ურ ბ ნ ი ს ი ს ა სად იყო, ან უფლისციხე კასპისა სად იყო? ან უფლისციხე ოძრახისა სად იყო?) ეს უფლისციხეები, ან ციხედიდი, ან დედაციხე მხოლოდ ქალაქების დამახასიათებელი როდია. ასევე ხდება მთელ ქვეყანაში, სადაც კი კლასობრივი საზოგადოება ყალიბდება, ან საამისო ტენდენციები ჩნდება, ქვაციხე, მაგალითად, ასეთი ციხედიდია, ან ხოვლიგორა, ან გორის ციხე (ტონთიო) და სხვ.

შემდგომი განვითარება საზოგადოებრივი ურთიერთობისა, — ფეოდალური ურთიერთობისა იწვევს ციხის ფუნქციის კიდევ უფრო მძაფრად შეცვლას: ციხე უპირატესად პოლიტიკური და კლასობრივი ბატონობის იარაღი და ნიშანი ხდება. ციხე ფეოდალის საკუთრება და მისი ადგილსამყოფელი ხდება, ხოლო გარშემო მოსახლეობა ციხის შემავალი (ციხის შემავალნი ისინი დიდი ხანია იყვნენ, ახლა თანდათან ციხის ქვეშევრდომნი ხდებიან). გარეშემო ციხეები ისპობა და ერთი ციხე (ციხისთავით) რჩება გარკვეულ ტერიტორიაზე. ქვეყანა საციხისთავოებად იყოფა. ციხეში მოხელე-ფეოდალი ჯდება... ეს ციხისთავ-ერისთავნი ეუფლებიან ციხეებს, მათ შემავალ ქვეყანას საშვილიშვილოდ და ბატონყმობის გამარჯვებით ციხეც ბატონის ადგილსამყოფელია...

ქვაციხე უბრალო (მორიგი) სადგომი რომ არ უნდა ყოფილიყო ამას თვით მისი სახელიც მოწმობს, მაგრამ არანაკლებად დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ ეგევე მიდამოები იყო შემდეგ (ადრე და შუაფეოდალურ ხანაში) დიდი რაიონის პოლიტიკური ცენტრი. ასეთი იყო აწინდელი ქვაციხის გვერდით მდებარე სოფელი კ ა ც ხ ი ბაღვაშების ადგილსამყოფელით. უეჭველია ბაღვაშები ადრეფეოდალური ხანის მთავრების სახლია (სხვა ასეთივე მთავ-

რებს შორის არგვეთის ქვეყანაში) და ჩვენ არაფერი გვაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ ეს სახლი კაცხის უფრო ძველ მკვიდრებად ვივარაუდოთ. (ვინ იცის, შეიძლება თვით სახელწოდება კავშირში იყო „ქვაციხესთან"?). თუ ეს არა, სოციალური მემკვიდრეობა ქვაციხეს და კაცხს შორის ადვილსავარაუდებელია. ხომ არ იყო ისე, რომ ქვაციხემ დაკარგა მნიშვნელობა, იქაური უფალი ახალ ადგილს (კაცხს) წამოვიდა და დედაციხე ამიერიდან კაცხი გახდა, სადაც ქვაციხის უფალი დასახლდა (და გამაგრდა). მართლაცდა უცნაური და გაუგებარი იქნებოდა ქვაციხის როგორც დედაციხის არსებობის პირობებში კაცხის ასეთივე დედაციხეობა. უეჭველია, ამიტომ, რაღაც მემკვიდრეობა: კაცხმა, რომელიც გარკვეულ პირობებში წამოიწია (როდის??), ძალით მოშალა ქვაციხე (როგორც უფლისციხე), ან დროთა ვითარებაში, საზოგადოების განვითარების შედეგად ქვაციხე, როგორც უფლისციხე მოიშალა და მისი მნიშვნელობა ამ ახლად შექმნილ ვითარებაში კაცხზე გადმოვიდა მშვიდობიანად.

ეს საინტერესო საკითხი შესაფერის დაკვირვებას და მასალის მოპოვებას საჭიროებს. ერთი რამ განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანი ისაა, რომ ახლავე შეგვიძლია ვთქვათ: სახელი ქვაციხე არგვეთში (გვიანი დროის არგვეთში) იმ უძველეს დროსვე დამოწმებულია და მაშ ქართული ენა ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ ბრინჯაოს და ადრერკინის ხანაში ფაქტია..

ქვაცხი — „გაქვაცხული" (4, 28. ფურც. 8—10).

18. დედაციხე (თეძმის ხეობაში და სხვაგანაც, ქ-ცა-ში). აქ ის საგეოგრაფიო სახელად ქცეულა. თავდაპირველად კი ის ზოგადი სახელი უნდა ყოფილიყო მნიშვნელობით: მთავარი ციხე, უფროსი ციხე. შდრ. დედაქალაქი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ დედაქალაქი დედაციხის ანალოგიით არის ნაწარმოები. დედაციხე, ამრიგად, გულისხმობდა, რომ იმ დროს იყო ციხეები, რომელთა შორის ერთი იყო მთავარი ციხე, უმთავრესი ციხე, რომლისაგან სხვა ციხეები შეიძლება გარკვეულს დამოკიდებულებაშიც კი იმყოფებოდნენ. თუ „ციხეში" სახლს ვიგულისხმებდით აგრეთვე, მაშინ ეს მოსაზრება კიდევ უფრო ნათელი ხდება. რომ ასეთი დედაციხეები ჰქონდა თითო რაიონს, მოსახლეობის გარკვეულ ერთეულს, სახლების (გორაების) გარკვეულ რაოდენობას. ასე მაგალითად ხოვლიგორა შეიძლება

„დ ე დ ა ც ი ხ ე“ იყო სოფლის, ხევისა და აგრე შემდეგ... (მ—2,19ა. ფურც. 68).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

19. ურ ბ ნ ი ს შ ი: ხ ი ზ ა ნ ა ა ნ თ გ ო რ ა და ქ ვ ა ც ხ ე-ლ ე ბ ი — ძველი „გორაები“. ხიზანაანთ გორას უნდა რქმეოდა ო რ ბ ნ ი (ურბნი, ურბნისი) ქვაცხელები, ანუ ქვაცხელა შეიძლება ქვაციხეს სახელნაცვალი იყოს, სადაც „ციხე“ სახლის, სადგომის მნიშვნელობით არის სავარაუდებელი. შდრ. ქ ვ ა ყ უ დ ე საჯავახოში. აქ ყუდე მეგრული ღ უ დ ე ა, რაც სწორედ სახლს ნიშნავს (გამოვიდოდა ქ ვ ა ს ა ხ ლ ი=ქვაციხე).

შეიძლება სამცხეში სოფლის სახელი უ დ ე იყოს მეგრული(= მესხური) ღ უ დ ე ს სახელნაცვალი და ამდენადვე მესხურის კვალი სამცხეში.

შ დ რ. ქ ვ ა ც ი ხ ე ზემო იმერეთში. უდე შავშეთშიც არის (მ.—2,19ა ფურც. 9).

20. სოფელი გორა ვანის რაიონში (Заря Востока, 25. XI—1956)

„წ ა ნ ი გ უ ა რ ა“ (არქეოლოგიური ძეგლები აფხაზეთში ნახევრად ციკლოპურ-მეგალითური ხასიათისაა, ბზიფიდან—ენგურამდე) ნიშნავს წ ა ნ ი ს ს ა დ გ ო მ ს (აფხაზურად), ჯანაშია, თაბალთუბალი, ტიბარენი იბერი, გვ. 195. Иващенко М. М. Исследование архаических памятников материальной культуры Абхазии, стр, 79—83.

(გ უ ა რ ა — ს ა დ გ ო მ ი!) და რადგან ეს სადგომი, როგორც წესი, ბორცვზე იყო, ამიტომაც ბორცვს შეერქვა გ ო რ ა.

გ ვ ა რ ა (აფხაზური?) სადგომი.

ქ ო რ ი, (სვანურში, ქართულში) სახლი, სადგომი.

გ ო რ ი, ქართული სადგომი, სახლი, ბორცვი.

ხ ო რ ი, მეგრული სახლი.

სახლი=გვარა=ქორი=გორი, ხორა (მ—2,19ა. ფურც. 57).

21. ლიტერატურული გაზეთი № 46, 1961, 10/XI.

ილია მაისურაძე, „მთების დიდი გაზაფხული“.

ლაშარის გორის მიდამოებში „ხვთისომ (ავტორის გამყოლი პირიქითელი ხევსური ხვთისო ხოსიაური) დაასახელა მთა ბოროლა, აქ ხოვლებიაო, — თქვა მან. ხ ო ვ ლ ე ს და ნ ა ხ ო ვ ლ ა რ ს ფ შ ა ვ-ხ ე ვ ს უ რ ე თ შ ი ნ ა ნ გ რ ე ვ ს, ნ ა ს ა ხ ლ ა რ ს უ წ ო-

დებენ, ეს ძველისძველი სიტყვა უნდა იყოს. იგი პარალელს პოულობს ქართლის „სოფლ[illegible]ული ხელთან — ხოვლესთან“ (მ—2,19. ფურც. 100).

22. ლომთა გორას მსგავსად იყო, უნდა ვიფიქროთ, ჩხიკვთა (გორა), მელთა (გორა) — აწინდელი მლეთა, ქორთა (გორა) — აწინდელი ქურთა.

ასევეა ნაწარმოები მცხეთა (მესხთა გორა) (მ—2, 19. ფურც. 92).

23. თიანეთში საყარაულოს ახლოს (უფრო ერწოა ეს) არის სოფელი ჩიკორანთ გორა, ან იქნებ ჩეკურანთ გორა? ფრიად საინტერესო მოწმობაა. თითქო მოსახლეობა გორათი აღინიშნება (ჩიკორანთ „სახლი“ და სხვ.). ამ გამოთქმით ეს სახელი ნაგვიანევი ჩანს (ჩიკორანი თუ ჩეკურანი მისულან თითქო და გორა დაუჭერიათ), ე. ი. სოფელი დაუჭერიათ, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ გორა დასახლების ტიპის ზოგად სახელად არის გამოყენებული, აი როგორც გვიან ვთქვათ „ნაზარას სოფელი“ და სხვ. ან კიდევ მთაში თუ ბარში ბარნაბიანთ კარი და სხვ. უნდა ვიფიქროთ გორა ასეთი შინაარსით უძველეს დროს იხმარებოდა და უძველესი მოსახლეობის ტიპის მაჩვენებელია (მ—2,19ა. ფურც. 42).

24. აუცილებელია საქართველოს ტოპონიმიკის განხილვა იმ მიზნით, რომ წარმოჩენილ იქნას ეთნიკურ-ტომობრივ-სოციალური ჩვენებანი. კერძოდ გორაებთან დაკავშირებით უნდა შესწავლილ იქნას მათი (გორაების) სახელები და უნდა ჩატარდეს ცდა ამ სახელთა ეთნიკურ-ტომობრივ-სოციალური გააზრებისა.

თა, თი, ნთა, ნი, სი, ნისი, ხი, ლი და სხვ. (მ—2.19ა. ფურც 51).

25. რა ენას „ზრახავდნენ“ აღმოსავლეთ საქართველოში ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს II—VI—X საუკუნეებში ან კიდევ უფრო ადრე?

„საფლავი“ და „სამარი“ მოწმობს, რომ ქართული (სუფიქსი სა) ენა იყო იქ იმ დროს, როცა დამარხვა ქვევრში ხდებოდა (სადღაც მაქვს ცალკე).

„მცხეთა“ სახელწოდება მოწმობს, რომ ქართული (მრავლობითი რიცხვი „ნი“, „თა“ ნათესაობითი „ეთ“, „ეთა“ სუფიქსები) იყო აქ იმ დროს, როცა მცხეთა იყო მესხთა სამყოფელი, რაც — XIII—XIV უკუნის წინახანებში შეიძლება მხოლოდ ყოფილიყო.

ყ ო რ ა ნ თ ა, ა კ ა ე ურ თ ა, ჩ ხ ი კ ვ თ ა, ლ ო მ თ ა და მისთანანი და აგრეთვე ყორნი(სი), ორბნი(სი), წერონი(სი) მოწმობენ, რომ ქართული (ნ ი, თ ა, ს ი, სუფიქსები, ს ი უფრო გვიან) ენა იყო აქ იმ დროს, როცა ამ ენის მატარებელი ხალხი გორაებზე ცხოვრობდნენ, როცა ისინი გვარებად „სახლებად“ ცხოვრობდნენ, როცა მათ. თითოეულ სახლს, საერთო სახელი ჰქონდა ფრინველის, მხეცის — ტ ო ტ ე მ ი ს (მ—2,19ა. ფურც. 52).

2ტ. ტერმინი ც ი ხ ე თითქო ძირეული ქართული სიტყვაა და ნიშნავს ის პირველ ნაგებობას გორაზე, ადამიანმა რომ თავშესაფარად გაიკეთა. ციხე, გორი (ქორი), სახლი, ზღუდე — ესაა პირველი ნაგებობათა რიგი. „ც ი ხ ე“ შესაძლებელია „თ ი ხ ა ს“ უკავშირდებოდეს და თავდაპირველად მიწისაგან (თიხისაგან) ნაკეთობას წარმოადგენდა (თიკანი — ციკანი, თიკი—ციკი, თოხნა — ცოხნა). ციხე, ციხ ე რ ი მესერი, სახლი, ოხო რ ი, ქო რ ი, ზღუდე რ ი, თიხარ ი, ჩიხ ო რ ი, ჩხე რ ი, ჩხა რ ი (ჩიხა). ციხე რომ ჩიხესთან კავშირშია, როგორც ენობრივად, ისე შინაარსეულად, უდავოა. თავდაპირველად, საფიქრებელია, ის მოლობილი იყო (ლობერი) ზღუდის სახედ — ზღუდერი და ს ა ქ ო ნ ლ ი ს (და ა დ ა მ ი ა ნ ი ს) დ ა ს ა ც ა ვ ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ დ ა (ჩ ი ხ ი). ის შესაძლებელია გარკვეულ დროს მიწისაგან ყოფილიყოს აგებული. ამას მიუთითებს ც ი ხ ე (ციხერი) თ ი ხ ა (თიხარი) თიხრევი. შემდეგ, თუ იმავე ხანებში, იმის მიხედვით, თუ როგორი იყო ბუნებრივი პირობები, მასალის თვალსაზრისით, ციხე „შენდებოდა“ მთელი ხეებიდანაც, ამის მოწმობაა ჯ ი ხ უ რ ი (ალბათ ის ჯიხა, საიდანაც შედგა ცნება ჯიხური, ხის მორებისაგან იყო აგებული) და ბოლოს, ციხე ქვის მასალისაგან შენდებოდა და ეს გახდა უპირატესად მისთვის დამახასიათებელი, თუმცა ხის მასალისაგან ციხეების კეთება მთელ საშუალო საუკუნეებში არ მოშლილა საბოლოოდ.

ციხე, მოლობილი თუ „მესერი“ — ეს იყო გორის უმთავრესი კომპონენტი (და, შესაძლებელია, ერთადერთი შინაარსიც). ამ შინაარსის მოწმობაა ერთის მხრით ჯ ი ხ ა, მეორე მხრით ჩ ი ხ ი (ყველა ეს ჩ ხ ა რ ი, ს ა ჩ ხ ე რ ე, ჩ ი ხ ო რ ი, ჩ ი ხ ა, ჩ ხ ე რ ი „ც ი ხ ე ს“ ნიშნავს და ჩანს ამ მხარეში ჩვეულებრივი, საერთო სახელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო სიმაგრისათვის. მართლაცდა ყველა ეს ადგილი ცნობილია გვიანაც კი ციხით, ქალაქით).

ციხე თიხისაგან — „ზღუდე“? ზღუდერი;

ციხე ხისაგან — ჯიხა, ჯიხური, (ჩიხერი);

ციხის სახეობა — გორა=ქორი — სახლი (ტექნიკური შინაარსი);

ციხის შინაარსი სახლი, ქორი (სოციალური შინაარსი).

ც ი ხ ერი — ს ი ხ ერ ი — ს ა ხ ლ ი — ო ხ ო რ ი, თითქო შეიძლება ვიფიქროთ, რომ ციხის თავდაპირველი მნიშვნელობა იგივეა, რაც სახლის თავდაპირველი მნიშვნელობა, წარმოშობითაც ორივე ტერმინი ერთია.

ასე რომ „გ ო რ ი — ქ ო რ ი ს“ რ ი გ ი ერთია. გორი ამ საცხოვრებელი ადგილის გარე სახეა (მაღლობი), ქორი — მასზე მოთავსებული ნაგებობა და ამ ნაგებობის შიგნით მოთავსებული სოციალური ერთობა: გვარი.

ც ი ხ ე — ს ა ხ ლ ი ს (ციხერი, სახლი, ოხორი) რ ი გ ი მეორეა. ციხე ამ საცხოვრებელი ადგილის (გორის) გარე სახე კი არაა, არამედ ამ გორაზე აშენებული „სიმაგრის“ (მოღობილი — „ჩიხი“, ხის „ჯიხა“, ქვის „ციხე“, თიხის — „ზღუდე“). სახლი ამ ციხის შიგნითი შინაარსია მატერიალური, სოციალური.

ასე რომ, უმთავრესია „ც ი ხ ე“; ისაა თავდაპირველი და ადამიანის მოქმედებისათვის, საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებისათვის დამახასიათებელი. მისი მთელი საფეხური (მ ღ ვ ი მ ე — ც ი ხ ე — დ ა ბ ა). ციხისაგან მივიღეთ ს ა ხ ლ ი, ხოლო გორისაგან ქ ო რ ი, გ ვ ა რ ი. „ს ა ხ ლ ი“ „ც ი ხ ი ს“ ს ო ც ი ა ლ უ რ ი შ ი ნ ა ა რ ს ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა დ ა ს რ უ ლ ე ბ ა ა. ციხისაგანვე უკეთ, მისი სახენაცვალისაგან — ჩიხარი — ჩიხერისაგან მივიღეთ ჩ ი ხ ი (ციხის მატერიალური ღოვლათის სახელი).

მეორეს მხრით გვარი (ქორი) გორის სოციალური შინაარსის განვითარება-დასრულებაა.

ამრიგად თუ საზოგადოების განვითარების საფეხურებზე იქნება საუბარი, უფრო მართებულია: მ ღ ვ ი მ ე, ც ი ხ ე, დ ა ბ ა.

გვარისა თუ ტომის ენების ნაშთია: ციხერი, (ციხე), ზღუდერი (ზღუდე), ჩიხური (ჩიხე, ჩიხა, ჩიხორი), ჯიხა, ჯიხური, სახლი, ოხორი, გვარი, ქორი...

თ უ ხ ა რ ი ს ი შეიძლება გადმონაშთი იყოს იმ ვითარების, როცა კედელს ზღუდეს თ უ ხ ა რ-ი, თ ი ხ ა რ ეწოდებოდა. ამ უკანასკნელისაგან ჩვენ უნდა გვქონდეს სახელი თიხრევი (=თიხარ-

ევი) — კედლები, ზღუდეები. ამ სიტყვის (თუხარ, თიხარ) დიალექტური სახესხვაობა უნდა ყოფილიყოს თიხერ, ციხერ, ჩიხერ, ჩიხორ და აქედან თიხა, ჩიხე ციხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიხრევი იმის მოწმობაა, რომ „თიხარ“, „თიხერ“ არსებითი სახელი იყო, რომელიც მრავლობით რიცხვში იძლეოდა „თიხარევ“, „თიხერევ“ (მღვიმევ, ბეინევ) სუფიქსი ევ (ებ) იძლევა საშუალებას ამ სიტყვის ფუძე თიხარ, თიხერ ვიპოვოთ (მ—2,19ა. ფურც. 144—148).

27. ცხოვნება, ციხოვნება, იმავე ციხესთან უნდა იყოს კავშირში. ამავე ციხესთან არის კავშირში ცხოვნების მეორე სახე ცხორება, აგრე რომ გვაგონებს საცხოვრისს, ანუ ცხოვრის ფარას (შეიძლება საერთოდ „საქონლის“ სიმრავლეს?) ანუ ცხვარს, ასე რომ, ციხერ, ჩიხერ, ჩიხორ, ჩიხვარ (სადღაც მახსოვს „ჩიხვარელი“) და ცხორ, ცხვარ თითქო ერთიმეორეს თან მიდიან და იმ გორის შინაარსიდან გამოდიან (ჩიხი — აგვართა). რომელზედაც ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ და სადაც საკუთარ თავთან ერთად აგვართაში, ჩიხში, ჩიხორში (ანუ ციხ-ში, ციხორში) თავის საცხოვრისს იცავდნენ.

ამავე რიგში მოდის უცხო, უცხოება, ე. ი. მშობლიური (=გვაროვნული) სადგომის, სიმაგრის, თავდასაცავის არ ქონება, კიდეგან ყოფნა, მიუსაფარობა, უციხობა, — უთვისტომობა, უგვარობა. ციხოვანი=გვარიანი; უცხო — უგვარო (მ—2,19ა. ფურც. 93).

28. ვანში და ხიზანაანთ გორაზე ჩვენი არქეოლოგების მიერ გათხრილი ალსავალი (ხარისხი) დამაფიქრებელია. თითქო საფიქრებელია, რომ ამ კიბეებს შენობა რაიმეში კი არ მიჰყავდა ადამიანი, არამედ უმაღლეს ბაქანზე, სადაც შეიძლება ვიფიქროთ, კერპი იდგა ან საყდარი იდგა, ზედ ღმერთი იჯდა და ეს ალსავალი მისი ფერჯთასადგმელი ხარისხი („კვარცხლბეკი“) იყო.

თუ ეს ნაცნებარი (ჩვენი „რეკონსტრუქცია“) გამართლდებოდა, მაშინ ბაგინეთის „კიბის“ დანიშნულებაც გაირკვეოდა და არმაზის კერპის ადგილსამყოფელიც აღმოჩენილი იქნებოდა (და „ქართლის მთის“ „ნინოს“ კომპლექსიდან არმაზი გამოირიცხებოდა).

ხატოვნად მოსაგონარი ხდება ჯვრის კვარცხლბეკის კიბის სახედ გამოყვანა: ხომ არ არის ეს კვარცხლბეკი „საყდართა მჯდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარისა ფერჯთა სადგმელი ხარისხი“, ე. ი. ჯვარი ხომ არ არის თვით ჯვარცმულის (ე. ი. ღმერთის) სიმბოლო — გამოსახულება?

და მაშასადამე ხომ არ ჩანს აქ წარმართულ საყდარზე ბაბილონელ-მარე ღმერთის გამოსახულების ტრადიცია?...

როგორი იყო წარმართული ღმერთების სამყოფელი (ლიტერატურა) (6, 4. ფურც. 105).

29. მახსოვს აზრად მომდიოდა, რომ ქვაზე ჩუქურთმა ხეზე ჩუქურთმის მიბაძვით დაიწყო მეთქი. შემდეგ ეს აზრი სადღაც ამოვიკითხე, კიდევაც დამენანა, რომ მე არ ვიყავი პირველი მთქმელი.

დღეს ვფიქრობ ვცდებოდით. ხეზე ჩუქურთმის ამოჭრა ნაკლებად ძნელი საქმე არაა, ვიდრე ქვაზე. შეიძლება ითქვას პირიქით... უფრო ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ მოჩუქურთმება, ისევე როგორც ქანდაკება, თავდაპირველად თიხის მასალაზე წამოიწყო და განვითარდა და მხოლოდ შემდეგ, გვიან, სათანადო იარაღის მოპოვების შემდგომ იქმნა ის ქვასა და ხეზე გადატანილი. ნეოლითის ჭურჭლის შემკულობა (შენგავითი, თაგავორანასტ, კიკეთი, დმანისი. იხ. Куфтин. Урартский Колумбарии) ამის თვალსაჩინო მოწმობა თუ საფუძველი ჩანს.

დედაბოძის მოტივები თითქო აქედან აღებულიაო. ეს მოტივი კიკეთურია!!!

თუ ეს დამტკიცდებოდა, ისიც გაირკვევოდა, საიდან მოდის ღარბაზი და ვინ იყვნენ ის ენეოლითის კულტურის მატარებელნი მტკვარ-არაზის აუზში... (მ — 2, 19. ფურც. 74).

[ხევი]

1. ქ ცა I. ლეონტი 25.

ფარნავაზმაო „ხოლო იგი ჰრომნი ათასნი მჯედარნი, რომელნი აზონისგან მოერთნეს ფარნავაზს, რომელი ზემოთ ვაჯსენეთ, იგინი განყვნა ჯ ე ვ თ ა და ქ უ ე ყ ა ნ ა თ ა შინა. იპყრნა იგინი კეთილად, რამეთუ ბრძოლასა მას აზონისსა მჯნედ იყუნეს. და უწოდა მათ სახელად აზნაურნი“.

ჯ ე ვ ი, ქ უ ე ყ ა ნ ა; ავტორი თითქო ასხვავებს ურთიერთისაგან ჯ ე ვ ს ა და ქ უ ე ყ ა ნ ა ს.

ლეონტის ეს ტერმინები აქ, საფიქრებელია, საგამგეო ერთეულებად წარმოუდგენია და არა მიწა-წყლის, ტერიტორიულ ერთე-

ულებად. მაინც და მაინც ქვეყანა აქ ისეთივე ერთეულია (სა-
გამგეო თუ ტერიტორიული), როგორც ჯევი (მ—2,6. ფურც. 25).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. ქცა I, ლეონტი, 131_{14}.

მირდატ მეფემ „აღაშენა ეკლესია თუხარისის ციხესა შინა, რა-
მეთუ ჯევსა კლარჯეთისასა არა იყო ეკლესია“.

აქ ჯევი იგივე ქვეყანაა: კლარჯეთი ხომ ერთი ჯევი
არ იყო, რომ ერთი ხევის ტოპონიმად წარმოვიდგინოთ... (მ—2, 5.
ფურც. 160).

3. ქცა I, ჯუანშერი, 200_{16}.

ვახტანგის წინაალმდეგ სპარსელთა მეფე მოვიდა. დაჩი მეფე
ვახტანგის ძე და მისიანნი „შედგეს ჯევსა ლოპოტისასა,
ქუეყანასამას კლდითა მოზღუდვილსა (...და სავსე იყო ჯე-
ვი იგი სიმრავლითა კაცთათა ვიდრე ნოსრამდე), ხოლო გორგასა-
ლისა ცოლი და შვილნი — უჯარმის ჯევსა. და წინასა ციხე-
სა თჳთ შედგა“...

ლოპოტის ჯევი არის „ქუეყანა“ კლდითა მოზღუდვილი
და იგი სავსეა სიმრავლითა კაცთათა.

ეს — კახეთია. კახეთიც „ქუეყანაა“, რომელშიაც შედის ლო-
პოტის ჯევი.

მაგრამ „ჯევით“ მარტო მცირე ქვეყანა არ აღინიშნება: მთელი
კახეთიც ჯევია (136, 138).

მაგრამ ცნება ჯევის განვითარება იქამდე მაინც არ მისულა,
რომ მას შეძლებოდეს სოფლის (ძველად), ან ქვეყნის (უფრო შემ-
დეგ) მაგივრობა. (სვანეთის ჯევი თითქო ასეთი ფართე ცნებაა).
მიუხედავად ტენდენციისა გაფართოებისაკენ ცნება ჯევი უპირატე-
სად გეოგრფიული ნიშანდობლივობის მომენტს საბოლოოდ ვერ
იცილებს (ჯევნი კლარჯეთისანი, ქართლისანი...). „ქვეყანას“ კი
ასეთი შემზღუდველი მომენტი არ ახლავს და ამ ცნებას, ამდენად,
უსაზღვროდ გაფართოების თუ შეკუმშვის უნარი აქვს; დაბაც ქვე-
ყანაა, ჯევიც ქვეყანაა. ჯევთა კრებულიც ქვეყანაა და მთელი სამ-
ყაროც ქვეყანაა... (მ—2, 5. ფურც. 153).

4. ქცა I, ჯუანშერი, 205_{4}.

დაჩი მეფემ ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ „იწყო შენე-
ბად ქართლისა, რამეთუ მოოჴრებულ იყვნეს ყოველნი ჯევ-

ნი ქართლისანი, თჳნიერ კახეთისა და კლარ-
ჯეთისა და ეგრისისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ უკვე ჭევნი ნიშნავს ქვეყნები. და ამ „ხევებად“ ლისხმებიან, სხვათა შორის, კლარჯეთი, კახეთი და ეგრისი... (მ—2,5. ფურც. — 152).

5. ქცა I, ჯუანშერი, 233_1

არაბების შიშით არჩილ უფლისწულმა „დაჰფლა საგანძური უფროსი ჭევსა კახეთისასა; ხოლო სამსახურებელნი ოქროსა და ვერცხლისანი ჭევსა უჯარმოსასა“.

არ არის ნათელი: თუ აქ ჭევი კახეთისა კონკრეტული ტოპონიმის სახელია რომელიღაც ერთი ხევის, მაშინ გასაგებია მის გვერდით ჭევი უჯარმისა, ხოლო თუ ჭევი კახეთისა კახეთის ქვეყნის შესატყვისობითაა ხმარებული, მაშინ უჯარმოს ჭევი ადგილად გასაგები აღარაა: უჯარმოც ხომ კახეთი იყო... (იყო კი უჯარმო კახეთი?).

უფრო საფიქრებელი ისაა, რომ „ჭევი კახეთისა“ ერთი განსაკუთრებული ჭევის სახელია კახეთში. და თუ ეს მართლა აღმოჩნდებოდა, მაშინ „კახეთიც“ ნიშანდობლივ გვეცოდინებოდა თუ სად იგულისხმებოდა თავდაპირველად („კახეთი“, ისევე როგორც „ქართლი“, „ეგრისი“, „აფხაზეთი“, „იმერეთი“ სულ სხვადასხვა ტერიტორიული შინაარსის ცნებები, მობილური ცნებები იყო სხვადასხვა დროს. ყველა ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორიის აღმნიშვნელი ცნება მობილურია; ზოგი უფრო, ზოგი ნაკლებ. განსაკუთრებით ცვალებადნი არიან პოლიტიკური შინაარსით რომ ხასიათდებიან ის ცნებები).

„კახეთი“, „ჭევი კახეთისა“, ერთი გარკვეული ქვეყანა იყო სადღაც ერთ დროს (ივრის ხეობის ზემო წელი?). ამ კახეთს შერჩა საფიქრებელია სახელი „ჭევი კახეთისა“. ამ ჭევში იყო ციხე ზიდარი (ლეონტი 136_9). (მ—2, 5, ფურც. 162).

6. ქცა I, მატიანე ქართლისა. 281_1.

ბაგრატ მესამემ „ამანვე დიდმან მეფემან აღაშენა საყდარი ბედიისა, და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, მოცვალა მუნ გუდაყჳსა საეპისკოპოსო, შეწირნა სოფელნი მრავალნი ყოველთა ჭევთა და ადგილთა, განასრულა ყოვლითა განგებითა“...

ჰ ე ვ ნ ი დ ა ს ა ვ ლ ე თ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ი მ ა რ თ — „მხარე“, „კუთხე“, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული (სიმონ ყაუხჩიშვილის ლექსიკონით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი მაგრამ ამ ჰევებს ადგილობრივად ჰ ე ვ ე ბ ი ერქვათ თუ ეს მწერლის ენაა?? რაც არ უნდა იყოს, ეს იმის მოწმობა მაინც არის, რომ ავტორს ეს ქვეყანაც ხევებად წარმოუდგენია. რა ერქვა ადგილობრივ ხევს და იყო თუ არა ასეთი ცნება ადგილობრივ ეს ცალკე საკითხია, მაგრამ ოფიციალურ ურთიერთობაში, ქვეყნის ადმინისტრაციულად დანაწილებისათვის რომ ეს ტერმინი იხმარებოდა — უდავოა.

ს ვ ა ნ ე თ ი, ლ ო ს ი ა ნ თ ხ ე ვ ი, ხევი გურიაში და ხევის ჰავი (მოსამართლე პირი სოფელში), ზემო ხეთი და ქვემო ხეთი, თითქოს დადებითად გადაგვაწყვეტინებს ამ საკითხს... შეიძლება მეკრულში არ შემუშავებულიყოს ეს ცნება...

გურიაში სოფელი ხევი შეიძლება ძველად მთელ გუბაზეულის ხეობას ერქვა?... (მ—2, 5. ფურც. 167).

7. ქ ᲪᲐ I, სუმბატ $379_{13, 28}$

ამოტის ჩამომავალთ ურთიერთმორის ბრძოლა აქვთ „...შეიპყრეს და მოკლეს ნასრა ჰ ე ვ ს ა ს ა მ ც ხ ი ს ა ს ა, ს ო ფ ე ლ ს ა ა ს პ ი ნ ძ ა ს“....

ჰ ე ვ ი უ ფ რ ო დ ი დ ი ე რ თ ე უ ლ ი ა ვ ი დ რ ე ს ო ფ ე ლ ი.

ჰ ე ვ ი ს ა მ ც ხ ი ს ა = ქუეყანა სამცხის არის.

ასევე ბრძოლა ჰქონდათ „ჰ ე ვ ს ა ა რ ტ ა ნ ი ს ა ს ა, ს ო ფ ე ლ ს ა მ გ ლ ი ნ ა ვ ს ა“ (მ—2, 5. ფურც. 164).

8. აკად. ივანე ჯავახიშვილი „ს ა მ ა რ თ ლ ი ს ი ს ტ ო რ ი ა შ ი“ „ხევს“ აღნიშნავს როგორც მოსახლეობის ერთეულს მხოლოდ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოსათვის. დასავლეთ საქართველოში კი ამის შესატყვისი ვერ უპოვია. ჯერ ერთი „ხევი“ იქაცაა, თუმცა იშვიათად (ლოსიანთხევი, „ბედნიერი ჰევი“ სვანეთის, ხევი გურიაში) და თუ არ არის, ეს გასაგებიცაა: იქ დასახლება ს ე რ უ ლ ი ა. ასე რომ ხევის ნაცვლად იქ მოსახლეობის ერთეულს ს ე რ ი უნდა სწოდებოდა (ს ა ჭ ა მ ი ა ს ე რ ი...).

ასე რომ, გორის (გორიკების) განვითარება აღმოსავლეთ საქართველოში ხევია, დასავლეთ საქართველოში — ს ე რ ი.

სერული მოსახლეობა, ისევე როგორც ხ ე ვ უ რ ი, ბუნებრივ პირობებთან არის შეფარდებული წყალი, მორწყვა, ჰავა... აღმოსავ-

ლეთ საქართველოში რომ ა. აფაქიძე გორას ნაცვლად სერსა ხმა-
რობს, გაუგებრობაა. გორა იქაც იყო, ხოლო სერული მოსახლეობა
აღმოსავლეთ საქართველოში არ ყოფილა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკად. ი. ჯავახიშვილის მიერ მოტანილი მოწმობა (ოპიზის სი-
გელი) უთუოდ გულისხმობს დასავლეთ საქართველოს ჭევებსაც
(ამას მოწმობს „ზემო კერძი“ და „ქუემო კერძი“ ქცა, I, 304). და
ან კი რა საფიქრებელია, რომ ქუთაისში მოწვეულ სასამართლოში
მ ხ ო ლ ო დ აღმოსავლეთ საქართველოს აზნაურნი მეცნიერნი საბ-
ჭოთა საქმეთანი მოეწვია მეფეს?...

რომ „ზემო“-ში იგულისხმება არა მარტო სამცხე-ჯავახეთი,
არამედ შიდა ქართლიც ეს ჩანს (მატ. ქ-ჲ, 304): „და ლიპარიტ მო-
ირჭუნა ზ ე მ ო ს ა კ ე რ ძ ს ა დაუკლებლად... ხოლო ბაგრატს
აქუნდა ლიხსა ქუემოთ კერძი დაწყობით“.

და როცა შემდეგ ლიპარიტი ხელთ იგდო ბაგრატმა, მან მას
ჩამოართვა ციხეები (ქვეყნები): „არტანუჯი და ყუელი, უფლისცი-
ხე და ბირთვისი, ხოლო კლდე-კარნი მტკიცედ ეპყრნეს ციხოვან-
თა“. (305) აშკარაა „ზ ე მ ო კ ე რ ძ ო შ ი“ იგულისხმება უფლის-
ციხეც და მაშასადამე შიდა ქართლი. ამის შემდეგ ჩვენ უფლება
გვაქვს მეტის დაჯერებით ვამტკიცოთ, რომ „ხევთა ზემოთა და
ქ უ ე მ ო თ ა შ ი“ იგულისხმება არა მარტო აღმოსავლეთ საქარ-
თველო, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოც.

(ეს ზ ე მ ო ხ ე თ ი და ქ ვ ე მ ო ხ ე თ ი რაღაა?? ჯ ო ჯ ო ხ ე თ ი)
ასევეა გასაგები „ზემონი“ და „ქვემონი“. მატ. ქართლისა 281_{10}.

ბაგრატ მეფემ ქუთაისის ეკლესია აკურთხა. „შემოკრიბნა მახ-
ლობელნი ყოველნი ჭელმწიფენი და კათალიკოსნი, მღდელთ მოძ-
ღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი, და ყოველნი დი-
დებულნი ზ ე მ ო ნ ი და ქუემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა
მყოფნი, და სხუათა ყოველთა საჭელმწიფოთანი“...

ერთში უნდა დავეთანხმოთ მკვლევარს: რომ დასავლეთ საქარ-
თველოში საგამგეო ერთეული ადგილობრივი გეოგრაფიულ-ტოპო-
გრაფიული პირობებისდა შესაფერისი შემუშავდებოდა, ის არ იქნე-
ბოდა ჭევი. ქვეყანაზე უფრო მცირე ერთეული იქ უფრო მარჯვეა
ყოფილიყო ს ე რ ი. და თუ მიუხედავად ამისა, ისიც ხევებად და-
ყოფილი გამოიყურება, ეს ქართულ სინამდვილეში შემუშავებული
ტერმინის გადატანაა... (მეგრულად არის თუ არა ს ე რ ი, რა არის
მეგრულში მოსახლეობის ასეთი ერთეულის აღმნიშვნელი?) (მ—
2, 5. ფურც. 177—178).

9. სვანეთის საისტორიო ძეგლები, საბ. 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქ. მთავარ მოწამისა სეტისა თავსდებობითა და შვა[illegible]-
თა დავწერეთ და დავდევით დაწერილი ესე სრულიად სვანეთისა ქევისა ვუშქულსა და ლალვერსა შვა სამაგრობელი ჩვენ ერთობილმან ქევმან, ვარგმან და გლეხმან, უფროსმან და უმცროსმან, უზედაესმან, უქვედაესმან, ყველამან...

რაიცა საქეოსა საქმესა უკეთ მოუქდებოდეს, ყველაი იმას ვიჭირვოდეთ...

რაი ლომი და მოლაშქრე მოვიდეს, რომელიცა ქევი ანუ სოფელი არ მოჰყვეს მისითა აბჯარითა, იმა ქეუსა და სოფელსა მოუქდეთ ჩვენ ერთობილი ქევი.

...ვინცა ამა ქეობასა შიგა მტერობა ქ�... ქეობა გაგვიტეხოს, — გარდა კლუისა და ამოწყვედისა მეტი არა ავართვათ.

ამის გათავება ჩვენ ერთობილმან ქეუმან ფიცით შემოვფიცეთ ერთმანერთსა“.

სრულიად სვანეთის ქევი. ერთობილი ქევი. ერთობილ ქევში შედიან სხვადასხვა ქევები.

ამ ერთობილი ქევის ნაცვლად, ანუ სრულიად სვანეთის ქევის ნაცვლად იხმარება ტერმინი ქეობა (მ—2, 5. ფურც. 197).

10. სვანეთის საისტორიო ძეგლები, საბ. 5

„...დავიდევით დაწერილი ესე მტკიცე და უქცეველი ქეუკისა სამაგრებელი ჩვენ ქეუმან ერთობილმან უშგულსა და ლალუვერსა შუვა, ყველამან... გაუმაგრეთ ქეობა: თუ ზემო ქეუმან გაგიტეხოთ ქეობა, იმერ ამე (.....) და ზემო ქევისა ნანძლევი ქუემო ქეუსა დაგრჩომოდე; და თუ ქუემო ქეუმან გაუტეხოთ, ზემო ქეუსა დაგრჩომოდეს“.

ერთობილი ქევი ორი ნაწილისაგან შედგება — ზემო ქევი და ქუემო ქევი. აქაც ეს გაერთიანება იწოდება ქეობად.

(გურიაში ზემო ხეთი და ქვემო ხეთი ზემო ხევისა და ქვემო ხევისაგან ხომ არ არის?).

მაინც რა განსხვავებაა ქევსა და ქეობას შორის?.. (მ—2,5. ფურც. 196).

11. სვანეთის საისტორიო ძეგლები, საბ. 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

„...დაუწერეთ და დაუდევით ჩუენ ჭეუმან ერთობილმან ბიბლ-ვერს და უშჭულს შუამან, მას ჟამსა, ოდეს აჰუთა კაცთა... ეკულესიათა ოდება დაიწყეს. და მერმე შევიყარენით ჭევი ჭეობით და გავაჩინეთ ეკლესიისა საქმე ასრე“...

ქუემო ჭევის სასჯულო საქმე ცაიშელის მოსაკითხია, ზემო ჭევისა კი — ცაგერელის მოსაკითხია.

ჭევი ჭეობით ისეთივე გამოთქმაა თითქო, როგორც სოფელი სოფლობით (მ—2, 5. ფურც. 195).

12. სვანეთის საისტორიო ძეგლები, საბ. 27

მოხაზულია „მთიულეთის თემი“: „გლოლას ზედათ, ცენას იქით, ოსეთს აქათ“...

ამ თემის საზღვრებია ოსეთი და რაჭა. ცხადია ის რაჭაში არ შედიოდა ჯერ კიდევ, არამედ იმყოფებოდა „ეცერს აქათ რაც სვანეთი არის“ ეი ამ საზოგადოების (ხევის, თუ ერთობილი ხევის) უფლებაში... (მ — 2, 5. ფურც. 193).

13. სვანეთის საისტორიო ძეგლები, საბ. 49

„...დავდევით დაწერილი ესე... ჩუენ ჭეუმან ერთობილმან მესეტისამან, ერთობილთა დიდთა და მცირეთა, ვარგთა და გლეხთა, ყოველთა, ერთმანერთისა ნდომითა დამოწმებითა, მას ჟამსა, ოდეს ჭიდსა ზედა ეკლესია აღვაშენეთ. იგი ეკლესიისადა ჭიდისადა მთასა ვინცა რაცა შესცოდოს, ანუ სეტის შესავალსა შიგა ვინცა რაცა ვინ შესცოდოს, ერთისა ჯაფარიძისა და ანუ იუსელიანისა სისხლი მისითა სანახშიროთა ედვას მათა და სისხლად ვერჩოდეთ... იმისი პირი თვიდა(ნ) მთავარ მოწამე სეტისა, მერმე ჩუენ ერთობილი მესეტისა ჭევი ვართ... ჩუენ მესეტისა სოფელი საქმითაცა გავათავებთ ამა დაწერილსა“... მესეტის ერთობილი ჭევი (მესტია?), ამ ჭევში სახლობენ „დიდნი და მცირენი“, „ვარგნი და გლეხნი“.

სეტის ჭევის გაერთიანების სიმბოლოა „თავადი“ (ე. ი. თვითონ) მთავარ მოწამე სეტისა (ე. ი. წმინდა გიორგი). ისაა იურიდიული პირი (შდრ. ოპიზარ — მიჯნაძოროელთა სარჩელი) და მისი ნების (ე. ი. ამ გაერთიანების) შემსრულებელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არის მესეტის ერთობლივი ქევი. (მ—2, 5 ფურც. 100).

14. სვანეთის საისტორიო ძეგლები, საბ. 65

„...(მულახ — მუჟალ) ვისა ქეუმან ესე დაწერილი მულახისა საყდრისა შვილთა მოგაჯსენეთ. რაც ძველთაგან ბეგარი გუდებიან, იგი განლამც საპატიოთ მიაჯსენონ“.

ქევი ხატს „მოახსენებს“ (მიართმევს, უხდის) ბეგარას. ამ ხატის საქმეს უშუალოდ საყდრიშვილები განაგებენ... (მ — 2, 5. ფურც. 187).

15. სვანეთის ისტორიული ძეგლები, საბ. 72

„...რასაც პირსა ზედა შედგომილ ვართ, არ გაგიტეხოთ ქევმან ქეუსა ქეობითა. თუ გაგიტეხოთ, რაიც ჩვენსა შხერასა უყოთ, იმისა საქმესა არა გერჩოდეთ. თუ ერთმან ანუ ორმან გაგვიტეხოს, ერთობილნი წავეკიდოთ“. (შეეხება უშგულისა და კალის ქევებს).

ერთობილი-გაერთიანებული მოსახლეობის ერთეული არის ქევი. გაერთიანების სიმბოლო ხატია. ქევი ქევს მტრობს, ან მოკეთეობს. ხშირად აქვს ადგილი ორი მეზობელი ქევის შეკავშირებას (სხვადასხვა პირობით).

მექევეებს მაინც აქვთ წარმოდგენა მთელ სვანეთზე, რომლის გარეთაა რაჭა, ოსეთი, კახეთი, გურია, ლეჩხუმი და სხვ. რა ქმნის ასეთ წარმოდგენას?... ენა.

ხშირად ხერხდება გაერთიანება მრავალი ქევებისა — სვანეთის ქევი.

მთელი სვანეთი ასეთი ქევებისაგან შედგება (მ — 2, 5. ფურც. 185).

16. სვანეთის ისტორიული ძეგლები. შესანიშნავი, უხვშინაარსიანი საბუთებია ქევის შესასწავლად. ქევი — ტერიტორიული ორგანიზაცია „მექევეთა“. ქევს სრულიად გარკვეული ტერიტორია უჭირავს. ქევის შედგენილობა ერთფეროვანი არაა: აქ არიან ვარგნი და გლეხნი დიდნი და მცირენი. ქევს საერ-

თო ნორმები აქვს, ჰყავს ჩ ე ნ ი ლ ე ბ ი, ჰყავს მელომე (მედრომე) დიდი თანამდებობის პირი...

ჯევი იურიდიული პირია, ამ გაერთიანების სიმბოლო ხატია. ამ ხატის მიმართ ყველა მოჯევეს გარკვეული ვალდებულება აკისრია: გადასახადი, მისართმეველი. ხევს ერთი პირი აქვს, მისი „გატეხა" სასტიკად ისჯება.

მეჯევეთა ურთიერთ შორის დამოკიდებულება, ინდივიდუმის ურთიერთობა ჯევთან, ჯევის დამოკიდებულება გარესამყაროსთან...

ჯევების გაერთიანება — საბატონო გაერთიანება — ს რ უ ლ ი ა დ ს ვ ა ნ ე თ ი ს ჯ ე ვ ი. ასეთ გაერთიანებას შეუძლია თავისი ტერიტორიის ნაწილიც კი (მთიულეთი) გაასხვისოს...

„ერთობილი ჯევის ბრძანება" მეჯევისათვის გარდაუვალია... და სხვა და სხვა...

უ ნ ი კ ა ლ უ რ ი დ ო კ უ მ ე ნ ტ ი ა მ ს ო ფ ლ ი ო მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს ა... მთის და ბარის საკითხი საქართველოს ისტორიაში... სვანეთის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიულ ცხოვრებაში და სხვა ათასი... (მ—2, 5. ფურც. 189).

17. „ხევი" იგივე „ქვეყანაა". მაგრამ ქვეყანა ყოველთვის ხევი არაა.

ცნება ხევი, მართალია, ამჟღავნებს გაფართოების უნარს (სვანეთის ხევი, ან კახეთის ხევი...), მაგრამ ქვეყანა უფრო ფართო შინაარსის ცნების აღმნიშვნელია, ვიდრე ხევი. მაგალითად, არ იხმარება „ხევი საქართველოსი", ხოლო „ქუეყანა საქართველოსი" ჩვეულებრივია. გარდა ამისა ყოველი ხევი ქვეყანაა, მაგრამ ყოველი ქვეყანა არაა ხევი. ხევი ტოპოგრაფიული ნიშნიდან ამოდის, ქვეყანა კი ასეთ ნიშანს მოკლებულია. მაგალითად ქუეყანა ქუთათისისა-ს არ შეიძლება ეწოდოს ხევი ქუთათისისა... (მ — 2, 7. ფურც. 67).

18. ვახუშტი, აღწერა, 38

„ხოლო ყარაღაჯისა და ტაშირის მთის ჩრდილოთ კერძი არს დ ა ბ ა ნ ი ს ი ს ჯ ე ო ბ ა, და მდინარე მ ა შ ა ვ ე რ ი, მიმდინარე მის შორის. ხოლო იწოდა ქციის რთვისათვის: „მა, შავერიე ქციას", და აწ მაშავრად წოდებული...

ხოლო განჰყოფს ჯ ე ო ბ ა ს ა ა მ ა ს სამჯრით მთა ყარაღაჯი და ლოქისა, აღმოსავლით მცირე მთა ბოლნისისა, ჩრდილოთ მთა

ლუკუნისა, წავლილი აღმოსავლეთად, ვიდრე ნახიდურამდე, დასავ-
ლით მთა კეჩუთისა და ბოლოლისა. და მთა კეჩუთისა და ბოლოლი-
სა არიან უტყეონი და ჯ ე ვ თ ა შ ი ნ ა არს არუნალნი და ძმა ბალა-
ხოვანნი, შამბნარიანნი, ყვავილოვანნი და წყაროიანნი"...

ა შ კ ა რ ა ა ეს ჯ ე ო ბ ა მ ი ს ი ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი თ ი მ თ ე ლ ი
ქ ვ ე ყ ა ნ ა ა, რომლის შორის მიედინება მდინარე მაშავერი.

ამ ჯ ე ო ბ ა ში ერაერთი ჯ ე ვ ი შ ე დ ი ს.

ხ ე ო ბ ა ში შ ე ი ძ ლ ე ბ ა შ ე დ ი ო დ ნ ე ნ და შ ე დ ი-
ან კ ი დ ე ვ ა ც ხ ე ვ ე ბ ი, მ ა გ რ ა მ ხ ე ვ ში ა რ შ ე დ ი-
ან ჯ ე ო ბ ა ნ ი.

ჯ ე ო ბ ი ს მაგივრად თვითონ ვახუშტი ხმარობს ჯ ე ვ ს (დბა-
ნის-ჯ ე ვ ი = დმანისის ჯ ე ო ბ ა და ა. შ.), მაგრამ არ შემხვედრია, რომ
„ხ ე ვ ში" „ხ ე ო ბ ა შ ე დ ი ო დ ე ს".

ვახუშტი, „საქ. ცხოვრება", გვ. 53

„ამ ქამთა შინა (ე. ი. XVII ს-ში) განმკვიდრებულ იყვნენ მთა-
ვარნი და დაეპყრათ ჯ ე ვ ნ ი და ჯ ე ო ბ ა ნ ი".

ჩანს, ვახუშტი მ ა ი ნ ც ა ს ხ ვ ა ვ ე ბ ს „ჯ ე ვ ს" „ჯ ე ო ბ ი-
ს ა გ ა ნ", თუმცა მათი უახლოესი ურთიერთკავშირი აქედანაც
ჩანს.

ვახუშტი, აღწერა, 39

დბანისს „...არს ეკლესია... ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ტაშირისა
და დ ბ ა ნ ი ს-ჯ ე ვ ი ს ა".

დმანისს „სამჯრით ფ ი ნ ე ზ ა უ რ ი ს ჯ ე ვ ი არს მომდინარე
ლოქის მთიდამ ეგრეთითავე ნაყოფიერებითა. ვითარცა ტაშირი და
დ ბ ა ნ ი ს-ჯ ე ო ბ ა".

ა რ ა რ ჩ ე ვ ს ჯ ე ვ ს და ჯ ე ო ბ ა ს.

„დბანის ქვეით არს ჩრდილოთ კერძ ხინწის-ჯ ე ვ ი... ამას ქვეით
სამჯრიდამ მაშავერას ერთვის ბ ა ლ ი ჭ ი ს-ჯ ე ვ ი. ლოქიდამ გამომ-
დინარე, არს ვენახოვანი, ხილიანი და ყოვლითა ნაყოფიერი, არა
მედ ლოქის კერძოთ ვითარცა დ ბ ა ნ ი ს-ჯ ე ვ ი. მას ქვეით ერთვის
გ ე ტ ი ს-ჯ ე ვ ი და ქ ვ ე შ ი ს-ჯ ე ვ ი; გამოსდის ლუკუნს, ერთვის
ჩრდილოდამ მაშავერს, ეგრეთითავე ნაყოფიერებითა. ქვიშის-ციხე
არს მაღალ კლდესა ზედა მდგომი, ჰავითა და თვალთათვს მშვენი,
წყარო კეთილი. მას ქვემოთ ჯ ე ო ბ ა კ ა ზ რ ე თ ი ს ა, სამჯრიდამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოერთვის მაშავერს, გამომდინარე ლოქისავე, ესეცა ეგრეთვე ვითარცა ქ ე ო ბ ა ბ ა ლ ი ჭ ი ს ა“.

არავითარი განსხვავება ქ ე ვ ს ა დ ა ქ ე ო ბ ა ს შორის.

ვახუშტი, აღწერა, 56—57

(ხოვლეს) „დასავლით არს ქ ე ო ბ ა ა ტ ე ნ ი ს მ დ ი ნ ა რ ი ს ა. ტ ა ნ ა გამოსდის ჯამჯამს და საცხენისის მთას, დ რ ი ს — ქ ე ვ ა მ დ ე დის აღმოსავლით, მერმე დის ჩრდილოთ, ერთვის მტკვარს სამჯრიდამ“.

ზემოთ შევხვდით „ირაგის ქ ე ო ბ ი ს მ დ ი ნ ა რ ე“ — ტორნე, აქ კი, „ქ ე ო ბ ა ა ტ ე ნ ი ს მ დ ი ნ ა რ ი ს ა“, ანუ ტანასი. ასე რომ თანაბრად შესაძლებელია „ქ ე ო ბ ი ს მ დ ი ნ ა რ ე“ და „მ დ ი ნ ა რ ი ს ქ ე ო ბ ა“. ოღონდ გასარკვევია, რატომ ჰქვია ი რ ა გ ი ს ქეობის მდინარეს ტორნე და არა ირაგი, და ასევე, რატომ ჰქვია ატენის ქეობის მდინარეს ტანა და არა ატენი? გამოდის, რომ ქეობის სახელი წარმოდგება პუნქტის სახელისაგან და ქეობის მდინარის სახელი შეიძლება სხვა საფუძველზე იყოს წარმოქმნილი. (წიგნი 8. ფურც. 8, 10, 12, 57).

19. ვახუშტი, აღწერა, 42

„...ამას ზეითი არს თ რ ი ა ლ ე თ ი მოსავლითა, ვითარცა ტ ა შ ი რ ი და დ ა ბ ა ნ ი ს-ქ ე ვ ი დავსწერეთ თაფლითურთ. ხდიან ესენიცა სელისაგან ზეთსა“. აშკარაა „დ ა ბ ა ნ ი ს-ქ ე ვ ი“ ისეთივე შინაარსის ცნებაა, როგორც ტ ა შ ი რ ი ან თ რ ი ა ლ ე თ ი, ე. ი. არავითარი განსხვავება არ ჩანს „ქევსა“, „ქვეყანასა“ (თრიალეთი, ტაშირი) და „ქეობას“ შორის...

ვახუშტი, აღწერა, 66

„ხოლო მთიულეთის ჩრდილოთ არს ქ ე ვ ი... არამედ არს დაბალი და უტყეო; ზამთარს ვერა ვლის ამას ზედა ცხენი თოვლის სიდიდითა; ზაფხულ არს ბალახიანი, ყვავილიანი. ამას უწოდებენ ყ ე ლ ს. ხოლო ჩრდილოთკენ ერთვის ქევის მდინარეს ქევი და უწოდებენ შ თ ა ს ა ვ ა ლ ს. ... არამედ მ დ ი ნ ა რ ე ს ა ქ ე ვ ი ს ა ს ა ეწოდების არაგვივე ჩ ე რ ქ ე ზ ა მ დ ე და მუნ ლომეკის მდინარე ძველადვე, და აწ უწოდებენ თერგსა; გამოსდის ქურთაულისა, ზახისა და მაღრანდვალეთისა შუათს, აღმოსავლეთიდამ, (sic) კავკასის მჯრიდამ დის აღმოსავლეთად ჩასავალამდე“.

ქევი აქ ქვეყანაა, რა თქმა უნდა, ოღონდ რატომ შეერქვა ს ა კ უ თ ა რ ს ა ხ ე ლ ა დ ამ ტერიტორიას ქევი; ის ხომ ზ ო გ ა დ ი

ს ა ხ ე ლ ი ა. ანალოგიური მოვლენა გვაქვს გურიაში (სოფელი ხევი). რაკი ჭევი ტერიტორიის საკუთარი სახელია, ამ „ჭევის მ დ ი ნ ა რ ე“ ბუნებრივად გასაგებია, ანალოგიით ხ ე ი ს წ ყ ა ლ ს ი (გურიაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველად ამ ჭევის მდინარეს ლ ო მ ე კ ი ერქვა, ასე ფიქრობს ვახუშტი, ახლა ჩერქეზამდე ა რ ა გ ვ ი ეწოდება, ხოლო თ ე რ გ ს უწოდებენ ჩერქეზის ქვემოთს.

მდინარის ტოპონიმი: ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ა დ გ ი ლ ს ს ხ ვ ა-დ ა ს ხ ვ ა ს ა ხ ე ლ ი.

ვახუშტი, აღწერა, 68

„ხ ო ლ ო ჭ ე ო ბ ა ჭ ე ვ ი ს ა არს მოსავლიანი ხორბლისა, ქრთილისა, სელისა, შვრივისა შთასავლით გველეთამდე“.

შთასავლით გველეთამდე არის ჭევი. ჭ ე ვ ი ს ა კ უ თ ა რ ი ს ა ხ ე ლ ი ა ა მ ჭ ე ო ბ ი ს, ამიტომაც მას მიჩემებითი სახელი არ ახლავს (აი ისევე როგორც ქსნის, ან ალგეთის და სხვ.). რატომ არ გაჩნდა ჭ ე ვ ი ს ჭ ე ვ ი? აი ასევე, როგორც მაგალითად „მ ო ე რ თ ვ ი ს ძ ა მ ა ს ი მ ე რ ხ ე ვ ი ს ჭ ე ვ ი“ (58). სამაგიეროდ გვაქვს ჭ ე ვ ი ს ჭ ე ო ბ ა. (წიგნი 8, ფურც. 20, 77, 80).

20. ვახუშტი, აღწერა, 64

„კ ვ ა ლ ა დ ა რ ა გ ვ ი ს პ ი რ ს ა რ ს ო ხ ე რ-ხ ი დ ა, რ ო მ ე ლ ს ა ე წ ო დ ა პ ი რ ვ ე ლ ხ ი დ ა რ ი, სადაცა აღაშენა ვარზაბაქარ ციხე და უკუჯდა ჭ ე ვ ს ა კ ა ხ ე თ ი ს ა ს ა...“

საიდან იცის ვახუშტიმ, რომ ოხერხიდას პირველად ხიდარი ეწოდებოდა?

ეს გამოთქმა „ჭევი კახეთისა“ ვახუშტის აღებული აქვს ლეონტისაგან. ეს „ჭევი კახეთისა“ შეიძლება ძველ კახეთს გულისხმობდეს. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ის დიდ ქვეყანას ნიშნავს, არაგვის მარცხენას და ივრის ორივე სანაპიროებს. როგორღა ეწოდება მას ჭევი? ან, შეიძლება, „ჭევი“ აქ ნიშნავს, დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ ფ ო რ მ ი ს ა გ ა ნ, ქ ვ ე ყ ა ნ ა ს.

ასე რომ ასეთი შინაარსით ავტორს შეეძლო ეთქვა ხ ე ვ ი მ უ ხ რ ა ნ ი ს ა.

მართლაც და „ჭევი კახეთისა“-ში „ჭევი“ მისი პირველადი გაგებით არც იგულისხმება იმიტომ, რომ თუ ძველი კახეთია ნაგულისხმევი, მაშინ ის ერთი ჭევი სრულიადაც არ იყო, არამედ ივრის

ჯევი (ზემო წელი) და არაგვის ჯევი (მარცხენა მხარე), ხოლო თუ გვიანი კახეთია ნაგულისხმევი, მაშინაც ის ორი ჯევისაგან (თუ არა-სამისაგან) შედგებოდა: არაგვის, ივრის და ალაზნის. ასეთი ... ხეთი ერთი „ჯევი“ არასოდეს ყოფილა. ამიტომ ჯევი კახეთისაში ჩვენ ის მაგალითი გვაქვს, როცა ჯევი აღნიშნავდა მხოლოდ ქვეყანას, როცა ჯევის პირველი შინაარსი მასში აღარ იგულისხმებოდა. ამრიგად, ჩვენ გვაქვს ჯ ე ვ ი კ ა ხ ე თ ი ს ა შ ი შემთხვევა, როცა ცნება „ჯევი“ ეწოდება ისეთ ქ ვ ე ყ ა ნ ა ს, რომელსაც ჯევის ფორმა არ აქვს, როცა ჯევი ნიშნავს მხოლოდ ქ ვ ე ყ ა ნ ა ს. მაგრამ რად მოხდა, რომ „ჯევი“ არ დამკვიდრდა ქვეყნის გაგებით და „ქვეყანა“ შემოვიდა? ჯერ ერთი, ჯევი ზოგან კიდევაც დამკვიდრდა ასეთი გაგებით, მაგალითად „სვანეთის ჯევი“ (ინგოროყვა, საბუთები) და მეორე, ჯევი შერჩა ამავე დროს გარკვეული ფორმის ტერიტორიას. „ქვეყანა“ კი იმთავითვე ცალშინაარსიანი ცნება იყო, რომელიც თანაბარი სიმარჯვით შეიცავდა როგორც ძველ ჯევის ფორმის ტერიტორიას, ისე ამის საწინააღმდეგოსაც. მთავარი განსხვავება ის იყო, რომ „ჯევი“ იმთავითვე ბუნებრივად შ ე მ ო ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი მიწა-წყალი იყო, „ქვეყანა“ კი უფრო ელასტიკური იყო, ის ფორმაზე დამოკიდებული არ იყო და შეიძლებოდა სწოდებოდა როგორც ჯევს, ისე ხევთა ჯამს და აგრეთვე ჯევის ფორმის არმქონე მიწა-ადგილსაც. ქვეყნის საზღვარი იცვლებოდა. ის შეიძლებოდა დიდი ყოფილიყო, მცირეც და უსაზღვროდაც გაზრდილიყო. ჯ ე ვ ი კ ი, მ ი ს ი ძ ვ ე ლ ი შ ი ნ ა ა რ ს ი თ, ა ს ე თ ე ლ ა ს ტ ი კ უ რ ო ბ ა ს მ ო კ ლ ებ უ ლ ი ი ყ ო, ის გარკვეული ფორმის და რაოდენობის მიწა-წყალი იყო და ასევე რჩებოდა...

ამ მაგალითიდან ისიც ჩანს, რომ მოსახლეობის ერთეული პუნქტის შემდეგ ჯევი უნდა ყოფილიყო. პუნქტი დაიყო (გორამ იბარტყა), დაბები გაჩნდა. ამათი საერთო სახელი „ჯევი“ შემოვიდა (ხევის, გეოგრაფიული მიწა-წყლის მოსახლეობა). შემდეგ, მოსახლეობის ერთეული ჯევს გადასცდა, ხევების გაერთიანებასაც „ჯევი“ უნდა სწოდებოდა (და აკი გვაქვს ასეთი მაგალითები). აქ შემოეშველა მეორე ტერმინი ქვეყანა, რომელიც უფრო მოწოდებული იყო ასეთი შინაარსი ეტვირთა... (წიგნი 8, ფურც. 70—71).

21. ქ ‘ ცა I, მატიანე ქართლისა 261_{10}.

„ნასრა შეიპყრნა სამნი ციხენი სამცხეს: ოძრჯე, ჯუარის-ციხე და ლ ო მ ს ი ა ნ თ ა, გუარამისვე აღშენებული“.

რა იყო „ლომსიანთა“ (ლომსიანთა სახლი, ლომსიანთა გორა, ლომსიანთა მრავლობა) ვიდრე იქ ციხეს ააშენებდა გვარეული, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ლომსიანთა იყო ასეთი „ცენტრი“, როგორც „ოძრეკე“ და ამ ცენტრს გულისხმობდა ლ ო ს ი ა ნ თ — ჯ ე ვ ი, ისევე როგორც ოძრეკე — ცენტრს გულისხმობდა ო ძ რ ე კ ი ს ჯ ე ვ ი (და სხვა ათასი). ასეთ „ცენტრებს“ ჰგულისხმობდა ყველა ეს ქვეყანა („ჯევი“), ციხეებში შემავალ ერთეულად რომ წარმოგვიდგებიან ჯ ე ვ ი ს უ ფ ლ ი თ ს ა თ ა ვ ე შ ი.

არ არის იმის მონაცემები (ჩვენი წყაროების მიღწეულობის მიხედვით), რომ ყოველ ჯევს ჯევისუფალი ჰყავდა და ყოველ ჯევს თავისი ციხე ჰქონდა („ცენტრი“) ,სადაც ეს ჯევისუფალი იჯდა, მაგრამ ეს სურათი ნაგვიანევი ჩანს (ფეოდალური ხანისა), როცა ძველი ჯევები პირვანდელი სახით აღარ მოღწეულა. ამ გვიან დროს ჯევები ადმინისტრაციულად გაერთიანებული ჩანან: ციხე და ჯევისუფალი რამოდენიმე ძველ ჯევს აერთიანებს (ე რ ი ს თ ა ვ ა დ ქ ც ე უ ლ ი!!).

შესანიშნავია: ძველი ქვეყანა (წინაკლასობრივი თუ ადრეკლასობრივი) ჯევებად წარმოიდგინება. ე ს ა ა ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს შ ე დ ე გ ი. განვითარების გარკვეულ საფეხურზე (სამხედრო დემოკრატიის ხანა) ჯევისუფალს ემეტოქება „ე რ ი ს თ ა ვ ი“, ჯევისუფალი „ერისთავდება“, რამოდენიმე, გაერთიანებული ჯევის „ერის“ (სამხედრო ძალების) სათავეში მოექცევა და ახლად წარმოშობილი სახელმწიფოს (სამხედრო ტერიტორიული) მოხელე ხდება... ასე რომ, ჩვენი წარმოდგენით ჯ ე ვ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს უ ძ ვ ე ლ ე ს ი ე რ თ ე უ ლ ი ა. ჯევისუფალი წინ უსწრებს ერისთავს. ერისთავი ჯევისუფლის შემცვლელი ინსტიტუტია, ჯევისუფლის გადაშენების ნიადაგზე შექმნილი, ერისთავი ჯევისუფლის მემკვიდრეა mutatis mutandis.

მაგრამ ეს არის ნაგვიანევი სურათი. თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ა დ კ ი ჯ ე ვ თ ა დ ი დ უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა ს უ ნ დ ა თ ა ვ ი ს „ ც ე ნ ტ რ ი“ ჰ ქ ო ნ ო დ ა, ხ ო ვ ლ ი გ ო რ ა ა მ ი ს კ ა რ გ ი მ ა გ ა ლ ი თ ი ა დ ა ძ ვ ე ლ ი ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ ი წ ყ ა რ ო ე ბ ი ს მ ო წ მ ო ბ ა ნ ი.

შესანიშნავია, ისე გამოდის, რომ სახელმწიფოს წარმოქმნას წინ უსწრებდა საერისთავოების (ჯევების გაერთიანებისა და ამ გაერთიანების სამხედრო მეთაური — ერისთავი) წარმოქმნა (ესენი თითოეული უკვე სახელმწიფოს ჩანასახი იყო...) ასეთ ვითარებაში

დაწინაურებული სხვაზე ძლიერი საერისთავო (ჰევისუფალი, უფალი მამასახლისი, მეუფე მამასახლისი...) სხვა ასეთივე საერისთავოების გამაერთიანებლად (დამპყრობლად) გამოდის. „მეფე“ და ერისთავები ხდებიან სამხედრო ტერიტორიული მოხელენი (სათრაპები). ამრიგად ეს მოხელე ერისთავები ჰევების ტრადიციების წარმომადგენელნი არიან ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით საჯარო ხელისუფლების მატარებელნი ადგილზე (საქვეყნოდ გამრიგენი).

შესანიშნავია ეს ტერმინი „საქვეყნოდ გამრიგენი“! თითქო შუქი მიადგა ტერმინს „ს ა ქ ვ ე ყ ნ ო დ“: ამ ტერმინში სწორედ ის „ქ ვ ე ყ ა ნ ა“ იგულისხმება, რომელმაც ჰევი, როგორც ერთეული, შეცვალა: გ ა ე რ თ ი ა ნ ებ უ ლ ჰ ე ვ ებ ს, ა ხ ლ ა უ კ ვ ე ს ა ე რ ი ს თ ა ვ ო ებ ს, ტ ე რ მ ი ნ ი ჰ ევ ი ვ ეღ არ შ ეწ ვ და და ის „საერისთავო ქვეყანამ“ შეცვალა (ეს უკვე ა ხ ა ლ ი ქ ვ ე ყ ა ნ ა ი ყ ო). შემდეგ ეს ტერმინი „საერისთავო ქვეყანა“ (ისევე როგორც „სამეფო ქვეყანა“: საერისთავო ქვეყანაც ხომ მყარი ერთეული იყო სამეფო ქვეყანასავით მთელი ფეოდალური ურთიერთობის სიგრძეზე!), ხან „საერისთავოდ“ გამოითქმოდა (შდრ. სამეფო) ხან კი ქვეყანად....

ამრიგად მივიღეთ, რომ სახელმწიფო წყობისათვის ვითარება ჰევებში შემზადდა... მაგრამ ეს პროცესი ისე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქო ს ა ე რ ი ს თ ა ვ ო ებ ი სახელმწიფოებად ჩამოყალიბდა (ჰევთა გაერთიანების შედეგად), ის შემდეგ ერთმა რომელიღაც საერისთავომ შეკრიბა და სამეფოს სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად აქცია, არამედ ისე, რომ ეს ყველაფერი ერთ დროს და ერთიმეორის პარალელურად და ერთიმეორესთან კავშირში ხდებოდა. ასე რომ გადმოცემა (ლეონტი) იმ მხრით მართალია, რომ (ფარნავაზიანთა) ს ა მ ე ფ ო ს გ ა ჩ ე ნ ა და ს ა ე რ ი ს თ ა ვ ო ებ ი ს შ ე ქ მ ნ ა ე რ თ ი დ რ ო ი ს მ ო ვ ლ ე ნ ე ბ ი ა. თითოეული გაერთიანება ჰევებისა ი ჩ ე ნ ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო დ გ ა დ ა ქ ც ე ვ ის ტ ე ნ დ ე ნ ც ი ა ს. ყველაზე დაწინაურებულ გაერთიანებაში სხვადასხვა ხელშემწყობი პირობების შედეგად ტეხილი ხდება, — სახელმწიფო წარმოიქმნება.

ეს ორგანიზაცია იპყრობს სხვა ასეთივე ტეხილის ზღვარზე მდგომ ორგანიზაციებს და ე რ ი ს თ ა ვ ებ ი ს გ ა მ ა რ ჯ ვ ებ ა ს ჯერ კიდევ თემურ ხევთა გაერთიანებაზე ხ ე ლ ს უ წ ყ ო ბ ს. შდრ. ბიბილური, ღუდუშაური და სხვადასხვა.

ასე რომ ყოვლად ისტორიულად გამოიყურება ცნობა, რომ მცხეთელმა მეფემ „კასპი შეიპყრო და უფლისციხე განაგო“, რამ ეს ცნობა ჩვენ შეგვიძლია სანიმუშოდ ჩავთვალოთ (ბევრ-ერთ შემთხვევით შემონახულ ცნობად დიდი პროცესისა) და მცხეთის სამეფოს გავრცელება სხვა ქვეყნებშიაც ასევე ვივარაუდოთ. ასე მოხდა „ქართლად“ გადაქცევა მთელი იმ დიდი ქვეყნისა, სადაც მცხეთა — ქართლის მეუფე მამასახლისის (მეფის) ჯელი გავრცელდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ მთელ ქვეყანას „ქართლი“ მხოლოდ მისი ერთ სახელმწიფოდ გადაქცევის შედეგად ეწოდა და მანამდე აქ არსებული ჯევთა გაერთიანებანი, მეტ-ნაკლებად დიდსა თუ მცირე ტომებად საკუთარს, ინდივიდუალურ სახელებს ატარებდნენ (კახები, კუხები, კლარჯები, ვიტერუხები, შავშები, ჯავახები...). ეს ფაქტია არეკლილი ლეონტის ლეგენდაში მცხეთოსის, მისი ძმებისა და შვილების შესახებ. აქ, როგორც ვნახეთ, ყურადღება მიექცა მეტად მნიშვნელოვან ფაქტს ქართული (და საერთოდ) სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხში: ქართლის სამეფოს წარმოქმნა ეს იყო ხევებში განვითარებული ურთიერთობის ნიადაგზე წარმოქმნილი კლასობრივი ორგანიზაცია, გაბატონების გზაზე მდგარი კლასის ორგანიზება: მცხეთელი რომ კასპელს „იპყრობდა“, ის მის (კასპელის) გაბატონებას ჯევებში (საერისთავოში) ხელს უწყობდა. მხოლოდ ასეთი გაერთიანება შეიძლება აღმოჩენილიყო მტკიცე, არამექანიკური და არაშემთხვევითი. ასე რომ ერისთავს (სათრაპს) სამეფო სჭირდებოდა, მაგრამ, მეორეს მხრით, ის, თავის ქვეყნის „ტრადიციებსაც“ უფრთხილდებოდა, როგორც თავის საყრდენ სიმტკიცეს გაძლიერებული ხელმწიფის წინააღმდეგ. (მ—2, 4. ფურც. 19—22).

[სოფელი]

მარკოზ, 8_{27}

1.

ДЕ	С
„და გამოვიდა იესუ და მოწაფენი მისნი დაბნებსა მას კესარია ფილიპჩასასა და მგზავრ კითხგდა მოწაფეთა თჳსთა ეტყო-	„და გამოვიდა იესუ და მოწაფენი მისნი სოფლებსა მას კესარიაჲსა ფილიპჩასასა და ჰკითხჳდა მგზავრ მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა: რაჲ თქჳან ჩემ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და: რა თქვან კაცთა ჩემთჳს ყოფაჲ?

თჳს კაცთა, ვითარმედ: ვინ გარ მე?

სოფლები—დაბნები ეს კარგი მოწმობაა. (მ—2, 5. ფურც. 31).

ლუკა, 8_{37}

2.

ДЕ	С
„და ევედრებოდეს მას ყოველი იგი სიმრავლჱ გარემოჲს სოფლებისა მის გერგესეველთაჲ, რაჲთა წარვიდეს საზღვრისაგან მათისა“...	„და ევედრებოდა მას ყოველი იგი სიმრავლე სოფლებისაჲ მის გერგესეველთაჲ, რაითა წარვიდეს საზღვართაგან მათთა“.

გერგესეველთა გარემო სოფლები. აქ სოფლები უფრო დაბნებია ვიდრე ქვეყნები.

საზღუარი... (მ—2, 5. ფურც. 29).

იოვანე, 11_{54}

3.

ДЕ	С
„ხოლო იესუ არღარა განცხადებულად ვიდოდა ჰურიათა შორის, არამედ წარვიდა მიერ სოფელსა, მახლობელად უდაბნოჲსა ქალაქსა, რომელსა ჰრქჳან ეფრემ და მუნ დაადგრა მოწაფეთა მისთა თანა“.	„და იესუ მიერთაგან არღარა ცხადად იქცეოდა შორის ჰურიათა მათ, არამედ წარვიდა მიერ ქუეყანასა ერთსა, რომელ მახლობელ იყო უდაბნოსა ქალაქსა ერთსა, რომელსა ერქუა ეფრაიმ, და მუნ იქცეოდა მოწაფითურთ“.

სოფელი მახლობლად ქალაქის;

„სოფელი — ქუეყანა“ (მ — 2.5. ფურც. 27)

მათე, 13_{38-41}

4.

ДЕ	С
„ხოლო აგარაკი იგი ესე სოფელი არს; თესლნი იგი კე-	„აგარაკი არს ესე სასუფეველი; ხოლო კეთილი იგი თეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თილნი ესენი არიან ძენი სასუფეველისანი, და ღუარძლნი იგი არიან ძენი უკეთურებისანი.	ლი ესე არიან ძენი სასუფეველისანი, და ღუარძლი იგი არიან ძენი უკეთურისანი.
ხოლო მტერი იგი, რომელმან დასთესა იგი, ეშმაკი არს; და მკაჲ იგი აღსასრული არს ამის სოფლისაჲ; და მუშაკნი იგი არიან ანგელოზნი.	და მომკალნი იგი ანგელოზნი არიან.
ვითარცა — იგი შეკრიბიან ღუარძლი და ცეცხლითა დაწვან, ეგრეთ იყოს აღსასრული ამის სოფლისაჲ.	იმეორებს.
რამეთუ მოავლინნეს ძემან კაცისამან ანგელოზნი თჳსნი და შეკრიბნეს სოფლისაგან თჳსისა ყოველნი საცთურნი და მოქმედნი უშჯულოებისანი".	რამეთუ მოავლინნეს ძემან კაცისამან ანგელოზნი თჳსნი და შეკრიბნეს სუფევისაგან მისისა ყოველნი საცთურნი და მოქმედნი უშჯულოებისანი".

თითქო C-ს სოფელი ესმის სასუფეველად (ე. ი. მისი პირვანდელი მნიშვნელობით?). „სოფელი" ნიშნავდა იმ ადგილს, სადაც ვისიმე უფლება ვრცელდებოდა: საუფელ-ი. მის გვერდით იყო სუფევა. სოფელში უფლების მომენტი მინელდა და წინ წამოდგა ქვეყნის მომენტი. საჭირო გახდა ახალი ტერმინი უფლების მომენტით და გაჩნდა სასუფეველი... (მ—2, 5. ფურც. 58).

5. ევსტათი, 35_{24}

ევსტათი ეუბნება მარზპან ვეჟან ბუზმირს: „მე ვიყავ ქუეყანისა სპარსეთისაჲ, ჴევისა არმაკეთისაჲ, ქალაქისა განძაკისაჲ".

ქუეყანა სპარსეთისა — სოფელი სპარეთისა (31_{34}).

ავტორი არ ასხვავებს ერთიმეორისაგან ქუეყანასა და სოფელს.

ქვეყნის უფრო მცირე ერთეული — ჴევი (მ—2, 5. ფურც. 24).

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ევსტათი, 36_{24}

სამოელი მოუთხრობს ევსტათის: „კაცი ერთი იყო უბანელ ღმრთის მოყუარე სოფელსა სპარსთასა და ქალაქსა ბაბილონელთასა“, გამოეცხადა მას ღმერთი და უთხრა „გამოვედ შენ მაგიერ ქუეყანით და წარგიყუანო შენ სხუად ქუეყანად და განგამრავლო შენ“... „და გამოვიდა აბრაჰამ ქუეყანისა მისგან ქალდეველთაჲსა და მოვიდა ქუეყანად შუა მდინარედ ქალაქად ქანანდ... მერმე ცვალა იგი მუნით და მოიყვანა იგი ქუეყანად ქანანისად“...

შესაძლებელია სოფელი სპარსთა სწორედ მისი უძველესი გაგებით იყოს — საბრძანებელი...

იგივე სოფელი მეორე წინადადებაში აღნიშნულია ქუეყანად „მაგიერ ქუეყნით“. აქედან ისა ჩანს, რომ „სოფელი“ იგივე „ქუეყანაა“, თუმცა სხვადასხვა თვალსაზრისით: ერთია საბრძანებელი სასუფეველი, მეორეა მიწა-წყალი; პირველში უფლების მომენტია ასახული მეორეში ამ უფლების ობიექტი.

წარმოშობით (პრინციპულად) „ქვეყანა“ და „სოფელი“ ერთი ხნისანი არიან. რამდენადაც (და როცა) ჩნდება ქვეყანა, ე. ი. სამეურნეო მიწა-წყალი, რომელსაც ესა თუ ის საზოგადოება — ადამიანთა წარმოებითი კოლექტივი — აითვისებს, იმდენადვე (და იმავე დროს) ჩნდება „სოფელი“ (—ამა თუ იმ საზოგადოების ქვეყანა, დაჩემებული ქვეყანა, ამ საზოგადოების უფლებაში მყოფი ქვეყანა, მისი სასუფეველი, მისი „საბრძანებელი“). რა ურთიერთობაშია ერთიმეორესთან სოფელი და სასუფეველი? უკანასკნელი, ცხადად ჩანს, წარმოსდგება სუფევა ფუძისაგან. სოფლის ფუძე ითქო არის სოფ (ელ დეტერმინატივი სუფიქსია), რომელიც დაიშლება ს პრეფიქსად და უფ ძირად ს-უფ-ე-ლ-ი (ჩიქობავა, 225) (თუ სა-უფ-ელი?). ასე რომ სოფელი და სუფევა ერთი და იგივე ფუძიდან (სა უფ — სოფ, სუფ) ამოდიან და ძირიც ერთი აქვთ — უფ, სა-სუფ ევ-ე ლ-ი... (მ—2,5. ფურც. 26).

7. ევსტათი, 39_{8}

სამოელი მოუთხრობს ევსტათის სახარებას: „ხოლო ქრისტემან მიჰრიდა მათ გარეს ოფლებსა და დაბნებსა იქცეოდა... და განვიდოდა დაბასა ერთსა... მერმე განვიდოდა დაბასა ერთსა... და შევიდა დაბასა ერთსა...“ და მოთხრობილი აქვს სასწაულებზე, ქრისტე რომ შვრებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ უკვე სოფლები და დაბანები თითქო ერთი და იმავე მნიშვნელობით არიან ნახმარი, თუმცა, უნდა ვიფიქროთ, რაღაც განსხვავება იყო მათ შორის...

ჩანს, ორივე ეს სულ სხვადასხვა წარმოშობის ტერმინი შინაარსით ისე დაახლოებიან ერთმანეთს, რომ განსხვავება მათ შორის არც ისე ადვილი იყო თვით ამის დამწერისათვის.

ასევე დაემართა „სოფლის“ მიმართ „ქუეყანასაც“, რომელიც წარმოშობით იგივეა, რაც დაბა.

ქვეყანა, დაბა { სოფელი (მ—2,5. ფურც. 54).

Ხ. ᲰᲐᲑᲝ, 57_{25}

ᲰᲐᲑᲝᲡᲐᲝ ᲥᲐᲠᲗᲚᲨᲘ „ᲔᲨᲘᲜᲝᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲞᲧᲠᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲐᲛᲐᲗ ᲖᲔᲓᲐᲛᲓᲒᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲩᲣᲔᲜᲗᲐ ᲡᲐᲠᲙᲘᲜᲝᲖᲗᲐᲒᲐᲜ“.

ᲐᲠᲐᲑᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲞᲧᲠᲝᲑᲔᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ.

ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲒᲔᲑᲘᲗ (მ—2,5. ფურც. 40).

9. ᲰᲐᲑᲝ, 62_{18}

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲥᲐᲠᲗᲚᲨᲘ, ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲰᲐᲑᲝ ᲡᲐᲛ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲡ „ᲘᲥᲪᲔᲝᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲡᲐ ᲛᲐᲡ ᲨᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲫᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲡᲐ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲡᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲔᲓ“...

ᲣᲔᲭᲕᲔᲚᲘᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘ ᲐᲥ ᲔᲡᲛᲘᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲐᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲗᲐᲜ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ, ᲡᲝᲤᲔᲚᲘ — ᲓᲐᲑᲐ (მ—2,5. ფურც. 41).

10. ᲰᲐᲑᲝ, 76_{15}

„ᲐᲬ ᲛᲝᲕᲔᲓᲘᲗ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ — ᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲔᲜᲝ ᲓᲐ ᲕᲓᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝᲑᲓᲔᲗ ᲯᲡᲔᲜᲔᲑᲐᲡᲐ ᲐᲮᲚᲘᲡᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲬᲛᲘᲓᲘᲡᲐ ᲛᲝᲬᲐᲛᲘᲡᲐᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲡᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲡᲐ ᲩᲣᲔᲜᲡᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐᲡᲐ ᲛᲔᲝᲮᲐᲚ ᲩᲣᲔᲜᲓᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲛᲐᲜ ᲛᲝᲒᲣᲐᲜᲘᲭᲐ“...

ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ.

ᲔᲡᲔᲕᲔ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ ᲮᲛᲐᲠᲝᲑᲡ „ᲥᲣᲔᲧᲐᲜᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ“ (61_{12}).

ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲩᲐᲜᲡ, ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲮᲔᲓᲐᲕᲡ თუ არა ავტორი განსხვავებას

ამ ორ ტერმინს შორის: ქუეყანა და სოფელი, ან, თუ ხელავს, რაშია ეს განსხვავება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთია თითქო უდავო: მათი წარმოშობა. ერთი ადის ყანისაგან (ჩიქობავა... სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 23; ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 139), მეორე თითქო—ფ (საუფელი, სოფელი?). პირველი აგროტერმინია, მეორე პოლიტიკური ტერმინია. სემასიოლოგიური განვითარების გზით, საუკუნეთა მანძილზე ისინი ერთი მეორეს დაუახლოვდნენ გაუიდენტივდნენ (ქვეყანა — მიწა, ნიადაგი, დამუშავებული — დათესილი მიწა — აგარაკი —... მხარე) სოფელი — დაბა. საუფელი — მხარე. (ყოველი სოფელი — ყოველი ქუეყანა) (მ—2,5. ფურც. 43).

11. სერაპიონი, 343_{28}, 344_4

„...იყო კაცი იგი ადგილისაგან მცირისა, რომელსა ძარღუას სოფელ ეწოდების...

და ვითარცა წარვიდა კაცი იგი სოფლად თჳსსა, იცნეს იგი კაცთა და მეგობართა, და განჰკრთეს... (რომ შემონაზონებულაო და) უთხრეს ესე უფალსა მისსა, რამეთუ იყო კაცი იგი საჴმარ და მსრბოლ გზათა შორთა“.

ეს ძარღუას სოფელი მცირე ადგილია. ასე რომ „სოფელი“ განუსაზღვრელად მთელ ხილულ სამყაროსაც ეწოდება (341_6—346_{45}) და მცირე ადგილსაც და ეს ერთსა და იმავე ავტორთან. ადამიანი ცხოვრობს „თავის სოფელში“. მაშ „სოფლები“ მრავალია...

„ძარღუას სოფელი“ სხვა ფიქრის აღმძვრელი შეიძლება იყოს: თუ ძარღუას საკუთარ სახელად გავიგებდით, მაშინ ეს ისეთივე ნაწარმოები გამოვა როგორც „კირაკოზას სოფელი“ (და სხვა ასეთები გვიანფეოდალურ ხანაში...) ე. ი. ძარღუას საბრძანისი, ძარღუას საკუთრება. მაგრამ განა შეიძლებოდა იმ დროს ასეთი რამ?... (მ—2,5. ფურც. 51).

12. სერაპიონ, 346_{14}

„ხოლო იყო კაცი იგი დაბისაგან ბობღა წოდებულისა“.

იქ, ზემორე, „ძარღუას სოფელი“ — „მცირე ადგილი“, აქ დაბა ბობღა.

რა განსხვავებაა იმ სოფელსა და ამ დაბას შორის?

ვფიქრობ, არაა განსხვავება, ოღონდ სოფელი შეიძლება იყოს განუსაზღვრელად დიდი და მცირეც, ხოლო დაბა ასეთ სიტყვად ვერ დაიჩემებს. წარმოშობით ხომ სულ სხვადასხვა მომეტიდან ამოდიან: დ ა ბ (მიწა, აგარაკი), მცირე დასახლება.

სოფელი კი: სუფევის ობიექტი, საუფელი (?), საბრძანებელი... (მ—2,5. ფურც. 52).

13. მერჩულე, 269_{35}

„მისცა ღ-ნ ჭელმწიფებაჲ მორწმუნეთა მეფეთა აღშენებად საყდართა საეპისკოპოსოთა და ქალაქთა სოფლებითურთ და ყოველსა ერსა ზედა მთავარ ყვნა“...

„...царям Бог дал власть строить церкви в епископских резиденциях, городах и с е л а х и поставил их начальниками над всем народом (букв. воинством).

ქალაქი და с о ф е л и;

с о ф е л и а ქ აწინდელი გაგებით არის ნახმარი, დაბის შესატყვისობით (მ—2,5. ფურც. 13).

14. მერჩულე, 281_{29}

„ხოლო იყო ნეტარი მიქელ ქ უ ე ყ ა ნ ი ს ა შავშეთისა с о ф л и с а ნორგიალისაჲ“...

„Блаженный Михаил происходил из села Норгиала области Шавшети“...

ქ უ ე ყ ა ნ ა შ ა ვ შ ე თ ი ს ა;
с о ф е л и აწინდელი გაგებით (მ—2,5. ფურც. 19).

15. მერჩულე, 300_{33}

გრიგოლი მიმართავს ფებრონიას და სხვა მონაზვნებს: „ქრისტჱს მოყუარენო წესთა მათ ამის с о ф л и с а თ ა მძლე-ქმნულნო“....

с о ф е л и მისი უძველესი გაგებით.

მერჩულე, $ჲბ_{4}$

გრიგოლის მოწაფენი იყვნენ იერუსალიმს „სასწაულთა მოქმედნი, მეძიებელნი с а с უ ფ ე ვ ლ ი ს ა ნ ი და მეოტნი დიდებისაგან ამის с о ф л и с а ჲ ს ა“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა ს უ ფ ე ვ ე ლ ი.

ს ო ფ ე ლ ი — მისი უძველესი გაგებით.

ს ო ფ ე ლ ი — вселенная (მ—2,5. ფურც. 221)

16. მერჩულე, 310_{16}

გრიგოლი ილოცვიდა: „უფალო ჩემო იესუ ქრისტე ღმერთო, უწინარეს ქ უ ე ყ ა ნ ა დ მოსვლისა შენისა ს ო ფ ე ლ ს ა შინა იყავ და აწ ცათა მყოფი... ჩუენ თანა ხარ შეწევნად ჩუენდა! შენ, უფალო, მოწყალებით მომიძეღუ მე ქ უ ე ყ ა ნ ა თ ა ამათ, სამთა თანა მოყუასთა კეთილთა მღდელთა“...

ქ უ ე ყ ა ნ ა — земля

სოფელი — вселенная

ქუეყანა — край, страна.

და ეს ერთ წინადადებაში! (მ—2,5. ფურც. 217).

17. ის გარემოება, რომ სიტყვა თ ე მ ი ჩვენში ქ ვ ე ყ ა ნ ა ს ა ც ნიშნავს და община-საც (თითქო ამასვე ნიშნავს ს ო ფ ე ლ ი ც) უნდა იმას მოწმობდეს, რომ იმ დროს როცა ჩვენში ეს სიტყვა (თემი) შემოვიდა, ჯერ კიდევ თემური წყობილება ბატონობდა...

როგორც ჩანს, პირველად ს ო ფ ე ლ შ ი ც ასეთი община (мир) იგულისხმებოდა და ეს ასე იყო მაშინაც კი, როცა უფრო გვიან სოფელი ქვეყანამ შეცვალა. შეიძლება თვით ეს შეცვლაც „სოფლისა“ „ქვეყნით“ იმ ნიადაგზე მოხდა, რომ სოფელმა დაკარგა мир-община-ს ხასიათი, ის კერძო მესაკუთრისა შეიქნა, თუ კერძო მესაკუთრეებისა შეიქნა და ზოგადის мир-ის მნიშვნელობა ქვეყანამ დაიჩემა...

ერთი სიტყვით, ამ ტ ე რ მ ი ნ ებ ს ჩაკვირვება სჭირდება... (მ—2,5. ფურც. 11).

18. ქ ^ცა, ლეონტი, 60

ქართველთა და სომეხთა მიერ შევიწროებულმა „მეფემან სპარსთამან, სავსემან მწუხარებითა, მოუწოდა მთავართა ს ო ფ ლ ე ბ ი ს ა თ ა პიტიახშთა და ერისთავთა ს ო ფ ლ ე ბ ი ს ა თ ა და ყო განზრახვა...“

ს ო ფ ლ ე ბ ი (ძ ვ ე ლ ი გ ა გ ე ბ ი თ: ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი):

მოსალოდნელი იყო, რომ ლეონტი იტყოდა მთავართა ქუეყ-ნებისათა და ერისთავთა ქუეყნებისათა ერისთავი თითოეულ ასეთ საგამგეოს ქვეყანას უწოდებს. ჩანს, ძველი გამოთ-ქმა ჯერ კიდევ ცოცხალია... (მ—2,5. ფურც. 20).

19. ასე რომ, მეტად ხშირია „სოფლისა“ და „ქუეყანის“ ერთი-მეორის შესატყვისობით ხმარება და არ ხერხდება იმის უცილობელი დადგენა, რომ ტერმინი „სოფელი“ უფრო ძველია როგორც მოსახ-ლეობის ერთეულის აღმნიშვნელი. მეტიც შეიძლება ითქვას: თუ „სოფელი“ მართლაც ფლობის მომენტს უკავშირდება, ის უფრო გვიანიც კი უნდა იყოს ქუეყანაზე, მაინც და მაინც სოფელი, რო-გორც მოსახლეობის ერთეული, ქვეყანაზე უფრო ადრინდელი არ შეიძლება იყოს...

ასე რომ ფაქტების (მაგალითების) აღნუსხვა აქ საქმეს არ უშ-ველის, როგორც ჩანს.

უფრო არსებითი იქნებოდა ქვეყანა და სოფელი ტერმინების ეტიმოლოგიების დადგენა (მ—2,5. ფურც. 44).

20. „სოფელი“ და „დაბა“ ტერმინები ნაგვიანევია. „სოფელი“ (თუ საუფელისაგან არის ნაწარმოები) ისეთ საფეხურს გულის-ხმობს, როცა ესა თუ ის მიწა, ქვეყანა ვისმესგან არის დამოკიდებუ-ლი, ვისმეს „მფლობელობაშია“. საუფელი უნდა მცირე ერ-თეულს შერქმეოდა და მხოლოდ შემდეგ უნდა ქცეულიყო ის საერთოს აღმნიშვნელად. შემდეგ მისი შინაარსი კვლავ დავიწრო-ებულა. თვით ტერმინი სოფელი, რომელიც V—VI საუკუნე-ში უეჭველად დამოწმებულია, უდავოდ გვიმტკიცებს, რომ მიწის, ქვეყნის მფლობელობა V ს-ის წინა დროშიც არსებობდა. სხვა საქ-მეა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ხასიათი იმ მფლობელობისა, როგორი უფალი იყო სოფლის მფლობელი...

თითქო დაბაც (თუ ის „დაბ“ — „მიწა“-საგან არის) ისეთ საფეხურს გულისხმობს, როცა ის ვისმე მფლობელობაშია (ვისი „მიწა“). დაბა და აგარა წარმოშობით ერთიმეორეს მსგავსია (ოღონდ ესაა, რომ აგარაჲ უფრო გვიან გაჩენილა), ალბათ მაშინ როცა დაბა დასახლებული მიწის აღმნიშვნელი გახდა. „დაბა“ თავ-დაპირველად „მიწას“ ნიშნავდა (შდრ. „დაბალი“). ეს დაბა (მიწა) ვისიმე იყო, რომელიმე გვარის (ქორის, დათვის, მელის, ჩხიკვის, ლომის). შემდეგ ეს დაბა დასახლდა და სახელიც საკუთარი შეერ-ქვა. ასეთი განსაკუთრებული მიწის აღმნიშვნელი ამიერიდან აგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჲ შეიქმნა, რომელიც აგრეთვე დასახლდა („აგარანი“) და თუმცა „სოფლის“ ზოგადი მნიშვნელობა ვერ მიიღო (ჩანს „დაბის“ ბარ-მოშობა, ვითარცა სოფლის, უფრო სხვა პირობებში მიმდინარეობდა, უფრო ინტენსიური იყო? თემური იყო?...), სამაგიეროდ საზაფხულო ადგილის ზოგადი მნიშვნელობა დაიმკვიდრა. „სოფელი აგარაჲთა“, სოფელი ორითა თუ მეტი „აგარაჲთა“ მოწმობს, რომ ეს აგარაები ამა თუ იმ სოფლის საერთო საკუთრებაა. მაგრამ ქართველურ დაბას ქართულივე ქ ვ ე ყ ა ნ ა (=მიწა) შეენაცვლა, რომელიც „ყანის“ სახით გვიანაც მიწის შესატყვისობით იხმარებოდა (ნ ა ს ყ ი დ ე ვ ს ა ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა ზ ე დ ა) (მ—2,5. ფურც. 5).

[ქ ვ ე ყ ა ნ ა, ს ა ზ ღ ვ ა რ ი, ს ა ბ რ ძ ა ნ ი ს ი]

1. მათე, 2_{23}

Д	С
„მივიდა და დაეშენა ქუეყანასა, რომელსა ჰრქჳან ნაზარეთ“...	„და მოვიდა და დაეშჱნა ქალაქსა მას, რომელსა ჰრქჳან ნაზარეთ“.

ნაზარეთი ქალაქი.

ნაზარეთი ქუეყანა.

ქუეყანა=მხარე (მ—2,5, ფურც. 100).

2. მათე, 10_{15}

ДЕ	С
„ამენ გეტყჳ თქუენ: უმოლხინეს იყოს ქვეყანაჲ იგი სოდომისაჲ და გამორისაჲ დღესა მას სასჯელისასა. ვიდრე ქალაქი იგი“.	„მართლიად გეტყუ თქუენ: ულხინულეს იყოს ქუეყანაჲ სოდომისაჲ და გამორისაჲ დღესა სასჯელისასა, ვიდრე ქალაქი იგი“.

ქალაქები სოდომი და გომორი — ქ უ ე ყ ა ნ აჲ (მ—2,5. ფურც. 99).

3. ჰაბო, 46_8

ჰაბომაო „იმარტჳლა მეოხად ქრისტჱს მიმართ ჩუენდა და ყოვლისა ამის ს ო ფ ლ ი ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა ქ ა რ თ ლ ი ს ა თ ჳ ს“. 49_{29} „...რომელნი — ესე ვართ ყ უ რ ე ს ა ა მ ა ს ქ უ ე ყ ა ნ ი ს ა ს ა, სასტიკებისაგან და სივერაგისა, მანქანებითა მით საცთურებისაჲთა ზედამდგომელთა ამათ ჩუენთა მფლობელთა ამის ჟამისათა, ზაკულებითა, მოძღურებისაჲთა, თჳთ თავით თჳსით შჯულის — დებისაჲთა, განდგომილთა ქრისტჱსაგან მრავალნი შეაცთუნნეს და გარდადრიკნეს გზისაგან სიმართლისა“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შდრ. აქვე 56_4: „ქვეყანასა ამას ქართლისა“.

აქ სოფელი და ქვეყანა ერთი შინაარსი ნი არიან (მ—2,5. ფურც. 118).

4. ჰაბო. 54_{12}

ქრისტესო „ქუეყანა ეწოდა, ვითარცა თქუა დავით: „ქუეყანამან გამოსცა ნაყოფი თჳსი, მაკურთხენინ ჩუენ, ღმერთო, ღმერთო ჩუენო!“ ჴეშმარიტად ქუეყანისა დამბადებელი იგი ქუეყანად მოვიდა და ქუეყანით მიწისაგან შექმნულთა მათგან მიწისა ბუნებისა იგი ჯორცნი, ვითარცა შუენიერი ჯეჯილი, აღმოსცენდა ქუეყანით და ნაყოფად გამოიხუნა წმიდანი თჳსნი მოციქულნი და მოწამენი და მართალნი, და დაწყეული იგი ქუეყანაჲ ნაყოფითა კურთხევისაჲთა აღავსო“.

შესანიშნავი მაგალითია. ქუეყანა ამ ერთ წინადადებაში მყარიც (твердь) არის (მიწა-წყალი) და ისიც, რასაც ეს ქვეყანა წარმოსცემს მცენარიდან ვიდრე ღმრთის მიერ „მიწისაგან შექმნულ“ ადამიანამდე (მ—2,5. ფურც. 68).

5. ჰაბო, 56_3

ხალიფამაო „შესმენითა ბოროტთა კაცთათა საპყრობილესა შეაგდო მან ნერსჱ, ერისთავი ქუეყანისა ამის ქართლისა“....

აქ უკვე ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ქუეყანა იმასვე ნიშნავს, რაც 46_9 „სოფელი“ — „სოფლისა ჩუენისა ქართლისათჳს“.

საბანისძე ერთიმეორის შესატყვისობით ხმარობს ამ ორ ტერმინს. ქვეყანა ნიშნავდა: მიწა, ჯმელი, ნიადაგი, მიწა-წყალი, დედამიწა; სოფელი ნიშნავდა: სამფლობელო სამეუფეო ქვეყანა; ალბათ იყო საუფელი ქვეყანა. ასე რომ სოფელი ქვეყნის განმარტებაა.

„ყანა“ და „ქუეყანა“, რა თქმა უნდა, უფრო უწინ უნდა არსებულიყო ვიდრე „სოფელი“; ხომ შეიძლება ყოფილიყო ქვეყანა და ის სოფელი არ ყოფილიყო (მ—2,5. ფურც. 119).

6. ჰაბო, 56_{25}

ჰაბომაო „ამიერ ჩუენდა სოფლად გამოსლვაჲ იგი არა თუ თჳთ თავით თჳსით განიზრახა, არამედ ვითარცა იგი უფალმან ჰრქუა ნეტარსა მას აბრაჰამს მასვე ქუეყანასა შინა ქალ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ე ვ ე ლ თ ა ს ა, ვითარმედ გამოვედ ქ უ ე ყ ა ნ ი ს ა გ ა ნ შენისა და ნათესავისაგან შენისა და სახლისაგან მამისა შენისა და მოვედ ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა მას, რომელი მე გიჩუენო შენ".

ქალდეველთა ქ უ ე ყ ა ნ ა. „ჩუნდა სოფლად", ე. ი. ქართლად.

აქაც ე რ თ ი მ ე ო რ ი ს შ ე ს ა ტ ყ ვ ი ს ო ბ ი თ ხ მ ა ر ო ბ ს ტ ე რ მ ი ნ ებ ს „ქ უ ე ყ ა ნ ა" და „ს ო ფ ე ლ ი" (მ—2,5. ფურც. 121).

7. ჰაბო, 58_{19}

ხაზარეთშიო „მრავალ არს ქალაქები და ს ო ფ ლ ე ბ ი ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა მ ა ს ჩ რ დ ი ლ ო ჲ ს ა ს ა, რომელნი სარწმუნოებითა ქრისტჱსითა ცხონდებიან უზრუნველად".

ცხადია, ეს „ს ო ფ ე ლ ი არის დ ა ბ ა, ხოლო ეს „ქუეყანა", სადაც მრავლადაა ქალაქები და სოფლები ის ქვეყანაა, როგორც ჩვენ დღეს გვესმის = მ ხ ა რ ე (მ—2,5. ფურც. 123).

8. ჰაბო, 59_{3}

ნერსე ხაზარეთზე წამოვიდა. „განვლეს ქუეყანაჲ იგი წარმართთაჲ, რომელთა ყოლადვე არა იციან ღმერთი... და ვითარცა მიიწინეს იგინი ქ უ ე ყ ა ნ ა დ ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ა, მ თ ა ვ ა რ მ ა ნ მ ი ს ქ უ ე ყ ა ნ ი ს ა მ ა ნ შეიწყნარა ნერსჱ ყოვლით ერით მისითურთ".

ქ უ ე ყ ა ნ ა ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ა; მ თ ა ვ ა რ ი ქ უ ე ყ ა ნ ი ს ა.

იმისათვის, რომ გამოთქმა „ქუეყანა აფხაზეთისა" გაჩენილიყო, უნდა არსებულიყო „ა ფ ხ ა ზ ე თ ი" ცალკე და ქ უ ე ყ ა ნ ა ცალკე. აფხაზეთი თითონ არის წარმომდგარი **ა ფ ხ ა ზ ე თ ქ უ ე ყ ა ნ ი ს ა გ ა ნ**, ე. ი. აფხაზთა ქუეყანისაგან, აფხაზთა მხარისაგან. ჩანს, აფხაზეთს დიდი ხანია მოსცილდა „ქუეყანა" და ის „აფხაზეთი" არსებით სახელად იქცა ზედშესრულისაგან. ეს პროცესი, სავარაუდოა, დიდი ხანია მოხდა ქართულ მეტყველებაში, ე. ი. „ქუეყანა" ქართულ აზროვნებაში დიდი ხანია წმინდა საგეოგრაფიო ცნებად იქცა.

აფხაზეთი — აფხაზეთ (აფხაზთა) მიწა-წყალი, მხარე („ქვეყანა"). ქუეყანა აფხაზეთისა — აფხაზეთის მიწა-წყალი, მხარე.

მეტად შორსაა წასული გეოგრაფიული აზროვნების განვითარება მისი პირველადელი მნიშვნელობიდან („მიწა“).

ასევეა ყველა იმ შემთხვევებშიაც: ქუეყანა ჰერეთისა, ქუეყანა ქართლისა...

რა მიმართებაშია (ჰერ) ეთ ქ ა რ თ ლ თ ა ნ? ქ ა რ თ-ლ-ი ხომ არაა იგივე ქ ა რ თ-ნ-ი? (მ—2,5. ფურც. 124).

9. ჰაბო, 72_{15}

ჰაბო აწამეს, „მაშინ გამოვიდეს და აღიღეს ქუეყანით პატიოსანი იგი გუამი მისი და შთადვეს იგი გუალაგსა მას აღსაკიდებელსა სამოსლით მისითურთ, და სისხლი იგი დათხეული მართლისა მის აღმოთხარეს ქ უ ე ყ ა ნ ი თ და რაჲთურთით არარაჲ დაუტევეს ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა და იგიცა შთადვეს ჭურჭელსა შინა“... მიიტანესო ურმით საგოდებელს და „მუნ გარდამოიღეს იგი ურმისა მისგან და დადვეს იგი ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა“.

აქ ყველგან (ი გ ი ვ ე ა ვ ტ ო რ ი!) ქ უ ე ყ ა ნ ა ს ხმარობს მისი უძველესი შინაარსით = ნ ი ა დ ა გ ი, მ ი წ ა (მ—2,5. ფურც. 130).

10. გობრონი, 175_{25}

ჩამოთვლის სომხეთის ხ ე ვ ე ბ ს, აღნიშნავს მათ ცოდვილიანობას და განაგრძობს: „ამათ ქ უ ე ყ ა ნ ა თ ა ზ ე დ ა განეწყო უფალი რისხვითა გულის-წყრომისა მისისაჲთა“...

ასე რომ, ეს ხ ე ვ ე ბ ი იგივე „ქ უ ე ყ ნ ე ბ ი ა“.

ქ ვ ე ყ ა ნ ა=ხ ე ვ ი, მ ხ ა რ ე (მ—2,5. ფურც. 147).

11. გობრონ, 176_{34}

ყველის ციხესთან „ბრძოლასა მას ფიცხელსა მჯნე იქმნნეს ციხოვანნი იგი და დაჰკოცდეს მბრძოლთა მათ და დაჰყრიდეს ჯოცთა მათთა, ვითარცა სკორესა ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა“.

აქ ქ უ ე ყ ა ნ ა მისი ძველი გაგებით არის და უდრის მ ი წ ა ს.

177_{16}.

ლტოლვილები „აჭარას და შავშეთს შეწყუდეულ იყვნეს, რომელნი ვითარცა მკალნი მოსჭამდეს ფურცელსა ხეთასა და მ წ უ ა ნ ვ ი ლ ო ვ ა ნ ს ა ქ უ ე ყ ა ნ ი ს ა ს ა“.

აქაც ქუეყანა ნახმარია მისი ძველი გაგებით — მ ი წ ა (მ—2,5. ფურც. 146).

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. გობრონ, 178$_5$

„ხოლო მეფეჰ იგი სუმბატ უკუნვიდა კუალად თ ვ ნ ზ ა ვ ე ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა“...

სუმბატი კი იყო აფხაზეთში ლტოლვილი.

აქ უკვე ქ უ ე ყ ა ნ ა დ ჰგულისხმობს ავტორი ს ო მ ხ ე თ ი ს ს ა მ ე ფ ო ს (მ—2,5. ფურც.144).

13. მერჩულე, 257$_1$

ხანძთას აშენებენ მონაზვნები. „და იწყეს საქმედ სენაკებისათჳს ქ უ ე ყ ა ნ ი ს ა დ ა ვ ა კ ე ბ ა დ, რამეთუ კ ლ დ ჰ იგი ხანცთისაჲ უფიცხლეს არს უფროჲს ყოველთა მათ კლარჯეთისა უდაბნოთა“.

ქ უ ე ყ ა ნ ა — მისი უძველესი გაგებით და ეს არა წიგნური გამოთქმაა მერჩულეს პირში, არამედ — ისევე როგორც ზემორე „ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა ზ ე დ ა წ ო ლ ა“ — ჩვეულებრივი სამეტყველო...

Выравнивать з е м л ю (მ——2,5. ფურც. 241).

14. მერჩულე, 257$_7$

ხანძთას აშენებენ. ოპიზელები ეხმარებიან „რამეთუ მას ჟამსა სხუაჲ მონასტერი არა შენ იყო მათ ქ უ ე ყ ა ნ ა თ ა თ ჳ ნ ი ერ ოპიზისა და არცა მსოფლიონი ერისკაცნი ახლვიდეს ახლად შენებისათჳს მათ ქ უ ე ყ ა ნ ა თ ა ჲ ს ა, რამეთუ კლარჯეთს და ტაოთა შინა და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქ უ ე ყ ა ნ ა თ ა მცირედნი იპოვებოდეს დაშენებულ ტყეთა შინა ადგილ-ადგილ“.

შ ა ვ შ ე თ ი, ტ ა ო ნ ი, კ ლ ა რ ჯ ე თ ი „ქუეყნებია“. მარი სამართლიანად თარგმნის აქ ამ ტერმინს К р а й.

სწორედ ამის წინარე წინადადებაში მერჩულე ქუეყანას ხმარობს земля-ს, მ ი წ ი ს, ნ ი ა დ ა გ ი ს მნიშვნელობით (ქუეყანისა დავაკება).

ასე რომ, მერჩულე ორივე ცნებისათვის ერთ სიტყვას ხმარობს (ნ ი ა დ ა გ ი, მ ხ ა რ ე ორივე ქუეყანაა). ოღონდ განსხვავება ისაა, რომ ქ უ ე ყ ა ნ ა=მხარე, იხმარება როგორც მხოლობით, ისე მრავლობით რიცხვში, მაშინ როცა ქუეყანა=ნიადაგი (земля) მრავლობით რიცხვში არ იხმარება (მ—2,5. ფურც. 240).

15. მერჩულე, 263_{24}

ზენონი მისი დის შემრცხვენელს დაედევნა „და ვითარ-ცა დი ქუეყანაჲ ვლო, თქუა გულსა თჳსსა...“

Но проехав большое пространство мысленно сказал:

აქ უკვე ქუეყანა „მანძილის მნიშვნელობისა ჩანს (მ—2,5. ფურც. 235).

16. მერჩულე, 269_{21}

„მონასტერთა მათ შინა არა არს სათიბელი ქუეყანაჲ, არცა ყანაი საჴნავი“...

И нет у тех монастырей ни лугов чтобы косить, ни пашен чтобы жать.

ყანაჲ. საჴნავი, ან კიდევ ყანაჲ სათესავი სხვაა, ვიდრე სათიბელი ქუეყანა; „ყანა“, ამრიგად, განკუთვნებია პურეულის მოსაყვან ნიადაგს, — მაშინ როცა „ქუეყანა“ უფრო ზოგადის მნიშვნელობით რჩება და ნიშნავს მიწას (ქუეყანისა დავაკება, სათიბელი ქუეყანა). სათესავი და საჴნავი არის ყანა, ხოლო დასავაკებელი, ან სათიბელი არის ქუეყანა.

სამეურნეო ტერმინების სპეციალიზაცია (მ—2,5. ფურც. 233).

17. გ—ი მთაწმიდელის ც-ბა 110_2

გიორგი იყოვო „ნათესავით ქართველი, ხოლო მამის-მამეულად ღმრთის-მსახურისა მისგან და ღმრთივ-დაცვულისა ქუეყნისა, რომელსა სამცხე ეწოდების, ხოლო თჳთ ალმოეცენა იგი ქუეყანასა თრიალეთისასა, ვითარცა პირმან საქმისამან გაუწყოს“.

აქ უკვე დასრულებულია პროცესი და ცნება ქუეყანას — მისი აწინდელი მნიშვნელობა აქვს.

თავდაპირველად როგორ წარმოდგა ტერმინი ქუეყანა ჩვენ არ ვიცით. უეჭველია, ის ყანა-საგანაა მიღებული (ასე ფიქრობენ), მაგრამ რაღაა ყანა? ის „მიწაა“ ერთ დროს, მაგრამ საიდან წარმოდგა? („ყანას“ ურთიერთობა „დაბასთან“ როგორია? ორი სხვადასხვა ენობრივი სამყაროდან?...).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენმა წერილობითმა ძეგლებმა იციან როგორც ყანა (ნიკორწმინდის დაწერილი — „ყანა ერთისა გრივისა სათესავი“. „ყანა“ ისეთი მიწა ხომ არ იყო სპეციალურად, რომელიც ითესებოდა? ამას არ მოწმობს „ქუეყანა“, სადაც ყანად ნაგულისხმევია რა გინდა რა მიწა), ისე ქუეყანა. ეს უკანასკნელი თითქო დაპირისპირების შედეგად შექმნილი ტერმინია: ზე-ცა, ქუე-ყანა (შდრ. ზესკნელი ქუე-სკნელი). და იყო ეს ქუეყანა და აღნიშნავდა „მიწას“ (არა თიხას, არამედ ნიადაგს, ადგილს — გრივის სათესავი თიხა ხომ უაზრობაა), მიწის ფართობს. ასე რომ ქუეყანა იმთავითვე შეიძლებოდა ყოფილიყო დიდი და მცირე გვარის ქვეყანა, ტომის ქვეყანა და სხვა და სხვა (მ—2,5. ფურც. 141).

18 გ—ი მთაწმიდელის ც—ბა, 116_3

ბასილი ბაგრატის ძე ხახულელი მონაზონი „მას ჟამსა შინა იყო მოძღუარი და განმანათლებელი ქუეყანისა ჩუენისაჲ“.

აქ უკვე ამ „ქუეყანას“ მიწა-წყალთან რაიმე კავშირი აღარ აქვს და ნიშნავს страна, край, народ (მ—2,5. ფურც. 69).

19. ქ˜ცა I, ლეონტი, 5_{16}

„ხოლო კავკასიათა ჩრდილოთ არა იყო ხუედრი თარგამოსისა, არამედ არცა იყო კაცი კავკასიასა ჩრდილოთ; და უმკჳდრო იყო ქუეყანა იგი კავკასიითგან ვიდრე მდინარემდე დიდად, რომელი შესდის ზღუასა დარუბანდისასა“.

„უმკჳდრო იყო ქუეყანა იგი“. „არა იყო კაცი კავკასიასა ჩრდილოთ“. უდავოდ მოწმობს, რომ ქუეყანა შეიძლება იყოს უმკვიდრო, რომ ქვეყანაზე შეიძლება არა იყოს კაცი, ე. ი. რომ ქუეყანა ნიშნავს ტერიტორიას, მიწა-წყალს. (მ—2, 6. ფურც. 8).

20. ქ˜ცა I, ლეონტი, 6_7

თარგამოსიანებიო „ესე რვანივე ერთობით ჰმონებდეს ნებროთს გმირსა, რომელი იყო პირველი მეფე ყოვლისა ქუეყანისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ კი, ამ „ყოველ ქუეყანაში“ იგულისხმება არა მარტო ტერიტორია, მიწა-წყალი, არამედ ამ ტერიტორიის სახლეობაც.

ასე რომ „ქვეყანა“ შეიძლება იყოს უმკვდრო, უკაცრიელი, უდაბნო და შეიძლება იყოს დასახლებული (მ—2, 6. ფურც. 9).

21. ქ ცა I, ლეონტი, 7_{22}

ნებროთის დამარცხების შემდეგ: „ხოლო შჯდნივე ესე ძმანი წარვიდეს თჳსთჳისად ქუეყანად“...

რაკი თითოეული ასეთი ქუეყანა მტკიცედ შემოსაზღვრულია, ის აღარაა „მხარე“... საზღვარი ქვეყანის განკუთვნების თუ დაჩემების ნიშანია.

შემოუსაზღვრელი ქუეყანა ესაა ყოველი ქვეყანა, შემოსაზღვრული ქვეყანა კი ესაა ყოველი ქვეყნის კონკრეტული ნაწილი, ვისიმე მფლობელობაში მყოფი... (მ—2,6. ფურც 11).

22. ქ ცა I, ლეონტი, 8_4

„ვითარ-იგი განუყო ქუეყანა თარგამოს ნათესავსა მისსა და რვათავე შვილთა მისთა.

და მისცა ქართლოსს ქუეყანა, რომელი ზემო აღვწერეთ: და ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთჳს არაგჳ მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების; არმაზი და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი, და უწოდა მთასა მას სახელი თავისა თჳსისა ქართლი. და ვიდრე აღმართებამდე მუნ-ზედა კერპი არმაზისი ერქუა მთასა მას ქართლი და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი, ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“.

ლეონტი აქ და წინა თავშიც იმ აზრს ავითარებს, რომ ამა თუ იქ ქვეყნის სახელი წარმოდგება ამ ქვეყნის დამაარსებლის (მთავარი ადგილსამყოფელის, ციხის, ქალაქის) სახელისაგან. რა თქმა უნდა, ეს ასე მარტივად არ იყო, როგორც ჩვენს ავტორს წარმოუდგენია, მაგრამ ის პრინციპი კი სწორია, რომ ქვეყანას სახელი შეერქმევა ხოლმე იქ მცხოვრები ადამიანთა კოლექტივის მიხედვით რომ უკაცრიელ უდაბნო ქვეყანას არც სახელი რამ შეიძლება ჰქონდეს...

ქართლის ქვეყანა იმას ნიშნავს, რომ აქ ქართლი კოლექტივი ცხოვრობს და არცაა გამორიცხული, რომ ქართლი გორა იყო, ქართის პირველსაცხოვრისი ამ მხარეში და ამ ქვეყანასაც ქართლი ეწოდა ნიადაგზე შეერქვა... (მ—2, 6. ფურც. 13).

23. ქ^ცა I, ლეონტი, 9_{23}

მცხეთოსმა განუყო შვილებს ქუეყანა და ნათესავი ყოველი: „ოძრჯოსს მისცა ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა ქუეყანა კლდოვანი. ამან ოძრჯოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: ოძრჯე და თუხარისი“.

ქუეყანა კლდოვანი.

ქვეყანას განყოფენ ხოლმე და თითოეული ნაწილი ასეთივე ქუეყანაა.

ამ შემთხვევაშიაც ლეონტი საჭიროდ სცნობს ცალ-ცალკე აღნიშნოს ქუეყანა და ნათესავი. ჩანს მის ცნობიერებაში ქუეყანა და ნათესავი შეხორცებული არაა. და მას ქუეყანა („ქუეყანა კლდოვანი“!!) „უნათესავოდ“ წარმოუდგენია.

ეს სხვა ადგილებშიაც შეიმჩნევა (ქ^ცა 26_{20}, 28_1). მაინც და მაინც ის ადგილები დამაფიქრებელია.

„ნათესავი“ (რომელიმე) ეთ სუფიქსით ქმნის მრავლობას (დურძუკეთ) და ამ „ეთ“-ით იქმნება ქვეყნის სახელწოდებაც... (მ—2.6. ფურც. 14).

24. ქ^ცა I, ლეონტი, 10_4

„ხოლო უფლოს დარჩა საყოფელსა მამისა მათისა მცხეთოსისსა მცხეთას და ეპყრა ქუეყანა არაგვთაგან და ტფილისთგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავრადმდე. და ამან აღაშენა უფლის-ციხე, ურბნისი, კასპი, არგვთგან და არმაზითგან ვიდრე ტასისკართამდე უწოდა ამას ქუეყანასა ზენას-სოფლისა, რომელსა აწ ჰქჳან შიდა-ქართლი“.

ქუეყანა ზენა სოფლისა (ან, შეიძლება, ქუეყანა ზენა სოფელი?).

რომელი ვარიანტიც არ უნდა მივიღოთ, სულერთია ლეონტის აღარ ესმის ზენა სოფლის (ტერმინის) ძველი მნიშვნელობა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ლეონტის ეს ტერმინი ზენა სოფელი რაღაც წერილობითი ძეგლიდან აქვს ამოღებუ

ლი, ან შეიძლება ამ დროს კიდევ ბოგინობდა ამ მხარის შესახებ ასეთი ტერმინი აქა-იქ (ზენა სოფელი), ხოლო „შიდა ქართველი" ახალგაბატონებული (შედარებით) ტერმინი იყო... (უფრო ადრეული ბად პირველი ვარაუდი გვეჩვენება).

ქუეყანა ზენა სოფლისა (მ — 2, 6. ფურც. 15).

25. ქცა I, ლეონტი, 13_3

„აფრიდონ ეუფლა ყოველსა ქუეყანასა სპარსთასა: ხოლო რომელთამე ქუეყანათა შეგზავნნა ერისთავნი, ჴელადნი მისნი, და რომელიმე ქუეყანა მოხარკე ეყო".

აქ უკვე ქუეყანაში მხოლოდ ტერიტორია კი არაა, არამედ დასახლებული მიწა-წყალი იგულისხმება: მხოლოდ ასეთი ქუეყანა შეიძლება იყოს მოხარკე. ან კიდევ მხოლოდ ასეთ დასახლებულ ქვეყნებში შეეძლო „შეეგზავნა ერისთავნი ჴელადნი მისნი" (მ—2, 6. ფურც. 19).

26. ქცა I, ლეონტი, 26_{20}

ლტოლვილი საურმაგ „მივიდა ქუეყანასა დურძუკთასა დედის ძმათა მისთა თანა".

ქუეყანა დურძუკთა.

27_2.

„საურმაგ შეიკრიბა დურძუკეთიცა, და წარმოემართა ქართველთა ზედა".

თითქო აქ დაჭერილია განსხვავება „ქუეყანა"-სა და ტომის სახელწოდებისგან ნაწარმოებ ქვეყნის სახელწოდებას შორის „დურძუკეთ".

ქუეყანა დურძუკთა უპირველეს ყოვლისა არის ტერიტორია, მიწა-წყალი (თუნდაც დურძუკებისადმი კუთვნილი, ან დურძუკებით დასახლებული), ხოლო „დურძუკეთი" არის უპირველეს ყოვლისა დურძუკთა სიმრავლე, დურძუკთა კოლექტივი...

ან შეიძლება ლეონტის „ქეყანა დურძუკთა" იმავე ცნებად მიაჩნია რაც „დურძუკეთი"... უდავო ისაა, რომ დურძუკეთი ლეონტის არ ესმის მხოლოდ საგეოგრაფიო სახელად (მ—2, 6. ფურც. 26).

ეროვნული ბიბლიოთეკა

27. ქ'ცა I, ლეონტი, 35_{11}

„და ამან ადერკი დაიპყრა ყოველი ქუეყანა ლი დაეგრისი“.

ქუეყანა საქართველო, ქუეყანა ქართლი, ქუეყანა ეგრისი, ქუეყანა ლიხთ-იმერი.

აქ ქართლი, ლიხთ-იმერი მსაზღვრელის როლში აღარ გამოდის და დამოუკიდებელი საკუთარი სახელია კონკრეტული ქვეყნის მაშინ, როცა გამოთქმაში „ქუეყანა ქართლისა“ ის დამოუკიდებელი სახელი კი არ არის, არამედ ქუეყანის მსაზღვრელია. მაგალითად ქუეყანა ავაგ ათაბაგისა, ან ხუაშაგისა, ან ბექასი. აქ ავაგ ათაბაგი, ხუაშაგი, ბექა ქვეყნის სახელები არაა...

ქვეყანა ორგვარად აღინიშნება: დამოუკიდებლად, ცალკე აღებული ის ნიშნავს ნიადაგს, მიწას, ყანას, (ესაა მისი თავდაპირველი მნიშვნელობა) და აგრეთვე ვისიმე კუთვნილება მიწა-წყალს ტერიტორიას (ქვეყანა რანისა), მესამე მნიშვნელობა ქვეყნისა იქნება დასახლებულ-მოშენებული ტერიტორია („ქუეყანისა ლაშქარი“)...

ქუეყანა რომი — ლეონტი 18_{19};

ქუეყანა მაკედონი — იქვე 18_{19}, იქვე — ქუეყანა რომისა (მ—2, 6.. ფურც. 22).

28. ქ'ცა I, ლეონტი, 77_{141}

„...ოდეს იხილეს ღმერთი იგი უკვდავი კაცთა შოკუდავთა ქუეყანასა ზედა, რომელ მისრულ იყო მოწოდებად წარმართთა, ვითარცა თუთ უნდა ჰსნა სოფლისა, იწყო კეთილის ყოფად ჰურიათა“.

ქუეყანა და სოფელი აქ ერთი და იმავე მნიშვნელობითაა ნახმარი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ქუეყანა დაპირისპირებულია ზეცასთან (იგულისხმება) და ეს ქუეყანა იგივე სოფელია. სოფელი კი ზეცას არ უპირისპირდება, არამედ სასუფეველს. ასე რომ ქვეყანა უპირისპირდება ზეცას, სოფელი — სასუფეველს...

როგორც ქვეყანა და სოფელი ერთ პუნქტში ერთიმეორეს ემთხვევიან (სოფელი ქვეყანაზე), ისე ზეცა და სასუფეველიც ერთიმეორეს ერთ პუნქტში ემთხვევიან (სასუფეველი ზეცაშია).

ქ^رცა I, ლეონტი, 107_5

ნინო ეტყვის მირიანს: „მოავლინენ შენ ზედა ღმერთმან, ცხენ=ისა დაქუეყანისა შემოქმედმან“... (მ—2, 6. ფურც. 4.).

29. ქ^رცა I, ლეონტი, 102_2

სიდონიამ თქვა: „აჰა, აქაცა მოსრულ არს დედაკაცი ესე, რომელმან შესცვალოს ყოველი წესი ამის ქუეყანისა“. ხაზგასმულია ამ ქუეყანის (ე. ი. ქართლის) წესი, ე. ი. გამორიცხულია გეოგრაფიული გაგება და იგულისხმება საზოგადოება.

ქართლის ქვეყანა — ქართლის საზოგადოება (მ—2, 6. ფურც. 2).

30. ქ^رცა I, ლეონტი, 142_6

„...მისცა მეფემან (არჩილ) სამშკლდე ძესა თჳსსა (მირდატს) საერისთოთა მისითა, და მუნ დასხდეს მირდატ და საგდუხტ“.

სამშკლდის საერისთავო=სამშკლდის ქვეყანა (მ—2,5, ფურც. 75).

31. ქ^رცა I, ჯუანშერი, $153_{1,19}$

ვახტანგ „გარდაჴდა ცხენისაგან და დავარდა ქუეყანასა ზედა, თაყუანის-ცა ღმერთსა, აღიპყრნა ჴელნი თჳსნი და თქუა“...

ვახტანგ „გარდაჴდა ცხენისაგან, და დავარდა მიწასა ზედა, თაყუანის-ცა ღმერთსა და თქუა“...

ერთი და იგივე ავტორი ერთ აბზაცში „ქუეყანას“ ხმარობს, მეორეში „მიწას“.

ქუეყანა — მიწა.

ჯუანშერი, 175_{11}

ვახტანგი და პოლეკარპოს იბრძვიან. „აღიზახნეს ორთავე მათ განწყობილთა ჴმითა საშინელითა და იყო ჴმა იგი ვითარცა ჴმა ქუხილისა, რომლითა შეიძრა ქუეყანა“. ხომ ვერ იტყოდა ავ-

ტორი: „რომლითა შეიძრა სოფელი“... ან ხომ ვერ იტყოდნენ „დასცა ქუეყანასას“ ნაცვლად „დასცა სოფელსა“ დაკარგულია

ამავე დროს „სოფელი“ შეუძლია შეცვალოს „ქვეყანამ“...

მაშასადამე „ქვეყანა“ ცვლის „სოფელს“, ე. ი. ქვეყნის შინაარსი იცვლება, ფართოვდება, „სოფელი“ კი ძველივე შინაარსით რჩება.

ქვეყანა — მიწა, ნიადაგი, მიწა-წყალი (მისი მოსახლეობით, ყველაფერი არსებულით), მხარე არემარე...

სოფელი — მოსახლეობა (დიდი თუ მცირე).

მაშასადამე, შინაარსს იცვლის ქვეყანა და არა სოფელი (ქვეყანა — ქართლისა, ითქმის განა სოფელი ქართლისა?) (მ—2,5. ფურც. 74).

32. ქ^ცა I, ჯუანშერი, 177_{11}

ბერძენთა კეისარმა „გამოიკითხა... საზღვარი საბერძნეთისა, ქუეყანა ზღვს პირისა, რომელ არს აფხაზეთი“ და უთხრა ვახტანგს: „აწ იგი უკუმოგუეც, და ოდეს წარიყუანებდე ცოლსა შენს, ასულსა ჩემსა, მაშინ მოგცე მისგან ქუეყანა. და დაუწერა ეგრის წყალსა და კლისურასა შუა ქუეყანა ზითვად, და სხუა აფხაზეთი უკუსცა ვახტანგ ბერძენთა“.

აფხაზეთი არის ქუეყანა ზღვის პირისა, ამ ქვეყანაში შედის ეგრის წყალსა და კლისურას შუა ქუეყანა და სხვა აფხაზეთი, ე. ი. დანარჩენი აფხაზეთი.

მაშასადამე, აფხაზეთის ქვეყანას გამოეყოფა ნაწილი, რომელიც არის აგრეთვე ქვეყანა (მ—2,5. ფურც 73).

33. ქ^ცა I, ჯუანშერი, 241_3

მირი ეუბნება არჩილს: მიეცით ერისთავებს „ასულნი ჩემნი და განუყვენ მათ ქუეყანანი ქართლისანი: ნახევარი შენ და ნახევარი მათ“.

ქართლი ერთი ქვეყანაა („ქუეყანა ქართლისა“ 239_{10}) და იყოფა მთელ რიგ ქვეყნებად. აქ ნაგულისხმევია ხუთი ქვეყანა: კლარჯეთი — ჯავახეთი, თრიალეთი — ტაშირი — აბოცი, „ზენა სოფელი“ = „ქართლი“, კოტმანითგან ქურდის ჯევამდე, ჯუარი — ხერკი — მთიულეთი — მანგლის ჯევი — ტფილისი (მ—2,5. ფურც. 72).

34. ქ"ცა, I, ჯუანშერ, 232$_{23}$

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეფანოზ მთავარმა თავის ორ შვილს „განუყო ბაგრატ ... ხუასტაგი „სამეფოსა მისისა"...

„სამეფო" გულისხმობს ქვეყანას, სოფელს, ჯევს, სახლს. ამ შემთხვევაში სამეფო გულისხმობს ქუეყანას იმიტომ, რომ ამ საგანძურში დასახელებულია „საგანძურნი ქართლისა და ჯავახეთისანი" (მ—2, 5. ფურც. 126).

35. ქ. ს. ძ. I, ძეგლის დადება, გვ. 401.

„...შემოვიტანეთ თემისა და თემის ერისთავნი"...

„თემის ერისთავი", აქ რომ იხმარება, შეიძლება არა მთის კონკრეტული ვითარების ამსახველი იყოს მხოლოდ (ეს ხომ ასეა და ასეა), არამედ შეიძლება ეს იყოს ტექნიკური გამოთქმა და იმ დროიდან მოდიოდეს როცა თემს ჰყავდა ერისთავი, როცა თემი ერთი მთლიანი იყო როგორც ტერიტორიულად ისე ეთნიკურად (გვარი სახლი...), როცა თითოეული თემი ცალკე ქვეყანა იყო (ჯევი).

ასეთი გაგებისას სრულიად ბუნებრივია, რომ ესა თუ ის ნათესავი წარმოვიდგინოთ თემებად, ხევებად, ქვეყნებად, რომელთაც სათავეში ჰყავთ ერისთავნი.

თითქო სამხედრო დემოკრატიის სურათი წარმოგვიდგება... (მ—2,5. ფურც 3).

36. „მოქცევაჲ" q, 120$_{25}$, ნინოს ლოცვა

„უფალო, მრავლითა ძ/ა/ლითა შენითა გეცრუვნეს შენ მტერნი ესე და არს დათმენაჲ შენი დიდითა სულგრძელებითა შენითა. და იქმან, რასაცა იგონებენ მტუერნი და ნაცარნი ქუეყანისანი. არამედ ნუ უგულებელს ჰყოფ, რამეთუ ხეტი შენი არს, რომლისათჳს ერთი სამებისაგანი კაც იქმენ და აცხოვნე ყოველი სოფელი და ამათცა ნათესავთა მოხედენ და შეჰრისხენ სულთა მათ უკუეთურთა, უჩინოთა, სოფლისა მპყრობელთა, მთავართა მათ ბნელისათა, არამედ მიჩუენე მე ღმერთო მამისა და დედისა ჩემისაო, მჴევალსა ამას შენსა უღირსსა და ნაშობსა მონისა შენისასა, რათა იხილონ ყოველთა

კიდეთა ქუეყანისათა მაცხოვარებად შენი, რათა ბრძანულ-
ლად ესე ბღუარსა თანა იხარებდეს და შენ მხოლოსა ღმერთსა
თაყუანის-გცემდენ ქრისტე იესუს მიერ უფლისა ჩუენისა“...

ამ ლოცვის წინ ნინოს მოაგონდა იობენალ პატრიარქმან რომ
ეთხრა: „მამაკაცსა სრულსა წარგზავნი შენ და მიწევნად ხარ შენ
ქუეყანასა უცხოსა და ნათესავთა უცხოთა“.

„ღმერთნი დიდნი, სოფლისა მპყრობელნი“...
(132_{10}).

ლეონტი 109_3: „ღმერთთა მათ მპყრობელთა ქარ-
თლისათა“.

საინტერესო მაგალითია სოფლისა და ქუეყნის ხმარებისა ამ
ტერმინებს შორის განსხვავების დასაჭერად.

თითქო ჩანს, რომ „სოფელში“ ნიადაგი („მტუერი“ „ნაცარი“)
არ იგულისხმება, არამედ მხოლოდ ადამიანები, იმ დროს როცა
„ქუეყანაში“ ნიადაგი („მტუერი“, „ნაცარი“) უპირველეს ყოვლისა
იგულისხმება, შდრ. „ქუეყანა კლდოვანი“ და სხვა. მაშინ როცა
„სოფელი კლდოვანი“ უჩვეულო და შეუძლებელი იქნებოდა. და
თუ „ქვეყანაში“, ამ ქვეყანაში მცხოვრებნი იგულისხმებიან, ეს მე-
ორადი მოვლენაა. ასევე, თუ „სოფელში“ ნიადაგი, ტერიტორია
იგულისხმება (თუმცა იშვიათად) ესეც მეორადი მოვლენაა.

მაგალითები: სოფელი ღარიბი (ბუნებრივია), ქუეყანა ღარი-
ბი (გადატანითია); ასევე სოფელი მდიდარი, ქუეყანა მდიდარი,
სოფელი ცოდვილი (ბუნებრივია), ქუეყანა ცოდვილი (გადატანი-
თია) და აგრე შემედგ.

მაგრამ ხომ შეუძლებელია სოფელი პოხიერი, მაშინ როცა
ქვეყანა პოხიერი ბუნებრივია.

მოკლედ, ის მინდა ვთქვა, რომ „ქუეყანის“ შინაარსის ამოსა-
ვალია ყანა, ნიადაგი, მიწა-წყალი, მეორადია
ამ მიწა-წყალზე არსებული, თუ მცხოვრები მცენარე, ცხოველი,
ადამიანი („ქვეყანამ აღმოაცენა“... მაშ არის ქუეყანა, რომელიც არ
აღმოაცენებს). და პირიქით, სოფლის შინაარსის ამოსავალია ადა-
მიანი და პირველ ყოვლისა საზოგადოება... (მ—2,5. ფურც.
76).

„ქვეყნისა“ და „სოფლის“ ურთიერთობი-
სათვის

(სეფენი აზნაურთანი, ისტ. აზმ. 129_2 სეფენი ქუეყა-
ნანი, ჟ. ა. 253_7).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ „სოფელის“ ჩვენეული ეტიმოლოგია სწორია, „ქუეყანა“-ს ძირისაგან განვითარებულია, „სუფევა“-ს უკავშირდება და „სუფეველის“ სახელნაცვალია, მაშინ ისიც საფიქრებელია, მსაზღვრელია, რომლის საზღვრული იგივე „ქუეყანაა“. (სათიბელი ქუეყანა, მერჩულე).

ასე რომ, თუ ეს ჩვენი ეტიმოლოგია სწორია, მაშინ სულ სხვა რიგად დაისმის საკითხი ამ ტერმინების ურთიერთობის შესახებ, ვიდრე ეს აკად. ივ. ჯავახიშვილს წარმოუდგენია. თუმცა ივ. ჯავახიშვილი არ სვამს საკითხს ტერმინ სოფელის წარმოშობისა და მისი ეტიმოლოგიის შესახებ, ამ ტერმინის ურთიერთობის შესახებ ქვეყანა ტერმინთან. ის მხოლოდ ფაქტის აღნიშვნით კმაყოფილდება, რომ თავდაპირველად მიწა-წყლის აღსანიშნავად ტერმინი „სოფელი“ იხმარებოდა, ხოლო უფრო გვიან ის შეცვალა (VIII ს.) ტერმინმა „ქუეყანა“.

მიწა-წყლის აღსანიშნავად, ჩვენ გვგონია, უძველეს დროსვე ყანა, ქვეყანა იხმარებოდა, ოღონდ ის არ იყო განსაზღვრული მიწა-წყალი. განსაზღვრულ მიწა-წყალს, ჩვენი ეტიმოლოგიის თანახმად, უნდა დავუშვათ, იმთავითვე სოფელი (საუფელი — ქუეყანა, ე. ი. ამა თუ იმ კოლექტივის მიერ ათვისებული ქვეყანა. შდრ. სათიბელი ქუეყანა) ეწოდებოდა.

რაც შეეხება აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას „სოფელი“ და „ქუეყანა“ ტერმინების ისტორიული მონაცვლეობის შესახებ, წყაროების ჩვენებას აქაც გარკვეული კორექტივი შეაქვს... (მ— 2,5. ფურც. 80).

37. ქ ცა II, ისტ. აზმ. 55_5

„...მიიცვალა გამრეკელი ამირსპასალარი, და თმოგვსაგან კიდე არა დააკლეს შვილთა მისთა. მაშინ უბოძეს ამირსპასალარობა ზაქარია მჯარგრძელსა, ძესა სარგის ამირსპასალარისასა, მჯდომსა სომეხთა მეფისა ადგილსა, პატრონსა ლორისასა. მოუმატეს ქ ა ლ ა ქ ი ც ა რ უ ს თ ა ვ ი მ ო ყ მ ე ს ა ღ ირსსა სპასპეტობისასა. და ჰიაბერსა მანდატურთუხუცესსა მოუმატეს და უბოძეს ე ი ნ ვ ა ნ ი, ქ ა ლ ა ქ ი და ც ი ხ ე, მ რ ა ვ ლ ი თ ა მ თ ი უ ლ ე თ ი თ ა. და შეიწყალეს სარგის ვარამის ძე, დალოცეს და უბოძეს თმოგვ“...

როგორც ვხედავთ, ქალაქები, ციხეები, ქვეყნები ნებისმიერად ებოძებათ დიდებულებს: დადიანებს თუ ვარდანისძეებს სომხითის, თუ ქვემო ქართლის ქვეყნები და ქალაქები ციხეებით ორბეთი, ქვეში, კაენი, კაიწონი, გაგი. მჯარგრძელებს რუსთავი, თმოგვი,

ჭიაბერს ჟინვალი და სხვა. აქ რაიმე ტერიტორიულ-ეთნიკური პრინციპები აღარ მოქმედებს.

აქვე შესანიშნავია ის გარემოება, რომ სამეფო კარი ეყალებს ხოლმე კარის მოხვლეებს, ვაზირებს, თუ დარბაზის უმებს, ან მონაპირეებს და არა ერისთავებს, რომელთა საერისთავო ქვეყანა ძველიდანვე მოხაზულია (მ—2,7. ფურც. 128).

38. ქ^ცა II, ჟ. ა. 169_6

ჯალალედინი „მოიწივნეს ქუეყანად მჯარგრძელთა, რამეთუ ივანე ათაბაგსა ეპყრა დვინი, და ანისი მიეცა ძმისწულისა მისისა შანშესდა, მანდატურთ-უხუცესისათჳს“.

ქუეყანა მჯარგრძელთა. რაკი შესაძლებელია ქვეყანა აღინიშნოს მთავრის სახელით (აქ ივანე ათაბაგი მჯარგრძელი და შანშე მანდატურთუხუცესი მჯარგრძელი), ბუნებრივია ასეთი მთავრის სახელით აღინიშნოს ამავე სამთავროს ლაშქარი, როგორც ეს გვხვდება გვ. 182, სადაც ცოტნე დადიანი ნიშნავს ოდიშის ლაშქარს, ხოლო ვარამ მსახურთუხუცესი ქვემო სანაპიროს ლაშქარს, ავაგ ამირსპასალარი და შანშე მანდატურთ-უხუცესი სომხითის ორ სანაპირო — სამთავრო ლაშქარს... (მ—2,7. ფურც. 20).

39. ქ^ცა II, ჟ. ა. 175_5

გარნისის ომში შურმაო „საქართველოსი სრულიადი მოსპოლვა... ათაბაგსა ივანეს არწმუნა“...

იქვე, 171_{21}

„...აიმჯედრა სულტანმან (ჯალალედინ) საქართველოსა შემოსვლად და მეფე-ყოფად თავისა თჳსისა, მივიდა და მოაოჯრა ყოველი ქუეყანა დვინისი, კუსტისა დვინისასა და ყოველი ანისი, სომხითი, გაგი ვიდრე გაძამდე“...

საქართველოს შინაარსისათვის: გაგი, ანისი აქ ნიშნავს გაგის ქუეყანა და ანისის ქუეყანა.

ქვეყანა აღინიშნება ციხე-ქალაქის სახელით: „გაგი“ „ანისი“... ისევე როგორც საფიქრებელია ოდესმე ქართლის ქვეყანა აღინიშნა ციხესიმაგრის „გორის სახელით „ქართლი“...

71-3

ქუთათისის ქუეყანა (ქალაქის), აფხაზეთის ქუეყანა (მხარის), საქართველოს ქუეყანა (სახელმწიფოა), ავაგის ქუეყანა (ფეოდალის)... (მ—2,7. ფურც. 21).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

40. ქ ცა II, ჟ. ა. 189_9

ავაგ ათაბაგმა მორჩილება განიზრახა. „...წარმოუვლინა ავაგ მოციქული ზავისა თხოვად და თქუა მათ წინაშე მისვლა, ხილვა, და მსახურება, და ხარაჯის მიცემა, და დიდება ქ უ ე ყ ა ნ ი ს ა მ ი ს ი ს ა, და ითხოვა ფიცი და სიმტკიცე“...

ავაგის ქუეყანა. ასეთ ს ა ე რ ი ს თ ა ვ თ ე რ ი ს თ ა ვ ო და ს ა ვ ა ზ ი რ ო ქ ვ ე ყ ა ნ ა დ დაიყო საქართველო...

თავდაპირველად არის ქვეყანა თ ი (გორა, სომხითი, გელათი, სახლი), შემდეგ ეთ (თუშ-ეთ, ბაზალეთ...) შემდეგ-სა ქვეყანა (საქართველო, სასომხეთი, საბერძნეთი, სამეფო, სამთავრო) და ბოლოს ამა თუ იმ მ თ ა ვ რ ი ს (სახელდებით) ქ უ ე ყ ა ნ ა. საკითხავია შეიძლება თუ არა ერისთავის, ან ერისთავთერისთავის ქვეყანა? თითქო კი. ასეთი რამ იგულისხმება (188 გვ.) ჩვენი ავტორის პოლიტიკურ ლექსიკონში „მთავარი“ ზოგადი ცნებაა, ერისთავთერისთავი კი — კონკრეტული. ყოველი ერისთავთერისთავი მთავარია, მაგრამ ყოველი მთავარი არაა ერისთავთერისთავი (მ—2,7. ფურც. 25).

41. ქ ცა II, ჟ. ა. 207_{10}

უმეფობისას მონგოლებმა ა ხ ა ლ ი ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი გამოკვეთეს: „...და განაჩინეს თათართა ბევრისა მთავარი, რომელსა დუმნის თავად უწოდეს, და გამოარჩივნეს მ თ ა ვ ა რ ნ ი. პირველად ე გ ა რ ს ლ ა ნ ბ ა კ ურ ც ი ხ ე ლ ი, კაცი ღრმად მოუბარი, ხოლო არა ნიჭთა მქონებელი საჴმართა, და მას ჴელთ უდევს სპა ჰერეთისა და კახეთისა კამბეჩიანისა, ტფილისითგან და აღმართ ვითარ მთამდე შამახიისა; და შ ა ნ შ ე ს ჴელთ უდევს მამული მისი და ავაგისი; ვარამ გ ა გ ე ლ ს ა ჴელთ უდევს ყოველი სომხითი; გრიგოლ სურამელსა ქართლი, და გამრეკელსა თ ო რ ე ლ ს ა მსგავსადვე ეგარსლანისასა საჭაბუკოთა შინა, ჴელთ უდვა ჯავახეთი, სამცხე და აღმართ ვიდრე კარნუ-ქალაქამდე; ხოლო ც ო ტ ნ ე დ ა დ ი ა ნ ს ა და რ ა ჭ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ს ა ყოველი ი მ ე რ ი ს ა მ ე ფ ო“.

ასე ექვს თუ შვიდ დ უ მ ნ ა დ, ე. ი. ათიათასი მეომარის გა-

მომყვან ქვეყნად დაყვეს მონგოლებმა მთელი საქართველო (მ—2,7. ფურც. 31).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

42. ქ"ცა II, ჟ. ა. 224_3

მონგოლთა დროს უმეფობის ჟამს „ქუეყანა სამეფო, საყდარნი და მცხეთა და მისი მიმდგომი ქუეყანა და მონასტერნი არავისგან იცვებოდეს, რამეთუ წარჩინებულნი ამის სამეფოსანი თჳსისა ქუეყანისათჳს ზრუნვიდეს".

(ქუეყანა სამეფო — საკუთრივ სამეფო დომენი); მცხეთა და მისი მიმდგომი ქუეყანა = საკათალიკოსო საქონებელი; წარჩინებულთა ქუეყანანი. კუთვნილებისდა მიხედვით, უკეთ, პატრონობისდა მიხედვით საქართველო იყოფოდა: სამეფო ქვეყანა, სამცხეთო ქვეყანა და სამთავრო ქუეყანა.

ფეოდალური მფლობელობის პრინციპის თანახმად მთელი მიწა-წყალი მეფის მოსაკითხი იყო საბოლოო ანგარიშით, მაგრამ პრაქტიკულად სამეფო დომენში მეფის უფლება სულ სხვა სახით ხორციელდებოდა, ხოლო სამთავრო ქვეყანაში მეფე თავის საპატრონო უფლებას მთავარს (შეწყალებულს, ერისთავს) გადასცემდა. ამით იყო, რომ ასეთი ყმა პატრონიც იყო. საპატრონო უფლების გადაცემა სხვადასხვა ხარისხისა იყო. მოურავებსაც მეფე საკუთარ დომენში უფლებას გადასცემდა, მაგრამ ეს უფლება იმ ოდენობისა არ იყო, რომ მოურავს „პატრონობა" დაეწყო. მას პატრონად არავინ სცნობდა (ამ თემისათვის განსაკუთრებით საინტერესოა თარხანიანთ დავა თავის ზურნაბადელ ყმებთან, სადაც ყმები თავგამოდებით ამტკიცებენ, რომ ესენი მოურავის შვილებია, რომ ისინი თავადი მემამულეები არ არიან... ამ ნიადაგზე თარხნიშვილებმა გვარიც კი — მოურავისშვილები უარყვეს და თარხნიშვილები შეირქვეს)... ასე რომ, სამოურავო ქვეყანა იგივე სამეფო ქვეყნად რჩებოდა. სულ სხვა უფლებებისა იყო პატრონი, აქ მეფე მეტის თუ ნაკლების სისრულის ხელმწიფობას გადასცემდა (პატრონობას გადასცემდა) შეწყალებულს... შეწყალებული მუდამ იმის ცდაში იყო ეს პატრონობა შეენარჩუნებინა და სრული ხელმწიფობაც მოეპოვებინა. „არჩილის რეფორმები" ეპოქალური ჩვენებაა ამ მიმართულებით: ამიერიდან შეიქმნა სამეფო და საერისთავო ქვეყნები... უკეთ, ამიერიდან დაიდვეს ერისთავებმა თარიღად ქვეყნების ნამზითვად მიღება, ე. ი. განსხვავება სამეფო და საერისთავო

ქვეყნებს შორის ახალ ხარისხში იქნა აყვანილი... როდის ჰქონდა ამ ფაქტს ადგილი, ან ჰქონდა საერთოდ მას ადგილი ამ ქვეყნ დროს თუ არა, ეს საკვლევია, მაგრამ ის ხომ ცხადია, რომ XI ს. უკუნეში ასეთი თეორია დიდი ხანია უკვე რაც არსებობს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს თეორია საბოლოოდ XI საუკუნეში ჩამოყალიბდა იმ გამწვავებული ბრძოლის დროს მეფესა და დიდაზნაურ-ერისთავებს შორის... მაგრამ ფაქტობრივი მონაცემები ისეთი ხასიათის მოგვეპოვება, რომ მასალა ამ თეორიისათვის გაცილებით უფრო ადრე უნდა შემუშავებულიყოს (აფხაზთა მთავარი ლეონ, ბალვაშები).

პრინციპულად ასეა ყოველ ფეოდალურ ქვეყანაში. მხოლოდ ბარბაროსული ფეოდალიზმის საფეხურზეა მთელი მიწა მეფის საკუთრება, ხოლო ქვეყნის მმართველები მისი სათრაპ-ბასკაკები... ამის შემდეგ უსასრულო ბრძოლაა ქვეყნების დაუფლებისათვის. ქვეყნის განვითარება გულისხმობს საპატრონოების გაჩენის ტენდენციის ზრდას... და ეს დასრულდაო არჩილის დროს. იწყება გაერთიანება — ეს არის საწინააღმდეგო ტენდენცია... ამ ტენდენციებს შორის ბრძოლა უსასრულოა, ვიდრე ფეოდალური ურთიერთობა არსებობს...

სამეფო ქ ვ ე ყ ა ნ ა, ს ა მ თ ა ვ რ ო ქ ვ ე ყ ა ნ ა... (მ—2, 7. ფურც. 37—38).

43. ქ'ცა I, ლეონტი, 38_{25}

„...მოვიდეს... ანდრია და სჯმონ კანანელი აფხაზეთს და ეგრისს. და მუნ აღესრულა წმიდა სჯმონ კანანელი ქალაქსა ნიკოფსისასა ს ა ზ ღ ვ ა რ ს ა ბ ე რ ძ ე ნ თ ა ს ა. ხოლო ანდრია მოაქცივნა მეგრელნი და წარვიდა გზასა კ ლ ა რ ჯ ე თ ი ს ა ს ა“.

ს ა ზ ღ ვ ა რ ი ქვეყანა, ანუ საზღვრის შიგნითი, ე. ი. ბერძენთა უფლებაში მყოფი... ასე რომ საზღვარი უფლების, მფლობელობის აღმნიშვნელი მომენტია.

ახლაც იტყვიან ხოლმე, მახსოვს, გლეხები: „შენ ჩემ საზღვარში რა გესაქმება?“, ე. ი. საზღვარი ის ხაზია, რომლის შიგნით ვისიმე უფლება მოქმედებს, რომლის შიგნით ამა თუ იმ კოლექტივის (წარმოებითი) ურთიერთობა ხორციელდება. აქედან, ბუნებრივად, ს ა ზ ღ ვ ა რ ი შ ე ე რ ქ ვ ა თ ვ ი თ ი მ ტ ე რ ი ტ ო რ ი ა ს ა ც, რ ო მ ე ლ ზ ე დ ა ც ე ს უ ფ ლ ე ბ ა ვ რ ც ე ლ დ ე ბ ა.

საბინინი 394 და 386_3, საზღვარი. (მ—2, 6. ფურც. 30).

1089-11 25

44. ქ"ცა I, ლეონტი 49_{19}

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომეხი და ქართველი მეფენი დაიზავნენ. ქართველებმა ... ხებს სამსახურის პირობა დაუდეს, „ხოლო ამისთვს სომეხთა ... სცეს საზღვარი ქართლისა, ქალაქი წუნდა და ციხე დემოთისა, ჯავახეთი და არტანი".

აქ უკვე უდავოა, რომ „საზღვარი" ნიშნავს ქართლში შემავალი მიწა-წყლის ნაწილს, ქართლის კუთვნილ მიწა-წყალს; სწორედ კუთვნილს: საზღვარი სწორედ ამ მომენტს ჰგულისხმობს.

ქ"ცა I, ლეონტი, 50_{1}

„და აღესრულნეს არზოკ და არმაზაელი, ნუგეშინის-ცემულნი დიდად. რამეთუ სიმჯნითა მათითა უკუმოიხუნეს საზღვარნი ქართლისანი" (მ—2,6. ფურც. 41).

45. ქ"ცა I, ჯუანშერი, 138_{10}

მირდატ მეფე „მტერ ექმნა ბერძენთა და სპარსთა. ბერძენთაგან ეძიებდა კლარჯეთს, საზღვარსა ქართლისასა, ხოლო სპარსთა არა მისცემდა ხარკსა".

საზღვარი — ტერიტორია, მიწა-წყალი (მთელი ან. ნაწილი) (მ—2,6, ფურც. 45).

46. ქ"ცა I, ჯუანშერი, 146_{9}

ვახტანგის ყრმობაში „გამოვიდეს ბერძენნი... რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრის-წყალს ქუემოთ კერძი ყოველი, და დაიპყრეს ეგრის წყლითგან ვიდრე ციხე-გოჯადმდე".

ქართველები „იტყოდეს" ღმერთი გაგვირისხდაო „და მიგვლო ჩუენ საზღვარი ბერძენთაგან, ვითარცა მიულო ვარაზ-ბაქარს მეფესა კლარჯეთი". და არა გვყავს მეფეო (ვახტანგი ყრმა იყო) „რომელიმცა... წარგვძღუა ჩუენ. და ვიძიოთ ჩუენ შური პირველ ოვსთა ზედა, და შემდგომადმცა ვძებნეთ საზღვარი ქართლისა ბერძენთაგან".

აქ უკვე სხვაგვარი გაგებისათვის ეჭვი აღარა რჩება და ეგრის წყლითგან ვიდრე ციხე გოჯამდე ტერიტორია, ე. ი. ეგრისი, ისევე როგორც კლარჯეთი, არის საზღვარი ქართლისა, „ქართლი" (მ—2,4. ფურც. 70).

47. ქ"ცა, I, ჯუანშერი, 179_1

ვახტანგმა შეუთვალა ბერძენთა მეფეს: „აჰა დღე იგი [illegible] ალმოთქუამს, ვითარმედ სპარსნი შემოვაწყუდივნე ჯელსა — [illegible] აჰა ესერა, მომიყვანებიან იგინი შუა საზღვართა ქართლისათა და ყოველი კაცი მათ თანა ვითარ სამასი ათასი“.

შუა საზღვარი — შუა ქვეყანა.

საზღვარი — ქვეყანა ამა თუ იმ კოლექტივის კუთვნილი. „ქვეყანა“ შეიძლება იყოს და არავის ეკუთვნოდეს, „საზღვარი“ კი არ შეიძლება ვისმეს არ ეკუთვნოდეს, ვისიმე უფლებაში არ იყოს.

ჯუანშერი, 182_{18}

სპარსთა მეფე ეუბნება ვახტანგს: „შენ უწყი, რამეთუ ზღუასა მოლმართ ჩუენი არს საზღვარი, განყოფილი ნოესითგან, და აწ იგი მბრძავს ჩუენ ჯაზირსა და შამსა და მოოკრებულ არიან ქალაქნი, ხოლო შამი სამეფო ჩუენი არს. არამედ ჯაზირისა ნახევარი, განწესებული მამათა ჩუენთა, შენი არს ხუედრი, და მიუღებიეს იგი ბერძენთა“...

როგორც ვხედავთ, ეს „საზღვარი“ არის ჯაზირი და შამი...

იქვე, 183 საზღვარი ხაზის გაგებით; იქვე, 184_5 სპარსთა მეფე ამბობს „მათ (ე. ი. სპარს „მოხუცებულთ“) ეგონა ჩემ მიერ შემუსრვა საბერძნეთისა, ხოლო მე დღეს საზღვართა ჩემთაგან ორი სამეფო მივანიჭე“.

იქვე. 203_{20}.

ვახტანგი ეუბნება დაჩის: „...საზღვარი აფხაზეთისა, რომელი მოცემულ არს ეგრის-წყალსა და კლისურასა შუა, იგი თჳთ ძმათა შენთა დედისა არს, იგი აქუნდეს მათ“... (მ—2, 4. ფურც. 65).

48. ქ"ცა I, ჯუანშერი, 205_{15}

ვახტანგის ძე დაჩი მეფე იყო. მისი ნახევარძმა მირდატი, ბერძენთა მეფის ასულის ვაჟი, ფლობდა ოძრჯის, წუნდის და კლარჯეთის საერისთავოებს და გარდა ამისა ეგრის წყლისა და კლისურას შუა ქვეყანას.

დაჩიმ მირდატს ქვეყანა გაუცვალა: „მისცა ნაცვლად ჯავახეთი ფარავნითგან მტკურამდე“, და აიღო მირდატისაგან „ეგრის-

წყალსა და კლისურასა შუა, მირდატის დედული საზღვარი საბერძნეთისა“.

„საზღვარი საბერძნეთისა“, როგორც ზემოთ, აქაც პოლიტიკური კუთვნილებისდა მიხედვითაა დასახელებული. ეს ქვეყანა ნომ „აფხაზეთი“ იყო... (მ—2,6. ფურც. 75).

„საზღვარი“ და „ქვეყანა“.

გვარის ქვეყანა პირველყოფილი ათვისებით (სამონადირეო საშემგროვებლო, სათევზაო). ასეთ ქვეყანას სხვა მეზობელ ქვეყნის მიმართ ჰქონდა საზღვარი, რომლის შიგნით ეს ქვეყანა განუყოფელი იყო. ამ საზღვრის დაცვა ყველას ინტერესს თანაბრად წარმოადგენდა.

ჩნდება კლასები. იცვლება ქვეყნის შინაარსიც, მისი საზღვრის დაცვის ინტერესები ყველასათვის ერთი ფასის როდია... (მ—2,4. ფურც. 7).

49. „ქვეყანა“ ისტორიულ გეოგრაფიაში ამოურწყველია... ქვეყანა გვარსაც აქვს, ტომსაც, ერსაც, კაცობრიობასაც; ანუ ისტორიკოს გეოგრაფს შეუძლია და უნდა რეალურად წარმოაჩინოს ეს ქვეყნები მიკრო და მაკრო. უნდა წარმოაჩინოს როგორ ისახება და შენდება ქვეყანა გვარის ტომის, ერის. ისტორიული გეოგრაფია, ესაა ტერიტორიის ისტორია, ამ ტერიტორიის წარმოქმნის, გაფორმების, ზრდის და გადაშენების ისტორია. ტერიტორია კი არის ამა თუ იმ საზოგადოების მიერ „ათვისებული“ მიწა-წყალი... ათვისება სამეურნეო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი შეგნების მომენტია. ქვეყანა მხოლოდ საზღვრებში წარმოიდგინება. უსაზღვრო ქვეყანა უაზრობაა. ამდენადვე ნომადს, რომელმაც თავისი სახეტიალოს საზღვარი არც იცის, არც ქვეყანა აქვს (მ—2, 4. ფურც. 6).

50. ლუკა 23_7

ДЕ	С
„და გულისჴმა-ყო (პილატემ—ნ. ბ.), რამეთუ ჴელმწიფებისაგან ჰეროდესისა არს; მიუძღუანა იგი ჰეროდეს, რამეთუ იყო იგიცა მაშინ იერუსალიმს ამათ დღეთა შინა“.	„და ვითარცა აგრძნა, ვითარმედ საბრძანებელისაგან ჰეროდესი არს, მიუძღუანა იგი ჰეროდეს, რამეთუ იგიცა ირუსალიმს იყო მათ დღეთა შინა“.

საბრძანებელი — სამფლობელო, სახელმწიფო ჰეროდეს საბრძანებელი (მ—2,5. ფურც. 63).

ეროვნული ბიბლიოთეკა

51. ლუკა, 3_{19}

ДЕ	C
„ხოლო ჰეროდეს, ოთხთა საბრძანებელთა მთავარსა, რამეთუ ამხილებდა მას ჰეროდიადსთჳს, ცოლისა ძმისა მისისა, და ყოვლისა მისთჳს, რომელი ქმნა ბოროტი ჰეროდე“...	„...ოთხთა საბრძანებელთა მთავარსა“... (იმეორებს)

თუ მათე 8_9, C და ლუკა 23_7 C ეჰვს სტოვებენ იმაში, რომ საბრძანებელი აქ ტერიტორიას არ გულისხმობს, არამედ კომპეტენციას (აკი Де შესატყვის ადგილებში ხელმწიფებას იძლევა), ეს ადგილი, სადაც ჰეროდე ოთხთა საბრძანებელთა მთავრად იხსენიება ორივე რედაქციაში, უეჭველად მოწმობს, რომ საბრძანებელში აქ ქვეყანა იგულისხმება, რომლის მთავარი იყო ჰეროდე.

ჰეროდეს უფლება, კომპეტენცია ოთხ საბრძანებელზე ვრცელდებოდა (ტეტრარქი...) (მ—2. 5. ფურც. 65).

52. სერაპიონ, 328_{10}

ჩორჩანელი ეუბნება თავის კაცს „ყოველთავე აუწყე, ვითარმედ თავისუფლებით და ნებისაებრ ამენებენ მონასტერსა საბრძანებელსა შინა ჩუენსა“.

ეს საბრძანებელი არის ის ქვეყანა, მკარე, რომელზედაც მოქმედებს ჩორჩანელის ბრძანება, უფლება, ე. ი: ეს არის ჩორჩანელის „სოფელი“ (თავდაპირველი გაგებით).

აქ მოსატანია სწორედ ის ადგილი ჰადიშიდან, სადაც (ДЕ) სოფლის ნაცვლად სასუფეველია ნახმარი; თითქო ამ ადგილის მთარგმნელი (ჰადიშური ოთხთავისა) ტერმინი სოფელი-ს თავდაპირველი შინაარსის ცოდნას ამჟღავნებს... (მ—2, 5. ფურც. 62).

53. სერაპიონ, 340_3

გიორგი ჩორჩანელი უშვილო იყო. მთელი თავისი ქონება, მემკვიდრეობით მიღებული თუ მონაგები, თავის დისშვილებს უანდერძა.

„და ვითარცა იყო დიდსა დაწყნარებასა და მშვიდობასა შინა ადგილი იგი შემდგომად გარდაცვალებისა დიდისა მთავრისა გიორგისისა და კეთილად წარემატებოდა ყოველი საბრძანებელი მისი, რომელი დაეტევა დისა მისისა თეკლაჲსა და შვილთა მისთადა“...

ეს საბრძანებელი პოლიტიკური საჯარო უფლება კი არაა, არამედ ის მამული თუ მონაგები უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც გიორგიმ თავის დისშვილებს „საკუთრებით განუთჳსა“. ამიერიდან, უნდა ვიფიქროთ, ყველაფერი ეს იქნება გიორგის დისშვილების „საბრძანებელი“, ე. ი. მათ უფლებაში მყოფი, ე. ი. მათი „სოფელი“ (თუ ეს ტერმინი სუფევასაგან მომდინარეობს...).

აქვე ადგილი=მხარე, ქვეყანა.

საბრძანებელი — ბრძანების გასავალი (საბა). (მ—2,5. ფურც. 61).

54. ვეფხისტყაოსანი, 1937 წლის გამოცემა, 1164

„ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავის მქმნელნი დააშინნეს, კრავნი კრავთა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბძანისთა თხა და მგელი ერთად ძოვდეს“.

თითოეულ ხელმწიფეს (ტარიელს, ავთანდილს, ფრიდონს) აქვს თავისი საბრძანისი.

§ 1663

„მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს,
ერთმანერთსა ნახვიდიან, საწადელნი გაუსრულდეს,
ბრძანებისა შემცილენი მათთა ხმალთა დავეწყლულდეს,
მოიმატეს სამეფონი, გახელმწიფდეს, გამორჭმულდეს“, (მ—2, 5. ფურც. 60).

55. საწარმოო, სამეურნეო ერთეული=საცხოვრისი.

საგამგეო, სამმართველო, სამფლობელო, სახელმწიფო ერთეული=საბრძანებელი,—საბრძანისი. (მ—2, 5. ფურც. 59).

[ქვეყნის ცენტრი — ციხე-ქვეყანა]

1. რას წარმოადგენდა რომელიმე ქვეყანა ფეოდალურ ხანაში (ადრე, შუა და გვიან ხანაში?). ამა თუ იმ ქვეყნის მნიშვნელობა ხომ სულ ერთნაირი არ იყო, როდის რა როლი ითამაშა ამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ იმ ქვეყანამ მთიანეთმა თუ ზეგანმა, ან ბარმა მადნეულობა (თიხა, კერამიკა, სპილენძი, რკინა) სარწყავ-ურწყავიანმა ბუნებრივ ძოვრებმა.

რომელმა ქვეყანამ როდის აჯობა და როდის გახდა წამყვანი, როდის გაფართოვდა და რა ნიადგზე, როდის შემცირდა ან მოიშალა.

რა ქმნიდა ცენტრს, რა ნიშნები იყო ამისათვის საჭირო, ან საკმაო. გეოგრაფიული ბუნებრივი პირობა? — არა: ეს პირობა (გეოგრაფია) რჩება და ცენტრი მოიშლება და სხვაგან გადადის. ასე რომ, ისტორიულ-გეოგრაფიული „ბუნებრივი პირობა" ეს არაა გეოგრაფიული კატეგორია, არამედ ისტორიული კატეგორიაა. საზოგადოების განვითარების სხვადასხვა დროს მრავალგვარ პირობათა კომპლექსი ქმნის იმ „ბუნებრივ პირობას", რომელიც ამა თუ იმ პუნქტს ცენტრად აქცევს. შემდგომი განვითარება ამტკიცებს, აძლიერებს ამ კომპლექსს, ამ ცენტრს, ან შლის და სხვაგან გადააქვს ამ ფაქტორთა (კომპლექსის) დამთხვევის წერტილი და ცენტრიც იქ ჩნდება...

რა არის ხ ე ვ ი? ტერიტორიის მიწა-წყლის სახელი, თუ სოციალური ერთეულის სახელი? მაინც და მაინც ქართული ძეგლები ხევს უფრო სოციალურ ერთეულად გულისხმობენ და არა ტერიტორიად (ხ ე ვ ი ს თ ა ვ ი, ხ ე ვ ი ს უ ფ ა ლ ი), მაშინ როცა ქვეყანა გარკვეულია — ის უძველეს ძეგლებში ყ ა ნ ა ს, მ ი წ ა ს ნიშნავს (ქ ვ ე ყ ნ ი ს მ ო ქ მ ე დ ი — მიწის მუშა)... ამასვე მოწმობს მ ო ხ ე ვ ე, ან მ ე ხ ე ვ ე (მ ო ძ მ ე ს, ან მ ე თ ე მ ე ს მსგავსად) მოხევე ხევის წევრია (ისევე როგორც მოძმე ძმობის წევრია. ან მეთემე თემის წევრი). მ ო ქ ვ ე ყ ნ ე კ ი არ გვხვდება და არც შეიძლება იყოს: ხევი სოციალური კოლექტივია, ქვეყანა კი მიწა-წყალია (მ—2,91. ფურც. 110).

2. ქვეყანა უ ც ე ნ ტ რ ო დ არ წარმოიდგინება, ისევე როგორც ცენტრი უქვეყნოდ გაუგებრობაა.

ყოველ ქვეყანას თავის ცენტრი გააჩნია. ყოველ ხანას მისი შესაფერი ქვეყანა ახასიათებს, ამდენადვე ქვეყნის ცენტრიც ამის შესაფერისია: ერთია წინაკლასობრივი ქვეყნის ცენტრი და სხვაა კლასობრივი ქვეყნის ცენტრი. მაგრამ ეს უკანასკნელი თავის მხრივ ურთიერთისაგან განსხვავებულ სახეობებს იძლევა იმის მიხედვით, თუ რა ხანის კლასობრივი ქვეყანაა აღებული. ურთიერთისაგან განსხვავდებიან როგორც ქვეყნები, ისე ცენტრები მონათმფლობე-

ლური, ფეოდალური, თუ ბურჟუაზიული ხანისა... ერთია ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრი, სხვაა სამეურნეო-ეკონომიური „ქალაქი“ და ეკონომიური „ცენტრი“ განუყოფელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნის შესწავლისას მისი ცენტრის არგათვალისწინება სამწუხარო გაუგებრობაა, ისევე როგორც ცენტრის შესწავლისას მისი ქვეყნის გაუთვალისწინებლობა მძიმე ნაკლია. ასეთი უგულებელყოფის შედეგია, რომ დღემდე, ჩვენი ქალაქები გარეუბნებისა და სამოქალაქოს გათვალისწინების გარეშე შეისწავლებიან. ამავე დროს ყოველი ქალაქი სამი ნაწილისაგან შემდგარ ორგანულ მთელს წარმოადგენს: ზღუდის შიგნითი ქალაქი — დედაციხით, გარეუბანი აგარაები და ქალაქის მიმდგომი ქვეყანა, ანუ სამოქალაქო (ქვეყანა).

სხვადასხვა დროს ეს დამოკიდებულება ცენტრსა და ქვეყანას შორის სხვადასხვა ხასიათის და ხარისხისაა, მაგრამ ის ყოველთვისაა და ამ ორგანულ მთლიანობის გარეშე არც ცენტრი წარმოიდგინება და არც ქვეყანა (მ—2, 4. ფურც. 48).

3. დიდი ქვეყანა (ქართლოსიანი) მცირე ქვეყნებისაგან (კახეთი, კუხეთი, გარდაბანი, გაჩიანი, ქართლი, სამცხე, ჯავახეთი, კლარჯეთი) შემდგარი, უმნიშვნელოვანესი პუნქტებით (ქალაქებით)-ცენტრებით — ასეთია ლეონტის ქვეყანა ქალაქ-ცენტრებით. ასეთი იყო, როგორც ჩანს, იმ დროს წარმოდგენა ქვეყანაზე. და ასეთივე რჩება ეს წარმოდგენა შემდეგაც, ფეოდალური საქართველოს აღმავლობის ხანაში (ამის მოწმობაა, რომ მწერალთა ყურადღების ცენტრშია ქალაქები).

ჩვენი ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტების კვლევა თავის ამოსავალში ლეონტი მროველის კვლევასა ჰგავს. ჩვენც ხომ ისტორიულ გეოგრაფიულ ქვეყანას აქ არსებული ძეგლების ნიადაგზე აღვადგენთ. თავის ისტორიულ სურათებს ლეონტიც ხომ ამ ძეგლთა საფუძველზე თხზავდა. მაგრამ განსხვავება აქ მთელი მეცნიერებაა. ჩვენ მიერ დადგენილი ძეგლები მეცნიერების კრიტიკის ქურაში გამოვლილი ფაქტებია, ჩვენ მიერი ისტორიული კონსტრუქციები რთულ სამეცნიერო დისციპლინათა მოხმობა-მოხმარებას გულისხმობს.

ძნელია შეეშვება, რომ ლეონტი იცნობდა იმ ისტორიულ-გეოგრაფიულ პუნქტებს, მათ დიდ უმეტესობას ვაინც, მას რომ აქვს დასახელებული, მაგრამ საიდან იცოდა ლეონტიმ, რომ ამა თუ იმ პუნქტს ძველად სხვა სახელი ეწოდებოდა, ხოლო მის დროს

სხვა?, რომ ეგრისს „აწ მას ადგილსა ჰქჳან ბედია“ (5), ჰერეთი — ხორანთა (5), გაჩიანი—სანადირო ქალაქი (9), ბოსტანქალაქი — რუსთავი, ბერ — ჩელეთი (9), ქართლი — არმაზი (8), ციხე ორბისა — სამშვილდე, მტუერის ციხე — ხუნანი (8), ქაჯთა ქალაქი — ჰური, ზენა სოფელი — შიდა ქართლი (10); რატომ არის, რომ ლეონტი ზოგიერთ საგეოგრაფიო პუნქტს, ამა თუ იმ მამამთავრის მიერ აშენებულს, მეორე სახელით არ იხსენიებს, მაგალითად, მცხეთა, უფლისციხე, კასპი, ოძრჯე, თუხარისი (9). არაა სავალდებულო დაუშვათ, რომ ლეონტი იგონებდა არარსებულ (მეორე) სახელებს. საფიქრებელია, რომ ლეონტის დროს ცოცხალი იყო ტრადიცია — გადმოცემა, რომ ამა თუ იმ პუნქტს ძველად სხვა (ასეთი და ასეთი) სახელი ეწოდებოდა.

ისეთი განცხადება, რომ ლეონტი ამა თუ იმ ქვეყნის სახელით ეპონიმებს თხზავდა და ამ მამამთავრებს ამ ქვეყნის სახელისავე პუნქტს (ქალაქს) აშენებინებდა, საკითხს მხოლოდ ზედაპირულად „წყვეტს“, უფრო კი — თავიდან იცილებს. არაა, რა თქმა უნდა, საკმაო რომ ვთქვათ: იყო ე გ რ ი (ს ი) ქვეყანა და შექმნა (მოიგონა) ლეონტიმ ე გ რ ო ს ი (ეპონიმი) და ააშენებინა ქალაქი ე გ რ ი ს ი (და „აწ მას ადგილსა ჰქჳან ბედია“). საქმე სწორედ ისაა, რომ კრიტიკულად განვიხილოთ რა შეთხზა და რა არა ლეონტიმ, რა რეალურ-ისტორიული (ისტორიულ-გეოგრაფიული) საფუძველი ჰქონდა ლეონტის ასეთი შემოქმედებისათვის.

ჩვენ, სამწუხაროდ, ლეონტის ასეთი კრიტიკისათვის მასალები არ მოგვიპოვებია (ჩვენი ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა გვიან დაიწყო), მაგრამ ის მცირე, რაც გაგვაჩნია, დამაფიქრებელია. მაგალითად ჩვენ არ გვაქვს საბუთი უარვყოთ ეგრი პუნქტის (ქალაქის, გორის) არსებობა სწორედ იმ მხარეში, სადაც ლეონტი უთითებს. ამის მოწმობა არის ეგრისწყალი და ინგირი. ისტორიულ-გეოგრაფიულად აქ სადღაც საძიებელია პუნქტი ე გ რ ი (გორა, თემი, „ქალაქი“), რომლის სახელითაც ეს წყალი აღნიშნულა (შდრ. ბახვისწყალი, აჭარისწყალი, ხანისწყალი, ცხენისწყალი და სხვა).

მაშასადამე, საფუძვლიანი ხდება ფიქრი, რომ არსებობდა (ლეონტის დროსაც) გადმოცემა, რომ იმ დიდი მნიშვნელობის „ადგილას“, რომელსაც „აწ ჰქჳან ბედია“ (აქ ხომ ამ დროს ბედიის დიდი მშენებლობა დამთავრებული იყო) თავდაპირველად ეგრი ეწოდებოდა და რომ ეს „გორა“ იყო ის „ცენტრი“, საიდანაც ამ

პუნქტის, თემის სახელი, ქ ვ ე ყ ნ ი ს (ე გ რ ი) სახელად იქცა (და ამის შესახებ მოსაზრებას ჩვენ სხვაგანაც გამოვთქვამთ).

ასე რომ ლეონტის, თუ მისი წყაროს „შენამოქმედი“ ბრალდებულია რჩება, რომ მ ო გ ო ნ ე ბ უ ლ ი ა ე პ ო ნ ი მ ი (მაგრამ ეპონიმი პუნქტის და არა ქვეყნის), რომ ქვეყანას სახელი მართლაც ამ პუნქტისაგან მიუღია, ხოლო პუნქტის სახელის წარმოშობა სულ სხვა დამოუკიდებელი საკითხია... მოკლედ, ეგრი გორა და ეგრი ქვეყანა რეალურ ისტორიული ფაქტებია და ლეონტის, თუ მისი წყაროს „შემოქმედების“ შედეგი მხოლოდ ე გ რ ი ს ი ა. ესევე მოვლენა ირკვევა „ქართლის“ მიმართაც.

თუ ეგრი, ლეონტის დროის „ეგრი“ სავარაუდოა, „ქართლი“— გორის, პუნქტის რეალურად არსებობა უფრო ადვილდასამტკიცებელი ჩანს. ისტორიულ-გეოგრაფიულ მოსაზრებათა გარდა, ჩვენ აქ ძველი წერილობითი წყაროც მოგვეპოვება. ქართლი როგორც საგეოგრაფიო პუნქტი არა მარტო ლეონტის (და ჯუანშერს) აქვს აღნიშნული, არამედ დადასტურებულია ყოვლად აუთენტურ დოკუმენტებში (ისევე როგორც ლეონტისეული არმაზიც), ქართლის ხევს იცნობს ვახუშტიც, ხოლო „ქართლის ყელი“ ახლაც ცოცხალი გეოგრაფიული პუნქტია იმავე რაიონში. ასე რომ ლეონტის ცნობა იმის შესახებ, რომ არმაზის თავდაპირველი სახელი ქართლი იყო — ყოვლად სარწმუნოა, ისიც სარწმუნო ხდება, რომ ქალაქსაც არმაზს) პირველად „ქართლი“ ეწოდებოდა.

ლეონტის ჩვენებათა გარდა საამისო მოწმობანი ჩვენ სხვა რიგიც მოგვეპოვება (მეგრულ-სვანური ქართლი თბილისის სახელად, ქართლის მამასახლისი, ქართლის პიტიახში, ქართლისა მთავარეპისკოპოსი, ქართლის კათალიკოსი).

ასე რომ საეჭვო არ ჩანს ლეონტის ცნობა, რომ არმაზ ქალაქს (და ჩვენ ვიტყოდით კიდევ მეტს: მცხეთა ქალაქს მისი დიდ ქალაქობის დროს) ქართლი ეწოდებოდა ისევე, როგორც ქართლი ეწოდებოდა პუნქტს, გორას, საიდანაც ეს სახელი ქალაქზე გავრცელდა (ამაზე სხვაგან).

ასე რომ, აქ ლეონტიმ (თუ მისმა წყარომ) პუნქტი და ქალაქი კი არ შეთხზა, არამედ ესენი რეალურად არსებობდნენ და ლეონტიმ მხოლოდ ამ რეალურად არსებული პუნქტის ეპონიმი შეთხზა.

ასე შეგვეძლო ჩვენ გვემსჯელა კიდევ ერთი ორსახელიანი პუნქტის ბოსტან-ქალაქ რუსთავის შესახებ.

ასე რომ, ლეონტის ამ რიგის მსჯელობანი სანდოობის იერს იღებენ, ე. ი. რომ მის (თუ მისი წყაროს) დროს ჯერ კიდევ ცოც-

ხალი იყო გადმოცემანი ამა თუ იმ პუნქტის ორი სახელის (ძველის და ახლის) არსებობის შესახებ (ცალკე საკითხია ამ სახელების წარმოშობა, დრო და ვითარება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით უფრო სანდო ჩანან ის ისტორიულ-გეოგრაფიული ადგილები, ლეონტი რომ აგრე ნიშანდობლივ ასახელებს თავის ისტორიულ მოთხრობაში. ყველა ეს ადგილი ნანგრევებისა, თუ ცოცხალი პუნქტების სახით დღესაც არსებობს და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ყველა ისინი (რამდენადაც ჩვენ ისინი ისტორიულ-გეოგრაფიულად შესწავლილი გვაქვს) ეთანხმებიან ჩვენს ცოდნას იმ ძველი დროის შესახებ.

ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ წინ შემდეგი სურათი გვეხატება: ლეონტის (თუ მისი წყაროს) დროს, როცა ქვეყანამ თავისი განვითარების გარკვეული ეპოქა გაიარა და ახალი ცხოვრების შენებას ენერგიულად შეუდგა, გაჩნდა საჭიროება შესაფერისი წერილობითი ისტორიის დაწერისა.

განათლებული (თავისი დროისათვის) ისტორიკოსის წინაშე მრავალმხრივი მასალა იყო; ბიბლია (სავალდებულო ნორმა), დიდი ქრისტიანული მწერლობა, უცხოური ისტორიოგრაფია (სპარსული, სომხური, სირიული, ბერძნული), ქართული საისტორიო მწერლობა და ისტორიული ზეპირსიტყვაობა. ლეონტიმ თავისი დროის კვალობაზე ნიჭიერად გაართვა თავი მასალას და ქართული ისტორიული გეოგრაფიის მონაცემების საფუძველზე თავისი დროის ისტორიოგრაფიის შესაფერისად მეცნიერულად გაშალა „ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ ცხოვრება (მ. — 2, 4. ფურც. 59—62).

4. ჩემი აზრი ასეთია: პუნქტები (ქართლი, სამშვილდე, რაჭა, თაკვერი, სიონი, ხორნაბუჯი, პანკისი და სხვ.) — ციხე-ქალაქები. ამ პუნქტებში ისხდნენ სამხედრო — ადმინისტრაციული მოხელენი — ერისთავები. ტერიტორიას (მოსახლეობით), რომელზედაც ამ ერისთავის ხელი ვრცელდებოდა, ბუნებრივია შერქმეოდა ამ ცენტრალური პუნქტის სახელი. ლეონტი მროველის მოსაზრება, რომ ბედიას უნდა ეგრისი რქმეოდა, ხორნაბუჯს ჰერეთი და სხვა, ამავე პრინციპიდან გამოდის და არც უარსაყოფია პრინციპულად. რა თქმა უნდა, ამა თუ იმ კერძო შემთხვევაში ის შეიძლება მცდარი იყოს. მაინც და მაინც ქვეყნის სახელწოდება მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრის მიხედვით ჩვეულებრივია ძველს ქვეყანაში, თუ საშუალო საუკუნეებში.

სიონის ერისთავი Сионская земля-Сиони;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაჭის ერისთავი — Рача (ნიკორწმინდა) — რაჭა — ქვეყანა.
*თაკვერის ერისთავი;
პანკისის ერისთავი — პანკისი, პანკისი ქვეყანა;
ქართლის ერისთავი — ქართლი;
ციხე — პოლიტიკური ხელისუფლების ნიშანი:
ციხე — ადმინისტრაციულ ხელისუფალთა ხელში (ერისთავები);
ციხე — „თავადობის“ ნიშანი;
ციხე — ქვეყნის დაპყრობის ნიშანი (Белокур. 482);
ციხისთავები, მინბაშები — „ორშაბათობით აშენდა ციხე ქალაქი კლდეზედა, გარს გალავანი არტყია, ცა ახურია თავზედა“ (3, 13. ფურც. 12, 13).

5. თუ სწორია დებულება, რომ ერისთავი თავდაპირველად მცირე სამხედრო-ადმინისტრაციულ მოხელეს ეწოდებოდა და შემდეგ ხდება მისი გამსხვილება, მაშინ ერისთავის პიტიახშთან გაიგივება შეუძლებელია.

შეიძლება „შვიდთა მთეულთა პატრონი“ აბულასან შვიდი საერისთავოს გამაერთიანებელია. მაინც და მაინც, თუ აბულასანი იმიერ და ამიერ არაგვს ფლობს, მის ხელთ ორი ერისთავი უეჭველია: ჯერ კიდევ გიორგი ბრწყინვალეს დროს აქ ორი ერისთავი (თუ მეტი არა) უეჭველია.

საინტერესო მაგალითია რ ა ჭ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი: თავდაპირველად ის უეჭველია უფრო მცირე ერთეულის გამგე იყო: ზემო რაჭა (თუ სხვაც არა) მის ხელთ არ იყო: ის ნახევრად სვანური იყო და არც „რაჭაში“ შემოდიოდა. ასევე არ შემოდიოდა რაჭაში თაკვერი. ასე რომ რაჭაში შედიოდა მხოლოდ „ქვემო რაჭა“. ისე როგორც ქვეყანა თაკვერს, თავისი სახელი ციხე თ ა კ ვ ე რ ი ს ა გ ა ნ ჰქონდა მიღებული, სადაც ამ მხარის ადმინისტრაციული ცენტრი შეიქმნა (ან უკეთ, საიდანაც რომელიღაც სახლმა თავისი უფლებები გარშემო მიდამოზე გაავრცელა და ამით თავისი ადგილსამყოფელი ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ცენტრად აქცია); ასევე საფიქრებელია, რაჭა ეწოდებოდა იმ ცენტრს, საიდანაც ასეთივე ხელისუფლება გარშემო ქვეყანაზე ვრცელდებოდა (მეტად დამახასიათებელია, რომ XVII ს-ში რუს ელჩებს შემოუნახავთ ცნობა, რომ მათ დროს რაჭა ეწოდებოდა სრულიად გარკვეულ პ უ ნ ქ ტ ს რაჭაში). ასევე შეიძლება ვიფიქროთ ქართლის ერისთავზედაც. „ქართლიც“ ხომ სრულიად გარკვეული გეოგრაფიული პუნქტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა არა იყოს, რა, შეუძლებელია ქართლის ერისთავი ამთავითვე მთელი ქართლის სამხედრო-ადმინისტრაციული ... ყოფილიყო. ამას არ ამართლებს ნაგვიანევი მასალებიც კი: ქართლის ერისთავს ხელი ამ ნაგვიანევ დროსაც კი არ მიუწვდება მთელ ქართლზე. ლეონტის კონცეფცია ამ მხრით ნაგვიანევია. მეტად საინტერესოა და უგულვებელსაყოფი არ ჩანს ლეონტის კონცეფცია ქვეყნის ცენტრების სახელებიდან თვით ქვეყნის სახელის წარმოებისა (3, 13. ფურც. 103).

6. ქვეყანათა სახელების წარმოშობისათვის ვახუშტი ხშირად მსჯელობს (გვ. 55, 120, 121 და სხვა და სხვა). მის ეტიმოლოგიებში ყურადღებას იქცევს ამა თუ იმ ქვეყნის სახელის წარმოშობის თეორია მისი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრის სახელიდან (მ—2, 5. ფურც. 67).

7. ვახუშტი, აღწერა, 41

„ხოლო ამ თრიალეთის საშუალსა დის მდინარე ქცია, წოდებული ანუ დაბის გამო, ანუ ვინათგან აქცევს ხიდთა, რავდენცა მტკიცე ქვითკირისა იყოს, მის გამო იწოდა“.

მდინარეს სახელს აძლევს დაბა (პუნქტი), ან როგორც ჩვეულებრივ მდინარის სახელი იგივეა, რაც დაბის (პუნქტის).

ვახუშტი, აღწერა, 46

(კლდეკარს) „ქვეით ერთვის ალგეთს საყავრის — ჭევი ჩრდილოდამ. ამას ქვეით ერთვის ალგეთს მჟავის — ჭევი, გამოსდიან კლდე-კარს. ამათ უწოდებენ კლდე-კარის სოფლებად“. ეს „ჭევები“ გამოსდიან კლდეკარს, ერთვიან ალგეთს და იგულისხმება კი, რომ ისინი „კლდეკარის სოფლები“ არიან. საქმე ისაა, რომ ამ ჭევებშია სოფლები საყავრე და მჟავისი. ასე რომ ჭევს და სოფელს ერთი სახელით აღნიშნავენ.

ვახუშტი, აღწერა, 56

„ხოლო დასავლეთით კავთის-ჭევისა დის მდინარე თეძმისა, გამოსდის ჭვარებსა და თორის საშუალოს მთასა, და დედა-

ციხემდინ დის ალმოსავლით, მერმე დის ჩრდილოთკენ და მიერთვის მტკვარს სამჯრიდამ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეძმის „დასავლით არს ჯევი ხოვლესი“.

„მდინარე თეძმისა“ (ანალოგიით „მდინარე — ამა თუ იმ — ჯეობისა“), მოწმობს, რომ თეძამი ქვეყნის სახელია და სახელია კონკრეტული ქვეყნის, მაშინ როცა ჯეობაც ქვეყნის სახელია, მაგრამ არა კონკრეტული, არამედ ზოგადი, რომელსაც დაკონკრეტებისათვის სჭირდება დამატებით მიჩემებითი სახელი; ასევეა ჯევიც: ის გარკვეული სახის ტერიტორიის ზოგადი სახელია (ტერიტორიის, რომელსაც შუაში გაუდის მდინარე). მიჩემებული სახელით ესა თუ ის ჯევი კონკრეტული ხდება. ეს მიჩემებული სახელი ჩვეულებრივ ამა თუ იმ პუნქტის სახელია, რომელიც სულ სხვა გზით, დამოუკიდებლად წარმოიშვის (მოსახლეობის ერთეული, თუ რაიმე სხვა ნიშანი — მცენარე, წარმოების იარაღი და სხვ.).

ასე რომ, ხოვლე (ხოვლევი) პუნქტია, მოსახლეობის ერთეულის სახელია (-ხულ—ევი), ჯევი ხოვლესი (იგივე ქვეყანა ხოვლესი) მთელი მხარეა გარკვეული ნიშნით (რომელიც რაზმითის მთას გამოსდის და რომელსაც შუაში ხევხმელა ჩამოუდის).

ვახუშტი, აღწერა, 64

ვახუშტის გაგებით კსანი მდინარის სახელია (აქვე 63), ხოლო კსნის ჯევი კი ქვეყანას აღნიშნავს ისევე ვთქვათ, როგორც ქვეყანა ბაზალეთი. კსნის ჯევი კი არის ქვეყანა, მაგრამ კსანი იმთავითვე, რა თქმა უნდა, მდინარის სახელი არ ყოფილა, როგორც არ ყოფილა მდინარის სახელი ალგეთი და სხვ. კსანი ჯერ პუნქტის, შემდეგ ჯევის (ქვეყნის, ტერიტორიის) სახელი უნდა ყოფილიყო. შემდეგ კსნის ჯევისაგან კსანი სახელად შეერქვა კსნის ჯევის წყალსაც (როგორც ალგეთის ჯევის წყალს ალგეთი).

და მართლაც ვახუშტი ქსნის ჯევის აღწერაში (გვ. 68) მოიხსენიებს „მდინარე კსნისა“-ს, ე. ი. კსანი აქ უკვე ქვეყნის (ჯევის) სახელია. ასე რომ თანაბარის უფლებით (ბუნებრივობით), კსანი ეწოდება ქვეყანასაც და მდინარესაც (ამ ქვეყნის მდინარეს) ოღონდ წარმოშობით კსანი თავდაპირველად პუნქტის (მოსახლეობის) სახელი უნდა ყოფილიყო (წიგნი 8, ფურც. 17, 34, 56, 72).

8. ქ^ცა I, ლეონტი, 13_3

„აფრიდონ ეუფლა ყოველსა ქუეყანასა სპარსთასა: ხოლო რომელ-მელთამე ქუეყანათა შეგზავნნა ერისთავნი, ჴელადნი მისნი, და რომელიმე ქუეყანა მოხარკე ეყო“. და მოთხრობილია როგორ წარმოგზავნა ერისთავი არდამ, რომელმაც „შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი. და მოსრა ყოველი რაოდენი ხაზარი პოვა ქართლსა შინა“. შემდეგ კი ამ ერისთავმა „მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქჳთკირითა“.

ე. ი. ლეონტი გვეუბნება, რომ აფრიდონმა ქართლი დაიპყრო, ამის ნიშანი იყო ერისთავი, ზოგი სხვა ქვეყანა კი მას „მოხარკე ეყო“. ე. ი. დაპყრობაა ციხეების დაჭერა უცხოელი ერისთავის მიერ. სხვაა, კიდევ, მოხარკეობა.

ასეთივე პოლიტიკური წარმოდგენა არის აქვე გვ. 15_1.

სპარსთა მეფე ქაიხოსრო თარგამოსიანებზე წამოვიდა „ვერ წინააღუდგეს მას სომეხნი და ქართველნი... მოვლო ყოველი სომხითი და ქართლი მოტყუენა ყოველივე, იავარ-ყვნა ყოველნი ციხენი და ქალაქნი, და დაუტევნა ერისთავნი“...

შემდეგ „უცალო იქმნა ქაიხოსრო მეფე, და იწყო ბრძოლად თურქთა,... და პოვეს ჟამი სომეხთა და ქართველთა, განუდგეს სპარსთა და მოსრნეს ერისთავნი სპარსთანი, და განთავისუფლდეს“ (მ—2, 3. ფურც. 161).

9. ქ^ცა I, ჯუანშერი, 243_4

ანაკოფიიდან „წარმოვიდა არჩილ და დაემკჳდრა ეგრისს ვიდრე შორაპნადმდე. და განაგნა ყოველნი ციხენი და ქალაქნი, და აღაშენა ციხე საზღუარსა ზედა გურიისა და საბერძნეთისასა“...

რომ ქვეყანაში მეფობა განახორციელოს მეფემ „განაგნა ყოველნი ციხენი და ქალაქნი“. ეს ციხენი და ქალაქნია ქვეყნის „ცენტრები“, საიდანაც ამ ქვეყნების მმართველობა ხორციელდება; თითოეულ ციხეს, თითოეულ ქალაქს ახლავს ქვეყანა (მ—2, 7. ფურც. 13).

10. ქ^ცა I, ჯუანშერი, 244_{11}

„მასვე ჟამსა (ე. ი. არჩილის მეფობაში) პიტიახშნი ვინმე არა შეეშუნეს კლარჯეთს, სხუად წარვიდეს ნახევარნი მათგანნი, და

შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს, რომელსა ერქუა კალმახი, და აღაშენეს ციხედ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ისეთივე მოვლენაა აღნიშნული, როგორც „შეიპყრნეს ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდეკართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე" (მატიანე ქართლისა, 258_{13}), ოღონდ ეს არის, რომ აქ ნაგულისხმევია ის, რაც მატიანეს ავტორს გარკვევით აქვს ნათქვამი.

კლარჯეთიდან გამოძეებული პიტიახშნი არც მარტონი არიან ნაგულისხმევი და არც ეს ციხე კალმახი, რომელიც მათ აღაშენეს, იყო უდაბურ, უკაცრიელ ქვეყანაში. იგულისხმება, რომ პატიახშის სახლის შვილებს რაღაც „ერი" ახლავს ისევე როგორც, საფიქრებელია, ბაღვაშ ლიპარიტს ახლდა „ერი" არგვეთიდან: თუ ეს არა, მას რით უნდა შეეპყრა ქუეყანანი თრიალეთისანი? და როგორც ლიპარიტმა თრიალეთის ქვეყნების შესამაგრებლად, დასაუფლებლად აღაგო ციხე კლდეკართა, ასევე პატიახშის სახლის წევრებმა კალმახის ციხე ააშენეს ტაოს ქვეყნის შესაპყრობად, დასაუფლებლად... ამრიგად ბედის მაძიებელი „მთავრები" თავიანთი ერით შეიპყრობენ ქვეყნებს, ააგებენ ციხეებს, რომლებშიაც ჩამსხდარნი ბატონობენ ამ ციხეების შემავალ ქვეყნებზე... (მ—2, 7. ფურც. 11).

11. ქ"ცა I, მატიანე ქართლისა, 263

X საუკუნის დასაწყისი. ჲუსუფ აბუ-საჯის ძე კახეთს შეესია, უჯარმა აიღო (ციხე) შემდეგ ბოჭორმა აიღო (ციხე), შემდეგ ქართლში შემოვიდა. „და ვიდრე იგი შემოვიდოდა მოარღვნეს ზღუდენი უფლისციხისანი, რომელ არა დაიმჭირონ". შემდეგ სამცხე და ჯავახეთი მოაოხრა და „მოადგა ციხესა თმოგვსასა", ვერ აიღო, „აიყარა მუნით, მოვიდა ყუელს, მოადგა გარე და უწყო ბრძოლად".

ასე საციხო ქვეყნებად იყო დაყოფილი კახეთი (უჯარმა, ბოჭორმა). ქართლი (უფლისციხე), სამცხე, ჯავახეთი (თმოგვი და ყუელი).

ქვეყანაში რა თქმა უნდა სხვა ციხეებიც ბევრი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, უმთავრესი ციხეები, საიდანაც ქვეყნის გამაგრება სიმტკიცე იგულისხმებოდა, ე. ი. სადაც პოლიტიკური ცენტრი ივარაუდებოდა, ესენი იყვნენ.

საინტერესოა, რომ აბუ-საჯის ძემ უჯარმას ზღუდეები მოარღვია, ხოლო ბოჭორმა „ციხედვე დაიჭირა". ამ ცენტრალუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ციხეების დაჭერით მტერი მთელ ქვეყანაში პოლიტიკურ ბატონობას უზრუნველყოფდა (მ—2, 7. ფურც. 26).

12. ქ"ცა I, მატიანე ქართლისა, 267—268

ავტორს ცოცხალი ისტორიული სურათი აქვს დაცული ციხეთა მნიშვნელობის შესახებ კახეთში.

X საუკუნეა. კახეთში კვრიკე ქორეპისკოპოსობს. გარდაბნელი აზნაურნი განდგეს და გიორგი აფხაზთა მეფეს უხმეს.

გიორგი კახეთს ჩავიდა, მოარბია. კვრიკე ხელთ იგდო და ქვეყნის დაპყრობა განიზრახა. კვრიკეს დედაწული გარდაიხვეწნეს.

აფხაზთა მეფეს მოერთო შურტა, ძმა კვირიკესი „და მოუტანა თანა ციხე მისი უჯარმო: და ეუფლნეს სხუათაცა ციხეთა კახეთისათა თვნიერ სამთა ციხეთა: ნახჭევანისა, ბოჭორმისა და ლოწობანთა.

ლოწობანნი ჰქონდეს ივანე არშის ძესა, და გამაგრდა შიგან, გაწირა პატრონი. აუგეს შურის-ციხე და დააყენნეს შიგან ლაშქარნი. და ციხე მარანისა ჰქონდა მაშინ ხახუასა, არშის ძესავე, ძმასა ივანესსა; ლამოდა მსგავსად ძმისა თვსისა მკლავითა დაჭირვასა". არაფერი გამოუვიდა. ციხე აიღო გიორგის ლაშქარმა, ხოლო ციხისთავი აფხაზთა მეფემან „წარსცა პყრობილად ჯიქეთს. ციხე ნახჭევანისა ჰქონდა ფადლას, ძესა კვრიკესსა. იგიცა გამაგრდა შიგან".

კვრიკემ საქმე წაგებულად ჩათვალა და „დაულოცა კახეთი გიორგი მეფესა" იმ პირობით, რომ ნახჭევნის ციხეს ახლავე გადასცემდა აფხაზთა მეფეს. შვილს — დავითს მძევლად მისცემდა, ხოლო თვითონ ბოჭორმის ციხეში შევიდოდა და გარკვეულ დრომდის იქ თავისუფლად იქნებოდა, რომ საბოლოოდ წასასვლელად მომზადებულიყო.

და როცა ამ პირობის თანახმად კვრიკე ბოჭორმის ციხეში იყო, ქართლელი აზნაურები შეეზრახნენ მას, კახნიც მოერთნენ „დაუწყეს ბრძოლად ციხეთა, და მცირედთა დღეთა წარიხუნეს ციხენი ყოველნი; დაარღვნეს შურის-ციხე და ლოწობანთა, და კუალად ეუფლა კვრიკე მამულსა თვსსა".

ამრიგად, ქვეყნის დასაპყრობად აუცილებელია მისი ციხეების დაპყრობა. ვინც ციხეებსა ფლობს, ისაა ქვეყნის პატრონი (ეს კარგადაა გამოთქმული ალექსან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრე კახთა მეფის საუბარში რუს ელჩებთან. კახთა მეფე თავის ქვეყანას დამოუკიდებლად და თავის თავს ჭელმწიფედა ხოლო სიმონ მეფეს ყიზილბაშთა მიერ დაპყრობილად ნიშანი ისაა, რომ ოსმალებს და ყიზილბაშებს კახეთში ციხე არ უპყრიათ, ხოლო ქართლის ციხეები კი მათ ხელშია) მთელი ქვეყანა ადმინისტრაციულ ერთეულებად, საციხისთავო ოლქებად არის დაყოფილი (სადღაც მაქვს გურჯისტანის დავთრის ცნობებით მოცემული სურათი... პეტრეს ციხის შესახებ გვიან ფეოდალურ ხანაში)...

ესაა საციხისთავო ქვეყნები (მ—2, 7, ფურც. 14).

13. ქ^ცა I, მატიანე ქართლისა, 268_5

ეს აზნაურნი, ციხისუფალნი კაცნი, კახეთშიაც იმ ბუნებისანი არიან, როგორც ქართველნი აზნაურნი.

აფხაზთა მეფის გიორგის და კვრიკე ქორეპისკოპოზს მტრობა აქვთ „გადგეს აზნაურნი გარდაბანელნი, იწყეს ზრახვად გიორგი მეფისა. გამოილაშქრა გიორგი მეფემან. ჩავიდა კახეთად, მოსწუა და ასწყვდა, და წარვიდა თუსადვე ქუეყანად“.

მალე გიორგიმ კვლავ კახეთს სალაშქროდ „აწკა ყოველი ლაშქარი“, კვრიკე თვით ეახლა გიორგის ვითომ მორჩილებით. მეფემ ის შეიპყრო და თვით კახეთს წავიდა კვრიკეს ცოლშვილის „ასაკრებად“. მაგრამ ქართველთა აზნაურთა ადრევე გააფრთხილეს და კვრიკეს ცოლშვილი „გარდაეხვეწნეს“.

კახეთის ქორეპისკოპოსს ღალატობენ, აზნაურნი ქართველნი აფხაზთა მეფეს უდგანან კრიჭაში... მაგრამ არც ციხისუფალნი კაცნი დგანან პატრონთა ერთგულებაზე. „მოერთო შურტა, ძმა კვრიკე ქორეპისკოპოსისა, გიორგი მეფესა და მოუტანა თანა ციხე მისი უჯარმო; და ეუფლნეს სხუათაცა ციხეთა კახეთისათა თუნიერ სამთა ციხეთა: ნახჩევანისა, ბოჭორმისა და ლოწობანთა“.

ლოწობანთა ციხე ფადლა ქორეპისკოპოსის აგებული იყო; მაშ სამეფო ციხე იყო, „ლოწობანნი ჰქონდეს ივანე არშის ძესა და გამაგრდა შიგან, გაწირა პატრონი“. რას ნიშნავს „გაწირა პატრონი“? იმას ნიშნავს, რომ ციხე უნდა ჩაებარებინა აფხაზთა მეფისათვის რაკი კვრიკე ქორეპისკოპოსი (მისი პატრონი) დანებდა გიორგი მეფეს.

ასე მოიქცა ამ ციხისთავის ძმაც ხახუა არშისძეც, რომელსაც „მაშინ“ ჰქონდა მარანის ციხე. ნახევნის ციხე „ჰქონდა ფადლას, ძესა კვრიკესსა. იგიცა გამაგრდა შიგან...“.

ბიბლიოთეკა

ამ ტექსტიდან ისეა საფიქრებელი, რომ კახეთის ციხეები ქორეპისკოპოსის ციხეებად ითვლება. განაგებენ ამ ციხეებს ქორეპისკოპოსის ძმა, შვილი და სხვა აზნაურები... ამ ციხისთავებს ჰყავთ ციხოვანნი. ზოგი ციხისთავი მტრის მხარეზე გადადის (შურტა), ზოგი გასწირავს პატრონს, ე. ი. არ ასრულებს პატრონის ბრძანებას... მაინც და მაინც ისა ჩანს თითქო, რომ ეს ციხეები კახეთში სამეფოდ ითვლებიან, რომ ამ ციხისუფალნი კაცნი კახთა ქორეპისკოპოსის ყმები არიან და მის ბრძანებას უნდა მორჩილებდნენ. ეს სულ სხვა ამბავია, რომ ასე არ მოქმედებენ ეს ციხისუფალნი კაცნი: პატრონს გასწირავენ, ან მტერს მიუდგებიან...

საფიქრებელია, ქართლის აზნაურებს, ციხისუფალ მთავრებს ასეთივე ხვედრი ელოდათ, თუ აფხაზთა მეფე ქართლში ფეხს საბოლოოდ მოიკიდებდა: ამ მთავრების ციხეები მეფის ხელისანი შეიქნებოდნენ, ხოლო მთავრები ხევისუფალ-ციხისთავებად იქცეოდნენ... ე. ი. მთავრისაგან ის მოხელედ, ციხისთავად, ან უკეთეს შემთხვევაში ერისთავად (დიდებულ-წარჩინებულად) იქცეოდა; რა თქმა უნდა, ციხისუფალნი კაცნი დიდხანს მაგრობდნენ, დიდხანს იბრძოდნენ, სანამ ბაგრატ III და დავით აღმაშენებელმა მძიმე დარტყმა არ აგემეს მათ... მაგრამ დამოუკიდებლად იმისგან, თუ რა პოლიტიკური ვითარება იქნებოდა, ჯევი თუ ჯევები თავისი ციხით და ქალაქით ცალკე ქვეყანას, ცალკე საგამგეო ერთეულს შეადგენდა მთავრის, დიდებული აზნაურის, მთავარ — ერისთავის, თუ თავადის ხელში, ეს იყო ცოცხალი ქვეყანა სამთავრო, საჯევისუფლო, საციხისთავო, საერისთავო, სათავადო... (მ—2, 7. ფურც. 28—30).

14. ქ^ცა, I, მატიანე ქართლისა, 269_8

კახთა მეფემ წააგო გიორგი მეფესთან ბრძოლაში. კახეთის ციხეები „აფხაზებმა“ დაიჭირეს. კვრიკე ბოჭორმაში იყო და კახეთის დატოვებას აპირებდა. „მაშინ შეეზრახნეს აზნაურნი ქართველნი და მათ თანა კახნი: გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხვლოსელნი, სარა და გრიგოლ ძმანი ფხუენელნი და მათთან ორმოცდაათი აზნაური სხუა, და მიერთნეს კვრიკეს, დაუ-

წყეს ბრძოლად ციხეთა, და მცირეთა დღეთა წარიხუნეს ციხენი ყოველნი; დაარღვნეს შურის-ციხე და ლორწობანთა, და ეუფლა კვრიკე მამულსა თვსსა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი მომენტია აქ განსაკუთრებით საყურადღებო: 1. ეს „აზნაურნი ქართველნი“. ისინი არიან სწორედ ვახუშტის „მთავრები“. ეს აზნაურები სამეფო რაიმე ჯელის მქონებელნი არ არიან „ხევისუფალნი“ შეიძლება იყვნენ. შეიძლება ხევისუფალი იყოს სწორედ ის „მთავარი“, ვახუშტი რომ გულისხმობს... შეიძლება სწორედ ჯევისუფალი იყოს უძველესი ქართული ინსტიტუტი...

ეს აზნაურები, აქ რომ სახელებით ჩამოთვლილნი არიან, ისევე აზნაურებია, როგორც ის ორმოცდაათი სხვა, ოღონდ, ესენი „მთავრებია“, ე. ი. ხევში დაწინაურებულებია, სოფლებისა და მთელი ხეობის „უფლებია“ (მაგრამ არა უფალ-მონობის გაგებით არამედ მამფალ-შვილობის გაგებით); „ერი“ ჰყავთ, ესაა მთელი ხეობის თავისუფალი მოლაშქრენი, ამ ჯევისუფალის „შვილები“.

ამ მთავარ აზნაურებს გარდა სხვა აზნაურებიც მრავლად არიან. ისინიც დამოუკიდებლად ირჩევენ პოლიტიკურ გეზს. ჩანს, თავისუფალნი არიან ამ არჩევანში, მაგრამ საფიქრებელია, რომ მთავართა გეზი გავლენას ახდენს ამ (უფრო წვრილ) აზნაურთა პოლიტიკურ არჩევანზე. საფიქრებელია, რომ ამ მცირე აზნაურთაც, საკუთარი თავის გარდა ახლავან მოლაშქრენი... ასე რომ შემდეგი სურათი ისახება: ქვეყანა დაყოფილია სამთავრო „ჯევებად“. ჯევს „გაპატრონებია“ ჯევისუფალი, უძლიერესი საგვარეულო. ხევში ამ მთავართა გარდა სხვა აზნაურებიც სახლობენ და ამ ძლიერი გვარის გავლენას განიცდიან. კიდევ უფრო დამოკიდებული არიან ამ „მთავრისაგან“ ერი, თავისუფალი მოლაშქრენი, უეჭველია „მთავრებს“ გლეხებიც ჰყავთ.

ქართლის ეს „მთავრები“ აქ რომ არიან ჩამოთვლილნი, უეჭველია, ციხის პატრონები არიან: მგდ (გუდა?), ყანჩაეთი, კორინთა, სხკლოსი, ფხვენისი ის ცენტრებია, საიდანაც ეს აზნაურები მთავრობენ, სადაც „უფლისციხეები“ აქვთ, საიდანაც ხევისუფლობენ; ეს ჩამოთვლა შემთხვევითია, უეჭველია ასეთი მთავრები სხვაც ბევრი იყვნენ (ტბელები, ძამელები, ატენელები, ციხედიდელები, საზუერელნი და სხვ...). აი ეს იყო ის ცოცხალი ქვეყნები (ჯევები) უძველესი დროიდანვე რომ მოდიოდნენ და რომელნიც სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ საერის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავოში აღმოჩნდნენ მეტის, თუ ნაკლების რაოდენობით, გაერთიანებულნი [რა ნიშნის მიხედვით ხდებოდა ასეთი გაერთიანება? ხომ არ გულისხმობს არსებული კონცეფცია ქართული სახელმწიფოს წარმოშობას მისი დაპყრობის გზით უცხოელის მიერ, რომელსაც თან მოაქვს ეს სახელმწიფოს მშენებლობის პრაქტიკა? აზო ხომ სწორედ ასეთია... ფარნავაზიც ასევე გვიანი შენათხზია... თუმცა ის აზოს მიერ შექმნილ სახელმწიფოს ეუფლება, რეფორმატორობს მხოლოდ და არა სახელმწიფოს ქმნის... ხომ არ არის მთელი ეს კონცეფცია დასაყირავებელი და აშენება ქართლის (ისევე როგორც ყველა სხვა) სახელმწიფოსი, ქვეყნის (ჯევის) განვითარების პრინციპზე ასაგები? მაინც და მაინც ყველაფერი ის, რაც არ ეთანხმება „ქვეყნის" განვითარების პრინციპს, რაც ეწინააღმდეგება ამ პრინციპს, უარსაყოფია. იმისათვის, რომ ფარნავაზის სახელმწიფო მშენებლობა რეალურად წარმოვიდგინოთ, უნდა აუცილებლად დავუშვათ, რომ ქართლი, როგორც ქვეყანა, ორგანიზებული იყო, რომ ეს ჯევები თავისი ჯევისუფლებით უკვე უნდა არსებულიყვნენ, ისე რომ სახელმწიფო ჯერ კიდევ არ არსებულიყო. აი, ვთქვათ, ისევე როგორც სვანეთის ჯევი, რომელიც ასევე მრავალ ხეობათა კავშირს წარმოადგენდა... ასე რომ „ქვეყნის" განვითარების თვალსაზრისით ერთხელ კიდევ ხელშესახები ხდება სახელმწიფოს შემოტანის თეორიის უსაფუძვლობა...]. იმისათვის, რომ ქართლის სახელმწიფო შექმნილიყო, საჭირო და აუცილებელი იყო, რომ ქართლის ჯევები (მისი ჯევისუფლებით) წინასწარ არსებულიყვნენ. ეს ჯევები უნდა მოწიფულიყვნენ იმისათვის, რომ სახელმწიფო წყობილება ეგუებინათ. ასეთ პირობებში შეიძლება წარმატება ჰქონოდა ერთი რომელიმე ჯევთაგანის, დაწინაურებული ჯევის სოციალურად უფრო განვითარებული ჯევის ცდებს ხევების გაერთიანებისას, დამორჩილებისას და სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნისას (ერისთავები)...

2. მეორე გარემოება, რაც მოტანილი ადგილიდან ყურადღებას იქცევს — ესაა ციხის საკითხი. ციხეა ქვეყნის პოლიტიკური ბედის გადამწყვეტი და ეს იმიტომ, რომ სწორედ ეს ციხეა ქვეყნის სოციალური განვითარების შედეგი.

ვინც ციხეს ფლობს ის ფლობს ხევსაც (ქვეყანასაც). მაგრამ განსხვავებით ძველი დროისაგან, ახლა „ციხეს" ხალხი კი აღარ ფლობს, არამედ ჯევისუფალი, „მთავარი". ფრიად დამახასიათებელი გარემოება შეინიშნება: ყველა ეს მთავრები სადაურობით აღინიშნებიან,

ხოლო ეს სადაურობა იმ მთავარ პუნქტს უკავშირდება, საიდანაც ამ ხევის მმართველობა ხორციელდება, სადაც ხევისუფლები დან, სადაც მათ ციხე აქვთ და ასეა იმიტომ, რომ ეს ციხე-პუნქტი არის ახლა ყოვლის განმსაზღვრელი (ფავნელი, თორელი, ტბელი, ფხვენელი, კორინთელი, სურამელი, სხვილოსელი, ჩორჩანელი, კალმახელი და სხვა ათასი). ასეთი სახელები მხოლოდ იმას კი არ ნიშნავენ ახლა, რომ პირები ამ პუნქტებიდან არიან, არამედ იმას, უპირველეს ყოვლისა, რომ ეს პირები ამ პუნქტების მთავრები არიან, ამ პუნქტებში მდებარე ციხეების პატრონები არიან, ამ პუნქტების შემავალი ჭევების ჭევისუფალნი არიან, ამ საციხისთავო ქვეყნების მმართველები არიან...

გაიხსენე „აზნაურნი ციხოვანნი და უციხონი". ამ „აზნაურნი ქართველნი"-ში ტბელნი არაა იმიტომ, რომ ისინი გიორგი მეფემ ასფურაგანს გაასახლა გამდგარი უფლისწულის მომხრეობის გამო (აქვე 268).

ამრიგად, თითქოს საინტერესო ფაქტი მოვიპოვეთ: გვარსახელის „ელით" წარმოება „ქვეყნის" განვითარების გარკვეულ საფეხურს უკავშირდება. — ური (ული), —ანი კოლექტივთან ერთი მისი წევრის ურთიერთობას აღნიშნავს და ეს მეორე საფეხურია გვარსახელის წარმოების განვითარებაში: ვინმე „იანი" (ქურდიანი) ინდივიდია (ქურდნი კოლექტივის წევრი) და კოლექტივის სახელისაგან წარმოებული სახელი ამ ინდივიდისა განსხვავდება თვით კოლექტივის სახელისაგან: ყველა ქურდიანი კოლექტივის წევრია, მაგრამ კოლექტივისა და ინდივიდის სახელი ურთიერთისაგან განსხვავდება (ქურდნი კოლექტივის სახელია, ქურდიანი — ამ კოლექტივის წევრი ინდივიდის სახელია) ასეთივე მოვლენა შეინიშნება ური (ული)-შიც. მაგრამ ასე არ უნდა ყოფილიყო გვარსახელის განვითარების უფრო ძველ საფეხურზე, ე. ი. გვაროვნული წყობილების საფეხურზე (გორასა და სახლის შეურყვნელობის საფეხურზე). იქ ინდივიდს და კოლექტივს, საფიქრებელია, ერთი სახელი ჰქონოდათ, უფრო სწორად რომ ითქვას, იმ დროს ინდივიდი, როგორც სოციალური მოვლენა, არც არსებობდა და ცხადია არც ინდივიდუალური გვარსახელი არსებობდა. ლომთა გორადან ყველა ლომი იყო, ყორანთადან ყველა ყორანი, წერონიდან ყველა წერო იყო, ურბნიდან ყველა ურბი და ა. შ. აუხსნელი რჩება კოლექტივის აღნიშვნა მრავლობითი რიცხვით...

„ელით“ გვარსახელის წარმოება უკვე მესამე საფეხურია, როცა ინდივიდის გვარსახელი კოლექტივთან ერთობით კი არ ხასიათდება, არამედ ისტორიულ-გეოგრაფიული სახელიდან იწარმოება.

მაგრამ ინდივიდის სრული მოწყვეტა კოლექტივისაგან თავს იჩენს შემდგომ (მეოთხე) საფეხურზე — „ძე“ „შვილი“...

გვარი „ელი“ სათვის. თორელი, თმოგველი, ხორნაბუჯელი, ჯაყელი, მარილელი, ფავნელი, ძამელი, ტბელი, სურამელი, თუხარელი, კალმახელი, ფანასკერტელი, ატენელი და სხვა ათასი აღნიშნავს იმ ეტაპს ჩვენი საზოგადოების განვითარებისას, როცა ეს პუნქტები განასახიერებენ ქვეყნებს, რომელთა პოლიტიკური ცენტრებიც არიან, მაგრამ ამავე დროს ეს „ელი“ არის არა ყველა, ვინც ამ პუნქტიდანაა, არამედ ამ პუნქტის თავკაცი, მთავარი, ციხისთავი, ჭევისუფალი, ერისთავი, სენიორი... აი ეს გარემოება, რომ თორელი უპირატესად თავკაცს ეწოდება (თუმცა გვხვდება „თორელნიც“, მაგრამ ის არაა დამახასიათებელი და მეორადი მოვლენა უნდა იყოს) და არა ყველას, იმას მოწმობს, რომ თორი არის განსაკუთრებული მნიშვნელობის ადგილი (ასეთი ის შეიძლება ძველადაც ყოფილიყო) და ამ ადგილს დაჰპატრონებია ერთი თავკაცი, მთავარი, ფეოდალი, რომ „თორელობა“ ამ თავკაცს მიუტაცნია.

ბალვაშები ხან თრიალეთის ერისთავებად იწოდებიან, ხან კი კლდეკარის ერისთავებად; კლდეკარი ასახიერებს თრიალეთის ქვეყანას. თორის ქუეყანა და ა. შ.. (მ—2, 7. ფურც. 63—67).

15. ქ^ცა I, მატიანე ქართლისა, 270_{11}

X საუკუნის პირველი ნახევარი. ლეონ მეფე კახეთის დასაპყრობად წავიდა: „ჩადგა არაგვს პირსა, ასწყვდა მუხნარი, ხერკი და ბაზალეთი, და მასვე ლაშქრობასა დასნეულდა, შეიქცა გარე და მოკუდა“.

უეჭველია ამ სამ ქვეყანას მარტო ჭევები კი არა სოფლებით, არამედ შესაფერისი ციხეებიც ჰქონოდა. ხერკის ციხედ შეიძლება ზედაზნის ციხე ვივარაუდოთ, მუხნარისა და ბაზალეთის ციხეები დასადგენია... (მ—2, 7, ფურც. 31).

16. ქ^ცა, I, მატიანე ქართლისა, 278₁₉

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაგრატ მეფემ, როცა საშინაო საქმეები მოაგვარა, „წარმოიყვანა მოციქული კახეთს, ითხოვნა ციხენი ქართლისანი, რომელნი მათ ჰქონდეს“. დავით ქორეპისკოპოსმა „არა ინება მოცემა ციხეთა, არამედ მიუმცნო ესრეთ: „უკეთუ ეძიებ ციხეთა იყოს ჩუენ შორის დამჯერებელ მკლავი და ომი. ხოლო მე წინა მოგეგებო ქსანსა ზედა“.

ამ ციხეების მოთხოვნით ბაგრატ მეფე ქვეყნებს მოითხოვდა. ამ დროის მეტყველებაში ციხის დასახელებით გამოხატავდნენ არა მარტო გამაგრებულ პუნქტს, არამედ იმ ქვეყანასაც, რომელსაც ეს ციხე იცავდა, უკეთ, რომელსაც ეს ციხე გაბატონებოდა.

ბაგრატმა კახეთის დაპყრობა განიზრახა. „დადგა თიანეთს, და იწყო შემუსრვად კახეთისა... იწყო ბრძოლად ციხეთა“. ქვეყნის შემუსვრა, დარბევა, აწყვეტა მის დაპყრობას არ ნიშნავდა. დაპყრობისათვის აუცილებელი იყო ციხეთა ხელში ჩაგდება. ამიტომაც იყო, რომ ბაგრატმა, რაკი „იწყო ძებნად კახეთისა“, ამ ქვეყნის ციხეებით დაიწყო: „ორ წელ წარიხუნა ყოველნი ციხენი კახეთისანი. შეაწყუდია კჯრიკე ბოჭორმას, და დაუყენა ციხესა გარეშემო მცველნი წელიწდამდი, წარიღო ბოჭორმაცა. და დაიპყრა სრულიად ჰერეთი, და კახეთი“... (მ—2, 7. ფურც. 35).

17. ქ^ცა I, მატიანე ქართლისა, 291—293

ბაგრატის მცირეწლოვანების დროს, კონსტანტინე კეისარმა საქართველოს დაპყრობა განიზრახა. „გამოგზავნა პარკიმანოზი ლაშქრითა ურიცხვთა“... „მოვიდა თრიალეთს ციხესა ქუეშე კლდე — კართასა“. ვერაფერი გააწყო და უკუიქცა. ციხე ვერ აიღო დათრიალეთიც გადარჩა.

„მასვე ჟამსა წარვიდა ჩანჩახი ფალელი საბერძნეთს, მისცა ციხე გარყლობისა... და არჯევან ჰოლოლას ძემან მისცა ბერძენთა ციხე წერეფთისა.

რა ჟამს იხილა საბა, მტბევარმან ეპისკოპოსმან, რომელ შავშეთს არღარა იყო სხუა ღონე, ააგო ციხე თავსა ზედა ტბეთისასა, დაიჭირა ქუეყანა შავშეთისა,

ქმნა დიდი ერთგულობა ბაგრატ აფხაზთა მეფისათჳს. პატივ-ცა ღმერთმან და ვერ წარუღეს ქუეყანა მტერთა.

„...ხოლო ციხე არტანუჯისა ჰქონდა ... ისთავსა აბუსერსა“...

კლასიკური მოწმობანია ციხეთა, ქუეყანათა, აზნაურთა და მეფეთა ურთიერთობისა... (მ—2, 7. ფურც. 38).

18. ქ^ცა I, მატიანე ქართლისა, 297

თბილისის ფეოდალური ხანის საამიროში შემოდიოდნენ ციხეები ბირთვისი, ორბეთი, ფარცხისი (ეს ორბეთი, რა თქმა უნდა, სამშვილდე არაა: ამ დროს სამშვილდე სომხითის მეფის საჯდომი იყო). თბილისის საამიროშივე შედიოდა უეჭველია, კოჯორიც. ისტორიულმა გეოგრაფიამ უნდა დაადგინოს ამ ციხეთა მიმდგომი ქვეყნები. უეჭველია თბილისი, ამირას საჯდომი ციხე-ქალაქი, მეტი მნიშვნელობისა იყო, ვიდრე საამიროს სხვა ციხეები (მ—2, 7. ფურც. 40).

19. ქ^ცა I, მატიანე ქართლისა, 298$_1$.

ბაგრატ IV „იბირნა... კახნი, აშოტ მთავარი მარილელი, დისიძე კჳრიკე მეფისა, და ხახჳლა გურთა ჯუარის — ციხითა; ...გაილაშქრა აფხაზთა მეფემან კახეთს... და წყობასა შინა შეიპყრნა: სტეფანოზ ვარჯანის-ძე, პანკისისა ერისთავი; და ვაჩე, ძე გურგენ ბერისა, ხორნაბუჯის ერისთავი; და ჯედი დისწული გოდერძისა, შტორის ერისთავი და მაჭელისა... ესე ერისთავნი ქენებით აძლევდეს ციხეთა მათთა“...

ჩვენი ავტორი გარკვევით ასხვავებს ურთიერთისაგან მთავარს და ერისთავს.

ყველა ერისთავს, იგულისხმება, აქვს ციხე, რომელიც ადმინისტრაციული ცენტრია საერისთავო ქვეყნის (ჭევისა). რომ ეს ერისთავნი „ქენებით აძლევდეს ციხეთა მათთა“ — ეს ნიშნავს, ამას გულისხმობს ჩვენი ავტორი, რომ ერისთავები „აძლევდეს“ საერისთავო ქვეყნებს, რომელთა მმართველობა ამ ციხეებშია და რომ მთელი სამეფოს (კახეთის) დასაპყრობად საკმაო არაა ერთი რომელიმე ციხის, თუნდაც თავადი ციხის, აღება (მისი ქვეყნით), არამედ საჭიროა ყველა ამ საერისთავო ციხეების აღება,

ე. ი. ყველა ამ ქვეყნების დამორჩილება, რომ მთელი სამეფო ამ ქვეყნებისაგან შედგება...

აკი ივანე არშის ძემ მაშინაც არ გასცა ციხე, როცა ბეგმა კვრიკე ამის თანახმა იყო (268). აკი ბაგრატ III კახეთის დასაპყრობად „ორ წელ წარიხუნა ყოველნი ციხენი კახეთისანი“ (279) (მ—2, 7. ფურც. 41).

20. ქ^ცა I, მატიანე ქართლისა, 298_{13}

ლიპარიტ კლდეკარის ერისთავმა ბაგრატის წინააღმდეგ დემეტრე გამოიყვანა ბერძენთა ლაშქრით „და მიერთნეს სხუანიცა ვინმე დიდებულნი და აზნაურნი, მოვლეს ზემო ქუეყანა და ჩამოვიდეს ქართლს, მოადგეს ატენს, არე-არე მოწუეს ქართლი.

...ვერ წაიღეს ატენი, რამეთუ ციხეთა-უფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს ერთგულობასა ზედა ბაგრატისასა, თჳნიერ ფარსმან თმოგუელისა და ბეშქენ ჯაყელისა, თუხარისისა ერისთავისა“.

არა ჩანს, რომ „ციხეთა-უფალნი კაცნი“ ყველა ერისთავი ყოფილიყო. ატენი მაგალითად ციხე იყო, მაგრამ ერისთავის საჯდომი არ იყო. ამ ჯევის პატრონი ამ დროს იყო, როგორც ჩანს, ატენის სიონის წარწერიდან, მირიანი, საფიქრებელია ძველისძველი მკვიდრი ამ ხეობისა. ასე რომ უერისთავო ციხე არსებობდა (თავისი ქვეყნით), მაგრამ უციხო ერისთავი არ წარმოიდგინება (მ—2, 7. ფურც. 42).

21. ქ^ცა I, მატიანე ქართლისა, 307

ბაგრატ მეფემ სომეხთა მეფე ხელთ იგდო. მისგან სამშვილდეს ითხოვდა. სომეხთა მეფე „ძელსა გასუეს“ მისცეს ბაგრატს სამშვილდე. „ხოლო მოსრულ იყვნეს ორნი ერისთავნი სომეხთა მეფისანი: ლუკიის ერისთავი და კაქვაქარისა. აძლევდა და მოსცემდა სამთა ციხეთა სუმბატ, ძმა კვრიკესი: ოფრეთს და კოშკსა და ვარზაქარსა. ხოლო შეეწყალნეს ბაგრატ მეფესა: მისცნა და უთავისუფლნა ყოველნი ციხენი თჳნიერ სამშჳლდისა; და არცა სხუანი ციხეთა-უფალნი, კაცნი დიდებულნი, შემოუშვნა, არამედ სამშჳლდე ოდენ იურვა სახლად თჳსად, და აგრეთვე მონებდეს სომეხნი“.

ამ ბუნდოვანი ადგილიდან (ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლით შესაძლებელი იქნება ამ ადგილის რამოდენადმე ნათელყოფა) მხოლოდ ისა ჩანს, რომ ქვემო ქართლში რამოდენიმე საერისთავოა (ორი ხომ დასახელებულიცაა) და ციხეები; სამი ციხე კვრიკეს ძმას სუმბატს უჭირავს...

მეფემ მხოლოდ სამშვილდე დაიჭირა „სახლად თკსად“.

„ციხეთა-უფალნი კაცნი დიდებულნი“, რა თქმა უნდა, ყველანი ერისთავები არ არიან... (მ—2, 7. ფურც. 45).

22. ქ^ცა I, მატიანე ქართლისა, 308, 309

სულთანი მოულოდნელად შემოესია ჰერეთს, „მის ქუეყანასა დიდებულნი იყვნეს მორთულ და ერთგულ ბაგრატისსა. და მას ჟამსა იყო მცირედითა საქონლითა მეფე კახეთისა აღსართან, ძე გაგიკისი. და ყოველთა დაყარნეს ციხენი მათნი, და ივლტოდეს კავკასიად“. ამ დროს ბაგრატს გაელაშქრნა კახეთის ასაღებად, „და ლაშქარი მისი წინა გაგზავნილი იყო ვეჟინის ერისთავსა თანა წირქუალელსა“.

ბაგრატი კახეთს მოეშვა და ქართლს შემოვიდა. აღსართანი კი სულთანს ეახლა, ქრისტიანობა უარყო და დაემორჩილა. „და მისცნა ყოველნი ციხენი დაყრილნი სულტანმან მასვე: და რომელნი აფხაზთა მეფისა კაცთა დაეყარნეს, და რომელნი თკთ აღსართანისთა, მისცნა ყოველნი“.

აი ამ ციხეებისაგან შედგებოდა მთელი ჰერეთ-კახეთი და „ციხეთა-უფალნი კაცნი“ მართავდნენ მას...

ეს ციხეთა უფალნი კაცნი ზოგი აფხაზთა მეფისაა, ზოგი თვით აღსართანისაა. და არაა სავალდებულო, რომ ერისთავები უთუოდ ადგილობრივნი იყვნენ; მაგალითად ვეჟინის ერისთავი წირქვალელია.

ეს ხელისუფალნი კაცნი თავისი შეხედულებისდა მიხედვით მოქმედებენ: აღსართანისა თუ აფხაზთა მეფის ეს ფეოდალური მოხელენი დაყრიან ციხეებს და ილტვიან კავკასიად... ზოგჯერ დამაგრდებიან და იბრძვიან, ზოგჯერ გადაუდგებიან პატრონს... (მ—2, 7. ფურც. 46).

23. ქ"ცა I, მატიანე ქართლისა, 311—312

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფადლონი ჟალეთს მიჰგვარეს ისაკ ტოლოშელის ძეს, ეზნაურ-
სა მესხსა, რომელიც ჟალეთს მართავდა. ის თითქო
ბაგრატ მეფის მოხელე იყო. მაგრამ „არა იკსენა ისაკ მკვდრობა
აფხაზთა მეფისა, რომელმცა აფხაზთა მეფისაგან გაქცეული ფად-
ლონ შეიპყრა, და შეგუარა ბოჭორმას ბაგრატისთვს. არამედ
მსწრაფლ წარიყვანა და მიჰგუარა აღსართანს თელავს"...

ეს მესხი აზნაურიც საკუთარი ანგარიშით მოქმედებს...

ჟალეთი ციხეა, მას „კარი" აქვს (მ—2, 7. ფურც. 48).

24. ქ"ცა I, მატიანე ქართლისა, 315—317

გიორგი მეორე გამეფდა. ცოტა ხნის „შემდგომად თავად-
თა ამის სამეფოსათა ნიანია ქუაბულის-ძემან, და ივანე
ლიპარიტის ძემან, და ვარდან სუანთა ერისთავმან, რეცა თუ იკ-
ლეს რამე სიყრმით გიორგი მეფისათ, და აუშალეს ქუეყანა; ივანე
მოირთნა კახნი და დადგა ქსნის პირსა; და ნიანია წარულო ქუთა-
თისისა საჭურჭლე და შედგა ქუთათისს შიგა; და ვარდან გაადგინნა
სუანნი ავისა მოხარკულნი, დაარბიეს და ამოსწყვდეს საეგრო".

ჩვენი ავტორის მიერ მოცემული რეალურ-ისტორიული სურა-
თი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისა ნათლად მოწმობს,
რომ ციხე (მისი ქვეყნით) ქცეულა გადამწყვეტი მნიშვნელობის
მომენტად მთელი სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. რომ ციხისა
უფალნი კაცნი არიან ისინი, ვის ხელშიაც არის ქვეყნის ავ-კარგი.

ყურადღებას იქცევს ციხეთა სიმრავლე ერთის მხრივ (ათეუ-
ლობით და მეტიც თითო საერისთავო ქვეყანაში), ხოლო ციხეთა
ამ სიმრავლის ფონზე ზოგიერთის მნიშვნელობის ზრდა; მთელი
ქვეყანა ციხეებში ჩამსხდარის შთაბეჭდილებას ქმნის. და ეს ამო-
დენა ციხეები თავის მეციხოვნეებით თავს დასწოლია ამ ციხეში
„შემავალ" მცირე ხევებს... ციხისუფალნი კაცნი ფეოდალური მო-
ხელენი არიან და ციხისთავ-ციხოვანნი მოვალენი არიანი უერთ-
გულონ როგორც საკუთარ პატრონს, ისე ამ პატრონის პატრონ —
მეფეს... მაგრამ ასეთი ერთგულება დიდად საქებარი გამხდარა,
ჩანს — იშვიათია. უკუდგომა, პატრონის გაწირვა, ციხის გაცემა
ჩვეულებრივი მოვლენაა...

ქვეყნის პოლიტიკური ძალა ამ ციხეებშია. ქვეყნის დარბევა,
მოწვა, აწყვეტა ადვილი საქმეა, მაგრამ ქვეყნის დაპყრობა ამ ci-
ხეთა ხელში ჩაგდებით შეიძლება მხოლოდ.

ამდენადვე ქვეყნის პოლიტიკური ძალის განსახიერება ციხეშია და ციხისუფალნი კაცნი (ეს, უნდა ვიფიქროთ ტექნიკური გამოთქმაა იმ წრის აღსანიშნავად, რომელიც რეალურად ქვეყანას განაგებს, ვის ხელთაა პოლიტიკური ძალა) არიან ქვეყნის მფლობელობის მაძიებელნი... და გამართულია დაუნდობელი ბრძოლა ციხისუფალ კაცთა და მეფეს შორის სწორედ ამ ციხეების დაუფლებისათვის...

ხევში მიმდინარე სოციალური პროცესი არის ის საფუძველი, რომლითაც საზრდოობს ციხისუფალ კაცთა ტენდენცია მეფისადმი ურჩობისა, მაგრამ ჯევში მიმდინარე სოციალურ პროცესში მეფეც დასაყრდენს ეძებს იმისათვის, რომ დიდაზნაურთა ძალა გასტეხოს...

კრიტიკული მდგომარეობაა. საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება ამ მთავართა დამარცხება იყო, მაგრამ ეს არ იყო ბრძოლის დამთავრება და მთავრები „თავადთა ამის სამეფოსათა" შეცვალეს და საერთო ძალით და უცხოელთა დახმარებით ლამობენ ძველის დაბრუნებას... „ქვეყნის" განვითარება კი მოითხოვდა წესრიგს, ერთიან ქვეყანას და, ბუნებრივია, პროგრესის განმასახიერებელი საზოგადოების აჯანყება არსებულის წინააღმდეგ; გასაგებია დავითის ისტორიკოსის მკაცრი დაუნდობელი პოზიცია... ამას მოითხოვდა „ქვეყნის" განვითარება, მისი წინსვლა... (მ—2, 7. ფურც. 51—52).

25. ქ^ცა I, ც-ბა დავითისი, 334$_{11}$

1117 წ. „მეორესა წელსა დაიპყრნა გრიგორლის ძენი ასამ და შოთა, და აღიღო ციხე გიში".

ციხე გიში თავის ქვეყნით, ჩანს, ჰერეთის გარეთ იყო, მაინც და მაინც ჰერეთის ქვეყანაში ეს გრიგოლის ძენი ცალკე ერთეულს შეადგენდა, რომლის პოლიტიკური ცენტრი იყო ციხე გიში. საყურადღებოა, რომ ციხე გიში და მისი მიმდგომი ქვეყანა შეიძლება აღინიშნოს: „გრიგოლისძენი ასამ და შოთა". (მ—2, 7. ფურც. 76).

26. ქ^ცა I, ც-ბა დავითისი, 341$_{1}$

თურქების კოალიცია „მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელ თჳთ ფერჴთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ მანგლისი ისეთივე „ადგილია“, ისეთივე ქვეყანა, როგორც თრიალეთი...

ასე რომ ქალაქის, თუ ციხის, თუ ადმინისტრაციულ-პოლიტიკური პუნქტის სახელით აღინიშნება თვით მისი მომდგომი, თუ მასში შემავალი ქვეყანა (ლორე, სამშვილდე, ხუნანი, ბარდავი, მანგლისი და სხვა). (მ—2, 7. ფურც. 83).

27. ქ^ცა I, ლაშას დროის მემატიანე, 370_{25}

„მეფემან (ლაშამ) აიღო ოროტი და ყოველნი ციხენი და მიმდგომნი მისნი“.

ეს „მიმდგომნი მისნი“ იქამდე ჩვეულებრივია, იქამდე აუცილებელია ციხისა თუ ქალაქისათვის, რომ ტექნიკურ გაძოთქმად არის ქცეული.

ციხის თუ ქალაქის აღება ნიშნავს ძისი მიმდგომის აღებასაც, რადგან ამ მიმდგომის გარეშე არც ციხე წარმოიდგინება და არც ქალაქი.

ამითაა აღიარებული ფეოდალური ხანის ცენტრები. სამოქალაქო იგულისხმებოდა ქუთაისის, ის იყო ქუთაისის ქალაქის მიმდგომი... (მ—2, 4. ფურც. 47).

28. ქ^ცა I, სუმბატ, 384_5

ბასილი კეისარი მოვიდა ბასიანს „და ითხოვდა იგი გიორგი მეფისაგან ციხე-ქუეყანათა და აღუთქმიდა ზავსა და მშვდობასა“.

ციხე იქამდე დაკავშირებულია ქვეყანასთან, ხოლო ქვეყანა ციხესთან, რომ კომპოზიტური ცნებაც კი შექმნილია: ქვეყანა უციხოდ არ წარმოიდგინება და ციხე უქვეყნოდ.

მთელი მხარეები მოფენილია ციხეებით. უციხო ქვეყანა აღარ არის (კარგად ჩანს გურჯისტანის ვილაიეთის რეესტრიდანაც).

„ქვეყნის“ განვითარების ფორმა ახლა ასეთია. ამ ციხეების მოშლა „ქვეყნის“ განვითარების ახალი საფეხური იქნებოდა... ამ საფეხურამდე ფეოდალურ საქართველოს არ მოუღწევია.

დავით აღმაშენებელი ციხეებს არა ჩანს რომ ებრძოდა, ის ციხეთა დამორჩილებისათვის იბრძოდა მხოლოდ. მას არ შეეძლო ციხეებისათვის შეეტია: საამისოდ ქვეყანა არ იყო ჯერ განვითარებული... მაგრამ დავითი ისეთ ღონისძიებებს იღებდა, რომელთაც

ქვეყნის განვითარება ახალ საფეხურზე უნდა აეყვანათ, როცა ეს აურაცხელი ციხეები ზედმეტი გახდებოდა და მოიშლებოდა. ეს შორი მომავლის საქმე იყო, და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხიც... მეზობლები, სამხედრო ტექნიკა, თავდაცვა... (მ—2, 7. ფურც. 2, 112).

[ქვეყნის ცენტრი — ციხე-ქალაქი და მიმდგომი მისი]

1. ქ^ცა II, ისტ. აზმ. 54_7

გიორგი რუსზე გამარჯვების შემდეგ თამარმა „შეიწყალა ზაქარია ვარამის ძე, და უბოძა გ ა გ ი ქ ო ო რ დ ვ ა ჭ რ ი თ ა განძამდის მრავლითა საკუთარითა და მრავლითა სანახევროთა ქალაქებითა, ციხეებითა და სოფლებითა“...

გ ა გ ი ს ქ ვ ე ყ ა ნ ა ქ ა ლ ა ქ ე ბ ი თ, ც ი ხ ე ე ბ ი თ, ს ო ფ ლ ე ბ ი თ...

ზაქარია ვარამის ძე ამით ქ ვ ე მ ო ს ა ნ ა პ ი რ ო ს მონაპირე გახდა.

გაგი ამის წინ (51) ივანე ვარდანის ძის იყო (მ—2,7. ფურც. 127).

2. ქ^ცა II, ისტ. აზმ. 108_6

არდაველს გამარჯვებულ ზაქარიას და ივანეს „მეფემან უბოძა მრავალნი ც ი ხ ე ნ ი დ ა ქ ა ლ ა ქ ნ ი დ ა ქ უ ე ყ ა ნ ა ნ ი“.

აქ „ქ ვ ე ყ ა ნ ა ნ ი“ ნაგულისხმევია ამ ციხეთა და ქალაქთა მიმდგომი ქ ვ ე ყ ა ნ ა ნ ი (მ—2,7. ფურც. 6).

3. ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 108.

„მეორეთ კიდევ მისცა ყაზან ყაენმან მეფობა საქართველოს ვახტანგ მეფესა. დაიჭირა ვახტანგ მეფემან სომხითი, დმანისი, სამშვილდე და ქ ვ ე ყ ა ნ ა ნ ი ა მ ც ი ხ ე თ ა“.

ქ^ცა, მარ. ჟ. აღშწერელი გვ. 766. აქ ტექსტი ამ სახით არაა მოცემული, ჩანს ფარსადანი თავისი ენით მოგვითხრობს, მით უკეთესი. თითოეულ ც ი ხ ე ს ა ხ ლ ა ვ ს ქ ვ ე ყ ა ნ ა, ა მ ც ი ხ ი ს შ ე მ ა ვ ა ლ ი ქ ვ ე ყ ა ნ ა.

„ს ა ქ ვ ე ყ ნ ო დ გ ა მ რ ი გ ე“ მოწმობს, თუ რა ესმოდათ ცნება „ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი“. ქვეყანა აქ ცენტრის, „კ ა რ ი ს“ დაპირისპირებით ნიშნავს პერიფერიას, პროვინციას უეჭველად და-

სახლებულს, ათვისებულს და არა მიწა-წყალს... (მ—2, 3. ფურც. 2. მ—2,7. ფურც. 138).

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. სულთნის ფირმანი სიმონ მეფეს

(ს. ჯიქია)

სიმონი „მორჩილებს“ სულთანს. ქართლი მას აქვს საშვილიშვილოდ, ციხეები კი (დმანისი, ტფილისი, გორი, ლორე) ოსმალთ უჭირავთ. სულთანი აფრთხილებს სიმონს, რომ მისი თავად-აზნაურები ნუ არბევენ ციხის გარშემო სოფლებს.

მაშასადამე, ოსმალთ უჭირავთ ციხეები მათ გარშემო სოფლებით, ე. ი. ციხის გარშემო სოფლები შედიან ციხეში (მ—2,4. ფურც. 7).

ქალაქების არქეოლოგია ჩვენში

ქალაქები არ განიხილება, როგორც ქვეყნის ცენტრი. ეძებენ ქალაქის ნივთიერ კულტურას და უგულვებელყოფენ იმ გარემოს, რომელმაც ეს ქალაქი წარმოშვა, რომელიც ამ ქალაქს ძირითადად ასაზრდოებდა...

რა თქმა უნდა, სრულიად არაა საკმაო, რომ ამა თუ იმ ქალაქის აღმოცენება, მისი სიდიდე, მისი სახეობა წარმოაჩინო. ქალაქის ისტორიული შესწავლისათვის ასეთი არქეოლოგია საკითხის მხოლოდ ერთი უბნის გაშუქება იქნებოდა.

ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისი აქ აუცილებელია. ქალაქს საზოგადოებრივი ურთიერთობა წარმოშობს, მაგრამ ქალაქის წარმომშობი ეს საზოგადოება გარკვეული ერთეულია ამა თუ იმ ფიზიკურ გეოგრაფიულ სივრცეზე. აი ეს საზოგადოება წარმოადგენს ქვეყანას, რომლის „ცენტრიც“ არის მისი ქალაქი. ასე რომ ესა თუ ის ქალაქი უქვეყნოდ არ წარმოიდგინება. ქალაქი მისი სახელოსნო, თუ სამიწათმოქმედო უბნებით (შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე ასეთი ვითარება მოუშლელია: აგარანი, „ქალაქის პირის სოფლები“, „ქალაქი და მიმდგომი მისი“, „სამოქალაქო“, „ციხე მისითა შესავლითა“) არის ცენტრი, რომელიც ამ ქვეყანას, უპირატესად, მოემსახურება. ჩვენი არქეოლოგია კი დიდის ტანჯვით მიდის ასეთი ცენტრის შესწავლამდე და აქამდე მხოლოდ ზღუდის შიგნით არქეოლოგიას სჯერდებოდა.

ჩვენი, ისტორიულ-გეოგრაფიული წარმოდგენით ქალაქი რთული სოციალურ-ეკონომიური წარმონაქმნია. საუკუნეთა სიღრმეში იწყება მისი წარმოშობა... ნაზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარება და წარმოებითი ურთიერთობა ქმნიან აუცილებელ პირობებს ქალაქების წარმოშობისას. გეოგრაფიული მომენტი, პოლიტიკური ვითარება, გზები, ხელსაყრელი ბუნებრივი მონაცემები, ყველაფერი ეს არის ხელის შემწყობი პირობები ქალაქის წარმოშობისათვის. მთავარია და უმთავრესი ამ ქალაქის ქვეყნის საწარმოო ურთიერთობის და საწარმოო ძალების განვითარება... (მ—2,4. ფურც. 51—52).

5. „ქვეყანა" და ბერძნული ფაქტორიები... ასეთი პუნქტები (ფაქტორიები) ადგილობრივი მოსახლეობის „ქვეყნის" მოხერხებულ ადგილას ეწყობოდა, რა თქმა უნდა, იქ სადაც ადგილობრივი საზოგადოება თავს იყრიდა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა უკვე იყო. ასეთი პუნქტი „ქვეყნის" „ცენტრი" იყო (მაინც და მაინც ქვეყნის საგაცვლაგამოცვლო ურთიერთობა ამ ადგილებში ეწყობოდა) შდრ. ფოთის ან ცხუმის შესახებ ცნობები...

ბათომი ამ თვალსაზრისით უნდა ეძებნათ (მ—2,5. ფურც. 1).

6. სად იყო მეფის სამყოფელი და როდის? თითქო თავდაპირველად არმაზს (ქართლს) ტრადიცია, არქეოლოგია, შემდეგ კი ორმეფობა და ბოლოს „მცხეთას ოდენ იყო მეფობა"...

სად იყო სპასპეტის სამყოფელი? არმაზის ხევში, არქეოლოგია... ციხედიდი, ჯოჯიკი, რუსი... სასპასალარო — კასპში...

უფლისწულები რუსთავში, უჯარმაში, სამშვილდეში... (6,6. ფურც. 94).

7. ჰაბო, 62_{18}

აფხაზეთიდან ქართლში, ტფილისში დაბრუნებული ჰაბო სამწელიწადს „იქცეოდა ქალაქსა მას შინა და გარემოჲს ყოველსა სოფლებსა განცხადებულად ქრისტიანედ"...

პირველადაა აღნიშნული ქალაქი დ გარემოჲს სოფლები. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ დროს უკვე არსებობდა ტექნიკური გამოთქმა ქალაქი და გარემოჲს სოფლები, ე. ი. „ქალაქის პირის სოფლები", როგორც ამას გვიან იტყოდნენ. ან აგარაები (6,4, ფურც. 79).

8. ქ᾽ცა I, ჯუანშერი, 244₁

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ მეფემ „აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი პატს ორთა წყალთა შუა. ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი და მჯეცის-ბუნებისანი, არამედ ყრუსა მოესრა სიმრავლე მათი. და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი“.

იმისათვის, რომ დაემორჩილებინა ნუხპატელნი, არჩილმა აღაშენა ციხე-ქალაქი (მ—2,7. ფურც. 12).

9. ქ᾽ცა I, ც-ბა დავითისი, 318₇

გიორგი მეფე იყო „მამულსა თჳსსა ტაოს... ხოლო მუნ მოვიდა წინაშე მათსა ზორვარი აღმოსავალისა გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი, და კარნუ-ქალაქი და კარი... და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა და განიყარნეს. ხოლო მეფემან გიორგი დაუტევნა კარს აზნაურნი შავშნი და წარმოვიდა შინა“.

კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა (მ—2,7. ფურც 54).

10. ქ᾽ცა I, ც-ბა დავითისი, 335₇

დავითს ღმერთი მოსცემდაო „სამეფოთა ქუეყანათა, ქალაქთა და ციხეთა“, მაგრამ „არა იყო ესეოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა მისსა, რათამცა ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამჭირველად და კუალად თჳთ მის თანა მყოფად და მოლაშქრედმცა კმა ეყვნეს“...

ქვეყნის დაჭერა შეიძლება ქალაქებში და ციხეებში ჯარის ჩაყენებით...

ქვეყნის ცენტრი მისი ქალაქი და ციხეა (მ—2,7. ფურც. 81).

11. ქ᾽ცა I, ც-ბა დავითისი, 339—340

დავითი აფხაზეთს იყო. თურქები „გულდებით ჩამოდგეს პირსა მტკურისასა“, მაგრამ დავითი სწრაფად გამოვიდა და „დაესხა ხუანს. და აღავსო ლაშქარმან მთით მტკურამდე და გაგთათბერდუჯამდე და მოსრეს პირითა მახჳლისათა, რომელ არა დაუშთა მთხრობი ამბავისა“...

გაზაფხულზეო მტკვარი ადიდდა. „ამისითა მინდობითა ჩადგეს თურქმანნი ბარდავს გულდებითა. მაშინ მონახნა მეფემან ივანეცა და ალონს მტკუარსა გაცურდა ყიჟჩაყითა დაუზრავსა მას ადგილსა მოსრნა თურქნი, არბია ბ ა რ დ ა ვ ი“...

„ხ უ ნ ა ნ ი დ ა ბ ა რ დ ა ვ ი“ აქ აღნიშნავენ ქ უ ე ყ ა ნ ა ს და არა მხოლოდ ქალაქს (მ—2,7. ფურც. 82).

12. ქ ცა I, სუმბატ დავითის ძე, 376_7

„ხოლო აშოტ კურაპალატი მთავრობდა ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა მას შ ი ნ ა დ ა ს ა ხ ლ ა დ მისა იყო ბარდავი და ტფილისი, და ჰქონდა მას ქ უ ე ყ ა ნ ა, რ ო მ ე ლ ა რ ს გ ა რ ე მ ო ს მ ი ს ს ა. და შაშინ გაძლიერდა ჯელმწიფება აგარიანთა და იწყეს ძ ი ე ბ ა აშოტ კურაპალატისა. და ვერ უძლო წინააღდგომად მათდა აშოტ და ივლტოდა მათგან. და წარემართა რათა წ ა რ ვ ი დ ე ს ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ ა დ“...

ტფილისის ქ ვ ე ყ ა ნ ა „რომელ არს გარემოს მისსა“... (მ—2,7. ფურც. 100).

თ ბ ი ლ ი ს ი ს ქ ვ ე ყ ა ნ ა

„ქვეყნის“ პრინციპის თანახმად „თბილისის ქვეყანა“ მისი უძველესი გაგებით (ცენტრი მისი სამეურნეო გარემოთი) არც არსებობდა, ან უკეთ ეს ქვეყანა ყოვლად უმნიშვნელო და უკმარი იყო, მცირედ მაინც არის, ცენტრის შესაქმნელად (შეიძლება „აგარანი“ თბილისის სამხრეთით? ვახუშტის ჩვენება...?). ასე რომ თბილისი ძველი დროის („მონათმფლობელური“) ქალაქი (ცენტრი მისი სამოქალაქოთი) არ შეიძლება არსებულიყო... ის ძველი თბილისი მცირე მნიშვნელობის პუნქტი უნდა ყოფილიყო... და თუ თბილისი დაწინაურდა მცხეთასაც კი სძლია, ეს შედეგი იყო მრავალ სხვადასხვა მოვლენათა: გზა, ხიდი, პოლიტიკა (განსაკუთრებით საყურადღებოა ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისს სპარსთა პიტიახში იყენებს მცხეთის საპირისპიროდ: ეს მოწმობს თბილისის გეოგრაფიულ-პოლიტიკურ უპირატესობას მცხეთასთან) და, განსაკუთრებით, უმთავრესი იყო ახალი სოციალურ-ეკონომიური ვითარება: თბილისი უ ქ ვ ე ყ ნ ო ქ ა ლ ა ქ ი, უკეთ მას არ ახლავს ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო საკმაო შესაფერისი, ამიტომ მას ცენტრობა მაშინ შეეძლება, თუ მისი სამოქალაქო მთელი ქვეყნები იქნება, ე. ი. თუ გარშემო „ქვეყნები“ თავისი ცენტრებით, დიდი თუ მცირე, (მცხეთა შიდა

ქართლით, ჟალეთი, უჯარმა, რუსთავი, გაჩიანი და სხვ.) თბილისის ქვეყანა შეიქმნება. ე. ი. თუ თბილისი ქვეყნის გაერთიანებელი იქნება. ამით იყო თბილისი „აგრესიული". ეს კი იმას ნიშნავს (როცა ეს მოხდა), რომ ძველი მონათმფლობელური ქვეყანა შემზადდა ახალი ურთიერთობისათვის. ძველ „ქვეყნების" (თავის ცენტრებით) გაერთიანება დღის წესრიგში დადგა და ყველა სხვა ქვეყანას თბილისმა აჯობა, ყველა ამ ქვეყნების გამაერთიანებელმა... ასეთი გამაერთიანებლის როლში უკვე მცხეთა ლამობდა გამოსულიყო (მას არაერთი ქვეყანა გაეერთიანებინა), მაგრამ მცხეთას თბილისმა აჯობა. თბილისი იბერულ ეროვნული აღარაა (ასეთი მცხეთაა), ის ჰერულ-ქართულ-იბერულია... და კიდევ მეტიც... (მ—2, 3. ფურც. 57).

13. ქცა I, სუმბატ დავითის ძე, 377_1

„და ამან აშოტ კურაპალატმან პოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე, ერთი, რომელი პირველ ვახტანგ გორგასალს ციხედ აღეშენა, სახელით არტანუჯი; და აოჯრებულ იყო ბალდადელისა მის ყრუობითგან. იგი განაახლა აშოტ და აღაშენა ეგრეთვე ციხედ, და წინა კერძო მისსა ქუეშეთ აღაშენა ქალაქი. და აღაშენა ციხესა მას შინა ეკლესია წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი, და შექმნა მას შინა საფლავი თჳსი და დაემკჳდრა ციხესა მას შინა ცხოვრებად".

ა რ ტ ა ნ უ ჯ ი — ც ი ხ ე, ე კ ლ ე ს ი ი თ, ს ა ს ა ფ ლ ა ო თ ი, ქ ა ლ ა ქ ი თ, სოფლებით... (ქვეყნებით).

376_{23}

„მკჳდრთა შავშეთისათა შეიწყნარეს იგი სიხარულითა და სიყუარულითა, და დაემკჳდრა მუნ. და მისცა ღმერთმან გამარჯუება და აჴელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა. და მან ს ო ფ ლ ე ბ ი ზ ო გ ი იყიდა საფასოთა, და ზოგი ოჴერი აღაშენა, და განამრავლა ს ო ფ ლ ე ბ ი ა შ ო ტ კ ურ ა პ ა ლ ა ტ მ ა ნ ქ უ ე ყ ა ნ ა თ ა მ ა თ შინა. და მისცა ღმერთმან და განამტკიცა ჴელმწიფება მისი ნებითა ბერძენთა მეფისათა".

ესაა ქ ვ ე ყ ნ ი ს მ შ ე ნ ებ ლ ო ბ ა: ს ო ფ ლ ე ბ ი, ც ი ხ ე ე კ ლ ე ს ი ი თ, ქ ა ლ ა ქ ი თ, — ტ ი პ ი უ რ ი ა... (მ—2,7. ფურც. 99).

ეროვნული ბიბლიოთეკა

[ქვეყანა სამამასახლისოდან საერისთავოამდე, ქვეყანათა ერთიანობის საფუძვლები]

1. მიუხედავად იმისა, რომ ლეონტი (ჯუანშერიც) სულ იმას გვაუწყებენ, რომ ძველი ქართლის მეფეები (თვით ფარნავაზიდან მოკიდებული) სხვადასხვა ქვეყნების ერისთავებს ნებისმიერად სცვლიან და თითქო ეს ასე გრძელდებოდა VI საუკუნემდე, როცა უცხო ძალების დახმარებით ერისთავებმა მკვიდრობა გაინაღდეს, მიუხედავად ამ დაჟინებისა ჩვენ გვგონია, რომ ქვეყნის ისტორიული განვითარება მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული წყობა ძირითადად საწინააღმდეგოდ ამისა ვითარდებოდა.

ისტორიულ-გეოგრაფიული მოსაზრებანი, ქვეყანათა წარმოქმნა-განვითარების პრინციპი იმას გვაფიქრებინებს, რომ ძველი ბერძნული წყაროების ცნობები ბასილეუსებისა, ნომარხებისა, ეგრისულ ლოგომონებისა და სომეხ ნახარების შესახებ უფრო რეალურ-ისტორიულ სურათს გადმოგვცემენ, ვიდრე ლეონტი და ჯუანშერი. საგვარეულოს მამასახლისიდან (ბასილეუს-ნომარხიდან) აზნაურ — ნახარარ — ლოგომონამდე...

(ერისთავად დასმა მაინცდამაინც სახელმწიფო წყობილების წარმოქმნასთან დაკავშირებული ინსტიტუტია და ამით ზემო ჩამოთვლილთაგან პრინციპულად განსხვავებულია თავისი ბუნებით...) (მ—2. 4. ფურც. 40).

2. ხევის უფალი, ხევის თავი, ერისთავი, ერისთავთ-ერისთავი...

უნდა ვიფიქროთ: ერთ დროს ხევის უფალი და ერისთავი ერთიმეორის შესატყვისადაც იხმარებოდნენ, მაინცდამაინც სახევისუფლო ტერიტორია (ჯევი) და საერისთავო ტერიტორია ერთი და იგივე შეიძლებოდა ყოფილიყო და უმრავლეს შემთხვევაში იყო კიდევაც (ე. ი. ის მინდა ვთქვა, რომ ყოველი ჯევი საერისთავო იყო, მაგრამ ყოველი საერისთავო შეიძლებოდა არ ყოფილიყო ჯევი). (მ—1,33. ფურც. 26).

3. სტრაბონის ცნობა იმის შესახებ, რომ II საუკუნეში ქრისტეს წინ სომხებმა იბერიელთაგან მიიტაცეს მხარეები, იმის უსაცილო მოწმობა არის, რომ იმ დროს იბერიელებს სახელმწიფო ჰქონდათ თავისი საზღვრებით.., ე. ი. სახელ-

მწიფო ქვეყანა და გარდა ამისა, ეს სახელმწიფო ქვეყანა მცირე ეთნიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებად (ქვეყნებად) იყოფოდა (=საერისთავოებად)... (მ—2, 4. ფურცელ)

4. მიწათმფლობელობის საკითხისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხევის („ქვეყნის") შესწავლას. მიწისმფლობელობა აქ ხევში (ქვეყანაში) გაფორმდა და გაფორმდა ბუნებრივად, მეურნეობისდა გვარად, გვარში, თემში. გვიან ხანაში შემორჩენილი წესი ტყის, საძოვრის, სათიბის და სხვა საერთო სასოფლო ქონებისა, უეჭველია გადმონაშთია უძველესი დროის ვითარებისა, როცა კერძო საკუთრება არავითარ მიწას ჯერ კიდევ არ ეხებოდა, როცა დაჩემება ჯერ კიდევ არ იყო... და გვიან შემოვიდა დაჩემება, დასაკუთრება „საკარმიდამოზე", სარწყავ-სავენახეზე, თანდათან სახნავზე (სვანეთში სათიბზე), ყველგან ვერც კი შემოვიდა და სულ ბოლო დრომდე იმ უძველეს წესს შერჩა (ქიზიყი). საკუთრების პრინციპი ბოლომდე არსად მისულა და საძოვარი, ტყე, საბალახო სასოფლოდ დარჩა.

ასეთი შემოვიდა ხევი („ქვეყანა") საერთო ქვეყანაში. თითოეული ასეთი ხევი („ქვეყანა") საერისთავო იყო. მეფეს კი არ დაუსხავს ერისთავები, როგორც ამას ნაგვიანევი წყაროები გადმოგვცემენ, არამედ ერისთავები მეფის უწინ გაჩნდნენ... მეფის ბრძოლა ერისთავებთან, მირის და არჩილის ღონისძიებანი იმ დიდი ბრძოლის გადმოცემაა, ნაგვიანევ დროში მოდიფიცირებით მოთხრობილი, რომელიც ამ გამაერთიანებელი ერისთავის („მეფის") და ადგილს ერისთავებს შორის მიმდინარეობდა ჯერ პოლიტიკური ჰეგემონობისათვის (რეცა თავადი), შემდეგ კი საერისთავო ქვეყნის მიწების მითვისებისათვის (ბეითალმანის წესი, სიგლის განახლების წესი). ორგვარი მფლობელობა ფეოდალისა: ნაწყალობევი და სამკვიდრო; ტენდენცია: ნაწყალობევის და სამკვიდროს გაიგივებისა; მუდამი ბრძოლა ამ ორ პრინციპს შორის: ერისთავი (ფეოდალი) სულ იმის ცდაშია, რათა ნაწყალობევი სამკვიდროდ აქციოს, მეფე სულ იმის ცდაშია, რათა სამკვიდრო ნაწყალობევად აქციოს. ჩვენში ეს ბრძოლა არასოდეს დამთავრებულა და ფეოდალიზმის პირობებში ის ვერც დასრულდებოდა. ეს ინსტიტუტები: ნასყიდი, ნამზითვი, ნასისხლი სულ ამ ბრძოლის გამოძახილია. „უსამართლოდ წართმა და ისიც ნასყიდისა არაოდეს ყოფილიყო".

„ნახევარს ჩამოუშვებენ“... „ოსმალობა“, „ყიზილბაშობა“ „ნასყიდს უსყიდისაგან არ არჩევენ“: „აზიური ფეოდალიზმი“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აი ხევში („ქვეყანაში“) შექმნილ ვითარებას წამოეცივა მეფე...

არჩილმა რომ ტაძრეულები გააზნაურა და კახეთი მისცა რას ნიშნავს? ერისთავები არ იყვნენ იქა? ლეონტით და ჯუანშერით აქ, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოში, იყვნენ ერისთავები. თუმცა შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს სურათი (არჩილის ნასაქმევი) საეჭვოა, ისევე როგორც საეჭვოა თვით ლეონტისეული ეს ამოდენა საერისთავოები დასავლეთ საქართველოში, ან კახეთისა და სხვა. იმ ძველ დროს საერისთავოები, რა თქმა უნდა, მცირენი უნდა ყოფილიყვნენ აი ისევე როგორც ბიბილურები, ან როგორც ხევის ან მთიულეთის ერისთავები (ესენი ხომ რეალური არიან)=ჯევის („ქვეყნის“) ერისთავები...

ასე რომ ისტორიული გეოგრაფია არსებით კრიტიკას უწევს ძველი ქართული წერილობითი წყაროების მონაცემებს და ამტკიცებს, რომ ეს მონაცემები გვიან შედგენილია და პირველ, იმ ძველ ვითარებას არ ასახავს... არსებით მასალას იძლევა ისტორიული გეოგრაფია მიწის მფლობელობის ინსტიტუტის პერიპეტიების შესახებ. ფეოდალური მიწათმფლობელობის განვითარების შესახებ, ქართული ფეოდალიზმის ხასიათის შესახებ, მისი ძირითადი განსხვავებულობის შესახებ, აზიური ფეოდალიზმისაგან. ალმავალი ფეოდალიზმის ხანაში ერისთავს საფრთხე დაუდგა... მეფემ მისი სიმტკიცის მოშლა განიზრახა, „ქვეყანაში“ მისი მოსაკარგავად დასმა განიზრახა, ქვეყნის უზენაესი მფლობელობა დაიჩემა, ერისთავების სიძლიერე ფეოდალების წრეში შეთხზული მითია. ეს მითი საკმაოდ გვიანაა შეთხზული გასაჭირში ჩავარდნილი ფეოდალების წრეში.

მეფე, ერისთავები, ხეობების უფალნი, ზოგან ჭელმწიფენი (ჩორჩანელი...) — ესაა ადრეფეოდალური ხანა... მეფის ვასალები. მეფე, ერისთავები უფლებაშეკვეცილნი, ზოგან მოსაკარგვეობამდე მოყვანილი — XII საუკ. მეფე, ერისთავები (ერისთავთერისთავები) სამკვიდრო-ნაწყალობევით. ნაწყალობევის გამსაკუთრებელნი=დაშლა, ჩიხი... (მ—2,21. ფურც. 98—100).

5. საქართველოს „კუთხეები“ („სამთავროები“, ქვეყნები) ბარისა და მთის ერთგვარ შეერთებას, ერთგვარ ერთიანობას წარმო-

ადგენენ (რა თქმა უნდა საშუალო საუკუნეებში). და თვით მთელი საქართველოც ასეთ ქვეყნებისაგან შედგენილი ერთეული იყო. ერთეულის დაშლა შეიძლებოდა მის შემადგენელ „ქვეყნებად", მაგრამ ამ „ქვეყნის" (თითოეულის) დაშლა კი აღარ შეიძლებოდა მეურნეობის მოუშლელად (ე. ი. მეურნეობის ძირითადი რღვევის გარეშე). რა თქმა უნდა, ამ „ქვეყანათა" გაერთიანებაც მხოლოდ შიშველ ძალას არ ემყარებოდა, არამედ გარკვეული სამეურნეო განვითარებითაც იყო შეპირობებული, მაგრამ ჯერ კიდევ მეურნეობაში, ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში ის ტეხილი არ იყო მიღწეული, რის შემდეგ ეკონომიური განვითარების არსებითად დაუზიანებლად მას „ქვეყნებად" დაყოფა არ შეძლებოდა. ამიტომ არის მართალი, რომ ეს გაერთიანება „ზედაპირული", „ეფემერული" იყო და ადვილადაც იშლებოდა. საჭირო იყო სოციალურ-ეკონომიური განვითარების, საწარმოო ძალთა განვითარების ახალი ხარისხი, რომ საქართველო აღარ დაშლილიყო. ფეოდალური ურთიერთობის პირობებში ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო, თუმცა საამისო პირობები სწორედ ფეოდალური ურთიერთობის განვითარების გარკვეულ საფეხურზე უნდა შემზადებულიყო და მზადდებოდა კიდევაც. VIII—IX საუკუნეებში წარმოიქმნენ ქვეყნები (რამოდენიმე ხეობათა გაერთიანება საზაფხულო და საზამთრო ადგილებით). ეს იყო ის, რაც საქართველოს ცალკეული კუთხეების (ქვეყნების) საწარმოო ძალთა განვითარების შესაბამისი გამოხატულება იყო (ტერიტორიულ-პოლიტიკური). ეს იყო ფეოდალური საქართველოს გამარჯვების გამოხატულება (ფრიად საინტერესოა, რას ემყარებოდა ის ძველი გაერთიანება, ვთქვათ ფარსმანის, ან მირიანის, ან გორგასალის სამეფო. ესენი ხომ რეალური ისტორიული პირებია, ან ლაზიკა? ქართული აფხაზეთი, ისევე როგორც იმავე დროის კახეთი, ან აშოტ დიდის ქართლი უკვე ფეოდალური) — ე. ი. საქართველოს დაშლა მცირე ერთეულებად, სამეურნეო (მთისა და ბარის, ყიშლაღ-ეილაღის, საზამთრო და საზაფხულო სასახლის ერთეულებად) ქვეყნებად. ჩორჩანელი თუ რომელიმე „მამფალი" ბაგრატიონი თავისი „შვილებით", ან რომელიმე დონაური ქორეპისკოპოსი, ილარიონ ქართველის მამა-ბიძები, ნერსე ქართლის მთავარი, თუ კონსტანტინე კახაი, ყველა ასეთი ქვეყნების „უფალნი" და „ჭელმწიფენი" იყვნენ...

შემდეგ განვითარების შესაბამისად ხდება პოლიტიკური პროცესი ამ „ქვეყნების" გაერთიანებისა [და ერთიანდება „საქართვე-

ლოდ", რაც ცხადი მოწმობა არის იმისა, რომ გაერთიანების წინ ეს ქვეყნები მაინც რაღაც ძველი ერთიანობის (როგორის?) მემკვიდრეობა იყო: უ ნ დ ა ვ ი ფ ი ქ რ ო თ ტ ო მ ო ბ რ ი ვ ი ბ ა ნ ა ს ა ო ბ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე ა რ ს ე ბ უ ლ ი ძ ვ ე ლ ი ე რ თ ი ა ნ ო ბ ი ს, ქართველურ-კავკასიურ ტომების (?)]. მაგრამ ეს პროცესი ჯერ ახალ ხარისხობრივ მოვლენად ვერ გადაქცეულა; ეს თუნდაც იქიდანაც კარგად ჩანდა, რომ გაერთიანებული „საქართველო" ამ „ქვეყნებიდანვე" შედგენილად რჩებოდა, რომ ეს ქვეყნები რეალურ ერთეულებად რჩებოდნენ ამის შემდეგაც, რომ „საქართველოს" მეფე რეალურად იყო მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა... რომ „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო" ამ გაერთიანების ზედაპირს გამოხატავდა, რომ რეალურ ხალხური და მტკიცე საფუძვლიანი ისევ ის „ქვეყნები" რჩებოდნენ. ამიტომაც მოხდა, რომ გვიან სხვადასხვა „განსაცდელის" გამო, როცა საქართველო დაიშალა, ის დაიშალა სწორედ იმ შემადგენელ ნაწილებად, რომელთაგანაც ის შედგა გაერთიანების ჟამს; ე. ი. რეალური ქვეყნები, მტკიცე ერთეულები, ფეოდალური განვითარების ნაყოფი პოლიტიკურ-ეკონომიური ერთეულები დარჩნენ (ტერმინი „საქართველოც" თან გადაყვა ამ პროცესს და გვიან გაერთიანების მოჭირნახულეებმა შემოიღეს წიგნური ი ვ ე რ ი ა, „ზემო" და „ქვემო" ივერია). ქვეყნების ის გაერთიანება, რა თქმა უნდა, მხოლოდ ნაძალადევი არ იყო და ეს გარემოება საწარმოო ძალთა განვითარების შესაბამის განვითარებას ემყარებოდა, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ეს არ იყო ჯერ ახალი ხარისხი, სხვა ახალი სახის ურთიერთობა. მიმდინარეობდა პროცესი, გროვდებოდა ძალები, რომელიც ახალ საფეხურს გამარჯვებას უმზადებდა. ამის ნიშნები კარგად ჩანს XII საუკუნის საქართველოში... კრიზისი დგებოდა ძველის კვდომისა და ახლის შობისა. „ქვეყნების" ხარჯზე „საქართველოს" შობისა, ბატონყმური საქართველო იმარჯვებდა, მეფის ე ვ ი თ მ პ ყ რ ო ბ ე ლ ო ბ ა და ბ ა ტ ო ნ ე ბ ი ურთიერთს უნდა შეჯახებოდნენ. ამ დროს საქართველოს ცხოვრებაში შემოერია ა ხ ა ლ ი ძ ა ლ ა.

საქართველო შეიძლება ერთადერთი ქვეყანა იყოს იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ხდებოდა მცირე ტომების ურთიერთში არევა, ტომების გამსხვილება, ხალხის დადგინება... საქართველოს ტოპონიმიკად შემონახული აქვს მრავალი ათეული სახელი ამ ტომებისა, შემონახულია მასალები იმის შესახებაც თუ როგორ და რა ნიადაგზე ხდებოდა მათი ურთიერთშორის არევა; საქართველო იძ-

ლევა შესანიშნავს გეოგრაფიულ წარმოდგენას იმისას, თუ როგორ ერთეულს წარმოადგენდა („ქვეყანას“) თითოეული ასეთი ტომი („ხეობა“, ხევი). საქართველოს არქეოლოგია იძლევა უეჭველ-ობას, თუ სად იყო მაჯისცემა ასეთი ტომებისა იმ უძველეს დროს, როცა ჩვენი წინაპრები იქამდე კულტუროსანი შეიქმნენ, რომ ერთი „ქვეყნის“ მკვიდრნი გახდნენ, რომ „მთა“ იყო განმსაზღვრელი და არა ბარი, რომ ბარი მეორეხარისხოვანი მნიშვნელობისა იყო.

კ ო ლ ხ ე თ ი შეიძლება სწორედ ის გაერთიანება იყო, ერთ-ერთი (კ ო ლ ხ ი?) ტომის გაბატონება სხვა დანარჩენზე, რ ო მ ლ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ს კ ო ლ ხ უ რ კ უ ლ ტ უ რ ა შ ი ვ ხ ე დ ა ვ თ: „ბრინჯაოს ხანის“ კ ო ლ ხ უ რ ი კ უ ლ ტ უ რ ა სავსებით შესაფერისი საფუძველი ჩანს ასეთი პოლიტიკური ერთეულის არსებობისათვის (ამასვე მიუთითებს ჰეროდოტე, ამასვე მოწმობს არგონავტების მითი)... საძიებელია, ოღონდ რა მიზეზის გამო დაირღვა... (იმიტომ რომ გაერთიანება იყო ზედაპირული). (მ—1,33. ფურც. 9—13).

6. ქ ‾ ცა I, ჯუანშერი 142_6

არჩილმა თავის ძეს მირდატს რანის ერისთავის ბარზაბოდის ქალი ცოლად შერთო. „და მისცა მეფემან ს ა მ შ ვ ლ დ ე ძ ე ს ა თ ჯ ს ს ა ს ა ე რ ი ს თ ო თ ა მ ი ს ი თ ა და მუნ დასხდეს მირდატ და საგდუხტ“.

ს ა მ შ ვ ი ლ დ ე ადმინისტრაციული ცენტრია, მას ახლავს „საერისთო“ (ქვეყანა). ეს ხომ ძველისძველი ერთეულია — გაჩიოსის წილი, მცხეთოსის ძმისა. ასევე ერთეულად რჩება ის შემდეგაც, მას აძლევენ ფეროზს... მისი ტერიტორია მოიცავს „ს კ ვ რ ე თ ი ს მ დ ი ნ ა რ ი თ გ ა ნ ვ ი დ რ ე თ ა ვ ა დ მ დ ე ა ბ ო ც ი ს ა“(9).

რაღაც ნიშნით, ჩანს, ის გამოიყოფოდა გარდაბოსის და მცხეთოსის წილისაგან. XI საუკუნეში, როცა ლეონტი წერდა, ასეთი ტერიტორია — ერთეული არ არსებობდა (?), თუმცა სამშვილდარზორაკერტელი მეფენი, ვინ იცის, გაჩიოსის მემკვიდრეობა იყო.

ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა იმედია მოგვაპოვებინებს იმ ნიშანს, ამ „ქვეყანას“ რომ აერთიანებდა. ეს „ქვემო ქართლის“ ისტორიულ-გეოგრაფიულად შესწავლის შედეგად იქნება შესაძლებელი... (მ—2,6. ფურც. 61).

7. ჩემი დაკვირვება „ქვეყნის“ (ერთეულის) შესახებ, გვიანფეოდალური საქართველოს შესწავლის საფუძველზე მივიღე.

. გვიანფეოდალური საქართველო დაიყო „ქვეყნებად“ — სამ-
თავროებად“, რომელთაგან თითოეული სრულიად გარკვეული
თეულს მთასა და ბარს წარმოადგენდა, ტერიტორიას
მელიც ამა თუ იმ სამთავროს ათვისებული ჰქონდა, ტერიტო-
რია, რომელსაც ამ სამთავროში მცხოვრებნი გრძნობდნენ,
ტერიტორია, რომელიც ამა თუ იმ სამთავროს მეურნეობას აუცი-
ლებლად სჭირდებოდა, რათა მას ძირითადად დამო-
უკიდებლად ეარსებნა. ესაა ნამდვილი ცოცხალი
ტერიტორია. „მთა და ბარი“ ქართული სამთავროსათვის მისი
მეურნეობის სახეობისაგან გამომდინარეობდა, ინდივიდუალური
მოვლენა იყო ქართული ფეოდალური ეპოქისა, ხოლო ეთნიკური
მომენტი ქართული სამთავროებისათვის უმთავრესი და გადამწყვე-
ტი აღარ იყო, თუმცა მნიშვნელობადაკარგული ეს მომენტი ჯერ
კიდევ არ ყოფილა; ამის საბუთი ისაა, რომ ქართული ქვეყანა არა-
ერთ სამთავროდ ჩამოყალიბდა (ქართლი, კახეთი, სამცხე-საათაბა-
გო, იმერეთი, გურია), მაგრამ ამ მომენტს რომ მნიშვნელობა ჰქონ-
და იქიდანაც ჩანს, რომ ეს სამთავროები ძველი ტომობრივი ერთე-
ულების (ყოფილის ან არსებულის) ორგანიზაციებს წარმოადგენდ-
ნენ (საერისთავთერისთავოები: ქართლი, კახეთი, სამცხე, არგვეთი,
გურია, ეგრისი, აფხაზეთი, სვანეთი). რა თქმა უნდა ეს აღარ იყო
ძველი ტომები, ფეოდალურ საქართველოს დიდი საქმე გაეკეთები-
ნა: გაექრო ზოგი თემი—აფშილები, გურულები, ეგრისის დიდი ნა-
წილი (სამოქალაქო, არგვეთი), მესხები, ჰერები, კახ-ოსები,
სხვები კი — სვანები, აფხაზები, მეგრელები, ჭანები ძირითა-
დად — მათ ფეოდალურ ნაწილში — გაექართებინა აგრეთვე; ასე
რომ ძველი ტომობრივი ერთეულები ახლა უფრო ისტორიულ მო-
ნაგონარს წარმოადგენდა, ვიდრე რეალურ ვითარებას. მაგრამ ეს
ფაქტი მაინც ისე იყო, რომ ტომურ-თემური მომენტი რჩებოდა
და ჯერ იგი საბოლოოდ გამქრალი არ იყო. ასე რომ გადამ-
წყვეტი მომენტი ამ დაყოფისას, რა თქმა
უნდა, მხოლოდ სამეურნეო მომენტი იყო. ყვე-
ლა სხვა: ადმინისტრაციული დაყოფა თავის დროს ტომობრიობაზე
დამყარებული, ტომობრივობის ტრადიცია — ზოგან მხოლოდ სა-
ხელადღა შერჩენილი — ყველაფერი ეს დანართი მომენტები იყო;
ჩემი ეს დაკვირვება ქვეყნების, ან უკეთ, ტერიტორიის შესახებ
შეიძლება გაღრმავდეს და მივიღოთ დებულება: ყოველ საზოგა-
ოებას ძველი ქვის ხანიდან მოკიდებული ჩვენს დრომდე ახა-
სიათებს თავისი ქვეყანა, თავისი ტერიტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რია ამ საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი, ამ საზოგადოების მიერ ათვისებული. საზოგადოების მეურნეობისდა კვალად ეს ქვეყანა ხან მეტია, ხან ნაკლები, ხან ასეთია, ხან ისეთი, მაგრამ ის ყოველთვის გარკვეულია, ის ყოველთვის შესაბამისია ამა თუ იმ საზოგადოებისა და ეს ასეა ორივე შემთხვევაში, ე. ი. მაშინაც, როცა ტერიტორია განსაზღვრავს საზოგადოებას (კაცობრიობის უძველესი ხანა) და მაშინაც, როცა საზოგადოება განსაზღვრავს ტერიტორიას (ჩვენი დრო). ასე რომ ძველი შეხედულება ამის შესახებ, თითქო უძველეს დროს ადამიანს არ გააჩნდა ტერიტორია, რომ ის „მოხეტიალე" იყო, რამდენადმე, თუ სულ მთლად არა, გადასასინჯავია.

მას შემდეგ, რაც ადამიანი გაადამიანდა ის ასე თუ ისე „მკვიდრიც" გახდა: მისი „სახეტიალო" არე გაირკვა, ეს იყო მისი არსებობისათვის აუცილებელი და საკმაო არე. განუსაზღვრელი ხეტიალისათვის ისეთ ადამიანს არც ძალა გააჩნდა არ ცოდნა. შორი მოძრაობა ასეთი საზოგადოებისა უფრო გვიანი საქმეა (მეჯოგეობასთან დაკავშირებით) და საკმაოდ გვიანი. და ასეთი მოძრაობაც მხოლოდ უკიდურესი იძულების პირობებით შეიძლება ყოფილიყო ნაკარნახევი და წარმატებით სრულდებოდა, როცა ის უკეთესად იყო ორგანიზებული, ვიდრე დამხვდურ-მკვიდრებთან.

საზოგადოებრივი განვითარების განმსაზღვრელი მაინც „მკვიდრები" არიან და არა მსხემები (მსხემობა დროებითია, გარდამავალია საზოგადოების ერთი მკვიდრობიდან მეორე მკვიდრობაში). ესა თუ ის საზოგადოება მუდმივ მსხემობას ვერ შერჩება და კულტურა, საზოგადოებრივი წინსვლა მხოლოდ მემკვიდრეობასთან არის დაკავშირებული.

საქართველოს და (კავკასიის) ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა მეტისმეტად მეტყველ მასალას იძლევა ჩვენი დაკვირვებისათვის. მრავალი ათეული სატომო სახელით აღნიშნული ქვეყნები (ტერიტორიები), ოდესმე ამ ცოცხალ სახელთა გაქვავება გაუშინაარსება, მრავალი ერთეულის რიცხობრივი შემცირება და ბოლოს ერთი სახელით ყველა ამათი დაფარვა, ცოცხლად მეტყველებს, რომ უძველეს დროს (ახალი ქვის ხანა, ბრინჯაო) მთელი ტერიტორია დანაწილებული იყო მცირე ქვეყნებად, მონათესავე თუ უფრო შორეულ ტომებად; შემდგომ განვითარებასთან ერთად, მიმდინარეობდა ამ ტომების ურთიერთში არევა, გამსხვილება. ძლიერი ტომი ქმნიდა ხალხს და ა. შ. (მ—1, 33. ფურც. 5—6).

8. ფეოდალური სამთავროების თანდათანი ჩამოყალიბება, ფეოდალური ერთეულების გაჩენა-მომწიფება ხანგრძლივი პროცესია. ის ჯერ ისევ ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების ეპოქაში ისახება და საბოლოოდ მწიფდება ამ ურთიერთობის გამარჯვების ხანისათვის. ასე რომ ძველი იბერიის პოლიტიკური დაშლა ამავე დროს ფეოდალური სამთავროების გამარჯვებისა და მათი შემდგომი განვითარების ხანა იყო. ეს ერთეულები, რა თქმა უნდა, იყო არა ეთნიკურ-ტომობრივი ნიშნით გაერთიანებული საზოგადოებანი, არამედ სწორედ საკუთრივ ფეოდალური ურთიერთობის ნაყოფი: თავისი ასაკითაც ეს ერთეულები შეუძლებელია უფრო დიდი ხნისანი იყვნენ, ვიდრე მათი წარმომშობი ფეოდალური ურთიერთობა. ჩვენ არ გვაბრკოლებს ის გარემოება, რომ საქართველოს ფეოდალური სამთავროები ხშირად ეთნიკურ სახელს ატარებენ. ჯერ ერთი, ასეთი სახელების გვერდით მოიპოვება ისეთი სამთავროც, რომელიც ასეთ სახელს არ ატარებს (არგვეთი, გურია, აჭარა, თაკუერი), მეორე და უმთავრესი ისაა, რომ ეს სამთავროები ეთნიკური სახელებით ძველი ვითარების მონაგონარია, ძველად არსებულის გადმონაშთია, რეალურ ვითარებას საკმაოდ დაშორებული რამ. მაგალითად ადრეფეოდალური ხანის ჰერეთი სრულიადაც არაა იდენტური ძველი ეთნიკური ჰერეთისა და ეს ამ დროს უკვე თავიდან ბოლომდე ქართულია, გაქართულებულია.

ასე რომ ფეოდალური სამთავრო ჰერეთი არის სწორედ ამ ურთიერთობის წარმონაქმნი როგორც ტერიტორიულად, ასევე ეთნიკურადაც. არც ფეოდალური ხანის ისეთი ეთნიკური ერთეულიც კი, როგორიც იყო ეგრისი, შეიძლება იქნას ამის საწინააღმდეგოდ დასახელებული. ამიტომაც მოხდა, რომ ძველი ეთნიკური სახელი ეგრისი შეიცვალა, როგორც შეუფერებელი ახალი ვითარებისათვის და ოდიშად იქცა, რომლის ტერიტორიული საზღვარი მხოლოდ არქეოპოლისამდე მოდიოდა (იმის აღმოსავლეთი კი სამოქალაქოს საერისთავოს შეადგენდა); ძველი ეგრისის გამონაყოფს შეადგენდა გურიაც, ისევე როგორც არგვეთიც. ესევე შეიძლება ითქვას აფხაზეთზედაც (აფშილეთი, „აფხაზეთი“) და მართლაც რა შუაშია ან, უკეთ, რა გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება მიეკუთვნოს ეთნიკურ მომენტს (აქ შეიძლება შეხვედრას ჰქონდეს მხოლოდ ადგილი), როცა საუბარია საზოგადოების პოლიტიკურ-ეკონომიური ორგანიზაციის წარმოქმნა-ზრდაზე; საილუსტრაციოდ საკმაოა ავიღოთ სამცხის ვითარება IX საუკუნეში, ან კონს-

ტანტინე კახაძ (ისიც ხომ დამოუკიდებელი მთავარია), ან ძამელი მთავარი, ან მთავარი გარდაბანელი და სხვა. ესაა ცოცხალი ურთიერთობის ნაყოფი, იმ ურთიერთობის, რომელიც ვითარდებოდა ამა თუ იმ ეთნიკურ გარემოში, დამოუკიდებლად, რა თქმა უნდა, ამ გარემოს ეთნიკურობისაგან. ეს ხანა ეთნიკური მომენტის დომინანტობისა, ტომობრივი ელემენტის დომინანტობისა ძველისძველია და იგი ძირითადად უკვე მონათმფლობელურმა ქართლმა გადალახა. ის ხანა წინაკლასობრივი ურთიერთობის შესაბამისი იყო და ეს გადმოშთენილი ეთნიკურობაც იქ შერჩა უპირატესად, სადაც კლასობრივი ურთიერთობა გაჭირვებით იკიდებდა ფეხს. კლასობრივი ურთიერთობა აღღვევს ტომობრივ ზღუდეებს და ტომებს ეროვნებად აყალიბებს.

ამ კლასობრივი ურთიერთობის გარკვეული საფეხურის წარმონაქმნია ეს სამთავროები, რომელთაც რაიმე კავშირი თავისი წარმოშობა-ჩამოყალიბების პროცესში ტომობრივობასთან არა აქვთ და ის არა ტომობრივს, არამედ სულ სხვა გაერთიანებას (ფეოდალური დროის ხალხი) გულისხმობს.

ასე რომ ადრეფეოდალური ხანის ეს ტერიტორიები, სამთავროები ამავე ფეოდალური ურთიერთობის ნაყოფია. IX ს-ში ჩვენ ჯერ კიდევ ვხედავთ, რომ ეს სამთავროები შედარებით მცირე ერთეულებია და შემდეგ ურთიერთობის გართულება-განვითარებასთან ერთად ეს ერთეულებიც იზრდებიან, მსხვილდებიან, ვიდრე, ბოლოს, ზოგი მათგანი მთელ სამეფოდ არ იქცევა. ზოგიერთი კიდევ ატარებს ძველ სახელს (ეთნიკურს), მაგრამ არსად ეს ძველი სახელი ახალ ტერიტორიას არ ემთხვევა. სვანთა საერისთავო ოდნავადაც ვერ მოიცავს ძველს სვანეთს, ეგრისი ოდიშად იქცა და ოდიშის საერისთავო ოდნავადაც ვერ შეიცავს ყველა მეგრელს, აგრეთვე აფხაზთა საერისთავოც; გურიის საერისთავო არც ეთნიკურად, არც ტერიტორიულად არაა ერთი რამ, ასევე არგვეთი და სხვა და სხვა.

ფარნავაზის და შემდეგ გორგასლის ერისთავები, თუ აქ რამე რეალურ-ისტორიულია, შეიძლება წინაფეოდალური დაყოფის ანარეკლი იყოს (შეადარე ნახარარები). თუმცა მათი ტერიტორიული და არა ტომობრივი დასახელება დიდ ეჭვსა ბადებს მათს რეალურობაში...

ერთიანი პროცესის მაჩვენებელია, რომ სახელმწიფო ერთსა და იმავე დროს მრავალ ადგილას იშვის.

ეს ქართულ-ქართველური ტომები უძველესი, წიხაფეოდალური ამბავია. ქართველი ეროვნების წარმოქმნა მონათმფლობელობის ხანას მიეკუთვნება, ქართული ფეოდალური ეროვნება ჩ. წ. IV საუკუნიდან ისახება და VII ს-ში იმარჯვებს (6. 1. ფურც., 183—184).

9. ქ^ცა I, ჯუანშერი, 185₇₋₂₅

ამ საერისთავოების მიხედვით, ვახტანგის სამეფო — ქ ა რ თ ლ ი — ათი საერისთავოსაგან შედგება. მაგრამ ქ ა რ თ ლ ო ს ი ა ნ თ ა ქ ვ ე ყ ნ ე ბ ს გ ა რ დ ა ა ქ ს ა მ ი ს ა ე რ ი ს თ ა ვ ო ე გ რ ო ს ი ს დ ა ჰ ე რ ო ს ი ს მ ი წ ა-წ ყ ა ლ ი ა: გრიგოლ ერისთავი ჰერეთისა, სამნალირ ერისთავი შიდა ეგრისა და სვანეთისა, ბაკურ ერისთავი მარგჳსა და თაკუერისა (რ ა ჭ ა ა რ ა ა!!).

ქვეყნის დაყოფა საერისთავოებად, ე. ი. ქვეყნის ადმინისტრაციული დანაწილება სახელმწიფოს წარმოქმნის ნიშანია (ეს უკვე ფარნავაზის დროსვე მოხდა). ასეთი დანაწილება ხდება არა ვინმეს (მეფის) ნებისმიერად, არამედ ისტორიულად წარმოიქმნება სხვადასხვა „ქვეყნების“ წარმოქმნის შედეგად. ასე რომ პროცესი პირუკუ არის იმისა, როგორც ჩვენ ამას გვიხატავენ: ე. ი. უწინ დიდი ქვეყანა (ქართლოსის, ჰეროსის, ეგროსის და სხვ.) ქვეყნები კი არ წარმოქმნილან, როგორც ამას ლეონტი წარმოგვიდგენს და მერმე რომელიმე ფარნავაზს (პირველ მეფეს) კი არ დაუნაწილებია ადმინისტრაციულ ერთეულებად, არამედ, პირიქით, საუკუნეთა მანძილზე ესა თუ ის „ქვეყანა“ იქმნებოდა, ხვდებოდნენ ურთიერთს ეს ქვეყნები... იბრძოდნენ, უკავშირდებოდნენ, ქრებოდნენ, ძლიერდებოდნენ, ითქვიფებოდნენ და ბოლოს და ბოლოს ყალიბდებოდნენ ვარკვეული, მტკიცე ერთეულები — „ქვეყნები“, რომელთა გაერთიანებას ახერხებდა გარკვეულ უპირატესობათა მქონე „ქვეყანა“ (ტომთა კავშირი), რომელიც ასეთ ერთეულებს სკეპტუხიების (ნელჯოხიანების) სახით გარს შემოიკრებდა. ასეთი საერისთავოები, ამრიგად, იყო ისტორიული წარმონაქმნი ქვეყნები, რომელთა გადაქცევა ადმინისტრაციულ ერთეულებად ეს იყო ამ ქვეყნების განვითარების ახალი საფეხური. უძველესი ერისთავი ეს იგივე ბასილეუსია, „მამასახლისი“, სკეპტუხი, რომელიც დროთა განმავლობაში თანდათან კარგავს ბასილეუსობას ერთადერთი (პირველი) ბასილეუსის გაძლიერების სასარგებლოდ. ვიდრე, ბოლოს, უბრალო მოხელე ერისთავად არ გადაიქცევა. აი, ეს საფეხური არის

ფიქსირებული პირველი მეფის (ფარნავაზის) შესახებ მოთხრობაში და ფრიად ნიშანდობლივადაც: გ ა ჩ ნ დ ა მ ე ფ ე გ ა ჩ ნ დ ნ ე ნ ე რ ი ს თ ა ვ ე ბ ი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესანიშნავია ლეონტის მსჯელობა ამ მეფობის წინა ხანაზე (მამასახლისობის ხანა); ეს შემდეგი ხანის ერისთავები იქ „თავადებია", რომელნიც „იჩინიან", ე. ი. მამასახლისები, ხოლო ის ვინც ყველას აერთიანებს, ის მცხეთას ზის „რეცა თავადი" — „მაზავებელ და ბჭე სხუათა ქართლოსიანთა". (ქ˜ცა I, 11). აქედან ნახტომი და მეფე ე რ ი ს თ ა ვ ე ბ ი თ... ვახტანგის საერისთავოები მხოლოდ ეთნიკურ წარმონაქმნ ქვეყნების სია არ არის... ეს პრინციპი ბატონობს აქაც, მართალია, მაგრამ ის ბოლომდე დაცული არ ჩანს. ერთ საერისთავოდ გადაქცევა კახეთისა და კუხეთისა, ან შიდა ეგრისის და სვანეთისა, ან მარგუსა და თაკვერისა, ქვეყნის ეთნიკური პრინციპის დარღვევაა, სახელმწიფოს ადმინისტრაციული ნებისმიერობაა... (მ— 2, 6. ფურც. 77—78).

[საერისთავო ქვეყნების ცვლა]

1. ქ˜ცა I, ლეონტი, 24

ფარნავაზმა „ბერძნები" დაამარცხა და კლარჯეთი შემოიერთა (23$_{26}$), „ხოლო ეგრის წყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკვდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა. მაშინ ფარნავაზ მისცა დაჲ თჳსი ოვსთა მეფესა ცოლად, და მეორე დაჲ თჳსი მისცა ქუჯის ცოლად. და მისცა ქუჯის ქ უ ე ყ ა ნ ა ე გ რ ი ს წ ყ ა ლ ს ა დ ა რ ი ო ნ ს შ უ ა, ზღუთგან მთამდე; რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დ ა ა მ ტ კ ი ც ა ი გ ი ე რ ი ს თ ა ვ ა დ მუნ. და მან ქუჯი აღაშენა ციხე — გოჯი.

მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თჳსთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა (თუ ეგრს ზედა, ან ეგურს ზედათ?). და განამრავლნა ყოველნი მჴედარნი ქართლოსიანნი, განაწესნა ე რ ი ს თ ა ვ ნ ი რ ვ ა ნ ი დ ა ს პ ა ს პ ე ტ ი.

ერთი გაგზავნა მ ა რ გ ჳ ს ე რ ი ს თ ა ვ ა დ და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუ (რ)ადმდე (ეგრისისა), რიონს ზემოთ. და ამანვე ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი: შორაპანი და დიმნა (ეს გასწორება არაფერს არ ქმნის...).

და გაგზავნა მეორე კ ა ხ ე თ ი ს ა ე რ ი ს თ ა ვ ა დ, და მისცა

არაგვთგან ვიდრე ჰერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე გაგზავნა ხუნანისა ერისთავად, და მისცა ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ტფილისამდე და გაჩიანთამდის, რომელ არს გარდაბანი.

მეოთხე გაგზავნა სამშკლდის ერისთავად, და მისცა სკჯრეთის მდინარითგან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი.

მეხუთე გაგზავნა წუნდის ერისთავად, და მისცა ფანვარითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლა და არტანი.

მეექუსე გაგზავნა ოძრჯის ერისთავად, და მისცა ტასისკარითგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა.

მეშჯდე გაგზავნა კლარჯეთის ერისთავად, და მისცა არსიანითგან ზღუამდე. და მერვე, ქუჯი, იყო ერისთავი ეგრისისა.

ხოლო ერთი დაადგინა სპასპეტად და მისცა ტფილისითგან და არაგვითგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანვარადმდე, რომელ არს შიდა ქართლი....

...ხოლო ამათ ერისთავთა ქუეშე, ადგილთა და ადგილთა, განაჩინნა სპასალარნი და ათასისთავნი, და მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეუფო და საერისთავო.

ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა".

ამრიგად, ქართლოსის ძმის (ეგროსი), შვილების (კახოს, კუხოს, გარდაბოს, გაჩიოს) და შვილიშვილების (მცხეთოსის ძეების: უფლოსის, ჯავახოსის, ოძრხოსის) სამამასახლისო ქვეყნები საერისთავო ქვეყნებად იქცა.

ლეონტი თუმცა გვარწმუნებს, რომ ფარნავაზ „განაწესა ესე ყოველი მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა", რომ ყველა ეს ერისთავები ფარნავაზმა გაგზავნა საერისთავოზე და მისცა გარკვეული ქვეყნები, მაგრამ საკმაოა ჩავუკვირდეთ ამ საერისთავო ტერიტორიებს, რომ დავინახოთ: ძირითადად ეს საერისთავო ქვეყნები იგივე ქართლოს-მცხეთოსის (და ეგროსის) ძეთა სამამასახლისო ქვეყნებია: ოძრხოსის, ჯავახოსის, უფლოსის, გარდაბოსის, გაჩიოსის, კახოს-კუხოსის, ქუჯის. აშკარაა, ფარნავაზი ამ თავის პოლიტიკურ-ადმი-

ნისტრაციული მოღვაწეობით, ძველიდანვე არსებული ქვეყნების, ე. ი. ეთნიკურ-ტერიტორიული წარმონაქმნების, მონათესავეებისა (ძმები, შვილები) პოლიტიკური გაერთიანების ფაქტიდან ადასტურებ-დის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე კორექტივი, როგორიცაა ეგრისის გაყოფა ორ საერისთავოდ, ან ასევე ოძრჯოსის სამამასახლისოს ორ საერისთავოდ გაყოფა (ასევე ცოტა მოგვიანებით გაყოფილ იქმნა ჯავახოსის ნამემკვიდრეები ორ საერისთავოდ), ან კიდევ კახოსის და კუხოსის სამამასახლისოთა ერთ საერისთავოდ გადაქცევა, — ყველა ეს უფრო დადასტურებაა ეთნიკურ-ტერიტორიული წარმონაქმნობის პრინციპისა, ვიდრე მისი უარყოფა: კლარჯეთი უთუოდ განსხვავდებოდა ეთნიკურად სამცხე-აჭარისაგან (ეს ეთნიკური განსხვავება, რა თქმა უნდა, ტომობრივ საზღვრებს არც სცილდებოდა); ასევე შიდა ეგრისი ეთნიკურ-ტომობრივად განსხვავდებოდა არგვეთისაგან, ხოლო კახეთ-კუხეთი ისე ახლო იდგნენ ურთიერთთან, რომ მათი ერთ ქვეყნად გაერთიანება, უნდა ვიფიქროთ, ბუნებრივად მოხდა (ასევე ბუნებრივი განვითარების დადასტურება იყო ყველა ეს ზემორე მითითებული ტერიტორიული ცვლილებანი — დაყოფა).

კიდევ უფრო საინტერესო სურათს მივიღებთ, თუ შევუდარებთ ფარნავაზის საერისთავოებს ვახტანგ გორგასალის დროის საერისთავოებს (185).

გორგასალის დროის საერისთავოებია:

1. „პირველად ჯუანშერ ს პ ა ს პ ე ტ ი, მპყრობელი შიდა ქართლისა და მფლობელი ყოველთა ერისთავთა;
2. დემეტრე, ერისთავი კახეთისა და კუხეთისა;
3. გრიგოლი, ერისთავი ჰერეთისა;
4. ნერსარან, ერისთავი ხუნანისა;
5. ადარნასე, ერისთავი სამშჯლდისა;
6. სამნაღირ, ერისთავი შიდა ეგრისა და სუანეთისა;
7. ბაკურ, ერისთავი მარგუსა და თაკუერისა...
8. ...არტავაზ, ერისთავი კლარჯეთისა;
9. ნასარ, ერისთავი წუნდისა;
10. ბივრიტიან, ერისთავი ოძრჯისა“.

ფარნავაზთან შედარებით ვახტანგს ახალი საერისთავო შემომატებია — ე რ ი ს თ ა ვ ი ჰ ე რ ე თ ი ს ა. სხვა ძველ საერისთავოებიდან ცვლილება განუცდია არგვეთის საერისთავოს, რომელსაც თ ა კ უ ე რ ი მ ი ჰ მ ა ტ ე ბ ი ა (მართალია ეს ცნობა იმ მხრივ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავოა, რომ აგათია არ ეთანხმება მას, მაგრამ იმ მხრით ძვირფასია სამაგიეროდ, რომ ადასტურებს იმ დროს „რაჭის“ ქ ა ო ს ი ს ა ა ر ا ر ს ე ბ ო ბ ა ს, ადასტურებს იმას, რომ იმ დროს ... უშუალოდ ესაზღვრებოდა არგვეთს, ე. ი. რომ არგვეთსა და თაკვერს შორის „რაჭა“ არ იყო, რომ თაკვერი რაჭასაც მოიცავდა).

როგორც ვხედავთ, ფარნავაზის დროისა და ვახტანგის დროის საერისთავო ქვეყნები ძ ი რ ი თ ა დ შ ი უ ც ვ ლ ე ლ ნ ი დ ა რ ჩ ე ნ ი ლ ა ნ, და ეს თითქო რვაასი წლის მანძილზე! ეს კი იმის მოწმობა შეიძლება იყოს, რომ ეს საერისთავო ქვეყნები უფრო ძლიერ და მტკიცე მომენტს ემყარებიან, ვიდრე სახელმწიფოს მეთაურთა რაციონალისტური, ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი ლონისძიება, ე. ი. ემყარებიან ეთნიკურ-ტერიტორიული წარმონაქმნობის მომენტს, და რომ ეს მომენტი მტკიცე ტრადიციულ გამძლეობას იჩენს. მე, რა თქმა უნდა, აქ იმის გარჩევაში არ შევდივარ, თუ რამდენად რეალურ-ისტორიულია ეს ცნობები (ეს ერისთავები დასახელებით), მაგრამ მოხსენიებული საერისთავო ტერიტორიები ფარნავაზისა, თუ ვახტანგის დროისა ძირითადად რეალურ-ისტორიული ფაქტები მგონია...

მესამე ცნობა საერისთავო ქვეყნების განვითარების შესახებ ჩვენ თითქო VIII საუკუნის შუა ხანებიდან მოგვეპოვება (ასე ვარაუდობს ჯუანშერი — ქ ̄ცა I, 241—242).

მიჰრ მეფემ ანდერძად დაუდო არჩილ მეფეს „მისხენ შჳდნი ქალნი... აწ მისცენ მათ (ე. ი. ერისთავებს. — ნ. ბ.) ასულნი ჩემნი და განუყვენ მათ ქ უ ე ყ ა ნ ა ნ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა ნ ი: ნახევარი შენ და ნახევარი მათ. ხოლო საუხუცესოდ რომელ მქონდა, მომიცემია შენდა, და გქონდეს საუხუცესოდ: ე გ რ ი ს ი, ს უ ა ნ ე თ ი, თ ა კ უ ე რ ი, ა რ გ უ ე თ ი და გ უ რ ი ა. ხოლო კლარჯეთი და შუა მთიულეთი მიეც ასულთა ჩემთა, რათა მუნ შინა იყვნენ ჟამთა ამათ ბოროტთა“.

მიჰრი გარდაიცვალა. „ხოლო არჩილ მოუწოდა ერისთავთა ქართლისათა, და მისცნა ძმისწულნი მისნი.

ერთი მისცა მამის ძმისწულსა მისსა, შ ვ ი ლ ს ა გ უ ა რ ა მ კ ურ ა პ ა ლ ა ტ ი ს ა ს ა, რომელსა ჰქონდა კ ლ ა რ ჯ ე თ ი და ჯ ა ვ ა ხ ე თ ი;

მეორე მისცა პიტიახშსა ნათესავსა ფეროზისსა, რომელი მთავრობდა თ რ ი ა ლ ე თ ს, ტ ა შ ი რ ს და ა ბ ო ც ს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე მისცა ნერსეს ნერსიანსა, რომელი-იგი იყო წარჩინებული ვახტანგ მეფისა"; (?) (ალბათ აქ იგულისხმება ნერსარანერსეული თავი ხუნანისა, ქ"ცა I, 185).

„მეოთხე მისცა ადარნასეს ადარნასიანსა და ორთავე ამათ განუყო ზენა სოფელი რომელ არს ქართლი;

მეხუთე მისცა ვარზმანს, და მისცა კოტმანითგან ქურდის-ჯევამდე...

მეექუსე მისცა ჯუანშერს ჯუანშერიანსა... და მისცა ჯუარი და ხერკი, და ყოველი მთიულეთი, მანგლისის ჯევი და ტფილისი". ამრიგად:

1. კლარჯეთი და ჯავახეთი;
2. თრიალეთი, ტაშირი და აბოცი;
3. ზენა სოფელი } „რომელ არს ქართლი";
4. ზენა სოფელი }
5. კოტმანიდან ქურდის ჯევამდე;
6. ჯუარი, ხერკი, ყოველი მთიულეთი, მანგლისის ჯევი და ტფილისი;

ეს არის საერისთავო ქვეყანანი ქართლისანი.

აღსანიშნავია, რომ ჯუანშერს აქაც ერღვევა პრინციპი: თუ ეს მცხეთოსიანთ ქართლია, სადაა სამცხე? ხოლო თუ ქართლოსიანთ ქართლია, სადაა კახეთი ან კუხეთი?? მეორე რაც აქ შეიმჩნევა, ესაა ქართლის უეჭველი (ხაზგასმით) ორმაგი ხმარება:

1. ზენა სოფლის ის ორი საერისთავო საგანგებოდ ხაზგასმულია, „რომელ არს ქართლი" და.

2. „ქვეყანანი ქართლისანი"...

ახლა თუ ქვეყნების ამ სიას შევადარებთ ჯუანშერისავე ქვეყნების სიას ვახტანგ გორგასალის დროინდელს, ჩვენ თვალსაჩინო განსხვავებას შევნიშნავთ (ამჟამად ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს საკითხს ორივე სია ჯუანშერისა არის თუ არა. ჩვენი მიზნისათვის ისიც საკმაოა თუ გვწამს, რომ ეს ახალი სია გარკვეულ დროს, სადღაც მერვე—მეთერთმეტე საუკუნეთა შუა, რეალურ-ისტორიული სურათი იყო. ხოლო ამ უკანასკნელ ვითარებაში შეეჭვების საბუთი, ძირითადში მაინც, ჩვენ არ გვაქვს).

უპირველეს ყოვლისა ეს საუხუცესო. [ჯუანშერის მოწმობით ის მირსაც საუხუცესოდ ჰქონდა. მაშასადამე საქმე ისეა

წარმოდგენილი, რომ საუხუცესოს ინსტიტუტი ძველი დროიდანვე მოდის. დამახასიათებელია, რომ XI საუკუნეში და შემდეგ დასავლეთი საქართველო მეფის სახლთან დამოკიდებულების თვალსაზრისით უფრო „ს ა მ ე ფ ო“ ითვლება, ვიდრე დანარჩენი ქვეყნები. ამას მოწმობს გამოთქმა „ძველი სამეფო“ (ბაგრატ IV დროს), ამასვე მოწმობს ქუთაისი — „სახლი სამკვიდრებელი ჩუენი“ (ოპიზართა სიგელი), მირის ანდერძი სტეფანოსის დაკრძალვის შესახებ „საწამებლად სამკვიდროსა ჩუენისა“ (ჯუანშერი ხომ არაა ოპიზართა სიგლის დამწერი?), ამასვე მოწმობს მ ს ა ხ ურ თ უ ხ უ ც ე ს ი ვარდან დადიანი — „უცილობლად მქონებელი“ მთელი დასავლეთ საქართველოსი: ჩანს ეს სამეფო ქვეყანა მას აბარია, როგორც მსახურთუხუცესს (ამ ფაქტს გულისხმობს, ჩანს, ვახუშტი, დადიანთა გვარის ვინაობაზე საუბრისას. იხ. აღწერა, 21), ამასვე მოწმობს, საფიქრებელია, არა მარტო ბაგრატ III-ის მშენებლობა ბედიასა თუ ქუთაისში, არამედ ამათი საძვალეები ბედიაში, ჭყონდიდში, ქუთაისში და ბოლოს დავითისეული გელათი... ამასვე მოწმობს გეგუთი... თვალნათლივ შესამჩნევია ბაგრატ III-ის განსაკუთრებული ღონისძიებანი (შეიძლება სწორედ მისი აგებულია ბაგრატის ციხე ცხუმში) ამ „სამეფო“ ქვეყნის მოწყობის შესახებ. და საერთოდ, თბილისის აღებამდე ბაგრატიონები თავს „აფხაზთა“ მეფეებად გრძნობდნენ... ეს მომენტი იგრძნობა ჯუანშერის თხზულებაში... მაგრამ იგრძნობა აგრეთვე სამეფო ქვეყანა კლარჯეთი... შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დასავლეთ საქართველოს „სამეფო“, „საუხუცესო“ ბაგრატ III-ის ღონისძიებათა შედეგია. საამისოა მისი ცდა ლეგიტიმიზაციისა „დივანი მეფეთა“ და მთელი მოღვაწეობა საერო, თუ საეკლესიო სფეროში, ქუთათისი, ნიკორწმინდა, ბედია, ცხუმი, ფოთი... მაგრამ ყველა ასეთი საკითხი ჩვენი დღევანდელი კვლევის საგანს არ შეადგენს].

ჯუანშერის ეს „საუხუცესო“ ე რ თ ი ქ ვ ე ყ ა ნ ა ა, — ძველი ეგრისი ფარნავაზის დროიდან. მხოლოდ ესაა, რომ აქ ეს ქვეყანა მ ც ი რ ე ე თ ნ ი კ უ რ — ტ ერ ი ტ ო რ ი ულ ე რ თ ე უ ლ ე ბ ა დ ა ა დასახელებული და ეს ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი უდავოდ რეალურ-ისტორიული ფაქტებია: ერთის მხრით, პირველადაა დასახელებული გ უ რ ი ა, როგორც ცალკე ქვეყანა. ეგრისის ეს ნაწილი აქამდეც იგრძნობოდა ცალკე ქვეყნად (ეს შეინიშნება პროკოპისთანაც), თუმცა პოლიტიკურად ეგრისში იგულისხმებოდა (ასევეა პროკოპისთანაც), ლეონტი და ჯუანშერი რიონის გარე ქვეყანას „არგვეთს“ იცნობენ მხოლოდ. ლეონტი თითქოს არგვეთის საერისთავოში გულისხმობს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურიასაც (ქ'ცა, 24), აქ კი, ჯუანშერთან გურია ცალკე საგამგეო ერთეულია, ცალკე ქვეყანაა სხვა ასეთივე ქვეყნების გვერდით.

ასევე ცალკე ქვეყნადაა დასახელებული თ ა კ უ ე რ ი, რომელიც გორგასალის დროს ერთ საერისთავოს შეადგენდა არგვეთთან ერთად. ესეც რეალურ-ისტორიული ფაქტია: თაკუერი ცალკე ქვეყანა იყო. ამას მოწმობენ ბერძნული წყაროები (თუმცა ვახუშტის, შეიძლება სწორედ ჯუანშერის ცნობათა ინტერპრეტაციის ნიადაგზე, არგვეთის საზღვრები მეტისმეტად შორს, დასავლეთით გადმოაქვს, — რიონ-ცხენისწყლის შორის მთიანეთი). საყურადღებოა, რომ ჯუანშერი აქაც არ ასახელებს რაჭის ქვეყანას.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ ჯუანშერი ეგრის წყლის ქვემო კლისურამდე ქვეყანას ცალკე ერთეულად არ ასახელებს, თუმცა ვ ა რ კ ვ ე ვ ი თ გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს მ ა ს მ ი რ ი ს ა დ ა ა რ ჩ ი ლ ი ს ს ა მ ე ფ ო ს ი.

(„აწ უწყიეს შენება აღგილთა ჩუენთა კლისურითგან აღმართ“ ამბობს არჩილი, ხოლო ლეონ აფხაზთა ერისთავი ამბობს: „ამიერითგან არს ესე მამულობით სამკვდრებელ ჩემდა კლისურითგან ვიდრე მდინარედმდე დიდად ხაზარეთად“. ქ'ცა, I, 242). და აი ახლაც, მცირე ქვეყნების სახელდობრივ დასახელებისას, ჯუანშერი ამ ქვეყანას სახელდობრივ არ მოიხსენიებს. უ ნ დ ა ვ ი ფ ი ქ რ ო თ, ამ ქ ვ ე ყ ა ნ ა ს გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ს ა ხ ე ლ ი ა რ ჰ ქ ო ნ ი ა. მას რომ „აფშილეთი“ რქმეოდა, როგორც დღეს ზოგი ვინმე ფიქრობს, ჯუანშერი მას დაასახელებდა კიდევაც, როგორც დაასახელა იგივე აფშილეთი კლისურას იქით მხარის მიმართ („შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი“). შეიძლება ეს უსახელო ქვეყანა შერეული მოსახლეობისა იყო: დასავლეთ ნაწილში ჩაჩ-აფშილები, აღმოსავლეთ ნაწილში ლაზ-სვან-ჩაჩები...

რა თქმა უნდა, სამეფო საუხუცესოში შემავალ ამ ქვეყნებს თავ-თავისი ადმინისტრაციული მმართველები ჰყავთ.

სწორედ ამას გულისხმობს ჯუანშერი, როცა შემდეგ, საუხუცესოზე საუბრის მობმით, იწყებს საუბარს ქართლის საერისთავოებზე, მათ ნამზითვობაზე და სხვა.

ცხადია, ჯუანშერის აზრთა მსვლელობა შემდეგია: არჩილმა განსაკუთრებული მნიშვნელობის პოლიტიკური ღონისძიება ჩაატარა: აქამდე მოხელე ერისთავები მემკვიდრე მფლობელებად აქცია, ქვეყნების ნახევარი მათ ნამზითვად დაუმტკიცა და ეს სიძე — ერისთავები მეფის „შ ვ ი ლ ე ბ ა დ დ ა ძ მ ე ბ ა დ“ გაიხადა. აი ასეთ ერისთავობას, ე. ი. მეფის ასეთ ყმობას ხალისით იზიარებს აფხაზთა ერისთავი, რომელიც თვით შესძღვნის პატრონს თავის ქვეყანას.

ამრიგად, ჩვენი ავტორი საქმეს ისე წარმოგვიდგენს, თითქო მთელი ქვეყანა იმთავითვე ს ა მ ე ფ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ა იყო, — ჰერეთ-კახეთი, ქართლი, ლიხთიქითი... ყველა ამ მხარეში ერისთავები ისხდნენ ქვეყნების მმართველებად და მეფის სახლს წესად არ ჰქონდა ერისთავების დასიძება, — ტერიტორიის სამეფოდ დაცვის ინტერესებიდან გამოდიოდნენ... მაგრამ ერისთავებისაგან ქალებს მეფეები ცოლად კი მოიყვანდნენო. და აი სადღაც VIII საუკუნეში ეს წესი ძირფესვიანად შეცვლილა; მეფეს საუხუცესოდ ქვეყნის ერთი ნაწილი დაუტოვებია, დანარჩენი ნაწილი სიძობის (ძ მ ო ბ ი ს ა და შ ვ ი ლ ო ბ ი ს) პრინციპზე მოუწყვია. მთელი ქართლი, ჰერეთი, ლეონის აფხაზეთი ასეთ საყმოებად იქცნენ, მაგრამ ისე, რომ ერთგულების გარანტიად მეფემ საერისთავო ქვეყნების ნახევარი თავის „ნაწილად“ დაიტოვა („ხოლო ნაწილი არჩილისი იყო განზოგებით გამონაყოფი ყოველთა ამათ ჯევთაგან“).

ჯუანშერის მიერ წარმოდგენილი პოლიტიკური სურათი მართლაც დიდი მნიშვნელობისაა (მაგრამ ამაზე საუბრის ადგილი აქ არაა). „ქვეყნების“ ისტორიაში დიდი მნიშვნელობის ცვლილება მოხდა მისი სოციალური განვითარების შედეგად: ძველი „ქვეყნების“ ეთნიკურ-პოლიტიკური შინაარსი მოდუნდა, მათი ადმინისტრაციული გადაადგილება სულ უფრო და უფრო შესაძლებელი ხდება. ძველი სასპასპეტო ქვეყნის ნაცვლად ახლა ო რ ი ს ა ე რ ი ს თ ა ვ ო გ ა ჩ ე ნ ი ლ ა ნერსესი და ადარნასესი: კლარჯეთისა და ჯავახეთის საერისთავოები ერთ საერისთავოდ არის გაერთიანებული; ჯუანშერ ჯუანშერიანის საერისთავო ხომ მთლად ნებისმიერად არის შედგენილი (ჯვარი, ხერკი და ყოველი მთიულეთი, მანგლისის ჯევი და ტფილისი); სამცხე არსად ჩანს... ხოლო კახეთი არჩილმაო „მი-

ებოძა“ ტაძრეულთა მისთა „და აზნაურ ყვნა იგინი“. აქაც ჯუან-შერს მოვლენის პოლიტიკური მხარე აინტერესებს, მაგრამ ეს ფრაზა იმასაც გვამცნობს, თუ რა მოსდის „ქვეყანას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი სიტყვით; დიდი რაღაც ამბები ხდება. ქვეყნების ძველი სოციალურ-პოლიტიკური შინაარსი, ჩანს, იცვლება; იცვლება, უეჭველია, ეთნიკური შემადგენლობაც. ყველა ამის ნიადაგზეა, რომ იცვლება ქვეყნების ადმინისტრაციული მმართველობა (ზოგან სიძე — ერისთავები, ზოგან ტაძრეულ — აზნაურები და სხვა). ერთიანდებიან ძველი ქვეყნები, ჩნდებიან ახალი ქვეყნები (გურია, შულავერი — არტანი...).

როგორ საეჭვოც არ უნდა ჩანდეს თავის დეტალებში აქ წარმოდგენილი სურათი, საერთოდ აღებული ის სანდოა. მარტო ის რადა ღირს, რომ აქამდე მთელი იმ დიდი მონაკვეთის სიგრძეზე ეს „ქვეყნები“ არ შეცვლილან გარეგნულად, ან მცირე ცვლილება თუ განიცადეს. ახლა კი ცვლილებანი არსებითი ხასიათისა ჩანს და რაც განსაკუთრებული სანდოობის იერს ანიჭებს მის ავტორს, ეს ისაა, რომ ქვეყნების გარეგანი განვითარება (ახალი ქვეყნის გაჩენა, ძველი ქვეყნის გაყოფა თუ შეერთება) დაკავშირებულია ჩანს ამ ქვეყნების შინაგან განვითარებასთან, ე. ი. მთელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ განვითარებასთან, საზოგადოებრივი განვითარების უღრმეს ტეხილთან, ფეოდალური ურთიერთობის საბოლოო გაფორმებასთან, ახალი ტიპის ერისთავების წარმოქმნასთან, მოსაკარგავეთა ინსტიტუტის წარმოქმნასთან, ტაძრეულ — აზნაურთა ინსტიტუტის წარმოქმნასთან, „შვილთა, ძმათა“ და პატრონთა ინსტიტუტის გაფორმებასთან...

ჩვენ ამის შემდეგ თვალის გადევნებით კიდევ უფრო დავრწმუნდებით ახალი ქვეყნების (ახალი საერისთავოების) გაჩენაში. (მ—2, 6, ფურც 106—116).

2. ქ˜ცა I, ჯუანშერი, 205_{15}

ჯავახეთი, ჯავახოსის წილი (ქ˜ცა 10_{1-5}) და ჯავახეთის საერისთავო (ქ˜ცა 24_{18}), როგორც ირკვევა, ყოველთვის ერთსა და იმავე საზღვრებში არ იგულისხმება. ფარნავაზის დროინდელი წუნდის ერისთავი ფლობს ჯავახეთს და კოლას და არტანს; ესევე ქვეყანაა ნაგულისხმევი ჯავახოსის წილად, მცხეთოსმა რომ მისცა.

ვახტანგის შვილის დაჩის დროს კი წუნდის საერისთავოში, რომელიც დაჩის ნახევარძმის მირდატის ხელთ იყო, ჯავახეთის

ნაწილი ფარავნითგან — მტკვრამდე არ იგულისხმებოდა და მხოლოდ გვიან გაუცვალა დაჩიმ მირდატს ეს „ჯავახეთი“ ეგრის ნაწილზე ქვემო ქვეყანაში... ასე რომ, როგორც აქედან ჩანს, ძველისძველ „ქვეყნებსაც“ კი ხელყოფენ მეფეები: საერისთავოებს ანაწილებენ..

ასეთივე მოვლენა შეიმჩნევა ოძრხოსის წილის მიმართაც: ოძრხოს მცხეთოსის ძის წილი იყო „ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა, ქუეყანა კლდოვანი. ამან ოძრჯოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: ოძრჯე და თუხარისი“ (ქ-ცა, 9_{23}). ცხადია, მის ქვეყანაში შედიოდნენ: სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი. ხოლო ფარნავაზმა ქვეყნის საერისთავოებად დაყოფისას ეს ქვეყანა ორ საერისთავოდ გაყო: ოძრჯის ერისთავს მისცა „ტასისკარითგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა“; კლარჯეთის ერისთავს კი „მისცა არსიანითგან ზღუამდე“ (ქ-ცა 24). მაინც არაა საფიქრებელი, რომ ასეთი ოპერაციები მთლად ნებისმიერი იყო. უფრო სწორი იქნება ვარაუდი, რომ დიდ ქვეყნებში შემავალი მცირე ქვეყნები იყო ასეთი ხელყოფის საფუძველი (მ—2, 6, ფურც. 76).

3. ქ-ცა I, ჯუანშერი, 217_7

რანისა და მოვაკანის ერისთავმა ქასრე ამბარვეზმა „უწყო ზრახვად ერისთავთა ქართლისათა: აღუთქუა კეთილი დიდი, და დაუწერა საერისთოთა მათთა მამულობა შვილითი-შვილამდე, და ესრეთ წარიბირნა ლიქნითა. და განდგეს ერისთავნი და თჳს-თჳსად ხარკსა მისცემდეს ქასრე ამბარვეზსა“.

ეს „ქართლის ერისთავნი“ რომ სკეპტუხოსები არ იყვნენ, ისინი რომ „ქვეყნების“ მკვიდრნი არ იყვნენ, ისინი რომ მეფის ნებისმყოფელი მოხელენი იყვნენ, მეფისავე ნებით დანიშნულნი, მათი სიძლიერე და უღონობა რომ მეფის ნებისაგან იყოს მხოლოდ დამოკიდებული, ისინი ასეთ განდგომას, რა თქმა უნდა, ვერ იკადრებდნენ, თუნდაც ძლიერი სპარსეთის მხარის დაჭერით. მაგრამ ეს ერისთავები ემყარებოდნენ „კახეთს და კუხეთს“, „ჰერეთს“ და „სომხითს“, „გარდაბანს“ და „შიდა ქართლს“, „სამცხეს“ და „კლარჯეთს“, „ჯავახეთს“ და მარგჳს და აგრე შემდეგ. ზოგი მათგანი ამა თუ იმ საერისთავო ქვეყნის ძველი დროიდანვე მკჳდრი (სკეპტუხოსი) იყო (მაგალითად, ქუჯი ან პიტიახშები)... ზოგი ვიწმე შეიძლება ასეთი მკჳდრი არ იყო, მაგრამ მეფის ნებისაებრ დანიშნულსაც მკჳდრობის ტენდენციას აზიარებდა „ქვე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყნის“ ორგანიზაცია, მისი თავისთავადობა, ეკონომიური ერთმთლიანობა, ეთნიკური იერი, ისტორია...

მოქმედებდა, რა თქმა უნდა, ამის საწინააღმდეგო ტენდენცია: „ქვეყნის“ მთლისა, მცირე ეთნიკურ-ეკონომიურ გაერთიანებათა უფრო მსხვილ გაერთიანებებში გათქვეფისა, და ამდენადვე ახალი გაერთიანების მეთაურის (-მეფის) გაჯელმწიფებისა, კლასობრივი ურთიერთობის, როგორც ყოვლისმომცველი ურთიერთობის, საზოგადოების ახალი სახეობის, სკეპტუხიების გამომრიცხველი ურთიერთობის წარმომქმნელი (ეს იყო ფეოდალური ურთიერთობის შემოსვლის ნიშანი), მაგრამ ეს ტენდენცია ჯერ სუსტი იყო და ძველი „ქვეყნების“ ფაქტი ბატონობდა... ამ ნიადაგზე შესაძლებელი იყო ერისთავ-წარჩინებულთა (ამ ძველი ბასილეუსების, სკეპტუხოს-სათრაპების) წარმატებით ბრძოლა ახალი საწყისების (=მეფის) წინააღმდეგ...

და განა ეს წარჩინებულთა სახლები, ეს ერისთავები (ნახარარები ან ლაზური ლოგომონები), რომ აგრე ძირმაგარნი არ ყოფილიყვნენ (ზოგი ხომ ძირძველიც იყო...), სპარსეთის მთავრობა დაიჭერდა კი მათთან საქმიან ურთიერთობას (პიტიახშების სახლი რად ღირს)... ის გარემოება, რომ ქართლის ერისთავები ასე თავგამოდებით იცავენ ქართლოსიან ფარნავაზიანების დინასტიურ უფლებებს (აქვე 217_{19}), ეს საერთო ტენდენცია, უნდა ვიფიქროთ, წარმოდგება იმ ფაქტიდან, რომ ქართლოსიან მეფეთა წინაპარი მცხეთის მამასახლისი იყო. ასეთივე „თავადები“ იყვნენ სხვა სახლების მამასახლისები (შემდეგ ერისთავები) ძირითადად, რა თქმა უნდა, თორემ სეფეწულების დაწინაურება-გაერისთავება ამა თუ იმ ხელსაყრელ შემთხვევაში ბუნებრივი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, საერისთავოზე დასმული სეფეწული ისეთივე ტენდენციებით ორსულდებოდა, როგორსაც საზოგადოებრივი განვითარება მოითხოვდა... და იყო მარადიული ბრძოლა ამ ორ ტენდენციას შორის და არც მოიშლებოდა ეს ბრძოლა ვიდრე ფეოდალური ურთიერთობა ბოგინობდა.

ფარნავაზის ღონისძიება ლეონტისებური, სულ სხვარიგად უნდა გავიგოთ. იყო წინაკლასობრივი გაერთიანება: „ქართლოსიან ტომთა კავშირი“ (ესეც გვიანი შენათხზია, როცა ქართლოსიანებმა სძლიეს არაერთ არაქართლოსიან ტომს და გაიერთიანეს — სამხედრო დემოკრატიის ხანაში). მცირე ერთეულის გაერთიანებით შეიქმნა პირობები დიდი ნახტომისათვის (სამეფო). მაგრამ ერისთავებად იქცნენ ამ ტომების მამასახლისები („თავადები“).

ქართული წერილობითი მასალებით შესაძლებელია ადრეფეოდალური ხანის არაერთი „სახლი“ იქნეს დასახელებული, ან „დიდი აზნაური“ იქნეს მიგნებული. და ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს იმისა, რომ ეს დიდი აზნაურები თავისი ქვეყნის მკვიდრნი არ არიან. ვარსქენ და აროშუშა პიტიახშები, ფავხელები, ევაგრე ციხედიდელი, ჩორჩანელი, სამძივარის ქალი, ტბელები, ფხვენელნი, ბაღვაში, მირიან სამცხელი, ბაჰლაუნდი, დონაური, მარუშიანნი, ძამელი და სხვები, (ილარიონ ქართველის ცხორება, დავით გარეჯელის ცხოვრება, გიორგი III სიგელი), ყველა ესენი ნეფე ქვაბლიძეებია (ვანელი შარაშენიძის თქმით), ან შაროელი ჭელმწიფეებია და არა მეფის ისეთი მოხელეები, როგორც ეს ჩვენს ავტორებს ესახებათ (ლეონტის, ჯუანშერის) ფარნავაზის დროიდანვე... ერთში უცილობლად მართალი არიან ჩვენი ავტორები: „ფარნავაზის დროიდან“ დაისახა ტეხილი ხევების-ქვეყნების განვითარებაში; სეფესახლი გადაჭრით ცდილობს მიიტაცოს ამ ხ ე ვ ი ს უ ფ ა ლ თ ა („ქვეყნის“ მეთაურ „ე რ ი ს თ ა ვ თ ა“) უფლებები.

ფარნავაზის წარმატება ის იყო, რომ მან უთავა სამხედრო დემოკრატიის უკანასკნელ საფეხურზე შემდგარ ქვეყანას და ქართლის ქვეყნები სახელმწიფოდ აქცია (აზო?...), „ჭევისუფალნი“ და „ერისთავნი“ მოხელეებად, ხოლო ხევები და ქვეყნები — ხელმწიფის (რამდენადაც ასეთად იქცა) საკონტროლოდ, მათი დაუფლების ტენდენციით... ასე რომ საქმე ისე კი არ იყო, როგორც ამას ჩვენი წერილობითი (ნარატიული) წყაროები წარმოგვიდგენენ, როგორც სუმბატ დავითის ძე და მატიანე ქართლისა, ან ჯუანშერი და ლეონტი წარმოგვიდგენენ, თითქო იმთავითვე ქვეყანა მეფისა იყო (ღმრთის ნებით, ს ოეს ძის იაფეტის ჩამომავლობით, თარგამოსიან ქართლოსიანობით, ეგროსიანობით!), მთელი მიწა-წყალი ცარიელი იყო, მოვიდნენ და დაეშენნენ ქართლოსიან-ეგროსიანთა მოთავეობით... და პირველმა მეფემ ქვეყანა მოაწყო: ადგილებზე დასხა მოხელენი: ჭევისუფლები, ათასისთავები, ერისთავები... და ბოროტის მზრახველმა ერისთავებმა იწყეს ორგულობა და სახელოდ ჩაბარებულ ქვეყნების მიტაცება, ღალატი, უცხოელთა შემოყვანა... (ეს ყველაფერი გვიან შენათხზია) ნამდვილად კი, როგორც ვხედავთ, საქმე სულ სხვა რიგად იყო: ქვეყნები („ჭევები“) განვითარდნენ, მათი ურთიერთშორის კავშირი გაძლიერდა და მათი გაერთიანება დღის წესრიგში დადგა. ასეთიც მოხდა (სამხედრო დემოკრატიის ხანა) და სამეფოს წარმოქმნისათვის პირობები მომწიფდა (კლასობრივი ურთიერთობა შემოვიდა) და სეფესახლმა ხელმწიფობა დაი-

ჩემა... და ჯევისუფალ-ერისთავებს შეუტია. იწყება (თუ უფრო გადამწყვეტ ფაზაში შედის) ბრძოლა სეფესახლისა და ჯევისუფალთ შორის ჯეველების დაუფლებისათვის. ასე რომ შეტევას აწარმოებს სეფე სახლი („მეფე") მის მხარესაა პროგრესი — ამას მოითხოვს საზოგადოებრივი განვითარება — თავს იცავენ ჯევისუფალ-ერისთავები, ესაა კონსერვატული საწყისი, რეაქცია... ბრძოლა საუკუნეთა მანძილზე მიმდინარეობს და არც დამთავრებულა ფეოდალური ურთიერთობის მთელ სიგრძეზე და ვერც დამთავრდებოდა: ქვეყანა ასეთ განვითარებამდე ვერ მისულიყო... შემტევია პროგრესი, მეფე პროგრესის განსახიერებაა.

გასაგებია და ადვილად ასახსნელია ყველა ეს დაჩიხული საკითხები: ვახტანგის ბრძოლა ერისთავებთან და მეფის დამარცხება. ეს იმის მოწმობა იყო, რომ ქვეყნის ფეოდალური განვითარება შორს არ იყო წასული და ჯევისუფალ-ერისთავთა საფუძვლები შედარებით ურყევი იყო. ვახტანგი, ამრიგად, ისე კი აღარ წარმოგვიდგება, როგორც აქამდე — „პროგრესის მატარებელ" ერისთავების წინააღმდეგ მებრძოლი, წვრილი ერის (რეგრესისაო, ვფიქრობდით!) წინამძღოლი (სრულიად საწინააღმდეგო!). ვახტანგი პროგრესისათვის, ერისთავთა ჯელმწიფობის წინააღმდეგ მებრძოლია (ვარსქენი სიმბოლოა), წვრილი ერი პროგრესის მატარებელია, ახალი ურთიერთობის მომხრეა. ერისთავები რეაქციაა: მათი მიზანია სკეპტუხოსებად დარჩნენ, ბასილეუსებად, სათრაპებად დარჩნენ...

ის პირველი გაერთიანება სამხედრო დემოკრატიის ხანისა, ისევე როგორც მეფობის ხანისა ფეოდალური ურთიერთობის შემოსვლამდე, ჩვენი ამ პრინციპის მიხედვით („ქვეყნის", „ჯევის" განვითარების მიხედვით) არ შეიძლება იმ სახისა ყოფილიყო, როგორც ამას წარმოიდგენს ლეონტი მროველი (და როგორსაც წარმოიდგენს დღემდე ჩვენი ისტორიოგრაფია). მაინც და მაინც ლეონტი ამ თვალსაზრისით დღემდე კრიტიკულად არავის შეუსწავლია და მისი შეხედულება არავის უარუყვია... „ფარნავაზის" ტიპის, როგორც ამას ლეონტი გულისხმობს, მეფობის საფუძველი იმ დროის ქართლში არ არსებობდა. იბერიის საზოგადოებრივი განვითარება „აღმოსავლური" არ ყოფილა და ჯევების („ქვეყნების") საზოგადოებრივი მნიშვნელობა იმ ძალისა იყო, რომ გადაულახველ დაბრკოლებას უქმნიდა აღმოსავლური დესპოტიის შექმნას.

აქედან, საფუძვლიანია ფიქრი, რომ თეორია მეფის თვითმპყრობელობისა, როგორც ის ქართლის მეფეები წარმოგვიდგება, არ შეიძლება იყოს რეალურ-ისტორიული ვითარების ამსახველი,

არამედ შემოტანილ-ნასესხებია გვიან იმ წრეების მიერ, რომელ-ნიც მეფის მხარეზე იბრძოდნენ, როცა ქვეყნის ფეოდალური გა-ერთიანების დიდი პროცესი მიმდინარეობდა. ამ დიდი ბრძოლის პროცესში შემოტანილი ეს თეორია (შერწყმული რომაულ-ქრისტი-ანული და აღმოსავლურ-„სპარსული“ თეორიებისაგან) ლეონტი მროველმა ფარნავაზის მეფობის დასახატავად გამოიყენა, ხოლო მისივე დროის სხვა მეფის „პარტიის“ წევრებმა გამაერთიანებელ მეფეთა პოლიტიკის დასაფუძვლებლად მოიმარჯვეს (დავითის ის-ტორიკოსი).

ამრიგად, ფარნავაზის ერისთავები არ შეიძლება მხოლოდ მე-ფის მოხელენი ყოფილიყვნენ და არა თავთავიანთი „ქვეყნების“ ერისთავ-მამასახლისები.

მეფობა იბერიაში, როგორც აღვნიშნეთ, ამ ჯევ-ქვეყნების გან-ვითარების გამოხატულება იყო. ასევე ჯევ-ქვეყნების შემდგომი სოციალური განვითარების გამოხატულება იყო იბერია-ქართლის აღრეფეოდალური ხანის პოლიტიკური მოვლენები (ისევე რო-გორც ყველა შემდგომი ხანის მოვლენები).

ჯევი-ქვეყანა განვითარების გზით წინ მიდიოდა, შიგ კლასობ-რივი ურთიერთობა შემოდიოდა და ქვეყნის ერთიანობა ირღვეოდა. ჯევში აზნაურები და გლეხები ჩნდებოდნენ, ფეოდალური ურთი-ერთობა ისახებოდა. ერისთავებიც ძველი სკეპტუხოსებიდან მამ-ფალ — პატრონებად იქცეოდნენ, ჯევი შიგნიდან ტყდებოდა.

ვახტანგ მეფე დამარცხდა ერისთავებთან ბრძოლაში, სპარსე-ლებმა ხელი შეუწყვეს ერისთავების (=რეაქციის) გამარჯვებას (ისევე როგორც სომხეთში ნახარარებმა დაამარცხეს სომხეთის მე-ფე), მაგრამ ქვეყნის განვითარება ძველი მდგომარეობის აღდგენას ვერ მოითმენდა, ჯევ-ქვეყნები ვერც სპარსეთის დესპოტიას შეუ-რიგდებოდა, ვერც განცალკევებულად იარსებებდა და ერისთავები იძულებულნი იყვნენ დაეთმოთ — ახალი დროის შესაფერისი უნე-ბური კომპრომისი შეერჩიათ: ქვეყნის გამაერთიანებელი ერისმთა-ვარი („მეფე“) და ერისთავობის მემკვიდრეობით დაუფლება (ე. ი. „ქ ვ ე ყ ნ ი ს“). ამრიგად რეალურ-ისტორიულ ვითარებას მებრძო-ლი ძალების მიზანდასახულობაში საჭირო კორექტივი შეჰქონდა: ქვეყნების ძველი თავისთავადობის აღდგენა შეუძლებელი იყო, რო-გორც ეს ერისთავებს ეწადათ, მაგრამ არც ამ თავისთავადობის საბოლოოდ მოშლა იყო შესაძლებელი, როგორც ამას მეფობის ტენდენცია ისახავდა.

ეს იყო ახალი ურთიერთობის შესაფერისი პოლიტიკური ფორმა, რომელიც მანამ იბოგინებდა, ვიდრე ჰევ-ქვეყნების განვითარება ახალს, უფრო მაღალს პოლიტიკურ ფორმას გარდაუვალად გახდიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგინდ წიგნურ შენათხზად არ უნდა გამოიყურებოდეს არჩილის პოლიტიკური რეფორმები, ჯუანშერს რომ აქვს დაცული (241—243), რაგინდ ტენდენციურად გვიან შენათხზად არ უნდა წარმოვიდგინოთ ეს ეპიზოდი, იმდენად მაინც სანდოა ხსენებული წყარო, რამდენადაც ნიშანდობლივია ის, როგორც მოვლენა. აქ კი ხაზგასმულია კიდევ ერთი ახალი საფეხური ჰევ-ქვეყნების საზოგადოებრივ განვითარებაში, როცა მეფე იძულებულია იცნოს ჰევ-ქვეყნების სამემკვიდრეოდ გადაცემა ერისთავებზე ფეოდალურ მფლობელობაში (ნამზითვის წესით), ხოლო ერისთავები იძულებულნი არიან ერთგულების პირზე ფლობდნენ სამემკვიდრეოდ (ვითომცდა ნამზითვების წესით) მიღებულ ქვეყნებს...

ხევ-ქვეყნების შემდგომი განვითარების გამოხატულება იყო დიდი საყოველთაო პროცესი ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება რომ ეწოდება, როცა არც ერთი ჰევი-ქვეყანა თავის ძველ პოლიტიკურ საზღვრებში არ ეტევა და მეზობელთა დაპყრობის გზით გავრცელება-გაძლიერებას ცდილობს. და სრულიად ბუნებრივად გამოიყურება, რომ ეს პროცესი ძველი, ადრეფეოდალური ხანის, მთავრების (მთავარი ეს იყო ძველი სკეპტუხის, ძველი მამასახლის-ერისთავის მეტამორფოზი, ფეოდალურ ურთიერთობას შეგუებული) გაქრობით დაგვირგვინდა (ბაგრატ III — დავით აღმაშენებელი), რომ მთავრების ადგილი დიდებულებმა დაიჭირეს (დავითის ისტორიკოსი ცნება ერისთავსაც კი აღარ ხმარობს), რომ ხევ-ქვეყნების ნამზითვობა, ერისთავების მემკვიდრეობითი უფლება უკუგდებულ იქნა, რომ მეფის თვითმპყრობელობის თეორია საყოველთაოდ აღიარებულ იქნა... ჰევ-ქვეყნების განვითარება ამის შესაბამისი იყო, ჰევ-ქვეყნების ფეოდალური განვითარება მოსაკარგავეს მოითხოვდა, ბატონყმობა, წვრილი ერის გაქრობა, გლეხთა საყოველთაობა ძველს მთავარს (=ძველს ერისთავს) ვერ იგუებდა... პროგრესი ისევ გამაერთიანებელი თვითმპყრობელის მხარეზე იყო, ხოლო ერისთავ-დიდებულები კონსერვატიზმს იცავდნენ... კრიზისული ხანა იყო, წინაბურჟუაზიული გაერთიანება ისახებოდა. ჰევ-ქვეყნების ძველი საფუძვლები დიდი ხანია მოშლილი იყო და ერისთავები რეაქციულ რომანტიზმს შეექცეოდნენ (გვარების დაძველებისა და უცხოეთიდან მოსულობის, მე-

ფის ჩამომავლობის თეორიები). რეალური ვითარება კი ა ხ ა ლ ჰ ე ვ-ქ ვ ე ყ ნ ე ბ ს ქ მ ნ ი დ ა, დიდებულ მოსაკარგავის [illegible] ნოს, რომელსაც იმ ძველ ჰევ-ქვეყანასთან მხოლოდ [illegible] ჩენოდა საერთო...

რამდენად ეგუება ჩემი ეს თეორია რეალურ ისტორიულ სურათებს მცხეთის მეფეების შესახებ (ბილინგვა), იბერიის პოლიტიკური წყობილების სპარსულის მსგავსად მოწყობის შესახებ (გ. წერეთელი), იბერიის სიძლიერის შესახებ (კასიუსი, ტაციტუსი)... პომპეუსის ტრიუმფის სურათი იბერიელი სკეპტუხოსებით, კოლხეთის მეფე, სკეპტუხიები, პროკოპისა და აგათიას ცნობები ლაზთა მეფისა და ლოგომონების შესახებ. ადრეფეოდალური ხანის „ერი“ (дружина) ბაღვაშები და სხვა მთავრები პატრონების ძებნაში (შულავერი, წუქეთი, თრიალეთი და სხვ...).

ძველი საერისთავოების მოშლა მისი პრინციპის საფუძვლიანი შერყევა იყო, რომ ერისთავებს ნებისმიერად ცვლიან მეფეები ბაგრატ III, დავით აღმაშენებელი... დღეს დასახელებაც კი გვიძნელდება ძირძველი ერისთავებისა. თამარის დროს გაფიცული „ძირძველებიც“ კი ვერ დაიჩემებდნენ დიდ ხანმოთეულობას და თითქმის ყველა XI—XII საუკუნეთა მანძილზე დაწინაურებული სახლები იყვნენ. საბოლოოდ მოიშალა ძ ვ ე ლ ი ჰ ე ვ-ქ ვ ე ყ ა ნ ა. შეიქმნა ა ხ ა ლ ი ჰ ე ვ-ქ ვ ე ყ ა ნ ა, რომელსაც სათავეში დიდებულ-მოსაკარგავე ედგა (ასე იყო — in principe...) (მ—2,6. ფურც. 79—86).

4. ქ ‘ ცა I, სუმბატ დავითის ძე, 386₁

ბერძნები საქართველოს დასაპყრობად შემოსდგომოდნენ. აზნაურები თავიანთი ციხეებით, ერისთავიც კი თავისი ციხით ბერძნებს მიუდიოდნენ...

ამ დროს „აღაშენა სიმაგრე საბა მტბევარმან ეპისკოპოსმან, მახლობელად ტბეთის ეკლესიასა და სახელ სდვა მას სუეტი. და შეკრიბა მაშინ მან ერი თჳსი და შევიდეს მუნ შინა თჳთ საბა მტბევარ ეპისკოპოსი, და ეზრა ანჩელ ეპისკოპოსი, და შავშეთის აზნაურნი, და განძლიერდა მას შინა“.

ამ დროიდან იყო, რომ ტბეთის ეპისკოპოსი შ ა ვ შ ე თ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი ც ი ყ ო (ხელმწიფის კარის გარიგება). (მ—2,11. ფურც. 24).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

[ქვეყანა სამთავრო]

1. ქ"ცა I, ჯუანშერი, 244_5

ჩვენს ავტორს სურვილი აქვს მოგვითხროს არჩილ მეფის ფეოდალურ-პოლიტიკური საქმიანობა და მოგვითხრობს, თუ როგორ მოვიდნენ არჩილთან ტარონით წამოსული ბაგრატიონები სამნი ძმანი, მოვიდნენ შაკიხად „და დაემკვდრნეს მუნ, ბრძანებითა არჩილისითა, რამეთუ ყოველი პირი კავკასიისა. რანით კერძი, უმკვდრო ქმნილ იყო. ხოლო ჰერეთი და კახეთი ჭალაკთა და ტყეთაგან უკეთუ დარჩომილ იყო, და დაემკვდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდის".

რა თქმა უნდა, ამ ერისთავებს აღარაფერი აქვთ საერთო იმ ძველ ერისთავ-სატრაპებთან, ქვეყნების მამასახლისობიდან რომ მოდიოდნენ.

ეს ერისთავები არც ჰეროსის ჩამომავლებია, არც კახოსის, — ბედის მაძიებელი მთავრებია (მთავრის სახლის შვილები).

მათი ასეთი ამოძრავება მიეწერება (უკეთ შესაძლებელი გახდა) როგორც არაბების წამლეკავ შემოსევას და უსასტიკეს ღონისძიებებს ადგილობრივ მფლობელთა, სეფეწულთა (sic. იხ. ს. ჯანაშია: К критике М. Хоренского) წინააღმდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა ახალი კაცების დაწინაურება (გაფეოდალება), ისე იმ ვითარებასაც, რომ ძველი ქვეყნები გადახალისდა, ახლებურად მოეწყო, ფეოდალური შინაარსისა გახდა. ამის საილუსტრაციოდ როსტომ ბიბილურის თავგადასავალი კლასიკურია: როსტომმა ფეხი ვერ მოიკიდა დვალებში, გამოაძევეს, ლარგვისში კი საამისო პირობები იყო დამაგრდა... ყველაფრიდან იგრძნობა, რომ არჩილიდან ახალი ხანა იწყება: ახალი ერისთავები, ახალი ტაძრეულები, ახალი ციხეები, ახალი ქვეყნები... (მ—2, 7. ფურც. 10).

2. ქ"ცა I, მატიანე ქართლისა, 250_{12}

არჩილის შვილები მეფობდნენ. „ხოლო ამიერითგან იწყო შემცირებად მეფობამან დიდთა მეფეთა ჩუასროანთამან. პირველად, უფლება სარკინოზთა განდიდნა და მიერითგან მიეცა ყოველი ესე ქუეყანა ჟამითი ჟამად რბევასა და ოჯრებასა. მეორედ, იქმნა სიმრავლე .მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერ-

თ ა ს. და უკეთუ ვინმე გამოჩნდის შვილთა შორის ვახტანგისთა. რომელიმცა ღირს იყო მეფედ, იქმნის შემცირებულ სარკინოზთა გან“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღებას იქცევს ეს ცნობა: „ი ქ მ ნ ა ს ი მ რ ა ვ ლ ე მ თ ა ვ ა რ თ ა“... ამ ცნობაში რომ ერისთავები იგულისხმებოდნენ მხოლოდ, — უაზრობა იქნებოდა: ერისთავები იმავე რაოდენობისანი რჩებოდნენ, როგორც წინათ. ამიტომ აქ ჩვენი ავტორი სხვა რაღაც მოვლენას უსვამს ხაზს. სახელდობრ: ისეთი სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობა შემოვიდა, რომ მთავრები გამრავლდნენ, რომ ერისთავებიც გამთავრდნენ, ე. ი. ქართლის ქვეყანაში ჰევისუფალნი სულ უფრო და უფრო მეტ ძალაში შევიდნენ, გაფეოდალდნენ, მეჰევეენი მისგან დამოკიდებული შეიქმნენ.

და კიდევ მეტი: ე ს ჰ ე ვ ი ს უ ფ ა ლ ნ ი „ი ქ მ ნ ე ს მ ტ ერ უ რ თ ი ე რ თ ა ს“. და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ჩვენი ავტორი ამ გარემოებას აღნიშნავს ა რ ა რ ო გ ო რ ც შ ე დ ე გ ს ხ უ ა ს რ ო ვ ა ნ თ ა მ ე ფ ე ო ბ ი ს შ ე მ ც ი რ ე ბ ი ს ა ს, ა რ ა ა მ ე დ რ ო გ ო რ ც მ ი ს მ ი ზ ე ზ ს არაბთა ბატონობის გვერდით.

მაშასადამე ჩვენი ავტორის ცნობით, ხუასროვანთა მეფობის შემცირება ორი მიზეზის გამო მოხდა: საშინაო მიზეზი ეს იყო ქართლის ქვეყანაში მ თ ა ვ ა რ თ ა ს ი მ რ ა ვ ლ ე („ი ქ მ ნ ა სიმრავლე მთავართა“) რომ იქმნა („იქმნა“, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს რაღაც ერთდროულ უცებ მოვლენას, არამედ უნდა გავიგოთ, როგორც ხანგრძლივი პროცესის გამოვლინება, მისი საბოლოო გაფორმება. ტომობრივ-ეთნიკურ-ეთნოგრაფიული წარმოებითი ერთიანობა ჰ ე ვ ი ამ დროისათვის საბოლოოდ იქცა ფეოდალურ წარმოებით ერთეულად. ჰევისუფალი იქცა პატრონად, მთავრად, ჰევის კაცნი იქცნენ მოლაშქრეებად, ეროვანებად, მცირე მთავრებად, უციხო აზნაურებად, ყმებად, შვილებად), ხოლო გარე მიზეზი ხუასროვანთა მეფობის შემცირებისა იყო სარკინოზთა მძლავრობა. და ეს ხომ ცნობილია, თუ როგორის ულმობელობით სპობდნენ არაბები სეფეწულებს („შვილთა შორის ვახტანგისთა“) — ს. ჯანაშია.

ვახუშტი, მისთვის დამახასიათებელი თვალმახვილობით ამჩნევს ა ზ ნ ა უ რ თ ა გააქტიურებას პოლიტიკის სფეროში... მართლაც და არსებითად ქართლის ბედს ამიერიდან ეს აზნაურები წყვეტენ.

განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენი ავტორის (მატიანეს ავტორის) შენიშვნა იმის შესახებ, რომ ქართლის მომრავლებულ

მთავრებს „შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთას“. აქ რომ მხოლოდ „ერისთავნი“ იგულისხმებოდნენ, ეს ისეთი ცნობა გაუგებარი და შეუძლებელიც იქნებოდა: ერისთავს — ერისთავს, გორც ერისთავს, არ შეიძლება მტრობა ჰქონოდეს, როგორც წესი, სხვა ერისთავთან, საერისთავო სამოხელეო ქვეყანა ამის საფუძველს არ იძლეოდა და მართლაც ჩვენ არც გვაქვს ერთი მაგალითიც ერისთავებს შორის ბრძოლისა, ვიდრე ეს ერისთავები მოხელენი რჩებოდნენ (პირადი მტრობა ამა თუ იმ სახლებს შორის, თუნდაც სამოხელეო თანამდებობის მიტაცების, თუ გამოძალვის ნიადაგზე აქ მხედველობაში არ მიიღება და პრინციპს არ არღვევს). მხოლოდ იმ დროიდან და რამდენადაც ერისთავები მთავრები ხდებიან, ანუ რამდენადაც საერისთავო ქვეყანა სამთავროდ იქცეოდა, ე. ი. რამდენადაც ერისთავი პოლიტიკურ ხელისუფლებას მიიტაცებდა, დასაშვები არის ასეთი მტრობა ამ სენიორებს შორის.

გვიანფეოდალური საქართველო სწორედ ასეთ სამთავროთა (სათავადოთა) კრებულია. სათავადოს სოციალური შედგენილობა, რა თქმა უნდა, არაა ძველი სამთავროს (სააზნაუროს) პატრონყმური ქვეყნის შედგენილობის იდენტური... (მ—2,7. ფურც. 21—22).

3. ქ^ცა I, მატიანე, 250_{12}

ეს ნიშანდობლივი ცნობა მთავართა გამრავლების შესახებ ჩვენი მიზნებისათვის მარჯვე საბუთია. საქმე ისე უნდა წარმოვიდგინოთ, რომ იქმნა სიმრავლე მთავართა ნიშნავს იქმნა სიმრავლე ქუეყნებისა, თორემ თუ ძველი ქვეყნები უცვლელად დარჩებოდნენ „სიმრავლე მთავართა“ როგორღა იქნებოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ძველი ქვეყნები განვითარდა და მცირე სამეურნეო ადმინისტრაციულ ერთეულებად გადაქცევის ტენდენციამ იჩინა თავი: სამთავროები გამრავლდნენ „და შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთას“. ახალშექმნილი ვითარების ამ მარჯვე დახასიათების საილუსტრაციოდ ჩვენ ისტორიული მაგალითების დასახელება არ გაგვიჭირდება. საკმაოა მოვიგონოთ კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლი და, აქამდე ერთი საერისთავო ქვეყნის — კლარჯეთის მთელ რიგ საგამგეო ქვეყნებად ქცევა (არტანუჯელი ერისთავები, ჯავახი მამფლები, ტაოელნი მეფენი)...

მაგრამ შედარებით დიდი ქვეყნების გვერდით იქმნებიან უფრო მცირე სამთავროები: ძამელები, ატენელები, ფავნელები, კალმახელები, ბაღვაშები, ტბელ-ფხვევნელები...

ასე და ამრიგად მოიშალა სკეპტუხიები — ძველი საერისთაგო ქვეყნები, იშვა ახალი ურთიერთობის წარმონაქმნი ქვეყნები, ახალი თავროები... (მ—2,7. ფურც. 3).

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ქ^ცა I, მატიანე ქართლისა, 251_{17}

„არამედ სიცოცხლესავე ჯუანშერისსა იცვალა ადარნასე ბაგრატონიანმა ნასამალი კლარჯეთისა, შავშეთისა, აჭარისა, ნიგალისა, ასისფორისა, არტანისა და ქუემოსა ტაოსა და ციხეთაგანცა რომელნი ჰქონდეს შვილიშვილთა ვახტანგ მეფისათა. და წარვიდა ადარნასე კლარჯეთად და მუნ მოკუდა“.

ესეც იმ ახალი ვითარების მოწმობაა: ძველი ქვეყნები მოიშალა, ისინი სახელებად დარჩებიან ასეთები, თორემ შინაარსეულად ძველიდან აღარა დარჩა რა. ამიტომაცაა შესაძლებელი დანაწილება (ნასამალი, ან ნახევარი...), მთავრების ცვლა. ამ ძველი სახელების მემკვიდრეობითობის საფუძვლები მოშლილია. ეთნიკურად ურთიერთდაუახლოვდნენ (დიდი უმრავლესობა ერთეროვან ხალხად ჩამოყალიბდა, ფეოდალური კლასი გაქართდა, სარწმუნოება ყველგან ქართული გახდა), ეკონომიურად ძველი ქვეყნების ფარგლებიც მოშლილია: აწინდელი ქვეყნები უფრო მცირე ერთეულებია (ქალაქით ციხით) და ამ ერთეულებს სრულიადაც არ ახასიათებთ ის ძველებური მკვეთრი ეთნიკურ-კულტურული განსხვავება; ასე რომ აწინდელი ქვეყანა ხარისხობრივ სხვა მოვლენაა. მაგალითად აწინდელი „აფხაზეთი“ სულ სხვა ხარისხის ქვეყანაა, ვიდრე ძველისძველი ეგრის წყალი, ან მისი მომდევნო ეგრისი... ძირფესვიანად შეცვლილა ამ ქვეყნის ეკონომიკა, სოციალური ურთიერთობა, კულტურა... გვაროვნულ-ეთნიკურ გაერთიანებათა ნაცვლად ხალხები ჩამოყალიბებულან, მცირე გაერთიანებები ქრებიან, ურთიერთს ერწყმიან. (სადღაა ის ტომები, ათეულობით რომ ითვლიან ძველი წყაროები). და ეს ტენდენცია მცირე ტომურ ერთეულების გაქრობისა სულ უფრო და უფრო ღრმაშინაარსიანი ხდება, სუსტდება ძველი კავშირები (ეთნიკურ-ტომობრივი), ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარება თანდათან ასუსტებს და შლის ძველ კავშირებს, ეთნიკურ-ტომობრივ საზღვრებს. აფხაზეთის ფეოდალური სამეფოს წარმოქმნისას ძველი ეგრისის ქვეყნების ვითარება იქამდე შეცვლილია რომ „აფხაზეთის“, ან „ეგრისის“ ნაცვლად „საქართვე-

ლო“ იქმნება: ძველი ეგრისის დიდი ნაწილი გაქართებულია, ქართული ენა და ქართულ-ფეოდალური კულტურა გაბატონებულა — ქვეყნის გაქართების ტენდენცია ძლიერად იკვლევს გზას (ბეჭა, თაკვერი, ვაკე, გურია...).

მოშლილ, ძველ სატომო-ადმინისტრაციულ ერთეულების ნაცვლად, ახლა ქვეყნის დაყოფა სრულიად ახალ გადაადგილებას გულისხმობს, ქვეყნის ეკონომიურ გადაადგილებას ემყარება...

ასევეა ძველი კახოსის მემკვიდრეობა... აწინდელი ფეოდალური კახეთი ეკონომიური განვითარების მხრივაც, ეთნიკურ-ტომობრივი განვითარების მხრივაც იმავე ტენდენციებს ამჟღავნებს... მთიელ ტომთა ასიმილაცია, წამყვანი მეურნეობა (შიგნით კახეთი), გაქართება.

ასეთივე პროცესი კლარჯეთში... ერთი სიტყვით იშვა ახალი ქვეყანა (მ—2,7. ფურც. 6—7).

5. ქ˜ცა I, მატიანე ქართლისა, 262_1

IX—X საუკუნეთა მიჯნაა. „ხოლო ფადლა ქორეპისკოპოსი განძლიერდა და დაიმორჩილნა გარდაბანელნი, და შემდგომად მისსა დაჯდა კჳრიკე ქორეპისკოპოსად; და იპყრობდეს ქართლს აზნაურნი“.

აქ უკვე ნათლადაა ნაჩვენები, რომ ქართლს ფლობენ აზნაურნი, არა ერისთავ-მოხელეები, არამედ აზნაურ-მთავარნი, რომ ამ დროს ქართლი შედგებოდა ასეთ საazნაურო-სამთავრო ქვეყნებისაგან — სენიორიებისაგან... (მ—2,7. ფურც. 25).

6. ქ˜ცა I, მატიანე ქართლისა, 270—271.

X ს. მეორე ნახევარი.

აფხაზთა მეფის დემეტრეს წინააღმდეგ, „კაცთა ვიეთმე ამის ჭუეყანისათა“ საბერძნეთიდან გამოიხმეს მისი ძმა თეოდოსი.

თეოდოსი სამცხეს მოვიდა. მარგის მერეს „უჴმობდა მესხთა აზნაურთა“... დემეტრემ თავს დაასხა ლაშქარი. თეოდოსი „წარვიდა ქართლს და მიმართა ადარნასეს, ძამელსა მთავარსა; შეიყვანეს იგი ძამის ციხესა და მუნით გამოღმართ ეძიებდა საქმესა თჳსსა“.

ცხადია ძამელი მთავარი — ადარნასე თეოდოსის მომხრეა. ამ მთავრის ქვეყანა ძამის ჴევია (თუ სხვაც არა), ხოლო მისი

ძალა ძამის ჯევის მოლაშქრენი და ძამის ცხეა. მთავარი მეფის მოხელე ერისთავი არაა (ქართლის ერისთავი ამ დროს, შეიძლება ვიფიქროთ, ანე მარუშისძეა (ქ^ცა I, 272) და უფლისციხეში ზის...) ძამელი მთავარი უფრო ყმადნაფიცსა ჰგავს, ვიდრე მოსაკარგავეს (აი ისეთს, როგორსაც ლამობდა ყოფილიყო ბაღვაში). და პოლიტიკურ არჩევანს საკუთარი ქვეყნის ინტერესებით სწყვეტს. მას არ აწყობს ძლიერი პატრონი, და სურს მისი მოქიშპე გაიპატრონოს... ასე მოქმედებენ ყველა ეს მთავრები ქართლისა...

ასე რომ მეფეების პოლიტიკური ბედი, თუ უბედობა ამ აზნაურების, ამ ყმადნაფიცების, ამ მთავრების ხელთაა და მხოლოდ ბაგრატ III სცადა ძალით შემუსვრა, მათი გადაქცევა მოსაკარგავეებად, დიდებულებად, სცადა მეფის ხელისუფლების შინაარსის არსებითი შეცვლა... (მ—2,11. ფურც. 6).

7. ქ^ცა I, მატიანე ქართლისა, 305_3

ბაგრატმა სულა კალმახელს უბოძა „მამულობით ციხისჯუარი და ოძრჯე ბოდო-კლდითა, და სხუაცა მრავალი საქონელი და სამღდელთ-მოძღურონი, და რაცა უნდა“.

ეს მამულობით ბოძება საერისთავო ქვეყნისა სწორედ მთავრობის დასაბამია...

აქამდე ციხისჯუარი გრიგოლ არტანუჯის ერისთავს ჰქონდა (300). ერთის მხრით მამულობით ბოძება, ხოლო მეორე მხრით ერთი ერისთავის ხელშიორისა და მეტის საერისთავოს გადაცემა (მაგალითად, აბუსერი არტანუჯის ერისთავი, ამავე დროს არის (თითქო?) ხიხათა (ე. ი. აჭარის), ციხისჯუარის (ე. ი. ძველი ოძრჯის) „და აწყუერის ციხის პატრონი“, (იქვე 300). ეს იყო ახალი ტენდენცია, ბოლოს რომ სამთავროების ჩამოყალიბებით დასრულდა (უკვე XIII საუკუნეში).

ერისთავობის მამულობით ბოძება თვით ერისთავობის უარყოფა იყო (მ—2, 11. ფურც. 11).

8. ქ^ცა I, მატიანე ქართლისა, 284_6

ბაგრატმა რომ ჰერეთ-კახეთი დაიპყრა, აქ თავისი ერისთავები დასხა.

ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ (ალბათ ბასილი ბერძენთა მეფესთან ომის შემდეგ) გიორგი მეფეს „განუდგა ამას ქ ა ს ა ნ ა ლ ი ჰ ე რ ე თ-კ ა ხ ე თ ი ს ა, და ღადრობითა ა ზ ნ ა უ რ თ ა თ ს ა ბ ო ლ ო ს ა ს ა ბ ო ლ ო ბ ი ლ ი ქ მ ნ ე ს ე რ ი ს თ ა ვ ნ ი“. (ამოღებულია სუმბატიდან, ქ'ცა I, 383_{4-5}).

აქ კარგადაა ურთიერთისაგან განსხვავებული ე რ ი ს თ ა ვ ი და აზნაური.

ერისთავი მოხელეა. ის შეიძლება ამ ქვეყნის მკვიდრი არც იყოს, არამედ მეფის მიერ მოყვანილი და საერისთავოზე დასმული. მაინცდამაინც ერისთავი უპირველეს ყოვლისა მოხელეა, ხელისუფლების წარმომადგენელია (საქვეყნოდ გამრიგეა, ანუ გარეთული მოხელეა).

აზნაური კი ქვეყნის მკვიდრია, ჯევის წარჩინებულია, სოციალურად დაწინაურებული ძირმაგარი მკვიდრია. მისი შევიწროვება ძნელია, თუმცა შესაძლებელია, მაგრამ მისი მოშლა შეუძლებელია... ის საზოგადოებრივი სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების უშუალო ნაყოფია, მისი ღვიძლია... ის პატრონია თავისი ყმების მიმართ, ყმაა თავისი პატრონის მიმართ... (მ—2,11. ფურც. 4).

9. გიორგი მცირე, 174_{15}

თურქების შემოსევის დროს XI ს-ში „არა თუ ახალქალაქისა ოდენ მკჳდრნი მოისრნეს, არამედ დ ი დ-დ ი დ ნ ი და წარჩინებულნი მ თ ა ვ ა რ ნ ი და ე რ ი ს თ ა ვ ნ ი სამეუფოჲსა ჩუენისანი ძჳრ-ძჳრად მოისრნეს და წარწყმდეს“...

მ თ ა ვ ა რ ი-ა რ ხ ო ნ, ე რ ი ს თ ა ვ ი-ს ტ რ ა ტ ე გ ო ს, ზ ო რ ა ვ ა რ.

მთავრისა და ერისთავის განმარტებაში ივანე ჯავახიშვილი მთლიანად მართალი არ უნდა იყოს: მთავარი და ერისთავი სხვადასხვა წარმოშობისანი არიან და ეს მომენტი თითოეულ შემთხვევაშიაც შეიმჩნევა. ვახუშტი სწორადა გრძნობს მთავრის განსხვავებას ერისთავისაგან და სავსებით მართებულად გამოჰყოვს მთავრისაგან თავადი...

ე რ ი ს თ ა ვ ი უ პ ი რ ვ ე ლ ე ს ყ ო ვ ლ ი ს ა ს ა მ ხ ე დ რ ო მ ო ხ ე ლ ე ა, მთავარი კი უფალია, პოლიტიკური ხელის მემკვიდრეობით მქონებელია, სენიორია (მ—2,11. ფურც. 9).

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ქ^ცა I, ც-ბა დავითისი, $336_{5, 15}$

დავითის მეუღლე — გურანდუხტი იყო „შვილი ბეჟანისა უმთავრესისა ათრაქა შარალანის ძისა“.

დავითი შევიდა ოვსეთს და „მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი, და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა“.

ყივჩაყებსაც, ჩანს, ყავთ მთავარნი, ისევე როგორც ოსებს, მაგრამ „უმთავრესი“ მოწმობს, რომ ჩვენს ავტორს „მთავარი“ ესმის როგორც სუბსტანტივი (მაგალითად „მეფე“, ერისთავი თუ სხვა ამ რიგი...) მთავარი — უფროსი.

იქვე, 346_{16}

„ესევითარნი უკვე არიან მეფობრივთა მიმოსლვათა მისთა, წყობათა და ღუაწლთა, ძლევათა და წარმართებულებათა, დაპყრობათა და ახუმათა დიდთა მათ და მრავალთა სამეფოთა და სამთავროთა მოთხრობანი და საქმენი“...

სამთავრო აქ ისევე პოლიტიკური ერთეულია, როგორც სამეფო.

გვიანფეოდალურ ხანაში მაგალითად ხომ არ შეიძლებოდა თქმულიყო, რომ ეს მთავარია და ის უმთავრესიო. და ეს იმიტომ, რომ მთავარი გარკვეული კონკრეტული შინაარსის ცნება იყო (მ— 2,11. ფურც. 18).

11. ქ^ცა I, სუმბატ დავითისძე, $373_{9, 16}$

ფილისტიმიდან წამოსული ურიანი შვიდი ძმა „დაშთეს იგინი ქუეყანათა სომხითისათა და მუნ დღეინდელად დღედმდე შვილნი მათნი მთავრობენ სომხითს“.

ორი ძმა „ასამ და ვარაზვარდ წარვიდეს კამბეჩანს და მოკლეს მათ სპარსთა სპასალარი და დაიპყრეს კამბეჩანი, და დასხდეს იგინი მუნ ცხოვრებად ხორნაბუჯს. და ამა ჟამამდე შვილნი მათნი მთავრობენ მას შინა“.

„მთავრობენ“ აქ იმითაა საინტერესო, რომ ის ერთ შემთხვევაში მიემართება სომხეთის მეფეებს, მეორე შემთხვევაში— ერისთავს (ან მთავარს). ასე რომ მეფეც მთავრობს და ერისთავიც და არა მხოლოდ მთავარი მთავრობს. ამავე დროს

ხომ არსად გვხვდება რომ მთავარი მეფობს, და ეს იმიტომ, რომ მეფობა შეუძლია მხოლოდ მეფეს, ხოლო მთავარ ეროვნული ბიბლიოთეკა უძლია მთავარსაც და მეფესაც.

გამოდის: მთავარი ჯერ კიდევ არაა სპეციალური ტერმინი, ის ზოგადი ხასიათის ცნებაა უფროსობის შინაარსით.

„მთავრისა“ და „ერისთავის“ სიტყვა-ხმარების თვალის მიდევნებით შეიძლება ამ ცნებების შობა, მათი თავგადასავალი (ტრანსფორმაცია-მეტამორფოზი) და საბოლოოდ დადგინება გავითვალისწინოთ... გასაგები გახდება თუ რა იყო იმის მიზეზი, რომ არ იქნა და ერთი გარკვეული, საბოლოოდ ჩამოკვეთილი შინაარსი არ მიეცა არც მთავარს, არც ერისთავს... (მ—2,11. ფურც. 22).

12. ქ^ცა I, სუმბატ დავითის ძე, 373_{19}

„ხოლო ვინათგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა. მით ჟამითგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა ვიდრე ამათადმდე. არამედ დაესრულა უფლება ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათგან“.

სუმბატი გადაჭრით მოწინააღმდეგეა ქართლის აზნაურთა „უფლების“, ე. ი. მათი დამოუკიდებელი ხელმწიფობის, მათი, ვახუშტის ენით რომ ვთქვათ, მთავრობის.

სუმბატი მეფის ერთუფლებიანობის გარკვეული მომხრეა. როგორ წარმოუდგენია მას გორგასლიანების „მეფობა“, სულერთია: მას იგი, ისევე როგორც ბაგრატიონთა ხელმწიფობა, ქართლის აზნაურთა უფლების „დასასრულად“ წარმოუდგენია.

სუმბატი, ამრიგად, ახალი ქვეყნის მომხრედ გამოდის (მ—2,7. ფურც. 95).

13. ქ^ცა I, სუმბატ დავითისძე, 379_{22}

ამოტ კურაპალატის შვილები და შვილიშვილები ზოგი კურაპალატია, ზოგი მამფალია, ზოგი მეფეა.

„და სიცოცხლესავე შინა სუმბატ არტანუჯელისასა მოისრა ნასრ; და ქვეყანა ნასრისი დაიპყრეს სხუათა ამათ მთავართა“.

აქ, როგორც ვხედავთ, მთავარი მიემართება ყველას, ვინც საჯარო ხელისუფლების მატარებელია, მეფეს, მამფალს, კურაპალატს. მთავარი ზოგადი ცნებაა (მ—2,11. ფურც. 23).

14. ქ^ცა II, ისტ. აზმ. 96_{15}

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასიანის ომის დროს „მოუკლეს ცხენი ივანეს მსახურთა ... ცესსა, ზაქარია გაგელს, ახალციხელთა შალვასა და ივანეს, თაყაიადინ თმოგუელსა, კაცსა მჯნესა, და სხუათა მრავალთა თ ა ვ ა დ თ ა“...

აქვე 33. „და უბოძა ლორე ს ა თ ა ვ ა დ ო და ს ა მ თ ა ვ რ ო სომხითისა შინა“.

იქვე, 109

სპარსეთში გამარჯვების მსგავსი გამარჯვება „არცა ძუელ ოდესმე ქმნულ იყო.... არცა მეფეთაგან, არცა მ თ ა ვ ა რ თ ა გ ა ნ“.

იქვე, 109. გამარჯვებული ლაშქარი მეფეს იახლა: „შეუძღუა ამირსპასალარი და შევიდეს თ ა ვ ა დ ნ ი და დასხდეს წესისაებრ“.

იქვე, 109. ამის ახლო ხანებში „მიიცვალა ზაქარია ამირსპასალარი. ძე სარგის ამირსპასალარისავე, კაცი დიდად გამდიდრებული და ყოვლითა სათნოებითა აღსავსე, გამარჯუებული, მჯნე და ძლიერად მბრძოლი, მ თ ა ვ ა რ ი თ ე მ ი ს ა ლ ო რ ი ს ა“.

ასეთი მთავარი საქართველოში სხვაც ბევრი იყო, იქვე, 110. ზაქარია „იგლოვა ყოველმან კაცმან საქართველოს მყოფმან, რამეთუ არავინ მჯნედ გამოჩენილ იყო მ თ ა ვ ა რ ი ქამთა ამათ“...

იქმნება ახალი მ თ ა ვ რ ე ბ ი... ს ა მ თ ა ვ რ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი... (მ—2,11. ფურც. 39).

15. ქ^ცა II, ბ. ე. მ. 118_3

თამარმა საეკლესიო კრება მოიწვია. „ხოლო შემო-რა-კრბეს ო რ ი ს ა ვ ე ს ა მ თ ა ვ რ ო ს ა ეპისკოპოსნი, რომელთა პირად აქუნდა ზემო მოკსენებული ნიკოლაოს... და ანტონი ქუთათელი საღირის-ძე“...

აქ საუბარია საეკლესიო ს ა მ თ ა ვ რ ო ზ ე: დას. საქართველოსი და აღმოსავლეთ საქართველოსი დამიუთითებს, რომ ეკლესიურად საქართველო უკვე ერთიანი ორგანიზაციაა, მაგრამ ძველი საეკლესიო ორგანიზაციის კვალი მთლად დაშლილი არაა, აქ შეიძლება ქუთათელი ასრულებდეს დას. საქართველოს საეკლესიო სამთავროს მეთაურის როლს, მაგრამ არა კათალიკოსობით.

ს ა მ თ ა ვ რ ო ჩვენი ავტორისა აქ ნიშნავს ორგანიზაციას, რომელსაც მთავარი (უფროსი) ჰყავს, ან ჰყავდა.

ასე, რომ მთავარი აქ ზოგადი მნიშვნელობის ტერმინია — უ ფ რ ო ს ი, და არა პოლიტიკური ხელისუფლებით აღჭურვილობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა გამორიცხული სრულიადაც არაა, რომ ასეთ მთავარს ასეთი ხელისუფლება ჰქონდეს...

ასეთი მთავრები იმ დროის საქართველოში ბევრნი (ტუ 118) — თამარი მიმართავს კრებას სიტყვით: ...„ნუ თუალ ახუამთ მთავართა სიმდიდრისათჳს, ნუცა გლახაკთა უდებჰყოფთ სიმ-ცირისათჳს“.

მთავარი — დიდია, უფროსია, მდიდარია... (მ—2,11. ფურც. 40).

16. ქ^ცა II, ბ. ე. მ. 122_{21}

თამარს ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის შერჩევა უნდოდა... ამისთვის მეფემ „მიმოიხილა ყოველთა ზედა სამეფოსა თჳსისა მთავართა, და განიცადა თუალითა გონებისათა... მოიყვანა ანტონი გლონისთავის-ძე გარეჯით“...

აქ მთავრის შინაარსი კიდევ უფრო ცხადია. ანტონ გლონის-თავის ძე, უეჭველია, მონაზონია აზნაურის სახლიდან, მაგრამ მისი მთავრობა აქ მხოლოდ უფროსობას, წარჩინებულ-ობას ნიშნავს და არა პოლიტიკური უფლების ქონებას. სხვა არა იყოს, ანტონ გლონისთავის ძე გარეჯის მონაზონია.... (მ—2,11. ფურც. 42).

17. ქ^ცა II ჟ. ა. 209

გრიგოლ სურამელი ქართლის ერისთავია, იგივე გრი-გოლ თავის თავს უწოდებს წარჩინებულს (209) და იგივე გრიგოლი დასახელებულია მთავართა შორის (207).

ასე რომ არავითარი ნიშანდობლივი განსხვა-ება მთავარსა და ერისთავთერისთავს შორის არ შეიმჩნევა. და სწორედ ესაა ჩვენი ავტო-რის დროისათვის დამახასიათებელი: როცა ერის-თავთერისთავის მთავრობა ნიშანდობლივი მოვლენა გახდა, ვაზირი და ერისთავთერისთავი მთავრის ძლიერ ტენდენციას ამჟღავნე-ბენ; ამას ხელს უწყობენ ხვარაზმელები, მონგოლები. ამას ებრძვის მეფის ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ განვითარების პროგრესს განასახიერებს...

XIII საუკუნის (და მით უფრო XII საუკუნის) ეს მთავრები არც ძველი მთავრებია ადრეფეოდალური ხანისა და არც ჩიხის გა-მარჯვების დროის მთავრები და თავადები... ესენი შუაზედ არიან, კრიზისიც აქ იყო... (მ—2. ფურც. 76).

13. ქ^ცა II, ჟ. ა. 212_1

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმეფობა იყო. ქართველები მონგოლებთან ერთად ალამუტს ებრძოლნენ.

„მაშინ ზემოჯსენებული ესე ეგარსლან, კაცი საკვრველი და ჭკვედრობისა ცოდნითა აღსავსე ეზომ განდიდნა, რომელ კნინლა და სახელისა დებადცა მეფისა იკადრა, და ყოველი ქართველთა ნათესავი ბრძანებასა მისსა მორჩილობდეს, ვითარცა მეფესა, და თჳთ დიდი და პატიოსანი შანშე მანდატურთ-უხუცესი, და გაგელი ვარამ და სხუანი ყოველნი მთავარნი“.

ეგარსლანი ერთ-ერთი „ერის მთავარია“ ალამუტს მოლაშქრე ქართველთა შორის. ეს „ერისმთავარი“ იგივე „მთავარია“.

ეგარსლანის ბრძანებას მორჩილობდეს „ყოველი ქართველთა ნათესავი“. ამ „ყოველ ქართველთა ნათესავში“ არის დასახელებული შანშე და ვარამ მკარგძელები სხვა „ყოველ მთავრებთან“ ერთად.

ჩვენი ავტორი მხარგრძელებს ისევე ქართველთა ნათესავად სცნობს, როგორც ქართებს, მესხებს, ჰერკახებს, აფხაზებს... ყველა ესენი ქართველი მთავრებია (მ—2, 11. ფურც. 77).

19. ქ^ცა II, ჟ. ა. 212_6

„ვითარ ცნეს თურქთა შამს მყოფთა უმეფობა ქართველთა, და ლაშქართა საქართველოსათა ალმუთს წარსლვა თათართა თანა და უცალოება ქართველთა... გამოემართნეს ოჯრებად საქართველოსა, და მოიწივნეს ქუეყანასა ვალაშკერტისასა, რომელი მას ჟამსა ოდენ აღელო შანშეს, და იწყეს ოჯრებად საქართველოსა და ვალაშკერტისა, და რაჯსს იქით ქუეყანათა ვიდრე სურმანადმდე, რომელი იგიცა ოდენ დაეპყრნა შანშეს მანდატურთ-უხუცესსა“.

შანშემ „მოუწოდა სპათა თჳსთა და ავაგ ათაბაგისთა, და შეკრბეს მჯედარი ვითარ ოცდაათი ათასი“. ომი მოხდა ვალაშკერტს. შანშემ გაიმარჯვა, სახელოვანი და გამარჯვებული „მივიდა ანისსა, სახლსა და ტახტსა მისსა“. შანშე დუმნის თავი იყო. მას ებარა აგრეთვე ავაგის ქვეყანაც, როგორც დუმნის თავს. მისი მთავრობა

იქამდე მისულიყო (და ალბათ სხვების მთავრობაც), რომ მას მეზობელი ქვეყანა ვალაშკერტისა და სურმანისა დაეპყრო, ეროვნული შემოიყარა ლაშქარი (არა სომხობის ნიშნით, ბიბლიოთეკა დუმნის თაობის ნიშნით: თავისი და ავაგისი. სომხობის ნიშნით რომ შემოეყარა გაგელის დუმანიც მასთან უნდა მისულიყო), მტერი უკუაქცია და სახელოვანი დაბრუნდა „სახლსა და ტახტსა მისსა“ ანისს.

ასე რომ ანისი ამ ქართველი მთავართაგანის „სახლი და ტახტია“. მაგრამ ეს გამოთქმა სახლი და ტახტი რეალურად მეტის არაფრის შემცველი ჩანს, ვიდრე სხვა მთავრების საჯდომი.

შანშეს შეიძლება შაჰანშაობა აგონდებოდა, ანისის მფლობელს, მაგრამ ანისი მას მიღებული ჰქონდა წყალობად თამარისაგან (ზაქარიამ მიიღო), ხოლო თვითონ იყო მონაპირე ერისთავი, თუნდაც მეფეთა (შაჰანშაჰის ადგილზე) მჯდომი. ახლა კი რეალურად ის მონგოლთა მოხელე იყო, გურჯისტანის ერთ-ერთი დუმნის თავი და მისი პოლიტიკური უფლებები ისეთივე იყო, როგორც ყველა სხვა ქართველი მთავრებისა. მაგალითად ასევე დამოუკიდებლად, თორელის დუმნის ქვეყნიდან გამოყვანილი ჯარით ებრძვის და ამარცხებს თურქებს ყვარყვარე ციხის-ჯვარელ-ჯაყელი (213). ასევე მოქმედებდა უეჭველია ეგარსლან ბაკურციხელი, რომლის დუმანი იყო ტფილისიდან ალმართ ვიდრე მთამდე შამახიისა. და რომლის ბრძანებას თვით შანშეც კი მორჩილობდა...

ასე და ამგვარად შანშეს თუ ავაგის ქვეყანა, ისევე როგორც ყველა სხვა დუმნები, საქართველო იყო და ეს მთავრები „ქართველები“ იყვნენ... ეს ასე იყო სახელმწიფობრივი თვალსაზრისით, რომელსაც ჩვენი ავტორი ადგას (მ—2, 11. 78—79).

20. ხვარაზმელთა და შემდეგ მონგოლთა ბატონობის ხანაში საქართველოში ახალი ქვეყნები მოიხაზა, ახალი ქვეყნები გაჩნდა: თანდათან ჩამოყალიბდა სამთავროები. ეს სამთავროები ძველ ისტორიულ სამთავრობებს მეტად შორეულად ენათესავებოდნენ... უფრო სწორია თუ ვიტყვით, რომ ეს ახალი სამთავროები ახალი დროის წარმონაქმნია, უმრავლესობა მაინც... XI—XII საუკუნეებში საქართველო ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაიყო—საერისთავოებად. ძველ საერისთავოებთან ლეონტი და ჯუანშერი რომ მიუ-

თითებენ, ამ ახალ საერისთავოებს თითქმის აღარაფერი ანალესავებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ პირობებში, ახალ ურთიერთობაში ბევრი ძველი საერისთავო გაჩნდა, თრიალეთის, რაჭის, გურიის, სამოქალაქოს, ჰერეთში, კახეთში, არტანუჯის, ხიხათა და სხვ. ზოგიერთი ძველი საერისთავო გაქრა (სამშვილდის, გარდაბნის)...

ჩამოყალიბდა სანაპირო ქვეყნები: ჰერეთი, კამბეჩიანი, სომხითი (გაგი), ძორაკერტი, ანისი... თმოგვი, ტაო.. ახალი საქართველო ადმინისტრაციულად სრულიად ახალი ქვეყნებისაგან შედგება... საფუძველი ეყრება ახალ სამთავროებს. ერისთავთერისთავები დიდი ქვეყნების მთავრებისავით მფლობელნი არიან. მთელი საქართველო ასეთ საერისთავთერისთავოებით იფარება, მაგრამ ერისთავთერისთავები საქვეყნოდ გამრიგე, ან კარისა და საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი არიან... და ასეთი ერისთავთერისთავების მოხსენიება მთავრობით ეს არის ჩვენი XIV საუკუნის ავტორის პოლიტიკური წარმოდგენის გადატანა იმ ძველ დროზე: XIV საუკუნეში მთავართა ინსტიტუტს 150 წლის ისტორია ჰქონდა (საუბარია ახალი დროის მთავრებზე) და ამ დროს ეს ინსტიტუტი სავსებით ჩამოყალიბებული იყო ყველა თავისი პოლიტიკური ნიშნით. მაგრამ ასეთი არ იყო ის, რა თქმა უნდა, მის დასაწყის ხანაში, როცა ჯერ კიდევ ამისთვის მატერიალური პირობები მზადდებოდა, მაგრამ მის პოლიტიკურ გაფორმებამდე შორს იყო: მეფის ხელისუფლებას ძლიერი პოზიციები ეჭირა და რაც მთავარია, ქვეყნის განვითარების ტენდენცია სწორედ მეფის ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას გულისხმობდა. ამას მოწმობდა სამეფო დომენის ზრდა (განსაკუთრებით დავითის დროს), რასაც როგორც ჩანს მტკივნეულად განიცდიდნენ დიდაზნაურები (ეს კარგად მოჩანს ბასილი ეზოსმოძღვრის მსჯელობიდან), ამას მოწმობს მეფეთა პოლიტიკა ქალაქების მიმართ (შემცდარია აზრი, თითქო სამეფო ხელისუფლება ქალაქებს უდარდელად არიგებდა). ამას მოწმობს დიდი ბრძოლა, მთელ ორ საუკუნეს რომ გრძელდებოდა ბაგრატ III-დან ლაშა გიორგიმდე ქვეყნის მმართველობის ხასიათისათვის დიდაზნაურებსა და მეფის ხელისუფლებას შორის და უეჭველია მეფის ხელისუფლების გამარჯვებით დამთავრდებოდა იგი, თუ XIII საუკუნის ძნელბედობა არ შემოსწრებოდა (ხვარაზმელები, მონგოლები). დიდაზნაურობა იყო სოციალური საფუძველი ერისთავების გამთავრებისა. ერისთავი, თუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც უგვარო, უმალ ყველა საუგო ზრახვებს გამოეკიდებოდა, რო-
გორც გასუქდებოდა, უმალ ივიწყებდა პატრონის (მეფის) ყელის
ყოფას. მართლაცდა რომელი ერისთავი იყო ამ ახალ ხანაში, რომ
უგვაროთა ფენიდან არ ყოფილიყოს გამოყვანილი, ამაში დავითმა
ხომ რეკორდი დაამყარა, ხოლო მისმა ისტორიკოსმა პრინციპულ
სიმაღლეზე აიყვანა თეორია მეფის მოქმედების კანონიერებისა ამ
საქმეში.

ორბელები, მხარგრძელები, ჭიაბერი, სურამელები, ყუთლუ-
ყუბასარ-აფრიდონები ხომ სულ ახალკაცები იყვნენ (გვარს რომ
იძველებდნენ სწორედ ეს იყო იმის მოწმობა, რომ რეალურ ძა-
ლას ჯერჯერობით არა მეფის ხელისუფლებაში იმდენად, არამედ
დიდ აზნაურთა ძირძველობაში ხედავდნენ. მაგრამ პროგრესი მე-
ფის მხარეზე იყო და ერთგულთა და მოსწრაფედ მორჩილთა მხა-
რე სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა).

კრიზისული ხანა იყო: განვითარებულ ფეოდალიზმს თავისი
ზრდა დაემთავრებინა და ქვეყანა ახალი ურთიერთობის ზღურბლ-
ზე იდგა... საინტერესოა განსაკუთრებით კარის მოხელეთა გაერის-
თავთერისთავება. ეს ერისთავთერისთავები საქვეყნოდ გამრიგე
მოხელენი იყვნენ, რომელნიც ყველაზე უპირველესად და უძლიე-
რესად იჩენდნენ ქედფიცხელობას, დაუმორჩილებლობას და მთავ-
რულ (ძველი გაგებით) თვისებებს. ბაღვაშები, აბაზაძენი, ქვაბუ-
ლისძენი, ვარდანისძენი ამის თვალსაჩინო მაგალითებია. პერსონა-
ლური ღონისძიებით (ამა თუ იმ პირის ნაცვლად სხვა პირის დადგი-
ნება) საქმეს საშველი არ უჩანდა და სამეფო კარზე შემუშავდა
იდეა საერისთავთერისთავოს ხელის გაერთიანებისა სამეფო კარის
მოხელეობასთან (ვაზირობასთან).

უეჭველია მებრძოლი მხარეები არც ამაზე შეჩერდებოდნენ
და მეფის ხელისუფლება სხვა არსებითი ხასიათის ღონისძიებასაც
განახორციელებდა, როცა საამისო პირობები მომწიფდებოდა (რო-
გორც სცადეს კიდევაც კახეთში XV საუკუნეში, როცა საერისთა-
ოების ნაცვლად საპოურავოები შემოიღეს)...

ჯერჯერობით, ჩანს, საამისო პირობები კიდევ არ იყო... მაგ-
რამ XIII საუკუნის დასაწყისის ერისთავთერისთავები, თუნდაც
მეფეთა ადგილზე შეწყალებულნი, ჯ ე რ მ თ ა ვ რ ე ბ ი ა რ ი ყ-
ვ ნ ე ნ (მათგან უძლიერესნიც კი ტაოსკარელნი), ან მხარგრძელები
მონაპირეებად რჩებოდნენ, რომელთა მოღვაწეობა ცენტრალური
ხელისუფლების უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდა.
მტრის დაზვერვა იყო, თუ მტრის ქვეყანაში გათარეშება, ციხის

ალება, თუ ომის წამოწყების საჭიროება, მონაპირე სამეფო არის დაუკითხავად და მისი ნების გარეშე არაფერს აკეთებდა.

ვითარება კარდინალურად იცვლება XIII საუკუნის ოციანი წლებიდან ხორეზმშაჰის თარეშებისა და შემდეგ მონგოლთა ბატონობის ხანაში, როცა ცენტრალური ხელისუფლება მოიშალა, როცა ერისთავთერისთავები შეუთქმელ-შეუზრახველები იყვნენ და თავთავის ქვეყანას საკუთარის ძალებით უვლიან, როცა მონგოლები იწყნარებდნენ ამ ახალი მთავრების არსებობას და მათ ესაქმებიან იმისდა მიუხედავად, რომ კარგად იციან მათი პოლიტიკური ვითარება, როცა შემდეგ აღდგენილი მეფის ხელისუფლება ველარ ახერხებს მონგოლთა ნების გარეშე თავის უპირველესი ფუნქციის განსახიერებას ერისთავთერისთავების მიმართ („მეფემ ვერ სცვალნის ერისთავნი შიშისათვის ყაენისა“)... ამავე დროს ქვეყანა კატასტროფულად ეცემა, ეკონომიურად სუსტდება გაერთიანების (მეფის მომხრეთა) ძალები და... იქმნება სამთავროები (მ—2,11. ფურც. 80—83).

21. მე ამ ჩემი „ქვეყნით“ ყოვლად ვეწინააღმდეგები აქამდე მიღებულს წარმოდგენას ჩვენს ისტორიულ განვითარებაზე (ვითომ?)...

ის, რასაც მოგვითხრობს ჩვენი წყაროები მეფეთა და ერისთავთა ურთიერთობის შესახებ, არის პოლიტიკური ზედაპირული მოვლენების გადმოცემა. ამ ზედაპირულ პოლიტიკურ მოვლენებს განსაზღვრავდა სოციალურ-ეკონომიური ხასიათის პროცესი, რომელიც საზოგადოების სიღრმეში მიმდინარეობდა და ქვეყნების ამა თუ იმ სახეცვლილებას იწვევდა... ამ „სახეობების“ განვითარების ტენდენციის გამოხატულებას წარმოადგენდა საერისთავოების ვითარება და სამეფო ხელისუფლებასთან მათი ურთიერთობის ხასიათი...

ერისთავის ერთგული მოხელეობა, რაც თითქო ახასიათებდა მათ ძველ დროს (თუმცა, ითქვას მართალი, არც ასე ერთგულნი არიან ეს ერისთავები — საურმაგისა და სხვა ერისთავები არაერთხელ მეფეთა წინააღმდეგ გამოდიან) დამახასიათებელია, ქართლოსიანობას იცავენ, პატრიოტობენ... (ვახუშტი ლეონტის ამ ცნობებზე დაყრდნობით ხაზს უსვამს მთავრების ქართლოსიანობას)...

ვახუშტი მახვილგონივრულად შენიშნავს, რომ ერთი საქმე იყო ერისთავნი მეფის მოხელენი, მეორე საქმე იყო მთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარნი — შემდეგ რომ თავადად იქცნენ. გარკვეულ დროს მთავარს ახასიათებდა ციხე-ქალაქი, ხეობანი. ვახუშტი არ ეძებს ამ მთავართა წარმომავლობას, მხოლოდ მათ ქართლოსიანობას უსვამს ხაზს, მაგრამ როგორც მისი აზრთა მსვლელობიდან შეიძლება დავასკვნათ ეს ამ მთავრებს იმთავითვე ვარაუდობს. მაინცდამაინც ერისთავები მას მთავართა სოციალური წრიდან გამოსულად წარმოუდგენია — (ერისთავი ერთი მთავართაგანია მეფის „წესში" მყოფი, ე. ი. მოხელე და ამით კიდევ უფრო გაპატიოსნებული). ამრიგად, ვახუშტით ეს მთავრები ჩვენი ისტორიის მთელ სიგრძეზე არსებობენ. სამართალი, ლაშქარი და სამეფო ხარკი ერისთავის საქმე იყო. მთავარი რაღაის მაქნისი იყო? სამწუხაროდ, ვახუშტი ამის შესახებ არას ამბობს და არას ამბობს იმიტომ, რომ მისი წარმოდგენით ამ მთავრებს სახელმწიფო ფუნქციები არ აკისრიათ? არამედ იმ ქვეყნების ფეოდალური მებატონენი არიან (უფალნი, მეპატრონენი, მებატონენი)...

კრიზისული ხანა — ეს იყო ამ სამთავროებში მიმდინარე მძაფრი ბრძოლა მწარმოებელი კლასის დამონებისათვის... სხვადასხვა არახელსაყრელი პირობების გამო პროგრესის ძალები დამარცხდა და ერისთავი (დიდებული) მთავარი გახდა. ძველიდანვე ერისთავში ორი საწყისი იყო: მთავარი და მოსაკარგავე (დიდებული). ცენტრალური ხელისუფლების ცდა ის იყო, რომ ერისთავი ეხოლოდ მოსაკარგავე ყოფილიყო. ამის ნიშანი იყო, რომ ერისთავად მეფეები ზოგჯერ უგვაროებს ნიშნავდნენ... მთავართა ტენდენცია კი ამის საწინააღმდეგო იყო.

და მოხდა ის, რომ მთავარმა (თავადმა) გააქრო ერისთავი... გაქრა საერისთავო ქვეყანა, გაბატონდა სათავადო. ვახუშტის შესანიშნავად აქვს შემჩნეული, რომ საზოგადოებრივი განვითარების ძირი, საფუძველი ერისთავი კი არ იყო, არამედ მთავარი,—ეს ქართლოსიანი ძირძველი მკვიდრნი, ხეობათა და ციხე-ქალაქთა მფლობელნი. ამათი მეტამორფოზი იწვევდა სახელმწიფო წყობილების მეტამორფოზს, ხოლო მთავართა მეტამორფოზი წარმოსდგებოდა ჯევში (ქვეყანაში) მიმდინარე სოციალური პროცესებისაგან.

ერისთავებს ადვილად (შედარებით) სცვლიდნენ მეფენი. უკეთ, მათი შეცვლის სიძნელე, თუ სიადვილე დამოკიდებული იყო. იმაზე, თუ ერისთავი ამავე დროს რამდენად ძლიერი მთავარი იყო, ე. ი. რამდენად ძლიერი სახლის შვილი იყო...

მაინც ერისთავის შეცვლაზე მეფეებს ხელი არასოდეს აუღი-

ათ საბოლოოდ, ვიდრე მთავარმა საბოლოოდ არ გადასძლია ერისთავნი...

სულ სხვა საქმე იყო მთავარი. მეფის ხელისუფლებაზე-ამბობ-ენ-ლია, ხელს იწვდიდა რომ მთავრის უფლებაში ჩარეოდა (ბეითალ-მანობის კანონი, სიგელთა განახლების წესი...), მაგრამ მეფის ხელი-სუფლებამ ჩვენში ეს ვერ შეძლო... (მ—2,11. ფურც 3—5).

[ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ]

1. ქ ცა I, მატიანე ქართლისა, 276,

ბაგრატი აფხაზების საქმეების მოგვარების შემდეგ ქართლს წამოვიდა „რათა განაგნეს საქმენი დაშლილნი ქართლისანი... ხოლო მას ჟამსა აზნაურთა ქართლისათა რომელთამე არა ენება გარდამოსლვა მისი, რამეთუ თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა, დაღაცათუ იყვნეს მორჩილებასა შინა გუარანდუხტისასა. იწინამძღურეს ქავთარ ტბელი, მოეგებნეს ბრძოლად და დაუდგეს თავსა ზედა მოღრისისასა“.

შესანიშნავად, ცხადად არის ნათქვამი, თუ რა აწუხებდა „რომელთამე აზნაურთა ქართლისათა“. ეს იყო ყმადნაფიცობის იდეალი: „თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა, დაღაცათუ იყვნეს მორჩილებასა შინა გუარანდუხტისას“. რა თქმა უნდა, ასეთი განწყობილების არ იყო ყველა ქართლის აზნაური. აზნაურებს შორის ხომ მტრობა და ბრძოლა იყო. ძლიერი და დიდი მთავრები სუსტებს ჩაგრავდნენ. მაგალითად, ბაღვაში თრიალეთში, ეპვი არაა, არამცირედ შეავიწროვებდა მცირე მთავრებს და მათ თავის „შვილებად“, „ყმებად“ გაიხდიდა. ასევე სხვებიც. ამიტომ ამათთვის ბაგრატის გამოსვლა სასურველი უნდა ყოფილიყო და იყო კიდევაც. ასე რომ „ქვეყნის“ შიგნით მიმდინარე საზოგადოებრივი პროცესის საფუძველზე და მის შედეგად ჰევების ერთპირიანობა დიდი ხანია მოშლილი იყო, ჰევში ღრმა და ინტენსიური კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლა მიმდინარეობდა და ფეოდალური პატრონყმური ქართლი, ისევე როგორც ყველა სხვა მხარეები საქართველოში (მისი განვითარებული მხარეები), მზად იყო ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე შესადგომად, — გაერთიანებულ ფეოდალურ, ბატონყმურ მონარქიად გადასაქცევად... და ამას მოითხოვ-

და სამთავრო ქვეყნების განვითარება... დიდი აზნაურების მფლობელობის ხანას საფუძველი ერყეოდა, „ერისთავ-ერების“ ხანა გასული იყო, გამაერთიანებელი მეფეები ძლიერ დასაყრდენს პოულობდნენ ფეოდალების ფართო მასებში, აზნაურებში, მოლაშქრეებში და დიდ აზნაურების წინააღმდეგობას სტეხდნენ, უმადნაფიცობას აქრობდნენ და მათ მოხელე ერისთავობას აკმარებდნენ. (კლასიკურია გამოთქმა: „დაიმორჩილე ვითაცა სახედ გწადიან“. აქვე 277_{15}).

მატიანე ქართლისას ავტორი დაკვირვებული პოლიტიკური მწერალია (ისტორიკოსია) და სრულიადაც ისეთი მარტივი და ლიტონი მომთხრობელი არაა; ჩვენი ავტორი ძალიან კარგად ერკვევა პოლიტიკურ სიტუაციაში, ნათლად წარმოუდგენია დიდაზნაურთა, მთავართა მიზნები; ასევე ნათლად აქვს წარმოდგენილი მეფეთა მიზნები, აზნაურთა ურთიერთშორის ბრძოლა (ე. ი. ამ ოპოზიციის სუსტი მხარე) და შიგადაშიგ ამ აზნაურთა კოალიციები მეფის წინააღმდეგ. ჩვენი ავტორი არც იწყევლება, არც ილანძღება, არამედ მოკლედ და ნათლად არკვევს მხარეთა მამოძრავებელ მოტივებს. ის დაჯერებული მომხრეა მონარქიზმისა...

და ქართლის დიდი აზნაურების შიში რომ საფუძვლიანი იყო, ეს კარგად ჩანდა ბაგრატის პოლიტიკიდან აფხაზეთში. ქართლის დიდაზნაურების დამარცხების შემდეგ ბაგრატმა „განაგნა მცირედ საქმენი ქართლისანი“, დედა-გურანდუხტი აფხაზეთს წარიყვანა „და ვითარცა ჯელოვანმან მენავეთ-მოძღუარმან განაგო ყოველი საქმე აფხაზეთისა: რამეთუ მცირედ ამხილის ყოველთა, ვინ უკუე პოვის ურჩი, და მისსა ადგილსა განადიდის ერთგული და მისანდობელი თჳსი“ (ქ˜ცა I, 276_{11}).

ბაგრატს, როგორც ჩანს, გურანდუხტის აფხაზეთში ჩაყვანა ეჩქარებოდა. სამწუხაროდ, ჩვენი ავტორი არას გვეუბნება ასეთი საქმის მოტივის შესახებ და მხოლოდ უქებს მეფეს სიბრძნეს, რომ მან „ვითარცა ხელოვანმან მენავეთ-მოძღუარმან განაგო ყოველი საქმე აფხაზეთისა“.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ ლეგიტიმურობის საკითხი იდგა (და იგივე მოხდა რაც XVIII საუკუნეში, როცა ქართლის მეფედ ვახტანგ VI-ის ქალი თამარი იყო აღიარებული)...

მოკლედ: ახალი ქვეყნის—საქართველოს ორგანიზაციულად გაფორმების კრიტიკული მომენტი იდგა: საქართველო ქვეყანა იშვებოდა, დიდი საზოგადოებრივი

პროცესი საქართველოს წარმოქმნისა პოლიტიკურად გვირგვინდებოდა (მ—2,11. ფურც. 8—10).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. როგორ უნდა გვესმოდეს ეს ახალქალაქების წარმოქმნის ხანა, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების დროისად რომ აღვნიშნავთ. მართლაცდა ეს მოვლენა იქამდე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ფაქტი გამხდარა, რომ გაერთიანებულ საქართველოში ქალაქი დიდებულ აზნაურობის აუცილებელი ნიშანი ჩანს მონასტერ-სასახლესა და ციხესთან ერთად (ვახუშტი), ხოლო ზოგ დიდებულ აზნაურს არაერთი ქალაქი ჰქონია...

რას ნიშნავს ეს ახალქალაქების გამრავლება თუ არა მათი „ქვეყნების" შესაფერის მეტამორფოზს, ე. ი. თუ არ „ახალი ქვეყნების", განსხვავებული ხასიათის ქვეყნების წარმოქმნას; როცა საზოგადოებრივი წარმოება ისე განვითარებულა, რომ ქვეყნისათვის ქალაქი აუცილებელი გამხდარა. ამიერიდან ქვეყნის ცენტრი ადგილგადანაცვლების სულ უფრო და უფრო ძლიერ ტენდენციას იჩენს ფეოდალის ციხიდან ციხე-ქალაქისაკენ, სადაც ქალაქი სულ უფრო მეტი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ხდება შედარებით ციხესთან. და ეს ტენდენცია იმით მთავრდება (სრულდება), რომ ციხე საბოლოოდ ჰკარგავს ქვეყნის პოლიტიკური ცენტრის მნიშვნელობას და ამიერიდან ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი საბოლოოდ იქ აღმოჩნდება მოთავსებული, სადაც მისი ეკონომიური ცენტრი არის. მაგრამ ეს უკვე ახალი სოციალურ-ეკონომიური ფორმაციის ნიშანია, ე. ი. აქ უკვე ფეოდალიზმი გადალახულია და საზოგადოება ბურჟუაზიულ ურთიერთობაში გადასულა, ამ ურთიერთობის შესაფერისი ახალი ხარისხის ქვეყნებით, ახალი ხარისხის ქალაქებით.

ამ კონტექსტში საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება ახლებურად გაიგება, გაერთიანებული ქვეყანა გაერთიანების შემდეგაც იმავე ქვეყნებისაგან შედგება, ოღონდ გაერთიანებაში შემავალი ეს ქვეყნები ახლა უკვე ნაწილობრივ რჩებიან ძველი ხასიათის ქვეყნებად. ტრადიციით ისინი ძველ სახელებს ინარჩუნებენ, შინაარსით კი ახალი ხასიათი (ეკონომიური, სოციალური, იდეური) შეუძენიათ.

ასე რომ, მაგალითად „გურია", თუ სხვა რაგინდარა ქვეყანა გაერთიანებამდელი ხანისა სრულიადაც იდენტური არაა შინაარსობრივ იმავე სახელის ქვეყნისა, გაერთიანების შემდგომ ხანაში.

ასეთი სახესხვაობა ზოგჯერ ტერმინოლოგიურადაც კი აღნიშნება ხოლმე (კახეთ-კუხეთი-ჰერეთი, რაჭა, ლეჩხუმი), რაც ამ-ბავ-ს ემ-მობაა იმისა, რომ ახალი ქვეყნები ძველისაგან არსებითად განსხვავდ-ნენ, მაგრამ ჩვენ სხვა ნიშნებიც შეგვიძლია მოვიპოვოთ იმის დასამ-ტკიცებლად, რომ გაერთიანება ძველისაგან განსხვავებული ხასია-თის. „ახალი“ ქვეყნებით ხორციელდება.. რომ საქართველოს პო-ლიტიკური გაერთიანება ეს იგივეა, რაც ახალი ქვეყნების გაჩენა. დავით აღმაშენებელმა და სხვა გამაერთიანებლებმა რომ „შერთეს აგარაკი აგარაკსა და სახლი სახლსა“ ისინი მექანიკურად კი არ კრებდნენ ურთიერთისაგან დამოუკიდებელ ქვეყნებს, არამედ ურთი-ერთს უერთებდნენ იმ „ახალ ქვეყნებს“, რომელთაც ეს მოტივი გაერთიანებისა უკვე ახასიათებდათ. ამის შედეგად იყო, რომ ასე-თი გაერთიანება სულ უფრო და უფრო მტკიცე წარმატებაში შე-დიოდა და დაშლის ტენდენციას არ ამჟღავნებდა. ვიდრე ქვეყანა სოციალურ-ეკონომიურ წინსვლას შეუფერხებლივ განაგრძობდა (8—3, 6. ფურც. 10, 11).

3. ქ^აცა I, ც-ბა დავითისი, 319_{14}

თურქ-სელჩუკთა რაზმი, ალაფით ავსებული ეუბნება მეორე რაზმს: „რად წარხვალთ საბერძნეთად? აჰა ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა ქ ა რ თ-ვ ე ლ ო, უკაცური და სავსე ესევითარითა სიმდიდრითა“.

ეი ამ „ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი“ იგულისხმება ავ-ტორით ა ს ი ს ფ ო რ ნ ი და კ ლ ა რ ჯ ე თ ი ზღვის პირამდის, შ ა ვ შ ე თ ი, ა ჭ ა რ ა, ს ა მ ც ხ ე, ქ ა რ თ ლ ი, ა რ გ უ ე თ ი, ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო და ჰ ყ ო ნ დ ი დ ი. „მოისრა და ტყუე იქმნა ა მ ა თ ქ უ ე ყ ა ნ ა თ ა მ კ ჯ დ რ ი ყ ო ვ ე ლ ი“.

ამრიგად, ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შედგება ამ ქ უ ე ყ-ნ ე ბ ი ს ა გ ა ნ (და სხვა „ქუეყნებისაგან“. ავტორი ასახელებს მხ-ოლოდ იმ ქვეყნებს, რომელთაც თურქნი მარბიელნი მისწვდნენ)...

„და დაყვეს ა მ ა თ ქ უ ე ყ ა ნ ა თ ა შინა თურქთა ვიდრე მოს-ლვადმდე თოვლისა, მოჰამეს ქ უ ე ყ ა ნ ა და მოსწყჳდეს თუ სადღა ვინ დარჩომილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ჯურელთა ქ უ ე-ყ ა ნ ი ს ა თ ა“.

აქ უკვე ქ უ ე ყ ა ნ ა სამი შინაარსითაა ნაგულისხმევი:

1. ქ უ ე ყ ა ნ ა საქართველო;
2. მ ი ს ი შემადგენელი ქ უ ე ყ ნ ე ბ ი;
3. მ ი წ ა-წ ყ ა ლ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი თ ნ ა შ ე ნ ო ბ ი თ;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიწა, ნიადაგი მისი უძველესი გაგებით (მ—2, 7. ფურც. 55).

4. ქ'ცა I, ც-ბა დავითისი, 321_{17}

მალიქშაჰმა შეიწყნარა მორჩილებით მისული გიორგი. „სამეფო მისი განთავისუფლა ზედამარბეველთაგან და მოსცა კახეთი და ჰერეთი, გარნა ხარაჯა ითხოვა სამეფოსა მისისა“,...

„სამეფო“ — იგულისხმება სამეფო ქვეყანა. „სამეფო“ სხვაგან ჩვენ გვხვდება მეფისადმი კუთვნილის (სახასოს) შინაარსით. აქ კი ის სახელმწიფოს შინაარსით არის ნახმარი.

ცნების ასეთი გაორშინაარსიანება შედეგია იმ საუკუნოვანი პროცესისა, რომელიც აგრე ინტენსიურად მიმდინარეობდა ამ დროს: პატრონყმური ქვეყნის ბატონყმურ ქვეყნად გადაქცევა. მეფის მისწრაფება იყო ბატონყმური ურთიერთობის ქვეყნის ერთპიროვნულ ხელმწიფედ გადაქცევა.

ეს იქნებოდა წინაბურჟუაზული გაერთიანება. აზნაურები კი ბატონყმურ ქვეყანაში მთავრობას (—გვიან თავადობას) ესწრაფოდნენ. სხვა გამოსავალი არ იყო: ან მთავრები და ქვეყნის დაშლა, ან წინაბურჟუაზიული გაერთიანება მეფის თვითმპყრობელობით. მეფის სახასოს (სამეფო საქონებელი ქვეყნების) გაჩენა და მათი ზრდა ამ პროცესის დამახასიათებელი ნიშანი იყო. და ამ საკითხზე ფიქრი და მსჯელობა შეუნელებელი იყო (დავითის ისტორიკოსი, მატიანე ქართლისა, თამარის ისტორიკოსები).

სამეფო ქვეყნების ზრდა ბაგრატ III, დავითის უდიდესი წამოწყება იყო... (მ—2, 7. ფურც. 56).

5. ქ'ცა I, ცბ-ა დავითისი, 326_{7}

„მოსცა ჟამი ღმერთმან მეფესა დავითს ღა წარუღო კვრიკეს ციხე ზედაზადენი“.

როგორც შიომღვიმის ანდერძიდან ჩანს, ეს ზედაზნის ერისთავი ძაგანი მუხრანის ქვეყნის მფლობელიც ყოფილა... მას ეს ქვეყანა „სამთავროდ“ ჰქონია....

ამ ძაგანს ძმა მოდისტოსი ეპისკოპოსი ჰყოლია. ორივე შეთანხმებით მოქმედებენ: მცხეთას საქონებელი მისტაცეს, ასევე წილკანს, მღვიმე ხომ სახლად გაიხადეს. დავითს მუხრანის სამეფოდ დაბრუნება უცდია. ბრძოლა დავითს მოუგია:

ძაგანი ხელთ უგდია, ხოლო მოდისტოსი საეკლესიო კრებას დაუ-
ხია...

ზედა ზადენის აღება და მაშ მთელი ეს ამბები 1103 წლის
ახლო მომხდარა...

აქედან აშკარაა კავშირი ამ ფაქტსა და რუის-ურბნისის საეკ-
ლესიო კრებას შორის...

საერისთავო ქვეყნის სამეფო ქვეყანად
გადაქცევის კარგი ეპიზოდია.

დავითი სამეფო საქონებელს „ეძებდა" — ზედაზენს
დამუხრანს. ძაგანს და მის წინაპრებს კი ეს ქვეყანა „სამ-
თავროდ" ჰქონდათ მიტაცებული... დავითის სურვილის წინააღ-
მდეგ, გიორგის ისინი ერისთავობით შეუწყალებია...

ერისთავს ურჩობა დაუწყია და ალბათ კახთა მეფის იმედით
ამ ქვეყნის სამთავროდ მიტაცება განუზრახავს... დავითმა გადა-
მჭრელი ზომები მიიღო. აქ მის მხარესაა მღვიმის მონაზვნებიც.
დავითმა ქვეყანა სამეფოდ, ხოლო შიომღვიმე ასევე სამეფო მო-
ნასტრად აქცია... (მ—2,7. ფურც. 74).

6. დავითის ცხოვრების წაკითხვიდან ყოვლად უდავოა შთა-
ბეჭდილება, რომ ეს მეფე ყოველი მხრით ახალ ქვეყანას
ქმნის. ამისათვის მას სჭირდება საკუთარი ქვეყნის, ე. ი. ფეოდა-
ლური საქართველოს არსებითად ახლად დაპყრობა და ეს
არა ხატოვანი თქმით, არამედ, რეალურად (ერისთავების
დამორჩილება, მათი მოსაკარგავეებად გადაქცევა. ერისთავობის და
სხვა მოხელეთა მემამულეობის პრინციპის უარყოფა), ახალი
ლაშქრის შექმნა (მონები, ყივჩაყები, „შინაურნი", опричнина,
მენაპირენი, ჭყონდიდელი — ქვეყნის მმართველი), ახალი
სამართალი (ააჯო კარი, სამართლის სასწორის წამის მო-
უდრეკელობა, მზეებრ სიუხვე და თანაბრად მიმფენელობა სინათ-
ლისა, თვალუხუამობა და სხვა და სხვა)... მეფის საგამგეოს მნიშ-
ვნელობის ზრდა, ვაზირ-მოურავების გაჩენა ძველ ერისთავთა
ნაცვლად...

ერთი სიტყვით, ეს აღარაა ძველი, ფეოდალური საქართველო
და ქვეყანა გარკვევით დგას უფრო მაღალი, ვიდრე ფეოდალურია,
გაერთიანების საფეხურზე.

იქმნებოდა ახალი ქვეყანა.

ქ^ცა I, ცხოვრება დავითისი, 361_{23}

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითიო „ციხესა რომელსამე ბრძოლასა ქართლს, და მეფე კარსა კარვისა თუსისასა დგა, ბერეთგორთა მოსილი ოდენ, შუა დღე, და ციხით ვინმე შემოსტყორცა, ისარი, და ჰკრა ხატსა მთავარანგელოზისასა, რომელი ეკიდა ყელსა, ოქროსა მცირე, და ძალმან საღმრთომან განარინა მშჯდობით“...

ციხეებს ქართლში ომით იპყრობს... (მ—2, 2. ფურც. 45, 46).

7. ქ^ცა I, ცხოვრება დავითისი, 333_{6}

1115 წელი იყო.

„და წარიღო გიორგი ჭყონდიდელმან რუსთავიცა, მეფისა მუხნარს ყოფასა“.

ახალი ქვეყნის შექმნის საქმისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ლაშქრის ორგანიზაციას. დავითმა ის შეძლო, რომ ერისთავები დაიმორჩილა, მოსაკარგავეებად აქცია ისინი, თუმცა ლაშქარი ძველებურადვე ქვეყნობით გამოდიოდა (345). მაგრამ მათ მეთაურად ახლა იყვნენ არა მამულობით ერისთავნი, არამედ ისინი ვინც მორჩილება-ერთგულებაში სხვებს სჯობნიდა და ხშირად ეპისკოპოსნი (მწიგნობართ-უხუცესები). ამავე დროს მეფემ გაიჩინა 5000 მონა — ეს იყო ძირითადი უჯრედი მომავალი საქვეყნო ჯარისა, რომელნიც ქვეყნობით კი არ იქნებოდნენ განწყობილნი, არამედ „ყოველი ქვეყნით“ ერთიანი ქვეყნით. მაგრამ აქამდე ჯერ შორს იყო... (მ—2, 2. ფურც. 44).

8. დავით ალმაშენებელი ყველაზე მკაფიო გამოხატულებაა „ახალი ქუეყანის“ შექმნისათვის ბრძოლაში. ეს ბრძოლა მას არც დაუწყია, ისევე როგორც მას არც დაუმთავრებია ის. საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება ერთ მონარქიად ამ პროცესის გამოხატულება იყო, მაგრამ მეფის პიროვნებაში გაერთიანება ამ სამეფოებისა (აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა და სომეხთა მეფისა და...) — გაერთიანების ეს სახე შემდგომ ახალ საფეხურზე ასვლას მოითხოვდა, ახალი შინაარსის გაერთიანებას მოითხოვდა, ერთი საქართველოს წარმოქმნას მოითხოვდა იმის ნაცვლად, რომ ცალკე სამეფოებივე რჩებოდნენ... (გაერთიანებამ საბოლოო პოლიტიკური მარცხით დამთავრებულმა, ის მაინც გააკეთა, რომ დაშლის შემდეგაც საქართველოები დარჩნენ მესხეთსა და კახეთ-ჰერეთში, ქართლში, იმერეთში, გუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რიაში და ოდიშ-აფხაზეთში. და ეს არა მარტო სახელად, არამედ საქმიან შინაარსიანად) ვეფხისტყაოსნის კულტურის ნა (და არა ცხოლოდ მართმადიდებლური რელიგიისა).

ახალი ქვეყანა „საქართველო“ ეს იქნებოდა, ან უკეთ, უნდა ყოფილიყო მეფის ერთიანი „საგამგეო ქვეყანა, რომელსაც წარმართავდნენ ამ „საგამგეოს“ „მგენი“ და “მოურავნი“ (ფრიად ღამახასიათებელია ეს ტერმინები: „საგამგეო“, „მგენი“ და „მოურავნი“, რომელნიც ნათლად მიუთითებენ შექმნილ ტენდენციას... არსებითად ასეთი „საგამგეო“ იყო „სავაზირო“, რომელსაც, როგორც დაწესებულებას, დავითის დროს ჩაეყარა საფუძველი... და ქვეყნის შემდგომი განვითარებისაგან იყო დამოკიდებული მგე-მოურავებად დარჩებოდნენ ეს ვაზირ-ერისთავები, თუ მთავარ-დარბაისლებად გადაიქცეოდნენ...).

აღარც ქართლის ერისთავი, არც თრიალეთის, არც თბილისის საამირო, არც აბულეთის ძენი და არც სხვა ასეთები... არც კახეთ-ჰერეთი, არც მესხეთ-ჯავახეთის პატრონნი და მით უფრო აფხაზეთი, — ყველაფერს სამეფო საგამგეოდ აქცევს. მთავრებს ციხეებს ქვეყნებით ართმევს, სამეფოებს იპყრობს, საამიროებს აუქმებს, ქალაქებს იერთებს, თურქებს ერეკება, დაპყრობილი ქვეყნების მმართველად, „ზედამხედველად“ ვაზირ ბედიელ-ალავერდელს ნიშნავს, ყველაფერს აშენებს. ერთი სიტყვით, ახლად იპყრობს საქართველოს, ახლად აწყობს მის მართვა-გამგეობას, ქმნის ახალ ქვეყანას — საქართველოს (მ—2,7. ფურც. 29—30).

9. ქ“ცა II, ისტ. აზმ. 33, 40, 49

1185 წ.

თამარმა მსახურთუხუცესობა უბოძა ვარდან დადიანსა.

ეს ვარდან დადიანი მსახურთუხუცესი სხვა დიდ მოლაშქრეებთან ერთად „თვთ მეფისა მჭურეტელობასა შინა“ ძლიერად ლაშქრობს რაჭის პირს...

იგივე მსახურთუხუცესი არის „ლიხთ-აქეთ პატრონი ორბეთისა და კაენისა, ლიხთ-იქით ნიკოფსამდის უცილობელად“... მქონებელი.

ამავე დროს ლიხთიქით ხომ იყვნენ ხუთი (ერისთავთ) ერისთავი: სუანთა, რაჭის და თაოსერის, ცხუმის, არგუეთის, ოდიშის (33—34).

ადამიანს შეეძლო ეჭვი შეეტანა ვარდან დადიანის ამ უცილობელად მქონებლობაზე, რომ იქვე დამოწმებული არ იყო ამ მქონებლობის შინაარსი: ვარდან დადიანი ქუეშის ციხეში იმყოფებოდა. ვარდანი „რეცა პატრონისა წადილითა“ მივიდა გეგუთს. ის თამარის მოღალატე და რუსის (ალბათ ვარდანის მაგალითზე განმარტავს ვახუშტი დადიანობას) მომხრე აღმოჩნდა. „შეყარა ყოველი სუანეთი და აფხაზეთი, საეგროდ, გურია, საჩოქალაქო, რაჭა, თაკუერი და არგუეთი. მომრთველმან სანიგთა და ქეშიგთამან აფიცა რუსისა გამეფებისა და მისის მეფე-ყოფისათჳს დიდებულნი და ლაშქარნი ქუეყანისანი“ (49_{14}).

ისე ჩანს, რომ მსახურთუხუცეს ვარდან დადიანს ლიხთიქითი ნიკოფსამდის მართლაც უცილობლად ჰქონია, ე. ი. რაღაცა მხრით მას ამ ქვეყნებზე ხელი მიუწვდებოდა. საფიქრებელია „ძველი სამეფოს“ ერთიანი სამხედრო მეთაური იყო და მას ემორჩილებოდნენ ლიხთიქითის ერისთავები. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვარდან დადიანი მსახურთუხუცესი მთელი მხარის ზედამხედველი იყო, როგორც სამეფო კარის ხელისუფალი, ისევე როგორც ზაქარია ამირსპასალარი, ან ბოცო სამცხისა სპასალარი...

ეს ლიხთიქითი მაინც ერთ ქვეყნად არის, როგორც ეტყობა, ნაგულისხმევი... (მ—2, 11. ფურც. 33—34).

10. ქცა II, ისტ. აზმ. 49, 51

მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი იყო „ლიხთ-აქით პატრონი ორბეთისა და კაენისა“...

ივანე ვარდანის ძე იყო „პატრონი გაგისა“, მაყა იყო „პატრონი კაიწონისა“ (51).

აშკარაა „პატრონის“ ფეოდალური ბუნება: ორბეთი, კაენი, გაგი, თუ კაიწონი ყველა საპატიო საქონელია მეფის მიერ წყალობად ბოძებული და არა სამემკვიდრეო საკუთრება (მ—2, 11. ფურც. 36).

11. ქცა II, ბ. ე. მ. 122_{19}

მიქაელ მირიანის ძე მოკვდა. სახელმწიფო უმყონდიდელ-მწიგნობართუხუცესად იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ მეფე „ეევედრებოდა ღმერთსა და იგონებდა, თუ ვის მიანდოს დავით, და სპათჳსი, და განსაგებელი ლისა თჳსისა... მიმოიხილა ყოველთა ზედა სამეფოსა თჳსისა მთავართა, და განიცადა თუალითა გონებისათა... მოიყვანა ანტონი გლონისთავის-ძე გარეჯით... ესე დასუეს ვაზირად“.

ვაზირს (მწიგნობართუხუცესს) სამეფო სახლის განსაგებელი აქვს მინდობილი. სახლი აქ მთელ სახელმწიფოს ნიშნავს, თუმცა მისი ისტორიული ამოსავალი მეფის, როგორც ერთ-ერთი ფეოდალის კერძო სახლია: დროთა განმავლობაში მეფის ხელისუფლების ზრდასთან ერთად მისი სახლის ვნიშვნელობაც შესაფერისად იცვლება და ის (სახლი) მთელი სახელმწიფოს მმართველობის ცენტრად იქცევა. და აი ამ საგამგეოს სათავეში დგას ვაზირი, რომელიც სამეფო სახლის გამგეა და ამდენადვე სახელმწიფოს გამგე...

შდ. ლაშას „საგამგეოისა ჩემისა მოურავნი“ და დავით აღმაშენებლის „მგენი მუხრანისა“ (მ—2, 7. ფურც. 13).

12. ქ^ცა II, ჟ. ა. 268_5

ბასილ უჯარმელიო „თანა ეყო ესუქნის, და არა რიდა საწოლსა პატიოსანსა მეფისასა, და ჩოჯანიცა აღიჯადა, და მთავრობა მიიტაცა, ამის უწესოებისათჳს მოიკლა ბასილი“.

ბასილი ბერი იყო ჭყონდიდელ-უჯარმელი. მეფის კარზე ის პირველი კაცი იყო.

ულუ დავითი აჯანყებული ლიხთიმიერ იყო; ბასილიმ მეფის ცოლი აცდუნა და მეფის საქონებლის დაუფლება სცადა „იწყო საურავთაცა ქმნად თჳნიერ მეფისა კითხვისა. და მეფისა იმერით ყოფასა შინა დიადი აწყინა სეფეთა ქუეყანათა, რამეთუ ვითარ თჳსთა ხედვიდა. და სიტყუაცა ესრეთ იყო, ვითარმედ ესუქნს თანაეყო“.

ამას უწოდებს ჩვენი ავტორი, რომ ბასილიმ მთავრობა მიიტაცაო, არსებითად ეს იყო მეფობის მიტაცება. ან უკეთ სამეფო სახლის მიტაცება...

სეფენი ქუეყანანი... (მ—2, 7. ფურც. 47).

13. ქ^ცა II, ჟ. ა. 325

ჩოფანმა გიორგი მეფე „შეიტკბო ვითარცა შვილი, და მოსცა ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქარ-

თველოსანი, და შვილნი დავით მეფისანი, და მესხნი, შვილნი ბექასნი“.

ესაა გურჯისტანის ქვეყანა; ასე ბრძოლა-ბრძოლა ბრწყინვალის გამეფებისას საქართველო დაყოფილი იყო სამეფო ქვეყანა, საუფლისწულო ქვეყანანი (შვილნი დავითისნი) და სამთავრო ქვეყანანი.

საქართველო (ქვეყანა) (მ—2, 7. ფურც. 52).

14. სამეფო ქვეყნის (მეფის დომენის) გაზრდისათვის ბრძოლა ძირითადი მნიშვნელობის ფაქტია ფეოდალური საქართველოს ცხოვრებაში. პატრონყმური ურთიერთობის ხანაში, როცა ქვეყნის მწარმოებელი კლასი ძირითადში იგივე თავისუფალი მოლაშქრენი არიან, როცა აზნაურები მეფის მოხელენი არიან და მწარმოებელ საზოგადოებას მხოლოდ ამდენადვე პატრონობენ, როცა მეფესა და მოლაშქრეთა შორის კავშირი გაწყვეტილი არაა, ასეთ პირობებში სამეფო-სახასოს გადამწყვეტი პოლიტიკური მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს. ასეთი სამეფო ქვეყანა საერისთავო ქვეყნისაგან არსებითად არც განსხვავდებოდა...

სურათი სრულიად იცვლება მას შემდეგ, რაც პატრონყმობის ნაცვლად ბატონყმობა შემოდის, როცა სამეფო და საერისთავო ქვეყნებს შორის არსებითი განსხვავება ჩნდება, როცა მთავარი, დიდებული, აზნაური (ერისთავიც კი) ადგილებზე ბატონობას იჩემებს, როცა მდაბიორ-მოლაშქრენი გლეხებად იქცნენ და ამ თავიანთ პატრონებს (ახლა ბატონებს) გლეხობით ემორჩილებიან...

ასეთ პირობებში განსხვავება მეფის სახასოსა და საერისთავო ქვეყნებს შორის არსებითია და მეფეს (თუ მას მეფობა უნდოდა) სხვა არა დარჩენია, თუ არ სამეფო დომენის ზრდა... (მ—2. 7. ფურც. 46).

15. ქ˜ცა II, ისტ. აზმ. 30

„აფრიდონ, აზნაურისა ყმობისაგან ღმრთის მობაძაობითა კაცქმნილი, მიიწია მსახურთ-უხუცესობამდის, თმოგვისა და სხუათა ციხეთა და ქუეყანათა პატრონობამდის აღზევებული“...

ესეც ერისთავი იყო.

აქ განსაკუთრებით საყურადღებოა ცნება პატრონი. აფრიდონს უწყალობეს მსახურთუხუცესობა და საერისთავო

ქვეყანა თმოგვი. და ამ ნაწყალობევობ[illegible]
ფუძველზე აფრიდონი გახდა პატრონ[illegible]
ზევეს „თმოგვისა და სხუათა ციხეთა და ქუეყანათა პატრონ-
ბამდის“, მაშასადამე პატრონი არაა მესაკუთრე,
პატრონი ფეოდალური მფლობელია. პატრონობას,
გამოდის უწყალობებენ, ისევე როგორც წაართმევენ
კიდევაც...

მაგრამ მეფე ხომ პატრონი იყო, თუმცა ის იყო ქელმწიფე
პატრონი, ე. ი. ერთადერთი პატრონი იყო მეფე, რომელიც ამ
პატრონობას უწყალობებდა თავის ყმებს... (მ—2, 11. ფურც. 29).

16. ქ^ცა II, ისტ. აზმ. 33_2

თამარმაო „...განაჩინა ამირსპასალარი სარგის მჯარგრძელი,
კაცი გუარიანი და აღზრდილი ლაშქრობათა შინა და ჭაბუკობათა,
და უბოძა ლორე სათავადო და სამთავრო სომხითა-
სა შინა“.

გამოდის, სომხითში არაერთი სამთავრო იგულისხმებოდა:
გაგიც ხომ სომხითში იყო და ის კი ამ დროს სარგისს კი არა, მის
სახლის კაცს (ძმას, ბიძაშვილს) ჰქონდა.

ლორე სათავადო-სამთავროა და იყო სომხითში, ის სომეხთა
მეფეთა საჯდომი იყო. და აი ეს სამთავრო არა მემკვიდრეობით სა-
ქონებელი ერთი ფეოდალური გვარისა (ამის წინ ის ხომ ორბელს
ჰქონდა, შემდეგ ყუბასარს), არამედ წყალობის საგანი იყო, ე. ი.
საერისთავოდ გასაცემ ქვეყანად იყო ქცეული და, რაც კიდევ
უფრო საინტერესოა, ეს საერისთავო ქვეყანა (ოდესმე სამეფო,
ახლა სათავადო-სამთავრო) ამირსპასალარის სავაზირო
საქონებელი გამხდარიყო. ასე რომ ტენდენცია შემ-
დეგი ჩანს: ვაზირს უწყალობებენ, ანუ ვაზი-
რის ხელის დანართია საერისთავო (სამთავ-
რო—სათავადო) და არა პირუკუ... ამაშია ეპოქის
ნიშანი... (მ—2, 11. ფურც. 30).

17. მთელი ეს წვალება, ეს ბოლომოუღებელი ცვალებანი ერ-
ისთავის, მთავრის, პატრონის, თავადის, ბატო-
ნის, ქელმწიფის, უფლის, ეს გაძაულახველი სიძნელენი
იმ ცნების შინაარსის გამოკვეთისა, ეს ერთიმეორის შესატყვისო-
ბით ხმარებანი, თუ ნაწილობრივ შესატყვისობით, ყველაფერი

ეს შედეგია ქვეყნის (ხევის) განვითარების ნაირსახეობისა. ეს ბრძოლა მოხელიდან ბერძენ-ბიზანტიელობამდის (და ვერც ვიპოვით ტერმინს, რომელიც ერთ მოვლენას აღნიშნავდეს, რომელიც მეორეში არ გადადიოდეს... ასეთი ტერმინი ფეოდალურმა ურთიერთობამ, სოციალურ-პოლიტიკური ტერმინი, ვერ შექმნა), არის გამოხატულება იმ შინაგანი ძვრების თუ უძრაობის, რომელსაც ქვეყანა (ხევი) განიცდიდა, თუ არ განიცდიდა. და მთელი ეს პოლიტიკური, ადმინისტრაციული ცნებები, აგრე ერთიმეორეში გადახლართულნი, არის გამოსახულება ხევის (ქვეყნის) სოციალურ-ეკონომიური განვითარების თუ განუვითარებლობის (მ—2, 11. ფურც. 31).

[ქვეყანა „ყოველი საქართველო“]

1. ქ^ცა II, ისტ. აზმ. 86_{18}

ქართველ-სომეხთა პაექრობის დროს იოანე კათალიკოსი ეუბნება თამარს: „შემეწიე შენ და ყოველნი ქართველნი, დიდი და მცირე“.

აქ ქართველნი, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ქართლელს; თამარის კარზე, სადაც ეს პაექრობა იგულისხმება, ქართლელებზე მეტი სხვები იყვნენ. აქ ქართველი ფართე გაგებითაა ნახმარი და დაპირისპირებულია სომეხთან. ასეთი აქცენტი ტერმინ ქართველს არ დაუკარგავს მთელი ფეოდალური ურთიერთობის განმავლობაში...

აქედან საქართველო — „ქართველების“ (=ქალკედონიტების) ადგილსამყოფელი...

ასე რომ ჩვენი ავტორის ეს სიტყვა-ხმარება „ყოველნი ქართველნი“ მიუთითებს იმას, რომ იგი ამავე აქცენტით ხმარობს ტერმინს (მაინცდამაინც — აქ) საქართველოს წარჩინებულნი (83). (მ—2, 7. ფურც. 4).

2. ქ^ცა II, ისტ. აზმ. 105_{8}

თამარმა ლაშქარნი შეყარნა იმიერი და ამიერი, ზაქარია მჯარგრძელი უთავა და სპარსეთს გაისტუმრა.

და ეს იყო „ქართველთა ლაშქარი“ ამ ლაშქრის ერთი რაზმი მარანდელებს შეება და გაიმარჯვა ისე, რომ ბრძოლის ველ-

ზე დახოცილთა შორის „ქართველთა კაცი არცა ერთი იპოვებოდა“ და ზაქარია მხარგრძელს და მის მხლებელთ ნაოფარ ადგილზე „კაცისა ქართველისა ვერ პოვნა უკჳრდათ“ და ზაქარია გამხიარულდა, „რომელ არც ერთი კაცი მომკუდარიყო ქართველი“.

ასევე თავრეჟელებმა განიზრახეს, „რათა ხარკის მიცემითა, და ძღუენითა და შევრდომითა და ზენარისა თხოვნითა დაამშჳდნეს ქართველნი თავადნი და სპანი“. ასეთი დაპირებით „განკჳრდეს ყოველნი წარჩინებულნი ქართველთანი, ზაქარიაცა და ივანე მჯარგრძელნი; აღუთქუეს მშჳდობა...მოვიდეს ყადნი, ხოჯანი, დარვეშნი და ყოველნი თავადნი თავრეჟისანი... და მიმართეს მიანას... ცნა მელიქმან მიანისამან მიხლვა ქართველთა და ქმნული თავრეჟელთა. ითხოვა მანცა მშჳდობა... უსმინა ზაქარია“...

უდავოა თითქო, რომ ქართველნი აქ ნიშნავს მთელ საქართველოს მკვიდრს (მ—2, 7. ფურც. 7).

3. ქ-ცა II, ისტ. აზმ. 107—108

სპარსეთის შუა გულიდან „შემოიქცეს გამარჯუებულნი და ძლევა-შემოსილნი ქართველნი. ქართველთა ნათესავი ვერავინ მიწევნილ იყო ლაშქრად, არა მეფე, არა მთავარი“...

ამ დროს მიანას ვიღაცას ტყუილი ეთქვა, რომ დიდმა სულთანმა და გილანელებმა „ყოველგნით გზა შეუკრეს ქართველთა და მოსრნეს და მოსწყჳდნეს, რომელ არცა ერთი კაცი განერა ეგოდენისა სიმრავლისაგან, არცა მთხრობელი მივა საქართველოთა“.

აქაც, „ქართველი“ საქართველოს მკვიდრს აღნიშნავს და ამის პირდაპირი მითითებაც აქვეა: „არცა მთხრობელი მივა საქართველოთა“. მაგრამ აქ საინტერესოა აგრეთვე მეორე რამ: საქართველოთას ხმარება მრავლობით რიცხვში.

ჩანს ავტორის წარმოდგენაში საქართველო მრავალი ქვეყნისაგან შემდგარი ერთი ქვეყანაა.

საქართველო შედგება საქართველოებისაგან (როგორც ეს გვიან ხანაშიაც ესმოდათ).

ყოველი საქართველო ესაა საქართველო ქვეყანანი (მ—2, 7. ფურც. 8).

4. ქ^ცა II., ჟ. ა. 172—173

ჯალალედინი ეუბნება ავაგ ათაბაგს: „არა მოვედ ბრძოლად საქართველოსა, არამედ ზავისა და მშვიდობისათჳს“.

ერთი სიტყვით, ჟამთააღმწერლის, ამ XIV საუკუნის მწერლის, პოლიტიკურ ლექსიკონში მხოლოდ „საქართველო“, რომელშიაც იგულისხმება კავკასიის საქრისტიანო (ისე როგორც ეს გაიგეს მონგოლებმა), სომხეთით, საქრისტიანო შარვანით: შაჰანშა და შარვანშა ეს იყო საქართველოს ქვეყანა, საკუთრივ საქართველოს ქვეყანა. საქრისტიანო ქვეყანა...

ჟამთააღმწერლის პოლიტიკური შეხედულება ამ მხრით უკიდურესად გამოკვეთილია და შექმნილია იმ ვითარებაში (XIV ს.), როცა ისტორიულ მოვლენათა გამო საქართველო გარკვეულ ფარგლებში იქნა აღიარებული მონგოლთა მიერ (მ—2, 7. ფურც. 22).

5. ქ^ცა II, ჟ. ა. 223$_6$

...„ოთხთა ნოინთა მიერ განეგებოდა ქუეყანა საბრძანებელისა მათისა. პირველად რომგუარი, რომელ არს ხუარასანი, ერაყი, ადარბადაგანი, მოვაკანი, ბარდავი, შარვანი, საქართველო ყოველი, ხლათი და საბერძნეთი დიდი, ვიდრე ასიადმდე“.

ზოგი ქვეყანა ქართული წარმოებითაა აღნიშნული (საქართველო, საბერძნეთი), ზოგი ქალაქის სახელით (ბარდავი, ხლათი).

საქართველო ყოველი-ში იგულისხმება, ცხადია, სომხეთი, რომელიც ჩვენი ავტორის მიერ ცალკე ქვეყნად არსად იხსენიება. მონგოლებიც ხომ სომხეთს „გურჯისტანში“ გულისხმობდნენ (მ—2, 7. ფურც. 35).

6. უნდა ხაზგასმით ვთქვა — ქუეყანა ყოველი საქართველო, რაც აგრე ნიშანდობლივ ჩანს მეფის ტიტულატურაში... უნდა ავხსნა კერძოდ რას ნიშნავს სომეხთა მეფე, შაჰანშა და შარვანშა. შეიძლება შევეხოთ რანთა და კახთას შინაარსს. რანი განჯის მიმართულებით ქუემო სანაპირო (ჰერეთი) და ხაჩენი. შაჰანშა — ანისის ქუეყნის მეფე, შირვანშა— შემახიის მიმართულებით (საარიშიანო).

რა პრინციპით ხელმძღვანელობდნენ ყოველი საქართველოს პოლიტიკოსები? არც ერთი მაჰმადიანურად მიჩნეული ქვეყანა საქართველოში უშუალოდ არ შემოდიოდა, ისინი მოხარკე, ყმად-

ნაფიცები იყვნენ. საქართველო კავკასიის ქრისტიანული ანეთის ეწოდებოდა. სომხეთის, თუ ალბანეთის სამეფოებისა ტიანო, ამდენადვე, საქართველოს სახელმწიფო იყო. ის რასაც მონგოლებმა გურჯისტანი უწოდეს (მ—2, 7. ფურც. 39).

7. იტყვიან, ამბობენ, ფიქრობენ, თითქო მთელი მიწა-წყალი ძველი (კავკასია), ერთი ქართველური მოდგმით იყო დასახლებული. და ეს სჭირდებათ იმ თეზის ვითომ დასამტკიცებლად, რომ საქართველო მუდამ იყო... ჯერ ერთი, ეს ყოვლად მცდარი შეხედულებაა (ამას მოწმობს ტოპონიმიკა. ქართველები, თუ საერთოდ მოსვლაზე მიდგებოდა საქმე, უფრო გვიან მოსულნი ჩანან ვიდრე სხვები), მაგრამ თუნდაც რომ დამტკიცდეს ქართველთა ასეთი ავტოქტონობა, განა ეს იქნებოდა იმის საბუთი, რომ იმ უძველეს დროს „საქართველო“ იყო? „საქართველო“ არის „ქვეყანა“ ისტორიული კატეგორია...

ვთქვათ მთელი მსოფლიო ქართველური მოდგმით იყო დასახლებული. ეს განა „საქართველო“ იქნებოდა?

- საქართველო უფლებრივი ცნებაა, იმ ქვეყნის სახელია, რომელიც ათვისებული აქვს გარკვეულ ორგანიზაციას მეურნეობრივად, კულტურულად, პოლიტიკურად, სადაც ქართველი, როგორც ამ ორგანიზაციის წევრი მფლობელობს. მაგრამ საქართველო არაა მხოლოდ ქართველური სისხლით მონათესავეთა მიერ დასახლებული ადგილი (მ—2, 4. ფურც. 1).

8. ზოგიერთის შეცდომა იმაშია, რომ მათ ტერიტორია (ქვეყანა) გეოგრაფიული და ტერიტორია (=ქვეყანა) ისტორიული ერთი და იგივე ჰგონიათ, რომ ქვეყანა (ისტორიული) მუდამ ცვლილებას განიცდის, რომ ქვეყანა (ისტორიული) სულ სხვაა გვაროვნული, მონათმფლობელური, ფეოდალური, ბურჟუაზიული, სოციალისტური, რომ ისტორიული ქვეყანა ესაა გეოგრაფიული სივრცის ადამიანის მიერ ათვისებულობის ხარისხი.

ჩვენს ისტორიკოსებს (და მით უფრო არაისტორიკოსებს) ჰგონიათ, რომ „საქართველო“ in principe სულ მუდამ იყო იქ, სადაც ქართველთ მოდგმა ცხოვრობდა. არაა საჭირო გრძელი საუბარი იმისათვის, რომ ასეთი შეხედულება მცდარია. ქართველი მოდგმის განსახლების ტერიტორიაზე რამდენი სხვადასხვა ორგანიზაცია, სხვადასხვა წარმოებით-კულტურული ორგანიზაცია არსებულა, ე. ი. რამდენი სხვადასხვა „ხალხი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებულა. ქვეყანა სწორედ თითოეული ეს ერთ-
განიზაციაა და არა ტერიტორია და მასზედ მსხდომი მოდგმა.
ტერიტორია და მოდგმა (ეთნიკური) შეიძლება დიდხანს უცვლელი
რჩებოდეს, მაშინ როცა ქვეყანა მრავალგზის იცვლებოდეს: წინა-
კლასობრივი ქვეყანა, მონათმფლობელური ქვეყანა, ფეოდალური
ქვეყანა და ა. შ. და პირუკუ: ისტორიული ქვეყანა შეიძლება დარ-
ჩეს და გეოგრაფიული ტერიტორია და მოდგმაც კი შეიცვალოს
(თუმცა უფრო იშვიათად). ერთი სიტყვით, გეოგრაფიული
ტერიტორია მასზე მოსახლე მოდგმით და ის-
ტორიული ქვეყანა (ე. ი. წარმოებითი ორგანიზაცია)
ერთიმეორეს არ ფარავენ, ერთიმეორეს არ უდრი-
ან. ქართველთა მოდგმა იმ ძველი დროიდანვე (თუ დასაბამითგანვე
არა) გარკვეულ ტერიტორიაზე იგულისხმება, მაგრამ იმავე დროი-
დანვე „საქართველო" სრულიადაც არ ყოფილა. დღეს არავინ და-
ვობს, რომ ეს ტერმინი („საქართველო") შედარებით გვიან წარმოი-
შვა (X საუკუნეში, შეიძლება ცოტა უფრო ადრეც), მაგრამ სამწუ-
ხაროდ იმ ფაქტს არავინ უკვირდება, თუ რატომ სწორედ ამ დროს
წარმოიშვა ეს ტერმინი... ამავე დროს ეს ფაქტი თვალსაჩინო მო-
წმობაა იმისა, რომ ფეოდალურ წარმოებითმა ორგანიზაციამ ამ ორ-
განიზაციისათვის ახალი სახელი მოითხოვა,რომ ძველმა ტერმინმა
„ქართლმა" ვერ მოიცვა ახალი ორგანიზაცია. აქვე ხაზგასმულია,
რომ ეს ახალი ორგანიზაცია გადაცდა ძველი ეთნიკური წარმოშო-
ბის ტერმინით მოცულ საზღვრებს. საქართველო მხოლოდ იმ
ტერიტორიის და იმ მოდგმის სახელი კი არ არის, ანუ უკეთ „ს ა-
ქ ა რ თ ვ ე ლ ო ში" მ ხ ო ლ ო დ ის ტ ე რ ი ტ ო რ ი ა და
მ ო დ გ მ ა კ ი ა რ ი გ უ ლ ი ს ხ მ ე ბ ა, ა რ ა მ ე დ ის გ ა ე რ-
თ ი ა ნ ებ ა, ს ა დ ა ც „ ქ ა რ თ ვ ე ლ ი" გ ა დ ა წ ვ დ ე ბ ა. ამ
დროს „ქართველი" ტერიტორიული ქართლის მკვიდრს კი არ ნიშ-
ნავს, არამედ გარკვეული ნიშნების მატარებელ ადამიანს, გარკვე-
ული კულტურული იერის მატარებელ ადამიანს, დამოუკიდებლად
მისი სადაურობა-წარმოშობისა. ქართული ფეოდალური ურთიერ-
თობის — ვეფხისტყაოსნის ფეოდალური კულტურით, ქართული
ენით და ქართული სარწმუნოებით (მ—2, 4. ფურც. 2—3).

9. გვიანფეოდალურ ხანაში რომ ახალი „ქვეყნები“ გაჩნდა ძველი საერისთავოები რომ [illegible] ეს გარემოება ვახუშტიმ შენიშნა და თავისი ატლასიც ასეთი შინაარსისა შექმნა (საჭიროა ვახუშტის ატლასის იმ თვალსაზრისით განხილვა, ჩვენება იმისა, თუ როგორ ესახებოდა ვახუშტის საქართველოს ტერიტორიის ისტორია...) (მ—2, 1. ფურც-3).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაწილი II

ქართლი

[მთა ქართლი, არმაზი, მცხეთა]

1. ვახუშტი, აღწერა 55

ახალქალაქურის „დასავლით მცირე ჰევი ქართლისა, სკის მისსავე (ე. ი. „ქართლის“ — ნ. ბ.) მთას, (ვახუშტი ადასტურებს, რომ იყო ქართლის მთა — ნ. ბ.) და მოდის ჩრდილოთ. აქა არს ციხე, რომელი აღაშენა ქართლოს და უწოდა სახელი თჳსი, არაოდეს შემუსვრილი მტერთაგან, რომელი დადგა ყრუს მოსვლასაცა. ამ ადგილის გამო ეწოდა ამ ქვეყანათა ქართლი. ა მეფემან ფარნაოზ ამართა აქა კერპი, არმაზ სახელისა თჳსისა, და მის გამო ეწოდა არმაზი ადგილსა ამას. და დაეფლა ქართლოს აქავე, და ფარნაოზცა წინაშე კერპისა თჳსისა. არამედ კერპისა ამის მსახურნი რომელნი იყუნენ, იგინი იყუნენ საქართველო. ხოლო შემდგომად შემუსრა კერპი ესე წმიდამან ნინომ. არამედ იყო ქალაქი არმაზი აქითგან, ვიდრე ნაქულბაქევამდე, და ყრუსაგან და შემდგომად მისა მოოჴრდა, ხოლო აწ არს დაბნები“.

(„საქართველო“ ტერმინი ვახუშტის იურიდიული შინაარსით ესმის). ვახუშტი თითქო მთა ქართლს გულისხმობს (6, 4. ფურც. 58).

2. ქ^ცა I, ლეონტი 27_{12}

„და დაჴდა საურმაგ მცხეთასა მეფედ. და უმატა ყოველთა სიმაგრეთა მცხეთისა და ქართლისათა (var. ქართლისა და მცხეთისათა M.) და მან შექმნა ორნი კერპნი, აინინა და დანანა, და აღმართნა გზასა ზედა მცხეთისასა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ქართლი „მცხეთის“ ღირებულების ცნება, ე. ი. საგეოგრაფიო პუნქტია, როგორც მცხეთა და არა „ქვეყანა ქართლი“. ის არ შეიძლება ქვეყანა ქართლი იყოს, რადგან მაშინ ამ ქვეყანაში იყო მცხეთაც...

(ხომ არ შეიძლება მაგალითად გამოთქმა, რომ მტერმა დაარღვია გორის ციხე და ქართლის ციხეებიო). ასე რომ აქ დაღასტურებულია ორი სახელის პარალელურად არსებობა მცხეთა და ქართლი.

საინტერესოა, რომ „მოქცევაჲ“ საურმაგს მიაწერს არმაზის შენებას...

ლეონტიმ (თუ მან „მოქცევაჲთ“ ისარგებლა) ჩანს „არმაზის“ შესატყვისი ძველი სახელი იხმარა.

ე. ი. გამოდის, რომ არმაზი უკვე არსებობდა და სახელი ქართლი კიდევ იხმარებოდა (და დიდხანს ალბათ)... (მ—2, 3. ფურც. 157).

3. ქ˜ცა I, ჯუანშერი, 202_{19}

„ცნეს სპარსთა, ვითარმედ დამძიმდა ვახტანგ წყლულებისაგან, მოაოჯრეს ტფილისი და არმაზი ქართლი (ანდა: არმაზი ქალაქი), ხოლო მცხეთა ვერ დაიპყრეს, გარნა რომელი ზღუდესა გარეგნით იყო, მოაოჯრეს, რომელი — იგი მუხნარით და არაგუსა ხერთვისსა იყო“.

სიმონ ყაუხჩიშვილის გაგება, რომ აქ არმაზის ძველი სახელი („ქართლი“) იგულისხმება, არაა მართებული. უნდა „არმაზი ქალაქი“, როგორც ეს დაუცავს ქ˜ცას ვარიანტების უმრავლესობას (მ—2, 4. ფურც. 67).

4. ქართველი ერის ისტორია I, 1960, გვ. 452

ასწერს არმაზის ხევის სამარხებს (ასპარუგის...) და დაასკვნის: „ის გარემოება, რომ ამ სამარხებს კავშირი აქვს არმაზის ადგილთან, ნათლად გვიჩვენებს თუ რა ადგილას მდებარეობდა საქართველოს უძველესი დედა ქალაქი“.

ივანე ჯავახიშვილმა მაშინ არ იცოდა ბაგინეთის შესახებ (გათხრები მაშინ ჯერ კიდევ არ იყო) და გასაგებია ამ ნეკროპოლით მსჯელობდა, არმაზს (= ქართლს) უკავშირებდა მას და დედაქალაქსაც იქ ვარაუდობდა.

ბაგინეთის აღმოჩენებმა ჩვენს არქეოლოგებს სხვა აზრი შეეტანა ქმნა, ე. ი. რომ დედაქალაქი ბაგინეთს (არმოზიკე) იყო. ეს ეჭვი მართალია იმ მხრით, რომ დედაქალაქი (შიდაციხე) მართლაც აქ ბაგინეთში) იყო, და ქალაქიც აქვე იყო, მაგრამ უმართებლოდ მიჩრდილულ იქნა არმაზი (ქართლი), სადაც მართლაც უნდა ყოფილიყო უძველესი „ქალაქი", (შეიძლება დედაქალაქი) ქ ა რ თ ლ ი (ქართლი გორას დაბა, ლარსნის გვერდით...). პიტიახშები ამას შერჩნენ, მეფეები ბაგინეთში გადასახლდნენ.

ქართლი — მ თ ა, ო რ ი ა რ მ ა ზ ი. არმაზის ციხე ხომ რეალობაა... ასევე ა რ მ ო ზ ი კ ე (= ბაგინეთი) (6, 4. ფურც. 78).

5. ერთი შეხედვაც კი საკმაოა, თითქო, იმის მტკიცებისათვის, რომ ბაგინეთის სამკუთხედი იდეალური საციხე-ქალაქო ადგილია, მაგრამ ეს ასეა გვიან, — საზოგადოების დიდი დაწინაურების პირობებში, როცა საზოგადოებას იმისათვის ძალა და განვითარება შესწევდა, რომ შედარებით ნებისმიერად შეერჩია საციხე-ქალაქო ადგილი. პირველყოფილ საცხოვრებელი გორა-ბორცვის ნიშნები აქ არა ჩანს, არც ბუნებრივი სიმაგრე, ასეთ გორებს რომ ახასიათებს (განკიდული, განმხოლოებელი, ამოზიდული), არც წყალი. მტკვარი ბაგინეთს, საფიქრებელია, მას შემდეგ მოემსახურა, რაც არმაზის ცხვრიდან ფარნავაზმა ზღუდე „წყალს", ე. ი. მტკვარს მიაბჯინა, მაგრამ ამ დროს უკვე ბაგინეთელებს იმოდენა ძალა შესწევდათ, რომ შორიდან (კარსნიდან) შემოუყვანიათ შიდაციხეში დიდის ცოდნით ნაგები მილის წყარო, კოლოსალური სისქის კედლის ქვეშ რომ გამოუტარებიათ. ასე რომ ყველაფერი ეს გვიანი დროის მოვლენებია, ისევე როგორც კლდეკარი, დაბლა ქალაქსა და შიდაციხეს რომ აერთებს.

ამიტომ ჩვენი თეზისი ისაა, რომ ბაგინეთის შიდაციხე, სულერთია საიდანაც არ უნდა მოსულიყოს მისი მშენებელი საზოგადოება, ქვემოთ, მტკვრის პირიდან (აწინდელი რკინიგზის სადგურის მიდამო), თუ აწინდელი არმაზის ხევიდან, — ეს შენებულება (შიდაციხე სამეფო რეზიდენცია) ნაგვიანევია და გულისხმობს, რომ მისი წარმომშობი საზოგადოება სხვაგან მოიწოფა.

ჩვენს ამ დასკვნას, თითქო, ეთანხმება და ამტკიცებს ქართული წერილობითი წყარო („მოქცევაჲ"), რომელსაც საგულისხმიერო ნიშანდობლივობით დაუცავს გადმოცემა (შეიძლება წერილობითი) „არმაზის კერძი ქალაქისა" და შიდაციხის მშენებლობა გამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრების შესახებ პირველ ქართველ მეფეთა მიერ (ფარნავაზ, საურმაგ, მირვან, არსოკ, არიკ)...

ბუნებრივად საგულისხმებელია თითქო, რომ ბაგინეთის წარმომშობი, მოსახლეობა მტკვრის მარჯვენა ნაპირზევე ყოფილიყო („ძველი მცხეთა"). მაგრამ სრულიად უჩვეულო რელიეფი საეჭვოს ხდის ასეთ მოსაზრებას. მაინცდამაინც, სანამ ჩვენ ვერ აღმოგვიჩენია ამის დამამტკიცებელი არქეოლოგიური ძეგლები (გორათა ხანის კულტურა), „ძველი მცხეთის" აქ გულვება საეჭვოა (და „მოქცევაჲს" საამისო ცნობა სხვაგვარად უნდა იქნეს გაგებული). ჩვენ არ ვავიწყდება რა თქმა უნდა, რომ ხსენებულ მიდამოში დიდი მცხეთის ხანაში ქალაქური მოსახლეობა იყო („არმაზის კერძი ქალაქი"), მაგრამ ეს ფაქტი ვერ უარყოფს იმ ვარაუდს, სანამ სხვა რაიმე ჩვენებანი არ მოგვეპოვება, რომ ეს „არმაზის კერძი ქალაქი" მეფობის ხანაში (დიდი მცხეთის შექმნის ხანაში) შეიძლება იყოს წარმოშობილი, როდესაც ვეება ხეობა დევის ნამუხლიდან ციხიდამდე ერთიან სიმაგრედ გარდაიქმნა...

არქეოლოგიური მონაპოვარიც თითქო მხარს უჭერს ამ ჩვენს მოსაზრებას შიდაციხის ნაგვიანევობის შესახებ. ორიგინალური ვითარებაა — და ეს თავისთავად მეტყველი მოწმობაა: ძველი ქალაქების შიდაციხე, როგორც წესი, უ ძ ვ ე ლ ე ს ი ნ ა მ ო ს ა ხ ლ ე ვ ი ა — გორა, დედაციხე — ჩვენს შემთხვევაში კი ის ნაგვიანევია.

ასეთ პირობებში ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ არმაზის კერძი ქალაქი და მისი შიდაციხე „შიდა ქალაქის", ე. ი. საკუთრივ მცხეთის განვითარების შედეგია? არქეოლოგიური მონაცემები დღეს რომ მოგვეპოვება, ასეთი მოსაზრებისათვის მარჯვედ გამოდგებოდა (სამთავროს სამაროვანი, მცხეთა გორა, ბელტის ციხე), ? ასეთ მოსაზრებას არც ლეონტი (თუ მისი წყარო) უარყოფდა, მაინცდამაინც ლეონტით მცხეთა დიდის ხნით წინ უსწრებდა არმაზციხეს...

მაგრამ ლეონტის მოეპოვება სხვა რიგის ცნობაც, რომლის ნიადაგზე შესაძლებელი ხდება დიდი მცხეთის განვითარების სულ სხვა სურათის მეცნიერული ვარაუდი...

როგორც „მოქცევაჲ", ისე ლეონტი ქართველებს ქართლში შედარებით გვიან მოსულად წარმოგვიდგენენ. „მოქცევაჲთ" ეს გადმოსახლება ქართლიდან მოხდა ალექსანდრე მაკედონელის დროს (და მისი შემწეობით); ლეონტით კი პირველი ქართლოსიანი (ქართლოსი) თავისი ნათესავით ა რ ა რ ა ტ-მ ა ს ი ს ი ს ქ ვ ე ყ ნ ი დ ა ნ მ ო ვ ი დ ა, თარგამოსის შემწეობით, უკეთ მამამ თარგამოსმა წი-

ლად არგუნა მას ეს ქვეყანა: „მისცა ქართლოსს და უჩინა საზღვარი“ (4), (ხომ არ შეიძლება ამ ორი წყაროს — „მოქცევაჲ“ და ლეონტის ერთს სათავეზე მიუთითებდეს ა რ ი ა ნ-ქ ა რ თ ლ ი და ა რ ა რ ა ტ ი?..) ქართლოსის მოსვლა მისი ნათესავით, რა თქმა უნდა, დიდად უფრო ადრე იგულისხმება, ვიდრე აზოს მიერ თვრამეტი სახლის მოყვანა არიან ქართლიდან...

„მოქცევაჲთ“ აზო „დაჴდა ძ უ ე ლ მ ც ხ ე თ ა ს“. მაშასადამე მისი მოსვლისას „ძველი მცხეთა“ უკვე არსებობდა. ან შეიძლება „ძველი მცხეთა“, წყაროს დროის, საგეოგრაფიო სახელი იყო. შდრ. ძველი ანაგა, ძველი გავაზი... ასე რომ მერვე მეფის ბრატმანის დროს „მცხეთას ქალაქი დაეწყო“ მხოლოდ იმას შეიძლება ნიშნავდეს, რომ მცხეთას ქ ა ლ ა ქ ი დაეწყო, და არა საერთოდ ცხოვრება (და „მოქცევაჲ“ ამას ვერ იტყოდა: ასეთი ცნობისათვის, ასეთი გადმოცემის შექმნისათვის საფუძველი არ არსებობდა).

ლეონტით კი, სურათი სულ სხვა სახით წარმოგვიდგება. თუ „მოქცევაჲთ“ პირველშენებული საცხოვრისი, მეფის სადგომი „ძველი მცხეთა“ იყო (= ქალაქობამდელი მცხეთა), ლეონტით „ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთვს არაგვ მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების ა რ მ ა ზ ი. და პ ი რ ვ ე ლ ა დ შ ე ქ მ ნ ა ს ი მ ა გ რ ე ნ ი მ ა ს ზ ე დ ა, დ ა ი შ ე ნ ა მ უ ნ ზ ე დ ა ს ა ხ ლ ი, დ ა უ წ ო დ ა მ თ ა ს ა მ ა ს ს ა ხ ე ლ ი თავისა თვსისა ქართლი“ (8).

რაც შეეხება მცხეთას, ლეონტით მისი აშენება მიეწერება ქართლოსის ძეს მცხეთოსს, — „და მანვე აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკურისა და არაგვსასა, და უწოდა სახელი თვსი მცხეთა“ (9).

ამრიგად, ლეონტით, მტკვრისა და არაგვის შესართავში ქართლოსი მოვიდა თავისი ნათესავით და რეზიდენცია დაიდო არა მცხეთას, არამედ ქართლის მთაზე და მხოლოდ მისმა შვილმა მცხეთოსმა, რომლის საყოფელი იგივე მამისეული რეზიდენცია (ქართლი-არმაზი) იყო, აღაშენა ქალაქი მცხეთა.

აშკარად შეიმჩნევა ორი სხვადასხვა წყაროს არსებობა. თუ ასე არა, ლეონტი მროველს ასეთ ძლიერ შემოქმედებით ინიციატივას ვერ მივაწერდით: აქაოდა „მოქცევაჲს“ ჩვენამდე მოღწეული ვარიანტი აგრე გარდაქმნაო. ერთი ინდივიდის შემოქმედების ნაყოფად ძნელია ასეთი არსებითი გადასხვაფერება წერილობითი სახით არსებული გადმოცემისა. თანაც ლეონტი არც მაინცადამაინც დიდი შემოქმედი ჩანს... ამიტომ უფრო მართებული იქნებოდა ფიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი, რომ არსებობდა ძველადკე შემუშავებული ორი ზეპირგადმოცემა. ქართველთა ცხოვრებას, როგორც ერთით ისე მეორეთ-ლი მტკვრისა და არაგვის ხერთვისში ეყრება საფუძველი. ერთი-გვერსიით ეს ცხოვრება „ძველ მცხეთას“ დაიწყო ალექსანდრე მაკედონელის დროს; მეორე ვერსიით ეს მოხდა ძველისძველ დროს და ცხოვრება დაიწყო არა ძველ მცხეთას არიან ქართლიდან მოსული ქართველთა მეფის ძის აზონის თაოსნობით, არამედ ცხოვრება დაიწყო ქართლის მთაზე თარგამოსის ძე ქართლოსის თაოსნობით.

საერთოდ, შეიძლება ითქვას: „მოქცევაჲს“ ცნობები უფრო რეალურ-ისტორიულ შთაბეჭდილებას სტოვებენ და უფრო სარწმუნოდ გამოიყურებიან, მაგრამ ეს შენიშვნა შეიძლება შეეხებოდეს მცხეთის განვითარების უფრო გვიან ხანას. რაც შეეხება ქართლის ისტორიის უძველეს პერიოდს, აქ ლეონტის ჩვენებანი არაერთ მნიშვნელოვანსა და სარწმუნო მითითებებს შეიცავს (უპირატესად ისტორიული გეოგრაფიის ხასიათისაკ). თანაც გასათვალისწინებელია, ასეთი შედარებისას, ის გარემოება, რომ „მოქცევაჲ“ და ლეონტი სხვადასხვა მიზნებს ისახავენ. „მოქცევაჲ“ თითქო განზრახ ამოკლებს მოთხრობას ე. წ. წარმართული ხანისას, მისთვის ეს ხანა შესავალია მთავარი ამოცანის გადმოსაცემად (ნინოს მიერ ქართლის მოქცევა), ლეონტისათვის კი „მამათა და მეფეთა ცხოვრება“ შესავალი კი არ არის, არამედ მისი ისტორიული მოთხრობის უმთავრესი ნაწილია (მოქცევის ვრცელი მოთხრობა აქ, როგორც ეს აკად. კ. კეკელიძემ გამოარკვია, შემდეგ არის ჩ-ცას რომელიღაც რედაქტორის მიერ შეტანილი).

რაგინდ ზღაპრული ხასიათისა არ უნდა გვეჩვენებოდეს ლეონტის მოთხრობა მამათა და მეფეთა შესახებ (იხ. აკად. კ. კეკელიძე) ის მაინც უდავოა, რომ ეს ზღაპრული მოთხრობა აგებულია გარკვეულ ისტორიულ მონაცემებზე, რომელთა აღმოჩენა ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა და სწორედ ამ ამოცანას ისახავს მიზნად ამ წყაროს მეცნიერული კრიტიკა, რაც, სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, საკმაო წარმატებით ხორციელდება ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ისტორია-ფილოლოგიის, არქეოლოგიის და სხვა დისციპლინების მონაცემთა შუქზე ჩვენ გვწამს, ლეონტი მროველი ამოწურვით იქნება მეცნიერულად შესწავლილი და იქ დაცული საქართველოს ძველი ისტორიისათვის გამოსადეგი სანდო მასალაც სავსებით გამოვლინდება (6, 4. ფურც. 191—198).

6. „ქართლი“ გორა ქალაქ „ქართლად“ იქცა (მცხეთა გაიერთა და წიწამური); აგარაკების და უბნების პრეგნანტური „დიდი ქართლი“ (დიდი მცხეთა) შეიქმნა. ნაქულბაქევიდან — ციხედიდ — სავანის ხევ-ბარგიყარიამდე, ზემო ავჭალიდან ხერკამდე (ჩათვლით), მუხრან-ნასტაგისით.

როდის შეცვალა „მცხეთამ“ ქართლი? თითქო შედარებით გვიან. რომაელობამდე უკვე „ქართლი“ და წიწამური გაერთიანებულია (ცხადია, მცხეთაც ამ გაერთიანებაშია); „ანტიკური ხანის“ ნაგებობანი ქართლში (არმაზი) და წიწამურშია ჯერჯერობით ნაპოვნი. მირიანის მოღვაწეობა გადამწყვეტი იყო (ორმეფობის ლეგენდაც ამის მოწმობა შეიძლება იყოს, რომ „მცხეთას ოდენ იყო მეფობა“). მირიანმა (ამ დროიდან) მცხეთას გადამჭრელი უპირატესობა მიანიჭა. არმაზს (ე. ი. „ქართლს“) ცენტრი (კულტი) უქმდება და მცხეთაში დაიდვა (სვეტი ცხოველი). საფიქრებელია, მირიანის მოქმედება შედეგი იყო მცხეთის დაწინაურებისა, მაგრამ მისმა მოქმედებამ რომ გადამწყვეტი როლი შეასრულა მცხეთის წინ წამოწევისა და „ქართლის“ (არმაზის) დაჩრდილვაში, ეს თითქო სარწმუნოა.

ასე იყო (ჩვენი შეხედულებით): სამი ქალაქი იყო: წიწამური, მცხეთა, „ქართლი“. ყველაზედ დაწინაურებული „ქართლი“ (არვაზი) იყო. აქ იყო კულტიც... და მთელს ამ გაერთიანებას „ქართლი“ ეწოდებოდა. ამავე დროს ეს ცალკე ერთეულების სახელებიც რჩებოდა (უცხოური წყაროები ამას მოწმობენ: არმოზიკე, „მესტლეტა“, სევსამორა). სამივე „ქალაქს“ თავ-თავისი ზღუდეები ჰქონდა და ერთიმეორეს ეს ქალაქები ხიდებით უკავშირდებოდა არაგვსა და მტკვარზე... სამივე ქალაქს თავ-თავისი უბნები და აგარაკები ჰქონდა, წიწამურს არაგვის მარცხნით, ქართლს (არმაზს) მტკვრის მარჯვნით, მცხეთას ქსანსა და არაგვს შორის....

გარკვეული დროიდან, როგორც ჩანს, — საკმაოდ გვიან, მცხეთა დაწინაურდა (მას ეკვროდა მუხრანი) და „ქართლს“ პირველობას შეეცილა. გაქრისტიანების ხანისათვის ეს უკვე მომხდარ ფაქტადაა სავარაუდებელი („ორმეფობის“ ამბავიც ამის მოწმობა უნდა იყოს).

მირიანმა უკანასკნელი საყრდენი მოუშალა „ქართლს“. ქრისტიანული კულტი შემოიღო და ის მცხეთას დასდო. ამიერიდან გაუპირველესება კიდევ უფრო წინ წავიდა (ეს იყო იმ „მეხისტეხის“ საბუთი ნინოს ცხოვრებაში რომ არის მოტანილი და არც არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროება რაღაც მიწისძვრის ვარაუდისა, როგორც ამას ლ. მელიქ-სეთბეგი და ს. კაკაბაძე გვთავაზობენ)... ასეთ პირობებში გასაგები ბუნებრივად, თუ როდის მოხდა, რომ ქალაქ „ქართლს“ (არმაზს) „მცხეთა“ შეერქვა: ეს იყო, როგორც ვხედავთ, მთელი პროცესი, სადაც გაქრისტიანების მომენტს უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა (რა თქმა უნდა საქმე ისე არ წარმოიდგინება, თითქო „არმაზს“ ამიერიდან ტაბუ დაედო. „არმაზი“, თუ ის უცხოურია, ამ დროს უკვე საგეოგრაფიო სახელად იყო ქცეული და ამ ცნებაში წარმართული კულტი არც კი იგულისხმებოდა, ამის მოწმობაა ა რ მ ა ზ ი ხ ე (ჰარმოზიკე) და კიდევ უფრო, თუმცა საკმაოდ გვიან, — მონასტერი „არმაზი“ და ეკლესია არმაზი რეხულას ხეობაში). ამ მხრით საინტერესოა ჩვენი წყაროების ჩვენებანი. ეს წყაროები, ყველაფრიდან ჩანს, ნაგვიანევია და ზეპირგადმოცემებზეა აგებული. მარტო ის რად ღირს, რომ წიწამური ამ წყაროებით ერთხელაც ნახსენები არაა (ხომ არ შეიძლება წიწამური ზადენში ითვლებოდეს და ა. აფაქიძის აღმოჩენა ზადენი იყოს??). ამ ნაგვიანევობის მოწმობაა, რომ მცხეთა პირველობს, თუმცა „მოქცევაჲ“ ამ მხრით უფრო ნაკლებად ხელყოფილი ჩანს. ლეონტის (თუ მის წყაროს) ამბავი სავსებით „გაუმართავს“. ამისდა მიუხედავად შესაძლებელი ხდება ამ ამბავში იმის ნაკვალევის შემჩნევა, რომ თავდაპირველად და შემდეგაც დიდხანს, იბერიის დედაქალაქს „ქართლი“ ეწოდებოდა.

აქვე შეიძლებოდა გვეთქვა (დაწყების სახით) ტერმინი ქართლის შემდგომი გავრცელების, მისი მთელი ქვეყნის „ცენტრად“ გადაქცევის შესახებ.

(წყისეს წარწერა იმის მოწმობაა, რომ ამ დროს რელიგიური „ცენტრი“ არის მცხეთა, რომ მცხეთამ მტკიცედ შეინარჩუნა ეს ცენტრობა, ამის წინარე რომ „ქართლს“ წაართვა, იმისდა მიუხედავად, რომ მისი სამოქალაქო — პოლიტიკური მნიშვნელობა ტფილისმა წაიღო).

ქართლის, იბერიის პოლიტიკური გავრცელებულობა უკვე II საუკუნიდან დამოწმებული მოგვეპოვება (არიანე). (ჩვენ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ, რომ ტერმინი „ქართლი“ თავდაპირველია) უცხოური იბერიის შესატყვისი ქართლი იყო. მას შემდეგ რაც ქართველი ტომების გაერთიანების შედეგად ერთი პოლიტიკური ერთეული წარმოიქმნა, მას „ქართლი“ ეწოდებოდა, უცხოურად კი იბერია (და ამ ძირისაგან, ნაწარმოები სხვა სახელები). მაგრამ ქართველ ტომთა გავრცელებულობის ცნობები ჩვენ ჯერ კი-

ლევ ჰეროდოტედან მოკიდებული ვიცით. ესევე გავრცელებულობა დამოწმებული გვაქვს სტრაბონთან, რომელიც ამ ფაქტს [illegible] რებს ძვ. წ. ა. II საუკუნეში. თუმცა არ არის ცხადი [illegible] მობს სტრაბონი „იბერიელების“ ქვეშ, — სახელმწიფო გაერთიანებას, თუ გვაროვნულ ტომებს... და ჩვენ მიგვაჩნია: თუ კი არსებობდა რაგინდარა გაერთიანება (ტომთა კავშირი, სამხედრო დემოკრატია, სახელმწიფო), მოეპოვებოდა „ცენტრი“ და ეს ცენტრი იყო „ქართლი“, რადგან ჩვენ არ მოგვეპოვება რაიმე ცნობა სხვა ასეთი ცენტრის შესახებ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მითიურ არიან ქართლს („მოქცევაჲ“), ან არარატ-მასისს (ლეონტი). (არიან ქართლიც და არარატ-მასისიც შეიძლება ვიფიქროთ ერთი და იმავე ძირიდან წოდებულად შენაძენია). მაგრამ ამ შემთხვევაშიაც კი, რომ ეს ეპიზოდი რაღაც ნაწილში მაინც სარწმუნოდ მივიღოთ, ეს იქნებოდა ქართის ტომის დაწინაურების მაჩვენებელი სხვა ტომებს შორის და მის მიერ იმ ცენტრალური პუნქტის დაჭერის მითითება, საიდანაც შემდეგ „ქართლი“ გავრცელდა. ამ შემთხვევაშიაც, მაშასადამე, „ქართლი“ ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, როგორც პუნქტი, საიდანაც „ქვეყანა ქართლის“ სახელი წარმოიშვა. ლეონტით ეს მოხდა მითიურ ხანაში, „მოქცევაჲთ“ ეს მოხდა ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში.

ვიდრე ჩვენი არქეოლოგია „ქართლის“ საკითხით არ დაინტერესებულა და მისი სიძველე-სიახლე არ შეუმოწმებია, რაიმე დაბეჯითებით საუბარი ძნელია.

ლეონტის და „მოქცევაჲს“ ურთიერთობის საკითხი პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა...

როგორც აღვნიშნე, ლეონტის ცნობები უფრო გამართულია. „მოქცევაჲს“ ცნობებს წინააღმდეგობანი ახლავს, ან უკეთ, იგრძნობა, რომ აქ რაღაც აკლია, რაღაც გამოტოვებულია (შეიძლება განზრახ). მართლაცდა ალექსანდრეს მოჰყვა აზო. ალექსანდრემ „მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად“. აზომ არიან ქართლიდან 18 სახლი მოიყვანა „და დაჯდა ძუელ მცხეთას“... „ესე იყო პირველი მეფ(ე) მცხეთას შინა, აზოჲ, ძ(ე) არიან ქართველთა მეფისაჲ“...

ამის შემდეგ, ფარნავაზიდან მოკიდებული, შვიდი მეფე (ფარნავაზ, საურმაგ, მირვან, ფარნაჯობ, არსოკ, არიკ) მცხეთას ივიწყებენ და აშენებენ არმაზს (დასდგამენ კერპს, მოზღუდვენ წყლით კერძო, აშენებენ ქალაქს, მოზღუდავენ მას, აშენებენ შიგ შიდაციხეს) და მხოლოდ მერვე მეფის ბრატანის „ზე მცხეთას ქალაქი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეწყო“ და მხოლოდ მეცხრე მეფემან მირეან „აღაშენა მცხეთა ქალაქი“ (აკად. ივანე ჯავახიშვილსაც შეუმჩნევია ეს გარემოება).

ამრიგად, „მოქცევაჲ“-ს მიხედვით, პირველი საჯდომი მეფისა იყო მ ც ხ ე თ ა, ხოლო პირველი ქ ა ლ ა ქ ი იყო არმაზი.

ლეონტით კი პირველსაცხოვრისი ქართლისიანთა იყო „ქართლი“. ეს იყო „მთა“. ქართლოსმა აქ „შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი, და უწოდა მთასა მას სახელი თავისა თჳსისა ქართლი“.

ლეონტით „ქ ა ლ ა ქ ი შ ე ს ა კ რ ე ბ ე ლ ს ა შორის მტკურისა და არაგჳსასა“ „აღაშენა“ მცხეთოსმა, ქართლოსის უფროსმა შვილმა, რომელიც შამის სიკვდილის შემდეგ „დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქართლოსისათა, რომელსა აწ ჰქჳან არმაზი“ (ესე იგი დარჩა „ქართლს“)...

დეტალური კვლევა ქართლი — მცხეთას ურთიერთობისა და ქალაქის (თუ ქალაქების) წარმოქმნის შესახებ დიდი საკითხია და ისტორიული გეოგრაფიის საპატიო ამოცანაა. ამჟამად ჩვენ მის გადაწყვეტას მიზნად ვერ დავისახავთ. ჩვენი მიზნისათვის ამჯერად საკმაოა თუ დავადგინეთ, რომ ქართლი ლეონტით თუ პირველსაცხოვრისადაა გამოცხადებული, არც „მოქცევაჲ“-თ არის ეს უარყოფილი:

„მოქცევაჲთ“ მცხეთაა პირველსაცხოვრისი, ხოლო არმაზი „ქართლი“ პირველი ქალაქი.

ლეონტით „ქართლია“ პირველსაცხოვრისი, ხოლო მცხეთა პირველი ქალაქი...

რომელ ცნობას მოეპოვება უფრო მეტი საფუძველი ეს უნდა არქეოლოგიამ გვითხრას... მაგრამ როგორც არ უნდა გადაიჭრას ეს საკითხი, ის მაინც უცილობლად რჩება რომ „ქართლის“ მთის განსაკუთრებული მნიშვნელობა ორივე წყაროს მიერ აღიარებულია... ხოლო რა იყო ეს მ თ ა „ქ ა რ თ ლ ი“ ან სად ი ყ ო ის, სად იყო სოფელი ქართლი? სამწუხაროდ ამათ შესახებ მეცნიერული ცოდნა ჩვენ დღეს არ მოგვეპოვება და ჩვენი მეცნიერება აქამდე უსაბუთო ვარაუდებს კმაყოფილდება (ლეონტი), ან სდუმს (ჩვენი არქეოლოგია).

ჩემი მოსაუბრის, ვასილ მათიაშვილის, ჩვენება საყურადღებოა, ც ხ ვ რ ი ს გ ზ ა ვკითხე თრიალეთ-ჯავახეთისაკენ: დიღმის მინდვრით მ უ ხ ა თ გ ვ ე რ დ ი ს ტ ბ ა ზ ე — ჭ ი ლ ი ტ ბ ი ს ს ე რ ზ ე — ზემო დიდგორზე — მ ა ნ გ ლ ი ს ი ს ყ ე ლ ზ ე (შუბათსა და ბოტისს შორის) — კლდეკარზე თრიალეთში — ჯავახეთს...

ჭ ი ლ ი ტ ბ ი ს ს ე რ ი ი ს მთაა, რომლის ჩრდილო კალთიდან იწყება ქართლის ხევი და კარსნის ხევი (დათვის წყაროთ). ეს გზა მისი მტკიცებით, ძველია და ცხვარი სულ ასე დაუდიოდა.

ჩემთვის გასაგები გახდა ბაგრატ III მარშრუტი. ბაგრატსა და კახთა ქორეპისკოპოსს შორის უთანხმოება იყო. საქმე ომამდე მივიდა. ბაგრატმა კახეთზე გალაშქრება გადაწყვიტა. ამ დროს ის დ ლ ი ვ ს იყო ჯავახეთში. „წარგზავნა კაცი მოსწრაფედ, აწვა სპათა აფხაზეთისა და ქართლისათა და თჳთ წარემართა ზემოთა ლაშქრითა, გ ა ი ა რ ა თ რ ი ა ლ ე თ ი, გ ა ვ ლ ო ჭ ი დ ი მ ც ხ ე თ ი ს ა. და მოერთნეს თანა აფხაზნი და ქართველნი. დადგა თიანეთს და იწყო შემუსრვად კახეთისა“ (ქ ცა I, 278—279). სურათი თითქო ნათელია: ბაგრატ მეფე „ზემო ლაშქრით“, ე. ი. მესხეთის ლაშქრით მოდის თრიალეთზე მცხეთის ხიდის მიმართულებით. ქართლში ის არ გამოივლის: აფხაზეთისა და ქართლის ჯარი მას შეეყრება მცხეთის ხიდის გავლის შემდეგ. არც ისაა ნაგულისხმევი, რომ ბაგრატი თბილისზე წამოსულიყოს (სხვა არა იყოს თბილისი ამ დროს ბაგრატის ხელთ არაა). ბუნებრივი ჩანს, რომ აფხაზთა მეფის მარშრუტი იგივე ვასილ მათიაშვილის ცხვრის გზაა თრიალეთიდან კლდეკარ-მანგლისის ყელით დიდგორ-ჭილიტბის სერზე. აქ, უნდა ვიფიქროთ, მეფემ კარსანზე გაიარა და უდაბნოს სერის გადავლით მცხეთის ხიდს მივიდა. ჩემი მოსაუბრის ჩვენებით „ძველი გზა“ კარსნიდან მცხეთაში ორი იყო: უდაბნოს სერის გადასასვლელით მონასტერზე და ბაგინეთით.

ჭილიტბის სერიდან მცხეთის ხიდისაკენ მარშრუტს ჰგულისხმობს იოსებ თბილელიც: საკაძემ ნოსტეს ცოლშვილი აჰყარა და ზურაბ არაგვის ერისთავთან თავშეფარებას აპირებდა ლუარსაბ მეფის მიერ დევნილი. მოურავი მთას და ტყეს ეფარებოდა. „კ ა რ ს ა ნ ი ს თ ა ვ ს ა წაევლევით, სად ახალქალაქურია ჩ ა ვ ე ლ ი ქ, საყდარს ჩამოვხე, ჩემთან მყოფთ ლოცვა სურია“. ასე რომ გზა ჯავახეთ-თრიალეთიდან ჭილი-ტბის სერით, კარსნის თავზე მოდიოდა. ეს იყო, როგორც საფიქრებელია, ყველაზე მარჯვე და უმოკლესი გზა იბერიის დედაქალაქსა და მესხეთს შორის. ამავე მიმართულებას ჰგულისხმობს მირიან მეფის და ნინოს მიერ საბერძნეთიდან მოწვეული საეკლესიო მისიონის მარშრუტი: ერუშეთი, მ ა ნ გ ლ ი ს ი, მ ც ხ ე თ ა.

ასე რომ მაგისტრალური გზა „ქართლსა“ და მესხეთს შორის თითქო დადგენილია (საინტერესო იქნებოდა ამ სამარშრუტო პუნქტების დადგენა. უეჭველია, გარდა მოცემულ ჩვენებათა — მანგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისი, კლდეკარნი, ერუშეთი — სხვაც მოიპოვება საამისო ბანი).

დიღმის ველიდანვე მოდიოდა ქ ა რ თ ლ ზ ე მუხათგვერდის ტბის გამოვლით უ ე ჭ ვ ე ლ ი ა ძ ვ ე ლ ი გ ზ ა, რომელიც კარსნის გავლით ქ ა რ თ ლ ი ს ყ ე ლ ს გადაივლიდა და არმაზის ციხის ძარით, ქართლის ხევით შიდა ქართლში შედიოდა. ეს გზა რომ ძველიდანვე არსებობდა თითქო უეჭველია: ის ყველაზე მარჯვედ აკავშირებდა შიდა ქართლს („ქართლის ხევით") ქვემო ქართლთან — გაჩიან გარდაბანთან. აღმოსავლეთთან (ჰერეთ-ალვანთან, სომხეთთან). მაგრამ საინტერესო საკითხი ისმის: რა საჭიროება მოითხოვდა ამ მარშრუტს, როცა დევის ნამუხლით („კლდე გაჭრილი გზად") ძველივე გზა მუხათგვერდის ძირობაზე გავლით, არმაზ ქალაქში შედიოდა, ხოლო არმაზ ქალაქიდან გზა ხსნილი იყო მტკვრის მარჯვენა სანაპიროთი (აგრეთვე მცხეთის ხიდით არაგვის ხეობაში). ძეგვი (სავანის ველი, ბარგიყარია, იამი, ნიკოლოზ კ-ზის ქარვასლა) ამ გზის ცოცხალი მოწმობა არ არის? ციხედიდის წინ საბაჟო ადგილი ჩანს — ძეგვი უძველესი დროიდანვე. ასეთ მონაცემთა გათვალისწინებით საფიქრებელი ხდება, რომ ეს გზა ქ ა რ თ ლ ი ს ხ ე ვ ზ ე, რომელიც მთელ შუა საუკუნეებში მოქმედებს, კარსანზე რომ გამოივლის, შეიძლება იმ ძველ დროს არის გატანილი, როცა არმაზ-ქალაქი ჯერ კიდევ არ იყო, ან როცა ქართლ-კარსნის მნიშვნელობა მეტი იყო, ვიდრე არმაზ-მცხეთის მნიშვნელობა. ასე იყო თუ ისე, ორი ნაგისტრალური მნიშვნელობის გზა (საბერძნეთიდან, სომხეთ-ალბანეთიდან) კარსანში ერთიმეორეს ეჯვარებოდა. აქვე შემოდიოდა, ან აქედან გადიოდა გზები ბაგინეთ-მცხეთაში, თუ სხალდიდის წყლის ხეობაში (თელოვნით დიღმის თავზე...). ყველაფერი ეს გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ კარსანი ქართლით, ქართლის ხევით, ქართლის ყელით და ქართლის მთით განსაკუთრებული მნიშვნელობის პუნქტი უნდა ყოფილიყო...

ბაგინეთის ქედზე სხვა პუნქტი არც მოიპოვება... (საჭიროა, რომ არქეოლოგიამ დაამოწმოს ჩვენი ეს მოსაზრება: ქართლ-კარსანის ძველისძველობა)...

და მიგვაჩნია: ამ „ქართლმა" მისცა სახელი ქალაქ ქართლ-არმაზს (შემდეგ რომ „მცხეთად" ვიცნობთ) — დიდ ქალაქს...

აქ შევწყვიტე გუშინ 30. VII და „ნინოზე" წავედით[1]. ექსპედი-

---

[1]. „ნინო" — ეს ნინოწმინდაა არმაზის მთის წვერზე, მცხეთის ახლანდელ რკინიგზის სადგურს რომ დასცქერის სამხრეთიდან. აქ 1961 წ. ნ. ბერძენიშვილის

ციას მივხედე. გამიმართლდა „ნინოზე“ ელინისტური ხანის (მერცხლისკუდა ქვები) მშენებლობის კვალი რეალურად აღმოჩნდა. ახლა ჩემი ვარაუდია: ამ „გორაზე“, რომელიც ელინისტურ ხანაში „ქალაქად“ ტომთა გაერთიანების ცენტრად ქცეულა („ქართლი“), უნდა აღმოჩნდეს კიდევ უფრო ძველი ფენა.

თუმცა, ითქვას მართალი, ეს „უფრო ძველი ფენა“ აქ უკვეა აღმოჩენილი: კარსანში ხომ გვიანი ბრინჯაო დადასტურებულია, ხოლო „ქართლი“ (გორა) უკარსანოდ წარმოუდგენელია: კარსანი ქართლის „დაბაა“ ხოლო ქართლი „კარსნის გორაა“ (და ჩვენი ისტორიულ-გეოგრაფიული „თეორიით“ თუ „დაბას“ „გორა“ ახლავს, ის თავდაპირველი საცხოვრისია, ხოლო „დაბა“ გორას განვითარების შედეგია).

მაგრამ ამ გორის („ქართლის“) საკითხი სრულის დაჯერებით გადაწყვეტილად მაინც არ მეჩვენება: არც გორები გვაქვს ჯერჯერობით ასე სისრულით შესწავლილი და ამავე დროს ეს საკითხი („ქართლი“) მეტისმეტად დიდი მნიშვნელობისა მეჩვენება. ასე რომ მისი ადვილად გადაჭრა მიუტევებელი შეიძლება აღმოჩნდეს.

მართლაცდა ხომ არსებობს ასეთი შეხედულება, რომ კულტის ადგილებისათვის უმაღლეს ბორცვებსა და მთებს ირჩევდნენ. კულტის ადგილების ასეთი „შერჩეულობა“ რამდენიც გნებავთ დადასტურებულია. მე ასეთი წესჩვეულების ახსნა ჩვენში გორის თეორიით ვცადე. მაგრამ, ეს ახსნა პრინციპულად მართებულიც რომ იყოს (მე ასეც მგონია), განა ეს ყველგან და ყოველთვის ყველა ასეთ ფაქტს ახსნიდა? ის აზრი განსაკუთრებით ბატონობს, რომ მაზდეიანობა ასეთ სიმაღლეებს ირჩევდა ღმერთმსახურებისათვის. და ხომ არ შეიძლება „ფარნავაზის“ დროის სარწმუნოებრივ გადატრიალებას (ახალი სალოცავის გაჩენას) დავუკავშიროთ „ქართლის“ ასე წინ წამოწევა, მისი „ვაარმაზება“?

თუმცა ამ შემთხვევაშიაც „გორის“ თეორია უარყოფილი არ იქნებოდა: არმაზი ქართლის მთაზე იმიტომაც აღმართესო, ვიტყოდით, რომ ეს მთა ამ დროისათვის სახელგანთქმული გორა იყო და ბატონობის რეალური პრეტენზიებიც ჰქონდა ამ საკვანძო რაიონზე (ფართე გაგებით „ქართლზე“), რომელიც დიდი ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი ხდებოდა (ან უკვე გამხდარიყო).

ხელმძღვანელობით დაიწყო მთა-ქართლის არქეოლოგიური გათხრები; ეს ჩანაწერიც იმ წელს განეკუთვნება. (დ. ბ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ასე არა, ქართლის მთაზე უფრო მაღალი ამ მიდამოში სხვა არაერთი მთა მოიპოვებოდა, მაგალითად ზედაზენი, ან ეკლიანი, ან „ბალმა ნაფეტვარი, ან ჭილიტბის სერი — „დიდი მთა“. ბოლოს, ეს მთის მარტო სიმაღლე საკითხს არ სწყვეტდა, და ქართლის მთას გააჩნდა ისეთი რეალური თვისებები, რომ სწორედ ის იქნა შერჩეული არმაზის ადგილსამყოფლად და „თავად ციხედ“. ასეთი თვისებები კი ქართლის „გორის“ განვითარების შედეგად შეძენილი თვისებები იყო, გეოგრაფიულ უპირატესობას ქართლის მთა ბაგინეთ-ქართლის ხევს შორის ქედზე თუ დაიჩემებდა მხოლოდ (უმაღლესი მწვერვალი, ნაკლებად კრიახი წაკვეთილი კონუსია საკმაო ფართობით), მაგრამ სამაგიეროდ მისი ისტორიული უპირატესობა განუზომელი იყო ყველა სხვა სიმაღლეებთან შედარებით. და ეს იყო, უნდა ვიფიქროთ, გადამწყვეტი. ეს კი ქართლის „გორის“ უპირატესობანი იყო. მაგრამ ყველაფერი ეს უნდა არქეოლოგიამ დაამტკიცოს. უნდა დაამტკიცოს, რომ ქართლის გორა უძველესი მოსახლობაა, რომ ეს გორა იქამდე განვითარებული რაღაც დროისათვის, რომ მისი გავლენა („ბატონობა“) გადასწვდენია როგორც კარსნის ხევს, ისე ქართლის ხევს, თავის კონტროლქვეშ მოუქცევია უმნიშვნელოვანესი გზები და თავის გავლენის ქვეშ მოუქცევია მტკვრის მარჯვენა სანაპიროც... და ამ დროს ხდება „გადატრიალება“, ყალიბდება ქართლის სამეფო...

მაგრამ საეჭვო მაინც რჩება (თუმცა ისტორიულ-გეოგრაფიული მოსაზრებანი ამას უფრო ნაკლებ უეჭველს მხარს): ხომ არ მომწიფდა ეს ყველაფერი მცხეთაში და სახელმწიფო აქედან გადატანილი ხომ არ არის არმაზ-ქართლში?? საბოლოოდ ეს საკითხი უნდა არქეოლოგიამ გადაწყვიტოს. ჩვენი (ისტორიულ-გეოგრაფიული) თეორიით კი პირუკუ არის საფიქრებელი: ამის ყველაზე მძიმე მოწმობა ისაა, რომ ქალაქს ქართლი ერქვა, რომ მცხეთა, როგორც ქალაქის სახელი ნაგვიანევია და, რაც მთავარია, ქვეყანას, სახელმწიფოს ეწოდება „ქართლი“ და არა „მცხეთა“... და არცერთი საგეოგრაფიო სახელი „მცხეთას“ არ უკავშირდება, მაშინ როცა „ქართლი“ აგრე უხვადაა ტოპონიმებად წარმოდგენილი.

ასე და ამრიგად, ამ საკითხებზე ჩვენი ისტორიული წარმოდგენა შემდეგი იქნება: გორა „ქართლი“ (ქართლის ყელზე) თანდათან სხვა მის გარშემო გორათა გაერთიანების ცენტრად იქცა, „ქართლი“ ეწოდა საკმაოდ ვრცელი რაიონის გაერთიანებას მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქართლის ხევსა და ნაქულბაქევს შორის. ქართლის შემდგომი გაძლიერება-გავრცელებისათვის ხელის

შემწყობი პირობები კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ეს ამიერკავკასიის შუაგულში განსაკუთრებული მნიშვნელობის ეზოა საყარის დაეუფლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე ხანებში მოხდა დიდი საზოგადოებრივი ტეხილი: ქართლის სახელმწიფო წარმოიქმნა, ქალაქი ქართლი იშვა და მტკვარ-გალმა, მცხეთას და არაგვს გალმა, წიწამურს გადაწვდა. სამი გორა-ქალაქის დამოუკიდებელი თანაარსებობის (სინოიკიზმის) ხანა დასრულდა. დიდ ქალაქს, ბუნებრივია, ზოგად სახელად „ქართლი" ეწოდა... თუმცა ცოცხალი რჩებოდნენ თითოეულის კერძოული სახელებიც: ქართლი („არმაზი"), მცხეთა, წიწამური.

ამიერიდან ქართლის სამეფო ქვეყნის გავრცელების პროცესი კიდევ უფრო ინტენსიური იყო. ქართლის უფლების ქვეშ თანდათან მოჰყვებიან ახლო მონათესავე თუ შორ მონათესავე მეზობელ გორათა კავშირები (კასპი-უფლისციხის ქვეყნის ქართლში შემოყვანის შესახებ ჩვენ საგულისხმო გადმოცემაც მოგვეპოვება: „და მეფობდა არსუკ, რომელმან კასპი შეიპყრა და უფლისციხე განაგო". „მოქცევაჲ", 82).

ეს გავრცელება ყველა მიმართულებით ერთნაირი ინტენსივობით არ მიმდინარეობს. ტომთა ახლო მონათესავეობის, თუ უცხოურობის მომენტი და, განსაკუთრებით, საზოგადოებრივი განვითარების მსგავსება თუ სხვადასხვა დონე ხელს უწყობს ან აფერხებს ქართლის სახელმწიფო ქვეყნის გავრცელების ამ რთულ პროცესს. განსაკუთრებით ინტენსიური ჩანს ეს გავრცელება ზენა სოფელში, ანუ შემდგომი ხანის შიდა ქართლში (და სწორედ ეს გარემოება, რომ შიდა ქართლს ისევე, როგორც ალბათ ქვემო ქართლს, ოდესმე ქართლი კი არა, ზენა სოფელი (და ალბათ ქვენა სოფელი) ეწოდებოდა, — იმის მოწმობაა, რომ სახელი „ქართლი" მას გვიან შეერქვა) ე. ი. მტკვრის ბარში.

თანდათან იქმნება დიდი სამეფო ქვეყანა „ქართლი", რომლის შემდგომი განმტკიცება კლასობრივი საზოგადოებრივი ურთიერთობის შემდგომ წარმატებას გულისხმობს. „ქართლში" შემოდის კახეთ-კუხეთ-ბაჩიან-ბარდაბანი, გუჯარეთ-თრიალეთი, სამცხე, ჯავახეთი...

ენერგიულად მიიწევს საზოგადოებრივად დაწინაურებული სამეფო ქართლი ჩრდილოეთის მიმართულებით. ნელი-ნელ „ქართლში" შემოდის კავკასიონის სამხრეთი მთიანეთი.

ამავე ხანებში ზოგი უფრო ადრე, ზოგი უფრო გვიან, ამიერკავკასიაში „ქართლის" გარეთ და მის გვერდით თავს იყრიან სხვა

ცენტრები: დასავლეთით ეგრის-კოლხეთი, სამხრეთით სომხეთი, აღმოსავლეთით ჰერეთ-ალვანი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვაგან ჩვენ შემთხვევა გვქონდა სანდო ისტორიულ ჩვენებათა ნიადაგზე წარმოგვედგინა, თუ როგორ ვრცელდება ამა თუ იმ ქვეყნის სახელი მეზობელი ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, ან მის ნაწილზე....

ასე წარმოიქმნა სამეფო ქვეყანა ქართლი, ასე გავრცელდა იგი ქართლის გორადან ქართლის სამეფომდე, ასე ეწოდა სახელი ქართლი ქვეყანას „ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“.

(ლეონტი მროველს ქართლის წარმოქმნის ეს დიდი ისტორიული პროცესი ქართველი ტომების ეპონიმთა მონათესაურობის მარტივ სურათად შეუთხზავს. იმ დროის ისტორიოგრაფიის კვალობაზე ეს სურათი სანდოც იყო და მეცნიერულად გამართული. დღეს კი მეცნიერებისათვის ამ სურათში მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი ის საფუძველია, რომლის ნიადაგზედაც ეს ზღაპრული სქემა არის აშენებული. საჭიროა ოღონდ თვით ამ საფუძვლის მეცნიერულად მიგნება — აღმოჩენა).

ეს იყო მონათმფლობელური ქართლი, რომელიც ამავე ხანაში გადაცდა დასახელებულ საზღვრებს და ღრმად შეაღწია მოძმე მეზობელ ეგრისში და ჰერეთ-ალვანში, ხოლო ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის გამარჯვების შემდეგ და ამ ურთიერთობის საფუძველზე კიდევ უფრო დიდ საზოგადოებრივ გაერთიანებად იქცა და სათანადოდ შეცვლილი, ფრიად დამახასიათებელი სახელით („საქართველო“ = „საქართველო ქვეყანა“, „ქუეყანა საქართველოსა“) ამიერკავკასიის დიდი ნაწილი მოიცვა (6, 4. ფურც. 165—185).

7. სოფელი (ეკლესია) არმაზი რეხულას ხეობაში შეიძლება იყო ქართლის ხევის არმაზის მეტოქი. სხვარიგად ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ თუ ასეა, ეს იმის მოწმობა შეიძლება იყოს, რომ ქართლის ხევის არმაზი ამ მეტოქი არმაზის აგების დროს სახელგანთქმული ანუ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ძირი — სალოცავია აი ისევე, როგორც, ვთქვათ, მცხეთის ჯვარი..

რეხულის ხეობის არმაზი თითქო VIII—IX საუკუნის ძეგლია... მაშ, გამოდის, ქართლის ხევის არმაზი ამის უწინარეს დაარსებული და ამ დროისათვის სახელგანთქმული ქრისტიანული სამლოცველოა (ამის მატერიალური მოწმობანი უნდა მოვიპოვოთ).

30.VII. დღეს პარმენ ზაქარაია „ნინოზე“ წავიყვანე. ჩემი მოსაზრება არმაზის შესახებ ვუთხარი. მისგან გავიგე, რომ ქართლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

არმაზის მონასტერი რენე შმერლინგს შეუსწავლია და ამტკიცებს, რომ ეს ეკლესია პირველად IX საუკუნეში უნდა იყოსო აგებული. საინტერესოა: თუ ამ ეკლესიის მეტოქი იყო რეხულას ეკლესია, ის კი, როგორც გიორგი ჩუბინაშვილი ფიქრობს, IX საუკუნისაა, მაშინ უფრო ბუნებრივია გვეფიქრა, რომ ქართლის არმაზი ამის უწინდელია: მეტოქი რომ გასჩენოდა ის სახელგანთქმული სალოცავი უნდა ყოფილიყო. ქართლის არმაზის თარიღისათვის შესაძლებელია ასეთი ზოგადი მოსაზრებაც იყოს წამოყენებული. ქართლის „არმაზი“ ის პუნქტია, რომელსაც გზას ვერ აუქცევდა ქართლის მთიდან (ნინო) წამოსული თუ ის შიდა ქართლში მიემართებოდა, მცხეთიდან წამოსული, თუ ის შიდა ქართლში მიემართებოდა, ასევე ქართლის არმაზი უნდა გაევლოთ არმაზის ხევის პიტიახშებს, თუ მათ სურდათ მცხეთას მისულიყვნენ, ან ქართლის მთაზე წასულიყვნენ, ან კარსანში (ქართლის ყელით) წასულიყვნენ. ასე რომ ქართლის არმაზი განსაკუთრებული მნიშვნელობის პუნქტი იყო პიტიახშებისათვის. და როცა მირიან მეფემ მცხეთა შეარჩია ქრისტიანული რელიგიის თავსალოცავად, ბუნებრივია, პიტიახშებს ქართლის არმაზი შეერჩიათ ასეთად. ასე რომ ქართლი (სოფელი) პიტიახშების კარის სოფელი იყო, ხოლო აქვე ააგეს, საფიქრებელია, მათ პირველი ქრისტიანული სამლოცველო...

ისე გამოდის თითქო, რომ ქართლი იყო გორა ერთსა და იმავე დროს, როგორც კარსნის სამხრეთით, ისე ქართლის (არმაზის) დასავლეთით. ასეთი ვითარების გათვალისწინებით გასაგებია როგორც „ქართლი“, ისე „კარსანი“. გასაგებია „ქართლის ყელიც“ და მოგვიანო „არმაზციხეც“.

მაშასადამე, ისტორიული ვითარება შემდეგნაირად წარმოიდგინება: მტკვრის სამხრეთით შენაკად ქართლის ხევში უძველესი დროიდან არსებობდა დაბა, რომლის გორა იყო „მთა ქართლი“, გორა ქართლის სახელით ამ დაბასაც ქართლი ეწოდებოდა. ეს დაბა გზასაყარზე იყო. აქ გაივლიდა გზა მტკვრის მარჯვენა სანაპიროთი მცხეთიდან ზენა სოფლისაკენ, აქვე ჩამოივლიდა გზა აღმოსავლეთიდან მომავალი კარსან ქართლის ყელით (არმაზ-ციხეზე). ქართლის გორას ასევე დიდმნიშვნელოვან გზასაყარში მეორე დაბა კარსანი ახლდა. ქართლი გორა, ბუნებრივია, საგანგებო გზებით დაკავშირებული იყო კარსანთან (სამხრეთით) და ქართლთან (დასავლეთით). ასე და ამრიგად გორა ქართლი ბატონობდა ქართლის ხევზე მისი შესავლიდან გამოსავლამდე, მისი საკონტროლო იყო ქართლიც და კარსანიც. გარკვეულ დროს გორა ქართლი იქამდე დაწინა-

ურდა და გაძლიერდა, რომ მოზრდილი ქვეყნის (მტკვრის მარჯვენა სანაპირის) გორათა გაერთიანების ცენტრი გახდა, აქედან ბუნებრივია, მთავარი საკულტო ადგილიც. დიდი საზოგადოებრივი ტეხილი მოხდა, ქართლის სამეფო წარმოიქმნა და უცხოური კულტიც შემოვიდა (ან, სულერთია, ადგილობრივი რაღაც კულტი დაწინაურდა) — არმაზი. სამეფო ქართლის ყურადღების ცენტრი ბაგინეთში გადმოვიდა. ქართლის გორამ თავისი ხევითა და კარსან-ქართლით მთავარი მნიშვნელობა ქალაქ ქართლს დაუთმო. მეფის საჯდომი და კულტის მთავარი ადგილსამყოფელი ბაგინეთი გახდა.

დაბა ქართლი, ისევე როგორც კარსანი ქართლის ხევით, ამის შემდეგაც ინარჩუნებდა გარკვეულ მნიშვნელობას ქართლის დიდქალაქობის მანძილზე. ამ ხანებში უნდა მომხდარიყო ამ ხეობის და, პირველ თავში, დაბა ქართლის საპიტიახშოდ გადაქცევა. ქართლის ხევის ბოლოში მსხდომი „ქართლის პიტიახშები" — ეს შიდა ქართლის ერისთავები, ქართლის (იბერიის) დიდი მეფის მეორე პირნი ისტორიულად დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს (ევაგრე, ჯოჯიკი, რუსი) შედარებით გვიანი ხანისათვისაც — VI—VIII საუკუნეები (6. 4. ფურც. 187—190).

8. ქრონ. I, 12—13, შენ. 17

თ. ჟორდანიამ იცის, რომ „ძველი მცხეთა ყოფილა (ძველებია ჩვეულებისამებრ) მთაზე და მთის კალთების სიმაგრეებში, ხოლო მინდვრებზე ჰქონიათ ბაღები".

ჩანს ავტორმა იცის „ძველებთა ჩვეულება", რომ ისინი („ძველები") მთაზე და მთის კალთების სიმაგრეებში ცხოვრობდნენ. ფრიად საყურადღებო დაკვირვებაა. ჟორდანიას წარმოდგენით, მთაზე მცხოვრებ მცხეთელებს ქვემოთ „მინდვრებზე" ჰქონიათ ბაღები. უეჭველია, აქ ავტორი სხვა წყაროების ჩვენებებს ემყარება, უფრო გვიანი წყაროებისას.

„მოქცევაჲ"-ში მოთხრობილია: „ესე აზო წარვიდა არიან ქართლად, მამისა თჳსისა, და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი, და დაჯდა ძველ მცხეთას". გამოთქმა „ძველი მცხეთა" მხოლოდ იმის მოწმობა შეიძლება იყოს, რომ იმ დროს, როცა ეს წყარო იწერებოდა (ან როცა თქმულება ითხზებოდა), არსებობდა ცნება ახალი მცხეთა, რომელიც იმ ძველი მცხეთის ადგილს არ ემთხვეოდა. თუ არ „ახალი მცხეთა"

„ძველი მცხეთა“ არ შეიქმნებოდა. პირველად უნდა გაჩენილიყო ახალი მცხეთა და მხოლოდ ამის შემდეგ იყო შესაძლებელი ცნება „ძველი მცხეთის“ გაჩენა.

ბიბლიოთეკა

(„ძველი სენაკი“ მას შემდეგ გაჩნდა, რაც „ახალი სენაკი“ წარმოიშვა, „ძველი გავაზი“ მას შემდეგ გაჩნდა, რაც სხვა (ახალი) გავაზი წარმოიშვა. „ძველი ანაგა“, „ძველი ბოდბე“, „დაბა ძველი“, „ახალდაბა...“) „ძველი მცხეთა“ დიდხანს საცდურს ქმნიდა მეცნიერთ შორის, თუ სად უნდა ყოფილიყო ის, ან სად იყო ის ახალი მცხეთა. თ. ჟორდანიას საინტერესო მოსაზრება, რომ ძველი მცხეთა მთაზე უნდა ყოფილიყო, დასრულებული არაა: მას არ აქვს ნაჩვენები, თუ სად იყო ახალი მცხეთა, ან რატომ უწოდებს წყარო მას „ძველ მცხეთას“-ს. ვიდრე გორაების საკითხს არ მივდგომოდი (ანუ წინაპართა უძველეს მოსახლეობის საკითხს), ეს ძველი მცხეთა არც მე ვიცოდი სად მომეთავსებინა: გამოლმა „ქარლილი“ და „არმაზი“ იყო. მაგრამ დღეს, როცა ჩვენ ამ ძველი ციხე-ქალაქების ადგილმდებარეობა ურყევად დადგენილი გვაქვს, რომ ისინი საამისოდ მოხსენიებულ გორაებზე უნდა ყოფილიყვნენ და მას შემდეგ, რაც მცხეთისათვის ასეთი გორის დადგენა სავსებით აშკარად შესაძლებელი გახდა დიდი თავდასაცავი თხრილით (საშორისზე?), ჩვენთვის სრულიად უეჭველი შეიქნა, თუ რას და როდის უნდა სწოდებოდა „ძველი მცხეთა“. ძველი მცხეთა უთუოდ ერქვა იმ გორას, რომლის ძირს, რომლის კალთაზე, რომლის „მინდორში“ (თ. ჟორდანიას ენით) შემდეგ გაშენდა ახალ ვითარებაში ახალი მცხეთა. როცა ეს მოთხრობა შეიქმნა („მოქცევაჲ ქართლისაჲ“), ეს ახალი მცხეთა უკვე არსებობდა და იმ დროს ჯერ კიდევ ახსოვდათ, თუ სად იყო „ძველი მცხეთა“. ალბათ ამ ადგილს ამ დროს ეწოდებოდა „ძველი მცხეთა“. მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ სად იყო ეს „ახალი მცხეთა“. ამ ქალაქის მოცულობა, სიფართე კარგად ცნობილი ხდება უფრო გვიანი საბუთებით. საფიქრებელია, რომ ამ ახალ მცხეთის იმ უბანს, რომელიც გორაკის ფართობს უჭირავს „ძველი მცხეთა“ ეწოდებოდა. ამ გვიან დროს შეიძლება მოსახლეობა აქ არც ყოფილიყო, ან შესაძლებელია აქ მხოლოდ მეფის სადგომი ყოფილიყო...

ასეა თუ ისე, „ძველი მცხეთა“ ჩვენ აწინდელი მცხეთის გორაკი გვგონია. „მოქცევაჲ ქ-ჲ“-ს ტექსტი თითქო გვაფიქრებინებს, რომ არიან ქართლის მეფის ძე აზო თავისი 18 სახლით დაჯდა ძველ მცხეთას, სადაც ამ დროს არავინ იჯდა. ასე ვარაუდობს წყარო, თუ არა იტყოდა, თუ ვინ განდევნეს თუ გაწყვიტეს... წყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს აქ ამ დროს ქალაქი ცხადია არ ეგულება (ქალაქი აქ, ამ წყაროს მიხედვით, გაცილებით უფრო გვიან დაიწყო). სამეგრელოს არქეოლოგიური გათხრებით თითქო დგინდება ის გარემოება, რომ VI—V საუკუნეებში აქ მოსახლეობა არ უნდა ყოფილიყო. სამაროვანი ავლენს ადამიანის ცხოვრების კვალს IV—III საუკუნიდან. თითქო ამასვე გვიდასტურებს ჩვენი წყაროც, რომელიც მოსახლეობის გაჩენას იმ ძველ მცხეთას IV საუკუნეს უკავშირებს. გამოდის: უძველეს დროდან (შუა ბრინჯაო?) მცხეთას იყო მოსახლეობა. ის შეწყდა VII—VI ს-ში და კვლავ განახლდა IV საუკუნეში (ახლა უკვე არიან ქართლიდან მოსულებით)... მაშასადამე მესხთა აქ შემოჭრა, თუ მართალია ის მოსაზრება, რომ მცხეთა ნიშნავს მ ე ს ხ თ ა გ ო რ ა ს, მომხდარა გაცილებით უფრო უწინ ვიდრე VII ს-ნე ძველი წელთაღრიცხვისა, და იმ უძველეს დროს ამ მიღამოებში „ქართლში" უცხოვრიათ იმ დიალექტის მატარებელ ქართ ტომებს, რომელთაც ახასიათებდათ ნ ი და თ ა სუფიქსები (ხოლო ეს ნ ი და თ ა კარგად ჩანს ქვემო ქართლში) (6, 4. ფურც. 54—55).

9. მცხეთის განვითარების უძველესი პერიოდი ეს იყო „ქ ა რ თ ლ ი ს" ხანა. ლეონტის მონათხრობი, უთუოდ გადმოცემის სახით მის დრომდე დაცული, ისეთი ნიშნებისა ჩანს, რომ „ქართლის" პერიოდი ესაა მამამთავართა (მამასახლისობის) ხანა, როცა „ქართლი" ისე გაძლიერდა, რომ გარშემო ქვეყნები დაიმორჩილა (მარტაზი, ციხედიდი, ძეგვი, უპიტი, კარსანი, თელოვანი). რას ემყარებოდა „ქართლის" ასეთი გაძლიერება? ქვეყნის სიმაგრეს, ბუნებრივ ხელსაყრელობას, ყელს — დიდმნიშვნელოვან გზას ქვენა სოფლიდან ზენა სოფელში, მდიდარ სასოფლო მეურნეობას (მეევნახეობას) ამ მყუდრო ღა ღრმა ხეებში (დამახასიათებელია 50 კომლი ურიის დასახლება ციხედიდს, და დიდი მარანი პიტიახშების სამაროვანზე), მარტო ის დაქსელილი გზები (ძია ვასო რომ გვიჩვენებდა) საკმაოდ მრავალმეტყველი ჩანან. და არც არმაზის ციხე ჩანს ნაგვიანევი მოვლენა. ეს სავაჭრო გზა, არმაზის ციხე რომ დარაჯობს, რა თქმა უნდა, გვიანი მოვლენა არაა. გათხრა უნდა. რად იყო აქ ეს პიტიახშების რეზიდენცია და თუ იყო, რა ქვეყნის მფლობელობას ჰგულისხმობდა ის, სად იყო ამ სასახლის სამეურნეო მიდამო? ევაგრე ციხედიდელ მთავარს მაინც უნდა დაეფიქრებინა ჩვენი არქეოლოგები: თავისი ხელისუფლების მოცულობით ის ხომ აგრე ახლოს დგას იბერიის პიტიახშებთან... მოკლედ, მე ვფიქრობ ეს ხეობა იყო შემდგომი მცხეთის ერთ-ერთი პირველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცხოვრისი. აქ იყო „ქართლი“ მეფობამდელი პერიოდისა, — ქართლი სამამასახლისო. — ხოლო მცხეთის გადიდქალაქების შემდეგ ეს ქვეყანა „ქართლი“ იყო იბერიის დიდი მეფის მეორე პირველი სპასპეტის საქონებელი...

მცხეთის განვითარების მეორე პერიოდს ლეონტი ფრიად საინტერესო მომენტით იწყებს: პირველმა მ ე ფ ე ფარნავაზმა არმაზის კერპი აღმართა ქართლის მთის მეორე, მტკვრისაკენ პირმიქცეულ მხარეზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მცხეთის ზრდის სიმძიმის ცენტრი „ძველ მცხეთას“ მტკვარ-არაგვის შესართავს დაუკავშირდა. ძველი ქართლი ზურგს უკან აღმოჩნდა. ქართლის მეფემ რეზიდენცია ბაგინეთში დაიდო და მტკვარს გაღმა მცხეთას, ძველისძველ გორას და ახლა დიდად დაწინაურებულ პუნქტს (მუხრანის კერძი ქვეყნით) ხელი ჩასჭიდა.

ჩვენ არ მოგვეპოვება რაიმე პოზიტიური ცნობა ამ ორი პუნქტის ურთიერთობის შესახებ იმ უძველეს ხანაში, მაგრამ მათი მეზობლობა რომ მუდამ მშვიდობიანი არ იქნებოდა, ეს თავისთავად ცხადია. ისიც საკმაოა, რომ ვიცით: ქართლის მეფეებმა მცხეთა ხელთ იგდეს და ქალაქად აქციეს.

ამიერიდან მცხეთის განვითარების ახალი ხანა დაიწყო: მცხეთის ქალაქობის ხანა, მეფობის ხანა, როცა „ქართლი“ ძველ როლს აღარ ასრულებს (ქვეყნის ცენტრის როლს), მაგრამ, როგორც ჩანს, მან ისეთი როლი შეასრულა, რომ მისი სახელით აღინიშნა მთელი ქვეყანა ისე, რომ ეს სახელი ვერ მოშალა დიდმა მცხეთამაც კი. უნდა დავუშვათ, რომ სახელი „ქართლი“ დიდხანს რჩებოდა ქვეყნის ცენტრის აღსანიშნავად მას შემდეგაც კი, როცა ეს ცენტრი (= ქართლი) მცხეთაში იყო. შეიძლება ამისვე მანიშნებელი იყოს, რომ მეგრელები თბილისს, ქართლის ცენტრს, დღესაც ქ ა რ თ ს უწოდებენ...

ჯავახეთიდან გზა კლდეკარით მცხეთაზე...

ლეონტით ფარნავაზი იქვე დაიმარხა, სადაც ქართლოსი. „მოქცევაჲ“ კი ამას თითქო არ გულისხმობს (6, 4. ფურც. 128—130).

10. თუ მცხეთა ძველადაც იყო ვიდრე ის დედაქალაქი შეიქნებოდა (და ის მართლაც იყო ძველადაც), ყოველ შემთხვევაში ძისი გადედაქალაქება უეჭველად უნდა დავუკავშიროთ იმ ხანას, როცა ქართლი სახელმწიფოდ იქცა. ისე რომ დიდი მცხეთა ბაგინეთ-მცხეთა-წიწამურით და უბნებით მონათმფლობელური ქართლის სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრია. ძველი მცხეთის (რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესოდ ისმის ამ კონტექსტში ეს ძველი მცხეთა ნაცვლად, ვფიქრობთ, წარმოიშვა ახალი მცხეთა, ე. ი. დიდი მცხეთა, მაგრამ ის წარმოიშვა, რა თქმა უნდა, ახალი ქართლის პირობებში. ან შეიძლება უფრო სწორი იყოს თქმა, რომ ძველი მცხეთა იბერთა ტომის ნასაქმევი იყო და გვაროვნულ წყობილების პირობებში წარმოქმნილი პუნქტი იყო, ხოლო ახალი მცხეთა ქართის ტომის გაბატონებას დაემთხვა, ქართის ტომის შენამოქმედი იყო და სახელმწიფოებრივი წყობილების წარმოქმნას დაემთხვა. იგულისხმება, რომ იბერიელნი და ქართები ურთიერთის ახლო მდგომი ტომები იყვნენ და რომ უწინ ჰეგემონობა იბერიელებსა ჰქონდათ და შემდეგ ქართების ხელში გადავიდა. თუ მცხეთას ეტიმოლოგია სწორია და ის მესხთა ადგილს, მესხთა სახლს, ან მესხთა სიმაგრეს ნიშნავს, მაშინ, ცხადია, ასეთი სახელი ამ ადგილისათვის უწოდებია არა მესხს, არამედ ქართული ენის მატარებელ ერთ-ერთ ტომს, რომელიც ჯერ, შეიძლება, მცხეთელთა მეზობელი იყო, ხოლო შემდეგ უეჭველია ამ მცხეთის „დამპყრობი" (ეს სულ ერთია ომით მოხდა თუ უომრად). ვინ იყო ეს ქართული ტომი (თავისთავად გამორიცხული არც ისაა ამით, რა თქმა უნდა, რომ მცხეთის შემქმნელი მესხები ქართული ტომისანი ყოფილიყვნენ) იბერიელნი, თუ ქართები? შეიძლება იბერნი...

ან თუ დამტკიცდებოდა, რომ იბერი და ქართი ერთი ტომის ორი სხვადასხვა სახელია, რაც მე სარწმუნოდ არ მიმაჩნია, მაშინ უნდა დაგვეშვა, რომ ძველი მცხეთა მესხთა შენამოქმედი (ეს სწორი ჩანს), რომელსაც სახელიც ამ იბერ-ქართებმა შეარქვეს, ამათვე ხელთ იგდეს და თავისი სახელმწიფოს პოლიტიკურ ცენტრად აქციეს. ერთი სიტყვით რეალური ჩანს მესხი (მცხეთა) და ქართი (იქვე საგეოგრაფიო პუნქტი). სამწუხაროდ, ამ უკანასკნელის ეტიმოლოგია არა ჩანს, მაგრამ ის თითქო ჩანს, რომ ერთ-ერთმა ქართველურმა ტომმა (იბერებმა, მესხებმა??) ეს საგეოგრაფიო სახელი უწოდა უკიდურეს პუნქტს, რომელიც ამ ტომს (ქართს) ეჭირა. იბერი კი თავის ადგილს ჯერ ისევ ეძებს; მისი უარყოფა არ ხერხდება. რა უნდა ვუყოთ სომხურ ვირქს და აქედან ნაწარმოებ ვარიანტებს, თანაც სომხურმა ხომ ქართი არ იცის. ან რა უნდა ვუყოთ ქართულ იმერს? მაგრამ რატომ მეგრულმა არ იცის იმერი, ის ხომ იმერს ქართუს უწოდებს?? ქართველი ებრაელებიც ქართველებს ივერთან დაკავშირებულ სახელს უწოდებენ..., როგორც არ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, ამჟამად ჩემთვის მნიშვნელობა აქვს იმ დებულებას, რომ ძველი მცხეთა მეს-

ხურია (ან ჯერ მესხური, შემდეგ იბერულია) და გვაროვნული წყობილების ტომის პუნქტია, ხოლო ახალი მცხეთა ქართლი (ანუ იბერ-ქართის) ქალაქია, ქართის სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრია. ახალი მცხეთა (დიდი მცხეთა) იმის მანიშნებელია, რომ ახალი ქვეყანა („ახალი ქართლი") წარმოიქმნა, რომლისთვისაც ასეთი ცენტრი აუცილებელი გახდა. სად იყო ეს ქართლი, როდის მოხდა მისი ასეთი გადატრიალება, როდის მოხდა ეს რევოლუცია, რომ მეუფე მამასახლისი მ ე ფ ე დ იქცა, ხოლო სოფელი ს ე ფ ე დ, ან კიდევ, როდის გაერთიანდა ქართლი (პუნქტი) და მცხეთა („მცხეთა გორა". „მცხეთქალაქი")? ტერმინი „ქართლი" ჩვენ შეიძლება გარკვეულად დავუკავშიროთ შემდეგი დროის „ქვემო ქართლს", „ქართლის პიტიახშები" აწინდელი ქართლისანი კი არა ყოფილან, არამედ სწორედ ამ ქვემო ქართლის. ასეთი იყო ვარსქენი, არშუშა. მათ ხელში შედიოდა, ჩანს, შემდეგი დროის მეწინავე საერო-შო (ტაშირი, სომხით-საბარათიანო, თრიალეთი ს ა პ ი ტ ი ა ხ შ ო თ ი) ვიდრე მცხეთამდე... ეს ქვეყანა სწორედ კარსნითა და სოფელი ქართლით იწყებოდა!!. სწორედ ამ ქვემო ქართლელთ („ქვემო სოფლელთ"?) ენაზე ეწოდებოდა შიდა ქართლს (აწინდელს) ზ ე ნ ა ს ო ფ ე ლ ი (აკად. სიმონ ჯანაშიამ ამ ზენა სოფელზე დაკვირვებით ქვემო სოფელი მეტისმეტად შორს გადაიტანა — არეზის აუზში).

ბოცი, ბამბაკი, ტაშირი, თორი, თრიალეთი, ზურტაკეტი, დბანის ხევი, სომხითი, ალგეთი; აქვე შემოდიოდა სკვირეთი, თბილისი, დიღომი, მუხათგვერდით, კარსნით, ქართლით—უძველეს დროსვე შეადგენდა ერთ ტერიტორიულ-ტომობრივ გაერთიანებას. საფიქრებელია ეს გაერთიანება („ქართლი") არაერთი ტომისაგან შედგებოდა (გუჯარეთი — გუგარეთი, ალგეთი, მანგლისი, სკვირეთი, თორი — თრიალეთი) და საფიქრებელია, რომ გარკვეულ დროს უპირატესობა (ჰეგემონობა თუ მპყრობელობა) გარკვეული ტომის ხელთ იყო. მაინცდამაინც უცილობელია, რომ ყველაზე გვიან ამ ტომების გამაერთიანებელი ქართის ტომი იყო: ეს სახელი („ქართლი") შერჩა ამ ქვეყანას. ამისივე მოწმობაა ამ ქვეყანაში უძველესი საგეოგრაფიო სახელების სუფიქსი ს ი, წმინდა ქართული, რომელიც თან დართვია სხვა უფრო ძველი წარმომავლობის სუფიქსს: ბ ო ლ ნ ი-ს ი, დ მ ა ნ ი-ს ი, მანგლისი (მანგალისი). საიდან გაჩნდა ეს ქართის ტომი, ან როგორ, სამწუხაროდ, ნათელი არაა. უფრო რეალური ჩანს მოსაზრება, რომ ამ ტომის მთავარი ადგილსამყოფელი იქ იყო, ს ა დ ა ც ს ო ფ ე ლ ი ქ ა რ თ ლ ი ი ყ ო. ქართული ისტორიული ტრადიცია ქართლის საძირკველს სწორედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ გულისხმობს (ქართლოსის ნაშენობა), თუმც არც იმას ივიწ-ყებს, რომ ამას გარდა სხვა ქართლიც იყო სადღაც სამხრეთში შეიძლებოდა ეს სამხრეთული ქართლი (ჰარიან ქართლი — ჰერიან ქართლი?) იმავე ერთეულში გვეგულისხმა წეღან რომ მოვხაზეთ. ის მოსაზრებაც რეალურია, რომ სახელი „ქართლი" (თუ ის სატ-მო სახელია), ამ ადგილს შეარქვა ამ ტომის მეზობელმა ტომმა (იბერებმა, მესხებმა?). ასეა თუ ისე, „ქართლი" გარკვეულს დროს მთელს ქვემო ქართლს მოიცავდა, ამ ქართლმა თავისი ჰეგემონობა გაავრცელა შემდეგი დროის შიდა ქართლზე (ზენა სოფელზე), პირ-ველად საფიქრებელია მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე: კარსან — ქართლი, ძეგვი, ნიჩბისი, კავთისხევი, თეძმის ხევი, ტანას ხეობა, ძამის ხეობა ადვილად მისადგომი იყო „ქვემო ქართლიდან" (თრია-ლეთ-მანგლისიდან). შეიძლება ამითვე აიხსნებოდეს, რომ ქართ-ლის ერისთავნი თავდაპირველად სწორედ ამ მხარეში იგულისხმებიან (ქვათახევი მათი საძვალეა). მაინცდამაინც გორი-ცხინვალი-მუხრანი-უფლისცი-ხე საერისთავო არ ყოფილა (XII—XIII საუკუნეთა მოვლენები ნაგვიანევია). მაინცდამაინც ფეოდალური ურთიერთობ-ების ჩამოყალიბების ხანისათვის ქართლში უკვე მთელი ზენა სო-ფელი შედიოდა და ქართლის ექსპანსია ძირითადად დასრულებუ-ლი იყო. საინტერესო ისაა და ამ ექსპანსიის ნაკვალევად მისაჩნე-ვია, რომ ქსნისა და არაგვის ხეობებმა ეს სახელი ქართლი არ მი-იღეს, არ მიიღო ეს სახელი არც იმერეთმა, მიუხედავად იმისა, რომ ქართის კულტურა, ქართის ენა მათთვის მშობლიური ენა გახდა (შეიძლება იბერნი იყვნენ და იმთავითვე მათი ენაც იგივე იყო რაც ქართლისა, ოღონდ დიალექტი...) აკი სტრაბონი მთიელ იბერიე-ლებს იცნობს: ისინი უმრავლესობა იყო. მაშ მთაში იბერნი ცხოვ-რობდნენ სარმატების, მონათესავენი, ბარელი იბერები, ე. ი. ქართები სომხებსა და მიდებს ენათესავებოდნენ კულტურით. ხომ არ უნდა გავიგოთ ისე, რომ მთიელნი იბერიელნი, სარმატე-ბი ერთი კულტურის ტომები იყვნენ კოლხეთთან ერთად, ე. ი. დასავლეთ ქართული ეთნიკური მასივი (კოლხი-იბერნი), ხოლო აღმოსავლურ ქართული ეთნიკური მასივი იყვნენ ქართები, ჰე-რები (ჰარიან-ქართლი?). საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ქართ-ველი ხალხის გენეზისის საკითხი ყოვლად შეუსწავლელია. თუნდაც რომ მოსულობის თეორია გავიზიაროთ და ამ ეთ-ნიკურ სახელებს (ქართი, იბერი, კოლხი, მესხი, ტაოხი, აფშილი,

ქაშაგი, ტაბალი...) თვისტომნი მოუძებნოთ ხეთურ, ასურულ, ურარტულ წარწერებში (ეს თითქო საკმაო წიგნიერად ხელოვნდება). ამ ტომების მოთავსება ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, მათი თანმიმდევრობა, მათი მოსვლის სახე (წამოწევა თუ მოსვლა, სახელმწიფოებად მოსვლა, რა დახვდა აქ, რას ამბობს არქეოლოგია, რა ნიშნებია ამ მოსვლისა გარდა სახელთა ხელოვნური დამსგავსებისა და ერთადერთი ლეგენდისა მოსვლის შესახებ — და არც თუ განსაკუთრებით შორიდან...), — არაფერი არ არის გარკვეული... (ბ, 4. ფურც. 43—51).

11. ევსტათე მცხეთელის მარტვილობაში მოხსენებული ქ ა რ თ ლ ი ს ა მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი სხვა ქართლის მთავართა შორის საყურადღებო ჩვენება შესაძლებელია იყოს. ეს რეალური მოწმობა შეიძლება იყოს იმისა, რომ ამ ქვეყნის თავდაპირველ ცენტრს მართლაც „ქართლი“ ეწოდებოდა. „და „ქართლი“ ეწოდებოდა მაშინაც, როცა მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ო ბ ა იყო. და გვაქვს საბუთი ვიფიქროთ ევსტათეს მარტვილობაში აღნიშნული ეს „ქართლის მამასახლისი“ არის საკუთარი სახელი იმ თანამდებობის პირისა, რომელსაც ლეონტი ხელოვნურ „მცხეთელ მამასახლის“ უწოდებს (მ—2, 3. ფურც. 151).

12. 540-ანი წლები. ქართლში მეფობა აღარაა. სპარსთა უფლებაა. ტფილისში მარზპანი ზის. მცხეთაში — ციხისთავი.

ქართლის უმაღლესი საზოგადოება შედგება: „აღდგეს მ თ ა ვ ა რ ნ ი ქართლისანი და სამოელ ქ ა რ თ ლ ი ს ა კ ა თ ა ლ ი კ ო ზი და გრიგოლ ქ ა რ თ ლ ი ს ა მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი და არშუშა ქ ა რ თ ლ ი ს ა პ ი ტ ი ა ხ შ ი და სხუანი სეფეწულნი და მარზაპანსა ჰრქუეს“... ამ ცნობაში უპირველეს ყოვლისა საინტერესოა ეს არშუშა ქ ა რ თ ლ ი ს ა პ ი ტ ი ა ხ შ ი. ა რ ა ჩ ა ნ ს, რ ო მ ი ს ს პ ა რ ს თ ა მ ო ხ ე ლ ე ი ყ ო ს. ის შედის მ თ ა ვ ა რ ნ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა ნ შ ი. არშუშა აქ ქ რ ი ს ტ ი ა ნ ა დ ა ა ნ ა გ უ ლ ი ს ხ მ ე ვ ი. ეს ფაქტი რამდენადმე ასწორებს ჩვენს შეხედულებას ქართლის პიტიახშებზე, როგორც სპარსთა მეფის მოხელეებზე, სპარსთა აგენტურაზე ქართლში. შეიძლება ქართლის პიტიახში ზოგჯერ ასეთიც იყო, მაგრამ ეს არ იყო eo ipso. თუ საკითხს ასე დავსვამდით, მაშინ ტერმინიც ქ ა რ თ ლ ი ს ა პ ი ტ ი ა ხ შ ი სპარსელთა შექმნილი კი არა ქართველთა მიერ შექმნილად უნდა გვევარაუდა იმ დროს, როცა სპარსელთა კულტურული გავლენა ძლიერი იყო,

როცა ქართულ ერისთავს სპარსული პიტიახში ესალმებ-
და. ასეთი დაშვებისას, ე. ი. თუ „ქართლის პიტიახში“ ქართული
მოხელეო ტერმინია, ჩვენ მივიღებდით ქართლის საინტერესო ლო-
კალიზაციას, რამდენადაც ვიცით ამ ქართლის პიტიახშების ხელ-
ქვეშეთი ქვეყანა... ამავე დროს უნდა დაგვეშვა, რომ ამ
მოხელეს უფრო ძველად ქართლის ერისთავი ეწოდე-
ბოდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ „ქართლი“ შეერქვა იმ
სოფელს (თუ მთას) მტკვრის გალმა მოსახლეობისაგან, რომელნიც
თავიანთ თავს „ქართად“ არ სთვლიდნენ. აი ისევე, როგორც ალ-
ვანი ალბანეთის საზღვარზე, ან საზანო ძველი ეგრისის სა-
ზღვარზე, ან აჭარა აჭარის საზღვარზე, ან თორი თორის სა-
ზღვარზე და ა. შ.

მაინც ტერმინი „ქართლის პიტიახში“ ფრიად საინტე-
რესოა: თუ ქართლში პიტიახში მრავალი იყო, როგორც ამას ფიქ-
რობენ, მაშინ „ქართლის პიტიახში“ ერთი მათგანის სახელია და ეს
სახელი წარმოშობილია უთუოდ საგეოგრაფიო პუნქტი — ქართ-
ლისაგან, და არა ქვეყანა ქართლისაგან. მაგრამ თუნდაც რომ
ქართლის პიტიახში ერთი ყოფილიყო, მაშინაც „ქართლი“ თავდა-
პირველად ერთი საგეოგრაფიო პუნქტი უნდა ყოფილიყო და არა
ქვეყანა. ასევე უნდა იყოს ტერმინები ქართლისა კათალი-
კოზი, ქართლისა მამასახლისი და გვიან ქართლი-
სა ერისთავი — (რა თქმა უნდა ლაპარაკია წარმოშობაზე და
არა ამ დროის შინაარსზე...) (6, 4. ფურც. 18).

13. ქ-ცა I, ჯუანშერი, 179_{18}

ვახტანგ მეფეს ომი აქვს სპარსელებთან.

მეფემ „ურჩეულესი მბრძოლი ერისა მისისა ვითარ ასი ათასი
მჯედარი და ასი ათასი ქუეითი იბყრა მის თანა, და დაუბანაკა მათ
დიღმით ვიდრე ქართლის კართამდე, და სპარსთა
დაიბანაკეს ცხენის ტერფითგან ჩალმართ“.

აქ უეჭველი ისაა, რომ იმ დროს, როცა ეს თხზულება იწერე-
ბოდა ეს საგეოგრაფიო სახელები: ქართლის კარნი და
ცხენის ტერფი არსებობდნენ. თუ ცხენის ტერფი მართლა ის
ადგილია (დიდუბე), ვახუშტი რომ ჰგონებს („ტფილისის ჩრდილოთ
არს მინდორი დიდუბისა, რომელსა პირველ ეწოდა „ცხენის ტერფი“
გვ. 54) მაშინ ამ ომზე დაკვირვებით ქართლის კარნი საძიებელია

ტფილისისაკენ: ომი ფონსა ზედა ტფილისისასა (180), თუმცა ტექსტი ისე ბუნდოვანია, რომ რისამე დაბეჯითებით თქმა ძნელია. ხოლო თუ ჩვენი ეჭვი სამართლიანია, რომ ქართლის კარნი სადღაც ტფილისის ახლოსაა ნაგულისხმევი, მაშინ შეიძლება ტ ფ ი ლ ი ს ი ს კ ა რ ი (136) (ესეც ბუნდოვანი!) საამისო მაჩვენებელი იყოს?... (რა თქმა უნდა ამ შემთხვევაშიაც კარნი ქართლისა გასაგები იქნებოდა როგორც terminus texnicus ქალაქი ქართლის კარნი). (6, 4. ფურც. 92).

14. 19. VII.

გუშინწინ საინტერესო (დ ა მ ა ც დ უ რ ი) ფაქტი მოხდა. უკვე ერთი კვირაა „ნინოს" დაზვერვა შევწყვიტე: საჭიროა არქეოლოგიური გათხრები მოეწყოს. ვიდრე საამისო ექსპედიციას დავაკომპლექტებდე (ჩვენი არქეოლოგები ამჟამად ხომ ყველანი ველზე არიან) სხვა სამუშაოს გაგრძელება განვიზრახე.

მაინც „ნინო" (ქართლი — მცხეთა) არ მისვენებს და ფიქრი სულ იქით გამირბის. მაფიქრებს „მცხეთის არქიტექტურული სტილი", უძველესი ეპოქის საკულტო ნაგებობანი. სულ ერთიანად ქრისტიანობას შემოჰყვა და თუ შემოჰყვა (ასეთია თითქო წერილობითი ტრადიცია) მაინც როგორი იყო ის პირველი საკულტო ნაგებობანი „ქართლის" ქვეყანაში? ხომ არ შეიძლება „მცხეთის გარშემო" ძეგლებში, ასე უხვად რომაა მიმოთესილი ამ გატყეევებულ-გაველურებულ ნასოფლარებში, დავიჭიროთ ამის ნიშნები? თემესტიას (გურამის?) მცირე ტაძარი ჯვარზე, ზედაზენი... და აქვე, „კახური" არქიტექტურა, აგრე განსხვავებული.

მაფიქრებს „ქართლის კარნის" ადგილმდებარეობა, ჯუანშერს იგი მხოლოდ ერთხელ აქვს მოხსენებული და არც მთლად ნიშანდობლივ. ამის ლოკალიზაციას კი დიდი მნიშვნელობა აქვს...

მაფიქრებს: თუ ნინოს მოღვაწეობის ცნობები იმ მხრივ მაინც სანდოა, რომ მცხეთაში კერპები იდგნენ არმაზის და ზადენის (გაცსა და გა-ს, ისევე როგორც აინინა და დანანას, მარი უარყოფს, თუმცა, ვინ იცის, საბუთიანად? მაინცდამაინც გ ა დ ი დ ი ვანის რაიონში დამაფიქრებელია), სად იდგნენ ისინი? რატომ არის არმაზნი და რატომ იგულისხმება, რომ იყო არაერთი ზადენი. ზედაზენი (=ზეზადენი), სხვა ზადენსაც ჰგულისხმობს. ხომ არ იყო ეს ზადენი (=* ქვეზადენი) წიწამურის გორაზე?.

როგორ არის წარმოსადგენი არმაზის კერპი აწინდელი ბაგინეთის თავზე (როგორც მეც ვვარაუდობდი სხვებთან ერთად), არის

საკმაო ფართობი ქურუმობისათვის, აქვს მას საკუთარი კვდელი (ნინოს ცხოვრებით რომ იგულისხმება) და როგორ მოხდა, [illegible] ადგილას ჯვარი არ აღმართეს და (შემდეგ) ქრისტიანული [illegible] ცველო არ ააგეს?...

მაფიქრებს „მცხეთის“ მეურნეობა. ბაჟი და მიწათმოქმედება ჩანს, და კარგადაც ჩანს, რკინის წარმოებაც, ოქრომჭედლობა (ვერცხლი და ოქრო? სოსო გძელიშვილი რომ ვარაუდობს სპილენძთან ერთად სარკინეთში...), ხელოსნობის სხვა დარგიც ჩანს (მეთუნეობა, ქვითხუროობა), მაგრამ ყველა ეს უპირატესად დიდი ქალაქობის ხანის მცხეთას ახასიათებს... და რაც უფრო ადრე, და განსაკუთრებით, ქალაქობის წინა დროის „ქართლს“ (=ქართლს, მცხეთას, წიწამურს), უეჭველია სოფლის მეურნეობიდან პირველ რიგში მესაქონლეობა უნდა ჰქონოდა განვითარებული, ხოვლიგორის გათხრები (და ბევრგან სხვაგან) იმას უცილობლად მოწმობენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართლის მეურნეობაში ცხვარს ჯერ ისევ ენეოლითიდან მოყიდებული და, განსაკუთრებით, ბრინჯაოს ხანაში...

და ბუნებრივად დაიხმის საკითხი მეურნეობის ამ დარგის სახეობის შესახებ იმ ძველ დროს. ეს დიდი საკითხი — მ ე ც ხ ვ ა რ ე ო ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა ს ა ე რ თ ო დ დ ა კ ე რ ძ ო დ, ქ ა რ თ ლ შ ი — სპეციალურ შესწავლას მოითხოვს და ჩვენ ამას ამჟამად არ ვაპირებთ...

გარკვეული ხანისათვის კი გვგონია, რომ ქართლის მეურნეობა (მეცხვარეობა-მესაქონლეობა) მომთაბარული უნდა შექმნილიყო. ე ს ი ყ ო დ ი დ ი ტ ე ხ ი ლ ი მ ე ურ ნ ე ო ბ ი ს ა მ დ ა რ გ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა შ ი, განვითარება იქამდე რაციონალური, რომ მან გაუძლო საუკუნეებს, სხვადასხვა ფორმაციებს და mutatis mutandis ჩვენს დრომდე მოაღწია. ეს იყო მონოკულტურის საბოლოო დაძლევა და ბიკულტურის გამარჯვება: მ ე ც ხ ო ვ ე ლ ე ო ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა მ ი წ ი ს მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს თ ა ნ შ ე თ ა ვ ს ე ბ ი ს გ ზ ი თ ე რ თ მ ე ურ ნ ე ო ბ ა შ ი. აზიის მეჯოგეებს ეს არ მოუხერხდათ და ამდენადვე მათ შემდგომი კულტურული განვითარების უნარი შეეზღუდათ...

შემდგომი კულტურული წინსვლა ამ მეჯოგეებისა იმდენად და იქ იწყება, რამდენადაც და როდესაც ისინი მეურნეობის ამ ფორმას, მონოკულტურას გადალახავენ, და მეჯოგეობასთან ერთად გლეხობას (ან, სულერთია, აზნაურობას) იწყებენ ე. ი. მიწის მოქმედებას ეზიარებიან.

ერთი სიტყვით, მე ის მინდა ვთქვა, რომ ქართლის მოსახლეობა საუკუნეთა დიდ სიღრმეში აღწევს თავს მეურნეობის ცალსახეობას (ჩვენ არც შეგვიძლია ზუსტად ვუჩვენოთ ასეთი დრო) და ორსახოვანი მეურნეობის მტკიცე მიმდევარი ჩანს. ცალკე საკითხია, თუ მეურნეობის რომელ სახეს ჰქონდა უპირატესობა ქართლში და როდის, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ეს უპირატესობა საბოლოოდ მიწათმოქმედებას დარჩა (ქართული ფეოდალიზმი) და მესაქონლეობა მეურნეობის დამხმარე დარგად იქცა და მხოლოდ უკიდურეს მთიანეთში შეინარჩუნა მან უპირატესი მნიშვნელობა...

და მეურნეობის ეს დიდი უპირატესობა (ორსახოვანი მეურნეობა) იყო იმის საფუძველი, რომ ქართლი ადრე დაწინაურებული ჩანს ძველიდანვე (ენეოლითი — ბრინჯაო)...

ზემოთ დამაკლდა. მომთაბარეული მესაქონლეობის შემოსვლა ეს იყო დიდი პროგრესი მეურნეობის ამ დარგის განვითარებაში. ბუნებრივი პირობების ხელსაყრელობისდა მიუხედავად („მთისა" და „ბარის" მეზობლობა) ეს პროგრესი „მიწისმოქმედ" ამიერკავკასიის საზოგადოებაში ფრიად ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო და მას განვითარების გარდამავალი საფეხურებიც უნდა გაევლო სამეურნეო კულტურის ერთსახეობიდან (მიწის მოქმედება), ვიდრე ორსახოვანი კულტურის იმ ფორმამდე, როგორიც მიწისმოქმედი საზოგადოების და მომთაბარეული მეცხოველეობის შერწყმაშია წარმოდგენილი.

აქვე თავსდება და ამ ხანგრძლივი პროცესის თანმხლებია დიდი საზოგადოებრივი ტეხილი: დედათმთავრული საზოგადოებრივი ფორმის ნაცვლად მამამთავრული საზოგადოებრივი ფორმის გაბატონება.

საზოგადოებრივი განვითარების ამავე მონაკვეთში წარმოიდგინება (და ამიერკავკასიის ბუნებრივ პირობებში ადვილად თავსდება) მეტალურგიის შემოსვლა და მისი განვითარება (საამისო არქეოლოგიური ჩვენებანი დღითიდღე იზრდება), — აგრე დიდმნიშვნელოვანი ტექნიკური პროგრესი, როგორც მესაქონლეობისათვის (დაცვა, ძარცვა), აგრეთვე, და განსაკუთრებით, მიწისმოქმედებისათვის.

დღემდის მეცნიერება ჩვენი მეურნეობრივი განვითარების ამ დიდ მოვლენას (ბიკულტურას) ვერც შესაფერის ყურადღებას უთმობს და ვერც საკმაო ისტორიულობით წარმოადგენს მას (კუფტინი, პიოტროვსკი). არც ქართველ მეცნიერთა შორის (ეკონომისტები, ისტორიკოსები) ჩანს დღესდღეობით ვინმე, რომ ამ დიდ სა-

კითხს საგანგებოდ მოეჭიდოს და აკად. ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული განზრახვა სისრულეში მოიყვანოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას წინათ მე შემთხვევა მქონდა გამეცხადებინა, რომ ქართლის კულტურის საწყისები „ქვემო ქართლის“ ტერიტორიაზე უნდა იყოს მეთქი საძიებელი. ისტორიის მონაცემთა შედეგად შემუშავებული ეს მოსაზრება სულ უფრო და უფრო საფუძვლიანი ხდება მას შემდეგ, რაც ამ მხარეში შესაფერისი მეცნიერული მუშაობა გაიშალა.

ამ განცხადებისათვის კიდევ ერთი განცხადების დართვა დღეს ჩვენ აუცილებლად გვეჩვენება. „ზენა სოფლისა“ და „ქვენა სოფლის“ შუაში (ამ სოფელთა მიჯნაზე) მდებარეობდა ქვეყანა, (შეიძლება ანალოგიითვე ვუწოდოთ „შუა სოფელი“) ჩვენი ვარაუდით „ქართლი“ (მცხეთა — არმაზი), რომელმაც გარკვეულ დროს, ეს ყველაფრიდან ჩანს, გადამჭრელი უპირატესობა მოიპოვა ორივე („ზენა“ და „ქვენა“) სოფლის მიმართ და ამ სოფელთა ორგანიზაციულ გაერთიანებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა.

„ქართლის“ (მცხეთა-არმაზის) უპირატესობა, გარკვეულ დროს რომ აგრე რელიეფური ჩანს, მე მუდამ მაწუხებდა იმ მხრით, რომ ის (უპირატესობა) ნაგვიანევ მოვლენად გამოიყურებოდა, რამდენადაც ამ უპირატესობის უზრუნველყოფის უმთავრეს მომენტად ღიდი გზასაყარი (ბაჟი) მიმაჩნდა, თუმცა, ითქვას მართალი, არც ასეთი ახსნა მეჩვენებოდა დამაკმაყოფილებლად, რამდენადაც ქართლის (მცხეთის) უმდიდრეს სამაროვანთა მონაცემები ამ ჩემს „ქართლში“ ქრონოლოგიურად არ თავსდებოდა. და გუნებაში, თავისთვის მუდამ ვეძებდი ასეთი უპირატესობის სხვა მომენტებს.

გორებზე დაკვირვებამ თრიალეთის ყორღანეთის ახლებურად დანახვის საბუთი მომცა. ამ ყორღანთა აღმომჩენის ჩივილმა იმის შესახებ, რომ მას არ დასცალდა ამ ძეგლების სინქრონული ნამოსახლარების აღმოჩენა, რასაც ის, როგორც ჩანს, იქვე თრიალეთში ვარაუდობდა (Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, 100 და სხვა), ჩემს წინ საკითხი დასვა ამ ყორღანთა სინქრონული საცხოვრისების ბარში დაგულვების შესახებ. ამასვე მიკარნახებდა ქვემო ქართლის ბარის ნამოსახლარების სავარაუდო ურთიერთდამოკიდებულება ამ ქვეყნის მთიანეთთან. მაინცდამაინც თვალში საცემი მეჩვენებოდა ბედენის (ყორღანეთისა) და თეთრი წყაროს არქეოლოგიური ძეგლები ურთიერთთან კავშირში...

გვიანი ტრადიციით (IV ს. ახ. წ.) თრიალეთ-ჯავახეთის მთია-

ნეთში ქართლის ბარის საზაფხულო საძოვრებია. კერძოდ, ამ მცხეთელთა მეურნეობა დადასტურებულია („მოქცევაჲ“, 116).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს წინ ბუნებრივად დაისვა საკითხი ამ მოვლენის ხასიათის შესახებ.

და აი 18. VII. ჩემს მოსაუბრე ნინასთან ვსვამ საკითხს, რატომ არ არის მოსალოდნელი, რომ სამთავროსა თუ კარსნის სამაროვანს კავშირი ჰქონდეს თრიალეთის ყორღანეთის კულტურასთან-მეთქი.

ჩემმა მოსაუბრემ ბოდიშით გაიხსენა ჩემთვის გადმოსაცემად განზრახული ცნობა, რომ ამხ. კიაზო ფიცხელაურს ამ დღეებში სამთავროს სამაროვანზე ყორღანული სამარხი გაუთხრია და შიგ სხვათა შორის თრიალეთის ყორღანთა ოქროს ნივთების მსგავსი მასალა აღმოუჩენია. მე ვნახე ამხ. ფიცხელაურის მიერ აღმოჩენილი ძეგლი. ის მრავალმხრივ საინტერესოა და ზედმიწევნით შესწავლას მოითხოვს, მაგრამ სახელდახელო დაკვირვებაც კი, ვფიქრობ, საკმაოდ მოწმობს, რომ თრიალეთის ყორღანეთის კულტურა უეჭველ კავშირში იმყოფება სამთავროს სამაროვნით წარმოდგენილ კულტურასთან და რას შეიძლება ჰგულისხმობდეს ასეთი კავშირი ბარსა და მთას შორის თუ არა „ყიშლაღ“-„იალაღის“ მეურნეობით თანამშრომლობას?...

კატეგორიული მტკიცება რისამე ამ საკითხის გარშემო ჩვენს პირობებში ნაადრევია. გორათა არქეოლოგია ჩვენში მხოლოდ ახლა გაიშალა, თუმცა მისი მონაცემები უკვე ისეთი მრავალმეტყველი ჩანს, რომ ჩვენ აქედანვე შეიძლება მტკიცე იმედი ვიქონიოთ ქართლის მთისა და ბარის ურთიერთობის პრობლემის მეცნიერული გადაჭრისა.

„მოქცევაჲ ქართლისაჲთ“, „სარკინე ქალაქი“ მცხეთა-ქალაქის და არმაზ-ქალაქის უწინარესია („მოქცევაჲ“, 81).

სარკინეს გათხრებმა კიდევ ერთი გაკვეთილით დამოძღვრა ჩვენი მკვლევრები (მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი VII К скифской проблеме в связи с вопросом о саках, каспах и берах): სარკინეში მეტალურგიის ძველი საწარმოს დიდი ნაშთები უცილობლად დადასტურდა. შემდგომი მუშაობა (გათხრა-შესწავლა) იმედია გაარკვევს ამ ძეგლის რაობას და მის მნიშვნელობას მცხეთა-არმაზის დაწინაურების პროცესში, თუმცა დღესაც საფუძვლიანი ჩანს ვარაუდი, რომ სარკინეს მეტალურგიამ, თრიალეთ-მცხეთა-არმაზის მეურნეობითმა თანამშრომლობამ მესაქონლეობაში, ბარულმა მიწის მოქმედებამ (პლუს ხელოსნობა) და დიდმა საბაჟომ შეუქმნეს მცხეთა-არმაზს განსაკუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული უპირატესობანი და ის დიდი მნიშვნელობის ცენტრად აქციეს (ა. აფაქიძე, მცხეთა ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი). ახლა საჭიროა ოღონდ გაირკვეს თუ როდის და როგორის ერთ-დათანობით ხდებოდა ხსენებულ ხელსაყრელ პირობათა წარმოქმნა და მათი თავმოყრა.

დღეს ჩვენს მეცნიერებას საშუალებაც გააჩნია და ღონეც შესწევს ამ საპატიო მეცნიერული ამოცანის გადაჭრისათვის. (6, 4. ფურც. 154—164).

15. ქ ცა I, ლეონტი, 120_{20}

მცხეთაში სასწაულს ხედავდნენ. განთიადისას ორი ვარსკვლავი მცხეთიდან ერთი აღმოსავლეთის და ერთი დასავლეთის მიმართულებით ბიდიოდა. ჰკითხეს ნინოს. „მან თქუა: განავლინენით კაცნი მთათა ზედა მაღალთა აღმოსავალით ვიდრე კახეთის მთამდე და ღასავალით ვ ი დ რ ე ს ა ნ ა ხ ე ბ ა მ დ ე ა მ ი ს ქ ა ლ ა ქ ი ს ა; და ოდეს გამობრწყინდენ მთიებნი იგი, ნახონ თუ სადა დადგენ, და მუნცა აღემართნენ ჯუარნი ესე ქრისტესნი“...

მეორე დღეს მოვიდნენ მეთვალყურენი, ისინი იდგნენ „მ თ ა თ ა ზ ე დ ა ქ უ ა ბ თ ა თ ა ვ ი ს ა თ ა“, და თქვეს, რომ ვარსკვლავი „ამაღლდა და მიიწია მ თ ა ს ა ზ ე დ ა თ ხ ო თ ი ს ა ს ა, გარდასავალსა ზ ე დ ა კ ა ს პ ი ს ა ს ა“.

თითქო ესაა მ ც ხ ე თ ი ს ს ა ნ ა ხ ე ბ ი.

ესაა მცხეთის „სამოქალაქო“ ანუ მცხეთა და მ ი მ დ გ ო მ ი მ ი ს ი ქ უ ე ყ ა ნ ა (მ—2, 6. ფურც. 57).

16. ნ. მარი, Боги... 14—15

სულ სხვა რიგად, სხვა ვითარებისათვის და სხვა დროისათვის ესმის ნ. მარს „С усилением христианства было связано, пожалуй, и перемещение политического центра...“

მე კი სულ სხვა მგონია.

ნ. მარით უკუღმა გამოდის: ტფილისი არმაზს უპირისპირდება როგორც ქრისტიანობის საყრდენი (ტფილისშია შუშანიკი დამარხულიო...) და ავიწყდება, რომ სვეტიცხოველი და ჯვარი, ანტიოქია და სამთავრო მცხეთასაა.

დაპირისპირება იყო, მაგრამ სულ სხვა რიგის: ქართლ-არმაზი უპირისპირდება მცხეთას, მართლაცდა ქართლ-არმაზში ქრისტია-

ნული კულტი არც ჩანს („ნინო"-ს დათარიღება აქაც დიდი მნიშვნელობისა იქნებოდა...).

ასე რომ მცხეთის ათხელება და ტფილისის განდიდება, რომ მოაქვს და ლეონ მელიქსეთ-ბეგი რომ იმეორებს, სულ სხვა ვითარების აღმნიშვნელი მოვლენა უნდა იყოს.

და ეს მოუვიდა მარს იმიტომ, რომ ის ვერ უპირისპირებს ერთიმეორეს ქართლს (არმაზს) და მცხეთას... (6, 4. ფურც. 107).

17. რას ნიშნავს გამოთქმა: „მცხეთაჲ თხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალაჲ განდიდნებოდა", იმას, რომ მცხეთის მოსახლეობა თბილისში გადმოდიოდა, რომ, მაშასადამე, ეს იყო ქალაქის მოსახლეობა ვაჭარ-ხელოსნები და არა სოფლის მოსახლენი, რომელთა ასეთი მოძრაობა წარმოუდგენელია. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ მცხეთა-ქალაქის ეს მოსახლეობა ერთბაშად კი არ ამდგარა (ან ერთბაშად კი არ აუყრია ვისმე, როგორც ეს აღმოსავლეთის დესპოტიებში ხდებოდა) და გადმოსულა ამ ახალ ქალაქში, არამედ თანდათან. მემატიანის გამოთქმა ძალიან ნიშანდობლივად გამოხატავს ამ პროცესს ნამყო უსრულის ფორმით. და მართლაც ეს პროცესი სამ საუკუნეს გრძელდებოდა და უეჭველია, დაკავშირებული იყო არა მარტო საგარეო და საშინაო ხასიათის პოლიტიკურ მოვლენებთან, არამედ უაღრესად დიდმნიშვნელოვან ეკონომიური და სოციალური ხასიათის ფაქტორებთან...

ამჟამად ჩვენ ყურადღებას იქცევს ის, რომ ამ მოწმობის მიხედვით მცხეთა (და თბილისი) ნამდვილი ქალაქია მისი მოსახლეობის ხასიათით (და არა მმართველი გვარის (გენეს) გამაგრებული სადგური, რომლისაგან დამოკიდებული იყვნენ აქვე, აგარაებში მცხოვრები სოფლელნი...). ეს ფაქტი კარგა ხანია დადგენილია არქეოლოგიის მიერ, ოღონდ — არა აგრე დამაჯერებლად და ცხადად...

მოკლედ: შესანიშნავი ფაქტია აღნიშნული იმისა, თუ როგორ თანდათან ხდებოდა იბერიის დედაქალაქის გადანაცვლება იმ დიდ პროცესთან დაკავშირებით იბერია რომ ამ დროს განიცდიდა: მისი ეთნიკურ-პოლიტიკური საზღვრების გაფართოება აღმოსავლეთისაკენ (თბილისი-უჯარმა-ჰერეთი) მისი (იბერიის) სამეურნეო და კულტურული აღმავლობის საფუძველზე... (მ—2, 19. ფურც. 14).

18. რას მოწმობს ის, რომ მეგრელი თბილისს უწოდებს „ქ ა რ თ ი ს“, — იმას რომ მეგრელი მცხეთასაც უწოდებდა „ქართის“? ეს კი იმას ნიშნავს, რომ „მცხეთა“ უფრო გვიან გაჩნდა, ვინ ... უფრო გვიან გ ა უ პ ი რ ვ ე ლ ე ს დ ა, ვიდრე ქართლი. და მართლაც ამის კვალი თითქო ლეონტისთანაც მოიპოვება; მცხეთოსი ქართლოსის შვილია. მცხეთა ქალაქი ქართლი ქალაქის შემდეგ ჩნდება...

საქმე ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: იყო მცხეთა, ის დაჩრდილა ქართი-მ. მეგრელმა ეს ტერმინი შეითვისა. შემდეგ მცხეთა გაძლიერდა და ქართ-არმაზი დაჩრდილა, მაგრამ მეგრულმა ის ძველივე სახელი ქართი შეინარჩუნა და შემდეგ თბილისზეც გადაიტანა... (მ—2, 19. ფურც. 17).

19. თბილისი XI საუკუნეში (გაერთიანების ხანის დასაწყისიდან და განსაკუთრებით X—XI ს-ში) სულ სხვა მნიშვნელობის ქალაქია, ვიდრე აქამდის. იმისდა კვალად რაც ამიერკავკასიის ეკონომიური მთლიანობა სულ უფრო და უფრო ხელშესახები ხდებოდა, რასაც ასე დაჟინებით მეტყველებდა „გაერთიანების ხანის“ მოვლენები, თბილისის მნიშვნელობა ამიერკავკასიის გაერთიანების საქმეში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა...

V—VI ს-ში თბილისი მცხეთას პირველობას გამოსტაცებს უმთავრესად პოლიტიკურ ნიადაგზე, როგორც ეკონომიური მნიშვნელობის პუნქტს მას ამ დროს მცხეთის წინაშე რაიმე დიდი უპირატესობა თითქოს არ უნდა ჰქონოდა...

სულ სხვა გარემოება ჩანს X—XI ს-ში: თბილისი ძევს იმ ქვეყნების ცენტრში, რომელნიც აქამდის დანაწილებულნი, ერთიმეორის „გადაყლაპვის“ ძლიერ იმპულსებს განიცდიან... თბილისი დაკავშირებულია მთელ რიგ ქალაქებთან ამიერკავკასიაში და მის გარეთაც სავაჭრო ურთიერთობით. თბილისი უშუალო ეკონომიურ მთლიანობას ქმნის სხვა ასეთსავე ქალაქებთან ამიერკავკასიაში. დვინი, რომელიც აქამდის პირველობდა და ამიერკავკასიის პოლიტიკური ცენტრის როლს ასრულებდა არაბთა მფლობელობის ხანაში, ამიერიდან ასეთ როლს ველარ ითამაშებდა. „გაერთიანება“ ახლა სამხრეთიდან კი არ მოდის, არამედ თვით ამიერკავკასიაში წარმოიშვის (ჩრდილოეთის გზის მნიშვნელობის ზრდა არაბთა ეპოქაში და შემდეგ, ზრდის თბილისს) და დვინი ასეთ პროცესის გარეშე რჩება, ამდენადვე თბილისის მნიშვნელობაც სულ სხვაა ახლა. კერძოდ გაერთიანებულ საქართველოსათვის ის ისევე აუცილებელია, როგორც თვით ქართლი და ამიტომაც მოხდა, რომ იმან,

ვინც საქართველო და შემდეგ ამიერკავკასია გააერთიანა, მანვე ყოველივე ეს ტფილისის შემოერთებით, უკეთ თბილისში გადატანით (ისტორიკოსს კარგად ესმის ეს) დაასრულა. ... რომ თბილისი დავითმა ბოლოს აიღო (1122 წ.) მოწმობს, თუ რაოდენ მძიმე საქმედ ჰქონდა მას წარმოდგენილი ამ უმნიშვნელოვანესი ადგილის დაპყრობა...

V—VI ს-ში თბილისი ქართლ-კახეთის ცენტრი იყო. თუ ოდესმე ამ უძველეს ხანაში ადგილი ჰქონდა „აღმოსავლეთ“ და „დასავლეთ“ საქართველოს გაერთიანებას, ეს მხოლოდ მოკლე ხნით და პოლიტიკური გაერთიანება უნდა ყოფილიყო (საეჭვოა საერთოდ რომ ასეთ რასმე ჰქონოდა ადგილი) და ყოველ შემთხვევაში თბილისი აქ არაფერ შუაში იყო. თბილისი აღმოს. ამიერკავკასიის ცენტრი სპარსელთა პოლიტიკურ მიზნებთან დაკავშირებით გახდა... საქართველოსათვის კი ის ქართლ-კახეთის გაერთიანების მაჩვენებელი იყო. მართალია მცხეთაც ასეთი გაერთიანების ცენტრი იყო (ე. ი. მცხეთის მეფეები ქართლ-კახეთს აერთიანებენ), მაგრამ მას შემდეგ, რაც კახეთი და კუხეთი გაერთიანდა (და ეს მოხდა VI—VII ს-ში), ე. ი. მას შემდეგ რაც კახეთის ცენტრი უკვე ივრის ხეობა (უკეთ მისი ჩრდილო ნაწილი) კი აღარ იყო, არამედ ალაზნის ნაპირები და ივრის ქვემო აუზი, ამის შემდეგ ქართლ-კახეთის გამაერთიანებელი ცენტრი ბუნებრივად თბილისში უნდა ყოფილიყო (უკეთ თბილისში უფრო, ვიდრე მცხეთაში). ქართლის ცალკე არსებობის პირობებში თბილისი მისი ცენტრი ვერ იქნებოდა, ის ქართლის ცენტრად შექმნილი არაა. მცხეთაც კი ქართლის (მხოლოდ ქართლის) ცენტრი არაა, არამედ ქართლ-კახეთისა (ძველი კახეთის). თბილისი კი ქართლისა და კახეთის (შემდეგი კუხეთის). ამიტომაც იყო, რომ ქართლის ცალკე არსებობისას თბილისი და მცხეთა კი არა, არამედ უფლისციხე იყო მისი ცენტრი... (2, 16. ფურც. 259—260).

[ქართის ტომის არეალი]

1. კარებზე საუბრისას[1] მოაყოლე, რომ ეს კარ-ები (ყარსი, ბაშკადიკლარები, კლდეკარნი, არზრუმი და სხვა კარები ტაო-

[1] ავტორს განზრახული ჰქონდა თავისი ნაშრომისათვის „გზები ძველ საქართველოში“ დაემატებინა ცალკე თავი — „კარნი“. საამისო მასალა მოგროვილი ჰქონია და მოხსენებადაც წაუკითხავს ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების სხდომაზე: 1950 წ. 10/XI. იხ. ნ. ბერძენიშვილი, გზები ძველ საქართველოში, თბ., 1966, გვ. 116.

ში) შეიძლება არა მარტო გასავალს, არამედ უფრო ძველად მ ო-
ს ა ხ ლ ე ო ბ ა ს, ს ა ხ ლ ს; გ ვ ა რ ს, კ ე რ ა ს ნ ი შ ნ ა ვ ს ...
რომ ეს ქვეყანა ამ „კარებით“ შეიძლება იყოს ნაკვალევი ქართის ტომის განსახლებისა უძველეს დროს, რომ ეს ზ ე გ ა ნ ი უნდა ყოფილიყო ქართის ტომის სიძლიერის პირობა (მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა, მ ე ხ ო რ ბ ლ ე ო ბ ა, მ ე ტ ა ლ უ რ გ ი ა), რომ თრიალეთის კულტურა ამის ნიშანია, რომ ეს კულტურა არ შეწყვეტილა, რომ ის გადაიზარდა მ ც ხ ე თ ი ს ქ ა რ თ ლ ი ს კ უ ლ ტ უ რ ა-
შ ი...

კ ა რ ი ამ რაიონში მოწმობაა იმისა, თუ რა ენაზე საუბრობდნენ ეს „კარელები“. შუაბრინჯაოს ხანაში და შემდეგ. რომ „არიან ქართლი“ მხოლოდ ამას შეიძლება მოწმობდეს... რომ ამასვე მოწმობენ ურარტული წყაროები (გ. მელიქიშვილი).

იმის ახსნაა საჭირო, თუ რა საფუძველს ემყარებოდა ქართის ტომის სიძლიერე, მისი უნარი სხვა მომძე და არამომძე ტომების გადაყლაპვისა. ხომ აშკარად ჩანს (ტოპონიმიკა), რომ ამ ტერიტორიაზე, სადაც ახლა ქართები სახლობენ, სხვა ტომებსაც უცხოვრიათ, რომ მაშასადამე ეს ტომები გადაშენებულან, (წასულან, შერწყმულან, ამოწყვეტილან), ისიც კარგად ჩანს, თითქო, რომ ქართის ტომი შუა ამიერკავკასიიდან უტევს, რომ მთიანეთს უფრო დიდხან შერჩენენ არაქართის ტომები.

რა უპირატესობა ჰქონდა ამ ქართის ტომს? აქაა არქეოლოგია საჭირო. ქართის მეტი განვითარებულობა, ქართის ტომის მეტი ორგანიზებულობა, ქართის ტომის ბუნებრივი (გეოგრაფიული) უპირატესობანი გადამჭრელი ხასიათისა შუაბრინჯაოს ხანაში (მესაქონლეობა+მეხორბლეობა+მეტალურგია). ქართის ტომის მიერ დაპყრობა-შერწყმა სხვა ტომებისა და შემდეგ თანდათან მისი სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად გარდაქმნა (კლასობრივი ურთიერთობის წარმოქმნა) მას განუზომელ უპირატესობას ანიჭებდა სხვა ტომებთან შედარებით და მოხდა უ დ ი დ ე ს ი ნ ა ხ ტ ო მ ი: ქ ა რ თ ი ს ტ ო მ მ ა მ ც ხ ე თ ა დ ა ი პ ყ რ ო დ ა ა ქ შ ე ქ მ ნ ა ა ხ ა ლ ი ქ ა რ თ ლ ი.

ა მ ი ს შ ე მ დ ე გ ა მ ტ ო მ თ ა შ ე რ წ ყ მ ა კ ი დ ე ვ უ ფ რ ო ს წ რ ა ფ ი ნ ა ბ ი ჯ ი თ წ ა ვ ი დ ა.

ქართი ტომიყლაპია: იბერები, მესხები, ზიდრიტები, კახები, ჰერები, ფხოვი, ჭართალი, ბაზალი, დუალი, ეგრი, სვანი, აფხაზი, აფშილი, სანიგი (მ—2, 19ა. ფურც. 5—6).

2. „სპერის ზღვა“ ქართულად, ქართველებისათვის, გამ-
მოდის სპერები (სასპერები...) იყო ხალხი (არაქართი) ზღვისპირეთ-
(რაღა დღეშია თეორია საბერ-იბერი?) (წიგ-
ნი 2, ფურც. 65).

3. ᲫᲪᲐ I, ლეონტი 8_{12}

„შემდგომად ამისსა ამანვე ქართლოს აღაშენა ციხე ორბისა, რომელსა აწ ჰქვან სამშვილდე, და კუალად აღაშენა მტუერის ციხე, რომელსაც აწ ჰქვან ხუნანი“.

ამრიგად, სამშვილდე (გაჩიოსის სამფლობელოს ცენტრი) და ხუნანი (გარდაბოსის სამფლობელოს ცენტრი) აღაშენა ქართლოსმა (ისევე როგორც „ქართლი“).

ამ სამ ციხეს აშენებს ქართლოსი, სხვებს კი მისი ცოლი (დედაციხე, ბოსტან-ქალაქი), შვილები და შვილიშვილები (მცხეთა, ჩელეთი, ოძრჯე, თუხარისი, წუნდა, ჰური, უფლისციხე, ურბნისი, კასპი). (მ—2, 2. ფურც. 182).

4. ლეონტი, როგორც მთლიანად, ისე ნაწილ-ნაწილ მოხაზავს ქართლოსიანთა ქართლს: ქართლოსის ქართლს, გარდაბოსის ქართლს, გაჩიოსის ქართლს, კუხოსის ქართლს, კახოსის ქართლს, მცხეთოსის ქართლს. სხვა დანარჩენი ქართლი ასევე განუყოფელი რჩება და მხოლოდ მცხეთოსის წილი ქართლი იყოფა ჯავახოსის, ოძრჯოსის და უფლოსის წილ ქართლებად. უეჭველია ასეთი კონცეფციის აშენება ლეონტის აიძულა რაღაც რეალურმა ვითარებამ, უნდა ვიფიქროთ, იმ გარემოებამ, რომ ჯავახოსის და ოძრხოსის წილი ქართლი მაინც განსხვავდებოდნენ როგორც ურთიერთისაგან, ისე უფლოსის წილ ქართლისაგან...

ლეონტის წარმოდგენით, მთელი ეს ქვეყანა თანაბრად ქართლია, რომელიც დანაწილებულია შვილებსა და შვილიშვილებს შორის...

თუ ლეონტის იმ თვალსაზრისს მივყვებით, რომ ამა თუ იმ მემკვიდრეს წილი ეძლევა არძანგებისაებრ მათისა (= „ღირსებისაებრ მათისა“), ხოლო მცხეთოსის (და შემდეგ უფლოსის წილი) ის იყო, რომელიც მას ერგო ვითარცა უგმირეს, უნდა დავასკვნათ, რომ შიდა ქართლი ითვლება „უმჯობესი ქუეყანისად“, ეს უკვე სათარიღო მომენტია: შიდა ქართლი ასეთად განიხილებოდა მცხეთის გადედაქალაქების შემდეგ... (მ—2, 3. ფურც. 172).

5. ეს საკითხი სახელდახელოდ არ გადაწყდება და ხანგრძლივ, მრავალმხრივ კვლევას საჭიროებს, მაგრამ ჩვენ უცილობლად ვფიქრობ ჩვენება, რომ ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ამ საკითხისადმი მიდგომა დიდად ხელს შეუწყობს მის მართებულ შესწავლას. მაგალითად, ხომ გარკვევით ჩანს, რომ ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინი ქართლი რომელიმე X—XI საუკუნეში სამი სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა...

თარგამოსმაო, მოგვითხრობს ლეონტი, „მისცა ქართლოსს და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისი; დასავლით ზღუა პონტოსი; სამხრით მთა, რომელი მოჰყვების ბერდუჯის მდინარის თავსა, და მთა, რომელი მიჰყვების დასავლით კერძო, რომლისა წყალი გარდმოდის ჩრდილოთ კერძო და მიერთვის მტკუარსა, რომელ მიჰყუების მთა შორის კლარჯეთსა და ტაოს ვიდრე ზღუამდის; და ჩრდილოთ საზღვარი ღადო, მთა მცირე, რომელი გამოვლის შტოდ კავკასისაგან და მოჰკიდავს წუერი დასასრულსა ღადოსა, რომელსა აწ ჰქვან ლიხი. და ამათ საზღვართა საშუალ მისცა ყოველი ქართლოსს“ (ქცა I,4—5).

ეს იყო, იგულისხმება, ქართლოსის ქართლი; ეს ქართლი ქართლოსის ცოლმა შვილებს ასე დაუნაწილა:

1. „გარდაბოსს მისცა ხუნანი და უჩინა საზღვარი“. (ქც-ა, 8).

2. „გაჩიოსს მისცა ორბის ციხე და სკვრეთის მდინარითგან ვიდრე თავადმდე აბოცისა“... (9).

3. „კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი“... (9).

4. „კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შორის“... (9).

5. „ხოლო მცხეთოს, რომელი უგმირე იყო ძმათა მისთა, ესე დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქართლოსისათა, რომელსა აწ ჰქვან არმაზი, და მანვე აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკურისა და არაგვსასა, და უწოდა სახელი თვსი მცხეთა. და დაიპყრა ქუეყანა ტფილისითგან და არგვთგან დასავლით ვიდრე ზღუადმდე სპერისა“ (9).

მცხეთოსმა კი თავის შვილებს უფლოსს, ოძრჯოსს და ჯავახოსს განუყო ქვეყანა“:

1. „ოძრჯოსს მისცა ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა... (9).

2. „ჯავახოსს მისცა ფანავრითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა“. (10).

3. „ხოლო უფლოს დარჩა საყოფელსა მამისა მათისა მცხეთოსისსა მცხეთას. და ეპყრა ქ უ ე ყ ა ნ ა არაგვთგან და ტბისაგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავრადმდე. და ამან აღამენა უფლისციხე, ურბნისი, კასპი, არაგვთგან და არმაზითგან ვიდრე ტასისკართამდე უწოდა ამას ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა ზ ე ნ ა ს-ს ო ფ ლ ი ს ა (რა უწოდა?), რომელსა აწ ჰქვან შ ი დ ა ქ ა რ თ ლ ი“. (10).

ეს იყო, იგულისხმება, უ ფ ლ ო ს ი ს ქ ა რ თ ლ ი (= ზენა სოფელი, შიდა ქართლი).

მესამე რიგის ქართლის ტერიტორია გიორგი მერჩულემ მოხაზა.

ამრიგად „ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი, ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“. (8). მაშასადამე, იგულისხმება, იყო ქართლოსის ქართლი, რომელშიაც შედიოდა კახოსის ქართლი, კუხოსის ქართლი, გაჩიოსის ქართლი, გარდაბოსის ქართლი, მცხეთოსის ქართლი.

ამ უკანასკნელში კი შედიოდა ოძრჯოსის ქართლი, ჯავახოსის ქართლი და უფლოსის ქართლი.

მაგრამ ყურადღებას იპყრობს ორი გარემოება. პირველი ისა, რომ ყველა ამ „ქართლებს“, გარდა საერთო სახელისა „ქართლი“, საკუთარი სახელი გააჩნიათ კახეთი, კუხეთი, სამცხე (ტლარჯეთით), ჯავახეთი; მხოლოდ სამ ქართლს (გარდაბოს, გაჩიოს და უფლოსის წილს) არ გააჩნიათ სხვა საკუთარი სახელი.

უფლოსის წილი „შიდა ქართლი“, ან მისივე სახელი „ზენა სოფელი“ მოწმობს, რომ სხვა ქართლიც იყო, რომელსაც „ქვენა სოფელი“ და „გარე ქართლი“ უნდა რქმეოდა. ასეთი სახელი კი უნდა რქმეოდა გარდაბოსისა და გაჩიოსის წილ ქართლს.

ამიტომაც იყო, რომ მათ სხვა საკუთარი სახელი არ ჰქონდათ და მსგავსად უფლოსის წილი ქართლისა ქართლადვე იწოდებოდნენ. იაკობ ცურტაველის ცნობით, გაჩიანი (=ცურტავი) ქართლში იგულისხმება... ამასვე მოწმობს „ქართლის სომხითი“. ამრიგად გამოდის, რომ ქართლი ეწოდება განსაკუთრებით გაჩიოს-გარდაბოს-უფლოსის წილს. სხვა საკუთარი სახელი ამ ქვეყნებს არა აქვს, მაშინ როცა ყველა დანარჩენს ასეთი საკუთარი სახელი აქვს.

სახელი „ზენა სოფელი“ გამორიცხავს აქ ნაგულისხმევ „სოფლისაგან“ ოძრჯოს — ჯავახოსის წილ ქვეყნებს, ე. ი. სამცხეს აჭარით, კლარჯეთს და ჯავახეთს არტანით, ხოლო „შიდა ქართლი“ (თუ შინა ქართლი) გულისხმობს გარე ქართლის არსებობას (შდრ. „შიდა ეგრისი“, შიდა კახეთი, გარე კახეთი). ასე რომ ლეონტის კონცეფცი-

ასთან შეუთანხმებელი ჩანს ისტორიულ-გეოგრაფიული ჩვენებანი: ქართლი, შიდა და გარე (ანუ ზემო და ქვემო), ანუ ზენა სოფელი (ანუ ქვენა სოფელი) ეწოდება განსაკუთრებით უფლოს-გაჩიოს, გარდაბოსის წილ ქვეყანას. და ეს იმიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ რეალურ-ისტორიულად „ქართლი" სწორედ ეს ქვეყანა იყო და სხვა დანარჩენი ქართლი ეს იყო პოლიტიკური ქართლი, საკუთრივ ქართლის ტომის ინიციატივით კლარჯეთ-სამცხე-ჯავახეთის და კახეთ-კუხეთის ტომთა ქართიზაცია-ასიმილაციის შედეგი.

ასე რომ დასაშვები ხდება ფიქრი, რომ ლეონტის ეს ისტორიულ-გეოგრაფიული კონცეფცია იმ გვიან ხანაში არის შემუშავებული, როცა დიდი პროცესი იბერია-ქართლის წარმოქმნისა დასრულებულია, როცა ქართლშია გაერთიანებული ქართველი, თუ არაქართველი მოდგმის არაერთი ტომი. აი ამ პროცესის ნაკვალევი არის ის ფაქტი, რომ გაჩიოს-გარდაბოს-უფლოსის წილს „ქართლის" გარდა სხვა სახელი არ ეწოდება (ლეონტის თეორიით მათ უნდა სწოდებოდათ გაჩეთი, გარდაბეთი და უფლეთი. თუმცა გაჩიანი და გარდაბანი ამ მხარეების სახელები ერთგვარ სხვებურობასაც თითქო ამჟღავნებენ...), აგრეთვე ის ფაქტი, რომ ქართლოსის ქართლში ყველა სხვა ნაწილს თავისი საკუთარი სახელი შერჩენია (კახეთი, კუხეთი, ჯავახეთი, სამცხე, აჭარა, კლარჯეთი, შავშეთი, არტანი) და შერჩენია ისე მტკიცედ, რომ ქართლოსიანთა ქართლის წარმოქმნისა და მრავალ ასეულ წელს ამ ქართლის არსებობას ის საკუთარი სახელები ვერ გაუქრია. ჩვენ, რა თქმა უნდა, საქმეს ისე არ წარმოვიდგენთ, როგორც ეს ლეონტის კონცეფციით იგულისხმება, რომ პირველად იყო ქართლოსიანთა ქართლი და შემდეგ გაჩნდა ყველა ეს კახეთ-კუხეთ-სამცხე-ჯავახეთ-კლარჯეთი, გაჩიანი და გარდაბანი და თვით უფლოსის „ზენა სოფელი", რომელსაც ლეონტის აზრით შემდეგ შეერქვა „შიდა ქართლი". პირიქით, ისტორიულ-გეოგრაფიული დაკვირვება იმას გვიკარნახებს, რომ ეს ერთეულები თავისი სახელებით ამ ქართლოსიანთ ქართლზე უფრო ძველია და თვით უფლოსის ზენა სოფელი და გაჩიოს-გარდაბოს-უფლოსის ქართლი უფრო ძველი წარმონაქმნია, ვიდრე ქართლოსიანთ ქართლი, რომ გაჩიოს-გარდაბოს-უფლოსის ქართლი იმავე რიგისა და ხარისხის ქვეყანაა, როგორც ყველა სხვა. ესაა ოღონდ, რომ ეს ქართლი გამაერთიანებლის როლში გამოვიდა და ქართლოსიანთ ქართლი შექმნა.

ამრიგად ჩვენი დასკვნა ასეთი შეიძლება იყოს: იყო ქვეყანები: კახეთი, კუხეთი, ქართლი (ზენა სოფელი, შიდა ქართლი, ქვემო სოფელი, გარე ქართლი), სამცხე, კლარჯეთი, ჯავახეთი. თითოეული ამათგანი, უეჭველია, კიდევ უფრო მცირე ერთეულთა შერწყმის შედეგად წარმონაქმნი ქვეყანაა. ყველა ესენი ურთიერთის მეტნაკლებად მონათესავენი არიან. რაღაც დროს, სამხედრო დემოკრატიის ხანაში ქართლის ქვეყანა ეუფლება, ჰეგემონობს სხვა ტომებს, წარმოიქმნება ქართლოსის ქართლი, რომელშიაც ეს წინარე გაერთიანებანი (ეთნიკური გაერთიანებანი) მტკიცედ ინარჩუნებენ თავიანთ ძველ სახელწოდებებს მიუხედავად იმისა, რომ რეალურად შეერწყმიან ურთიერთს და საბოლოოდ ქართს...

ჩვენი ისტორიულ-გეოგრაფიული დასკვნა მნიშვნელოვან მომენტს ეხება: „ქართლი" სადღაციდან მოტანილი სახელი კი არაა და ქართლის ტომი „ქართლის" ტომობით სადღაციდან მოსული კი არაა, არამედ აქვე კავკასიის გეოგრაფიულ არეზე წარმოქმნილი ქვეყანაა. „ქართველურ" ტომთა შორის ერთ-ერთი ტომია ამიერკავკასიაში. ამის მოწმობაა, რომ მხოლოდ მას ჰქვია „ქართლი". თუ ასე არა, მაშინ ქართლი სწორედ სამცხე-ჯავახეთ-კლარჯეთს უნდა სწოდებოდა. ხომ ვერ წარმოვიდგენთ, რომ იმ ქვეყნებს ლეონტის თანახმად, თავდაპირველად ქართლი ერქვათ და ეს საკუთარი სახელები შემდეგ შეიძინეს. უნდა წარმოგვედგინა, რომ კახეთ-კუხეთსაც თავდაპირველად ქართლი ერქვა და კახეთი და კუხეთი შემდეგ, გვიან, შეიძინეს. ყველა მოსაზრებით ჩვენ ეს მიუღებლად მიგვაჩნია (არქეოლოგია, ისტორია, ისტორიული გეოგრაფია)...

ყველა ამას ამაგრებს და, ვფიქრობთ, ასაფუძვლებს საგეოგრაფიო სახელი ქართლი, ქართლის კარი, შიდა და ქვემო ქართლის საზღვარზე. ეს ფაქტი ყოველად რეალურ-ისტორიულია და დიდად ანგარიშგასაწევი. საეჭვოა და თავდაყირა დასაყენებელი ლეონტის ცნობა, რომ ქართლს ქართლი ამ ადგილის მშენებლის ქართლოსისაგან ეწოდა. პირიქით კი კანონზომიერად სავარაუდებელია, რომ ქართლი პუნქტის არსებობისა და მისი დიდად გაძლიერების ფაქტს უნდა ემყარებოდეს ეპონიმ ქართლოსის გაჩენა. სამაგიეროდ ლეონტის ამ ცნობის ისტორიულ-გეოგრაფიული სახელის ინტერპრეტაციის მეორე ნაწილი მისაღებად მიგვაჩნია, ე. ი. ქვეყნის სახელი ქართლი წარმოსდგა ამ პუნქტის სახელისაგან, უნდა ვიფიქროთ, საკმაოდ გვიან, როცა ქართლის სახლმა, ქართლის გორამ, „ქართლმა" დიდი მნიშვნელობა მოიპოვა. ზენა და ქვენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელთან გამაერთიანებელი პოლიტიკური ცენტრი გახდა. ეს
გორც ვხედავთ ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისი ბუნებრივ-
ბელს ხდის საკითხი სრულიად ახლებურად დაისვას; სატომო სახე-
ლი ქართლი არსად სხვაგან არ შექმნილა და ის გარედან სადღაც
სამხრეთ დასავლეთიდან, როგორც აქამდე ივარაუდებოდა (მარი,
ჯავახიშვილი, კაკაბაძე) მოტანილი არ არის, რომ პუნქტის სახელი
„ქართლი" სატომო სახელისაგან წარმომდგარი და მაშასადამე გა-
რედან შერქმეული კი არ არის მსგავსად ალვანისა, არგვეთისა, სა-
ზანოსი, როგორც ამას აქამდე მეც ვფიქრობდი, არამედ თავდაპირვე-
ლად, ადამიანთა კოლექტივის (გორას, სახლის) სახელია, რომელ-
მაც დროთა განმავლობაში ისეთი მნიშვნელობა მოიპოვა, რომ გარ-
შემო სახლების, მომმე მეტომე გორების შემაკავშირებელი (რეცა
თავადი, ბეჭე და მოსამართლე) გამოვიდა იქამდე, რომ მთელს ამ
ფართე ტერიტორიას (მოსახლეობით) ქართლი სახელი მისცა.

ამრიგად, ივარაუდება, ზენა და ქვენა სოფელში (ურთიერთის
უახლოეს მონათესავე ტომებში) დაწინაურდა ქართლის გორა,
ქართლის სახლი, რომლის კერძო სახელი „ქართლი" მთელი ამ
ქვეყნების საერთო სახელად იქცა. სხვა გორა-სახლებიც, საგულის-
ხმებელია, იყვნენ დაწინაურებულნი („ადგილობრივი ცენტრები"),
როგორც მაგალითად, ორბის ციხე, გაჩიანი, ხუნანი და უფლისცი-
ხე, მაგრამ იმათ ისეთ მნიშვნელობას ვერ მიაღწიეს და ქვეყნის
გამაერთიანებლის ფუნქცია ვერ დაიჩემეს (თუმცა ადგილობრივი
ცენტრების მნიშვნელობა შეინარჩუნეს). ასეთ პირობებში, რო-
გორც ვხედავთ, საჭირო არ არის ტერმინი ქართლის სადღაც კავ-
კასიის გარეთ ძებნა, ისევე როგორც არ ვიწუხებთ თავს იმის ძებ-
ნით, თუ კავკასიის მიღმა და სად უნდა შექმნილიყო ტერმინები
ორბეთი, გაჩიანი, ხუნანი და სხვა ასეთი. ჩვენ ამით, რა თქმა უნდა,
ტომთა მოძრაობას და მაშასადამე, ამა თუ იმ ტომის მოსულობას
თუ წასულობას არ გამოვრიცხავთ, მაგრამ არ მიგვაჩნია აუცილებ-
ლად, რომ ეს ტომები გაფორმებულ-ჩამოყალიბებული სადღაციდან
მწყობრად მოდიან საკუთარი სახელებით და ამ სახელებს შეარქმე-
ვენ იმ თავის ახალ ადგილსამყოფელს. ვგულისხმობთ, რომ მოძრა-
ობა, ადგილის გარდანაცვლება, ერთბაშად თუ თანდათან იყო, მაგ-
რამ ჯერ ერთი ეს ყველასათვის სავალდებულო არ იყო და, სრუ-
ლიად ბუნებრივია, „ამ გადმოსახლებულთა" სახელები აქ ამ
ახალ ადგილ-სამყოფელზე შემუშავებულიყო...

ერთხელ, სადღაც შორს შემუშავებული სახელით მოძრაობა
ამა თუ იმ კოლექტივისა სრულიად აუცილებელი არ არის. კოლექ-

ტივების სახელების ცვლა ერთ ადგილზედაც კი და ეროვნული ადგილის მონაცვლეობის შემთხვევებში საყოველთაოდ ცნობილია (ამის მოწმობა ისტორიას ბევრი შემოუნახავს), და მით უფრო, რაც ესა თუ ის კოლექტივი საზოგადოებრივი განვითარების დაბალ დონეზე იმყოფება და ამ მოძრაობისა და ახალ ადგილზე დამკვიდრების პირობებში, ახალ ურთიერთობაში, უფრო მაღალ ურთიერთობაში გადადის. ასე რომ ქართლის მოტანილობის დაშვებისას უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს კოლექტივი მტკიცედ ჩამოყალიბებულა სადღაც შორს, განვითარების მაღალი დონისათვის მიუღწევია და შემდეგ დაძრულა ამ თავის ახალ სამშობლოში... ასეთი კონცეფციის წინააღმდეგია ყველა მოსაზრება, გადაულახველი სიძნელენი, ისტორიულ-გეოგრაფიული მონაცემები და სწორედ ყველა ის, რითაც ჩვენ ეს მსჯელობა დავიწყეთ და რამაც ჩვენ ასეთი მსჯელობა გვაიძულა.

სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება პასუხი, თუ საიდან წარმოსდგა ტერმინი ქართლი (ქართნი? ქართ-ლ-ი). მარის, ჯავახიშვილის, კაკაბაძის ეტიმოლოგიები ეთნიკური წარმომავლობის (ხორძენე, ქართუელი), თუ შერქმეულობის (ქართვა) მომენტებიდან გამოდიან და ისტორიულ-მეცნიერულ დამაჯერებლობას ვერ დაიჩემებენ, მით უფრო დღეს მარქსისტული ისტორიოგრაფიული კვლევის მეთოდის პირობებში და, ბოლოს, როგორც ვნახეთ ამ თეორიებს ეწინააღმდეგება ისტორიულ-გეოგრაფიული მოსაზრებები, მაგრამ ის კი სარწმუნოდ გვეჩვენება, რომ ეს სახელი ძველისძველია (შეიძლება არც „ქართული") და საფუძველია ქვეყანა ქართლის და შემდეგ საქართველოს (ტერმინების) წარმოქმნისა (6, 4. ფურც. 134—144).

6. ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში უეჭველად ეროვნული მოვლენა იყო, ე. ი. ეს მოვლენა საქართველოს ნიადაგზე განვითარებული ურთიერთობა იყო, თავისთავადი მოვლენა იყო (მეზობელ ქვეყნების გავლენისაგან მცირედ იყო დამოკიდებული).

იბერია სამხედრო დემოკრატიის ხანისა, ისევე როგორც მონათმფლობელური, ძლიერი ერთეული ჩანს. მცხეთის გათხრებმა უეჭველად დაადასტურა წერილობითი (ბერძნული, ლათინური, ქართული) ცნობები და ხელშესახები მასალა მოგვცა ამ სიძლიერისა და ბრწყინვალების რეალურ წარმოსადგენად. სამხედრო სიძლიერე, განთქმული ლაშქარი, ქონებრივი მორჭმულობა, სასახლეები, აბანოები, ტაძრები, წყალსადენები, კეთილმოწყობილი ქალაქები (სა-

სოფლო-სამეურნეო „უბნებით“, „აგარაკებით“, საგლახაოებით), მაღალგანვითარებული გემოვნებით, ფუფუნებით, ხელოვნებამდე მისული ხელოსნობით, რკინა, კერამიკა, ბრინჯაო, ოქრო, ვერცხლი — რა თქმა უნდა ყოვლად დაუშვებელია, რომ ყველაფერი ეს უცხოური ნახელავი იყოს. ძლიერია იბერია ყოველი მხრით, სტრაბონი განსაკუთრებით საყურადღებოა იმით, თუ როგორ ახასიათებს სამ ხალხს: კოლხიდას, იბერიას, ალბანიას და მისი ეს დახასიათება სავსებით მართლდება შემდგომი ხანის ისტორიული ფაქტებით. ყველა ამ სამთაგან იბერია სავსებით გამოირჩევა როგორც კეთილმოწყობით, ისე სოციალურ-პოლიტიკური წყობის სიცხადით. ალბანია, სტრაბონით, ახლახან გამოვიდა სახელმწიფო ცხოვრების ასპარეზზე. ოცდაექვსი ტომი გაერთიანებულა (ჩანს ერთი სახელმწიფო ენა გასჩენიათ), იბერია კი იგულისხმება დიდი ხნის სამეფოა, სადაც, რა თქმა უნდა, ერთი სახელმწიფო ენა ბატონობს (ასე იგულისხმება), თუმცა შესაძლოა იბერიელ ტომებს ჯერ კიდევ ჰქონდეთ საკუთარი „ენები“ (შეიძლება ამას მიუთითებდეს მთიელ იბერიელთა განსხვავებულობა), ასევე საკუთარი ენისანი არიან ჯერ, რა თქმა უნდა, მესხები, რომელთა ნაწილი იბერიელებს დაპყრობილი აქვთ. მაგრამ ისევე როგორც არმენიაში, აქ იბერიაში ერთი სახელმწიფო ენაა. იბერია ერთი პოლიტიკური ერთეულია, მორჭმული და ძლიერი. ამას შემდეგ ჩვენ მრავალჯერ ვიდასტურებთ იბერიის ამ ვითარებას საუკუნეთა მანძილზე (ბერძნულ-რომაული წყაროები), სულ სხვა ვითარებაა კოლხიდაში. ეს ოდესმე ძლიერი ერთეული (სამხედრო დემოკრატიის ხანისა?) კოლონია-ქალაქებად და ტომებად დაშლილი ჩანს. ტომების სიმრავლე, ენების სიმრავლე და არა მხოლოდ კოლხური ნათესავის ტომებისა, არამედ არანაკლებ სარმატული ტომებისა, კარგად მოწმობს, რომ განვითარების მხრით კოლხეთი ჩამორჩება იბერიას...

საძიებელია, თუ რა მიზეზებს ემყარება ის მოვლენა, რომ ოდესმე აგრე დაწინაურებული კოლხეთი, რომლის სიძლიერე-განთქმულობით თავი მოაქვთ III—IV საუკუნის ლაზებს, აგრე დაკნინდა (იყო კი ძლიერი? სად იყო ის კოლხეთი, როგორი გაერთიანება იყო? აია-ს რიონის ხეობაში* გულისხმობენ დაბლაგომს, ვანს, ფიქვნარს...) ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ სტრაბონის დროისა და მისი მომდევნო ხანის დას. საქართველო განვითარება-სიძლიერის მხრით იბერიასთან ახლოს ვერ მოდის. საფიქრებელი ხდება, რომ იბერიამ უკეთ და უფრო ადრე დასძლია გვაროვნულ-ტომობ-

ერივი ურთიერთობა და სახელმწიფო ცხოვრების ასპარეზზე ადრე გამოვიდა, მაშინ როცა კოლხეთმა ვერ გადალახა საბოლოოდ ტომობრივი განსხვავებულობანი და ერთი მთლიანი პოლიტიკური ერთეული ვერ შექმნა. არიანეს დროის მეფენი იქამდე რეალური აღმოჩენილან, (რომს ეს კარგად შეუმჩნევია) რომ ასევე დანაწილებული რჩება დასავლეთ საქართველო გვიანაც ლაზთა პოლიტიკური ბატონობის დროს IV—VII საუკუნეებში. და ეს იმ დროს, როცა იბერია სულ უფრო და უფრო მტკიცდება და ძლიერდება, სულ უფრო და უფრო ერთიანდება, ტომობრიობა ქრება და ჰერების, მესხების, თუ კავკასიელების ადგილებზე იბერიული ჩნდება... ერთი სიტყვით სტრაბონმა იქამდე რეალური სურათი მოგვცა კოლხეთ-იბერია-ალბანიისა, რომ მათი შემდგომი განვითარება სავსებით ეთანხმება ამ დასაწყის სურათს.

ამიტომაც იყო, საფიქრებელია, რომ იბერიამ ეფექტურად „გამოიყენა“ ახალი ვითარება, რომის შემოსვლით რომ შეიქმნა ახლო აღმოსავლეთში. ხოლო მოხდა ეს იმიტომ, რომ იბერია ძლიერად იყო ნაზიარები ელინისტურ სამყაროს... (სტრაბონის მოწმობა სწორედ იმ ხანას გულისხმობს). უნდა ვიფიქროთ, იბერიის თავისუფალი განვითარება (მაშინ, როცა კოლხეთი პონტოს მეფის უღელქვეშ იმყოფებოდა), იყო იმის საწინდარი, რომ ის ადრე გამოვიდა სახელმწიფო წყობილების სარბიელზე და მხოლოდ ასეთს, ე. ი. კლასობრივი ურთიერთობის ქვეყანას, შეეძლო ეფექტურად გამოეყენებინა ელინიზმის მიღწევანი. ასე რომ იბერიაში სახელმწიფოს წარმოქმნის გადმოცემა ალექსანდრობას რომ უკავშირდება, ყოვლად ნიშანდობლივია. ისიც მართებული ჩანს, რომ ეს სახელმწიფო იმთავითვე ანტიოქიას დაუკავშირდა. ამის მოწმობა უნდა იყოს ის დამწერლობა, რომელიც იბერიის სახელმწიფო დამწერლობად ქცეულა (არამეული) და არამეულს ბერძნული შემოეჭიდა რომის შემოსვლით. ამ მხრით I—III საუკუნე ორი კულტურული გავლენის ჭიდილია. ერთი, ეროვნულად ქცეული, სირიულ-ელინისტურის და მეორე რომაულ-ბერძნულის, IV საუკუნეში ეს ჭიდილი იმით დამთავრდა, რომ გაქრა სირიულ-არამეული (არმაზული), მაგრამ არც რომაულ-ბერძნული დამყარებულა, არამედ მოხდა რევოლუცია: იშვა ქართული დამწერლობა...

სულ სხვა ვითარება შეიქმნა კოლხიდაში. ეს ქვეყანა, როგორც ჩანს, ანტიოქია-არამეულის სამყაროს გარეთ დარჩა და შავი

ზღვის აღმოსავლეთის სანაპირო ქვეყნადვე შერჩა, სადაც ბერძნული დიდი და უშუალო გავლენა იგრძნობოდა. II საუკუნიდან კი ... პონტოს სამეფოს მიერ იყო დაპყრობილი. ასე რომ ელინიზმის ... ნაში კოლხეთმა საკუთარ ფეხზე დადგომა ვერ მოასწრო (ეს კოლხური თეთრი როდის იჭრებოდა: როცა კოლხიდა თავისუფალი იყო, თუ ამისგან დამოუკიდებლად? არაფერი არ ვიცით) და რომმა მოუსწრო... და IV საუკუნეში, როცა ადრეფეოდალური ლაზიკა წარმოიშვა, მან საკუთარი დამწერლობა ვერ შექმნა და ბერძნული ენის ამარა დარჩა საერთაშორისო, თუ კულტურულ ურთიერთობაში...

რა თქმა უნდა, მონათმფლობელური იბერია აგრეთვე ეროვნულ ნიადაგზე იყო წარმოშობილი, ე. ი. წინაკლასობრივი იბერიის საწარმოო ძალთა განვითარების შედეგად იყო მიღებული. და თუ მის ეროვნულობას არ გავხაზავთ, ეს იმდენად, რამდენადაც, ვფიქრობთ, მან ჯერ კიდევ ვერ მოგვცა საკუთარი გამოკვეთილი ეროვნული სახე კულტურაში (ენა, ხელოვნება). (ამ მხრით ფეოდალური ურთიერთობა მკვეთრად განსხვავებულ სურათს გვაძლევს: მ ო ნ ე ტ ა, ე ნ ა, დ ა მ წ ე რ ლ ო ბ ა, ა რ ქ ი ტ ე ქ ტ უ რ ა, ბრძოლა ქართული ენისათვის, ბრძოლა უცხო ნათესავში ალრევის წინააღმდეგ)... სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით არავის შეუსწავლია ანტიკური იბერიის მატერიალური ძეგლები, რომ გარკვევით ვიცოდეთ, ვთქვათ, თუ რაა ადგილობრივი და რაა „უცხოური", რამდენად და რაში ახერხებს ანტიკური იბერია საკუთარი თავის გამოკვეთას საერთო ელინისტურისა, თუ რომაული სამყაროდან. „არმაზული დამწერლობა" მეტისმეტად დიდი მნიშვნელობის ფაქტია ამ მხრით რომ მიიმართება. სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით არაა შესწავლილი მცხეთის მრავალრიცხოვანი წარწერები. მეტად დამაფიქრებელია, რომ ეპიტაფიის ენა ბერძნულ-არმაზულია, ხოლო მედალიონის უინტიმესი წარწერა („ზევახ ჩემო სიცოცხლევ") ბერძნულად. თითქო მოსალოდნელი, იყო, რომ ეს წარწერა არმაზულით უნდა ყოფილიყო დაწერილი თუ კი არმაზული „ეროვნული" დამწერლობა იყო. (ან, შეიძლება, ამ მედალიონის გამკეთებელი იყო ბერძენი, ან, შეიძლება, ბერძნული ენა ზევახ კარპაკისათვის ისევე ღვიძლი ენა იყო, როგორც საკუთარი?)...

ამათზე საუბარი მაშინ იქნება საფუძვლიანი, როცა ყველა ეს წარწერა წაკითხული იქნება. ჯერჯერობით კი ასე ჩანს: კლასობრივი ურთიერთობის სარბიელზე გამოსული იბერია ჯერ ისევ ელინისტურ ხანაშივე იჩენს საკუთარი სახის წარმოჩენის ძალასა და

ულნარს. რაც დრო გადის ეს ტენდენცია უფრო ძლიერდება და სავსებით გაფორმდება ეროვნული ერთიანობა ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებასთან ერთ-ნაში.

ამას ვერ ახერხებს კოლხეთი („მერჩულე" — 6, ფურც. 11—14).

ქართის მოწინავეობისათვის

ამ საკითხისათვის მნიშვნელოვანია ის გარემოება, თუ როდის დაკარგა კოლხეთმა სპერის ქვეყანა ლითონის დიდი საბადოები, როდის შეიცვალა აქ კოლხეთი იბერიით. ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისს ეს თითქო მომხდარი ფაქტია და კოლხეთის ამ ნაწილს უძველეს დროს (კოლხეთის ცენტრს მისი სიძლიერის აკვანს) ერთის მხრით სომხეთი (არტაქსია და ზარიადრი), ხოლო მეორეს მხრით ქართი ეუფლება (ჯერ ნაწილობრივ, შემდეგ გვიანსულ მთლად). ყოველ შემთხვევაში კოლხეთს ეს ქვეყნები აღარასოდეს დაბრუნებია (და ამ კუთხის მოღვაწენი — ბაგრატიონები, ორბელიანები, მამიკონიანები თავისთვის სამოქმედო ასპარეზს სომხეთსა და იბერიაში პოულობენ...). ამ ზიანს არ შეეძლო საბოლოო ანგარიშში არ გამოეწვია კოლხეთის დასუსტება. ქართი კი სულ აღმავლობის გზით მიდის. ის მეტად ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებში მყოფი, ახალ ქვეყნებს იპყრობს, ხოლო თავის საკუთარ მხარეში წარმოებას ინტენსიურად ავითარებს („ქვემო ქართლი").

ისევ ვუბრუნდები არხების საკითხს. აღმოს. საქართველოში არხი საზოგადოების ბუნებაზე ეფექტური ზემოქმედების სარბიელია. დას. საქართველოში იმ დროის საზოგადოება ამ პირობას მოკლებულია, ის პასიური რჩება, ბუნების წყალობის შემხედვარი... ამ გარემოებას საუკუნეთა მანძილზე უდიდესი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა საზოგადოების ძალთა დარაზმვისათვის, მისი დაწინაურებისათვის... ხევები, თემები, სახევო თუ სათემო არხებით, საამისო ორგანიზაციით.

კერძოდ რუისის არხი... ეს არხი, რა თქმა უნდა, გამოტანილია არა „თამარის დროს", „რუისი" ჯერ ისევ მე-12 საუკუნის დასაწყისს მოიხსენიება, ხოლო ეს ტერმინი, უეჭველია, „რუ"-საგან წარმოდგება. გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ეს რუ გაცილებით უფრო ადრე უნდა გამოტანილიყო, რუისის დიდმნიშვნელოვნება (საეპისკოპოსო) და ურბნისის ქალაქობა განვითარებული მევენახე-

ობით (ქვევრების სიმრავლე), უეჭველია ამ არხთან არის დაკავშირებული. ასე რომ ამ არხის გამოტანა ადრეფეოდალურ ხანაში (თუ უფრო ადრე არა) მაინც უნდა დავუკავშიროთ. რა ორგანიზაციას გამოჰქონდა ეს არხი (სიგრძე, სირთულე...).. თამარს ის ad gloriam მიეწერება ან შეიძლება მის დროს მნიშვნელოვანი რაიმე ღონისძიება იყო დამატებით ჩატარებული...

ინტენსიური მევენახეობა და მეხორბლეობა (სელი) იყო ეკონომიური საფუძველი ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებისა. ამ მხრით ალმოს. საქართველო შეუდარებლად უფრო ხელსაყრელ პირობებში იყო ვიდრე დას. საქართველო: ეს იყო ქართის ჰეგემონობის უმთავრესი საწინადარი. ქართის ეს უპირატესობა მოიხაზა ჯერ ისევ ფეოდალიზმის წინა ხანაში და შემდეგ მთელ სიგრძეზე ფეოდალური ურთიერთობისა ეს უპირატესობა მას ხელიდან არ გაუშვია, პირიქით, ის უპირატესობა კიდევ უფრო გაღრმავდა... და ეს იმ დროს როცა დას. საქართველოს მდგომარეობა ამ მხრით კიდევ უფრო გაუარესდა... მოხდა ისე, რომ დას. საქართველოს დიდი ნაწილი ქართის ხელთ ალმოჩნდა. დაიპყრეს და სკანდე-შორაპანმა ვერ შეაჩერა ქართის ექსპანსია... რაჭა მისი რკინის საბადოებით არგვეთთან ერთად ხელთ იგდეს (ერთი საერისთავო!). არსაიდან არ ჩანს, რომ რაჭა ლაზთა მეფის ხელშია, ვთქვათ VI ს-ში, როცა ქუთაისი ჯერ კიდევ ლაზიკაშია. ლაზიკაშია ასევე როდოპოლისი და გურია, თუმცა საგეოგრაფიო სახელები იმას მოწმობენ (ვარდციხე, ყვირილა), რომ ლაზიკის ამ ადგილებში ქართის ელემენტი უკვე შეჭრილია. ამ ფაქტის აღიარებაა, რომ მეფე აფხაზთა ქუთაისში დაჯდა და „ლაზიკა" („ეგრისი") არ აღადგინა... ასე რომ აფხაზეთის სამეფო დიდი პოლიტიკური მოვლენის — მომხდარი ფაქტის (ქართის ჰეგემონობის) დადასტურება იყო.

ისევ უპირატესობათა შესახებ

საწარმოო ტექნიკის განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე წინ წამოიწევს ხოლმე ესა თუ ის გეოგრაფიული რაიონი, სჯობნის ესა თუ ის მხარე. ადამიანს შრომა უფასდება, მისი ნაყოფიერება იზრდება. მაგალითად, რას ნიშნავს, რომ პურეულის უძველესი ჯიშები დას. საქართველოში არის შერჩენილი, ხოლო მისი შემდგომი განვითარება იქ აღარ ჩანს და პურეულით მდიდარია საშუალო საუკუნეებში არა დასავლეთ საქართველო, არამედ ალმოსავლეთი. ეს

იმას ნიშნავს, რომ პურეულის განვითარება იქ ზღვარდებულია ბუნებრივი პირობებით, ექსტენსიურია, ხოლო ადამიანის შრომა საშუალო საუკუნეების ტექნიკის განვითარების პირობებში ინტენსიურია რაიმე ეფექტი მოგვცეს ამ მიმართულებით, მაშინ როცა ალმოს. საქართველოში ესევე შრომა შეუდარებლად უფრო დიდ ეფექტს იძლევა. პური დას. საქართველოში მხოლოდ ზეგნებშია და ისიც შეზღუდული ოდენობით, ჭალები მისთვის სრულიად გამოუსადეგარია; ამავე დროს ალმოს. საქართველო უხვად აჯილდოვებდა მშრომელს იმავე საშუალო საუკუნეთა საწარმოო ტექნიკით შეიარაღებულს. რაც უფრო ექსტენსიური იყო სოფლის მეურნეობა, დას. საქართველოს მეურნეობითი შესაძლებლობანი, მისი ბუნების სიუხვე შეუდარებლად დიდი იყო, ხოლო რაც უფრო ინტენსიური ხდებოდა მეურნეობა, სულ უფრო და უფრო აშკარა ხდებოდა ალმოსავლეთის უპირატესობა, სადაც ადამიანს შრომა გაუდიოდა. დას. საქართველოს ბუნება კი შეუდარებლად მეტ წინააღმდეგობას და ხშირად გადაულახველ წინააღმდეგობას უწევდა საშუალო საუკუნეების ადამიანს და ზღვარს უდებდა მეურნეობის შემდგომ განვითარებას. (შესანიშნავი მოწმობა ხანძთელიდან: ეს ქვეყანა გაუძლისიაო, მის წინააღმდეგ ბრძოლა არც ივარაუდება, კლარჯეთი მთიანია და მწირი, მაგრამ დიდი შრომით იქ უდაბნო სამოთხედ იქცევა...).

ისევე როგორც აირარატის ველი შეიქმნა სომეხი ხალხის ჩამოყალიბების საფუძველი, ასევე ქართლის ხალხის ჩამოყალიბების საფუძველი დაუდო ჯერ ქვემო ქართლმა, შემდეგ მცხეთამ და ზენა სოფელმა (ქვემო ქართლთან ერთად). ისევე როგორც აირარატში შექმნილმა სომეხმა ხალხმა გათქვიფა, გაასომხა არაერთი არასომხური ტომი, ასევე ქართის ტომმა გათქვიფა და გააქართა არაერთი არაქართი ტომი ჰერები, კავკასიანელები, იბერები, ეგრები, მესხები... ასევე ალბანეთი — 26 ტომი ერთ სახელმწიფოდ... დიდი შეხვედრა სომხებთან ცვალებადი წარმატებისა იყო... ცურტავში ორენოვნობის აღიარება ამ ფაქტის დადასტურებაა. ძველ სომხურ ექსპანსიას კლასიკური ხანისას წინ აღუდგა ჯერ ისევ ანტიკური ქართლი და ოდესმე წაღებული ქვეყნები უკან დაიბრუნა. ფარსმანის დროს ქართლის საზღვრები შავ ზღვაზე გადიოდა. შემდგომ ხანებში უბრუნდება ქართლს გუგარეთიც. ბრძოლა გრძელდებოდა და ადრეფეოდალური ხანის ქართლმა კიდევ უფრო მეტის წარმატებით შეუტია სომხეთს. ბრძოლა კი უმთავრესად „კოლხურ“ თემებისათვის მიმდინარეობდა — ტაო, კლარჯეთი, შავშეთი... (თუ კოლხუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი თემები არა, კოლხეთისადმი კუთვნილი თემები მაინც იყვნენ, ეს მ ო ს ი ნ ი კ ე ბ ი და ხ ა ლ ი ბ ე ბ ი). დამახასიათებელია, რომ სტრაბონი არ ასახელებს, რომ ეს თემები სომხებმა კოლხეთის ზემო-გლიჯეს, ჩანს ეს ამ დროს არავის ახსოვდა... ან II ს-ში ქ. წ. აქ უკვე კოლხეთი აღარ იყო ვითარცა სახელმწიფო...

კოლხეთმა კი ვერ მოასწრო დიდ ხალხად ჩამოყალიბება და ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში მხოლოდ რიონის ხეობით იყო შემოფარგლული. და ამავე დროს მითრიდატეს და შემდეგ რომის მფლობელობაში მოექცა. მან ვერ აღიდგინა ძველი სამფლობელო, პირიქით ძველი კოლხური ტომები ქართის დიდი გავლენის ქვეშ მოექცნენ და ეს მხარეები გაქართების გზაზე შედგნენ. ასე რომ იმ დიდი პროცესიდან, რომელიც ამიერკავკასიაში სახელმწიფოთა დადგენის ხანაში და ამ ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა, როცა მცირე ტომები კარგავდნენ თავის ძველ სახეს და უფრო ძლიერ და დაწინაურებულ გაერთიანებაში ითქვიფებოდნენ, როცა ეს დიდი გაერთიანებანი ერთიმეორეს ებრძოდნენ და ურთიერთს ტომებს აგლეჯდნენ, როცა საბოლოოდ ყალიბდებოდა ხალხი (სახელმწიფო) ერთი ენით, ერთი კულტურით, ამ დიდ პროცესში კოლხეთი დაზიანებული გამოვიდა; ძველი გაერთიანება, კოლხთა ჰეგემონობით რომ იყო, დაიშალა, ისე, რომ კოლხეთში შემავალი ტომები თავის ძველს მდგომარეობას (ეთნიკურს) შერჩნენ და კოლხეთის სახელი ამ სახელმწიფოს ძირეულ ტომს შერჩა... მაგრამ ტერიტორიული დაზიანების პროცესი ამის შემდეგაც გრძელდება და თუ კოლხეთს ჯერ კიდევ სტრაბონის დროს ეპყრა მესხეთის ერთ-ერთი ნაწილი (სხვა ნაწილები ქართებს და სომხებს ჰქონდათ მიტაცებული), შემდეგ არა მარტო მესხეთის ნაწილი, მან საკუთრივ კოლხური ტერიტორიები დაკარგა ეთნიკურად და პოლიტიკურად...

ასე რომ „ქართლი" ეთნიკური გაერთიანება იყო ქართული ენით, „საქართველო" კი ასეთი არ ყოფილა. ქართულ ენაზე ჟამის წირვა ქართული ენის კულტურულ მოწინავეობას, ქართის ჰეგემონობას მოასწავებდა და არა ქართული ენის მიერ ყველა სხვა სატომო თუ სახალხო ენების ასიმილაციას. მეგრულმა, სვანურმა, აფხაზურმა, როგორც პატუა ენებმა, გაუძლეს და დღემდე თავი მოიტანეს, ვერ გაუძლეს ჰერებმა და კავკასიანთა ზოგმა სხვა ტომმა... ვერ გაუძლეს არგვეთლებმა, რაჭველებმა, თაკვერელებმა, სამოქალაქომ, ფერსათმა, გურიამ, აჭარამ... რატომ მოხდა ასე? ასიმილაციის ეს პროცესი საშუალ საუკუნეების მთელი აღმავლობის ხანაში არ დასრულებულა (სამოქალაქოს საერისთავო). მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიანფეოდალურ ხანაში იწყებენ განმტკიცებას ეს თავისთავადობას შერჩენილი პატუა ენები, მაგრამ მათ აღდგენა ძველებისა, რა თქმა უნდა, არ შეუძლიათ და ფიქრადაც არ [illegible] კულტურის ენა მათ ქართული აქვთ, რომლის განვითარებაში ისევე აქტიურად მონაწილეობენ, როგორც საკუთრივ ქართები, ან შემდეგ გაქართებულნი. ასე რომ მოწიფული ფეოდალური საქართველო სხვადასხვაგვარი ჯგუფებისაგან შედგებოდა ეთნიკური თვალსაზრისით: ქართები, გაქართებული ქართველური მოდგმის „ტომები", გაქართების გზაზე შემდგარი ქართველური, თუ არაქართველური მოდგმის „ტომები"...

კოლხეთი დაიშალა და ტომები უმალ ზე წამოდგნენ (არიანე). ფეოდალური საქართველო დაიშალა და ტომები გამქრალი აღმოჩნდნენ, პატუად შერჩნენ მეგრულ, სვანურ, აფხაზური... („მერჩულე" — 9. ფურც. 119—127).

7. სამი ტიპის ყმობა:

მეგრელების „ქართველობა" (სამეფო).
კახების „ქართველობა" (სამეფო, სააზნაურო).
შაჰანშა — სომეხი აზნაურების ქართველობა.
შარვანშა — საარიშიანო.
ქართველობის გავრცელების მექანიკა.

ბერძნებთან დაპირისპირება დიდი ეროვნული საქმე იყო, ქართულმა ფეოდალურმა ურთიერთობამ რომ გამოიწვია. ამანვე გამოიწვია სომეხთაგან გათიშვა. ასე რომ ქრისტიანობა კი არ არის ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების ნიშანი (ასეთი რამ მონათმფლობელურ ბარსაც შეეძლო მიეღო), ქართული ფეოდალური ურთიერთობის ნიშანია ქართული ქრისტიანობა, რომელიც სომხურს (აღმოსავლურს) გამოეთიშა და დასავლურსაც (ბერძნულს) არ შეუერთდა. საფუძველი — ენა და ძველი წარმართული იდეოლოგია (ქართლოსიანთ სჯული), ტერიტორია... (ლეონტი). უფრო სწორი ის იქნება, რომ ბარის ქართლი ეროვნულად ჩამოყალიბებული ერთეული იყო. უცხო გავლენით მიიღო ქრისტიანობა და შეეცადა მის გარდაქმნას ქართულად იმიტომ, რომ ქართული ფეოდალური ურთიერთობა შემოდიოდა და საკუთარ სოციალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკურსა და იდეოლოგიურ ფორმას მოითხოვდა (ასევე ოსეთი, სომხეთიც და ალბანეთიც...). და შემუშავდა ქართული ფეოდალური ურთიერთობა (მორწყვით, ნასყიდით, ხევით, თემით, ქვეყნით ქართული ენით, ქრისტიანობით) და შიგ შემოვიდა ფეოდალურ ურთიერთობას მიღწეული მოძმე თუ არამოძმე...

მექანიკა გაქართველების: შესახლება (არგვეთი, გურია, ლეჩხუმი, რაჭა, ვაკე, კლარჯეთი, ჰერეთი და სხვა და სხვა...), ფეოდალების კულტურის წარმოქმნა (ვეფხისტყაოსნის კულტურა...), ეს იყო დიდი და ხანგრძლივი პროცესი... სამოსელი ნახოს კაცმა, როგორ ერთნაირია ფრესკები (ალმოსავლეთი და დასავლეთი), იარაღი, სამკაული, ენაც ერთი უჩნდებათ ქართული, წიგნიც... საკარო პოეზია, ლიტერატურა... წოდებრივი ტენდენცია და შემდეგ კანონი ქალების გათხოვებისა ურთიერთში... არაქართული წარმოშობის არისტოკრატია ქართველმა ქალებმა გააქართეს, ხოლო არაქართველი ქალები — სომხები, ოსები, აფხაზები ქართველ მეფე ფეოდალებზე გამოთხოვილნი — უმალვე ქართველდებიან... მირისა და არჩილის ლეგენდა სიძობისა, არა მარტო აზნაურული (ერისთავთა) ტენდენციებით ნაკარნახევ-შექმნილია, არამედ შვილობის (ვასალობის, ყმობის). ამ ეპოქაში ქალების გათხოვების არსებითი ხასიათის მნიშვნელობის მაჩვენებელიცაა ფეოდალური საზოგადოების კულტურულს და სოციალურ შეკავშირებაში. ეს ლეგენდა (არჩილის) ეპოქალური მნიშვნელობის ჩვენებაა (სიძე ერისთავები...) ფეოდალური ურთიერთობის განვითარებისა, დიდგვარიანებთან ბრძოლის დროს შეთხზული. საკითხავია ოღონდ რა წრეშია ეს ლეგენდა შეთხზული. ერისთავები ასაბუთებდნენ მემკვიდრეობის უფლებას (სიძობით, ნამზითვით), მეფე ასაბუთებდა, რომ მირ-არჩილამდე ქვეყანა მხოლოდ სამეფო საკუთრება იყო და ერისთავები მხოლოდ ტერიტორიული მოხელენი იყვნენ და რომ მირ-არჩილის დროიდან მიეცა ამ ტერიტორიულ მოხელეებს ნამზითვად ქართლის ნახევარი საყმოდ და არა სასაკუთროდ (ისევე როგორც აფხაზეთი, ჰერეთი და არტანი-შულავერი...), სხვა სამეფოდვე დარჩა უშუალო მფლობელობაში... (მ—2, 21. ფურც. 102—104).

[„ქართლოსიანი“, „ქართველი“, „ყოველი ქართლი“]

1. ქ^ცა I, ლეონტი, 13_{18}, $14_{2,8}$

ქართლი სპარსებს ეპყრათ. მაგრამ შემდეგ „უცალო იქმნეს ძენი აფრიდონისნი“. „მაშინ პოვეს ჟამი მარჯუე ქართლოსი-

ანთა". ოსები მოიშველეს, დამპყრობელნი მოსწყვიდეს ქართველნი
და ქართველთა, და განთავისუფლდეს ქართველნი ბრძოლისაგან
რანი და ჰერეთი დარჩა სპარსთა".

შემდეგ გაძლიერდა სპარსთა მეფე ქეკაპოს და „ამან ქეკაპოს
კუალად მოხარკე ყვნა ქართველნი და წარვიდა".

ტერმინებს „ქართლოსიანნი" და „ქართველნი" ერთიმეორის შესატყვისობით ხმარობს (მ—2, 3. ფურც. 166).

2. ქ^ცა I, ლეონტი, 18_{15}

„დაიპყრა ალექსანდრე ყოველი ქართლი, და მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი ალრეულნი ქართლს მყოფნი, და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა და დაატყუევნა, და დედანი და ყრმანი უცებნი, თხუთმეტისა წლისა უმცირესნი; და დაუტევნა ნათესავნი ქართლოსიანნი, და დაუტევა მათ ზედა პატრიკად სახელით აზონ... და დაუტევა ქართლს ერისთავად აზონ, და მისთანა სპანი იგი, მპყრობელად ქართლისა".

ლეონტით ქართლში მრავალი ნათესავი იმყოფებოდა. ალექსანდრემ მოსრნა „უცხონი ნათესავნი".

ლეონტით ქართლში იყვნენ „ქართლოსიანნი" და სხვა მრავალი „უცხონი ნათესავნი". და ლეონტი არ ხმარობს ალექსანდრემ მოსრნა ქართველნიო და არც იმას ამბობს, რომ ალექსანდრემ უცხონი ნათესავნი მოსრნა და დაუტევა ქართველნიო, არამედ „დაუტევნა ნათესავნი ქართლოსიანნი".

და ეს იმიტომ, რომ ლეონტის ცნობიერებაში ქართლში ყველა ქართველნი იყო (საადაურობით), ხოლო ნათესაობით აქ იყვნენ „ქართლოსიანნი" და „უცხონი ნათესავნი" (მ—2, 3. ფურც. 168).

3. ქ^ცა I, ლეონტი 20_9

აზონ ერისთავი „იყო კაცი ძნელი და მესისხლე, და ესე დააწესა და ამცნო სპათა მისთა, ვითარმედ: „ყოველმან ქართველთაგანმან, რომელმან პოვოს საჭურველი, მოკალთ იგი". და ჰყოფდეს ჰრომნი იგი ესრეთ ქართველთა ზედა, და ვინცავინ გამოჩნდის ქართველთაგანი ქმნულ-კეთილი და ასაკოვანი, მოკლიან იგი. და იყო ჭირი დიდი ნათესავსა ზედა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ს ა. და ესე აზონ მათ ჰრომთაცა ზედა სისხლე, და მოესრნეს მრავალნი მათგანნი“.

აქ კი ლეონტი „ქართველში“ თითქო არა საერთოდ ქართლის მკვიდრს, არამედ ნ ა თ ე ს ა ვ ი თ ქ ა რ თ ვ ე ლ ს (ანუ ქართლოსიანს) გულისხმობს, თუმცა, შეიძლება, ლეონტის წარმოდგენით „უცხონი ნათესავნი“ ხომ მოსრნა ალექსანდრემ და „დაუტევა ნათესავნი ქართლოსიანნი“ (18); ასე რომ ამიერიდან ქართლის მკვიდრი მხოლოდ ქართლოსიანები არიან და მაშასადამე „ქართველი“ (ქართლის მკვიდრი) იგივე „ქართლოსიანია“ და „ნათესავი ქართველთა“, იგივე „ნათესავნი ქართლოსიანნი“... (მ.—2, 3. ფურც. 165.)

4. ქ ^ ცა I, ლეონტი 20_{17}

„მას ჟამსა იყო ჭაბუკი ერთი მცხეთას ქალაქსა შინა, რომელსა ერქუა სახელი ფარნავაზ. ესე ფარნავაზ იყო მამულად ქ ა რ თ ლ ე ლ ი... და დედულად ს პ ა ო ს ი ასპანელი“...

ამ საკითხავის „ქართლელი“-ს დადგენა პრინციპული მნიშვნელობისაა. არა გვგონია, რომ M საკითხავის ქართლელი თავდაპირველი იყოს, მაშინ როცა დანარჩენი ვარიანტები იძლევიან საკითხავს „ქართველი“; თუ ლეონტი „ქართლელს“ ხმარობდა „ქართველის“ გვერდით, მაშინ გამოდის, რომ ის ასხვავებდა „ქართლელს“ „ქართველისაგან“ (და „ქართლელი“ ისეთივე ცნება იყო, როგორც „სპაოსი“, ან ვთქვათ, ეგრი, — ნათესაობის გამომხატველი, ტომობრივი ვინაობის გამომხატველი, მაშინ როცა „ქართველი“ სადაურობის ცნება იყო)... „ქართველის“ ასეთი შინაარსით ხმარების მოწმობანი („ურიანი ქართველნი“) ჩვენ უკვე დავადასტურეთ ლეონტისთან (17, 18); თუმცა „ნათესავი ქართველთა“ მასვე მოაქვს, როგორც ტომობრივი ცნება...

საეჭვოა, რომ ეს ე რ თ ა დ ე რ თ ი ფაქტი შემორჩენილიყოს. ქართლის ცნება ლეონტისათვის საცილობელი არაა და მაშასადამე ქართლელია ყველა ქართველი...

მაგრამ ხომ არ „წამოსცდა“ ლეონტის: მის დროს ქ ა რ თ ლ ი ცოცხალ მეტყველებაში კუთხე ქ ა რ თ ლ ს ერქვა და თუ ჩ ვ ე ნ ს ა ვ ტ ო რ ს - ს უ რ დ ა ხ ა ზ ი გ ა ე ს ვ ა ამ კ უ თ ხ ი დ ა ნ გ ა მ ო ს უ ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს მ ა ს შ ე ე ძ ლ ო ე თ ქ ვ ა ქ ა რ თ ლ ე ლ ი გ ა ნ ს ა ს ხ ვ ა ვ ე ბ ლ ა დ მ ე ს ხ ი ს ა, ჯ ა ვ ა ხ ი ს ა, კ ლ ა რ ჯ ი ს ა, კ ა ხ ი ს ა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე რომ შეიძლება M საკითხავი უფრო მართებული (მ—2, 3. ფურც. 164).

5. ქ^ცა I, ლეონტი, 24_6

ფარნავაზ „მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა“.

ყოველი ქართლი (მასში არ შედის ეგური). (მ—2, 1. ფურც. 56).

6. ქ^ცა I, ლეონტი, 27_1

აჯანყებულ ქართლიდან ლტოლვილი „საურმაგ ეზრახ ოვსთა მეფესა, მამისა დისწულსა მისსა, და ითხოვა შეწევნა. ხოლო იგი სიხარულით წარვიდა შუელად მისა, და საურმაგ შეიკრიბა დურძუკეთიცა, და წარმოემართა ქართველთა ზედა. და ვერვინ წინააღუდგა მას. და დაიპყრა ქართლი, და მოსრნა განდგომილნი მისნი; და რომელთამე შეუნდო, ხოლო დაამდაბლნა ქართლოსიანნი და წარჩინებულ ყვნა აზნაურნი“...

აქ კიდევ უფრო ცხადად ჩანს, რომ ლეონტი ასხვავებს ურთიერთისაგან ტერმინებს ქართველი და ქართლოსიანი, რომ „ქართლოსიანნი“ მას ესმის ეთნიკური წარმოშობის აღმნიშვნელ ტერმინად. „ქართველი“ კი ჩანს ასეთ ტერმინად არ ესმის მას: ლეონტი ერთიმეორეს უპირისპირებს ქართლოსიანებს და აზნაურებს, რომელნიც მისი წარმოდგენით არიან ჰრომნი ფროთატოსელნი „მპყრობელნი ქართლისანი“ (18), — აზიას მოლაშქრენი, ე. ი. უცხო თესლნი არიან. „აზნაურის“, ამ უცხო თესლის საპირისპირო ტერმინად ლეონტის ცნობიერებაში, „ქართველი“, ჩანს არ გამოდგებოდა და ლეონტიც ასეთ ტერმინს ქართლოსიანში პოულობს. რომელშიაც არამარტო ქართლის მკვდრი, ე. ი. „ქართველი“ იგულისხმება, არამედ ის ქართველი, რომელიც ქართლოსის ჩამომავალია. ქართლი ლეონტით თავდაპირველად იყო მხოლოდ ქართლოსიანთა სამკვიდრებელი, შემდეგ კი აქ მრავლად გაჩნდნენ „ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი, უცხონი იგი ნათესავნი“ (18): ბუნთურქები, ებრაელები ქალდეველნი... და ყველა ესენი ლეონტით „ქართველნი“ იყვნენ ქართლოსიანებთან ერთად....

უეჭველია ლეონტი ამ ადგილში მეორე რიგ დაპირისპირებასაც ჰგულისხმობს და შეიძლება ეს იყო სწორედ უმთავრესი მომენტი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპირისპირებას სოციალურს. „აზნაურნი“ „ქართლის მპყრობელნი“ იყვნენ, „უცხო თესლნი“, „ქართლოსიანნი“ მათი მოწინააღმდეგენი იყვნენ, ქართლოსის ჩამომავალნი — „ფარნავაზი ქართლოსიანების ბრძოლის მეთაურია და მათი პატივის მყოფელია. საურმაგმა კი „დაამდაბლა ქართლოსიანნი და წარჩინებულ ყვნა აზნაურნი“. ასევე „წარჩინებულ ყვნა“ საურმაგმა დურძუკთა ნაწილი (27), სხვები კი დასხა მთიულეთს. ზოგ ქართლოსიანს კი „შეუნდო“ (27). ერთი სიტყვით, სურათი საკმაოდ ნათელია: ქართლი ამიერიდან აზნაურების, დურძუკების და ქართლოსიანების სამკვიდროა. აქ ზოგი „წარჩინებულია“, ზოგი „დამდაბლებულია“, ზოგი „მისანდოა“, მაგრამ ყველანი ამიერიდან ქართლის მკვიდრნი — „ქართველნი“ არიან, მაგრამ „ქართლოსიანნი“ ის ქართველებია, ვინც ქართლოსის ჩამომავალნი არიან და არა უცხო თესლნი.

მართალია, როგორც აღვნიშნეთ, აქ ლეონტის მისი დროის ქართლის მკვიდრთა სოციალური სურათი კარნახობს ასეთი თეორიის შეთხზვას (თუ შეთხზულ-შექმნილის გაზიარებას), მაგრამ ჩვენი მიზნისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს: ლეონტი ტომობრივი მომენტით ხსნის სურათს, აზნაური და დურძუკი (აქ ის შეესატყვისება მთიულეთს!!!) ქართლოსიანები არ არიან, მაგრამ ქართლის მკვიდრნი კი არიან ე. ი. „ქართველები“ არიან... (მ—2, 3. ფურც. 158—159).

7. ქ^ცა I, ლეონტი, 28_{17}

მირვან მეფე „იყო კაცი მიმნიჭებელი კეთილისა უხუად, და შუიყუარეს იგი ყოველთა მკვიდრთა ქართლისათა“.

ცხადია, ქართლის ეს „ყოველნი მკვიდრნი“ „ქართლოსიანები“ არ ყოფილან, მაგრამ „ქართველები“ კი იყვნენ.

და ლეონტის დასჭირდა ასეთი გამოთქმა იმიტომ, რომ „ყოველთა ქართლოსიანთა“ ამისათვის არ გამოდგებოდა: ქართლის ყოველი მკვდრი ქართლოსიანი არ იყო. მაშინ რატომ არ იხმარა ლეონტიმ „ყოველთა ქართველთა“? უნდა ვიფიქროთ, ცნება ქართველი მაინც არ იყო აგრე გამოკვეთილი: ის სადაურობის გვერდით ტომობრივი მომენტის გადმოცემის ტენდენციასაც შეიცავდა, ან უკეთ, ასეთი ტომობრივი შინაარსით ივსებოდა ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ასეთი შინაარსის ტერმინად არ იქცა. ეს უკვე ადრევე შეიმჩნეოდა („მოკვდა მიქაელ მირიანის ძე ქართველი“), ხოლო უფრო გვიან მხოლოდ ასე ტომობრივი შინა-

არსით ესმოდათ „ქართველი“: ქ ა რ თ ლ ი ს კ უ თ ხ ი ს მ კ ვ ი დ-
რ ი. ქართლში კი მისი სოციალური მნიშვნელობაც შემორჩა ქარ-
თველს: გლეხი (დამდაბლებული, მდაბიორი) დაპირისპირებული „მა-
ნაურთან“, რომელიც „ქართველი“ არ იყო (მ—2, 4. ფურც. 86).

8. ქ ცა I, ლეონტი, 30_6

„დაჯდა მეფედ არშაკ, და დაიპყრა ყ ო ვ ე ლ ი ქ ა რ თ ლ ი; და მეფობდა იგი ნებიერად, და უმატა ყოველთა სიმაგრეთა ქარ-თლისათა. და უმეტეს მოამტკიცნა ზღუდენი ჯ ა ვ ა ხ ე თ ს, ქ ა-ლ ა ქ ს ა წ უ ნ დ ა ს“.

ჯ ა ვ ა ხ ე თ ი „ყ ო ვ ე ლ ქ ა რ თ ლ შ ი ა“ (მ—2, 4. ფურც. 83).

9. ქ ცა I, ლეონტი, 98

ყ ვ ე ლ ა ის, ვინც ქართლოსის ჩამომავალია ქ ა რ თ ლ ო ს ი ა-ნ ი ა, ქართველია, — ე თ ნ ი კ უ რ ი გ ა გ ე ბ ა; ყ ვ ე ლ ა ის, ვინც ქართლის მკვიდრია, ქართველია — ს ა დ ა უ რ ო ბ ი ს გ ა გ ე ბ ი თ; ყ ვ ე ლ გ ან იქ, სადაც ჟამი ქართულ ენაზე შეიწირვის — ქ ა რ თ ლ ი ა და ამ ქვეყნის მკვიდრი ქართველია, ხოლო ქვეყანა ს ა ქ ა რ თ ვ ე-ლ ო ა. და ამ განმარტებამაც ვერ მოიცვა სინამდვილე და საქართ-ველოში აღმოჩნდა ჟამნის მომსმენი არა „ქართულითა ენითა“ ან, კიდევ უფრო, მაჰმადიანური სამყარო...

მთიელები (დაღესტნელები) და თვით სომხეთშიაც კი ფართო მასები (ანისი, ეტიფანეს წარწერა, აკაკი შანიძის მიერ გამოქვეყ-ნებული წარწერა...) ჟამნს ქართულითა ენითა ისმენდნენ, ქრის-ტიანდებოდნენ, ქალკედონიტდებოდნენ.

მოქმედებდა ტენდენცია, რათა საქართველო ქალკედონიტთა ქვეყნად ქცეულიყო (= ქართულფეოდალურ ქვეყნად ქცეულიყო..) და ეს ტენდენცია იქამდე ძლიერი მაინც იყო, რომ ზოგიერთი ქვეყ-ანა არათუ კონფესიურად, ეთნიკურადაც გააქართველა: აქაც სამი საფეხური შეინიშნება: ფეოდალთა ფენა გაქართველებულია ენით, კულტურით, ფართე მასები გაქართველებულია, ენასა და სარწმუნოებაში ასეთი რამ არ ემჩნევა, თუმცა ფეოდალური კულ-ტურა გამაერთიანებელ მომენტსა ქმნის (მაჰმადიანები)... (მ—2, 1. ფურც. 47).

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ქ^ცა I, ლეონტი, 116_{20}

ქართლის მოქცევისას „ნათელ-იღეს ყოველმან და სიმრავლემან ქართლისამან თჳნიერ ხოლო არა ნათელ-იღეს მთიულთა კავკასიანთა, არცა მოვიდეს მოფენასა მას ნათლისასა, არამედ დაადგრეს ბნელსა შინა ჟამ რაოდენმე. და ჰურიათა მცხეთელთა არავე ნათელ-იღეს, გარნა ბარაბიანთა ნათელ-იღეს ორმოცდაათმან სახლმან...“.

ქართლში იგულისხმებიან მთიულნი კავკასიანნი... რა თქმა უნდა, ესაა პოლიტიკური ქართლი (და ამ-ღენადვე მთიულნი კავკასიანნი პოლიტიკურად „ქართველებია“), ეთნიკურად კი, ლეონტის წარმოდგენით, ისინი ქართლოსიანნი კი არა კავკასიანნი არიან (დურძუკნი და სხვ.)...

ასე რომ პოლიტიკურ ქართლში მკვიდრობენ:

ქართლოსიანნი ქართველნი, ჰურიანი ქართველნი, კავკასიანნი ქართველნი (მ—2, 1. ფურც. 44).

11. ქ^ცა I, ლეონტი, 128_1.

ნინო გარდაიცვალა. „მაშინ შეიძრნეს ორნივე ესე ქალაქნი, მცეხთა და უჯარმა, და ყოველი ქართლი“.

უჯარმა ყოველ ქართლში შედის.

128_7 „და ვითარ აღასრულა ესე ყოველი ღმრთივ-განბრძნობილმან მირიან მეფემან, განამტკიცა ყოველი ქართლი და ჰერეთი სარწმუნოებასა ზედა“...

ყოველ ქართლში არ შედის ჰერეთი (მ—2, 1. ფურც. 45).

12. ქ^ცა I, ლეონტი, 131_7

ბაქარ მეფემ „მოიყვანნა ძმისწულნი მისნი და მისცა კუხეთი, და დასხნა რუსთავს ერისთავად. ამან ბაქარ... განამრავლნა ჰღდელნი და დიაკონნი ყოველსა ქართლსა და რანსა ეკლესიათა მსახურებად“.

კუხეთი (რუსთავით) შედის ყოველ ქართლში, რანი არ შედის ყოველ ქართლში (მ—2, 1. ფურც. 46).

13. ქ^ცა, I, ლეონტი, 137_{2-4}.

„...და დარჩა ვარაზ-ბაქარს ქართლი თჳნიერ კლარჯეთისა, და ჰერეთი და ეგრისი. მანვე ერისთავმან სპარსთამან წარიყვანნა ტყუ-

ედ "შვილნი ფეროზისნი, ასულის წულნი მირიანისნი, მორწმუნისა მეფისანი, და ქუეყანა მათი საზღვარი ქართლისა ... ვარაზ-ბაქარსავე...".

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქართლში" შედის კლარჯეთი, „ქართლში" არ შედის ჰერეთი და ეგრისი, სამშვილდის ქვეყანა, ფეროზის ნაქონევი ქართლის საზღვარია (მ—2, 1. ფურ. 43).

ქართლი

ერთი თვალის გადავლებაც კი საკმაოა იმის დასანახავად, თუ როგორ წარმოუდგენია ლეონტის ქართველის (კულტურული ქართველის, ცივილიზებული ქართველის და არა მხოლოდ ქართლოსიანის...) წარმოქმნა: ქართლში ხომ იზრახებოდა ექვსი ენა, ე. ი. ექვსი ნათესავი ცხოვრობდა. იგულისხმება, რომ ქართველების უპირატესობა იყო და ქართული გაბატონდა („ასიმილაცია"). შემდეგ, როცა ქართლი სამეფოდ იქცა, ქართლში შემოვიდა ეგრისი (განსაკუთრებული სიახლოვის ხაზგასმით) უმცროსი ძმის წილი... მეფობის პირველ ხანებშივე შემოყვანილ იქნენ დურძუკები, რომელთაც ქართლის მთიანეთი დაიჭირეს („სვანეთამდე") და „ქართველობას" ეზიარნენ; შემდეგ ნინოს მიერ ქრისტიანობის გავრცელების ხანაში ქართველობაში შემოვიდა ჰერეთი, ხოლო ვახტანგ გორგასალის დროიდან „საქართველოში" შემოვიდა ეგრისწყალს იქითი ქვეყანა კლისურამდე. თავი რომ დავანებოთ ასეთსავე პროცესს ქვემო ქართლის მიმართულებით, მოტანილი მაგალითებიც სრულიად საკმაოა იმისათვის, რომ ვამტკიცოთ: ლეონტის ქართლი (= „საქართველო") სრულიადაც ერთი „ქართული" მოდგმის ორგანიზაციად არ წარმოუდგენია, არამედ ქართველთა ნათესავთან ერთად აქ, როგორც ვხედავთ, შემოსულან, „გაქართველებულან" არაქართი ნათესავნიც: ეგრი, სვანი, დურძუკი, ჰერი... კიდევ მეტი, ლეონტის წარმოდგენით თვით ქართლიც (ძირითადი ქართლიც) კი სხვადასხვა ნათესავთა შერწყმით ჩამოყალიბდა (ოღონდ ქართლოსიანთა ჰეგემონობით...) (მ—2, 3. ფურც. 202).

14. ლეონტი დიდი ამოცანის წინაშე... ქართლის ისტორიის დაწერა. აუცილებელი იყო ხორენელის შემოქმედებითი გამოყენება.

ლეონტის მიზანია საზოგადოებას წარმოუდგინოს ქართლის დამოუკიდებელი კულტურულ-პოლიტიკური ერთეულის წარმოშობ-ნის სურათი, სომეხთათვის ასეთი შრომა ბრწყინვალედ შეასრულა ხორენელმა.

ლეონტიმ მარჯვედ გ ა მ ო ი ყ ე ნ ა ხორენელი და ორიგინალური ისტორია შექმნა. მან არ უარყო ცხადლივ ხორენელის ისტორიული დებულებანი, თუმცა არსებითად შეასწორა ისინი და რაც მთავარია დაურთო ორიგინალური თეორია თარგამოსიანთა შესახებ და შემდეგ მთელი ისტორია ამ თარგამოსიანთა ურთიერთობის ფონზე გაშალა, რამაც მას საშუალება მისცა ორიგინალური ისტორიული ცხოვრება წარმოეჩინა. ხორენელი ჩრდილოეთის ხალხებს არ ხედავს, მისი ისტორია ამიერკავკასიის სამხრეთსა და ახლო აღმოსავლეთის ფონზეა გაშლილი. კავკასიის ხალხები აქ ჩრდილშია. ლეონტიმ სინათლე შეიტანა ამ ჩრდილში, ამიერკავკასიის ხალხები ისტორიაში შემოიყვანა. ისე რომ ამ ახალი სამყაროს ცენტრში ქართლი (ეგრის-ჰერეთით) მოათავსა (მ—2, 3· ფურც. 153).

15. შეიძლება ისიც ვამტკიცოთ, რომ ლეონტი სრულიად გარკვეული მიზნით ხელმძღვანელობდა, როცა „ქართველის“ ე რ ო ვ ნ უ ლ-კ უ ლ ტ უ რ უ ლ ს ა ხ ე ს ქმნიდა წინაქრისტიანულ ხანისას. და რამდენადაც ის კარგად არჩევდა ასეთ ნიშნებს, მისი დროის „ქართველს“ რომ ახასიათებდა (ტერიტორია, ენა, დამწერლობა, სჯული, სახელმწიფო წყობა), ბუნებრივია ასეთივე ნიშნები უნდა მიეწერა იმ ძველი დროის ქართველისათვის... მაგრამ ასეთი მტკიცება ჰიპერკრიტიკული გვეჩვენება... შეიძლება დავუშვათ, რომ ლეონტიმ რამდენადმე გადაჭარბებული შემოქმედება გამოიჩინა და მის დრომდე მოღწეულ ისტორიულ გადმოცემებს უძველესი დროიდან, წერილობითს („მოქცევაჲ“, გრიგოლ დიაკონი...), თუ ზეპირსიტყვიერს (ფარნავაზის ციკლი), ისეთი მწყობრი ისტორიულ-მეცნიერული სახე მისცა, როგორიც მისი დროის იდეოლოგიას. შეეფერებოდა.

უმართებულო იქნებოდა მეტი კრიტიკა: წერილობითი წყაროები (ბერძნული, სპარსული, სომხური, ქართული), არქეოლოგიური მონაპოვარნი, ისტორიულ-გეოგრაფიული დაკვირვებანი, (სპეციალური შესწავლა უნდა. დიდი მნიშვნელობის საკითხია) საკმაო საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ ჰიპერკრიტიკა უარვყოთ...

(კერძოდ, აუცილებელია შედარებითი შესწავლა „სპარსული წყობისა“ ფარნავაზის სამეფო წყობასთან) (მ—2, 3. ფურცელი 148).

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის საკვანძო საკითხია, თუ რამდენად რეალურ-ისტორიულია ქართლის, როგორც კულტურულ-ისტორიული წარმონაქმნის სურათი, ლეონტი რომ წარმოგვიდგენს.

ამ საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტისაგან დიდად არის დამოკიდებული როგორც ძველის, ისე ფეოდალური საქართველოს მეცნიერული გაგება...

მაგრამ სიმძიმეც ამ საკითხის გადაწყვეტაშია...

უკრიტიკო ნდობა, ნეგატიური კრიტიკა, უსასო რეაბილიტაცია ერთიმეორეს სცვლიან. ჩვენ გვწამს, რომ ლეონტის მეცნიერული კრიტიკისათვის ჯერ კიდევ არ მოწიფულა ჩვენი ისტორიოგრაფია. არქეოლოგიას, ეთნოგრაფიას, ისტორიულ გეოგრაფიას, ფილოლოგიას ამ დიდი ამოცანის პასუხები უპირველეს ყოვლისა მოეთხოვება. ბევრი გაკეთდა, კეთდება, თუმცა საკითხის საბოლოოდ დაძლევამდე ჯერ კიდევ შორსაა.

ერთი მაინც ახლავე ითქმის: ნეგატიური ჰიპერკრიტიკა არსებითი ხასიათის კორექტივს მოითხოვს, ისევე როგორც არსებითი ხასიათის კორექტივს მოითხოვს ლეონტის მიერ მოცემული სურათის ისტორიულობის ხელაღებით აღიარება...

ივანე ჯავახიშვილი ის პირველი მეცნიერია, რომელმაც ლეონტის რეალურ-ისტორიული კრიტიკა წამოიწყო. ვგულისხმობთ არა ლეონტის შეფასებას როგორც ისტორიკოსისა, მან რომ მოგვცა თავის „ისტორიის მიზანი წყაროები და მეთოდებში“, არამედ იმ პოზიტიურ ნაშრომს, რომელიც ამ მეცნიერმა გასწია იმის დასამტკიცებლად, რომ „ქართველებს“ (ქართებს, ეგრებს, სვანებს) უძველეს დროსვე უკვე ჰქონდათ შემუშავებული საერთო სარწმუნოება („წარმართობის ხანა“) — მნათობთა თაყვანისცემა. ივანე ჯავახიშვილი არ აღნიშნავს, რომ მისი დასკვნები ლეონტის კონცეფციას იმ მხრით მაინც ეთანხმება, რომ იმ ძველ დროს, გამოდის, არსებობდა „ქართველების“ კულტურული ერთობა, უნდა, ვიფიქროთ, პოლიტიკურსა და ეკონომიურს ერთობაზე დამყარებული (ივანე ჯავახიშვილი ასეთ ერთობას ქართულში ვარაუდობს... ნ. მარი მხოლოდ იმას უწუნებს, რომ იმ „ქართულში“, თუ სადღაც იყო, მარტო ქართველები კი არა, იაფეტიდები ისხდნენ ერთობით და თან წამოიღეს ნამემკვიდრეები კავკასიაში... რომ, მაშასადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე, ივანე ჯავახიშვილის შეცდომა ისაა, რომ გვაროვნული ცნება „იაფეტური“ სახეობითი ცნებით „ქართულით“ შეცვალა.

ისე კი არც მარი ეჭვობს, რომ ეს საერთო კულტურული მემკვიდრეობა ამ იაფეტიდების მიერ სადღაც სამხრეთ-დასავლეთიდან მოტანილი შენამოქმედია...).

ასე რომ, თუ მართალი გამოდგა, რომ „ქართველებს“ საერთო წარმართობა ჰქონდათ (რაც ჩვენი ფიქრით არასწორია) — როგორც ერთი ორგანიზაციის შენამოქმედი, ეს იქნებოდა ლეონტის კონცეფციის დადასტურება იმის შესახებ, რომ ქართველებს (ლეონტი აქ ქართლოსიანებით არ კმაყოფილდება და ამ კულტურის მონაწილედ ეგრებსაც ვარაუდობს) უძველეს დროს, ე. ი. ქრისტიანობამდე ჰქონდათ უკვე შემუშავებული „ეროვნული“ რელიგია... სამწუხაროდ, ივანე ჯავახიშვილი ზოგად მონახაზს არ გადასცილებია, თავისი გამოკვლევა და ქართული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრება ურთიერთთან დამოკიდებულებაში არ შეუსწავლია... ამ მხრივ ლეონტის სურათი უფრო გამიზნულია: ქართული წარმართობა ქართული საზოგადოების შენამოქმედია, ამ საზოგადოებას კარგად ესმის მისი რაობა, მისი განსხვავება სხვათა სარწმუნოებისაგან, იცავს მას...

ივანე ჯავახიშვილმა თავისი შრომა ბოლომდე არ მიიყვანა, ისტორიულად არ შეისწავლა... ამდენადვე ლეონტის კრიტიკა განუხორციელებელი დარჩა (მ—2, 8. ფურც. 64—65).

ლ ე ო ნ ტ ი ს ე თ ნ ი კ უ რ ი თ ე ო რ ი ა

ლეონტის მიერ მოცემული სურათი (ეთნარქებისა და მათი სახელის ქვეყნებისა) მხოლოდ იმის მოწმობა შეიძლება იყოს, რომ ეს სურათი შექმნილია იმის შემდეგ, რაც ასეთი ქვეყნები დიდი ხანია არსებობენ, რომ ეგრიდან არის წარმომდგარი ეგროსი, ქართლიდან ქართლოსი და აგრე შემდეგ. ეს აზრი დიდიხანია გამოთქმულია და მიღებულიც ქართულ ისტორიოგრაფიაში (ივ. ჯავახიშვილი).

ჩვენ აქ ის გვსურს დავურთოთ, რომ შესაძლებელია ნივთიანი მსჯელობა იმის შესახებაც, თუ როდის წარმოიშვა თვით ეს სახელები ქვეყნებისა, — ეგრი, ქართლი და სხვა. ჩვენი თვალსაზრისით ხომ ისეა, რომ **გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ტ ე რ ი ტ ო რ ი ა ს სა ხ ე ლ ი ე თ ნ ი კ უ რ ი ჯ გ უ ფ ი ს სა ხ ე ლ ი ს ა გ ა ნ შ ე ე რ ქ მ ე ვ ა**, რომ ეს ჯგუფები არ შეიძლება იმთავითვე რიცხვმრავალი

იყვნენ, რომ მოსახლეობის ერთეულის სახელი აძლევს სახელს ამ ერთეულის მიერ ათვისებულ მიწა-წყალს, ქვეყანას. ეს მცირე ერთეულები თუნდაც ერთი წარმოშობის, მაგრამ ურთიერთგამიჯნულ-გამოყოფილნი თავ-თავის სახელს ატარებენ. ურთიერთს შორდებიან, ან ერწყმიან... ყალიბდება შედარებით მსხვილი ერთეულები (გვართა შერწყმა, ტომთა გაჩენა, ტომთა კავშირი), რომელთაც შეერქმევათ უძლიერესის (გამაერთიანებელი) ტომის (გვარის) სახელი... ასე რომ ამ დიდი ერთეულების ეთნიკური სახელები საკმაოდ გვიანი ხანისანი არიან, როგორც გამაერთიანებელი სახელები. ქართლოსის ქართლი მაგალითად მისი წარმოშობის დროსაც კი, როგორც ამას ლეონტი წარმოგვიდგენს, ვერ იყო მთელი იმ ტერიტორიის ეთნიკურად მომცველი, რომელზედაც ის თითქოსდა ერცელდებოდა.

ასევეა ეგროსის ეგრისიც. ეგრი ტომი ჰეგემონობს, მართალია, მაგრამ ეგროსის ჩამომავლობად ვერ გადაქცეულა მთელ ამ ტერიტორიაზე მოსახლე საზოგადოება (ან, შეიძლება, გვიან შემოეთესლნენ ეს უცხო თესლნი?)... მაინც და მაინც ეს თეორია ეთნარქებისა და მათი ქვეყნებისა იმ დროისაა, როცა ეს ერთეულები დიდი ხნის წარმონაქმნი არიან, როცა მცირე ტომთა გაერთიანება დიდი ხნის წინ მომხდარი მოვლენაა. ლეონტის ამ სურათიდან თითქო შეიძლება იმის ზოგადი ვარაუდი, თუ როდის უნდა შექმნილიყო ასეთი თეორია.

ლეონტის თეორიით ქართლოსის ქართლში აჭარა და კლარჯეთი იგულისხმება, ხოლო ტაო კი არა. ასეთი რამ შეუძლებელი იქნებოდა, თუ ეს თეორია იმ დროს იქნებოდა შექმნილი, როცა ტაო „ქართველ“ მეფეთა საჯდომი იყო — ე. ი. IX—X საუკუნეში და მით უფრო შემდეგ, როცა ტაოელი ქართველები ქართული კულტურის მესაჭენი იყვნენ. მაშ ეს თეორია შექმნილია იმ დროს, როცა ტაო საქართველოში არ შემოდიოდა (ხოლო კლარჯეთი — კი). ლეონტის ეს თეორია რომ მხოლოდ ეთნიკურ თვალსაზრისს ემყარებოდეს მას ტაო ან ეგროსის წილში უნდა შეეტანა, ან ქართლოსის წილში და თუ არ შეაქვს, ეს იმას მოწმობს, რომ ლეონტი ეთნიკური მომენტით არ ხელმძღვანელობს, რომ თეორია შექმნილია იმ ხანაში, როცა ტაო სომხებს უჭირავთ (ხოლო კლარჯეთი კი არა!...).

ასევეა საქმე კახეთ-ჰერეთის მიმართაც. ჰეროსის ძმობა ქართლოსთან შესაძლებელია შეთხზულიყო არა საშუალო საუკუნეებში: ამ დროს რომ შექმნილიყო ის ქართლოსის შვილი იქნებოდა და

კახოს-კუხოსის ძმა: ამ დროს ჰერეთი უკვე ქართულენოვანი იყო და დიოფიზიტურიც... ამავე დროს ჩვენ მოგვეპოვება ძველ ჰერეთის ეთნიკური საზღვრების მაჩვენებელი წყაროები — ლეკანი და, მისგან დამოკიდებით, ვახუშტი. ასეთივე საზღვრებს ვარაუდობს თითქო ჯუანშერიც (გულგულამდე დაამკვიდრა არჩილმა ბაგრატიონი ფეოდალები)... და კიდევ უფრო მეტყველი ჩვენებაა ალვანი ალაზანს გალმა და ალვანი მტკვრის პირას, განჯის პირისპირ, დავით ალმაშენებელმა რომ გასცურა. ტოპონიმიკა კი გვიჩვენებს, რომ ეს ალვანი (ჰერეთი) ავარული ენის ჯგუფისანი უნდა ყოფილიყვნენ... მაშასადამე ჰ ე რ ე ბ ი ქართლოსიანებთან ისეთივე დამოკიდებულებაში იყვნენ, როგორც ყველა სხვანი (ლეკანი, მოვაკანი, რანი, ჰაიები, კავკასიანები). მაგრამ ეს არ უდგება ადრე საშუალო საუკუნეების რეალურ ვითარებას, როცა ქართლის გავლენა ამ მხარეში ისე ძლიერია და არსებითი, რომ ჰეროსის გულვება ქართლოსის ძმად და არა შვილად გაუმართლებელი იქნებოდა.

ასევე დგას საკითხი ეგრისის მიმართაც. ჯერ ერთი, ასეთი ეგრისი (რომლისაგანაც წარმოიქმნა ეგროსი) ადრეფეოდალურ ხანაში შეუძლებელი იყო... მით უფრო IX—X საუკუნეებში. ლაზთა ჰეგემონობის ხანაში? — გასაჭირია, თუმცა სხვა ყველა დროზე უფრო შესაფერისი ეს ხანაა: ძველი კოლხეთიც შეიძლება ამ თეორიის საფუძვლად ივარაუდებოდეს, თუ ჰეგემონი ტომი იქ ეგრი (=კლ-ხი) იყო, როგორც ამას მახვილი თვალით ვარაუდობს ს. ჯანაშია: ის შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ა რ თ ლ ა ც ა ს ე ი ყ ო.

ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, ქართლი, ეგრი, ჰერი (ისევე როგორც სხვა ძმები — ქვეყნები) გარკვეულ პირობებში და გარკვეულ დროს წარმოქმნილი ერთეულებია ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად... რომ ეს ეთნიკური სახელები (ქვეყნების სახელები) შედარებით გვიან, ხანგრძლივი და რთული საზოგადოებრივი განვითარების შედეგად მიღებული ერთეულებია... რომ, მაშასადამე, ის საერთო სამშობლო ჩვენ არ შეიძლება ვიცოდეთ, თუ რა სახელს ატარებდა: „ქართლი“ მოტანილი კი არაა, როგორც საგეოგრაფიო სახელი, არამედ ქართლშივეა გაჩენილი. უძლიერესი კოლექტივი (გვარი — ტომი) ბინადრობს „მთაზე“ ამ კოლექტივს ქართი ერქვა... ასევე ეგრი, ასევე სხვები... (მ—2, 7. ფურც. 58 — 60).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგი ათი წლის იყო. ამ დროს „გარდამოვიდეს ოსნანი ურიცხუნი და მოტყუენეს ქართლი თავითგან მტკურისათ ვიდრე ხუნანამდე... არამედ ციხე-ქალაქნი დაურჩეს, თჳნიერ კასპისა. ხოლო კასპი ქალაქი შემუსრეს და ტყუე ყვეს, და წარიყვანეს დაჲ ვახტანგისი მირანდუხტ, სამის წლის ქალი. რომელ დაურჩეს წარუტყუენველად ჴევნი ქართლისანი, კახეთი დაკლარჯეთი და ეგრისი, ჩავლეს რანისა და მოვაკანისა (ქუეყანანი ან ჴევნი — ნ. ბ.), წარტყუენეს იგიცა და განვლეს ცარი დარუბანდისა, რამეთუ თჳთ ვზა სცეს დარუბანდელთა, და შევიდეს ოვსეთს გამარჯვებულნი“.

ეს ტექსტი მხოლოდ ისე შეიძლება გავიგოთ, რომ ეგრისი ქართლის ჴევად იგულისხმება ისევე, როგორც კახეთი და კლარჯეთი. (ამიტომ ს. ყაუხჩიშვილს „ქართლისანი“-ს შემდეგ მძიმე კი არა, ორწერტილი უნდა დაესვა! პრინციპული ხასიათის შეცდომაა...), იმიტომ, რომ „ქართლი“ (ანუ ჴევნი ქართლისანი) მათ აკი „მოტყუენეს თავითგან მტკურისათ ვიდრე ხუნანამდე“ ციხე-ქალაქებს გარდა და წარუტყვენელი დარჩათ ჴევებიდან კახეთი, ცლარჯეთი და ეგრისი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჯუანშერი გვეუბნება: ოსებმა ქართლი მოარბიეს მის იმ ნაწილში, რომელიც იმყოფება მტკვრის სათავიდან ხუნანამდე; ქალაქები კი გადაურჩათ მოურბეველი; ხოლო ჴევთაგან მოურბეველი დაურჩათ კახეთი, კლარჯეთი და ეგრისიო.

ისეთი გაგებისას, თითქო აქ „ჴევნი ქართლისანი“-ში საკუთრივ ქართლი იგულისხმება, უაზრობა ჩნდება: 1. ჴევნი ქართლისანი ოსებმა აკი დაარბიეს; 2. კახეთი და კლარჯეთი ქართლში აღარ გამოდის ნაგულისხმევი; ეს კი ჯუანშერის და ლეონტის გაგებას ეწინააღმდეგება, ხოლო თუ კახეთი და კლარჯეთი ქართლში (ქართლის ჴევებად) იგულისხმება, ასეთადვე იგულისხმება ეგრისიც, იმიტომ, რომ ეგრისიც ამ დროს, ისევე როგორც კლარჯეთი, „საზღუარი ქართლისა“ იყო...

და ბოლოს, ის რაც ოსებმა მოარბიეს არც საკუთრივ ქართლია (უფლოსის ქართლი) ის ამაზე მეტია, და არც მცხეთოსის ქართლია — ის ამაზე ნაკლებია (ცლარჯეთის ქვეყანა აკლია) და არც ქართლოსიანთა ქართლია: კახეთიც აკლია და კლარჯეთიც (მ—1, 2. ფურც. 5).

18. ქ ცა I, ჯუანშერი, 146_4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსებმა დაარბიეს ქართლის დიდი ნაწილი... „მასვე ჟამსა მოვიდეს ბერძენნი ა ფ ხ ა ზ ე თ ი თ ი, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ე გ რ ი ს-წ ყ ა ლ ს ქ უ ე მ ო თ ი კ ე რ ძ ი ყ ო ვ ე ლ ი, და-იპყრეს ეგრის-წყლითგან ვიდრე ციხე-გოჯადმდე. მაშინ იქნა გლოვა და წუხილი ყოველთა ზედა ქართველთა და იტყოდეს (ლმერთი გვსჯისო)... და მიგვლო ჩუენ საზღვარი ბერძენთაგან, ვითარცა მიუღო ვარაზ-ბაქარს მეფესა კლარჯეთი“... უბედურება გვჭირსო, მეფე არა გვყავსო, რათა „ვიძიოთ ჩუენ შური პირველ ოვსთა ზედა, და შემდგომადმცა ვ ძ ე ბ ნ ე თ ს ა ზ ღ ვ ა რ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა ბ ე რ ძ ე ნ თ ა გ ა ნ“.

როგორც შემდეგი ამბებიდან ჩანს, ვახტანგმა მართლაც უკუმოიხუნა ეს ს ა ზ ღ ვ ა რ ნ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა. ცხადია, ჯუანშერი ე გ რ ი ს ს ი ს ე თ ი ვ ე ქ ა რ თ ლ ი ს ს ა ზ ღ ვ რ ა დ სთვლის, როგორც კლარჯეთს, ასე რომ ეგროსის წილი ქვეყანა მას ქართლში შემოაქვს გარდა იმ ნაწილისა, რომელიც ძველიდანვე დარჩა ბერძენთა (ქ ცა 24) „რამეთუ მკჳდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა“ და რომელზედაც ფარნავაზიანობიდანვე ხელი არ მისწვდომია ქართველთ (იგულისხმება, რომ ფარნავაზს ასევე სურდა ის ქვეყანაც, როგორც ეგროსის წილი შემოეტანა ქართლში...). ივარაუდება, რომ ეს ქვეყანაა ა ფ ხ ა ზ ე თ ი და ეს აფხაზეთია ეგრის-წ ყ ა ლ ს ქ უ ე მ ო თ-ი. ამ აფხაზეთს აღარ მისტირიან „ქართველნი“, თუმცა პრეტენზიები აქვთ და გორგასალი მის ერთ ნაწილს მოულობს (ქ ცა 177). დანარჩენი წილი ეგროსისა კი (შიდა ეგრისი) უკვე „ს ა ზ ღ ვ ა რ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა“ არის. ამრიგად, მერჩულეს ფრიადი ქუეყანა ლეონტი-ჯუანშერს პოლიტიკურად შემოჰყავთ „ქართლში“ (აქვე, 205) (მ—2, 3. ფურც. 67).

19. ქ ცა I, ჯუანშერი, 151_{12}, 153_8

ვახტანგ მეფემ ოსეთზე სალაშქროდ ლაშქარი შეყარა. ქართლის ლაშქარს გარდა შემწედ (ნიჯადი) ჰყვა რ ა ნ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი ს მიერ გამოგზავნილი თორმეტი ათასი მჯედარი და „ყ ო ვ ე ლ ნ ი მ ე ფ ე ნ ი კ ა ვ კ ა ს ი ა ნ ნ ი“.

- დარიალს ქვემოთ, თერგზე მტრები შეიბნენ. ოსთა მხრიდან გამოვიდა თარჯან ხაზარი და ვახტანგის მხრიდან გასული ბუმბერაზი სპარსთაგანი ფარსმან-ფაროუხი მოკლა. მაშინ თარჯანის წინაალმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგ გასვლა ვახტანგმა გადაწყვიტა. ვახტანგი საომრად წავიდა. და მისი ლაშქარი „შეძრწუნებულნი და სავსენი მწუხარებითა თჳსსა სჯულსა ზედა ეევედრებოდეს ღმერთსა“.

და როცა ვახტანგმა გაიმარჯვა „ქართველთა ნუგეშინისცემულთა და სავსეთა სიხარულითა აღიზახნეს ჭმითა საშინელითა“.

ცხადია, რომ „აღიზახნეს“ არა მხოლოდ ეთნიკურად ქართველმა მოლაშქრეებმა, არამედ, იგულისხმება, იმ ლაშქარმა, რომელიც ამის უწინარეს „შეძრწუნებულნი და სავსენი მწუხარებითა თჳს-თჳსსა სჯულსა ზედა ეევედრებოდეს ღმერთსა“, ე. ი. ეთნიკურად ქართველნი, სპარსნი, ნიჯადნი და კავკასიანნი. და იმის გამო, რომ მთელი ეს ლაშქარი ვახტანგის ლაშქარს შეადგენდა, რომ ომი ქართლსა და ოსეთს შორის იყო, აქეთ მხარეს შეიძლებოდა, „ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი“ სწოდებოდა, ხოლო იქითა მხარეს „ო ვ ს ნ ი“ თუმცა ეთნიკურ ოსებს გარდა იქაც იყვნენ ნიჯადად ხაზარნი (აკი ამბობს ჯუანშერი ქ ̅ცა 156: „მაშინ იძლივნეს ოვსნი“) (მ—2, 1. ფურც. 6).

20. ქ ̅ცა. I, ჯუანშერი, 205₄

„ხოლო ამან დაჩი მეფემან იწყო შ ე ნ ე ბ ა დ ქ ა რ თ ლ ი ს ა, რამეთუ მოოჯრებულ იყვნეს ყოველნი ჟ ე ვ ნ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა ნ ი, თ ჳ ნ ი ერ კ ა ხ ე თ ი ს ა და კ ლ ა რ ჯ ე თ ი ს ა და ე გ რ ი ს ი ს ა. და განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი, და, ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ“.

აშკარაა „ჟ ე ვ ნ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა ნ ი“ არიან კახეთიც, კლარჯ ე თ ი ც, ე გ რ ი ს ი ც (მ—2, 4. ფურც. 65).

21. მეტად საყურადღებო ფაქტია „ქართლის“ ცნების ეს ცვალებად შინაარსიანობა: ქართლოსიანთა, მცხეთოსიანთა, უფლოსიანთა და ბოლოს ქ ა რ თ ლ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი — ვახტანგის „ქართლი“. აქ უკვე ეთნიკური მომენტი მხედველობაში აღარაა მიღებული და ქართლის ცნებაში მხოლოდ პოლიტიკური შინაარსია ნაგულისხმევი.

საკმაოა რომელიმე მეფემ სახელმწიფოს პოლიტიკური საზღვრები გაიფართოოს, მეზობელი ქვეყნები შემოიერთოს (თუმცა ასეთი შემოერთებანი, იგულისხმება, რაღაც რეალურ საფუძველს ემყარება: თარგამოსიანობა...) და ეს ქვეყნები ქ ა რ თ ლ ა დ აღინიშნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი ასეთი ცნება დავიდასტურეთ, ადვილგასაგები ხდება „ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს“ ცნების გაჩენა დასავლეთ საქართველოს მთავარსით. ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა წარმოდგენით, ბერძენთა დახმარებით „ა ფ ხ ა ზ ე თ ი“ (ეგრისის მემკვიდრეობის დასავლეთი ნაწილი) „ქ ა რ თ ლ ს“ დ ა უ პ ი რ ი ს პ ი რ დ ა. „ქართლი“ ეგრისის დანარჩენ ნაწილს მოიცავდა. ეს „აფხაზეთი“ ხან ეგრის-წყალს ქუემო კერძი იყო, ხან შიდა ეგრისსაც მოიცავდა, ხან კლისურამდე აღწევდა მხოლოდ (აქამდე „ქართლი“ მოდიოდა).

ბოლოს ბერძენთა მხარის დაჭერით „აფხაზეთი“ მთელ ეგრისს გადმოსწვდა (ეს ჯერ კიდევ, საფიქრებელია, ლეონ პირველის დროს) და ამრიგად წარმოიქმნა ქვეყანა ა ფ ხ ა ზ ე თ ი (ჯერ ლეონ I-ის დროს სკანდა-შორაპნამდე, ხოლო ლეონ II დროიდან ლიხის მთამდე). ფორმალურ-პოლიტიკურად ამის სახელი იყო „ა ფ ხ ა ზ ე თ ი“ (სხვა საკითხია ამ „ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს“ რეალურ-ისტორიული შინაარსი... ამაზე სხვაგან)... (მ—2, 1, ფურც. 7).

22. არაბები რომ ქართლში შემოვიდნენ და დ ა ც ვ ი ს ს ი გ ე ლ ი მისცეს ქართლს, აქ სრულიად გარკვეულადაა აღნიშნული, რომ არაბებს საქმე აქვთ ქართლში რიგ პოლიტიკურ ერთეულებთან. დაცვის სიგელში მოხსენიებულია რამოდენიმე ქვეყანა, რომელთაც არაბებმა ეს სიგელი მისცეს. გარდა ამისა, კარგად ჩანს, რომ ეს დაცვის სიგელი მთელ ქართლს არ გულისხმობს. მაინცდამაინც წანარეთი (კახეთი) ამ სიგელით არ ივარაუდება. ყველაფერი ეს იმის უტყუარი მოწმობაა, რომ VII საუკუნის ქართლი ერთი მთლიანი ქვეყანა არაა (და რომ ერისმთავარი ქართლისა ქვეყანას ვერ აერთიანებს), რომ ქართლი პოლიტიკურად არაერთ ს ა ა ზ ნ ა ურ ო („სამთავრო“) ქვეყნისაგან შედგება, აი ისეთივე ტიპის ქვეყნებისაგან, როგორც ჩორჩანელის ქვეყანა (ბასილ ზარზმელით), ან ევაგრე ქართლის მთავრის ქვეყანა (დაცვის სიგელში მანგლისის ქვეყანა მაინც გარკვევით იხსენიება...). ამასთან დაკავშირებით ფრიად მნიშვნელოვანი ხდება ცნობა არჩილ მეფის შესახებ (ტაძრეულების გააზნაურების შესახებ და ერისთავებისათვის ნამზითვად ქვეყნის დანაწილების შესახებ). ეს არის დაგვირგვინება იმ დიდი პროცესისა, რომელიც ძველი ტიპის მეფის ფეოდალურ მეფედ გადაქცევას გულისხმობდა. ამრიგად ქართლი VII საუკუნეში მრავალ სამთავროდ (ს ა ა ზ ნ ა ურ ო ე ბ ა დ) არის დაშლილი (ზოგიერთი ამათგანი ფულსაც ჭრის). ე ს ი ყ ო ქ ვ ე ყ ნ ი ს

წინსვლის შედეგი, მეურნეობის ინტენსიფიკაციის შედეგი (6, 1. ფურც. 143)

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. ქ^ცა I, ჯუანშერი, 239_{10}, 240_{10}

მურვან ყრუმ მოაოხრა ქართლი, ეგრისი და გურიის გზით უკუიქცა... და ჯუანშერი მოგვითხრობს: „ხოლო იქმნა მას ჟამსა განრყუნილ ქუეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა და არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყუთა ყოვლადვე“.

ეს ქუეყანა ქართლისა მოიცავს ეგრისსაც და არა მარტო შიდა ეგრისს, არამედ ეგრის-წყალს ქუემოთ კლისურამდე ქვეყანასაც... ასევე ესმის ეს ბერძენთა მეფესაც, რომელიც უბრძანებს ლეონს, ერისთავს აფხაზეთისას: „კეთილად პატივსცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა, და ამიერითგან ნუღარამცა ჰელგეწიფების ვნებათ მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა“...

მირ და არჩილ, კეისრის პირით მეფენია ქართლისანი და ამ „ქართლში“ იგულისხმება ეგრიც. მაგრამ ამ ეგრში ახლა ეგრის-წყალს ქუემოთ კლისურამდე ქუეყანაც იგულისხმება...

რატომ არ ხმარობს ჯუანშერი ასეთ შემთხვევებში „ქართლის“ ნაცვლად „საქართველოს“. რამ აიძულა იმ ერთადერთ შემთხვევაში (235_{4-5}) ეხმარა ეს ტერმინი? როგორც ორი პოლიტიკურად საპირისპირო ქვეყანა, „საბერძნეთის“ ანალოგიით?? (მ—2, 1. ფურც. 8).

24. ჰაბო, 55_{19}

„აჰა ესერა ქართლისაცა მკვდრთა აქუს სარწმუნოებაჲ და წოდებულ არს დედად წმიდათა, რომელთამე თჳთ აქა მკვდრთა და რომელთამე უცხოთა და სხჳთ მოსრულთა ჩუენ შორის ჟამად-ჟამად, მოწამედ გამოჩინებითა ქრისტე იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა“...

ქართლი — კულტურული ერთეულია, რომლის მკვიდრებმა (ე. ი. ქართველებმა) „სარწმუნოებაჲ ესე ღმრთისა მიერი“ მოიპოვეს, ისევე როგორც ბერძნებმა. მაგრამ ამ ერთეულის უმთავრესი ნიშანი სწორედ ეს სარწმუნოებაა.

სარკინოზებთან დაპირისპირებაში ქართველია ის, ვინც ქრისტიანია, ვინც არ მიქცეულა სარკინოზად, ბერძენთან დაპირის-

პირებით ქართველია ის, ვინც ჟამის წირვას ქართულად ისმენს, სომეხთან დაპირისპირებით ქართველია ის, ვინც ქალკედონიტია და ჟამის წირვას ქართულად ისმენს... (მ—2, 3. ფურც. 72).

ბიბლიოთეკა

25. ჰაბო, 61_{10}

„და ვითარცა წარმოემართნეს იგინი ქუეყანით აფხაზეთით, მაშინ ნეტარსა ჰაბოს მიუწოდა მთავარმან მან აფხაზეთისამან და ჰრქუა: „ნუ განხუალ შენ ამიერ ქუეყანით, რამეთუ ქუეყანაჲ იგი ქართლისაჲ სარკინოზთა უპყრიეს და შენ ხარ ბუნებით სარკინოზ. და არა გიტჳენ შენ ქრისტიანობით მათ შორის“...

ბუნებით სარკინოზ (природный сарацин) წარმოშობით სარკინოზი. ასე რომ, როგორც ჩანს, არჩევდნენ „სარკინოზისაგან“ „ბუნებით სარკინოზს“.

ე. ი. „სარკინოზი“ კულტურული ცნება იყო, რომელშიაც მუსლიმანური რელიგიის მაღიარებლობა იგულისხმებოდა. ბუნებით სარკინოზი კი წარმოშობით (დედით — მამით) სარკინოზს ნიშნავდა. ასე რომ შეიძლებოდა, რომ ადამიანი სარკინოზი ყოფილიყო, ხოლო ბუნებით, ე. ი. წარმოშობით, არ ყოფილიყო ასეთი...

ასევე, უნდა ვიფიქროთ, იყო ქართველი... 1. ქართველი კულტურულ-პოლიტიკური ცნება: ქართული სარწმუნოების (ლეონტი ქართულ სარწმუნოებას წარმართული დროისასაც მოხაზავს) მაღიარებელი, ქართული კულტურული წრის ადამიანი (ქართული ენით), შემდეგ — ვეფხისტყაოსნის კულტურის ადამიანი... და 2. ქართველი წარმოშობით, ბუნებით ქართველი.

ასე რომ ბუნებით ჰერი ან აფხაზი შეიძლება „ქართველი“ ან „სომეხი“ ყოფილიყო და ეს იმისდა მიხედვით, თუ რომელ კულტურულ წრეს ეკუთვნოდა (მ—2, 3. ფურც. 8).

26. ქ^ცა I, მატიანე, 249_3

„შემდგომად ამისსა, რაჟამს აღესრულა წმინდა მოწამე არჩილ, ღაშთეს შვილნი მისნი ოვანე და ჯუანშერ. წარვიდა ოვანე ეგრისად და წარიტანა თანა დედა და ორნი დანი, თჳსნი, ხოლო ჯუან-

შერ და ორნი დანი მისნი დაშთეს ქუეყანასა ქართლისასა და კახეთისასა“.

ეს ავტორი, რომელსაც საუბარი აქვს ცალკე ქვეყნებად დაყოფილ ქართლზე (სამთავროებზე), ბუნებრივია აგრე თითოეულ ქვეყნებით იხსენიებს მათ. ქართლი მისთვის ერთი ქვეყანაა სხვა ასეთივე ქვეყნების გვერდით (კახეთი, ჰერეთი, ეგრისი, აფხაზეთი და სხვ.).

მაგრამ ამავე დროს ჩვენს ავტორს სრულიად გარკვეული წარმოდგენა აქვს ქართლზე, როგორც ყველა ამ ქვეყნის შემკრებლობით ერთეულზე. „იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა“ — აქ ქუეყანა ქართლისა, რა თქმა უნდა, კუთხური გაგებით არაა ნაგულისხმევი: საუბარი შეეხება იმას, თუ რატომ „იწყო შემცირებად მეფობამან დიდთა მეფეთა ხუასროიანთამან“, ე. ი. დიდ ქართლს...

მატიანე ქართლისას ავტორი კარგი თვალის ისტორიკოსია. ის იცნობს, საფიქრებელია, ლეონტი-ჯუანშერს და იმ ქართლს, როგორიც ამ ისტორიკოსებს წარმოუდგენიათ თავიანთ შრომებში. მაგრამ ჩვენს ავტორს საქმე აქვს რეალურ ქართულ სამყაროსთან, რომელიც ამ დროს ასეთი ერთეულებისაგან შემდგარ ცალკე ქვეყნებად გამოიყურება (მ—2, 3. ფურც. 197).

27. ქ ცა I, მატიანე ქართლისა, 257_7

„მოვიდა კუალად ამირად ხალილის ძე ჰუმედ, და უფროს ნებიერად დაიპყრა ყოველი ესე ქუეყანა; სომხითი, ქართლი და რანი“.

აქ „ქართლი“ თითქო არაკუთხური შინაარსითაა ნახმარი: ის სომხითისა და რანის რიგის ქვეყანაა. მაგრამ არ უნდა გავუშვათ მხედველობიდან, რომ „ქართლი“ სულ უფრო და უფრო კუთხური ცნება ხდება: არაბები, მართალია, ცდილობენ ქართლი მისი ძველი მოცულობით ჰქონდეთ ხელთ, მაგრამ ამ ამოცანას ვერ ახორციელებენ: არც კლარჯეთი (ბიზანტიის ხელქვეშეთი ბაგრატიონები) არც აფხაზეთი (ეგრისი) და არც კახეთი ტფილელ ამირას ქართლის მფლობელად არ სცნობენ და „ქართლის“ დასაუფლებლად თვითონ ისწრაფვიან. აქ ერთი საინტერესო საკითხიც ისმის: ხომ არ ესმის თითოეულ მებრძოლთაგანს „ქართლში“ არა შიდა ქართლი, არამედ ის ქართლი, რომელიც პოლიტიკურად დაიშალა, ასე რომ „იბრძოდეს ქართლსა ზედა“ ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრები ძველი ქართლის დაუფლებისათვის იბრძოდნენ, რაც ფაქტიურად, მატერიალურად შიდა ქართლისათვის ბრძოლად კლინდებოდა. ე. ი. მე ვსვამ საკითხს, არსებობდა თუ არა „ქართლის“ აღდგენის იდეა, მის ქართლისიანობის საზღვრებში პლუს ჰერეთ-ეგრისი, ე. ი. არსებობდა თუ არა იდეა იმ კულტურულ-პოლიტიკური ერთეულის აღდგენისა, რომელსაც „ქართლი“ ეწოდებოდა.

მატიანე ქართლისას ავტორი რეალისტი ისტორიკოსია. ის დამაჯერებლად გადმოგვცემს არაბთა ბატონობისა და ქართლის პოლიტიკური დაშლილობის რთულ სურათს, მაგრამ ისტორიულ რომანტიკას და პოლიტიკურ მრავალსიტყვაობას მოკლებული, ჩვენი ავტორი, ეს მუდამ ივარაუდება, მთელ საქართველოს გულისხმობს. ეს იდეა უეჭველად ახლდა აფხაზთა მეფეების პოლიტიკას (შიდა ქართლს რომ იპყრობენ, კახეთსა და ჰერეთს რომ უტევენ, თრიალეთს და ჯავახეთს რომ ეჭიდებიან), კახთა ქორეპისკოპოსების პოლიტიკას (შიდა ქართლს რომ იპყრობენ), კლარჯ ბაგრატიონებს — „ქართველთა მეფის“ ტიტულს რომ ითვისებენ და ამდენადვე ძველი „ქართლის“ გამაერთიანებელთა პრეტენზიით გამოდიან. რა თქმა უნდა, არ იქნებოდა საკმაო, რომ ჩვენ კლარჯ ხელმწიფეთა ქართველთა მეფობის პრეტენზიები ბიზანტიის პოლიტიკით აგვეხსნა. ბიზანტია აქ უეჭველია როლს თამაშობდა. მაგრამ ეს იყო დამხმარე მომენტი, თუნდაც მნიშვნელოვანი. წყისეს წარწერა (მცხეთის ჯვრის კულტით) და სხვა ასეთი წარწერები უძველესი ხანიდან (ბუნამისი, ოძრხის...), ზარზმა და კლარჯეთის უძველესი მონასტრები (ვრიგოლ ხანძთელამდე) და სხვა რიგის მოწმობები (ბერძნული მოწმობანი), ეჭვს არ სტოვებენ იმაში, რომ ეს ქვეყნები, უფლოსის ძმების ოძრჯოსისა და ჯავახოსის წილი, სრულიადაც ნაკლები „ქართლი“ არ ყოფილან, ვიდრე გარდაბოს-გაჩიოსისა, თუ უფლოსის ქართლი (ბოლნის-სამშვილდე-ურბნისი-მცხეთის ჯვრით).

ჩვენ ამით, რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ იდეალისტური კონცეფციისაგან, თითქო ეს იდეა იყო ის მთავარი მამოძრავებელი ძალა ამ „ქართველ“ მეფე-მთავრების მოქმედებაში (მე ხაზს ვუსვამ ამ შემთხვევაში ქართველს, რამდენადაც ვგულისხმობ, რომ ყველა ეს მებრძოლნი მეტ-ნაკლებად ერთიან ქართულ კულტურას ზიარებული იყვნენ). ჩვენ მხოლოდ იმას ვამტკიცებთ, რომ ეს იდეა არსებობდა და მოქმედებდა...

რა თქმა უნდა, თავე და თავი ის იყო, რაც ამ იდეის ცხოველმყოფელობას იწვევდა, თავი და თავი ის იყო, რაც ამ ბრძოლაში

„ქართლის“ მემკვიდრეობის გვერდით სხვა მეზობელ ერთეულებსაც ითრევდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშასადამე მე მხოლოდ მინდა ყურადღება მივაქციო, რომ ეს ორსაუკუნოვანი ბრძოლა, რომელიც, რა თქმა უნდა, გარკვეულ საზოგადოებრივი განვითარების საფუძველს ემყარებოდა, არ იყო იდეას მოკლებული და ეს იდეა „ქ ა რ თ ლ ი ს“ ალდგენა იყო (მ—2, 6. ფურც. 191).

28. მერჩულე, 263_{10}

ხანძთაში მონაზვნები მრავლდებოდნენ „...მას ჟამსა მოვიდეს მამაჲ ეტჯფანე და მღდელი მატოი ქ ა რ თ ლ ი თ და დიდი ზენონ ს ა მ ც ხ ი თ“...

„ქ ა რ თ ლ ი“ აქ ი ს ე თ ი ვ ე ხ ა ს ი ა თ ი ს ცნ ე ბ ა ა, რ ო გ ო რ ც „ს ა მ ც ხ ე“ (მ—2, 5. ფურც. 209).

29. მერჩულე, 277_{24}

„რაჟამს-იგი განდიდნა სახელი ნეტარისა მამისა გრიგოლისი და მიიწია ქ ა რ თ ლ ა დ და ესმა სანატრელსა დედასა მისსა“...

„ქართლი“ აქ ესაა ეთნიკური „ქართლი“, უფლოსის მემკვიდრეობა და არა მცხეთოსის (ამის ქ ა რ თ ლ ი მოიცავდა საკუთრივ ქართლს გარდა ჯავახეთს და ოძრხოსის წილს, რომელიც თავის მხრით შედგებოდა სამცხისა, კლარჯეთისა და შავშეთისაგან), ან კიდევ უფრო ქართლოსის (ამის ქართლი ხომ კიდევ უფრო დიდ ქვეყანას მოიცავდა: კახოსის, კუხოსის, გარდაბოსის და გაჩიოსის და მცხეთოსის ქვეყნებს...).

ამრიგად იყო სამნაირი ქართლი: ქ ა რ თ ლ ო ს ი ა ნ თ ა, მ ც ხ ე თ ო ს ი ა ნ თ ა და უ ფ ლ ო ს ი ს ა. მერჩულეს დროს კი შემზადებული იყო პირობები ქართლის ცნების კიდევ უფრო გაფართოებისა: ის გადასცდა ქართლოსიანდა ეთნიკურ საზღვრებს და შიგნით მოიქცია ჰერეთისა, ეგროსის წილი, პარხალი და ტაო...

მაგრამ ეს უფლოსის ქართლიც ყოველთვის ერთი ოდენობის ქვეყანა არ ყოფილა: დ ღ ე მ დ ე ც კ ი და მთელ საშუალ საუკუნეთა სიგრძეზე, მაგალითად, არც არაგვის და არც ქსნის ხეობანი ქართლად არ შეიცნობოდა, მაინცდამაინც ამ ხეობათა ზემო და შუა წელი — წილკანი, ძალისა (?), ჟინვალი, მეჯვდის ხევი. ქრცხინვ`ლი — ის პუნქტები ჩანან, სადაც გაცვლა-გამოცვლა წარმოებდა არა მარტო გეოგრაფიულ ბარსა და მთას შორის, არამედ ბარელ

ქართებსა და მთიელ ფხოვ-ჭართალ-დვალს შორის (წობენი, ფხვენი-სი, წილკანი, საქართლის ციხე ამისათვის კარგი ტოპონიმ[illegible] ტომობრივი სხვადასხვაობა იბერიის სახელმწიფოში [illegible] შეუმჩნევია და ისიც შესამჩნევი ყოფილა მაშინ, რომ ეს მთიელი „იბერიელები“ სარმატების მონათესავეებად გამოიყურებოდნენ...

არც დასავლეთის მხრით იყო იბერია ერთს უძრავ საზღვრებში. გადმოცემანი ამ მიმართულებით (შორაპანი და დიმნა) დადასტურებას პოულობენ როგორც არქეოლოგიურ მონაპოვრებში (ბორი), ისე მოგვიანო წერილობით მოწმობებსა (პროკოპი კესარიელი) და ტოპონიმიკურ ფაქტებში (საზანო, არგვეთი)...

ასეთი მსჯელობის შუქზე კიდევ უფრო საყურადღებო ჩანს ტოპონიმი „ქართლი“ და ისტორიულ-გეოგრაფიული ცნებები „ზენა სოფელი“ და „შიდა ქართლი“. უსაბუთოდ არ გამოიყურება ფიქრი, რომ „ქართლი“ მტკვრის მარჯვენა მხარეზე ის ტოპონიმია. რომელიც (კიდევ უფრო „ქართლის კარი“ — ჯუანშერი) რაღაც საზღვარზეა (შდრ. საზანო, ალვანი, წილკანი, საქართლის ციხე), რომლის მიღმა ქართლის ქვეყანაა, ასეთად ივარაუდება მტკვრის სამხრეთი. ამ კონტექსტში გასაგები ხდება „ზენა სოფელი“ და კიდევ უფრო ნიშანდობლივი „შიდა ქართლი“. შდრ. კახეთი, შიგნით კახეთი, რომელიც „გარე“-დან „გაკახეთდა“. ყოველ შემთხვევაში ასეთია ლეონტის კონცეფცია და ამას მხარს უჭერს არქეოლოგიური ჩვენებანიც.

ამრიგად, ივარაუდება, რომ რაღაც დროს ქართლი მტკვრის სამხრეთით იყო. ხოლო მტკვრის ჩრდილოეთით ქართლი არ იყო... რომ შემდეგ გაჩნდა „ზენა სოფლის“ ადგილზე „შიდა ქართლი“... მაგრამ ჩვენ ამით თვით ქართლის წარმოშობის შესახებ მსჯელობას ვიწყებთ. ასეთი საკითხები, ქართლისა და იბერიის ურთიერთობის, ქართლის წარმოშობის, მისი საზღვრების ცვალებადობის და სხვა და სხვა, ჩვენს დღევანდელ ამოცანაში არ შედის. ამის გარკვევა მომავლის საქმეა. დღეს ჩვენ იმასაც ვიკმარებთ, რომ აღვნიშნავთ: ქართლი ისტორიის ამ ვეება სიგრძეზე ერთი და იგივე მოცულობის ქვეყანა არ ყოფილა, რომ არათუ ქართლოსის ქართლი ან მცხეთოსის ქართლი, არამედ უფლოსის ქართლიც კი ერთი და იგივე მოცულობის ქვეყანა არ ყოფილა სხვადასხვა დროს. (შემდგომი ისტორიულ-არქეოლოგიური მუშაობა გააკვლევს რამდენად სწორია და ისტორიულად რეალური ლეონტის კონცეფცია თარგამოსიანთა, თუ ქართლოსიანთა შესახებ, ან კიდევ რამდენად ზემოქმედებდა ამ კონცეფციის შემუშავებაში რეალურ-ისტორიული სი-

ტუაცია საშუალ საუკუნეებში რომ იყო შექმნილი. ყველა ეს ცნობა სასპერ-კოლხების შესახებ (ჰეროდოტე), ბერძნულ-რომაული ცნობები, სომეხ მწერალთა ცნობები (ხორენელი) ისტორიულ შესწავლასა და შეთანხმება-გამართვას მოითხოვენ... ისტორიული გეოგრაფია და არქეოლოგია უნდა ვიფიქროთ საკმაო ფაქტებს მოგვაპოვებინებენ, რათა ბოლო მოეღოს შეუთანხმებლობა-ნებისმიერობას ხორენელისა, თუ ლეონტის დროიდან დღემდე რომ ბოგინობს ქართულსა და სომხურ ისტორიოგრაფიაში...).

თუ ჩვენი ფიქრი მართებულია და ოდესმე „ქართლი" მხოლოდ მტკვრის სამხრეთით მდებარე ქვეყანას ერქვა (ასეთივეა თითქო ლეონტის წარმოდგენაც იმ მხრით მაინც, რომ ეს „ქართლი" ქართლოსის შვილების ან თვითონ მის მიერ არის დაფუძნებული) გარდაბოსი, გაჩიოსი, ორბის ციხე, ქართლი — პუნქტი, მაშინ როცა მცხეთა დაარსებულია მცხეთოსის მიერ, ხოლო უფლისციხე, კასპი და ურბნისი კიდევ უფრო გვიან მცხეთოსის ძის უფლოსის მიერ... მაინცდამაინც ლეონტით ის „ქართლი" უფრო ადრე დაფუძნდა, იქ წარიმართა პირველი შენებულება ქართლოსის, მისი ცოლისა და მისი შვილების მიერ: ლეონტით ხომ ისე წარმოიდგინება, რომ ეს ქვეყანა, სადაც ქართლოსი დამკვიდრდა, ცარიელი იყო და მისი მოშენება ქართლოსმა დაიწყო და მაშასადამე პირველად მოშენდა მტკვრის სამხრეთით მდებარე ქართლი ხოლო შემდეგ „შიდა ქართლი"... (მ—2, 5. ფურც. 199—201).

30. მერჩულე, $279_{10, 22, 36}$

თეოდორე და ქრისტეფორე „წარვიდეს კერძოთა ქ ა რ თ ლ ი ს ა თ ა", უნდოდათ მონასტრების აშენება. გრიგოლმა ისინი ს ა მ ც ხ ე ს იპოვნა...

აქედან „წარვიდეს ზ ო გ ა დ ს ა მ ც ხ ი ს ა და ქ ა რ თ ლ ი ს ა არეთა მათ უდაბნოთა და პოვნეს ორნი ადგილნი სამონასტრედ"... ნეძვ და კვრიკე-წმიდა.

და ბოლოს გრიგოლი აცხადებს, რომ „აწ ქრისტე აღაშენებს ორთა მათ მონასტერთა ფრიად კეთილთა ქ ა რ თ ლ ს შინა თევდორცს და კრისტეფორცს მიერ". გამოდის, რომ მერჩულეს ნეძვი და კვირიკეწმიდა ეგულება ქართლში. ეს კი ჯეობაში იყო, რომელიც ლეონტის კონცეფციით უფლოსის ქართლი არ იყო: საზღვარი ხომ ტასისკარი იყო... არაა საფიქრებელი, რომ მერჩულეს აქ ქართლი ფართე გაგებით ჰქონდეს ნახმარი, ის სამცხესთან

ერთად იხსენიება და, მაშ, ვიწრო გაგებით: — ჩანს ჯეობის მიკუთ-
ვნება ქართლისა თუ სამცხისათვის სხვადასხვა აქვთ მერჩულეს ... ...
ლეონტის... (მ—2, 5. ფურც. 208).

31. მერჩულე, 290[34]

„არამედ დიდი ეფრემ მრავლისა კეთილისა მომატყუებელ ექ-
მნა ქუეყანასა ჩუენსა, რამეთუ პირველად აღმოსავალისა კათალი-
კოზთა მიჰრონი იერუსალჵმით მოჰყვანდა. ხოლო ეფრემ ქრის-
ტჵსმიერითა ბრძანებითა მიჰრონის კუთხევად ქართლს განაწე-
სა იერუსალჵმისა პატრიარქისა განწესებითა და წამებითა სიხარუ-
ლით. არამედ ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსა-
ცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი
აღესრულების, ხოლო კკრიელეჲსონი ბერძულად ითქუმის, რო-
მელ არს ქართულად: „უფალო წყალობა ყავ“, გინა თუ „უფალო
შეგვწყალენ“.

ამ დროისათვის უკვე დიდი ამბავი იყო მომხდარი. ქართლი
ეთნოგრაფიული ქართლის, არა მხოლოდ უფლოსის ქართლის, ან
მცხეთოსის ქართლის, არამედ ქართლოსის ქართლის საზღვრებს
გასცდენოდა როგორც აღმოსავლეთით (ჰერეთი), ისე დასავლეთით
(ეგრისი). სწორედ ამ ხანებში საბოლოოდ გაფორმდა ეკლესიურა-
დაც და ქართლის კათალიკოსის სამწყსოში შემოვიდა აქამდე ალ-
ბანთა მონოფიზიტ კათალიკოსის იურისდიქციის ქვეშ მყოფი ჰე-
რეთის ეკლესია, რომელიც დინარ დედოფალმან მოაქცია (ქ ცა). მა-
შასადამე, ამ ქვეყანაში (ჰერეთში) ჟამი ქართულითა ენითა შეი-
წირვოდა, ე. ი. აქაც „ქართლი“ იყო. ანალოგიურ მოვლენას ადგი-
ლი ჰქონდა დასავლეთ საქართველოში, სადაც ქართული ეკლესიის
დაფუძნება ბერძნულის ნაცვლად დიდი ხანია მიმდინარეობდა
(მცხეთის კათალიკოსი მეგრელთა კათალიკოსად ჯერ კიდევ VII საუ-
კუნეში მოიხსენიება...). აქაც, მაშასადამე, ქართლი შემოდიოდა და
კონფესიურად „ქართველი“ ერქმეოდა როგორც ქართლოსის, ისე
ჰეროსისა და ეგროსის მკვიდრთ (მაგრამ საქმე ამაზე შორსაც მი-
ღიოდა და საქართველო ამ მოძმეთა მიღმაც შორს ვრცელდებოდა...
ტაო, ჰანეთი, ალანები და სხვა მთიელები „ქართულ ქრისტიანო-
ბას“ იღებდნენ და მერჩულეს ენით „ქართველდებოდნენ“). მი-
რონის კურთხევის საკითხმა ათქმევინა მერჩულეს ეს ფუძემდებ-
ლური ცნობა. ჩანს, მეს დროს X საუკუნეში ეს საკითხი დადუღება-
გადაწყვეტის მომენტში იყო... მერჩულემ გამოთქვა დებულება, ამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დროს რომ ქართული ეკლესიის ინტერესთა სადარაჯოზე მდგომთა შორის შემუშავებულიყო...

მაგრამ ამ მოვლენის, „ქართლის“ გაფართოების, საფუძველი იყო არა კონფესიური ფაქტი, პირიქით ფაქტი, თვით იყო შედეგი უაღრესად ღრმა საზოგადოებრივი მოვლენისა, რომელიც მიმდინარეობდა დიდი ხანია მეტ-ნაკლების შეფერხებით, თუ ინტენსივობით ქართლოსის სამემკვიდრეოს აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით, თუ დასავლეთით. ჩვენ მოგვეპოვება საშუალება ვამტკიცოთ ამ პროცესის მოქმედება ქართლის სამეფოს გარიჟრაჟიდან მოკიდებული (შეიძლებოდა პირუკუ პროცესზე საუბარი ამის წინარე ხანაში. ვგულისხმობ კოლხური კულტურის გავლენის ძლიერ კვალს სამხრეთ-დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში), მაგრამ თუ მონათმფლობელობის ხანაში ეს პროცესი ერთგვარ შემზადებას წარმოადგენდა, ის გაცილებით უფრო სწრაფი და ინტენსიური ხდება ადრეფეოდალური ურთიერთობის ხანაში. ეს პროცესი ქართლის ეთნიკური შეღწევისა მოძმე მეზობელთა ქვეყნებში ძირითადად სრულდება IX—X საუკუნეში და ისეთი ინტენსივობით მიმდინარეობს, რომ ზოგიერთ ჩვენს მეცნიერს საბუთი მისცა ეს პროცესი მხოლოდ ამ საუკუნეთა დამახასიათებელ კუთვნილებად გამოეცხადებინა, რაც, რა თქმა უნდა, მართალი არ არის. აქვე უნდა აღინიშნოს, ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხავად, რომ ეს პროცესი, იმის მიხედვით, თუ რა ხასიათის საზოგადოებრივ სინამდვილეში მიმდინარეობდა, სხვადასხვა სპეციფიკური თვისებებისა და შედეგებისაც იყო... სხვადასხვა ინტენსივობის სიძნელეთა გადალახვა უხდებოდა „ქართლს“ ტაოში, სომხითში, ჰერეთში, რანში, კავკასიის მთიანეთის პირაქეთ თუ პირიქით ტომებში, ეგრისაფხაზეთში...

შედეგებიც არ იყო ერთნაირი (თუმცა კონფესიურად საკითხი ყველასათვის ერთნაირად წყდებოდა). და ეს სწორედ იმიტომ, რომ გავლენის სუბიექტი თუ ყველგან ერთი იყო, სხვადასხვა იყო გავლენის ობიექტი: პრიმიტიული, ეთნიკურად და საზოგადოებრივი განვითარების ხაზით უფრო დაშორებული მთა სხვა სახით ითვისებდა ქართლს, ვიდრე საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებით შედარებით ახლოს მდგომი ბარელი მეზობლები.

ქართლის ეს გავლენა ადრეფეოდალურ ხანაში სხვა არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ არ ფეოდალური ურთიერთობის გაერცელება (ძირითადად), თუ არ ფეოდალური საქართველოს წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმნა ადრეფეოდალური ქართლისა, ეგრის-აფხაზეთისა და ჰერეთის ადგილზე...

რად დასჭირდა მერჩულეს ასეთი განმარტება. ეთნიკურ ქართლს რომ საქმე შეხებოდა, მერჩულე, რა თქმა უნდა, მტკიცებას არ შეუდგებოდა, რომ ქართლოსიანთა ქვეყანა ქართლია იმიტომ, რომ ქართლოსიანთა ქართლში ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის. ჟამის შეწირვის მომენტიდან არ გამოდიოდა ლეონტი მროველი და ქართლოსიანთა ქართლს სიზუსტით მოხაზავდა და ასაბუთებდა (გენეალოგიური ტაბულით). როგორი იყო მაშასადამე, მერჩულეს წარმოდგენა მისი დროის ქართლზე? მერჩულეს სამნაირი ქართლი წარმოუდგენია: უ ფ ლ ო ს ი ს ქ ა რ თ ლ ი (ჩვენ არ ვიცით არსებობდა თუ არა მერჩულეს დროს ასეთი გენეალოგიური ტაბულა, მაგრამ გამორიცხულად არ მიგვაჩნია), ამ ქართლის თანაბარი ფასის ერთეულებია სამცხე, კლარჯეთი, ჯავახეთი და სხვ. მეორე ეს იყო ქართლოსის ქართლი, მესამე კი, ეს იყო ის ახალი ქართლი, რომლის საზღვარი ძველ ეთნიკურ საზღვრებში არ თავსდებოდა და ახალ ეთნიკურ მომენტს აღიარებდა: კონფესიური მომენტით სურდა დაესაფუძვლებინა ის ახალი, რასაც ამ დროს ადგილი ჰქონდა კავკასიის ხალხების ურთიერთობაში. ჩვენი ასეთი ახსნისას გაუგებარია, თუ რატომ არ არის მერჩულე თანმიმდევრული და თავის ამ თეორიის შესაბამისად რატომ არ იხსენიებს ქართლად დასავლეთ საქართველოს, არამედ აფხაზეთად? ამ საინტერესო საკითხზე შეიძლება ის ვუპასუხოთ, რომ ქართლი არ შერქმევია არცერთ არაეთნიკური ქართლის ქვეყანას, არამედ შეერქვა უფრო მოხერხებული ახალი ტერმინი „საქართველო"; ასე რომ „მერჩულეს ფორმულა „საქართველოს" წინა ხანაა, რომ ის არსებითად უკვე შობილია, ოღონდ ტერმინოლოგიური გაფორმების პროცესშია...

ერთი დეტალია მერჩულეს განმარტებაში, რომელიც გვიდასტურებს, ვფიქრობთ, თუ ვის ჰგულისხმობს პოტენციურ, თუ რეალურ მოწინააღმდეგედ ამ თავის განმარტებისა. ესაა სპეციალურად გახაზვა იმისა, რომ „კვრიელეიზონი ბერძულად ითქუმის", სწორედ ეს ბერძნულენოვანი ეკლესია არის მერჩულეს შეტევის ობიექტი, უკეთ, მერჩულე ამ ბერძნულენოვან ეკლესიის შემოტევა-პრეტენზიებს იგერიებს დასავლეთ საქართველოში. მაგრამ დას. საქართველოს ქართლად გაგების ტენდენციები ლეონტისთანაც ჩანს[2].

---

2 ქეჯი ეუბნება ფარნავაზს: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და

ქუჯის სიტყვა, ფარნავაზს რომ უთხრა, შესანიშნავია, ის ყოვ-
ლად ულოლიკოა, თუ იგულისხმება, რომ ქუჯი ეგროსის
ლია: ეგროსი ხომ ქართლოსის ძმა იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ რით ასაბუთებს ლეონტი ასეთ სიტყვას? ხომ არ გვაქვს
რაიმე დამახინჯება თარგამოსიანთა გენეალოგიაში? რა უფლების
ძალით შეეძლო ქართლის თავთა შვილს უფლება-უფროსობა ეგ-
როსის თავთა შვილზე? ან შეიძლება ქუჯი არ ითვლებოდეს ეგროსის
თავთა შვილად? ეს არ ჩანს. პირიქით, ლეონტის ისე ესმის, რომ
როგორც ფარნავაზი ქართლში, ისე ქუჯი ეგრისში ამ მოძმე ქვეყ-
ნების თავთა შვილებია... უნდა ვიფიქროთ თარგამოსმა ქვეყანა
ორად გაჰყო. ერთი ნახევარი („უმჯობესი") ჰაოსს მისცა, მეორე
ნახევარი სხვა მის ძმებს დაუნაწილა ღირსებისამებრ. თანა-
ბარი ოდენობის და მნიშვნელობის ქვეყნები კი არ მიუცია მათ-
თვის, არამედ მეტ-ნაკლები... ყველაზე უფროსი ამ დანარჩენ ძმათა
შორის იყო ქართლოსი, რომელმაც მაშასადამე სხვებზე უკეთესი
ქვეყანა მიიღო... და ისევე, როგორც ჰაოსი „უფლის" პრეტენზიე-
ბით იყო თარგამოსიანთ მთელ მემკვიდრეობაზე (უფროსობის ფეო-
დალური პრინციპით), ასევე ქართლოსს „უფლობა" შეშვენოდა
თავისი უმცროსი ძმების მიმართ (ეს უფლობა ხომ „რეცა თავა-
დის" უფლობა იყო და არა ერისთავის ან მეფის. ეს რეცა თავადი
იგივე მამასახლისი იყო სხვა მამასახლისებს შორის).

მთელ ამ კონცეფციას კარგად ემჩნევა ცდა, რომ უფლებრივად
დაასაბუთოს გენეალოგიური ტაბულით არსებითად შექმნილი ფაქ-
ტიური ვითარება, რომლის დასაწყისი შესაძლებელია (ამის საბუ-
თები არსებობს) მართლაც ფარნავაზიანთა ხანაში დაიწყო, ხოლო
უფლებრივ-იურიდიული საფუძველი საშუალო საუკუნეებში შეი-
მუშავეს ქართულ მეცნიერულ პოლიტიკურ წრეებში, ვისი გამო-
ხატულებაც არის ლეონტის მონათხრობი... ლეონტი ამის შემდეგ
კიდევ უფრო ადვილად აკეთებს ახალ ნახტომს. ფარნავაზმა ქუჯი
დაისიძა, ისევე როგორც ოსთა მეფე... სიძე ქუჯი რეცა თავადის მო-
მსმენი გახადა, ხოლო როცა ფარნავაზი გახელმწიფდა იმავე ქუჯისა,
ოსთა მეფისა და ჰაოსიანთა დახმარებით, მან ეს სამეფო უფლება
არა მარტო ქართლში, არამედ ქუჯიზედაც გაავრცელა. ასე რომ ამი-

შენ გმართებს უფლობა ჩემი. აწ ნუ შურობ ხუასტაგსა შენსა, რათა განვამრავ-
ლნეთ სპანი; და უკეთუ მოგუეცეს ძლევა, შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ
მონა შენი". (ქ^ცა 1, 22_{22}).

ერიდან იქაც ქართლია (მერჩულეს საბუთის გვერდით...). (მ—2, 5. ფურც. 202—206).

ეროვნული ბიბლიოთეკა

32. ქ^ცა I, მატიანე, 258_5.

„მას ჟამსა გამოვიდა გიორგი აფხაზთა მეფე, ძმა თეოდოსესი და დემეტრესი (IX ს.) ძე ლეონისი. დაიპყრა ქ ა რ თ ლ ი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე დემეტრესი“... აქ, უეჭველია, „ქართლი“ კ უ თ ხ უ რ ი და ი ს ი ც შ ე მ ც ი რ ე ბ უ ლ ი იგულისხმება (თბილისი „და ყოველნი არენი მისნი“ (256), აგრეთვე მცხეთა მუხნარით ამ ქართლში არ იგულისხმებიან: პირველი თბილისის ამირას ხელთაა, მეორე კახთა მთავრისა) და „ქართლი“ მაინც ამას ეწოდება და ეს იმიტომ, საფიქრებელია, რომ ეს იყო განსაკუთრებით ქართლი, საიდანაც წარმოიქმნა მთელი ქართლოსიანთ ქართლი... ჩანს „ქართლი“, როგორც საკუთარი სახელი, ამ მხარეს განეკუთვნებოდა (და მას სხვა სახელი არ ჰქონდა, მაშინ როცა ყველა სხვა ნაწილებს თავიანთი კერძო სახელიც ჰქონდათ) ჩანს ეს უძველესი დროიდან მომავალი ტოპონიმ-ეთნონიმიკური მოწმობა იყო, შესაძლებელია, ამ დროისათვის რამოდენადმე ადგილმონაცვლებულიც კი, მაინცდამაინც მ თ ა და ს ო ფ ე ლ ი ქ ა რ თ ლ ი ახლა ამ ერთეულში აღარც კი იყო, თავი რომ დავანებოთ გაჩიან-გარდაბნის ქვეყნებს, რომელნიც, შეიძლება ვიფიქროთ, სწორედ „ქართლის“ ერთ-ერთი უძველესი მხარე იყო... (მ—2. 3. ფურც. 195).

33. ქ^ცა I, მატიანე, 268_{10}

გიორგი აფხაზთა მეფეს კახეთის დაპყრობა განეზრახა. კ ბ რ ი კ ე შეიპყრა „და წარვიდა კახეთად, რათამცა დედა წული მისი აკრიბა ჴელთა. გარდაეხუეწნეს, რამეთუ აცნობეს ა ზ ნ ა უ რ თ ა ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა“.

იქვე, 269_8

გიორგი მეფემ კახეთი დაიჭირა. კ ბ რ ი კ ე ბოჭორმაში იყო და კახეთზე ხელის აღებას აპირებდა. „მაშინ შეეზრახნეს აზნაურნი ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი და მათ თანა კ ა ხ ნ ი... (ჩამოთვლილია) და მიერთნეს კ ბ რ ი კ ე ს“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისდა კვალად, თუ რა მნიშვნელობით იხმარებოდა ქართლი, ქართველიც შესაბამის მნიშვნელობას ღებულობდა: როცა „ქართლში“ ქართლოსის წილხდომილი ქვეყანა იგულისხმებოდა, ქ ა რ თ ვ ე ლ ი ეწოდებოდა იმას, ვინც ამ ქვეყნის მკვიდრი იყო, ვინც ამ ქვეყ-ნელი იყო.

როცა „ქართლში“ გარკვეული კულტურული ერთეული, კულ-ტურული ერთობა იგულისხმებოდა, ქ ა რ თ ვ ე ლ ი ამ კულ-ტურული ერთობის მონაწილეს ეწოდებოდა (სულ ერთია იყო ეს ერთობა წარმართულ-არმაზული, თუ ქრისტიან-ქალკედონიტუ-რი).

როცა „ქართლი“ „საქართველომ“ შეცვალა, ე. ი. როცა „ქ ა რ-თ ვ ე ლ ი“ „ქ ა რ თ ლ შ ი“ არ დ ა ე ტ ი ა და „ს ა ქ ა რ თ ვ ე-ლ ო“ შ ე ი ქ მ ნ ა, ქართველი ამ დიდი ერთეულის წევრის სახე-ლი იყო.

მაგრამ, როგორც არაერთხელ შევნიშნეთ, ქართლი ამავე დროს და როგორც საფიქრებელია, ისტორიის მთელ მანძილზე, მაინც გარკვეულ ნაწილს ქართლოსიანთ სამკვიდრებელის, თუ ქართველთა კულტურული ერთობის გარკვეულ გეოგრაფიულ ნა-წილს ეწოდებოდა განსაკუთრებით. ეს იყო ზენა სოფელი, ანუ შიდა ქართლი. ამდენადვე „ქ ა რ თ ვ ე ლ ი“ ამ ქვეყნის მკვიდრის სახელად არასოდეს მოიშლილა და არც მოიშლებოდა კახის, ჯავა-ხის, მესხის, თორელის თუ სხვათა გვერდით. მაგრამ ეს არის კ უ თ ხ უ რ-ს ა დ ა უ რ ო ბ ი ს ა ღ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ი ტ ე რ მ ი ნ ი, ე თ ნ ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ტ ე რ მ ი ნ ი (კახის, მარგველის, თორე-ლის, ჯავახის, მესხის გვერდით) და არა ეროვნების ცნების შემ-ცველი ტერმინი.

ასე რომ ქართველი, მატიანე ქართლისას ავტორთან, ისე რო-გორც სხვაგანაც იშვიათად, ეთნოგრაფიულ-სადაურობის ცნებაა, ისევე როგორც გვიანფეოდალურ ხანაში და არა ეროვნული-კულ-ტურული ცნება... (მ—2, 3. ფურც. 122—123).

34. ქ ცა I, მატიანე ქართლისა 272 და სხვ.

საყურადღებო გარემოება შეიმჩნევა: „ქართლსა ზედა“ იბრძ-ვიან „აფხაზნი“, „სომეხნი“, „კახნი“ და „ქართველთა მეფენი“... და ავტორი მთელ ამ მოთხრობისას ერთხელაც არ ამჟღავნებს, რომ რომელიმე მათგანს რაიმე უფლებრივი უპირატესობა ჰქონ-დეს მეტოქესთან შედარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაგრატ იყო შვილი და მემკვიდრე „ქართველთა მეფისა“ გურგენის. ამ გურგენის სამფლობელო შავშეთ-კლარჯეთში იყო, ქართლი (შიდა ქართლი) აფხაზთა მეფეს ეპყრა. და ჩვენი ავტორი ბაგრატის მკვდრობას ქართლისა და აფხაზეთის მიმართ იმით ხსნის, რომ მას „დედულად ეყოდა აფხაზეთი და ქართლი“ (ბაგრატის დედა აფხაზთა მეფის გიორგის ქალი იყო). მაშასადამე, ჩვენი ავტორის წარმოდგენით ქართლი არაა აფხაზთა მეფის მიერ უსამართლოდ მიტაცებული და გურგენს და მის ძეს ბაგრატს ქართლზე უპირატესი რაიმე უფლება იმით, რომ ისინი „ქართველთა მეფენი“ არიან, არა აქვთ.

ყველა თანაბარი უფლებით იბრძვის და საქმეს ძალთა შეფარდება წყვეტს...

და ბოლოს გამაერთიანებლის როლში ტაოელი მეფე გამოვიდა, რომელიც ქართველთა და სომეხთა მეფე იყო...

ერთი სამყაროა ქართველნი, აფხაზნი, კახნი... (მ—2, 3. ფურც. 33).

35 ქ ცა I, მატიანე 277.

ჩვენმა ავტორმა კარგად იცის, რომ ბაგრატ რეგუენი „ქართველთა მეფეა“ და შიდა ქართლში მას საქმე არა აქვს, ასევე ქართველთა მეფეა გურგენი — ბაგრატის მამა და მისი სამეფო ქვეყანა შავშეთია. ასე რომ ქართველის ორგვარი გაგება ყოველ ეჭვს გარეშეა, ჩვენს ავტორს რომ აქვს. შავშებიც, კლარჯებიც, ჯავახებიც და მესხებიც „ქართველებია“, ოღონდ სადაურობით ისინი ქართველები კი არ არიან, როგორც შიდა ქართლის მკვიდრნი, არამედ შავშები, ჯავახები, კლარჯები, მესხები და აგრე შემდეგ — ისინი ეროვნულ-კულტურული ქართველებია.

ამ მხრით ისინი ისეთივე ქართველებია, როგორც კახები, კუხები, გარდაბან-გაჩიანელები.

ქართველებია ეროვნულ-კულტურულად „აფხაზებიც“ (ეგრისელნი) და ჰერებიც, თუმცა ქართიზაციის გზით ის პირველნი უფრო შორს არიან წასულნი...

მატიანეს ავტორი (274) დავითს უფლების ენით ალაპარაკებს: ტაო, ქართლი, აფხაზეთი აქ ნახმარია სამეფოების გაგებით... (მ—2, 3. ფურც. 118).

36. შავშეთ-კლარჯეთის მფლობელ ბაგრატიონებმა რომ „ქართველთა მეფის“ ტიტული მიიღეს, ეს რა თქმა უნდა, კლარჯეთის რაღაც უპირატეს ქართველობით არ აიხსნებოდა. ეს იმის მოწმობაა, რომ კლარჯეთი და მისი მიმდგომი ქვეყნები ამ დროს ისევე ქართული იყვნენ, როგორც სხვები (გარდა საკუთრივ ქართლისა), მაგრამ აქ შეიძლება ხიდი გაიდოს ძველ ისტორიასთან: იბერია რეალობა იყო, რომელშიაც კლარჯეთიც შემოდიოდა და „ქართლად“ იწოდებოდა. ეს ძველი ქართლი, გამოდის, აღადგინეს მისი პრეტენზიებით ძველი იბერიის („ქართლის“) ტერიტორიაზე...

მთელი ეს ბრძოლა „ქართლსა ზედა“, ამის შემდეგ რომ მიმდინარეობდა, მოწმობა იყო, გამოდის, ძველი იბერიის აღდგენის პრეტენზიების (რომ კლარჯეთიდან იწყება ეს ბრძოლა, ან რომ კახეთიდან იწყება ეს ბრძოლა), მეორეს მხრით კი ეს იყო საზოგადოებრივი განვითარების შედეგი, რომ აფხაზთა მეფე, კოლხეთის გამაერთიანებლად გამოდის, რომ ქართლსა ზედა იბრძვის, რომ ჰერეთი და სომხეთიც ამ ქართლსა ზედა იბრძვიან...

ის გარემოება, რომ კლარჯეთის ბაგრატიონებმა მიიღეს ტიტული „ქართველთა მეფეთა“, განა მარტო პრეტენზიებით აიხსნება? რატომ არ ეწოდათ მათ კლარჯთა მეფე ისევე, როგორც კახთა ქორიკოზი, ან რანთა და კახთა მეფე, ან აფხაზთა, ან სომეხთა მეფე? ქართველობის რა უპირატესობა ჰქონდათ მათ შედარებით სხვებთან? თითქო არავითარი. ვახტანგის სამოღვაწეო სარბიელი, ნინოს მოღვაწეობა, ცამეტ სირიელ მამათა მოღვაწეობა კლარჯებს არავითარ უპირატესობას არ ანიჭებდა ამ მიმართულებით. ასე რომ მერჩულეს „ქართლი“ ყველას თანაბრად ეხებოდა გარდა საკუთრივ ქართლისა. მხოლოდ საკუთრივ ქართლის მიმართ არ იყო ეს ფორმულა სამტკიცებელი, მხოლოდ საკუთრივ ქართლი არ იწოდებოდა ქართლად იმის საფუძველზე, რომ იქ ჟამი ქართულად შეიწირების: აქ უამისოდაც ქართლი იყო, ყველგან სხვაგან კი ქართლი იყო იმიტომ, რომ იქ ჟამი ქართულად შეიწირებოდა. მაშ რა იყო „ქართველთა მეფის“ ტიტულის საფუძველი? პრეტენზიები და მაინც უფრო ახლოობა მცხეთასთან: მცხეთოს-უფლოს, ოძრჯოს, ჯავახოს...

(მაგრამ ვახუშტის აზრი კლარჯეთზე?...)

თუ მართლაც ისე უნდა გავიგოთ, რომ „ქართველთა მეფე“ იმიტომ დაირქვეს შავშეთ-კლარჯეთის მფლობელებმა, რომ ძველ

ქართლზე პრეტენზია გააცხადეს, მაშინ გამოდის, რომ იმ ძველ ქვეყანას იბერიის სახელით რომ ვიცნობთ, ქართლი რქმევია ძველ დროსვე; მაგრამ რქმევია პოლიტიკურად, ე. ი. ქართლს უფლება ვრცელდებოდა ეთნიკურად „არაქართულ“ ქვეყნებზე და ისინი ქართლადვე იწოდებოდნენ პოლიტიკურად და არა ეთნიკურად. (მ—2, 3. ფურც. 113, 121).

37. კ. კეკელიძე, ეტიუდები III, 150

„ქ ა რ თ ლ ი ს ა მშვიდობისა, საზღვართა განმაგრებისა, მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარემიქცევისა, ტყუეთა მოქცევისა და ჟამთა დაწყნარებისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთ“ (სინას მთის ხელნაწერთა აღწერილობა № 54).

გვაქვს საბუთი (ტექსტის ანალიზით) ვიფიქროთ, რომ აქ ხმარებული „ქართლი“ იგივე „საქართველოა“, რომელიც სწორედ ამ საუკუნეში (X ს.) იჩენს თავს, როგორც შეკრებილი (თუ შესაკრებადი) ქვეყნის საერთო სახელი.

ეს ქვეყანა შეიგრძნეს, დაინახეს და მას საერთო სახელი უწოდეს ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე ის პოლიტიკურად გაერთიანდებოდა. ეს იყო ერთი „ქვეყნის“ (ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინის) შობა. ის იშვა (ქართული ქრისტიანობა პლუს ქართული ფეოდალიზმი) და მისი საერთო სახელიც აუცილებელი გახდა. ძველმა ქართლმა ვერ დაიტია ახალი შინაარსი...

მაინცდამაინც ეს ქართლი არაა ეთნიკური ქართლი (კახეთის, სამცხის, თუ კლარჯეთის ტოლი...) უკიდურეს შემთხვევაში ეს ქართლი ქართლოსის ქართლი მაინც არის... თუმცა არა, ტაო და ჰერეთი აქ უეჭველად იგულისხმებიან და მაშ ეს ქართლი ქართლოსის ქართლის საზღვრებს სცილდება, ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ მასში უეჭველად ეგრისიც (=აფხაზეთიც) იგულისხმება: არც ნათესაობრივად და არც კულტურულად ეგრისი უფრო შორს არ იდგა ქართლისაგან ვიდრე ჰერეთი და ტაო („მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ამის უტყუარი მოწმობაა...). (მ—2, 3. ფურც. 7).

38. ქ^ცა I, მატიანე, 278₂₅

ბაგრატი „აფხაზთა და ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მეფე“ გახდა. ის დლივს იდგა „რამეთუ განაგებდა საქმეთა ტაოსა და ქ ა რ თ ლ ი ს ა-ოა, რომელ მაშინ თჳთვე ეპყრა ტაო მიცვალებასა ზედა მამისა მათისა გურგენ მეფეთა-მეფისა. წარგზავნა კაცი მოსწრაფედ, აწვა

სპათა აფხაზეთისა და ქ ა რ თ ლ ი ს ა თ ა, და თკთ წარემართა ზ ე-
მ ო თ ა ლ ა შ ქ რ ი თ ა, გაიარა თრიალეთი, გავლო ჯიდე მცხეთე-
სა. და მოერთნეს თანა აფხაზნი და ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი, ფ ა ფ ა ზ ი ნ ი
ნეთს, და იწყო შემუსრვად კახეთისა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შემდეგ რაც ბაგრატი „ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მ ე ფ ე" იქნა, ცხადია აქ იგულისხმება არა საკუთრივ ქართლის „ქართველები", არამედ მთელი იმ ქვეყნისა, სადაც ამ „ქართველების" გავრცელება იგულისხმებოდა...

თავდაპირველად იყო ეთნიკური ქართლი. აქედან წარმოდგა ეთნიკური ქართ-ვ-ელი. ქართლის გავლენა მეზობელ ტომებზე გავრცელდა. ქართიზაცია განიცადეს მეზობელმა მესხებმა, ჯავახებმა, კახებმა, კუხებმა და სხვებმა. წარმოიქმნა ეროვნულ-კულტურული ქართველი და მისი ქვეყანა საქართველო...

მოტანილ მაგალითში ეს ორნაირი ხმარება სრულიად თვალნათლივადაა... (მ—2, 3. ფურც. 111).

39. ქ ~ ცა I. მატიანე, 285₇

ბასილი და გიორგი მეფე შეიბნეს. „ხოლო ვითარ სულმოკლე იქმნეს ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი, მორიდეს და წარმოვიდეს. წარმოუდგეს უკანა ბ ე რ ძ ე ნ ნ ი და დაჯოცნეს ურიცხუნი პირითა მახვლისათა". გიორგი თრიალეთს მოვიდა. აქ მან „მოირთო ძალი კ ა ხ ე თ ი ს ა და ჰ ე რ ე თ ი ს ა".

გაერთიანებული საქართველოს ჯარში, რა თქმა უნდა, მხოლოდ ტომობრივად „ქართველნი" არ ყოფილან, ისევე როგორც არც ბასილის ჯარი შედგებოდა ტომობრივად თავანკარი ბერძნებისაგან: მის ჯარში ბერძნებთან ერთად იყვნენ „უცხოთესლნი ურიცხვ" (284). ამისდა მიუხედავად ბასილის ლაშქარი აღინიშნება ხოლმე: „ბერძენნი".

ასევე იყო „ქართველნიც"... ოღონდ ერთი განსხვავებაა: ჰეგემონობის თვალსაზრისით უნდა ყოფილიყო „აფხაზნი" (იმისდა მიუხედავად, თუ რა შინაარსისა იქნებოდა ეს ტერმინი): გაერთიანება ხომ აფხაზეთს (ლიხთ იქითს) ხვდა წილად? ან შეიძლება ტიტულატურაში „აფხაზთა" არ მოწმობს მის მნიშვნელობით უპირატესობას, არამედ მხოლოდ ქრონოლოგიურ მომენტს გაერთიანების პროცესში (ბაგრატი პირველად გახდა აფხაზთა მეფე, ხოლო „ქართველთა მეფე" ის ამის შემდეგ იქნა. ამ დროს მის გარდა ორი ქართველთა მეფე — მამა და პაპა — ცოცხალი იყვნენ). რაც

შეეხება რეალურ უპირატესობას, ის ხომ ქართლზე მოდიოდა, რო-
გორც ქართველთა წარმოდგენით (ლეონტი და სხვ.), ისე
ფაქტობრივად (მ—2, 3. ფურც. 110).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

40. ქ^ცა I, მატიანე, 300_{16}

ბაგრატსა და ლიპარიტს შორის ბრძოლაა. ბაგრატი იძულებული იყო ჯავახეთი დაეგდო: „ზამთრისა ბუქთა საშინელთა გარდაიარა შავშეთი (უნდა: შარვაშეთი!) და ჩავიდა ქ ა რ თ ლ ს“. აქ აშკარაა, ქართლი ნახმარია მისი კუთხური გაგებით.

მაგრამ შემდეგ: ლიპარიტი ბერძენთა დახმარებით კიდევ უფრო გაძლიერდა „და განხეთქნა ამის სამეფოსა კაცნი: რომელნიმე წარუდგინნა დემეტრეს, და რომელნიმე დარჩეს ბაგრატის ერთგულობასა შინა... და იყვნეს თანამდგომ ლიპარიტისსა კახნი ძალითა მათითა, და ოვინ სომეხთა მეფე ძალითა მისითა. და განძლიერდა იგი ძალითა მათითა ა მ ა ს კ ე რ ძ ო ს ა ქ ა რ თ ლ ი ს ა ს ა. და იყო მი-და-მო საურავი ჭელოვნებისა“.

ეს გამოთქმა „ამას კერძოსა ქართლისასა“, თითქო ყოველ შემთხვევაში, მოწმობს, რომ ჩვენი ავტორის ცნობიერებაში „ქართლი“ არაა მხოლოდ შიდა ქართლი, რომ შიდა ქართლი მეორენაირი ქართლის მხოლოდ „კერძოა“, ე. ი. ქართლი პოლიტიკური გაგებით უფრო ფართე ცნებაა. ჩვენ ისე გვესმის, რომ ავტორი „ამას კერძოსა ქართლისასა“-ში გულისხმობს შიდა ქართლს, სადაც ცნობილი სასირეთის ომი მოხდა (ამაზე აქვე მოაყოლებს საუბარს).

ჩვენმა ავტორმა საჭიროდ დაინახა ნიშანდობლივ მიეთითებინა შიდა ქართლზე და მანაც ის ქართლი (ფართო გაგებით) კერძოდ გამოაცხადა.

ამრიგად „ქართლის“ ორგვარი ხმარება ერთი და იმავე ავტორის მიერ აშკარაა. პოლიტიკური — ფართო, სადაც ზემო ქვეყნებიც შევლენ (მესხეთი, ჯავახეთი, კლარჯეთი) და ეთნოგრაფიული შიდა ქართლი. „ა მ ა ს კ ე რ ძ ო ს ა“ გულისხმობს ს ხ ვ ა კ ე რ ძ ო ს (მ—2, 3. ფურც. 42).

41. ქ^ცა I, მატიანე, 303_1

„ამისსა შემდგომად დაეჯსნა ლიპარიტ თურქთა, და შემოვიდა ანისს. დაადგა ბაგრატ ტფილისი ლიპარიტის გზითა, ა ღ მ ო ვ ლ ო ქ ა რ თ ლ ი და მოვიდა ჯავახეთს“.

ესაა შიდა ქართლი...

ლიპარიტ გაძლიერდა: „მოირთო ბერძენთა მეფისაგან ძალი და ვერღარა დაუდგა ბაგრატ. ამისსა პირველ სუმოდა ძე მისი, ორგი ბაგრატს, დაუტევა ქუთათისს მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა და წარვიდა საბერძნეთს“.

იყო „სამეფო აფხაზეთისა“, მაგრამ არ იყო ხმარებაში „სამეფო ქართლისა“ და ეს იმიტომ, რომ მეფე ქართველთა არ ფარავდა „ქართლს“; „ქართლი“ ერთ-ერთი მხარე იყო „ქართველთა სამეფოსი“. ქართველთა სამეფო არ ლოკალიზდებოდა ერთხელ გარკვეულ საგეოგრაფიო ცნებაში... (მ—2, 3. ფურც. 108).

42. იოანე და ექვთიმეს ცხორება, 95_4

ექვთიმეს „სათნოებათა სახელი და ღირსებაჲ ყოველსა საქართველოსა განეფინა და არა ხოლო საქართველოსა ოდენ, არამედ საბერძნეთსაცა“.

იქვე გვ. 41_{18}.

ექვთიმეს მიერ თარგმნილთა „წიგნთა სიტკბოებაჲ, ვითარცა ნესტჳ ოქროჲსაჲ ჴმა-მაღალი, ოხრის ყოველსა ქუეყანასა, არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისასაცა, რამეთუ ბალაჰვარი და აბუკურაჲ და სხუანიცა რაოდენნიმე წერილნი ქართულისაგან თარგმნნა ბერძულად“.

ერთი და იგივე ავტორი ერთისა და იმავე მოვლენის მიმართ ხან ქართლს ხმარობს, ხან საქართველოს (მ—2, 3. ფურც. 156).

43. გ-ი ხუცეს მონაზონი, 110_2

მამა ჩუენი გიორგი იყო „...ნათესავით ქართველი, ხოლო მამის — მამულად ღმრთის-მსახურისა მისგან და ღმრთივდაცულისა ქუეყანისა, რომელსა სამცხე ეწოდების, ხოლო თჳთ აღმოეცენა იგი ქუეყანასა თრიალეთისასა“...

ხომ არ ნიშნავს აქ „ქართველი“ ქართველს? ივანე ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ არა. მართლაცდა ილარიონ კახის შესახებ ნათქვამია, რომ ის იყო „ნათესავით ქართველი“, ასევე ტაოელი იოანე იყოო „ნათესავით ქართველი“; ასე რომ გიორგი მესხიც ასევე შეიძლებოდა ყოფილიყო ნათესავით ქართველი... აქაც, დასაშვებია, „ქართველი“ ნახმარია ფართო შინაარსით, კულტურული ცნებით და არა კუთხური წარმოშობილობის შინაარსით (რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისთავად გამორიცხული არაა: ქართელ ადამიანს შეიძლება რქმეოდა ნათესავით ქართველი...) (მ—2, 3. ფურც. 88).

44. გ-ი ხუცეს მონაზონი, $121_{11, 19}$

შავმთიელ გიორგიზე ამბობს ავტორი: „გიორგის ვიტყვ დაყუდებულსა, დიდსა მას მ ნ ა თ ო ბ ს ა ნ ა თ ე ს ა ვ ი ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა ს ა“... და „სურვიელ იყო წმიდაჲ ესე ბერი, რაჲთამცა კუალად გამო-ვინმე-აჩინა მოწყალებამან ღმრთისამან ნ ა თ ე ს ა ვ ს ა შ ო რ ი ს ჩ უ ე ნ ს ა კ ა ც ი, რომელმანცა სრულ ყო ნაკლულევანებაჲ ენისა ჩუენისაჲ, რომელი — იგი წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთკმესგან დაშთომილ იყო“...

უცილობელია, რომ აქაც „ნათესავი“ ნიშნავს ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა კულტურულ ერთობას, რომელსაც ახასიათებს საერთო კ უ ლ ტ უ რ ი ს ე ნ ა. ესაჰ მერჩულეს ქართლი (მ—2, 3. ფურც. 87).

45. ისევე როგორც XI საუკუნის სხვა განათლებული ქართველი, გიორგი ხუცეს მონაზონი „ქ ა რ თ ლ ს“ ხმარობს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს შ ი ნ ა ა რ ს ი თ, როცა საკითხი შეეხება ე რ თ მ თ ლ ი ა ნ კ უ ლ ტ უ რ უ ლ ე რ თ ე უ ლ ს, დაპირისპირებით სხვა ასეთივე კულტურულ ერთეულთან (ვთქვათ, საბერძნეთთან) და ქართლს ხმარობს საკუთრივ ქართლის მხარის შინაარსით, როცა საქართველო (ე. ი. ფართე შინაარსის „ქართლი“) წარმოსადგენია მხარეებად ვთქვათ დაპირისპირებით „აფხაზეთთან“ (მ—2, 3. ფურც. 85).

46. გ-ი ხუცეს მონაზონი, 173_{23}

ამ კ უ ლ ტ უ რ უ ლ ე რ თ ე უ ლ ს („ქართლს“) ხაზგასმით აღნიშნავს ავტორი. გიორგი ათონელმაო „ყ ო ვ ე ლ ი ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი განანათლა, და ნაწილი იგი ანდრეა მოციქულისაჲ და სიმონ კანანელისაჲ კუალად განამტკიცა“...

ეს ყოველი აღმოსავლეთი იგივე „ქართლია“, ე. ი. აქ იგივე შეხედულებაა მოცემული, რაც რუის-ურბნისის ძეგლის წერაში: რომ „ყოველი აღმოსავლეთი“ ჯერ ანდრიამ და სიმონ კანანელმა განანათლა და, იგულისხმება, შემდეგ ნინომ. ეს იდეა გიორგი მთაწმინდელმა აკი წამოაყენა ანტიოქიის პატრიარქთან კამათისას...

ასე რომ რუის-ურბნისის ძეგლის ავტორები იმეორებენ, აგვირგვინებენ, X—XI ს-ში წარმოქმნილ იდეას ანდრია — ნინოს მო-

ღვაწეობის შესახებ და გრიგოლის სრულიად უგულვებელყოფის შესახებ (რამდენადაც გრიგოლი სომეხ მონოფიზიტებმა, ეროვნულ-სომხურმა, დაიჩემეს). (მ—2, 3. ფურც. 79).

ეროვნული ბიბლიოთეკა

47. ქ^ცა I, ც-ბა დავითისი, 324_{12}

„რამეთუ მეფე იქმნა რა დავით, მოოკრებულ იყო ქ ა რ თ ლ ი და თჳნიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცა რა შენებულობა. და მათ ჟამთა შინა ჰქონდეს თ რ ი ა ლ ე თ ი და კლდეკარნი და მიმდგომი მისი ქვეყანა ლიპარიტს, და მეფესა დავითს წინაშე იყო რეცა ერთგულად“...

„ქ ა რ თ ლ ს“ ხმარობს კუთხური გაგებით და შიგ გულისხმობს თ რ ი ა ლ ე თ ს ა ც.

იქვე:

„და იყო ძაშინ საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა, და სადგომი სამეფო წაღულის-თავი. და ოდესცა ნადირობა უნდის ქარ-თ ლ ი ს ა ჭ ა ლ ა თ ა, ანუ ნაჭარმაგევს, რომელი ყოვლად აღსავსე იყო ირემთა და ეშუთა მიერ, (ხოლო) ცხენ კეთილნი კაცნი ჩამოგზავნიან და გაინახიან“ (მ—2, 3. ფურც. 185).

48. ქ^ცა I, ც-ბა დავითისი, 333_{11}

„ტაოს ჩამოდგეს დიდნი თურქნი ხარგებითა, ვინათგან ზამთრისა სიფიცხესა და მთათა სიმაგრეთა მიენდვნეს. ხოლო მეფემან მოიკელოვნა ესრეთ, რამეთუ სპათა ქ ა რ თ ლ ი ს ა თ ა მზაობა უბრძანა და თჳთ ქუთაისს გარდავიდა, რომლითა უეჭველ ყვნა იგინი. და თუესა თებერვალსა აცნობა ქ ა რ თ უ ე ლ თ ა და მ ე ს ხ თ ა, რათა კლარჯეთს დახუდენ პაემანსა, და თჳთ შიდითა სპითა ხუფთით ჭოროხის პირი წარვლო. და შეკრბეს ერთად, და უგრძნეულად დაესხნეს მათ ზედა, უშიშად გულდებითა მსხდომარეთა ბასიანამდე და მთად კარნიფორისად“.

„ქართლს“ ხმარობს კუთხური გაგებით.

„ქართუელთა“ (sic) ასევე კუთხური გაგებითაა, სადაურობით, ნახმარი. ამას მოწმობს აქვე „მ ე ს ხ თ ა“. ესევე ფაქტი — „მესხთა“ გამორიცხავს, რომ „ქართუელთა“-ში აქ ჰერ-კახნი იგულისხმებოდეს. ქართუელნი აქ არიან სწორედ ს პ ა ნ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა ნ ი (ამავე აბზაცში რომ იხსენიებიან), ხოლო ქართლი არის საკუთრივ

ქართლი, რომელშიაც შიდა ქართლი იგულისხმება, შეიძლება
თრიალეთით, არც მეტი არც ნაკლები (მ—2, 3. ფურც. 184).

49. ქ^ცა II, ისტ. აზმ. 97_1

ბასიანის ომში ბევრ მხედართმთავარს ცხენები გამოუკლეს, „და ქუეითად დარჩეს რაზმსა შინა მ ჯ ნ ე ნ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო-ს ა ნ ი“.

ესენი იყვნენ: ი ვ ა ნ ე მ ჯ ა რ გ რ ძ ე ლ ი, ზ ა ქ ა რ ი ა გ ა-გ ე ლ ი, შ ა ლ ვ ა ა ხ ა ლ ც ი ხ ე ლ ი, ი ვ ა ნ ე ა ხ ა ლ ც ი ხ ე-ლ ი, თ ა ყ ა ი დ ი ნ თ მ ო გ ვ ე ლ ი...

და რატომ არა სთქვა „მ ჯ ნ ე ნ ი ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ნ ი“? ა კ ი ა მ ა თ შ ე ს ა ხ ე ბ ს ა უ ბ რ ი ს ა ს ა ქ ვ ე ი ს ა მ ა თ ვ ე უ წ ო-დ ე ბ ს „ქ უ ე ი თ ნ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი“?.

უნდა ვიფიქროთ ეს სტილის საქმეა და არა იმის მოწმობა, თითქოს „ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი“ აქ ქართლის თემის მკვიდრის აღმნი-შვნელი იყოს, ან კიდევ „საქართველო“ ქართლის აღმნიშვნელი ტერმინი იყოს, როგორც ეს გვიანფეოდალურ ხანაში ეწოდებოდა ხოლმე.

ასე რომ: „ქართველნი“ აქ „საქართველოს“ მკვიდრთ ეწოდე-ბა. მ ჯ ნ ე ნ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა ნ ი მეორენაირად წოდებუ-ლია ქ უ ე ი თ ნ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი. თემურ — კუთხურად ზემოდასახე-ლებული „მ ჯ ნ ე ნ ი“ სრულიადაც ქართლელნი არ ყოფილან, არამედ თორელნი, სომხითარნი, ჯავახნი... (მ—2, 1. ფურც: 39).

50. ქ^ცა II, ისტ. აზმ. 103_{17}

სპარსეთში ლაშქრობის წინადადებით ზაქარია და ივანე მხარ-გრძელებმა და ვარამ გაგელმა მიმართეს თამარს: „უ ბ რ ძ ა ნ ე ს პ ა თ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა თ ა — მ ზ ა ი ყ ვ ნ ე ნ ლ ა შ ქ რ ო ბ ა დ ხ უ ა რ ა ს ა ნ ს. დ ა ლ ა თ უ ა რ ა ვ ი ნ ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა გ ა ნ ი მ ი წ ე ვ ნ უ ლ ა რ ს ხ უ ა რ ა ს ა ნ ს და ერაყს, არამედ ბ რ ძ ა ნ ე, რ ა თ ა ნ ი კ ო ფ ს ი ი თ დ ა რ უ ბ ა ნ-დ ა მ დ ე ა ღ ი ჭ უ რ ნ ე ნ და მ ზ ა ი ყ ვ ნ ე ნ!“.

სპანი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა ნ ი მ ო ი კ რ ი ბ ე ბ ა ნ ი კ ო ფ ს ი თ დ ა რ უ-ბ ა ნ დ ა მ დ ე ქ ვ ე ყ ნ ი დ ა ნ, ე. ი. ქ ვ ე ყ ა ნ ა ს ნ ი კ ო ფ ს ი თ დ ა რ უ ბ ა ნ დ ა მ-დ ე „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“ ეწოდება.

ამ კონტექსტში ქ ა რ თ ვ ე ლ ი ც შესაფერისი შინაარსით უნდა იქნეს გაგებული, ე. ი. იმ საქართველოს მოლაშქრე, რომელიც ნი-

ELIBRARY.GE

კოფსით დარუბანდამდე იგულისხმება. აქ ყველა ქართველია აფხაზიც და ჰერ-კახიც, მესხიც და სომხითარიც... (მ—2, 1. ფურც. 11).

51. ქ^ცა II, ბ. ე. მ. 115_{11}

გიორგი მეფის დაჲ რუსუდანი „სძალ ყოფილი დიდთა სულტანთა... მამულად მოყვანებული, დედოფლად დაჴდა ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა დ, უფროსღა დიდებად სახლისა თჳსისად და ყოვლისა ამის სამეფოსა“.

„ქართველთად“ აქ იმავე ფართო მნიშვნელობითაა ნახმარი. ქართველი აქ ნიშნავს მთელი საქართველოს მკვიდრს, ამის პირდაპირი ჩვენებაც აქვე მოიპოვება: ეს „ქართველთა დედოფალი“ იყოო დიდება სახლისა „თჳსისა და ყ ო ვ ლ ი ს ა ა მ ი ს ს ა მ ე ფ ო ს ა“ (მ—2, 1. ფურც. 15).

52. ქ^ცა II, ბ. ე. მ. 116_{23}

აქებს თამარის დედას ბურდუხან დედოფალს: „სძალი სხუა მისებრი მაშინ არა ეხილვა ქ ა რ თ ლ ი ს ა თ ე მ ს ა“.

აქაც, რა თქმა უნდა, ქ ა რ თ ლ ი ს თ ე მ ი, ანუ „ქართლი“ ხმარებულია ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს გაგებით: უცნაური და გაუგებარი იქნებოდა, „ქართლის თემში“ რომ საკუთრივ ქართლი გვეგულისხმა. თუ საქმე ამ მხრით დადგებოდა, გიორგი მეფე უპირველესად „აფხაზთა“ მეფე იყო და ბურდუხანი რატომ უნდა ყოფილიყო საკუთრივ „ქ ა რ თ ლ ი ს თ ე მ ი ს ს ძ ა ლ ი“? კუთხურობის თვალსაზრისით ის აფხაზეთის თემის სძალი უფრო იყო... მაგრამ „აფხაზეთი“ დიდი ხანია რეალურად გაქრობის გზაზე იყო შემდგარი (საუბარია პოლიტიკურ ტერმინზე დას. საქართველოს მნიშვნელობით): პოლიტიკურ ტერმინსა („აფხაზეთი“) და მის რეალურ ისტორიულ შინაარსს შორის („ქართლი“) კონფლიქტი რჩებოდა. უკანასკნელი სულ უფრო და უფრო თვალნათლივი ხდებოდა განსაკუთრებით მას შემდეგ, ან უკეთ, ი მ ი ს დ ა კ ვ ა ლ ა დ, რ ა ც უ ფ რ ო ფ ე ო დ ა ლ უ რ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ც ე ნ ტ რ ი (პოლიტიკური და კიდევ უფრო ეკონომიური და კულტურული) ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ შ ი გ ა დ მ ო დ ი ო დ ა (მ—2, 1. ფურც. 14).

53. ქ^ცა II, ბ. ე. მ. 122_{11}

„მოკუდა ქართლისა კათალიკოსი, ჰყონდიდელ-მწიგნობარ-უხუცესი, ქ ა რ თ ვ ე ლ ი, მირიანის ძე მიქაელ“...

აქ ამრიგად, იგივე ავტორი ტერმინს „ქ ა რ თ ვ ე ლ ი“ ვიწრო კუთხური მნიშვნელობით ხმარობს, ისევე როგორც ვთქვათ იხმარდა მესხი, კახი და სხვა.

და აქვე „ქ ა რ თ ლ ი ს ა კ ა თ ა ლ ი კ ო ს შ ი“, რა თქმა უნდა, საკუთრივ ქართლი კი არა, ქართლოსის ქართლიც კი აღარ იგულისხმება და ქართლის კათალიკოსი ახლა მთელი საქართველოს კათალიკოსს ნიშნავს, ე. ი. ყველა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს, ანუ ქალკედონიტის (სადაც კი ჟამნი ქართულად შეიწირების) კათალიკოსს, სულერთია, რა წარმოშობისაც არ უნდა იყოს ეს „„ქართველი“ აფხაზურის, ქართულის, მეგრულის, ჰერულის, თუ სომხურის (მოიგონე ეტიფანე კათალიკოზის საქმიანობა ანისში) და სადაც არ უნდა იყვნენ ეს „ქართველები“.

ოღონდ იქ იმ ქვეყანაში, ამ ქართველებისათვის ჟამი ქართულად შეიწირებოდეს... (მ—2, 1. ფურც. 23).

54. ქ^ცა II, ბ. ე. მ. 147_{7}

ასწერს თამარის მეფურ თვისებებს და ურთავს: „და წამებს ამას ყოველი მახლობელი სამეფო გარეშემო ქ ა რ თ ლ ი ს ა, თუ რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნ სცა სამეფო თჳსი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდვე თჳსად კუალად აგნა და რაოდენნი სიკუდილად დასჯილნი განათავისუფლნა. და ამისი მოწამე არს სახლი შ ა რ ვ ა ნ შ ე თ ი და დ ა რ უ ბ ა ნ დ ე ლ თ ა, ღ უ ნ ძ თ ა, ო ვ ს თ ა, ქ ა შ ა გ თ ა, კ ა რ ნ უ-ქ ა ლ ა ქ ე ლ თ ა და ტ რ ა პ ი ზ ო ნ ე ლ თ ა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყვნეს და მტერთაგან უზრუნველობასა“.

სრულიად აშკარაა, თუ რას გულისხმობს ჩვენი ავტორი ცნება ქ ა რ თ ლ ში. ეს არის საკუთრივ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სამეფო, რომლის „გარეშემო“ „მახლობელი“ „სამეფოებია“ დასახელებული და ამით ამ ქართლის საზღვრებიც მოცემულია: ესენია ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ყ რ მ ა დ ნ ა ფ ი ც ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: შარვანი, დარუბანდი, ღუნძეთი, ოვსეთი, ქაშაგეთი, კარნუქალაქი და ტრაპიზონი. აი ამის შიგნით ესაა „ქ ა რ თ ლ ი“ ანუ საქართველოს სახელმწიფო.

ბასილი ეზოსმოძღვარი არც ერთხელ არ ხმარობს ტერმინს საქართველო. ამის ნაცვლად ის ხმარობს — „ქართლი“ (მ—2, 1. ფურც. 13, 17).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

55. ქ ცა II, ჟ. ა. 153_6

განძის ომისას „მეფესა ჰყვა ოთხი ათასი კაცი ოდენ, ამათ შინა უმეტეს მესხნი იყვნეს; რამეთუ ერთ-კერძო მჯარგრძელნი დგეს, და ერთ-კერძო ჰერ-კახნი და სომხითარნი, ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი და თორელნი, ერთ-კერძო ა ფ ხ ა ზ ნ ი, დ ა დ ი ა ნ-ბ ე დ ი ა ნ ნ ი და ლიხთ-იქითნი ზედმოკიდებით ურთიერთას“.

აქ ცხადი ის არის, რომ ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი და ა ფ ხ ა ზ ნ ი ორივე ტომობრივი შინაარსით არის ნახმარი (საკუთრივ ქართლი და საკუთრივ აფხაზნი). თითქო შეიმჩნევა, რომ ის ავტორები, რომელნიც მთელი ქვეყნის აღსანიშნავად „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს“ ხმარობენ, „ქართლს“ და „აფხაზეთს“ ვიწრო ტომობრივ კუთხური შინაარსით ხმარობენ, ხოლო ისინი ვინც ქართლს და აფხაზეთს ფართო მნიშვნელობით ხმარობენ, „საქართველოს“ არ ხმარობენ, ხოლო კუთხურ „ქართლს“ და „აფხაზეთს“ არ გაურბიან: ზოგჯერ ზოგადი მნიშვნელობით ხმარობენ, ზოგჯერ ვიწროთი... (მ—2, 1. ფურც. 22).

56. ქ ცა II, ჟ. ა. $164_{19\text{-}23}$

მონგოლები სომხითში მოვიდნენ. ლაშამ ლაშქარი შეყარა. აქვე გაგის ბოლოს „მოერთნეს დ ი დ ი თ ა ლ ა შ ქ რ ი თ ა“ ივანე ათაბაგი, შანშა მჯარგრძელი, ვარამ გაგელი.

ომი მოხდა ს ა გ ი მ ი ს წ ყ ა ლ ზ ე. „მაშინ მოიწია რისხვა ზეგარდამო უსჯულოებათა და ცოდვათა ჩუენთათჳს, და ივლტოდეს ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი და სპანი და თჳით მეფე ლაშა“.

ცხადია ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი აქ ნიშნავს საქართველოს მკვიდრს და არა მარტო მართლმადიდებელ მკვიდრსაც, არამედ სომეხთაც. ისინიც ხომ „დიდი ლაშქრის“ სახით მონაწილეობდნენ ამ ომში (მ—2, 1. ფურც. 24).

57. ქ ცა II, ჟ. ა. 180_{17}

„ხოლო ა მ ი ე რ ი ე ს ე ს ა მ ე ფ ო უცალო იყო ხუარაზმელთაგან, რამეთუ მანდატურთუხუცესი შანშე იყო ანისს და ამირ-

სპასალარი ავაგ ბიჯნისს, ეგრეთვე ვარამ გაგელი, ჰერნი და კახნი, სომხითარნი, ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი, თორელნი, შავშნი, კლარჯელნი ტაოელნი — ყოველნი სიმაგრეთა შინა ცხოვნდებოდეს“.

ეს იყო ა მ ი ე რ ი სამეფო, სადაც ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი ნიშნავს ქ ა რ თ ლ ი ს მ კ ვ ი დ რ ს. შდრ: აქვე 165_2, სადაც „ქართველნი“ ნ ი შ ნ ა ვ ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ კ ვ ი დ რ ს და არა მხოლოდ ქართლის მკვიდრს.

ისევე როგორც ა ფ ხ ა ზ ნ ი იხმარებოდა ორგვარი გაგებით: დასავლეთ საქართველოს, ანუ აფხაზეთის მკვიდრი და საკუთრივ აფხაზეთის მკვიდრი, — ასევე ქართველნი იხმარებოდა მთელი საქართველოს მკვიდრის მნიშვნელობით და საკუთრივ ქართლის კუთხური მნიშვნელობით.

საინტერესოა, რომ ქართულ ძეგლებში არსად ა ფ ხ ა ზ ე თ ი დას. საქართველოს მნიშვნელობას არ სცილდება და ქართლს, აღმ. საქართველოს არ მოიცავს, მაშინ როცა ქ ა რ თ ლ ი, ქ ა რ თ ვ ე ლ ი ხ შ ი რ ა დ მთელ საქართველოს მოიცავს (მ—2, 1. ფურც. 27).

58. ქ ცა II, ჟ. ა. 183

რუსუდანმა ჯალალის წინააღმდეგ მთელი საქართველოს ჯარი გამოიყვანა. მათ შორის იყვნენ ავაგ ამირსპასალარი, შანშე მანდატურთუხუცესი, ვარამ მსახურთუხუცესი თავიანთი სადროშო ჯარებით, ე. ი. სომხებით; ასევე აქვე იყვნენ „ყოველი იმერი სამეფოს“ ჯარები, კერძოდ, აფხაზები, ჯიქები: აქვე იყვნენ ოსნი, დურძუკნი და ყოველნი მთიულნი. ომი მოხდა ბოლნისის ხევში. „იძლივნეს სპანი მეფისანი“ და ავტორი ამბობს: „მოხედნა ღმერთმან რისხვით ნ ა თ ე ს ა ვ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ს ა“-ო.

ამით ჩვენი ავტორი იმას აღნიშნავს, რომ მთელი ეს საქმე უპირველეს ყოვლისა იყო „ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ნ ა თ ე ს ა ვ ი ს“ საქმე, რამდენადაც საკითხი შეეხებოდა ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ რ ი ო ბ ა ს. საქართველო ჩვენი ავტორის წარმოდგენით მრავალეროვანი ქვეყანაა, მაგრამ ის მაინც ერთიანი ქვეყანაა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ა, სადაც ქართველთა ნათესავი არის განმსაზღვრელი ძალა... (მ—2, 1. ფურც. 28).

59. ქ ცა II, ჟ. ა. 186_{11}

მონგოლები საქართველოს შემოესივნენ. „მძლენვარენი განსაცდელნი აღიძვროდეს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა ს ა ზ ღ ვ ა რ თ ა, უკეთურებისათჳს მკჳდრთა ქ ა რ თ ლ ი ს ა თ ა“... მონგოლებსო „მის-

ცნა ღმერთმან ნათესავნი ქართველთანი მოსასრველად მსგავსად ძეთა ბენიამენისთა“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა სამივე შემთხვევაში ქართლი, საქართველო და ნათესავნი ქართველთანი (= ქართველი), ნახმარია ფართო გაგებით: მკვდრნი ქართლისანი აქ ნიშნავს საქართველოს მკვიდრთ, ხოლო ნათესავნი ქართველთანი იგივე საქართველოს შვილებია.

იქვე 187_6: „იქმნაცა ყოველი სოფელი ქართლისა ოჯრად“.

ამ წიგნური გამოთქმის (სოფელი) მიუხედავად სოფელი ქართლისა სწორედ იმ ფართო გაგებითაა ნახმარი.

ქართლი — საქართველო (მ—2, 1. ფურც. 29).

60. ქ^ცა II, ჟ. ა. 190, 191, 215

ქართლი კუთხური გაგებით: ქართლის მკვიდრნი; და აქვე ამავე გვერდზე (190_{15-16}) „ქართველთა მთავართაგანი“ ნიშნავს საქართველოს მკვიდრს. ასე რომ ქართველის ორგვარი შინაარსით ხმარება ცხადია: კუთხური და ფართო შინაარსით.

აქვე, $215_{9,3}$

ქართლი კუთხური გაგებით: კოხტას თავს შეთქმულებმა „დადვეს პაემანი ქართლს შეკრებისა“.

აქვე ქართველნი ქართლელის გაგებით: კოხტას თავს იყვნენო მთავარნი „ჰერ-კახნი, ქართველნი... მესხნი და ტაოელნი“ (მ—2, 1. ფურც. 37).

61. ქ^ცა II, ჟ. ა. 208_6

მონგოლებმა მთელი საქართველო დუმნებად დაყვეს. „ესრეთ განაჩინეს თათართა, და განიყვეს საქართველო, და წარვიდეს ბრძოლად ალმუთს, და ქართველნი თანა — წარიტანეს“...

ესაა ყოველი საქართველო და ეს „ქართველნი“ არიან ამ ყოველი საქართველოს მკვიდრნი, იმიერი თუ ამიერი. ამ „ქართველნი-ში“ იგულისხმება, ბუნებრივია, როგორც ცოტნე დადიანი და რაჭის ერისთავი თავიანთი დუმნებით (აფხაზიდან მარგველამდე), ისევე ვარამ გაგელი თავისი სომხითარებით, აგრეთვე ეგარსლან ბაკურციხელი ჰერ-კახ-კამბეჩანით და შანშე თავისი და ავაგის მამულით ე. ი. შაჰანშას ქვეყანა (ანისი) და სივნიეთი, ე. ი. სომხეთი.

ასე რომ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ესაა საქართველო, ხოლო მისი დუმნის თავები ესაა ვარნი საქართველოსანი და ამ საქართველოს ზეკნელნი — ესაა ქართველნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ასეთი გაგებით ქართველნი აქ ხშირად გვხვდება: 208, 209, 210, 211, 212 (მ—2, 1. ფურც. 36).

62. ქ^ცა II, ქ. ა. 230_{17}

ულუ დავითი ბათო ყაენმა შეიწყალა, „პატივსცა მეფესა, და წარმოავლინა სამეფოდ ქართლად. და ვითარ მოიწია ჰერეთს, მიეგებნეს ყოველნი წარჩინებულნი სამეფოსა მისისანი, ხოლო თორღუა შეშინებული უკუდგა პანკისს“...

ულუ დავითის სამეფო კი, ჩვენ ვიცით, იყო ლიხთამერი ქვეყანა, რომელშიაც, სხვათა შორის, შედიოდა როგორც კახეთი, ისე ჰერეთი.

ასე რომ აქ ქართლი ნახმარია ლიხთამერი სამეფოს შინაარსით (მ—1, 2. ფურც. 33).

63. „მესხური მატიანე“ (XVI ს.). § 87

ოსმალები მესხეთს იპყრობდნენ. 1578 წელს ყვარყვარე ათაბაგი მიიტყუეს და სტამბოლს გაგზავნეს. 1579 წელს მარტში ყვარყვარე სამშობლოში დაბრუნდა. „ღთის წინაც შეურცხუცნელი კაცთანაც ფალავანი დაეცა ხუანთქართანა-და ქართველობით გამოეშუა, მისი საბაჲტონოს წყალობაჲ ექნა... და მარტში მობრძანდა“ („სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები XV—XVI ს“. ქრ. შარაშიძე, 168).

იმავე მატიანეში იმავე წლებში მომხდარი ამბების მოთხრობისას აღნიშნულია: „ენკენისთუცს ერთს იმერელნი შეიბნეს (ოსმალებთან, — ნ. ბ.) და გაიმარჯუცს და ქართველნი და ერეკლე (მუხრანბატონის ძე. — ნ. ბ.) ენკენისთუცს ათს შეიბნეს და სრულად ამოსწყუიდეს“. (§ 58, გვ. 170).

ამ ორი მაგალითიდან კარგად ჩანს ცნება „ქართველი“-ს ორი მნიშვნელობა: 1. „ქართველი“ ესაა ქართლის მკვიდრი დაპირისპირებით მესხთან, კახთან, იმერელთან და სხვ. მეორეს მხრით „ქართველი“ ესაა „საქართველოს“ მკვიდრი, პირველ შემთხვევაში „ქართველი“ ტომობრივი სახელია (სადაურობა?), მსგავსად იმერე-

ლი, რაჭველი, მეგრელი, მეორე შემთხვევაში ქართველი კულტურული ცნებაა. „ქართველისაგან“ არ წარმოქმნილა ცნება „ქართული“, არამედ პირუკუ: ცნებისაგან „ქართლი“ იწარმოება „ქართველი“, ისევე, როგორც ეგრისაგან მეგრელი, იმერისაგან იმერელი, რაჭისაგან რაჭველი და ა. შ.

ამავე დროს „საქართველოსაგან“ კი არ იწარმოება ქართველი, არამედ პირუკუ ქართველისაგან იწარმოება საქართველო... ერთი სიტყვით სულ სხვადასხვაა დამოკიდებულება „ქართველისა“ „ქართლთან“ და „საქართველოსთან“.

ქართლი ეთნოგრაფიული ცნებაა ისევე, როგორც ეგრისი, იმერეთი, კახეთი, მესხეთი... საქართველო — კულტურულ-პოლიტიკური. ასეთი „ქართველისათვის“, ე. ი. კულტურული ინდივიდუალობის მქონებელი ერთეულის წარმოქმნისათვის მიმდინარეობდა ბრძოლა, უკეთ ასეთი ერთეულის წარმოქმნას გულისხმობდა პროცესი, რომელიც მიმდინარეობდა VI—IX საუკუნეებში („ქართველობა“). ეს იყო ქართველობის დადგინების პროცესი, ეთნოგრაფიული ქართველის (სადაური) კულტურული ინდივიდუალობის მქონებელ ქართველად გადაქცევის პროცესი (რელიგიური გამოყოფა სომეხთაგან, მირონის კურთხევის შემოღება, საკუთარი მარტვილობის გაჩენა, საბანისძის პროპაგანდა, ქართული ენა, დაფარული წმინდა ნინოს „აღმოჩენა“, ყოველმხრივი შემზადება დიდი ბრძოლისათვის, ბერძენთაგან განთავისუფლებისათვის ქალკედონიტობის შენარჩუნების პირობებში... შემდეგ: ანდრიას მოღვაწეობის ვერსიის შექმნა, გიორგი მთაწმინდელი (და სხვები) და რუის-ურბნისის ძეგლის წერა, გელათის აკადემია). ეს იყო ეროვნული კულტურის დადგინების დიდი პროცესი. კულტურული ქართველის დადგინების პროცესი (აქვე შემოდიოდა და სულ უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობისა ხდებოდა „ვეფხისტყაოსნის კულტურა“ შემდეგ შოთას კოდექსში განსახიერებული...) ასეთი „ქართველი“ ჩამოიკვეთა განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის დასაწყისისათვის.

ლეონტი მროველი ერთი ამ კულტურულ მოღვაწეთაგანია. მის წინაშე იგივე პატრიოტული ამოცანა იდგა, უკეთ, მას იგივე პატრიოტული მოტივი ამოქმედებდა: ქართველი ხალხის კულტურული დადგინების საკითხი სხვა მეზობელ კულტურულ ხალხთა გვერდით.

ლეონტის მოღვაწეობის დროს ქართველ ხალხს ეროვნული დადგინებისათვის ბრძოლის მძიმე გზა უკვე გამოვლილი ჰქონდა. უკვე კარგა ხანი იყო, რაც „ქართველი“ კულტურული ცნება გამ[illegible] ხდარიყო და მასში იგულისხმებოდა არა მხოლოდ ეთნოგრაფიული ქართლის მკვიდრი. უკვე გიორგი მერჩულემ ამ ასი წლის წინ (X საუკუნის შუაზედ) განსაზღვრა ქართლის და ქართველის არაეთნოგრაფიული, ე. ი. ახალი შინაარსი: ქართლი ეწოდებოდა არამარტო საკუთრივ ეთნოგრაფიულ ქართლს და ქართველი, მაშასადამე, ეწოდებოდა არა მარტო საკუთრივ ეთნოგრაფიულ ქართლის მკვიდრს, არამედ „ქართლი“ ეწოდებოდა გარკვეული კულტურის მატარებელ ქვეყანას, სადაც ეს კულტურა ქ ა რ თ უ ლ ე ნ ა ზ ე წარმოებდა, ხოლო ქართველი, მაშასადამე, ეწოდებოდა ყველა იმას, დამოუკიდებლად სადაურობისა, ვ ი ნ ც ა მ ქ ა რ თ უ ლ ი კ უ ლ ტ უ რ ი ს შ ვ ი ლ ი, ვინც ამ ქართული კულტურის მაღიარებელი იყო (მ—2, 3, ფურც. 26—28).

64. ვახუშტი, აღწერა, 59_1, 176_{37}

„ხოლო დამჩხერლოდამ ტფილისამდე, მტკვრის კერძო მთამდე, არს ნაყოფიერი, ბრინჯ-ბამბას გარდა ყოველნი მარცვალნი, რომელნი აღვსწერეთ, ხილნი და ვენახნი მრავალნი; ღვინო აქაური უმჯობესი ყ ო ვ ლ ი ს ა ქ ა რ თ ლ ი ს ა, და უმეტეს ატენური ყ ო ვ ე ლ თ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ღვინოთა“.

ქ ა რ თ ლ ი და ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო. ნათლად არჩევს ქართლისაგან (ყოველი ქართლისაგან) საქართველოს. და ვახუშტის საქართველო სულ სხვა ნიშნით ხასიათდება, ვიდრე მერჩულეს ქართლი. ვახუშტის საქართველოში ქართველნიც ცხოვრობენ, სომეხნიც, მაჰმადიანნიც, მთიელნიც, ბარელნიც. თითოეულს თ ა ვ ი ს ი ქ ც ე ვ ა-ზ ნ ე ა ქ ვ ს... ქცევა-ზნით ზოგჯერ ქართველები და სომხები ერთნაირნი არიან, მთიელები ურთიერთს ჰგვანან ქცევა-ზნით, ბარელები ურთიერთს (თუმცა მაჰმადიანნი ელნი სხვაობენ). ქცევა-ზნე უცვლელი არაა, ქართველთ შემორევიათ ყიზილბაშური, ოსმალური წესი...

ვახუშტის საზომია: „ხოლო რაოდენნი ქვეყანანი ანუ ადგილნი დავსწერენით — მთათა, ბართა ანუ კავკასთა შინანი — საქართველოსანი, გარნა თუ აქვთ ზოგთა ენა სხვა, თჳსნი საკუთარნი, არამედ წიგნი არცა ერთსა რომელსამე აქუს, თჳნიერ ქართულის წიგნისა საკუთრად“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თქმა უნდა, იგულისხმება წიგნი სამოქალაქო ურთიერთობაში, თორემ სხვას რომ თავი დავანებოთ სუმბატ-ს და მაჰმადიანებს საეკლესიო წიგნი ხომ თავისი ჰქონდათ (ფურც. 8, ფურც. 60).

[ძველი ქართლი]

1. ქ^ცა I, ლეონტი 8₂₂

ქართლოსის ცოლმარ „გარდაბოსს მისცა ხუნანი და უჩინა საზღვარი: აღმოსავლეთით მდინარე ბერდუჯისი, დასავლით ქალაქი გაჩიანი, და სამჯრით მთა პირველ ჯსენებული, და ჩრდილოთ მტკუარი“.

ბერდუჯის მდინარე თუ აწინდელი დებედაა, მაშინ გაგი ქართლში აღარ აღმოჩნდებოდა, რადგან გაგი არავითარ შემთხვევაში არ იგულისხმება ბერდუჯის აღმოსავლეთით (მ—2, 3. ფურც. 178).

2. ქართლის პიტიახში, რომელი „ქართლის“ იგულისხმება, მთელი იბერიის, თუ რაღაც გარკვეული ტერიტორიის, რომელსაც „ქართლი“ ეწოდებოდა? ისიც ხომ შეიძლებოდა, რომ ეს ქართლი სპარსეთის მთავრობის მიზანდასახულობის მაჩვენებელი ყოფილიყო?

ცურტავისათვის დამახასიათებელი (რეალური) ისაა, რომ ამ ქალაქსა და ჰერეთს შორის სხვა რაიმე ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ტერიტორია არ იგულისხმება თუ არ საპიტიახშო. ე. ი. თუ ცურტავი გაჩიანის საერისთავოში იყო, მაშინ ხუნანის საერისთავოც პიტიახშის სამფლობელოში ყოფილა. ცურტავი ამ მხრით შეიძლებოდა აგარაკშიც ყოფილიყო, შეიძლება ბოლნისშიც ყოფილიყო, შეიძლება სამშვილდეშიაც ყოფილიყო, ან კიდევ სხვაგან აწინდელ სომხით-საბარათიანოში, სადაც პიტიახშის უფლება ვრცელდებოდა. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ამ შესაძლებლობათა შეზღუდვა სხვადასხვა გზებით: სანადირო ქალაქი (გაჩიანი — ცურტავი. მაშინ სახელი ცურტავი სომხური *ցուրտ*-ისაგან ნაწარმოები არაა...), ახტალა (აქ ალბათ საეპისკოპოსო კათედრის არსებობიდან და საზაფხულო სადგომიდან (აგარაკი) გამოდიან), ბოლნისი (აქაც საეპისკოპოსო კათედრის არსებობიდან გამოდიან, *ցուրտ*-ი აქაც მიუღებელი აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჩნდებოდა), სამშვილდე (აქ უფრო პიტიახშისათვის შესაფერისი რეზიდენციიდან თუ გამოდიან, მაგრამ ამავე მოსაზრებით ცურტავი შეიძლებოდა ხუნანშიაც გვეძებნა: ისიც პიტიახშის რეზიდენცია იყო საფიქრებელია).

საზაფხულო ადგილი, საეპისკოპოსო ადგილი, პიტიახშის ადგილსამყოფელი. მაგრამ თუ ეს სახლის ეპისკოპოსი იგივე ქვეყნის ეპისკოპოსია, მაშინ საქმე ერთბაშად ადვილდება: ამ დროს ჯერ კიდევ აგარაკის საეპისკოპოსო კათედრა არ არსებობდა და იგი ვახტანგ გორგასალმა დააარსა. რჩებოდა ამ ქვეყანაში ბ ო ლ ნ ი ს ი ს ე პ ი ს კ ო პ ო ს ი, რომელიც, თუ ეს იგივე სახლის ეპისკოპოსია, საგულვებელია, რა თქმა უნდა, ბოლნისის მიდამოებშივე, გამოდის მაშინ, რომ ბ ო ლ ნ ი ს ი ი ყ ო ი გ ი ვ ე ც უ რ ტ ა ვ ი (ბოლნისი ისე როგორც დმანისი ბ ო ლ ა ნ ი, დ ა ბ ა ნ ი დ ა ნ არის ნაწარმოები. ა ნ ი ძველი ფენის ნამთია, ს ი მეორადი...), ან ეს ცურტავი სადღაც აქვეა ახლოს (6. 4, ფურც. 11).

3. ქ ̄ცა I, ლეონტი, 28_{18}

ფარნავაზიო ზ ა მ თ ა რ ს ა ტ ა რ ე ბ დ ა გ ა ჩ ი ა ნ ს, ე. ი. საზამთრო ადგილი იყო მეფეთა.

თამარიც ხომ ზამთრობით დასოს სტოვებდა და ს ო მ ხ ი თ შ ი მიდიოდა. ნადირობდა, ამოთა თამაშითა (ბ. ე. მ.), რა თქმა უნდა, თუ ამ გაჩიანს (სანადირო ქალაქს) რაიმე კავშირი აქვს ცურტავთან (და სომხური წყაროებით, თითქოს, აქვს), ის (ცურტავი) არ შეიძლება იყოს ცივთან *(ցուրտ)* რაიმე კავშირში... ის ისეთივე შეიძლება იყოს მხოლოდ (ტერმინი) როგორც მრავალი სხვა სიტყვა— სახელი — ა ვ ი თუ — ვ ი სუფიქსით რომაა ზ ა ნ ა ვ ი, თ ე ლ ა ვ ი, ბ ნ ა ვ ი (მ—2, 19. ფურც. 97).

4. ძველი სომხური გეოგრაფია გ უ გ ა რ ქ ი ს ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი გულისხმობს (ერემიანი...) მთელ ზოლს იბერიასა და სომხეთს შორის ძორაგეტიდან მოკიდებული ვიდრე კლარჯეთამდე... და კი არ დაფიქრდება ავტორი (ერემიანი), რომ ა ს ე თ ი ქ ვ ე ყ ა ნ ა ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა. რა ნიშნით ხასიათდება ეს გუგარქის ქვეყანა? როგორი საპიტიახშო იყო ასეთი უცნაური ქვეყანა? როგორი ერთობა იყო ის ეთნიკური, გეოგრაფიული, ადმინისტრაციული?... (მ— 2, 4. ფურც. 45).

5. გ ა რ დ ა ბ ა ნ ი ს ლოკალიზაციას პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ამ გარდაბანში ის ქვეყანა იგულისხმება, რომელსაც ლეონტი გვაუწყებს, ეს იმას ნიშნავს, რომ არაბთა მფლობელობის ხანაში, VIII—IX საუკუნეებში, „ს ო მ ხ ი თ ი“ ჯერ კიდევ არ ერქვა ქვემო ქართლის ამ კუთხეს (რაც, ჩვენ ვფიქრობთ, უამისოდაც იგულისხმება).

ასევე საეჭვოდ ხდის „ს ო მ ხ ი თ ი ს“ არსებობას ქვემო ქართლის რომელიმე კუთხის შესატყვისობით ის ცნობა, რომ გუარამს (IX ს.) „დაეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი და აბოცი, და არტანი“ (257).

მაინცდამაინც ტაშირი და აბოცი იმ სამშვილდის (და გარდაბნის?) საერისთავოში შედიოდნენ, რომელიც გვიან სომხითად იწოდებოდა... (მ—2, ფურც. 29).

6 ქ ̄ ცა I, ლეონტი, 12_7

„ხოლო ოდეს პირველ გამოვიდა ხაზართა მეფე და მოტყუენნა ქვეყანანი, რომელნი ზემოთ დამიწერიან, და გარდავლო მთა კავკასია. და იყო ძე მისი სახელით უობოს, და მისცა ძესა თჳსსა ტყუე ს ო მ ხ ი თ ი ს ა და ქ ა რ თ ლ ი ს ა“...

ეს „ქ ა რ თ ლ ი“ ქართლოსიანთ ქართლია (და ამ ქართლის ტყვეებში შიდა ქართლის ტყვეები არც კი იგულისხმება, იმიტომ, რომ შიდა ქართლი ამხელად ხაზართა მიერ მორბევას გადაურჩა).

ეს ს ო მ ხ ი თ ი ჰაოსის წილი ქვეყანაა: ხაზარებმა „წარტყუენეს ქუეყანა თარგამოსიანთა და შემუსრნეს ყოველნი ქალაქნი არარატისანი და მასისისანი და ჩრდილოსანი“... (11).

ასევე გვ. 15_2

სპარსთა მეფემ ქაიხოსრო „მოვლო ყ ო ვ ე ლ ი ს ო მ ხ ი თ ი და ქ ა რ თ ლ ი, მ ო ტ ყ უ ე ნ ა ყოველივე“ (მ—2, 3. ფურც. 164).

7 ქ ̄ ცა I, ლეონტი 29_{21}

ფარნაჯომის წინააღმდეგ ქართლის ერისთავები (უმრავლესნი) შეითქვნენ. სომეხთა მეფეს უხმეს. „მაშინ სომეხთა მეფე ყოვლითა ძალითა მისითა წარმოემართა ქ ა რ თ ლ ს... ხოლო ერისთავნი ქართლისანი განდგომილნი მიეგებნეს სომეხთა მეფესა ტ ა შ ი რ ს... ხოლო ფარნაჯომ მიეგება მუნვე ტ ა შ ი რ ს“...

ტ ა შ ი რ ი ქ ა რ თ ლ შ ი ა (მ—2, 4. ფურც. 84).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„და მასვე ჟამსა (იგულისხმება ბაკურ მეფის დრო) იყო ბ ა ნ ბ ა ს ი ს ხ ი თ ს კაცი ერთი, შვილი მ თ ა ვ ა რ თ ა, სახელით ვასქენ. და ესუა მას ცოლი, მთავართა შვილი, რომელსა ერქუა შუშანიკ, ასული ვარდანისი“.

ჯუანშერის ეს „ს ო მ ხ ი თ ი“ გასარკვევია... ჩეულებრივ ეს ავტორი „სომხითს“ გარკვეული მნიშვნელობით ხმარობს — არმენია. აქ კი ეს ცხადად არ ჩანს... უფრო საფიქრებელია, თითქო, რომ აქ ქ ა რ თ ლ ი ს ს ო მ ხ ი თ ს გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს ა ვ ტ ო რ ი (ვასქენი აკი ქართველთა მეფე ბაკურმა დასაჯა). ვასქენ არშუშას ძე ხომ „ქართლის“ პიტიახში იყო... ჯუანშერს რაღაც არევია, ან შეიძლება, შუშანიკის მარტვილობის რაღაც სხვა ვარიანტი ჰქონდა ხელთ... (სამწუხაროდ ი. აბულაძეს ამ ფაქტისათვის ყურადღება არ დაუთმია)...

შეიძლება „ს ო მ ხ ი თ ი“ აქ მართლაც ჯუანშერის გლოსა იყოს: მან იცოდა, რომ ეს ამბავი ქართლის იმ ნაწილში მოხდა, რომელსაც მის დროს ს ო მ ხ ი თ ს უწოდებდნენ... და უწოდებდნენ, საფიქრებელია, პოლიტიკურ ნიადაგზე: ჯუანშერის დროს ქვემო ქართლს „სომხითი“ ერქვა (სომეხი კვირიკიანები სამშვილდარ-ძორაკერტელები...). როდის შეერქვა გაჩიანის და გარდაბნის ქვეყნებს ასეთი სახელი, ჩვენ არ ვიცით. მაინცდამაინც შუშანიკის მარტვილობით ამ მხარეს ეს სახელი არ ერქვა. იქ „ქართლი“ იყო და ამის ყველაზე ცხადი მოწმობაა ბოლნისი მისი ქართული წარწერებით.

ასე რომ შუშანიკის მარტვილობის მოწმობა („ქართლი“) სარწმუნოა. უნდა მხედველობაში მივიღოთ, რომ V—VI საუკუნეებში ჯერ კიდევ არ არსებობდა იმის პირობა, რომ ქვემო ქართლს კონფესიურ ნიადაგზე სომხითი სწოდებოდა. „სომეხი“ და „ქართველი“ მაშინ ჯერ კიდევ კონფესიურად ურთიერთისაგან არ განსხვავდებოდნენ და მათი განმასხვავებელი ნიშანი მხოლოდ ენა იყო. ასე რომ სამშვილდე — ხუნანს იმ ძველ დროს თუ სომხითი ერქვა, ეს იმის მოწმობა იქნებოდა, რომ აქ სომხურენოვანნი, ე. ი. ჰაოსიანები ცხოვრობდნენ. მაგრამ ამას მხარს არ უჭერს ბოლნისი... თუმცა ისიც დადგენილი ფაქტია, რომ ამ ქვეყანაში ორი ენა იყო (მაშასადამე, ქართველების გვერდით სომხებიც მოსახლეობდნენ)... ეპისტოლეთა წიგნი ამას მოწმობდა, მაგრამ ეპისტოლეთა წიგნიდან ისიც უცილობლად ჩანს, რომ ამ ქვეყანაში ქართლის პოლიტ ი კ უ რ ი ხელისუფლებაა და ქართლის კათალიკოსის სამწყსოა, სა-

ეჭვოა, რომ ასეთ ვითარებაში ამ ქვეყანას „სომხითი“ სწოდებოდა: სომხურენოვანი მოსახლეობის გვერდით აქ ქართულენოვანი მოსახლეობაც იყო (ეპისტოლეთა წიგნი და ბოლნისი), პოლიტიკური და საეკლესიო ხელისუფლება ხომ ქართლისა იყო... მაშ რა საფუძველზე უნდა სწოდებოდა ამ ქვეყანას იმ დროს „სომხითი“?..

ქართველები ჰაოსის ნათესავს იმთავითვე ს ო მ ხ ებ ს და მათ ქვეყანას ს ო მ ხ ი თ ს უწოდებენ. ქართლის ერთ ნაწილში ძველი დროიდანვე (არტაქსია...) ჰაიური ენის მოსახლეობაც ჩანს ქართულის გვერდით.

ამ ქვეყანას „ქართლი“ ეწოდება (შუშანიკი...), ის ოფიციალურად ქართულენოვანია. და „სომხითი“ მას, უნდა დავუშვათ, გვიან შეერქვა იმ ნიადაგზე, რომ ადრეფეოდალურ ხანაში აქ სომეხთა უპირატესობა დამყარდა, რაც კერძოდ სომეხ კვირიკიანთა სამეფოს დაარსებაში გამოიხატა (ახპატი, სანაინი, წოფი, ხოჟორნი...). ამის შედეგად იყო, რომ ქვეყანას სომხითი ეწოდა; თუ არ ასე, როგორ უნდა გავიგოთ, რომ ჰაიები ამ ქვეყანას გუგარქს, ქართლს, კანგარს და რაგინდარას არ ეძახიან და არც ერთხელ არ მოიხსენიებენ არც ქართული „ს ო მ ხ ი თ ი თ“ არც სომხური ჰაისტანით. „ჩ რ დ ი ლ ო მ ხ ა რ ე ნ ი“ არამც და არამც ამ ქვეყნის ეთნიკური განსაზღვრა არ არის და ასეთი წმინდა გეოგრაფიული ტერმინით აღნიშნავენ, საფიქრებელია, ამ ქვეყანას იმიტომ, რომ ქართლის ამ ქვეყნისათვის საკუთარი სახელი არ აქვთ: მას არმენია არა ჰქვიან იმიტომ, რომ აქ არმენია არ არის (ჩანს ესმით, რომ ამ ქვეყნის ქართული სახელი „სომხითი“ არმენიას არ ნიშნავს), იციან, რომ ეს არის ქართლი, ქვემო ქართლი ან „ქვენა სოფელი“, ხოლო მათთვის კი „ჩრდილო მხარე“. (ხომ არ შეიძლება, რომ ჩრდილო მხარენი იყოს დაპირისპირება ასეთივე აღწერილობით გეოგრაფიული ტერმინისა „ქვენა სოფლის“ — მაგრამ ერქვა კი ასეთი სახელი?..) (მ—2, 2. ფურც. 18—20).

9. ქ ̄ცა I, მატიანე ქართლისა, 257_{15}

„ხოლო გუარამ განუყვნა ქუეყანანი ძმათა თჳსთა ადარნასეს და ბაგრატს და აბოცი განუყო ცოლის ძმასა თჳსსა ს ო მ ე ხ თ ა მ ე ფ ე ს ა“.

ხომ არ არის ეს ფაქტი იმის დასაწყისი, რომ ჩნდება ტერმინი „ს ო მ ხ ი თ ი“?? (მ—2, 2. ფურც. 28).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აფხაზეთი", „კახეთი", „სამცხე", „ტაო" და „ქართლი" ყველა ერთი და იგივე ოდენობის ცნებაა, ყველა ერთნაირი „ქვეყანაა", რომელთაგან ზოგს საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაცია აქვს, მეფე ჰყავს თუ კურაპალატი, ან ქორეპისკოპოსი, ზოგს კი საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაცია არ აქვთ, მაგალითად, სამცხეს, ქართლს...

იგულისხმება, რომ ყველა ესენი ერთი სამყაროა სხვა ასეთივე „ქვეყნებთან" ერთად (ჯავახეთი, ჰერეთი, კლარჯეთი...) და იბრძვიან ურთიერთ შორის. ეს მეფენი ცდილობენ დაიპყრან ეს „ქართული" ქვეყნები. საინტერესოა, რომ მებრძოლი მხარეები „შინ" დაუნდობელნი არიან: კახეთმა ჰერეთი გადაყლაპა და ქართლის ხელში ჩაგდებას ცდილობს, აფხაზეთი ქართლს იპყრობს, კახეთის სამეფოს გაუქმებას და ქვეყნის შემოერთებას დაჟინებით ცდილობს. ამავე დროს მიიწევს თრიალეთ-სამცხე-ჯავახეთისაკენ, ხოლო „ქართველთა მეფენი" ხომ კიდევ მეტის ენერგიით იბრძვიან „ქართლსა ზედა", ვიდრე სხვა მათი მოძმენი. მაგრამ ამ კონცერტში შემორევიან „სომეხნიც", რომელნიც, როგორც ცალკე ეთნიკურ კულტურული ერთეული, გამოდის კავკასიის სამყაროში. სომხებიც იბრძვიან „ქართლსა ზედა", რაც იმის უდავო მოწმობაა, რომ ამ ბრძოლის უმთავრესი მამოძრავებელი ძალა ამ ქვეყნების მატერიალურ ურთიერთობაშია საძიებელი და რომ ეთნიკურ-კულტურული იდეები მეორეხარისხოვანი მოვლენაა. სომეხ-ქართველთა შეხების ვრცელ არეზე საუკუნეთა განმავლობაში მიმდინარეობდა ეს მეტოქეობა ქართველ და სომეხ ფეოდალური კულტურის მესვეურთა შორის ურთიერთის ქვეყნების დაუფლებისათვის, ვიდრე ბოლოს, XII საუკუნეში, არ დაისვა საკითხი თავისებური უნიის შესახებ, როცა საქართველოს პოლიტიკური ძლიერება და ქართლის შეღწევა სომხეთში მეტად შორს იყო წასული (ანელი, კარელი, ვალაშკერტელი, დიდი სომხითისა მიტროპოლიტი...).

მაგრამ ასე არ იყო იმ თავში და სომეხთა მეფენი ამიერკავკასიის „სომხეთად" გაერთიანებას არანაკლების ენერგიით, და ხშირად წარმატებით, ცდილობდნენ, ვიდრე მათი მოქიშპე ქართველი ფეოდალები. ვანანდის სომეხ-ქართველთა მეფენი, ჰერეთის მწვალებლობა, „სომხური" ტაო ამ ბრძოლის სხვადასხვა ეტაპებია, ისევე როგორც დავით ტაოელი ბაგრატიონის ქართველთა და სომეხთა კურაპალატობა...

ასეთ კონტექსტში გვაქვს საფუძველი, ვიფიქროთ, თუ რა ნიადაგზე შეიძლებოდა წარმოშობილიყო ქართული ქვეყნის ადგილი-გარდაბანის სახელი „სომხითი“ იმ გაგებით, როგორც ეს ... საუკუნეებში ესმოდათ გარკვეულ ეთნიკურ-კულტურული ერთეულისადმი მისი მიკუთვნების შინაარსით (ამდენადვე, ჩვენ აქ არ ვსვამთ საკითხს თვით ტერმინი „სომეხის“ წარმოშობისა და მისი ოდინდელი შინაარსის შესახებ). ჩვენ რეალურ ისტორიულად ის მიგვაჩნია, რომ ეს ქვეყანა შუა საუკუნეებში „სომხითად“ იწოდებოდა იმიტომ, რომ ის შინაარსეულად ისეთივე „ქვეყანად“ მიაჩნდათ, როგორც ჰაოსიანთ სომხითი, ე. ი. „სომხური სჯულის“ ხალხით და ეს დამოუკიდებლად იმისაგან, რომ აქ „ქართლი“ იყო. ქართულ-სომხურ ფეოდალურ საზოგადოებათა მეტოქეობის ნაკვალევად გამოიყურება ეს „ქართლის სომხითი“ (კლასიკური მოწმობაა), რომელსაც, როგორც საფიქრებელია, საშუალ საუკუნეებში შეერქვა ეს სახელი ჰალბატ-სანაიანით, წოფ ხოჟორნით, მაგრამ ბოლნის-წულრუღაშენით, სამშვილდით, „ვრაცდაშტით“, ბრდაძორის სტელით... (მ—2, 3. ფურც. 119—120).

11. ქ^ცა I, მატიანე, 296_{21}

ფადლონი ქართლს მტრობდა. „და ვიდრე ყრმაღა იყო ბაგრატ, შეკრბეს ლაშქარნი ამის სამეფოსანი, იპირნეს ლიპარიტ და ივანე აბაზას-ძე; მოვიდა დიდი კვრიკე, რანთა და კახთა მეფე, დავით სომეხთა მეფე, და ჯაფარ ამირა ტფილელი, რამეთუ ესე ყოველნი პირობითა კვრიკესითა შეკრებულ იყვნეს ეკლეცს ფადლონს ზედა“.

იქვე, 297_{9}

„მას ჟამსა (ე. ი. XI ს. 30-ანი წლები) იყო მეფე კახეთს გაგიკ, ძე დავით სომეხთა მეფისა სამშვილდარისა და ძორაკერტელისა, დისწული კვრიკესი“.

ამრიგად სომეხთა მეფე ძორაკერტთან ერთად სამშვილდესაც ლაპატრონებია და „სომხითიც“, ბუნებრივია, გაჩიანის ქვეყანასაც შეერქვა...

პირველად ამ ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთის საზღვარი აბოცი გვარამ მამფალმა განუყო სომეხთა მეფეს...

უნდა თვალი გაედევნოს როგორ თანდათან მოიწევს სომეხთა პოლიტიკური მფლობელობა გარდაბან-გაჩიანის და რანის ტერი-

ტორიაზე, როგორ იქმნება ქართლის სომხითი... (მ—2, 2. ფურც. 26).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

12. ქ"ცა I, მატიანე, 300—301

ანისი ბაგრატმა დაიჭირა და მარიამ დედოფალმა შიგ თავისი მოხელეები შეაყენა (299). შემდეგ ლიპარიტის საქმით ბაგრატმა და დედამისმა ანისი დაკარგეს. ჩანს ისევ ბერძენთა ხელში გადავიდა (300).

ლიპარიტ და ბაგრატი ომობენ, ლიპარიტს ბერძენთა განძი და ტახტის მაძიებელი დემეტრე ახლდნენ.

„და იყვნეს თანამდგომ ლიპარიტისსა კახნი ძალითა მათითა, და დავით სომეხთა მეფე ძალითა მისითა".

ასე იყო სასირეთის ომში (301) ასევე იყო არყის ციხის ომში (301).

ეს „სომეხთა მეფე" დავით იგივე სამშვილდარ-ზორაკერტელია და აქტიური მონაწილე ბაგრატისა და ლიპარიტის შორის ომისა, ისევე როგორც კახთა მეფე... ეს დავით სომეხთა მეფე ანისში არ მეფობს, არც დვინში ესაქმება მას. ჩანს, მისი სამეფო სომხითი ამ ქვეყნების გარეთაა. ესაა სამშვილდისა და ძორაკერტის ქვეყანა (მ—2, 2. ფურც. 25).

13. ქ"ცა I, მატიანე, 307_1

ალფარსლან სულტანმა ბაგრატ მეფეს „სთხოვა დისწული ცოლად. და მიიქცა სულტანი ანისად, შემუსრა და წაიღო ანისი, მოსრნა და ტყუე ყვნა ურიცხუნი სულნი, და წარვიდა ქუეყანად თჳსად სპარსეთად. და ანისი წარუღო ბერძენთა და მისცა მანუჩას, ძესა აბულასვარისსა.

ხოლო დისწული ბაგრატისი, რომელსა ითხოვდა სულტანი, იყო ძმისწული სომეხთა მეფისა კჳრიკესი. სთხოვა ბაგრატ და არ მოსცა სომეხთა მეფემან. მიუგზავნა ბაგრატ მოციქულად დიდძალად ერისთავი ვარაზ-ბაკურ გამრეკელი. იბირნა კაცნი სომეხთა მეფისანიცა, და სამშჳლდეს შემომავალი სომეხთა მეფე კჳრიკე და ძმა მისი სუმბატ შეიპყრეს ქუეშის ჭალასა, და აცნობეს ბაგრატს. და წარვიდა კვაჯურელთათ მსწრაფლ, და მოგუარნეს პყრობილნი კლდეკართა ქუეშე. სთხოვა სამშჳლდე და არა მოსცეს, რამეთუ ერთი ძმა მათი ადარნასე შესრულ იყო სამშჳლდეს. ხოლო მიიყვანეს სამშჳლდეს

და ამართეს ძელი, და გასუეს სომეხთა მეფე კვრიკე სამ დღე; ითხოვეს მშვდობა და მოსცეს სამშვლდე. ხოლო მოსრულ იყვნეს ერისთავნი სომეხთა მეფისანი: ლუკიის ერისთავი და [illegible] აძლევდა და მოსცემდა სამთა ციხეთა სუმბატ, ძმა კვრიკესი: ოფრეთს და კოშკსა და ვარზაქარსა. ხოლო შეეწყალნეს ბაგრატ მეფესა: მისცნა და უთავისუფლნა ყოველნი ციხენი თვნიერ სამშვლდისა; და არც სხუანი ციხეთა-უფალნი, კაცნი დიდებულნი შემოუშვნა, არამედ სამშვლდე ოდენ იურვა სახლად თვსად, და ეგრეთვე მონებდეს სომეხნი".

ანისის სამეფო ალფარსლანმა დაიპყრა და განძელ ამირას აბულსოვარის ძეს მანუჩარს მისცა. მაშასადამე, კვრიკე „სომეხთა მეფეს" ანისის ქვეყანასთან ხელი არ აქვს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს კვრიკე სომეხთა მეფე არის შვილი დავით სომეხთა მეფისა, სამშვილდარ-ზორაკერტელისა (ნახე სომხური მასალა!). სამწუხაროდ აქ დასახელებული ციხეები დადგენილი არ არის გარდა სამშვილდისა და ოფრეთისა, რომ შეიძლებოდეს „სომეხთა მეფის" საბრძანებელის უფრო ნიშანდობლივ მოხაზვა.

ერთი უცილობელია: ტფილისის საამიროს აღმოსავლეთ-სამხრეთით აკრავს ქვეყანა სამშვილდე-ზორაკერტისა, რომელსაც სომეხთა მეფე ფლობს. სომეხთა მეფის ეს ქვეყანა მეორე მხრით ესაზღვრება ბაღვაშის სამფლობელო თრიალეთს (საკუთრივ თრიალეთის გარდა, ბაღვაშებს ჰქონდათ მანგლის-ხევი და სკვრეთი). მესამე მხრით სომეხთა მეფის სამფლობელო ესაზღვრებოდა განძის საამიროს...

ამრიგად ხუნან-სამშვილდის საერისთავოთა დიდი ნაწილი სომეხთა მეფის სამფლობელო შექმნილა, „სომხითი" შექმნილა (პოლიტიკურად მაინც).

(დავითმა ლორე აიღო, „სომეხთა მეფე" გახდა... თამარი გარდაიცვალა „აგარათა სომხითისათა", ე. ი. ზემო ტაბახმელას ანუ კოჯორს). (მ—2, 2. ფურც. 23—4).

14. ქ"ცა I, მატიანე ქართლისა, 312_{12}

XI ს. სამოციანი წლები იყო. ავტორი მოგვითხრობს ფადლონისა და ბაგრატ მეფის ბრძოლის ეპიზოდს.

ამ მოთხრობიდან არა მარტო ისა ჩანს, რომ რუსთავი ციხეა („ხოლო თავსად აღიხუნა ციხენი რუსთავი, ფარცხისი, აგარანი, გრიგოლ-წმიდანი, ქავაზინი"...) ე. ი. რომ ამ ციხეს რუს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი ერქვა და არა რიშაყალა, როგორც ამას პ. ინგოროყვა ჰგონებს, არამედ ისიც ჩანს, რომ ეს ციხეები თბილისის საამიროში იგულისხმებიან, თბილისის საამიროს ქვეყანაში შედიან. თითქო ისე ჩანს, რომ ყველა ეს ციხე ჩაბარდა ბაგრატს, როგორც კი თბილისი ჩაბარდა...

რუსთავი ისეთივე მიმართებაშია აქ ნაგულისხმევი თბილისთან, როგორშიაც ფარცხისი, აგარანი, გრიგოლწმიდანი, ქავაზნინი... (წიგნი 5, ფურც. 98).

15. ქ-ცა I, ც-ბა დავითისი, 318_2

„ამისა შემდგომად მოვიდა სულტანი მალიქ-შა, მოადგა სამშვლდესა და წარიღო, და ივანე ძე ლიპარიტისი ტყუე ჰყო, მოაოჯრა სომხითი და წარვიდა".

ამავე ამბავს მოგვითხრობს მატიანე ქართლისაჲს ავტორი (316—317) — „და მოვიდა სულტანი, და მოადგა სამშვლდესა, და წარუღო სამშვლდე, და ტყუე იქმნა ივანე თავითა, ცოლითა და შვილისშვილითა და ყოველთა აზნაურთა დედაწულითა, და დაიჯრა სამშვლდე სულტანმან: და მუნ დგომასა მოარბია ქართლი. წარიღო ტყუე და ნატყუენავი ურიცხვ, და შეიქცა გარე".

ამრიგად სამშვლდეს მისი ქვეყნით ერთი ავტორი სომხითს უწოდებს, ხოლო მეორე (ასევე თანამედროვე) უწოდებს ქართლს. არაა საფიქრებელი, რომ ამ ტერმინში — „ქართლი" — აქ „სომხითს" გარდა სხვა ქართლი იგულისხმებოდეს. სულთანს რომ სომხითს გარდა სხვა ქართლი მოეოჯრებინა, დავითის ისტორიკოსი (რომელიც იცნობდა მატიანე ქართლისას) ვერ დაავიწროვებდა ამ ცნებას და „ქართლის" ნაცვლად „სომხითს" ვერ დაწერდა და თუ მან მატიანე ქართლისას „ქართლი" „სომხითად" აღნიშნა, ეს იმიტომ, რომ სულთანმა ქართლის ის კუთხე მოარბია, რომელსაც „სომხითი" ეწოდებოდა.

ესაა სწორედ „ქართლის სომხითი" (მ—2, 3. ფურც. 186).

16. ქ-ცა I, ც-ბა დავითისი, 331_{14}

„ხოლო ვიდრე ამა ჟამადმე ქალაქი ტფილისი, რუსთავი და სომხითი და ყოველი სამშვლდე და აგარანი თურქთა ჰქონდეს". თუ სიმონ ყაუხჩიშვილის დადგენა სწორია: „ყოველი სამშვლდე" (და არა სომხითი ყოველი), მაშინ გამოდის, რომ „სამშვლდე"

იხმარებოდა მთელი ამ ქვეყნის აღსანიშნავად. მაგრამ ეს ადგილი სათუოა: ACMm ვარიანტები სხვაგვარი წაკითხვის შესაძლებლობასაც გულისხმობენ: ...„რუსთაველი სომხეთი ყოველი სამშვილდე და აგარანი თურქთა ჰქონდეს“... (მ—2, 7. ფურც. 77).

17. ქ^ცა I, ც-ბა დავითისი, 335_1

„ამასვე წელსა (1118 წ.) აღიღო სომხითისა ციხე ლორე. და მასვე წელსა, ივლისსა, აღიხუნა აგარანი, მეორესა დღესა, ცისკარს. რამეთუ პირველცა ესე ციხე აღიღო ბაგრატს, პაპასა მისსა, გარნა სამ თუე ბრძოლითა...“.

საფიქრებელია, რომ ავტორი „სომხითში“ გულისხმობს „აგარანსაც“ (მ—2, 2. ფურც. 15).

18. ქ^ცა I, ც-ბა დავითისი, 335_1

1118 წ. „ამასვე წელსა აღიღო სომხითისა ციხე ლორე. და მასვე წელსა, ივლისსა, აღიხუნა აგარანი“.

აქაც დადგენა სათუოა: სომხითისა თუ სომხითს. თუ სიმონ ყაუხჩიშვილის არჩევანი სწორია, მაშინ ლორეს განსაკუთრებული მნიშვნელობა იქნებოდა ხაზგასმული. სომხითში მრავალი ციხე იყო, მაგრამ ლორე ყველაზე მნიშვნელოვანი იყო... (მ—2, 7. ფურც. 78).

19. ქ^ცა I, ც-ბა დავითისი, 337_{15}

დავითმა ჯარი გაიმრავლა, ყივჩაყები მოიწვია „და იწყო რბევად სპარსეთისა, შარვანისა და სომხითისა დიდისა“...

საქმე ისაა, რომ ქართლის სომხითი დავითს უკვე შემოერთებული ჰქონდა. მაშასადამე სარბევად აქ სხვა სომხითი იგულისხმება: დიდი სომხითი= Armenia magna.

აშკარაა ჩვენი ავტორი ურთიერთისაგან ასხვავებს ორ სომხითს: დიდი სომხითი და ქართლის სომხითი (მ—2, 2. ფურც. 14).

20. ქ^ცა I, ც-ბა დავითისი, 340_{16}

დავითის წინააღმდეგ თურქებმა შეერთებული ლაშქრობა მოაწყვეს... სულთანმა „უბრძანა თურქმანობასა სადაღაცა ვინ იყო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამასკოთ და ჰალაბითგან ამოღმართ, ყოველსა მჴედრობად შემ-
ძლებელსა, ამათ თანა ათაბაგსა განძისასა მისითა ძალითა ... ...
ველთა სომხითისა ამირათა“...

ეს „სომხითი“ ის „დიდი სომხითია“, რომელსაც
დავითი არბევდა (337), რადგან განძელ-ტფილელ-დმანელნი „სომ-
ხითი“ არაა (ერთადერთი დმანისია საეჭვო, მაგრამ იქ ერთი „ამი-
რა“ იყო — თუ იყო — და არა ამირანი). (მ—2, 2. ფურც. 13).

21. ქ^ცა I, ლაშას დროის მემატიანე, 365_{13}

„ჰერეთი, სომხითი, ტაშირი, ჯავახეთი, ქუენა არტანი
და (ზენა) არტანი ამათსა მეფობასა შინა აშენდა, და ტაოს ნაპირ-
ნი“.

ტაშირი სომხითისაგან გამოყოფილი ჩანს. დავითის
ისტორიკოსი კი ლორეს სომხითში ასახელებს.

თითქო საფიქრებელი ხდება, რომ პოლიტიკურ სომხითში
რამოდენიმე ეთნოგრაფიულ-ეთნიკური ერთეული იყო (აბოცი,
კანგარი, ტაშირი, სომხითი, სამშვილდე...). გამოდის, რომ „ქართ-
ლის სომხითი“ ფართე შემკრებლობითი ცნება იყო (მ—2, 2.
ფურც. 9).

22. ქ^ცა I, ლაშას დროის მემატიანე, 369_{22}

თამარი გარდაიცვალა „თუესა იანვარსა თორმეტსა, დღესა
ოთხშაბათსა, აგარათა სომხითისათა, ქრონიკონსა ოთხას
ოცდაშვიდსა. დამარხეს ახალსა მონასტერსა გელათს“.

როგორც ბასილი ეზოს მოძღვარი მოწმობს, თამარი გარდაი-
ცვალა აგარათა ციხეს (ქ^ცა II, 144), ხოლო ისტორიანი და
აზმანით თამარი მიიცვალა „ჭმელსა დგომასა შინა“ (იხ.
ჩემი „აგარანი“).

თითქო უდავოა, რომ ლაშას მემატიანე აგარანს სომ-
ხითში გულისხმობს ე. ი. ტაბახმელას... (მ—2, 2. ფურც. 8).

23 ქ^ცა II, ისტ. აზმ. 99_{16}

თამარიო „ჟამ გარდვიდიან აფხაზეთს და განაგიან საქმენი
მანდაურნი, და მოინადირიან კეთილი იგი სანადირო-გეგუთი და
აჯამეთი. მერმე გარდმოვიდიან ქართლს, სომხითს, და დად-
გიან დურს“. დუინს ER, დვინს cet.

„დურის“ ადგილმდებარეობა გაურკვეველი; „ქართლი“ კუთხური მნიშვნელობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაურკვეველია აქ სომხითის მნიშვნელობაც. თუ ეს ქართლის სომხითია, მაშინ დურიც აქვეა სადღაც, ხოლო თუ სომხითში აქ სომხეთი იგულისხმება საკითხავი დვინი მართებულია.

ისტორიკოსი აქვე განაგრძობს, რომ დურს მდგომ მეფესთანაო „მოვიდიან ხარაჯითა განჯელნი და ალმართ-ქალაქნი. გაზაფხულ ალმოვლიან სომხითი, მოიღიან ხარაჯა ნახჭევნელთა; და წარვიდიან კოლას, თავსა არტანისასა, და მუნით მოიღიან ხარაჯა კარნუ-ქალაქით და ეზინკით და სხუათა გარემოსა ქალაქთა“.

აქ უკვე სომხითი ქართლის სომხითი არაა და დიდ სომხითს ნიშნავს, როგორღაა ეს, რომ ერთ აბზაცში „სომხითი“ ორი ქვეყნის მიმართ იხმარება? შეიძლება ზემოთაც იგივე დიდი სომხითი იგულისხმება და დურის ნაცვლად უნდა დვინი? ან, შეიძლება, განსასხვავებლად დიდი სომხითისაგან პირველ შემთხვევაში „ქართლის სომხითი“ ეწერა? (მ—2, 1. ფურც. 103).

24. ვახუშტი, აღწერა, 45

„ნახიდურს ქვეით, ქციის ამიერ და იმიერ კიდესა, სახლობენ ელნი მოჰმადიანნი, მოხარკენი და მოლაშკრენი მეფისა. არამედ ბაიდრის სულთანი, რომელი დასხნა შასეფიმ ავლავარს, ქვეით ნაჯბადინამდე და ეკლესია ნაზარა სოფლამდე. ხოლო ადგილსა ამას პირველ ეწოდებოდა წყალთა — შუა და აწ ბაიდარი“.

საიდან იცის, თუ რა ეწოდებოდა პირველ? უნდა ვიფიქროთ, ეს ცვლილება ტოპონიმებისა შედარებით ახალი საქმეა და ტრადიცია ჯერ კიდევ ცოცხალია (წიგნი 8, ფურც. 30).

25. ვახუშტი, აღწერა, 47.

„კიკეთს ქვეით, ჯევსა შინა, არს მონასტერი კაბენისა. ყოფილ არს დედათა, გუნბათიანი, შვენიერი, აწ არს ხუცის სამარ. აღაშენა მეფემან თამარ. სამჯრით, მას ზემორ, არს ციხე აზეულასი და აწ კოჟრისა, თხემსა ზედა კლდისასა. ამ ციხის სამჯრით არს სასახლე მეფისა კოჟორი. აღაშენა პთ მეფემან როსტომ, უმეტეს ჟა მეფემან გიორგიმ და ჟდ მეფემან ვახტანგ. დგებოდნენ ზაფხულს მეფენი“.

ვახუშტი ისე ფიქრობს, რომ ეს ტოპონიმი გაჩნდა შემდეგნაირად: იყო ციხე აზეულასი. ამ ციხის სამკრით მეფეებმა ... სახლე ააშენეს კოჟორი და ამიერიდან ციხესაც სახელად ... ერქვა: ციხე კოჟორისა.

ვახუშტის არ აინტერესებს თვით ტოპონიმი კოჟორი, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, ძველადაც არსებობდა, ვიდრე მეფე როსტომ იქ სასახლეს ააგებდა.

და ეს მართლაც ასე იყო: კოჟორი იხსენიება XIV (?) საუკუნის საბუთში.

კოჟორი-ქვა ჯვარი (?) (წიგნი 8, ფურც. 39).

სომხები თბილისსა და სომხითში

ვახუშტი, აღწერა, 54

ტფილისშიო „მსახლობელნი არიან ციხესა და სეიდაბადს სპარსნი მოჰმადიანნი, ხოლო ციხეს გარეთ უფროს სომეხნი და მცირედ ქართველნი, ქცევა-ზნითა ქართულითა, სახლნი ნაშენნი არიან ქვა-ტალახითა და გალესილი გაჯითა, ზოგთა სპარსთ რიგისა, ზოგთა ქართული“.

ამრიგად ტფილისელი სომეხნი ხასიათდებიან „ქცევა-ზნითა ქართულითა“. მაშასადამე განსხვავება ტფილელ სომხებსა და ქართველებს შორის მხოლოდ სარწმუნოებაა. მათი ენა რომ ქართულია ეს ცნობილია (კორესპონდენცია, დოკუმენტები, ბეჭდები, უცხოეთში მათი კვალი — ეპიტაფიები და სხვ.), მაგრამ „სომხობაც“ რომ კარგად ახსოვთ, ესეც ცნობილია (უცხოელი მწერლები, ფარსადან გორგიჯანიძე, მდივნები, ფეოდალები, ქართული ფეოდალური თვალსაზრისით „სომეხი“=ვაჭარი). სომხური ეკლესიის როლი სომეხთა დამაგრების საკითხში... განსხვავებული საქმიანობა (ვაჭრობა) ამ დამაგრების საფუძველი..

ძველი ფენა „სომხური“, თანდათანი შემოსვლა არმენებისა. ყალიბდება ქართლის სომხითი („სომხითარი“, განსასხვავებლად სომეხთაგან სჭირდებათ...). შეიძლება მართლაც იყოს (მაინცდამაინც საინტერესოა) ვახუშტის მოსაზრება, რომ ახპატ-სანაინი ქართველ მეფეთა მიერ აშენებულია... და საერთოდ დამახასიათებელია ეს „უპყრავთ სომეხთა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხოლო არიან კაცნი თრიალელნი მოსილნი, ვითარცა დბანის ჰეველნი, სიმკნე — ჰაეროვნებითაცა ეგრეთნი, გარნა ესენი უმჯობესნი ყოვლითა“.

ყველა ეს სომხითი, ტაშირი, აბოცი, დბანის — ჰევი და თრიალეთი ერთიმეორეს გვანან მაინცდამაინც ზეთის ხდით. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ ზოგან სარწმუნოებით სომეხნი არიან (აბოცი, ტაშირი), ზოგან უმრავლესობა არის სარწმუნოებით სომეხნი (სომხითი), ზოგან უმრავლესობა სარწმუნოებით ქართველთანი არიან (დბანის ჰევი და, უნდა ვიფიქროთ, თრიალეთი) საერთოდ ნარევი მოსახლეობაა სარწმუნოების თვალსაზრისით.. (დამაფიქრებელია ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობა: ეპისკოპოსების დასმა ბოლნისში და აგარაკს..).

ვახუშტის აღნიშვნა სომხითის მიმართ „ქცევა-ზნითა ქართულითა“ გამოწვეულია იმით, რომ ამ ქვეყანას სომხითი ჰქვიან, ე. ი. იგივე სახელი, რაც საკუთრივ სომხითს. აი ამ საკუთრივ სომხითისაგან განსასხვავებლად აღნიშნავს მეცნიერი ამ მომენტს, ე. ი. ვახუშტის სურს სთქვას, რომ ქართლში მოსახლე სომხები „ქცევა-ზნითა ქართულითა“ არიან, ე. ი. ესენი იგივე ქართველები არიან, ოღონდ სარწმუნოებით არიან განსხვავებულნი (= სომეხნი). ვახუშტი, ვგონებ, პირველია, ეროვნული ნიშანი რომ სხვა შემოაქვს ვიდრე სარწმუნოება (წიგნი 8, ფურც. 22, 27).

26. ერი — მსოფლიო კაცი (საბა); ეროსანი-ყმიანი (საბა).

ნახე საბას ერანი, რომ „სომხითს ერანად უწოდენ მრავალ-გვარობისათვის და მრავალთ-თესლობისა“.

ეს იმიტომ ხომ არა, რომ „სომხითში“ ოდესმე ერები ცხოვრობდნენ, ეგების აქ იყო „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ არიანი (საბას განმარტება კი წარმოდგება „ერი“ს მრავლობით რიცხვის წარმოდგენით: — ერ-ანი).

რანი მიღებულია (ისევე როგორც ისკანდერ) არრანისაგან. იყო არანი (ირანი, ერანი). არაბებმა არანი (ალბათ მეორე ასო რ ისეთი ბუნებისა იყო, რომ რედუპლიცირებულად ისმოდა) არრანად გაიგეს, ე. ი. არ ართრონად მოეჩვენათ და დარჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რანი. სხვებმა კი არაბებისაგან შეითვისეს. ქართველებმა კი ძველი ფორმა შემოინახეს არიან ქართლი (მ—2,19. ფურც. 102).

27. საპიტიახშო წალკაში ეს ქართლის პიტიახშეშის სადგომია, ე. ი. არმაზის ხეველებისა... უძველესი ტრადიცია...

ბილინგვას პიტიახში არის „ქართლის" პიტიახში (და მისი სახელისუფლოა არაგვიდან ფარავნამდე), ისევე როგორც „ქართლის ერისთავი" (მ—2, 3. ფურც. 152).

28. ქ^ცა I, მატიანე ქართლისა, $258_{13, 14}$

„და შეიპყრნა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდეკართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე."

ეს ფაქტი IX საუკუნის მეორე ნახევარშია ნაგულისხმევი, მაგრამ ამის ანალოგონი ჩვენ ჯერ კიდევ არჩილის დროიდანვე გვაქვს (თუმცა იქ კალმახელებს არავინ უპატრონებიათ).

ფეოდალური ურთიერთობის კლასიკური მაგალითია. მთავარი ციხეს ააგებს და ამით ქვეყანას „შეიპყრობს". ჩანს ქვეყანას „ციხე" არ აქვს უკეთ, მას დაუკარგავს, მას მოშლია საკუთარი ციხესიმაგრე... ხომ წარმოუდგენელია, რომ იმ ძველ დროს მას (ქვეყანას) თავისი ციხესიმაგრე არ ჰქონოდა: უსიმაგრო (უციხო) ქვეყანა შეუძლებელია. მაშ, გამოდის, რომ ქვეყანას რაღაც დროს ასეთი სიმაგრე მოშლია... და მართლაც, ქვეყნების ზრდა-განვითარებისას ის ძველი ციხე-გალავნები (სიმაგრეები) სულ უფრო და უფრო მოუხერხებელნი, საფიქრებელია, ხდებოდნენ მთელი ამოდენა (გამრავლებული) მოსახლეობისათვის... ეს ციხესიმაგრეები სულ უფრო და უფრო ვიწრო წრის, მამასახლისის სახლის ადგილსამყოფელი ხდება და არა ქვეყნის თავდასაცავი, არამედ ქვეყანაზე საბატონო საშუალება ხდება... ამგვარად ქვეყნის ძველი ორგანული კავშირი სიმაგრესთან მოიშალა და ძველი თავშესაფარი მას (ქვეყანას) პოლიტიკურ მებატონედ დაუპირისპირდა... თანდათან ასეთი ციხე ფორმითაც შეიცვალა: ის ნაგებობა ახლა „ქვეყნის" დაცვას უშუალოდ არც ითვალისწინებდა და პირველ რიგში ამ ქვეყანაზე პოლიტიკური ბატონობის იარაღი იყო „მთავრის" ხელში.

მატიანე ქართლისა კლასიკური სიცხადით გვაცნობებს, რომ კაცხელმა ავანტიურისტმა შეიპყრა ქვეყანანი თრიალეთისანი და ამ წარმატების შესანარჩუნებლად მან ააგო ციხე კლდეკართა, და არა ამ ქვეყნის დასაცავად...

ფეოდალური ციხეების პოლიტიკური ბატონობის პირობებშია მხოლოდ რეალურად წარმოსადგენი, რომ ესა თუ ის [illegible] ახერხებს შეიპყრას ესა თუ ის ქვეყანა. აი მაგალითად ლიპარიტ კოგვეთელმა დიდგვარიანმა კაცხელმა (შეიძლება ქვაციხელ უფალ-მამასახლისის ჩამომავალმა...), შეიპყრნა ქვეყანანი თრიალეთისანი. ეს ის დროა, როცა ქართლი საცილობელი ქვეყანა ხდება აფხაზთა მეფეებსა და აშოტ კურაპალატის მემკვიდრეებს შორის. ლიპარიტმა ქვეყანანი თრიალეთისანი აფხაზთა მეფეთა დაუხმარებლად და, შეიძლება ვიფიქროთ, მათი ნებისა და სურვილის წინააღმდეგაც „შეიპყრნა". ახლა საკითხავია რა ძალით „შეიპყრა" ეს შორი ქვეყანა ლიპარიტ მთავარმა. უნდა ვიფიქროთ, კაცხელ მთავარს, ისევე როგორც არგვეთის მთავრებს, დავითს და კონსტანტინეს, ან როგორც როსტომ ბიბილურს (ამას სამოცდაათი მოლაშქრე ახლდა) და ყველა ასეთ სხვა ბედის მაძიებელს საამისო ძალა მოსდევდა, „ერი" ჰყავდა („ერისთავი" იყო).

ვინ იყვნენ ეს ლიპარიტის ერი? უნდა ვიფიქროთ არგვეთელი ა ი ლ ა შ ქ რ ე ნ ი. ლიპარიტი ბედის საძიებლად იყო წამოსული, ამავე დროს თავის მკვდრ მამულს არ ეხსნებოდა და კაცხი (—ქვაციხე) თავის ძირეულ სამკვიდრო ქვეყნად ეგულებოდა. უპატრონო ქართლის დასაჭერად მოიწევდნენ ამ დროს არა მარტო აფხაზთ მეფენი, არამედ ტაო-კლარჯელი მთავრები (ბაგრატ კურაპალატი, გუარამ მამფალი...), სომეხთა მეფენი, კახი მთავრები და სხვა უფრო მცირე ძალის მთავრები. ეს უკანასკნელნი დამოუკიდებლად ბატონობაზე ახლა ვერ იოცნებებდნენ და მფარველებს („პატრონებს") ირჩევდნენ. კაცხელი ლიპარიტ ხელმწიფობას ვერ დაიჩემებდა და ყმადნაფიცობის პირზე პატრონს ეძებდა (აი ისევე, როგორც ლეონ აფხაზთა ერისთავი იყო არჩილის მიმართ საკუთარი სამკვიდრო ქვეყნით მოსული). ლიპარიტის რანგის მთავრები მრავლად იყვნენ ამ დროს ქართლში და მის სხვადასხვა კუთხეს „ქვეყნობით" ფლობდნენ.

მაგალითად ძამელი მთავარი, კონსტანტინე — კახა, ქსნისა და ლიახვის ხეობათა უფალნი, ტბელნი, ფხვენელნი, ბიბილურნი და სხვ. — ყველა ესენი ყმადნაფიცობის პირზე, ისევე როგორც ლიპარიტ, ყმობდნენ ქართლის დაჭერის ხელმწიფე-პრეტენდენტებს ზოგი ვის, ზოგი ვის (მაგალითად კოსტანტინე-კახა აფხაზთა მეფეს, ბიბილური კი, ტბელ-ფხვნელები აფხაზთ მეფეებს მტრობდნენ და კახ მთავრებს ირჩევდნენ, თრიალელი მთავრები ტაოელ მთავრებს ირჩევდნენ და აფხაზთა მეფეებს მტრობდნენ).

მაინც არგვეთელი მოლაშქრენი რა მოტივით მოსდევდნენ კაცხელ მთავარს? ქვეყანანი თრიალეთისანი უძველეს დროიდან დიდად ცნობილი იყო (საძოვრები, გზები), თორის ხეობით ის უნა-ალოდ უკავშირდებოდა არგვეთს.. ლიპარიტმა „შეიპყრნა ქვეყანანი თრიალეთისანი", ე. ი. თორ-გუჯარეთიც, გომარეთ-ბაშკიჩეთიც და კლდეკარ-მანგლისი... ასეთ საშოვარზე გამოსულ „ერისთავს" ადვილად გამოჰყვებოდნენ არგვეთელი მოლაშქრენი. ესენი იყვნენ ლიპარიტის ერი, ყრმობისაკენ პირმიქცეული მოკიდულები (ეს ადრეფეოდალური ხანის რუსული дружина-ს მსგავსი სოციალ-პოლიტიკური მოვლენა უნდა ყოფილიყო).

იმისათვის, რომ ქვეყნის შეპყრობის სიმტკიცე გადმოგვცეს, ავტორი გახაზავს, რომ ლიპარიტმა ააგო ციხე კლდეკართა, ამიერიდან ქვეყანანი თრიალეთისანი ამ ციხეს მოკიდებულნი, ამ ციხის მფლობელის მორჩილნი არიან.. ამავე დროს ეს ციხე ამ იწროთაში უდიდესი შემოსავლის წყარო — საბაჟო უნდა ყოფილიყო (არტანუჯის მსგავსად).

ასე დაყოფილი იყო ამ დროის მთელი საქართველო ს ა ც ი ხ ი ს თ ა ვ ო ე ბ ა დ, ციხეში შემავალ ქ ვ ე ყ ნ ე ბ ა დ, ციხეებად,— სამხედრო-ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ქვეყნებად...

ძველად — კანტიკუნტად, არჩილის დროიდან კი ეს მოვლენა მასიური ხასიათისაა. ა ხ ა ლ ი ხ ა ნ ა ა; „ახალი ხანა" არის იმით, რომ ასეთი საციხისთავო ქვეყნების გაჩენა საზოგადოებრივმა განვითარებამ გამოიწვია. აწინდელი საზოგადოება შედგება მ ო ქ მ ე დ თ ა და მ ფ ლ ო ბ ე ლ თ ა გ ა ნ. ბედის მაძიებელი ბიბილურ-ბაღვაშები კი არ ქმნიან ამ ახალ ურთიერთობას, არამედ შეიპყრობენ ისეთ ქვეყანას, სადაც ეს ურთიერთობა იმ დონემდეა განვითარებული, რომ პატრონი თავისი ერით საჭიროა და გამართლებულია, სადაც მათი ფუნქცია გაჩენილა. აკი ბიბილური იფრინეს დვალეთიდან, სადაც სოციალური უთანასწორობა არ იყო შემოსული, სადაც საზოგადოება მოქმედებად და მფლობელებად არ გამოყოფილიყო და მიიღეს ლარგვისში, სადაც ასეთი ურთიერთობა უკვე შემოსული იყო და სადაც, ესაა განსაკუთრებით საყურადღებო, ბიბილურს გვერდში ამოუდგნენ ისინი, ვინც მფლობელთა მხარეს შეადგენდნენ ამ საზოგადოებაში (ხუციანდაბისძეები...). ე. ი. აქ შენიშნულია ის დიდი მნიშვნელობის ფაქტი, რომ მოსულ მფლობელს ბოლოს და ბოლოს უთანხმდებიან ადგილობრივი მფლობელობის პრეტენზიის მქონენი და უთანხმდებიან მოქმედთა დამორჩილების ხარჯზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლედ, საზოგადოება განვითარდა და იმ საფეხურზე ავიდა, როცა უფალი, პატრონი, ციხისთავი, ერისთავი (ერთი სიტყვით ფეოდალი) აუცილებელი გახდა. ასეთ პირობებში ეს პატრონობა, სულ ერთია, ამ საზოგადოების წევრებიდან იქნებიან, თუ გარეთ მოსული დამპყრობლები...

„და შეიპყრნა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი აღაგო ციხე კლდეკართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე“. ეს ქვეყანა თრიალეთი კი დაპყრობილი ჰქონდა გუარამ აშოტის ძეს ბაგრატიონს. მასვე ჰქონდა დაპყრობილი ჯავახეთი, ტაშირი, აბოცი და არტანი. მაშასადამე ლიპარიტ კაცხელმა ქუეყანანი თრიალეთისანი გუარამს წაართვა.

რას წარმოადგენდა ამ დროს ქუეყანანი თრიალეთისანი? იყო ის ერთი საგამგეო, თუ საგეოგრაფიო ტერმინილა იყო მხოლოდ? მაინცდამაინც თრიალეთი რომ რაღაც ერთეული იყო, გამოყოფილი ჯავახეთისა, ქართლისა, აბოცისა და ტაშირისაგან, ეს ცხადია, ოღონდ ეს იყო ისტორიული შინაარსის მხოლოდ ცნება, თუ ამ დროსაც რაითმე გამოიყოფოდა რეალურად, ეთნიკურად — ეთნოგრაფიულად, ადმინისტრაციულად.

ვახუშტი ამ ქვეყნების აღწერისას ვერაფერს უჩვენებს ასეთს (ნახე), მაგრამ ეს აღწერა რვაასი წლით შორავს აღნიშნულ ამბებს.. სამწუხაროდ, ჩვენ საამისო ცნობები არ გაგვაჩნია.. ფაქტი კი ის არის, რომ ასეთი „ქვეყნები“ თ ა ვ ი ს ს ა ზ ღ ვ რ ე ბ შ ი არსებობდა და არც ადვილად იშლებოდა ეს საზღვრები. მაგალითად, როცა ბაღვაშებმა ქართლის გაღმა მხარე მიიტაცეს, ამით საკუთრივ თრიალეთის ქვეყნის საზღვრები არ შეცვლილა (და ა ს ე ი ყ ო ყ ვ ე ლ ა ე ს ქ ვ ე ყ ა ნ ა ერთხელ შემუშავებულ ეთნიკურ-ეთნოგრაფიულ, წ ა რ მ ო ე ბ ი თ ე რ თ ე უ ლ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ შ ი)... იცვლებოდა, მაგალითად, ქართლი: ქართლოსის, მცხეთოსის, უფლოსის, ფრიადი ქვეყანა, მაგრამ ამავე დროს საკუთრივ ქართლი უცვლელი რჩებოდა... ამასვე ვიტყვით ეგრისის შესახებაც, აფხაზეთის შესახებაც... თუმცა პოლიტიკური ცვლილებანი და ეთნიკური ცვლილებანი ზოგჯერ ისეთი არსებითი იყო, რომ „ქვეყანაც“ ბოლოს და ბოლოს იცვლიდა თავის საზღვრებს, მაგალითად, „კახეთი“ — ამ ქვეყანამ ხომ სულ მოიცვალა ადგილი...

ასე რომ ქუეყანანი თრიალეთისანი ბაღვაშების დროს შესაძლებელია რამოდენადმე ეთნოგრაფიულ ერთეულს წარმოადგენდა, მაგრამ ა ხ ლ ა ე ს მ ო მ ე ნ ტ ი ა რ ი ყ ო გ ა ნ მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი, თრიალეთი ამ ქვეყანას ტრადიციით ერქვა, ხოლო მისი

ერთეულობა ცვალებადი შესაძლებელია ყოფილიყო (საზღვრები, თორსაც სწვდებოდა, საკუთრივ ქართლსაც და შეიძლება ეროვნული ქართლსაც) საკუთრივ თრიალეთის ქვეყანა მაინც გამოირჩეოდა.

ლიპარიტ ბაღვაშის დიდი საქმე ის იყო, რომ მან ორგანიზება უყო ამ ახალ ქვეყანას: ფეოდალური ხანის თრიალეთს; შეიპყრა ისინი (ქვეყანანი თრიალეთისანი) და ერთ საგამგეო ერთეულად აქცია: ააგო ციხე კლდეკართა, რომელიც ამიერიდან ამ საგამგეო ერთეულის ცენტრი იყო... (მ—2,7. ფურც. 16—20).

29. ქ^ცა I, მატიანე ქართლისა, 276—277

ბაგრატისა და რატ ბაღვაშის ურთიერთობა სამაგალითოა. რატ ბაღვაში ბაგრატის წინააღმდეგ ომით არ გამოსულა. ამიტომაც ის შერჩა თავის სამთავრო ქვეყანას. ამასობაში ბაღვაშებს სამფლობელო მეტად გაეფართოებინათ, მათ ხელთ ეგდოთ ციხე ატენისა (აფხაზთა მეფეების სადგომი...) „და ქართლისაგან მტკუარსა სამხრით კერძო ყოველივე, თრიალეთი, მანგლისის-ჴევი, და სკვრეთი“...

ბაგრატს, როგორც ჩანს, შეუწყნარებია რატ ბაღვაში კლდეკართა ერისთავად. მაგრამ აგრე გაძლიერებული მთავარი ბუნებრივია, „არა მორჩილობდა კეთილად ბაგრატ მეფესა“. საქმე, უეჭველია, იმაში იყო, რომ „კეთილად მორჩილობა“ სულ სხვადასხვანაირად ესმოდათ ბაგრატ მეფეს და რატ ბაღვაშს.. თრიალეთი და სხვა ბაღვაშს წყალობად არ მიუღია ბაგრატისაგან. მართალია, ბაღვაში თრიალეთის ქვეყნის მკვიდრი მთავარი არ ყოფილა, მაგრამ მას ეს ქვეყანა არავისგან წყალობად არ მიუღია. ბაღვაშთა წინაპარმა „ქუეყანანი თრიალეთისანი შეიპყრნა“ და პატრონიც თვითონ შეარჩია (აი ისევე, როგორც აფხაზთა მთავარმა ლეონ I). ასე რომ ის თავს მოხელე ერისთავად, დიდებულ-მოსაკარგავად კი არ გრძნობდა, არამედ ყმადნაფიცად და მხოლოდ ამ პირზე ეწოდა „მორჩილება“. ბაგრატი კი ყმადნაფიცებს, მთავრებს (ძველი მთავრის მსგავსს) არ ითმენდა და მხოლოდ „მოსწრაფედ მორჩილებს“, ერისთავ-მოსაკარგავეებს სცნობდა. ეს იყო ის ახალი, რაც ბაგრატს შემოჰქონდა.

ბაღვაში, მართალია, ერისთავი იყო, მაგრამ წარმოდგენაში (და საერთოდ იმ დროის დიდ აზნაურთა წარმოდგენაში) ერისთავი თუმცა მეფის მოხელე იყო, მაგრამ ყველა ერისთავი ერთნაირი მო-

ხელე არ უნდა ყოფილიყო: ერისთავი იყო ლეონ I-იც და ერისთავი იყო შულავერ-არტანზე შეწყალებული ადარნასე ბაგრატიონიც... ის თავისი ქვეყნით მოდიოდა, თავის სამკვიდრო ქვეყანას შემოსძღვნიდა, მეორე კი უსახლკარო, ბედის მაძიებელი ლტოლვილი იყო...

ბაღვაში თავის თავს იმ ყმადნაფიცთა კატეგორიას მიაკუთვნებდა...

ბაგრატი კი ამ კატეგორიებს არ არჩევდა, მხოლოდ „მოსწრაფედ მორჩილთა“ ინსტიტუტს აღიარებდა. როგორც საფიქრებელია, სხვადასხვა სახედ მორჩილება იმ დროს არსებულა და ბრძოლაც ამის გარშემო მწვავე გაჩაღებულა. მთავრებს აღსასრული დაუდგათ... ბაღვაში ბევრს ეცადა, მაგრამ უშედეგოდ. დავით კურაპალატმა შვილობილს დაუდასტურა: „დაიმორჩილე ვითაცა სახედ გწადიან“.

და ბაგრატმაც დაიმორჩილა ქედფიცხელთა მთავარი. დაიმორჩილა ისე, რომ კლდეკართა ციხე ამიერიდან და თრიალეთის ქვეყანა მეფის ისეთივე შესავალი იყო, როგორც უფლისციხე, ან რაგინდარა საერისთავო მისი ციხით.

ბაგრატი კლდეკართა ციხეს შემოადგა. ბაღვაშმა საქმე წაგებულად ჩათვალა. გამოვიდა ციხიდან „და გამოიტანა შვილი მისი ლიპარიტ თანა, შეევედრა ბაგრატ აფხაზთა მეფესა, და მისცა ციხე თჳსი ბაგრატს, და თჳთ დაჯდა მამულსა თჳსსა არგუეთს.“

ამიერიდან ქუეყანანი თრიალეთისანი ჩვეულებრივი საერისთავო იყო და ლიპარიტ რატის ძე ბაღვაში ბაგრატ აფხაზთა მეფის მიერ იყო შეწყალებული თრიალეთის საერისთავოზე (მ—2,11. ფურც. 1—2).

30. ქ^ცა I, მატიანე ქართლისა, 305_7

ლიპარიტ ბაღვაში დამარცხდა. მეფე ბაგრატმა „ჴელთა აღიხუნა ლიპარიტეთგან ციხენი არტანუჯი და ყუელი, უფლისციხე და ბირთვისი“, და ბოლოს კლდეკარიც...

ისე გამოდის, რომ ლიპარიტს ამ საერისთავო ციხეებში ერისთავები არ ჰყოლია, არამედ ციხისთავნი თავისი „ციხოვანებით“ (მ—2,7. ფურც. 44).

31. ქ^ცა I, მატიანე, 305_{20}

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაგრატმა ლიპარიტი დაამარცხა. ლიპარიტი საბერძნეთში დასახლდა. ბერად შედგა. მისი შვილები ნიანია და ივანეც გაიქცნენ.

ბაგრატმა ივანე „გამოიზიდნა და გამოიყვანა ამას სამეფოსა, და უბოძა მამული არგუეთისა და ქართლისა“...

ივანეს მამული ქართლში სად იყო? უნდა ვიფიქროთ, — თრიალეთი; გამოდის, რომ ჩვენი ავტორი კუთხური გაგებითაც თრიალეთს ქართლში გულისხმობს.

თუ ეს გაგება სწორია, მაშინ გვ. 276-იც შეიძლება ასევე გავიგოთ: „იყო მას ჟამსა ერისთავად კლდე-კართა რატი, და ჰქონდა ციხე ატენისა და ქართლისაგან მტკუარსა სამხრით კერძო ყოველივე, თრიალეთი, მანგლის-ჯევი და სკკრეთი“. გამომცემელს ყოველივეს შემდეგ ორწერტილი უნდა დაესვა. ყოველივე რომ თრიალეთს ეხებოდეს მხოლოდ, მაშინ იქნებოდა ყოველი, ასევე საფიქრებელია, ყოველივე კი არა, არამედ „ყოველი“ იქნებოდა, ეს სიტყვა რომ იმ „მტკვარსა სამხრით კერძოს“ მიემართებოდეს, საიდანაც თრიალეთი, მანგლის-ჯევი და სკკრეთი გამორიცხულად იგულისხმება.

ასე რომ ჩვენი ავტორი ქართლში გულისხმობს თრიალეთს, მანგლის-ჯევს, სკკრეთს... მაგრამ ხომ შეიძლება ეს „ვე“ ატენით იყოს გამოწვეული?...

შდრ. ლეონტი 24!! („შიდა ქართლი“)... (მ—2, 7. ფურც. 107).

32. ქ^ცა I, ც-ბა დავითისი, 324_{14}

„ჰქონდეს თრიალეთი და კლდე-კარნი და მიმდგომი მისი ქუეყანა ლიპარიტს“...

„გარნა ორგულება და სიძულილი პატრონთა გვარისაგან მოაქუნდა გონებითა“ (325_{6}).

დავითმა ორგული ყმა დააპატიმრა ფიცით შემოიმტკიცა და განუტევა, „მითვე დიდებითა ადიდა და არა შეუცვალა“. ლიპარიტი არ გასწორდა. დავითმა ის კვლავ დააპატიმრა და საბერძნეთს გაგზავნა...

კლდეკარნი და მიმდგომი მისი ქუეყანა (მ—2,7. ფურც. 73).

33. ქ"ცა I, ც-ბა დავითისი, 326_{12}

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალვაშები გადაშენდნენ. „აღიკსნა უსჯულოება მამათა მათთა წინაშე უფლისა, და მამული მათი აღიღო მეფემან“...

კაცხის ქვეყანა დავითმა გელათს შესწირა, ხოლო თრიალეთი კლდეკარით სამეფოდ დაიჭირა.

ამრიგად ორი საერისთავო ქვეყანა — მუხრან-ხერკი და თრიალეთი სამეფონი გახდნენ, უკეთ ერისთავები ამის შემდეგაც ისხდნენ ამ ქვეყნებში, მაგრამ არა მთავრობის პრეტენზიებით, არამედ მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებისა.

ერთი სიტყვით კურსი გარკვევით აღებულია **სახელმწიფოს** უფრო მაღალი ტიპის გაერთიანებაზე.

მოხაზე სურათი: მუხრან-ხერკი, **თბილისის საამირო, თრიალეთი,** ჯავახეთი....

(ეს იქნება სეფე ქვეყანა) (მ—2,7. ფურც. 75).

34. ქ"ცა I, ც-ბა დავითისი, 326_{9}

1110 წ.

„მოკუდა რატი, ძე ლიპარიტისი, კაცი ორგული... დასრულდა სახლი ბალვივაშთა.. არღარავინ დაშთა საყოფელთა მათთა მკვდრი... და მამული მათი აღიღო მეფემან“...

გამოდის თითქოს, რომ, თუ ამ ორგულს „მკვდრი“ დარჩებოდა, მას მამულს ვერ წაართმევდნენ... ეს ნორმა შეეხებოდა არა ყველა „მამულს“, არამედ მხოლოდ გარკვეული ხასიათისას. მაგალითად ბალვივაშთა იმ მამულს, რომელსაც მათ უკიდურეს ორგულობისასაც კი არ ართმევდნენ (კაცხის მამული). რაც შეეხება კლდეკარის (და შემდეგ სამშვილდის) მამულს, ეს სულ სხვა მამული ჩანს: აქ ბალვივაშნი მოხელეები არიან (ერისთავები). მართალია, ესეც იწოდება მათ „მამულად“, მაგრამ ეს არის მათი „საერისთავო მამული“, რომელიც მათ ერისთავობასთან ერთად დაეკარგებათ ხოლმე, მაშინ როცა კაცხის მამული, სადაც მათი საძვალეა, მათ მოხელეობისაგან დამოკიდებელი ქონება არაა. ასე რომ არსებობდა ორგვარი მამული, არსებობდა ამათი გაიგივების ტენდენციები... ტენდენციები, საფიქრებელია, ერთიმეორის სრულიად საწინააღმდეგო... თანდათან იმარჯვებს ის ტენდენცია,

სახელო ქონებას რომ სამამულოდ აქცევს. მაგრამ ეს თანდათან და შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობს. ცენტრალური ხელისუფლება (ისე როგორც ფეოდალებიც), ყოველგვარ საშუალებას იყენებენ ამის საწინააღმდეგოდ საშინაოს თუ საგარეოს: მონგოლები, სპარსელები...

აქ ჩვენ შემთხვევაში ლაპარაკია იმ მამულის მეფის მიერ დაჭერაზე, ე.ი. ბ ე ი თ ა ლ მ ა ლ ზ ე (ცაცხის მამულზე)... საინტერესოა. იყო თუ არა ამ დროს ჯერ კიდევ ცნება ს ა ხ ა ს ო?.. (უნდა ყოფილიყო) „ს ე ფ ე“... (წიგნი 4, ფურც. 16).

35. ნინოს ცხორებაში უეჭველად დამოწმებულია გზა ჯავახეთიდან ქართლში მ ტ კ ვ რ ი ს დ ი ნ ე ბ ი თ: „გზა ძნელი“ და „ფიცხელი“, საკითხავია, რატომ არ ასწავლეს ნინოს მცხეთელმა მწყემსებმა ის მეორე და მოკლე გზა: მ ც ხ ე თ ა-თ რ ი ა ლ ე თ-ჯ ა ვ ა ხ ე თ ი, თუ ეს გზა კი არსებობდა? მართალია, ნათქვამია, რომ ნინო შეაშინა თოვლიანმა მთებმაო, მაგრამ ამას აღარ ეგუება მცხეთელ მწყემსების ყოფნა ჯავახეთში ამ დროს, თუ არ დავუშვებდით, რომ ეს მწყემსები იმავე გზით იყვნენ მოსულნი, როგორც მათ ნინოს ასწავლეს. ეს ამბავი ნაგულისხმევია გაზაფხულზე თუ უფრო გვიან? გაზაფხულზე მცხეთელ მეცხვარეებს ჯავახეთში რა უნდოდათ? ან შეიძლება უკვე ზაფხულის პირი იგულისხმება?. საფიქრებელი ხდება ამრიგად, რომ თრიალეთ-მცხეთის გზა არ იყო, ან ჩვენი მსჯელობის წინამძღვრები არაა რეალურ ისტორიული... საქმე ისაა, რომ ეს გზა — თრიალეთ-მცხეთა —გვიან ხანაში, ე. ი. X საუკუნიდან და შემდეგ ყოვლად უეჭველია და თვით ნინოს ცხორებითაც თითქო, იგულისხმება: ნინოსა და მირიანის მიერ მოწვეულ ბერძენ მისიონერთაგან სიწმიდეთა დატოვება ერუშეთსა და მანგლისში უეჭველად გულისხმობს გ ზ ი ს მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ს დასავლეთიდან მხცეთისაკენ...

ამავე გზას გულისხმობს დავით კურაპალატის ამოძრავება კახეთის დასასჯელად: ტაოდან გამოვიდა და თ რ ი ა ლ ე თ ს მოვიდა და აქედან აპირებდა კახეთში შესვლას. აშკარაა: დავითმა შიდა ქართლს გვერდი აუქცია და პ ი რ დ ა პ ი რ ი გ ზ ი თ წამოვიდა ტაოდან მცხეთაზე, თრიალეთის გამოვლით. კიდევ უფრო მეტი ნიშანდობლივობით ეს მაგისტრალი ნაგულისხმევია ბაგრატ III-ის ლაშქრობაში ჯავახეთ-თრიალეთიდან კახეთს...

ასე რომ ეს მაგისტრალური გზა არსებობდა X საუკუნეში, არსებობდა ის ამის შემდეგ მუდამ (სხვადასხვა მნიშვნელობით, ტესად კი როგორც ცხვრის გზა...)—ბაგრატ IV დიდგორს ხულო მეფეთა, ომი დიდგორს (ვახუშტი 49). მაგრამ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს გზა არსებობდა გაცილებით უფრო ადრე ხანებშიც (ზემორე რომ ტრადიცია უჩვენეთ ნაგულისხმევი გზით)...

ვიდრე ქართლი ისტორიულ-გეოგრაფიულად შესწავლილი არაა (ის მხოლოდ ახლა იწყება) ამ გზის დადგენა, მისი ქრონოლოგია, მისი ხასიათი და მნიშვნელობა ისევე, როგორც მისი წარმოშობა ან დაყრუება (გაიხსენე ჩემი დღიური 1933 წლისა — კლდეკარის შესახებ..) ნაადრევი სავარაუდო საუბარია.. (ქართლის მთის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის ერთ-ერთი ამოცანა ესეც იქნება). თვით კ ლ დ ე კ ა რ ი როგორც ნაგებობა და დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ციხე, თ რ ი ა ლ ე თ ი ს ს ა ე რ ი ს თ ა ვ ო ს ც ე ნ ტ რ ი ამ დიდ გზასთან დაკავშირებული მოვლენებია. გასაგები ხდება ამ გზის ეკონომიური მნიშვნელობა. და ეს კლდეკარნი რა საჭირო იყო, თუ აქ განსაკუთრებული დიდი მნიშვნელობის გზა სწორედ იმ მიმართულებით არ გადიოდა, რომლის შესახებაც ვსაუბრობთ: ჯ ა ვ ა ხ ე თ—თ რ ი ა ლ ე თ—მ ა ნ გ ლ ი ს (ალგეთი) — მცხეთა..

და ეს კლდეკარნი IX საუკუნეში ლიპარიტს (ქ"ცა 258) კი არ გაუტანია, არამედ მან დაიპყრა ეს დიდმნიშვნელოვანი ქვეყანანი თრიალეთისანი და ააგო ციხე მის შ ე ს ა ვ ა ლ ში, სწორედ იქ, სადაც გადიოდა გვერდაუქცეველი დიდი მნიშვნელობის (სამხედრო-სტრატეგიულისა და ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ს) მაგისტრალი, მცხეთა-თრიალეთ-ჯავახეთის გზა თავისი შტოებით (სამაჭალოზე, კავთის ხევზე, ნიჩბისის წყალზე). კ ლ დ ე კ ა რ ნ ი ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ე ტ ყ ვ ე ლ ი ს ა ნ დ ო მ ო წ მ ო ბ ა ა ამ მ ა გ ი ს ტ რ ა ლ უ რ ი გ ზ ი ს ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ა და ეს ნაგებობა (კლდეკარნი) შექმნილია აქ არა ლიპარიტ ბაღვაშის მიერ ა რ ა მ ე დ, ს ა ფ ი ქ რ ე ბ ე ლ ი ა გ ა ც ი ლ ე ბ ი თ ა დ რ ე. ლიპარიტის „დამსახურება" ისაა, რომ მან სწორად შეაფასა ამ გასასვლელის მნიშვნელობა... როდის იქნა გატანილი ეს გზა, როდის აიგო (გაიჭრა) კლდე-კარნი, — ყველა ეს საძიებელია (კლდეკართა ტექნოლოგიური შესწავლა — საჭიროა გეოლოგი, არქიტექტორი — ამაში დიდად დაგვეხმარებოდა). ქართლის, ალგეთის, თრიალეთის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა მოგვცემდა ამის მეცნიერულ პასუხს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თქმა უნდა, გათვალისწინებული უნდა იყოს გზის **წარმოქმნილი მნის** არა მარტო თეორიული მოსაზრებანი, გზის გატანის **ეთნოლინგვისტური** ული პროცესი (დაბებს შორის, ტომებს შორის, ქვეყნებს შორის..) არამედ კონკრეტულ ისტორიული ვითარებანი... და სხვ. (6,4. ფურც. 74—76).

[შიდა ქართლი]

1. ს. ჯანაშიამ მახვილი თვალით მიაკვლია, რომ აწინდელს, თუ საშუალ საუკუნეების შინა თუ შიდა ქართლს უძველეს დროს უნდა რქმეოდა „ზ ე ნ ა ს ო ფ ე ლ ი“. მართალია თუ არა მისი სხვა დასკვნაც იმის შესახებ, რომ ზენა სოფელი აწინდელ ქვემო ქართლსაც უნდა რქმეოდა (ვფიქრობ, რომ ეს სადაოა), სულ ერთია ასეთი სახელი, ამ გამოთქმით „ზენა სოფელი“ — უნდა შეერქმია ქ ა რ თ უ ლ ი მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ი ს ხ ა ლ ხ ს (თუ ს. ჯანაშიას მოსაზრება სწორია, რომ სომხურ წყაროში — გეოგრაფიაში — დაცული სახელწოდება *վերայ աշխարհի* იგივე „ზენა სოფელია“, შეიძლება დაისვას საკითხი: რომელი რომლის თარგმანია ქართული სომხურისა, თუ სომხური ქართულის? სომხურის სასარგებლოდ გადაწყვეტას ხელს ის უშლის, რომ ძველ სომხურში ამ ქვეყანას — ქართლს — ჩ რ დ ი ლ ო მ ხ ა რ ე ეწოდებოდა და არა ზ ე მ ო მ ხ ა რ ე. მაგრამ ეს არაა გადაულახავი წინააღმდეგობა: შეიძლება „ზენაც“ სწოდებოდა...).

მაგრამ თუ სომხურ ცნობას სხვარიგად მოვუვლით (რომ ის სახელი ქართულის თარგმანია, რომ ის შეიძლება შეცდომის შედეგიც იყოს, ე. ი. ქვემო ქართლის ზენა ქვეყანად გამოცხადება), და დავადასტურებდით იმას რომ „ზ ე ნ ა ს ო ფ ე ლ ი“ მხოლოდ შიდა ქართლს ეწოდება — მცხეთის ზემოთს (მცხეთის გამოკლებით, ე. ი. რეხულას დასავლეთით კასპ-უფლისციხით. ასეთი რაღაც სადღაც მეც შევნიშნე, რომ მცხეთის სამეფოში იმთავიდან არ შედიოდა ქვეყანა, რომელიც კასპსა და უფლისციხეს მოიცავდა, ე. ი. მცხეთის სამეფოს საზღვარი ამ მხარეზე რეხულა იყო), რასაც გარკვევით უჩვენებს ზოგი ქართული წყარო და რასაც მოწმობს უფრო გვიანი გაგებაც, მაშინ შეიძლებოდა მეტად საინტერესო დასკვნაც მიგვეღო (არ მიგვაჩნია დამაჯერებლად იმის უარყოფა, რომ ასეთი შერქმევა მცხეთიდან მომხდარიყო, როგორც ს. ჯანაშია ფიქრობს): კარგად ჩანს მაშინ „ზ ე ნ ა ს ო ფ ე ლ ი“ და „ქ ვ ე ნ ა ს ო ფ ე ლ ი“.

შერქმევა ამ სახელისა — ზენა-ქვენასი — „ნეიტრალური“ საშუალო პუნქტიდან არის სავარაუდებელი. და იქ, ამ ჰუნ ქტში ამ დროს იყო ქართული მეტყველება. ხოლო თუ სწორია სომხური წყარო, რომ ზენა სოფელი აწინდელ ქვემო ქართლსაც ერქმევა, მაშინ ისიც სავარაუდებელია, რომ ეს განსაზღვრა „ზენა სოფელი“ სომხურია, ე. ი. სახელი თარგმანია (6,4. ფურც 42).

2. თითქო ნათელია ის გარემოება, რომ ლეონტით (და სხვა ქართული წყაროებით) „ზენა სოფელი“ სრულიად გარკვეული მინა-წყალი იგულისხმება (უფლოსის შიდა ქართლი). ლეონტით „ზენა სოფელი“ არ შეიძლება გაჩიოს-გარდაბოსის ნაწილს მოიცავდეს, ასე რომ ქართული წყაროების ჩვენება აუთენტურია და კატეგორიული.

ხოლო უსახელო გეოგრაფიის ცნობა (თუ ის მართებულად არის გამოცემული) „ზემო ქვეყნის“ შესახებ გაუგებრობის შემცველია: სომეხი მწერლისათვის მთელი ქართლი „ზენა სოფელია“... მაინცდამაინც ქართული წყაროების ჩვენებათა წინაშე უსახელო გეოგრაფიის ჩვენებისათვის უპირატესობის მიცემა დაუსაბუთებელია. ქართული ჩვენებანი ურთიერთისაგან დამოუკიდებელია, მრავალია და სხვადასხვა დროისაა, შეეჭვებისათვის აქ საფუძველი არაა. სომხური ცნობა ერთადერთია, შორიელის მოწმობაა და წყაროს შემონახულობის თვალსაზრისით (დაცულობა, რედაქცია) არ არის უეჭველი.

ასე რომ დასკვნების გამოტანამდე ყველა ამ წყაროს შეჯერება-შეფასება იყო საჭირო.

„ზენა სოფლის“ აღმოსავლეთი საზღვრის მერყეობა, ქართული წყაროები რომ ამყღავნებენ, დამახასიათებელია. ეს ასეც უნდა ყოფილიყო... ლეონტის არ შეეძლო ეს საზღვრები არ „გაეზიდა“, რადგან მისი თეორიით ზენა სოფელი მცხეთოს-უფლოსის ხვედრში იყო, ხოლო ეს ხვედრი ხან თბილისზე გადიოდა, ხან ვერეზე, ხან „მცხეთაზე“... საერთოდ, ხომ ცნობილია, თუ როგორ მერყეობს ქართლის (მცხეთოს-უფლოსის), კახეთ-კუხეთის და გაჩიან-ხუნანის საზღვრები... (მატიანე)...

ს. ჯანაშია, II, 300.

ზემო, შიდა და ქვედა ქართლი..

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლისა და ქვეყნის ურთიერთობა... „ზენა სოფელი“ მოწმობაა სწორედ, რომ ამ „სოფელს“ ეს სახელი „ქართლისან“ შეერქვა, როცა ამავე დროს მეორე ნაწილს ქვენა სოფელი უნდა შერქმეოდა, ანუ ორივე იყო ქართლი ზენა და ქვენა და არც ერთი სხვა.

უფლოსის ქართლში (ზენა სოფელში), ჩანს არ შეიძლება გაჩიოს-გარდაბოსის წილი ქართლი ვიგულისხმოთ, როგორც ეს სიმონ ჯანაშიას გამოუდის სომხური გეოგრაფიის მონაცემთა მისებური გაგებისას... (წიგნი 116. ფურც. 2—3).

3. ქ ცა I, 45_2

თუ სიმონ ყაუხჩიშვილის აღდგენა „შიდა ქართლისა“ სწორია (შიდა ქალაქის მაგივრად) და ეს გვიან გადანაწერთა შეცდომა არაა (რაც უფრო საფიქრებელია) და „შ ი დ ა ქ ა ლ ა ქ ი“ იგივეა, რაც შიდა ქართლი, (ეპირისპირება „არმაზი“) იხ. საძიებელი 428, მაშინ ჩვენ გვექნებოდა მეტად საგულისხმო დადასტურება იმისა, რომ „ქ ა რ თ ლ ს“ და „ქ ა ლ ა ქ ს“ მცხეთის მიმართ ერთიმეორეში ურევენ.

ყველა მაგალითს ნახვა უნდა და აღნიშვნა...

მეორე მხრით საყურადღებოა, რომ XI საუკუნეში (ლეონტის დროს) „შიდა ქართლი“ სრულიად გარკვეული ტერიტორიაა და დაპირისპირებულია „გარე ქართლთან“ (ნაგულისხმევთან), მაგრამ არა ქართლოსიანთ სამყარო ქართლის შიდა ნაწილის გაგებით. ლეონტის „შიდა ქართლი“, ქართლოსიანთა ქართლის შიდა რაიმე გეოგრაფიული უპირატესობით არც არის წარმოსადგენი; ასევე ქვემო ქართლიც...

ამიტომ საფიქრებელია ტერმინი შიდა ქართლი გვიანი წარმოშობის არაა, როგორც ამას ლეონტი ვარაუდობს, არამედ ძველია და წარმოშობილია ეთნიკური ქართლის არსებობის უძველეს დროს, როცა ქართლში ჯერ კიდევ არ შემოდიოდა არც კახეთ-კუხეთი, არც სამცხე-ჯავახეთი... (6, 4. ფურც. 57).

4. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან I (ჩემი), 183. 1720 წ ლ ი ს ა ხ ლ ო.

სვეტიცხოველისა და კათალიკოზის ყმების ნუსხა ვახტანგ VI ოქმით. ჩამოთვლილია ქვეყნობით: თ რ ი ა ლ ე თ ზ ე დ, ს ა ბ ა რ ა-

თაშვილოში, სომხითს, (მუხრანში, ზემო ქართლს, საციციანოს), აქედან საბარათაშვილოში დასახელებულია სოფლები: არმაზი, მუხათგვერდი, კარსანი, თელოვანი, მაჩხაანი, დიღომი, ველკეთილი, ყორანთა, დისველი, კრწანისი.

აქ ორი მოვლენაა საყურადღებო: როგორ და რა ნიადაგზეა, რომ ეს სოფლები (არმაზი, მუხათგვერდი, კარსანი, თელოვანი, დიღომი, კრწანისი ეს რომელი კრწანისია?), საბარათაშვილოში არიან? გამოდის, რომ „ქართლი" (არმაზი) საბარათაშვილოში იყო. საბარათაშვილო გვიანი სახელია. მას, უნდა ვიფიქროთ, წინ უძღოდა რაღაც სახელი (ქართლი? ქვემო ქართლი?). ვახუშტით ეს სოფლები ერთ დროს მუხრანში შედიოდნენ.

შიდა ქართლი უცილობლად მოწმობს, რომ იყო „ქართლი" (ან გარე ქართლი). ეს კი შეიძლებოდა მხოლოდ ის ქვეყანა ყოფილიყო, რომელსაც გვიან „ქვემო ქართლი" (სომხითი) ეწოდა. არმაზი ხომ იგივე ქართლი არაა?... (6. 4. ფურც. 20).

5. ის გარემოება, რომ ქართლის უძველესი ქალაქები ქვეყნის ბარშია ნაგულისხმევი, ფრიად საყურადღებოა. ეს იმის მოწმობაა, რომ მთიანეთი არ ქმნიდა პირობებს ქალაქების წარმოშობისათვის, ე. ი. რომ აქ საზოგადოებრივი განვითარება იმ სიმაღლეს არ მიღწეულიყო, რომ ქალაქის წარმოშობა-განვითარება შესაძლებელი ყოფილიყო, რომ, მაშასადამე, ქართლის ქალაქები ეს გალავნები კი არ იყო პირველყოფილი თემისა (აი მოსინიკებს რომ ჰქონდათ), არამედ საზოგადოებრივი მეურნეობის გარკვეული სახეობა, განსხვავებული დაბის ან ხევის მეურნეობისაგან, და წარმოშობილი ამ დაბის და ხევის მეურნეობათა განვითარების საფუძველზე.

აქ, მთიანეთ-ზეგნებში ასეთი პუნქტები ვერ წარმოიქმნა და ამას შეუძლებელს ყოფდა მთიანეთის სოციალური სიმტკიცე. ეს არის მთავარი, თორემ ურთიერთმორის ნაწარმოების გაცვლა უძველესი დროიდანვე არსებობდა და მთა-ზეგანებსაც სჭირდებოდა ის. ამისთვის გარკვეული პუნქტები არსებობდა, უეჭველია, მაგრამ აქედან ქალაქამდე შორსაა. ქალაქი მეურნეობის ახალი ტიპია, სოციალ-პოლიტიკურადაც ის ახალი მოვლენაა და კლასობრივ ურთიერთობას გულისხმობს. და რამდენადაც საამისო პირობები მთიანეთ-ზეგანებში ჯერ არ მომწიფებულიყო, აქ არც ქალაქები ჩნდებოდა, ხოლო რაკი ბარში ამოდენა ქალაქები გაჩნდა, ეს იმის მოწმობაა, რომ აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი განვითარება შორს წასულა მთიანეთთან შედარებით.

აქ მოსატანია ის ქალაქები, რომელნიც მთისა და ბარის ზღვრად ჩნდებოდნენ. რამდენადაც ისინი ნამდვილად ქალაქები იყვნენ, ისინი ბარის წარმონაშობნი არიან. ხოლო რამდენადაც ისინი საგაცვლა-გამოცვლო პუნქტები არიან, ისინი გვაროვნული თემის მომსახურებას ასრულებენ და მთიელებისათვის საჭირო არიან. (ისევე როგორც კოლონიები, შავი ზღვის სანაპიროზე რომ იყო მიმოფანტული. თავდაპირველად ისინი თუ ქალაქები იყვნენ, ეს იყო ბერძნული ურთიერთობის მაჩვენებელი, და შემდეგ თანდათან მათ ცხოვრებაში შემოქმედებით მონაწილეობას იღებენ მოსაზღვრე ქართული ტომები, რამდენადაც თვით ეზიარებიან კლასობრივ ურთიერთობას. ასევე იყო ყველა ამ ლაილაშ, ონ, ცხინვალ, ახალგორ, თიანეთში...).

„ქალაქნი და დაბნები მათი“ — ეს გამოთქმა შესანიშნავია არა მარტო იმით, რომ ძველი ქალაქი (ქართლში) სოფლის მეურნეობასაც მისდევდა, არამედ იმით (უმთავრესად), რომ ეს დაბნები ამ ქალაქებს ემორჩილებოდნენ, ამ ქალაქებისაგან იყვნენ დამოკიდებული. იხატება სურათი: ქართლი (საგზისპირი) დაყოფილია ქალაქებად (ხუნანი, გაჩიანი, სამშვილდე, რუსთავი, ჟალეთი, მცხეთა, სარკინე, კასპი, ურბნისი, წუნდა, ოძრჯე), რომელთაგან დამოკიდებულია „მათი“ დაბნები. ეს დაბნები (ისევე როგორც ციხეები) ამ ქალაქების კუთვნილებაა და ამ დაბნების მცხოვრებნი ამ ქალაქების უფალთ ემსახურებიან (შეიძლება ყველასი სამსახური ერთნაირი არ იყო...). მაინცდამაინც ქალაქის უპირატესობა, მისი წამყვანი როლი უეჭველად მოჩანს. ეს კი მონათმფლობელურ ურთიერთობას გულისხმობს... ეს სურათი, უნდა ვიფიქროთ, შეეხება ქართლის ბარს და არა ქართლის მთიანეთს და მის ზეგნებს, სადაც გვაროვნული წყობილება ჯერ კიდევ მაგრობს, თუმცა დიდი ხანია ისიც რღვევის გზაზეა, მაგრამ მონათმფლობელობა აქ ვერ განვითარებულა (ის მხოლოდ ჩანასახშია) და არც ქალაქები წარმოშობილა (3, 19 (ბ). ფურც. 67—68).

6. ქრონ. I, 17

„და მეფობდა არსუკ რ^ნ კასპი შეიპყრა და ოლისციხე განაგო“. შეიძლება მართლაც იმ ძველი ამბის ანა-

რეკლი იყოს, როცა მცხეთელ მეფეს კასპი და უფლისციხე არ ეპყრა. (ესენი ხომ ჯერ ისევ ქალაქები იყვნენ, როცა მცხეთა-არ-იყო). მართლაცდა მცხეთა, როგორც რაღაც ერთეული, შეიძლება წარმოვიდგინოთ ერთ სამფლობელო ქვეყნად საზღვრებში: (სამი გორა: ქართლი, მცხეთა, წიწამური) მტკვრის ორივე ნაპირი, დევის ნამუხლიდან, არაგვის ორივე ნაპირები ხერკ-ზანავით (აწინდელი საგურამო — თეძმის ჯევი) მისაქციელამდე, ბოდავის მთები, ქსოვრისი — ქსანი — ნასტაგისი — ძეგვი (აკი ვახტანგმა საკანონოდ დაუდო მცხეთის ეკლესიას) — ციხედიდი და სხვა. არ ვიცით აქ მტკვრის მარჯვნით, რა შორს მიდიოდა მცხეთის სახელმწიფო ქვეყანა...

ესაა „დიდი მცხეთა“ მისი უბნებით. გარეუბნებით, აგარაკებით, ძეგვი უნდა ვიფიქროთ მცხეთის უძველესი საბაჟო იყო (!!) (6, 4. ფურც. 25).

7. ვახუშტი, აღწერა, 60

„ხოლო მუხრანმან მოიგო სახელი ესე მუხათაგან, სადაცა არს ადგილთა ამათ შინა ტყე უმეტეს მუხანი. გარნა საზღვარი მუხრანისა არს ძეგვის-წყლიდამ დიღმის იწრომდე. არამედ აწ აღმოსავლით მზღვრის არაგვი, სამჯრით მტკვარი, ჩრდილოთ ციხე ბოდავისა და ტინის მთა, დასავლით გორა ოკამისა, სამჯრითკენ გარდაჭრილი ხაზი შავ-ტყესა და წლევისა კასპის ბოლომდე“.

კასპი არ შედის ამ სასპასპეტოში. დამახასიათებელია: კასპი მცხეთის ქვეყანაში არც ძველად იგულისხმებოდა.

ვახუშტიმ ალბათ ლეონტი-ჯუანშერის ინტერპრეტაციით იცის, რომ იმ ძველ ქვეყანაში, რომელიც სამცხეთო-სამუხრანოში შედიოდა, მტკვრის მარჯვენა ტერიტორიაც შედიოდა. „ძეგვის წყლიდამ დიღმის იწრომდე“. ეს ხომ ძველი ქართლი იყო, ქალაქი ქართლი, მცხეთის წინამოადგილე... გვიან, როგორც ჩანს, ვითარება შეცვლილა და ქართლი ქალაქი, ე. ი. ძველი მცხეთის ეს ნაწილი მეოთხე სასპასპეტოზე მიუწერიათ... (წიგნი 8, ფურც. 63).

8. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მოწმობა იმის შესახებ, რომ „მტკუარსა, მიხუევით, ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი: სარკინე ქალა-

ქი, კახპი, ურბნისი და ოძრაჯე და ციხენი მათნი: ციხჱ დიდი სარკინისაჲ, უფლისციხჱ კასპისა, ურბნისისა და ოძრაჯისაჲ. პირდაპირი მოწმობაა იმისა, რომ თითოეულ ქალაქს ახლდა ციხე, ან უკეთ თითოეული ქალაქი ამა თუ იმ ციხის „შემავალი“ იყო. ჩვენ წყაროს კარგად დაუცავს ადრე დიდი ხნიდან შემუშავებული გაგება, რომ ყოველი ქალაქი ამა თუ იმ ციხის შემავალია; იმისდა მიხედვით, თუ რა მნიშვნელობისა იყო ესა თუ ის ქალაქი, მას შეიძლებოდა ჰქონოდა ციხე (ან რამდენიმე ქალაქს ერთი ციხე ჰქონოდა). ამავე დროს ამა თუ იმ ქალაქს შეიძლება უფლისციხჱ ჰქონოდა, ე. ი. ამა თუ იმ ქალაქის უფალი ამ ციხეში ყოფილიყო, მაშინ როცა სხვა ქალაქის ციხე უფლისა არ ყოფილიყო პირდაპირ, არამედ ამ უფლის მოხელისა, მაგალითად, სარკინის ციხე დიდი უფლისა არ ყოფილა იმიტომ, რომ ამ ქალაქის უფალი მცხეთაში თუ არმაზში იმყოფებოდა; რაც შეეხება სხვა ქალაქებს კასპს, ურბნისს, ოძრჯეს, ამათ უფალი იქვე ჰყავდათ და ეს უფლები ამ ქალაქის ციხეებში ისხდნენ; ვგულისხმობ, რომ აქ ერთი ციხედიდი და სამი უფლისციხე არის ნაგულისხმევი.

ასე რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ აქაც ძველისძველ ტრადიციას მოსახლეობის სახეობის შესახებ ნიშანდობლივად გადმოგვცემს.

თუ ეს ასეა, აწინდელი უფლისციხე კიდევ უფრო გვიან არის ქცეული (ან აგებული) უფლის ციხედ, ანუ ისეთ ციხედ, რომლის შემავალნი არიან რიგი ქალაქები. მაინცდამაინც ის უკვე ერთნაირად არის გამოყოფილი როგორც კასპისაგან, ისე ურბნისისაგან თუ გორისაგან და თანაბრად მათი უფლის ციხეა. ესეც კი მოწმობს, რომ ის ამათგან დამოუკიდებელი, ე. ი. ნამდვილი უფლის ციხეა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში მოხსენიებული უფლისციხე რომ აწინდელი უფლისციხე არ არის და რომ ტექსტი სწორედ ისე უნდა გავიგოთ, როგორც ჩვენ გვესმის, რომ აქ სამი უფლის ციხე იგულისხმება კასპის, ურბნისის, ოძრჯის და არა ერთი, ეს ჩანს გამოთქმიდან „ციხენი მათნი“: სარკინეს ციხედიდი ახლავს (ან პირუკუ), დარჩა „უფლის ციხე კასპისა, ურბნისისა და ოძრჯისა“; დაუჯერებელია, რა თქმა უნდა, რომ აწინდელი უფლისციხე აქ ნაგულისხმევი იყოს ოძრჯის ციხედ ისევე, როგორც კასპის ან ურბნისის ციხედ, ან თუ დავუშვებდით, რომ ეს უფლისციხე ოძრჯისაც არის, მაშინ სულ სხვა ვითარება უნდა გვეგულისხმა სარკინე-ციხედიდსა ერთის მხრით და დანარჩენ სამ

ქალაქსა და ყველა მათ ციხეს (უფლისციხეს) შორის: ციხედიდი არის სარკინის ციხე, ხოლო უფლისციხე მისი სამი ქალაქისგან, რომელთა დაცვა („ციხენი მათნი" გულისხმობს, რომ ეს უფლისციხე ასეთივე ციხეა ოძრჯისათვის, როგორც ციხედიდი სარკინე ქალაქისათვის) მას აკისრია, ერთ მათგანს შორავს 30 კილომეტრით, მეორეს ასევე, ხოლო მესამეს 200 კილომეტრით. ცხადია, ეს ციხე არაა ოძრჯის ისეთივე ციხე, როგორც ციხედიდი სარკინისათვის. აწინდელი უფლისციხე აღნიშნულ სამ ქალაქთან თანაბარ დამოკიდებულებაში მაშინ შეიძლება გვეგულისხმა, თუ ის ხელმწიფის ციხეა, სამივეს რომ ფლობს თანაბრად, ე. ი. პოლიტიკური ცენტრია მტკვრის მარცხენა მხრისა. რომელშიაც შემდეგი დროის სამცხეც (ვაინცდამაინც მაწყვერელის საეპისკოპოსო) შედიოდა. ასეთი გაგებისას სრული შეუთანხმებლობა გვრჩება: სარკინე-ციხედიდი გამოყოფილი უნდა ვიგულისხმოთ პოლიტიკურად დანარჩენისაგან, რასაც წყარო სრულიად არ გულისხმობს... დარჩა ერთადერთი გამოსავალი, ტექსტი ასე უნდა წავიკითხოთ: ...„ციხენი მათნი: ციხჱ დიდი სარკინისაჲ, უფლისციხჱ კასპისა, უფლისციხჱ ურბნისისა და უფლისციხჱ ოძრჯისაჲ". ასეთი გაგებისას ჩვენ გვაქვს ერთი დრო, როცა გაჩენილა ქალაქები, რომელთა ციხეებში უფლები სხედან. ამ ქალაქების გარდა ეს ციხეები უფლობენ, უეჭველია, სხვა მიმდგომ ნაკლები მნიშვნელობის დასახლებულ პუნქტებზე. მაგრამ ჯერ არ არის საერთო უფლისციხე, არ არის პოლიტიკური გაერთიანება და ამას არც გულისხმობს ჩვენი წყარო.

მეორე დებულება, აქედან რომ გამოდის: აწინდელი უფლისციხე უფრო გვიანია, ვიდრე „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს უფლისციხენი, ეს უფრო მაღალი ეტაპია ციხის და შემდეგ უფლისციხის განვითარებისა. ის სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრია, ანამის ახლოს მდგომი (მ—2, 19ა. ფურც. 29—32).

9. 3.VIII. 1959. ამას წინ ხოვლეს ვიყავი. კასპი გავიარე, ვერ კი ვნახე. დღეს მე და ნინა წავედით. უნდა ვნახო ძველი კასპი. კასპის გორაც უნდა ვნახო.

რეხულა (თუ ლეხურა?) და მტკვარი, საფიქრებელია, აქ მეტად მოხერხებულ ცხვირს (სამკუთხედს) ქმნიდნენ ძველი ქალაქის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშლელად. ახლა მტკვარი მეტად დაშორებულია კასპს, მაგრამ ოდესმე ის დასავლეთიდან ჩამოუდიოდა მას. აღმოსავლეთიდან რეხულა დღესაც ჩამოუდის აწინდელ კასპს. სამკუთხედი, რომელიც ზედაც კასპი უნდა ყოფილიყო გაშენებული, საკმაოდ დიდ ფართობს წარმოადგენს. ის დღესაც დასახლებულია, ასე რომ ზედაპირული დაკვირვებით არქეოლოგს აქ ბევრი რისამე პოვნის იმედი არ უნდა ჰქონდეს. ისე კი თავის დროს აქ ტიპიური გორა უნდა ყოფილიყო (თუმცა არა ჩანს, რომ განკიდებული ყოფილიყოს). დღეს იმ ცარიელ მთას, რომლის გაგრძელებას კასპის სამკუთხედი წარმოადგენს, გოხები ეწოდება (კასპელი ღვინიაშვილის მოწმობით), თვით სამკუთხედს კი „კასპის გორა" (შდრ. ხოვლიგორა). სამკუთხედის დასავლეთით მინდორია, ოდესმე მტკვრის ნადინები, ნ ა ზ ვ რ ე ვ ი ეწოდება. იაკინთიანთ აქ ზვარი ჰქონიათ. იაკინთე მესხიშვილი იყო იქაური მემამულეო. ნაზვრევს იქით მინდორია პ ა ლ ა რ ი ეწოდება (პ ა რ ა ლ ი ხომ არა? ლათინურ-ბერძნული „მინდორი"?). სამკუთხედს დასავლეთი ფერდიდან მივუდექით და დაკვირვებით ვეძებდით რაიმე სიძველის ნიშნებს. ეს გორა (სამკუთხედი) მეტისმეტად არის გადათხრილი ჩვენი დროის მშენებლობით, ასე რომ ძველი თუ შუა საუკუნეები სულ ერთიმეორეშია არეული. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დიდი სიძველისა ჩვენ აქ არაფერი შეგვინიშნავს. კ ლ ა ს ი კ უ რ ი ხ ა ნ ი ს კ ე რ ა მ ი კ ა მ ო წ მ ო ბ ს, რ ო მ „ ა ნ ტ ი კ უ რ ხ ა ნ ა შ ი" აქ მართლაც დუღდა ცხოვრება... მაგრამ დასაჯერებელია განა, რომ ეს ქალაქი მხოლოდ კლასიკურ ხანაში აღმოცენდა და აქ ძველი ცხოვრება აქამდე არ იყო? მართალი ისაა, რომ ჩვენ სხვა რაიმე არ გვიპოვია უფრო ძველი... სამაგიეროდ საპატიო სიძველის მოწმობა ჩვენ რეხულას მარცხენა მხრიდან გვაქვს (ქ ე ჩ ა რ ო ხ ი, ქ ე ჩ ე რ ო ხ ი დ ა ნ). აქ რეხულას მარცხენა, მაღალი ნაპირი, რკინიგზას გაუჭრია. აქ ჩვენ ვიპოვეთ დამახასიათებელი კერამიკის ნამსხვრევები („სამთავროული" ტიპისა?) საკმაო სიძველის. ნინას აზრით შუაბრინჯაოს ხანისა... ისე გამოდის, რომ უძველესი მოსახლეობა რეხულას მარცხენა მხარეზე იყო და მხოლოდ გვიან დაიჭირა მან კასპის სამკუთხედი (ვიდრე კასპში არ დაგვიდასტურებია დიდი სიძველე ასეთი ვარაუდი ცოცხალი დარჩება).

კასპში ნეკროპოლის ადგილია ნაპოვნი, როგორც მახსოვს, ლიტერატურული ცნობებითაც. კასპი უძველესი ქალაქია. „მოქცევაჲ ქართლისაჲთ" კასპს ციხე უნდა ჰქონოდა, რომელსაც „უფ-

ლისციხე“ ერქვა... ამავე წყაროთი ქალაქი კასპი უფრო ძველია, ვიდრე ქალაქი მცხეთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხეთა ალექსანდრე მაკედონელის დროსაც იგულისხმება, ოღონდ არა ქალაქად: ალექსანდრე მაკედონელმა „მცხეთა საჯდომად“ მიუბოძა აზოს, რომელიც იყო „პირველი მეფე მცხეთას შინა“. იმის წინ, რომ დამჯდარიყო მცხეთას, რომელიც მას მაკედონელმა მიუბოძა, ეს „აზოჲ წარვიდა არიან ქართლად, მამის თჳსისა, და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი“ და მხოლოდ ამის შემდეგ დაჯდა „ძუელ მცხეთას“.

„მოქცევაჲ“-ში საქმე ასეა წარმოდგენილი, რომ მხოლოდ მეექვსე მეფემ „ქალაქსა ზღუდენი მოაქმნნა“, ე. ი. არსოკმა (93—81 ქრ. უწინ). თუმცა ეს „ქალაქი“ აქ შეიძლება არმაზი იგულისხმებოდეს. ამას მხარს უჭერს ის გარემოება, რომ შემდეგ აქვე მისდევს ცნობა იმის შესახებ, რომ ბრატმანის მეფობას ზე „მ ც ხ ე თ ა ს ქ ა ლ ა ქ ი დ ა ე წ ყ ო“ (66—33 წ.წ. ქრ. უწინ), რომ შემდგომმა მეფემ მირეანმა „აღაშენა მცხეთაჲ ქალაქი“, რომ მეფემან როკ (2 წ. ქრ. წინ — 55 წ. ქრ. შემდეგ) „რაჲთურთით მცხეთაჲ გაიშორა“. აქ ტრადიცია, როგორც ვხედავთ, ისე ნიშანდობლივ იძლევა ცნობებს მცხეთის დაწყებისა, შენებისა და დასრულების შესახებ ოთხი მეფობის სიგრძეზე (ბრატმან, მირეან, არსუკ, როკ) 66 წ. — 55 წ. ე. ი. ასი წლის სიგრძეზე, რომ შეეჭვება მისი რეალური შინაარსის შესახებ არ გვმართებს.

ასე რომ იყო მცხეთა ძველისძველიდან (ამას სამთავროს ნეკროპოლი მოწმობს), ხოლო მისი გ ა ქ ა ლ ა ქ ე ბ ა მოხდა ჩვენი წელთაღრიცხვის მიჯნაზე. და, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, „მ ც ხ ე თ ა ს ქალაქი დაეწყო“, „მცხეთაჲ ქალაქი აღაშენა“, „რაჲთურთით მცხეთაჲ გაიშორა“ — ისე რეალური ელფერით არის მოცემული, რომ ყოვლად სარწმუნო ჩანს. ორი მომენტი იქცევს ყურადღებას: მ ც ხ ე თ ა ს ქალაქი დაეწყო ბრატმანის მეფობაში, ე. ი. მცხეთა იყო აქამდეც და მხოლოდ ამ დროს აქ „დაეწყო ქალაქი“. (შეადარე: ტფილისიც იყო ძველიდანვე, ოღონდ ქალაქი იქ IV—V საუკუნეში დაიწყო). მეორე გარემოება ისაა, რომ მცხეთას ქალაქი ბრატმანს კი არ დაუწყია, არამედ მისით „დ ა ე წ ყ ო“, ბუნებრივად წარმოიშვა და მხოლოდ შემდგომმა მეფეებმა თავს იდვეს ქალაქის მშენებლობა. ცხადია აქ იგულისხმება ნამდვილად ქალაქი (საცხოვრებლის განსხვავებული ტიპი, ვიდრე დაბა) და არა კ ე დ ე ლ ი, გ ა ლ ა ვ ა ნ ი, რომელსაც ამ დროს ზ ღ უ დ ჲ

ეწოდებოდა. ქალაქის დაბისაგან განსხვავებულობას ამ წყაროში ჩვენ სხვაგანაც ვამჩნევთ. ასე რომ ქართული ცხოვრების ეკონომიკური განვითარებულობა ეჭვს არ იწვევს. ოღონდ ესაა, რომ ბერძნული ქალაქი შემოტანილია თითქო ელინიზმის ხანაში (სირიულიდან) და შეიძლება სწორედ ამ დროის საზოგადოებრივი ძვრების მოწმობა იყოს... ქალაქის წინაპარი ქართულში უნდა ციხე (ჩიხე, ჩიხა, ჯიხა) ყოფილიყო (პირველი მოსახლეობა — გორი, გვარი, ქორი, გოჯი, ქუჯი, სახლი, სულ სოციალური შინაარსის ტერმინებია).

ციხე-ქალაქი ტერმინი შეიძლება იმ დროს შემოვიდა, როცა ციხეც და ქალაქიც შინაარსით ერთიმეორეს გვანდნენ და ეს არა მარტო გარეგნულად (მოზღუდულობით), არამედ შიგნითი შინაარსითაც. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქალაქი მსგავსებასთან ერთად ციხისაგან განსხვავებულ მომენტსაც შეიცავდა (განვითარებული ურთიერთობა, საქალაქო ცხოვრება?) და ამის გამოც მოხდა, რომ ციხეს მარტივი შინაარსი (მოზღუდულობა, სიმაგრე) შერჩა; ხოლო ქალაქს ახალი შინაარსი (დაბისაგან განსხვავებული საცხოვრებლის ტიპი) განეკუთვნა.

შესანიშნავია, რომ ამავე ძეგლში ჩვენ გვაქვს რეალური თარიღიც და ვითარებაც მცხეთის დაცემისა და მისი გასოფლებისა (თუმცა „დედაქალაქის“ სახელს ის შემდეგაც სულ მუდამ ატარებდა).

ასე რომ ცოცხალი სურათი მოჩანს: მცხეთელი მეფეები არმაზს აშენებენ, მეორე მხრით ზადენს აშენებენ: „ფარნაჯობ... აღმართა კერპი ზადენ მთასა ზედა და აღაშენა ციხჱ“. არმაზს ზღუდით მოქმნიან და ბოლოს მცხეთა ქალაქი იწყება... „და მეფობდა არსოკ, ქალაქსა ზღუდენი მოაქმნნა“. ეს არსოკი მეექვსე მეფეა, ხოლო მეორე არსუკ მეათე მეფეა. ამ მეორის დროს მცხეთა ქალაქი შენდებოდა: მის წინა მეფე მირეანმა „აღაშენა მცხეთაჲ ქალაქი“. ხომ არ არის ორივე ეს არსოკ — არსუკი ერთი და იგივე პირი? მაშინ კარგად გამოვიდოდა: ბრატმანის დროს „მცხეთას ქალაქი დაეწყო“, მირეანმა „აღაშენა მცხეთაჲ ქალაქი“. არსოკმა „ქალაქსა ზღუდენი მოაქმნნა“, ხოლო როკმა „რაჲთურთით მცხეთაჲ გაიშორა“.

აქვე „მოქცევაში“ ფრიად საინტერესო ცნობაა იმის შესახებ, რომ ამ მეორე არსუკმა (23—2 ქრისტეს წინ) ე. ი. სწორედ იმ დროს, როცა მცხეთა ძლიერდებოდა, ქალაქდებოდა, „კასპი შეიპყრა და უფლისციხე განაგო“. ჩანს, აქამდე ამ მცხეთელ მეფეებს კასპი ხელთ არა

ჰქ ო ნ ი ა თ (!!). კარგი მოწმობაა იმისი, თუ როგორ ვრცელდებო-
და მცხეთელ მეფეთა ხელისუფლება (ქ ა რ თ ლ ი ს ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა, არიან ქართლის მეფის ძის აზოს მემკვიდრეთა ხელისუფლება) ნელა და თანდათან მტკვრის პირით დასავლეთისკენ... შეიძლება ეს მოწმობა პირველი რეალური ცნობა იყოს ქ ა რ თ ლ ი ს გავრცელებისა იბერიის მიწა-წყალზე. ჯერ ქართს ქმნიან (არმაზი)..., მცხეთას იჭერენ აქალაქებენ, ზადენს იჭერენ, შემდეგ კასპს იჭერენ... სარკინე ხომ მაკედონელმავე დაუპყრო და, უნდა ვიფიქროთ, მიუბოძა მათ. ეს ქართლის აზო, როგორც ჩანს, იმის განსახიერებაა, თუ ქართის ტომმა როგორ ისარგებლა უცხო დამპყრობლის მოსვლით და თან მოყვა მას, იბერნი („ბუნთურქნი", „ჰონნი") გააძევა და მათი ადგილი დაიჭირა... მაგრამ ეს ისე კი არ მომხდარა, როგორც „მოქცევაჲ" გადმოგვცემს (თითქო ალექსანდრე მაკედონელმა მთელი იბერია მოუხაზა აზოს) არამედ თანდათანობით.

უცნაურია ეს: „უფლისციხე განაგო". რას ნიშნავს განაგო (უფლისციხის შენება ბრძანა, უფლისციხის საქმე მოაწესრიგა?) და მეორე: რომელ „უფლისციხეზეა" აქ საუბარი? თითქო ეს ციხე კასპის ახლოს, თუ თვით კასპში არა, არის საგულისხმევი. ეს იგივე უფლისციხეა, რომელიც ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის დროს ეგულება ტრადიციას კასპის ციხედ. ასე რომ განაგო უნდა ნიშნავდეს უფლის ციხისათვის წესრიგის მიცემას. მეციხოვნეების ჩაყენებას და სხვ. „კასპი შეიპყრა და უფლისციხე განაგო" ნიშნავს, რ ო მ ე ს უ ფ ლ ი ს ც ი ხ ე ა რ ი ს კ ა ს პ ი ს ც ი ხ ე, რომ ვინც კასპს შეიპყრობდა ის უფლისციხესაც „განაგებდა", რომ მაშასადამე კასპს ჰქონდა უ ფ ლ ი ს ც ი ხ ე, ე. ი. რომ კასპში (თუ სადმე აქ) იყო უ ფ ა ლ ი; ან ხომ არ შეიძლება ისე ვიფიქროთ, რომ კასპი ქალაქი უფლისციხის (აწინდელის) პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულში შედიოდა?? მაშინ მცხეთის ერთეული რეხულამდე შეიძლება გვეგულისხმა ან ქსნამდე, ხოლო იმის ზემოთი კასპის ერთეულად... მაგრამ ასეთ ვარაუდს მხარს არ უჭერს კონტექსტი, საიდანაც ისე ჩანს, რომ მთავარია და გადამწყვეტი კ ა ს პ ი და არა უფლისციხე, რომ კასპის დაპყრობა გულისხმობს უფლისციხის დაჭერასაც, რომ კასპი და უფლისციხე ურთიერთის ახლოს იმყოფებიან....

მაგონდება ნ. ღამბაშიძემ კასპიდან რაღაც ნივთები ჩამოიტანა. ნახვა უნდა. არანაკლებ საინტერესოა მისივე მოტანილი ცნობა, რომ კასპის დასავლეთით მოიპოვება ადგილი აშურიანის მინდორ-

ზე, რომელსაც ასპი ეწოდება და სადაც სიძველეები ჩანს. თუ ეს სწორი ცნობაა, საინტერესო ვარაუდის საშუალებას მოგვცემდა ამ ასპის კასპი-სთან რაიმე კავშირი ტერმინოლოგიურად არის საძიებელი. ასპი შეიძლება დაკავშირებულ იქნას ასპინძა-სთან (სასტუმრო, საგზაო პუნქტი, ფუნდუკი ქარვასლა, ხანა). აქვე მოსატანია სომხური Ասպնջական-пристанище, убежище, гостеприимственный, приемлющий странников.. თითქო ასპინძაც იმავე ძირისაა, რაც სომხური Ասպնջական, ოღონდ ქართულს უფრო ძველი ძა დაუცავს (შდრ. განძა-განჯა, განძაკ) და შემოკლებით, სომხურს გვიანი ჯა შემორჩენია და სრული სახით... ორივე ძველი სპარსულიდან ნასესხებია ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი გზით. მეორე მხრით არც ისა ჩანს გამორიცხული, რომ ასპი ლათინური hospes itis (гость гостеприимец, хозяин) hospitalis (к гостю, к гостящим относящийся) მოდიოდეს.

როგორც ლათინური, ისე სპარსული ერთი ძირისა შეიძლება იყვნენ hosp — ასპ. ძა-ჯა—ადგილი (სადაც „სტუმრები" დგებიან). ასე რომ კასპის ასპი (კასპში მისვლის წინ საგზაო პუნქტი, სასტუმრო უცხოთათვის თავშესაფარი??) კავშირში ჩანს „სპარსულ" ასპინძასთან (ასპინძა სამცხეში კლასიკურია), ან ლათინურ (რომაულ) hospes-სთან... (6, 4. ფურც. 26—35).

[მუხრანი და ქართლ-კახეთის საზღვარი]

1. ქ"ცა I, ლეონტი, $55_{2, 9}$

ამაზასპ მეფის ზე „გარდამოვიდეს ოვსნი, სპანი დიდნი, გზასა დვალეთისასა". ოსებს მცხეთის შემუსრვა ეწადათ. ამაზასპმა ერისთავებს მოუწოდა. მაგრამ „ვიდრე მისვლადმდე დასავლეთისა ერისთავისა, მოვიდეს ოვსნი ჩრდილოთ კერძოთა ქალაქისათა, რომელ არს მუხნარი".

(სიმონ ყაუხჩიშვილს ეს ადგილი „ქალაქი მუხნარი" ჰგონია).

მუხნარის გეოგრაფიული მდებარეობისათვის.

მართალია, გამომცემელი ცდება, რომ „ქალაქი მუხნარი" ჰგონია, მაგრამ ის კი უეჭველად ჩანს, რომ აქ მუხრანი არის ქალაქის (ე. ი. მცხეთის) „ჩრდილოთ კერძონი", რომ მუხრანი, შეიძლება, მცხეთის ნაწილად (სამოქალაქო?) ჰქონდეს მემატიანეს წარმოდგენილი... (მ—2, 2. ფურც. 38).

2. ქ^ცა I, ჯუანშერი, 150_{15}

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ მეფე ოსეთს სალაშქროდ ემზადება. „მოუწოდა ყოველთა სპათა ქართლისათა, და შემოკრბეს ყოველნი და დაიბანაკეს მუხნარს და ხერკს, ამიერ და იმიერ არაგუსა“.

ცხადია, მუხრანი ამიერია, ხოლო ხერკი იმიერი არაგვისა.

ქ^ცა I, ჯუანშერი, 242_{6}

არჩილმა ქართლი ერისთავებს მისცა.

„მეექვსე მისცა ჯუანშერს ჯუანშერიანსა, რომელი-იგი იყო ნათესავი მირიან მეფისა შვილთაგან რევისთა, და მისცა ჯუარი და ხერკი, და ყოველი მთიულეთი, მანგლისის ჯევი და ტფილისი“.

აქ ხერკი ჯვართან და მთიულეთთან ერთად ერთ საგამგეო ერთეულშია. აქ საინტერესოა: თუ ჯვარი, ხერკი და ყოველი მთიულეთი ცალკე ერთეული არ იყო, რად არაა აქვე მოხსენებული რუსთავი? აქ ხომ მთლად არის ჩამოთვლილი ის ქვეყნები, რომელიც არჩილმა ჯუანშერ ჯუანშერიანს მისცა. აქ კი დასახელებულია ტფილისი და მანგლისის ჯევი. სრულიად გარკვეული ქვეყნებია: ტფილისი (მისი აგარაებით), მანგლისის ჯევი (ე. ი. ალგეთი), ჯვარი და ხერკი და ყოველი მთიულეთი. (საფიქრებელია, რომ ამ დროს ჯვარისა და ხერკის ქვეყანაში მუხრანი არ შედიოდა). არჩილის ეს ზღაპრული ამბავია ნაგვიანევი??

დამახასიათებელია, რომ გვიანაც ჯვარი, ხერკი და ყოველი
შედიოდა). არჩილის ეს ზღაპრული ამბავია ნაგვიანევი??
ერისთავთა).

გარდა ამისა, არჩილის ამ ეპიზოდის მომთხრობელი ჰგულისხმობს, რომ ჯვარი, ხერკი და ყოველი მთიულეთი ქართლშია. არჩილმა ხომ ქართლი მისცა მზითვად მირის ქალებს და არა კახეთი. ეს უკანასკნელნი მან ხომ თავისთვის დაიტოვა და საკარგავად მისცა აზნაურებს...

მატიანე ქართლისა, 270_{10}

X საუკუნე.

ლეონ აფხაზთა მეფემ „კუალად იწყო მტერობად კურიკესა და ძებნად კახეთისა: გაილაშქრა სპითა დიდითა, ჩადგა არაგვს პირსა, ასწყვდა მუხნარი, ხერკი და ბაზალეთი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხნარი, ხერკი და ბაზალეთი არაგვისპირის ქვეყნებია და კახთა მეფის ხელთაა (ეს უკვე IX საუკუნიდანვე, როცა კახეთის სამთავრომ ქსანი დაიდო საზღვრად).

აქ მუხნარი, ხერკი და ბაზალეთი „კახეთადაა“ დასახელებული. ეს არაგვისპირის ქვეყნები იყო ის „კახეთი“, რომელსაც ლეონ აფხაზთა მეფე ეძებდა.

ლეონი აქ ეძებდა ქართლის იმ ნაწილს, რომელიც კახეთს მიეტაცნა, თუ კახეთს განურჩევლად, ე. ი. საკუთრივ კახეთსაც?

თუ პროცესს გავითვალისწინებთ, აფხაზთ მეფეების მიერ ცდებს კახეთის დაპყრობისას, მაშინ აქ უფრო სავარაუდებელია მთელი კახეთი, იმისაგან დამოუკიდებლად, თუ რომელი კუთხე როდის და ვისგან ჰქონდა მას.

მატიანე ქართლისა, 311_7

დამარცხებულ ფადლონის მოლაშქრეებს ქართველებმა შემოუსწრეს „წინა იწროსა ღართისასა, და მცირედნი ვინმე გაესწრნეს. და სდევნა ლაშქარმან ბაგრატისამან ვიდრე მთამდე ხერკისა“...

თუ ფადლონის ჯარის ლტოლვის მიმართულებას გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რომ ხერკის მთა არაგვის მარცხენა სანაპიროზეა.

ხერკი და მუხრანი ქართლისა იყო. თუ ხერკი სადაო შეიძლება იყოს (ნახე ლეონტი 9, კახეთის საზღვრები), მუხრანი ხომ უცილობელი ქართლი იყო: (თუმცა გასარკვევია, იყო ეს „შიდა ქართლი“ თუ არა... ლეონტი, 10). IX საუკუნიდან (ლეონტი, 9) ეს ქვეყნები კახთა ხელთაა.

აქვე ეფუძნება აბულეთის ძეთა, თუ ძაგანის სახლი, რომელიც ორ ქვეყანას ეუფლება, კახთა მეფის ყმადნაფიცობას იჩემებს (მთავრის სახლი ხდება). შიო მღვიმის მონასტრის დაუფლებასაც ცდილობს. აფხაზთ მეფეები მუხრანს შიო მღვიმით სულ მუდამ ეძებენ. მონასტერს დიდი საქონებელი აქვს მუხრანში, თრიალეთს, მანგლისის ჯევს, ქართლის გალმა მხარში... დავითმა ეს საკითხი გადასწყვიტა....

მატიანე ქართლისა, 278_{19}

ბაგრატ აფხაზთა მეფემ „წარგზავნა მოციქული კახეთს, ითხოვნა ციხენი ქართლისანი, რომელნი მათ ჰქონდეს“ (ეს ციხენი კი იყო წირქვალი და გრუი ქსნის პირზე...). კახეთის ქორეპისკოპოსმა და-

ვით უპასუხა: „უკეთუ ეძიებ ციხეთა, იყოს ჩუენს შორის დამჯერებელ მკლავი და ომი. ხოლო მე წინა მოგუგებულ ქსანსა ზედა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქსანი იყო ქართლისა და კახეთის საზღვარი.

ხერკი მცხეთელ მამასახლისის საუფლო იყო: მან დასხნა იქ ურიანი ზანავს ხარკითა...

მაგრამ მცხეთოსის შვილს უფლოსს ხელი ხერკზე არ მიუწვდებოდა, მისი საქონებელი იყო „არაგვთგან ტასის კარამდე, რომელ არს ზენა სოფელი ანუ შიდა ქართლი“...

როგორც ჩანს, საზღვარი ამ ორ ქვეყანას შორის მთლად ნათელი არ იყო. შემდეგ კი ეს საზღვარი ქსანზე დაიდო.

ქ ცა I, ლეონტი, 15_{24}

„ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქვეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქჳან ზანავი. და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა, აწ ჰქჳან ხერკ ხარკისა მისთჳს“.

ლეონტით ხერკი ქართლშია. (მ—1, 29. ფურც. 14, 15, 16, 17, 18, 19, 20).

3. ქ ცა I, ჯუანშერი, 212_9

ისე წილკნელიო „ქართლისა კათალიკოსმან აკურთხა მღუდელთმთავრად, საყდარსა წმიდისა ღვთისმშობლისასა, ქუეყანასა მუხრანისასა, და სოფელსა წილკნისასა“.

(ჩანართია ცამეტ სირიელ მამათა ცხორებიდან). სოფელი წილკანი არის მუხრანის ქვეყანაში. ამ ქვეყანას თავისი ეპისკოპოსი ჰყავს. სადამდე ვრცელდებოდა წილკნელის სამრევლო? „წილკნელის სარგო“ გვიანი შეიძლება იყოს (?).

ვახტანგ გორგასალის საეკლესიო მოღვაწეობიდან იგულისხმება, რომ ამ დროს გაფორმდა საეპისკოპოსო ერთეულები, „ეპარქიის“ საზღვრები ე. ი. საეკლესიო საგამგეოები და ამ ადმინისტრაციულ ღონისძიებას ჰქონდა სწორედ უმთავრესი მნიშვნელობა ქვეყნების და მაშასადამე მთელი ქვეყნის საეკლესიო ადმინისტრაციული მოწყობისათვის. სწორედ ეს იგულისხმება და არა მაინცდამაინც პროზელიტობა, რაც ვახტანგს არც აგრე ახასიათებდა...

V—VI საუკუნეებში, ამრიგად, ქართლი დაყოფილ იქნა საეპისკოპოსო ქვეყნებად, უკეთ, ბუნებრივ „ქვეყნებს“ (ხეობებს, ანუ ღაც ნიშნით გაერთიანებულს) გაუჩინეს საეკლესიო მთავრები. ეს ქვეყნები, საეკლესიო საგამგეოები დროთა განმავლობაში შეიძლებოდა რამოდენადმე შეცვლილიყვნენ (ახალი საეპისკოპოსოს დაარსება და სხვ.), მაგრამ ძირითადად ძველი მოცულობით რჩებოდნენ... (მ—2, 2. ფურც. 37).

4. ქცა I, მატიანე ქართლისა, 252—253.

ამოტი კლარჯეთში გაძლიერდა. კახეთში კი გრიგოლი მთავრობდა.

„მას ჟამსა გამოილაშქრა ამოტ კურაპალატმან... მოვიდა გრიგოლ კახეთით... და შეიბნეს ქსანსა ზედა ამოტ და გრიგოლ. გააქციეს გრიგოლ, მთავარი კახეთისა, და დაიპყრეს ქუეყანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან. და დაიპყრა ამოტ კლარჯეთითგან ვიდრე ქსნამდე“.

აშკარაა, მატიანე ქართლისას ავტორი ქართლის საზღვარს ქსანზე გულისხმობს. მაგრამ ამავე ავტორის ისტორიულ-გეოგრაფიული წარმოდგენით, ეს ქვეყანა მუხრანი არც კახეთია: ამას მოწმობს გამოთქმა: ქსანზეო „მოვიდა გრიგოლ კახეთით“... (მ—2,2. ფურც. 34).

5. ქცა I, მატიანე ქართლისა, 310_{16}, 311_{9}

ბაგრატ მეფე დიდგორს იყო. ფადლონი ქართლის სამტროდ წამოვიდა. XI საუკუნის 60-იანი წლები იყო (1065—1070). ფადლონი „მოვიდა ტფილისს და დაიბანაკა ველსა ისნისასა. ხოლო მუნ დაუტევნა კარავნი და აღმოვლო ღამე ყოველ მუხნარისა (უნდა: მ'უხნარისა გზით, როგორც ეს დაუცავს D ნუსხას!!), და არბივნა ქართლისა ნაპირნი.

ხოლო ცნა ტფილისით გაღმართ აფხაზთა მეფემან ქართლისა ვნება, წარმოსლვა ფადლონისა, გამოგზავნა ხილვად ივანე ძე ლიპარიტისი, და ნიანია ძე ქუაბულისი, და მურვან ჯაყელი, ერისთავი ყუელისა და მათ თანა სხუანიცა აზნაურნი მცირედნი რჩეულითა ლაშქრითა. ხოლო ქართლს ვერღარა ჩამოესწრნეს, შექცეულთა გაუსწრეს მუხნარს წინა წილკნის გორთა თანა. უკანასა კერძსა შეებნეს და პირველსავე ჯრმლისა მოკიდებასა გააქციეს ფადლონ“. ფადლონს ჯარი

ნარეკვავის ხრამის და ღართის იწროს გავლით გაიქცა. „ხოლო ფადლონ თხუთმეტითა ოდენ ცხენოსნითა წარვლო გზა წილკნისა, და მიეხვა პირსა არაგვსასა, და გაჴდა ნარღუევთა გზით ერწოდ“ (კარგად ჩანს გზა: წილკნის გზა, მისაქციელი; „მიეხვა პირსა არაგვსასა“ ნაღვარევის გზა, ერწო).

მოტანილი ადგილი უეჭველად მოწმობს, რომ ჩვენს ავტორს მუხრანი ქართლში არ ეგულება: მთელი დრამა მუხრანის სანახებში დატრიალდა (აკი არაგვის „ამიერი“ მუხრანია. ჯუანშერი 150) და ავტორი კი აღნიშნავს, რომ ქართველებმა მტერს „ქართლსვერღარა ჩამოესწრნესო“. ჩვენმა ავტორმა არ შეიძლება არ იცოდეს, რომ მუხრანი და ხერკიც კი ქართლი იყო (ლეონტი16), მაგრამ ეს ქვეყნები თითქმის ორასი წელი იყო, რაც კახთა ქორიკოზებს ეჭირათ, ე. ი. პოლიტიკური საზღვარი ქართლსა და კახეთს შორის ქსანი იყო. ამასვე მოწმობს გამოთქმა: „ქართლის ნაპირთა“ რბევისაგან „შექცეულთა გაუსწრეს მუხნარსა წინა“ (მ—2,2. ფურც. 39).

6. საქ. სიძვ. III, დამატება გვ. 3

გიორგი III სიგელი. ჩამოთვლის მღვიმის საქონებელს: „...ივანწმიდაი ძუელადვე გოდერძისა შემოწირული, დაოთი კვირიკე კახთა მეფისაგან შემოწირული“.

ეს გოდერძი შეიძლება იყოს ერისთავთერისთავი XI საუკუნეში, გაგიკ კახთა მეფის თანამედროვე (მატიანე ქართლისა 300).

ასევე კახი უნდა იყოს ხახვილა („ალაჭინი ხახვილასაგან შემოწირული“), გორთა ჯუარის ციხის პატრონი (მატიანე 298).

საფიქრებელია, რომ ეს გოდერძი სადღაც მღვიმის დასამხარშია, რომ სწირავს.. ამ გოდერძის (თვითონ ერისთავთერისთავია, დისწულიც ერისთავი ჰყავს ხოლო შვილი — ბეჭის ციხისა პატრონი..).

კვრიკე კახთა მეფის შემოწირულობა აშკარად მიუთითებს, რომ შიომღვიმე პოლიტიკურად კახეთში იძყოფება იმ დროს...

ამასვე უნდა მოწმობდეს გოდერძისა და ხახვილას შემოწირულებანი.

ალაჭინი? ლოჭინი ხომ არაა?? (მ—2,2. ფურც. 33).

7. ამ ჩვენებებს გარდა მოიპოვება სხვა პირდაპირი ჩვენება იმისა, რომ მუხრანის ქვეყანაზე აფხაზთა მეფეებს ხელი არ მოუწვდებოდათ. ასეთია 1072 წლის საბუთი გიორგი მეფისა. მეფე გიორგი მეფებისას განუახლებს შიომღვიმეს იმ საქონებელს „რომელნი სამეფოსა ჩვენსა შინა არიან“ და დასახელებულ „საქონებელში“ არც ერთი არაა, რომელიც მუხრანის ქვეყანაში იმყოფებოდა. ამავე დროს ჩვენ სხვა უეჭველი წყაროებიდან ვიცით, რომ მღვიმის ლავრას მუხრანის ქვეყანაში არაერთი სოფელი და აგარა ეკუთვნოდა (შიო მღ. საბ. II).

ამ ჩვენს დაკვირვებას ადასტურებს 1170 წლის სიგელი გიორგი III შიომღვიმის საქონებელთა განახლების შესახებ, როცა მუხრანი (და მთელი კახეთიც) დიდი ხანია გაერთიანებული საქართველოს მეფეთა ხელშია. შიომღვიმის საქონებელთა შორის დასახელებულია არა მარტო მანგლის-თრიალეთის სოფლები და აგარანი, არამედ მუხრანული და კახური საქონებელნიც.

და ეს საქონებელნი როგორც იმავე დოკუმენტებიდან ჩანს, მღვიმეს ჰკუთვნებია ძველი დროიდანვე (მ—2,2. ფურც. 50).

8. ქ ცა I, ც-ბა დავითისი, 361_{18}

დავით ალმაშენებელსო „ნადირთა დევნასა შინა ოდესმე მუხნარს წაექცა ცხენი, და ესოდენ შეიმუსრა, რომელ სამ დღე ყოვლად უსულო მდებარე იყო უძრავად“.

მ უ ხ რ ა ნ ი ს ა ნ ა დ ი რ ო ა დ გ ი ლ ი (მ—2,2. ფურც. 36).

9. შიომღვიმის საბ-ბი, 17_{13}

დავითის ანდერძი:

„ასი ფური მომიჯსენებია, რომელ თრიალეთს მთასა, სოფელსა ბჭითს და ბჭითს ზეით სოფლებს, მათსა საფურესა მუხნარს დგეს“.

მ უ ხ ნ ა რ შ ი ს ა ფ უ რ ე. დ ა ვ ი თ ი ფ ლ ო ბ ს მ უ ხ რ ა ნ ს ი ს ე ვ ე, რ ო გ ო რ ც თ რ ი ა ლ ე თ ს...

ეს საფურე ქანდაშია (საქ. სიძ. III, გვ. 5). (მეურნეობა: თრიალეთი — მუხრანი. აღდგა ძველთაძველი: მცხეთა-თრიალეთი...) (მ—2,2. ფურც. 35).

10. შიომღვიმის საბ-ბი, 18

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითმა მუხრანი წაართვა ძაგანს (ზედაზნის ციხის პატრონს, კახთა მეფის ყმას) უკეთ, წაართვა კახთა მეფეს (ცოტა ხნის შემდეგ მთელი კახეთიც შემოიერთა, ამდენადვე მუხრანიც სამეფო გახდა). აქ სამეფო მეურნეობა გაიშალა საფურე, სანადირო სახლი, მეღვინეობა, მეხორბლეობა... სასახლე, ციხე, საგამგეო...

მაგრამ მ უ ხ რ ა ნ ს ე რ ი ს თ ა ვ ი კ ი ა რ გ ა უ ჩ ი ნ ა მ ე ფ ე მ, ა რ ა მ ე დ „მ უ ხ რ ა ნ ი ს ა მ გ ე ნ ი“.

დავითი ხშირად, ჩანს, მოდიოდა მუხრანში: „..ოდეს მუხრანს ვიყვნეთ, წმიდისა შიოჲს ხატსა შეგვამთჴჳნენ, სამი სეფისკუერი, ერთი ფილას საზედაშე და ფარჩითა კაპარი გჳევლოგიონ. მთავარმან მემღჳმემან მოასუენოს ჴუარი მისი, მას გვაამბორონ, ჩუენ პატივსცეთ, ვითარცა სულიერსა მამასა ჰშუენის, ს ა ჴ დ ო მ ე ლ ი თ ა და ს ე რ ი თ ა“.

ც ხ ა დ ი ა მ უ ხ რ ა ნ შ ი ს ა მ ე ფ ო ს ა ს ა ხ ლ ე ც ა რ ი ს.

ს ა ჴ დ ო მ ე ლ ი თ პ ა ტ ი ვ ი ს ც ე მ ა (მ—2,2. ფურც. 31).

11. ეს ფეოდალური სახლი, როგორც თვით ამ ანდერძიდან ჩანს ხერკის მკვიდრია და ვინ იცის ზედაზნის ციხის ძველიდანვე მფლობელი... ასე რომ ძაგანის სახლი, საფიქრებელია, ძლიერი დიდგვარიანული პრეტენზიით გამოდიოდა ამ ქვეყნის მფლობელად და ხერკ-მუხრანისაგან თავის სამთავროს შექმნას ლამობდა. ძაგანი რომ ამ ქვეყნის მკვიდრი იყო და არა მხოლოდ მოსაკარგავე, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ეს სახლი აბულეთისძეთა სახელით გადაურჩა ყველა ქარიშხალს 12—14 საუკუნეში, ის მხოლოდ მე-14 საუკუნეში გადაშენებულა და აბულეთისძეობა მეფეს დიდად და საპატიოდ შეწყალებული აბაზაძის მარილელის სახლისათვის უბოძებია... (მ—2,2. ფურც. 49).

12. საქ. სიძვ. III, 5

გიორგი III სიგელი (1170 წ.): „მამისა ჩემისა მ უ ხ ნ ა რ ს ა შ ე ნ ე ბ ა ს ა შ ი გ ა თუის თავსა ერთსა დღესა სამუშაოი ექნევინა მათთა სოფელთადა რუეთისა და სხალტბისადა, და ზედა დასდებოდა ჴელისუფალთა ჩუენთაგან, და იგიც გაგუიშუია“.

დ ე მ ე ტ რ ე მ უ ხ ნ ა რ ს „ა შ ე ნ ე ბ ს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით აღმაშენებელი: „...ხუდაბუნი შემიწირავ მუხრანს წმიდისა სკმონ საკვრველ-მოქმედისა“ (შიო მღ. საბ-ბი, 17).

მუხრანში მეფე დავითს და მის მემკვიდრეებს დიდი სასეფო მეურნეობა აქვთ.

აქვე მუხრანში საქართველოს მეფეებს ციხე აუგიათ.

მუხრანში მეფეებს ჰყავთ „საგამგეოისა ჩუენისა მოურავნი“ (და არა ერისთავნი).

მუხრანში მეფეებს ჰყავთ ციხისთავნი (შ. მღ. საბ-ბი, 14). ცხადია ეს არ იყო ზედაზნის ციხისთავი...

საფიქრებელია, ძაგანის სახლს მიტაცებული ჰქონდა ქვეყანა მუხრანი... დავითმა, შეიძლება ვიფიქროთ, ეს ორი ქვეყანა გაჰყო და მუხრანს ციხე და ციხისთავი გაუჩინა... (მ—2,2. ფურც. 32).

[დაუმთავრებელი წერილი]

„ერთი ქვეყნის ისტორიიდან“ (მუხრანი)

საქართველოს თითოეული „ქვეყნის“ თავგადასავალი ჩვენ მეცნიერული კვლევის საგნად უნდა გავიხადოთ, საქართველოს ისტორიაში თითოეული „ქვეყნის“ ისტორიული მნიშვნელობა უნდა წარმოვაჩინოთ (ესა თუ ის ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა“ გარკვეულს დროსა და ვითარებაში ჩნდება, სახეს იცვლის დროსა და ვითარების შესაბამისადვე: იზრდება, მცირდება თუ მოიშლება)..

ეს არის ისტორიული გეოგრაფიის, კერძოდ, ქართული ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი ამოცანა, როგორც ისტორიის დამხმარე სამეცნიერო დისციპლინისა. და თუ ამჯურად ჩვენი ყურადღების საგანი მუხრანია, ეს იმიტომ, რომ მისი თავგადასავალი განსაკუთრებით ნიშანდობლივი და თვალსაჩინო გვეჩვენება ახალი ქვეყნის — გაერთიანებული ბატონყმური საქართველოს წარმოქმნის პროცესში.

ამჟამად ჩვენ არ ვიკვლევთ „მუხრანის ქვეყანას“ (ქ-ცა I, 212_{10}) მისი გაჩენის დღიდან (თუ როდის წარმოიქმნა მუხრანის ქვეყანა, ეს სპეციალური კვლევის საქმეა), არც იმის ჩვენებას ვისახავთ მიზნად, თუ როდის მოიშალა ეს ქვეყანა, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული. ეს მეტად საინტერესო ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით საკითხები სცილდება ჩვენს დღევანდელ ამოცანას (ამათ შესახებ ჩვენ, საჭიროების მიხედვით, ზოგად მითითებებს ვჯერდებით).

ჩვენი უშუალო მიზანი კი ამჯერად არის ერთი მომენტი მუხრანის ქვეყნის ისტორიიდან, — იმის დემონსტრაცია, თუ რა მნიშვნელობისა იყო მუხრანის ქვეყანა ბატონყმური საქართველოს (=ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების) წარმოქმნის დიდ პროცესში.

* * *

1123 წელს მეფე დავით აღმაშენებელი შარვანზე სალაშქროდ გაემართა. სპარსეთის სელჩუკიან თურქთა სულტანი შარვანს (ისე როგორც ანისს) თურქთა სამყაროდ სთვლიდა. სრულიად საწინააღმდეგო აზრისა იყო დავით მეფე. საქართველოს მეზობელ შარვანში ის ქართველთა მოძმე ალბანეთს ხედავდა (ისევე როგორც ანისის ქვეყანაში — მოძმე სომხეთს) და თურქებს ამ ქვეყნების მიმტაცებლად უყურებდა[3]. დიდი ბრძოლა საქართველოსა და სელჩუკიან თურქებს შორის გადამწყვეტ ფაზაში შესულიყო[4].

სულტანი შარვანში შეჭრილიყო და საქართველოს მეფეს საომრად იწვევდა. დავით მეფეს მძიმე ომი ელოდა. ომში წასვლის წინ მეფეს შიომღვიმის ლავრა მოუნახულებია და წმინდა მამა შიოს ამ ლაშქრობაში ხელის მომართვას შევედრებია.

ამ დროისათვის შიომღვიმეში მეფის ბრძანებით კარგა ხნის წინ წამოწყებული მშენებლობა (საშუალო ეკლესია) დასრულებულა.

მეფე დავითის მოძღვარს არსენ ბერს თავისი სულიერი შვილისათვის ანდერძის დაწერა განუზრახავს შიომღვიმის მონასტრის სახელზე. დავითს უსმენია და მონასტრისათვის ანდერძი დაუწერია. ჩანს, შარვანში სელჩუკიან სულტანთან შებმა განსაკუთრებულ მძიმე ოპერაციად ითვლებოდა, რომ მოძღვარი არსენი თადარიგს იჭერდა მონასტრის უზრუნველსაყოფად და ამ აზრს დავით მეფეც იზიარებდა. მეფე ბოდიშობს, რომ, თუ ამ ანდერძს, რაიმე

---

3 ისტორიული შეხედულება კავკასიის ხალხთა მონათესავეობის, კავკასიის ხალხთა ერთიანობის შესახებ, როგორც ჩანს, საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა. ამ შეხედულების ქართული ვარიანტი, დასრულებული სახით ლეონტი შროველის თხზულებაშია წარმოდგენილი. ამდენად ლეონტის თეორია დავით მეფის კავკასიური პოლიტიკის იდეური საფუძველია.

4 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, (522—525).

აკლია, ეს ნაკლი „სისწრაფისაჲ არს“ და აღთქვამს, რომ იგი მას „უმჯობესად“ შეცვლის, თუ ღმერთმა მისი „შემოქმედებანი“ უვნებლად უკან დაბრუნება) ინება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე დავითის ეს ანდერძი კი განსაკუთრებული მნიშვნელობის იურიდიული აქტი იყო. შიომღვიმის მონასტრის ცხოვრებაში ის ახალ ვითარებას ქმნიდა: ამ აქტით შიომღვიმის ლავრა თვითმყოფად მონასტრად იქცეოდა, მეფის უშუალო მფარველობის ქვეშ, ეს ანდერძი იწერება მეფის სახელით. მეტი სიმტკიცისათვის მას საკუთარი ხელით იწყებს „(ქ. ნე)ბითა ღმრთისაითა მე დავითს მიწყიეს“) და საკუთარი ხელითვე ასრულებს (ამტკიცებს) დავით მეფე („სიმტკიცეო ყოველთაო, ღმერთო, მტკიცედ აქციე“).

ამდენადვე ამ დოკუმენტში, უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმულია ის გარემოება, რომ აღნიშნული მოვლენების (ფაქტების თუ იდეების) ავტორი თვით მეფეა, და მწიგნობარი (ანდერძის დამწერი) კი მეფის ფიქრისა და განზრახის წერილობით გამომთქმელი— შემსრულებელია მხოლოდ.

ეს დოკუმენტი (ანდერძი) იწერება 1123 წელს. დავითი (მისი სახელით მოლაპარაკე მწიგნობრის ენით) გონების თვალს მოავლებს თავისი მეფობის ერთ მხარეს. ანდერძის შინაარსი, ის ვითარება, რომელიც შიომღვიმის მონასტრისათვის ამ ანდერძის შედეგად იქმნებოდა, აიძულებდა მეფეს (ანდერძის დამდებს) აქვე აღენიშნა ერთი ისტორიული ფაქტი, რომელიც ამ აქტის (ანდერძის) ერთ-ერთი იურიდიული საფუძველიც იყო. ეს იყო ფაქტი საქართველოს გამაერთიანებელი მეფისა და ძაგანის ფეოდალური სახლის (ზედაზნის პატრონის) ურთიერთობისა.

და როგორც განათლებულ პოლიტიკურ მოაზროვნეს შეშვენის, მეფე აზოგადებს ამ ფაქტს (მეფის დამოკიდებულება ფეოდალურ სენიორიებთან) და კატეგორიული მსჯელობის სახედ გამოსთქვამს დიდი მნიშვნელობის პოლიტიკურ დებულებას მეფის ხელისუფლების რაობის შესახებ.

დავითი გამოსთქვამს რწმენას, რომ მეფის სახით ამ ქვეყნად თვით ღმერთი მოქმედებს. მეფის უფლების ღმრთის ნებითობის თეორია ძველიდანვე მომავალი სწავლა იყო საქრისტიანო აღმოსავლეთში. დავითის მეფობაში ეს თეორია დროის შესაფერისი მნიშვნელობის პოლიტიკურ ძალად ქცეულიყო. მეფის უფლების გაძლიერების მომხრეთა დასი დიდი ავტორიტეტით ასაბუთებდა მთავართა (სენიორთა) წინააღმდეგ მიმართულ ამ მოძღვრებას, ჩვენს

ამ დოკუმენტში განსაკუთრებით ხაზგასასმელი ის ფაქტია, რომ ამ თეორიას ასეთი ენერგიულობით თვით მეფე გამოსთქვამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითი განაგრძობს, ღმერთმაო „არა მომიძაგა და არა დაცა-და ჩვეულებითი წყალობაჲ დღეს-დღემდე უგბილსა სულსა ზედა, რომელთაჲ კერძოჲ რაჲმე და ურიცხუთაგან ერთი მიზეზად თხრობისავე მივსცე თხრობასა“ (და ეს „ერთი“ „წყალობა“ ღმრთისა არის ის გამარჯვება, რომელიც დავითს მოუპოვებია ერთ-ერთი მთავრის სახლზე, რაც დასრულებულა, როგორც დავინახავთ, ამ სამთავროს (სენიორიის) კონფისკაციით).

„თვით იგი ოდეს მარწმუნა მის მიერ განგებულსა მეფობასა, თჳსითა რაჲთამე განგებითა არა-ულირს-მჩენელმა შარავანდსა შინა პატიოსანსა უპატიოებისა ჩემისმან, აქაჲთგანვე აღიღო ჴელი სიტ-კბოებითა თჳსითა განძღებად ჩემდა.

და თჳთ მეფე-მეფეთაჲ იქმოდა საჭირველთა უჭირველად: ცხადთა წინააღმდგომთა განგებულისა თჳსისათა მისცემოდა მოსასრველად; იდუმალთა, კუალად ზაკუვისათჳს შორის მფარველთა, არა შეუნდობდა სიცბილად, რომელთა თანად თჳთ მიიღეს ზაკუვისა მათისათჳს საცთური.

და ერთმან მათგანმან, ძაგანმან, შემაწუხებელმან ღმრთისა და ნონათა მისთამან, მძლავრებით ღმრთისაცა არა-მრიდმან, თანავე ძმისა თჳსისა მოდისტოს, წინაუკმოჲსა მღდელთ-მოძღურისა, რომელმან ერთმან პატრონთა თჳსთა წყალობაჲ მათ ზედა საისრელად აღმახუა, ხოლო მეორემან ღმრთისადა (ჩემი კონიექტურა) განკუთვნითა ეკლესიები საზეზთ-მჩენოდ თჳსად მიიტაცა; რომელნი — ესე არა ითნნა ესრედ ყოფად სასჯელმან გამოუძიებელმან,—ცხად არს, რამეთუ ღმრთისამან,—და არცა მიუშუა კუერთხი ცოდვილთა ნაწილსა ზედა მართალთასა: მწყემსი უკაროჲ ჭეშმარიტთა მწყემსთა მიერ დაემჯუა. და ძაგანი, მღუიმეს შელტოლვილი, მომცა ღმერთმან, რომელსა შინა არა-მცირედი ერთგულებაჲ აჩუენეს ჩუენდა მომართ მამათა მემღვმეთა“.

ძაგანზე გამარჯვებული დავითი მონასტერში მისულა და დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიულია. მეფე ამ გადაწყვეტილების ინიციატივას მღვიმის კრებულს მიაწერს. უფრო მართებული იქნება ვიფიქროთ, რომ ეს საქმე ცალმხრივი ინიციატივის შედეგი არ ყოფილა და ის სავსებით შეეფერებოდა როგორც მეფის მომხ-

ერე მონაზვნების სურვილს, აგრეთვე მეფის დიდ ზრახვებს, საქართველოს გაერთიანების საქმეს რომ ჰგულისხმობდა[5].

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფეს შიომღვიმის ლავრის სამეფო მონასტრად გადაქცევა გადაწყვეტილი ნუზრახავს და „საშუალ მონასტრისა“ ეკლესიის აგება უბრძანებია. ამ საქმის შესაფერისი ზრუნვა დავითს თავის უახლოეს თანამოღვაწეთათვის დაუვალებია. 1123 წლისათვის ეკლესიის შენება ძირითადად დასრულებული ყოფილა. მეფის თანამოღვაწეებს (არსენ ბერს და მოძღვარ იოანეს) ამ დროისათვის საქმე ყოველი მხრით შეუმზადებიათ. დავითს შიომღვიმის ლავრისათვის ახალი სამონასტრო წესი დაუდვია და მონასტრის სამეურნეო ცხოვრება ამ მტკიცე ძეგლით (ანდერძით) მოუწესრიგებია.

ამ მოვლენათა შემცველია 1123 წელს დადებული ეს „ანდერძი“[6].

მონასტრის სამეურნეო ცხოვრების მოწესრიგებასთან დაკავშირებით დავით მეფე ანდერძის ბოლო ნაწილში კვლავ იგონებს ძაგანის მოქმედებას და განსაკუთრებით საინტერესო პოლიტიკურ მომენტს აღნიშნავს იმ დროიდან, როცა ზედაზნის ციხე და მუხრანი ჯერ კიდევ აფხაზთა მეფის ხელში არ იმყოფებოდა.

დავითი წერს: „ოდეს ზედაზნისა ციხე და მუხრანი ძუელითგან ვეცადე მათგან ძებნითა, მაშინცა არა იყო ნებაჲ ჩემი, მამამან ჩემმან უბოძა, მით რომელ სხუათაცა ჰქონებოდა მათთა გუართა და არავის ოდეს ექნა ჩუენი ერთგულობა.

აწ ძაგანმან სადგომად საებისკოპოსნიცა უდიდესნი გარნა სამთავროდ, თჳთ ადრითგან მამაობასა ეწერაყე საებისკოპოსოდ, და მცხეთისა საქონებელნი მრავალნი დაემჭირნეს, და წილკანი(ს) საყდრისა. მონასტრისა რაცა იყო: მთასა (აქად?) ციხე, მარანი ანუ მატური იგი სოფელი და მღჳმე მონასტერი შიგან ციხედ და სადგომად ჰქონდეს თჳთ.

---

5 უნდა ვიფიქროთ, ანდერძის ასეთ დაფორმულირებას თვით დოკუმენტის იურიდიული მხარე მოითხოვდა. ქართული დიპლომატიკა ამ მხრით შეუსწავლელია. ივ. ჯავახიშვილის წამოწყებას ქართული სამართლის ისტორიის დარგში, სამწუხაროდ, გამგრძელებელი დღემდე არ უჩანს.

6 საქართველოს გაერთიანების მოღვაწე — მეფეთა საეკლესიო პოლიტიკა დღემდე არაა სასურველი სისრულით გაშუქებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. შედარებით მეტი ყურადღება აქვს დათმობილი დავითის საეკლესიო პოლიტიკას (1103 წლის საეკლესიო კრება, სომეხ-ქართველთა პაექრობა, გელათი), მაგრამ არც ამ მოღვაწის ამ დარგში ყოველმხრივი მეცნიერული დახასიათება მოგვეპოვება. კერძოდ, აუხსნელ-შეუფასებელია დავითის სამონასტრო მშენებლობა (დასავლეთ საქართველოში, ქართლში, კახეთში).

ოდეს მოიქცა სალმობა მისი თავსა მისსა, ყოველი ყოვლითავე უკუნ-ეცით ნაქონები მისა-მიმართ თჳსებული და მღჳმეს ქონებული მისნი საავაზაკონი და წარტყუენილი, ვითა მამისა ჩემისა [illegible]-ბასა შიგან გაჩენით სწერია. აღარ-ოდეს მიგეღოს იგი და არცავის სხუასა საქმე უც მღჳმესა-თანა და არცა მღჳმისა ქუაბთა.

ვითარ-იგი თჳთ სანატრელისა მამათა ნათლისა შიოჲს ანდერძში სწერია[7], უფალი მღჳმისა ღმერთია, მეუფე — წმიდაჲ მამა შიო; და მეფეთა თჳს ლოცვა აღასრულონ, ვითა თჳთ წერილნი წმიდანი უმოძღურებენ და ვითა თჳთ იგინი. თჳნიერ მეფეთა საწირავისა (არაჲ) საქმე ყოფილა მღჳმესა თანა, არცავის აწ უც საქმე, თჳნიერ ლოცვისა და შეწირვისა"... და აგრე შემდეგ იურიდიულად სრულყოფილად არის მოცემული „ანდერძში" ამ სამეფო მონასტრის თვითმმართველობის სტატუტი.

მაგრამ დღეს ჩვენი სამეცნიერო ინტერესი სხვა მხრით გვეზიდება და ვკმაყოფილდებით ამ მოვლენის მხოლოდ აღნიშვნით. მაინც არ შეგვიძლია არ მიუთითოთ ერთ ფრიად საყურადღებო ფაქტზე ქართული სოციალურ-იურიდიული აზროვნების ისტორიიდან, ეგლი გარკვევით, ასხვავებს ურთიერთისაგან ცნებებს: უფალი, მეუფე, მეფე. გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ იმ ცხოველი გონებრივი მოძრაობისა და სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის ვითარებაში ქართულმა საზოგადოებრივმა აზროვნებამ შეიმუშავა ურთიერთისაგან განსხვავებულად ეს ძირითადი სოციალურ-იურიდიული ცნებები.

მაგრამ ამაზე სხვაგან.

---

7 აქედან თითქო შეიძლება ვიფიქროთ, რომ შიომღვიმის ლავრაში მონასტრის ქონებრივი უფლების შესახებ ჯერ კიდევ XII საუკუნეში დაცული ყოფილა ამ მონასტრის დამაარსებლის შიო მღვიმელის ანდერძი (თუ ასეთ „ანდერძად" შიო მღვიმელის ცხოვრება არ იგულისხმება), რომელშიაც გამოთქმული ყოფილა დებულება, რომ ამ მონასტრის საქონელი მისი შეუვალი საკუთრებაა.. ასე რომ ჩვენ თითქო მოვიპოვეთ მოწმობა შესახებ იმისა, რომ V—VI საუკუნის ქართლის საზოგადოებრივ ურთიერთობაში უკვე შემუშავებული ყოფილა იურიდიული — დიპლომატიკური ძეგლი „ანდერძი". დღეს ქართული ისტორიოგრაფიის ვანვითარების ჩვენეულ საფეხურზე, როცა გარდა ამისა, დადასტურებული გვაქვს იმ დროდან (V—VI სს) „ქვეყნის" (მიწის) და გლეხის ნასყიდობის ფაქტები, როცა მოპოვებული გვაქვს უეჭველი ცნობები სხვადასხვაგვარი საკუთრების შესახებ (იხ. ჩემი რეცენზია ს. ჯანაშიას ნაშრომზე „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე"), იურიდიულ-დიპლომატიკური ძეგლის „ანდერძის" არსებობა იმ დროისათვის დაუშვებლად აღარ უნდა გვეჩვენოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

1123 წელს დავით მეფეს შეეძლო შეჯამებით შეეფასებინა გამოვლილი დიდი ბრძოლა, რომელსაც ის საქართველოს გაერთიანებისათვის დიდგვარიან ფეოდალებთან აწარმოებდა. და აი, დავითი შეუვალი სიტყვით, აბსოლუტურად დაჯერებული თავისი საქმის სიმართლეში (და უამისოდ დიდი საქმე არც მოიგება) შეჯამებით მსჯელობს გადასულ საქმეზე.

ორგვარი მტერი ჰყავს საქართველოს გაერთიანების დიდ საქმეს: „ცხადნი წინააღმდგომნი", რომელთაც მებრძოლი მეფე მოსრვიდა და მზაკვრები (ე. ი. პირით რომ სიყვარულს იჩემებდნენ და გულში კი ბოროტი დაემარხათ), რომელთაც მეფე დაუნდობლად ამჟღავნებდა და შესაფერისად სჯიდა. ამ საქმეში ღმერთი აქტიურად ერეოდა. ის მეფის სასარგებლოდ მოქმედებდა და მეფე მხოლოდ ღმრთის ნების აღმასრულებელი იყო.

ისტორიული სურათი თითქო ასე წარმოიდგინება: დავითი და მამამისი მუხრანსა და ხერკს „ეძებენ". ამ დროს ეს ქვეყანა კახთა მეფის საყმო იყო.

ძველ დროს ხერკი და მუხრანი მცხეთის „აგარანი", მცხეთის „ქალაქის პირის სოფლები", მცხეთის „სამოქალაქო" უნდა ყოფილიყო[8].

მცხეთაში იბერიის სამეფო ტახტის მოშლის შემდეგ, მცხეთის დაცემისა და ქართლის მეფეთა არაბთა მიერ შევიწროებულობის პირობებში, საერისმთავროების წარმოქმნის ეპოქაში ხერკი, მუხრანი და ბაზალეთი კახთა მთავრობის უფლებაში გადასულა და ასეთი ვითარება გრძელდებოდა დავით აღმაშენებლის მეფობამდის.

„ქართველთა" მეფენი და მათი პოლიტიკური მემკვიდრე „აფხაზთა" მეფენი არასოდეს შერიგებიან ხსენებული ქვეყნების დაკარგვას და მუდამ ცდილობენ მათ დაბრუნებას, თუმცა ვერ ახერხებენ და ქართლისა და კახეთის პოლიტიკური საზღვარი მდინარე ქსანზე გადიოდა, ვიდრე კახეთის სამთავრო (და შემდეგ სამეფო) სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა[9]. აღნიშნულ

---

8 ს. ჯანაშია, შრომები, 1, 262—265, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 1, 417, pass. 318, შენ. 37.

9 ქ-ცა, I, 16, 150, 242, 252, 253, 270, 278, 311.

ხანაში (VIII—XI სს) ცხადია მუხრანი და ხერკი სამცხეთო ალარ/ იყო და, როგორც ირკვევა, ზედაზნის ციხეზე დამოკიდებული საზღვრო ქვეყანას წარმოადგენდა ქართლსა და კახეთს შორის.

ამ ქვეყნის უშუალო მფლობელი ძაგანის ფეოდალური სახლია, რომელიც, ბუნებრივია, იმავე სულისკვეთებისაა, როგორც ყველა სხვა დიდგვარიან აზნაურთა სახლი. ძაგანის სახლი სამოხელეოდ მიღებული ქვეყნის სამკვიდროდ დაუფლებას ცდილობს და მეფის ხელისუფლების მიმართ ორგული და მზაკვარია.

ასეთია, კერძოდ, ძაგანიც, რომელიც ქართლისა და კახეთის მეფეთა ქიშპისას ამ ფეოდალურ სახლში შემუშავებული ტრადიციული პოლიტიკით, — ორგულობა-მზაკვრობით ცდილობს თავისი სახლის მდგომარეობის შენარჩუნებას.

მაგრამ დავით მეფე განსხვავებული პოლიტიკური მოღვაწეა.

ნიშანდობლივია: თრიალეთის ერისთავ-ბაღვაშების სწორედ ასეთივე „ორგულობა"-„მზაკვრობა" იყო მიზეზი ამ საერისთავოს მოშლისა და მისი სამეფოდ კონფისკაციისა. ასევე ნიშანდობლივია და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შემთხვევით არაა, რომ მუხრან-ხერკის სენიორიის კონფისკაცია დროში თრიალეთის სენიორიის კონფისკაციას ემთხვევა (ქ-ცა I, 326); ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ბაღვაშთა დახასიათება დავითის ისტორიკოსის მიერ (ქ-ცა I, 325—326) და ძაგანისა და მისი სახლის დახასიათება დავითის ანდერძის მიერ არა მარტო აზრობრივად, გამოთქმებითაც კი ერთიმეორეს ემსგავსებიან, რაც შეიძლება იმის მოწმობაც იყოს, რომ დავითის ისტორიკოსი („ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისის" ავტორი) და დავითის ამ „ანდერძის" ფიზიკურად დამწერი ერთი და იგივე პირია... (მ—1,29. ფურც. 1—14).

13. საკვირველია: პ. ინგოროყვა იცნობს აბაზასძეთა მამულს XIV ს. ხერკ-საგურამოს. მან იმავე წყაროთი (შიო მღვიმის საბუთები) არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ეს მამული აბულეთის ძეთა სახლია (შ. მღ. საბ.) ყოფილი.

ცოტაღა რჩება დასკვნისათვის, რომ ეს აბულეთისძენი იმ ძაგანის სახლის შვილებია დავით აღმაშენებლის დროს რომ ჩანს (შ. მღ. საბ.) — ხერკ-საგურამოსი და მუხრანის მფლობელი. XIII ს. სწორედ აქაური აბულეთის ძე ივანე, ერისთავთერისთავი იყო (შ. მღ. საბ-ბი), უნდა ვიფიქროთ, ხერკ-საგურამოს და ყოველი მთიულეთის პატრონი.

როგორ ეგუება ეს ყველაფერი პავლე ინგოროყვას არიშიან რუსთველობას?? (მ—2, 2, ფურც. 48).

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. ვახუშტი, აღწერა, 63

„ხოლო ციხის ძირს ჩამოუდის კ ს ა ნ ი. ოძისამდე არს მ უ ხ რ ა ნ ი ს ა, ოძისის ჩრდილოთ კერძი კ ს ნ ი ს ჭ ე ვ ი ს ა“.

მ უ ხ რ ა ნ ი თ ა ვ ი ს ებ უ რ ი ქ ვ ე ყ უ ა ნ ა ა ი მ ი თ, რ ო მ ი ს ა რ ა ა ჭ ე ვ ი ა ნ ჭ ე ო ბ ა. მართალია მას გამოივლის ნარეკვავი, მაგრამ მუხრანი არაა ნარეკვავის ჭევი: ის არაგვსაც უდგება, მტკვარსაც, ქსანსაც (ირწყვის კი უპირატესად ქსნით, თუმცა მუხრანი ქსნის ხევი მაინც არაა)... (წიგნი 8, ფურც. 67).

[ქ ა რ თ ლ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი]

1. ქ ‘ ცა I, ჯუანშერი, 185_{12}

ვახტანგ მეფის „წ ა რ ჩ ი ნ ებ ულ ნ ი“:

„ჯუანშერ სპასპეტი, მ პ ყ რ ო ბ ე ლ ი შ ი დ ა ქ ა რ თ ლ ი ს ა და მფლობელი ყოველთა ერისთავთა;

დემეტრე, ერისთავი კ ა ხ ე თ ი ს ა და კ უ ხ ე თ ი ს ა:

გ რ ი გ ო ლ, ერისთავი ჰერეთისა;

ნერსარან, ერისთავი ხუნანისა;

ადარნასე, ერისთავი სამ‘ ‘ ‘

2. ქ<ცა I, მატიანე ქართლისა, 258$_5$

„მას ჟამსა გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე, ძმაბიჭ-ლისა და დემეტრესი, ძე ლეონისი; დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე დემეტრესი, და ვითარ გარდაიცვალა გიორგი აფხაზთა მეფე, დარჩა ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერქუა ბაგრატ, რომელი იცნობების ექსორიაქმნილობით. და ცოლმან გიორგი მეფისამან მოკლა ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა. და ეცრუა იგი ივანე მთავარსა შავლიანსა, და შთააგდეს ბაგრატ ზღუასა. ხოლო ღმერთმან განარინა იგი, და მიიწია ქალაქად კონსტანტინეპოლედ“...

ჩიხის ერისთავი აქ ქართლის ერისთავად ხომ არ იგულისხმება? ეს ბაგრატ დემეტრეს ძე იყო გიორგი მეფის ძმისწული. დემეტრე ლეონის ძე გიორგი ლეონის ძემდე მეფობდა აფხაზეთში (მერჩულე და აქვე 261). გიორგი ლეონის ძე ულშვილო ჩანს და ტახტის მემკვიდრედ ბაგრატ დემეტრეს ძე გამოდიოდა. აფხაზთა მეფეებს ამის შემდეგაც ემჩნევათ, რომ უფლისწულებს, ტახტის მემკვიდრეებს, ქართლის მმართველად ნიშნავენ...

მაგრამ საკითხავია რატომ ჩიხას დაუტევა, თუ ის ქართლის მმართველად იგულისხმებოდა და არა უფლისციხეს?..

შეიძლება უფლისციხე არც აუღია გიორგი მეფეს და მან მხოლოდ ქართლის დასავლეთი ნაწილი დაიპყრო?... (მ—2.3. ფურც. 32).

3. ქ<ცა I, მატიანე ქართლისა, 262$_3$

X საუკუნის დამდეგი.

„მას ჟამსა გამოვიდა კოსტანტი, აფხაზთა მეფე, დაიპყრა ქართლი, და ემტერა სომეხთა მეფე სუმბატ ტიეზერაკალი; გამოილაშქრა სპითა დიდითა, და მოადგა უფლის-ციხესა, და მოიღეს პალანკურდანი, აღმოაგეს ზემო-კერძო და წარიღეს ციხე ჭერჭითა. ხოლო კეთილად იმზახნეს სუმბატ და კონტანტი, და უკუმოსცა უფლისციხე და ყოველი ქართლი“.

ეს იყო ის დრო, როცა „ქართლს იპყრობდეს აზნაურნი“. მაგრამ, როგორც ფეოდალებს შეშვენით, ისინი „იყვნეს მტერ ურთიერთას“, ურთიერთს ებრძოდნენ („შეერიათ ბრძოლა“) და, რა თქმა უნდა, საერთო ძალით ვერ გამოდიოდნენ (თუმცა მათი მომხრეობა,

თუ წინააღმდეგობა არსებითი მნიშვნელობისა იყო, ქართლის დაპ-ყრობის საქმეში გარეთ მოსულის მიერ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე გარემოება, რაც აქ ყურადღებას იქცევს, ისაა, რომ თუმცა ქართლი მრავალი ქვეყნისაგან შედგება (ჯევები), რომელ-თაც თითოეულს თავისი მთავარი ჰყავს თავისი ციხით, ერით, სოფლებით, მაგრამ ყველა ჯევი და ქვეყანა ერთი ფასისა არაა და ყველა ციხე ერთი მნიშვნელობისა არაა. უფლისციხის შე-სახებ ლეგენდა მისი უფლოსის მიერ დაარსების შესახებ იმ რეა-ლური მნიშვნელობის ფაქტს ემყარება, რომ ეს ციხე გამაერთია-ნებელი მნიშვნელობისაა. რომ უფლისციხის ფლობა ქართლის (ში-და ქართლის) ფლობას ნიშნავს. როდის მიიღო უფლისციხემ ასეთი მნიშვნელობა, ე. ი. როდის მოხდა ქართლის გაერთიანება ერთ ქვე-ყნად. ეს ცალკე კვლევის საგანია, მაგრამ ჩვენთვის ამჟამად საინ-ტერესო ხანაში რომ უფლისციხე ასეთი ტრადიციების მქონებელი პუნქტია, ეს უეჭველია. ამიტომაცაა, რომ ქართლის ერისთავები, აფხაზთა მეფეთა უფლისწულები, თუ სხვა აფხაზი დიდებულები, აქ უფლისციხეში სხედან და აქედან ახორციელებენ ქართლის პო-ლიტიკურ მმართველობას.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობა (ქრონ. I, 17), რომ არსოკ მცხეთის მეფემ ძველი წელთაღრიცხვის მიწურულს „კასპი შეიპ-ყრა და უფლისციხე განაგო“ გასაგებია არა ისე, თითქო ეს პუნქტე-ბი ამ დრომდე არ არსებულიყვნენ (ამის წინააღმდეგია ყველა ჩვე-ნება), არამედ ისე, რომ ეს ცენტრები ამ შიდა ქართლში დიდი ხა-ნია არსებობდნენ, და არსოკ მეფემ მცხეთის („ქართლის“) უფლება გაავრცელა შიდა ქართლზე. შეიძლება ეს იმის მაჩვენებელი მონა-გონარი იყოს, თუ როგორ გავრცელდა ქართლი, როგორ მოიქცია თავის ჰეგემონობის ქვეშ ზენა სოფელი და საფიქრებელია, მისცა სახელი ქართლი... (მ—2, 7. ფურც. 61).

4. ქ^ცა I, მატიანე ქართლისა, 272_5

„...და რაჟამს აღესრულა დემეტრე მეფე, იხილეს ყოველთა მკვდრთა ქვეყანისათა, რომელ არღარა დარჩა მ კ ვ დ რ ი ა ფ ხ ა-ზ ე თ ი ს ა და ქ ა რ თ ლ ი ს ა, გამოიყვანეს თეოდოსი, და დასუ-ეს მეფედ.

მაშინ მოვიდეს კახნი და მოადგეს უფლისციხესა. და იყო მათ ჟამსა ერისთავი ქართლისა ივანე მარუშის-ძე, კაცი ძლიერი და ერ-მრავალი. ამან წარავლინა მოციქული წინაშე დავით კურაპალა-ტისა; აწვა, რათა გამოილაშქროს ძალითა მისითა, აღიღოს ქართ-

ლი: ანუ დაიმჭიროს თჳთ, ანუ უბოძოს ბაგრატს, ძესა გურგენისსა, ასულის წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსა [illegible] ღულად აფხაზეთი და ქართლი. ესევე ივანე მარუშის ძე [illegible] ბაგრატს მეფედ".

ეს ქართლის ერისთავი უფლისციხეში ზის.

იოანე მარუშის ძე დასავლეთ საქართველოდანაა, შეიძლება — ჩიხადან: „კაცი ძლიერი და ერმრავალი" უფრო უდგება ჩიხის ერისთავს (258). ჩიხა ხომ საერისთავო სადგომი იყო ქართლის მეზობლად (თუ ქართლში შემავალი?) (მ—2, 3. ფურც. 31).

5. ქ^ცა I, მატიანე ქართლისა, 298_{21}

ბაგრატ მეოთხე ლიპარიტ ბალვაშს დაეზავა, „უბოძა მეფემან ქართლის ერისთაობა". უნდა ვიფიქროთ მასვე უბოძა საერისთავო საჯდომი უფლისციხე.

აქამდე ქართლის ერისთავი ივანე აბაზას ძე იყო. ამ ნიადაგზე განაწყენებული აბაზაძენი (ხუთნი ძმანი) დიდხანს ებრძოდნენ ბაგრატ მეფეს და მეფის ხელთ გდებაც კი განეზრახათ, ვიდრე ბაგრატს ბედმა არ გაუღიმა და მებრძოლი აბაზაძენი ხელთ არ იგდო (ერედვის წარწერა, გიორგი ნთაწმინდელის ცხოვრება...). ცხადია, ეს დიდგვარიანი აბაზაძენი მეფის რაიმე ჭელის მატარებელნი აღარ არიან და მრავალი წლის განმავლობაში ახერხებენ მეფის აშკარა მტრად იყვნენ. რა თქმა უნდა, ასეთი რამ ციხისა და ერის გარეშე არ შეიძლება... ჩანს აბაზაძეებს აქვთ ასეთი ციხე (ლიახვის ხეობაში) და ჰყავთ ერი — ჭევიდან გამომავალი მოლაშქრენი (მ—2,11. ფურც. 3).

6. ქრონ. II, 142—143, „რკონის დაწერილი"

„მეექუსესა პატრიარქისა და ქ^ეს მიერ ყოვლისა საქართველოს კ^ზი ნიკოლოზ"...

„მე ქ^ეს მიერ ქართლისა მთავარეპისკოპოსი გიორგი დავამტკიცებ".

როგორ იყო, რომ ქართლის მთავარეპისკოპოსის სამწყსო შიდა ქართლის ბარის ერთი ნაწილი იყო? როგორ უნდა აიხსნას, რომ მცხეთის საქონებელი საკათალიკოსო უპირატესად მტკვრის მარჯვენა მხარეს იყო?

რით აიხსნება, რომ მტკვრის მარცხენა მხარესაა სულ ეს საეპისკოპოსოები: წილკნელი, სამთავნელი, რუისელი, ურბნისელი, ნი-

ქოზელი და სამთავარეპისკოპოსო, ხოლო მტკვრის მარჯვენა ... არც ერთი? ხომ არ იყო ისე, რომ ეს საეპისკოპოსოები მ... ბით გაჩნდნენ? რუისი, ნიქოზი და წილკანი თითქო მართლაც მოგვიანებით უნდა გაჩენილიყვნენ იმისდა კვალად, თუ როგორ და რამდენად მიიწევდა ქრისტიანობა მთიანეთში (ალბათ სამთავისიც ასე...) რეხულას ხეობაში არმაზი (VIII-IX ს) შეიძლება იმის მოწმობა იყოს, რომ იმ დროს სამთავნელის საეპისკოპოსო ჯერ კიდევ არაა...

ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად მცხეთიდან ურბნისამდე მტკვრის მარცხენა მხარე სამთავარეპისკოპოსო იყო. ურბნისი ძველიდანვე უნდა არსებულიყო და მისი სამწყსოც გარკვეულია: ურბნისს ზემოთი ქვეყანა მტკვრის მარცხენა სანაპირო ქართლი (6, 4. ფურც. 16).

7. „სიონის ერისთავი" თავისდათავად შესაძლებელია ქართულადაც არსებულიყო. ხევი მთიულეთისაგან გამოყოფილი ცალკე ადმინისტრაციული ერთეული უნდა ყოფილიყო. ეს ვგონებ ძეგლის დებითაც არის საგულისხმებელი... ხევის მმართველის ადგილსამყოფელი კი უეჭველად სიონი უნდა ყოფილიყო (შდრ: ხორნაბუჯის ერისთავი, პანკისის ერისთავი, შორაპნის ერისთავი. რაჭის (ნიკორწმინდის) ერისთავი... და სრულიად ბუნებრივად: მას შემდეგ, რაც არაგვის ერისთავმა ხელთ იგდო ხევის საერისთავოც, იქ ადგილობრივ და ჩრდილოეთის მეზობლებში მას ძველივე სახელი სიონის ერისთავი შერჩა, საქართველოში კი ისევ არაგვის ერისთავი დარჩა... იხ. ძეგლის დადება. § მგ. (წიგნი 38, ფურც. 2).

8. 1783 წელს ერეკლე სწერს ამილახორს რევაზს: „ახლა ასე გამტკიცებთ მისწერე ყოველგან სადაც მწერლები იყვნენ გალმა თუ გამოლმა საერისთაოებსა თუ ქართლში". „ქართლში" საერისთაოები არ შედის (მ—2, 19. ფურც. 119).

~~ქართველი ერის~~ ეთნიკური განვითარებისათვის

[ქართველური ტომები ფინაფეოდალურ ხანაში]

1. მაკლია: შეღწევა და შემოღწევა საზღვრის პირიდან კლასობრივი ურთიერთობის, ან სამხედრო დემოკრატიის პირობებში...

ომები, ჭირი ანადგურებს, ასუსტებს ერთ მხარეს: პროკოპი, გურია, ქ"ცა (ცლარჯეთი)... შეაღწევს უფრო ორგანიზებული

(სამხედრო დემოკრატიის ხანაში), კლასობრივად უფრო განვითარებული (უფრო გვიან) იმარჯვებს. უფრო დაწინაურებული — ანუ ... სობრივად შეღწეული მოახდენს დამხვდურის ასიმილაციას მით უფრო სწრაფად, რაც უფრო დასუსტებულია რიცხობრივად დამხვდური... ყოველი შესახლებისას ორი შესაძლებლობაა: ან მოსულს ინელებს დამხვდური (თუ ის მეურნეობრივად უფრო ძლიერია, უფრო კულტურულია), ან დამხვდურს ინელებს მოსული, თუ დამხვდური რიცხობრივად მცირეა ხოლო მეურნეობრივად სუსტი...

ეთნიკური განვითარება საზოგადოებრივი განვითარების შესაფერისი მოვლენაა.

ფეოდალიზმამდელი ქართლის ეთნიკური განვითარება იმაში გამოიხატა, რომ ქვეყანა ქართლი გაფართოვდა, მეზობელი ქართველური, თუ არაქართველური მოდგმის ტომები დაიმორჩილა. ზეგანსაც შეუტია და ისე ძლიერად, რომ რომელიმე სტრაბონი ამ ზეგნელებში იბერიელებს, ოღონდ მთიელ იბერიელებს ხედავს (თუმცა მათ მონათესაობას სარმატ-სკვითებთან აღნიშნავს აგრეთვე). შეუტია აღმოსავლეთით (კახეთისა და ჰერეთის საკითხები), შეუტია სამხრეთ-დასავლეთით (ფარსმანის სამეფო), შეუტია დასავლეთით (არგვეთი) ეს იყო ადრემონათმფლობელურ (სამხედრო დემოკრატიის უკანასკნელი საფეხური) ხანაში...

ეთნიკური განვითარების შემდგომი ეტაპი ესაა ფეოდალური ქართლის დადგინების ხანა: სამხედრო დემოკრატიის დროს დამორჩილებული ტომების შემდგომი დამორჩილება და ექსპანსიის კიდევ უფრო გავრცელება. ფეოდალური ურთიერთობა (კლასთა ბრძოლა) ხელს უწყობს მოსახლეობის ურთიერთთან დაახლოებას, შერწყმას თუმცა სრულ ასიმილაციამდე (გაქართებამდე) ჯერ შორსაა. ტომები მეტ-ნაკლებად თავის ინდივიდუალობას ინახავენ იმისდა კვალად, თუ რა ძალისანი არიან (სიმრავლე, კულტურული დონე და სხვა). ფეოდალური კლასი ქართველდება, მწარმოებელი საზოგადოება თავს ინახავს... (საკუთრივ სამეგრელო, სვანეთი, აფხაზეთი).

ქართლის (=„საქართველო") ცნებაში (თვით ტერმინი საქართველო ეთნიკური განვითარების აღმნიშვნელია) ახლა უკვე დიდი ეთნიკური ქვეყანა მოიხაზა — კულტურულად ქართლი, ფეოდალური განვითარებით ქართლი, სარწმუნოებით ქართლი

(ქალკედონიტი). ახლა, ამ თვალსაზრისით, ოდიში, აფხაზეთი, სვანეთი, ფხოვი, ჰერი, სომხითი, ყველა ქართლია...

ქართველი ერის ეთნიკური განვითარება ყველა ამაში საბოლოოდ გაქართებას ჰგულისხმობდა... მაგრამ საქართველოს ეთნიკური განვითარება შეფერხდა მის საზოგადოებრივ განვითარების შეფერხებისდა შესაფერისად... და ტომობრიობამ ჯერ კიდევ საბოლოოდ დაუძლეველმა თავი იჩინა: ოდიში, აფხაზეთი...

ეს საკითხი არც ადვილად გასაგებ საკითხთაგანია საქართველოს ისტორიისა. მოკლე განცხადებებს, როცა მას შესაფერისი მეცნიერული არგუმენტაცია არ ახლავს, შეიძლება მხოლოდ სამწუხარო გაუგებრობანი მოჰყვეს. ამიტომ მეც ამ ხელად თავს ვიკავებ იმ იმედით, რომ ერთხელ იქნება ამ პრობლემებს საგულდაგულოდ შევეჭიდები.

ორი ეთნოსის შეხვედრისას ceteris paribus იმარჯვებს ის, ვინც მოწინავეა, უფრო პროგრესულია, უფრო კულტურულია, ვინც დროის შესაფერის მოწინავე იდეების განხორციელებას წარმოადგენს, ვინც პროგრესის განსახიერებაა.

ასე რომ, როცა ვხედავთ, რომ ადრე საშუალ საუკუნეებში და მასზე ადრეც ქართის ტომი იმარჯვებს, რომ მისი ეთნიკური განვითარება დიდის წარმატებით მიმდინარეობს მეზობელ მონათესავე, თუ არამონათესავე ტომებზე, რომ ქართის ტომი უდგას სათავეში ახალი ეთნიკური წარმონაქმნის ინიციატივას, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართლი განვითარების გზით მოწინავეა, რომ ქართლი ახალი ფორმაციის განსახიერების გზით სხვებს წინ უსწრებს. ასე, რომ ქართლის ასეთი ეთნიკური წარმატებანი მისი როლის უპირატესობის შედეგი კი არაა კოლხურ ცულზე (როგორც ამას ბ. კუფტინი ფიქრობდა) და არც მისტიკური ნიჭიერების შედეგია (როგორც ამას კაკაბაძე ფიქრობდა), არამედ შედეგია ქართლის დაწინაურებულობისა სამეურნეო-პოლიტიკური, თუ სოციალური განვითარების ასპარეზზე... ამიტომ სტოვებენ ქართის მეზობლობაში თავის მეობას და ქართისას იზიარებენ და არა იმიტომ, რომ ქართი ტომობრივად (რიცხვით) უფრო ძლიერია თავის მეზობელზე...

ისტორიული მოწმობანი, ისტორიულ-გეოგრაფიული დაკვირვებანი, არქეოლოგიური მონაცემები, სარწმუნო მასალას იძლევა ტომების განლაგებისას კავკასიაში, ამ ტომების ურთიერთობისას. გარკვეულ ხანაში, საზოგადოებრივი განვითარების გარკვე-

ულ პერიოდში, ბარში ყალიბდება ერთეული, რომელიც წინ უსწ-
რებს მეზობელ ერთეულებს მეურნეობით, ორგანიზაციულად, ეფე-
ტურულად. სხვადასხვა ხელსაყრელ პირობათა ხელის შეწყობით,
ეს ერთეული გავლენას მოიპოვებს ნაკლებად ხელშეწყობილს,
ნაკლებად განვითარებულ მეზობლებზე და თანდათან ისინი თავის
ამ ერთეულში შემოყავს. ყალიბდება ძლიერი პოლიტიკური ორგა-
ნიზაციები. გარკვეული ხანისათვის ამიერკავკასიაში ოთხი ასეთი
ერთეულის არსებობა საყოველთაოდ ცნობილია... მაგრამ პროცესი
შემდგომი შერწყმისა ამის შემდეგაც გრძელდებოდა, სხვადასხვა სა-
ხით თავს იჩენდა, განსაკუთრებით ამ ორგანიზაციათა ტერტორიული
შეხების ზოლში (გუგარეთი, არგვეთი, ჰერეთ-კამბეჩანი). ჩვენ არ
მოგვეპოვება არც ერთი ცნობა იმის შესახებ, რომ ამ სასაზღვრო
ზოლში მოსახლეობა ომით შეცვლილიყო... შედეგი კი თვალსაჩი-
ნოა: არგვეთი, ჰერეთ-კამბეჩანი გაქართდა, გუგარეთის შესახებ
მოგვეპოვება მოწმობანი მისი პოლიტიკური მონაცვლეობის შესა-
ხებ, ხან ქართლის, ხან სომხეთის საზღვრებში... (მ—3,1. ფურც.
1—3).

2. Марр, Грамматика чанского (лазского) языка.

Предисловие

გვ. XIII

«...Нет лаза, говорившего вообще на лазском или чанском языке. Современный лаз способен говорить лишь на каком-либо чанском говоре, в лучшем случае наречии, но никогда на чанском языке, так как при отсутствии чанской литературы, при отсутствии общей родной культурной или политической жизни нет и языка обще-чанского. Когда я старался, пользуясь средствами различных чанских наречий и говоров, вести беседу на чистом чанском языке, без примеси турецких заимствований, меня не понимали».

ეს მოსაზრება ფრიად საინტერესოა. ის მოცემულ ნაწილში სწორიცაა, მაგრამ აქვე ისმის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი იმის შესახებ თუ სად და როდის არსებობდა ის რეალური პირობა, როცა წარმოიშვა ეს „обще-чанский язык". ან, შეიძლება, ასეთი რამ არასოდეს არსებულა, მით უფრო — მეგრულ-ჭანური? ან უკეთ იმ სახის „обще-чанский" არასოდეს არსებულა, როგორსაც მარი „აღადგენდა" სხვადასხვა დიალექტებისა და თქმების მოშველიე-

ბით?.... სწორია დებულება, რომ „საერთო“ ენა ეწინააღმდეგ-
ლება ჰქონდეს იმ კოლექტივს, რომელსაც
საერთო ცხოვრება აქვს „პოლიტიკური“,
„კულტურული“ (მარის გამოთქმით), უფრო სწორად კი —
საწარმოო ძალთა განვითარების შესაბამისი კოლექტივი... რა ოდენობის შეიძლება იყოს ასეთი კოლექტივი, ამის განსაზღვრა ძნელია, მაგრამ რომ მისი სიდიდე-სიმცირე უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია იმავე საწარმოო ძალთა განვითარებაზე, — ეს უდავოა. ასე, რომ ასეთი კოლექტივის რიცხვმრავლობა, ceteris paribus, პირდაპირპროპორციულია მისი საწარმოო ძალთა განვითარებისა. მაშასადამე ეს კოლექტივი (და ასეთი კოლექტივები) რაც უფრო ადრე, მით უფრო მცირე წარმოიდგინება, ხოლო კოლექტივთა რიცხვი მით უფრო მრავალი... სადღა არის ადგილი იმ общечанский язык-ისათვის? საზოგადოების განვითარების ნელი ტემპი, საწარმოო ძალთა ნელი განვითარებით შეპირობებული, იძლევა შესაძლებლობას მცირე კოლექტივში ძველისძველად შემუშავებული ენა (პრაენა) მცირედ განიცდიდეს ცვლილებას ამ კოლექტივის დერივაციის შედეგად წარმოშობილ ახალ კოლექტივებში. და იქმნება სინამდვილე, როცა ამა თუ იმ რაიონის საკმაოდ ფართო ტერიტორიაზე ასეთი „საერთო“ ენაა გავრცელებული. მაგრამ რაგინდ ნელი არ არის ეს განვითარება, მრავალ საუკუნეთა მანძილზე ის შესანიშნავ შედეგებს იძლევა: იქმნება ახალი თქმები, კილოები და, ბოლოს, საკუთარი ენები...

(კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების სიძლიერე ისეთი არაა, რომ ამ ენების განვითარება შეაფერხოს, შეაჩეროს...).

მაგრამ ეს ყველაფერი შეეფერება საზოგადოების განვითარების ტომობრივ ორგანიზაციას, გვაროვნული წყობილების ხანას. სხვა ვითარება იქმნება მას შემდეგ, რაც საზოგადოება გამოდის განვითარების ამ საფეხურიდან და კლასობრივ ურთიერთობაში შედის. აქ უკვე სატომო ენების განვითარების პროცესი ახალი გარემოებით იტვირთება. ტომების მიერ ტომთა დაპყრობა ფართო ხასიათს ღებულობს. ამას მოითხოვს საწარმოო ძალთა განვითარების შედარებით მაღალი დონე.

მიმდინარეობს ახლო მონათესავე ენათა კონსოლიდაცია, უფრო დაშორებულ ენათა ასიმილაცია. იქმნება პირობები ერთი ენის გავრცელებისა შედარებით ვრცელ ტერიტორიაზე. საერთო მწერლობა, საერთო პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება ზღუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავს დიალექტების თავისუფალ განვითარებას და ქმნის პირობებს საერთო ენის განვითარებისათვის... ეს საერთო ენა ალბათ ტომთა ენა, ის ამა თუ იმ ტომის ენის საფუძველზე შემუშავებული, შესაფერისად გართულებული, გამდიდრებული და ახალი ურთიერთობისათვის შეგუებული ენაა ხალხის.

ასეთია პროცესი. ენა ხომ საზოგადოებრივი ურთიერთობის იარაღია. რაც უფრო დაბალია (პრიმიტიულია) საზოგადოება, მისი შესაფერისია ენაც. ტომთა სიმრავლე ასეთ ენათა სიმრავლეს გულისხმობს. ტომი ენის საფუძველზე კი არ წარმოიქმნება, არამედ, პირიქით, ენა წარმოიქმნება ტომის საფუძველზე: ტომი სოციალური გაერთიანებაა სათანადო საწარმოო ძალთა განვითარების საფუძველზე წარმოშობილი, ენა კი ამ ტომის წევრთა ურთიერთობის საშუალებაა. რაგინდ ახლოს არ იდგნენ ურთიერთთან მონათესავე ტომთა ენები, თუნდაც ისინი სრულიად იდენტური იყვნენ მაინც სხვადასხვა ტომების ენებია, რომელთაც აუცილებლად დასჩემდებათ თავისებურება, სხვებურობა, ურთიერთისაგან დაცილება და ბოლოს სხვადასხვა ენად ქცევა (თუ მოასწრეს).

ასე რომ სიმრავლე ამ პრიმიტიულ ენათა უცილობელია, მათი საზოგადოებრივი გავრცელება ტომის საზღვრებს არ გადასცილდება. საგვარეულო წესწყობილება ამაზე უფრო განვითარების, გავრცელების საშუალებას სატომო ენებს არ აძლევს. ამ ენების შემდგომი გავრცელება უკვე კლასობრივ საზოგადოებაში ხდება, როცა ამა თუ იმ ტომის ენის საფუძველზე სახალხო ენა წარმოიშვება. ამიტომ არაა სწორი შეხედულება თითქო ძველად, საგვარეულო წყობილების პირობებში, ტომთა არსებობის პირობებში იყო საერთო-სახალხო ენა და შემდეგ, გვიან მოხდა ამ საერთო ენის საფუძველზე მისგან გამოყოფის გზით ახალი ენების განვითარება...

შეცდომაა, თითქოს ის უძველესი საერთო ენა, საიდანაც განვითარდა ქართული, მეგრული, სვანური იყო წინარექართული. არა: ის ამდენადვე იყო წინარემეგრული და წინარესვანური (წიგნი 45, ფურც. 6—8).

3. თუ აღმოჩნდებოდა რომ სვანური (დღემდე ცოცხალი) იანი (დებორიანი, ხვედელიანი, დადიანი) და მეგრული ია (=იანი) ერ-

თობაშივე შემუშავებული ფორმანტებია და არა ნაგვიანევი ენა (სვანურისა მეგრულზე), ეს იმის მოწმობად შეიძლებოდა გამხდარიყო, რომ ორივე ამ ქართველურმა ტომმა ერთად განვლო ის ხანა, როცა გვარში ინდივიდუმი ყალიბდებოდა, როცა ინდივიდუმი, მართალია, ჯერ ისევ გვარშივე რჩებოდა, მაგრამ გვაროვნული ნიშნის გვერდით ინდივიდუალური ნიშნითაც ხასიათდებოდა. მაშინ მეგრული ვ.ა, შ ი (ბაღვაში), ს კ ი რ ი (ამენელაჲსძე — ამუნასკირი) ამ ტომების გათიშვის შემდეგ წარმოშობილა... (როგორაა ჭანურში — თ ი, შ ი). ქართულში ამათი შესატყვისები — უ რ ი, — ელი, — სი, ძე და შვილი ჩანს. ხომ არ გამოდგებოდა ეს მოვლენა იმის მაჩვენებლად, რომ გ ვ ა რ ო ვ ნ უ ლ ი წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ტ ო მ ე ბ შ ი რ ო მ ი რ ღ ვ ე ო დ ა, ამ დ რ ო ს ე ს ტ ო მ ე ბ ი ე ნ ო ბ რ ი ვ ა დ უ კ ვ ე უ რ თ ი ე რ თ ი ს ა გ ა ნ დ ა შ ო რ ე ბ უ ლ ი ი ყ ვ ნ ე ნ და, რომ მეგრულ-სვანური ტომები უფრო გვიან გაეთიშნენ ურთიერთს, ვიდრე ქართულ-მეგრული, ან ქართულ-სვანური?... (მ—2,19. ფურც. 35).

4. ლაზიკის პატრიკიოსი VII საუკუნისა იმის მოწმობაა, რომ ამ დროს ლაზიკას ჩამოცილებული არიან ყველა ძველი ქვეშევრდომი ქვეყნები (აბასგია — აფშილია, მისიმიანები, სვანია, სკვიმნია), რომ ლაზიკა ისეთივე საერისთავო არის (პატრიკიოსი = ერისთავი) როგორც აბასგია, სვანია, სკვმნია...

თუ კუფტინ-მელიქიშვილის აზრს ქართველი ტომების კავკასიაში ავტოქტონობის შესახებ გავიზიარებთ (და ეს სწორია), მაშინ ასევე უნდა გავიზიაროთ აზრი სხვა არაქართველ ტომების ავტოქტონობის შესახებ: ისტორიულ გეოგრაფიული დაკვირვებით (ტოპონიმიკა) უცილობლად ჩანს, რომ ეს არაქართველური მოდგმის ტომები თუ უწინარესნი არ არიან, არავითარ შემთხვევაში უფრო ნაგვიანევად გაჩენილი არ არიან ამ ტერიტორიაზე. ქართულ-ქართველური სახელები სცვლიან, ან ამოდიფიცირებენ არაქართველურ სახელებს (ადგილთა) და არა გვაქვს არც ერთი შემთხვევა პირუკუ. აქამდე ამას ხსნიდნენ ადრე მოსვლით (არაქართველური) და გვიან მოსვლით (ქართულ—ქართველური), ადრე მოსულის წასვლით და ქართველების აქ დამკვიდრებით... ახლა კი, ქართველი ტომების ავტოქტონობის აღიარებით, უნდა დავუშვათ არაქართველთა ავტოქტონობაც. ბრძოლა ამ ტომებს შორის და ქართველი ტომების გამარჯვება (ასიმილაცია, განდევნა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამახასიათებელი ჩვენებაა ქსნის ერისთავთა გადმოცემაში მათი გაძლიერება (თითქმის გახელმწიფება) იუსტინიანეს საქმე იყო... „იუსტინიანე“ აქ ბიზანტიის პოლიტიკის განსახიერებაა... და ეს ფაქტი მართლაც შეიძლებოდა ყოფილიყო რომელიმე VII საუკუნეში არაბთა მიერ დაპყრობამდე, როცა ბიზანტიელები აგრე წარმატებით ახორციელებდნენ იუსტინიანეს პოლიტიკას მთელს კავკასიაში... მათ პოლიტიკაში შედიოდა მთიელი ტომების მიზიდვა-მიმხრობა: აბაზგები, სვანები (ალბათ), ქსნის ხევი და სხვებიც ალბათ... (მ—2,3. ფურც. 200).

5. ეთნიკურ მომენტზე პირდაპირი მითითებების შემცველ საგეოგრაფიო სახელთა ეს სიმრავლე და სიჭრელე, ისტორიული საქართველოს ტოპონიმიკას რომ ახასიათებს (ჩვენ აქ განზრახ არ გამოუდგებით სხვა რიგის სახელების მოტანას — მდინარეების, მთების, ხეობების და სხვ., რომელნიც არანაკლების დამაჯერებლობით მოწმობენ ამა თუ იმ ტომის ნაკვალევს), იმის მოწმობა კი არ არის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ოდესმე მხოლოდ უცხო მოდგმის ტომები ბინადრობდნენ, ხოლო ქართველები გვიან მოვიდნენ, როგორც ამას ამ ნახევარი საუკუნის წინ ფიქრობდნენ, არამედ იმის მოწმობაა, რომ ამ უცხო მოდგმის ტომების გვერდით ქართველური ტომებიც ცხოვრობდნენ.

ქართი ქართლიდან (არმაზიდან) ისევე ფხოვი ფხოვენიდან (ფხვენისიდან), ან წოვა წობენიდან, ან ზანი საზანოდან და ალვანი (ჰერი) ალვანიდან, ან ჭანი ჭანიეთიდან, ან მარგველი არგვეთიდან, ან ეგრი ერკეთიდან, ან მუსხი სამცხიდან, ან მესხნი მცხეთიდან, ან თუში თუშეთიდან, ან კასხები კასპიდან. არსად წასულან, არამედ იქვე დარჩნენ და დროთა განმავლობაში ქართიზაცია განიცადეს.

როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული დაკვირვებანი, ისევე ჩვენი არქეოლოგია დღეს საკმაო საფუძველს იძლევიან იმისათვის, რომ ვამტკიცოთ: ქართველური და არაქართველური მოდგმის ტომები მრავალ საუკუნეთა მანძილზე თანაარსებობდნენ ამ ტერიტორიაზე, ურთიერთს მეზობლობდნენ, ურთიერთს ებრძოდნენ და რომ ეს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული პროცესი საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე დამთავრდა ამ ტომთა გაერთიანებით, ქართის ტომის ჰეგემონობით და ამ ტომთა თანდათანი ასიმილაციით. (მ—2,6. ფურც. 147—148).

6. მარტო ის გარემოებაც კი, რომლის შესახებაც არ დაობენ,

რომ ქართულ-ქართველურ, თუ კავკასიურ ენებში სოციალურ-წოდებრივი ტერმინები ტომთა სახელწოდებისაგან არის ნაწარმოები (ვ ა რ გ ი. აამსთა, გ ლ ე ხ ი. ერი, გურზიაკ, ჩაჩანი, ბ ე ნ ი. ბ ე ნ ი. საკა) საკმაო მოწმობაა, რომ „მოძმე“ ტომებს შორის მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობდა იმ დროს, განსაკუთრებით, როცა კლასობრივი საზოგადოება ყალიბდებოდა ამ ტომებში.

კოლხეთი რომ სახელმწიფო ყოფილიყო, ისე როგორც ეგრისი იყო გვიან, ის არც აგრე ადვილად გაქრებოდა და ტომები, რომელნიც ასე თავშემონახული აღმოჩნდა კოლხეთის დაშლის შემდეგ, გაითქვიფებოდნენ კოლხთა სახელმწიფოში. ეს იყო ტომთა დიდი გაერთიანება კოლხთა მეთაურობით. სულ სხვა რიგის გაერთიანება იყო ეგრისი ჩვენი დროის მეოთხე საუკუნისა. ეს უკვე ხალხი იყო, სადაც ეგრები პირველობდნენ და მეზობელ ტომების ასიმილაციას აწარმოებდნენ, იქმნებოდა მეგრული ხალხი, რომელსაც ახსოვდა კოლხეთის მორჭმულობა, პოლიტიკური ძლიერება და თავი მის მემკვიდრედ მოჰქონდა. მაგრამ ამავე დროს მიმდინარეობდა მეორე პროცესი: ქართის ტომის გაძლიერების, მისი ხალხად ქცევის ვითარებაში ქართი წინ მიიწევდა აღმოსავლეთით, დასავლეთით და იქაურ ტომების ქართიზაციას ახერხებდა. არგვეთი და რაჭა, სამოქალაქო და ვაკე, გურია და აჭარა თუ მეგრელები არ იყვნენ, ზანები მაინც იყვნენ, ე. ი. დასავლურ ქართველური ტომები, რომლებიც გათქვიფა და შეიერთა ქართის ტომმა. უძველესი დროიდან ვიდრე ჩვენი წ. ა. VII—VIII საუკუნეებამდე (და შემდეგაც) მიმდინარეობდა ეს პროცესი („მერჩული“ — 9. ფურც. 111—112).

7. თუ როგორ ბრძოლით, ურთიერთის შევიწროებით, ურთიერთის გადაყლაპვით (მთლიანად თუ ნაწილობრივ) ცხოვრობდნენ ეს „მოძმე“ (იაფეტიანური) ტომები, კარგად ჩანს მათი გადარჩენილი სახელებიდან და დღემდე მოღწეული განსახლების სურათიდან (მარის შრომები ამის უხვ მასალას იძლევიან). კარგად ჩანს, თუ როგორი „ძმობა“ სუფევდა მათ შორის. მედგარი და უწყვეტი ბრძოლის შედეგად იყო, რომ ტომი წინაურდებოდა, ტომთა გამაერთიანებლის როლში გამოდიოდა, შემდეგ მას სხვა ტომი სცვლიდა და ჰეგემონობას იჩემებდა...

კოლხი და მის წინ, ფიქრობენ, სხვები (ქაშაგი, ჩარგაზი), ლაზი, ზანი, ეგრი, გური, სვანი, ლეჩხუმი, არგვეთი და სხვანი, აფშილი, აფხაზი, სანიგი, ჯიქი და რამდენიმე სხვა ერთიმეორეს მეზობლობდნენ, ებრძოდნენ (და მხოლოდ შორაპანი და სკანდა როდია

ამ ბრძოლის ნიშანი... თუ შევისწავლით ვიპოვით ასეთ ნიშნებს... და ან როგორ შეიძლება საწინააღმდეგოს წარმოდგენა, მონათესავეობის საფუძველზე დედაშვილობით დათმობა, გაქრობა, დამორჩილება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ თავიდან ბოლომდე არა, მის დიდ ნაწილში გასაზიარებელია მარის მიერ პირველად გამოთქმული მეცნიერული მოსაზრება, რომ კავკასიაში კლასობრივი საზოგადოების სხვადასხვა წოდებანი სატომო სახელებისაგან არის ნაწარმოები (გლეხი, ვარგი, აამსთა შინაკანი და სხვ.) და როგორ წარმოუდგენიათ ეს პროცესი „მონათესავეობის თეორიის" მომხრეებს: ვითომ ეს დედაშვილური სიამტკბილობის პირობებში ხდებოდა და არა უსასტიკესი ბრძოლის ნიადაგზე? ვით მოისურვა კოლხმა გლეხობა, ან როგორ დაუთმეს აამსთას პრივილეგიები, ან როგორ იქცა შინი შინაკანად? განა ყველა ეს და ასეთი ფაქტები ბრძოლის, დაძლევის, მიმძლავრების გარეშე წარმოიდგინება („მერჩულე" — 6, ფურც. 4—5).

8. ეს საკითხი მესხეთის თუ დას. საქართველოს ქართიზაციისა ფრიად დიდი მნიშვნელობის საკითხია... არქეოლოგიური თუ ისტორიულ ტოპონიმიკური მონაცემები და წერილობითი ცნობები თითქო თანხმობით მოწმობენ, რომ გარკვეულ დროს (შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანაში) აწინდელი ტაო-კლარჯეთის, სამცხის და თვით შიდა ქართლის დიდი (დასავლეთი) ნაწილი მეგრულ-ჭანური ტომების საცხოვრისს წარმოადგენდა აღმოსავლურ ქართული ტომების გვერდით. ბრინჯაოს კულტურის ნარევობა, ამ ადგილებში რომ მეტნაკლები ინტენსივობით შეინიშნება, შედეგია არა ქვეყნობით გამიჯნული ტომების კულტურული ურთიერთობისა, როგორც ეს დღემდე მეცნიერულ დებულებად ითვლება, არამედ ამ ტომთა (დასავლურ და აღმოსავლურ) ერთ ტერიტორიაზე თანაცხოვრებისა და ბრძოლისა. ამის მოწმობაა ამ მხარეების ტოპონიმიკა, საიდანაც უდავოდ მტკიცდება ამ მხარეებში მეგრულ-ლაზური ენის მატარებელ ტომთა ნაკვალევი (ამისივე ნიშანია „მცხეთა", „მოსოქიც"). შემდგომი დაკვირვება იმასაც გვიღასტურებს, თუ სად იყო ამ დროს წმინდა (არანარევი) ქართული ტომების სამკვიდრო (ისევე როგორც წმინდა მეგრულ-ჭანური ტომების სამკვიდრო საკუთრივ დას. საქართველო იყო). ეს უნდა ყოფილიყო აწინდელი ქვემო ქართლი (გარდაბანი, გუგარეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი) და მისი მიმდგომი მხარეები ლენინაკან-

ყარსის მიმართულებით... და აი, მიმდინარეობდა ბრძოლა (შერწყმა) ამ ნარევი ტომების ტერიტორიაზე, რაც, როგორც ჩანს, ბოლოდ რკინის ხანაში დასრულდა ქართის ტომების გამარჯვებით. ამ მთელი ეს სადავო ქვეყნები იბერიაში (ქართლში) შევიდა. ამ დროს ეწოდა ბერძნების მიერ მთელ ამ მხარეს იბერია, როცა ის (მხარე) უკვე გაქართებულია განხვავებით ლაზიკისაგან, სადაც მეგრულ-ჭანური მოსახლეობა ძირითადად შემორჩა. ამ გარემოებამ შეიყვანა ნ. მარი შეცდომაში, როცა ის მეგრელ-ჭანებს იბერებს უწოდებს. მას შეცდომით ჰგონია, რომ შავშეთ-კლარჯეთ-ტაოში (ისევე ალბათ, როგორც სამცხეში) მეგრულ-ჭანური ენის მატარებელი ტომები სახლობენ მაშინ, როცა ბერძნებმა მათ იბერია უწოდეს. ნამდვილად კი ეს პროცესი ამ დროისათვის დიდის ხნის დასრულებული იყო... („მერჩულე" — წიგნი. ფურც. 34—36).

[„ერი", „ნათესავი", „ქართველთა ნათესავი"]

1. ჰ ა ბ ო, 59_{12}

„მაშინ, ვითარცა ეუწყა მთავარსა მას აფხაზეთისასა ნეტარისა ჰაბოჲსთჳს რამეთუ ახალ ნათელ-ღებულ არს, განიხარა ფრიად ქ ო ვ ლ ი თ ე რ ი თ მ ი ს ი თ უ რ თ".

უეჭველია „ერი" აქ ნიშნავს ხალხს და არამარტო მხეღრობას, ნიშნავს სიმრავლეს ამ მთავრის გარშემო ხალხისასა, მაგრამ ეს არაა მთელი აფხაზი ხალხი, აფხაზთა ნათესავი... მთავრის ამ ერში შეიძლება აფხაზების გვერდით სხვებიც, არააფხაზებიც იყვნენ...

საინტერესო შეიძლება გამოდგეს თვალის გადევნება: ე რ ი სხვა წ ა რ მ ო შ ობ ი ს ა ა, ი ს ნ ა თ ე ს ა ვ ი ს ც ნ ე ბ ი დ ა ნ ა რ ა მ ო დ ი ს. ნ ა თ ე ს ა ვ ი კ ი თ ე ს ლ ი ს ც ნ ე ბ ი დ ა ნ ა მ ო დ ი ს...

სიმრავლის აღმნიშვნელი სხვადასხვა წარმოშობის ეს ორი ცნება საუკუნეთა სიგრძეზე ურთიერთს უახლოვდება, ვიდრე ბოლოს და ბოლოს ერმა არ გაიმარჯვა და კოლექტივის ერთადერთი ცნება არ გახდა.

ტენდენცია მთლიანი კოლექტივის გამოხატვისა თავიდანვე ემჩნევა როგორც ნათესავს, ისე ერს: „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნებაჲ არს"... „მეწყალის უბრალო ერი"..., მაგრამ ერი ამ მხრით უფრო ე ლ ა ს ტ უ რ ი ტ ე რ მ ი ნ ი ა ღ მ ო ჩ ნ დ ა, რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც მასში თავისუფლად პოულობდა ადგილს სხვადასხვა სისხლითი წარმოშობის ელემენტი (ტომი, გვარი, ხალხი) და ეს იმიტომ,

რომ ერში, eo ipso, წარმოშობის (სისხლითი) მომენტი არ იგულისხმებოდა, მაშინ როცა „ნათესავს“ უპირველეს ყოვლისა მენტი ახასიათებდა... (მ—2,3. ფურც. 58).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ჰაბო, 79_6

ქებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი:

„შენ გამო, წმიდაო მოწამეო, სიყუარული იგი ქრისტჱსი ჩუენდამო და სარწმუნოებაჲ ჩუენი მისა მიმართ კუალად განახლდა, რამეთუ აღვერიენით ერსა უცხოსა, შჯულითა განდგომილსა ქრისტჱსგან, ნათესავსა საწუთროჲსა ამის მოყუარესა, თესლსა ურწმუნოსა ძისა ღმრთისასა, სარწმუნოებისა ჩუენისა მაგინებელთა“...

ერი=ნათესავი=თესლი რაღაც მომენტში ერთიმეორეს ნიშნავს. ესაა თითქო სიმრავლე, რაღაც ერთიანობა (რომელსაც სჯული, თუ უსჯულობა ახასიათებს...) (მ—2,3. ფურც. 12).

3. ჰაბო, 79_{20}

ქებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი. შენ გაწამესო... „უგუნურებაჲ და უმეტჱს უგუნურებაჲ იგი მათი, რამეთუ რომელ—იგი პირველ არავინ გიცოდა, ვითარმედ ვინ ხარ, ანუ რომლისა ნათესავისაგან, ანუ რომლისა ერისაგან, ანუ რომლითა შჯულითა ცხონდებოდე, აწ ესერა უნებლებით წარმოგაჩინეს საცნაურად ქრისტჱს აღმსაარებელად...“

ერთია ნათესავი (წარმოშობა), სხვა არის ერი (სიმრავლე რომელშიაც არ იგულისხმება მაინცდამაინც ერთი წარმოშობა) და სულ სხვაა შჯული (რომელსაც მისდევს ესა თუ ის ნათესავი, ესა თუ ის ერი, ან არ მისდევს...).

მაგრამ შეიძლება ესა თუ ის ნათესავი ერთ სჯულს მიჰყვეს...

შეიძლება ნათესავი, ერი და შჯული ერთიმეორეს ემთხვეოდეს... (მ—2,3. ფურც. 13).

4. ზარზმელი, 324_{28}

„იყო ვინმე მთავარი დიდი და წარჩინებული ქუეყანასა ამას, რომელი ყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთაჲთა, რომლისა სივრცე საზღვართ-ვრცელ და მრავალ იყო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადია ჩორჩანელის „ერნი“, ე. ი. ერთ-ერთი „მთავრის“ ხელქვეშეთი ხალხი არ შეიძლება იყოს რაღაც საზოგადოებრივი ერთობის (ნაციის) აღმნიშვნელი.

კონტექსტი აქ ისეთი ხასიათისაა, რომ შეიძლება ვივარაუდოთ ავტორის აზრი: მას აქ საუბარი აქვს ჩორჩანელის ხელქვეშეთ მიწათმოქმედ საზოგადოებაზე: ამას უნდა გულისხმობდეს ამ „ერთა“ მოხსენიება აგარაკებთან ერთად. ჩორჩანელი დიდი მთავარია იმით, რომ მისი აგარაკები საზღვარ-ვრცელი და მრავალი იყო და ამ აგარაკებზე, იგულისხმება, ისხდა ერთა სიმრავლე, ე. ი. მიწისმოქმედი ხალხი (მ—2,3. ფურც. 20).

5. ზარზმელი, 333_{36}

ზარზმის შენების დროს მომხდარი სასწაულების გამო სერაპიონი ეუბნება იქ თავმოყრილ ხალხს: „ნუ ჰგონებთ, მთავარნო და ერნო, თუმცა ჩუენითა რაჲთმე ძალითა ქმნილ იყვნეს სასწაულნი ესე...“

აქ სერაპიონი აშკარად გამოყოფს ურთიერთისაგან მთავრებს ერებისაგან. ერში მთავრები არ შედიან (ამ დროს აქ მართლაც მოეყარათ თავი „მთავრებს“ და არამთავრებს) (მ—2,3. ფურც. 21).

6. ზარზმელი, 343_{28}, 344_{4}

„და იყო კაცი იგი ადგილისაგან მცირისა, რომელსა ძარღუას სოფელ ეწოდების. და დღითი-დღე მოვიდის კაცი იგი და ეტყოდა წმიდასა მას, ვითარმედ: „მაკურთხე, მამაო, წმიდითა ჴელითა შენითა და შემრთე წმიდასა კრებულსა შენსა“. ხოლო იგი აყენებდა ჟამად, რაჲთა უფროჲს გამოჩნდეს საკჳრველი მისითა მით ერის კაცად მიმყოვრებითა. ხოლო იგი ეტყოდა: „მაკურთხე, მამაო, და მიიღე მცირე ევლოგიაჲ და წარაგე საშენებელად მონასტრისა“. ხოლო იგი კუალადცა უბრძანებდა, რაჲთა დრო-ყოს და თჳთ მოვალს ჟამი, რაჲთა იქმნეს მონაზონ და ევლოგიაჲ, რომელ განვიმზადეპიეს, ფრიად რაჲმე ეჴმაროს...“

სერაპიონი გარდაიცვალა. ის ძარღუას სოფლელი კაცი მონაზვნად აღკვეცეს...“ და ვითარცა წარვიდა კაცი იგი სოფლად თჳსსა, იცნეს იგი კაცთა და მეგობართა, და განჰკრთეს, იხილეს რაჲ უცხოჲთა სამოსლითა შემოსილი და ენება კუალად ერისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა ნ ყ ო ფ ა ჲ, და ვითარცა ვერ შეუძლეს მორჩილებაჲ მისი, უთხრეს ესე უფალსა მისსა, რამეთუ იყო კაცი იგი საჯმარ და ფსალმ[illegible] გზათა შორთა...“

აქ საინტერესოდ შეიძლება იყოს დაპირისპირებული ე რ ი ს ა-გ ა ნ ი და მ ო ნ ა ზ ო ნ ი „ერი“=სიმრავლე (ჯამიდუნ). „ერისაგანი“=ერთი ამ სიმრავლიდან.

„ე რ ი ს ა გ ა ნ ი“=„ერისკაცი“ დაპირისპირებით მ ო ნ ა ზ ო-ნ ი ს ა... „მონაზონია“ ის (წარმომავლობით), ვინც მარტო მყოფელია (შდრ. მარტყოფი), „ერისკაცია“, ანუ „ერისაგანია“ ის, ვინც ს ი მ რ ა ვ ლ ი ს („ერის“) წევრია, მისგან (ერისაგან) გამოთიშული არაა. ეს „ერი“ შეიძლება იყოს სიმრავლე მეომარ მოლაშქრეთა და ს ი მ რ ა ვ ლ ე ს ა ე რ თ ო ო დ ა დ ა მ ი ა ნ თ ა... მ ო ნ ა ზ ვ ნ ე-ბ ი ს ა ც კ ი...

შეიძლება ამ დროს, ჩვენ რომ ვიხილავთ, ასეთი მომენტით არ უპირისპირდებოდნენ ეს ცნებები ერთიმეორეს, ე. ი. არა სიმრავლისა და მარტოობის ცხოვრების წესის მიხედვით, არამედ სხვადასხვა კორპორაციისადმი კუთვნილების მიხედვით (მონაზონთა კორპორაცია და ერისკაცთა კორპორაცია): კურთხევით, აღკვეცით, სამოსლით, ცხოვრების წესით (საეკლესიო წესი და მსოფლიო წესი), — მაგრამ წარმოშობით, თავდაპირველი ვითარებით „ერისაგანი“, „ერისკაცი“ სიმრავლის წევრად უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი დაპირისპირებით მონაზონ — მარტყოფის. (მ—2.3. ფურც. 22, 23).

7. ილარიონის ც-ბა, 16_{20}

ილარიონმა თავის ქვეყანაში ორი მონასტერი ააშენა, სოფლები შეწირა. ეშმაკს შეუძნდა ეს და „ალაშფოთა ნ ა თ ე ს ა ვ ი ა მ ი ს წ მ ი დ ი ს ა ჲ და იწყო შეჩუენებად და ფიცად, რაჲთა დაწუას მონასტერი იგი და წმიდაჲ იგი მოკლას...“

ეს „ნათესავი“ კი იყო მისივე, როგორც ჩანს, სახლის კაცი, მოგვარე, ე. ი. აქ „ნათესავი“ ისეთივე შინაარსით არის ნახმარი, როგორც ამას ჩვენც ვხმარობთ დღეს. ამავე „ნათესავზე“ აქვს ავტორს საუბარი შემდეგ მე-17 გვერდზე.

ასევე მე-20 გვერდზე: ულუმბას მონასტრის მამასახლისი „იყო ნ ა თ ე ს ა ვ ი მისი ვნებულ ფერჯითა მარჯუენითა სიყრმითგან მისით...“ (მ—2,3. ფურც. 126).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

8. ილარიონის ც-ბა, 20_{17}

ილარიონ და მისი მოწაფენი ულუმბას მივიდნენ. ღვთისმშობელი გამოეცხადა სიზმარში ულუმბას მამასახლისს და ამ ქართველებზე უთხრა: „ჩემდა მონიჭებულ არს ძისა მიერ ჩემისა ნ ა თ ე ს ა ვ ი ი გ ი შეურყეველად მართლმადიდებლობისათჳს მათისა...".

ნათესავი — ჩამომავლობითი ერთობა, მოდგმა, ტომი... (მ—2,3. ფურც. 127).

9. ილარიონის ც-ბა, 28_{37}

ილარიონის გვამთან ეშმაკეულები მოვიდნენ „მუნთქუესვე განიკურნნეს იგინი; და იხილა რაჲ ყ ო ვ ე ლ მ ა ნ ე რ მ ა ნ საკჳრველი ესე დიდებული, ყოველნი ჰმადლობდეს ღმერთსა. მაშინ შემურეს წმინდაჲ იგი გუამი მისი და ძლივ დადვეს ლუსკუმასა მას შინა ტ ე ნ ე ბ ი ს ა გ ა ნ ე რ ი ს ა მის, რამეთუ მოსრულ იყო სიმრავლჱ მღდელთა და დიაკონთა, მონაზონთა და ე რ ი ს კ ა ც თ ა ჲ, ვითარცა პირველ ვთქუთ, პატივად წმიდისა მის გუამისა მისისა".

ე რ ი ს შ ე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ა: უეჭველია, ერი შედგება „ე რ ი ს კ ა ც თ ა გ ა ნ" იხ. აქვე გვ. 35, სადაც მთავრები, პატრიარქ ეპისკოპოსნი, მღდელნი, დიაკონნი გამორიცხული ჩანან ქალაქის ერისაგან.

თუმცა ისეთი ტენდენციაც შეიმჩნევა, რომ ყოველ ერში ეს პრივილეგირებულნიც იგულისხმებიან... უფრო კი ისა ჩანს, რომ ერში უპირატესად არაწარჩინებულნი იგულისხმებიან (მ—2, 3. ფურც. 106).

10. ც-ჲ იოანესი და ეფთჳმესი, 54_{20}

იოანეს „ასმიოდა, ვითარმედ ქართუელნი არამცირედნი ნათესავნი და ერნი მკჳდრ არიან მუნ. და ამის პირისათჳს წარვიდა ვიდრე ავიდოსამდე".

„ნ ა თ ე ს ა ვ ნ ი" და „ე რ ნ ი" აქ თითქო ერთიმეორის შესატყვისობით არის ნახმარი.

ჩ ა ნ ს ტ ე ნ დ ე ნ ც ი ა ა მ ო რ ი ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა წ ა რ მ ო შ ო ბ ი ს ც ნ ებ ი ს გ ა ი გ ი ვ ებ ი ს ა. გარკვეულის მხრით (სიმრავლის მომენტით) ისინი ერთიმეორეს შესატყვისობით იხმარებიან (მ—2,3. ფურც. 50).

11. ათ. კრებ. 180, დასდებელნი ილარიონისნი

„იხილე ჩუენებით, ჰ ღმერთშემოსილო მამაო, დ[illegible] ყოველთა დაბადებულთაჲ და გიბრძანებდა წარსლვად ქუეყანად თჳსად, რათა შესწირნე ღუთისა სიმრავლენი ერთა ურიცხუთანი“.

რაკი არსებობდა ცნება „ქალაქის ერი“, აგრეთვე „ყოველი ერი“, „ფრიადი ერი“, „სიმრავლე ერთა“, ცხადია, არსებობდა ცნება ერი, რომელიც გამოკვეთილ მთელს, მთლიანობას ნიშნავდა (მ—2,3. ფურც. 102).

12. ათ. კრებული, 185, დასდებელნი ილარიონისნი

„მოვედით ერთი ხოროჲ, ხილული და უხილავი, საღუთოჲ და სულიერი ზეცისათთანა, დღეს განვაწყოთ, ერნო, და შემოვკრიბეთ ქებად ქრისტეს მოღუაწისა ახოვნისა...“

რაკი იპოვება ფორმა ერნო (მრავლობითი რიცხვი), ჩანს ერი ნაგულისხმევია როგორც მხოლობითი.

რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ამ ერს სომხურ *ազգ* -თან, ერიახი?..

ისევე ხომ არა, როგორც კიმერს და გმირს ვარაუდობენ? ერიც ხომ ძველად თითქო კეთილშობილების სინონიმი იყო, თითქო ასეთი ნიუანსი შერჩა მას სომხურში.

შემდეგ კი ქართულში ერი უბრალო ხალხის, დაბალი ხალხის სინონიმი გახდა. შეიარაღების (კლასობრივი დიფერენციაციის) შედეგად ხომ არა? ერი ქვეითობა იყო, ის სპამ და ლაშქარმა შეცვალა, რომელიც ცხენოსანი იყო და შეიარაღებითაც განსხვავებული (?...)

ეს მგონია იმის შედეგად რაც აქამდე ზედაპირული შთაბეჭდილება მიმიღია... ახლა კი ვნახოთ... (მ—2, 3. ფურც. 101).

13. ათ. კრებ. 191, ეზრა იოანე ქართველს

„იქადის ტაოჲ, ქუეყანაჲ იგი თქუენი თანა მკჳდრითურთ თქუენთჳს, ყოვლად ქებულნო, რამეთუ მიერ აღმოსცენდით, წმიდანო, იოანე და ეფთჳმი სანატრელნო, და განანათლეთ ნათესავი ქართველთაჲ“.

ტაოელი ქართველები, იოანე და ეფთჳმე ანათლებენ ქართველთა ნათესავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ეს ასეა X საუკუნეში (დავით კურაპალატის მეფობაში). როგორღაა, რომ ლეონტი მროველი ტაოს არ ასახელებს ქართველთა სის სამკვიდრებელში?

ჩანს ლეონტიმ (თუ მისმა წყარომ) იცოდა, რომ ტაო (იმიერ-ტაო მაინც) ძველად სომეხთა ხელთ იყო. გიორგი მერჩულე ამას მოწმობს კიდევაც: ი შ ხ ა ნ ი — ნერსე სომეხთა კათალიკოსის სამოღვაწეო... ლეონტის არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ ტაო IX საუკუნიდან ქართველებს დაუბრუნდა: X ს-ში ქართველთა ხელისუფლება კარნუ ქალაქამდე ვრცელდებოდა (კონსტანტინე ძოწით მოსილი). და თუ მიუხედავად ამისა ლეონტი ტაოს საქართლოსიანოს გარეშე გულისხმობს ეს იმას მოწმობს, რომ მან იცის, რომ ტაო ქართველებმა გვიან დაიბრუნეს... (მას ეს შეეძლო მოსე ხორენელისგან სცოდნოდა) (მ—2,3. ფურც. 100).

14. ათ. კრებ. 194, ეზრა ი-ე ქართველს

„ნაცვალად ედემისა სამოთხედ განლებულად აქუს ლავრაჲ შენი ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ე რ ს ა და ღუარითა მით საშუჱბელთა მისთაჲთა, ოხუჱბით აღვსებულნი, განათლდებიან და მადლსა შენსა ქადაგებენ ჴმა მაღლად“.

საეჭვოა, რომ „ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ე რ ს ა“ აქ ნიშნავდეს მთელი ქართველი ხალხის ერთიანობას, ნაციას: მაშინ არც „ქართველთა“ იქნებოდა მრავლობით რიცხვში. უფრო საფიქრებელია რომ აქ „ერი“ ნიშნავს (ქართველთა) მრავლობას (და მაშასადამე ასეთი მრავლობა არაერთი შეიძლება იყოს ქართველებისაგან შემდგარი: ე რ ნ ი), ამ შემთხვევაში კი ქართველი მონაზვნების მრავლობას...

ან კი როგორ შეიძლებოდა ქართველთა ერი „ქართველთა“ ნაციის შინაარსისა ყოფილიყო იმ დროს, როცა ამ „ქართველთა ერის“ გამაერთიანებელი მხოლოდ ქართულ ენაზე შესრულებული რელიგია იყო (განა ამას არ მოწმობს მერჩულე? სხვა გამაერთიანებელ მომენტს ის ხომ ვერ ასახელებს)... (მ—2, 3. ფურც. 99).

15. ათ. კრებ. 243, აღაპი 111

„თუესა სეკდენბერსა: კ: აღაპი არს აბაზის ბაკურიანის ძისაჲ... ჟამისწირვასა, ყოველთა დღეთა, მღდელმან, ე რ ი ს ა ზ ი ა რ ე ბ ი ს ა შ ე მ დ გ ო მ ა დ, სასმენელად ყოველთა სული აბაზისი

მოიჯსენოს...“ ეს „ერი“ (სიმრავლე) ის მონაზვნებია, რომელნიც ჟამის წირვას ესწრებიან და ეზიარებიან.

ერი=სიმრავლე, მისგან გამოყოფილია მღვდელი, ანუ ერთ-ერთი ვინმე ფუნქციონერი. მაგრამ ესევე ფუნქციონერები „ერთ“ მქვლენ, როგორც კი ამ ფუნქციას მოცილებულნი (დროებით თუ სამუდამოდ) აღმოჩნდებიან... (მ—2,3. ფურც. 92).

16. ათ. კრებ. 274, აღაპი 167

„მე, მამამან პავლე ყოველთა ძმათა კითხვთა განვაწესენით ამათ წმიდათა კანდელნი დაუვსებელად სამარადისოდ: ყ-დ წმიდისსა სადიაკონოჲსა კართა ზედა, წმიდათა მამათა ქართველთაჲ, წმიდისა იოანე მახარებელისაჲ, წმიდისა გიორგისი, და წმიდისა დიმიტრისი; ამისთვს დაგვწესებია, რომელ ყოვლად მეოხნი არიან ჩუენისა ნათესავისანი“...

აქ უკვე რაიმე შეეჭვება შეუძლებელია, რომ ჩუენი ნათესავი აქ ქართველთა ერთობას ნიშნავს და ამ ნათესავში იგულისხმება ყველაის, ვინც ქართველთა ეროვნულ-კულტურულ (სარწმუნოებრივ) სარბიელზე იღწვის. ღვთისმშობელი და ეს წმიდანი არიან ამ ჩუენი ნათესავის მფარველნი და მეოხნი..

საკვირველია: ერი გამოიკვეთა, მეოხი გაიჩინა და წმინდა ნინო არსადაა...

არც „ნინო“ ჩანს იმ ადრე ხანებში საკუთარ სახელად გავრცელებული (მ—2,3. ფურც. 91).

17. გ-ი ხუცეს მონაზონი 107_{19}, 108_{1}

„არა დააცადა მოწყალებამან ღმრთისამან ჟამითი-ჟამად გამოჩინებად ღირსთა მისთა ნუგეშინის საცემელად უძლურისა ამის და დაჯსნილისა ნათესავისა ჩუენისა განმაძლიერებელად და განმამჯნობელად...“.

და შემდეგ: „რაჟამს ბრწყინვალე იგი მნათობი ნათესავისა ჩუენისაჲ დიდი ეფთჳმე აღმოგვბრწყინდა ნათლად და სიჯარულად, დიდებად და გვრგვნად, გონიერ მყოფელად და განმაბრძნობელად უგუნურებისა ჩუენისა, რომელმან უმეცრებისა იგი საბურველი მოსძარცუა გონებათაგან ჩუენთა... და რომელნი — ესე ბარბაროზ წოდებულ ვიყვენით ელენთა მიერ უსწავლელობისათჳს და უმეცრებისა ჩუენისა, მათ თანავე აღურაცხნა ღმრთისა მიერ მოცემულითა მით სიბრძნითა თჳსითა...“

ასევე ცხადია, რომ აქ იგულისხმება არა მონასტრის კრებული,

არამედ მთელი ქართველთა ნათესავი, ქართველთა ერთობა, ქართველთა კულტურულ მოძრაობაში მონაწილე მთელი ერთობა (ე. ი. ფეოდალური ერი) (მ—2,3. ფურც. 90).

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. გ-ი ხუცეს მონაზონი, 153_{22}

ანტიოქიის პატრიარქთან კამათია ქართული ეკლესიის ავტოკეფალობის უფლებამოსილებაზე. გიორგი ეუბნება პატრიარქს: „რად ესრეთ უგუნურად შეგირაცხიეს ნათესავი ქართველთაჲ წრფელი და უმანკო? ...მოღებად ეც წიგნი მიმოსლვაჲ ანდრეა მოციქულისაჲ და მუნით გეუწყოს საძიებელი თქუენი.

ხოლო პატრიაქმან უბრძანა თეოფილეს, ნათესავით ქართველსა, რომელი — იგი უკანაჲსკნელ ტარსუს მიტროპოლიტ იქმნა. მოღებაჲ წიგნისაჲ მის“.

აქაც „ნათესავი ქართველთა“=ქართველთა მოდგმა... თავდაპირველად „ნათესავი ქართველთა“-ში, მართლაც, ეს აზრი შეიძლებოდა მხოლოდ ყოფილიყო — მოდგმა ქართველთა, ე. ი. თესლი ქართველთა, ანუ ფიზიკური ჩამომავლობა, სისხლით ერთობა, ფიზიკური ერთობა, მაგრამ თანდათან ეს ცნება უნდა გართულებულიყო და „ნათესავში“ კულტურული ერთობა უნდა ხაზგასმულიყო, მაგალითად მერჩულეს „ნათესავი ქართველთაში“, რა თქმა უნდა, ფიზიკურ-ბიოლოგიური ერთობა კი აღარ იგულისხმება მხოლოდ, არამედ აქცენტი გადატანილია ქართულ ქრისტიანობაზე და ასეთი კი შეიძლებოდა ყოფილიყო, და იყო კიდევაც, არაქართული წარმოშობის ადამიანიც, ტომიც. უკვე XI საუკუნეშივე აღნიშნავდნენ ქართველთა ნათესავის დამახასიათებელ არამატერიალურ (კულტურულ) მხარეს და შემდეგ ხომ ეს მომენტი არაერთხელ აღნიშნულა, ვიდრე „ვეფხისტყაოსნით“ არ წარმოდგა ფეოდალური ქვეყნის იდეალური „ქართველი“... (მ—2,3. ფურც. 86).

19. გ-ი ხუცეს მონაზონი, 160_7

ბაგრატ მეფეს აბაზაჲს ძენი მტრობდნენ. „ესე კაცნი ძლიერნი და ახოანნი. სიმდიდრესა ზედა მკლავისა თჳსისასა მოქადულნი და სიმრავლესა ზედა ერისასა აღზუავებულნი“ მეფის შეპყრობას აპირებდნენ...

აქ ერი შეიძლება ლაშქარსაც ნიშნავდეს (მ—2,3. ფურც. 82).

20. გ-ი ხუცეს მონაზონი, $162_{16,24}$

გიორგი ათონელი მოუწოდებდა მეფე ბაგრატს ღვთისმსახურ ხურებზე ზრუნვას, რომ ისინი ღირსნი ყოფილიყვნენ, „ოდენ ამ მღდელთა უწესოებითა და ცოდვითა ერის-კაცნიცა დაისაჯნენ“.

რომ „ყოველი არაწმიდებაჲ და უწესობაჲ მოისპოს თჳთ მისგან პირველად და მერმე ერისა მისისაგან“.

ერისკაცი, ე. ი. არასაეკლესიო-სასულიერო. „ერი“ ამ მოწმობაში უფრო ხალხის შინაარსითაა ხმარებული ვიდრე ჯარის (მ—2,3. ფურც. 81).

21. ქ-ცა I, ლეონტი, 5_{12}

„ხოლო ეგროსს მისცა ქუეყანა ზღუს ყურისა, და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქჳან ლიხი; დასავლით ზღუა; ჩრდილოთ მდინარე, მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასისა. ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თჳსი ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქჳან ბედია“.

ლეონტის ეს ცნობა საინტერესოა გარკვეული თვალსაზრისით. ის მაჩვენებელია იმის, რომ ერთ დროს (როცა ლეონტის წყარო იქმნებოდა) ლიხიდან ვიდრე მდინარემდე მცირისა ხაზარეთისა ერთი ქვეყანა (ერთი კულტურა) იყო. ასეთ ქვეყნებად (კულტურულ ერთეულებად) წარმოუდგენია ლეონტის (თუ მის წყაროს) მთელი კავკასია. მაგრამ განა „გეოგრაფიულ-ეთნოლოგიური ცნობები“ ამ ნაწარმოებში „აღბეჭდილია პრეციზული სიზუსტითა და ზედმიწევნილობით“?

რას გვეტყოდა ლეონტი ამ „უცნაურ“ საგეოგრაფიო სახელების შესახებ იბერიაში, ქართულ-ქართველური ენის ნიადაგზე რომ არ იხსნება, ან სომხეთში, სომხური ენის ნიადაგზე რომ არ იხსნება და ა. შ. რას გვეტყოდა ლეონტი ენათა იმ სიმრავლის შესახებ, ბერძნული წყაროები რომ აღნიშნავენ კოლხეთში თუ ალბანიაში? რას გვეტყოდა ლეონტი არქეოლოგიის თუ კავკასიურ-იბერიული ენათმეცნიერების მიერ დასმულ საკითხებზე იმის შესახებ, რომ კავკასიის მთიანეთის, თუ პირიქითი კავკასიის მკვიდრთა ენა და კულტურა ამიერკავკასიაშიც დასტურდებოდა. („მერჩულე“ — 4, ფურც. 15, 19).

22. ქცა I, ლეონტი, 39, 42

ლეონტის შეხედულება საქართველოს გაქრისტიანების შესახებ არსებითად განსხვავდება რუის-ურბნისის ძეგლის ავტორთა შეხედულებისაგან. ლეონტისთან ანდრია მოციქულმა მეგრელნი მოაქცია, ძეგლის ავტორთა მტკიცებით, კი, მოციქულმა იქადაგა „ყოველსა ქუეყანასა საქართველოისასა"...

ასეთსავე იდეას ავითარებს გიორგი ათონელიც... ასე რომ XI საუკუნეში ყალიბდება საბოლოოდ საქართველოს ერთიანობის იდეა. ლეონტი ვერაა ჯერ კიდევ თანმიმდევრული. გიორგი ათონელი და ძეგლის წერის ავტორები უკვე საბოლოოდ შემუშავებულ კონცეფციას ფლობენ: „ყოველი ქუეყანა საქართველოისა" დასაფუძვლებული აქვთ, — ხორცი შეუსხამთ გიორგი მერჩულეს იდეისათვის.

იშვა ახალი ქვეყანა საქართველო. ესევე მოვლენა ჩანს ნინოს საგანმანათლებლო მოღვაწეობის გაგებაში: ლეონტით ნინო „ყოვლისა ქართლისა განმანათლებელია" (12). ლეონტი, ჩანს, ეყრდნობა ნინოს მოღვაწეობის შესახებ წყაროს და ვერ ახერხებს მის იმრიგად გასწორებას, როგორც ეს ახსნეს რუის-ურბნისის ძეგლის წერის ავტორებმა — ნინომაო „ყოველი სავსებაჲ ყოვლისა ქართველთა ნათესავისაჲ მიიზიდა სარწმუნოებისა მიმართ თჳსისა" (მ—2,4. ფურც. 95).

23. ქცა I, ლეონტი, 65_{15}

მირიანი სპარსი იყო. ქასრე სასანიანმა ის ქართველებს მეფედ ჰოსცა. „...და აღიზარდა მირიან მსახურებსა მას შინა შჳდთა მათ კერპთასა და ცეცხლისასა. ხოლო შეიყუარნა ქართველნი, და დაივიწყა ენა სპარსული და ისწავა ენა ქართული. და ჰმატა შემკობა კერპთა და ბომონთა, კეთილად იპყრნა ქურუმნი, კერპთანი, და ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს აღასრულებდა მსახურებასა მას კერპთასა, და შეამკო საფლავი ფარნავაზისა. ხოლო ესე ყოველი ქართველთა სათნოებისათჳს ქმნა, და კეთილად იპყრნა ქართველნი ნიჭითა და ყოვლითა დიდებითა".

ლეონტის შემთხვევა მიეცა გადმოეცა ქართლის ეროვნულ-კულტურული შინაარსი ქრისტიანობამდელი ხანისა. ჩვენი ავტორის აზრით ეს არის ენა ქართული (მირიანმა ქართველთა სათნოებისათვის დაივიწყა მშობლიური ენა სპარ-

სული და ისწავლა ენა ქართული), ქართული სარწმუნოება — ამ სარწმუნოებისათვის ქართველები უმტკიცესნი იყვნენ (ფარნაჯომის თავგადასავალი, მირიანის სიტყვა ნინოს, ბიბლიოთეკა სპასპეტის სიტყვა), ფარნავაზის საფლავი (=ქართული ეროვნული წარსული).

ქართლი — გამოკვეთილი ეროვნულ-კულტურული მთლიანობა.

აქედან ქართველი ამ კულტურის მატარებელი ადამიანი. ამრიგად, უცხო, არაქართული ჩამომაღლობის ადამიანი შეიძლებოდა გამხდარიყო ქართველი, ასეთი იყო მირიან (მ—2.4. ფურც. 88).

24. ქ^ცა I, ლეონტი, 247_4

ასიმი ეუბნება არჩილს: „მოიქეც სჯულსა ჩემსა, და იქმენ სარკინოზ, და სპარსალარ გყო შენ ქუეყანასა ზედა ქართლისასა და მეფე და უფალ ერთა ზედა ქართლისათა“.

ცხადია, ეს მრავლობითი ფორმით ხმარებული ტერმინი ერნი მოწმობს, რომ ამ ცნებაში არ იგულისხმება ერთობა ქართველი ხალხისა: შეიძლება არსებობდეს ქართლის ერნი, კახეთის ერნი და ა. შ. (მ—2.3. ფურც. 18).

25. ქ^ცა I, ლეონტი, 246_{15}

არჩილი შეიპყრეს: „მაშინ უკუ წარმოდგა წინაშე ასიმისა მთავარი ერთი გარდაბანელი, მიქცეული სარკინოზად, რომლისა მამის ძმა მოეკლა წანართა და მკლველნი მისნი განერინნეს მშვდობით პაპასა არჩილისასა...“

ასიმმა უთხრა არჩილს: „მოიქეც სჯულსა ჩემსა, და იქმენ სარკინოზ, და სპასალარ გყო შენ ქუეყანასა ზედა ქართლისასა...“

ასეთივე დარჩა ეს გაგება საშუალ საუკუნეთა მთელ სიგრძეზე: სარკინოზი, ქართველი, ბერძენი, სომეხი და სხვა. თითოეული იყო ერთობა რომლის უმთავრესი ნიშანი იყო რელიგია და ენა. ეს მომენტია ხაზგასმული მერჩულეს განმარტებაში. ენის ხაზგასმა ქართველებს სჭირდებოდათ როგორც სომხებთან (VI—VII საუკუნეებამდე), ისე ბერძნებთან ურთიერთობისას! ასე რომ თუ მაზდეიანებთან და მაჰმადიანებთან დასაპირისპირებლად საკმაო ჩანდა სარწმუ-

ნოება (საბანისძე), სომხებთან და ბერძნებთან ურთიერთობაში ეს მომენტი საკმაო არ იყო, აქ საჭირო იყო სხვა მომენტის (განმასხვავებელის) წარმოშვება, ასეთი იყო ენა... ასე რომ ენის როგორც ეროვნული ნიშნის წინწამოწევა ყოვლად გამართლებული პრაქტიკული არგუმენტი იყო. აქედან მისი ქება, მასზე ზრუნვა... ლეონტი ამ გვიან დროში შემუშავებულ ნიშნებს მიმართავს, რათა ქართლოსიანთა თავისთავადობა დაასაბუთოს. ლეონტი თავისი საუკუნის შვილია: ბრძოლა ქართული ეროვნული დადგინებისათვის (ქართული ფეოდალური ერი), რაც აგრე ინტენსიური იყო მრავალმხრივ სირთულეებთან (არაბობა—იოანე საბანისძე, ირანი—ანტიმაზდეიანობა, რაჟდენი, ევსტათე, შუშანიკი, აბიბოს ნეკრესელი; სომეხთაგან გამოყოფა — კირიონი, კრება-პაექრობანი, არსენი; ბერძნებთან შეხლა, ქართულის მფარველი ღვთისმშობელია, ქართველებს თავისი განმანათლებელი ჰყავთ, იოანე ზოსიმე, ათონის მონასტერი, ქართულად მოსაუბრე ღვთისმშობელი; სწავლა-აღზრდა — პირველად ქართულად ასწავლის იოანე თავის შვილს, გიორგი მერჩულე და ქართული, დავითის ისტორიკოსი და ქართული, ქართველთა შემჭიდროება „უცხოებაში", ქართველად გრძნობენ თავს კახები დავით კურაპალატის დროს: არსენი ნინოწმინდელი, ილარიონ ქართველი, დიდი მოძრაობა კულტურულ ასპარეზზე, თარგმანი; დაგვირგვინება: დავით აღმაშენებელი, აკადემიები და დავითი ქართულ ენაზე განათლებული). აი ასეთ ეპოქაში ლეონტი წერს ისტორიას და ასაფუძვლებს ქართველი ერის არსებობას უკვე ფარნავაზის დროიდანვე (ენა, დამწერლობა, საზღვრები) და ამ ერში ფარნავაზის დროიდანვე ეგრები, აფხაზები, ჰერები... ასე რომ ლეონტიმ ისტორიულად დაასაფუძვლა ის, რაც მის ეპოქას ახასიათებდა, აფიქრებდა, აზრუნებდა: ქართველი ერის (ფეოდალური) წარმოქნა.

ლეონტი ისეთი ტენდენციების მქონებელი მწერალია, რომ მისი ხაზგასმა ეგრთა არაქართლოსიანობისა და აფხაზთა განსხვავებულობისა, ისევე როგორც ჰერებისა, ყოვლად სარწმუნოა. აქ ლეონტი კი არ სესხულობს არამედ თვითონ ქმნის და ის, გაერთიანობის ასეთი მომხრე, როცა სხვებურობას აღნიშნავს, ეს იმიტომ, რომ მის დროს ეს მართლაც ასე იყო (ტაო ?? იქნებ „კლარჯეთში" ამიერტაოსაც გულისხმობს??).

სომხეთის სახელმწიფო წყობილება, ხორენელი რომ ხატავს,

ისეთივეა, რაც ლეონტის მიერ წარმოდგენილი ქართლის სახელმწიფო წყობილება ფარნავაზის მიერ შემოღებული. ასევე ვახტანგ გორგასალის დროის (თრდატისა და სხვების...) მთელ სიგრძეზე...

რატომღა ამბობს ლეონტი ხაზგასმით, რომ ეს წყობა ფარნავაზმა „მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა“ შემოიღო? სომეხთაგან გასამიჯნავად ხომ არა? ლეონტი არ აღნიშნავს ხორენელის მტკიცებას მირიანის დამოკიდებულების შესახებ თრდატ-ხოსროვისაგან (168, 170—171), არ აღნიშნავს ნინოს დამოკიდებულებას გრიგოლისაგან, ხაზგასმით აღნიშნავს ქართული დამწერლობის შემოღებას ფარნავაზისაგან მესროპ-მაშტოცის საწინააღმდეგოდ, მისი თეორია მოითხოვდა სომხური ენის პირველადობას და ლეონტი ცდილობს ზედმიწევნით უჩვენოს ქართული ენის წარმოშობა, სომხურის დატოვება...

ლეონტი მთელი შრომის სიგრძეზე ებრძვის ხორენელს, აგათანგელოსს, ასაბუთებს ქართლს... (საჭიროა შედარების გზით განხილვა).

ხორენელის ტენდენციის უარსაყოფელად („ჩრდილოეთის“ ხალხების მიჩქმალვა) ლეონტი სპარსეთიდან ცდილობს გამოვიდეს (როგორც ხორენელის სომხეთი) და სომეხთაგან დამოკიდებულებას გაურბის...

დღეს როცა ლეონტის ცხოვრების თარიღები შესანიშნავად გაშუქდა, ჩვენ საშუალება გვაქვს მის ლიტერატურულ საქმიანობაში მეტის გაბედულობით ვეძიოთ და შევნიშნოთ მისი ეპოქისათვის დამახასიათებელი ნიშანი—ქართულ (ფეოდალურ) ეროვნულ-პოლიტიკური ერთეულის წარმოქმნის ხანა.

რად დასჭირდა ლეონტის საუბარი ქართული ენის წარმოშობისა და ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ? ეს მომენტი (ენა, ლიტერატურა) ფეოდალური საქართველოს უპირველესი საკითხებია. ქართული ენით და ქართული დამწერლობით (=ქართული ქრისტიანობით) ქართლის კულტურულ ინდივიდუალობას ასაფუძვლებდა სომხეთისა და საბერძნეთის მეზობლობაში.

თუ ეს არა, უმოტივოდ გამოიყურება თეორიები ქართული ენისა და დამწერლობის შემოღების შესახებ...

ლეონტი დიდი მოღვაწე (დიდი მეცნიერი): მისი მწყობრი თეორია ქართველთა წარმოშობისა, მისი კულტურული ჩამოყალიბების

შესახებ სახელმძღვანელო და ურყევი იყო მთელ საშუალო საუკუნეთა სიგრძეზე (მხოლოდ ივ. ჯავახიშვილმა შეუტია...).

ლეონტი—შეჯამება VII—XII საუკუნის კულტურული აზროვნებისა (მ — 2, 3. ფურც. 14—16).

26. როგორც „ქართლი", ისე „ქართველი", ლეონტის ენაზე რთული წარმონაქმნია. „ქართლი" იმთავითვე ქვეყნის აღმნიშვნელია და არა ტომის.

ქართველი ქართლის მკვიდრი, ქართველი — ქართლოსიანი, ქართველი — ქართული კულტურის ადამიანი (ქალკედონიტი), ქართველი — საქართველოს მკვიდრი, ქართველი — საქართველოს ფეოდალური კულტურის მოზიარე ადამიანი.

რა არის „ქ ა რ თ ლ ი"? ლეონტისაც, ჩანს აწუხებდა ეს ტერმინი. მან მარტივად, თუმცა არც თუ მარჯვედ, მოუარა: „ქართლოსი" მოიგონა (იმავე საძიებელი ქართლიდან!!). და „ქართლი" აწარმოა (მ—2, 4. ფურც. 97).

27. „ქართველი" ლეონტის, როგორც ვხედავთ, ორი შინაარსით ესმის. დაპირისპირებით, ანუ კონტექსტში „სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკანელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა", ქართველი ე თ ნ ი კ უ რ ი კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ი ს ცნ ე ბ ა ა და უდრის ქართლოსიანს; მაგრამ ლეონტის ცნობიერებაში ქართველი აგრეთვე არის ის, ვინც ქართლის მკვიდრია, ვინც ქართლიდანაა და აქ შეიძლება ყოველი ქართველი არ იყოს ქართლოსიანი (ყ ო ვ ე ლ ი ქ ა რ თ ლ ო ს ი ა ნ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი ა, მ ა გ რ ა მ ყ ო ვ ე ლ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი ა რ ა ა ა ქ ა რ თ ლ ო ს ი ა ნ ი). ასევე უნდა ვიფიქროთ, ყოველი მეგრელი შეიძლება არ იყოს ეგროსიანი, მაშინ როცა ყოველი ეგროსიანი მეგრელია, ეგრისელია.

ამრიგად, ქართველი ქართლის მკვიდრია, ქართლი კი ისტორიის სიგრძეზე ცვალებადი ცნება აღმოჩნდა: „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების..." ამდენადვე ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს და ქ ა რ თ ლ ო ს ი ა ნ ი ს ერთიმეორეს შესატყვისობა, თავდაპირველად რომ იყო, კიდევ უფრო დაირღვა. სამაგიეროდ ქართველში ახალი მომენტი წამოიწია: კულტურული ერთიანობის მომენტი ქ ა რ თ ლ ო ს ი ა ნ ე ბ ი ს მ ო თ ა ვ ე ო ბ ი თ: ენით, სჯულით, ფეოდალური ზნით...

და სწორედ ასეთი ერთობით, კ უ ლ ტ უ რ უ ლ ი ე რ თ ო ბ ი თ ესმის ლეონტის ქ ა რ თ ვ ე ლ ი... (მ—2, 4. ფურც. 92).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარზაბოდ რანის ერისთავი ეუბნება ვახტანგის დედა-ბოლოსა ასულს: „...იძულებით არცა-ვის ქართველსა სხუასა დაგაგდებინებ სჯულსა ქრისტესსა, არამედ მივგზავნნე ცეცხლის-მსახურნი ქალაქსა თქუენსა და იყვნენ მუნა ეპისკოპოსნი მათ ზედა სჯულისა ჩუენისანი. და ვინცა ქართველი ნებითა თჳსითა აღირჩევდეს სჯულსა ჩუენსა, ნუ აყენებთ“.

ლეონტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან XI საუკუნის პოლიტიკურმა მოღვაწემ, ორთოდოქსმა ქრისტიანმა, შეძლო და წინაქრისტიანული „ქართველის“ ეთნო-კულტურული სახე მოხაზა. მისი წარმოდგენით ქართლოსიანი ესაა ეთნიკური ცნება და ნიშნავს ქართლოსის სისხლით ჩამომავლობას. არაფერი სხვა დამახასიათებელი რამ თავდაპირველად ქართლოსიანს არა ჰქონია — ინდივიდუალურად დამახასიათებელი. ქართლოსის საფლავი იყო ის ერთადერთი რამ, რითაც ქართლოსიანი სხვა თარგამოსიანისაგან განსხვავდებოდა. ენა მას არ ჰქონია თავისი, ის საერთო თარგამოსიანთა ენა იყო — სომხური, სარწმუნოება ხომ აქ ქართლს მოსვლის შემდეგ შეუმუშავდათ ისევე, როგორც ენაც. თანდათან, დიდი ხნის მანძილზე, წარმოიქმნა ერთობა, გამოკვეთილი კულტურული ერთეული, სხვა თანამოძმეებისაგან მკვეთრად განსხვავებული და ამ ერთობის, ამ ინდივიდუალობის მკვეთრი შეგნება ახასიათებს მას. ქართლის ისტორიული ტერიტორიის გამოკვეთილობა ერთ-ერთი ნიშანი იყო ამ ინდივიდუალობისა. ჩამომავლობა — (ქართლოსიანობა), — ენა (ქართული), ტერიტორია — (ქართული), — რჯული (ქართლოსის საფლავი და მნათობები) და ისტორია (მამა-პაპათა ხსოვნის პატივისცემა) — ეს იყო ქრისტიანობამდელი ჩანის ქართველი კაცის კულტურული სახე. ამრიგად, „ქართველი“, რომელიც თავდაპირველად სადაურობის აღმნიშვნელი ცნება იყო და „ქართლოსიანი“, რომელიც თავდაპირველად სისხლითი მონათესავეობის აღმნიშვნელი ცნება იყო, ორივე ეს ცნება ერთიმეორეს გაუიდენტივდა ერთ კულტურულ ცნებაში— „ქართველი“.

მოხდა დიდი ისტორიული ტეხილი: ქართული წარმართობა ქრისტიანობით შეიცვალა და კულტურული ცნების „ქართველის“ შინაარსში ქრისტიანობის მომენტმა ის ადგილი დაიკავა, რაც აქამდე ქართულ წარმართობას ეჭირა. არ შეიძლება ითქვას, რომ ქრის-

ტიანობამ რაღაც ახალი განსაკუთრებული მომენტი შეიტანა „ქართველის“ კულტურულ ცნებაში. ქართველი სრულიად გამოკვეთილი კულტურული ცნება იყო და ამ მხრით ახალი სარწმუნოება „ქართველის“ კულტურულ ჩამოყალიბებაში ახალ მომენტს ვერ შეიტანდა. ქრისტიანობამ მხოლოდ ისა ქმნა, რომ ქართული წარმართობის ადგილი დაიჭირა. აქაც რთულ პროცესს ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ი ს გ ა ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ ო ბ ი ს ა ს ვერ ასცდა კულტურული ქვეყანა და არც შეიძლებოდა, რომ ასცდენოდა. საუკუნეთა მანძილზე კულტურულ პოლიტიკური შეხლა-შემოხლისა და დუღილის შედეგად, ძველი კულტურის მქონებელმა ქართველმა ხალხმა ამ კოსმოპოლიტურ რელიგიას ქართული ელფერი მისცა და „ქართველი“ ახლო აღმოსავლეთში სომხურისა და ბერძნული ქრისტიანობისაგან გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი (ე ნ ი თ) რ ე ლ ი გ ი ი ს ა ღ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ცნებად იქცა. ეს იყო ქრისტიანობის ინდივიდუალიზაცია ქართველი ხალხის მიერ. სომხებისა და ბერძნების გვერდით ეს იყო დიდი კულტურული გამარჯვება, დიდი კულტურული ძალის მოწმობა და ქართული ქრისტიანობის გავრცელება ეს იყო ქ ა რ თ უ ლ ი კ უ ლ ტ უ რ ი ს უ ცილობელი გამარჯვების აშკარა მოწმობა (ქართული ქრისტიანობით შეცვლა დას. საქართველოში ბერძნული ქრისტიანობისა, კმარა ამის ნიშნად), ეს იყო დ ი დ ი ე რ ო ვ ნ უ ლ ი ს ა ქ მ ე... (რა თქმა უნდა, „ქართველობა“, როგორც ვხედავთ, არც იმ თავში გამოიხატებოდა მხოლოდ რელიგიური მომენტით და ქართველი ხალხის ინდივიდუალური სახის ჩამოყალიბებაში სხვა მომენტებიც ძლიერად იჩენდნენ თავს და თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე თ ა თ ვ ი ს ა ც შ ე ს ა მ ჩ ნ ე ვ ი ხ დ ე ბ ო დ ნ ე ნ. არაბობა, თურქობა, თათრობა, ყიზილბაშობა და ოსმალობა ქართველობისაგან მხოლოდ რ ე ლ ი გ ი უ რ ა დ განსხვავებულობას როდი ნიშნავდა. ამას კარგად არჩევდნენ ქართველები, როგორც ვხედავთ, იმთავითვე და სხვაგვარად არც შეიძლებოდა).

ასეთ პირობებში ხაზგასასმელი გარემოებაა და მეტად საყურადღებოა, რომ ქართულმა ტრადიციამ ქართული მწიგნობრობის გაჩენა დაუკავშირა არა ქრისტიანობის შემოსვლას, ა რ ა მ ე დ ქ ა რ თ უ ლ ი ე რ ო ვ ნ უ ლ ი კ უ ლ ტ უ რ ი ს დ ი დ ტ ე ხ ი ლ ს ქ ა რ თ უ ლ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს წ ა რ მ ო ქ მ ნ ა ს. მაშინ გაფორმდა, ლეონტის წარმოდგენით (ან, სულერთია, მისი წყაროს წარმოდგენით), ქართული კულტურული ერთეულის წარმოქმნა (ტერიტორია, ენა, რელიგია, დამწერლობა, პოლიტიკური წყობა). (3—2, 4. ფურც. 73—75).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„და ვითარცა შევლო ყრუმან კლისურა, რომელი მაჰმადიანთ საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა. და შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი. და მოადგა ციხესა ანაკოფიისასა...“

„საქართველო“ — აქამდე ჯუანშერს არ უხმარია ტერმინი „საქართველო“. მისი ჩვეულებრივი ტერმინია „ქართლი“, „ყოველი ქართლი“ (226_{48}, 204_{17}—205_{5}, 168_{18}, 171_{12}, 177_{8}, 145_{20-24}, 146_{1-3}...), რომელშიაც ზოგჯერ ეგრისსაც გულისხმობს. მაგრამ ჯუანშერი ისევე, როგორც სხვა ავტორებიც ამ დროისა (ლეონტი) ტერმინი ქართლის ხმარებისას მერყეობას იჩენს. და ეს ფრიად დამახასიათებელი ფაქტია... ქართლი იმთავითვე არაა წმინდა ეთნიკურ-გეოგრაფიული ცნება და ქართლოსიანობის თეორიის შექმნისასვე უტყობა რომ ცდილობენ მასში შემოიტანონ მონათესავე თუ არამონათესავე, შემოერთებული, ასიმილირებული ტომები შვილებისა და შვილიშვილების სახით (კახოს, კუხოს, გარდაბოს, გაჩიოს, მცხეთოს, უფლოს, ოძრხოს, ჯავახოს) ზანებისა (შავშეთ-კლარჯეთი) მესხებისა (სამცხე), კახებისა... მაგრამ ამ თეორიის შემქმნელები ვერ ახერხებენ ბოლომდე გაატარონ შემუშავებული პრინციპი და რეალური ვითარება თავს იჩენს როგორც თვით ამ ავტორების, ისე, კიდევ უფრო, სხვების მეტყველებაში... საკუთრივ ქართლი მათი წარმოდგენით ესაა უფლოსის ქართლი („შიდა ქართლი“...): მხოლოდ უფლოსის წილს ამ ქართლს არა ჰქვიან სხვა სახელი გარდა „ქართლისა“. მაშინ, როცა ყველა სხვა ქვეყანას ქართლოსის მემკვიდრეობიდან თავისი საკუთარი სახელებიც აქვს (გაჩიანი, გარდაბანი, კახეთი, კუხეთი, სამცხე, ჯავახეთი, კლარჯეთი)... ამიტომაცაა, რომ ქართლის გვერდით ჩნდება ტერმინი „ყოველი ქართლი“: და ეს იმიტომ, რომ ტერმინი „ქართლი“ თავისთავად ვერ მოიცავს ქართლოსიანთა ყველა ქვეყანას...

მაგრამ მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა: ქართის ტომმა ჰეროსის და ეგროსის სამკვიდროებშიც შეაღწია და მათი დიდი ნაწილი შემოიერთა: ახლა უკვე ტერმინი ქართლი იმ ქართლოსიანობის თეორიასაც არ ემთხვეოდა, რომელიც, როგორ ვნახეთ, ქართველ ტომთა განვითარების გარკვეულ ვითარებაში შეიქმნა. მაგრამ ახალი გენეალოგიური შტოს შექმნისათვის ახლა აღარ მიუმარ-

თავთ: ეს არც იყო შესაძლებელი. ერთობ გამოკვეთილი იყო ამ დროისათვის ხალხთა ინდივიდუალობანი და მათი ახალი გაერთიანება შეუძლებელი იყო... ამიტომ საკითხი გადაწყვიტეს ახალი დროის შესაფერისად: პოლიტიკური მფლობელობის (სახელმწიფოს) პრინციპით: იქ, სადაც ქართლის სახელმწიფოებრიობა სწვდება, ქართლია. მაგრამ ეს ტერმინი მეტისმეტად გადატვირთული აღმოჩნდა (სამშინაარსიანი). საჭირო იყო ახალი ტერმინი, რომელიც ამ ახალ შინაარსს შეეფერებოდა, ტერმინი, რომელიც ახალ კულტურულ-პოლიტიკურ შინაარსს გადმოსცემდა. და შეიქმნა ტერმინი საქართველო. ეკლესია ავტორიტეტულად შეეშველა ქართლის ეთნიკურ-პოლიტიკური გავრცელების პროცესის შედეგად შექმნილი ვითარების დასაფუძვლებაში: მან ქართლად გამოაცხადა ყველა ის ქვეყანა, სადაც ჟამი ქართულად შეიწირებოდა: ეს კი ის ქვეყნები იყო, რომელთაც ქართლის სამეფო იერთებდა: ეგრისი, ეგრის წყალ-კლისურას შორის ქვეყანა ჰერეთი...

ამრიგად ძველი, ეთნიკურ-ტომობრივ პრინციპებზე აგებული ტერმინის ქართლის ნაცვლად წარმოიშვა ახალი ვითარების შესაფერისი კულტურულ-პოლიტიკური ტერმინი, რომელმაც გაუძლო პოლიტიკურ დაშლილობის ხანასაც კი და საქართველოების სახით ბოგინობდა საუკუნეთა სიგრძეზე, ვიდრე ქვეყნის ბურჟუაზიული გაერთიანებისას კვლავ არ აღდგა... მაგრამ ქვეყანა საქართველო ამ დროს, ე. ი. ჯუანშერის დროს და მის შემდეგ თანდათან ივსებოდა ახალი შინაარსით... თანდათან შემუშავდა და საქართველოს ყოველი კუთხისათვის დამახასიათებელი ღვიძლი შეიქმნა ქართული ფეოდალური კულტურა, რომელიც არა მარტო ქართულ ქრისტიანობაში, უცეთ, არა იმდენად ქართულ ქრისტიანობაში მჟღავნდებოდა, როგორც ეს ეკლესიის მესვეურებს ეწადათ, არამედ ქართული ფეოდალური ურთიერთობის ყოვლისმომცველ კოდექსში (ვეფხისტყაოსნის კულტურა)...

განა ლეონტი თარგამოსიან-ქართლოსიანების ქვეყნების განსაზღვრისას პოლიტიკური მომენტიდან არ ამოდის? რა თქმა უნდა, ამოდის, მაგრამ ამ პოლიტიკურ მომენტის განსახიერება ეთნარქების საშუალებით ხდება, ე. ი. თვით პოლიტიკურ მომენტს საფუძვლად ეთნიკური მომენტი უდევს. ამ ეთნარქების მოსვლამდე ეს ქვეყანა ცარიელია. ეს ეთნარქები ცოცხლობენ დიდხანს და მრავლდებიან და ეშენებიან მათი შვილები, შვილიშვილები, გმირები დასაბამს აძლევენ ქვეყნებს. (ვერც აქ აქვთ ამ დასახელებებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში პრინციპი დაცული: რატომ არაა გაჩეთი, გარდაბეთი, ქართლეთი, უფლეთი, ოძრხეთი...). (მ—2, 4. ფურც. 93—95).

30. ტ ი ტ უ ლ ა ტ უ რ ა „აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფემან, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვთმპყრობელმან“ და სხვ. პოლიტიკური ფორმულირებაა (ივანე ჯავახიშვილი სწორად მიხვდა) და არა ეთნიკურ-ტ ო მ ობ რ ი ვ ი...

ეს „ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა“ შესაძლებელია რამოდენიმედ სცვლიდეს ძველ ფორმულას „ყოვლისა აღმოსავალისა და დასავალისა კესაროსისა“ და სხვა ასეთი (ქრონიკა. II, 70).

ქ ‘ ცა I, ც-ბა დ ა ვ ი თ ი ს ი, 358_3, 359_1

ავტორი მოგვითხრობს, რომ დავითს დასაწყისში „ს ა მ ე ფ ო ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ა მცირე ჰქონდა მოკლებული... მცირე გუნდი მჯედრობისა და იგინიცა დაჯაბნებულნი...“ და დავითმა მრავალღონეობით ასეთი ძლიერი ლაშქარი გაიჩინაო. შემდეგ მოჰყავს ალექსანდრე მაკედონელის სამხედრო საქმიანობა და დაასკვნის: „ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ოდენ სპითა ვერცარას ალექსანდრე იქმოდა კარგსა...“

ამ „ქართველთა“-ში, რა თქმა უნდა, მხოლოდ ტომობრივად ქართველები არ იგულისხმებიან: დავითის ლაშქარი (დასაწყისში მაინც) უპირატესად „აფხაზთა სამეფოდან“ გამოსულ მოლაშქრეოგან შედგებოდა. და შემდეგაც ხომ აქედან გამოსული ლაშქარი ისევე მონაწილეობდა, როგორც საკუთრივ ქართლის მოლაშქრენი, ან მესხნი, ან ჰერ-კახნი და სხვ.

და ყველა ამათ ჩვენი ავტორი უწოდებს „ქართველთა სპანი“... საკუთრივ ქართლის თემიდან გამოსულნი აქ, შეიძლება ვამტკიცოთ, უმცირესობაც იყო და კუთხური გაგებით ამ ლაშქარს არც „ქართველთა სპანი“ უნდა სწოდებოდა. სახელმწიფოებრივი გაგებით კი მას „აფხაზთა სპა“ უფრო შეშვენოდა და თუ მიუხედავად ამისა დავითის ლაშქარს „ქართველთა“ სპა ეწოდებოდა, ეს იმიტომ, რომ დიდი ისტორიული გზის გამოვლით (ქ ა რ თ ლ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი და კ უ ლ ტ უ რ უ ლ ი ჰ ე გ ე მ ო ნ ი ი თ) ახალი ქართული სამყარო, ახალი ქართველთა ქვეყანა, „საქართველო“ წარმოიქმნა, სადაც გარკვეული მომენტებით ყველა ერთიანდებოდა, ყველა იღწვოდა და თანამშრომლობდა, როგორც ამ პოლიტიკურ-კულტურული გაერთიანების მონაწილე, მოზიარე, წევრი — „ქართველი“. აი ისევე, როგორც, სრულიად ბუნებრივად, „ქართველი“ ეწოდებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთში, ქართველთა მონასტრებში, ქართულ კულტურულ საერ-
ბიელზე მოღვაწე მონაზონს იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა ტო-
მობრივი წარმოშობისა იყო ასეთი მოღვაწე: კახი (ილარიონ „ქარ-
თველი“), მესხი (გიორგი ქართველი), აფხაზი (იოანე პეტრიწი) თუ
სხვა...

ასეთივე გამაერთიანებელი ცნებით აქვს ჩვენს ავტორს ნახმარი ეს ტერმინი გვ. 359₅: „ვინათგან ნ ა თ ე ს ა ვ ი ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თჳსთა უფალთა. რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგჳთხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი“ და სხვ. რა თქმა უნდა, „ორგულ ბუნება... თჳსთა უფალთა“ არამარტო ქართლის თემის მკვიდრნი იყვნენ. სწორედ მატიანე ქართლისა ორგულ ბუნება ყმებს არანაკლებად აღნიშნავს აფხაზებს, მესხებსა თუ ჰერ-კახებს შორის. მთელი X—XI საუკუნე და თვით დავითის მეფობის ხანა, სავსეა ფეოდალური ბუნების ასეთი გამოვლინებით... მაშასადამე „ნათესავი ქართველთა“ აქაც „ქართველის“ ამ ახალი შინაარსით არის მოტანილი. ისტორიკოსი აღნიშნავს „ეროვნულ“ ხასიათს, ფეოდალური კულტურული ერთიანობის ერთ-ერთ დამახასიათებელ მომენტს, რომელიც თანაბრად ახასიათებს ქართველთა ნათესავის შემადგენელ ყველა თემის წევრს (ფეოდალს), მომენტს, რომელიც ს ა ე რ თ ო ა. თავისთავად ეს ჩვენება მეტად მნიშვნელოვანია: „ქართველი“, გამოდის, არა მარტო რელიგიური გაერთიანებაა, მერჩულე რომ ხაზგასმით აღნიშნავდა, არამედ „ ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ს“ ხ ა ს ი ა თ ი ს ე რ თ ო ბ ა ც ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ს. ასეთივე ხასიათის ერთობის („ეროვნული“ ხასიათი) ერთი მხარეა ხაზგასმული გიორგი ათონელის მიერ ანტიოქიის პატრიარქთან საუბარში: „ნათესავი ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ჲ, (sic) წრფელი და უმანკო“. ქართველების ე რ ო ვ ნ უ ლ ხ ა ს ი ა თ ზ ე ჩვენ სხვაგანაც გვხვდება საინტერესო ჩვენებანი. კერძოდ, ჟამთააღმწერელი ნათლად აღნიშნავს ქართველთა რაინდულ ბუნებას, რომელსაც დამპყრობელი მონგოლები კარგად ამჩნევენ და აფასებენ...

აი ეს საერთო იყო ის, რაც „ ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ნ ა თ ე ს ა ვ ს“ ქმნიდა ამ ახალს დროში, განსხვავებით ქართველთა თემობრივი ნათესავისაგან, სადაც ის ისეთივე ფასის ცნება იყო, „თესლისაგან“ წარმოშობილი, როგორც ნათესავით მესხი, ან ნათესავით ტაოელი (მატიანე ქართლისა, 287).

ესაა გაერთიანებული ფეოდალური ქვეყნის შედუღებულობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ფეოდალების შედუღებულობის) მაჩვენებელი (ეკუთვნის-ტაოელ-ნის კულტურის შვილები), ერთი ფეოდალური ერეკლეანეული ვ ი...

ამრიგად, მოხდა დიდი მეტამორფოზი, რაც კერძოდ ცნება „ნათესავის“ შინაარსის მეტამორფოზში გამოიხატა: ცნება „ნათესავი“ მოწყდა თავის პირველ შინაარსსს, მატერიალური თესლისაგან (gens) წარმოშობილობას და ახალი შინაარსით გაივსო, ახალი ნათესავი რეალურადაც აღარ იყო ძველი gens-ი. ის დიდი ხანია სხვადასხვა მოძმე, თუ მობიძაშვილე ნათესავებთან ერთად („ნათესავით მესხი“, „ნათესავით ტაოელი“, მით უფრო, უნდა ვიფიქროთ, იყო ნათესავით კახი, ნათესავით ჰერი, ნათესავით ეგრი, ნათესავით დურძუკი, ნათესავით სვანი, ნათესავით დვალი) ერთ ერთეულად გაერთიანებულიყო ქართის ჰეგემონიით, შექმნილიყო ახალი ნათესავი, რომელიც, ყოვლად ცხადია, სისხლით გაერთიანებას აღარ წარმოადგენდა. ახალი წარმოებითი ურთიერთობის საფუძველზე კლასობრივი ურთიერთობის გაბატონების საფუძველზე ძველი ნათესავის საფუძველი მოიშალა და ახალი საზოგადოებრივი ერთეული, წარმოებითი ორგანიზაცია სულ სხვა პრინციპზე, კლასობრივ პრინციპზე, აიგო, ამდენადვე ტერმინი ნათესავი ასეთი ორგანიზაციისათვის შეუფერებელიც კი იყო: ახლა ის gens-ი კი არა, ეროვნება იყო, რომელიც წარმოებით ორგანიზაციას ანტაგონისტურ კლასების სახით წარმოადგენდა და არა სისხლით მონათესავეთა ძმობის სახით. დავითის ისტორიკოსის მოწმობა კლასიკურია: ის შეეხება (ხასიათი) არა მთელს ნათესავს (ქართველთა ნათესავი, როგორც აღვნიშნე ანაქრონიზმია, თუმცა ისტორიული შინაარსის ანაქრონიზმი: „ქართველი“ აქ ახალი შინაარსითაა ნახმარი, და თუ ტერმინი შესაფერისად არ შეცვლილა, ამის მიზეზი ისაა, რომ პროცესი ქართლის ჰეგემონობით მოხდა და მეტამორფოზის მთავარი საფუძველი ქართის ნათესავი იყო), არამედ მისი დროის ნათესავის გარკვეულ ნაწილს — ფეოდალურ ნაწილს. ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გარემოებაა. ისტორიკოსი აღნიშნავს ახლად შექმნილ ქართველთა „ნათესავის“ (ნამდვილად კი ქართველთა ეროვნების) საერთო ხასიათს და აღნიშნავს არა მთელი ეროვნების, არამედ მისი ნაწილის ფეოდალური კლასის საერთო ხასიათს. ფეოდალური კლასი კი მართლაც „ძმები“ იყვნენ, მართლაც ნათესავნი იყვნენ ამ კლასობრივი ხასიათის ორგანიზაციაში და მათი საერთო ხასიათი ადვილდასანახავი იყო და არაერთხელ აღნიშნულა ჩვენს ისტორიოგრაფიაში (ქამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაალმწერელი). და მართლაც ეს იყო ფ ე ო დ ა ლ უ რ ი
გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა, ფეოდალთა ორგანიზაცია, სადაც ფეოდალ-
კლასს გადამწყვეტი პოზიციები ეჭირა, ცხოვრების (პოლიტიკურის,
კულტურულის) ტონის მიმცემი ფეოდალთა კლასი იყო, ერთიანი
ფეოდალური კულტურა იქმნებოდა („ქართული ფეოდალიზმი") და
მისი წამყვანი, შემოქმედი კლასი, ბუნებრივია, ურთიერთს ჰგავდა
ხასიათით. ამ დროს საქართველოში ფეოდალი მეტნაკლებად ყვე-
ლა „ქართველი" იყო, ყველა „ქართული" კულტურის (=ფეოდა-
ლური კულტურის) ღვიძლი იყო იმისაგან დამოუკიდებლად თუ სად
იჯდა, აფხაზეთში თუ ჰერეთში, ან მესხეთში: ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს-
ნ ი ს კ ულ ტ ურ ა ყ ა ლ ი ბ დ ე ბ ო დ ა. ეს იყო ახალი ნათესა-
ვი, რომელსაც ქართველთან მხოლოდ ენრი და კულტურის ტრა-
დიცია აკავშირებდა, მაგრამ მის როგორც ეთნიკურ შედგენილობა-
ში, ისე საზოგადოებრივ შემადგენლობაში (სოციალური, პოლიტი-
კური თუ კულტურული ურთიერთობანი) თანაბრად მონაწილეობ-
დნენ და ამათი მონაწილეობის ნაყოფი იყო აფხაზი, დვალი, ღურ-
ძუკი, ჰერი...

და თვით ვეფხისტყაოსანის გმირთა ძმობა-მეგობრობის საფუ-
ძველი, ერთობის საფუძველი სისხლით ჩამომავლობის ერთობაა?? ეს
საფუძველია კულტურული, საზოგადოებრივი და პირველ
თავში, კლასობრივი ერთიანობა. კლასობრივი მონათესაობა... (მ—
2, 4: ფურც. 53—57).

31. ქ^ცა II, ისტ. აზმ., 110₁

ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალება თამარმა „იგლოვა და
ყოველმან კაცმან საქართველოს მყოფმან"...

და ამ „საქართველოში" იგულისხმებოდა თვით ზაქარიაც,
რომელიც „იყო სარწმუნოებითა ს ო მ ე ხ ი, არამედ ყოველნი სათ-
ნოებანი სალმრთონი და საკაცობონო აქუნდეს".

ჩვენი ავტორი გასაჭირის წინაშეა: ზაქარია მისი საქმიანობით
ქართველი მთავარია, ქართველი თავადია, ის ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
ლაშქრის ამირსპასალარია, ხოლო ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ი თ ს ო მ ე-
ხ ი ა. ჩანს ორი ცნება: კულტურულ-პოლიტიკური (ქართველი) და
რელიგიურ-კონფესიური (სომეხი) ერთიმეორეს დაუპირისპირდა
ზაქარია მხარგრძელის ვინაობის განსაზღვრაში. ჩვენს ავტორს არ
შეუძლია თქვას, რომ ზაქარია ქ ა რ თ ვ ე ლ ი იყო, მაგრამ არც ის
ეჩვენება მართებულად, რომ თქვას, ზაქარია ს ო მ ე ხ ი იყო. ამი-
ტომაც სჭირდება განმარტების სახით: რომ ზაქარია ს ა რ წ მ უ ნ ო-

ებით სომეხი იყო და აქვე თითქო ამ განცხადების დასაკონ-
კრეტებლად ურთავს, რომ ეს სომეხი ისეთი სომეხი იყო, რომ
არცერთი სათნოება არ აკლდა, ე. ი. საქართველოს ერთგული
შვილი იყო და მაშასადამე ამდენადვე ქართველი და ეს მოვ-
ლენა ამ დროს უეჭველად ტიპიურია. ამ დროს პოლიტიკურ მოღვა-
წეთა აზროვნება უეჭველია ცდილობდა გამოენახა ახალი ვითარების
შესაფერისი ცნებები, ან კიდევ ძველი ცნებები ახალი შინაარსით
აევსო. საქართველო, ქართველი, მთავარი თუ ერისთავი ახლა მხო-
ლოდ ძველი შინაარსით როდი იხმარებოდა: „ქართველი" საქარ-
თველოს მკვიდრსა ნიშნავდა, ხოლო „საქართველო" — ქართველ-
თა ადგილსამყოფელს. ქართველი უპირველეს ყოვლისა ქართლის
მკვიდრს ერქვა (ეთნიკურად) შემდეგ ქალკედონიტს, ქრისტიანს
კავკასიაში (მერჩულეს დროს ეს საყოველთაოდ აღიარებული ფაქ-
ტია), შემდეგ საქართველოს მკვიდრს. უკანასკნელი ორი შინაარსით
ქართველი ეთნიკურ ქართლს სცილდებოდა და თავის შინაარსში
ითავსებდა როგორც კონფესიურ მომენტით განსაზღვრულ ქარ-
თველს, ისე პოლიტიკური მომენტით განსაზღვრულ ქართველს...
(მ— 2, 7. ფურც. 9—10).

32. საქ. ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამ. 246

ომან მდივანბეგი გადმოგვცემს: ნადირშაჰი „გან-
ძვინდა საქართველოსა ზედა და განიგულა აყრა მათი და მოწყვეტა
ქართლ-კახეთის ერისა. ჰსცნა რა ესე მეფემან თეი-
მურაზ, წარავლინა დედოფალი თამარ, ასული მეფის ვახტანგისა
ვედრებად ყაენისა წინაშე, რათა არა ასწყვიდოს ქართლ-კახე-
თისა ხალხი და დასცხრესცა მრისხანება მისი ქრისტიანეთა
ზედა: ხოლო მოვიდა რა დედოფალი თამარ დაღესტანში ნადირ-
შაჰს-თანა და ევედრა აუყრელობასა ქართლ-კახეთისასა..."

ერთიმეორის შესატყვისობით იხმარება ქართლ-კახეთის
ერი, ქართლ-კახეთის ხალხი და ქართლ-კახეთი.
არავითარი ერი იმ გაგებით, ჩვენ რომ გვესმის, აქ არ იგულისხმე-
ბა, მით უფრო „ქართველი ერი". აქ ის მერჩულეს ნაგულის-
ხმევ ერთეულსაც (სარწმუნოებრივ ერთიანობის ნიადაგზე შექმნილ
ერთობას) კი არ წარმოადგენს, არამედ მის ერთ ნაწილს
ქართლ-კახეთის საქრისტიანოს (მ—2, 3. ფურც. 66).

ეროვნული ბიბლიოთეკა

Марр, История Грузии стр. 29—30

«Государственный строй Грузии вырабатывался постепенно: выйдя из родового быта, через феодальный строй он шел к наследственному монархизму. (აქ ყველაფერი არეულია).

И в истории развития государственного строя весьма значительна роль отдельных грузинских племен. На политическом поприще, как и на литературном, поочередно выдвигались различные грузинские племена, иверы, месхи, картвелы (карталинцы или «карты») или парно иверы и колхи, картвелы и имеры (Имеретия) и т. п. Но во всех случаях, какие бы не возникали жизненные струи, они текли по общему руслу одного и того же грузинского национального течения. Все они представляют лишь отвлеченно отделяемые последовательные точки или параллельные черточки одной и той же линии общественного развития. Иногда в водоворот этого течения вовлекались и не грузинские племена, но их положения бывало различно в зависимости от степени их национальной зрелости. Абхазы также выступали политическими передовыми бойцами этой своеобразной государственной организации.

Сам Давид Строитель называется часто царем абхазов. Но с другой стороны, абхазы вынуждены были подчиниться грузинской культуре, приобщиться к ней. В значительной степени они усвоили грузинский язык. Также произошло с албанцами, часть которых поглощена Кахетиею. Но иное было положение армян с сильно развитым национализмом. Об объединении различных племен под властью одного грузинского царя свидетельствовал перечень их названий в царском титуле, имевшем вполне реальное значение».

მარი შესანიშნავია. (ხედავს მოვლენებს, ოღონდ ვერა ხსნის). ხედავს, რომ ფეოდალური საქართველოს წარმოქმნაში ქართველური ტომების გვერდით ცხოველ მონაწილეობას იღებენ и не грузинские племена აფხაზები, ალბანელები, სომხები (და ჩვენ დავუმატებდით: დვალები — ოსები, ხუნძები და სხვ.) და მარით საქმე ისე წარმოიდგინება, რომ ამ не грузинские племена-ს მდგომარეობა სხვადასხვა იყო „в зависимости от степени их национальной зрелости“. ალბანები სულ გაითქვიფნენ კახელებში, აფხაზები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოექცნენ ქართული კულტურის ძლიერი გავლენის ქვეშ, შეითვისეს ქართული ენა, მაგრამ, მარით, სხვაგვარი იყო სომეხთა მდგომარეობა (რომელთაც ძლიერ განვითარებული ეროვნული ბურჟუაზიისა-დათ). მარის შეცდომა იმაშია, რომ ის ფეოდალური სახელმწიფო ორგანიზაციის („этой своеобразной государственной организации...“ დამახასიათებელია ეს „своеобразной“, ალბათ მარი „своеобразие“-ს იმაში ხედავს, რომ ამ სახელმწიფო ორგანიზაციის შექმნაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე не грузинские племена...) შექმნაში აგრე მკვეთრ საზღვარსა სდებს ქართველურსა და არაქართველურ ტომთა შორის. მარი ხედავს, რომ ქართველური ტომების გვერდით არაქართველური ტომებიც „вовлекались в водоворот этого течения“ ზოგი უფრო, ზოგი ნაკლებ და კი არ კითხულობს, თუ რა ნიადაგზე ხდებოდა ეს „вовлечение“. მარს რომ საკითხი დაესვა ამ „вовлекались“ მიზეზისა და ბუნების შესახებ, მის წინაშე ფეოდალური სახელმწიფო ორგანიზაცია საქართველოსი არც „своеобразная“ იქნებოდა (რადგან ამ მხრით საქართველო ტიპიური ფეოდალური სახელმწიფო ორგანიზაცია იყო და არა „своеобразная“).

მარისთვის უდავოა და უყოყმანო ის დებულება, რომ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო წყობილების განვითარების ისტორიაში ძირითადია ქართველურ ტომთა როლი, რომ არაქართველურ ტომთა მონაწილეობა აქ შემთხვევითია, რომ მაშასადამე, ტომობრივი მონათესავეობის მომენტია ძირითადი. მაგრამ ეს ახსნა არაა. მარს უნდა ეჩვენებინა (მიეთითებინა), თუ რა ნიადაგზე იყო, რომ ქართველური ტომები ერთიანდებოდნენ (ხან ერთი ტომი ჩაუდგებოდა სათავეში ამ მოძრაობას, ხან მეორე, ხან წყვილ-წყვილად...). რა იყო ის ძალა, რომელიც ამდენი ხნის დაშორებულ ტომებს (საკუთარი ენით, კულტურით, ტერიტორიით) გაერთიანებისაკენ უბიძგებდა. რა იყო იმის მიზეზი, რომ ეს ტომები ერთიმეორის მონაცვლეობით ასე დაჟინებით გამოდიოდნენ გამაერთიანებლის (უკეთ, სახელმწიფო ორგანიზაციის შემქმნელის) როლში, თუ ამ საკითხს დასვამდა და მართებულად გადაწყვეტდა, მარი უმალვე დაინახავდა, რომ ტომური მონათესავეობა აქ გადამწყვეტი კი არ ყოფილა, არამედ სულ სხვა რამ... მონათესავეობა რომ გადამწყვეტი არ ყოფილა, ამას თვით მარის მიერ მოტანილი ფაქტები უარყოფს. აკი აფხაზები „выступали политическими передовыми бойцами этой своеобразной государственной организации“. ასევე ალბანელები, ასევე სომხები... (ასევე სხვები: ჯანაშია, გ. შარვაშიძე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარისებური ახსნით ამ ფაქტს არ მოევლება: „вовлекались...“ ჯერ ერთი აფხაზთ მონაწილეობა პასიური არ ყოფილა. ისინი აქ ტიური მოწინავე მებრძოლები იყვნენ და არც ერთ ქართველურ ტომზე ნაკლები არ ყოფილან ამ პროცესში... და აი საქმეც ისაა, თუ ეს „вовлекались“ რა ნიადაგზე ხდებოდა. ან ეს „водоворот“ „общественного развития“ რა იყო. ამ მოვლენათა ბუნებას, ამ მოვლენათა მთავარ ღერძს, რომ ჩასჭიდებოდა ჩვენი ავტორი, ეს მთავარი ღერძი რომ დაენახა, მას აღარ დასჭირდებოდა ეს ბუნდოვანი „водоворот“ „общественного развития“ და არც არანაკლებ ბუნდოვანი „вовлекались“. მარს პრინციპულად სხვადასხვად წარმოუდგენია ქართველურ ტომთა მონაწილეობა საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაციის შექმნაში ერთის მხრით და არაქართველურ ტომთა მონაწილეობა ამავე პროცესში მეორეს მხრით. პირველი საერთო ეროვნული მდინარების კალაპოტით მიიმართებოდა (საღაც, როდის და როგორაც არ უნდა წარმოშობილიყო, ეს გამაერთიანებელი სასიცოცხლო ნაკადები ამა თუ იმ ქართველური ტომის ჰეგემონობის სახით); ეს ასე ვთქვათ „ბუნებრივი“, „შინაური“, „მშობლიური“ მოვლენა იყო. მეორე, ე. ი. არაქართველურ ტომთა მონაწილეობა ამ პროცესში თითქო შემთხვევითი იყო და თითქო სხვა ფასის, ვიდრე პირველი (თუმცა ავტორი ვერ უარყოფს, რომ არაქართველური ტომები შეიძლება ყოფილიყვნენ და იყვნენ კიდევაც აქტიური მშენებლები საქართველოს სახელმწიფოსი). მარი ვერ ამჩნევს წინააღმდეგობას მის მიერვე მოტანილ ფაქტებსა და მისებურ ახსნას შორის და რაკი ყალბი დებულებიდან (ნაგულისხმევ) ამოდის, უნებურად ჩქმალავს ფაქტებს ან, უფრო სწორად, ამუქებს ფაქტთა ერთი რიგის მნიშვნელობას, ხოლო ნაკლებ ყურადღებას აქცევს ფაქტთა მეორე რიგს. ნამდვილად კი არავითარი ორი რიგის ფაქტი ჩვენ არა გვაქვს, თუ კი მეცნიერულად სწორად წარმოვიდგენდით ამ პროცესს, რომელსაც საქართველოს წარმოქმნა ეწოდება, ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოსი. მარის კონცეფციით გამოდის, რომ საქართველო მუდამ იყო (თუმცა მან კარგად იცის, რომ ეს ტერმინი ეროვნულ-კულტურული მნიშვნელობისაა): «выйдя из родового быта через феодальный строй он шелк наследственному монархизму». თავი რომ დავანებოთ იმ შეცდომებს, რაც ამ დროის მეცნიერისათვის ბუნებრივია, მარი გულისხმობს, რომ იყვნენ ქართველური ტომები, რომლებიც უპირისპირდებოდნენ არაქართველურ ტო-

მებს. იწყება რაღაც, „водоворот"-ი და ეს ტომები ერთიანდებიან... რა თქმა უნდა, მცდარი კონცეფციაა. ჯერ ერთი, რომ ყველა ტომები არ ერთიანდებიან. ტომთა გაერთიანება სახელმწიფოებრივ უგებრობაა. და თუ გაერთიანება, რაღაც დაიწყო, მაშ ტომობრივი კი არა, არამედ კლასობრივი.

მარი მართალია, რომ აღნიშნავს მრავალტომიანობას ამიერკავკასიაში (ამჟამად ჩვენ არ გვაინტერესებს მისი იმდროინდელი თეორია ქართველურ (იაფეტურ) ტომთა მოსულობის შესახებ), ქართველური, თუ არაქართველური ტომების სიმრავლეს. მართალია იმაშიც, რომ დაშორიშორება ტომებისა (ქართველურისაც კი) შორს იყო წასული. რომ დიალექტ-კილოსა და კილოკავს გვერდით, სხვადასხვა ტომი სხვებისაგან დაშორების გზით ფრიად შორს იყო წასული, საკუთარი ენა შემუშავებოდათ (უეჭველად იგულისხმება, რომ ენით ასეთი დაშორება ნიშანია კულტურის სხვა მხარეების შესაფერისი დაშორებისა). იმაშიაც მართალია მარი, რომ არაქართველური ტომები კიდევ უფრო დაშორებული იყვნენ ქართველურ ტომებისაგან. თუმცა საერთო იაფეტურობა მათ მონათესავეობას მოწმობდა (მარით საქმე ასე წარმოიდგინება: კავკასიაში მოსახლეობდნენ იაფეტიანები: 1. სამხრეთ კავკასიელნი, 2. შუა კავკასიელნი, 3. იმიერკავკასიელნი. მეორეს მხრით იაფეტიანელები ყველა ერთნაირი შენახულობა-დაცულობისა როდი იყვნენ: ურთიერთთან აღრევით, თუ ინდოევროპიელებთან შერწყმით იაფეტიანთა სხვადასხვა ნაირსახეობა შეიმჩნეოდა. ქართველური ტომები ყველაზე უფრო წმინდა სახით შემორჩენილიყვნენ იაფეტიანობას. ოსები, სომხები გადაგვარებულნი (გაინდოევროპელებულები) იყვნენ. სხვები ამ ორ უკიდურესი ვითარების შუაში იყვნენ...).

მაგრამ ეს ლინგვისტიკური დაღრმავება ჩვენ, ისტორიკოსებს ნაკლებად გვჭირდება. ჩვენთვის საკმაოა იმის დადგენა, რომ გარკვეულ დროს კავკასია დასახლებული იყო ახლომონათესავე, შორმონათესავე, თუ არამონათესავე ტომებით. მარი იმაში ცდება, რომ ის ერთიმეორეს უნაცვლებს პრაქტიკულ-ისტორიულსა და თეორიულ (ლინგვისტურ) მოვლენებს. ისტორიული პროცესის წარმოდგენისას მარი სცილდება რეალურ ვითარებას, ვერ გრძნობს სინამდვილეს და, ლინგვისტურ თეორიაზე დაყრდნობით, აყალბებს მას. რა სათქმელია, რომ პრაქტიკულ-ისტორიულად მეტად მცირე იყო მნიშვნელობა ტომების ნათესაობა-არნათესაობისა ქვეყნის სახელმწიფოდ გარდაქმნის პროცესში. მარმა იცის, რომ გარკვეული ტომები მო-

ნათესავენი (ქართველური) იყვნენ და ამ ცოდნას მიაწერს იმ ტომებს (რომელნიც, იგულისხმება, ამ ცოდნით ხელმძღვანელობენ თავის პრაქტიკულ-პოლიტიკურ საქმიანობაში!). ამავე დროს, ეგზოლინგვისტური შესწავლის საფუძველზე მარი დაასკვნის, რომ ეს „მონათესავე“ ტომები ენობრივად ერთიმეორეს მოწყვეტილი არიან (პრაქტიკულად). მაგალითად, ქართის ტომისათვის რა განსხვავებაა აფხაზ ტომსა და სვან ტომს შორის? განა ქართმა იცოდა, რომ სვანი უფრო ნათესავი იყო მისი? და ასე სხვაც. და, მაშასადამე, რატომ იყო პრინციპულად სხვა ის, რაც ხდებოდა ქართველურ ტომთა შორის ერთის მხრით და არაქართველურ ტომთა შორის მეორეს მხრით? მარი სწორედ აქა ცდება. არავითარი პრინციპული განსხვავება აქ არ ყოფილა, პროცესი ერთი ხდებოდა (სულ სხვა საფუძველზე. ყველასათვის ერთ საფუძველზე) და ტომთა ქართველურობა, თუ არაქართველურობა აქ ხელის შემწყობი, ან ხელის შემშლელი გარემოება შეიძლება ყოფილიყო და არავითარ შემთხვევაში ის გადამწყვეტი მნიშვნელობისა არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ასე, რომ მცდარია მარისეული წარმოდგენა ქართველურ ტომთა მოძრაობის ისტორიულ-ობიექტური დანიშნულების შესახებ: იყო თითქო ქართველური ტომები, გარკვეულ დროს იწყება მათი ამოძრავება ჰეგემონობა პოლიტიკური, კულტურული ხან ერთის, ხან მეორისა; ყველაფერი ეს ქართული ეროვნული მოძრაობაა. ამავე დროს იყვნენ მეორე რიგის ტომები, რომელნიც „вовлекались“ ამ ქართველურ ტომთა მოძრაობაში.

მონათესავეობას რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა ტომთა გაერთიანების საქმეში სახელმწიფოდ, ე. ი. სახელმწიფოს წარმოქმნაში რომ მონათესავე ტომთა გაერთიანება ყოფილიყო უმთავრესი, მაშინ ეს მონათესავე ტომები არც უნდა დაშლილიყვნენ და იმთავითვე სახელმწიფო უნდა არსებულიყო (მონათესავეობა რაც უფრო ღრმად, მით უფრო რეალური იყო...) ეს კი აბსურდია. ასე რომ ტომებად დაშლაც და ტომების გაერთიანებაც სულ სხვა მოვლენებს გულისხმობს და არა მხოლოდ ტომთა მონათესავეობას. გარკვეულ დროს, ტომთა განვითარების გარკვეულ საფეხურზე, აუცილებელი ხდება ტომთა გაერთიანება, მაგრამ ეს გაერთიანება არის ამავე დროს თითოეული ამ ტომის დაშლის ნიშანიც... ასე, რომ ერთიმეორის პარალელურად და ერთიმეორის შესატყვისობით მიმდინარეობს ტომთა დაშლა და ქვეყნის გაერთიანება სახელმწიფოდ. ამ დროს ამა თუ იმ ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები ყვე-

ლა ერთნაირი მონათესავენი როდი არიან. ახლომონათესავეს გვერ-
დით, უფრო შორეული მონათესავენიც მოიპოვებიან. ზოგ ტომს
გრძნობს ამ მონათესავეობას მეორე ტომთან, სხვები კიდევ ეტრ-
დაშორებულობის გამო, ამ მონათესავეობას სრულიადაც არ გრძნო-
ბენ. აქვე შესაძლებელია მოიპოვებოდეს არამონათესავე ტომიც...
და იწყება პროცესი ახალი ორგანიზაციის წარმოქმნისა...

ტომთა მონათესავეობა, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობის მო-
მენტი იყოს, მაშინ საქმე ისე უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მონათე-
სავე ტომები თავდაპირველად ერთიანდებიან და შემდეგ იწყება
პროცესი სახელმწიფოს წარმოქმნისა, მაგრამ საქმეც ისაა, რომ, რო-
გორც ზემოთ შევნიშნეთ, ნამდვილად ასე არ ხდება: ტომები დაშ-
ლისდაკვალად ერთიანდებიან (და ინიციატივა იმის ხელთ აღმოჩნდე-
ბა, რომელი ტომიც დაშლის სახით უფრო შორსაა წასული), ე. ი.
კლასობრივი ურთიერთობის წარმოქმნისდა კვალად და ამ ახალ სა-
ფუძველზე ერთიანდებიან. მონათესავეობის მომენტი მეორეხარის-
ხოვან მომენტად იქცევა და უმთავრეს მომენტად ეს ახალი მოვ-
ლენა — კლასობრივი ურთიერთობა — გვევლინება (წიგნი 14,
ფურც. 11—16).

2. ლაზურ-მეგრული ენა, ან აფხაზური ენა რომ სახელმწიფო
ენა ყოფილიყო, სრულიად წარმოუდგენელია, რომ VIII—IX სა-
უკუნეებში ის იქ ქართული ენით შეცვლილიყო. ბერძენთა პოლი-
ტიკური, თუ კულტურული გავლენისაგან განთავისუფლება პირი-
ქით, მეგრულის, თუ აფხაზურის გაძლიერების საფუძველი უნდა
გამხდარიყო, მაგრამ ქართულმა აქ შეცვალა, როგორც სახელმწი-
ფოებრიობის ენამ, როგორც კულტურის ენამ ბერძნული. ხოლო სა-
ამისო პროცესი კი შემზადდა საუკუნეთა მანძილზე, როცა ლაზიკა-
აფხაზეთში ფეოდალური ურთიერთობა ფეხს იკიდებდა დიდად და-
წინაურებული ქართის ფეოდალური ურთიერთობის მეზობლობა-
ში. ასე რომ ჯერ ისევ ლაზთა სამეფოს არსებობის პირობებში მიმ-
დინარეობდა ფეოდალური საქართველოს წარმოქმნის დიდი და
ხანგრძლივი პროცესი და მხოლოდ ასეთ ვითარებათა გათვალისწი-
ნებით არის გასაგები ის უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური
ნახტომი, როცა მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა ბიზანტიასთან,
ბიზანტიური კულტურულ-პოლიტიკური არე უკუგდებულია და
ის ქართული კულტურულ-პოლიტიკური არე-

თი შეიცვლება, — როცა აფხაზეთის სამეფო საქართველოს მშენებლის როლში გამოდის, როცა ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოს წარმოქმნის დიდ ინიციატორად ეგრულ-აფხაზური, ფაქტიურად კი უკვე ქართული ფეოდალური საზოგადოება იღებს ხელთ.

ლაზებმა (მეგრელებმა), როგორც საფიქრებელი ხდება, ვერ შეძლეს ძველი კულხას მემკვიდრეობა; თუმცა იჩემებდნენ კია მათ მემკვიდრეობას. მაინცდამაინც ბერძნული კულტურული და პოლიტიკური გავლენა ლაზიკაზე განუზომლად დიდია, ვიდრე ეს კულხა-კოლხეთში ივარაუდებოდა (თავდაპირველად ასეთი გავლენა კულხაში არც იყო და ასეთი რამ საკმაოდ გვიან უნდა შემოსულიყო სწორედ კოლხეთის დაცემის ხანაში). საფიქრებელი ხდება, რომ ბერძნულმა ენამ ლაზიკის თუ აფხაზეთის პრივილეგირებულ წრეებში მტკიცე პოზიციები დაიჭირა, განსაკუთრებით მითრიდატ პონტოელის განადგურების შემდეგ, როცა ეგრის-აფხაზეთი საუკუნეთა განმავლობაში (თუ მეტი არა ორი მაინც) რომის უშუალო მფლობელობაში იმყოფებოდა... და როცა ადრეფეოდალური ურთიერთობის გზაზე შემდგარი ლაზიკა თუ აფხაზეთი პოლიტიკურად გაძლიერდა, მან ბერძნული კულტურის გავლენის ეს ნიშანი ვერ უარყო, პირიქით ეს ნიშანი ახლა ბერძნული საეპისკოპოსოების დაარსებით კიდევ უფრო გაღრმავდა. ასე, რომ მეგრული ენა, ისევე როგორც აფხაზური, სახელმწიფო ურთიერთობის სარბიელზე ვერ გამოვიდა... („მერჩულე" — 6, ფურც. 26—29).

3. „საქართველო" ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების ხნისაა.

ივერია (იმერია) — ქართლი — კოლხა — ეგრისი (ლაზიკა) ფეოდალური ურთიერთობის წინა ხანისაა.

ახალი „ტერიტორია", „ახალი ენა", ფსიქიკური წყობა... მარი (და სხვებიც) ახალ ენას ამჩნევენ, თუმცა უმართებულოდ ხსნიან... ახალ ტერიტორიას მე ვამჩნევ: ახალქალაქები (ქალაქების გაქრობა და ახალთა გაჩენა), მთა და ბარის დაახლოება (ცხინვალ-ჟინვანები): კლასობრივი ურთიერთობის გაფართოება-გაღრმავება. ახალი საზოგადოებრივი ძალების გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე. ზეგნის და ბარის დაკავშირება, გზები, ციხის მნიშვნელობის ცვლა, მორწყვა (წყარო შეიცვალა რუ-თი). („ერის" მნიშვნელობის ცვლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგინდ სუსტი არ იყო ფეოდალური ქვეყნის გაერთიანება, ის მაინც გაერთიანება იყო და საამისო საკმაო პირობას გულისხმობ-და... აბსოლუტურად კარჩაკეტილი, ყოვლად თვითკმარი მეურნეობა არასოდეს არსებულა, მას შემდეგ, რაც კლასობრივი ურთიერთობა შემოვიდა... ასე რომ ქვეყნის გაერთიანებაში დაინტერესებული, კლასობრივ საზოგადოებაში მისი რაღაც ნაწილი (მეტის თუ ნაკლების რაოდენობით) მუდამ იყო. უამისოდ არც რაიმე გაერთიანება (მეტი თუ ნაკლები ხანგრძლივობით) მოხერხდებოდა. იგულისხმება, რა თქმა უნდა, არა რაღაც დაპყრობა (მაგალითად, არაბული, მონღოლური თუ სხვა; რომელსაც ერთიანი კულტურის წარმოქმნა არ მოყვება და დაიშლება, როგორც კი საამისო საშუალება ჩნდება), არამედ გაერთიანება, რომელიც ორგანულ ერთიანობასა ქმნის, (თუნდაც ფეოდალურს), მყარ ერთობას, ენით, კულტურით. ასეთ ერთობაში შემოვიდა არაერთი მოძმე და არამოძმე ხალხი, ამ ერთობაში შემოდიოდა, რომ დაცდოდა, სომეხი ფეოდალური საზოგადოება... ვინც ფეოდალური ხანის IX—XIII სს. ფაქტებს იცნობს სომეხ-ქართველთა ურთიერთობიდან, მას არ შეიძლება თვალწინ არ გადაეშალოს მეტად საგულისხმო ტენდენცია იქით მიმართული, რომ ამიერკავკასია ერთ დიდ სამეურნეო და პოლიტიკურ კულტურულ ერთეულად ქცეულიყო. ამ ერთეულშივე, იგულისხმებოდა, შემოვიდოდა ალბანეთიც (გარდმანი, უდი, სივნიეთი, შარვანი, შაქნი, ჰერნი). სულ ერთია ვინ იქნებოდა ეს ერთეული „სომხეთი“ თუ „საქართველო“ (სხვადასხვა გარემოებათა დამთხვევის შედეგად ისე მოხდა, რომ ეს ერთეული საქართველო აღმოჩნდა), მთავარი ის იყო, რომ ეს ერთეული უნდა წარმოქმნილიყო. ეს იქნებოდა წინაბურჟუაზიული გაერთიანება.

ეს ბოლომოუღებელი ბრძოლები „ქართლსა ზედა“... შესანიშნავია ქართველი ისტორიკოსის ეს გამოთქმა! ისტორიკოსი ხედავს, რომ ეს საუკუნოვანი ბრძოლა ფეოდალების ხუშტურის — ომისადმი თანდაყოლილი სიყვარულის — გამოხატულება კი არ ყოფილა, როგორც გ. სოსელია ფიქრობს, არამედ გამიზნული ბრძოლა, რომელიც ღრმა საფუძველს ემყარებოდა... ისტორიკოსი მხოლოდ ნაწილობრივ მოხაზავს ისტორიულ მოვლენას: ბრძოლა იყო არა მარტო „ქართლსა ზედა“ — არც ერთი მებრძოლი მხარე „ქართლით“ დაკმაყოფილებას არ აპირებდა, — არამედ ბრძოლა მიმდინარეობდა მთელი ამიერკავკასიისათვის. სომხეთის ფეოდალური სამეფოები (ყარსის, დვინის, ანისის, ვასპურაკანის),

ქართული ფეოდალური სამეფოები (აფხაზეთის, ტაო-კლარჯეთის, კახეთის) სრულიადაც არ იფარგლებოდნენ საკუთრივ „ქართველებით“ და მათი ბრძოლის ობიექტს შეადგენდა შიდა ქართლის გვერდით ქვემო ქართლი — ტფილისის საამირო, სომხით-ზორაკერტი, ჰერეთი, გარდმანი, შირაკი, ვანანდი, ტაო-კლარჯეთი, ბასიანი... ბრძოლა მიმდინარეობდა ალბანეთისათვის სამხრეთ ალბანეთში სომეხთა უპირატესობით, ხოლო ჩრდილოეთ ალბანეთში ქართველთა უპირატესობით.

ივ. ჯავახიშვილმა ეს მოვლენა ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის, ამიერკავკასიის გაერთიანებით რომ დასრულდა, დაავიწროვა, „საქართველოს გაერთიანების“ კონცეფციამდე დაიყვანა, ხოლო სომეხთა ბრძოლას ეპიზოდური ჩამორევის ხასიათი მიაკუთვნა. ნ. მარმა ეს ბრძოლა დაინახა, ოღონდ ვერც იმან ახსნა მარქსისტულ-მატერიალისტურად და რაღაც გაუგებარი შუაკავკასიის ზეგანეთის გეოგრაფიული ახსნა შემოიტანა. გეოგრაფიულ-მექანისტური ეს ახსნა კავკასიის (ამიერკავკასიის დიდი ნაწილის) ერთიანობის აღიარებიდან გამოდიოდა, განსხვავებით ივანე ჯავახიშვილისაგან, რომელიც მხოლოდ ტომობრივ მომენტსლა უწევდა ანგარიშს. არავითარი „ქართველი“ წინაფეოდალურ ხანაში არ არსებულა და ამდენადვე „საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა“ არც შეიძლებოდა არსებულიყო...

კლასობრივი ურთიერთობის წარმოქმნის გვერდით და მისი განვითარების ნიადაგზე მიმდინარეობდა პროცესი ტომების გაერთიანება-შერწყმისა, ხალხების ჩამოყალიბებისა — საერთო ენით, ტერიტორიით, სახელმწიფოთი. საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების გარკვეულ საფეხურზე, კლასობრივი ურთიერთობა ფეოდალური ურთიერთობის სახეს იღებს, წარმოიშვებიან ადრეფეოდალური სახელმწიფოები, რომელნიც ამჟღავნებენ ტენდენციას გაერთიანებისაკენ, უკეთ, თითოეული მათგანი ცდილობს გამსხვილებას, რამდენადაც ამას შეესაბამება ამ ფეოდალური ერთეულის საწარმოო ძალთა განვითარება... და ეს ფეოდალური ერთეულები წარმოიშვებიან არა ეთნიკური მომენტის საფუძველზე, არამედ კლასობრივი ურთიერთობის საფუძველზე (ეთნიკური ფაქტი აქ ხელის შემწყობი მომენტი შეიძლება იყოს...). ამის ყოვლად თვალსაჩინო მოწმობა არაერთი შეიძლება მოვიტანოთ: განა სომხეთის სამეფო ერთი ეთნოსისა იყო, განა ყარსის მეფენი ასევე ქართულ-სომხური არ იყვნენ, განა ასევე შერეული ეთნოსისა არ იყო დიდი სომხეთი, მის ტაოს ნაწილში, ან შირაკის სამეფო უტი-

გარდმანის ნაწილში, ან დავით კურაპალატის სამეფო, ან კახეთის სამეფო მის გარდმანის ნაწილში და სხვა და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კლასობრივ ურთიერთობის ნიადაგზე წარმოშობილი ერთეულენა როგორ შეიძლება ეთნიკური მომენტით ისაზღვრებოდეს თავის წარმოშობა-ფორმირების ხანაში და არა კლასობრივი ურთიერთობის მომენტით? ეს ხომ ისტორიის უკანსვლა იქნებოდა და არა მისი განვითარება: ტომობრივ-ეთნიკური მომენტი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო წინაკლასობრივი ურთიერთობის ხანაში, მის გარკვეულ საფეხურზე.

გასარკვევი და ნათლად მოსახაზავია ის განვითარება, ის ეკონომიური განვითარება, უკეთ, საწარმოო ძალთა ის განვითარება, რომლის ნიადაგზე შესაძლებელი და გარდაუვალი ხდებოდა ეს გამსხვილება ფეოდალური პოლიტიკური ერთეულებისა, მათი გაერთიანება. ფაქტების შეუსწავლელობის პირობებში ჩვენ იძულებული ვართ შედეგიდან დავიწყოთ: სამას-ოთხასწლოვანი პროცესი ყოველგვარ დაბრკოლებათა გადალახვით (უმძიმესი საშინაო და საგარეო ხასიათის დაბრკოლებანი ეთნიკური, რელიგიური, თუ პოლიტიკური ხასიათისა: წარმართები, მონოფიზიტები, დიოფიზიტები; ჯიქები, აფხაზები, მეგრელები, სვანები, ქართები, ჰერები, ლეკები, ავარები, შაქნი, უდები, სომხები, გარდმანელები, სივნიელები, არმენები, ტაოელები; სპარსთა, არაბთა, ბერძენთა, თურქთა მძლავრობანი) ამიერკავკასიის გაერთიანებით დასრულდა; წარმოიქმნა ერთიანი ფეოდალური სახელმწიფო, რომლის წინაშე დაისვა უდიდესი მნიშვნელობის საზოგადოებრივი ამოცანა: წინაბურჟუაზიული გაერთიანებისათვის საფუძვლის შექმნა, ბიუროკრატიული სახელმწიფოს ცენტრალისტურად გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნა, რომელიც საამისოდ განვითარებულ ეკონომიურსა და სოციალურ ურთიერთობას დაემყარებოდა.

მარის (და სხვებისაც) შეცდომა ის იყო, რომ იგი ქართული სამწერლობო ენის შეცვლის ფაქტს, ვთქვათ, ადრეფეოდალური ურთიერთობის გასულს რომ აღინიშნა, რაღაც ახალი ქართველი ტომის გაბატონებით, მის წინა პლანზე გამოსვლით ხსნის (ვთქვათ, იბერთა შეცვლას ქართით) და არა ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებით, ე. ი. სოციალურ-ეკონომიური ფორმაციის შეცვლით, ახალი საზოგადოებრივი ძალების გამოსვლით სამოღვაწეო (—სამწერლობო) ასპარეზზე (იმერი თუ ივერი ტომის ჰეგემონიის შეცვლა ქართის ტომის ჰეგემონიით გაცილებით ადრე უნდა მომხდარიყო. შეიძლება სწორედ ამ ფაქტის ანარეკლი იგულისხმებოდეს

არიან-ქართლიდან მცხეთას, აზოს მეთაურობით* ქართველთა მოსვლაში...). ამ პატივცემულ მკვლევრებს, რომ თვალი გაედევნებინათ ქართული სამწერლობო ენის შემდგომი თავგადასავლისათვის, ისინი დარწმუნდებოდნენ, რომ სამწერლობო ენის ცვლისათვის სრულიადაც არ არის აუცილებელი ეთნიკურ-ტომობრივი ძვრები, რომ სამწერლობო ენის ცვლა უწყვეტი პროცესია (ენის საერთო ცვლასთან ერთად) და „შეუმჩნევლად" მიმდინარე; ის განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება ამა თუ იმ საზოგადოების ცხოვრების გარკვეულ მომენტში, როცა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა, ან ამ ურთიერთობის ახალი საფეხური თავის შესაფერის „ენას" მოითხოვს. ქართული ენათმეცნიერება ვალშია ისტორიის წინაშე: მან უნდა გვიჩვენოს ქართული სამწერლობო ენის ეს თავგადასავალი. საკმაო არაა, რა თქმა უნდა, ზოგადი და ბუნდოვანი „ძველი", „საშუალო" და „ახალი" ქართული („მერჩულე"—6, ფურც. 46—51).

4. ყოველი კლასობრივი საზოგადოება თავისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე კლასობრივი ბრძოლის ამა თუ იმ სახეობის პირობებში, იჩენს გარდაუვალ ტენდენციას პოლიტიკური დაშლისა, თუ პოლიტიკური გაერთიანებისადმი, წვრილ თუ მსხვილ პოლიტიკურ ერთეულებად ჩამოყალიბებისადმი და ეს დამოუკიდებლად იმისგან, თუ როგორი ახლო თუ შორეული ტომებისაგან შედგება ეს საზოგადოება, მონათესავე თუ არამონათესავე ტომები მოჰყვებიან ამ გაერთიანებაში. პოლიტიკური დაშლილობის ფორმას მიიღებს მონათესავე ტომებისაგან შემდგარი საზოგადოება და გაერთიანების მტკიცე ტენდენციას შერჩება არამონათესავე ტომებისაგან შემდგარი საზოგადოება, როგორც კი და სადაც კი საწარმოო ძალთა განვითარება და წარმოებითი ურთიერთობა საამისო პირობებსა ქმნიან, როგორც კი და სადაც კი საზოგადოებრივ კლასთა ბრძოლა საამისო პირობებს გულისხმობს.

განა ფეოდალური რუსეთი XV საუკუნეში და მანამდეც სულ ერთიანი რუსი ჩამომავლობის ტომთა შენაერთს წარმოადგენდა, ან შუა საუკუნეების საფრანგეთი გალების, ფრანკების, კელტების, რომაელების, ბრეტონელების, ნორმანების, გერმანელების და სხვათაგან არ შეირწყა?... და ინგლისი კელტების, ბრიტების, ნორმანების, შოტლანდიელების და სხვათაგან არ შეირწყა?!

და დღეს გამოვა რომელიმე ბურჟუა ფრანგი, ან ინგლისელი

და იდავებს ან იტყვის, რომ ის ვიკინგებს გაუთანასწორეს ფეოდალური საფრანგეთის, თუ ინგლისის წარმოქმნის პროცესს. [illegible] იწყენს და იდავებს მხოლოდ ის, ვინც იმ ფეოდალური [illegible] ლისკვეთებას ვერ გასცილებია, როცა საზოგადოებრივი განვითარების გარდაუვალი კანონით ეს პროცესი მიმდინარეობდა, ხოლო ესა თუ ის ფეოდალი ასეთ მანიველირებელ პროცესში თავისთვის სარფას ვერ ხედავდა... („მერჩულე" — 6, ფურც. 60—62).

5. აქამდე თუ ქართული ფეოდალური ერთეულების წარმოქმნა, ასე თუ ისე, მიწაზე კერძო საკუთრების გაჩენისა და კლასობრივი ბრძოლის წარმოშობით განიხილებოდა, ფეოდალური საქართველოს წარმოქმნისათვის ესევე მომენტი სრულიად უგულვებელყოფილი იყო. ტომის შიგნით კლასობრივ ურთიერთობაზე საუბარი საკმაოდ იყო, მაგრამ როგორღა ხორციელდებოდა ცალკეულ ტომთა შერწყმა, ერთი ფეოდალური ერთეულის მიერ მეორე ფეოდალური ერთეულის, ან ნახევრად ფეოდალური ერთეულის შემოერთება, ამის შესახებ ნაკლებ უფიქრიათ და თავისუფალი გასაქანი ეძლეოდა ი დ ე ა ლ ი ს ტ უ რ კ ო ნ ც ე ფ ც ი ა ს ფეოდალურ ერთეულთა გაერთიანებისათვის ტომთა მონათესავეობის აუცილებლობის შესახებ (საერთო თუ არა, ახლო მონათესავე ენებით, საერთო ჩამომავლობით და, ალბათ, საერთო კულტურით...).

რა თქმა უნდა, ასეთი „ახსნა" ამ მოვლენისა ჩვენი ისტორიოგრაფიის ჩამორჩენილობის მოწმობაა. მაგრამ ჯერ ფეოდალური ურთიერთობის წარმოქმნის შესახებ მცირე ერთეულებში, ძველს გაერთიანებებში, გვარში, ტომში. ფეოდალური ურთიერთობის წარმოქმნა მხოლოდ გვარისა და ტომის დაშლის საფუძველზე ხორციელდება. ამიერიდან არსებითად ქრება გვარი და ტომი, როგორც სოციალური ორგანიზაცია, როგორც ცოცხალი ორგანიზაცია. ამავე დროს და ამდენადვე მოეხსნება ფარდა ძველ გვარს, ტომს და იქ შესვლა შესაძლებელი და ხშირად, საჭირო და უცილობელი ხდება „უცხოსათვის" (მონები, დამორჩილებული თემები თუ მეთემეები — „გლეხები"). ასე რომ ამა თუ იმ გვარის, თემის თუ ტომის კლასებად დაშლის შედეგად ჩვენ ვიღებთ ო რ კ ლ ა ს ს ა რა მხოლოდ ამ გვარია, თემის თუ ტომის შვილებისაგან შემდგარს, არამედ მ რ ა ვ ლ ა დ შ ე რ ე უ ლ ს უ ც ხ ო ტ ო მ ე ბ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ი თ. რაც უფრო ღრმა და სწრაფია ეს პროცესი კლასების წარმოქმნისა და გვარ-ტომ-თემის დაშლისა, მით უფრო ძლიერია

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხო თესლის შემორევის მომენტი. ასე რომ არსებითად ეს მომენტი ხდება მოვლენის დამამტკიცებელი. ეს უცხო თესლი არის სწორედ ის ფილაკვანი, რომლითაც გვარის, ტომის, თემის სიმტკიცეს სტეხს გვარისა და ტომის „მოღალატე"... ამრიგად, როცა, ბოლოს, სრულდება ეს პროცესი და ჩვენ წინაშეა კლასობრივად დაშლილი გვარი თუ ტომი, იმ ძველი გვარიდან თუ ტომიდან მას აღარა შერჩენია რა: ორგანიზაცია მოიშალა, ხოლო ეთნიკური შედგენილობა შერეული გახდა; ერთი სიტყვით, ორივე არსებითი მხრით გვარი, ტომი გაქრა, შერჩა მხოლოდ ძველი სახელი და რუდიმენტის სახით ესა თუ ის იდეურ-იდეოლოგიური მოვლენა, რამდენადაც ასეთი რამ ან საჭარგებლოა გაბატონებული ფენისათვის, ან ყოვლად უწყინარი მათი ბატონობისათვის... შერჩა ტერიტორია, შერჩა ენა...

ახლა ფეოდალური საქართველოს წარმოქმნის შესახებ. ზემოხსენებული პროცესი ქართლში ძველი დროიდან (—III ს.) VI საუკუნემდე მიმდინარეობდა, ბარში სწრაფად, ზეგანში ნელა, მაგრამ იქაც და აქაც ისე, რომ VI საუკუნისათვის ეს პროცესი ძირითადად დასრულებული იყო, რის შედეგი იყო „ფეოდალური რევოლუცია", ე. ი. პოლიტიკური ხელისუფლების დაპყრობა აზნაურთა მიერ (რევოლუციას კი პირველყოფილი თემური წყობილებიდან კლასობრივი ურთიერთობის — ფეოდალიზმის საბოლოო გამარჯვებამდე, გამოდის 1000—1200 (რკინის გაბატონებიდან) წელი დასჭირდა.). ცალკე საკითხია მონათმფლობელური საზოგადოების და სახელმწიფოს საკითხი ქართლში. ფაქტობრივი მასალა (არქეოლოგიური მონაცემები — მცხეთა, კლდეეთი, ბორი, საჩხერე... დამწერლობა, უცხო ცნობები) და გვიანი ხანის მოვლენები, როცა ქართლში აღმოჩნდება მართლაც ფრიადი ქვეყანა არაქართის წარმოშობისა (ჰერეთი, არგვეთი, ფერსათი, გურია, მესხეთი), — ერთხმად მოწმობენ ამ ფეოდალურ რევოლუციამდელი იბერიის დიდ ეკონომიურ და პოლიტიკურ სიძლიერეზე. ამ საფუძველზე ჩვენ ვალდებული ვართ იბერია ძლიერ წინაფეოდალურ სახელმწიფოდ დავსახოთ (მიწის ნასყიდობის ინსტიტუტი, გლეხის არსებობის ფაქტი, გაყრის წესი, — ყველა ეს ამ მაღალ განვითარებულობას მოწმობს, ამასვე მოწმობს ქართული ქრისტიანობის შემოღების ფაქტი, რევოლუცია ძველ „იბერულ" — არმაზულ დამწერლობაში. ამასვე მოწმობს ხუროთმოძღვრული ძეგლები

ქრისტიანული ხანისა, მონეტები ქართული წარწერებით, პალიმფსესტები და ქართველი საეკლესიო მოღვაწენი უცხოეთის ... ლო ასპარეზზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეს ძლიერი ქვეყანა მაინც ადრემონათმფლობელურ ქვეყანად გვესახება. ბარში, მ ტ კ ვ რ ი ს გ ა ყ ო ლ ე ბ ა ქალაქებში, ბარის „ქ ვ ე ყ ნ ე ბ შ ი“ (საჩხერე, ბორი, კლდეეთი, გორი-ურბნისი-უფლისციხე, კასპი, სარკინე-მცხეთა, მუხრანი, ხერკი, თბილისი და ვოსტანი, ხუნანი და გაჩიანი) მონათმფლობელური ხელისუფლება ახორციელებს კონტროლს უშუალოდ. ეს ჩანს თითქო სტრაბონის მოწმობიდან, რომ ბარელები სომხურ და მიდურ წესზე, ხოლო იბერთა უმრავლესობა ზეგანში სხედან, სარმატებს ნათესაობენ და ომზე თვალი უჭირავთ. აშკარად იგრძნობა, რომ ორი ტიპის საზოგადოებასთან გვაქვს საქმე. მშვიდობიან ბარის მცხოვრებლებთან (ა მ ა თ ს ა ფ ლ ა ვ ე ბ შ ი, უ ე ჭ ვ ე ლ ი ა, ს ა ბ რ ძ ო ლ ო ი ა რ ა ღ ი ა რ ა ა მ ო ს ა ლ ო დ ნ ე ლ ი) და იარაღასხმულ ზეგნელებთან. მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებო ისაა, რომ სტრაბონით ზეგნელები იბერიელთა უმრავლესობას შეადგენენ. ასე რომ იგულისხმება, ეს უმრავლესობაც იბერიის სახელმწიფოში შედის (ამას გულისხმობს სტრაბონის ტექსტი), მაგრამ განსხვავებული სოციალური წყობით, სამხედრო დემოკრატიის წყობით, ვიდრე ბარელები. ასე რომ აქ მოცემულია იბერიის სამეფოს ზოგადი სოციალური დახასიათება, სადაც უმცირესობა მონათმფლობელური — კლასობრივი საზოგადოებაა, უმრავლესობა პირველყოფილი თემის რღვევის ზღვარზე მდგომი სასოფლო თემები, სამხედრო დემოკრატია... აი ასეთი ქვეყნის დიდი წარმატებაგანვითარება გვაქვს ჩვენ I—IV საუკუნეებში. IV საუკუნიდან უკვე წამყვან როლს მონათმფლობელობას ეცილება ფეოდალური ურთიერთობის გზაზე შემდგარი ზეგანი (სუსტდება რომთან ურთიერთობაც, იცვლება აღმოსავლეთ რომის იმპერიაც... თავს იჩენენ ძლიერი ს ა თ რ ა პ ე ბ ი... უქმდება დიდი გზა — რომი-ინდოეთი, მცირდება საგარეო ვაჭრობა) და VI საუკუნისათვის მდგომარეობა სრულიად გარკვეულია: ფეოდალურმა წამოწყებამ აჯობა მონათმფლობელურს და ქვეყანაც ამ წესზე მოეწყო.

დაახლოებით ასეთივე ვითარება არის სავარაუდებელი კოლხეთ-ლაზიკაში, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ლაზიკა მეტისმეტად შეავიწროა რომმა და ბერძნული გავლენაც ამ ქვეყანაში შეუდარებლად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე იბერიაში. ამის შედეგი იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ლაზიკაში არ შეიქმნა საკუთარი დამწერლობა; თუ იბერიამ მთელი რიგი ტომები შეიერთა და გათქვიფა, ლაზიკამ თავი ვერ დაიცვა ბიზანტიისაგან და ვერც მოძმე ქართის ტომთან კავშირი ვერ შეერწყმის პირობებში დაიცვა ლაზური სახე.

(ფეოდალური საქართველო იყო კლასობრივი ორგანიზაცია, და მხოლოდ კლასობრივი ორგანიზაცია, და რაღა სალაპარაკოა, რომ ამ ორგანიზაციის წარმოქმნა კლასობრივი ურთიერთობის საფუძველზე — და არავითარ სხვა საფუძველზე — მოხდა!). იგულისხმება, რომ ჩვენ ვვარაუდობთ: ქართის ტომთან ეგრის ტომის კლასობრივი შერწყმა იმავე ხანებში მიმდინარეობდა, როცა მიმდინარეობდა ქართის ტომის კლასობრივი შერწყმა ჰერის ტომთან, ე. ი. ფეოდალურ რევოლუციამდელ ხანაში, როცა მიმდინარეობდა ქართის ტომის კლასობრივი შერწყმა მესხთა ტომთან (პროკოპი კესარიელმაც კი იცის, რომ მესხები იბერიაში შემავალი ცალკე ტომია!!). და, კიდევ უფრო დაზუსტებით რომ ვთქვათ, ეს შერწყმა ჰერებთან, ეგრებთან, მესხებთან მიმდინარეობს იბერიის სწრაფი აღმავლობის ხანაში, ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების წინა ხანაში, ე. ი. I—V საუკუნეებში. იბერიაში „ფეოდალური რევოლუციით" ეს პროცესი არ შეფერხებულა, პირიქით ეს აქტი იმის საწინდარი იყო, რომ ასეთი შერწყმა ამიერიდან კიდევ უფრო სწრაფი ნაბიჯით წავიდოდა წინ (და მართლაც VI—VII საუკუნეებში ვაკესა და გურიაში ჯერ კიდევ ნარევი მეტყველება იყო: ჯიმანსტარო, ჯიხანჯირი, ციხის ძირი...). საქმე იმაშია, რომ ფეოდალური ურთიერთობა არამარტო ქართის ტომში შემოდიოდა, ასეთივე განვითარების დონეზე იდგნენ ყველა ეს ჰერ-მესხ-ეგრ-აფხაზები და მათი გაერთიანება ქართის ფეოდალურ საზოგადოებასთან, ისევე როგორც ურთიერთში, სადაც ასეთი შეხვედრის ადგილები იყო, მაგალითად აფხაზ-ეგრები, სრულიად ბუნებრივი პროცესი იყო. ყველა ასეთ შემთხვევაში, შერწყმისას, სჯობნიდა ის, ვის მხარეზეც კულტურულ-პოლიტიკური უპირატესობა იყო. ასე რომ ვიდრე ფეოდალური საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდებოდა, ერთიანი ფეოდალური საქართველო უკვე არსებობდა. სწორედ ამ ფაქტის აღმნიშვნელია ის გარემოება, რომ X საუკუნეში, როცა ჯერ კიდევ ქართველური და არაქართველური პოლიტიკური ერთეულები ერთიმეორეს ებრძოდნენ „ ქართლსა ზედა", უკვე წარმოქმნილიყო ცნება: „საქართველო". ასე რომ ფეოდალუ-

რი საქართველოს გაერთიანება უჩუმრად მომხდარიყო, ვიდრე ეს „ქართველი“ მეფე-მთავრები (მესხური, ჰერ-კახური, ოსეთ-აფხაზური წარმოშობისა) ერთიმეორეს ებრძოდნენ. პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ამ პროცესს უპასუხებდა და მაშასადამე პროგრესული აქტი იყო, ამ პროცესის გაძლიერებას ხელს შეუწყობდა.

ასე იშვა ფეოდალური საქართველო ქართველურ თუ არაქართველურ ტომთა შერწყმის შედეგად, როცა ეს ტომები საამისო საზოგადოებრივი განვითარების სიმაღლეზე დადგნენ და იშვა, მაშასადამე, არა დაპყრობისა და მონათესავეობის საფუძველზე. დაპყრობის თუ მონათესავეობის მომენტებს დამხმარე მნიშვნელობა შეიძლებოდა ჰქონებოდა, მაგრამ მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა. გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყო საზოგადოებრივი განვითარების დონე, აღმავლობის გზაზე მდგომი კლასობრივი ურთიერთობა, რომელსაც ტომები კლასებად დაეშალა და ამ ტომების შერწყმა მხოლოდ ამ კლასობრივ საფუძველზე ივარაუდებოდა... ტომობრივი, ძმურ-მეგობრული, მონათესავეობის საფუძველზე, გაერთიანება რომ ყოფილიყო, — როგორც ეს ამ თეორიის მიმდევრებს გამოუდით, მაშინ ტომები ტომებად უნდა გადარჩენილიყვნენ... გადარჩნენ კი მხოლოდ ისინი, ვინც მათი სოციალური წყობის შეუფერებლობის გამო ამ ფეოდალურ ორგანიზაციაში ვერ შემოვიდნენ (მთიანი სვანეთი, მთიანი ჰერეთ-ლეკეთი, ხევსურეთი, ფშავი და, უნდა ვიფიქროთ, აფხაზეთის მთიანეთი, ისევე როგორც მთიანი დვალეთი). რაც შეეხება ბარელებს, ე. ი. დაწინაურებული სოციალური ურთიერთობის საზოგადოებას ისინი ყველანი შემოვიდნენ გაერთიანებული საქართველოს ფეოდალურ ორგანიზაციაში. რაც შეეხება მათ ასიმილაციას, ეს პროცესი სისწრაფის სხვადასხვა ტემპით ხორციელდებოდა: ფეოდალთა კლასი სწრაფად „ქართველდებოდა“, გლეხობა კი მძიმედ, მაგრამ ისიც თანდათან და გაუხრელად. ასე, რომ XIII საუკუნისათვის, როცა გაერთიანებული საქართველოს ფეოდალური ორგანიზაცია მისი ზრდის ზენიტში იმყოფებოდა ეს პროცესიც დასასრულს მოახლოებულიყო... ე. ი. მზადდებოდა პირობა (პოტენციური) ერის წარმოშობისათვის: ერთი ენა, ერთი ტერიტორია, ერთიანი კულტურა (არ იყო ერთი ეკონომიკა, ეროვნული ბაზარი)... მაგრამ XIII ს-ში და მის შემდეგ, ახლო აღმოსავლეთში განვითა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებულმა მოვლენებმა, ფეოდალური საქართველოს წინაბურჟუაზიულ გაერთიანებას აღარ დააცალეს ამ პროცესის დასრულება. დაიწყო რეაქცია: „პირველყოფილობის“ აღდგენა „მთის, ტომობრივ ...ვა“ (ლეკი, ოსი, აფხაზი), შეფერხდა და, შემდეგ, შეწყდა ასიმილაციის პროცესი. მთელი „გვიანფეოდალური“ ხანა XV—XVIII საუკუნეები, ასეთი ჩიხი იყო და მხოლოდ XIX საუკუნეში იწყება კვლავ ამ პროცესის განახლება, რის დასრულება ბურჟუაზიულმა საქართველომაც კი ვერ მოასწრო და შესათავებლად სოციალისტურ საქართველოს გადმოსცა...

ასე და ამრიგად, გარკვეულ დროს დასავლეთ, ანუ უკეთ ცენტრალურსა და სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიაში, უკეთ ამ ქვეყნის ბარში საზოგადოებრივი განვითარების დონე იმ სიმაღლისა შეიქნა, რომ იქმნება საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელშიაც თანაბრად ებმიან, აღნიშნული ქვეყნის შვილები დამოუკიდებლად იმისაგან, თუ რა მონათესავეობისა არიან ისინი. მთა, სადაც საზოგადოებრივი განვითარება სხვა დონეზეა, ამ პროცესში ვერ იღებს მონაწილეობას და მის გარეთ რჩება („მუდამ ავის მოხარკულის“ სახით). აი ასეთი ორგანიზაცია იყო ეს საქართველო და „საქართველო“ იყო ეს ორგანიზაცია იმიტომ, რომ ამ ორგანიზაციის მონაწილე ერთ-ერთი ტომი, მრავალ სხვადასხვა ვითარების შედეგად უფრო განვითარებული და ძლიერი ქ ა რ თ ი ს ტ ო მ ი იყო ჰეგემონი ამ პროცესში. ქართის წარმატების საფუძველზე იშვა ქ ა რ თ ვ ე ლ ი, რაც ნიშნავდა არა მარტო ქართის შვილს, არამედ არაქართის შვილსაც, ოღონდ იმ პროცესის ორგანულ მონაწილეს, — ხოლო „ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს“ სამშობლოა, ქართველის სარბიელია, ქართველის სამოღვაწო ასპარეზია ფეოდალური ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო. ქართის — იბერიის დიდი დაწინაურების ნიშნები არამარტო საკუთრივ არქეოლოგიური მონაპოვარია, რომელთა შეფასება ჯერ დასაწყის სტადიაშია. ეს მასალა კი ისტორიულ შეფასებას მოელის, როცა უნდა ითქვას იბერიის ეს გრანდიოზული წარმატება (ნახე გ. ლომთათიძე, ო. ლორთქიფანიძე...) .მაგრამ უამისოდაც ჩვენ ახლავე შეგვიძლია მივუთითოთ დამახასიათებელ დიდ მოვლენებზე, რომელნიც აგრე ეთანხმებიან და მხარს უჭერენ აზრს იბერიის დიდი წარმატების შესახებ. ქ ა რ თ უ ლ ი მ ო ნ ე ტ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა: უცხოური, მიბაძვანი — (მცხეთის მავზოლეუმი) — ქართული ზედწერილით. დ ა მ წ ე რ ლ ო ბ ა უცხოური, ქართული წინაქრისტიანული (არმაზული), ქართული — ქრისტიანული. ქართუ-

ლი განათლება — მწერლობა (ნინოს მარტვილობა, ევსტათეს მარ-
ტვილობა...), პალიმფსესტები. ფულის ტრიალის სიუხვე (არაბული
ხარკი ოქროს ფულით...), მეურნეობის დაწინაურებულობა, ...
პროკოპის ცნობები მესხთა შესახებ... საკუთრების გაგვიანების
მოწმობანი ნასყიდი, ნაწყალობევი, შეწირული, გაყრის წესი...
სოფლის შეწირვა, გლეხის შეწირვა... და, ბოლოს, საკუთრივ
ქართული არქიტექტურა: ანტიკური სიონები (ნაბალრე-
ბი, ბოლნისი, ჟალეთი, გორგასლის მცხეთა) და ფეოდალური ჯვა-
რი, ატენი, ნინოწმინდა...

ყველაფერი ეს უეჭველად მოწმობს იბე-
რიის დიდ დაწინაურებას, მის თვითმყოფ-
ობას, მის მაღალ მატერიალურ და სულიერ
კულტურას.

ვერც ჰერეთი, ვერც სამცხე და ვერც ეგრისი ამას ვერ ახერ-
ხებენ. და ჰერეთი იზიარებს ქართის კულტურას, ასევე მესხეთიც
და ლაზიკაც. ლაზიკა, სხვებზე უფრო ძლიერი ორგანიზაცია, ვერ
ახერხებს ბიზანტიის გავლენის პირობებში საკუთარი დამწერლობის
შემუშავებას, მაინცდამაინც ქრისტიანული დამწერლობა მან სა-
კუთარი ვერ გაიჩინა და ბერძნული მიიღო, ვერც სამონეტო საქმე
განავითარა მან და კოლხური თეთრის მემკვიდრე ლაზური არაფე-
რი ჩანს, განათლება ლაზიკისა ცნობილია, მაგრამ განათლება ბერძ-
ნული და არა ლაზური (ამავე დროს ლაზებს პატივმოყვარეობა და
საკუთარი თავის ფასი მაღალგანვითარებული აქვთ. ამაყნი და ქედ-
მაღალნი არიან და არა ბიზანტიელთა ყურმოჭრილები, თავი მო-
აქვთ კოლხთა მემკვიდრეობით). ვერ შექმნეს ლაზური არქიტექტუ-
რა, ვერც კლასიკური (სიონები), ვერც ფეოდალური ჯვრები (თუმ-
ცა დარბაზი აქაც ისეთივე ლვიძლი იყო, როგორც იბერიაში). აი ამა-
თი შედეგი იყო, რომ ეგრისი ქართის ჰეგემონობას იზიარებს ფეო-
დალური საქართველოს წარმოქმნის პროცესში. ისევე ითქმის აფ-
ხაზებზე კიდევ მეტი საბუთიანობით („მერნული"—6, ფურც. 30—
37).

6. ლეონტი მროველს მთელი აზნაურობა არ მიაჩნია ქართვე-
ლებად... არც ერთი დიდი აზნაური თავის წარმოშობილობას ქარ-
თველს არ უკავშირებს დაწყებული მეფიდან; აზნაურები ხომ აზ-
ნაურები=რომაელები.

ბაგრატიონები — ურიასტანიდან, ორბელიანები — ჩინეთიდან,
წერეთლები — ლეკეთიდან, მხარგრძელები — ქურთები თუ სპარ-

სები, ციციშვილები — ებრაელებიდან, და ეს აიხსნება ტომობრივი მონათესავეობის ნიადაგზე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

და როდის შეიქმნა ლეგენდა ქართლის აზნაურთა აზნაურობის შესახებ? პავლე ინგოროყვა ლეონტის მე-VIII საუკუნის ავტორად გულისხმობს, ვთქვათ ასე არაა და ლეონტი XI საუკუნისაა. მაშ XI საუკუნეში ქართველი ხალხის წარმოქმნა ხომ კლასობრივი ურთიერთობის (წარჩინებულნი) შედეგად და არა ტომთა მონათესავეობის საფუძველზე წარმოშობილად ეჩვენებოდათ. და ჩვენ არ გვევალება ასეთ ფაქტებს მაინც არ ჩავუკვირდეთ?

უეჭველია, რომ მესხურ-ზანური ტომების გაქართება გვიანი ამბავი არაა, ისევე როგორც ჰერული ტომების ქართიზაცია, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ეს პროცესი ჯერ ისევ IV—V სს-ში დასრულებული არაა. უცხოელების მოწმობანი (სტრაბონი, პროკოპი...) და სხვარიგი ცნობები თანხმობით უჩვენებენ, რომ ეს პროცესი მეტად ადრე დაწყებულა და საკმაოდ გვიან დასრულებულა. შესაძლებელია ის დაიწყო იმ დროს, როცა ქართლი „სამხედრო დემოკრატიის" ვითარებაში იყო, ე. ი. როცა იქ სწრაფად მწიფდებოდა პირობები სახელმწიფოს წარმოქმნისათვის, ხოლო დასრულდა მაშინ, როცა ფეოდალურმა ურთიერთობამ საბოლოოდ გაიმარჯვა. II საუკუნეში არგვეთში ქართის ხელისუფლებაა, ისევე როგორც მესხეთში (ზვდრიტები ფარსმანის ხელთ არიან), ამავე დროს იბერიელები კამბიზენეში ჰერებისა (ალბანელებისა) და სომხების გვერდით ცხოვრობენ. ასეთივე უდავო ჩვენებანი მოგვეპოვება ჩვენ იმის შესახებ, რომ ალბანია პოლიტიკურად იმ დროს ისევ თელავ-ალავერდის ხაზს აღწევდა (თეთრი გიორგობა), რომ, ასევე, მესხები თავის ტომობრივ ვინაობას მტკიცედ ინარჩუნებდნენ ისევე, როგორც საფიქრებელია, მარგველებიც.

მაგრამ ასეთივე უდავო ჩვენებებით ჰერები თანდათან შემოდიან ქართის ეთნიკურ ერთეულში (ნინოწმინდის წარწერა...), თუმცა საბოლოო გაფორმება მათი მხოლოდ X--საუკუნეში გახდა შესაძლებელი; ასევე, უეჭველობით ივარაუდება, რომ მესხები VI საუკუნისათვის საბოლოოდ შემოდიან ქართის ერთეულში, თუმცა ეს პროცესი მესხეთის ამა თუ იმ კუთხეში საბოლოოდ დასრულებული IX საუკუნის დასაწყისშიაც არ იყო (ცერძოდ, მურღულის ხეობა, ეგრი, აშოტის მოკვლა ოროზ-მოროზის ძეთა მიერ, ქვემო აჭარა, გურია....)

ოსები ქართლში (XIX ს.) — ქართველდებიან და მათ

ვერ იცავს ჩამომავლობა. ქართველდებიან: იმიტომ, რომ დამხვდური უფრო მაღალი კულტურისაა, ხოლო მოსული საგვარეულო ყოფით კი არ მოდის, არამედ ამ ყოფის დაშლის ვითარებით (მომენტები ამ ძველი ყოფისა, სხვებისაგან განმასხვავებელი და კონსერვატიული დიდხანსა რჩებათ: ხატები, ჯვრები და სხვ.).

ასევე იყო საქმე მთელი ფეოდალური ურთიერთობისას.

დაღესტანში ორი სოფლის ერთიმეორესთან შერწყმა (მონათესავე ენების მქონე სოფლის) არ ხდება და საუკუნეთა მანძილზე განაგრძობენ დამოუკიდებლად ცხოვრებას. ამავე დროს ძველი საინგილო (ასეთივე „დაღესტნური") ერთიანად გაქართულდა ჰერეთთან ერთად. რაღა შუაშია მონათესავეობის მომენტი?

ჩვენში რომ ყველა თავადი და აზნაურიც კი სადღაციდან მოსულად თვლის თავს, ეს ტრადიცია, მართალია, მხოლოდ გვიან გახდა ასე საყოველთაო, მაგრამ ის უთუოდ ძველი წარმოშობისაა და იმ საფუძველს (რეალურს) ემყარება, რომ მათი ფორმირება, მათი წარმოქმნა საგვარეულო წყობის დაშლის შედეგად ხდება.

დაწინაურდნენ, მეთემეებს გამოეთიშნენ, მათთან საერთო აღარა დარჩათ, არც ძირი სალოცავი (არც ჯვარობა, გორაობა) და გაჩნდა მოსულობის თეორია...

ფეოდალური „ქართლის" კულტურულ და პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწე, X საუკუნეში აღინიშნებოდა სახელით „ქართველი", მაგრამ ამ ცნებაში ახლა არა მხოლოდ ქართ-ის ჩამომავალი იგულისხმებოდა, არამედ იმ „ქართლის" მოღვაწე, რომელიც დიდი ხანია გადასცა ქართლის ეთნოგრაფიულ საზღვრებს („ქართლად ფრიადი ქვეყანა..."). ამრიგად წარმოიქმნა ცნება „ქართველი", რომელიც ძველი „ქართლის" ცნებაში აღარ თავსდებოდა. და შეიქმნა „საქართველო", სადაც ქართველი ნიშნავდა უკვე არა ეთნიკური ქართლის შვილს, არამედ ქართულ პოლიტიკურსა და კულტურულ სარბიელზე მოღვაწე ადამიანს, სულ ერთია, რა წარმოშობისაც არ უნდა ყოფილიყო ის...

ეს პროცესი, ფეოდალური საქართველოს შექმნის პროცესი (ქართლის, იბერიის ჰეგემონობის ნიშნის ქვეშ) X—XI საუკუნეში დასრულდა (= „გაერთიანება").

XII საუკუნეში შესამჩნევია უკვე კიდევ უფრო მაღალი ფეოდალური ტიპის გაერთიანების დასაწყისი (წინაბურჟუაზიული გა-

ერთიანება). ეს უკვე საქართველოს ჰეგემონობის ნიშნის ქვეშ, — მთელი კავკასიის გაერთიანება („ერთ-ულ-ლე"—6, ფურ. 63, 65, 71, 72, 75).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7. როცა ფეოდალები „იწყნარებენ" შეიხიზნებენ უცხოს, გლეხად დაისვამენ ტყვეებს, ან ვალით დატვირთულებს ვალისაგან ათავისუფლებენ და ყმებად დაისვამენ, სომეხ გლეხებს გადმოიყვანენ, ოს-მთიულებს ჩამოისახლებენ, ლეკებს ჩამოასახლებენ (და სხვა ათასი), სად არის აქ ტომობრივობის მომენტი, ეს ყველაფერი ხომ კლასთა ბრძოლის მომენტებია და სხვა არაფერი. სად, ან რომელი ფეოდალი ხელმძღვანელობდა ტომობრივი მონათესავეობის მომენტით თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის ბრძოლაში, თუ კი ეს მომენტი არ ეთანხმებოდა მის ამ კლასობრივ ინტერესებს? და რამდენი ვიცით გვარის მტეხელი??

ასე რომ კლასობრივი ურთიერთობის წარმოქმნის დღიდან, ინგრევა ტომი, ინგრევა მისი მთლიანობა, დამბლა ემართება მის შემოქმედებით ძალას. და მას ანგრევს არა ვისიმე სურვილი, არც ფეოდალთა კლასი მხოლოდ, არამედ ანგრევს საწარმოო ძალთა განვითარება და ამისაგან დამოკიდებით ანგრევს ფეოდალიც, „ანგრევს" გლეხიც. გლეხი როცა წვალებისაგან სულმეხუთული, ან პატრონისაგან სხვა მხრით შევიწროებული ვარბის, თავის ტომს, თუ გვარს სტოვებს და სხვა უფალს ეხიზნება, ის ისევე „ანგრევს" გვარს, როგორც ფეოდალი, რომელიც ამ გლეხს შევიწროებით ერეკება, ან რომელიც ამ გლეხს შევიწროებულს შეიხიზნებს.

რა შუაშია აქ ტომობრივი მონათესავეობის მომენტი. ყოველ შემთხვევაში ის მხოლოდ დაქვემდებარებული მნიშვნელობისაა და ამ კლასობრივ ბრძოლაში ფეოდალები ერთიანდებიან, ყალიბდება პოლიტიკური ორგანიზაცია ამ ფეოდალთა ინტერესების უზრუნველსაყოფად (=ფეოდალური სახელმწიფო), ფეოდალი ფეოდალსა ცნობს, რომელთანაც მას შინაკლასობრივი ქიშპის გვერდით კლასობრივი მოძმეობა ახასიათებს, რაც საბოლოო ანგარიშში ფეოდალური სახელმწიფოს არსებობის საწინდარია... და სადღაა აქ ადგილი ტომობრივი მონათესავეობის მომენტისათვის; განა ქართი ფეოდალი გაურბის ოს ფეოდალს იმ ნიადაგზე, რომ ისინი სხვადასხვა ტომისანი არიან?

ასეთი მაგალითი ისტორიამ არ იცის (in principe). განა ყივჩაყ ყუბასარს ყივჩაყობამ დაუშალა ქართულ ფეოდალურ ურთი-

ერთობაში შემოსვლა? ან ოსი ბიბილური განა უხერხულად გრძნობდა თავს ფეოდალურ საზოგადოებაში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაა აქ ტომობრივი მონათესავეობის მომენტი? განა საქართველო რამდენჯერ გადადუღებულა ერთიმეორეში (VII—VIII სს. XIII—XIV სს. XV ს., XVII ს., XVIII ს.) სადღაა ტომი და ტომთა მონათესავეობა.

კლასობრივი ურთიერთობის წარმოქმნამ დაანგრია გვარი, ტომი; რა თქმა უნდა, ეს ერთბაშად არ მომხდარა, საუკუნეთა მანძილზე მიმდინარეობდა ეს პროცესი და ზოგან კი ის (გვარი, ტომი) XIX საუკუნემდეც ცოცხლობდა (კოვალევსკიმ ის ალმოაჩინა სწორედ ქართველ ხევსურებში, ფშავებში, მთიულეთში). ასე რომ თუ ბარის საქართველოში კლასობრივი ურთიერთობის წარმოქმნას მონათმფლობელური ურთიერთობა (თუმცა განუვითარებელი) მოჰყვა, ზეგანში (უფრო გვიან) ფეოდალურმა ურთიერთობამ გაიმარჯვა. ასე რომ აქ გვარი, ტომი ფეოდალურმა ურთიეთობამ დაშალა, ხოლო მთიანეთში ეს ურთიერთობა (გვაროვნული) შერჩა; ბარშიც ფეოდალური საწყისები იყო, ამავე დროს მონობის გვერდით. ისე როგორ ზეგანშიც, არ იყო მონათმფლობელობა შეუძლებელი, ოღონდ ესაა რომ ბარში მონობას მეტი ხვედრითი წონა ჰქონდა, ხოლო ზეგანში ფეოდალური ურთიერთობა უფრო ხელშეუხებელი (მონობის ინსტიტუტის მხრით) ვითარდებოდა.

ამრიგად; კლასობრივმა ურთიერთობამ ბარშიაც და ზეგანშიაც გვარი (ტომი) დაანგრია, წარმოიშვა ახალი ორგანიზაცია ფეოდალებისა მათი კლასობრივი ინტერესების უზრუნველსაყოფად... რაღა შუაშია ტომობრივი მონათესავეობა?! ის ამიერიდან (ჩამომავლობა) ნიადაგია, ასპარეზია, პასიური კომპონენტია ამ დიდი მოვლენისა და არა აქტიური და შემოქმედი: ასეთი ერთადერთია კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ა („მერჩული"-ნ, ფურც. 15—20).

8. ბევრს დღემდე ვერ გაუგია, რომ ფეოდალური და საერთოდ კლასობრივი ურთიერთობის ქვეყანა ეს არის არა სისხლით მონათესავეთა საწარმოო (თუ წარმოებითი) კოლექტივი, როგორც ეს საგვარეულო წყობილებას შეეფერება, არამედ ეს არის ტ ე რ ი ტ ო რ ი ა ლ უ რ ი გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა კლასობრივად მოწყობილი საზოგადოებისა.

შოთას ინდო, არაბი და ჩინიც კი ურთიერთის მოყვარენი არიან არა სისხლით მონათესავეობის ნიადაგზე, არც სარწმუნოებრივი მომენტი ჩანს მათი შემაკავშირებელი, ა რ ა მ ე დ კ უ ლ ტ უ რ უ-

ლი ერთობის ნიადაგზე. ავთანდილი, ტარიელი და ფლორონი ერთი კულტურის მქონებელი სხვადასხვა ქვეყნის შვილები არა სისხლით მონათესავეობა აერთებს მათ, არამედ ერთობა ფეოდალური კულტურა, თანაბრად ძვირფასი, ღვიძლი და სისხლხორცეული სამივე გმირისათვის. ეს არის ბარის (განვითარებული) ფეოდალური კულტურა, მოწესრიგებული სამეფოებით, დიდვაჭრობით, განვითარებული სამეურნეო ურთიერთობით... განათლებული გმირები ამირან-დარეჯანიანის პერსონაჟები კი არ არიან (ნახევრად მეკობრე ახალი ფეოდალები), არც ქაჯეთის ციხის და ქვეყნების (=მთიანეთის) მფლობელები არიან (ასევე სანახევროდ მეკობრეების), არამედ მოწესრიგებული ქვეყნების შვილები არიან, რომელთაც ძვირად ულირთ, დიდ ფასსა სდებენ ვაჭრობას, განათლებას... ესაა განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის უმაღლესი საფეხური, როცა მეფეს „მზისათვის" მიეღწევია, ან საცაა მიაღწევს...

და რა არის, ან სად არის აქ რაიმე ნიშანი სისხლით გაერთიანების? განა ტარიელი უფრო ახლოს დგას რომელმე თავის „მონასთან" ან, კიდევ უფრო, თავისი ქვეყნის მუშაკთან, რომელიც მიწყივ მუშაკობს, ან მოქარავნე ვაჭართან, თუ ქსლის მბეჭველ დიაცთან ვიდრე „უცხო" ავთანდილთან... და ეს არა მხოლოდ იმის ნიადაგზე, რომ ისინი ძმებად გაიფიცნენ, არამედ გაფიცვამდე, და ძმებად სწორედ იმიტომაც გაიფიცნენ, რომ ერთი კულტურისანი იყვნენ, ფეოდალური კულტურისანი.

ასე რომ შოთას მიერ მოცემული სურათი თვალსაჩინო მოწმობაა იმისა, რომ ფეოდალური გაერთიანება, კლასობრივი გაერთიანება, კლასობრივი კულტურა სისხლით მონათესავეობით კი არ ხასიათდება (ეს წარსული ეპოქის გადმონაშთია), არამედ კლასობრივი ურთიერთობით.

შოთასეულ ამ რეალისტურ ისტორიულ სურათს მაინც მიჰხედონ ჩვენი „წმინდა მოდგმის" ამ მქადაგებლებმა... (წიგნი 5, ფურ. 55—56).

9. თვლიდნენ კი ზ. ანჩაბაძისეულ „ერებს" საშუალ საუკუნეების საქართველოში ცალკე კულტურულ-პოლიტიკურ ერთეულებად? ან ჰქონდათ კი ამ ერებს სეპარატისტული მიდრეკილება? იმ დროს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად იცოდნენ, რომ აფხაზი, სვანი, დვალი, ღუნძი, ლეკი, თურქი თუ სომეხი, ჰერი თუ ოსი ქარ-

თები არ იყვნენ, მაგრამ ისიც კარგად იცოდნენ, რომ ყველა ესენი ერთნაირად შორს არ იდგნენ ქართისაგან... თუ ლეონტი მროველმა ქართლოსის ოჯახში არ იგულისხმებიან სვანები, მეგრელები, აფხაზები, დვალები, ჰერები, — გიორგი მერჩულე ყველა ამათ ქართლში ათავსებს და მისი „ქართლიდან" მხოლოდ სომეხია გამორიცხული და იმავე (სარწმუნოებრივ) საფუძველზე — თურქები... ამრიგად მერჩულე გარკვევით უარყოფს ეთნიკურ მომენტს ქართლის შინარსის დადგენისას (ლეონტი კი სწორედ ეთნიკური მომენტიდან გამოდიოდა) და პოლიტიკურ-კულტურულ მომენტს იღებს თავისი განმარტების საფუძვლად. ქართლი მერჩულეთი ერთხელ და სამუდამოდ, იმთავითვე მოხაზული ცნება კი არ არის, არამედ კულტურულ-პოლიტიკური, რომელიც შეიძლება უსაზღვროდ გავრცელდეს-გაფართოვდეს და პირუკუ. და თუ დღეს ამ ცნებაში სომეხი ან თურქი არ შედის ეს იმიტომ კი არა, რომ ისინი სხვა ნათესავები არიან... ხვალ შეიძლება ისინიც „ქართველები" გახდნენ, თუ ისინი ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ წყობას ეზიარებიან.

მერჩულეს საზომია ქართულად წირვა-ლოცვა (უკეთ ქართული ქალკედონიტობა). მერჩულეს ენის მომენტი უმთავრესად მიაჩნია. თუ ეს არა, ქალკედონიტები ბერძნებიც ხომ იყვნენ. ასე რომ ქართული ენაა ვინაობის განმსაზღვრელი... უეჭველია ამ საკითხებზე მსჯელობდნენ, ნათესავს და ტომს არკვევდნენ. ენის მომენტს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და არა მხოლოდ სარწმუნოების მომენტს... ენა (ქართული) იყო, რაც აერთიანებდა, ერთ (ქალკედონიტურ) მსოფლიოში ათავსებდა ქართს თუ არაქართს. ქალკედონიტობა კი იყო ის კულტურა, რომელსაც ქართული ენით ეზიარებოდა ქართი თუ არაქართი. ასე რომ მერჩულეს შეხედულებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა კულტურულ-პოლიტიკური ერთეულის წარმოქმნაში აქვს არა ეთნიკურ მომენტს (დვალი, ჰერი, მეგრელი, აფხაზი-აფშილი, სვანი ეთნიკურად ქართი არ ყოფილა. ამას მოწმობს ლეონტი), არამედ კულტურულ-პოლიტიკურს. მერჩულემ კარგად იცის, რომ ქართული ენა არაა ყველა იმ ტომის ტომობრივი ენა, სადაც ახლა ქართული ისმის, როგორც საეკლესიო (კულტურის) ენა. ქართული მერჩულეთი, იგულისხმება, არის ქართის სატომო ენა და კულტურის ენაც, სხვებისთვის კი ის არის კულტურის ენა. ამიტომაც „ქართველი" შეიძლება იყოს ყველა, ეთნიკური ვინაობისაგან დამოუკიდებლად, ვისი კულტურის ენაც

ქართულია (ე. ი. ვინც ქალკედონიტია და ქართულად ისმენს ღვთის-მსახურებას)...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეჭველია, ენისათვის ასე დიდი მნიშვნელობის მიცემა ეროვნულ-კულტურული ბრძოლისა და ძლიერი კულტურის მაჩვენებელია. ის ჯერ ისევ ქრისტიანობის შემოსვლიდანვე ჩანს, როცა კულტურულად დაწინაურებულმა იბერიამ ქართული ქრისტიანობა მოიწყო (ბიზანტიამ ამის საშუალება არ მისცა ლაზიკას...). მან შემდეგაც დაიცვა ის და კიდევ მეტი: შეემეტოქა ბერძნულ ქრისტიანობას (ლაზიკაში) და არა მარტო ბერძნულს, არამედ სომხურს (სომხითში, ტაოში, სპერში, შირაკში) ალბანურს (ჰერეთში). და ენა იყო ის მთავარი მომენტი, რომლის საფუძველზედაც ეს კულტურული მოქიშპეობა მიმდინარეობდა... განსაკუთრებით მწვავედ დადგა საკითხი. საფიქრებელია, როცა ქართული ეკლესია ლაზიკას წამოეჭიდა, სადაც დიდი ხანია ბერძნული (ქალკედონიტური) ეკლესია არსებობდა. ძლიერი ბიზანტია არ დააყოვნებდა საჭირო საერთაშორისო მნიშვნელობის არგუმენტაციას ქართული ეკლესიის ხელყოფის საწინააღმდეგოდ. მაგრამ რეალური ვითარება ისეთი იქმნებოდა, რომ ბერძნულ არგუმენტაციას საფუძველი ეცლებოდა: ლაზიკა ეთნიკურად ქართით იკსებოდა, ხოლო პოლიტიკურად ბიზანტიას სცილდებოდა. და ბერძნები ქართულ ენასა სწვდნენ, ქართველებმა ზოსიმეს ჰიმნით უპასუხეს და უფრო გვიან ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებით (ილარიონ ქართველი, გიორგი მთაწმინდელის მოსახსენებელი, ბრძოლა ბერძნებთან, გრიგოლ ბაკურიანის ძის ტიპიკონი). ასე ჩამოყალიბდა ქართული ეროვნული სარწმუნოება ქართულ ენასა და ქართულ ფეოდალურ კულტურას შეგუებული... გიორგი მერჩულე მხოლოდ ერთს, სარწმუნოებრივ, მომენტს აქცევს ყურადღებას (მას სხვა არ აინტერესებს ამჟამად), ჩვენ კი მივყვებით ამ მსჯელობას და დავინახავთ, რომ ქართულ სარწმუნოებას თან ახლდა (ან პირუკუ: ქართული სარწმუნოება თან ახლდა) ქართული ფეოდალური კულტურა, რომელიც XI—XII საუკუნეებში რუსთაველის კულტურად ჩამოინაკვთა...

რა თქმა უნდა, თითოეულ ტომს თუ ხალხს თავისი კულტურა ჰქონდა, თავისი სატომო ენაც ჰქონდა, მაგრამ ქრისტიანობა მეტად დიდი ახალი ფენომენი იყო, ახალ ურთიერთობასთან შეგუებული, ფეოდალიზმის დიდი იარაღი და მისი ენაც ქართული იყო. ბუნებრივია თუ ყველა ეს სატომო ენა და კულტურა „საშინაო“ გახდა. მათი არსებობა-განვითარების საკითხი არც იდგა და არც ერთი

მეგრელი, დვალი, ჰერი თუ აფხაზი არ ცდილა თავის შინაურ ენაზე მწიგნობრობის შემოღებას და კმაყოფილდებოდა ქართულს, რომელიც ყველა მათ საერთო ენად იქცა. აღმოსავლეთ-ევროპა-ბიზანტია აღმოსავლეთში ყველა ქალკედონიტობა ქართული იყო და აღმოსავლეთში ყველა ქალკედონიტი „ქართველი“ იყო... და თუ თავდაპირველად ამ „ქართველში“ მხოლოდ სარწმუნოებრივი მომენტი (რა გინდა ძლიერი ქართის კულტურით) იგულისხმებოდა (ეს საეჭვოა), შემდეგ თანდათან, სულ უფრო და უფრო ეს მომენტი სხვა მომენტებით უნდა გართულებულიყო. ქართული ფეოდალური კულტურით, რომლის შექმნა-შემუშავებაში მონაწილეობას იღებდნენ: დვალები, ჰერები, აფხაზები თუ სხვები...

დავით სოსლანი, სარგის თმოგველი, ილარიონ ქართველი, გრიგოლ ბაკურიანის ძე, იოანე პეტრიწონელი, დვალები, ბაღვაშები და სხვა ათასი — ყველა „ქართველი“ იყო, ქართული ფეოდალური კულტურის მოღვაწე მიუხედავად იმისა, რომ ნათესავით ზოგი ოსი იყო, ზოგი ჰერი, ზოგი დვალი, ზოგი ტაოელი, ზოგი ქართი და ა. შ. ასე, რომ „საქართველო“ ეს იყო ერთი ფეოდალური სამყარო, ერთი ენით, ერთი ფეოდალური კულტურით და მას უპირისპირდებოდა ასეთივე ფასის სამყაროები საბერძნეთი, სომხეთი, თურქულ-მაჰმადიანური აღმოსავლეთი... „საქართველო“ სახელმწიფოში მხოლოდ „ქართველები“ იყვნენ, რომელთაც ან ქართველებს, ან აფხაზებს უწოდებდნენ. ეს კარგად გამოჩნდა როცა მონგოლებმა გურჯისტანი მოხაზეს... (კულტურულ-პოლიტიკური მომენტი იქამდე ძლიერი აღმოჩნდა, რომ მონგოლებმა სომხეთიც საქართველოს მიათვალეს და საფიქრებელია „სომეხთა“ პოლიტიკურ მოღვაწეთა აქტიური მოქმედების შედეგად...). ამიტომაც იყო, რომ არავითარი ტომობრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ფეოდალურმა საქართველომ არ იცოდა, ფეოდალები „საქართველოს“ განსახიერება იყვნენ, ქართული ფეოდალური საზოგადოების თანასწორად შემოქმედნი იყვნენ. ფეოდალი თუ სეპარატისტულად განწყობილი იყო, ის ამოდიოდა არა მისი საფეოდალოს კულტურული (ტომობრივი) თავისებურების ფაქტიდან, არამედ საკუთარი ფეოდალური, სამეურნეო-პოლიტიკური ინტერესებიდან. ამას მოწმობს ის გარემოება, რომ არც ერთი პოლიტიკურად დამოუკიდებლობამოპოვებული ფეოდალი (სამთავრო) არ ცდილა ქართული ფეოდალური კულტურის უარყოფას და მის ნაცვლად ძველის (წინაფეოდალური კულტურის) აღდგენას, ან ქართული ენისა და ვეფხისტყაოსნის კულტურის უარყოფას. და

თუ სადმე, ფეოდალური საქართველოს რომელიმე მხარეში, ასეთი ტენდენცია იჩენდა თავს, ეს იყო გვაროვნული წყობილების (არაგვი, ქსანი, სვანეთი), ან ადრეფეოდალური ურთიერთობის (აფხაზეთი) აღდგენის ცდა, ეს იყო ქართული ფეოდალური ურთიერთობის წინააღმდეგ რეაქცია, პრიმიტიული ურთიერთობისადმი დაბრუნება, და ამ აქტში ფეოდალების (როგორც ფეოდალების) მონაწილეობა გამორიცხულია. ეს იქნებოდა ფეოდალების მიერ თავისი თავის უარყოფა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეოდალური „საქართველო" მასში შემავალ ტომთა უარყოფა იყო. ტომი როგორც ასეთი მოშალა ახალმა (ფეოდალურმა) ერთეულმა საერისთავომ, სათავადომ... ტომობრიობით შემოსული ფეოდალურ სამყაროში (თუ ასეთი რამ კი შეიძლებოდა...) ის გარდაქმნას, ასიმილაციას განიცდიდა მის ფეოდალურ ნაწილში განსაკუთრებით (ჯიქია ჯიქიძე, თოფურია თოფურიძე, გარდავა გარდავაძე, ჩხეტია ჩხეტიძე, აფაქია აფაქიძე...).

გურიელი ნაკლების დაჟინებით არ იბრძოდა „დამოუკიდებლობისათვის", ვიდრე დადიანი, ან შერვაშიძე, მაგრამ ამ ბრძოლას ტომობრივი იერი არ ჰქონდა ისევე, როგორც არც კახთა ან მესხთა, რაჭველთა თუ სხვა ასეთთა ჰქონდათ უკვე ტომობრივი მომენტი... ტომობრიობა, ფეოდალური ურთიერთობის მიერ გადალახული და მონელებული საფეხური იყო, ხოლო სადაც ეს როგორიმე სახით კიდევ ბოგინობდა, ის რუდიმენტი იყო... (წიგნი 56, ფურც. 27—32).

10. როგორი ერთეულებისაგან შედგებოდა გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფო (ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა და აღნიშნა...), მაგრამ ეს ტიტულატურა გულისხმობდა არა ტომებს, არამედ პოლიტიკურ ერთეულებს „სამეფოებს"... აქ არ არის საუბარი სვანეთზე, რადგან ის სამეფოს სახით არ შემოსულა გაერთიანებულ საქართველოში. თუ ეს არა, ტომობრივად სვანეთი რა თქმა უნდა, უფრო მეტი ინდივიდუალობის მქონე იყო, ვიდრე, ვთქვათ, კახეთი, რომელიც ამ ტიტულატურაში ცალკე ერთეულის სახით არის წარმოდგენილი. ასე რომ საქართველოს მეფის ტიტულატურა „მრავალერიანობის" (მრავალტომიანობის) ნიშნად არ გამოდგება. საცდურს ქმნის დასახელება: ნებითა ღვთისაითა აფხაზთა და ქართველთა, რანთა-კახთა და სომეხთა მეფე, შაჰანშა და შარვანშა და სხვა. მაგრამ ეს მხოლოდ პირველის შეხედვით. ჩაკვირვებისას სულ სხვა ვითარება ჩანს: აფხაზთა აქ ნიშნავს დასავლეთ საქართველოს,

სადაც საკუთრივ აფხაზების გვერდით იგულისხმებიან ლაზები, აფშილები, სანიგები, ლეჩხუმლები, სვანები, გურულები, მარგველები, სამოქალაქო და სხვ. ასევეა „ქართველთა“-ს, სადაც საკუთრივ ქართის გვერდით იგულისხმება არაერთი არაქართის ტომი, აბაგი და ქსანი (მრავალი მცირე ტომი); კიდევ უფრო მეტყველია შაჰანშა და შარვანშა: ესენი ხომ უცხო ფეოდალური ხალხებია, რომელთაგან თითოეული მრავალი ტომებისაგან შემდგარ-შერწყმული ერთეულებია ღუნძნი, ქურდნი, ლეკნი, თარსანნი ხომ დასახელებულია შარვანშაჰის სახელმწიფოში), სივნიეთი, შირაკი, ვანანდი, კოტაიქ და სხვ. შაჰანშას შედგენილობაა ტომობრივი... (წიგნი 56, ფურც. 24).

11. ცნება „ქართველობა“ უცილობელია მე-18 საუკუნის შენამოქმედი არაა (იესე ოსეს ძე). ჯერ კიდევ არჩილ მეფე რომანტიკულად ამბობდა: „მუნ ჩვენ ხელთ იყო ჩვენობა“. სრული საფუძველი მოიპოვება იმისა, რომ „ჩვენობაში“ ავტორი არა მარტო პოლიტიკურ მეობას (დამოუკიდებლობას) ჰგულისხმობდა, არამედ ქართველთა კულტურულ თავისთავადობას... არჩილის ბრძოლა ქართული ენის, ქართული ლიტერატურის სიწმინდისათვის, ქართული ქრისტიანობის გაძლიერება-დაცვისათვის, საერთოდ არჩილის ბრძოლა მუსლიმანური კულტურის, პირველ თავში რელიგიის, შემოტევის წინააღმდეგ (და აქ არჩილი მარტო არ იყო) სრულ უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ამ დროს მოწინავე ქართველების კულტურულ ცნობიერებაში შემუშავებული იყო ცნება, განმაზოგადებელი ცნება ქართული კ ულ ტ ურ ულ ი მ ე ო ბ ი ს შესახებ, რომ „ჩვენობაში“ იგივე „ქართველობა“ იგულისხმებოდა მისი სოციალურ-ეკონომიური (ნასყიდი...), პოლიტიკური (ფეოდალური, არადესპოტური) და კულტურული (ვეფხისტყაოსნის კულტურით... „მე ქართველი თავადი ვარ და არა აფხაზი თავადი“) ინდივიდუალობით...

მე-18 საუკუნის ქართველები კარგად ამჩნევდნენ ოსმალობა-ყიზილბაშობის „უსამართლობას“ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეში („ნასყიდს უსყიდისაგან არ არჩევდნენ“, აუწერელ მექრთამეობას, გაუკითხაობას) და არა მხოლოდ რელიგიის საკითხში... ე. ი. არჩევდნენ ქართული ცხოვრების თავისებურება — განსხვავებულობას, ანუ ხედავდნენ „ქართველობას“, მაგრამ მტრულად როდი უპირისპირდებოდნენ ყველა ამ ყიზილბაშობა-ოსმალობას, არამედ ქართველობისათვის მიუღებლად მიაჩნდათ და ძალად

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავზე მოხვეულ ამ კულტურებს ებრძოდნენ: ქართველობას იცავ-
დნენ. თეიმურაზ I მაგალითად, ან ვახტანგის სკოლა სპარსეთ-
განსაკუთრებულ პატივსა სცემდა, მაგრამ ქართულის
სპარსულის მიერ ენერგიულად ებრძოდა...

კიდევ უფრო მეტი საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ „ქარ-
თველობა" როგორც კულტურულ-პოლიტიკური ცნება, არსებობდა
საქართველოს ფეოდალური მონარქიის წარმოქმნის ხანაში. IX—XI
საუკუნეები ხომ ქართული ეროვნული დადგინების ეპოქაა (კ. კე-
კელიძე და სხვა). საბანისძე, ზოსიმე, მერჩულე, გიორგი დაყუდე-
ბული, იოანე და ექვთიმე, გიორგი და გიორგი და დასასრულ რუ-
ის-ურბნისის ძეგლის წერის ავტორი (არსენი) ის მოღვაწეებია, რო-
მელთა ცნობიერებაში ძნელი არაა ამოვიკითხოთ ქართული ფეო-
დალური კულტურის თავისებურობის შეცნობა და თავგამოდებუ-
ლი ბრძოლა ამ კულტურული ინდივიდუალობის დაცვისათვის, მისი
განვითარებისათვის (ენა, რელიგია, ისტორია, პოლიტიკური წყობა).
საუკუნეთა მანძილზე მიმდინარეობდა დაუცხრომელი ბრძოლა მე-
ზობლებთან, მომხდურებთან (სომხები, ბერძნები, არაბები, თურ-
ქები...), შიგნით და გარეთ... ბრძოლაში იქმნებოდა, იკვეთებოდა
კულტურული ცნებები, იხვეწებოდა და ახალი შინაარსით ივსებო-
და ძველი პრიმიტული ცნებები (ერი, ნათესავი, ტომი, ქართლი,
ქართველი...), იქმნებოდა ახალი, დროის შესაფერისი ცნებები (სა-
ქართველო).

(დავით აღმაშენებელი აქაც გვირგვინი იყო ამ საქმისა: აკადე-
მია).

და ასეთის გათვალისწინებით ჩვენ, რა თქმა უნდა, გვაქვს
უფლება გავაცხადოთ, რომ არსენ ბერის ცნობიერებაში უნდა
არსებულიყო „ქართველობა" და ის იმ ფართო შინაარსით უნდა
არსებულიყო, როგორც მის დროს შეეფერებოდა. ამ დროს ცნება
ქართველის ასე ფართე კულტურულ-პოლიტიკური ცნებით ხმარება
ყოვლად უდავოა (ლეონტი ქართული ეროვნული კულტურის ეს
დიდი თეორეტიკოსი ხომ ამის, რამდენიც გნებავთ, მაგალითს გვა-
ძლევს და ასევე სხვებიც).

ასე რომ როცა არსენ ბერი ხმარობს ცნება „თურქობა" (დიდი
თურქობა), ჩვენ გვეძლევა უფლება ვამტკიცოთ, რომ უნდა ყოფი-
ლიყო შემუშავებული ცნება „ქართველობა"... (რაკი არსებობდა
შინაარსი, უეჭველია იქნებოდა შესატყვისი ფორმაც: ო ბ ა...). (მ—
2, 3. ფურც. 54—55).

12. ბურჟუაზიული ერის წარმოშობისათვის არცთუ დიდი ძნიშვნელობა აქვს საშუალო საუკუნეების ტომობრივ გადმონაშთებულ ფაქტს, ფეოდალური ურთიერთობის მიერ მოუნელებელ ... ნული წყობილების რუდიმენტებს. patua ენას, ჩვევებს: ბურჟუაზიული წყობილება ამათი განვითარება, განზოგადოება კი არ არის. არამედ ფეოდალური ურთიერთობის წიაღშივე წარმოშობილი ახალი მოვლენების გამოხატულება, ხოლო ეს ძველისძველი რუდიმენტები ახლა კიდევ უფრო შეუფერებელნი არიან და კიდევ უფრო დაღუპვად განწირულნი ვიდრე ფეოდალურ ხანაში...

ასე რომ ბურჟუაზიული ერის წარმოშობა სულ სხვა რამ არის, სულ სხვა საფუძველზე ხდება და მას არავითარი კავშირი არ აქვს გვაროვნულ-ტომობრივ ნათესავის საკითხთან. ბურჟუაზიული ერი ~~ფეოდალური ხალხის~~ განვითარებაა და არა გვარის. ფრანგები და ბრეტონელები ერთი ბურჟუაზიული ერია, ისევე როგორც ანგლოსაქსები და შოტლანდიელები, ან „ამერიკა"... ხოლო უკრაინელები და რუსები სხვადასხვა ერებია.

ფეოდალური ხალხი გვაროვნული ნათესავის განვითარება კი არ არის, არამედ ძირითადად ამ ნათესავის საფუძველზე წარმოშობილი ახალი სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელშიაც თავისუფლად შედის განუსაზღვრელი რიცხვი სხვა ნათესავისა... იქმნება ~~ფეოდალური~~ ხალხი; ისევე როგორც ამ ფეოდალური ხალხებისაგან იქმნება ახალი ორგანიზაცია. ახალი ერთობა; ბურჟუაზიული ერის შექმნისას სავალდებულო არაა, რომ ფეოდალური ხალხი მთლიანად შედიოდეს მის შემადგენლობაში (რუსეთი, ბელორუსია), ისევე როგორც შესაძლებელია ბურჟუაზიულ ერში რამოდენიმე ფეოდალური ხალხი შედიოდეს (შოტლანდია, უელსი, კასტილია, ბურგუნდია, ბრეტონია). (წიგნი 56. ფურც. 25).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაწილი III

[ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურებიდან]

[ქსნის ხეობა]

20. VI. 53 წ.

გუშინ ჩამოვირბინე ჯვარპატიოსანი, ქსოვრისი, ლენინგორი, წირქოლი (იქვე გრუა), კაბენი, არმაზი, გორი, სამწევრისი, რუისი, ურბნისი.

ჯვარპატიოსანი. შესანიშნავად აღდგენილი. VIII—IX საუკუნის ძეგლი. აქვე შეიმჩნევა (ვახტანგ ცინცაძემ მიპასუხა კითხვაზე) ნასოფლარი თელოვანი. ძეგლი მეტად მნიშვნელოვანია და სოფლისთვის უჩვეულო, ფეოდალური ხანის ტრადიციის მიხედვით. მოვლენა შეიძლება ასე აიხსნას: I. რომ ეს ძეგლი ფეოდალის ვისიმეა, ან 2. ეს ძეგლი სასოფლოა. უკანასკნელ შემთხვევაში უნდა დავუშვათ, რომ ამის მშენებელი სოფელი ძლიერია ეკონომიურად და კულტურული მოთხოვნილებაც დიდი აქვს მას. ერთობილი სოფლის მიერ აგებულ მნიშვნელოვან ეკლესიებს ჩვენ შემდგომ ხანაშიაც ვხვდებით (XI—XII ს-ში), თუმცა იშვიათად, რაც დრო გადის ნათლად შესამჩნევი ხდება ტენდენცია: ერთის მხრივ ჩნდება შესანიშნავი ხუროთმოძღვრული ძეგლები მეფე-ფეოდალების მიერ ნაგები (მეფენი, დიდაზნაურნი, მონასტერ-ეპისკოპოსნი), მეორე მხრით კი მრავლდება ყოვლად მარტივი სამლოცველოები... ასეთი სამლოცველო ზოგიერთ სოფელში „ათეულობით" შეიძლება აღირიცხოს (მაინცდამაინც მათი სიმრავლე ცნობილია). და ეს გარემოება უმთავრესად ორი რამით შეიძლება აიხსნას: სოფელი როგორც ერთიანი ნათესაური გაერთიანება დაიშალა, მცირე გვარებად იქცა. თითოეული ასეთი გვარი თავის სალოცავს იშენებს... სოფლის ძლიერი ტერიტორიული თემი არ ჩამოყალიბდა, ან უკეთ თემს გამაერთიანებელი კულტი არ გაუჩნდა, მაგრამ მან ნათესაო-

ბით გაერთიანება გვარი ვერ მოსპო. ასე რომ მრავალ ხატობა შემოვიდა... ეკონომიურად ძლიერი დიფერენციაცია სულ უფრო გაღრმავდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელისათვის „ჯვარი პატიოსანი“. უნდა ვიფიქროთ, რომ სიტყვა „ჯვარი“ აქ ნიშნავს „ხატს“, „სალოცავს“, ეკლესიას ხოლო პატიოსანი ნიშნავს ჰაეროვანს, კეთილად ნაგებს (თუ არა ჯვარი ყველა თანაბრად პატიოსანია) და უნდა მოწმობდეს, რომ ასეთი სახელი ამ ძეგლს შერქმევია უფრო გვიან („კოხტა ღვთისმშობლის“ მსგავსად).

შესანიშნავია VIII—IX საუკუნეთა ასეთი ძეგლების სიმრავლე საქართველოში (აკად. გიორგი ჩუბინაშვილის დამსახურება) გრუა, კაბენი, არმაზი, რუისი, სამშვილდე.. ეს ძეგლები სერიოზულად სცვლიან ჩვენს წარმოდგენებს ამ საუკუნეებზე, თუმცა შესასწავლია (გასათვალისწინებელია) სად შენდება ასეთი ძეგლები. თუ სოციალური სინამდვილე არ იქნა გათვალისწინებული, ჩვენ ისტორიულად ნამდვილ სურათს ვერ მივიღებთ. მნიშვნელოვანი ძეგლი თავისთავად მოწმობად არ გამოდგება თუ არ ვიცით ვინ აშენებს მას...

სურათი თითქო ასეა წარმოსადგენი: იყო სისხლით მონათესავე გვარები. ჰქონდათ საგვარეულო ხატები, — მცირე მოცულობის უმნიშვნელო ნაგებობანი, სადაც საამისოდ მიჩნეული პირები მღვდელმოქმედებდნენ. შემოვიდა ქრისტიანობა, ბარიდან თანდათან მთაშიც გავრცელდა, ძველი სალოცავების ადგილი დაიჭირა. უმნიშვნელო ქრისტიანული სალოცავები; „ჯვარიონნი“ — გარეთ. მაგრამ თანდათან შემოვიდა დიდი მოცულობისა და მორთულობის ეკლესიების შენება. ეს უცხოური გავლენის შედეგი იყო და ახალ ქართულ საზოგადოებასაც შეეფერებოდა... აზნაურების ეკლესია (მეფის აზნაურთა, მონასტრები) გაჩნდა. მაგრამ შესამჩნევი სიდიდისა და მორთულობის სალოცავებს ძლიერი გვარებიც (თავისუფალი ხალხი) იშენებენ (VIII—IX საუკუნეთა ჯვარპატიოსნები)... გადის დრო, გვარები იშლება, მცირდება, ინდივიდუალური ოჯახები გამოეყოფიან, ძლიერდებიან... აზნაურები კიდევ უფრო ამაღლდებიან... სალოცავებიც სახეს იცვლის, ზოგი იზრდება, მშვენიერდება (კაბენი ყანჩაელთა სალოცავი ხდება...). სხვები კი ისევ ტრადიციებს შერჩება: მცირე პრიმიტიული სალოცავები.

მაინცდამაინც VIII—IX საუკუნეები ჯვარის (მცხეთის ჯვარის) გავლენა-გავრცელების ეპოქაა...

შესანიშნავია ქსნის ხეობის დაწინაურების ეს მოწმობანი. იგი-

ვეა საძიებელი არაგვის ხეობაშიც ამ დროს. მართლაც და არაბული მოწმობანი წანართა შესახებ ამის მოწმობაა (კახეთის დაწინაურებულობის შესახებ). მთიანი იბერია წელმაგარი ჩანს, აქ თუმ, გვარი ჯერ მაგარია და ფეოდალური ურთიერთობაც შემოდის...

ქსოვრისი შევიარეთ. აქ იყვნენ რატიშვილები, მათი საყმო იყო ყანჩაეთიც. ქსნის ხეობა უფრო სოფელმრავალია არაგვისაზე. აქა-იქ ერისთავიანთ სასახლეები. ახალგორს (ლენინგორი) ფართე ჭალა ახლავს. ეს იყო მისი უპირატესობა სხვა სოფლებთან. წირქოლი თავისი ციხით და VIII—IX საუკუნის ეკლესიით. აქვე ახლოს არის გრუა. ეს ორი ციხე დიდი მნიშვნელობისა ჩანს სწორედ ამ ხანაში. შეიძლება სწორედ ყანჩაელი აზნაურები იყვნენ აქ ხევისუფალნი და ამ ციხისთავნი...

საერთოდ „ძეგლი ერისთავთა“-ს გამოცემა უთუოდ ნაკლული იქნება ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის გაუთვალისწინებლად. საინტერესოა ვახტანგ ცინცაძის დაკვირვება: რომ აქაური საგეოგრაფიო სახელები კახეთში მეორდება. ჩანს დასახლება კახეთისა მარტო თიანეთის მხრიდან არა ხდებოდა... ამ ხევის (ქსნის ხევის) ისევე, როგორც არაგვ-ივრის ხევის სიძლიერე მესაქონელობა უნდა ყოფილიყო. დასახლებულიც ის მჭიდროდ უნდა ყოფილიყო. ამას ჯერ ისევ სტრაბონი მოწმობს, ამასვე მიუთითებს არაბული ცნობებიც. აქვე შესანიშნავი და ნიშანდობლივია სტრაბონის ცნობა, რომ იბერიელთ უმრავლესობა მთაში ცხოვრობდა. ასე რომ ქსნის, არაგვის, ივრის, ლიახვის ხეობები სწორედ ამ იბერიელების მიერ დასახლებული ქვეყნებია (ამ მხრივ შესასწავლია ამ ხეობათა ტოპონიმიკა...). არაა მოსალოდნელი რომ ეს მოსახლეობა სადღაც I—VI საუკუნეებში აწყდა (თუმცა გადამთიელთა მოწოლა რამოდენადმე აღინიშნება თითქო ამ დროს: ოსები, ქისტები). ასე რომ იმ დროიდან და შემდეგ აქ უწყვეტლივ იბერიელები არიან და მხოლოდ გვიან მოსახლეობა, ნაწილობრივ, ოსურით იცვლება, აქ მეტად საინტერესო ფაქტს ვაკვირდებით: ეს ძველი იბერული მოსახლეობა თავის თავს ქართველს არ უწოდებს და თავის ქვეყანას ქართლში არა სცნობს. ხომ არ არის ეს მოვლენა იმის გადმონაშთი-გამონაძახი, რომ იბერიელნი სხვა იყვნენ და ქართი სხვა, რომ ქართნი უფრო გვიან მოვიდნენ, ბარის იბერიელთა ადგილი დაიჭირეს, ხოლო მთიანეთი იბერია გადაურჩა მათ? გადაურჩა თითქო მთიანი ლიხიც კოლხეთის საზღვარზე — იმერეთი, საჭიროა ტოპონიმიკის, არქეოლოგიურ მონაპოვართა შედარებითი შესწავლა

ამ თვალსაზრისით. თითქო შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართის ტომი მოდის, უკეთ, მოიწევს როგორც ძლიერი მიწისმოქმედი ტომი ეკალ-ვებს, ან უკეთ, ბატონდება იბერიის ბარში, ხოლო საუფლო ... ...

ჯვარი — სვანეთის საზღვარი. ბუნებრივ-გეოგრაფიული ასეა. აქ ბოლოვდება ენგურის ვიწროობა და მდინარე ობგადაფენილი, მოღლილ-დაწყნარებული, ოდიშის ველით მდორედ მიედინება ზღვისაკენ. სვანები ამტკიცებენ, რომ სვანეთი ჯვარამდე უწევდა, მაგანის წყლამდე (რაიკომის მდივნის ჭკადუას ცნობა), სწყინთ რომ სვანეთის ეს ნაწილი წალენჯიხის რ-ნს მიათვალეს... ჯვარიდან ხაიშამდე ჭიშკარი, უთვალავი მთები ერთიმეორეზე ამაყნი, თვალშეუდგამნი. ენგური გულამღვრეული შეღრიალებს მდუმარე დღეებს...

ენგურჰესის კაშხალი. აქ უნდა დააოკონ, უნდა გახედნონ ეს მობულრავე მოზვერი და ხალხის სამსახურში ჩააყენონ.

ჩვენი მხლებელი სვანები, ალალი მთიელები. გრიშა მარგიანი თავდადებული „მასპინძელი“... მდინარის კულტი: უწმინდურს, გადასაყრელს მდინარეში არა ჰყრიან.

ფეოდალურმა ურთიერთობამ ვერ შეაღწია ამ ბედნიერ ქვეყანაში, მან მხოლოდ კიდეები მოაჭამა მას... უკეთ, სადაც ბარის მეურნეობამ შეაღწია იქ ფეოდალიზმიც შეჰყვა... ბურჟუაზიისათვის სვანეთი კიდევ ნაკლებ სავარგული აღმოჩნდა...

უყვართ სვანებს თამარი, მაგრამ თამარი აქ ფეოდალური მეფე კი არ არის, არამედ სამხედრო დემოკრატიის მეთაური, ბელადი. თამარს უყვარდა სვანეთი, ის ყოველწლივ დადიოდა უშგულში, აქ ისვენებდა ლამარიაში და სვანეთში დასვენებას იმიტომ ირჩევდა, რომ აქედან მთელი საქართველო მოჩანდა: მას ხომ საქართველოსთვის უძგერდა გული. შესანიშნავი ხალხური შემოქმედებაა, ასეთი თამარი რა თქმა უნდა ფეოდალური თამარი ვერ იქნებოდა. ეს თამარი საერთო, ს ა ხ ა ლ ხ ო ა, და არა კლასობრივი, და ეს საერთოდ ასეა. საქართველოს მთიელებს საქართველოს მეფენი ზოგიერთი რომ უყვართ, ესენი რეალური, კონკრეტული ფეოდალური მეფენი კი არ არიან, არამედ კონდენსირებული სამხედრო დემოკრატიის ბელადები. ასეთია მაგალითად ფშავ-ხევსურთა ერეკლე, გიორგი ლაშა და სხვანი. ამ მეფეებსაც, როგორც ეტყობა, კარგად ესმოდათ თავისი როლი ამ მთაში და აქ ისინი სულ სხვა რიგად იქცეოდნენ, ვიდრე ბატონყმურ ბარში. აქ მათი საყრდენი (მთაში) იყო არა თავადი, მებატონეები და აზნაურები, არა ეპისკოპოსები და მონასტრების სწავლული ბერები, არამედ ეროვანები, ხევის ბერები, ხევისთავები, ხევამარები მახვშები, ე. ი. სამხედრო დემოკრატია ხა-

ტებში გაერთიანებული, ხოლო ხატიშვილებად სხვების გვერდით (თუ ხატის ძმად) ეს ფეოდალური ბარის მეფეები ლიოდნენ. (მოიგონე ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ ამ-ინსტიტუტის გამოყენება აჯანყებისათვის მომზადების საქმეში). ასე რომ ეს საყვარელი მეფეები ისინი იყვნენ, ვინც მთას ეგუებოდა; თუ ეს არა, მთას ერთპირად სძულდა შემავიწროვებელი ბარელი მეფე — ერისთავი ზურაბი და ნუგზარი, ან ალექსანდრე იმერთა მეფე XV ს., რომელმაც ჯაფარიძე-კუჭაიძეებს დაუჭირა მხარი და სვანეთს დიდი ზიანი მიაყენა. სძულდათ და ასევე კონდენსირებულ ბოროტებად წარმოუდგენიათ ისინი... რა თქმა უნდა, სვანეთი უძრავი და ერთ წერტილზე გაყინული არ ყოფილა და სვანეთის ყველა ნაწილი განვითარების თანაბარ სიმაღლეზე არ მდგარა.. ამისდაკვალად იცვლებოდა სვანთა იდეოლოგია გვაროვნული წყობილებიდან ფეოდალურ ურთიერთობამდე (ფეოდალურ ურთიერთობას ნაზიარები სვანეთი კარგავდა „სვანობას", ქართველგლეხდებოდა — ზემო რაჭა, ლეჩხუმი, მეგრელგლეხდებოდა — ხობის წყლის სვანეთი...), მაგრამ ძირითადად სვანეთი მაინც გადაურჩა ფეოდალური ურთიერთობის შეტევას... არც სადადიანო სვანეთი, ლეჩხუმის გაგრძელება, არც სადადეშქელიანო არ იყო ბარის წყობის სრულიად იდენტური და ძველი სოციალური წყობიდან კიდევ ბევრს ინარჩუნებდა...

ჩვენ დაუბრუნდეთ ჩვენს ამოცანას. სვანს სამხედრო დემოკრატიის ხანისას უყვარს ბელადები (მეფეებშიაც ასეთს აკონდენსირებენ), უყვართ და ხატის შვილად თუ ხატის ძმად სახავენ მათ. (მთელი სვანეთი სახატოებად დაყოფილი ქვეყანაა). უყვართ იმდენად და იმიტომ, რომ ისინი ექსპლოატატორები კი არ არიან, არამედ ხატის ძმები და ხატივით მფარველები თემისა (მერმე, გვიან და ალაგ-ალაგ. ეს „ბელადები" კარგ-ყმა ვარგების საყვარელნი იქნებიან. მოყვარეთა წრე დაუვიწროვდებათ, შემდეგ კიდევ აზნაურების საყვარელიღა რჩებიან, უკვე გაფეოდალიზებულ ნაწილში).

მფარველ-საყვარელი ბელადის პატივიც გასაგებია. ეს ხელმწიფის, აბსოლუტის წინაშე შიშის შედეგად წარმოქმნილი სიყვარული („შიში შეიქმს სიყვარულისა") კი არ არის (სადაც ნამდვილი სიყვარულის ნატამალიც კი არ არის), არამედ სწორთა სიყვარული სწორის სათნოებისათვის (როცა ეს სათნოება კოლექტივის სასარგებლოა). ასეთი ბელადი შეიძლება ნიშნებითაც განასხვავონ, დამარხვის წესითაც — ყორღანები (არის თუ არა სვანეთში ყორღანები?... ცალსამარხიანი ყორღანები?), მაგრამ ეს ნიშნები მისი პირა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ღირსების მაჩვენებელია. შეიძლება ასეთი ბელადი გააღმერთონ კიდევაც, მათი ღმერთები იგივე თემის, გვარის წევრები და ეროვნული ველებია... ასე რომ ეს ყორღანები, სამგორის ყორღანები მაგალითად, ესაა სამხედრო ბელადის (ადრეული ხანის) საკრძალავი...

„კარჩაკეტილი" სვანეთი გაუგებრობაა. რა ჰქონდა სვანებს კარჩასაკეტი. ისინი ხომ ყოველთვის დამოკიდებული იყვნენ ბარისაგან. მათი მეურნეობა (მესაქონლეობა) სწორედ ამ ურთიერთობის ინტენსიურობას მოითხოვდა. არა მარტო მოსახლეობის ნამატი იძულებული იყო ბარად ჩასულიყო და იქ დაჯდომა ეცადა, მთაში დარჩენილიც კი იძულებული იყო ბართან კავშირი არ შეეწყვიტა და ბარით თავი ერჩინა. ამის შედეგია, რომ ბარელები სვანში მიწის მუშას, არხების ოსტატებს ჰგულისხმობენ... მთა მართალია, ბარელისათვის მიუდგომელია და „ჩაკეტილი" იყო, მაგრამ მთისათვის ბარი-არასოდეს ჩაკეტილი არ ყოფილა...

ბარის სვანეთმა ვერ გაუძლო ბარის ფეოდალური ურთიერთობის შემოტევას და ის „გაქართველდა", მთა გადაურჩა ამ შემოტევას (საამისო მეურნეობა აქ არ ეწყობოდა), მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მთა ჩაკეტილი იყო და თვითკმარი ცხოვრებით ცხოვრობდა. როგორც ავღნიშნე მთიანი სვანეთი ინტენსიურ ურთიერთობაში იყო ბართან; პური, მარილი, ღვინო სვანეთში თავისუფალ სვანთა შრომის ფასად მიდიოდა... სვანეთის მეურნეობა კი იყო ჩაკეტილი ბარის ფეოდალური მეურნეობისათვის, მაგრამ ბარის მეურნეობა არ იყო ჩაკეტილი სვანისათვის.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რაოდენ ძლიერი იყო და ხანგრძლივი სვანური ელემენტის შეღწევა ბარში, საკმაო, თვალი გადავავლოთ დას. საქართველოს ბარის მოსახლეობას და საოცარ სურათს დავადგენთ: ამ მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ სვანური მოდგმისანი არიან. განსაკუთრებით სამეგრელო, რაჭა, ლეჩხუმი და ეს მომენტი გვიან წარმოშობილი კი არ არის, არამედ უძველესი დროიდან მოდის. ნ. მარი ამ საკითხში უეჭველია სიმართლესთან ახლოა...

ცალკე საკითხია ეს აზნაურების და მთავრების (თავადების) ასე დიდი რაოდენობით სვანურობა... ეს იმას როდი მოწმობს, რომ სვანები მოდიოდნენ, ბარის ქვეყნებს იპყრობდნენ და უბატონდებოდნენ. სვანებს ამდენი ძალაც არ შესწევდათ. მათ შეეძლოთ მორბევა და უკან გაბრუნება თავის მიუვალ მთებში. სვანების გარევა ბარის არისტოკრატიაში სხვა გზით ხდებოდა. ეს იყო სვანი ვაჟკაცების (სამხედრო დემოკრატია), სვანი ბელადების, სვანი „ერის-

თავების“, სვანთა რაზმით ბარის მეფის სამსახურში შესვლა და ერთგული სამსახური. საღალატო და საორგულო მათ არ ჰქონიათ, რა: მეფის მიერ პრივილეგირებული იყვნენ. აი ასეთი „ლორეანები“ იძლეოდნენ აზნაურებს, თავადებს, მთავრებს, ადგილობრივი არისტოკრატიის შევიწროვების ხარჯზე... (შრდ. ყივჩაყები, ყუბასარ).

მე კარგა ხანს შეცდომით ვფიქრობდი, რომ ძველი ვარდანისძე-დადიანები, ეს სვანთა ერისთავები, ხობის აუზიდან იყვნენ, რომ ამ რაიონმა გვიანამდე შემოინახა-მეთქი სვანეთის სახელი, ე. ი. მას შემდეგაც-მეთქი, რაც ამ აუზში ფეოდალური ურთიერთობა შემოვიდა. ექვთიმე თაყაიშვილის შრომამ „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში“ ეს ჩემი ვარაუდი უსარგებლო გახადა. ამ ნაშრომიდან უდავოდ ჩანს, რომ ეს ვარდანისძეები ხობის მიდამოებიდან კი არ არიან წარმოშობით (თუმცა ხობი რატომღაც განსაკუთრებით ამოჩემებული აქვთ...), არამედ თავისუფალი სვანეთის შუაგულიდან და შესაძლებელია, როგორც ექვთიმე თაყაიშვილი ფიქრობს, ისინი ჯერ კიდევ ბიზანტიის მფლობელობის დროის მთავრების ჩამომავალნიც კი იყვნენ..

დღეს ამ ჩემი თვალსაზრისისას საჭირო არაა ვარდანისძეთა ხობელობა. სვანეთის სამხედრო დემოკრატიის ბელადთაგან ერთი ვინმე სხვაზე წარჩინებული, სრულიად ბუნებრივად შეიძლებოდა სამხედრო დემოკრატიის სვანეთის და ფეოდალური ბარის მეფის მოსაშუალე ყოფილიყო... ეს „ერისთავი“, ბარის მებატონე ერისთავი კი არ იყო გლეხებით, მონასტრით, არამედ სვანეთის უძლიერესი ხატის მმოსავის (ბარელი მეფის) ხელისუფალი, რომლის ხელი მეტად მცირედ ჰგავდა რომელიმე ბარის ერისთავის ხელს. აქ მთაში მას ისევე ბელადად და არა ექსპლოატატორად უყურებდნენ... ის ფეოდალური ერისთავი შემდეგ გახდა, როცა სვანთა ერისთავობა დატოვა და დადიანი ან გურიელი გახდა...

„მთაში ალაღდა სვანია“, „მუდამ ავის მოხარკული“ სვანი, სვანებმა დაარბიეს ქუთაისი, გადასახადი „სასვანო“, სვანთა დაფიცება XIV ს....

სასვანო „ხარკი“-ც კი რომ გვქონდეს დამოწმებული, მაინც არ დავიჯერებდით. იმ დროს, როცა სასვანო გადასახადი იხსენიება, სვანეთი ამ ძალისა არ იყო, რომ მას ბარის საქართველოს დახარკვა შეძლებოდა. სვანებს, სვან ვაჟკაცებს, სვანი „ერისთავის“ ბელადობით შეეძლოთ ბარი მოერბიათ, არბევდნენ კიდევაც, თუ ბარის წინააღმდეგობა შესუსტდებოდა. ასეთი ეპოქისაა „მთაში ალაღდა სვანია“, ე. ი. ბარი შესუსტდა და „მუდამ ავის მოხარკული“, ე. ი.

ბუდამ სარბევად მზადმყოფი შეიქნა. (ასეთი იყო მისი ეკონომიკა, მისი სოციალური წყობა, ასეთივე ... ყველა ეს მთიელები, „ლეკები“, „ვაჟკაცები“ — იხ. Хроника воин Джара). სვანი სულ უფრო და უფრო მეტის გაბედულობით მოდიოდა ბარის სარბევად, ქუთაისიც კი დაურბევიათ, მაგრამ ეს მაინც რბევა იყო და არა დაპყრობა (პაპუნა ორბელიანი, ჭკვიანი კაცი, ლეკების შესახებ ეჭვს გამოსთქვამს, ნეტავი საქართველოს, ქართლსა და კახეთს თუ ხელთ იგდებდნენ, რად უნდოდათ, როგორ უნდა მოეწყოთო; და ეს იმ ლეკების შესახებ, რომელნიც უფრო ორგანიზებული იყვნენ, ვიდრე სვანები და თან მოჰქონდათ ისლამი ოსმალეთის მფარველობით).

გვიან ხანაშიც კი ბარი არასოდეს ისე არ დასუსტებულა, რომ მთას ჩამოწოლა შეძლებოდა კომპაქტურად (ჭარ-ბელაქანი და ... ...ზეთი ცალკე განსახილველია...) ან თუ ადმე ჩამოწვა არა დამპყრობელად, არამედ ყმებად (ფიღინეთი...). ფშაველნი, ყვარელნი, ფხოველი დაპყრობის შედეგად გაჩენილი კი არ არიან, არამედ ყმად ჩამოსახლების შედეგია... ასეთივე ... ყველა ეს ოსიაურები თუ სხვ... (ამას შესწავლა უნდა).

მაინცდამაინც სვანური კომპაქტური მოსახლეობა ბარში არსად გაჩენილა (პირიქით, სვანეთმა, სწორედ თავისუფალმა სვანეთმა, დაკარგა XV საუკუნეში რაჭის მთიულეთი. კიდევ უფრო მეტი დაკარგა უწინ...). სვანების დაწინაურებაც, ქართველ არისტოკრატიაში შემოსვლა სვანი თავკაცებისა, ბარულ ხელმწიფეთა სამსახურით ხდებოდა ამ გვიან ხანაშიაც. ასე რომ გადასახადი სასვანო უნდა იმავე რიგისა იყოს როგორც „სალეკო“ XVIII საუკუნის მიწურულს, ე. ი. სვანური რაზმისათვის გასაცემი გადასახადი, და არა „საყაენოს“ რიგისა. ასე რომ ჩვენ მივიღეთ საინტერესო ფაქტი, რომ სვანები საქართველოს მეფის კარზე რაზმობით ეწევიან სამსახურს და ეს შეიძლება გვიანი ხანის მოვლენა კი არა, უფრო ადრინდელიც იყოს, რაც ბარის მეფეთა გავლენა იყო. ვინ იცის დავითის ზრუნვა სვანეთზე, თამარის კულტი სწორედ ამ დროისანი იყვნენ, ე. ი. სვანი რაზმები ამ მეფეთა ხანაში გარკვეულს სამხედრო როლს თამაშობდნენ სამეფო კარზე...

საინტერესოა (კერძოდ) არჩილის მიერ მულახელის დახასიათება: „უწყალო, ვით მულახელი სვანია“ და მისივე „მთაში ალაღდა სვანია“. ორივე ჩვენება ერთიმეორეს უკავშირდება და გასაგებსა ხდის: „ალაღდა“ ე. ი. მორჩილება-გამგონეობისაგან გამოვიდა,

სულ თავის ნებაზე დადგა და დასუსტებულ ბარს რბევა დაუწყო. ამ სავაჟკაცო საქმეში ჩანს მულახელები განსაკუთრებით [illegible] რობენ და დარბეული ბარისათვის ყველაზე უწყალონი [illegible] ერთოდ ყველა მარბიელი „უწყალოა“ და რაც უფრო აქტიურია ეს მარბიელი, მით უფრო „უწყალოა“ ის... მულახელებიც ჩანს ასეთები იყვნენ). მეორე, საკითხია ისიც, თუ რა წრეში წარმოიშვა ასეთი შეხედულება სვანთა (მულახელთა და სხვებისაც) უწყალობა, ავის მოხარკულობის შესახებ. ჩვენ ამის საწინააღმდეგო ჩვენებანიც გაგვაჩნია, და გაგვაჩნია მეტად საპატიო ჩვენებანი ქართული ფოლკლორული და უცხოური ლიტერატურული, სვანთა შრომისმოყვარეობის შესახებ... „სვანი“ ხომ მიწის მუშას ნიშნავს, არხის ოსტატს, მკის ოსტატს, კახეთის, ქართლის, გურია, სამეგრელო, იმერეთის მეურნეობა დიდად დავალებულია ამ „სვანებით“; არქანჯელო ლამბერტი ხომ მოწმობს თვალით ნახულს, თუ როგორი ინტენსიური იყო სვანი მეურნეების მოხმარება სამეგრელოში XVII საუკუნეში და ეს ხომ, უეჭველია, ძველი ტრადიციის საქმე იყო... ასე რომ სვანი მარბიელი და სვანი მუშა ერთიმეორეს გვერდით არსებობენ. არბევდნენ კი და მაშინ ზარსა სცემდნენ იმათ, ვისაც ქონება გააჩნდა. ასე რომ მულახელი და საერთოდ სვანი ყველასათვის თანაბრად ავის მოხარკულნი და უწყალონი საფიქრებელია. არც ყოფილან... (საინტერესოა ხალხის გადმოცემანი იმის შესახებ, არიან თუ არა სვანეთში ბარიდან შემოთესლებული, ე. ი. უხერხდებოდა თუ არა ბარელ „ბოროტმოქმედს“ სვანეთში თავის გადარჩენა, თავისუფალ ქვეყანაში „გასვანება“. პრინციპულად აქ შეუძლებელი არაფერია. აკი ქართველები ასეთი დევნილები მთას ეფარებოდნენ („მყრელობის“ დროიდან..), ლეკეთში იკარგებოდნენ და ლეკდებოდნენ კიდევაც (ჭარ-ბელაქანი)...

ასე რომ სვანის „უწყალოება“, ავის მოხარკულობა“, მშვიდი, დინჯი მუშაობა, ოქრომჭედლობა, მკისა და არხის ოსტატობა, ყველაფერი ეს უნდა განხილულ იქნას ბარისა და მთის რთულ ურთიერთობაში, ბარის საზოგადოების კლასებად და წოდებებად დანაწილებულობის, კლასობრივი ურთიერთობის გათვალისწინებით და სხვა და სხვა.

რატომაა სვანური ეკლესიები ასე მცირენი და მრავალრიცხოვანი. უეჭველია საგვარეულო წყობილებასთან კავშირშია. ეს ხომ ბარის საქართველოშიაც შენიშნულია (გ. ჩუბინაშვილი). იქ რომ „ჯვარის ხანა“ იყო, ჯვარის „ამართვის“ ხანა, აქ „ხატების“ (საერთოდ მთელს დასავლეთ საქართველოში) ხანა იყო. (ჯვარი-

-ხატი... მცხეთის ჯვარი, მანგლისის ჯვარი და სხვა ათასი ჯვარი). აქ კი იმის ხატი, ამის ხატი (კვირიკეს, ლამარიას, წმ. გიორგის და სხვ. და სხვ.). როდის და როგორ ხდება ხატების ეს შეერთება, ერთ-ერთ ხატების გაჩენა, მთელი სვანეთის სალოცავის გაჩენა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვიცი როგორ და როდის შემოდის დიდი ეკლესიები ჩვენში (ბოლნისი, ჯვარი, წრომი) მაგრამ X—XII საუკუნის კოლოსები რომ ფეოდალური ურთიერთობის გარკვეული საფეხურის გამარჯვებას უკავშირდება ეს კი საფიქრებელია.

გუშინ მულახში შესანიშნავი ცნობა დავიჭირე: სვანებს აქვთ თურმე სიმღერა, სადაც აღნიშნულია, რომ სვანთა მოსახლეობა ზღვამდე უწევდა (ზღვის თევზს იჭერდნენ — ასეთი თქმა აქ ვერ გაჩნდებოდა, სვანეთში მხოლოდ კალმახი იპოვება...). მესტიის რაიკომის მდივანმა პკადუამ ისიც მითხრა: სვანეთში გადმოცემით ამბობენ, რომ ფოთი ძველ დროში სვანეთისა იყო, რომ სვანური მოსახლეობა ფოთს უწევდა. ფოთის რა მოგახსენოთ და სვანეთი რომ გარკვეული ნაწილით ზღვას უწევდა, ეს ცნობილია ლიტერატურულადაც. მდინარე ხობი რომ სვანეთზე მიედინება, ეს ბერძენ მწერალს დაუცავს (მახსოვს ეს სადღაც ს. კაკაბაძესაც აქვს აღნიშნული). ხობის წყლის მარჯვენა სანაპიროს ტოპონომიკაც ხომ საოცარ სიმრავლეს ავლენს სვანური ტოპონომებისას, ხოლო ასეთ კონტექსტში დადიანების მიერ ხობის მონასტრის ამოჩემება შეიძლება შემთხვევითი გარემოება არ იყოს, ამრიგად ხალხური გადმოცემა, ლიტერატურული ცნობა, ტოპონომიკა თანხმობით მოწმობენ ერთსა და იმავეს...

შეიძლებოდა კიდევ მეტის გაბედვა: სვანთა მონაწილეობის მოწმობა შეიძლება იყოს, „აფხაზეთის“ უძველესი მოსახლეობის ნიშნად შეიძლება გამოდგებოდეს სვანური ლეჩხუმი, ცხუმი და ცხომარი... ასე რომ სვანები ვინ იცის, დიოსკურიაში მოვაჭრე ერთ-ერთი ტომი კი არ იყოს გარედან მოსული, არამედ დიოსკურიის მკვიდრი ტომი, რომელმაც მას სახელი დაუმკვიდრა...

თამარის „გალმერთება“ იმიტომ შეიძლებოდა, რომ ღმერთი სვანის გაგებით იგივე კაცი იყო, ოღონდ ზეკაცი. სვანის ღმერთი სრულიადაც არ იყო ის მიუწვდომელი რაღაც, ბარში რომ ჰქონდათ წარმოდგენილი, არამედ უფრო მაღალი (ძლიერი, წმინდა, სათნოიანი, მშველელი, საქმეში, ომში, გზაში) ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანი, მაგრამ არა ისე მიუკარებელი, გონებაშეუდგამი, საშიში და

სასტიკი (და ზოგჯერ უსამართლოც კი, თუმცა სამართლიანობას იჩემებდა), როგორც ღმერთი ქვეყნის შემოქმედი...

სვანური ხატები ყველა ასეთი ადამიანისებური (უფრო მაღალის) მატარებელნი არიან... გაღმერთებამდის მათ ცოტა აკლიათ, ხოლო კულტად ქცეულნი მეფენი ხომ ამ ხატების ძმები არიან...

ასე რომ ამა თუ იმ საზოგადოების ღმერთი ამავე საზოგადოების შენამოქმედია და იმ თვისებების მატარებელია, რომლითაც მას ეს მისი შემოქმედი საზოგადოება აღჭურავს... ის ძველი ღმერთები, გვაროვნული წყობის საზოგადოების ღმერთები ადამიანის თვისებების მატარებელნი არიან (შდრ. ძველი საბერძნეთის პანთეონის მკიდრნი). თვით ამ გვაროვნული საზოგადოების სხვადასხვა საფეხურზე ეს ღმერთები სხვადასხვა თვისებებს იძენენ, მაგრამ კლასობრივ საზოგადოებაში გადასვლამდე ეს ღმერთები ძირითადად ადამიანის თვისებებისა რჩებიან, აგრე ძლიერ არ შორდებიან ადამიანს და ადამიანისათვის გაღმერთების გზა საბოლოოდ დახშული და მოჭრილი არაა. ადამიანიდან ხატამდე, ხატიდან თავხატამდე ან ღმერთამდე (ღმერთი, ღერბეთიც, ხომ ერთ-ერთი ხატი იყო ოდესმე...). და გმირი ადამიანი, სხვებისაგან განსხვავებული სათნოებით დაჯილდოებული ადამიანი, ადვილად ირიცხება ღმერთთა შვილების რიგში, ნახევარ-ღმერთები... შდრ. ოდისე და სხვები დედით ადამიანები, მამით ღმერთები და პირუკუ, ღმერთკაცები (ქართული ფოლკლორი, ამირანიადა...); და მეფეებიც ადვილად თავსდებიან ღმერთის კარზე როგორც ღვთის შვილები...

გუშინწინ, 18. VII, მამისამ[1] რ. ხარაძე-ა. რობაქიძის წიგნი მოგვიტანა, კონგრესთან დაკავშირებით რომ დაუბეჭდავთ. ჯერ არ წამიკითხავს. ჩავხედე, კარგად გაუფორმებიათ.

მაგრამ უსიამოვნო მეჩვენა შეცდომა სვანთა სეპარატიზმის შესახებ „სხვა ქართველური ტომების მსგავსად გვიანფეოდალურ ხანაში". ჩანს სეპერატიზმის ბუნება არ გაუთვალისწინებიათ საერთოდ და საქართველოს პოლიტიკური დაშლის ბუნება კერძოდ.

რა არის სეპარატიზმი, როდის და სად ჩნდება ის, როდის და როგორ წარმოიშვა ეს მოვლენა საქართველოში, რა პირობა იყო ამისათვის აუცილებელი და იყო თუ არა საამისო პირობები და თუ იყო რამდენად ძლიერი იყო ის სვანეთში? შეიძლება თუ არა სეპარატისტული განწყობილება თანაბრად გავავრცელოთ მთისა

---

1 მამისა ბერძნიშვილი — ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბარის ქართველ ტომებზე ერთნაირად გვიანფეოდალურ საქართველოში?

სეპარატიზმის შესახებ სამწუხაროდ ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არაფერი თქმულა არც მარქსისტული, არც წინამარქსისტული. საქართველოს პოლიტიკური დაშლის კონსტატაციას კმაყოფილდებოდნენ და ამ მოვლენის ბუნების ახსნით თავს საგულდაგულოდ არავინ იწუხებდა. საქართველოს პოლიტიკური დაშლა გვიანფეოდალური ხანისა ს. კაკაბაძეს საქართველოს სოციალ-ეკონომიური დაწინაურების შედეგი ჰქონია, ზოგს კიდევ გარეშე მტრების ზეგავლენის შედეგი ჰგონია ის; ბოლო დროს წამოყენებულ იქნა შეხედულება (ჩემი) რომ ეს მოვლენა, საქართველოს პოლიტიკური დაშლა, შედეგია მისი სტაგნაციური ვითარების („ჩიხის"), მისი ნიშანია სათავადოების სისტემის გამარჯვება. ეს „თეორიები" ყველა გაუმართავია, საკითხი მეტად მნიშვნელოვანია და შესასწავლად რთული. რა არის ჩვენი ადრეფეოდალური ურთიერთობა? ერთი დაშლა ხომ VI—VII ს-ში დაიშალა თითქო იბერია, კოლხეთი... რა იყო ეს სამთავროები ადრეფეოდალური ხანისა (სენიორიები?), როგორი იყო ეს გაერთიანება, IX—X საუკუნეში რომ მიმდინარეობდა, როგორი სახელმწიფო წარმოიშვა (ადრეფეოდალური თუ განვითარებული ფეოდალიზმისა), რა იყო მაშასადამე, შემდგომ დაშლის მიზეზი, განვითარება თუ შეფერხება ამ განვითარებისა. როგორი იყო როლი გარეშე ძალებისა, კერძოდ მონგოლებისა, თემურ ლენგისა და ყველა სხვა თურქმანებისა, ყიზილბაშებისა და ბოლოს, ოსმალეთ-ერანისა. ყველა ამ ფაქტს შეწყობა უნდა, შინა და გარეულ მოვლენებს შეფასება და პროცესის სახით გამართვა უნდა. ამის ერთიანი სურათის დადგენას არავინ ცდილობს და მოვლენას, სეპარაციის ფაქტს განმარტოებულად და ისტორიული პერსპექტივის გაუთვალისწინებლად ხსნიან და ამიტომაც არის, რომ ამ კარდინალურ საკითხზე დღემდე გარკვეული, გამართული, მწყობრი პასუხი არ მოიპოვება... ეთნოგრაფები რა გასამტყუნებელია, როცა ისტორიკოსებს თავი არ შეუწუხებიათ და საკითხი ასე თუ ისე არ შეუსწავლიათ. უკანასკნელად შრომა დაიწერა (მ. ლორთქიფანიძე) სპეციალურად საქართველოს გაერთიანების (ფეოდალური გაერთიანების) შესახებ და იქაც კი ეს საკითხი არ დასმულა. რა გაერთიანდა, რა მივიღეთ იმ გაერთიანებისაგან, რა საზოგადოება არის ეს XI—XIII საუკუნის საზოგადოება, სახელმწიფო. ამის ნათლად გარკვევით ხომ პასუხი გაეცემოდა იმ დიდ საკითხსაც, თუ რა იყო ქვეყნის პოლიტიკური დაშლა

XIV—XVI საუკუნეებისა?... პირადად არც ჩვენ მოგვიცია ერთიანი, მწყობრი, მეცნიერული, ისტორიული სურათი (პროცესი) საქართველოს საზოგადოებრივი განვითარებისა VI—VIII—X—XIV—XVI საუკუნეებისა. ეპიზოდების სახით, ცალკე მოსაზრებათა სახით ეს გამოთქმული გვაქვს სხვადასხვა ნაშრომებში ამ 30 წლის მანძილზე, რაც სქემატურად ასე წარმოიდგინება: საქართველოს (იბერიის, კოლხეთის) დაშლა სამთავროებად შედეგი იყო მისი განვითარების, ფეოდალური ურთიერთობის საბოლოოდ გამარჯვებისა; ადრემონათმფლობელური იბერია, კოლხეთი, სამოქალაქოებისა (ქალაქებით) და ზეგანის სამხედრო დემოკრატიისაგან შედგებოდა. ზეგანი უმრავლესობა იყო (სტრაბონი), უმნიშვნელოვანესი იყო და სამოქალაქოებს ზეგანი არასოდეს დაუმორჩილებიათ თავისი ადრემონათმფლობელური ორგანიზაციისათვის. ასე რომ ადრემონათმფლობელური იბერია-კოლხეთში ორი წყობის თანაარსებობა იყო: ბარული ადრემონათმფლობელური და ზეგნური, კიდევ უფრო წმინდად დაცული მთური სამხედრო დემოკრატიისა...

ფეოდალური ურთიერთობა ეს იყო ზეგნის სოციალურ-ეკონომიური დაწინაურების შედეგი და მისი გავლენის გაძლიერება ბარზე უკეთ, ბარისა და ზეგნის მეურნეობის შერწყმა ზეგნის უპირატესობით, სუსტი მონათმფლობელური ურთიერთობის თანდათანი გაქრობა და ფეოდალურის ზიარება. აქ, უეჭველია, არამცირე მნიშვნელობა ჰქონდა თვით იმ ფაქტს, რომ მონათმფლობელური მსოფლიოს საყრდენი და გამვლენი „რომი“ მოიშალა, გაფეოდალურდა... და ამ ახალ ქ ა რ თ უ ლ (სახალხო ქართულ) ნ ი ა დ ა გ ზ ე წარმოიშვა სამთავროები, მეტნაკლებად თვითკმარი ორგანიზაციები თავისი „მთავრებით“ (იგივე „მეფეები“). ორი საუკუნის გასულს (დაახლოებით) ეს ორგანიზაციები უკვე აღარ შეეფერებიან ახლად შექმნილ ვითარებას, სამთავროები იჩენენ ძლიერ ანტისეპარატულ ტენდენციას და ორასი წლის ბრძოლის შედეგად ეს ტენდენცია იმარჯვებს. ყალიბდება ბ ა ტ ო ნ ყ მ უ რ ი, გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ უ ლ ი, წ ი ნ ა ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო („დავითის სამეფო“) შესაფერისი სახელმწიფო წყობით...

ბარის კულტურის ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა შესაფერისი იდეოლოგიით (სასულიერო, საერო), სოციალური წყობით (დიდებულები, აზნაურები, გლეხები, სხვადასხვა კატეგორიები), ძლიერ გავლენას ახდენს მთიანეთის ტომებზე, ხელს უწყობს მთის კავშირს ბართან, იჩენს მთის საზოგადოებაში ბარის სოციალური წყობის აგენტებს (ერისთავებს, ვარგებს, გამგებლებს, აზნა-

ურებს...), შეაქვს ქრისტიანობა, მაგრამ ფეოდალური ურთიერთობა
იმ ძალისა არასოდეს ყოფილა, რომ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკუ-
ური ვითარება ბარისათვის გაეიგივებინა, სრულიად ბარისა-
თვის დაემსგავსებინა, ბარული იდეოლოგია გაებატონებინა: მთა-
ში „ერისთავი" სულ სხვა შინაარსისა იყო ვიდრე ბარში, მთაში
„აზნაური" („ვარგი") სულ სხვა შინაარსისა იყო ვიდრე ბარში,
მთაში „გლეხი", ის იყო ისახებოდა, მაგრამ შესაფერის ნიადაგს
მოკლებული არ ვითარდებოდა; მთაში ქრისტიანობა, კერძოდ სვა-
ნეთში, განსაკუთრებით თავისებური იყო, შეიძლება ითქვას „სვა-
ნური" იყო, ე. ი. იდეოლოგია, რომელიც სამხედრო დემოკრატიისა,
თუ ადრეფეოდალური ურთიერთობის შესაფერისია თავისი შინა-
არსით, საგვარეულო ღმერთებით („ხ ა ტ ე ბ ი თ"). თ ი თ ო ე უ ლ
გ ვ ა რ ს თ ა ვ ი ს ი ღ მ ე რ თ ი (ხატი) ჰყავდა, ზოგიერთი ძლი-
ერი ხატი დაბმულიც ჰყავდათ, რომ მათ სხვა ხატები არ დაელეწათ,
რომელნიც ამ ეკლესიაში შემოეყვანათ. ჩანს, ამ უცხო ხატებს არ
იგუებდა, თავისი სასუფევლის მათთვის გაზიარება არ სურდა...
აქ უკვე ქრისტიანული აღარაფერია. მოიგონე „ქართლის ცხოვრე-
ბაში" დაცული შეხედულება ღმერთების ომის შესახებ... აქაური
ბ ა პ ე ბ ი ხომ იგივე მოგვებია. ჩანს, ბიზანტიიდან გავრცელებულ
ქრისტიანობას მეტად სუსტად უმოქმედნია, რომ სახელიღა მარტო
შეუთვისებინებია მღვდელთმსახურისა (პაპ), ხოლო შინაარსეუ-
ლად ისინი ძველი წარმართებივე დარჩენილან. ქართულ ქრისტია-
ნობას უფრო მეტი ძალა გამოუჩენია XI—XII საუკუნეებში და
უფრო მოგვიანებით, ქართულ სოციალურ-პოლიტიკური გავლენის
გვერდით ძლიერი ეკლესიათა მშენებლობა უწარმოებია. სვანი ერის-
თავები, ვარგები და სხვა ჩენილები მონაწილეობენ ამ მშენებლო-
ბაში, მეფეები დიდად სწყალობენ და ამ თავისი აგენტების საშუ-
ალებით პოზიციებს იმაგრებენ ამ დ ა უ პ ყ რ ო ბ ე ლ ქვეყანაში...

(ს ვ ა ნ ი ე რ ი ს თ ა ვ თ ე რ ი ს თ ა ვ ე ბ ი ისევე არ არიან ბარის
ერისთავთერისთავების შინაარსისა, როგორც ის სვანი „მეფეები" არ
ყოფილან ლაზიკის და მით უფრო ბიზანტია-რომის მეფის შინაარსი-
სა. მართალია მათ ამტკიცებს, უკეთ სვანთა ბელადის მიერ ამ სა-
პატიო თანამდებობის მიღებას ადასტურებენ ეს მეფეები
ბიზანტია-რომიდან, თუ ლაზეთიდან, მაგრამ ეს მოვლენა
მეტად მცირედ მოქმედებს სვანთა ბელადების შინაარსზე და
ისინი არსებითად სამხედრო დემოკრატიის ბელადებადვე
რჩებიან და მეფის მათ მხოლოდ სახელი აქვთ). „დაუპყრობელ
ქვეყანაში"-მეთქი ვიმეორებ იმიტომ, რომ ასეთი ქვეყნის „დაპყრო-

ბა“ ბარის მიერ შეუძლებელია: დამპყრობლის და დაპყრობილის ეკონომიური და სოციალური წყობა მეტისმეტად დაშორებულნი არიან ერთიმეორეს, შინაარსეულად ისინი ერთიმეორეს არ გვანან და ამ ორი საზოგადოების გაიგივების (ასიმილაციის) ყოველგვარი ცდა მარცხით მთავრდება. ბარი წინ მიიწევს ახალს, უფრო მაღალს ფორმებს ეზიარება სოციალურ-ეკონომიური განვითარების გზით, მთა მეტისმეტად ნელა იცვლება და ძველი სოციალურ-ეკონომიური ფორმები თითქმის უძრავი რჩება; ფეოდალური ურთიერთობის ბარის მეურნეობას ძალა არ შესწევს ასეთი ძლიერი გავლენისა... ოჯახური (გვარეულობის მიხედვით) ხელოსნობა, ოქრო-ვერცხლის მჭედლები, რკინის მდნობელ-მჭედელნი, მესაქონლეები, მონადირენი, თივის მოყვანის ოსტატები, მცირედ მეხორბლეები... ასეთი იყო სვანეთი I საუკუნეში (სტრაბონი), ასეთივე იყვნენ ისინი შემდეგ... თაფლი, ტყვე, ტყავები, ბეწვეული — მათი გასატანი საქონელი და ბარში მუშაობა: არხები, სათიბ-სამკალი, გზები, ხის მუშაობა — ეს იყო მათი მეურნეობა ფეოდალური საქართველოს ძლიერების ხანაში...

და რა შეექმნათ სვანებს სასეპარაციო XV—XVI საუკუნეებში, რა მეურნეობის სახე შეეცვალათ, რა ახალი სახე მეურნეობისა გაუჩნდათ?

რა კვებავს სეპარაციას, ასეთ მოდრეკილებას? მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს, უმთავრესი დარგის მაინც, თ ვ ი თ კ მ ა რ ო ბ ა. ასეთი თვითკმარობა ო რ ი გ ზ ი თ შ ე ი ძ ლ ე ბ ა: წ ა რ მ ა ტ ე ბ ი ს გ ზ ი თ, ე. ი. დაბალი მეურნეობის საზოგადოება (ვთქვათ სამხედრო დემოკრატია), უფრო მაღალ საფეხურზე ადის, ავითარებს ახალ მეურნეობას, ვენახს, პურეულს, მორწყვის საქმეს, თესვის საქმეს, საქონლის ჯიშებს აუმჯობესებს, მეცხვარეობა, მეზროხეობა მეღორეობა... იქმნება თვითკმარობის საფუძველი და გარკვეულს ვითარებაში ჩნდება ტ ე ნ დ ე ნ ც ი ა სეპარაციისა, თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ო ბ ი ს ა, რაც სრულიადაც არ არის, როგორც ვხედავთ, რაღაც ოდიოზური... პირიქით, თავისთავადობა ამ შემთხვევაში გამართლებულია და პროგრესს ემყარება, ის თ ვ ი თ პ რ ო გ რ ე ს უ ლ ი ა. ასეთი საზოგადოება ცენტრს ველარ ურიგდება; სამძიმო ტვირთად და განვითარების შემაფერხებლად გამოდის ძალად გამაერთიანებელი ც ე ნ ტ რ ი, რომელიც ვერაფერს აძლევს არსებითს ასეთ საზოგადოებას და მხოლოდ შიშველ მოხარკე — ექსპლოატატორის სახით წარმოდგება ამ ახალი და დაწინაურების გზაზე შემდგარ საზოგადოების თვალში. ამრიგად ასეთ ვითარებაში თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ო ბ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(სეპარაცია) ყოველმხრივ გამართლებულია და მის მხარეს უჭერს ამ საზოგადოების უმრავლესობა.

მეორე გზა სეპერაცია — თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ო ბ ი ს ა კ ე ნ ბ ე ს ა ს ა მ ე უ რ ნ ე ო დ ა ც ე მ ი ს გ ზ ა. ფეოდალური ურთიერთობის ხანის გაერთიანება იმ სახისა და იმ ხარისხის არასოდეს არ არის, რომ მისი (გაერთიანების) მოშლა არ შეიძლებოდეს. გაერთიანებაში შემავალი უფრო მცირე ერთეულები სამეურნეო თვითკმარობას მეტ-ნაკლებად, ძირითადად ინარჩუნებენ. გაერთიანება იმ ხარისხს არ მიღწეულა, რომ შემადგენელი ერთეულების თვითკმარობა საბოლოოდ მოშალოს და ა ხ ა ლ ი ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი (დარგობლივ დანაწილებული) წარმოშოს, ახალი, ორგანულად გაერთიანებული დიდი ქვეყანა წარმოშოს. (საქართველო XII საუკუნისა ამ პროცესის პირველ მონაკვეთში იმყოფებოდა)... ასეთ ვითარებაში საკმაოა მეტ-ნაკლებად არაიელშემწყობი პირობების ხანგრძლივი მოქმედება, რომ სუსტი გამაერთიანებელი ძალები (რომლებიც ისე არ დაუფლებიან საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომ ორგანულად შეედუღებინათ ცალკეული ერთეულები) კიდევ უფრო სუსტდებიან და ძალაში შედის, ან ვითარებას ეუფლება ძველი დაკნინება-შემცირების გზაზე მდგარი და ახლა გამოცოცხლებული ძალები თვითკმარობისა. პატარა ერთეულების თვითკმარობა ახლა უკვე რეაქციის ნიშანია და მისივე შედეგი (სათავადოები)... თუ იმ ძველ დროს ის პროგრესის ნიშანი იყო (სამთავროები), ახლა მათი გამოცოცხლება სამეურნეო სოციალური დაჩიხულობისა და ეკონომიური რეგრესის შედეგია.

მონგოლ-თათართა ორასწლოვანმა ბატონობამ, ბოლომოუღებელმა რბევამ, უზარმაზარი სიმდიდრის გაფლანგვამ ურდოს ხარკისა და ბასკაკების ჩასანთქავად გაღებულმა, ინტენსიური მეურნეობის მოშლამ (სარწყავი არხების მოშლა, მევენახეობის დაცემა, მშენებლობის დაცემა, მთელი მხარეების აოხრებამ) და ბოლოს საგარეო ურთიერთობის სიძნელეებმა: ბიზანტიის დაცემამ, მთიანეთის ჩაკეტვამ, ოსმალეთის გაძლიერებამ და თურქმან-ყიზილბაშების თარეშებმა, სომხეთის დაცემამ და თემურ ლენგის უმაგალითო თარეშებმა... ყველაფერმა ამან ძირიანად შეარყია გაერთიანებული საქართველოს ის ძალები, რომელნიც ამ გაერთიანებას იწვევდა...

წარმოიშვა სამეფოები, სამთავროები, რომლებიც ემყარებიან ახლად წარმოქმნილ სათავადოებს — თვითკმარ სამეურნეო ჩამორჩენილ ორგანიზაციებს. „საქართველო", ან „ყოველი საქართველო", „ერთობილი საქართველო" მოიშალა, სეპარაციის ძალები და-

ეუფლა ქვეყანას და მცირე ერთეულებმა თავისთავადობა დაიჩემეს. ეს იყო ღრმა რეაქცია, ჩიხი, სტაგნაციური თარება (მე აქ გვერდს ვუვლი დიდი მნიშვნელობის მატერიალურ ნიშვნას, როგორიც იყო მოსახლეობის დისპროპორციის წარმოქმნა, მწარმოებელი მოსახლეობის შემცირება კატასტროფიული და თავადაზნაურობისა, მთავრებისა და მეფეების კარის მომრავლება, ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა ურთიერთშეფარდების დარღვევა მუქთამჭამელთა სასარგებლოდ („ოფიტარას ოცი გლეხი ოცდახუთი ხელოსანი"), ბეგარა-გადასახადების გადიდება, ბოლომოუღებელი ხარკი, ბოგანოთა, ხიზანთა, ტაბარუკთა კატასტროფული გამრავლება და სხვ.).

სვანეთი? სვანეთი არც მონგოლებს მოუთარეშებიათ, არც თემურლენგს. სვანეთს არც თურქები სტუმრებიან, არც სხვა ვინმე. სვანეთი, პირიქით, თავისუფალი და თავშესაფარი რჩებოდა ბარში შევიწროებულთათვის. სოციალურ-პოლიტიკურად სვანეთი იმავე წყობისა რჩებოდა, რაც აქამდე იყო (სამხედრო დემოკრატია და ადრეფეოდალური ურთიერთობა). ერთადერთი ის შეიძლება დავუშვათ, რომ მთაში შესუსტდა ბარის გავლენა (ისევე როგორც არაგვისა და ქსნის ხეობებში. შდრ. „ძეგლის დება"), გავლენა პოლიტიკური. მთას არ სიამოვნებდა, საფიქრებელია, რომ ერისთავები ცდილობდნენ აქ ბარულ ერისთავობას, ან ვარგები ბარულ აზნაურობას და აჯანყდნენ, აუჯანყდნენ ეკლესიასაც, სადაც პაპების ნაცვლად ბარული დეკანოზები გაჩენილიყვნენ. და თუ გიორგი ბრწყინვალემ ძეგლი დაუდო მთას, აქ ბაგრატ დიდმა სვანეთი ერთგულებაზე დაიფიცა... მაგრამ ეს იყო არა სვანთა სეპარატიზმი, თავისთავადობა (რეაქციული), როგორც ამ დროს ბარში ხდებოდა, არამედ სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლა სვანეთის სინამდვილისათვის უცხო წყობის წინააღმდეგ. სასეპარაციო სვანეთს, სათავისთავადო არა ჰქონდა რა, არც როგორც პროგრესის შედეგი, არც როგორც რეგრესის შედეგი.

რაღა იყო „აფხაზთ მეფეთა" (დასავლეთ საქართველოს მეფეთა) დროს და ამის შემდეგ, გაერთიანებული საქართველოს ეპოქაში...? რით შეიქმნა სვანეთი აგრე საყურადღებო? იარაღის მკეთებელნი, სამკაულის მკეთებელნი, სამეფო არხების გაყვანის ოსტატები, ხის ოსტატები, მონადირენი ბეწვეულით, მთიბავები და, უმთავრესად, მ ო ლ ა შ ქ რ ე ე ბ ი მ ე ფ ი ს ა. სვანთა ერისთავთ-ერისთავების მ ს ა ხ ურ თ უ ხ უ ც ე ს ო ბ ა სწორედ ამას მიუთი-

თებს (ხელშინაური, ნახე კარის გარიგება). ამის ტრადიცია იყოს შეიძლება, რომ ლეჩხუმელი მოლაშქრენი იყვნენ მეფის ტალანი (ვგონებ ლატალის ხალხური ეტიმოლოგიაც ტალანს უკავშირდებაა...).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იმის მოწმობა შეიძლება იყოს, რომ სვანეთის ერისთავი განსაკუთრებით მისანდო იყო აფხაზთა მეფისა, როცა ეს უკანასკნელი ადგილობრივ დინასტებს (ერისთავებს, ეგრისისას, გურიისას, ფერსათისას და არგვეთისას) იმორჩილებდა... ამით, უნდა ვიფიქროთ, აიხსნება, რომ ოდიშსა და გურიაში ძველი დინასტიების ადგილზე („ქობულეთი" მოწმობს ალბათ, რომ აქ ქვაბლიძეები ბატონობდნენ „გურიელების" უწინ) ვარდანისძეები დასხდნენ საქართველოს მეფის ნება-სურვილით. ამ ვარდანისძეების გაძლიერებას მეფის კარზე, მოჰყვა სვანი ვარგების გააზნაურება დასავლეთსა, თუ აღმოსავლეთ საქართველოში ავრე მრავლად რომ ჩანან (მაჭავარიანები, ჩარკვიანები, ჭაბუკიანები, ჟორჟოლიანები, დევდორიანები, იოსელიანები, ბერეჟიანები, ჯაფარიძეები, კუჭეიძეები, ყიფიანები, ნიჟარაძეები, ჩიქოვანები, ფარჯანიანები და სხვ.). ესენი თუ ამათი მეგვარე წინაპარნი იყვნენ ის მეომარი ვაჟკაცები, ბელადს (ერისთავს) რომ მოჰყვებოდნენ ბარში საშოვარზე... ზოგი ვინმე მთაშივე ბრუნდებოდა, სხვები ბარში სხდებოდნენ აზნაურებად (ყმები ეძლეოდათ სამხედრო სამსახურის სამუქფოდ) და მტკიცედ იკიდებდა სვანეთში ფეხს მეფის ხელისუფლება. სვანი ჩენილები მეფის ერთგული და მისანდონი ხდებოდნენ. ქართული ქრისტიანობაც ამ პროცესის თანამგზავრი იყო. კონსტანტინოპოლით შემოსული ბერძნული ქრისტიანობა, როგორც ჩანს, არ იყო ძლიერი. მაინცდამაინც მას დიდი რამ კვალი არ დაუტოვებია. არქიტექტურაში განსაკუთრებით: სვანური ეკლესიები ბიზანტიურის ტიპისანი არ არიან. არც ერთი ეკლესია არ არის X—XII საუკუნეთა ადრე დროისა. განსაკუთრებით ძლიერად არის წარმოდგენილი XIII—XIV ს-ები, როცა, საფიქრებელია, რაღაც არსებითი ხასიათის ტეხილს ჰქონდა ადგილი სვანეთის ცხოვრებაში (მურყვამიანი სახლები და სხვ.).

სვანეთის ცხოვრების ამ ისტორიული მონაკვეთის გაცნობისას ადამიანს ბუნებრივად უჩნდება ეჭვი სვანეთის სოციალური აღნაგობის შესახებ. მაგრამ საკმაო არის გვიანი ხანის სვანთა (XIX ს.) ცხოვრებას გავეცნოთ, რომ ეჭვი გაიფანტოს და სვანეთი XII—XIII საუკუნეებისა სამხედრო დემოკრატიიდან ადრეფეოდალურ ურთიერთობაში გარდამავალ საზოგადოებად ვიცნოთ. მხედველო-

ბაში უნდა გვქონდეს, რომ სვანეთის სამეურნეო პირობები ისეთი იყო, რომ შემდგომი უფრო მაღალი ტიპის საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებს არ ქმნიდა. (ამდენადვე „სვანური ფეოდალიზმი“ გაუგებრობაა... ასევე გაუგებრობაა დადეშქელიანების „თავადობა“. ეს იგივე ვარგებია, როგორც რიჩგვიანები, ან ჩარკვიანები, ან იოსელიანები და მრავალი სხვა, ოღონდ ამათზე უფრო ძლიერი ტირანები თავთავიანთ სოფელში, ადრეფეოდალური „უფალნი“, მთავრები...). და ამას იქით სვანეთის საზოგადოებრივი განვითარება არ წასულა. ამ ნიადაგზე იყო, რომ ძირეულმა სვანეთმა შეძლო და ეს გაძლიერებული, ან ასეთ გზაზე შემდგარი ჩენილები (ვარკები) თავიანთ მოიცილა და ძველი თავისუფლება შეინარჩუნა (ეს იგივე იყო, რაც იმიერკავკასიაში აბაძახებისა და სხვათა „რევოლუციამ“ XVIII საუკუნის მიწურულს). სვანური თემი საბოლოოდ გატეხილი არ იყო. მართალია სათიბების საკუთრება (ყიდვა, მიმძლავრება, დაჩენება) შემოსულიყო, მაგრამ ეს ისეთი მცირე მასშტაბის მოვლენა იყო, რომ სამიწო ფეოდალური ურთიერთობისათვის საკმაო არ იყო. სვანთა მიერ სვანის ექსპლოატაცია სამამულო ურთიერთობის ნიადაგზე ჩანასახში თუ იყო და მისი განვითარება ვერ ხერხდებოდა და ასეთი ურთიერთობა წამყვან (პროგრესულ) ურთიერთობად არ ვითარდებოდა (უპერსპექტივო იყო). მიმძლავრებას წართმევას, უხეშ ხერხებს და საშუალებებს აქ, რა თქმა უნდა, ჰქონდა ადგილი, ამის არაერთი მოწმობა მოიპოვება, მაგრამ ასეთ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლა, ასევე ძლიერი იყო და პერსპექტივიანი: თემი ძლიერი გაერთიანება იყო და თემის მტეხელნი მოკლებულნი იყვნენ იმ გადამწყვეტ პირობას, რაც მათი გამარჯვებისათვის აუცილებელი იყო. აქ ფეოდალურ ურთიერთობას გამარჯვება არ ეწერა... მაშასადამე მიწაზე ყოველი კერძო საკუთრება კი არ არის საკმაო პირობა ფეოდალიზმის გამარჯვებისათვის, არამედ მიწის ის ფეოდალური საკუთრება, რომელიც საშუალებას აძლევს მიწის მფლობელს იყოლიოს დაქვემდებარებული მიწის მფლობელები, რომელნიც მიწის მოქმედთა ექსპლოატაციას ეწევიან და ამ გზით მიღებული შრომის ნაყოფს თავის პატრონს უზიარებენ... შეიძლება ისიც იყოს, რომ მიწის მფლობელს დაქვემდებარებული მიწის მჭერელნი არ ჰყავდეს და თვითონ პირდაპირ ეწეოდეს მიწის მოქმედთა ექსპლოატაციას, ეს იქნებოდა ადრეფეოდალური ურთიერთობა, უსაშვალსაფეხურო („უაზნაურო“). განვითარებული ფეოდალიზმი კი, უამსაშუალსაფეხუროდ არ წარმოიდგინება. არჩილმა რომ აზ-

ნაურებს მისცა კახეთი ეს არის ეპოკალური ჩვენება იმის, რომ ადრეფეოდალური ურთიერთობა ამ ქვეყანაში დასრულდა: გაჩნდ-ნენ სამხედრო მოვალეობის მქონებელი მიწის მჭერლები, ყოფილ-ტაძრეულები, რომელნიც მიწის მოქმედთა ექსპლოატაციით ინახ-ლაურებენ სამხედრო სამსახურს მეფის (სდუზერენის, პატრონის) წი-ნაშე. აი ეს საშუალო რგოლი — აზნაურები — აკლდა სვანურ თა-ვადებს დადეშქელიანებს, გარდაფხაძეებს, გელოვანებს და ამდენად-ვე ისინი ხარისხობრივად არ განსხვავდებოდნენ ვარგებისაგან, ოღონდ ეს იყო, რომ უფრო ძლიერები იყვნენ და სათემო მიწის დაუფლება მოესწროთ... სხვა ვარგებს „მიესწრეს“ სვანებმა და თა-ვიდან მოიცილეს თემის მოლალატენი.

სვანეთის სივიწროვე არ იძლეოდა საშუალებას აზნაურების ყოლისას. ხოლო სადაც არ არის ეს დამაკავშირებელი რგოლი სიუ-ზერენსა და მიწის მოქმედს შორის, იქ არც განვითარებული ფეო-დალური ურთიერთობაა, იქ მხოლოდ ადრეფეოდალური ურთიერ-თობაა, სამხედრო დემოკრატიის მეტნაკლებად ძლიერი გადმონაშ-თებით (ყველაფერ ამას კარგად უდგება ჩემი თეორია თავისუფალ მოლაშქრეთა გაგლეხებისა და გააზნაურების შესახებ, როცა ბარის ადრეფეოდალური საზოგადოება განვითარებულ ფეოდალურ საზო-გადოებად იქცა: მეფე-დიდებულები, პატრონები, აზნაურები, შემა-კავშირებელი რგოლი და გლეხები — მიწის მოქმედნი). აი ეს შემაკავშირებელი ფენა ვერ განვითარდა სვანეთში და ამიტომაც იქ ან ადრეფეოდა-ლური ურთიერთობა დამყარდა (ქვემო სვანეთი, სადადეშქელიანო სვანეთი) ან სამხედრო დემოკრატიას შემორჩა...

ეპოქალურია „ქართლის ცხოვრების“ ჩვენება: “და ეიუბოძა კა-ხეთი ტაძრეულთა და აზნაურ ყვნა ისინი“. აქ არის „აზნაუ-რის“ კლასიკური განმარტება: აზნაურია, ძეგლის დამწერის წარმოდგენით, ის სამხედრო პირი (=ტაძრეული), რო-მელიც ამ სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ, ამ სამხედრო სამსა-ხურის წესიერად შესრულების გარანტიად ფლობს პატრონისაგან ნაწყალობევ მიწა-ადგილს, ამ ადგილზე მოსახლე მიწის კაცებით... დავით ალმაშენებლის ბრძანება არიშიანისადმი კლასიკურია კახელი აზნაურის, ყოფილი ტაძრეულის, ანუ ტაძრეული აზნაურის (ბექა-ალბულა) შინაარსის გასათვალისწინებლად. იმ ძველი დროიდან (არ-ჩილის დროიდან) მოკიდებული დავითის ეპოქამდე ტაძრეული აზნა-ური იმავე შინაარსით დარჩენილა: სამხედრო საქმის ვალდებული

და ამ ვალდებულების პირობად მიწა-ადგილის მფლობელი შეიმაღა. ერისთავის („არიშიანის") საკონტროლ

შეიძლებოდა თუ არა ასეთი აზნაური სვანეთში? უნდა არა. სვანეთში „ვარგი" შეიძლებოდა და იყო კიდევაც. ბარში ის აზნაურად იქცეოდა, ყმა და მამულს მიიღებდა სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ, აქ სვანეთში კი ის ვარგად რჩებოდა... ძლიერი და მრავალრიცხოვანი გვარის თავკაცი ვარგივე იყო, მაგრამ მეფის მოხელეობით დაწინაურებული, ის იქ სვანეთშივე დიდკაცობდა (ქტიტორები, მელომეები, ჩენილები).

ესენი შეადგენდნენ აფხაზთა მეფეების საყრდენს ლაზ დიდკაცთა დამორჩილების საქმეში, განვითარებული ფეოდალიზმის წარმოქმნის საქმეში, ადრეფეოდალური ურთიერთობის გადალახვის საქმეში. ესენი იყვნენ ის თავგამოდებული მოლაშქრენი, რომელთა ღონით დავითი თურქ სელჩუკებს, ძველ ერისთავებს (ადრეფეოდალური ხანის „მთავრებს") ანადგურებდა და განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის საქართველოს (ბატონყმურ საქართველოს) საფუძველს უმაგრებდა... (მ—2, 20. ფურც. 1—25), ფურც. 73—77, ფურც. 98—100).

[ლაზიკის ისტორიული გეოგრაფიისათვის][1]

გასვლა I

13. IX. 60.

ამ გასვლამდე, გუშინ, 12/IX, ყმაწვილებთან მქონდა საუბარი შორაპანზე. შორაპანი — სამი ხეობით გამომავალი გზის ჩამკეტავი ციხე (ყვირილის, ძირულის, ჩხერიმელის). სტრაბონის დროს ეს ციხე მოქმედია. ეს გარემოება სათარიღოა: ჩანს, კოლხეთის საზღვარი იმ დროსაც შორაპანზე გადიოდა და, მაშ, არგვეთი უკვე იმ დროს იბერიაში შედიოდა. ამისივე მოწმობაა, ცოტა უფრო ნაგვიანევი, ბორისა და კლდეეთის არქეოლოგიური მონაპოვარი... უცნაურია, რომ ქართული გადმოცემით შორაპანი და დიმნა (ვახუშტი უიგივებს დიმ-ს) ფარნავაზმა ააგო. შეიძლება ამ გადმოცემაში ის ამბავი იყოს არეკლილი, რომ სადღაც იმ დროს, იბერიის დიდი ექსპანსიის ხანაში, როდესაც მცხეთის სამეფო დაარსდა, მისი პოლიტიკური საზღვრები შორაპნამდე მოიწია და მაშასადამე, შეიძლება ისიც ვივარაუ-

[1] პირველად დაიბეჭდა ქუთაისის აკად. ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის „მასალებში" 1968 წ.

დოთ, რომ იბერიული მოსახლეობის არგვეთში დამკვიდრება ამ ხანას და წინა ხანას ემთხვევა. თუ არა შორაპნის (და დიმნისის) ფარნავაზის მიერ გაუგებარია: სტრატეგიულად შორაპანი თავდაცვითი ციხეა: ის ყვირილა-ძირულა-ჩხერიმელას გზებით შემოსეულთაგან იცავს კოლხეთს. ხოლო თუ ქართულ გადმოცემას გავიზიარებდით, უნდა გვევარაუდნა, რომ ფარნავაზმა კოლხეთის ამ ნაწილზე საბატონოდ ააგო ეს „ს ა ნ ა პ ი რ ო“ ციხეები... საყრდენი ციხეები კოლხეთში შეტევისათვის. (ხანისწყალი — ს ა ზ ღ ვ ა რ ი?... ა ჯ ა მ ე თ ი ს ა ზ ღ ვ ა რ ი?...).

ქართული ცნობის ფასი, მე ვფიქრობ, იმაშია, რომ ის ადასტურებს ბერძნული წყაროების (სტრაბონს და სხვა) ჩვენებებს იმის შესახებ, **რომ შორაპანი იმ ძველ დროსვე სასაზღვრო ხაზია** იბერია-კოლხეთს შორის (დ ი მ შ ი უ ნ დ ა მ ი ვ ი დ ე რ ო გ ო რ ც კ ი გ ა მ ო ი დ ა რ ე ბ ს) და გვავარაუდებინებს, რომ ეს ხაზი ასეთი დაიდო „ფარნავაზის დროს“ ე. ი. იბერიის დიდი ექსპანსიის ხანაში, რაც პოლიტიკურად გამოიხატა ი ბ ე რ ი ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო დ გ ა რ დ ა ქ მ ნ ა შ ი (დასრულდა სამხედრო დემოკრატიის ხანა, წარმოიქმნა სახელმწიფო).

შორაპანი ბერძნული წყაროებით და სკანდე სიმაგრეებია და ქალაქები, როგორც ეს სიმონს ჰგონია (72, 155)[2]. შორაპანი და სკანდე „ლაზებს ძველად აუგიათ“ (155) დიდი გაჭირვებით, რადგან იქ საზრდო სრულიად არაფერი მოდის და მშენებელთ ზურგით უხდებოდათ იქ სურსათის მიტანა“ (155)...

როგორც ვხედავთ, ლაზური გადმოცემით (მათ უნდა მიეწოდებინათ ეს ცნობა ბერძნებისათვის) შორაპანი ლაზების მიერაა „ძველად“ აგებული... მაგრამ სტრაბონით ის კოლხების მიერ უნდა იყოს აშენებული. მაინცდამაინც ამ ტრადიციით ფარნავაზი გამორიცხულია.

შორაპანი (და სკანდა) მნიშვნელოვანია როგორც თავდაცვისათვის, ისე თავდასხმისათვის. რომაელები და სპარსელები დიდად ეცილებიან ურთიერთს. რ ო მ ა ე ლ ე ბ ს ი ს ი ნ ი მ ტ რ ი ს გ ზ ე ბ ი ს ჩ ა მ კ ე ტ ა ვ ა დ ს ჭ ი რ დ ე ბ ა თ (ამ მიზნით იყვნენ ისინი თავის დროს აგებული) ხ ო ლ ო ს პ ა რ ს ე ლ ე ბ ს ი ს ი ნ ი ს ჭ ი რ დ ე ბ ა თ ს ა ყ რ დ ე ნ პ უ ნ ქ ტ ე ბ ა დ ლ ა ზ ი კ ა ში შ ე ტ ე ვ ი ს ა თ ვ ი ს (155—156)...

---

2 იგულისხმება პროფ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, თბ., 1934 წ. ქვემოთ ყველგან ამ ტომის გვერდებია მითითებული.

სხვა დროს უნდა ისტორიულ-გეოგრაფიულად აღვწეროთ ყველა ეს ციხე-ქალაქი მთელი ლაზიკის ისტორიულ-გეოგრ[illegible] ზოგადი მიმოხილვისას, რაც წინ უნდა უძღოდეს, როგორც შესავალი, ნაშრომს: „ეგრისი ადრეფეოდალურ ხანაში...“.

მაინც ცალკე განსახილველია იბერიის ეს დიდი ექსპანსიის ხანა, რაც, როგორც საფიქრებელია, სამხედრო დემოკრატიის ხანაში დაიწყო და ფარნავაზით დაგვირგვინდა: იბერია არგვეთში პოლიტიკურად გაბატონდა, ეთნიკურად უფრო ღრმადაც შეიჭრა ეგრისში, ჰერეთი შემოირთო — მისი დასავლეთი ნაწილი, მთიელთ შეუტია...

დღეს 13/IX. ვარდციხეში წავედით. ღრუბლიანია, ჟინჟღლავს. საწყენია: თვალსაწიერი არ გვექნება, ფოტოც უხეირო გამოვა...

„ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის აქ როდოპოლისი და მოხირისი“ (73). მოხირისზე შემდეგ, ხოლო როდოპოლისი რომ მართლაც შესანიშნავი ქალაქი უნდა ყოფილიყო, ეს ერთი შეხედვითაც კი საარწმუნოა. ვარდციხე ყვირილის, რიონის და ხანისწყლის შესაყარშია. ფაზისი სანაოსნო (დიდი ხომალდებისათვის) სწორედ ამ პუნქტიდან არის. ეს გარემოება იქამდე თვალსაჩინოა, რომ ძნელია მას არ დაუკავშირო ვარდციხის ქალაქობა. მამაინცდამაინც ქალაქ ვარდციხის მნიშვნელობა დიდად უნდა ყოფილიყო ამ გარემოებასთან დაკავშირებული. ფართო, უხვმოსავლიანი და ჯანსაღი ქვეყანა (ბაღდათის მხარე), სანაოსნო გზა, სახმელეთო გზები იბერიიდან („დაბლობში ერთი ქალაქი იყო, სახელად როდოპოლისი, რომელიც ყველაზე უწინარეს ხვდებოდა გზაზე იბერიიდან კოლხიდაში შემოსულთ“ (156). ეს გზა იბერიიდან აქ დასადგენია: ჩანს ის ფაზისის მარცხნით მოჰყვებოდა, შეიძლება აჯამეთზე (ან დიმზე) გამოივლიდა. „აჯამეთი“ ფრიად საინტერესო ჩანს. უნდა ვიფიქროთ ნაწარმოებია „აჯამ“-ისაგან. XII საუკუნეში ეს სახელი დამოწმებულია (ვეგუთთან ერთად). ჩანს იგი ძველია. აჯამი სპარსელის სახელია. ხომ არ არის აჯამეთი იმის ნაკვალევი, რომ ამ ადგილას აჯამთა სადგომი იყო ხანგრძლივად? სამცხიდან — ბაღდათზე... ბაღდათი ისევე ნაწარმოებია, როგორც გელა-თი, ქუთათი და სხვა. ბაღდა, ბაღდათი, ბაღდა-ვა, ბაღდავაძე... ზესტაფონში ახლაც სახლობენ ბაღდავაძეები. ასე რომ როდოპოლისში თავს იყრიდნენ გზები მოხერისიდან, იბერიიდან, სამცხიდან, პეტრა-

ლან და, გარდა ამისა, სრულფასოვანი სანაოსნო არტერია... ვარდციხე დიდი სამეწათმოქმედო რაიონის წარმოქმნილი ნიც ჩანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჩვეულოა იმ დროისათვის როდოპოლისის მდებარეობა (იუსტინიანეს ნოველა მას, არქეოპოლისის გვერდით, ხაზგასმით უდიდეს და ძველ სიმაგრეს უწოდებს 198), „ეს ქალაქი ადვილ მისადგომი იყო და იერიშის მიტანაც სრულიად არ იყო ძნელი. ამიტომაც ლაზებმა ის ამას წინათ მიწასთან გაასწორეს, რადგან ეშინოდათ სპარსელთა შემოსევისა“ (156). თუ ორი მხრით ვარდციხე ხანისწყლისა და ფაზისის ნახევარკუნძულზე იყო, სამხრეთით და დასავლეთით მართლაც ადვილმისადგომი იყო ამ ველობში გაშენებული. ბუნებრივი რელიეფით ის სრულიად დაუცველი იყო, მხოლოდ ხელოვნური თხრილით იყო გამაგრებული.

ქალაქი ყოველი მხრით გარშემოვლებული ყოფილა რიყის ქვისაგან ნაგები კედლით. ეს კედელი სხვადასხვა დროს უშენებიათ: ს

ხანა მაინც ჩანს; თანდათან აუმაღლებიათ. არსად ჩანს, რომ ის შუა — ან გვიან საშუალ საუკუნეებში შეეკეთებინოთ... უკანასკნელი ფენი თითქო „ბიზანტიური ხანის“ კედლის წყობით ხასიათდება...

სიმონ ყაუხჩიშვილს სწორად აქვს მოკლედ მოხაზული ამ ქალაქის მდებარეობა, ოღონდ არაფერს ამბობს იმის გამო, თუ რამ გამოიწვია ამ ქალაქის აქ წარმოქმნა.

საყურადღებო გარემოებაა — ალბათ სხვაგანაც აღვნიშნავ — რომ ლაზები და რომაელები თვითონვე თხრიან თავიანთ ციხეებს— გალავნებს იმის შიშით, რომ სპარსელებმა არ დაიკავონ ისინი და არც ერთხელ სპარსელები არ მიმართავენ ანალოგიურ ღონისძიებას, რით უნდა აიხსნებოდეს? იმით, რომ სპარსელები შემომტევნი არიან და უცხო, მომტრო ქვეყანაში მოქმედებენ, სადაც მათ უციხოუგალავნოდ ბოგინი არ შეუძლიათ?

ბერძნული წყაროები არსად იხსენიებენ ქალაქის მოსახლეობას, რაც საფიქრებელია, სამხედრო მოხსენებათა ხასიათით აიხსნება, თორემ თუ სხვაგან არა, არქაიოპოლისსა და ფოთში ხომ მაინც არაა საეჭვო მოქალაქეთა არსებობა... გამონაკლისს წარმოადგენს ვარდციხე, სადაც გარნიზონის გარდა მოქალაქეებიც მოიხსენიებიან (და ესეც სამხედრო საქმის მოთხრობასთან დაკავშირებით). ამ მონათხრობიდან აშკარად ჩანს, რომ მოქალაქე ვარდციხელები ქალაქის გალავნის შიგნით ცხოვრობენ. აქედანვე ჩანს, რომ ვარდციხის გარშემო მოსახლეობა არსებობდა სოფლების სახით...

ცალკე აღსანიშნავია ვარდციხის სიდიდე-ფართობი. აქვე შეიძლება აღინიშნოს ქალაქთა სიმრავლე ლაზიკაში. [illegible] ჩანს, ბერძნული ცნობები მეტად საფრთხილოა: ვარდციხე-[illegible] ლითად, ფაზისის მარცხენა სანაპიროზეა და ბერძნულივე წყაროებით ერთი ყველაზე შესანიშნავი ქალაქია. ამავე დროს, ფაზისის მარცხენა სანაპირო, სხვა ადგილას დახასიათებულია, როგორც ნაკლებად დასახლებული, რომ იქ არაფერია ისეთი, რომ მოხსენებად ღირდეს. აშკარაა ცნობა სხვადასხვა პირთა მიერ არის მოწოდებული და იმ შემთხვევაში, როცა მხარის დაუსახლებლობაზეა საუბარი, ავტორი ნებისმიერად აზოგადებს თავის ცნობას, შეიძლება სწორს, რომელიმე გარკვეული კუთხის შესახებ, უფრო კი ქვემო გურიის შესახებ; თუ არა დიდი და უშესანიშნავესი ქალაქი, თუ გარშემო მოსახლეობა არა ასე უდაბნოში იგი არ წარმოიდგინება. რომ ლაზიკის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე სოფლებიანი იყო, ამას თვით ბერძნულივე წყაროები მოწმობენ სხვა ადგილას. სურათი ასეთი იხატება; სამხრეთი ლაზიკა შედარებით თხლად დასახლებული გამოიყურება, ჩრდილოეთი ლაზიკის ჰეგემონობა უეჭველია, მაგრამ სამხრეთშიაც შემორჩენილა ზოგან ძველი მორწმულობა; აღარაა ძველი ვანი-დაბლაგომი, ფიჭვნარი, შემორჩენია და ისევ ყვავის ვარდციხე მისი „ქვეყნით“.

მაინც ეს ქალაქების სიმრავლე დამახასიათებელია და კარგად მოწმობს ლაზიკის დაწინაურებულობას ადრეფეოდალური ურთიერთობის ხანაში, თანაც ეს ქალაქები სრულიადაც იმ რიგისანი არ არიან, როგორიც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, იყო დიოსკურია ან სხვა ასეთი სატომთაშორის სასაზღვრო პუნქტი, სადაც სხვადასხვა ტომებთან (უპირატესად მთიულებთან) საგაცვლა-გამოცვლო ურთიერთობა ხორციელდება (სადაც ფული არც თუ დიდად არის პატივცემული და გაცვლა ნატურით წარმოებს). ასეთი „ქალაქები“ უძველესი დროიდანვე არსებობდა (და კლასობრივ საზოგადოებას არ გულისხმობდა) და ბერძნული ფაქტორიებიც ასეთ ადგილებში შენდებოდა... ასეთივეა ნაგულისხმევი ძველი ფაზისი, თუ ის ცნობა რამდენადმე მაინც სარწმუნოა, რომ აქ სამოცი სხვადასხვა ტომის ხალხი მოდიოდა სავაჭროდ.

მაგრამ ეს მოვლენა, შეიძლება ვიფიქროთ, ახასიათებდა თავდაპირველ დიოსკურიას და ფაზისს, ხოლო დროთა განმავლობაში, ადრე თუ გვიან, ეს ვითარება უნდა შეცვლილიყო და ეს სააღებმიცემო პუნქტები ნამდვილ ქალაქებად უნდა ქცეულიყვნენ... (როდის??).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ სხვა ვითარებაა ციხე-გოჯი და ვარდციხე. ეს უნდა ვიფიქროთ, ნამდვილი ქალაქებია, საზოგადოებრივი განვითარების გამოხატულება, მისი ნაყოფი. თითოეული ამ ქალაქი-საზოგადოება ეს თითოეული ამ ქალაქის „ქვეყანაა“ უპირველეს ყოვლისა და ეს ქალაქი ამ „ქვეყნის“ საზოგადოებრივ-სამეურნეო, ე. ი. სოციალურ-ეკონომიური განვითარების გამოხატულებაა თავისი სოფლის მეურნეობით, ხელოსნობით, ვაჭრობით, ფულით (ამ კონტექსტში კოლხური თეთრის ასო ნიშნები MO, Φ და სხვა გასაგებია...). უცნაურია რომ ამ დროის ლაზური წარმოშობის მონეტა არა გვხვდება... ერთადერთი განძი, ისიც სულ ბიზანტიური წარმოშობისა, მოგვეპოვება VII საუკუნიდან... მაინც ეს ფაქტი ვერ შეარყევს ჩვენს რწმენას, რომ ამ დროს ლაზიკაში ფული ტრიალებდა და რომ ეს ქალაქები ნამდვილი ქალაქები იყო და არა „ქალაქოლები“ (თუმცა ისიც ანგარიშგასაწევია, ბერძნული წყაროები რომ მოწმობენ ლაზთა ვაჭრობის შესახებ: — საქონელს უშუალოდ ცვლიანო. როგორ იყო საქმე ამ დროის რომის იმპერიაში? ხომ არ იყო აკრძალული დამოკიდებულ ქვეყნებში ფულის მოჭრა? როდის და რატომ შეწყდა საკუთარი მონეტების მოჭრა კოლხიდაში, ყირიმში, სინოპში და სხვა ქალაქებში? განა აიეტისა და ელინისტური ხანის კოლხეთი უფრო მდიდარი და საზოგადოებრივად უფრო განვითარებული ქვეყანა იყო, ვიდრე V-VI საუკუნის ლაზიკა? მაშ რით აიხსნება, რომ ლაზური მონეტა არსად ჩანს, ხოლო კოლხური ცი დღესაც ასობით მოიპოვება?...).

ბაღდადში წავედით, საჩემო, დღეს რომ მაინტერესებს აქ ამ „ქვეყნის“ შეხედვაა (როკითი, ფერსათი, დიმი, ბაღდადი და სხვ.), ვარდციხის ქვეყნისათვის თვალის მოვლებაა. ფერსათი თავისი ძველი მონასტრით შესანიშნავია. IX საუკუნეში ეს მონასტერი მოქმედია. ქართულია ის თუ ბერძნული? ეს ხომ ვარდციხის საეპისკოპოსოშია და ალბათ ბერძნულია ჯერ ისევ...

აჯამეთში შესვლა არ მოგვიხერხდა, საშვები იყო საჭირო. ქუთაისში დავბრუნდით და გეგუთს ავედი. დიდი სამუშაო შეუსრულებია სიძველეთა დაცვის კომიტეტს; გრანდიოზული სანახაობაა. საჭიროა მოკლე წარწერები მნახველთათვის... ეს გრანდიოზული სასახლე ამ შუა ველში ფრიად დამაფიქრებელია: საზამთრო სასახლე მთელი თავისი ატრიბუტებით, რაღა უნდა ყოფილიყო თბილისის სასახლე მისი მოხატული კედლებით (ქ ცა). გეგუთის სასახლის

მეცნიერულ-ისტორიული შესწავლით შეიძლება რეალური სურათი აღვადგინოთ საქართველოს მეფის და მისი კარის ცხოვრებისა.

მაგრამ მე დღეს სხვა რამ მაინტერესებს: ხომ არ არსებულა ეს ადგილი — „გეგუთი“ — ძველ კოლხ მეფეთა ადგილსამყოფელი? ხომ არაფერი საამისო კვალი არ უპოვიათ ამ ძეგლის გაწმენდის დროს. საინტერესოა გეგუთი სოფლის და პატრიკეთის „გორიკები“... (უნდა ვნახო...).

გასვლა II

14. IX. 60.

ცნობილი მოხალისე, სიძველეთა მცოდნე პეტრე ჭაბუკიანი მოვძებნე. ოთხმოცი ყორღანი მაქვს აღრიცხულიო. ხალხი აქ ყველა ამ ხელოვნურ ბორცვებს „გორიკას“ უწოდებს, პეტრე კი მათ ყველას გამოუკლებლივ ყორღანად თვლის. ჩემს განზრახ შეკითხვაზე, თუ სადღა ცხოვრობდნენ ეს ყორღანების მკვიდრნი ვიდრე დაიხოცებოდნენ მეთქი, მან დაჯერებით მიპასუხა: მოხეტიალენი იყვნენ და მუდმივი საცხოვრებელი არა ჰქონდათო... პეტრეს წაყვანა მეგზურად, დღეს არ მოხერხდა და მე ყმაწვილებით (დ. ბერძენიშვილი, ო. თორთლაძე)[3] წავედი ჯიხაიშში. ცნობებიც მქონდა (ივანე რუხაძემ მაცნობა) ჯიხაიშის სიძველეთა შესახებ და, ნიშანდობლივად მეჩვენებოდა სახელი „ჯიხაიში“, ქუთაის-სამტრედიის გზატეცილით წავედით. დაახლოებით მეოცე კილომეტრზე, გზის მარჯხენა მხარეზე საეჭვო შემაღლება შევნიშნე, გადავედით. ჩვენ თვალწინ გრანდიოზული სანახაობა გადაიშალა. ეს არ იყო ყორღანი, არც საცხოვრებელი ხელოვნური ბორცვი იყო ეს (თუმცა ხალხი ამასაც „ვორიკას“ უწოდებს; ასე დაადასტურა ბაშელმა კაკაბაძემ). ეს იყო უზარმაზარი წრე, აბსოლუტურად მართალი. ეს წრე შედგება ორი თხრილისაგან, თითოეულის სიფართე იქნება ოცი მეტრი; შიგნითი წრე გარს უვლის წრიულსავე ფართობს, რომელიც ხელოვნურ ბორცვს წარმოადგენს. ორი მიწაყრილი (вал, ბლისკინი?) წრე, ორი თხრილი და შიგნით ბორცვი, აი რისგან შედგება ეს ნაგებობა. ერთგან შევნიშნე მეტად დამახასიათებელი ნიშანი; ამ ნაგებობაში შესავალი „კარი“, ეს შესავალი მეტად ნიშანდობლივი მოჩანს; ის პ ე რ პ ე ნ დ ი კ უ ლ ა რ უ ლ ა დ კი არა სჭრის გარეთა მიწაყრილს, არამედ ი რ ი ბ ა დ, ასე რომ კარში გასავალი მანძილი ხელოვნურად გაგრძელებულია, კარი ვიწროა; შუა ბორცვი შუაში ჩაზნექილია, რაც ქმნის საცდურს ამ ბორცვის ყორღანად მიჩნევისას, რომ ამას

[3] ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ უარყოფდეს მთელი კომპლექსი ამ ნაგებობისა: ორი ზვინული (вал), ორი თხრილი ერთნაირი სიფართისა და კარი... ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ წინაშეა დღემდე ხელუხლებლად მოღწეული საველე ბანაკი (საჭიროა რომაული ბანაკის აღწერის გაცნობა). მე, ბუნებრივია, გამახსენდა „კასტირი" გუბის წყალზე, ციხურა-ჩოლაბურის შესართავთან, საველე ბანაკები, ბერძნული წყაროები რომ იხსენიებენ ლაზიკაში, ისულეთი, სიმონ ყაუხჩიშვილი ვარაუდობს ტეხურის შესართავში (იგივე ბანაკი ხომ არ იგულისხმება არაბების ამოწყვეტაში VIII საუკუნეში? შეიძლება ეს მოთხრობა ნამდვილ ამბავზე იყოს აგებული...).

არც ერთი ამ ბანაკთაგან დღემდე არ მოღწეულა გარდა ციხურასი (უნდა კიდევ ვნახო), ისულასი (უნდა ვნახო). ეს უკანასკნელიც დაზიანებულია, ჩვენი „გორიკა" კი ამ მხრით ხელუხლებელია. შესანიშნავია: რა დიდი მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო ეს დიდი ომი ლაზიკაში, რომ ამდენი ძეგლი შემორჩა დღემდე. ციხეები, ქალაქები, ციხურები... მეორე ხანა ძეგლებით ასეთივე მდიდარი ეგრისში მხოლოდ XI—XII საუკუნეა (მოქვი, ჭყონდიდი, ბედია, ქუთაისი, ნიკორწმინდა, გეგუთი...). ზვინულებზე, ისევე როგორც შიდა ბორცვზე, საგულისხმებელია ნაგებობანი — ავდარში თავშესაფრები, ამის ნაკვალევია, უნდა ვიფიქროთ, შიდა ბორცვის შუაში ჩაზნექილობა, ნიშანდობლივია, შეიძლება, ისიც, რომ ყველა ეს ბანაკი, ისულას გარდა, ცხენისწყლის აღმოსავლეთითაა მუხერისში. (შეიძლება ამიტომ, ისიც ვიფიქროთ, რომ ეს სპარსელთა ჯარის ნაბანაკარია...). რაც არ უნდა იყოს ჩვენი დღევანდელი მონაპოვარით დიდად კმაყოფილი ვარ: კიდევ ერთი ცოცხალი კვალი აღმოჩნდა იმ დიდი განსაცდელის ხანისა (ჩვენ უცხოური წყაროების ამარა ვართ. ამათ კი ობიექტურობას ვერ მოვთხოვთ. ხშირად კი ამკარა წინააღმდეგობაში ვიჭერთ და ტენდენციურობას ან უმეცრებას ვამჩნევთ: ლაზები თავმოყვარე, მორჭმული, განათლებული, თავგამოდებული მებრძოლი ხალხია ციხეები აუგიათ, ქალაქები აქვთ, ვაჭრობას ეტანებიან, სხვადასხვა ტომებს ბრძანებლობენ; ლაზებს არაფერი აქვთ, გაჭირვებით ძლივს თავს ირჩენენ, მხდალები არიან, ვერაგებიც არიან...). ეს ეპოპეა, რომ ამ დროის ლაზს აღეწერა, ჩვენი წარმოდგენა ამ გრანდიოზული ამბების შესახებ სულ სხვა იქნებოდა... ჩვენ უნდა შევძლოთ და რეალური სურათი აღვადგინოთ ქართველი ერის ისტორიის ამ მონაკვეთისა...

ჯ ი ხ ა ი შ შ ი მივედით. გორიკები მოვიკითხეთ. მიგვასწავლეს დიდ ჯიხაიშში, შუბლაძეების უბანში (ახლა ვაშაკიძეები ცხოვრობენ).

ჯიხაიშში „ჯიხას“ ძებნა ბუნებრივია. მაგრამ აქ ციხის არსებობას არავინ გვიმოწმებს. იციან მხოლოდ „გორიკები“... საინტერესოა, ხდება რომ ერთ მათგანს აქაური ზანური მოსახლეობა ჯიხას უწოდებდა (რა კავშირშია ურთიერთთან ჯიხა და დიხა?). შეიძლება ის ერთი „გორიკა“ მართლაც „ჯიხას“ წარმოადგენდა... აქ საინტერესოა: ვარდციხე, ციხესულორი, დაბლაგომის ნაციხვარა, ქვილიშორის „ციხე“. ქვაციხე, და ციხურა (ჩოლაბურზე), ტოლების ნაციხვარა. „ციხეს“ გულისხმობს ასევე ქაჯთა ციხე (პეტრა), — ხოლო ჯიხაიში, ჯიხათი (ნიგოითში), ჯიხანჯირი და ჯიხანჯური ქობულეთის რაიონში „ჯიხას“ გულისხმობს. ხომ არ გამოდგებოდა ეს მოვლენა ზანურ-ქართული მოსახლეობის მონაცვლეობის სათარიღო მომენტად? თუ ქვაციხეს, ვარდციხეს, ციხურას, ან ქვილიშორის „ციხეს“ თავდაპირველად ჯიხასაგან ნაწარმოები სახელი ჰქონდათ, რატომ შეიცვალა ეს სახელები, მაშინ როცა ჯიხაიშსა, ჯიხათსა და ჯიხანჯირში ისინი შემორჩა? იმიტომ ხომ არ შემორჩა ეს უფრო ძველი სახელები, რომ ისინი საგეოგრაფიო სახელებად გაქვავდნენ, ხოლო ასეთი სახელის შესატყვისი მატერიალური შინაარსი უკვე გამქრალი იყო (ან ახალი მოსახლეობა მას ვერ ხედავდა). ახალი მოსახლეობა გაქვავებულ სახელს ითვისებდა და მის შინაარსს არ არკვევდა, ხოლო იქ კი, სადაც ნამდვილ „ციხეს“ ხედავდა, იქ მის ჯიხა სახელს ციხე სახელით სცვლიდა.. (ეს სახელდახელო მოსაზრება შემდგომ გაცხრილვას საჭიროებს...).

ასე თუ ისე, ჯიხაიშში დღეს არავითარი „ციხე“ არ არის.

ეს პირველი გორიკა გაქრობის პირასაა. გარშემო მოსახლეობა თანდათან თხრის (უფრო კი თლის) ამ ბორცვს და იატაკის სატკეპნავ მასალად მიაქვს. დღეს ამ ოდესმე უზარმაზარი ბორცვის მეათედი თუ არის გადარჩენილი. მისი სიმაღლე, თუ გადარჩენილი ნაწილის მიხედვით ვიმსჯელებთ, ხუთი-ექვსი მეტრი უნდა ყოფილიყო; ის სრულდებოდა. როგორც გადარჩენილი ნაწილიდან ჩანს ვაკობით, რომლის სიფართე ათასამდე კვადრატული მეტრი შეიძლება ყოფილიყო... ამ ბორცვის გადარჩენილი ნაწილის გვერდები გაშიშვლებულია და მნახველს საშუალება აქვს დაიდასტუროს, რომ მთელი ეს შრე (5—6 მეტრი) „კულტურულ“ ფენას წარმოადგენს: დამწვარი თიხა (ხანძრის ნაკვალევი), კერამიკის უხვი ნამსხვრევები სხვადასხვა ეპოქისა, ძვლოვანი ნაშთები და თუ აქაურების მონათხრობს დავუჯერებთ, „რკინის“ საგნებიც... (საჭიროა და აუცილებელი ამ ძეგლის გათხრა სანამ მთლად არ გამქრალა...). ძეგლს, როგორც ეტყობა, გარშემო თხრილი შემოუყვებოდა. ხომ არ იყო

ეს „გორიკა“ თავდაპირველი „ჯიხა“, ე. ი. ასეთ გორაკებს (ადამიანის საცხოვრებელი) ხომ არ ეწოდებოდა ზანურად „ჯიხა“? ეს ეჭვი ძლება ისეთ დახაგუძუბას, რომელზედაც სიმაგრე იყო მოწყობილი „ჯიხა“ ეწოდება, ე. ი. ხომ არ იყო ამ ბორცვზე ერთ დროს უთუოდ საზოგადოების საცხოვრებელზე, ჯიხა აგებული, ანუ ეს გორაკი ხომ არ იყო ჯიხად გამოყენებული? ამათზე ნივთიანი საუბარი მაშინ შეიძლება, როცა ეს და სხვა ასეთი ჯიხა-ციხე-გორიკები მეცნიერულად შესწავლილი იქნება (ჯერ კი ისინი აღრიცხულიც არ არის. ჭაბუკიანი 80-მდე „ყორღანს“ ვარაუდობს. რა თქმა უნდა, ის გაცილებით უფრო მეტი მოიპოვება ვაკე-იმერეთში, გოგოლაშვილმა არანაკლები რაოდენობით აღრიცხა ის ოდიშში).

ამხ. ბორია ვაშაკიძე, სოფლის მაღაზიის გამგე, მოვიდა ჩვენთან და სხვა გორიკების ჩვენება იკისრა... ორი „გორიკა“ ვნახეთ სოფლის მიდამოში. ჩვეულებრივი ბორცვები ჩანს თხრილშემოვლებული. უხვად აზრდილი ნარ-ეკალი გვიშლის მათ მოიხლვას.

ივანე რუხაძისაგან ვიცოდი „საწურბლიას“ შესახებ. წავედით. მალე შარის მარცხნით „ჩვეულებრივი“ გორიკა გამოჩნდა („ჩვეულებრივს“ ვუწოდებთ სამი-ოთხი მეტრის სიმაღლე ბორცვს, რომელსაც გარშემო თხრილი სიმაგრის მიზნით კი არ აქვს შემოვლებული, არამედ ამ ბორცვის შესაზვინავად. მაინცდამაინც თხრილი, როგორც სიმაგრე, აქ მეორეხარისხოვანი მოვლენაა. ამას თუნდაც ის მოწმობს, რომ ამ თხრილის პირზე (მისასვლელში) ზვინული წრე არ შეინიშნება. არის თუ არა ასეთი გორიკა ყორღანი? ზოგჯერ შეიძლება, ზოგჯერ კი ამის წინააღმდეგია ამ ბორცვის წაგრძელებული (ოვალური) ფორმა და წანაკვეთი ფართობის შედარებითი სიდიდე).

ცოტაც გავიარეთ და ასეთივე გორიკა შევნიშნეთ. არაო, გვითხრეს, ეს გორიკა კი არა ჯიქთუბნის ნაეკლესიარიაო. ამ ბორცვზე ეკლესია იდგაო. მართლაც ეკლესიის ეზოა საფლავებით (ვინმე ჟორდანიას მდიდრულად გაფორმებული საფლავი). ეს სასაფლაო შესანიშნავია. ჩვენმა ეთნოგრაფებმა უთუოდ უნდა ნახონ ის (ასევე ქვილიშორის სასაფლაოც. როგორც ჩანს ამ ქვით მდიდარ რაიონში ქვაზე მუშაობა ტრადიციულად დარჩენილა. ასეაო, მითხრეს კურსებში. მამა-პაპით, ათადან ბაბადან ქვის მთლელები არიან, ალბათ გელათიც ამათ ააშენესო... ეს არ ვიცი, მაგრამ ჩვენმა ეთნოგრაფებმა რომ ეს დარგი სწორედ აქ უნდა შეისწავლონ უდავოა). ჯიქთუბნის საფლავის ქვების მსგავსი მე სხვაგან არ შემხვედრია (უეჭველია

აქ ასეთი ბევრი იქნება: ტრაფარეტი იქნება, თუმც ინდივიდუალური ბაც შეინიშნება ამ ტრაფარეტში).

ჯიქთუბნის ეკლესია ტიპიურ გორიკაზე მდგარა. საკმაოდ მოზრდილი ოვალური ბორცვი — ჩვეულებრივი გორა...

კიდევ საკმაოდ ვიარეთ და ჯიხაიშის დასავლეთით კულაშის გზაზე 5-ოდე კილომეტრში საწურბლიას მივაღწიეთ. „საწურბლია" შერქმევია ამ გორიკას იმიტომ, რომ მის თხრილში უკანასკნელ დრომდე ბრავლად იყო წურბელა. ახლა ეს თხრილი ამოშშრალია და ზედ სიმინდის ყანაა. თხრილი ისეთივე სიფართისაა, როგორც სხვაგანაც გორიკის გარშემო (20—25 მეტრი), ოღონდ ესაა, რომ აქ ეს წრე გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე სხვაგან. ეს თხრილი შემოუვლის შემაღლებულ ფართობს (ვაკობს), რომელიც სულ ცოტა ორი ჰექტარი იქნება. ამ სიდიდის გორიკა იშვიათია (ასეთივე უნდა ყოფილიყო პატრიკეთის გორიკა; ასეთივე სიფართისა, უნდა ვიფიქროთ, იყო ჯიხაიშის გორიკა შუბლაძეების უბანში...) ეჭვი არაა, ამ გორიკას პირველადი დანიშნულება საზოგადოების საცხოვრებელი ნაგებობაა. სამწუხაროდ ვაკობს ისე ფარავს მცენარეული, რომ ზედაპირზე ცხოვრების ნაკვალევი არაფერი შეინიშნება (მე კი ამჯერად გორაკების შესწავლის მიზნით არ წამოვსულვარ. სადამდე გრძელდებოდა ამ გორიკებზე ცხოვრება, რა როლს ასრულებდა ეს თხრილი, როგორ ეგუებოდა, ან როგორ ებრძოდა გორიკის საზოგადოება ამ თხრილში ჩამდგარ წყალს და სხვა ასეთი საკითხები ბუნებრივად დაისმება ამ ნაგებობათა შესწასვლისას. შეიძლება მალარიის მძინვარება „ქუთაისის ქვეყანაში" რომ არის დამოწმებული საშუალო საუკუნეებში, ამ გორიკების ბლისკინების შედეგი იყო? მაგრამ ასე გვიან ჯერ ისევ გორიკებით ცხოვრობდნენ?... ერთ-ერთი „ტიპიური" გორიკა უნდა არქეოლოგიურად შევისწავლოთ...)

იანეთის მიდამოში მიუთითებენ აგრეთვე „გორიკას", მაგრამ ჩვენ ის ვერ ვნახეთ, თანაც გვეჩქარება. ქუთაისში დავბრუნდით. „ჯიხაიშის" მატერიალური საფუძველი ვერ დავიდასტურე. ის შემდგომ ისტორიულ არქეოლოგიურ კვლევას საჭიროებს, ეს კია, რომ ის ჩემი დღევანდელი ამოცანის მიღმა დგას და ჩემთვის რაც შევნიშნე ესეც საკმაოა ამჟამად...

გასვლა III

15. IX

მე ხომ ამჯერად V—VI საუკუნეთა ლაზიკის ისტორიული გეოგრაფია მაინტერესებს, კერძოდ — მოხერისი. უქიმერონის საკი-

თხი მაინც გადაუჭრელია. „ქუთაისის ახლო“ სხვა ციხეებიც უნდა დაიძებნოს გარდა არქიელის გორისა და ცუცხვათისა. კერძოდ, საცდურიანი ჩანს ქვიშილეთის ციხე, ვახუშტი რომ ასახელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ასეთი სოფელი არ არსებობს თუ ამ სახელში ქვილიშორი არ იმალება. პეტრე ჭაბუკიანმა ციხის შესახებ ქვილიშორში არაფერი იცის, სამაგიეროდ ამ მხარეში (წყალტუბოს „ქვეყანაში“) ის ასახელებს ხომულის ციხეს... ეს ციხე, აღმოჩნდა რომ მე მინახავს წყალტუბოში მკურნალობის დროს 1941 წელს, მე მაშინ ის ჩვეულებრივ ფეოდალური ხანის ციხედ მივიჩნიე, უფრო კი კოშკად და დიდი ყურადღების ღირსად არ მიმიჩნევია. პეტრემაც, როგორც ეჩვენებოდა, ასეთ ციხეზე მიგვიყვანა. პირველი შეხედვისას ახლაც ასე მეჩვენა ის, მაღალი (ხუთსართულიანი) ოთხკუთხა კოშკივა მოჩანდა შორიდან... ღოღობერიძეთა საბატონო თუ იყო, ვფიქრობდი, ახლო მისვლისას და სახელდახელო დაკვირვების შედეგად სულ სხვა ვითარება გადაგვეშალა თვალწინ. ეს ციხე, ზედაპირული დაკვირვებაც კი საკმაოა, მოწიფული, ან გვიანი საშუალ საუკუნეების ძეგლი არ არის. ციხე წარმოადგენს დაგრძელებულ ოთხკუთხედ გალავანს, რომელიც მოზღუდავს ტერიტორიას 35×42 მ. გალავნის სიმაღლე დღეს არ ჩანს: ყველგან დაზიანებულია, ყოველ კუთხეში დატანებულია ოთხკუთხა ბურჯი. ყველა ბურჯი (გარდა ამ მაღალი კოშკისა) მასიურია. გალავნის კედლის სისქე 3 მეტრია. ბურჯი კედლიდან წინ არის წამოწეული... შესანიშნავია, და არაჩვეულებრივია, რომ გალავანი (ზღუდე) როგორც შიგნიდან, ისე გარედან შეპერანგებული ყოფილა თლილი ქვით. სამხრეთის მხრიდან გალავნის შუა ნაწილში მცირე ნაგებობაა, რომელიც ღია კარით გადაყურებს იქვე ღრმა ხევში გამომავალ წყაროს. უეჭველია ეს ნაგებობა სწორედ ამ წყაროს ვარაუდობს. საერთოდ წყალტუბოს გარემო — ხვამული და სხვა სოფლებიც წყლით მეტისმეტად ღარიბია. აქ ნიადაგი ისეთია, რომ წყალს არ იჭერს. ქვეყანა მოსავლით დიდად უხვია (ხილი, ვენახი), წყალი მეტად მცირეა. ბევრგან წვიმის წყლით გადიან იოლას, ასე რომ ამ ციხის აქ აშენება დიდად ჩანს დამოკიდებული ამ წყაროსგან... გარშემო შორ მანძილზე წყარო არსადაა. ბუნებრივია თუ ადამიანმა აქ დაიდო ბინა (შემდგომ კი ციხე წამოიჭიმა, შეიძლება ეს ციხე თავდაპირველად „გორა“ იყო სოციალურად?).

როგორც შევნიშნეთ ის მეოთხე (მაღალი) კოშკი არსებითად განსხვავდება: ის თხელკედლიანია და არც შეპერანგებულია, არც ყრუა, როგორც დანარჩენი კოშკები. ასე რომ ეს კოშკი უფრო

ნაგვიანევ შთაბეჭდილებას სტოვებს და შეიძლება სადღაც გვიანფეოდალურ ხანაში ყოფილიყოს გაკეთებული. შეიძლება ისიც, რომ საერთოდ ეს ციხე გვიან ხანაშიაც გამოიყენებოდა როგორც ციხე (აქ თითქო ოსმალებიც კი მდგარან, როგორც აქაურები გადმოგვცემენ), მაგრამ მე მაინც მწამს, რომ ეს ციხე ძირითადად აგებულია ადრეფეოდალურ ხანაში... ყრუ, სქელი კედელი, ყრუ-ბურჯები, თლილი ქვის პერანგი, წაგრძელებული ოთხკუთხედი, დიდი ფართობი, ერთადერთ წყაროს პირას, ეს ციხე უცილობლად ბატონობდა პატრონობდა ამ „ქვეყანას". აქვე საფიქრებელია, გამოივლიდა დიდი გზა ქუთაის-ხონზე და გორდზე მიმავალი ნაქალაქევისაკენ. ამას მოწმობს, უნდა ვიფიქროთ, „კასტირის ხიდი" გუბის წყალზე...

ხომულის ციხისათვის პერანგი ჯერ ისევ XIX საუკუნეში ენერგიულად შემოუცლიათ. აქვე აზნაურ ღოღობერიძის სახლი, როგორც ამ ოჯახის დიასახლისმა, მესხის ქალმა დაგვიდასტურა, სულ ერთიანად ამ ციხის ქვებისაგან აუგიათ... პერანგის შემოცლა დღესაც გრძელდება და დაკვირვებულ თვალსლა შეუძლია დღეს შეამჩნიოს, რომ ოდესმე ეს ციხე იმვიათი სანახაობის ნაგებობა იყო...

ახლა ამ სოფლის სახელწოდებაც დამაფიქრებელი მეჩვენება: ხ ო მ უ ლ ი (ხვამული). „ხვამ"—ძირი ზანური ჩანს. ხომ არ შეიძლება ქართული ხვამული მიგვეღო იმავე ზანური სიტყვისაგან, რომელიც ბერძნული წყاროთი გადმოცემულია როგორც „უქიმერონი"? ბერძნული წყاროთი უქიმერონი დახასიათებულია როგორც მიუდგომელი ციხე. ამ მხრივ უფრო უდგება ოხომირა, თუ მას ცუცხვათს გაუიგივებდით, რომელიც მიუდგომლობით, რა თქმა უნდა, უფრო შესაფერისია ბერძნული წყაროს ჩვენებასთან და ქუთაისის სიახლოვითაც არანაკლებ მისაღებია, ვიდრე ხომული... ასეა თუ ისე, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი ფაქტი დავიდასტურეთ: მოხერისის ქვეყანაში ბ ერ ძ ენ-ს პ ა რ ს ე ლ თ ა ო მ ე ბ ი ს დ რ ო ს მ ო ქ მ ე დ ებ დ ა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი (მესამე) ც ი ხ ე ნ ა ქ ა ლ ა ქ ე ვ-მ უ ხ ე რ ი ს ი ს გ ზ ა ზ ე მ დ ე ბ ა რ ე...

ქვილიშორში წავედით. ქვილიშორი უკიდურესი სოფელია „წყალტუბოს ქვეყანაში" ჩრდილოეთით. აქედან ბილიკები გადადის ლეჩხუმში (გორმაღალათი). ქვიანი ზეგანია და მოსახლეობა (400 კომლი) შორიშორ განლაგებულა. სოფელი მოსავლიანია, თუმცა წყლის სიმცირეს განიცდიან და ნიადაგიც ბევრგან გაშიშვლებულია ტყის გაკაფვის გამო. ვინმე მეტყეევე ჯანელიძე შეგვხვდა და ჩვენი მეგზურობა იკისრა. ჩემს შეკითხვაზე მეტად ნიშნანდობლივი პასუხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომცა: ჯანელიძეები სვანები ვყოფილვართ, იქიდან რაჭას გადმოსულვართ. ხის ოსტატები ვიყავით და იმერეთში ყველგან დავდიოდით. აქა-იქ სოფელში ვესახლებოდით და ამის შედეგია, რომ ჯანელიძეს ყველგან შეხვდებიო.

ჯანელიძემ „ციხე" დაგვიდასტურა ქვილიშორში. დიდის ტანჯვით მივაღწიეთ. გზაში შესანიშნავად ნაგები ეკლესია შეგვხვდა XIX საუკუნისა, ეზო-სასაფლაოთი, სანაქებო ხელოსნობით შესრულებული ლოდებით; (ასეთივე სტილით ხონის სასაფლაოა). ეს ციხე" მეტად ორიგინალურია. [მაგრამ ვიდრე ამ ციხეზე ვიტყოდეთ რასმე, არ შემიძლია არ აღვნიშნო: მოხერისის ქვეყანა აგრე შექებული ბერძნული წყაროებით უთუოდ აქ იგულისხმება თუ მთლად არა, ნაწილობრივ მაინც. ცუცხვათი (ოკრიბა) აღმოსავლეთით, ქუთაისი შუაში და ხომულის ქვეყანა დასავლეთით (ხონი სად იყო ნახვა უნდა) ქმნიდნენ მოხერისს, რომლის ცენტრში V—VI საუკუნეებში ქუთაისი უნდა მივიჩნიოთ. მაინცდამაინც ქუთაისმა დაიჭირა ის ადგილი, თუ ოდესმე სხვაგან სადმე იგულისხმებოდა ასეთი ცენტრი].

ქვილიშორი ისევეა „ციხე", როგორც ძევრში, ე. ი. აქ აღარავითარი ციხე არაა და ციხის სახელი ხალხს გადაუტანია იმ გამოქვაბულზე, საიდანაც ერთი ნაკადული-რუ გამოდის და აქვე წისქვილს აბრუნებს. საერთოდ დღეს ეს ციხე-წისქვილი უდაბური ადგილია (მოსახლეობა აქ ახლოს არაა), მაგრამ არაა მიუდგომელი.

გამოქვაბული კლდეშია ჩრდილოეთით, კლდის თავზე ტერასისებური ვაკობია (მცირე დაქანების), ეს ვაკობი ოდესმე გარშემოვლებული ყოფილა გალავნით (ზღუდით). ეს თუ იყო „ციხე", დღეს ამ ციხის მცირე ნაკვალევიღა ჩანს სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან... აღმოსავლეთის კედელი ბუნებრივ კლდეს ებჯინება, რომელიც საფიქრებელია ჩრდილოეთის „ციხის" კედელს წარმოადგენდა. რაიმე გარკვეული ნიშანი ამ „ციხის" დასათარიღებლად არ ჩანს. ის ითქმის გარკვევით მხოლოდ, რომ ეს „ციხე" ფეოდალური ხანისა არ არის. ოდესმე აქ არსებული ციხე, უეჭველია ამ წყაროთი იყო შეპირობებული. ჩვენ ახლა ციხის თავზე ვზივართ, გვეუბნება აქაური მეწისქვილე გოგიძე. ქვევით ბეჩოა (გლოსა: „კლდეა"). ბეჩოში გამოდის ციხის წყალი, ქვემორე მას უწოდებენ რ უ შ ა ვ ა ს. რუშავა ქვევით ჭალაში იკარგება... (ედიბერიძე, ლურსმანიძე, ჯანელიძე, ვარდანიძე და სხვა — აქაური გვარები).

„ძველად ამ წყალს (გამოქვაბულიდან გამომავალ რუს) კ ი რ ც ო მ ი თ მიგოზილი კარები ჰქონდა" (გოგიძე) — ალბათ „ციხე"

იყო. ქვილიშორიდან გზა მართლაც გადავა გორმაღალათი ლეჩხუმისაკენ ქვილიშორი-გორმაღალი-ლაჭეპილა-ოყურეში, მაგრამ ეს არის ვიწრო საცალფეხო მთის გზა, „ცხენის გზა“. არც ერთი მეგალი ამ ბილიკზე არ მოიხსენიება (არაფერი უთქვამთ), ასე რომ საეჭვოა, რომ ეს მნიშვნელოვანი შემაერთი ტრაქტი ყოფილიყოს ლაზიკა — სკვმნიას შორის.

ამრიგად „ციხე“ ქვილიშორში ყოფილა, მაგრამ არც თუ მიუდგომელი, როგორც ეს ვახუშტისათვის უთქვამთ, ხოლო ამ ციხის დათარიღებისათვის რაიმე ნიშანი დღეს აღარა ჩანს, გარდა იმისა, რომ ეს წყარო მართლაც უნდა ყოფილიყო აქ „გორის“, „ციხის“ წარმოშობის ადგილი...

17. IX ბასვლა IV

დღეს მინდა პატრიკეთ-ბაში ჩავიარო. რიონის პირის სოფლებია გ ე ბ ე უ თ ი (იაშვილი, ამაღლობელი), პ ა ტ რ ი კ ე თ ი (ვინ პატრიკი იყო აქ?), ტ ყ ა ჩ ი რ ი (აგიაშვილი), ო ფ შ ქ ვ ი თ ი (ნიჟარაძე), ს ა ყ უ ლ ი ა (ნიშნიანიძე — საეკლესიო აზნაური?), ბ ა შ ი (საეკლესიო). ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს სოფლები ძველადვე არსებობდნენ: ბაშს „მატიანე ქ-ჲ“ იცნობს, სახელიც დამახასიათებელი აქვს: ბაჟი; ადგილმდებარეობაც საამისო: აქედან რიონის გადასვლით გზა ვანს მიდის უმოკლესი მანძილით (აქ ხომ არ იყო ფონი?). მაინცდამაინც აქ რომ ნავსადგური იყო, ვარანგების ეპიზოდიდან კარგად ჩანს; პ ა ტ რ ი კ ე თ ი აგრეთვე თავისი სახელით დამაფიქრებელია; ტ ყ ა ჩ ი რ ი საკუთრივ ზანური (— ჭანური) სახელი (დიდი ტყე), ოფშქვითი ცნობილია გვიან საშუალ საუკუნეებში — სიმონ მეფის ომი ოფშქვითს...). მაგრამ ყველაზე ნიშანდობლივი ის არის, რომ ამ სოფლების ტერიტორიაზე ყველგან მოიპოვება „გორიკა“ (ზოგან ორი-სამი), აშკარა მოწმობა უძველესი მოსახლეობისა. „გორიკების“ ყორღანობამ დიდი ხანია თქვენი ჭირი წაიღო და ამასთან ერთად „სკვითურმა თეორიამ“. „გორის“ ჩვენეულ გაგებას ცხოვლად უჭერს მხარს დასავლეთ საქართველოს დაბლობის ეს საცხოვრებელი „ნაგებობანი“; ამ მხრით ყველა ეს „გორიკა“, „დიხაგუძუბები“, „ნაოხვამუები“, „დიხაკურძულაები“, და შეიძლება, უძველესი „ჯიხაები“ უნდა აღიცხულ-შესწავლილ იქნან (გეოგრაფიული განსაზღვრება, აზომვა, არქეოლოგიური გათხრა) და, როგორც ვხედავთ, მეტისმეტად მნიშვნელოვან დასკვნებს მივიღებთ ამ ქვეყნის უძველეს ისტორიაში. „გორიკებზე“ დაკვირვება, ბუ-

ნებრივია, საკითხს დასვამდა იმის შესახებ, თუ რა შეესატყვისება მათ, როგორც საცხოვრებელ ერთეულს, ზეგანში, სადაც გორიკების ხსენებაც კი არ არის და ასეთი სახელიც კი არ გაუგონიათ... „ქვაციხე", „ქვილიშორის ციხე", „ძევრის ციხე" და „ჯიხაიძი" — შეიძლება ამ მიმართულებით რისამე მანიშნებელი იყოს (თუ ტერმინოლოგიურად არა, ისტორიულ-სოციალური შინაარსით მაინც)... ისე მეჩვენება, რომ სახელი გორიკა აქ გვიან შერქმეულია, ქართულად მოსაუბრეთა მიერ. (მაშინ როცა აღმოსავლეთ საქართველოში იგივე „გორა" ძველადვე შერქმეული ჩანს)... გასათვალისწინებელია „აფხაზური" გ ვ ა რ ა — აწანგვარა, აჩიგვარა... მაგრამ სხვა სახელებიც: ზურგული (ოზურგეთი), დიხაგუძუბა, დიხაკურზული არაფერს ამბობენ. უფრო ნიშანდობლივია ნაოხვამუ, ხომული, ოხომირა (ისინი ამ გორაკების გარკვეულ დანიშნულებაზე მიუთითებენ) და კიდევ უფრო, ვფიქრობ, საყურადღებოა ჯ ი ხ ა, რომელიც ასეთი გორიკას სოციალურ ფუნქციაზე მიუთითებს... შეიძლება სწორედ ჯიხა იყო ასეთი საცხოვრებელი გორიკების თავდაპირველი სახელი ზანურად, ხოლო ქართულად გორა (და ციხე?) და მხოლოდ გვიან ეს სახელი მიისაკუთრა სამხედრო თავდაცვითმა გორიკამ?

ასეა თუ ისე, ამ პირველყოფილ ნაგებობათა შესწავლა დიდმნიშვნელოვანი საქმეა: ის სრულიად ახალ ფურცელს გადაშლის ჩვენი ქვეყნის წარსულისას. ჯერ კი, როგორც ვთქვი, ეს გორიკები აღრიცხულიც კი არ არის. ისტორიული-გეოგრაფიის განყოფილებამ ეს ამოცანა უნდა ახლავე წამოიწყოს.

აქ გორიკას ყოველ სოფელში ასახელებენ. ზოგიერთ სოფელში რამოდენიმეს. ზოგი შეიძლება ყორღანიც იყოს (კონუსისებური), უმრავლესობა კი, უეჭველია, საცხოვრებელი გორაებია (ოვალური, მეტნაკლებად, ფართობით) თხრილით გარშემოვლებული. ჰ ა ტ რ ი კ ე თ ი ს გორიკა გამოირჩევა თავისი სიდიდით. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი თენგიზ გიორგის ძე ვაჩიბერიძე გაგვყვა ძეგლის საჩვენებლად. მამამისი გიორგი ვაჩიბერიძე თევზის მოშენების ინიციატორია. მას კობრი მოუშენებია იმ თხრილში გორიკას რომ შემოუყვება. ამ წყლის ზედაპირი 1—1½ ჰექტარია. მისი განი (თხრილის განი) ოცდახუთი მეტრია. თხრილს გარედან ზვინული შემოუყვება (სიმაგრისათვის?). შიგნით გორა — ორი ჰექტარი ფართობი. ახალ მონახნავში მრავლად იპოვება კერამიკის ნამსხვრევები და რაღაც შენობის ნაკვალევი (შედუღებული კედლის ნაშთი). ეს გორიკა, რა თქმა უნდა „ჩვეულებრივი" არაა. ის,

თუ შეიძლება ვუწოდოთ, დიდი გორიკას წარმოადგენს. ასეთივე დაახლოებით უნდა ყოფილიყო ჯიხაიშის ორი გორიკა: შუბლა-ძეების უბანში (აქაც ხომ აუარებელი კერამიკული და სხვა რიგის ნაშთები ჩანს) და „საწურბლია“ კულაშისაკენ მიმავალ გზაზე. სხვა დანარჩენი გორიკები, ჩვენ ყოველ სოფელში გვხვდება, „ჩვეულებრივი“ მცირე გორიკებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიარეთ პატრიკეთი, ტყაჩირი, ოფშქვითი, საყულია, და ბაშს მივატანეთ. აქ ბაშში სამ გორიკას ასახელებენ. რიონზე ბორანი, ვანში მიდის გზა. მოწმობს გორიკების ეს სიმრავლე მოსახლეობის სიხშირეს, თუ ისინი სხვადასხვა დროისანი არიან? მაინცდამაინც ის ხომ ცხადია, რომ ამ ველობში საერთოდ და რიონის ნაპირას, კერძოდ, მოსახლეობა დიდი ხნით წინ უსწრებდა ფეოდალურ ხანას (მეთევზეობა რიონზე და ნაოსნობა)...

სამტრედია-ქუთაისის გზით უკან დავბრუნდით. მე-12 კილომეტრზე რომაელთა ნაბანაკევს (აქაურების გამოთქმით იგივე გორიკას) გამოვუარეთ, დევი და ოთარი ნაბანაკევის კარის გასაზომ-გასასინჯავად გავგზავნე. დაღლილი ვარ, თვითონ ვერ გავყევი. დაბრუნებულთ საინტერესო ცნობა მოიტანეს: ნაბანაკევს კარის მხრიდან მესამე თხრილი და ზვინული შემოუყვება ოდრიკალის სახედო. აშკარაა, ბანაკის გამაგრების ხერხია. გაზომვა-შესწავლა სხვა დროისათვის გადავდე (ეს ძეგლი ადვილი მისასვლელია) და სახლში დავბრუნდი.

დღევანდელი გასვლიდან ის ცოდნა შევიძინე, რომ: გორიკები ველის მოვლენაა, ველი და რიონის პირი მჭიდროდ არის დასახლებული, ამას გორიკათა სიმრავლე მოწმობს, გორიკები სხვადასხვა სახისანი გვხვდება. ჭარბობს „ჩვეულებრივი“ გორიკა, დიდი გორიკა სულ სამი შეგვხვდა დღემდე, ნაბანაკევი — ერთადერთი აქამდე, გვხვდება კონუსისებური მცირე ზვინულები (აქ ამასაც გორიკას უწოდებენ) — ალბათ ყორღანები (ესენიც იშვიათად გვხვდება)...

18. IX გასვლა V

ამინდი ხელს არ გვიწყობს... შორს ვერსად წავალ... ისევ გელათში ავალ. დიდი დავითის შენამოქმედს კიდევ ერთხელ შევხედავ და კიდევ რაღაც მაინტერესებს. ჩემი დაკვირვებით გზა ქუთაისიდან გელათზე გადიოდა ცუცხვათისაკენ და აგრეთვე ქართლისაკენ. ორი ხიდი წყალწითელაზე და ჭიშურაზე ამ ჩემს მოსაზრებას

უჭერს მხარს. მწვანე ყვავილა-წყალწითელა-გელათი-ჭიშურა (გო-
დოგანი)-სიმონეთი-ძევრის ხიდი-სკანდე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გელათში აუარებელი ხალხი ირეოდა, კვირაა და მნახველები
მოდიან, ძეგლი ასე თუ ისე მოვლილია.

გელათის ძეგლ-მუზეუმში მ. ნიკოლეიშვილი დაგვხვდა და დაგ-
ვატარა. მანვე გვიჩვენა ჩემს დაჟინებულ შეკითხვაზე ძველი გზა
მთის შემოვლით, რომ ჭიშურას ხეობაში გადაივლიდა...

სასტიკმა წვიმამ ხელი შეგვიშალა. ვნახე დავით ნარინის შესა-
ნიშნავი პორტრეტი, დიდი დავითის საფლავი გამამხნევებელი წარ-
წერით. (თუ ეს წარწერა არა, ვინ გაბედავდა მისთვის გულზე ფე-
ხი დაედგა და ისე შემოსულიყო ეკლესიის ეზოში. საფლავი კარიბ-
ჭეში არის განზრახ გარდიგარდმო მოთავსებული, რათა შემომ-
სვლელმა ფეხი ვერ აუქციოს... დიდბუნებოვანს რაღაც ცოდვა,
ჩანს, ედიდებოდა და ყველას უზიარებდა..)

ერთხელ კიდევ შევხედე განძის კარს...

19. IX

ᲒᲐᲡᲕᲚᲐ VI

დღეს რომაელთა ნაბანაკევი, დიდი ჯიხაიშის გორიკა და ხონი
შინდა მოვიარო, ნაბანაკევის შესასვლელის მოწყობილობა მაინტე-
რესებს. ოთარმა გაზომა.

ოდრიკალეს (ორივე?) ბოლოზე შესასვლელია იმ თხრილში,
რომელიც ბანაკის გარეზვინულს გასდევდა ამ ოდრიკალის სიგრძე-
ზე: ზვინულის ეს ნაწილი უფრო დაბალი ყოფილა დანარჩენ ნაწი-
ლებზე. ამ ზვინულის შიგნით შესასვლელი, როგორც ჩანს, ერთი
იყო და არა ორი ამ ოდრიკალის ბოლოებზე, როგორც შეიძლე-
ბა იფიქროს კაცმა. ჯიხაიშის გორიკაც ვცადეთ გაგვეზომა. დაშლი-
ლობა-დაქცეულობის გამო, სამწუხაროდ მისი ზუსტად გაზომვა არ
ხერხდება. უხვად მოვიძიეთ კერამიკის ნამსხვრევები არქაული ხა-
ნისა, ცხოველთა და ადამიანის ძვლებიც, კაჟის იარაღებიც და ერთი
ბრინჯაოს ნემსი (?). ყველაფერი მოწმობს ინტენსიურ ცხოვრებას,
მრავალ საუკუნეთა მონაცვლეობას (ნივთებს ვპოულობთ ოთხი
მეტრის სიღრმეზე), ხანძარს... ამ ძეგლის თავგადასავლის შესაგნე-
ბად აუცილებელია ამ გადარჩენილი ნაწილის გათხრა...

ხონში წავედით; აქ მე ჩემთვის ამჟამად ნიშანდობლივ საინ-
ტერესოს არაფერს ველი, მაგრამ ხონი მაინც საინტერესოა: გასარ-

კვევია, თუ რა იყო მიზეზი და როდის მოხდა ამ პუნქტის დაწინაურება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწუხაროდ ნიშანდობლივ საამისოს მე აქ ვერაფერს ვიხსენებ. შეიძლება ეს ეკლესია მოგვცემდა რასმე, რომ შესწავლილი იყოს... საშუალო საუკუნეებში, როგორც ცნობილია, ხონი სახელგანთქმული პუნქტია.

აწინდელი ეკლესიის ნანგრევი ნაგვიანევია... ერთი კი ჩანს თითქო, რომ ხონი საგზაო მანძილი შიძლება ყოფილიყო ნაქალაქევიდან მუხერის — ქუთათისისაკენ... თვით ტერმინი ხონი შეიძლება საამისოდ რასმე იძლეოდეს?.. (ხანი?...).

ცხენისწყლის გამოველების ადგილი მაინტერესებს (ლეჩხუმის კარები). ახლა გვიანია რომ იქით წავიდე... მათხოჯამდე მაინც მივალ. იქ, მითხრეს, ციხეც არისო და მონასტერიცო... აქ სკოლის წინ შევჩერდით. ჩემი ყოფილი მსმენელები აღმოჩნდნენ ისტორიის მასწავლებლები. ვუთხარი მოსვლის მიზანი, არისო ნაციხარი დაგვიდასტურეს და გამყოლად მეცხრე კლასის მოწაფე ავთანდილ ჩიმაკაძე გაგვატანეს.

დიდის წვალებით ავედით „ნაციხარზე". ჯერ ისევ შორიდანვე გამოჩნდა კედლის წყობის მიხედვით — სწორად გათლილი კვადრები — რომ ეს ძეგლი უბრალო ფეოდალის ციხე არ ყოფილა, არამედ ადრეფეოდალური ხანის ნაგებობა. მეტისმეტად ძნელად მისადგომ ადგილზე აგებული, ის უცილობლად ბატონობს ცხენის წყლის მარცხენა მხრით მომავალ გზაზე სკვმნიიდან ლაზიკაში, ისევე როგორც ბატონობდა ამ ახლო ქვეყანაზე (ხონზეც?...).. ასე რომ მე არ მეჩვენება შეუძლებლად, რომ ეს ციხე VI საუკუნის ერთერთ სიმაგრედ მივიჩნიო, ასევე აწინდელი მონასტერიც, ასევე მთაგორაზე აგებული ვინ იცის იმ ადგილასაა, რომელიც მაქსიმე აღმსარებლის წამებაში არის ნაგულისხმევი (?).

ციხეს შიგნით დატანებული აქვს კოშკი, რომელიც ამავე დროს ციხის გარე კედლის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილს წარმოადგენს. მათხოჯი საეკლესიო სოფელი იყო. გვიან ხანაში მას საერთო ფეოდალი, როგორც ჩანს, არც ჰყოლია. ეს ციხე თავისი იერით განვითარებული ფეოდალური ხანისა არ ჩანს. ამრიგად, ვფიქრობ, ასეთი ვარაუდი დადასტურდება: გზა ხიდიდან (აქვეა ახლო ცხენისწყლის პირზე სოფელი „ხიდი" — „ბომბოას ხიდი") მათხოჯზე გამოივლიდა. აქედან ხონს, კასტირის ხიდს გუბის წყალზე (დედელოურს), ხომულს (მაღლაკ-წყალტუბოს), ქუთაისს, წყალწითელა-გე-

ლათს, ჭიშურა-გოდოგანს, სიმონეთ-ძევრის ხიდს და სკანდეს გა-
ივლიდა და იბერიაში (არგვეთში) შედიოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

21. IX. ბ ა ს ვ ლ ა VII

კასტირი — აგრე მეტყველი სახელი. ეს ადგილი 1954 წელს მე და ნინამ ვნახეთ (მანამდე კი, 1949 წელს, მე ასეთი სახელი გვიშტიბელი კაცისაგან გავიგონე...).

მაშინ ადგილის მოხილვის უკეთესი პირობები გვქონდა. გაზაფხული იყო და სიმინდი ჯერ არ ამოსულიყო, ახლა, შემოდგომაზე სიმინდის გარდა აღარაფერი ჩანს.

მეწისქვილე ვალერიან გოდერიძე ვნახეთ. მან მხოლოდ ის იცის, რომ ამ ადგილს კასტირი ჰქვიან „კ ა ს ტ ე რ ი ს ფ ო ნ ი“, „კასტერის წისქვილი“, „კასტერის გორაები“ — ეს იცის. მე მახსოვს, მაშინ „კასტერის ხიდიც“ დამისახელეს, თუმცა გოდერიძე კატეგორიულად უარყოფს ასეთ სახელს და იმ ხიდის კურტანს — დღემდე გადარჩენილ ერთადერთ ძეგლს, „წისქვილის ლაგამს“ უწოდებს. მისი ცნობით, აქ ძველად დედალოურელ გლეხებს სასოფლო წისქვილი ჰქონდათ აგებული იოსელიანების წისქვილის (აწინდელი წისქვილია) საპირისპიროდ. ის წაუღია გუბის წყალს და ეს ლაგამი გადარჩენილა. აქ უნდა წისქვილის „სათაური“ ყოფილიყო. მაგრამ ამ ლაგამის ნაგებობა: განი —3.80, h—3,50 და მისი მიმართულება, ყოვლად საეჭვოს ხდის გოდერიძის ცნობას და გვარწმუნებს, რომ ჩვენ წინ არის ძველისძველი ხიდის „კ ურ ტ ა ნ ი“, მდინარე გუბის წყალი აქ (და საერთოდაც) მეტად დაკლაკნილად მიედინება და ქმნის ფართო ნახევარკუნძულებს ფლატე ნაპირებით (ალაზნის „მოსაბრუნების“ მსგავსად). ერთ-ერთი ასეთი ნახევარკუნძული უნდა ყოფილიყო ის კასტირი, სადაც, როგორც ამ სახელიდან ჩანს, ყოფილა მოწყობილი რომაული ჯარის სადგომი... ამ ხიდით, საფიქრებელია, შედიოდა გზა ამ კასტირში და მიემართებოდა აწინდელი ხონით, „ხიდისაკენ“ ცხენისწყალზე...

გოდერიძის ცნობით: გუბის წყალს ქმნის სამი მდინარე: ყ უ მ ი (მთავარია, ის წყაროსავით გამოდის გამოქვაბულიდან), ს ე მ ი და კ ო ლ ა ს კ ურ ი.

გზა სამეგრელოდან სწორედ აქ გამოივლიდა (წყალტუბოს სამკურნალოდ რომ დადიოდნენ): სამეგრელო, ხონი, საწულუკიძო, დედალოური, კასტირის ფონი-გვიშტიბი-წყალტუბო...

ორ გორიკას გვისახელებს გოდერიძე: „ნასამჭედურალი გო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ა ს ვ ლ ა VIII

რაჭაში ვაპირებდი. „უგზოობით“ არ მომიხერხდა, ასე შემომითვალა გ. გობეჯიშვილმა[4]. ლეჩხუმშიაც (ცაგერში), როგორც ჩანს, ვერ წავალ...

დღეს მინდა ონოგურ-ციხე-გოჯი მოვიხილო. ხონიმათხოჯი გავიარეთ. ცხენისწყალზე ხიდით გავედით (ახალი ხიდი). ხუნწი გავიარეთ. ზევით. ცხენისწყლის მარცხნით გვისახელებენ (მათხოჯში გვითხრეს) სოფელ „ხიდს“: ძველი გზის ნიშანი...

მარტვილში მივდივართ. საოცრად მოუვლელი გზა... გავიარეთ ნახარებაუ და გეგეჭკორს მივატანეთ. მარტვილში ავედით. წარმტაცი სანახაობა... მე არა მწამს აქ მარტვილში უძველეს დროსვე რომ არ ყოფილიყო ადამიანის საცხოვრისი. იმ დროიდან კი (VII ს.) აქ ეკლესიაც გადარჩენილია... ეს „მარტვილის ქვეყანა“, ბუნებრივია ვიფიქროთ, იმ დროს უკვე არსებობდა, მაგრამ არა ჩანს, რომ ის დამოუკიდებელი ერთეული იყო. თუმცა ონოგურის ციხე იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ გვიანდელი სალიპარტიანო, მართალია ნოქალაქევისაგან დამოკიდებულს, მაგრამ მაინც ერთ ერთეულს („ქვეყანას“) წარმოადგენდა. სამწუხაროდ, მე ონოგურის ციხე ვერა ვძებნე, მაგრამ იმ აზრის არა ვარ, რომ ის სადღაც ღრმად ხევში იმყოფებოდეს... უფრო სადღაც მარტვილის მახლობლად არის ის საძიებელი (გორდი ხომ არა? დავაშავე, რომ „გორდი“ და ხიდი არა ვნახე... მაგრამ რას იზამ, „ვოლგით“ უნაგირას ძებნა ძნელია...).

უნაგირას მთა აქ მარტვილში გაუგონიათ, სადღაც შორს, ჩრდილო-აღმოსავლეთით ასახელებენ... ვახუშტის კი ის ცნობა მიაწოდეს, როგორც ჩანს, რომ უნაგირას მთა ისაა, რომელიც მთელ სალიპარტიანოს ჩრდილოეთიდან გასდევს ნოქალაქევამდე. ბანძელი კიკალიშვილი ამ ქედს ბაჟერის მთას უწოდებს და მას უნაგირა ამ ქედის სახელად არც გაუგონია (ბანძაში ხომ არ იყო ის ციხე ონოგურისი — ონოლია???).

მარტვილის ტაძარს, სვეტს და მცირე ტაძარს იცავენ, მაგრამ ყოვლად უცნაურია, მეორე მხრით, აქვე მონასტრის ეზოში გამართული ტურისტული ბაზა. ბაზის თანამშრომელი ახალაია, გონიერი

---

[4] არქეოლოგი, ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი.

ახალგაზრდა ჩანს, წარსულის პატივისმცემელია, დაკვირვებაც აქვს. მარტვილის მიდამოებში გვისახელებს დიხაკურზულა ეკლესიას. ნახულე უძველესი „ჯვარის ტიპის“ ეკლესია. IX საუკუნის სვეტი, და გვიანფეოდალური სამეგრელოს მატიანე-ეკლესია, ჩიქოვანების საძვალე.

უკმაყოფილო მივდივარ „ონოგურისი“ ვერ დავადგინე. „ოლგა“ ამ უგზოობაში ხალისს მიკლავს (აქაური მუზეუმის გამგე ელიავა უნდა მოვიშველიო).

უცნაურია: ხონი-გეგეჭკორის საერთაშორისო გზა სრულიად მოუვლელია, ხოლო გეგეჭკორ-სენაკის ასეთივე დანიშნულების გზა კარგად მოვლილია: ალბათ რკინიგზით (სენაკი) აიხსნება. ასეა თუ ისე. ჩვენ დიდი შვება ვიგრძენით. ბანძა გავიარეთ, ლეხაინდრავოში (გურული მეგრელიშვილები — ხაინდრავები აქედან თუ არიან გამოსული...) მდინარე აბაშის მარცხენა მხარეზე, შუა ველში „ძველისძველი“ სიმაგრის ნაშთია „ნოჯიხევი“. ოვალური ფორმის ფართობი ორ ჰექტარამდე გარშემოვლებულია ზღუდით (ძლივსლა ჩანს ზოგან სულ წაშლილია); ფართობის შუაში რაღაც ნაგებობის კვალი. ზედაპირული დაკვირვება, მცირე მოჩიჩქნით, ვინ იცის, ზოგადი დათარიღების საშუალებას მოგვცემდა, უსაბუთოდ, ზოგადი შთაბეჭდილებებით მაინც ვფიქრობ, რომ ნოჯიხევი განვითარებული ფეოდალური ხანის ნაშთი არაა: ამ დროს ველში ასეთი ჯიხას აგების საჭიროება აღარ იყო...

დავტოვეთ ნოჯიხევი, ახლოს შარის მარცხნით „გორიკა“ მოჩანს, აქ ალბათ დიხაკურზულას ეძახიან...

მივდივარ მდინარე აბაშის ხეობაზე. მალე ტეხურის ხეობაში ვიქნებით. თუმცა აბაშის ხეობა ცალკე ქვეყანაა ნიშანდობლივ აღნიშნული, ჩემთვის ცხადია, რომ ეს ხეობა ერთი მიკროქვეყანაა. შეიძლება ამ ფაქტს გულისხმობდეს ციხე ონოგურისი არქეოპოლისის ახლოს და მის საკონტროლო ადგილში... წყაროები გარკვევით მოწმობენ, რომ ონოგურისის ციხე, იგულისხმება რა თქმა უნდა, მისი ქვეყნით, ცალკე ერთეულია, მაგრამ არც ისე ცალკე, როგორც ვთქვით, მუხერისის ერთეული, არქეოპოლისი და მუხერისი ორი თანაბარტოლი (მნიშვნელობით) ერთეულია, ასევეა ვარდციხის ერთეული, მაგრამ ონოგურისი უფრო დამოკიდებულია, როგორც ქვეყანა, არქეოპოლისიდან.

საერთოდ მთელი ლაზიკა ამ მხრით, ისევე როგორც მთელი საქართველო, „ქ ვ ე ყ ნ ე ბ ა დ“ ი ყ ო ფ ა. ქვეყანა ზოგი დიდია და „დამოუკიდებელი“, ის, შეიძლება, ბატონობდეს რომელიმე

მცირე ქვეყანაზე, ან ქვეყნებზე, ზოგი ქვეყანა კი მცირეა, ის შეიძლება დამოკიდებულიც კი იყოს უფრო დიდ ქვეყანაზე (ეფექტურობრივად, პოლიტიკურად). თითოეულ ქვეყანას, დიდს გინდა მცირეს, თავისი „ცენტრი“ აქვს. ქვეყნის სიდიდე-სიმცირისაგან დამოკიდებულია მისი „ცენტრის“ მნიშვნელობა, ცენტრის (ციხის, ქალაქის) სიდიდე-სიმცირე. ზოგ ქვეყანას მხოლოდ ციხე ახასიათებს, როგორც ცენტრი (პრინციპულად ყოველი ცენტრი შეიცავს „ქალაქს“). დიდ ქვეყანას კი განვითარებული „ქალაქი“ ახასიათებს ციხის გვერდით (სულ ერთია როგორ ურთიერთობაში იქნება ქალაქი და ციხე: ცალ-ცალკე თუ ერთი ზღუდის შიგნით). სკანდე ციხეა (ჩიხორი გვიან შექმნილი ქალაქია); ასე ტელეფისი ციხეა, შორაპანი ციხე-ქალაქია ურთიერთისაგან გამოყოფილი ციხით და ქალაქით, ვარდციხე ქალაქია ციხით ერთ ზღუდეში ისევე, როგორც არქეოპოლისი. ვარდციხეში მუხერისში, არქეოპოლისში ქალაქი ჰეგემონობს, შორაპანში ციხის მნიშვნელობა უპირატესია, სკანდეში მხოლოდ ციხეა. ორი ციხე (თავისი „ქვეყნით“) ისევე, როგორც ორი ქალაქი აგრეთვე თავისი ეკონომიური რაიონით — ქვეყნით, ერთ ტერიტორიაზე ვერ იბოგინებენ. ორივეს თავთავისი ქვეყანა უნდა. დიდი ქალაქი დიდ ქვეყანას გულისხმობს ceteris paribus.

მიკროქვეყნები, მეურნეობრივი განვითარებისდა კვალად, დამოუკიდებლად ველარ ძლებენ, ერთიანდებიან უფრო დიდ ერთეულებად ციხე-ქალაქით „ცენტრში“, სათავადოებად ფეოდალურ ხანაში...

ასე რომ ეს „ციხეები“ (ქალაქები) იმ თავიდან in principe ბუნებრივად, მეურნეობრივი განვითარების შედეგად წარმოშობილი რამ არის, „ქვეყნის“ პოლიტიკური და სამეურნეო გამოხატულებაა და არა ნებისმიერად, რაციონალურად აგებულ-დაარსებული რამ (როგორც ეს, მაგალითად, მოთხრობილია ეგროსის, ქართლოსის და მათი შვილების ციხე-ქალაქთა მშენებლობის შესახებ...).

ამრიგად ქვეყანა წარმოიშვა საზოგადოების მეურნეობრივი განვითარებისდა კვალად გარკვეულ ტერიტორიულ სივრცეზე. აქ ბუნებრივ პირობებს მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვთ, რაც უფრო სუსტია საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარება. წარმოიშვიან მცირე და დიდი ქვეყნები როგორც საზოგადოების წევრთა რაოდენობის თვალსაზრისით (უხვი ბუნებით ტერიტორია მეტ მოსახლეობას იტევს), ისე ტერიტორიის სიფართოვის თვალსაზრისით, თითოეულ ქვეყანას მისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე (სამხედრო დემოკრატია, კლასობრივი ურთიერთობა) უჩნდება ქა-

ლაქი, ციხე. ქვეყნები ერთიმეორეს ებრძვიან, ურთიერთს იმორჩილებენ, უკეთ, ქვეყნის უფალნი იბრძვიან, ქვეყნებს იმორჩილებენ. ჩნდება ცენტრალური ქვეყანა გამაერთიანებელი ქვეყანა. მაგრამ ის მცირე ქვეყნები გაერთიანების შემდეგაც არა ქრებიან, არამედ ბუნებრივად ინარჩუნებენ ერთგვარ თავისთავადობას, დამორჩილებული ქვეყნების საციხისთავოების სახით (ეს ვითარება გვაქვს ჩვენ ლაზიკაში I საუკუნეში). ფეოდალური ურთიერთობის ბატონობის ხანაში ეს ერთეულები (ადრე ხანაში) სამთავროებად ყალიბდებიან, შემდეგ, გვიანფეოდალურ ხანაში სამთავრო-საათავადოებად...

ამრიგად, ჩვენ ისე გვეჩვენება, რომ ონოგურისი მისი ქვეყნით არქეოპოლისის მომიჯნავე და მისგან, სამეურნეო გაერთიანების თვალსაზრისით, დამოკიდებული ქვეყანა იყო, და არა მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით, როგორც ვთქვათ, რომელიმე მუხერისი ან ფოთი და სხვა...

მივდივართ და ბუნებრივად მიჩნდება აზრი, რომ ეს ონოგურისი არქეოპოლისის მომიჯნავე ქვეყანაშია. ასეთი ქვეყანა კი მდინარე აბაშის ხეობაა. ბანძა ამ ციხის სალოკალიზაციოდ სულ უფრო და უფრო მისაღებად მეჩვენება. აქვე ონოლიას „ნაჯახოვუ" (ჯახუა შდრ. ნაგვაზაუ, თუ ნაჯიხვაუ) და თვით სახელი ონოლია მეტყველი მეჩვენება. (სამწუხაროდ ეს აზრი მე უკან დაბრუნებისას მომივიდა, რუკაზე ჩხრეკისას, თორემ უგზოობას როგორმე დავძლევდი და ონოლიას მისი ნაჯახოვუთი ვნახავდი).

ვახუშტი აღნიშნავს ბანძაში „კეთილნაშენ" ციხეს, შეიძლება ეს ციხე იგულისხმებოდეს ონოლიას?

ასეთი აზრის გარემოცვაში ონოლია მეტყველი მეჩვენება. ნოღა, გავრცელებული საგეოგრაფიო სახელი ჩანს ზანურ სამყაროში, ვახუშტი მას აღნიშნავს (ნოლის ხევი, ნოღა, 150) სალომინაოში; ნოღა ცნობილია საჯავახოში, ნოღადიდი უნდა ყოფილიყო სადღაც ქვემო აჭარაში, ან ქვემო გურიაში (აქედან გვარი ნოღაიდელი) და ბოლოს ნოღელა და ონოლია აბაშის ხეობაში, ის ჭანურად „ქალაქს", სავაჭრო ადგილს ნიშნავს.. ხომ არ შეიძლება ონოლიასთან დაკავშირება ბერძნული ონოგურისის... უშლის თითქო ურ სუფიქსი, რომელიც ონოლიაში არ ჩანს, მაგრამ, ვფიქრობ ასეთი სუფიქსის გაქრობა შეუძლებელი არ უნდა იყოს: ხომ გამოითქმის ახლა, მაგალითად, კეთილა და კეთილარი...

მაინცდამაინც ონოგურისის დაგულება ონოლიაში თუ ენობრივ სიძნელეს ხვდება, მატერიალურ-შინაარსობლივ ის კარგად ეთანხ-

ნება წყაროების ჩვენებას. საჭიროა ოღონდ ამ ციხის დათვალიერება და თუ იქ იმ ძველი დროის ციხე აღმოჩნდებოდა, ეს ბრივ სიძნელეც გადაულახველ დაბრკოლებას ვერ შექმნიდა...

ნოქალაქევს მივატანეთ. გრანდიოზულ შთაბეჭდილებას სტოვებს. მისი ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლა პირველ რიგში უნდა დაისვას. ძველია ნოქალაქევი, ქართული ტრადიცია აქაც სანდო ჩანს, მაგრამ მასზე უფრო ძველია ამავე ტრადიციის თანახმად ეგრისი — ბედია. ხომ არ არის ამ ტრადიციაში იმის კვალი, რომ ერთი ზანური ტომის ჰეგემონობა გარკვეულ დროს მეორე ტომმა შეცვალა?... აქვე მოსატანია მესამე „ქვეყანაც" აია — მუხერისის (ვანის?). რომელი რომელს სცვლიდა, რომელი რომელთან თანაარსებობდა, როგორი თანმიმდევრობით ხდებოდა ეს ცვლა? ამისათვის საჭირო იქნებოდა სამივე ქვეყნის ცენტრის თანაბარი არქეოლოგიური შესწავლა. მაინცდამაინც არქეოპოლისი ლაზიკის ადრეფეოდალური ხანის ცოცხალი ქალაქია... როცა ამ „ცენტრების" სიძველეზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს მათი ქალაქობა, მათი პოლიტიკური ჰეგემონობა, თუ არა ძველი წინაკლასობრივი ხანის მოსახლეობის კვალი სამივე პუნქტში, შესაძლებელია, თანაბრად აღმოჩნდეს. ასეთ მომენტს კი არქეოლოგიური შესწავლით თუ დავადგენთ მხოლოდ.

ვიწროდ აღებული არქეოპოლისი ტეხურის ქვეყნის ცენტრია და მისი დასავლეთისა. VI საუკუნეში ის უცილობლად პირველია თავისი მნიშვნელობით დასავლეთ ლაზიკაში. ბერძნული წყაროების ცალმხრივობით აიხსნება (რამდენადაც ლაზიკის დასავლეთი უშუალოდ საომარი მოქმედების სარბიელი არ იყო), რომ დასავლეთი მხარის ციხე-ქალაქები ამ წყაროებში არ იხსენიება, ისევე როგორც არაერთი ციხე აღმოსავლეთ ლაზიკისა ასევე მოუხსენიებლად დარჩენილა (ხოლო ამათ შესახებ ერთი თვალის მოვლებაც კი საკმაოა). ასე რომ ლაზიკის VI საუკუნის ისტორიული გეოგრაფიის დასადგენად სხვა ხერხების (ენობრივ-ფილოლოგიური) გვერდით, საჭიროა ყველა აწინდელი ნანგრევის მოხილვა იმ სახელმძღვანელო მოსაზრებით, რომ ფეოდალური ხანის ციხეები ადვილი შესაძლებელია ადრეფეოდალური ხანის ციხეებზე იყვნენ დაშენებული...

ვახუშტი უთუოდ ძველს, რაღაც სანდო ტრადიციას ემყარებოდა, როცა აღნიშნავს: „ეს (ნაქალაქევი) აღაშენა, ა: მეფის ფარნაოზის ჟამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე, და ამისი საერისთოვე იყო სრულიად რიონის დასავლეთი სვანეთით

შემუსრა ყრუმ, არამედ იყო კვალად ქალაქი, და შემდგომად მოოხ-
რდა ქალაქი, აწ არს ციხე კვალად და სასახლე დადიანისა“ (167).
ვახუშტის აზრთა მსვლელობა ისეთია (ნახე სადაც ვაკეზე აქვს
საუბარი, ან ქუთაისზე), რომ ნაქალაქევის მნიშვნელობა განსაკუთ-
რებით დაეცა და მისი საერისთავო შემცირდა VIII საუკუნეში,
ხოლო მისი ადგილი დაიჭირა ქუთათისმა („აფხაზთა“ მეფეები)
რომელმაც ნაქალაქევის საერისთავოს დიდი ნაწილი მიიტაცა ისუ-
ლეთამდე... (ეს უკვე რიგით მესამე, საკუთრივ შუაფეოდალური ხა-
ნის ცენტრის გადანაცვლება იყო: კოლხური, მეგრული, ზანური,
ან კოლხური, ზანური, მეგრული) და ქართული (— აფხაზური),
ე. ი. ადრეკლასობრივ-სამხედრო დემოკრატიული, ადრემონათ-
მფლობელური, ადრეფეოდალური, შუაფეოდალური...

სენაკისაკენ წავედით, მრისხანედ მოჩანს შხეთის (იქაურმა
ქალმა გვითხრა შხეფი) ციხე. ნახვა უნდა, განა ის ნაგვიანევია?..
ვერ ვნახეთ, არც გვიკითხავს აგრე ნიშანდობლივ რუკაზე, რომაა
აღნიშნული უ ფ ლ ი ს ა კ ა რ ი ნაქალაქევის დასავლეთით..
„უ ფ ა ლ ი“ იმ ადრე ხანაში ზანურისათვის მოსალოდნელი არაა.
შეიძლება ამ „უფალში“ ნაგვიანევი ქართული ღმერთი იგულისხ-
მება?...

სენაკიდან სამტრედიისაკენ გორიკებს ვამჩნევთ...

24. IX

გ ა ს ვ ლ ა IX

მინდა სკანდე ვნახო (შეიძლება უფრო სწორი იყოს სკანდა)
შდრ. საკანდელიძე. სკანდა და შორაპანი ერთად იხსენიებიან წყა-
როებში, მაგრამ როგორც ჩანს, შორაპანი უფრო მეტი მნიშვნელო-
ბისა იყო და შეიძლება უფრო ძველიც... სკანდა მართლაც მოუ-
სავლიან, მთიან ქვეყანაშია გაშენებული და უპირველეს ყოვლისა
საგზაო ციხეა იბერიის საზღვარზე... გზა ქუთაის-ჩხარ-სკანდაზე
ნიშანდობლივ ჩანს. სკანდის ამ გზას დავაკვირდი ის მოხერხებულად
გაივლის ციხის ქვეშ და ახლო მთების ფერდობებით თავასა-ქვა-
ციხეს მიემართება. სამწუხაროდ აგრე მრავალმეტყველი საზანოს
ციხე ვერა ვნახე... ვერ გვიჩვენეს... „საზანო“ შესანიშნავია სკანდა-
შორაპნის სასაზღვრო ხაზზე.. ეგრები რომ უფრო გვიან (თუ უფრო
ადრე?) არიან გამოსული პოლიტიკური ჰეგემონობის სარბიელზე,
თითქო იმის მოწმობაა არა იმდენად საზანო, რამდენად ზ ა ნ ა თ ი,
ზ ა ნ ა, და სხვა ასეთი სახელები აწინდელი ოდიშის ტერიტორიაზე

(მეგრულად გაფორმებული საგეოგრაფიო სახელები ზან ტომის ფუძით)...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თერჯოლას ჩამოვუარეთ, თბილის-ქუთაისის შარაზე ავმოვედით და ციხურა მოვინახულეთ. ციხურა, ასე მეჩვენება, რომაულ-ბიზანტური ხანის ნახელავია, რა თქმა უნდა იმ სახით, როგორც ის დღეს წარმოგვიდგება. ციხურაზე მოპოვებული არქეოლოგიური ნაშთები უძველესი ხანისაც გვხვდება, მაგრამ ეს იმის მოწმობაა, რომ აქ გორა იყო მდინარის პირას (ჩოლაბური), ხოლო შემდეგ იგი რომაელებმა გამოიყენეს: სიმაგრედ აქციეს; ორმაგი თხრილი ზვინულებით შემოავლეს. ეს არ ჩანს რომ სახელდახელო სადგომი იყოს რომაული ჯარისა, ის ხანგრძლივ ჯდომას გულისხმობს. შეიძლება შორაპნის საპირისპიროდ აგებული „ციხეა"... ასეა თუ ისე, ციხურა ერთ-ერთი მეტყველი ნაკვალევია რომ-ბიზანტიის ხანიდან კასტირ-ისულეთ-ნაბანაკევის გვერდით. შეიძლება ცნობა იმის შესახებ, რომ თომა არმენიელმა იმპერატორის ბრძანებით მრავლად ააგო სიმაგრეები ლაზიკაში, ასეთ სიმაგრეებს შეეხება (ტარიელს[5] აქვს ციხურაზე ანაკრეფი მასალა. ნინას ჰქონდა ნიღბიანი ოქროს ბეჭედი...). ოთარს ციხე ავაზომინე.

25. IX. გასვლა X

დღეს ვისვენებ: ნინა საკაჟიას გამოქვაბულის ასაზომად წავიდა, ოთარი თან წაიყვანა... სახლში ბევრი საქმე მაქვს. დღის ბოლოს ვოწამეთას წავედი (იქვეა საკაჟია). შესანიშნავი ადგილია წყალწითელას მიერ შექმნილი ნახევარკუნძული. უეჭველია, ადრეფეოდალური ხანის ძეგლი (დღეს იქ საამისო არაფერია). საყურადღებოა ტერმინი მოწამეთა (არგვეთის გვერდით): მსაზღვრელის გასუბსტანტივება...

26. IX. გასვლა XI

ამას წინათ ბაღდადში რომ ვიყავი, ღრუბლიანი დღე იყო, დიმს ვერც კი შევხედე. აქაურებმა დიმში ციხის შესახებ არაფერი იცოდნენ.

---

[5] ტარიელ ჩუბინაშვილი, ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეონტის ცნობა შორაპნისა და დიმნას მშენებლობის შესახებ ფარნავაზის მიერ არ მასვენებდა და გადავწყვიტე დიმს წავიდე, როგორც კი ამინდი იქნება. შემთხვევით, გიორგი ცქიტიშვილს თავის სადისერტაციო შრომასთან დაკავშირებით დიმის მოხილვა გადაუწყვეტია. ჩემთან მოვიდა და სასიამოვნო ცნობა მოიტანა, რომ დიმის „ციხე" იპოვნა...

წავედით. ნანუთის ქედის შტო. ერთი ძნელად მისადგომი გორა. ადგილობრივ ამ ადგილს ნაციხარს და ყელს უწოდებენ. კოლექტივიზაციამდე ეს გორა ტყით ყოფილა დაბურული და არც ციხე ჩანდა. მაინცდამაინც დიმის ციხე წერილობითმა წყაროებმა არ იცის. ადგილობრივი მცხოვრებლები (გარუჩავა, ჩხეტია...) გვიმოწმებენ, რომ აქ, ამ გორაზე და მის ფერდობებზე მიწის მუშაობის დროს უხვად პოულობენ რკინის ნივთებს: თოხებს, შუბის პირებს და სხვ. აგრეთვე მძივებს და კერამიკას (გიორგიმ ჩაიწერა).

ყველაფრიდან ჩანს რომ ეს გორა ძველი სამოსახლო ყოფილა და მისი სახელი დიმნი ყოფილა. ლეონტის ცნობა იმ მხრით მაინც სარწმუნო ჩანს, რომ მის დროს არსებობდა ტრადიცია შორაპნისა და დიმნის შესახებ და ამ ტრადიციას მხარს უჭერდა იმ დროის შორაპანი და დიმნი... დიმნის აღმოჩენით ქართული ტრადიციის სანდოობა მატულობს. ან კი რა მოტივი შეიძლება მოიძებნოს, რომ ლეონტიმ ბერძნული ცნობებით ლაზების მიერ აგებული შორაპანი ფარნავაზ იბერს მიაწერა? — არავითარი, გარდა იმისა, რომ ამ დროს ცოცხალი იყო გადმოცემა ფარნავაზ იბერის მშენებლობის შესახებ არგვეთში... მაგრამ არც იმის მოტივია ადვილმოსაძებნი, თითქოს ლაზებმა მიიჩემეს ფარნავაზის ნაშენები და ლაზთა აგებულად გამოაცხადეს... შორაპანიც და დიმნიც, როგორც ჩანს, ჯერ ისევ წინაკლასობრივი დროის გორაებია და ამდენადვე — ზანური ტომის საცხოვრისი... იბერიის დიდი ექსპანსიის ხანაში („ფარნავაზის ეპოქა"), შესაძლებელია ამ გორაებს იბერიელები დაეუფლენ, ციხე-ქალაქებად აქციეს და შემდგომი ექსპანსიისათვის საყრდენ პუნქტებად გაიხადეს... შემდეგ, იბერიის დასუსტებისას, ისინი ისევ კოლხთა ხელში აღმოჩნდა და ლაზებმა ის შეინარჩუნეს კიდევაც... ასეა თუ ისე (ამას არქეოლოგია დაადასტურებს) დიმნი დადგენილია. საინტერესოა თვით სახელი „დიმნი" — მრავლობითი რიცხვით წარმოდგენილი (იბერული ფორმა? დმანისი, დუმანი, ტბა ჯავახეთში, დუმალა არგვეთში, ჯავახეთში...?).

აქვე საინტერესოა „ყ ე ლ ი". ცხადი ნიშანი, რომ აქ გზა გადიოდა და როგორც გვიმოწმებენ და რელიეფიც გვეუბნება, ეს გზა

ხანისწყლის ხეობიდან აქ ობჩაში შევიდოდა და სვირ-
კვალით — ფუთით იბერიისაკენ მიემართებო-
და (ფაზისის ერთი (მთავარი) ტრაქტი ვარციხეზე წავიდოდა და ვან-
ზე გავლით, ფაზისის სამხრეთით, „რომისაკენ“ მიიმართებოდა, მე-
ორე კი — ობჩა-დიმით)...

ბალდათის ციხე (თხმელის ციხე) მე ძველი არ მეჩვენა. მაინც-
დამაინც საამისოდ მეტი ნიშნების მოპოვება იქნებოდა საჭირო, ჯერ
კი ის ისევ ოსმალთა ციხედ რჩება (1723 წ.), ჩვენი გამჩანაგებელი,
ტყვეთა გასასყიდ პუნქტად...

27. IX. ზასვლა XII

ციხურის აზომვა დაგვაკლდა... შორაპანსაც ვნახავ. ვიდრე გი-
ორგი, ოთარი და დევი ციხურას ზომავდნენ, მე ის აზრი მიმტკიც-
დება, რომ ეს პუნქტი გორა იყო ძველი კოლხური და რომაელებ-
მა ბანაკად გადააკეთეს. გალმა, სვირის ბოლოზე გიორგიმ გორა
შენიშნა, ცოტა ხნის შემდეგ, იქვე არც თუ დიდად შორს, მე შევნი-
შნე კიდევ უფრო რელიეფურად გამოსახული გორა, — ყელგადა-
ჭრილი, განმხოლოებული...

შორაპანი რომ ციხეს გარდა ქალაქიც იყო, მე დღეს უფრო
მეტად დავრწმუნდი და საკმაოდ მოზრდილი ქალაქიც. ციხე ამ ქა-
ლაქისაგან გამოყოფილი იყო და თავის მხრივ ორ ნაწილად იყო-
ფოდა: ციხე და დედა-ციხე. სიმონ ყაუხჩიშვილს ის საფუძვლიანად
მოუსინჯავს არქეოლოგიურად, ყველაფერი მოწმობს სიძველეს,
ესაა ოღონდ, რომ ძველი უძველესისა და ნაგვიანევისაგან გარჩე-
ული არაა (ამას შემდგომში შესწავლა გაარკვევს). ჩემს წინაშე კი
ახლა ის საკითხია: თუ აქ ქალაქი იყო, სად და რა იყო მისი „სა-
მოქალაქო“, მისი ქვეყანა. ამისათვის თავდაპირველად უნდა
გვცოდნოდა, თუ ვისი იყო იგი. თუ ის ლაზებისა იყო, მისი ქვეყანა
დასავლეთით უნდა ყოფილიყო (ულევ-საღვინე, ან ფუთ-ვაჭევ-დი-
ლიკაური ვერაფერი სამოქალაქო ქვეყანაა...) ასეთი რამ შეიძლება
აწინდელი ქვედა საქარა და ზესტაფონ-კვალითი ყოფილიყო...
ასე რომ, თუ შორაპანი იბერიელთა ციხე იყო, მაშინ მისი სამო-
ქალაქოც იბერიელების უნდა ყოფილიყო. ეს კი საეჭვოა. მაინცდა-
მაინც ბერძნული ცნობები საეჭვო ჩანან იმ მხრით, რომ შორაპნის
გარშემო არაფერი სიკეთე არ მოდის. უნდა ვიფიქროთ ცნობა შე-
დგენილია ტენდენციური მოხსენების საფუძველზე... საყურადღე-

ბოა, რომ შ ო რ ა პ ა ნ ი და დ ი მ ნ ა, განსხვავებით სხვა იმ დროის საგეოგრაფიო სახელებისაგან, ნარიანი მრავლობითით არის წარმოდგენილი და არა ები, ეფი-თ, როგორც ეს უფრო მოსალოდნელი იყო ზანურ სამყაროში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასანიანთა სპარსეთს, იბერიის დაპყრობით, რომაელთა წინააღმდეგ საომარი პოზიციები მკვეთრად გაუუმჯობესდა. იბერია ღრმად იყო შემოჭრილი ლაზიკაში და იმ უკანასკნელის დაპყრობა დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა, რაკი სპარსეთი იბერიას დაეუფლა. თავისი ქვეყნის ფასი, ამ თვალსაზრისით, ლაზებმაც კარგად იცოდნენ და სპარსელებმაც. მაგრამ სპარსელები საამისო ნაბიჯებს ერიდებოდნენ, ვიდრე იბერია პოლიტიკურ თავისთავადობას ინარჩუნებდა და სპარსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას ებრძოდა.

მაგრამ მდგომარეობა ერთბაშად შეიცვალა, მას შემდეგ, რაც სპარსეთმა იბერია და პერსარმენია დასძლია და ამ ქვეყნების ინკორპორაცია განიზრახა... რომს სხვა გზა არ დარჩენოდა, თუ არა წინასწარი ღონისძიების მიღება შესაძლებელი ხიფათის (უკეთ კარზე მომდგარი) წინააღმდეგ. ეს ღონისძიება იუსტინიანემ დასახა (ჯარის შეყვანა მოკავშირე ლაზიკაში... ციხეების და ქალაქების აგება... პეტრას აგება ბიზანტიის თავდაცვის მომენტს გულისხმობს იმ „უდაბურ ადგილას“)... მართლაცდა იბერია პოლიტიკურ-ტერიტორიულად უშუალოდ ესაზღვრებოდა მუხერის-სამოქალაქოს, ხოლო ეთნიკურად ვითარება კიდევ უფრო შორს იყო წასული და ბაღდათ-ვანი-საჯავახო-გურია, ქართლის (იბერიელ) მოახალშენეთა სარბიელი ჩანდა (აქ უნდა ტოპონომიკური დაკვირვებანი...). ამავე დროს არგვეთი რაჭაშიაც შეჭრილიყო...

მებრძოლმა მხარეებმა სწორად შეაფასეს პოზიცია და დაიწყო გადამწყვეტი ომი ლაზიკისათვის... არც ერთი მხარე არაფერს ერიდებოდა: ჯ ა რ ი ს უ კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ა (ბევრ საძარცვავს ბუნებრივია ველარაფერს პოულობდნენ ყოველწლივ გაძარცულ ქვეყანაში), გ ა რ შ ე მ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი ს მ ძ ი მ ე დ დ ა ხ ა რ კ ვ ა დიდი ჯარის შესანახად, მ რ ა ვ ა ლ რ ი ც ხ ო ვ ა ნ ი ჯ ა რ ი ს ა თ ვ ი ს ციხეების და ბ ა ნ ა კ ე ბ ი ს ა გ ე ბ ა (დიდ გზებსა და რიონის პირებზე ბანაკების აგება). ჯარი შედარებით მცირე რაზმებად უნდა დაენაწილებინათ, ამას მოითხოვდა სხვას გარდა (სამხედრო თვალსაზრისი) ჯარის რჩენის საკითხი, დიდი ფ უ ლ ა დ ი ხ ა რ ჯ ე ბ ი (ჯარის დასაქირავებლად, არისტოკრატიის მოსასყიდად, მეფედიდკაცების რუგა და სხვა). უცნაურია: რატომ მეტი რაოდენობით

არ მოიპოვება სპარსულ-ბიზანტიური ფულების განძები ამ დროიდან...

(ამრიგად ქვეყნის ისტორიული გეოგრაფიის გათვალისწინებით ნათელი ხდება ისტორიული სურათი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

28. IX. გასვლა XIII

ვანში მისვლა ბალდადიდან მინდოდა, მაგრამ უგზოზე მიმოსვლამ მორალურად ისე მომქანცა, რომ უარი ვთქვი, როგორც კი შევიტყე, რომ ის გზა სრულიად მოუვლელია, სამტრედიაზე გავლით წავედი. რიონის სამხრეთით გზა ტობანიერამდე ვიწრო ზოლს მისდევს და მოსახლეობაც ასეა — ლენტივით, ან მცირედ შეჭრილი ხევებში და სერებზე; დაბლაგომის ნამოსახლარი თავისი ნაციხვარით, შუამთის გორიკა და სხვა... აქ შემთხვევით მონაპოვარი არქეოლოგიური მასალა, უეჭველს ყოფს, რომ რიონის სამხრეთის ამ ზოლში მოსახლეობა ძველ დროსვე ყოფილა. დაბლაგომიდან გზა ცივწყალათი ოფეთ-საჯავახოში შედიოდა, რომლის ბოლოს ნოღა და ციხე ტოლები იყო პეტრასაკენ მიმავალ გზაზე...

ვანის (—ციხესულორი) ქვეყანა სრულიად გარკვევით გამოიყოფა დიმ-ფერსათის და ვარდციხის ქვეყნისაგან (სამწუხაროდ მე ამ ქვეყანაზე გავლა ამჯერად არ მომიხერხდა) და გვიანი ხანის საჩიჯავაძოს უდრის (მისი აღმოსავლეთ კიდური სოფელი ბაგინეთია). უნდა მოხილულ იქნეს ეს მიკროქვეყნები: სალომინაო და სხვა, გასარკვევია ვანის და ვარდციხის ურთიერთობა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი ერთი ეპოქისანი არ არიან, რომ ვანი უფრო ადრინდელი ხანის ქალაქია, ხოლო ვარდციხე უფრო ნაგვიანევი (არქეოლოგიური შესწავლა უნდა).

ასეა თუ ისე ვანი, როგორც ეს აქამდე მოპოვებული არქეოლოგიური მასალიდან ჩანს, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის პუნქტი უნდა ყოფილიყო ანტიკურ ხანაში და მის უწინარეს... საეჭვოა ოღონდ, რომ ის იმ დროის კოლხეთის პოლიტიკური ცენტრი ყოფილიყოს. მაინცდამაინც ამაზე საფუძვლიანი მსჯელობა მაშინ შეიძლება, როცა ქუთათისი, ვარდციხე და ნაქალაქევი არქეოლოგიურად თანაბრად შესწავლილი იქნებიან. ბევრი რამ მოწმობს რომ ეს იყო საკმაოდ მოზრდილი ქალაქი, ფრიად გამაგრებული, მდიდარი, არისტოკრატიით... ისიც უდავოდ ჩანს, რომ ვანს უმჭიდროესი კავშირი ჰქონდა დასავლეთის სამყაროსთან (ელინურსა და ელინისტურ სამყაროსთან), ისევე როგორც დაბლაგომსაც... მაგრამ ყველაფერი ეს ცოტაა იმისათვის, რომ ავხსნათ ვანის აგრე და-

წინაურებულობა... მაგრამ თუ დავუშვებდით, რომ ვანის ქვეყანა მო-
იცავდა აღმოსავლეთით მდებარე ფერსათის ქვეყანასაც... ეს
უნდა ყოფილიყო). ვანის ქვეყნიდან გზა საჯავახოში ორ
ფიქრებელია, გადაივლიდა და აქედან სუფსის ქვეყანაში შედიოდა
საყვავისტყე-ციხე-ჩოხატაურით ერკეთ-ხიდისთავზე...

მეტყველია ვანის მიდამოში „ბაში“, რიონის გაღმა, შეიძლება
აქ იყო სადღაც „მ ი ქ ე ლ ფ ო ნ ი“ (და ვინ იცის, ეს ცოდნა გამო-
იყენეს ლაზებმა, დაგისთეს ჯარს რომ შეუერთდნენ სპარსელებისა-
თვის მოულოდნელად).

რაც არ უნდა იყოს, დამახასიათებელია, რომ ვან-დაბლაგომი-
დან მოკიდებული ფიქვნარამდე (და პეტრამდე) არაფერი გვხვდე-
ბა ღირსშესანიშნავი რიონის სამხრეთით, მაგრამ როგორც ვან-და-
ბლაგომი, ისე ფიქვნარი უძველესი ქალაქური მოსახლეობაა, მაშინ
როცა რიონის ჩრდილოეთი მხარე უფრო ნაგვიანევად გამოიყურება
(არქეოლოგია იტყვის). ხომ არ არის ეს მოვლენა იმის მოწმობა,
რომ ოდესმე ჰეგემონობდა რიონს სამხრეთი („კოლხეთი“), ხოლო
შემდეგ პირველობა ჯერ ზანურმა ტომმა, ხოლო შემდეგ მეგრულმა
იგდო ხელთ... დამახასიათებელია, რომ ადგილობრივ, არგონავტების
ლაშქრობის ერთი ეპიზოდი, ოქროს საწმისიანი ვერძის ტყავი, რი-
ონის სამხრეთისათვის დაუკავშირებიათ (და პროკოპი ცდილობს გა-
აქარწყლოს ეს შეხედულება)...

ვნახეთ ვანის გათხრები, გამთხრელებიც... (ვანზე სხვა დროს...).

ჩემი დროც ამოიწურა. დღეს ვისვენებ და ხვალ თბილისში
დავბრუნდები. ამოცანა კი, არათუ ვერ შევასრულე, ის მხოლოდ
დასაწყისშია: ლ ა ზ ი კ ი ს ი ს ტ ო რ ი უ ლ ი გ ე ო გ რ ა ფ ი ა
ა დ რ ე ფ ე ო დ ა ლ უ რ ხ ა ნ ა შ ი. ქვეყანა უაღრესად მდიდარია
ამ ხანის ძეგლებით და ბერძნულ წყაროებს, როგორც ირკვევა, ამ
ძეგლების დიდი ნაწილი მოხსენებულიც არა აქვთ. საჭიროა ზედ-
მიწევნით მოვლა, აღრიცხვა, რაც ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს
(აღნიშნულია მთის წვერზე ციხეები, გუბაზი რომ თავს აფარებ-
და, აღნიშნულია „მიწის ციხეები“, რომაელი და სპარსელი ჯარები
რომ ბანაკობდნენ, აღნიშნულია „მრავალი ციხესიმაგრე“ რომაელე-
ბი რომ აგებდნენ, აღნიშნულია გზები სხვადასხვა მიმართულებით,
ქვეყნის შიგნით და მის გარეთ მიმავალი, დახასიათებულია ეს გზე-
ბი, ოღონდაც ერთი ეს ობიექტი სახელდებით მოხსენიებული არაა.
ეს უნდა ჩვენ დავადგინოთ, რაც ყოვლად შესაძლებელია, და გავშა-
ლოთ ის ცხოველი ისტორიული ეპოქა დასავლეთ საქართველოს
ცხოვრებისა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გურიაში გავიპარე. გული არ დამიდგა მენახა ჩემი სამშობლო კუთხე, ნაცნობი ადგილები, ტოლების ციხე, ნოლა და საჯავახო. როგორი პატარა და შეკრული ქვეყანაა. ალბათ ეგეც „ცენტრი „ოჩე“ თუ იყო (ან ორკე?!). მალე „სუფსის ქვეყანაში“ გადავედი. ეს უფრო მოზრდილი ქვეყანაა, სად იყო მისი „ცენტრი“ — დასადგენია...

ვნახე ჩემი ჩოხატაური... არც ერთი ნაცნობი. სახლებიც კი სულ ახალია. თითქო უცხო ქვეყანაში ვარ, ან უკეთ გარიყული ვარ. ჩემი სკოლა ვნახე. გადარჩენილია, მაგრამ რაღაც სხვა დაწესებულებაა შიგ... აქ ახალი ცხოვრებაა, უჩემო ცხოვრება... და მეც სწრაფად უკან დავბრუნდი, ჩემი ეზოც, ჩემი სოფელიც კი არ მინახავს. ან რა აზრი აქვს: იქაც ასე ყველაფერი ახალი იქნება, მე კი უცხო...

მაგრამ უცხო და „გარიყული“ არა იდეური გაგებით, არამედ ფიზიკური გაგებით: იდეურად, სიახლეში მე, რა თქმა უნდა, ახალთან ვარ და შეიძლება უფრო „ახალიც“ ვიდრე ეს ჩემი სოფელი, მაგრამ მე ამ სოფლის მხოლოდ ძველს შევეზარდე და მის განახლებაში მონაწილეობა არ მიმიღია... ეს ქმნის „კონფლიქტს“. ერთი სიტყვით, მომაწვა მოგონებანი და უკაცოდ უტოლ-ნაცნობოდ ისინი კიდევ უფრო დამძიმდნენ... გართობა-ლხინის, თამაშის, თუ შრომის, ან გლოვის ადგილები, ყველა ერთნაირის ნაღვლით მაგონებდნენ თავს და ეს იმიტომ, რომ აღარსად იყვნენ ჩემი ლხენისა თუ გლოვის მონაწილენი. შალვას[6] ძეგლია თითქო ყველას სიმბოლო.

არავის დავმშვიდობებივარ (არავინ იყო) ისე გამოვბრუნდი ჩემი ჩოხატაურიდან, სადაც მე ჩემი ყმაწვილობის საუკეთესო წლები გავატარე...

ქუთაისში დავბრუნდი. პეტრე ჭაბუკიანი მოვიდა და მაცნობა, რომ ისეთივე ნაბანაკევი, მე რომ აღმოვაჩინე (და მას ვუჩვენე), ყოფილა თითქოს იანეთში, სადაც ყვაპის წყალი ერთვის რიონსო...

ამხელად მე მას ვერ ვნახავ... შემდგომი მოსვლისას ალბათ...

P. S. ქუთაისი

30. IX.

გელათში მუზეუმის მუშაკები და ინსტიტუტის მეგობრები შეხვედრას გვიწყობენ, სიამოვნებით წავალ (თუმცა შეუძლოდ ვარ).

---

6 შალვა ძნელაძე. მხატვარი, ავტორის ბავშვობის მეგობარი.

ავალ გელათში და ერთხელ კიდევ ვნახავ გოლიათის საფლავის ქვას, გოლიათურად გაშოლტილ დავითს კარიბჭის გარდიგარდმო... ვნახავ და კაცური კაცობის სიამაყეს ვიგრძნობ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

[შენიშვნები ლაზიკის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ]

1. გ ე ო რ გ ი კ ა II, პროკოპი, გვ. 72—82

ლაზებს მიაჩნიათ, რომ მათი სამეფო კოლხთა სამეფოს გაგრძელებაა, რომ ლაზები პირდაპირი, ჩამომავლობითი და არამხოლოდ პოლიტიკური მემკვიდრენი არიან კოლხეთის სამეფოსი და კოლხთა, რომ, მაშასადამე, ძველი კოლხიდა მათ აქვე ეგულებათ, რომ მათი „ს ა მ ე ფ ო უ ძ ვ ე ლ ე ს ი ა“; რომ ძველად (გულისხმობენ კოლხთა სამეფოს დროს) ისინი ს პ ა რ ს თ ა მ ო კ ა ვ შ ი რ ე ნ ი ყ ო ფ ი ლ ა ნ, რომ შემდეგ ხანებში ლაზთა წინაპრებს მოუხდათ რომაელებთან კ ა ვ შ ი რ ი ს შ ე კ ვ რ ა, ამის მიზეზი არ იციან. ჩანს ძველად ყოფილა.

ლაზები ვაჭრობას კ ე თ ი ლ შ ო ბ ი ლ ს ა ქ მ ე დ ს თ ვ ლ ი ა ნ, მათ ცხოველი ვაჭრობა ჰქონდათ პონტოს რომაელებთან...

ჯარის ჩაყენებამ და სავაჭრო მონოპოლიამ შეაწუხა და შეურაცხყო აქამდე თავისუფალი ლაზები...

მათ შესანიშნავად ესმით რომისა და სპარსეთის ქიშპი, ჩრდილოეთიდან მომდგარი მომთაბარენი და ლაზეთის, როგორც საფარის მნიშვნელობა როგორც რომის, ისე სპარსეთისათვის...

სად, რომელი გადმოსავლები, იგულისხმება, უნდა დაეცვათ ლაზებს? (ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს მ თ ე ბ ი დ ა ნ გ ა დ მ ო ს ა ვ ლ ე ბ ი ე ა ზ ღ ვ ი ს პ ი რ ი ს გ ზ ა) ამ გზების დაცვა ევალებოდა, უნდა ვიფიქროთ, აფხაზეთის კედელს, რომელიც ჩანს იმან გაავლო, ვინც ამ ქვეყნების ბუფერული ქვეყნის — ლაზიკის — დაპყრობა გადაწყვიტა და გადმოსავლების დაცვა თავის ხელში აიღო. ეს კედელი ერთიანად კეტავდა სამივე გადმოსავალს: ზღვისას თუ მთებისას. რჩებოდა ერთი გზა „თ ა კ ვ ე რ ი ს გ ზ ა“, რომელიც დაუცველი იყო და სვანეთ-ლეჩხუმით შემოდიოდა მოხერისში. ამით აიხსნება სპარსელების დიდი ინტერესი სვანეთისადმი (ბიზანტიონში მისასვლელი ასტრახან-დნეპრით თვით თურქთა ხელმწიფეებისათვის ამ დროს კარგად იყო ცნობილი...).

და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა: ლ ა ზ ე ბ ი თ ა ვ ი ს წ ი ნ ა პ ა რ კ ო ლ ხ ე ბ ს დ ა კ ო ლ ხ ე თ ს ს ხ ვ ა გ ა ნ კ ი არა, ამავე ტერიტორიაზე გულისხმობენ (sic!).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. გეორგიკა II, პროკოპი, გვ. 100

გულისხმობს კავკასიონის დასავლეთს: „აქ ბევრი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს, მათ შორის ალანებიც და აბასგებიც, რომლებიც ქრისტიანები არიან და ძველთაგანვე რომაელთა მეგობრები. აგრეთვე ზიქნიც და მათ შემდეგ ჰუნნებიც, რომელთაც საბირები ეწოდებათ“.

ერთი სიტყვით, კავკასიონის დასავლეთ ნაწილში „კავკასიანნი“ (ქართული წყაროებით) ცხოვრობენ, მასში შედიან ალანები, აბასგები, ზიქნი და ჰუნნები.

განსაკუთრებით ყურადღებამისაქცევია, რომ პროკოპი აბასგებს ტომების ამ (კავკასიანთა) ჯგუფში იხსენიებს, და იგულისხმება, ლაზებისაგან აშკარად გამოყოფს. და ეს მიუხედავად იმისა, რომ აბასგები ლაზებივით ქრისტიანები არიან და ძველთაგანვე რომაელების მეგობრები.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ციტატის აზრი, ან უკეთ, ის გაგება, რომელსაც ეს ციტატი ემყარება, იგივეა, რაც შემდეგ გამოთქმული აქვს ლეონტი მროველს, რომ მაშასადამე, შეიძლება ვიფიქროთ, პროკოპი კესარიელის თუ მისი წყაროს წარმოდგენა კავკასიის მოსახლეობაზე ისეთივეა, როგორც ლეონტის (სომხები, იბერები, ლაზები... და კავკასიანები. საინტერესოა, რომ ამ ბევრ ტომს შორის პროკოპი არ უთითებს აფშილებს), რომ აბასგები კავკასიანთა (მთიელ) ტომთაგანია, სადაც მრავალი ასეთივე ტომი ცხოვრობს, რომელთაგან აბასგები ქრისტიანობით და რომაელთა მეგობრობით გამოირჩევიან (ციტატში ქრისტიანობა შეეხება მხოლოდ აბასგებს და არა ალანებს: ალანები IX—X საუკუნეში ქრისტიანდებიან).

3. გეორგიკა II, პროკოპი, გვ. 100—102

ასწერს ბოასს, რომელიც შემდეგ ფაზისად გადაიქცევა (ჩანს შტაბში წარმოდგენილ მოხსენებათა საფუძველზე აღგენს თავის მოთხრობას და ერთიმეორეში ურევს ცნობებს...) და განაგრძობს, რომ ფაზისი „განაგრძობს მდინარეობას, ნაოსნობისათვის გამოსადეგი ვიდრე ევქსინად წოდებულ ზღვამდე, სადაც მისი შესართავია, და მის ორივე მხრით ლაზიკე არის. მაგრამ მარჯვნივ მთელი ის ქვეყანა დიდ მანძილზე ვიდრე იბერიის საზღვრამდე დასახლებულია ადგილობრივი მცხოვრებლებით. ლაზთა სოფლები ხომ აქ ყველა მდებარეობს მდინარის აქეთა ნა-

პირას და ქალაქებიც მათ ძველითგანვე აქ აუშენებიათ, მათ შორის არის არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული, სევასტოპოლიც ასევე. იქ და პიტიუნტის სიმაგრეც, ხოლო სკანდა და სარაპანა ... საზღვრებისაკენ. ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის აქ როდოპოლისი და მოხირისი. მდინარის მარცხენივ, ისეთ მანძილზე, რომელსაც ერთ დღეში გაივლის მსუბუქად დატვირთული კაცი, ლაზიკის საზღვრებია, ხოლო ეს მხარე მოსახლეობას მოკლებული ჩანს. ამ მხარის მეზობლად რომაელები ცხოვრობენ, რომელთაც პონტოელები ეწოდებათ. ლაზიკის მიწა-წყალზე, იმ ადგილას, სადაც ადამიანებს არასოდეს არ უცხოვრიათ, იუსტინიანე მეფემ ჩემ დროს ქალაქი პეტრა გააშენა... ქალაქ პეტრადან პირდაპირ რომ მიდიხარ სამხრეთისაკენ, გვხვდება რომაელთა საზღვრები, აქ კი ადგილები მჭიდროდ არის დასახლებული: რიზედ წოდებული და ათინა და ზოგი სხვა ვიდრე ტრაპეზუნტამდე".

როგორც დამახინჯებული არ უნდა იყოს ეს ადგილი, ის მაინც უდავოა რომ ლაზიკის სამხრეთი ნაწილი, ყვირილა-რიონის მარცხენა ნაწილი, პროკოპის სუსტად დასახლებულად ეჩვენება. და ეს მართლაც ჩანს. მაინცდამაინც ლაზიკის ეკონომიური, თუ პოლიტიკური ღონე მართლაც ყვირილა-რიონის ჩრდილო (მარჯვენა) მხარესაა... პროკოპი შეცდომით ასახელებს ყვირილის მარჯვნით როდოპოლისს (მოხერისის გვერდით მეორე შესანიშნავ ქალაქს), რომელიც სწორედ ამ მდინარის მარცხნით იყო, ასევე არ ასახელებს ტელეფისის ციხეს, რომელიც როგორც ჩანს რიონის მარცხნით იყო. არ ასახელებს ვაშნარს, რომელიც, როგორც არქეოლოგიური შესწავლა ამტკიცებს, სწორედ ამ დროს მნიშვნელოვანი პუნქტი უნდა ყოფილიყო... ჩანს, პროკოპიმ მიწოდებული ცნობები ვერ გამოიყენა სრულად და სისწორით, ან ცნობები ვერ მიაწოდეს სწორად....

ზოგადი მსჯელობა კი ფაზისის მარჯვენა და მარცხენას განსხვავებულობის შესახებ კატეგორიულია და საერთოდ დამაჯერებლად გამოიყურება. უცნაურია მხოლოდ და არც მიზეზია სადმე ნაჩვენები ასეთი განსხვავებულობის. ჩვენ ვერ ვიფიქრებთ, რა თქმა უნდა, რომ ეს მოვლენა იმთავიდანვე ასევე იყო და რიონის სამხრეთი ლაზიკა იმთავითვე მოუშენებელი იყო. სამწუხაროდ ლაზიკის ეს მხარე არქეოლოგიურად მეტისმეტად სუსტად არის შესწავლილი, მაგრამ რაც დოკუმენტურად ვიცით, ისიც საკმაოა იმის უარსაყოფად, რომ ეს მხარე სრულიადაც ასე გაუდაბურებული არ ყოფილა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმთავითვე. რომ აქ გვიანი ბრინჯაოს (ხევი, გოგოლეისუბანი, ცეცხლაური, ვაკისჯვარი, ხუცუბანი და სხვ.), ელინისტურის (ანუ ანტიკური წინა) და ანტიკური ხანის ძეგლები მნიშვნელოვანი პუნქტების სახით წარმოგვიდგება პეტრა, ფიჭვნარი, დაბლაგომი, ვანი, ურეკი. ასევე ცხადად მოჩანს ვაშნარი, — ეს ადრეფეოდალური ხანის მნიშვნელოვანი პუნქტი.

მაშასადამე პროკოპის მიერ აღნიშნული ვითარება ეს არის არა იმთავითვე მოცემული ფაქტი, არამედ რაღაც კონკრეტულ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებული ფაქტი. პროკოპი თითქოს გაგებაზავს, რომ ლაზებს რიონის მარჯვენა მხარისათვის მიუქცევიათ იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება (101)... შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს იყო შედეგი ლაზთა ტომის განსაკუთრებული დაწინაურებისა და ეს იმ დროს, როცა კოლხთა ჰეგემონობა შეარყია მითრიდატე-რომის ბატონობამ? ხომ არ მოიშალა კოლხიდა და რომმა ხომ არ წამოსწია კოლხეთის სხვადასხვა ტომები (divide...)— ლაზები, აფშილები, აბაზგები (არიანე...). (ეს, რა თქმა უნდა, ოდნავაც არ უპირისპირდება ფეოდალიზმის ჩასახვასთან სავარაუდო პროცესს...). ამ კონტექსტში ვაშნარის ვითარება დამაფიქრებელია... შეიძლება პროკოპის მიერ ამ პუნქტის მოუხსენებლობა მისთვის სათარიღო მომენტად გამოდგეს: რომ ამ დროს ეს პუნქტი ჯერ კიდევ რაიმე ღირსშესანიშნავს არაფერს წარმოადგენდა, რომ, მაშასადამე, ეს ქალაქი მისი ტაძრით VII—VIII საუკუნის ფაქტია, დამახასიათებელია, რომ „გურია“ არ იხსენიება პროკოპისთან ან აგათიასთან, მაშინ როცა მოქმედება სწორედ ამ ტერიტორიაზე მიმდინარეობს. „გურია“, საერთოდ რომ ვთქვათ, ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ეწოდება კინტრიშ-ნატანებსუფსის ბასეინებს. ამ ქვეყნის შუაგული, შეიძლება ვიფიქროთ, „გურიანი“ იყო. პეტრას დასავლეთით მცირე „ქვეყანა“ იყო ჭოროხამდე; ის შეიძლება ცალკე (მონათესავე) ტომის საცხოვრისიც ყოფილიყო. კინტრიშ-ნატანები კი ერთ ერთეულს — „ქვეყანას“ წარმოადგენდა, რომლის მიმართ სუფსის შუა და ზემო წელი განაპირს წარმოადგენდა, შეიძლება ტომობრივადაც რამოდენადმე განსხვავებულს. სხვა „ქვეყნის“ ნაწილი (თუ სხვა „ქვეყანა“ არა) იყო საჯავახოს წყლის (ხევის წყლის) ბასეინი (თითქო ვახუშტიც ასე ფიქრობდა...).

ისე ჩანს, რომ „გვიანი“ (ფეოდალურად გაერთიანებული) გურიის „ცენტრი“ არ იყო პეტრა-ფიჭვნარი: ეს პუნქტები ფეოდალურის წინა ხანისანი არიან...

ქვეყნის ფეოდალიზაციასთან ერთად, შესაძლებელია პეტრას — ბიზანტიელთა სტრატეგოსის რეზიდენციის — საწინააღმდეგოდ, ბიზანტიელთა დასუსტებასთან ერთად, წამოიწია გ უ რ ი ა ნ ი (ვამბარი), რომელმაც, შესაძლებელია, დასაბამი მისცა შემდგომში ფეოდალური გურიის გაერთიანებას. ამავე ხანებში შესაძლებელია შეიქმნა ხინოს საეპისკოპოსოც. სამი „ქვეყნის" კარგი მაჩვენებელია, რომელთაგან გურია შედგა: ჯ უ მ ა თ ი ს (სუფსის ქვეყანა) შ ე მ ო ქ მ ე დ ი ს (ნატანების ქვეყანა) და პ ა ტ ა რ ა-ხ ი ნ ო ს (კინტრიშის ქვეყანა) საეპისკოპოსოები...

4. გ ე ო რ გ ი კ ა II, პროკოპი, გვ. 112

მერმეროემ სამი ათასი მებრძოლი პეტრას დატოვა, „თვითონ კი მთელი დანარჩენი ჯარით უკან გაბრუნდა. რადგანაც მას, იმავე გზით იქითკენ მიმავალს, არაფერი საჭირო სახსარი აღარ ხვდებოდა, ყველაფერი კი, რაც ჯარმა იბერიიდან მოიტანა, პეტრაში დატოვა, გადასწყვიტა წასულიყო სხვა გზით, ი ქ ა უ რ მ თ ე ბ ზ ე, ს ა დ ა ც გ ა ი გ ო მ ა ნ, რ ო მ მ ც ხ ო ვ რ ე ბ ლ ე ბ ი ი ყ ვ ნ ე ნ, რათა ჯარისკაცებს შეძლებოდათ რბევით ერჩინათ თავი".

ცხადია, მერმეროე პეტრაში მისულა რიონის მარცხენა სანაპიროთი, მაგრამ არა მთების გზით, არამედ დაბლობით (ამ დაბლობშიაც, როგორც ჩანს, ვიწროები არ აკლდა...), სადაც მოსახლეობა არ იყო, ან მეტად თხლად იყო. ახლა უკან ბრუნდება, ცხადია, ისევ რიონის სამხრეთი ქვეყნით, მაგრამ მ თ ე ბ ი თ, სადაც მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა შერჩენილიყო. გამოდის, რომ რიონის მარცხნით უმთავრესად ბარის მოსახლეობა იყო აყრილი. და ა მ ა შ ი გ ა მ ო ი ხ ა ტ ე ბ ო დ ა ს წ ო რ ე დ კ უ ლ ტ უ რ უ ლ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს დ ა ც ე მ ა-გ ა უ ფ ა ს უ რ ე ბ ა. ლაზიკაში რომ ახლა პატივს არ სდებდნენ რიონის მარცხენა სანაპიროს (კოხლეთის სამხრეთს), ეს იმიტომ, რომ განვითარებულ ლაზიკის საზოგადოებას გავერანებულად ეჩვენებოდა (და ასეც იყო) უ ქ ა ლ ა ქ ო, ბ ა რ-ზ ე გ ნ ე ბ ი ს უ მ ო ს ა ხ ლ ო ქ ვ ე ყ ა ნ ა, გ ა უ დ ა ბ უ რ ე ბ უ ლ ი გ ზ ე ბ ი თ (ხოსროს და მერმეროეს გზა იბერიიდან პეტრამდე). სხვაგვარად რომ ითქვას: მთების ღრმა ხევებში მოსახლეობა კი არ გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ვ ს ა მ დ რ ო ს ქ ვ ე ყ ნ ი ს დ ა წ ი ნ ა უ რ ე ბ უ ლ ო ბ ა ს, ეს კი არაა წამყვანი და აქ კი არაა ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრი, ა რ ა მ ე დ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ გ ზ ე ბ ზ ე მ დ ე ბ ა რ ე ს ო ფ ლ ე ბ ს ა დ ა ქ ა ლ ა ქ ე ბ შ ი, ბ ა რ ი ს მ ე-

ურნეობაში, აღებმიცემობაში... ეს აღარაა სამხრეთ-კოლხეთში და ეს არის ჩრდილო კოლხეთში (მუხერის-სამ[illegible]ში, ჭყონდიდში, ფაზის-სევასტოპოლის ზღვისპირეთში, [illegible]ვის ქვეყანაში)...

5. გეორგიკა II, პროკოპი, გვ. 113

გუბაზი ფიქრობდაო „თუ სპარსელები დაძლევდნენ რომაელებს მდინარე ფაზისის იქით და ვიწრობის გადასვლას და პეტრაში მისვლას შეძლებდნენ, ვერავითარ ზიანს ლაზთა მიწა-წყალს ამით ვერ მიაყენებდნენ, რადგან ისინი ვერასგზით ვერ გადალახავდნენ ფაზისს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მათ ნავები არ ჰქონდათ... და მდინარის აქეთ (ე. ი. მარჯვენა სანაპიროზე) ყველგან სიმაგრეებიც გაუკეთებიათ ლაზებს. რათა ნავებით მომავალი მტრისათვის ხმელეთზე გადმოსვლა არ ყოფილიყო შესაძლებელი". უნდა მოიძებნოს ეს სიმაგრეები...

ემჩნევა, რომ ლაზები უმთავრეს ყურადღებას რიონის მარჯვენა ლაზიკას აქცევენ. ეს მხარე უფრო მოშენებულია. ყველაზე უფრო სავარაუდებელი ამის მიზეზი ის შეიძლება იყოს, რომ კარგა ხანია კოლხეთში პოლიტიკური ჰეგემონობა ერთი კოლხური ტომის ხელთაა, იმათ ხელთ, რომელნიც რიონის მარჯვნით ცხოვრობენ... აქვე შესაძლებელი ხდება იმის ვარაუდიც, რომ ელინისტური და მის უადრეს ხანის კოლხეთთან ამ გვიან კოლხეთს კავშირი (ისტორიული) გაწყვეტილი არ აქვს, მაგრამ ამ ორ ეპოქას შორის რაღაც დიდი ტეხილია: რიონის სამხრეთი ქვეყანა, რომელიც, როგორც ჩანს, წინ უსწრებდა ჩრდილოეთის მხარეს (ფიჭვნარი, დაბლაგომი, ვანი) ჩამორჩენილა, გაუდაბურებულა, მთავარი გზის მოსახლეობა აღგვილა და მთებშიღა შემორჩენილა. დამახასიათებელია: ქვეყნის წარმატებულობად ითვლება არა მთელი მოსახლეობა, არამედ ბარის მოსახლეობა, — ციხე-ქალაქები, გზისპირა სოფლები, ბარულ-ზეგნური მეურნეობა, სიმდიდრე-დოვლათიანობა აქ არის და არა მთაში. სამხრეთ-კოლხეთის დაზიანება სწორედ ამაში გამოიხატა ქალაქები და ბარის სოფლები გაქრა... როდის მოხდა ეს? რომაელების მიერ კოლხიდის დაპყრობის ხანაში? კოლხეთი დაანაწილეს მისი წინწამოწეული ნაწილი მძიმედ დაარბიეს, ხელმწიფობა მოშალეს საბოლოოდ, ჰეგემონი ტომის სიმტკიცე გატეხეს და სხვა კოლხური ტომი წინ წამოსწიეს (ლაზები), ქვეყანა დაანაწილეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. გეორგიკა II, პროკოპი, გვ. 115—117.

მერმეროემ რომ ხუთი ათასი კაცი კოლხეთში დატოვა, ეს ხუთი ათასი ლაზიკის საზღვრების მახლობლად მივიდა (ἐπεὶ ἐγγυτερω τῶν Λαζικῆς ἐσχάτων ἦλθον), ყველანი დაბანაკდნენ მდინარე ფასის გასწვრივ და იქიდან ჯგუფ-ჯგუფად უვლიდნენ იქაურ სოფლებს და არბევდნენ". უნდა გავიგოთ მხოლოდ ასე: მერმეროემ მთელი თავისი ლაშქრით რიონის სამხრეთით „სხვა გზით" „მთიან სოფლების" რბევით (შიდა გურიის გზით) აიარა. ლაზიკა-იბერიის საზღვარზე მისვლისას, ეს იყო უკვე ფაზისის (ე. ი. ყვირილის) სამხრეთი სანაპირო, ე. ი. აწინდელი ვანის ქვეყანა, ან ბაღდათის მხარე (იქნებ „აჯამეთში"-?), მან ხუთი ათასი კაცი დატოვა და ეს ჯარი იბერიის საზღვართან ახლოს ფაზისის გასწვრივ, მის მარცხენა მხარეს სარბევად მოედო. ასე რომ ეს უცნაური „ლაზიკის საზღვრების მახლობლად მივიდა" უპირისპირდება ნაგულისხმევ იბერიის საზღვრებს და არა ისე, რომ სპარსელთა ჯარი აქამდე ლაზიკაში არ ყოფილა...

ასე რომ ეს ეპიზოდი ხდება იბერია-ლაზიკის საზღვრის ახლოს, რიონ-ყვირილის მარცხენა სანაპიროზე. აქ, ჩანს, მოსახლეობა არც ისე თხლადაა. აქ სპარსელებმა ბანაკი დასცეს, ხოლო ათასი კაცი მზვერავ-გუშაგებად გაგზავნეს დასავლეთისაკენ. გუბაზმა, რომელიც, ჩანს, შორაპან-სკანდეს მიმართულებით ვიწროებს იცავდა, დაგისთე იხმო, რომელიც, უნდა ვიფიქროთ ფოთში იმყოფებოდა რომაელთა ჯარით, დაგისთე თავისი ჯარით რიონის სამხრეთი სანაპიროთი მოვიდა სადღაც ერთი დღის სავალზე სპარსელთა ბანაკიდან. ლაზები კი, რიონის ჩრდილო სანაპიროთი („საკუთრივ ლაზიკა") მოეშურებოდნენ მტერთან შესახვედრად. სადღაც ამავე ერთი დღის სავალზე სპარსელთა ბანაკიდან, ლაზებმა მდინარე გადმოლახეს ფონით (სად? აბაშის მიდამოში ალბათ, მიქელოფონი) და რომაელებს შეუერთდნენ — შეერთებული ჯარი თოთხმეტი ათასამდე იყო. რომაელ-ლაზებმა მტერი დაამარცხეს, „დიდ მანძილზე დაედევნენ მტერს და მიაღწიეს იბერიის სიღრმეში". აქ ისინი სპარსელთა სხვა ნაწილებს შეეჩეხნენ, დაამარცხეს და ხელთ იგდეს დიდი რაოდენობის სურსათი „რაც კი ბარბაროსებს იბერიიდან წამოეღოთ, რათა პეტრაში შემოეტანათ" (117). ეს ამბავი ხომ „იბერიის სიღრმეში" ხდება. აქ შეხვდნენ რომაელ-ლაზები „სხვა სპარსელებს". აქედან ცხადია არგვეთი იბერია არის (ეს ხომ ისეც ცხადი იყო სკანდა-შორა-

პანის ლოკალიზაციისას), მაგრამ ეს ის იბერია კი არაა, საიდანაც სურსათი მოაქვთ... (ეს იყო 550 წელს) (წიგნი 31, ფურც. 30, 36, 40, 42—44).

7. გეორგიკა II, გვ. 119

პროკოპი კესარიელი საჭიროდ სცნობს წინ წაუმძღვაროს თავის ისტორიას, ლაზიკაში 550 წლის შემდგომ ამბებისას, სპეციალური აღწერა იმისა, „თუ როგორ არიან ხალხები დასახლებული ეგრეთ წოდებულ ევქსინის პონტოზე"... რომ წამკითხველისათვის ნათლად წარმოსადგენი იყოს ლაზიკის ქვეყნები და ისიც, თუ რა ტომები მკვიდრობენ მის გარშემო (119).

პროკოპი ეკამათება ძველ მწერლებს, ამხელს მათი ცნობების მიუღებლობას, შეცდომებს, მითიურობას, ითვალისწინებს იმასაც, რომ „ამ ამბების დამწერთა შემდეგ მრავალი საუკუნე გავიდა, რომელმაც ბევრი ცვლილება შეიტანა არსებულ მდგომარეობაში, მომხდარ ამბებთან დაკავშირებით, როგორც მაგალითად; ხალხთა გადასახლებასთან და მმართველთა და სახელწოდებათა შეცვლასთან დაკავშირებით" (190)... „მე არ ვაქვეყნებ მითიურს, ან უაღრესად ძველ ცნობებს... არამედ ზედმიწევნით მოვიყვან იმ სახელებს და მოვლენებს, რომლებიც ამჟამად თითოეულ ამ ადგილს შეეფერება" (121).

როგორც ვხედავთ, პროკოპი საგანგებო ამოცანად ისახავს რეალური (არაწიგნური) ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობები მოგვაწოდოს VI საუკუნის პონტოს, კერძოდ, ლაზიკისა. იწყებს პონტოდან: „პონტოში რომ შედიხარ, მარჯვნივ ცხოვრობენ ბითვინიელები და მათი მეზობლები, ონორიატები და პაფლაგონელები, რომელთაც უჭირავთ ზღვისპირა ქალაქები ჰერაკლია და ამასტრისი და სხვა ადგილებიც; ამას შემდეგ ცხოვრობენ ეგრეთ წოდებული პონტოელები ვიდრე ტრაპეზუნტის ქალაქამდე და მის საზღვრებამდე... ტრაპეზუნტელთა საზღვრები ვრცელდება დაბა სუსურმენემდე და ეგრეთ წოდებული რიზემდე, რომელიც ლაზიკაში ზღვით მიმავალისათვის ორი დღის სავალი გზით არის დაშორებული ტრაპეზუნტს... ამ ადგილების მარჯვნივ აღმართულია ჭანეთის მთები. რომელთა გადაღმა რომაელთა ქვეშევრდომი არმენიელები ცხოვრობენ (92—93). ამ ჭანეთის მთებიდან ჩამოდის მდინარე, სახელად ბოასი, რომელიც მის შემდეგ რაც გამოივლის მრავალ ჭალას და

შემოუვლის მთაგორიან ადგილებს, ლაზიკის სოფლების მახლობ-
ლად გასწევს და ერთვის ეგრეთ წოდებულ
ევქსინის პონტოს, მაგრამ უკვე აღარ ეწოდება ბო-
ასი, ვინაიდან, როდესაც ის ზღვის მახლობლად მიდის; იცვ-
ლის ამ სახელს და იქიდან სხვა სახელწოდებას მიირქმევს: სახელ-
ის თავის მიმდევართაგან იძენს. მას სხვათა შორის
ადგილობრივი მცხოვრებლები აკამფსის უწო-
დებენ იმის გამო რომ მისი დამორჩილება, ზღვასთან შეერ-
თების ადგილას, შეუძლებელი ხდება (121—122)... ასე რომ პონტოს
ამ ადგილას მცურავნი ვერც შიგ ლაზიკეში ახერხებენ შენავებას,
ვერც იქიდან გამოსვლას და ვერც ახლოს გაცურვას, ვინაიდან არსად
არ შეუძლიათ დაიმორჩილონ წყლის მდინარება, არამედ
შორს უნდა ავიდნენ ზღვაში, სადმე შუა პონტოში მივიდნენ და ისე
აიცდინონ მდინარის შესართავი"... (123).

„რიზეს მოსდევს მიწა-წყალი ერთი ხალხისა, რო-
მელიც რომაელებსა და ლაზებს შორის მოსახლეობს. იქ მდებარე-
ობს ერთი სოფელი, სახელად ათინა... ათინის შემდეგ მდებარეობს
არქაბე და აფსარუც რომელიც კაი სამი დღის სავალი გზით
არის რიზეს მოშორებული. ის ძველად აფსურტად იწოდებოდა...
(და მოგვითხრობს მედეა — აფსირტეს მითს...) ამ აფ-
სირტეს საფლავი ქალაქის აღმოსავლეთით არის, ეს ქალა-
ქი ძველად მრავალმცხოვრებიანი ყოფილა. მას გარშემო უვლიდა
მრავალი კედელი და შემკული იყო თეატრითა და იპოდრომით და
მას მრავალი სხვა რამეც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ ქა-
ლაქის სიდიდის მომასწავებელია. ამჟამად აქიდან სხვა არა-
ფერია დარჩენილი, გარდა ნაშენობათა საძირკვლებისა.

ასე რომ გაკვირვების ღირსია ის, ვინც ამბობს, რომ კოლხები
ტრაპეზუნტელების მოსაზღვრე არიანო" (123—124).

„ამბობენ აგრეთვე, რომ რომაელთა თვითმპყრობელ ტრაიანეს
დროს, იქ (რიზე-გონიას ქვეყანა — ნ. ბ.) ვიდრე
ლაზებისა და სანიგების ქვეყნამდე დაფუძ-
ნებულ იქნა რომაელ ჯარისკაცთა რაზმები.
ამჟამად კი იქაური მცხოვრებლები არც რომაელთა და არც ლაზთა
ქვეშევრდომები არ არიან გარდა იმისა, რომ რადგან ისინი ქრის-
ტიანები არიან, ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენ მათ
მღვდელთმსახურებს" (125).

...„დღემდე ისინი არავითარ გადასახადს არ იხდიან" (125).

პროკოპი ცხად ცნობებს გვაწვდის, ამრიგად პონტოელებ-

ზე („ტრაპეზუნტის ქალაქამდე და მის საზღვრებამდე"), ტრაპეზუნტელთა საზღვრებზე (სუსურმენემდე და რიზემდე); რიზე-აფსარუნტს შორის (ან, შეიძლება, პეტრას მისადგომებამდე). პროკოპი საგანგებოდ აღნიშნავს „ერთ ხალხს", რომელიც რომაელებსა და ლაზებს შორის მოსახლეობს" (123). აღნიშნავს მათ დამოუკიდებლობას, ლაზებსა და რომაელებს შორის მოსახლეობას, მაგრამ, პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიუხედავად ისინი ლაზებთან უფრო ახლოს დგანან, ვიდრე რომაელებთან (ტრაპეზუნტელებთან): მღვდელთმსახურებს მათ უნიშნავენ ლაზთა ეპისკოპოსები. ვინ არის ეს ხალხი? პროკოპი მათ სახელს არ გვამცნობს. არიანეს დროს აქ თითქოს იგულისხმებიან სანები, მაკრონები, ენიოხები... სადღაც აქვე იგულისხმებიან დკრიტებიც...

პროკოპი კატეგორიულად უარყოფს, თითქოს ეს ხალხი (რიზე-ათინა-გონიას შორის) კოლხები ყოფილიყვნენ (ჩანს, ქსენოფონტეს ცნობას ეკამათება, არიანეს რომ აქვს დამოწმებული ტრაპეზუნტელები კოლხებს ესაზღვრებიანო).

ჩვენი დღეის მიზნებისათვის საინტერესო ისაა, რომ ლაზიკის პოლიტიკური საზღვრები ჭოროხამდე თუ მიდიოდა, ამ მდინარეს მაინც არ გადასცდებოდა. მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ პროკოპი ლაზთა საზღვრებს პეტრაზე გულისხმობს: „ქალაქ აფსარუნტიდან ქალაქ პეტრამდე და ლაზთა საზღვრებამდე, სადაც ევქსინის პონტო თავდება, ერთი დღის სავალი გზა არის..." (126). მაინცდამაინც ეს ტერიტორია აფსარუნტიდან პეტრამდე პროკოპის ეთნიკურ ლაზიკად არ წარმოუდგენია (თითქო ბათომის ქვეყანაა... „თამარას" შესწავლა უნდა... აფსარუნტის, ბათომის, პეტრას ქვეყნები. უკანასკნელი ლაზიკაში იგულისხმება...).

ნიშანდობლივია, პროკოპის ჭოროხი: ბოასი, რომელიც ჭანეთის მთებიდან ჩამოდის... — „შემოუვლის მთაგორიან ადგილებს, ლაზიკის სოფლების მახლობლად გასწევს და ერთვის ეგრეთ წოდებულ ევქსინის პონტოს". მაშასადამე ჭოროხის ქვემო წელი „ლაზიკის სოფლების მახლობლად" იგულისხმება... (ესეც ბუნდოვანია...). აქ ქვემო წელში ჭოროხს ბოასის ნაცვლად „აკამფსისს უწოდებენ იმის გამო, რომ მისი დამორჩილება, ზღვასთან შეერთების ადგილას შეუძლებელი ხდება (122)". პროკოპი ისე ჩანს, ბერძნულის საშუალებით ამ უცნაური სახელის ეტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოლოგიას იძლევა. „ადგილობრივი მცხოვრებლები“, რომლებიც ამ მდინარეს აკამფსისს უწოდებენ, ბერძნები არ არიან. ეს ... იმავე ძირისა ჩანს, რაც აფსარ ნაფსეის ნავსადგური, სუფსა, ნაფსიორი (?)...

ამის შემდეგ პროკოპი ლაზთა ქვეყანას გულისხმობს და ასახელებს კიდევაც (126).

პროკოპით პონტო თავდება პეტრასთან (126).

ნახევარმთვარე სანაპიროს გადასავალი უდრის ხუთასორმოცდაათ სტადიონს (126) (550×180=99000მ.).

„მას უკან (ე. ი. ნახევარმთვარის უკან, ანუ მის აღმოსავლეთით) მდებარე მთელი ქვეყანა არის ლაზური და ასეც იწოდება“ (126). გამოდის, რომ პეტრამდე ქვეყანა არ არის ლაზური.

„ამათ (ე. ი. ლაზებს) შემდეგ შიდა ხმელეთში მოდის სკვიმია და სვანია, ეს ტომები ლაზთა ქვეშევრდომები არიან. იქაურ მცხოვრებლებს მთავრებად ჰყავთ თვისტომთაგანნი, ხოლო როდესაც მთავარს აღსასრულის დღე მოადგება, მათ ჩვეულებრივ მეორე მთავარი ენიშნება ლაზთა მეფის მიერ. ამ ქვეყნის გვერდით, სახელდობრ იბერიის გასწვრივ, ცხოვრობენ ძველითგანვე იბერთა ქვეშევრდომი მესხები, რომელთაც მთებში აქვთ საბინადრო ადგილები“... (127).

„ამათ უკან აღმოსავლეთით არის იბერია, რომელიც პერსარმენიელებამდე აღწევს“ (127).

ყურადღებას იქცევს, რომ პროკოპი ამ სპეციალურ მიმოხილვისას ლაზთა უშუალო მეზობლებად იბერიელებს არ ასახელებს... მეორე მხრით იგი ამ ომების მსვლელობის მოთხრობისას არაერთხელ გულისხმობს, რომ ლაზიკის აღმოსავლეთით უშუალოდ იბერია მდებარეობს, (რომ სკანდე და შორაპანი ლაზთა სასაზღვრო ციხეებია ლაზიკასა და იბერიას შორის, რომ სპარსელთა ჯარი აღმოსავლეთიდან იბერიაზე გამოვლით შემოდის ლაზიკაში და სხვ.). უნდა ვიფიქროთ, რომ პროკოპიმ საჭიროდ არ დაინახა იბერიის მოხსენიება ლაზიკის საზღვრებთან კავშირში, რადგან იბერიელთა მოხსენიება მას მოუხდა აქვე მესხეთის ტერიტორიის გარკვევასთან დაკავშირებით. მოსალოდნელი კი იყო... ტექსტს ხომ არ აკლია?

მეორე მხრით, არც მესხების საბინადროა მთლად ნათლად მოხაზული „ამ ქვეყნის (ე. ი. ლაზიკის — ნ. ბ.) გვერდით, სახელდობრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იბერიის გასწვრივ ცხოვრობენ ძველითგანვე იბერთა ქვეშევრდომები მესხები, რომელთაც მთებში აქვთ საბინადრო ადგილები. — ნ. ბ. (ე. ი. მესხებს უკან? — ნ. ბ., უფრო სწორი და მიმზიდველი მეჩვენება „ამათ"-ში ვიგულისხმოთ ლაზები. — ნ. ბ.) უკან, აღმოსავლეთით არის იბერია რომელიც პერსარმენიელებამდე აღწევს". ასეთი (ჩემი კონიექტურა) წაკითხვისას ლაზთა ქვეყნის მოსაზღვრე ტომები და ხალხები სამხრეთით თუ აღმოსავლეთით ნაჩვენები აღმოჩნდებოდა (თუმცა ბუნდოვანობა მაინც რჩება: „იბერიის გასწვრივ").

მაინცდამაინც ის ნათელია, რომ პროკოპი ლაზიკაში იბერიელებს არ ხედავს და არც ლაზებს იბერიაში. გამოდის, რომ არგვეთი მას საკუთრივ იბერიის ნაწილად ეგულება და არა ქვეშევრდომ (არაიბერიულ) ტომად, როგორც, მაგალითად, მესხები.

თითქო ისე ჩანს, რომ პროკოპი ამ სპეციალური ექსკურსის წერისას ხელმძღვანელობს არა მარტო პოლიტიკური მომენტით (ტომების ასეთი თუ ისეთი პოლიტიკური თავისთავადობა, ან დამოკიდებულება), არამედ ეთნიკური მომენტითაც. პირველის მაგალითებია სკვიმია, სვანია, აბშილია, აბასგია, მეორესი — მესხები. ასე რომ მოსალოდნელი იყო, რომ პროკოპი დაასახელებდა კიდევაც ეთნიკურად განსხვავებულ ტომს ლაზიკაში, თუკი ასეთი რაიმე მას თუ მის ინფორმატორს, იქ შეემჩნია. და თუ ასეთ რასმე ვერ ვხედავთ კესარიელის ექსკურსში, ეს იმის მოწმობაა, რომ VI საუკუნის ლაზიკაში აღარ ჩანდა აგრე რიგად ტომობრივი გამოკვეთილობა (არც პოლიტიკური და არც ეთნიკური) რომ ლაზიკა ერთი მთლიანი ხალხი იყო და ძველი ტომობრივობის კვალი გაქრობის გზაზედ იდგა. თორემ ძველად რომ ეს ტომობრივობა აშკარად ჩანდა, ამას ხომ ძველი ბერძნული წყაროები მოწმობენ (ეკრიკტიკე, მონრალოი) ჩანს, ამ ხნის განმავლობაში ეს უახლოესი მონათესავე ტომები (ლაზები, ეგრები და სხვ.) ერთიმეორეს ისე დაახლოვებიან, ერთიმეორეს ისე შერწყმიან, რომ მათი სხვადასხვაობა ჩვეულებრივი მიმომხილველისათვის შეუმჩნეველია. ამასვე მოწმობს ის გარემოება, რომ პროკოპი მათ ყველას ერთი სახელით იცნობს — ლაზი — და ისიც, რომ ეს „ლაზები", თავისი ძველი ტომობრივი წარმომავლობის მიუხედავად, ყველანი თავიანთ თავს კოლხთა ჩამომავლად სთვლიან (კოლხთა ჰეგემონობა ხომ უეჭველია, ხომ დადასტურებულია, რომ „კოლხური" — მეგრულ-ზანური ტომები ეთნიკურად ცალცალკე არსებობდნენ...).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე მხრით ეს გარემოება (პროკოპის ექსკურსის შედეგები) იმასაც მოწმობს, რომ აფშილია, სკვიმია და სვანია საკმაოდ შორს იდგნენ ლაზებისაგან, ასევე შორს იდგნენ, საფიქრებელია, ბერძენ-მესხები იბერიელებისაგან (ეთნიკურად). ასეთ კონტექსტში ოგვეთის ცალკე მოუხსენებლობა მხოლოდ იმის მოწმობა შეიძლება იყოს, რომ იბერიის ეს ნაწილი ლაზთა ეთნიკურ მონათესავედ არ ეჩვენებათ...

ეს გარემოება, ე. ი. ლაზიკის ერთიან ხალხად წარმოდგენა იმის მოწმობაც უნდა იყოს თითქო, თუ როგორ ბუნებრივად, თანდათანობით, შეუმჩნევლად ხდებოდა იბერთა შემოთესლება ლაზიკაში, თუ ჩვენ ვგულისხმობთ, რომ იბერიელები აჭარა (ქვემო)-გურია-საჯავახო-ვან-ფერსათში ადრიდანვე შემოდიან და არა მხოლოდ VIII—IX საუკუნეებში, როგორც ამას მარი და ივანე ჯავახიშვილი ვარაუდობენ. ძნელად ასახსნელი იქნებოდა ამ მეცნიერთა ნაგულისხმევი: როგორ მოხდა, რომ არაბთაგან შევიწროებულმა ლტოლვილებმა ეს ამოდენა ქვეყნები ხელთ იგდეს ლაზიკის („აფხაზეთის“—) აგრე დაწინაურებულობა-მორჭმულობისას (იოანე საბანისძის მოწმობა)?

პროცესი, ბუნებრივია, ასე წარმოვიდგინოთ: რაღაც დროს, ვიდრე ლაზთა სამეფო წარმოიშვებოდა (თუ ეგრთა ტომის ჰეგემონობა შეიქმნებოდა) კოლხთა ტომის ჰეგემონობა დაეცა, კოლხთა სამეფო მოიშალა და, როგორც ჩანს ეს მოშლა დიდ რაღაც მოვლენებთან იყო დაკავშირებული... გაქრა ძველი ქალაქები, მოიშალა სამეფო ხელისუფლება, შეწყდა კოლხური თეთრის მოჭრა, აწყდა ქვეყნის უფრო დაწინაურებული მხარე და სწრაფად ალდგომის წყაროები დაუშრტა (დასავლეთთან ურთიერთობა?...). ამავე ხანებში თანდათან წინ წამოიწია სხვა კუთხე (ნაკლებად დაზიანებული) და პოლიტიკური ჰეგემონობა დაიჩემა, რასაც უეჭველია საფუძვლად ედო სამეურნეო-ეკონომიური დაწინაურებაც (ახალი ქალაქები, ციხეები...). პროკოპის დროს ეს დიდი ამბები აღარ ახსოვთ (შეიძლება დასამახსოვრებელი კატასტროფის სახით არ მომხდარა ის ძველი ამბები), და მხოლოდ ფაქტს აღნიშნავენ, რომელიც მძიმე მემკვიდრეობის სახით აგრე შესამჩნევი ყოფილა იმ დროის ლაზიკაში: რომ ფაზისის სამხრეთით არც ქალაქები უშენებიათ ლაზებს (ეს მართალი ჩანს), არც ღირსმოსახსენებელი დაბა-სოფლებია იქ, ზოგან კი მოსახლეობა დიდ ნაწილში აწყვეტილია (ქვემო გურია, კახაბერი) და ეს იმ დროს, როცა ლაზიკის ჩრდილო მხარე მორჭმული ქვეყანაა (აგათია). აი ამ მივარდ-

ნილ კუთხეში (ფაზისის სამხრეთით), ბუნებრივია, ადვილად იცვლევს გზას იბერთა მოახალშენეობა აჭარიდან, სამცხიდან, ირგვეთიდან... VI საუკუნეში ეს პროცესი დამთავრებული არ ყოფილა (ბოლოობა ჯერ ისევ თხლადაა...) და არც, როგორც ჩანს, [illegible] სული, რომ ეთნიკურად შესამჩნევი გამხდარიყო: ლაზიკა აქაც ლაზიკადვე რჩება. (მაინცდამაინც ტოპონიმიკურ ფაქტებზე დაკვირვება ამის ვარაუდის საბუთს იძლევა, რომ ამ დროს და უფრო გვიანაც ამ მხარეში ზანურ-იბერული მოსახლეობის სიმბიოზია...).

სავარაუდებელია, რომ იბერიელთა შემოსახლების პროცესი ამის შემდეგაც გრძელდებოდა, შეიძლება არაბობასაც (ამ პირობებში) გარკვეული მნიშვნელობა ჰქონოდა, ამ პროცესში (აი ისევე, როგორც, საფიქრებელია, ხდებოდა შავშეთ-კლარჯეთ-ტაოში) და ფაქტი კი ის აღმოჩნდა, რომ IX—X საუკუნეებში ეს მხარე (და კიდევ უფრო მეტიც: რაჭა-ლეჩხუმი და მოხერისის ერთი ნაწილი...) უკვე ეთნიკურად იბერიული ხდება...

პროცესი არც ამაზე დამთავრებულა და მოხერისის იბერიზაცია (ეთნიკური) ამის შემდეგ უნდა წასულიყო სწრაფად... ჩვენ არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ეს (იბერიზაცია) იყო ვისიმე განზრახული პოლიტიკის ნაყოფი. იქ სადაც მოსახლეობა თხელი იყო და გარედან მოსული ესახლებოდა იქმნებოდა სიმბიოზი, რომელიც იმ ელემენტის გამარჯვებით სრულდებოდა, ვისაც მეტი ძალა აღმოაჩნდებოდა (რელიგიის ენა, სახელმწიფო ენა, კულტურა...) თუ ეს არა, სრულიად არაა სავარაუდებელი, რომ კოლხეთში ჩასახლებული იბერიელები იბერიელებადვე დარჩებოდნენ... მაშასადამე, იბერიელთა შემოსახლებით ლაზთა იბერიზაცია ქართულ ქრისტიანობას ქართული დამწერლობით და ქართულ („აფხაზურ") სახელმწიფოებრიობას მჭიდროდ უკავშირდებოდა და მაშასადამე ქრონოლოგიურადაც უპირატესად V—X საუკუნეებზე მოდის... ეს არ უარყოფს სიმბიოზის სიძველეს, მაგრამ გვიხსნის იბერთა გამარჯვების საფუძვლებს. თუმცა პოლიტიკურ-კულტურული უპირატესობა რომ საკმაო არ იყო იბერიზაციის გამარჯვებისათვის, ჩანს იქიდან, რომ ის კუთხე, სადაც სიმბიოზი არ ყოფილა და ძველი ლაზური მოსახლეობა შერჩა, აქ არც იბერიზაცია მომხდარა (გარდა მაღალი ფეოდალური წრეებისა); ასე რომ იბერიზაციისათვის საკმაო არ იყო რელიგიურ-კულტურული უპირატესობანი, ან პოლიტიკური ჰეგემონობა, ამისათვის საჭირო იყო აგრეთვე ჩამოსახლება (ჩვენს ამ დასკვნას რამოდენადმე აფერხებს რაჭა-ლეჩხუმის, უკეთ სვიმიასვანიის იბერიზაცია. შესწავლა უნდა რაჭის და ლეჩხუმის კილო-

ებს, რაჭის და ლეჩხუმის ტოპონიმიკას. სვანია რომ ლაზური არ
იყო, ეს სადავო არაა; მაგრამ ვინ იყვნენ ეთნიკურად სკვიმიგენი,
ვისთან უფრო ახლოს იდგნენ ლაზებთან, თუ იბერიელებთან?
როცა ლაზიკის ომი დამთავრდა, რატომ სვანეთივით სკვიმია არ
დარჩა სადავოდ? გამოდის თაკვერის გზა არ აინტერესებდათ ირა-
ნელებს?... ისე ხომ არ მოხდა, რომ ირანმა სკვიმია, ლაზიკისად
იცნო მისი ლაზიკასთან მეტი სიახლოვის გამო?... რა საფუძველზე
მოხდა მათი იბერიზაცია? აქაც შესახლება იგულისხმება?...).

პროკოპი განაგრძობს: ფაზისიო ერთვის პონტოს „ნახევარ-
მთვარა ნაპირის შუაში. ზოგიერთები ამბობენ, რომ აქ ფაზისი
ორად ჰყოფს ხმელეთს. ჩამომდინარე წყლის მარცხნივ არის
ა ზ ი ა, ხოლო მარჯვნივ ე ვ რ ო პ ა დ იწოდება. ევროპის ნაწილშია
ლაზთა ყველა საბინადრო ადგილი, ხოლო მეორე ნაწილში არც რა-
იმე ქალაქი აქვთ ლაზებს, არც სიმაგრე და არც დაბა მოხსენების
ღირსი, გარდა იმისა, რომ რომაელებმა იქ პეტრა ააშენეს წინათ“
(127). პროკოპის ეს ცნობა შეიძლება ვაშნარ-სპონიეთის დამთარი-
ღებელ მომენტად გამოგვეყენებინა, ე. ი. რომ ამ დროს ვაშნარ-
სპონიეთი (გურიანთა ციხე) ან სულ არ არსებობდა (გასინჯვა
უნდა), ან ის ჯერ კიდევ მოხსენების ღირსი არ იყო. რა თქმა უნდა,
ამ დროს რომ სპონიეთის ის ტაძარი ყოფილიყო, რომლის ნანგრე-
ვებმა ჩვენ დრომდე მოაღწია, პროკოპი მას აღუნიშვნელად ვერ
დატოვებდა.

მეორე მხრით იმ დასკვნის ვარაუდიც შეიძლება, რომ ლაზიკის
ამ ნაწილის (ქვემო გურიის) განვითარება სწრაფი ნაბიჯით წავიდა
წინ რომი-სპარსეთის ამ ომის დამთავრების შემდეგ. ისე რომ მალე
მხარის ცენტრმა აქეთ გადმოინაცვლა („გურია“), მიუხედავად იმი-
სა, რომ პეტრა განაგრძობდა არსებობას და საეპისკოპოსო კათედრაც
კოსტანტინეპოლის საპატრიარქომ აქ დააარსა. ხ ო მ ა რ ი ყ ო
ე ს ფ ა ქ ტ ი დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი ი ბ ე რ ი ზ ა ც ი ი ს გა-
ძლიერებასთან, ე. ი. ხომ არ არის ვაშნარ-გურია იბერიზაციის გა-
მოძახილი?... (ტოპონიმიკური შესწავლაა საჭირო). მაგრამ წყაროთ-
მცოდნეობის თვალსაზრისით საჭიროა პასუხი გაეცეს კითხვას: რა
მიზეზია, რომ პროკოპი ასე აშკარად ცდება (არ ცდება, ის საზღ-
ვისპირა ლაზიკას გულისხმობს) როდოპოლისის ლაზიკის ამ ნაწი-
ლში დაუსახელებლობით? ან შეიძლება, მას არასწორი ცნობა მია-
წოდეს (101, 186)... ამავე დროს მან ამ ქალაქის მდებარეობა იცის:
„დ ა ბ ლ ო ბ შ ი ერთი ქალაქი იყო, სახელად როდოპოლისი, რო-
მელიც ყ ვ ე ლ ა ზ ე უ წ ი ნ ა რ ე ს ხ ვ დ ე ბ ო დ ა გ ზ ა ზ ე

ი ბ ე რ ი ი დ ა ნ კ ო ლ ხ ი დ ა ში შემოსულთ; ადვილმისადგომი იყო და იერიშის მიტანაც სრულიად არ იყო ძნელი. ამიტომ ლაზებმა ის ამას წინათ მიწასთან გაასწორეს, რადგან „მეზღვაურ სპარსელთა შემოსევისა“ (187)...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევე დგას საკითხი ტ ე ლ ე ფ ი ს ი ს ც ი ხ ი ს მიმართაც (თუ აკაკი შანიძის მიხვედრა და ს. ყაუხჩიშვილის კვლევა სწორია, რომ ტელეფისი დღევანდელი ტოლებია...).

პროკოპი განაგრძობს (ლაპარაკი აქვს ფაზისის სამხრეთ ნაწილზე): „სადღაც ლაზიკის ამ ნაწილში, რ ო გ ო რ ც ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი მ ც ხ ო ვ რ ე ბ ლ ე ბ ი ა მ ბ ო ბ ე ნ, ის საწმისი ინახებოდა, რომლის გულისთვის, პოეტების ზღაპრობით, არგო იქმნა განმზადებული. ჩემის აზრით, ამას ამბობენ ისინი სრულიად უსაფუძვლოდ. მე ვფიქრობ, იასონმა რომ მედეასთან ერთად საწმისი წამოიღო, ის ვერ დაემალებოდა აეტს, რომ მეფის სასახლე და კოლხთა სხვა საბინადრო ადგილები მდინარე ფაზისით არ ყოფილიყო გამოცალკევებული იმ ადგილს, სადაც ის საწმისი იყო დაცული, რომელსაც ამ ამბების აღმწერელი პოეტები იხსენიებენ“ (128).

პროკოპი, როგორც ამ საკმაოდ ბუნდოვანი ადგილიდან ჩანს, ეკამათება ადგილობრივ მცხოვრებლებში შემორჩენილ გადმოცემას კოლხეთში გათამაშებული აქტის ნიშანდობლივი ლოკალიზაციის შესახებ. ადგილობრივი გადმოცემით ეს იყო (იგულისხმება) რიონის სამხრეთით. მაშასადამე ა ე ტ ი ს ს ა ს ა ხ ლ ე (და მაშასადამე კოლხეთის ცენტრი) ა ქ ვ ე ა ქ ვ თ ნ ა გ უ ლ ი ს ხ მ ე ვ ი. პროკოპი უარყოფს ასეთი კონცეპციის რეალობას (ჩემთვის არც თუ მთლად ნათელი არგუმენტაციით).

ა ქ ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს განსაკუთრებით საინტერესოა ადგილობრივ შემონახული ტ რ ა დ ი ც ი ა, რ ო მ ძ ვ ე ლ ი კ ო ლ ხ ე თ ი ს ც ე ნ ტ რ ი ს წ ო რ ე დ რ ი ო ნ ი ს ს ა მ ხ რ ე თ ი მ ხ ა რ ე ი ყ ო, რ ო მ ე ლ ი ც ა ხ ლ ა ა ს ე დ ა ც ე მ უ ლ ი ა (უნდა ვნახო არგონავტების თავგადასავლის ვარიანტები...).

პროკოპი განაგრძობს: „ფაზისი... ერთვის ევქსინის პონტოს იქ, ს ა დ ა ც ე ს უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი თ ა ვ დ ე ბ ა“ (128). წინ კი პროკოპი (გვ. 126) სულ სხვას ამბობდა: „ქალაქ აფსარუნტიდან ქალაქ პეტრამდე და ლაზთა საზღვრებამდე, სადაც ევქსინის პონტო ავდება, ერთი დღის სავალი გზა არის“. გამოდის, რომ ევქსინის პონტო მთავრდება პეტრასთან და ფაზისის შესართავთანაც. მაგრამ პროკოპი იქვე აზუსტებს (128): „ნ ა ხ ე ვ ა რ მ თ ვ ა რ ა ს ი მ

ერთ დასაწყისში, რომელიც აზიისა არის, მდებარეობს ქალაქი პეტრა, ხოლო მის პირდაპირ ორე ნაპირას, ევროპის ნაწილში აფსილების ქვეყანაა". „აფსილები ლაზების ქვეშევრდომნი არიან და ისინი ძველთაგანვე ქრისტიანები იყვნენ, როგორც სხვა დანარჩენი ტომებიც, რომლებიც მე ამ წიგნში მოვიხსენიე" (128).

ლაზიკის პოლიტიკური წყობილებისათვის ნიშანდობლივია: საკუთრივ ლაზებს გარდა, ლაზიკის პოლიტიკურ ერთეულში არაერთი ტომი შედის, ზოგ მათგანს საკუთარი მთავარი ჰყავს (აბასგები, სკვმიები სვანები), რომლებსაც ლაზთა მეფე უმტკიცებს, ზოგს კი ისეთი მთავარი არა ჰყავს, (აფშილები, მისიმიელები). გაურკვეველია: აფშილებს არიანეს მოწმობით (II საუკუნეში) მეფე ჰყავთ (რომის იმპერატორის ნებით). ახლა კი, VI საუკუნეში, აფშილებს ეს უფლება წართმეული აქვთ და ისინი ლაზთა ქვეშევრდომნი არიან. ამ მხრით გამოდის, რომ აფხაზებს ეს უფლება საკუთარი მთავრის (და არა მეფის) ყოლისა ლაზთა ჰეგემონობის პირობებშიაც შეუნარჩუნებიათ, მაშინ როცა აფშილებს ეს უფლება დაუკარგავთ.

ლაზთა სამეფო II საუკუნეშიაც არსებობდა (არიანე), როცა მის გვერდით და მისგან გამოუკიდებლად ასეთივე სამეფონი არსებობდნენ (მახელონ) მაკრონ-ჰენიოხებისა აფშილებისა, აბაზგებისა და სანიგებისა (უნდა ვიფიქროთ, რომ ეს (მახელონ) მაკრონ-ჰენიოხებია ის „ერთი ხალხი", პროკოპი რომ ასახელებს რიზე-აფსარუნტს შორის. ის გარემოება, რომ ამ მახელონებს, მაკრონებს და ჰენიოხებს ერთი მეფე ჰყავთ, მათი ურთიერთ შორის ახლო მონათესავეობის მოწმობა შეიძლება იყოს მხოლოდ. ამასვე მოწმობს პროკოპის ცნობა „ერთი ხალხის" შესახებ... მაგრამ სად გაქრნენ ფარესმანეს სამფლობელო ზვიდრიტები? ლაზთა უშუალო მეზობლად არიანე აკი მათ ასახელებს? როგორც არ უნდა იყოს, არიანე და პროკოპი ერთში თანახმანი არიან: ლაზები ევქსინის პონტის აღმოსავლეთით ცხოვრობენ და ტრაპეზუნტელების მეზობელნი არ არიან). ახლა, VI საუკუნეში სურათი სრულიად შეცვლილია: მაკრონ-ჰენიოხებს დამოუკიდებლობა არ დაუკარგავთ (ისინი არც ბიზანტიელებს ემორჩილებიან, არც ლაზებს. ორივესთან კეთილგანწყობილებას იცავენ. პროკოპი არ აღნიშნავს, რომ მათ მეფე ჰყავთ, მაგრამ ეს არ გამოდგებოდა იმის მოწმობად, რომ მაკრონ-ჰენიოხებს მეფე არ ჰყავთ). ზვიდრიტები, შეიძლება ვიფიქროთ, ბათომის ქვეყანა-

ში იგულისხმება (წყაროთა ჩვენებანი აქ წინაუკმოა). თუმცა ამის საეჭვოდ ხდის ანონიმის ცნობა, რომ ზუდრიტებს პირველ[illegible] რები ერქვათ (ვიწე?)...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკრონ-ჰენიოხებს, მართალია, დამოუკიდებლობა შეუნარჩუნებიათ, მაგრამ ლაზთა ერთგვარ გავლენას განიცდიან (რაც II საუკუნეში ნაგულისხმევი არ არის): ეკლესიურად ესენი ფაზისის სამიტროპოლიტოში შემოდიან (ეკთეზისებში რად არ არის ეს გარემოება ასახული? ჩანს, კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ შეცვალა ეს წესი, პროკოპის დროს რომ მოქმედებდა).

კიდევ უფრო მეტი გავლენა მოუპოვებიათ ლაზებს აფშილიაზე. ამათ არც მეფე ჰყავდათ, არც მთავარი და ემორჩილებიან ლაზებს. ასევე მორჩილებაში ჰყავთ ლაზებს მისიმიანელები და აბაზგები. ჩანს არიანეს ხანის შემდეგ ლაზები დიდს წარმატებაში შესულან და მართლაც ძველი კოლხეთის პოლიტიკური მემკვიდრეობა დაუჩემებიათ.

რის ნიადაგზე აიხსნება ეს წარმატებანი? ამ კითხვაზე რამოდენადმე მაინც სარწმუნო პასუხის გაცემა, პირდაპირ ჩვენებათა არარსებობის პირობებში მაშინ შეიძლება, როცა ამ ქვეყნების ისტორიული გეოგრაფია (არქეოლოგიით) შესწავლილი გვექნება (ჯერ კი მხოლოდ ვიწყებთ). წინასწარული მსჯელობა (რეტროსპექტრული ხერხით) ასეთი გვესახება. არც ერთ ქვეყანას ამ მხარეში გარდა ლაზიკისა საქალაქო ცხოვრება არ განუვითარებია გვიანანტიკურსა და ადრეფეოდალური ურთიერთობის ხანაში. ყველა ეს საზღვისპირო ქალაქი სანიგეთ-აბაზგია-აბშილია-ლაზიკა-მაკრონ-ჰენიოხიაში უპირველეს ყოვლისა უცხოური კოლონიებია, დიდად დამოკიდებული მეტროპოლიებზე. რა თქმა უნდა, ისინი სავაჭრო ურთიერთობაში არიან მათ მოსაზღვრე ტომებთან, მაგრამ, როგორი მჭიდროც არ იყო ეს ვაჭრობა, ამ ქალაქთა არსებობა უპირატესად მეტროპოლიებზე დამოკიდებული რჩებოდა (და ამდენად ეს პუნქტები, „ქალაქოლებს“ უფრო ჰგვანდნენ, ვიდრე ნამდვილ ქალაქებს...). დამახასიათებელია, რომ ვერც ერთმა ამ საზღვრისპირო ქალაქთაგანმა ვერ შექმნა სახელმწიფო და ბოლომდე ფაქტორიის მდგომარეობას შერჩა... ფაზისი და დიოსკურია (კოლხურზე Φ და „ცხუმური“) თითქო სხვებზე წინ წავიდნენ, თუმცა საბოლოოდ ქალაქოლობის ვითარებისაგან ვერ გამოვიდნენ, როგორც დამოუკიდებელი, საკუთარი ეკონომიკის არმქონენი, უსახელოდ მიილივნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ქვეყნის შემდგომ განვითარებაში ეკონომიური მნიშვნელობა დაკარგეს, როგორც კი რომისა და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ეკონომიური ურთიერთობა (მონებით ვაჭრობა) მიხდა.

უფრო მყარი, ადგილობრივ წარმოებით ურთიერთობაზე დამყარებული უნდა ყოფილიყო შიგნით ქვეყანაში რიონის სანავსადგურო ქალაქები (დაბლაგომი, ვანი, აია). შემთხვევითი არ არის, რომ მითი იქაურ მიწისმოქმედებას, ოქროს ს ი მ რ ა ვ ლ ე ს და სხვა მ ე ტ ა ლ ე ბ ს (სპილენძს) აღნიშნავს... შემთხვევითი არც ის არის, რომ მოხერისი, აგრე შექებული სამეურნეო განვითარების თვალსაზრისით ადრეფეოდალურ ხანაში, იმ ძველ დროსაც იხსენიება კოლხურ თეთრზე მ ო ლიგატურის სახით (II საუკუნე). ამ სიმდიდრე-მორჭმულობას მოწმობენ არქეოლოგიური ჩვენებანი. მაგრამ იგივე არქეოლოგიური ჩვენებანი იმასაც დაჟინებით მოწმობენ, რომ ამ ქალაქების დამოკიდებულება დასავლეთის ანტიკურ სამყაროსთან მეტისმეტად მჭიდრო იყო და, საფიქრებელია, ვაჭრობა პასიური იყო (ე. ი. მონებით ვაჭრობა აქაც დიდ როლს თამაშობდა). მაინცდამაინც ამ ქალაქების ვითარება, მართალია, იმ ფაქტორიებისაგან განსხვავდებოდა: ეს ქალაქები მათი „ქვეყნებით" მწარმოებელი ერთეულები იყვნენ (ამ მხრით საზვისპირო კოლონია — ქალაქების „ქვეყნები" — საწარმოო ტერიტორიული ერთეულები არც კი მოიხაზება..), მაგრამ საგარეო ვაჭრობას, ე. ი. მონათმფლობელური რომის მომსახურებას (ე. ი. კოლონიობას) აქ უპირატესი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა...

სხვა ვითარებას ვამჩნევთ ადრეფეოდალურ ხანაში: ფაქტორიები ჩიავდებიან, ქრებიან, ახალი ქალაქები წარმოიშვიან და არც ერთი მათგანი არ წარმოშობილა ზღვის პირას (პეტრა იუსტინიანეს პოლიტიკის ნაყოფია და ვერც იხეირა...), არამედ ქვეყნის შიგნით (როდოპოლისი, არქეოპოლისი, შორაპანი, ქუთათისი). რა თქმა უნდა, ამ ა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ ე ბ ს ა ც ურთიერთობა ჰქონდათ დასავლეთთან, განსაკუთრებით პონტოს ქვეყანასთან, მაგრამ ამ პუნქტების ქალაქობა, ეჭვს გარეშეა, ქვეყნის შიგნით სამეურნეო განვითარებას ემყარებოდა უპირატესად და არა საგარეო ვაჭრობას. ამის მოწმობაა მოხერის-ქუთათისი, როდოპოლისი, შორაპანი და არქეოპოლისი. ყველა ესენი კი ლაზიკის ქალაქებია, ხოლო ამავე დროს არც ერთი ახალქალაქი არა ჩანს სხვა მხარეებში (აბასგია-აფშილია-სკვიმნია-სვანია და სხვ.). უკვე ეს ფაქტი, გვაძლევს, ვფიქრობ, საბუთს დავუშვათ ლაზთა დაწინაურება, სხვა მოძმე ტომებთან შედარებით. (ეს კარგად ჩანს პროკოპისა და აგათიას თხზულებებში)

ხოლო ეს დაწინაურებულობა ეკონომიური (მიწის მოქმედება — მოხერისი) და კულტურული მიღწევანი (ლაზთა განათლებულობა), პოლიტიკური წარმატება (სახელმწიფო წყობილება) მხოლოდ იმას შეიძლება მიუთითებდეს, რომ ლაზიკა ახალი ურთიერთობის განვითარების გზით საგრძნობლად წინ უსწრებს სხვა ტომებს. ამასვე მოწმობს, რომ საკუთრივ ლაზური ტომები ურთიერთს შერწყმიან, მაშინ როცა სხვები განაგრძობენ ცალკე არსებობას და ლაზთა, უნდა ვიფიქროთ, უმჭიდროესი გავლენის ქვეშ ექცევიან...

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ლაზთა ეს გავლენა აფშილთა ტომზე განსაკუთრებით ძლიერი იყო. მაინცდამაინც აფშილთა ტომის იმ ნაწილზე, რომელსაც ზღვისპირეთი ეჭირა (ოდორსა და ღალიძგას შორის). ასე რომ კელასურის კედელი არა მარტო იმპერიის სამხედრო ღონისძიება იყო, მთიელთა და მთის იქითელთა შესაკავებლად, არამედ, აფშილეთის შიგნით გავლებული, იმის მოწმობაც იყო, რომ კედლის შიგნით ქვეყანა განსხვავებით კედლის მიღმა ქვეყნისაგან, საკუთრივ ლაზიკაში იგულისხმებოდა და იმპერიის განსაკუთრებულ საზრუნავს წარმოადგენდა. და უეჭველია ამ კედელმა დიდად შეუწყო ხელი ლაზ-აფშილთა შემდგომ შერწყმას, მაგრამ, როგორც ვთქვით, ეს კედელი თვით უნდა იყოს მანიშნებელი, რომ ლაზ-აფშილთა შერწყმა (აფშილების გალაზება) ამ დროისათვის უკვე თვალსაჩინო იყო. აქვე შეიძლება იმის დაშვებაც, რომ აფშილები არც კედელს მიღმა რჩებიან ხელუხლებელნი და ცხოვლად ერევიან აბაზგების ტომს. აქ უკვე საწინააღმდეგო სურათი შეინიშნება: პოლიტიკურად ძლიერი აბასგია თვით ექცევა სამეურნეო განვითარების მხრით უფრო დაწინაურებულ აფშილთა გავლენის ქვეშ (აფსუა — აფსარი...), (მთელი ეს მსჯელობა სავარაუდოა და იმ დაშვებას ემყარება, რომ აფშილეთის ტერიტორია ზღვისპირეთისა იწყებოდა „ნახევარ მთვარის" ევროპულ წვერთან, ე. ი. დაახლოებით ღალიძგასთან...).

პროკოპი ნიშანდობლივ ასწერს კავკასიონს და საგანგებოდ აღნიშნავს იმ გასავლებს, „რომელთაც იქ მოსახლე ჰუნთა ტომები სპარსელთა და რომაელთა მიწა-წყალში გაჰყავს. ამ გასავლებიდან ერთს ჩ ო ბ ი ეწოდება, ხოლო მეორეს ძველითგანვე კ ა ს პ ი ი ს კ ა რ ს ე ძ ა ხ ი ა ნ" (129). პროკოპი, როგორც ჩანს, ამ ორ კარს ასახელებს, როგორც ყველაზე ცნობილს, ან ისეთ კარებს, რომლებითაც იმიერკავკასიაში მობინადრე ჰუნთა ტომები ჩ ვ ე უ ლ ებ რ ი ვ შემოდიოდნენ, თუ არა პროკოპის არ შეიძლება არ სცოდნოდა სხვა არაერთი გადმოსავალი (აფხაზეთის კედელი რომ დარაჯობ-

და... მაგრამ იყო კი ეს კედელი? და თუნდაც არ ყოფილიყო ჯერ კიდევ, ეს იმის მოწმობა მაინც არ იქნებოდა, რომ ის გადმოსავლელები არ არსებობდნენ — ქლუხორის, მარუხის), რომლებიც მთის იქითელი ტომები შემოდიოდნენ. აკი თურქი ელჩები 568 წელს სწორედ ამ გზით მიმოდიან ბიზანტია-თურქეთში... ან (გეორგიკა III, 221) ხოსრო მეფე აკი აღნიშნავს მერმეროეს მიერ მოწოდებულ ცნობას, რომ სვანები ერთი „ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს, ჰყავს მთავარი და ამ ქვეყანაზე სკვითები გადიანო“.

გარდა ამისა პროკოპი, როგორც მისი აღწერილობიდან ჩანს (აქვე, 135), კარგად იცნობს იმიერკავკასიაში შავი ზღვის პირით გასავალს და აქ მოსახლე ტომებს, და თუ ამის მიუხედავად ამ ორ კარს ექცევა განსაკუთრებული ყურადღება, ეს იმით აიხსნება, რომ იმიერკავკასიელი ველურები სწორედ ამ კარებით შემოდიოდნენ (თუმცა ლეონტი მროველი ოვსთა კარის და დარუბანდის გარდა სხვა გადმოსავლებსაც ჰგულისხმობს: ლიახვის ხეობით ან, შეიძლება, კასრის კარითაც)... კი მაგრამ რაღას მოწმობს მაშინ აფხაზეთის კედელი?... ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ პროკოპის მიზნად არ დაუსახავს კავკასიონის გადმოსავლები ჩამოთვალოს, არამედ ასწერს კავკასიონის ქედს, თუ სადამდე მიიმართება ის აღმოსავლეთ-სამხრეთით (ჩრდილო-დასავლეთი მიმართულების აღწერის შემდეგ) და ასახელებს ამ ნაწილში ღირსშესანიშნავ პუნქტებს: ოვსთა და დარუბანდის კარებს, თუ არა ხომ ცნობილია (გეორგიკა III, 216—217) მენანდრე პროტიქტორიდან, რომ 50-წლიანი ზავით პირველ დებულებად იყო დამტკიცებული, რომ „სპარსელები ნებას არ აძლევენ არც ჰუნნებს, არც ალანებს, არც სხვა ბარბაროსებს ეგრეთ წოდებულ ჩორისა და კასპიის კარების შესავალი ვიწრობებით გადავიდნენ რომაელთა სამფლობელოს წინააღმდეგ, და რასაკვირველია, არც რომაელები გზავნიან ჯარს სპარსელების წინააღმდეგ, არც ამ ადგილს და არც მიდიელთა სხვა საზღვრებზე“. მე ვფიქრობ, რომ აქ იმიერკავკასიელები ნაგულისხმევია არა მარტო, როგორც სპარსეთის მხრით შემომავალი (ჩორისა და კასპიის კარებით) არამედ რომაელთა სამფლობელოს მხრიდანაც. ესენი იგულისხმებიან იმ „ჯარში“, რომელთა შესევისაგან დაზავებულ ქვეყანაში რომაელები თავს შეიკავებენ. თუ ასე არა, ეს პირველი მუხლი უაზროა...

პროკოპი განაგრძობს: „ის ქვეყანა, რომელიც კავკასიის მთიდან დაწყებული კასპიის კარამდე გადაჭიმული, ალანებს უჭირავთ“. ალანთა განსახლების აღმოსავლეთი საზღვარი პროკოპის სწორად აქვს ნაჩვენები (ოვსთა კარი, დარიალანი); ამასვე მოწმობს ქართული წყაროებიც. სამწუხაროდ აგრე ცხადი არაა ალანთა საცხოვრისის დასავლეთი საზღვარი...

„აქ (დასავლეთ იმიერკავკასიაში—ნ. ბ.) ცხოვრობენ ჰუნები, ეგრეთ წოდებული საბირები და ზოგიერთი სხვა ჰუნური ტომებიც. აქედან დაიძრნენ, როგორც ამბობენ, ამაზონები და თემისკურისა და მდინარე თერმოდონტის გარშემო დაბანაკდნენ“... (კამათობს ამაზონების არსებობის გარშემო და ფიქრობს), „რომ ბარბაროსებმა გამოილაშქრეს ამ ადგილებიდან აზიაზე დიდძალი ჯარითა და თავიანთი ცოლებითურთ და, დაიბანაკეს რა მდინარე თერმოდონტის ირგვლივ, დასტოვეს იქ ცოლები, ხოლო თვითონ მთელ აზიას შეესივნენ“ (132). რა თქმა უნდა, პროკოპი არ გულისხმობს, რომ ეს ბარბაროსები ჩორის ან კასპიის კარებით შემოვიდნენ... მაგრამ ეს იყო ძველად ოდესღაც... ახლა კი ასეთი შემოსევები დასავლეთ კავკასიონით ჩვეულებრივი არაა... კი მაგრამ საიდან, რა გზით მოდიან ის საბირები თუ სხვა იმიერკავკასიელნი, რომაელთა ჯარში რომ მსახურებენ? აკი სოტერიქე ფულის დასარიგებლად იმიერკავკასიაში უნდა წასულიყო აფშილია-მისიმიანეთზე რომ გაემგზავრა (ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავი იყო?...).

და პროკოპი განაგრძობს თავის სპეციალურ ისტორიულ-გეოგრაფიულ ექსკურსს... „აფსილებისა და ნახევარმთვარა ნაპირის შემდეგ მეორე ნაწილში ზღვის პირას აბაზგები მოსახლეობდნენ, რომელთა საბინადრო ადგილები კავკასიონის მთებამდე გრძელდება“. მთლად ნათელი არაა აბაზგების აღმოსავლეთი საზღვარი: რა მოსატანი იყო აქ ნახევარმთვარა ნაპირი? აბაზგები ხომ აფსილების შემდეგ მოსახლობდნენ, ხოლო აფსილები სწორედ ნახევარმთვარა ნაპირის შემდეგ, მის ბოლოდან. (აბაზგების აღმოსავლეთი საზღვარი — გვ. 158) აბაზგიის არც დასავლეთის საზღვარია სახელდებით აღნიშნული, სამაგიეროდ სამხრეთი და ჩრდილოეთი საზღვრები გარკვევით ნაჩვენებია: ზღვა და კავკასიონის ქედი. სამწუხაროდ, პროკოპი არ აღნიშნავს, აბაზგები კავკასიონის გადაღმა გადასწვდებოდნენ (სვანებივით) თუ არა. თითქო უნდა ვიგულისხმოთ, რომ არა („კავკასიის მთებამდე“). ამას უნდა მოწმობდეს პროკოპისავე ცნობა, რომ „აბაზგების საზღვრების შემდეგ კავკასიონის მთის გას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვრივ ცხოვრობენ ბრუქები, აბაზგებსა და ალანებს შუა“ (იქვე, გვ. 135).

„აბაზგები ძველითგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო მუდამ ჰყავდათ, ორი თვისტომი მთავარი, ამათგან ერთი დაწესებული იყო დასავლეთის ნაწილში, ხოლო მეორე აღმოსავლეთისაში“ (133). შესანიშნავი ცნობაა იმ მხრით, თუ როგორ ძლიერი იყო ლაზთა პოლიტიკური გავლენა. ხომ ცხადია თითქო, რომ ლაზები ეთნიკურად აბასგებს არ ეკვროდნენ, რომ მათ შორის აფშილთა და მისიმიანელთა ტომები ბინადრობდნენ. ასეთ პირობებში აბაზგებზე ლაზთა პოლიტიკური გავლენა უნდა გულისხმობდეს კიდევ უფრო ძლიერ გავლენას აფშილეთ-მისიმიანელეთზე... (exceptis excipiendis სპარსეთი-იბერია-ლაზიკა და რომი-ლაზიკა-იბერია...). და მართლაც გარკვევით ჩანს ეს მოვლენა: არც აფშილებს და არც მისიმიანელებს თვისტომი და არც არავითარი მთავარი არა ჰყავთ (ძველად კი აფშილებს მეფე ჰყავდათ) და მათი ციხეები ლაზ მოხელეთათვის ღიაა (162—163). აბაზგებს კი, როგორც ვხედავთ, „მუდამ (არიანეს ცნობით კი მათ ერთი მეფე ჰყავდათ) ჰყავდათ ორი თვისტომი მთავარი“ (133). მეორე არანაკლებ საყურადღებო ცნობა ისაა, რომ აფშილები „ძველითგანვე ქრისტიანები იყვნენ“ (128), ასევე მისიმიანელებიც, ხოლო აბაზგები აქამდე წარმართებად რჩებოდნენ და მათი გაქრისტიანება მხოლოდ იუსტინიანეს დროს მოხდა VI საუკუნეში. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ქრისტიანობას აფშილეთში (და მისიმიანეთში) ლაზიკიდან მართავდნენ. ამ კონტექსტში მეტად საინტერესოა იმის გარკვევა, თუ სად ააშენა „იუსტინიანე მეფემ აბაზგების ქვეყანაში ღვთისმშობლის ტაძარი“ (135). კულაკოვსკის მოსაზრებას, რომ ეს ტაძარი სებასტოპოლისში (ცხუმში) ააშენეს, ხელს უშლის ის გარემოება, რომ ცხემი აფშილთა ქვეყანაში იგულისხმება („ქართლის ცხოვრება“) და თუ აქ (ცხუმი) აბაზგია იყო (დასავლეთი აბაზგია?) სადღა იყო აფშილეთი?

ასე რომ უფრო მართებულია თითქო ვიფიქროთ უვაროვთან და კონდაკოვთან ერთად, რასაც მხარს უჭერს „ქართლის ცხოვრება“, რომ იუსტინიანემ აბაზგებს ტაძარი აუშენა ბიჭვინტაში. თითქო ამას არ ეწინააღმდეგება ჩვენი დროის არქეოლოგიური ძიებანი... მაგრამ როგორღა აიხსნება, რომ აბაზგების ავტოკეფალური სამთავარეპისკოპოსო სებასტოპოლისშია ეკთეზისებით, ხოლო სებასტოპოლისი, როგორც მი-

ლებულია იგივე დიოსკურია — ცხუმია? (ამ მნიშვნელოვან საკითხს შესწავლა უნდა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვე (133—135) პროკოპის მოთხრობილი აქვს აბაზგების ადგილობრივი მეფეების ურთიერთობის ამბავი, საიდანაც ჩანს, თუ როგორ გამრყვნელად ზემოქმედებდა (საჭურისები, ტყვეები) ქრისტიანული უკვე ბიზანტიონი მის გავლენის ქვეშ მოყოლილ ტომებზე (მთავრებს ფული სჭირდებათ, ბიზანტიონთან ურთიერთობა ფულის საჭიროებას უძლიერებს მათ. ტყვე — ლამაზი ყმაწვილები — ყველაზე ხელსაყრელი საქონელია... ასეთი მეზობლობა არც შემდეგ მოშლიათ აფხაზებს... თურქები...). საყურადღებოა, რომ ამის მსგავსი რომ არაა აღნიშნული არც ერთი ტომის მიმართ (ალბათ იმის გამო, რომ ესენი ქრისტიანები იყვნენ...).

პროკოპი განაგრძობს: „აბაზგების საზღვრების შემდეგ კავკასიონის მთის გასწვრივ ცხოვრობენ ბრუქები (βροῦχοι), აბაზგებსა და ალანებს შუა. ხოლო ევქსინის პონტოს ნაპირას ზიქები არიან დამკვიდრებული. ზიქებს ძველად რომაელთა თვითმპყრობელი უყენებდა მეფეს, ამჟამად კი ეს ბარბაროსები არაფერში აღარ ემორჩილებიან რომაელებს“ (135-6). (აქამდე პროკოპი გვიხატავს თავისი დროის ვითარებას...). ცხადია, ეს ზიქები ამ დროს არ მორჩილებენ არც ლაზებს და არც აფხაზებს.

ამის შემდეგ პროკოპი მოგვითხრობს სანიგებზე (წიგნური ცნობებით(?) და ქრონოლოგიური შეუსაბამობით. ს. ყაუხჩიშვილიც შენიშნავს ამ გარემოებას 136); თითქო სანიგების სანაპიროზე იყო რომაელების მიერ გაშენებული სებასტოპოლისი და პიტიუნტი (არქეოლოგია ამ ფაქტს ადასტურებს, ოღონდ სანიგების ქვეყანა იყო თუნდაც იმ ძველ დროს ეს სანაპირო?). ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა ის ცნობა, რომ რომაულმა პიტიუნტმა და სებასტოპოლისმა, როგორც რომაელების სამხედრო სადგომებმა, პროკოპის დრომდე მოაღწიეს (თუ, შესაძლებელია, გვიან, ხელმეორედ, შემოიყვანეს გარნიზონები ლაზების ოკუპაციასთან ერთად?). მეორე მხრით, საყურადღებო ისაა, რომ ბიზანტიელი სახელმწიფო მოღვაწე მთელი სანაპიროს ოკუპაციად სთვლის არიანეს დროის პოლიტიკურ ვითარებას: „პირველ ხანებში რომაელ ჯარისკაცთა რაზმებს ეჭირათ მთელი ადგილები ტრაპეზუნტის საზღვრებიდან დაწყებული ვიდრე სანიგების ქვეყნამდე, როგორც ეს ჩემ მიერ უკვე ითქვა: ამჟამად კი მათ დარ-

ჩათ მხოლოდ ეს ორი სიმაგრე, სადაც ჩვენ დრომდე ჰქონდათ საკარაჯოები“ (137). პროკოპის, ჩანს, ისა სურს სთქვას, რომ პატიუნტსა და სებასტოპოლისში რომაელები მაშინაც რჩებოდნენ, როცა სხვა ადგილებიდან (ტრაპიზონიდან სანიგებამდე) თავისი გარნიზონები გაიყვანეს (როდისღაც II—V საუკუნეთა შორის).

ახლა კი ხოსრო რომ პეტრაზე წამოვიდა, მან განიზრახა პიტიუნტისა და სებასტოპოლისის დაპყრობა. ჯარი გამოგზავნა, მაგრამ უშედეგოდ: რომაელებმა ეს ციხეები მოთხარეს და ტრაპეზუნტში გასცურეს. სპარსელებმა დანგრეული ციხეები მიატოვეს და პეტრას დაბრუნდნენ (137).

143 გვერდზე პროკოპი უბრუნდება ისტორიული ამბების მოთხრობას, მას შემდეგ რაც „მთელი ეს ქვეყანა აღვწერე დანათლად დავადგინე ჩემი აზრი ამის შესახებ“ (143).

ამით პროკოპიმ დაასრულა ევქსინის პონტოსპირეთის, ლაზიკის და მის გარშემო ქვეყნების აღწერა, რაც აგრე საგულდაგულოდ განიზრახა. ამიტომ ჩვენ გვაქვს საფუძველი ვენდოთ მის მიერ მოწოდებულ ცნობებს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ჩვენი ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისი დროის ესა თუ ის მოვლენა (ამა თუ იმ ტომის პოლიტიკური ვითარება) განსხვავდება ძველად არსებულისაგან (ეს ძველი ვითარება მან ლიტერატურული გზით იცის). მაგალითად, ის, რომ რომაული გარნიზონები სებასტოპოლ-ბიჭვინტაში ძველი დროიდანვე უცვლელად რჩებოდა იმ დროს, როცა სხვა საზღვისპირო პუნქტებში ტრაპეზუნტის ქვეყნიდან სანიგეთამდე რომაული გარნიზონები აღარ იყო (აფსარუნტში, ფაზისში და სხვაგან)... მეტად საინტერესო ფაქტია, თუ რით იყო გამოწვეული, რომ რომაელთა სახელმწიფოს საერთო უკან დახევისას, სებასტოპოლ-ბიჭვინტა გამონაკლისს წარმოადგენდა?...

ასევე სარწმუნოა პროკოპის ცნობა, რომ ზიქები ძველად რომაელებს ემორჩილებოდნენ, ეხლა კი „ეს ბარბაროსები არაფერში აღარ ემორჩილებიან რომაელებს“ (135). ცხადია ზიქები არც ვინმე სხვებს ემორჩილებიან (ზიქები პონტის ნაპირას სახლობენ ამ დროს), მაშასადამე არც ლაზებს და არც აფხაზებს... როგორ და როდისღა მოხდა, რომ ზიქთა სამთავარეპისკოპოსო შეიქმნა, რომელიც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში შევიდა (ნიკოფსია), ან როგორ მოხდა, რომ ეს ეპარქია მცხეთის სამწყსოში აღმოჩნდა (თუ მართლა ასე იყო...). რაღაც მნიშვნელოვანი, ჩანს,

პოლიტიკური ამბები ხდება VII—VIII—IX საუკუნეში. სანიგები საბოლოოდ ქრებიან (აბაზგებსა და ზიქებში [illegible] ფებიან?). ხოლო გაძლიერებული აბაზგები იმორჩილებენ [illegible] (ნიკოფსიამდე), ბრუქებს, აფშილებს (ჩაჩის ტომს გარდა, რომელიც ლაზიკას შეერწყმის)... ეს დიდი ამბები უნდა იგულისხმებოდეს ლეონ I და ლეონ II პოლიტიკურ მოღვაწეობაში...

გვ. 143—154. პროკოპი კვლავ უბრუნდება საკითხს იმის შესახებ, თუ რა მოტივებით ხელმძღვანელობდა ხოსრო, როცა ლაზიკის დაპყრობას ასე დაჟინებით ლამობდა (193 გვერდზე შესანიშნავია: ხოსრომ ლაზიკის აყრა გადაწყვიტა და ამის ერთ-ერთი მოტივი ისიც იყო, რომ „იბერიაც ხომ მომავალში უშიშრად ეპყრობოდა, რადგან იბერებს აღარ ეყოლებოდათ ის ხალხი ვისთანაც ისინი განდგომის შემთხვევაში, თავს გადაირჩენდნენ“... ლაზების და იბერების ნათესაურ-მეზობლობის უდავო მოწმობაა...).

პროკოპის აღნიშნული აქვს, თუ როგორ თანდათანობით, ამ დიდი მეტოქეობის პირობებში, მივიდა სპარსეთი იმ დასკვნამდე, რომ რომის გასატეხად მისთვის აუცილებელია ლაზიკის დაპყრობა, რომ ლაზიკა ბიზანტიონის გასაღებია, როგორც ხმელეთით ისე ზღვით შეტევისათვის...

ეს არ ესმოდათ ხოსროს დიდებულებს, რომელნიც მეტად უკმაყოფილონი იყვნენ ლაზიკაში ლაშქრობით, სადაც არც საშოვარი ჰქონდათ ბევრი რამ, ხოლო ზარალი საშინელი ჰქონდათ.

პროკოპი განაგრძობს მოხერისში მომხდარი ბრძოლის შესახებ, ქვეყნის პოლიტიკურ-გეოგრაფიული აღწერის გამო რომ შეწყვიტა (გვ. 118-ზე). ხორიანე, როგორც ვიცით, იპპისის მარჯვენა მხარეს დაბანაკდა. რომაელთა და ლაზთა ჯარი იპპისის მეორე მხარეს დადგა (ე. ი. მარცხენა მხარეს — 146—147).

ლაზების ინიციატივა. სამშობლო, ცოლშვილი, ნათესავები, გუბაზის სიტყვა 148—149. ჯარის წყობა: წინ მხედრები ლაზები (წინ), რომაელები (მოშორებით), შემდეგ ქვეითები ცალ-ცალკე: ლაზები გუბაზის მეთაურობით, რომაელები დაგისთეს მეთაურობით. ლაზი მხედრების უკუქცევა. ჯარის დაქვეითება, ომი. რომაელთა და ლაზთა გამარჯვება. ხორიანეს სიკვდილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარსელთა ბანაკის აღება (ალანი ვაჟკაცი ბანაკის კიწრო შესავალში).

სპარსელები უკუიქცნენ „სპარსელთა დანარჩენი ჯარიც გაბრუნდა უკან, მის შემდეგ, რაც მან გაამაგრა პატრაში მყოფი მცველი რაზმები დიდძალი სანოვაგით და ყველა საჭირო საგნით“ — 154.

„ასე დამთავრდა სპარსელების ეს შემოსევა კოლხეთის ქვეყანაში“ — 154.

8. გეორგიკა II, გვ. 74

იოანე ციბემ „დააჯერა მეფე იუსტინიანე ლაზების ქვეყანაში ზღვისპირა ქალაქი აეშენებინა, სახელად პეტრა“.

გვ. 83. „პეტრა ზღვისპირა ქალაქია კოლხეთში, ეგრეთ წოდებულ ევქსინის პონტოსთან; ის უმნიშვნელო იყო წინათ, ხოლო იუსტინიანე მეფემ გარეზღუდისა და სხვა მინაშენების საშუალებით გაამაგრა და ყოველმხრივ გაამშვენიერა კიდეც“.

გვ. 85. „ქალაქი პეტრა მიუვალია ჯერ ერთი ზღვის მხრით, მეორე ციცაბო კლდეებით, რომელიც იქ ყოველმხრით არის აღმართული: აქედან არის რომ მას ეს სახელწოდება ხვდა წილად“. კი მაგრამ იუსტინიანე თავის 535 წლის ნოველაში ამბობს: „შემდეგ მდებარეობს ჩვენი ლაზიკე, სადაც არის ქალაქი პეტრა (ἡ Πετραίων ἐστὶ πόλις), რომელსაც ჩვენგნით ხვდა წილად ქალაქი გამხდარიყო და დარქმეოდა და რომელსაც მიენიჭა ჩვენი უზენაესობის სახელიც და ეწოდება იუსტინიანე“. ჩანს პეტრა ბერძენთ მიერ შერქმეული სახელი კი არ ყოფილა, არამედ ძველ ქალაქს ასე რქმევია (ქვიანი? ქვაციხე,* ქვალჯიხა, ქვალონი, ქვალიში? პანტურანი?).

აქვე გვ. 101: „ლაზიკის მიწა-წყალზე, იმ ადგილას, სადაც ადამიანებს არასოდეს არ უცხოვრიათ, იუსტინიანე მეფემ ჩემს დროს ქალაქი პეტრა გააშენა. აქ იოანე, ეგრეთ წოდებული ციბე, მონოპოლიონის დამაწესებელი — როგორც ეს ჩემ მიერ ზემოთ იყო მოხსენებული, ლაზთა განდგომის მიზეზი შეიქმნა“.

პროკოპი აქ ცდება, ან ჩვენ არ გვესმის მისი ნათქვამი სწორად. პეტრა რომ ძველადვე არსებობდა ამას თვით პროკოპი მოწმობს (და არქეოლოგიაც მოწმობს). იუსტინიანემ ის გაამაგრა და ქალაქად აქცია...

9. გ ე ო რ გ ი კ ა IV$_2$, გვ. 208

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველმა ქართულმა მწერლობამ ლაზიკა არ იცის (ბერძნულს გავლენით იშვიათად თუ მოიხსენება ხოლმე ლ ა ზ ი ა — ისიც ჭანეთის მისამართით. თამარის ისტორიკოსი...) და ბერძნულ ლაზიკეს ე გ რ ი ს ა დ (კ ო ლ ხ ე თ ი ს შ ე ს ა ტ ყ ვ ი ს ო ბ ი თ), ან ს ა მ ე გ რ ე ლ ო დ გადმოსცემს (ისევე როგორც ვახუშტის ეგრისში შ ე ა ქ ვ ს იმერეთი, გურია, ოდიში, ლეჩხუმი, სვანეთი, აფხაზეთი, — ეს უკვე ისტორიულ-პოლიტიკური თვალსაზრისით...). მაგრამ ხომ არსებობდა ძველ ქართულში ზ ა ნ (ს ა ზ ა ნ ო რად ღირს) ზანათი და სხვ. სვანურმაც ხომ მხოლოდ ზან (*ლაზან) იცის... რით აიხსნება ეს მოვლენა? შეიძლება იმით რომ ქართული მწერლობის (ქრისტიანული მწერლობის) შემოსვლის ხანაში, მაინცდამაინც ჩვენი წერილობითი ძეგლების შექმნის ხანაში ლაზობა აღარ იყო და ქვეყნის პოლიტიკური მესაჭეობა ეგრთა ტომს ეპყრა. მაგრამ საფიქრებელია განა, რომ IV—VI საუკუნეებში ეგრისელები თავიანთ თავს ლაზებს არ უწოდებდნენ? ბერძნული წყაროებით თითქო კი უწოდებდნენ (კოლხების ჩამომავლობით თავი რომ მოჰქონდათ). ისიც დამაფიქრებელია, რომ ამოდენა ლიტერატურაში ერთხელაც არ მოიპოვება „ეგრი“ სახელი... ამავე დროს ქართულმა და მისგან დამოკიდებით სომხურმა ეგრი იცის მხოლოდ...

მეგრულად ხომ ერთი და იგივე მნიშვნელობით არ იხმარება ლაზი და ეგრი? მეგრულმა ორივე ეს სატომო სახელი იცის (შეიძლება მეგრულად ზანს ჟინო ეწოდებოდა და აქედან მივიღეთ ჟინოსქუა. ეს მეტად საინტერესო ფაქტი იქნებოდა ეგრ-ლაზების სატომო ურთიერთობისათვის...). ყოველად უეჭველია, რომ ჰეგემონობის თვალსაზრისით ერთი მეორეს უსწრებდა (რომელი რომელს?... ანალოგები „ერი“, „ქართველი“, აზნაური...).

აქვე გეორგიკა IV$_2$ — 422, აქაც ბერძნული Λαζική გადმოცემულია „სამეგრელო“-თი. (წიგნი 31. ფურც. 2—20, 50, 51, 59, 64).

10. გ ე ო რ გ ი კ ა II, გვ. 125—130.

ცხადია, რომ აბაზგთა აჯანყება ეს იყო ომი დამპყრობელის წინააღმდეგ, ომი თავისუფალი, დამოუკიდებელი არსებობისათვის. (ცხადია: რომმა — პომპეუსმა კოლხეთი დაიპყრო. უკეთ, მითრიდატე პონტოელს წაართვა დაპყრობილი კოლხეთი. თავდაპირვე-

ლად ერთი მმართველი დაუნიშნა დაპყრობილ (provincia) ქვეყანას, შემდეგ კი ამ ქვეყნის ნიადაგი მოუსინჯავს და ის რეალური პოლიტიკური ვითარების შესაბამისად მოუწყვია: კოლხეთ-აფშილეთს პოლიტიკური ჰეგემონობა არ აღუდგენია და ქვეყანა ხუთ ურთიერთისაგან დამოუკიდებელ სამეფოდ დაუყვია. რომი მცირედაც არ იყო დაინტერესებული ამ სამეფოების საშინაო საკითხებით. მას საყრდენი კოლონიების ვაჭრობა (უმთავრესად მონების მოპოვება) აინტერესებდა და ეს „მეფეები" ასეთი ვაჭრობის აგენტები უნდა ყოფილიყვნენ. რომაელთა გარნიზონები შემუშავებული status-ის დაცვის გარანტია იყო...

სულ სხვა ვითარება იყო იუსტინიანეს დროს. ახლა პოლიტიკურ მომენტს რომისა და ყოფილი კოლხეთის ამ სამეფოებს შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა და რომაელთა გარნიზონს ქვეყნის შიგნით ურითერთობაში აქტიური ჩარევის მისიაც ევალებოდა. ქრისტიანობა და სხვა „რაღაც ახალი წესები" იქითკენ მიმართული ღონისძიება იყო, რომ მოსახლეობა სპარსეთთან ამ გადამწყვეტი მეტოქეობის დროს თავის მხარეზე ჰყოლოდათ).

აბაზგთა აჯანყებამ იუსტინიანეს დიდი შეშფოთება გამოიწვია. რომაელთა დიდი ჯარი აბაზგიის საზღვარს მიადგა. ეს საზღვარი, აბაზგიის შესავალი ადგილი ისეთი ზედმიწევნით აქვს პროკოპის აღწერილი, რომ შეეჭვება შეუძლებელია: ეს არის ანაკოფიის ციხე (158): „აფსილიის საზღვრების შემდეგ აბაზგიის შესავალში ასეთი ადგილია: მაღალი მთაა გადაჭიმული, რომელიც კავკასიის მთებიდან იწყება და თანდათან ეშვება, როგორც კიბე, და ევქსინის პონტოსთან თავდება. ამ მთის ძირში აბაზგებს ძველადვე აუშენებიათ უმტკიცესი სიმაგრე, ღირსშესანიშნავი სიდიდის. აქ შეხიზნულები მუღამ იგერიებენ შემოტევას მტრისა, რომელსაც არსად არ შეუძლია ამ ძნელი ადგილის გადალახვა" (158)... „რომაელთა ჯარი აბაზგებისა და აფსილელთა საზღვრებს შუა ჩავიდა" (159). სრულიად უდავოა, რომ ესაა აფშილებისა და აბაზგების საზღვარი, რომ, მაშასადამე, აბაზგიის აღმოსავლეთი საზღვარი VI საუკუნეში ანაკოფიის ზღვისპირი და ციხეა, რომ ანაკოფიამდე ლაზიკის სანაპიროდან მოკიდებული „ნახევარმთვარეს იქით" აფშილთა სანაპიროა, რომ, მაშასადამე სებასტოპოლისი აფშილეთშია. მაშ როგორღა შევუთანხმოთ ეს ადგილი იმ ცნობას (გვ. 136) პროკოპისავე, რომ რომაელებმა სანი-

გების ზღვისპირეთში ორი სიმაგრე გააშენეს: სებასტოპოლი-სი და პიტიუნტი? ამის მომდევნო მოთხრობიდან კარგად ჩანს, რომ პროკოპი აქ იმ ძველ დროს გულისხმობს, რომელ-ლებმა ეს სიმაგრეები გააშენეს, როცა რომაელები ფლობენ-ბენ-ბენ-ბენ საზღვისპიროს „ტრაპეზუნტის საზღვრებიდან დაწყებული ვიდრე სანიგების ქვეყნამდე“ (136), პროკოპის სჯერა იმ ლიტერატურული ცნობისა (ადრიანე, ანონიმი...), რომ უძველეს დროს ეს სანაპირო სანიგებს ეჭირათ (თუმცა მან ეს არ აღნიშნა) და კარგად იცის, რომ მის დროს, ე. ი. VI ს-ში, ვითარება შეცვლილია და სანიგების სანაპიროზე ახლა აფშილები (სებასტოპოლისი) და აბაზგები ბატონობენ. (ისიც შესაძლებელია, რომ სანიგების სახსენებელი სავსებით გამქრალი არც კი იყოს და აფშილეთ-აბაზგების გვერდით ამ სანაპიროს ზოგჯერ ძველი სახელითაც იხსენიებდნენ...).

საინტერესოა, რომ აბაზგებს ეს ციხე ძველადვე აუშენებიათ. მაშ პროკოპის დროს აბაზგები ამ სანაპიროზე ახალმოსულებად არ ითვლებოდნენ (და ეს თითქო არიანეს პერიპლუსიდანაც იგულისხმებოდა: არიანე ხომ იმ ქვეყნებს ასწერს, რომელთა სანაპირო რომაელთა დასამხარი იყო...).

ანაკოფიის ციხით აბაზგები თავს იცავდნენ აფშილებისაგან და ემუქრებოდნენ აბშილებსავე (ან სანიგებს?): სატომთაშორისო სასაზღვრო ციხე...

მედგარი ომი, აბაზგთა დამარცხება, ციხის დანგრევა (161). ს. ყაუხჩიშვილს შესაძლებლად მიაჩნია ამ ომს დაუკავშიროს მოთხრობა იბერთა მეფის ფარსმანის ლაშქრობის შესახებ ტასკუნთა ქვეყანაში (161—163).

ამავე ხანებში (550-ანი წლები) პროკოპი მოგვითხრობს აფშილთა განდგომის შესახებ. ზემოთ პროკოპი კატეგორიულად აღნიშნავდა, რომ აფშილები ლაზიის დასავლეთი მოსაზღვრეა, რომ აფშილეთის საზღვისპირო იქ იწყება, სადაც ნახევარმთვარის სანაპირო მთავრდება, რომ აფშილები ლაზების ქვეშევრდომნი არიან და ისინი ძველთაგანვე ქრისტიანები იყვნენ (128). საინტერესოა, რომ პროკოპის არ ახსენდება აფშილების მეფე არიანედან... ჩანს თავისი დროის რეალურ სურათს იძლევა (მაშ რაღა მოსდის როცა სებასტოპოლისს და პიტიუნტს სანიგთა სანაპიროზე იხსენიებს? — ისტორიულ სურათს და არა თავისი დროისას ჰგულისხმობს, ან ამ სანაპიროს აფშილეთ-აბაზგიის სანაპიროს გვერდით, ძველი სახელი სანიგეთი კიდევ ეწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებოდა), რომ აფშილები „ძ ვ ე ლ ი თ გ ა ნ ვ ე“ ლაზთა ქვეშევრდომები არიან (162). რა თქმა უნდა, ეს „ძ ვ ე ლ ი თ გ ა ნ ვ ე“ არ ჰგულისხმობს რომელიმე მეორე საუკუნეს, როცა კოლხეთი დამოუკიდებელ იქნა რომის ნების შესაბამისად და აფშილებსაც, ისევე როგორც კოლხეთის შემადგენელ სხვა ტომებსაც, მეფე გაუჩინეს რომის კეისრებმა (არიანე). მხოლოდ შემდეგ, გვიან, ლაზიკა წამოდგა და კოლხეთის პოლიტიკური აღდგენა განიზრახა. მან ამ მიმართულებით გარკვეულ წარმატებას მიაღწია (დაიმორჩილა აბაზგები, აფშილები, მისიმიანელნი, სვანები, თაკვერი), თუმცა ძველი კოლხეთის ყოფილ ბრწყინვალებამდე შორს იყო და დამოუკიდებელი, ძლიერი კოლხეთის აღდგენა საოცნებო საგნად ჰქონდათ გადაქცეული კოლხეთის პატრიოტებს (აიეტის სიტყვა).

ლაზთა მიერ აფშილთა დამორჩილება და მისი კოლხეთში შემოყვანა, აფშილთა გაქრისტიანება — ყველა ეს საფიქრებელია. IV—V საუკუნეებში მოხდა.

პროკოპის მიერ მოთხრობილი ეპიზოდი ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს. აფშილეთში არის დასახელებული ციხე წ ი ბ ი ლ ე. არ უნდა იყოს საეჭვო, რომ ესაა წ ე ბ ე ლ დ ა. ეს იყო, როგორც ჩანს, აფშილეთის მ თ ა ვ რ ი ს ს ი მ ა გ რ ე. ამიტომაც იყო, რომ სპარსელებმა როცა ეს ციხე ხელთ იგდეს, მათ ეგონათ, რომ „აფსილიაც თავის ხელში იგდეს“ (168—164). მაშასადამე ა ფ შ ი ლ ე თ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ც ე ნ ტ რ ი ი ყ ო ც ი ხ ე წ ი ბ ი ლ ე, ა ფ შ ი ლ ე თ ი წ ი ბ ი ლ ე ს „ქ ვ ე ყ ა ნ ა“ იყო. აფშილეთში, უეჭველია, სხვა ციხეებიც მოიპოვებოდა თავ-თავისი მცირე „ქვეყნებით“, მაგრამ წიბილე ყველა ამ მცირე ქვეყნების გამაერთიანებელი ქვეყნის (აფშილეთის) პოლიტიკური ცენტრი იყო. გამოდის, რომ ს ე ბ ა ს ტ ო პ ო ლ ი ს ი, რომელიც აფშილეთის შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა, აფშილეთის პოლიტიკურ სამყაროში არ იგულისხმებოდა, საკუთრივ რომაელთა კოლონიად ითვლებოდა, იმ საზღვისპირო ტერიტორიით, რომელსაც ეს კოლონია კონტროლს უწევდა. (ფრიად საყურადღებოა კოლონიების სტატუსისათვის. ასეთი შეხედულება პროკოპიმ ზემორეც გამოთქვა, როცა აღნიშნავდა (136) „პირველ ხანებში რომაელ ჯარისკაცთა რაზმებს ეჭირათ მთელი ადგილები ტრაპეზუნტის საზღვრებიდან დაწყებული ვიდრე სანიგების ქვეყნამდე“ — ე. ი. არიანე-პროკოპის ისე ესმით, რომ რომაელი გარნიზონები შავი ზღვის აღმოსავლეთში, ამ სანაპიროს დაპყრობას, უ შ უ ა ლ ო მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა ს ნიშნავდა, ხოლო აქვე გარშემო ტომები მეფეებით რომის მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა ში იყვ-

ნენ. პირველნი კოლონიები იყვნენ, მეორენი პროვინციები და მეძლება ფედერატებიც... და მართალი უნდა იყოს პროკოპი).

პროკოპის ცნობა სხვა მხრივაც არანაკლებ საინტერესოა: აფსილები ძველითგანვე ლაზთა ქვეშევრდომები არიან. ამ ქვეყანაში არის ერთი ციხე, მეტად მტკიცე, ადგილობრივი მცხოვრებლები მას წიბელეს უწოდებენ. ლაზთა შორის ერთმა წარჩინებულთაგანმა, სახელად ტერდეტმა, რომელსაც ეგრეთ წოდებული მაგისტროსის ძალაუფლება ეპყრა ამ ხალხში და რომელიც ლაზთა მეფე გუბაზთან წაჩხუბებული იყო და მასთან უკმაყოფილება ჰქონდა, ფარულად აღუთქვა სპარსელებს, რომ ამ ციხეს გადასცემდა; ის კიდეც წამოუძღვა სპარსთა ჯარს და აფსილიაში გაემართა ამ საქმის შესასრულებლად. როდესაც ისინი ციხეს მიუახლოვდნენ, თვითონ მისი მხლებელი ლაზებითურთ დაწინაურდა და გალავნის შიგნით შევიდა, რადგან ამ ციხის მცველ რაზმს არ შეეძლო არ ნდობოდა ლაზთა მთავარს (ἄρχοντι); და როდესაც სპარსთა ჯარი ციხესთან მივიდა, ტერდეტმა ის შეუშვა. ამიტომ მიდებს ეგონათ, რომ მათ არა მხოლოდ ლაზიკე, არამედ აფსილიაც ხელთ იგდეს" (162—164).

ორი გარემოება იქცევს ყურადღებას: ლაზთა და აფშილთა ურთიერთობა და ლაზიკის საშინაო პოლიტიკური ვითარება.

აფშილები ლაზთა მეფის ქვეშევრდომებია. მათი ქვეშევრდომობა ისეთია, რომ მათი მთავარი ციხეც კი ლაზთათვის ღიაა. ამ მთავარ ციხეს აფსილი მეომრებივე იცავენ აფსილი ციხისთავის მეთაურობით, მაგრამ ეს ციხისთავი უსმენს ლაზ მთავარს, თუმცა არა ისე, რომ მთავარს (და მის მეფეს) შეეძლოს აფსილთა უნებურად ამ ქვეყნის პოლიტიკური ბედი გადაწყვიტოს. ასე რომ აფსილები მორჩილებენ ლაზთა მეფეს, გარკვეული პირობით: აფსილებსაც ეკითხებათ თავისი ქვეყნის ბედი. მეორე მხრით ლაზები მოვალენი არიან დაიცვან, დაეხმარნენ აფსილებს, როცა საამისო საჭიროება იქნება, ხოლო თუ ამ პირობას ლაზთა მეფე არ შეასრულებს, აფშილები უფლებამოსილად სცნობენ თავს გადაუდგნენ ლაზთა მეფეს სხვას მოემხრნენ, ან თავისთავადად დარჩნენ. ლაზთა მეფე ლაშქარს გზავნის (რომაელთა რაზმის 1000 კაცისაგან შემდგარს) და იარაღით ლამობს მათ დამორჩილებას. უეჭველია ასევე იარაღითაა ყველა ეს ტომი „ძველითგანვე" დამორჩილებული. საქმე ომამდე არ მისულა და აფშილები ძველებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადვე ლაზთა ქვეშევრდომობაში შევიდნენ (165). სამწუხაროდ, ჩვენ პირდაპირი ცნობა არ შემოგვნახვია იმის შესახებ, თუ სადამდე გრძელდებოდა აფშილთა ასეთი დამოკიდებულება ლაზთა მეფისავან, მაგრამ „ჭკუასთან ახლო“ ზოგადი მოსაზრება შეიძლება წამოყენებულ იქნეს.

ქართული წყაროები საკმაო ჩვენებებს შეიცავენ იმისას, რომ რომაელთა პოლიტიკა ამ ქვეყანაში თანდათან იმ მხრით შეიცვალა, რომ რომს ქართლის შეტევის წინაშე სულ უფრო და უფრო გადაექვს მთავარი ყურადღება აფხაზეთზე (აბაზგ-აფშილეთზე) და თავის დასაყრდენად გაიხდის მას. აფხაზეთისადმი საგანგებო ყურადღების მიქცევა იწყება იუსტინიანეს დროსვე — აფხაზეთი (აბაზგ-აფშილეთი) ძლიერ უნარს იჩენს, იერთებს ტომებს, პოლიტიკურად ბატონდება — ხოლო VIII საუკუნეში აფხაზეთს რომი ისევე აფასებს, როგორც იბერიას (ლაზიკით). (ამ საკითხს საფუძვლიანი შესწავლა უნდა). ის მოხდა, როგორც ჩანს, რომ ლაზებს ყმები წაუვიდნენ (რომის თანხმობით), გაერთიანდნენ და ყოფილ — „პატრონს“ შემოუტიეს (ცოდორ-ღალიძგას შორის ქვეყანას...).

სხვა გარემოება, აქ რომ ყურადღებას იქცევს, ესაა ლაზთა მაგისტროსის ტერდეტეს მოქმედება. ტერდეტე მაგისტროსია, მაგრამ ფარსანტივით მეფის რაზმების სარდალი არ არის.

11. გეორგიკა II, გვ. 181—188

იპისის ნაპირას დამარცხებისა და ხორიანეს დაღუპვის შემდეგ სპარსელებმა საქმის გამოსასწორებლად და პეტრას გადასარჩენად დიდი ჯარი გამოგზავნეს მერმეროეს სარდლობით. გაზაფხულზე მერმეროე ლაზიკისაკენ წამოვიდა, როგორც ჩანს, პეტრასაკენ მიეშურებოდა და იგულისხმება, მარშრუტიც შესაფერი დაუჭერია. „მაგრამ გზაში მან გაიგო ყველაფერი, რაც მოხდა, და სრულიად შეცვალა ეს გზა. რადგან კარგად იცოდა, რომ მდინარე ფაზისის იქითა მხარეს ლაზებს პეტრას გარდა სხვა არც ერთი დასახლებული ადგილი არ მოეპოვებოდათ, ის გაბრუნდა და დაიჭირა იბერიიდან კოლხიდის ქვეყანაში გადასასვლელი ადგილები, სადაც ფაზისის გადასვლა შეიძლება ფონში, გადალახა ეს მდინარე ფეხით, გადალახა აგრეთვე მეორე მდინარეც, სახელად რეონი — არც ეს არის იქ სანაოსნო — და ფაზისის მარჯვენა მხარეს რომ აღმოჩნდა, წაიყვანა ჯარი ერთი ქალაქის, არქეოპოლისის, წინააღმ-

დეგ, რომელიც არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში“ (181).

ნათელია, მერმეროე პეტრაში მიიწევდა, ის, ჩანს, იმავე-გზით მიდიოდა, როგორითაც თავის დროზე ხოსრო მეფე წავიდა, — ფ ა ზ ი ს ი ს (ყვირილა-რიონის) მ ა რ ც ხ ე ნ ა ს ა ნ ა პ ი რ ო. სამწუხაროდ ნიშანდობლივ არ ჩანს ამ მარშრუტის ურთიერთობა შორაპანთან (თუმცა შორაპანი ამ დროს „მიწასთანაა გასწორებული“ რომაელთა მიერ...). მაინცდამაინც ნაგულისხმევი ისაა, რომ იბერიიდან კოლხიდაში შემოსეულთ პირველი ქალაქი შეხვდება რ ო დ ო პ ო ლ ი ს ი (186), ე. ი. იგულისხმება, რომ მარშრუტი ფაზისის (ყვირილის) მარცხნით მოიმართება. არა ჩანს ოღონდ როგორი იყო მარშრუტი მთიან არგვეთზე. შეიძლება კი უფრო მეტი საბუთით ვივარაუდოთ, რომ ის (გზა) ძირულის სანაპიროთი ან, კიდევ უფრო, ჩხერიმელას სანაპიროთი მიდიოდა. ნებოძირი შეიძლება საამისო ნიშანი იყოს, ასევე ბორ-კლდეეთი...

მერმეროემ ფონით გადალახა ყვირილა (აშკარაა შორაპანსა და ვარდციხეს შორის, შეიძლება სწორედ ზ ე ს ტ ა ფ ო ნ ი...) შემდეგ გადალახა რიონი და არქეოპოლისის წინააღმდეგ გაემართა. არქეოპოლისი მთავარი და უდიდესი (ἥ πρώτη τε καὶ μεγίστη) ქალაქი იყო ლაზიკაში და მისი აღებით მერმეროეს, ჩანს, ერთი დაკვრით სურდა მოწინააღმდეგე გაეტეხა. დამახასიათებელია, რომ ფაზისი (ფოთი) როგორღაც ლაზიკაში არის, მაგრამ არც მთლად ისე, როგორც არქეოპოლისი, ან როდოპოლისი, ან ქუთაის-მოხირისი. მაინცდამაინც ის არ არის მთავარი და უდიდესი. ჩანს, მისი მნიშვნელობა ლაზიკისათვის აგრე დიდი არაა... ის, როგორც შეიძლება ვიფიქროთ, რომაელების საყრდენი პუნქტია (ზღვის მხრით უზრუნველყოფილია)... თითქო იგრძნობა, რომ ეს ქალაქი, სადაც ამ დროს უკვე დიდი ხანია საეპისკოპოსო კათედრაა, ლაზიკასთან საბოლოოდ შერწყმული არაა და კოლონიის იერს ატარებს (ლაზიკის საეკლესიო მოწყობა-მეტროპოლია ოთხი საეპისკოპოსოთი — უეჭველია იუსტინიანეს დროის ან მისი შემდგომი ხანის აქტია და არა ამის უწინარესი, ამით ფაზისი (ფოთი) კიდევ უფრო შეერწყო ლაზიკას, რომელიც ამიერიდან რომაელების პროვინციალა იყო).

სხვა რამ, თვალში რომ სცემს პროკოპის მკითხველს, ისაა, რომ ლაზები ასეთი თავგამოდებით არ იცავენ მოხერისის ქვეყანას და მით უფრო ფაზისის სამხრეთს (პეტრა გამონაკლისია, და მისთვის ბრძოლა წმინდა სამხედრო მოსაზრებით აიხსნება. პეტრა რომაელ-

თათვის ლაზიკის გასაღებია). თუ ფაზისის სამხრეთის მიმართ ასეთი რამ ადვილი ასახსნელია პროკოპის ჩვენებათა საფუძველზე (ქვეყნის მოოხრებულობა, მოსახლეობის სითხელე, ქალაქების [illegible] ობა), ასეთი საფუძველი სრულიად გამორიცხულია მოხერისის მიმართ, პირიქით, ეს ქვეყანა ყველაზედ მოსავლიანია, ხშირი მოსახლეობით; ის ლაზიკის საუკეთესო ნაწილია (ამდენადვე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვან-საჯავახო მოხერისში არიგულისხმებოდა, რადგან პროკოპის შეხედულებით ეს ქვეყანა— ფაზისის სამხრეთი — გავერანებული იყო... თუ, რა თქმა უნდა, პროკოპის წყარო არ აჭარბებს და ის, რაც, შეიძლება, ახასიათებდა პეტრეს ქვეყანას, ფაზისის სამხრეთზე ნებისმიერად არ ავრცელებს)... მაშ რით აიხსნება მოხერისის აგრე გამეტება? სამწუხაროდ, საამისო რაიმე ჩვენება არ ჩანს. ამიტომ შეიძლება დავუშვათ, რომ ლაზები მოხერისს იცავენ, მაგრამ მათი უმთავრესი საყრდენი მაინც ცხენისწყლის დასავლეთია.

12. თუ არქეოლოგიური შესწავლა ამას მხარს დაუჭერდა (დიმს გათხრა უნდა) მაშინ ფარნავაზის მოღვაწეობა (შორაპნის და დიმნას აგება) შეიძლებოდა იბერიის ექსპანსიის ადრე ხანის მოვლენად მიგვეღო, ხოლო ლაზების მიერ სკანდა-შორაპნის აგება უფრო გვიანი ხანის ფაქტად წარმოგვედგინა, როცა იბერიის, სავარაუდებელია, დასუსტებისას ლაზიკას კვლავ დაუჭერია არგვეთის ეს ქვეყნები,— შორაპანისა და დიმნის ქვეყანა...

რა თქმა უნდა, ჩვენი ასეთი მოსაზრება სრულიად არ ეთანხმება ს. კაკაბაძის ვარაუდს ფარნავაზის მოღვაწეობის დროისა და ვითარების შესახებ, — ქართველების მოსვლა მცხეთაში (აზო) II საუკუნეში (ხორძენედან), არტაქსიას მიერ ამ ქვეყნის (ხორძენეს) მოტაცების შედეგად და შემდეგ ნელ-ნელა მცხეთის დასავლეთი ქვეყნის შემოერთების (დაპყრობის) შესახებ ვიდრე ლიხის მთამდე (იხ. ს. კაკაბაძე: ქართ. სახ. გენ. საკითხები).

დღეს ამ ავტორის წინააღმდეგ არქეოლოგიაც ლაპარაკობს (ბორი, კლდეეთი)... ასე რომ ჩვენ ვფიქრობთ, გვაქვს საფუძველი არ უარვყოთ „ქართლის ცხოვრების“ ცნობა და შორაპანი და დიმნა (და სკანდა) განვიხილოთ კოლხეთ-იბერიის ურთიერთ შორის ტერიტორიულ მიტაცების ნიშნად (არგვეთისათვის ბრძოლის ნიშნად), როცა იბერია დასაყრდენს იქმნიდა კოლხეთის ტერიტორიაზე თავისი მფლობელობის შემდგომ გასავრცელებლად (საკუთრივ მუხერისის ქვეყანაში), ხოლო ლაზიკა საპასუხო ღონის-

ძიებათა მიღებისას ამავე ციხეებს ემყარებოდა („დიდის გაჭირვებით“ აშენებდა) საშიში შემოტევის ასალაგმავად (საინტერესოა, რომ დიმნი არ ჩანს ბერძენ-სპარსელთა ომისას, უნდა ვფიქრობ, ძველი მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა, თორემ ის რომ ამ დროს არსებობდა, უეჭველია. არქეოლოგიამ შეიძლება აქაც გაგვცეს პასუხი...).

საყურადღებოა, რომ რომაელები (და ლაზები) არ ცდილობენ სკანდა-სარაპანის დაცვას და თხრიან მათ, რათა მტერმა არ დაიკავოს. ჩანს დაცვის იმედი არ აქვთ. მაშ რად (და როდის) ააგეს თავდაპირველად?.. არც როდოპოლისს იცავენ (ს. კაკაბაძეს ეს ჰგონია დიმნა). „ლაზებმა ის მიწასთან გაასწორეს, რადგან ეშინოდათ სპარსელთა შემოსევისა“. „ადვილმისადგომი იყო და იერიშის მიტანა სრულიად არ იყო ძნელი“ (187). საერთოდ ისე ჩანს, რომ სპარსეთის მხედრობა სჯობნის რომაულს. შემტევიც სპარსელები არიან. რომი მხოლოდ აქტიური თავდაცვის ტაქტიკას ადგას. პეტრა ერთადერთი პუნქტი ჩანს, რომლისთვისაც რომაელები განსაკუთრებით ზრუნავენ და მის დატოვებას სპარსელთა ხელში ვერ ურიგდებიან, მაგრამ აქაც საბოლოოდ მისი შენარჩუნების იმედი არ აქვთ და თვითონვე თხრიან მას (180). ბოლოს და ბოლოს რომაელებმა არ მოთხარეს მხოლოდ ფოთი და არქეოპოლისი და აქ მოიგეს სწორედ ომი... ეს იყო გენერალური ბრძოლა.

ის გარემოება, რომ სპარსელებმა ლაზების მიერ დანგრეული სკანდა კვლავ ააგეს, მოწმობს, რომ ამ პუნქტს ი ბ ე რ ი ი დ ა ნ ლ ა ზ ი კ ი ს ა კ ე ნ გ ზ ა ზ ე მნიშვნელობა ჰქონია. ორი გზით ჩანს უტევენ სპარსელები: ფაზისის (ყვირილის) მარცხენა მხრით (როდოპოლისისაკენ) და სკანდაზე მომავალი გზით (საზანოზე?) არგვეთიდან...

მერმეროე ფაზისის შესართავისაკენ მიდის (ფოთი) გზად არქეოპოლისს ჩაუვლის. გ ზ ა ა შ კ ა რ ა ა...

13. ქ ცა I, 24

ფარნავაზი „მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა:... განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი.

ერთი გაგზავნა მარგუს ერისთავად, და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუ/რ/ადმდე (ეგრისისა), რიონს ზემოთ. და ამანვე ფარნავაზ აღაშენნა (აღუშენნა — B) ორნი ციხენი შორაპანი და დიმნა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოტანილ ციტატაში აღაშენნა იქნება თუ აღუშენნა სულერთია („აღუშენა“ უფრო გლოსას ჰგავს), ორივე შემთხვევაში ფარნავაზი არის ფარნავაზი, ხოლო პუნქტები შორაპანი და დიმნა, ორივე ნაგულისხმევია გუსში იგულისხმება (და რამდენადაც მაგონდება ასე ესმის ვახუშტისაც 163). ასე რომ, მარგუსის დასავლეთით საზღვარი ყვირილა-ხანისწყალზე არის ნაგულისხმევი („საჩინო სალომინაოს საზღვრის ხაზი რიონიდამ ფერსათამდე“. 163).

ვახუშტი, აღწერა 150, ხანის წყლისათვის: „ხანის წყლის აღმოსავლით და ყვირილის მდინარის სამჯრით, ფერსათის კალთას, არს დიმი, სადაცა ჰყო პირველმან მეფემან ფარნაოზ ციხე მტკიცე, და აწ არს დაბა“.

ვახუშტი, ჩანს, არ ეჭვობს რომ აწინდელი დიმი იგივე დიმნაა ლეონტისეული. დიმნას ანალოგიებად გამოდგებოდა გომნა (ხეობაში) და ვარხუნა გარისის გვერდით (ახლა „ვარხუნო“ გარუსულებული ჩანს). გომნის და ვარხვნის ნაცვლად. ჩემს სოფელში იტყოდნენ ხოლმე: სერნა (სერის ნაცვლად).

14. გეორგიკა II, გვ. 188—194

მერმეროემ არქეოპოლისის აღების მიზნით ჯერ რომაელთა იმ რეზერვის განადგურება განიზრახა, რომელიც ფაზისის შესართავთან მდინარის მარჯვენა მხარეს იყო დაბანაკებული. სარდალმა ჩაუარა არქეოპოლისის ზღუდეებს და ფაზისის შესართავისაკენ გასწია. რომაელთა ჯარმა ბრძოლა არ მიიღო: სპარსელები ბევრად უფრო ძლიერნი ჩანდნენ. რომაელებმა მარაგი მდინარეში გადაყარეს, ნავებში ჩასხდნენ და ფაზისის მარცხენა მხარეს გავიდნენ. მერმეროეს რომაელთა ბანაკი ცარიელი დაუხვდა. მან გადასწვა სადგომები (ჩანს ბანაკი მხოლოდ თხრილებისაგან კი არ შედგებოდა, არამედ, ხის სადგომებისაგანაც). რაკი მტერმა მიჰრიდა, მერმეროე არქეოპოლისს დაბრუნდა და ქალაქის აღება სცადა.

„არქეოპოლისი მდებარეობს ერთ მეტად ქუშ სერზე და მას ჩამოუდის მდინარე, რომელიც ქალაქის ზემოთ აღმართული მთებიდან ჩამოდის“... აღწერა ქალაქის სიმაგრისა... (188—189).

არქეოპოლისი არაერთ საკითხს სვამს. ჯერ თვით სახელის შესახებ, საფიქრებელია რომ ეს ბერძნული სახელი მეგრული სახელის თარგმანია ისევე როგორც, მაგალითად ვარდციხე „როდოპოლის“ (თუმცა არაა გამორიცხული, რომ ვარდციხე შედგებო-

დეს არა ვარდისა და ციხისაგან არამედ ვარდ(თა) თუ ვარდ(თ) სატომო სახელისაგან: ვარდთციხე-ვარციხე... და სახელის ... სწორი ეტიმოლოგიის შედეგად თარგმნეს იგი როდ... ... ნაალმდეგ შემთხვევაში „ვარდის“ სპარსულიდან მეგრულში შემოსვლის მეტისმეტად ადრე ხანა ჩანს...); მაშასადამე პოლის რომ „ციხეა“ (-ჯიხა), სადაო არაა. საკითხია თუ რა სიტყვის თარგმანია, ან რა სიტყვის შესატყვისია ა რ ქ ა ი ო (Ἀρχαιό) ბუნებრივია ვიფიქროთ „ძ ვ ე ლ ი“ (ს. კაკაბაძე ცდილობს ძველი გ ო ნ ჯ ს მიუსადაგოს: ცუდი, უსახური, მაშასადამე ძველიო. და ამრიგად არქაიოპოლოსი ციხე გონჯის თარგმანიაო...).

მაგრამ ამაზე ნაკლებად მისაღები შეიძლება არ იყოს ციხე გოჯის გაგება ციხე ქორი (ჯ ი ხ ა ქ ო რ ი), შდრ. ამავე ხანაში დამოწმებული „ჯიხახორა“ მოქვის წყლის ხეობაში, როგორც იმ მხარის უფლის სადგომი.

ბერძნული ტრანსკრიპციით გადმოცემული ეს ჯიხა ხორა იგივე „ჯიხა ქორი“ იქნება. ჩანს, ამ რაიონში, მოქვის წყლის აუზში, სვანური ქორი მტკიცედ იყო ხმარებაში და შემოგვრჩა ჯ ი ხ ა ქ ო რ ი, მაშინ როცა ტეხურის ხეობაში ჯიხას გვერდით ქორის მეგრელიზაციაც მოხდა: ქოჯი, ქუჯი, გოჯი. შემდეგ კი ეპონიმიზაციის საშუალებით გოჯი, ქუჯი, ამ ციხის დამაარსებლად და პირველ ერისთავად იქნა გაგებული. რაც შეეხება ცნება „ძველს“ (არქაიო) ასეთი (პარალელური) სახელი მას შეიძლება ამ დროსვე რქმეოდა (ჯვეში?), რაც იმის მოწმობაც იქნებოდა, და ამას არქეოლოგიაც მხარს უჭერს, რომ ეს ქალაქი მართლაც ძველი იყო. შდრ. ქართულ ტოპონიმიკაში ჩვეულებრივი „ძველი“ (ძველი გავაზი, ძველი ანაგა, დაბაძველი, ძველი ნეკრესი, ძველი სარკინეთი, ძველი არქევანი, ძველი ჩელეთი, ძველი ჰერეთი, ძველი გაჩიანი, ძველი ბერ, ვახუშტი 313) ძველი სენაკი, ძველი მცხეთა... დაპირისპირებით ან არადაპირისპირებით ახალთან (ახალქალაქი, ახალდაბა, ახალსოფელი, ახალსენაკი...). ასე რომ არქეოპოლისის ნამდვილი ადგილობრივი სახელწოდება მთლად ცხადი არ არის... ცხადი ისაა, რომ იმ დროს ეს ქალაქი ძველ ქალაქად იყო ცნობილი იმის გარდა, რომ ის პირველი ქალაქი იყო ამ დროის ლაზიკაში.

15. ომის სურათი. საბირები და დოლომიტები სპარსელთა ჯარში. სპილოები (ათეულ ათასობით ცხენი). სპარსელთა დამარ-

ცხება ოთხი ათასი კაცი დაეღუპათ. ეს აღწერა შედგენილია ამ ბრძოლის მონაწილის მოხსენების საფუძველზე: რეალური ... წერა. საყურადღებოა, რომ აქ არ ჩანან ლაზები. ისინი თუ იგულისხმებიან მხოლოდ. ჩანს მოხსენების შემდგენელს ლაზები არ აინტერესებს კეთილმოსახსენებლად და განსაკუთრებულ ხალისს იჩენს ლაზთა მოღალატეობის აღსანიშნავად. აქაც იმ ომის დროს „ერთი ლაზი", ლაზებს შორის წარჩინებული, რომელიც არქეოპოლისში ცხოვრობდა, მოღალატურად, შეუთანხმდა მერმეროეს, რომ ის თავის სამშობლო ქვეყანას გასცემდა" (198). მერმეროემ მას საწყობებში ხანძრის გაჩენა დაავალა, როცა სპარსელთა ჯარი ქალაქის იერიშს წამოიწყებდა. მართლაცდა ლაზმა „როდესაც დაინახა რომ შეტევა გაჩაღდა, ჩუმად წაუკიდა ცეცხლი იმ შენობებს" (192).

ჩვენ ამ ცნობისაც კმაყოფილნი ვართ... ეს მოღალატე ლაზი წარჩინებულია (წიგნი 44, ფურც. 12—16, 19, 20, 22—24, 26—26).

16. ერთი საყურადღებო გარემოება უნდა აღინიშნოს. ლაზიკაში რომ ეს ამოდენა ციხეებია, ისინი ხომ ყველა ნებისმიერად აშენებული არაა და, ლაზურ სინამდვილეში ბუნებრივად წარმოშობილნი, თითოეული თავის „ქვეყანას" ჰგულისხმობს... ასე რომ, მცირე გამოკლებით, ეს ციხეები იგივე ადმინისტრაციული ცენტრებია ლაზიკისა, მისი განვითარების, მისი სამმართველო ტერიტორიულ ერთეულებად დანაწილების ნიშნებია. ასე რომ როდესაც პროკოპის (ან აგათიას) ერთიმეორის შესატყვისობით აქვს ხმარებული ქუთაისის ქვეყანა, ან მოხირისი ქალაქი და მოხირისის ქვეყანა, ეს უეჭველი მოწმობაა იმისა, რომ პროკოპისთან ციხე-ქალაქი ისევე იგულისხმება თავისი „ქვეყნით", ვითარცა სამეურნეო და სამხედრო ადმინისტრაციული ერთეული, როგორც, შემდეგ, განვითარებულ საშუალო საუკუნეებში... ასე რომ ჩვენ სარწმუნო პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ სურათად წარმოგვიდგება შორაპნის ქვეყანა მისი ციხისთავით, სკანდეს ქვეყანა მისი ციხისთავით, ცუცხვათის ქვეყანა მისი ციხისთავით, ქუთათის ქვეყანა მისი ციხისთავით, უქიმერიონის ქვეყანა თავისი ციხისთავით, ონოგურისის ქვეყანა თავისი ციხისთავით, არქეოპოლის ქვეყანა თავისი ცი-

ხისთავით (ასევე აფშილეთში — წებელდა, მისიმიანეთში, აფხაზეთში), ფ ა ზ ი ს ი ს ქ ვ ე ყ ა ნ ა თავისი ციხისთავით, ... ქ ვ ე ყ ა ნ ა თავისი ციხისთავით (ბერძენი სტრატეგოსი), ... ფ ი ს ი ს ქ ვ ე ყ ა ნ ა თავისი ციხისთავით, რ ო დ ო პ ო ლ ი ს ი ს ქ ვ ე ყ ა ნ ა თავისი ციხისთავით. უეჭველია ყველა ეს ციხე თანაბარი მნიშვნელობის არ იყო, მათი შემავალი ქვეყნები ყველა ერთნაირი სიდიდისა და მნიშვნელობის არ იყო, მაგალითად არქეოპოლისი და ონოგურისი, ან მოხირისი და ტელეფისი, ან სკანდე და სხვა..., მაგრამ უეჭველად გვეჩვენება, რომ ეს ციხეები, მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრები იყო, საიდანაც ამ ქვეყნების მმართველობა ხორციელდებოდა. (მ—2, 3, ფურც. 3).

17 გ ე ო რ გ ი კ ა II

დამახასიათებელია, რომ ლაზიკის ციხეების ინდივიდუალური ამგებელ- მფლობელი არავინ ჩანს, იგულისხმება არა მოხელეამგებელი, როგორც, მაგალითად, თომა არმენიელი და იოანე ციბე, არამედ პოლიტიკური მფლობელი, აი როგორც ვთქვათ, ლიპარიტ ბაღვაში, კლდეკარის ციხის ამგებელი და მისი უფალი. აქაიქ აღნიშნულია ციხეები, აგებული „ლაზების მიერ“ (როდოპოლისი, სკანდე, შორაპანი, უქიმერიონი, ქუთათისი, ონოგური, არქეოპოლისი, — ზოგი მათგანი შეაკეთეს ბიზანტიელებმა, ზოგი სპარსელებმა, ზოგიც მოთხარეს ერთმა თუ მეორემ), მაგრამ არსაიდან ჩანს, რომ ეს ციხეები ვისიმე კერძო მფლობელობაშია, ან საშვილიშვილო მმართველობაში. ციხეებს, მისი ქვეყნით, განაგებენ (ზოგჯერ ღალატადაც გასცემენ, მტრის გარნიზონებს შეაყენებენ შიგ), მაგრამ არსად ჩანს, რომ ამ ციხეებზე და მის ქვეყნებზე ამ დიდებულებს საშვილიშვილოდ მიუწვდებოდათ ხელი. ზოგი მათგანი მაგისტროსია და გუბაზის სამეფოში არაერთია „მაგისტროსის“ პატივის მქონებელი. რა ეწოდებოდა ადგილობრივ ამ სოციალურ ფენას პროკოპი რომ „ლოგიმოს“-ს უწოდებს (წარჩინებული? შერაცხილნი?), ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ასეთები რომ მრავლად იყვნენ, ეს პროკოპის მოწმობიდან ცხადად ჩანს (genetivus pluralis)... მაგრამ ის ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა მაინც ჩანს თითქო: თუ ციხისა და ქვეყნის საშვილიშვილოდ მფლობელი არაა, მაშ რის საფუძველზეა ეს დიდი კაცი (ლოგიმოს). „მაგისტროსი“ ჰო, მეფის მიერ ენიჭებოდა დიდკაცს, მაგრამ დიდკაცობა-შერაცხილობა ხომ მეფის წყალობა არ იყო? პროკოპი მეტის-

მეტად ფაქიზია ასეთი კვალიფიცირებისას, ის არისტოკრატიის დიდი მომხრეა, და მის მიერ ასეთი კვალიფიცირება ლაზ დიდკაცებისა საყურადღებოა, და ფასიანი მოწმობაა იმისა, რომ ამ დროს ლაზიკაში უკვე არსებობს სოციალური ფენა დიდკაცებისა, გვარიანებისა... რას ემყარებოდა მათი სოციალური უპირატესობა??

18. გეორგიკა II, გვ. 109

პეტრას გარემოცვისას რომაელთა შორის იყო ჯარის წინამძღოლი „ერთი ახალგაზრდა, წარმოშობით სომეხი, სახელად იოანნე თომას ძე, რომელსაც მეტსახელად გუზის ეძახდნენ. ეს ის თომაა, რომელმაც მისდამი მეფის მიერ გაცემული ბრძანებით, ააგო მრავალი სიმაგრე ლაზიკის გარშემო რომ არის“.

და ეს — მრავალი „სიმაგრე“ ცხადია უპირველეს ყოვლისა იყო ლაზიკის დაპყრობა.

19. გეორგიკა II

პროკოპის ასე წარმოუდგენია, და იმ დროს სხვარიგად არც არავინ წარმოიდგენდა (ეს ახლაა, რომ არც ქვეყანაზე აქვთ წარმოდგენა და არც მის ციხეზე, რომ ციხე ქვეყნისაგან მოწყვეტილად წარმოუდგენიათ, როგორც ეს არის ჩვენს დროში, ცხოვრებისაგან გარიყული ციხე-ნაციხვარები, როცა ქვეყანას სხვა ცენტრი (ქალაქი) გაუბატონდა...), რომ ესა თუ ის „ქვეყანა“ (დიდი თუ მცირე) სამმართველო ერთეულებისაგან შედგებოდა. შეიძლება ის ერთი სამმართველო ერთეული ყოფილიყო, შეიძლება რამოდენიმე. მაგალითად მოხირისი რამოდენიმე ერთეული უნდა ყოფილიყო: ქვიშილეთის ქვეყანა (ხომულის ქვეყანა), ქუთათისის ქვეყანა, ოხომირის ქვეყანა (ფართე გაგებით მოხირისი მთელ „ვაკეს“ მოიცავდა და შეიძლება კიდევ მეტს)... და როცა პროკოპი (და აგათია) აღიშნავენ, ან უკეთ გულისხმობენ, რომ ამა თუ იმ ციხეების დაპყრობით სპარსელებმა ლაზებს და რომაელებს გზა მოუჭრეს სკვიმნია-სვანეთში შესასვლელიო, ეს იმას ნიშნავს, რომ სპარსელებმა ამ ციხეთა შემავალი ქვეყნები დაიპყრეს და არა მხოლოდ ციხეები... ციხე მაშინ უქვეყნოდ არ წარმოიდგინებოდა და ამიტომაც იყო, რომ ქვეყანას ციხის სახელი ერქვა, ხოლო ციხეს ქვეყნის სახელი. (ასევე იყო ქალა-

ქიც. აქედანაა, რომ ხშირად ქვეყნის ცენტრის სახელი იგივე ქვეყნის სახელია... ეს უძველესი დროიდან მოდის, ჯერ კიდევ გორაეპის ხანიდან...), (ვახუშტიმ შესანიშნავად იცის დეხვირის მნიშვნელობა)...

ასე რომ პროკოპი (და აგათია) როცა ციხეს ასახელებენ, აქ ქვეყანაც იგულისხმება და პირუკუ — ქ ვ ე ყ ა ნ ა უ ც ი ხ ო დ ა რ წ ა რ მ ო ი დ გ ი ნ ე ბ ა.

20. გ ე ო რ გ ი კ ა II

ეს პეტრა როგორი ქალაქია, რომ არც ერთი მოქალაქე არ ჩანს მთელი ამ ომის განმავლობაში. იქ მხოლოდ გარნიზონია ან რომაელების, ან სპარსელების, ქონება რაიმე თუ ჩანს, ის ამ მეციხოვნეებისაა, მათი სურსათ-სანოვაგეა, ან მათი (მეციხოვნეების) საკუთრება რამ, კერძოდ, იოანე ციბეს დიდი ქონება, — სხვა აქ არაფერია. არა ჩანს აქ მოსახლეობა გარდა გარნიზონისა. ასეთი რამ თუ საერთოდ იყო, ის იმ ციხის გარეთაა სადღაც ახლოს საგულისხმებელი... ამ გამუდმებული ომის პირობებში, ალყებისა და ხოცვა-ტყვევნის პირობებში, ეს მოსახლეობა, რა თქმა უნდა, ვერ იბოგინებდა... თითქო ისე უნდა გავიგოთ, რომ პეტრა არ იყო „ქალაქი", არამედ სამხედრო სადგური, ციხე, ქ ვ ე მ ო გ უ რ ი ის მ ე ბ ა ტ ო ნ ე გ ო რ ა, რომლის დაბა (ქალაქი) სადღაც ახლოს იყო აქვე (-აწინდელი ქობულეთი ხალვაშიანთ უბანი, — დაგვას შესართავი), ხოლო მისი „ქვეყანა" მთელი მხარე იყო... თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ პროკოპის და აგათიას თხზულებებში არსად არაფერია ნათქვამი მოსახლეობის შესახებ. ფოთის ომის დროს, მაგალითად, ფოთის მოსახლეობა არსად ჩანს და ხომ ვერ ვიტყვით ამის საფუძველზე, რომ ფოთში მოსახლეობა არ ყოფილა? პროკოპისა თუ აგათიასთვის მოწოდებული ცნობები, უნდა ეიფიქროთ, ისეთი ხასიათისანია, რომ არასამხედრო საქმეს იქ ყურადღება არ ექცევა, მომხსენებელთ მხოლოდ ომი, ლაშქარი აინტერესებთ...

მაგრამ არც ეს ახსნა არის საკმარისი მოსახლეობის მოუხსენებლობისათვის. შეიძლება ციხე მეციხოვნე ჯარით ცალკეა წარმოსადგენი, ხოლო ქალაქი (რაბატი) ცალკე (ფოთის მიმართ ასეთი რამ თითქო სადღაც მახსოვს, რომ ფოთელები ვაჭრობას კედლის გარეთ ეწევიან...). მართლაც პეტრას ომი ისეთი სიზუსტითაა აღწერილი, გარნიზონის რაოდენობა, მათი საჭმლით მომარაგების

საქმე ისეთი სიზუსტითაა მოთხრობილი, რომ ციხეს შიგნით მათ გარდა უეჭველობით არავინ იგულისხმება... „მშვიდობიანი მოსახლეობა“ პეტრაში, ამ ციხეში იუსტინიანემ რომ გაამაგრებინა იოანე ციბეს, არ იგულისხმება. ასეთი, შეიძლება, სადღაც ახლოს არის და უეჭველად უნდა იყოს. ამ მხრით, შეიძლება პეტრა მართლაც „ქაჯეთის ციხე“ იყო ტიპიური. აი ისეთი როგორიც შოთას აქვს დახატული და ვინ იცის შეიძლება ციხეების ამ ტიპს შეერქვა „ქაჯთა ციხე“, ე. ი. ისეთი ციხე, რომელიც მშვიდობიან მოსახლეობას, სამოქალაქო საქმიანობას არ გულისხმობს, რომ ასეთი რამ მის გარეთ მიმდინარეობს, რომ ამ ციხეში ქაჯნი სხედან თავისი ხელმწიფით, მაგრამ ეს ქაჯები უხილავი ადამიანები კი არ არიან, არამედ ჩვეულებრივი ადამიანები (ხორციელნი) არიან, როგორც მათ ახასიათებს ფატმან ხათუნი, ოღონდ მხნე ვაჟკაცები არიან (*քաջ*)... ალამუტი... ამ კონტექსტში ფრიად საყურადღებოა, რომ პეტრას ციხეს საშუალო საუკუნეებში როგორც ჩანს, „ქაჯთა ციხე“ ერქვა (calthihea) და ამ ნიადაგზეა, შესაძლოა, შემუშავებული წარმოდგენა (XVIII თუ XIX საუკუნის დასაწყისი?), რომ აქ იყო შოთას ქაჯეთი. ეს ცნობა მე ამოკითხული მაქვს ერთი ქართველი მხედრის და მწერლის (თითქო თუმანიშვილი უნდა ყოფილიყო) წერილიდან, რომელსაც ის ქვემო გურიაში მყოფი სწერს ადრესატს (ვის არ მახსოვს) თბილისში. შოთას პოემასთან დაკავშირებული საკითხი აქ ჩვენი დაკვირვება-კვლევის საგანი ამჯერად ვერ იქნება, მაგრამ ის კი უნდა აღვნიშნოთ, რომ „ქაჯეთის ციხე“ შოთას კი არ მოუგონებია, არამედ ასეთი ცნება აქამდეც არსებობდა. უფრო გვიან „ქაჯეთის ციხე“ ტაოშიცაა სადღაც დასახელებული, ხოლო ქაჯთა ქალაქს ლეონტი მროველი არაერთს იცნობს (*քաջատուն*)...

თითქოს მართლაც შეიძლება ვარაუდი, რომ ერთი ტიპის ციხეებს მიუვალს, მშვიდობიანი მოსაქმეობის არ შემცველს, გარნიზონის (მებატონის, ექსპლოატატორის, მძარცველ-მეკობრის, მხნე ვაჟკაცების და აქედან გრძნეულების) სადგურს ქაჯთა ციხე ეწოდებოდა... ცალკე საკითხია: როგორ მოხდა, რომ ეს ზოგადი სახელი ციხის ტიპისა პეტრას საკუთარ სახელად შეერქვა. ხომ უეჭველია, რომ ასეთი სახელი მას შეერქვა VI საუკუნის შემდეგ და XV საუკუნეზე უფრო ადრე?...

21. რით აიხსნება, რომ ლაზიკის უმთავრეს ქალაქ არქეოპოლისში ბერძნულმა ეკლესიამ საეპისკოპოსო არ დააარსა? განა

ვარდციხე, ან პეტრა, ან ზელანეოსი უფრო დიდი მნიშვნელობისანი იყვნენ? რა თქმა უნდა არა, ორი რამ არის სავარუდო: ან ის, რომ ლაზიკის საეპისკოპოსოები დაარსებულია მას შემდეგ, რაც არქეოპოლისის მნიშვნელობა დაეცა, დაკნინდა. მურვან ყრუმდე ასეთი რამ არ წარმოიდგინება. მაგრამ ეს თარიღი მეტად გვიანია. და თუ ეს აქტი (საეპისკოპოსოების დაარსება) უფრო ადრე ხანისაა, მაშინ ჩვენ უნდა დავუშვათ, რომ აბისენონის საეპისკოპოსო მოიცავს არქეოპოლისს. ეს კი იმის საბუთიც შეიძლება იყოს, რომ ამ უცნაურ სახელში აბაშა გვეგულისხმა, იგივე ჭყონდიდი. სიმონ ყაუხჩიშვილის ვარაუდი, რომ აბისენონ ცაიშია, საეჭვო ჩანს თუნდაც ამიტომ: არქეოპოლისი უგულებელყოფილი ჩანს... მარტვილში კი დღემდეც შემონახულია VII საუკუნის ტაძარი...

ს. კაკაბაძეს ზიგანეოსი ჰგონია ნაქალაქევი...

22. უქიმერიონი ისტორიულ-გეოგრაფიულად დღემდე დაუდგენელია. ს. ყაუხჩიშვილმა მხოლოდ ისა სცადა, რომ უარეყო უქიმერიონისა და არქიელის გორის იგივეობა. მაინც მისი შრომისაგან დამოუკიდებლად ზედმეტად არ შეიძლება მიჩნეულ იქნას უქიმერიონის ძებნა სხვაგანაც. თვითონ პ-ლი ავტორიც შეეცადა ამ მიმართულებით გამოეთქვა რამოდენიმე მოსაზრება. ერთხელ ის უქიმერიონს ონოგურისს უიგივებდა, შემდეგ, ჩანს, ეს აზრი უარყო და სხვა პუნქტების შესახებ მსჯელობდა, მაგრამ გადაწყვეტილი დასკვნა არ მიუღია და საკითხი მისი აზრით ღიად დარჩა. სიმონისათვის მხოლოდ ისაა ცხადი, რომ უქიმერიონი არქიელის გორა არ არის.

საკითხი საინტერესოა. უქიმერიონი, ისევე როგორც იმ დროის ლაზიკის ციხეთა უმრავლესობა, საკუთრივ ლაზთა ნახელავია. მისი აღმოჩენა და გათხრა-გაწმენდა ჩვენს ისტორიულ ცოდნას დიდად გაამდიდრებდა. ამ ციხის შესახებ ხომ განსაკუთრებით ნიშანდობლივი ცნობა შემოუნახავთ პროკოპის და აგათიას. ეს ციხე, როგორც მოწმობენ, სრულიად გარკვეული დანიშნულებისა ყოფილა: სკვიმნია-სვანეთის გზის ჩამკეტავი სიმაგრე ყოფილა, მაგრამ, იგულისხმება, მას სხვა დანიშნულებაც ჰქონია — ახლო ქვეყანაზე ბატონობა. ციხე, ამავე დროს, ყოვლად მიუდგომელ ადგილზე ყოფილა აგებული. როგორც ვხედავთ, ციხე აგებული ჩანს მისი სამხედრო და საზოგადოებრივი ფუნქციების სრული გათვალისწინებით, რაც ლაზთა კულტურის უეჭველი მოწმობაა (საამისო მოწმობანი იმ დროს ლაზიკას არ აკლია). ამავე დროს იგულისხმება, რომ ეს ციხე

მ ო ხ ი რ ი ს ი ს ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი ა და არა მის გარეთ, ე. ი. ს. ყაუხ-ჩიშვილის სამართლიანი დაკვირვებით — ცხენისწყლის აღმოსავლეთით (თუმცა არამარტო „ცხენის წყალსა და რიონის შ[illegible] გორც ამას ჰგონებს პ-ლი მკვლევარი). ყველა ამ ჩვენებათა შემდეგ თითქო არ უნდა გაძნელებულიყო უქემერიონის ადგილმდებარეობის დადგენა. ის შეუძლებელია ონოგურისი იყოს: ონოგურისი მოხირისის გარეთაა, ის არ შეიძლება ვაკე იმერეთში იყოს: სკვიმნია-სვანეთის გზის ჩამკეტავია. მაშასადამე ის სადღაც ოკრიბაშია (ძველი გაგებით ივანე ჯავახიშვილს რომ აქვს რუკაზე). ქუთათისიც ოკრიბაშია (ამ გაგებით) თუმცა, როგორც ჩანს, სიმონის საბუთიანობისაგან დამოუკიდებლად და მისგან განსხვავებით, უქიმერიონი ქუთაისის ციხე (არქიელის გორა) არ არის. პროკოპი რაღა ამ ციხეს მიაწერდა სკვიმნია-სვანეთის ჩამკეტაობას, როცა თვითონ ქუთაისის ციხე, დაბლობში რომ იყო, არანაკლებ ჩამკეტავი იყო ამ გზისა, ის ხომ მერმეროეს ხელთ იყო და მაშ ლაზებსა და რომაელებს სკვიმნია-სვანეთზე ამ მიმართულებით ხელი აღარ მიუწვდებოდათ... ასეთ პირობებში ბერძენ მწერალს უქიმერიონის ეს თვისება, გზის ჩამკეტაობა, აღარ სჭირდებოდა, რაკი ეს გზა ქუთაისში სპარსელთა გარნიზონის ყოლით უკვე ჩაკეტილი იყო...

ახლა, თუ არქიელის გორა გამორიცხულია, ოკრიბაზე გამვლელი და სკვიმნია-სვანეთს მიმავალი გზა სხვა რომელი შეიძლება იყოს: ან ქვიშილეთი, გუბისწყლის აღმოსავლეთით და რიონის დასავლეთით (აქედან გზა მთიანეთზე მიდის გორმაღალზე გადავლით ლეჩხუმში შედის), ან ცუცხვათის ციხე. ცუცხვათი ასევე ოკრიბაშია, ოღონდ ქუთაისის ჩრდილო აღმოსავლეთით და ისევე დაშორებით, როგორც ქვიშილეთის ციხე ჩრდილო-დასავლეთით. ის ჭიშურა-წყალწითელას შუა არის შაფათას ღელეზე. ქუთაის-მოხირისიდან გზა ნააგარევ-ნაბოსლევზე (გოდოგანზე) გადმოდიოდა და ცუცხვათის გავლით ახალსოფელ-საწირეზე და ტყიბულში შედიოდა, საიდანაც გაჭრილ-ნაქერალათი გზა გადიოდა რაჭაში...

სამწუხაროდ მე ქვიშილეთის ციხე არ მინახავს, ისტორიულ-ეთნოგრაფიულად არ დამიზვერავს, ამიტომ არ შემიძლია იმ უპირატესობით მსჯელობა, მას რომ შესაძლებელია ჰქონდეს (თუ სხვა პირობები ცუცხვათის თანაბარი ექნებოდა), გზა სკვიმნიაში და სვანეთში, რაც ერთის შეხედვით ცუცხვათს თითქო არ აქვს: აქედან გზა რაჭაში გადადის. თუმცა ცუცხვათის ეს ნაკლი შეიძლება მოჩვენებითი იყოს, თუ გავითვალისწინებთ რომ სვანეთი იმ დროს თუ

მთელს არა, ზემო რაჭას მაინც ერქვა. „ქართლის ცხოვრება“ ამის მოწმობაა, ამისივე მოწმობა უნდა იყოს სვანეთზე ცილობის ეპიზოდი ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის. საფიქრებელია ამისა, რომ იმ დროს ეგრეთ წოდებული ქვემო რაჭა სვანეთში შედიოდა (თუ ზემო რაჭა სვანეთში შედიოდა, ქვემო რაჭა ბუნებრივია სკვიმნიაში იყო). ხოლო თუ ეს ასე იყო, მაშინ ცუცხვათის ციხესთან შედარებით ქვიშილეთის ციხეს ის უპირატესობა აღარ ექნებოდა (სკვიმნია-სვანეთში გზა) და ცუცხვათი ასეთივე საბუთიანობით შეიძლება ყოფილიყო უქიმერიონის ციხე, როგორც ქვიშილეთის ციხე. გარდა ამისა ცუცხვათს ის უპირატესობა აღმოაჩნდებოდა, რომ მის გვერდით მოხსენებულია (ასევე იყო XV—XVI ს-შიც) სოფელი „ოხომირა“, რაც სიტყვასიტყვით იგივე უქიმერიონია. სულ ადვილად წარმოსადგენია, რომ საგეოგრაფიო სახელი ოხომირა მაშინ მთელ იმ „ქვეყანას“ (ცუცხვათის ქვეყანას) რქმეოდა ამ სალოცავის მნიშვნელობის გამო; რქმეოდა ის თვით იმ ციხესაც, მართლაც ყოვლად მიუვალ ადგილს რომ აუგიათ ლაზებს ამ ქვეყანაზე საბატონოდ და იმ გზის ჩამკეტავად, რომელიც როგორც ჩანს, შემდეგდროინდელ გელათს ჩამოუვლიდა და ცუცხვათ-ახალსოფლის გავლით ტყიბულს შეიდიოდა, რომ აქედან გაჭრილ — ნაქერალათი სკვიმნიაში (ქვემო რაჭაში) და აქედან სვანეთში (ზემო რაჭაში) შესულიყო და ოსეთის გზით კავკასიონი გადაელახა...

ცუცხვათის ციხე მე ვნახე. მისი არქიტექტურის შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვი. ისე კი ერთის შეხედვით ეს არის უძველესი ციხე (გადარჩენილი ნაგებობების მიხედვით), მისი განსაკუთრებით დამახასიათებელი ბურჯებით, წყობით, ფორმით...

აქ მხოლოდ ის გადმოცემა ახსოვთ, თუ როგორ გამოიტყუა თათრები ციხიდან ამყოლაძემ...

განსაკუთრებით მიუვალ ადგილას ნაგები ეს უძველესი ციხე, ეს ყოვლად უეჭველია, ამ გზისა (იმისაგან დამოუკიდებლად, თუ სად შეიდიოდა ეს გზა, — სკვიმნია-სვანეთში თუ რაჭაში) და ამ ქვეყნის მებატონე ექსპლუატატორი იყო. ეს ცუ ცხ ვ ა თ ი ხ ომ ი დ ე ა ლ უ რ ი ქ ვ ე ყ ა ნ ა ა, ერთი მთლიანი. გზები აქედან, ცუცხვათიდან სხვადასხვა მიმართულებით შეიძლება წასულიყვნენ ოხომირის ქვეყანაში, მაგრამ ეს ციხეც იმიტომ იყო აქ, რომ როგორც ეს ქვეყანა, ისევე ეს გზები ყველა გამოუკლებლივ, ამ ციხის ქვეშ გავლილიყვნენ... ისიც ბუნებრივად სავარაუდებელია, რომ ეს ციხე ბატონობდა, არა მარტო ცუცხვათის ქვეყანაზე (დღეს რომ წარმოგვიდგება), არამედ გაცილებით უფრო დიდ ქვეყანაზე, ვინ იცის ოკ-

რიბის მთელ აღმოსავლეთ ნაწილზე. ის მინდა ვთქვა, რომ ცუცხვათის საციხისთავო დიდი ტერიტორია უნდა ყოფილიყო რიონისა, წყალწითელა-ჭიშურასა და ნაქერალას შუა. შეიძლება ამ საციხისთავოს განსაკუთრებული მნიშვნელობის ნაგვიანევი მოწმობა იყოს, რომ აგიაშვილები ციხისთავთ-ციხისთავები არიან, ხოლო ოკრიბაში თავადი არავინაა და ოკრიბელნი მეფის ტალანი იყვნეა.

23. გეორგიკა IV_2, გვ. 278—279

„ადრანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი „რაბატიც“ და დაბა ქალაქიც“.

არტანუჯი, თითქო ასე გამოდის, პირველ ყოვლისა არის მტკიცე ციხე. მაინცდამაინც ეს რაბატი, თუ დაბაქალაქი ამ ციხის აუცილებელი რალაც ნაწილი არაა: ის შეიძლება იყოს, შეიძლება არა (აშოტმა განაახლა დანგრეული არტანუჯი „აღაშენა ეგრეთვე ციხედ და წინაკერძო მისსა — ქუეშეთ აღაშენა ქალაქი“ ისევე ვთქვათ, როგორც ატენი... მაგრამ ატენის ციხე მანამდეც იყო, ვიდრე ატენის ქალაქი აშენდებოდა, ასევე, საფიქრებელია, იყო არტანუჯიც..). არტანუჯის მნიშვნელობა მის ქალაქობაში კი არ იყო, არამედ იმ მოხერხებულ ადგილმდებარეობაში, საიდანაც გზები მიემართებოდნენ მრავალი მიმართულებით, რის გამოც აქ უამრავი ბაჟი შემოდიოდა. არაა მართალი ს. ყაუხჩიშვილი რომ ფიქრობს, თითქო არტანუჯი ქალაქობით იყო სახელგანთქმული. ასე რომ ყოფილიყო, ის არც ისე უსახელოდ დაკნინდებოდა ამ აყვავების ხანაში XI—XIII საუკუნეებში, როცა ის აღარაფრით არ ჩანს რომ განირჩეოდა სხვა ასეთივე საერისთავთერისთავო საჯდომი ციხისაგან. არტანუჯს ხომ ბანა-ტაოსკარმა აჯობა იმავე აყვავების ხანაში... (სწორედ ისევე როგორც ეს მოუვიდა კლდეკარის ციხეს..). არტანუჯი ძლიერი ციხე იყო. მისი ქვეყანა მდიდარი და ფართე იყო (ხომ არ ცდება აქ პორფიროგენეტი როცა არზენს ასახელებს და თეოდოსიოპოლის ციხის ქვეყანა — არზნ — ხომ არ გამოაქვს არტანუჯის ქვეყნად?), აქ გზები გადიოდა, ქარავნები მიმოდიოდნენ და არტანუჯის ციხის პატრონს დიდი ბაჟი შემოსდიოდა. აქვე შექმნილა დიდი რაბატი... პორფიროგენეტი სწორედ ამ ბაჟზე ამახვილებს ყურადღებას. (რაც თავისთავად განსაკუთრებით საინტერესოა). არტანუჯის შემოსავალი უპირველეს ყოვლისა ეს ბაჟია... და თუ ეს გზები დაეცემიან, გადაინაცვლებენ

და სხვ., არტანუჯის მნიშვნელობაც დაეცემა (და დაეცა კიდევაც XII—XIII ს-ში). (წიგნი 31. ფურც. 32—33, 37, 91—92, 93, 97, 101, 114).

ეროვნული ბიბლიოთეკა

[მოხირისი — ჟუთაისის სამოქალაქო]

1. „მ უ ხ უ რ ი შ ი“ ხომ არ იყო ბერძნული მოხირისის საფუძველი?

მუხურუში=მუ-ხურ-ი-შ-ი. (ჩხენიში, ჯიხაიში, ჩუნეში, კულაში) ხურ, ხ ო რ უ ა.

„ქუთათიში“ არაა საფიქრებელი რომ ყოფილიყოს. ამ „ში“-ს ქართული ისევე ში-თ შემოინახავდა, როგორც შემოინახა კულაში, ჯიხაიში, ჩხენიში და სხვა ათასი ში...

ასე რომ ეს სი (ქუთათისი) ქართული სუფიქსია (ანალოგია არ გვაქვს. რატომ არ გვაქვს გელათისი-გელაისი, ბაღდათისი-ბაღდაისი და სხვა??).

მეორეს მხრით არც მეგრული თ ი შ ი ჩანს და ეს იმიტომაც, საფიქრებელია, რომ თი-ც და ში-ც ორივე ერთი ფუნქციისანი არიან. (მ—2, 21. ფურც. 137).

2. გ ე ო რ გ ი კ ა II, პროკოპი, გვ. 118—119

„შემდეგ წელს (იგულისხმება ზავის მეხუთე წელი, ე. ი. 550) მიდთა ჯარის დიდი სიმრავლე შეიჭრა კოლხეთის ქვეყანაში. მათ სათავეში ედგა ერთი სპარსელი, სახელად ხორიანე, ომებში ძალიან გამოცდილი: მათ მოკავშირეებად მისდეოდა მრავალი ბარბაროსი ალანთა ტ ო მ ი დ ა ნ. როდესაც ეს ჯარი ლაზიკის იმ ადგილში მივიდა, რომელსაც მ ო ხ ი რ ი ს ი ე წ ო დ ე ბ ა, დ ა ს ა ბ ა ნ ა კ ე ბ ლ ა დ დ ა დ გ ა მ ო ხ ე რ ხ ე ბ უ ლ ა დ გ ი ლ ა ს. იქ ჩამოდის მდინარე იპპისი, არც დიდი და არც ნავთსავალი, რომლის გადასვლა შეუძლიათ ცხენოსანთ და ფეხდაფეხ მავალთაც; ამის მ ა რ ჯ ვ ე ნ ა ნ ა პ ი რ ა ს (ἐν δεξιᾷ) გაიკეთეს თხრილსიმაგრე, მაგრამ ნაპირას კი არა, არამედ კარგა მოშორებით იქიდან“...

ერთი საინტერესო მომენტი შეინიშნება. სპარსელებს კ ო ლ ხ ი დ ა ში ს პ ა რ ს უ ლ ჯ ა რ თ ა ნ ერ თ ა დ ა რ ც ე რ თ ხ ე ლ ა რ ჰ ყ ა ვ თ ი ბ ე რ ი ე ლ ე ბ ი. და ეს გასაგებიცაა: იბერია დაპყრობილი ქვეყანაა, ასაჯანყებლად მზადაა, ამავე დროს ეს ქვეყანა სასტიკად ირბევა სპარსელთა ჯარისათვის სურსათის ძლევით და, უნდა ვიფიქროთ, არასანდოა დამპყრობლისათვის. იბერიელ წარჩი-

ნებულთა ერთი ნაწილი ლაზიკაში (ბიზანტიაში) იყო შეხიზნული. სხვები კი მძიმე ხარკს შესდგომოდნენ. სპარსელთა „მომხრეებს" ჩანს არა ჰქონდათ ხალისი მათთან ლაშქრობისა. დამახასიათებელია, რომ სპარსელთა ჯარში არც არმენიელები ჩანან, არც ალბანელები.

მ ო ხ ი რ ი ს ი ლაზიკის ადგილია, მხარეა. მდინარე ი პ ი ს ი მოხირისშია, მაგრამ არაა მთლად ნათელი ამ მდინარის მარჯვენა მხარეც მოხირისშია თუ არა, ხორიანე აღმოსავლეთიდან მოვიდა ამ მდინარესთან. არა ჩანს გადაიარა თუ არა, თუმცა ამ მდინარის ადვილგადასასვლელობაზე საუბარი და მისი „მარჯვენა" მხარის დასახელება უფრო სანდოს ხდის ასეთ გაგებას. მაგრამ მაშინ ისე გამოდის, რომ მოხირისი ცხენისწყლის მარჯვენა მხარესაც მოიცავს.

3. გ ე ო რ გ ი კ ა II, (პროკოპი), გვ. 96

(ლაზიკაში) „იბერიის საზღვრებიდან რომ შედიხარ, იქვეა ლაზების მიწა-წყალზე ორი სიმაგრე, რომელთა დაცვა ძ ვ ე ლ ი თ-გ ა ნ ვ ე ადგილობრივი მცხოვრებლების საზრუნავს შეადგენდა, თუმცა მათ ბევრი ნაკლებობის გადატანა უხდებოდათ, რადგან იქ არ მოდის არც ხორბალი, არც ღვინო, არც სხვა რამ სიკეთე..."

თუ ეს ორი სიმაგრე სკანდე და შორაპანია, როგორც სამართლიანად ფიქრობს ს. ყაუხჩიშვილი, მაშინ ეს ამონაწერი იმის მოწმობაა, რომ პროკოპი არ იცნობდა ამ ადგილებს... ხოლო თუ იცნობდა და მაინც ასე სწერდა (ე. ი. თუ მას სამხედრო თუ სხვარიგ მოხსენებათა ცნობები სწორედ აქვს გადმოცემული), ეს იმას ნიშნავს, რომ სკანდესა და შორაპანის სანახები, სადაც მხოლოდ ქვრიმა მოდის და ისიც მცირედ, მოხირისის ფარგლებში ნაგულისხმევი არ შეიძლება იყვნენ, რომ სკანდესა და შორაპანის ქვეყნები მ ო ხ ი რ ი ს ი ს გ ა რ ე თ ა ა.

იქვე, გვ. 185.

ეს ციხეები მოხსენებულია, როგორც ლაზიკის სიმაგრეები.

4. გ ე ო რ გ ი კ ა IV_2, ბასილი სოფენელი, გვ. 191

Notiuia dignitatum-ში, რომლის უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი რ ე-დ ა ქ ც ი ა 413—415 წ ლ ე ბ ს მ ი ე კ უ თ ვ ნ ე ბ ა, მოხსენებული საგეოგრაფიო სახელი Mochora, სადაც რომაული კოჰორტა იდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გა, სიმონ ყაუხჩიშვილს შესაძლებლად მიაჩნია გაუიგივეოს ბიზანტიელი ისტორიკოსების მიერ აღწერილ მ უ ხ ურ ი ს ს, „რომელსაც ბიზანტიის მმართველები დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ“ (გვ. 192) — დ ა უ ყ ურ ა დ ღ ე ბ ო დ ს ტ ო ვ ე ბ ს ა დ ო ნ ც ი ს მ ი ე რ მ ო ტ ა ნ ი ლ ს ა ბ უ თ ს, რ ო მ ი მ დ რ ო ს, ე. ი. „при составлении Not. dign. названные города еше не были подчинены римлянам и власть дука не могла заходить так далеко“. ადონცი აქ გულისხმობს ბიჭვინტას და სებასტოპოლისს. მაგრამ ეს დებულება ამდენადვე შეეხება ლაზიკის სხვა პუნქტებსაც ზიღანეოსს და მოხორას.

აქვე სიმონ ყაუხჩიშვილი, როგორც ჩანს Mochora-ს (მუხურისს) ერთ პ უ ნ ქ ტ ა დ (ქალაქად) გულისხმობს ლაზიკაში და არა ქ ვ ე ყ ნ ა დ, ისევე როგორც ყველა სხვა პუნქტია ამ ნოტაციაში დასახელებული და არა ქვეყანა.

5. გ ე ო რ გ ი კ ა IV_2, კონსტ. პორფიროგენეტი, გვ. 279—280.

„ადრანუჯის ციხის მიწა-წყალი, ესე იგი ა რ ზ ე ნ ი (?), დიდია და ნაყოფიერი და წარმოადგენს ი ბ ე რ ი ი ს, ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ა და მ ე ს ხ თ ა ქვეყნის გასაღებს“.

შდრ. მ ო ხ ი რ ი ს ი ასევე წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ დ ა ს კ ვ ი მ ნ ი ა-ს ვ ა ნ ი ი ს (და მარტო სკვიმნია-სვანეთის?) გასაღებს.

ალბათ ისევე შეიძლებოდა თქმულიყო კლდეკარის ციხის მიწა-წყალზე რომ ის დიდია და ნაყოფიერი („ქვეყანა“) და წარმოადგენს სომხითის (დმანის-ლორე), ჯავახეთის (ნარდევან), თორ-გუჯარეთის (საბიტახჩი), ზენა სოფლის (ტანას ხეობა, კლდეკარ-სამაჭალო) მანგლისის გასაღებს. საკუთრივ კლდეკარი (პუნქტი) კი არა, არამედ წარმოსადგენია ის ქვეყანა (თრიალეთისანი), რომელიც შეიპყრა ლიპარიტ ბაღვაშმა და რომელსაც უთავა ციხე კლდეკართა. ასე რომ ამიერიდან ეს იყო ქვეყანა კლდეკართა, ისევე როგორც იყო, ალბათ, ცუცხვათის ციხის, ოხომირას ქვეყანა, ან საჩხერის (მოდამნახეს, ჩიხას?) ქვეყანა, ან სხვილოს ქვეყანა და სხვა ათასი...

ახლა სრულიად გასაგებია, რომ მოხირისის „ქვეყანა“ ერთი ორგანული მთლიანი იყო (სხვა ასეთივე ქვეყნებივით) და გააჩნდა „ცენტრი“ საიდანაც მისი მართვა ხორციელდებოდა. ეს იყო, შეიძლება ვიფიქროთ ქვეყანა „სამოქალაქო“, „ქვეყანა ქუთათისისა“ (მაგრამ გვიან შერქმეული: არც „ქალაქი“ და არც „ქვეყანა“ სიძ-

ველეს ვერ დაიჩემებენ); მისი ძველი სახელი, საფიქრებელია, სწორედ მ უ ხ უ რ ი იყო, გვიან გაქუთათისებული (როცა მუხურებმა პირველობა მოიპოვა). ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით დღესავით ნათელია, რომ მუხურის ქვეყანა უნდა ყოფილიყო ის ტერიტორია (ცენტრი), რომელსაც უნდა თავის გარშემო შემოეკრიბა სხვა მის გარშემო მდებარე მცირე „ქვეყნები" (რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ხანაში)... ხოლო სად იყო ამ ქვეყნის ცენტრი სხვადასხვა დროს, საძიებელია (ვანი....?). (წიგნი 31, ფურც. 23, 61, 113).

6 გ ე ო რ გ ი კ ა III, ა გ ა თ ი ა, 159.

„ზამთარი რომ დადგა, სპარსელები მაშინვე დაიძრენ იქიდან და გაბრუნდნენ კ ო ტ ა ი ს ს ა და ი ბ ე რ ი ა ში, რადგან იქ უნდოდათ ზამთარი გაეტარებინათ..."

თუ აქ დამახინჯება ან შეცდომა არაა ამ საგეოგრაფიო სახელებში, მაშინ მეტად საინტერესო შენიშვნის საბუთი ჩნდება: რომ ქუთაისი ისეთივე ქ ვ ე ყ ნ ი ს სახელია, როგორც ი ბ ე რ ი ა. თუ ეს ასეა, გამოდის, რომ ქ უ თ ა ი ს ი აქ მ ო ხ ი რ ი ს ი ს ნ ა ც ვ ლ ა დ ა რ ი ს ნ ა ხ მ ა რ ი (ამის მსგავსი რაღაც სხვაგანაც შეინიშნება).

ეს დაკვირვება თითქო გარკვეულად ეხმარება იმას, რომ გვიან, საშუალსაუკუნეებშიაც „ქუთაისი" არა მხოლოდ ქალაქის, არამედ „ქუეყანა ქუთათისისა", ან კიდევ სამოქალაქო ქუეყნის შინაარსითაც იხმარება... (მ—2,21. ფურც. 121).

7. ქ უ თ ა ი ს ი. დას. საქართველოს ფეოდალური ცენტრი. ის გარემოება, რომ ცხუმი, ფოთი ვეღარ შერჩნენ ძველ მნიშვნელობას, იმის მოწმობა შეიძლება იყოს, რომ ეს საზღვისპირო ქალაქები ძირითადად მაინც კოლონიები იყვნენ და არაადგილობრივი წარმოშობისა. ფოთი რომ ლაზიკის „სავაჭრო ქალაქი" იყო, ხოლო არანაკლები სავაჭრო პუნქტი ჩანს სებასტოპოლისი, იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ ეს პუნქტები სავაჭრო პუნქტები იყვნენ კოლონისტებსა (მოქალაქეებს) და გარშემო ქვეყანას შორის (ტომები). ამიტომაც მოხდა, რომ ეს პუნქტები დაეცნენ სწორედ ამ ეპოქაში, როცა ქვეყანა (ლაზიკა) დაწინაურდა (ფეოდალურად): მეტროპოლიასთან კავშირი შეუსუსტდა კოლონიებს, ხოლო განვითარებულმა ფეოდალურმა ურთიერთობამ ლაზიკაში შესაფერისი ცენტრები ქვეყნის შიგნით წარმოშვა... ყველაზე შესანიშნავი იყო ამ მხრით

ქ უ თ ა თ ი ს ი, რომელმაც თამამად დაიჭირა პოლიტიკური ცენტრის ადგილი, ბუნებრივი პირობები (მოხირისი), ტრადიციული ქართული ელემენტი... ამიტომ სრულიად ბუნებრივად მოხდა, რომ ფეოდალ ხაზთ მეფეებმა ქუთაისი გაიხადეს საჯდომად და იქ (და მის გარშემო) გააჩაღეს დიდი მშენებლობა (ბაგრატი, გელათი, გეგუთი, პალიასტომის ღვთისმშობელი).

ქუთაისის სატახტო ქალაქად ქცევა ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებას მოასწავებდა (მ—2,21. ფურც. 119).

8. პ ა ლ ი ა ს ტ ო მ ი ს ხ ა ტ ი, „ქუთათისის და პალიასტომის ღვთისმშობელი“ (ლევან დადიანის სიგელით). რ უ ს მ ა ე ლ ჩ ებ მ ა ე ს ხ ა ტ ი ნ ა ხ ეს ქ უ თ ა ი ს ი ს ტ ა ძ ა რ შ ი...

ეს უნდა იმის ნიშანი იყოს, რომ ფოთიდან (პალიასტომიდან), სადაც ეს ეკლესია მართლაც მოიპოვებოდა (ეს ჩანს ფოთის ომის აღწერილობიდან VI ს.), ალბათ ბერძნული, ეს ხატი ქუთაისში იქნა გადმოტანილი იქ მეტროპოლიის გაუქმებასა და ქუთაისში ლაზიკის საეკლესიო ცენტრის გადმოტანასთან დაკავშირებით. როგორც საფიქრებელია, ეს უნდა მომხდარიყო ბაგრატ III დროს, რომელმაც ქუთაისი ჰყო საეპისკოპოსოდ...

ასე რომ ჩემი წინა ვარაუდი, რომ ფოთის მეტროპოლია ჭყონდიდში იქმნა გადატანილი, ან პ. ინგოროყვას ვარაუდი, რომ ქუთათისმა ვარდციხის საეპისკოპოსო შეცვალა — მცდარია. ეს საეპისკოპოსოების ცვლა ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ ეს ბერძნული კათედრების მარტივი ცვლილება იყო ქართულით, არამედ ისე, რომ ახალ (ფეოდალურ) ხანაში, ახალი ცენტრები (პოლიტიკური, ეკონომიური) წარმოისახა, ახალი ადმინისტრაციული დაყოფა გახდა საჭირო და ახალი საეპისკოპოსოებიც ამისდა მიხედვით გაჩნდა, ხოლო ძველი, დროწასული და შინაარსს მოკლებული, დაკნინებული, — გაუქმდა... (მ—4, 28. ფურც. 2).

9. ქ ̄ ცა I, ჯუანშერი, 240—241

ბიზანტიის კეისარმა „მსახურებისა“ და „რგების“ სამუქფოდ მირსა და არჩილს ო რ ი გ ვ ი რ გ ვ ი ნ ი გ ა მ ო უ გ ზ ა ვ ნ ა და გუჯარი.

მირი წყლულებისაგან დამძიმდა. დასავლეთ საქართველო (აფხაზეთს გარდა) მირის საუხუცესო იყო (ეგრისი, ს ვ ა ნ ე თ ი, თ ა-

კ უ ე რ ი, ა რ გ უ ე თ ი და გ უ რ ი ა)[1]... ეს დარჩა არჩილს საუბუ-
ცესოდ... ხოლო მამა ჩვენის ნეშტიო მცხეთას ვერ წარვეცეთ
შენო „წარსცენ ძუალნი მისნი და დაჰფლენ ს ა ყ დ ა რ ს ა ქ უ თ ა-
თ ი ს ს ა, რ ა თ ა ი პ ო ვ ო ს ი გ ი ს ა წ ა მ ე ბ ე ლ ა დ ს ა მ კ ვ-
დ რ ო ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა“.

ქუთაისი და ციხე-გოჯი ორივე დიდად მნიშვნელოვანი ჩანან, მაგრამ ხოსროიანები უპირატესობას მაინც ქუთაისს ანიჭებენ. მათი მამა სტეფანოზი იქ იმარხება, „რათა იპოვოს იგი საწამებელად სამკვ-დროსა ჩუენისა“. (მ—2, 21. ფურც. 134).

10. ქ^ცა I, ჯუანშერი, 242

მირ და არჩილი ეგრისში არიან. მირმა თავისი საგანძური ქუთა-ისში და ციხე გოჯში დაფლა. მამა მათი სტეფანოზი იქვე ეგრისში გარდაიცვალა და შფოთის მიზეზით ის მცხეთას, მათ საძვალეში, ვერ წაიღეს. მირი ანდერძად უტოვებს არჩილს: „წარსცენ ძუალნი მისნი (ე. ი. სტეფანოზის — ნ. ბ.) და დაჰფლენ საყდარსა ქუთათისსა, რათა იპოვოს იგი საწამებელად სამკვდროსა ჩუენისა, და შენ დაადგერ აქა და ემოყურებოდი ბერძენთა“.

ქ უ თ ა თ ი ს ი ს ქ უ ე ყ ა ნ ა ჯერ კიდევ პროკოპი კესარიელთან ჩანს მოხირისის სახით. ის, რა თქმა უნდა, ეგრისია, მაგრამ ეგრისის შიგნით რაღაც ნიშნით ცალკე ქვეყანას ქმნის (ამავე დროს ეგრისის გარეთაა არგვეთი, ის იბერიაშია), ისევე როგორც ცალკე ქვეყანას ქმნის რიონის მარცხენა სანაპირო პეტრადან — როდოპოლისამდე... ქ უ თ ა თ ი ს ი ს ქ ვ ე ყ ნ ი ს ა მ ფ ა ქ ტ ს ემყარება, საფიქრებელია, ქართლის მეფეების არჩევანი, რომ ციხე გოჯში არ დაიდვეს ბინა: ისიც ხომ მათი იყო — საგანძურნი იქაც ხომ დაფლეს (ქ^ცა 236). ა ს ე რ ო მ ქ უ თ ა თ ი ს ი ე გ რ ი ს შ ი ა, მისი ერთ-ერთი ქ ვ ე ყ ა ნ ა ა. (მ—2, 6. ფურც. 129).

---

[1] აქ ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო არაა ნახსენები ის, უნდა ვიფიქროთ, იგულისხმება ქუთათისში, რომელიც „სამკვდროდ“ სურთ დაიდონ ხოსროიანებმა...

არც რ ა ჭ ა ა ნახსენები. შეიძლება ეს გარემოება საინტერესო მოწმობა იყოს ჯუანშერის წყაროს სიძველისა ამ ნაწილში. ნაგულისხმევ დროს (VIII ს.) რაჭა ჯერ მართლაც არ უნდა ყოფილიყო, როგორც ადმინისტრაციული (ეთნიკური) ერთეული. ის ამ დროს თაკვერსა და სვანეთში შედიოდა ძველებურად.

ამ დროს რომ რაჭა არსებულიყო ის უნდა მოხსენებული ყოფილიყო.

11. ქ˜ცა I, ჯუანშერი, 242_{15}

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილი ეუბნება აფხაზთ მთავარს: „წარვალ და დ ა ვ ბ ე ნ ე ბ ი ციხე-გოჯს და ქ უ თ ა თ ი ს ს“.

იქვე, 243_4

„წარმოვიდა არჩილ (აფხაზეთიდან) და დ ა მ კ ვ დ რ ა ე გ-რ ი ს ს ვ ი დ რ ე შ ო რ ა პ ნ ა დ მ დ ე“...

ქუთათისი ეგრისშია; ე გ რ ი ს ი ა შ ო რ ა პ ნ ა მ დ ე. (მ.—2,21. ფურც. 135).

12. ქ˜ცა I, სუმბატ დავითის ძე, 385_{17}

მძევალი ბაგრატ ბიზანტიიდან „მოვიდა წინაშე მამისა თჳსისა გიორგი მეფისა და დედისა თჳსისა მარიამ დედოფლისა ქ ა ლ ა ქ ს ა მ ა თ ს ა ქ უ თ ა თ ი ს ს“.

იქვე: გ-ი მეფე გარდაიცვალა თრიალეთს და „დამარხეს იგი ქ უ თ ა თ ი ს ს“.

ქ უ თ ა ი ს ი ა ფ ხ ა ზ თ ა მ ე ფ ე თ ა რ ე ზ ი დ ე ნ ც ი ა და ს ა ძ ვ ა ლ ე ა.

ქ˜ცა I, დ-თის ისტორიკოსი, 333_3. დავით მეფე თურქთა მოსაჩ-ვენებლად „ქუთათისს გარდავიდა“. აქ ქუთათისი უფრო ქვეყანას გულისხმობს ვიდრე ქალაქს.

ქ ა ლ ა ქ შ ი, პ უ ნ ქ ტ შ ი ა რ „გ ა დ ა დ ი ა ნ“, არამედ ქვე-ყანაში: „გარდავიდის აფხაზეთს“ და ბრავალი სხვა. (მ—2,21. ფურც. 129).

13. ქ˜ცა I, მატიანე ქართლისა, 299_6

ამ ცნობიდან თითქოს ისიც შეიძლება განვსაზღვროთ, თუ სა-მოქალაქოს ტერიტორია სადამდის ვრცელდებოდა სამხრეთის მიმარ-თულებით. მეფემ ანაკოფიას ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ლ ა შ ქ ა რ ი მიუყენა, ქუთაისს მოვიდა და ქ უ თ ა ი ს ი ს ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ს ლ ა შ ქ ა-რ ი შ ე მ ო ი ყ ა რ ა, მ ე ს ა მ ე ლ ა შ ქ ა რ ი მან ხუფათს შე-მოაყენა. ესენი იყვნენ გ უ რ ი ე ლ ნ ი ა ზ ნ ა ურ ნ ი და ლ ო მ-ს ი ა ნ ნ ი (ოდიშის, სვანეთის, რაჭის, არგვეთის ლაშქარი მეფეს არ დასჭირებია...). თითოეულ ციხეს მ ი ს ი დ ა ს ა მ ხ ა რ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს ლაშქარი შემოაყენა, თვითონ კი ს ა კ უ თ ა რ ი ს ა მ ე ფ ო ლ ა შ-ქ ა რ ი შ ე მ ო ი ყ ა რ ა ქ უ თ ა ი ს ი ს ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ს ი.

თითქო ისიც ჩანს, რომ ორგვარი ლაშქარი იყო საფეოდალო

ქვეყნების და საკუთრივ სამეფო: ქუთაისის სამოქალაქო-
ს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაინცდამაინც ის ცხადად ჩანს, რომ „სამოქალაქოში" ამ დროს ქუთაისის სამოქალაქო იგულისხმებოდა და არა რომელიმე სხვა პუნქტის (ვანის, ციხე გოჯის...).

გარდა ამისა, თითქო ისიც დგინდება, რომ გაღმა მხარი (რიონის და ყვირილის გაღმა მხარი) ქუთათისის სამოქალაქოში არ შედის, მით უფრო არ შედის გურია (ეს ისედაც ცხადი იყო). გურიის მოსაზღვრედ აქ ლომსიანნი არის დასახელებული. უნდა ვიფიქროთ აქედან არის შემორჩენილი ლოსიანთ ხევი იქნებ სალომინაოსაც კავშირი აქვს ამ ლომსიანთან... დამახასიათებელია: ყვირილა-რიონის გაღმა მხარე, მარცხენა მხარე, გურიაც ხომ რიონის მარცხენაა, ერთ რაღაც ერთეულად (ძველი მონაგონარი) არის ნაგულისხმევი... მაინცდამაინც ქუთაისის სამოქალაქოში ის არ იგულისხმება (მ—2,21. ფურც. 141).

14. ქ'ცა I, მატიანე ქართლისა, 299$_3$

ბაგრატ IV ანაკოფიას შემოდგომოდა ასაღებად. ამ დროს მას ტფილელებმა უხმეს. ბაგრატმა ანაკოფიას დატოვა „ქუაბულელ ჭაჭას ძე ოთაღო აფხაზეთისა ლაშქრითა. ამოიარა და მოვიდა ქუთათისს, და მოიყენა ქუთათისისა სამოქალაქოსა ლაშქარი, და გურიელნი აზნაურნი და ლომსიანნი მოიყვანა ხუფათსა, დაუდგნეს ფილაკავანნი და ბრძოდეს. და ამოიარა მეფემან და მოვიდა ქართლს.

შესანიშნავია! აქ დადასტურებულია არა მარტო ის, რომ „სამოქალაქო" ერთი სამხედრო-ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულია, არამედ ისიც, რომ ეს ერთეული არის ქუთათისის სამოქალაქო და არა ისეთი სამოქალაქო როგორც აკად. ს. ჯანაშია ვარაუდობს (იხ. შრომები II, 320—321). მოტანილი მოწმობა, ვფიქრობთ იმის უფლებასაც გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ „სამოქალაქო" ამ დროს ზოგადი ტერმინი იყო და ამა თუ იმ სამოქალაქოს სახელდობრ (ნიშანდობლივ) აღნიშვნისათვის საჭირო იყო განმსაზღვრელის დართვა, რათა მკითხველს სცოდნოდა თუ რომელ სამოქალაქოზე იყო საუბარი: „ქუთათისისა სამოქალაქოსა ლაშქარი" ეს იყო ის ლაშქარი, რომელიც გამოდიოდა ქუთაისის სამოქალაქოსაგან, ე. ი. იმ ტერიტორიიდან რომელსაც „ქუთათისის სამოქალაქო" ეწოდებოდა. ბუნებრივია ვარაუდი, რომ

იყო აგრეთვე სხვა სამოქალაქო, ვთქვათ, გორის... მაგრამ, თუ ეს ასე გვხვდება, ეს უნდა ვიფიქროთ, იმის გამოა, რომ მათ ადგილობრივი მნიშვნელობა არა ჰქონიათ: ქუთათისის სამოქალაქო მთელი საერისთავო იყო... (მ—2,21. ურც. 142).

15. ქცა I, მატიანე ქართლისა, 303_6

ბაგრატ IV თავისი ძე გიორგი (XI ს. 50-ანი წლები) „დაუტევა ქუთათისს მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა და წარვიდა საბერძნეთს“.

ქუთათისი „აფხაზეთის სამეფოს“ სატახტო ქალაქია (მ—2, 21. ფურც. 130).

16. ქცა I, მატიანე ქართლისა, 316_2

ნიანია ქუაბულისძე სხვა მთავრებთან ერთად გიორგი მეფეს განუდგა. „ნიანია წარეულო ქუთათისისა საჭურჭლე და შედგა ქუთათისს შიგა“.

მეფის საჭურჭლეა ქუთათისში (იგულისხმება ციხეა იქ).

აქ კი ქალაქი იგულისხმება. ნიანია სხვებზე უფროა ქუთაისის დასამხარზე, შეიძლება რაღაც პრეტენზიებითაც („ნეფე ქვაბულიძე“?).

ეს ფეოდალი თითქოს მართლაც გაღმა მხრელი უნდა იყოს. ქვაბულიძეებს სად შეიძლება საბუდარი ჰქონდეს? არც ოდიშის, არც სვანთა, არც არგვეთის ერისთავებს ასეთი სახელი არ ახასიათებთ. გურიის ქობულეთი მოსატანი არ ჩანს. ნიანია ქვაბულისძე ქუთაისის დასამხარად არის: ამას გულისხმობს ცნობა. თუ ის ქუთაისის ერისთავი არაა, მისი მეზობელი მაინცაა (თუ ამ დროს ქუთაისი საერისთავო ჯერ კიდევ არ იყო...).

ეს კი იმ ჯაშის ცნობას, რომ ვანში ძველად ნეფე ქვაბლიძე იყოო მისაღებს ხდის... (მ—2,21. ფურც. 128).

17. ქცა I, დავითის ისტორიკოსი, 319_{17}

1180 წ. „და დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვდრი ყოველი. და მასვე ერთსა დღესა დაწუეს ქუთათისი, და არტანუჯი, და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უ დ ა ბ ნ ო ნ ი კ ლ ა რ ჯ ე თ ი ს ა ნ ი. და დაყვეს ა მ ა თ ქ უ ე ყ ა ნ ა თ ა შინა თურქთა ვიდრე მოსლვადმდე თოვლისა".

„ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო" ისეთივე „ქუეყანაა", როგორც ქართლი, არგვეთი, ჭყონდიდი და სხვა...

ამ „ქვეყანაში" შედის ქუთათისი.

ჯ ა ლ ა ბ ი-მ ო ჯ ა ლ ა ბ ე-ს ა მ ო ჯ ა ლ ა ბ ო, ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო (მ—2, 21. ფურც. 120).

18. MO-მ ო ხ ი რ ი ს ი. თუ „მო" ნიშნავს „მოხირისს", (ამას დასაბუთება უნდა) მაშინ, უეჭველია, მოხირისი ქ ა ლ ა ქ ი ს (პუნქტის) სახელია, და არა მხარის.

მეორეს მხრით უეჭველია მოხირისი მხარის სახელიც იყო (პროკოპი, აგათია).

ასე რომ ეს ნუმიზმატიკური ფაქტი არის მოწმობა იმისა, რაც წერილობით წყაროებშიაც შეინიშნება: რომ მ ო ხ ი რ ი ს ი ე რ ქ ვ ა რ ო გ ო რ ც მ ხ ა რ ე ს, ისე მის „ც ე ნ ტ რ ს" (ქალაქს).

ე ს ხ ო მ ზ ო გ ა დ ა დ ც ნ ო ბ ი ლ ი ა მ ბ ა ვ ი ა (მ—2,4. ფურც. 42).

19. ქ̄ ცა I, დავითის ისტორიკოსი, 354_{13}

დავითი „მრავალგზის გუხილავს იგი დამალტობელად ღაწუთა თკსთა ცრემლითა ხილვასა ზედა თკთოსახეთა სენთა მიერ განცდილთასა და ხილვად საძნაურთა, რომელი შეემთხუევიან მიუნდობელთა ამათ და უბადრუკთა ჯორცთა, რომელთა ზრდის სხუათა უმეტეს ქ უ ე ყ ა ნ ა ქ უ თ ა თ ი ს ი ს ა".

არ შეიძლება ამით მტკიცება, რომ „ქუეყანა ქუთათისისა" იგივე „ქუთათისის სამოქალაქო" იყო, მაგრამ არც ამის უარსაყოფელი საბუთი მოგვეპოვება... იმის მტკიცება კი თამამად შეიძლება, რომ ქუთათისის ქუეყანა ქუთათისის სამოქალაქოში შედიოდა, თუმცა თუ ჩავუკვირდებით, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ „ქუთათისის სამოქალაქო" მოითხოვს „მიწა-წყალს", „ტერიტორიას", „ქუეყანას"...

ასე რომ ორივე გამოთქმის სრული ფორმები იქნებოდა: ქუეყანა ქუთათისის სამოქალაქოსა, (ლაშქარი) ქუთათისის სამოქალაქო ქვეყნის. ასე რომ ორივე გამოთქმა გულისხმობს როგორც ქვეყანას, ისე სამოქალაქოს.

ასე რომ „ქუთათისის სამოქალაქო“ არის ეგივე „ქუთათისის ქვეყანა“.

„ქუთათისის ქვეყანას“ კი ანალოგონები უხვად მოეძებნება და შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ეს ძველი დროიდანვე მოდის. ამა თუ იმ ქალაქის, ციხის ქვეყანა ესაა ამ პუნქტზე დამოკიდებული ტერიტორია გეოგრაფიულად და პოლიტიკურად. ამ მოვლენას ფესვები აქვს ძველისძველ დროში, როცა ესა თუ ის პუნქტი დაწინაურდა, გარშემო პუნქტებს გაუბატონდა. ამის შემდეგ მისი სახელით აღინიშნა მასზე დამოკიდებული ტერიტორია, ხოლო იმ შემთხვევაში კი, როცა ეს ტერიტორია კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობისა გახდა გარშემო ქვეყნების დამორჩილებით, ამ ცენტრალური პუნქტის სახელი მთელ სახელმწიფოს შეერქვა. ეს ტერმინი სამოქალაქო არაა საფიქრებელი, რომ ამ ტერიტორიას იმთავითვე აღნიშნავდა.

ტერმინი „ქალაქის“ ნაგვიანევობასაც (შედარებითს) რომ შეურიგდეთ, „სამოქალაქო“ მაინცდამაინც ქართულად გაფორმებული სიტყვაა, რაც იმ ადრე ხანაში ეგრისში საფიქრებელი არაა. მის ნაცვლად მეგრულად გაფორმებული ტერმინი იყო მოსალოდნელი.

მაგრამ სიმძიმე ისაა, რომ „სამოქალაქო“ აღმოსავლეთ საქართველოში დამოწმებული არა ჩანს... ამიტომ ამ ტერმინის აღმოს. საქართველოში წარმოშობილობა მხოლოდ შესაძლებლობად რჩება.

ამავე დროს ძნელი დასაშვებია, რომ ეს ტერმინი ამ შინაარსით (მთელი ოლქის მნიშვნელობით) ასე გვიან (განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში) შეერქვა ამ ტერიტორიას: უნდა გვეგულისხმა, რომ ამ დროს ქუთაისი იმ ტიპის (ფეოდალური!!) ქალაქი იყო, რომ მისი სანახები (აგარაები...) ადმინისტრაციულად და პოლიტიკურ-ეკონომიურად მისივე ხელქვეშეთი, მთელ ოლქს შეადგენდა (გურია, საეგროის, არგვეთის და რაჭის გვერდით მოსახსენებელ ერთეულს!).

აქ შეიძლებოდა (გურიანი — გურია) საანალოგიოდ და ამ შესაძლებლობის რამოდენადმე გასამაგრებლად საშუალ საუკუნეების თბილისის „საამირო“ მოგვეტანა, მაგრამ საამირო სხვა პოლიტიკურ ვითარებაში არის წარმოქმნილი... თუმცა თბილისი თავისი სანახებით (ეს საკუთრივ საამირო) რამოდენადმე ჰგავს სამოქალაქოს და საშუალ საუკუნეებში წარმოქმნილი კია, უფრო მის ადრეულ ხანაში... („მცხეთა“ დიდი მცხეთა...).

ქუთაისისათვის ასეთი პოლიტიკური მომენტი ისაა, რომ აფ-

ხაზთ მეფეებმა განადიდეს იგი, მოხაზეს, მეზობელ მთავრებს მისტაცეს და თავისთვის დასაყრდენი შექმნეს და სხვარიგად არც შეძლოთ დამაგრება ამ ქვეყანაში. ერთი დიდი ერთეული ხომ უნდა გაეჩინათ სხვა მთავრების გვერდით... და როგორც ჩანს აფხაზთ მეფეებმა შექმნეს ასეთი ერთეული, მაგრამ როგორ შექმნეს? რაციონალურად მოხაზეს თუ რაღაც ტრადიციას დაემყარნენ, რაღაც ტრადიცია გააცოცხლეს? საფიქრებელია, რომ აფხაზთ მეფეებმა არა მარტო საუკეთესო რაიონი მიიტაცეს, არამედ გარკვეული ტრადიციის ადგილი, როგორც ოდესმე მეფის საქონებელი ხელთ იგდეს (რატომ ნაქალაქევი არ აირჩიეს?).

როგორია ქართული ტრადიცია ქუთაისის შესახებ? (არქეოლოგია არა გვაქვს ამ ქალაქისა)...

ქუთაისი და ციხე გოჯი. VIII საუკუნეში ქუთაისი თითქო წინაურდება. მირისა და არჩილის თავგადასავალი... ციხე გოჯი ინგრევა (მურვან ყრუ). ქუთაისი ხოსროვანთა (ქართლის) სამკვიდრებელი ხდება...

შეიძლება ეს ტრადიცია არც ხელაღებით უარსაყოფი იყოს (ს. ჯანაშია, შრომები, I) ად აფხაზთ მეფეებმა ქუთაისი შ ე ა რ ჩ ი ე ს, როგორც მირის მემკვიდრეებმა (გვირგვინი აფხაზთა მთავარს, მირის სიძეს). ასე რომ „აფხაზთ მეფეების" წარმოქმნის წინ ქუთაისი უკვე დაწინაურებული ჩანს პოლიტიკურად და ამ ქვეყანაში (ეგრისში) პოლიტიკური პირველობა უკვე ამ ქალაქსა აქვს. ტრადიცია არ გულისხმობს, რომ ეს ქალაქი ახლა აშენდა, პირიქით... (ოუმცა არც ისაა ნაგულისხმევი, რომ ქუთაისი უფრო ძველი იყოს, ვიდრე ციხე გოჯი...).

ამრიგად, გამოდის რომ აფხაზთა მეფეებმა ქუთაისი დაიმკვიდრეს ხოსროვანთა გადაშენებასთან დაკავშირებით და რომ, მაშასადამე, ეს ქ ა ლ ა ქ ი მ ი ს ი ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო თ ი ჯ ე რ ი ს ე ვ ა ფ ხ ა ზ თ მ ე ფ ე ე ბ ა მ დ ი ს ა რ ს ე ბ ო ბ დ ა...

არაა საფიქრებელი, რომ ქუთაისს ეგრისის სამეფოში მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა, თუმცა პოლიტიკური ცენტრი აქ არ უნდა ყოფილიყო. ბერძნული წყაროებით ქუთაისის ციხე მეტად დიდი მნიშვნელობის ციხეა, ხოლო მისი შემავალი(?) ქვეყანა (გვიანი „ქ ვ ე ყ ა ნ ა ქუთათისისა"), გვიან რომ „სამოქალაქო" ეწოდებოდა, ხომ განსაკუთრებით (მოხირისი) საყურადღებოდ ეჩვენებათ.

ასეთივე ქვეყანა ვანსაც ჰქონდა, ფოთსაც ჰქონდა ციხე-გოჯსაც და სხვა, მაგრამ, საფიქრებელია, ქუთაისის „სამოქალაქო" განსა-

ჯუთრებით მნიშვნელოვანი იყო. მაშ როგორ და რატომ იყო, რომ ქუთაისს ეგრისის სამეფოში პირველობა არ ჰქონდა?

ეგრისი, შეიძლება, მთიანეთის (მანრალოი) გაბატონება იყო და ამ მთიელების მთავარ საყრდენს ციხე-გოჯი წარმოადგენდა ქუთაისის საპირისპიროდ. ქუთაისსაც დაეუფლნენ და მთელ დასავლეთ საქართველოსაც, ოღონდ მთავარი ადგილსამყოფელი ძველი ციხე-გოჯი შეინარჩუნეს... ხოსროვანებმა კი ისევ ქუთაისი წამოსწიეს, ხოლო მათ მემკვიდრე აფხაზთ მეფეებმა იგივე ქალაქი მისი სამოქალაქოთი მთელი მომავალი საქართველოს სატახტო ქალაქად აქციეს... (შდრ. ბაგრატის სიგელი: „მოვიდეს სახლსა სამკვიდრებელსა ჩუენსა ქუთათისს“ და არჩილ-მირის მამის ქუთაისში დამარხულობის იდეა...) („ეკრიკტიკე“— ერკეთი?) (მ—2,21. ფურც. 146—149).

20. ქ^ცა II, ისტორიანი და აზმანი, 49_{11}

ვარდან დადიანმა „შეყარა ყოველი სუანეთი და აფხაზეთი, საეგროი, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკუერი და არგუეთი“.

აქ სამოქალაქო ისეთივე ქვეყანაა, როგორც რაჭა ან თაკუერი, ან გურია, ან საეგროი და სხვ.

ნაგულისხმევია, რომ თითო ერთეული სამხედრო ერთეულიცაა, ე. ი. საერისთავოა, სადროშოა.

ვახუშტი ამას ქუთაისის საერისთავოს უწოდებს...

შესანიშნავი ცნობაა და გამორიცხვის წესით შესაძლებელი ხდება მოიხაზოს სამოქალაქო. თითქო ცხადია, რომ სამოქალაქოში არ შედის მის გარშემო მდებარე ქვეყნები არგვეთი, რაჭა, თაკვერი, საეგრო; საკითხი გაურკვეველია ოკრიბის (მაგრამ ოკრიბა ხომ არგვეთია!) მიმართ. ასევე არაა ცხადი სამოქალაქოს გავრცელებულობა საჯავახო, საჩიჯავაძო, სალომინაოს მიმართ, ე. ი. ყვირილა-რიონის გაღმა მხარი. ავტორი აქ ქვეყნებს თითქო მათი სამხედრო ერთეულების თვალსაზრისით ასახელებს, — საერისთავოებს: საეგრო ოდიშს უდრის, ჩანს თაკვერიც სამხედრო ერთეულად წარმოიდგინებოდა აფხაზეთის, სვანეთის, საეგრო, გურიის, და არგვეთის გვერდით. ასევე ცალკე სამხედრო ერთეული იყო, როგორც ჩანს, რაჭაც (ამ დროის რაჭის ერისთავები ხომ ცნობილია...). ქვეყნის თვალსაზრისი რომ ჰქონოდა ოკრიბას ვერ გამოსტოვებდა (აკი

ნიკორწმინდის საბუთი იცნობს ოკრიბას...). ასე რომ თითქო ოკრიბა სამოქალაქოს საერისთავოშია ნაგულისხმევი, მაგრამ ... ახსნისასაც რჩება რიონის გალმა მხარი.

ოკრიბის საკითხს ვახუშტი კარგად უვლის, ხოლო ეს გალმა მხარი რჩება გაურკვეველი. „ნეფე ქვაბულიძე“ თუ არა, ფარჯანიანები და შემდეგ ჩიჯავაძენი ხომ აქედან არიან, მაგრამ თითქო ვაკის ერისთავები მოგვიანო ხანაში (ჩხეტისძენი) აქ წვდებოდნენ. გასარკვევია ეს ვაკის ერისთავი (საჩხეიძო), მისი საზღვრები, ამაშივე შედიოდა თითქო სალომინაო...

„ლომსიანნი“ და „გურიელნი“ რომ სამოქალაქოში არ შედიოდნენ ეს ჩანს ბაგრატ IV შესახებ ცნობიდან ქ“ცა, I, 299. მაგრამ ფერსათის ქვეყანა მაინც განუსაზღვრელი რჩება. შეიძლება განა ვიფიქროთ რომ ეს ქვეყანა გურიაში ან არგვეთში იყო? (მ—2,21. ფურც. 125—126).

21. სამოქალაქო ეთნიკურ-ადმინისტრაციული ერთეულია და შეიძლება ვიფიქროთ ძველიდან მომავალ ეთნიკურ მომენტსაც ემყარება... (მ—2, 21. ფურც. 152).

22. ეს ტერმინი არაა საფიქრებელი, რომ ამ ადგილის მიმართ ადრევე ყოფილიყოს ნახმარი. თითქო ის უფრო საფიქრებელია, რომ ეს ტერმინი ამერეთში უნდა იყოს წარმოშობილი, მაგრამ ამას არ მოწმობს მისი აქ მოუხსენებლობა. ამავე დროს მისი პირველადი წარმოშობა საშუალ საუკუნეებში ასევე გაუმართლებელი ჩანს. თუნდაც წარმოშობილიყო, მას უნდა საამისო ტერიტორული საფუძველი ჰქონოდა. ეს კი (ტერიტორიული მონახაზი) გაცილებით უფრო ძველს ხანაში არის ნაგულისხმევი. ასე რომ გამოდის ტერიტორიული მონახაზი დიდიხანია არსებობდა და ის უფრო გვიან ამ ქართული ტერმინით აღინიშნა. აქედან დასკვნა: ეს ტერმინი ზოგადი სახელია ასეთი ტერიტორიული მონახაზებისათვის. და თუ სხვაგან არსად გვხვდება, ეს მხოლოდ შემთხვევითი გარემოებაა.

ეს არის ქვეყანა — საკმაოდ დიდი ერთეული, სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც იმ ძველ დროს, ეკონომიურ ერთეულად (სწორედ ერთეულად!) ნაგულისხმევი, შეადგენს ამ უძველესი ქალაქის სანახებს (აწ ნანგრევებად ქცეულს) (მ—2,21. ფურც. 154).

23. ქ"ცა I, ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, 367

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მეფესაო (თამარის მამას) „და აფხაზეთი, სუანეთი და ყოველი სამოქალაქო აქუნდა დაწყნარებით"...

აქ ცნება სამოქალაქო გაფართოებულად არის ნახმარი. ყოველი სამოქალაქო თითქო მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავს აფხაზეთისა და სუანეთის გამოკლებით. ფრიად ნიშანდობლივი გარემოება შეიძლება იგულისხმებოდეს...

იყო „ქუთათისის ქუეყანა", მალარიით რომ ხასიათდებოდა. ესეც „სამოქალაქო" იყო, მაგრამ ის არ მოიცავდა მთელ „სამოქალაქოს" (სამოქალაქო ქვეყანას, „ქუთათისის სამოქალაქოს"). იხმარება სამნაირად: სამოქალაქო, ქუთათისის სამოქალაქო, ყოველი სამოქალაქო, ქუთათისის ქვეყანა.

ვაკის ერისთავი, ქუთაისის ერისთავი, ციხე გოჯის ერისთავი, ვახუშტი... (მ—2, 21. ფურც. 122).

24. ანგარიშგასაწევია XIX ს. დასაწყისის ვაკის და ქუთაისის ოლქები (იხ. გორდეევი, საისტორიო მოამბე, I, 1924).

ქუთათისის სამოქალაქოს ტერიტორიული შემოხაზვა რამდენადმე ხერხდება (და თუ დავუშვებთ, რომ ქუთათისის სამოქალაქო ეს იგივე ძველი მოხირისის ქვეყანაა, მაშინ ჩვენ მოხირისის საზღვრებიც მეტნაკლებად მოხაზული გვექნებოდა...). ვახუშტი გარკვევით ასახელებს ქუთაისის საერისთავოს და მართლაც სამოქალაქოს, როგორც სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულს გარკვევით აღნიშნავს თამარის ისტორიკოსი. (ქვეყანა სამოქალაქო, ჭყონდიდის ქვეყნის გვერდით, იმავე თხზულებაში სხვაგანაც იხსენიება. ჭყონდიდის ქვეყანა ესაა ნაგვიანევი სალიპარტიანო და ნაადრევი ონოგურისის ქვეყანა... მაშინ ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ ჭყონდიდი იგივე ონოგურისია?). აი ეს სამხედრო ადმინისტრაციული ერთეული, ეს საერისთავო ქვეყანა გამორიცხვის ხერხით შეიძლება შემოიხაზოს. ცხადია, რომ ამ საერისთავოში არ შედიოდნენ ის ქვეყნები, რომელნიც სხვა სამხედრო ერთეულებს, სხვა საერისთავოებს შეადგენდნენ. მაგალითად ასეთი სამხედრო ერთეული (საერისთავო) იყო გვიანი საჩხეიძო (შორაპნის — ვახუშტი, 154-და დიმ-ბაღდათის ქვეყანა), ასეთივე იყო საქვაბლიძო-საფარჯანიანო (ვანის ქვეყანა) და როგორც საფიქრებელია ყვირილა-რიონის სამხრეთი, სამოქალაქოში (ისევე როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველ მოხირისში) არ შედიოდა. ასევე არ შედიოდა ქუთათისის სამოქალაქოში არგვეთის ქვეყანა: არგვეთის მთავრები — დავითი და კონსტანტინე საამისო საკმაო საბუთია. მეორეს მხრივ ქუთათისის საერისთავო არ გადასცდებოდა როგორც ჩანს ცხენისწყალს... მაგრამ როგორც ვახუშტი გვაცნობს, ქუთაისის საერისთავო შედარებით გვიან წარმონაქმნია (162—165). თითქო ისიც შეიძლება ვივარაუდით, თუ როდის უნდა ჰქონოდა ამ ფაქტს ადგილი: ისა, თუ როგორ გაიზარდა (გაჩნდა?) ქუთაისის საერისთავო არგვეთისა (ოკრიბა) და ციხე-გოჯის საერისთავოს (ვაკე) ხარჯზე... მაგრამ ვახუშტის ერთი ისეთი გამოთქმა აქვს ნახმარი, რომ ქუთაისის ქვეყანა ციხე-გოჯის ჰეგემონობის დროსაც არსებობდა, თუმცა შემცირებული („ამისი", ე. ი. ციხე-გოჯის „საერისთოვე იყო სრულიად რიონის დასავლეთი სვანეთით"—166, ან კიდევ: ვაკე, „პირველად იყო საერისთო ციხე-გოჯისა და შემდგომად იქმნა ქუთათისისა, ოკრიბისა თანა" — 164 და აქვე 165). ასე რომ ისე გამოდის ვახუშტით, რომ ქუთაისის საერისთავო წარმოშობილია ციხე-გოჯ-არგვეთის საერისთავოთა ხარჯზე, უპირატესად ციხე-გოჯის ხარჯზე. მაინცდამაინც სამოქალაქოს ტერიტორია (საერისთავო) ვახუშტით გარკვეულია, მაგრამ, მისი წარმოდგენით, ქუთაისის საერისთავოს (სამოქალაქოს) არაფერი აქვს საერთო ძველ მოხირისთან... (მ—2, 21. ფურც. 112—113).

25. მ უ ხ ე რ ი ს ი ს ქ ვ ე ყ ა ნ ა ეს ი ყ ო ი გ ი ვ ე ქ უ თ ა თ ი ს ი ს ქ ვ ე ყ ა ნ ა, ანუ სამოქალაქო („გვიანი").

ამ ქვეყნის ერთიანობას, მის ნაყოფიერებას რომ აღნიშნავენ (აგათია) და ამავე ქუთათისს უწოდებენ, აქედან ცხადად ჩანს, რომ ეს არის ორგანიზებული (ბუნებრივად) ერთეული, რომლის ცენტრი არის ქუთათი... ეს იგულისხმება (და ალბათ ამას გულისხმობენ კიდევაც ის ძველი მწერლები და შემდეგ გვიან ქართველი მწერლები)... „სამოქალაქოში".

ეს ტერმინი დიდხანს მაწვალებდა და მხოლოდ ახლა, ქ ვ ე ყ ნ ი ს თეორიის დაყენებისას ხდება გასაგები (მ—2, 21. ფურც. 97).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაწილი IV.

ეგრისი, აფხაზეთი

[ეგრისი და ქართლთან მისი ურთიერთობის განვითარება]

1. ყოვლად ანტიისტორიული იქნებოდა წარმოდგენა, თითქო კოლხეთი ერთი ხალხი იყო, ან ქვეყანა კოლხეთად იწოდებოდა იმიტომ, რომ აქ მხოლოდ ურთიერთმონათესავე ტომები ისხდნენ. კოლხეთში სხვადასხვა ტომთა (მონათესავე თუ არამონათესავე) არსებობა დადასტურებულია (ბერძნული წყაროები). ამის ნიადაგზე იყო შესაძლებელი, რომ კოლხეთის პოლიტიკურ ნანგრევებზე არაერთი სამეფო წარმოიშვა. ასე რომ ძველი კოლხეთი ეს იყო ტომთა გაერთიანება (ნებაყოფლობითი თუ ნაძალადევი) ერთი კოლხური, თუ კოლხთა ტომის ჰეგემონობით — (ისევე როგორც ლაზიკა, ან ისევე როგორც იბერია). ეს შინაგანი გაერთიანება, ტომობრივ თავისებურებათა მოშლა, ერთ ხალხად გადაქცევა ამ პოლიტიკური ერთეულების შიგნით მიმდინარე პროცესია, რომელიც მეტის თუ ნაკლების ინტენსივობით წარმოქმნის ხალხს. კოლხეთშიც ეს პროცესი, უეჭველია, მოქმედებდა, მაგრამ არც ისე ღრმად და ძლიერად, რომ ყველა შემადგენელი ტომი გამქრალიყო... ასე რომ, როცა ლაზები, გვიან, კოლხობას იჩემებენ, კოხლთა მემკვიდრეებად აცხადებენ თავს, ამით მათ არა მარტო ისა სურთ სთქვან, რომ ისინი ძველი და ძლიერი სახელმწიფოს მემკვიდრენია, არამედ ისიც, რომ ისინი კოლხთა ნათესაურად ჩამომავლები არიან.

ასე რომ კოლხეთმა ვერ მოასწრო ერთ ხალხად ჩამოყალიბება და ის ჰეგემონი ტომის დასუსტებისას (გარეშე და შინაური არახელსაყრელი პირობები) დაიშალა. სკეპტუხები (ტომთა ბელადები და ერთსა და იმავე დროს სათრაპ-ერისთავები) გახელმწიფდნენ

(რომის ლოცვა-კურთხევით). ლაზთა სახელმწიფო იმით განსხვავდებოდა კოლხთა სახელმწიფოსაგან, რომ ტომთა გაერთიანების პროცესი აქ უფრო შორს ჩანს წასული: თუ ერთის მხრით რიგი ტომები (სვანია, სკვიმნია, აფშილია, აბაზგია, მისიმანები) ლაზიკას ემორჩილებიან (ავტონომიის პირზე), მეორე მხრით უფრო ახლო მონათესავე ტომები საბოლოოდ შერწყმიან ურთიერთს (ეგრები, ლაზები). სამაგიეროდ აქ თავი უჩენია ახალ მოვლენას, — იბერთა ჩამოთესლებას... არც ლაზთა ჰეგემონობის ხანაში დასრულებულა ტომთა შერწყმის პროცესი (ლაზიკის წყობილება: მეფე მოხელეები, ტაძრეულები, ერისთავ-სატრაპ-სკეპტუხები, ხელდებულნი — ქვეშევრდომი მეფე, მთავრები) და ლაზიკა ერთ ხალხად ვერ გადაიქცა. აქ მოუსწრო იბერიზაციამ. იბერიამ ამ მხრით გაუსწრო კოლხეთს და მის მემკვიდრე ლაზიკას. იბერ-ქართების შერწყმა, კახის და ჰერის გაიბერქართება ადრე დასრულდა (მხოლოდ მთაღა იყო ეთნიკური შეტევის ობიექტი); ასევე ადრე დასრულდა, როგორც ჩანს, მესხებისა და ჯავახების შერწყმა ქართთან და ამ ახალგაზრდა ხალხმა ექსპანსია წამოიწყო კოლხურ-ლაზურ სამყაროში: შეუტია სვანიას (ზემო რაჭა), სკვიმიას (ქვემო რაჭა-ლეჩხუმი), დიმნა-ვანის ქვეყანას, საჯავახო-გურიას, ბათუმის ქვეყანას, აჭარას. (წიგნი 44, ფურც. 5—6).

2. თუ გამართლდებოდა ს. ჯანაშიას მოსაზრება, რომ ტერმინ ს ა ს პ ე რ ე ბ შ ი სა იგივე თავსართია რაც ს ა-მეგრელო, საქართველო და სხვ., ეს იქნებოდა უადრესი დადასტურება ისტორიული გეოგრაფიის ცნების გაჩენისა ქართულ ენაზე. თუმცა საეჭვო ბევრია...

ს ა ე გ რ ო ქ˜ცა I, 316_3 (ხომ არის ს ა ე გ რ ო ი ქ˜ცა II, ისტ. აზმ. 49).

ეგრი, გამოდის, თავდაპირველად ნიშნავდა მეგრელს (ეგრი, ერკეთი) თუმცა ლეონტი (53_{20}, 54_1) მეგრელის აღსანიშნავად ხმარობს მ ე გ რ ნ ი. *Եգեր, Եգերք...* ეგრი, ეგრისი, მეგრელი. იმერი, იმერეთი, იმერელი. (მ—2, 4. ფურც. 33).

3. ქ˜ცა I, ლეონტი, 22_{10}

ფარნავაზმა განძი იპოვა. „მაშინ ფარნავაზ წარგზავნა მონა თკსი ქუჯის თანა და რქუა: „მე ვარ ნათესავი უფლოს მცხეთოსის ძისა, და ძმისწული სამარა მამასახლისისა, და არს ჩემთანა ხუასტა-

გი დიდძალი. აწ ინებო, რათა მით ხუასტაგითა მოვიდე შენ თანა, და ვიყვნეთ ჩუენ ძმა და ვიჴმაროთ ჩუენ ხუასტაგი იგი ორივ. მოუჩნდეთ ჩუენ მტერად აზონ ერისთავსა, და სუემან ჩუენმან გუ-ცეს ჩუენ ძლევა კეთილი“.

მაშინ განიხარა ქუჯი სიხარულითა დიდითა და რქუა: „აღდეგ და მოვედ ჩემ თანა, და ნუ შურობ ხუასტაგსა შენსა, და ხუასტაგითა შენითა განგიმრავლნე სპანი შენნი, ვიდრე გამოვჩნდეთ მტერად აზონისა, მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა აწყუედილთა მისგან და მიწყუდეულთა. და ვგონებ, რომელ ჰრომთა მათგანნიცა გამოგუერთნენ. რამეთუ ურიცხუნი აწყუედილ არიან მათგანნიცა აზონისგან“.

მაშინ ფარნავაზ ფარულად წარვიდა სიხარულითა, და რომელი შესაძლებელ იყო განძისა მისგან წარიტანა თანა, და დედაცა და დანი მისნი მის თანა. და მივიდა ქუჯის თანა და რქუა მას ქუჯი: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უ ფ ლ ო ბ ა ჩემი. აწ ნუ შურობ ხუასტაგსა შენსა, რათა განვამრავლნეთ სპანი; და უკეთუ მოგუეცეს ძლევა, შენ ხარ უ ფ ა ლ ი ჩუენი და მე ვარ მონა შენი“.

გადმოცემა ქართლისა და ეგრისის ურთიერთობის შესახებ. ჩანს, ძველი დროიდანვე არსებობდა. „მოქცევაჲთ“ ყოველი ქვეყნის დამპყობელმა ალექსანდრემ არიან ქართლისა მეფის ძეს აზონს „მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ე გ რ ი ს წ ყ ა ლ ი და სომხითი და მთაჲ ცროლისა და წარვიდა“.

„მოქცევაჲსა“ და ლეონტის გადმოცემა ქართლისა და ეგრისის ურთიერთობის შესახებ მსგავსების გვერდით არსებითი ხასიათის განსხვავებასაც შეიცავს. ლეონტით ქართლოსის და ეგროსის წილი ქვეყნები თარგამოსის დროიდანვე ცალ-ცალკე არსებობდნენ. ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლში დატოვებულმა ერისთავმა „დაიპყრო ქართლსა ზედა ეგრისიცა“. ეს „ეგრისი“ ლეონტის კონცეფციის თანახმად იყო ეგროსის წილი ლიხიდან მცირე ხაზარეთის მდინარემდე. და რომ მართლაც ამ ტერიტორიას ჰგულისხმობს ლეონტი „ეგრისში“ ეს ჩანს იქიდან, რომ ეგრის წყლის ქვემოთმა „არა ინებეს განდგომა ბერძენთაო“ და ამიტომაც ეგრის წყალი იქმნა საზღვარი ამიერიდანაო... ცალკე საკითხია თუ ვის ჰგულისხმობს ლეონტი ეთნიკურად ეგრის წყალის ამ ქვემოთში.

ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი V საუკუნეში აქ „აფხაზეთს“ გულისხმობს. ვინც არ უნდა იყოს ვახტანგის ისტორიკოსი, იგივე ლეონტი თუ სხვა ვინმე, სულ ერთია; მას აქ ის შეცდომა მოსდის,

რომ თავისი დროის (ე. ი. XI საუკუნის) ეთნიკურ-პოლიტიკური ერთიანობას V საუკუნის მოვლენად წარმოგვიდგენს. ბერძნულ-ეროვნული ტური ცნობები პროკოპი, აგათია — გარკვევით უარყოფენ ... ვითარებას.

„მოქცევაჲ“ არაფერს გვამცნობს ეგროსის წილზე, არც იმაზე, რომ აზომ დაიპყრა ეგრისიც. არც ეგრის წყლის ქვემოთი აინტერესებს ამ წყაროს და მხოლოდ იმის აღნიშვნით კმაყოფილდება, რომ ქართლი ალექსანდრემ პირველ ქართველ მეფეს მისცა სამეფოდ და იგულისხმება ეგრისიც ეგრის წყლამდე მასვე მიეკუთვნა...

საფიქრებელია ლეონტი (თუ მისი წყარო) თხზავს ისტორიას, მაგრამ ახსნა უნდა თუ რის საფუძველზეა, რომ „მოქცევაჲ“ და ლეონტი აგრე სხვადასხვა თვალსაზრისს ადგანან?...

ლეონტი ერთში უთუოდ სარწმუნოა: საიდან არის, რომ ლეონტიმ (თუ მისმა წყარომ) ეგროსი მოიგონა, მას ამიერკავკასიის ერთი ნაწილი (ქუეყანა ზღვის პირისა) არგუნა, ტერიტორია ზუსტად შემოუსაზღვრა, ქართლოსის ძმად დასახა და ცოცხალი და საინტერესო სურათი დახატა ამ ორი მოძმე ნათესავის პოლიტიკურ-კულტურული ერთობისა? „მოქცევაჲს“ ცნობა აზონის სამეფოს საზღვრების შესახებ უეჭველად მოწმობს, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური ერთიანობის შესახებ გადმოცემა ლეონტის დროის შეთხზული კი არ არის, არამედ გაცილებით უფრო ადრე ხანიდან მოდის, როცა აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთობა (ფეოდალური) ჯერ კიდევ არ არსებობდა, „მოქცევაჲ“ „ეგრისს“ არ ასახელებს, მაგრამ უეჭველია გულისხმობს ასეთ ქვეყანას. ამას მოწმობს ამ წყაროში მოხსენებული „ეგრის წყალი“, რომელიც საზღვრად არის აქაც წარმოდგენილი. ეს საგეოგრაფიო სახელი ეგრი, ეგრისი, რომ ძველიდანვე არსებობდა სარწმუნოა (სომხური ეგერ, აფხაზური აგრ, მეგრული ინგირი...)

[მაშ ლეონტის თუ მისი წყაროს შემოქმედება აქაც ისეთივე ხასიათისაა, როგორც ქართლოს-მცხეთოსის მიმართ: არსებობდა საგეოგრაფიო პუნქტი ქართლი. არსებობდა გადმოცემა მისი დიდი მნიშვნელობის შესახებ ძველად, ვიდრე მცხეთა გაუსწრებდა. ეს „ქართლი“ მისი ერთი ნაწილით შემდეგაც სამეფო რეზიდენციად და მთავარი ღმერთის რეზიდენციად რჩებოდა... ამავე დროს მცხეთა გადიდქალაქებულიყო. და აი, როცა დიდი ისტორია ჩათავდა და ახალი ცხოვრება დაიწყო, როცა „არმაზნი შემცირდებოდეს და კალაჲ განდიდნებოდა“ შეიქმნა მწყობრი გადმოცემა. ისტორია ჩა-

თავებული ცხოვრების შესახებ: ქართლოსი, მცხეთოსი და მთელი პერსონიფიკაცია ამ ისტორიის შექმნის დროს ძველ ... ული ძეგლების (თავისებური მეცნიერულ ისტორიული შემოქმედება ისტორიული გეოგრაფიის ჩვენებათა საფუძველზე...). ფსიქოლოგიურად შესანიშნავია და სარწმუნო, რომ ასეთი ისტორია სწორედ VII—VIII საუკუნეებში შექმნილიყო თავისი პირველი რედაქციით. ეს იყო წარსული ეპოქის ისტორიული შეჯამება, როცა ახალი რაღაც იშვებოდა, ლეონტი მროველმა საფიქრებელია, მის დროს გაბატონებული თეორიის თანახმად (ბიბლია) გ ა მ ა რ თ ა ეს ისტორია, რაშიაც მისი მთავარი სახელმძღვანელო იყო მოსე ხორენელი...].

არსებობდა კავკასიის მსოფლიო, არსებობდნენ ამ მსოფლიოში „ნათესავები"; პოლიტიკურად ეს ნათესავები ურთიერთის მოძმენი იყვნენ, ისე რომ ერთ დროს მათ საერთო ენაც კი ჰქონდათ: ყველანი ერთი მამის თარგამოსიანთა ნათესავი იყვნენ. შემდეგ, ნაგულისხმევია, თითოეული ძმის წილი ქვეყანა ცალკე ნათესავი (ცალკე ეთნიკური ერთეული) შეიქმნა თავისი ენით, (ნათესავის ორშინაარსიანობა: 1. სისხლით ჩამომავალი და 2. კულტურული ერთობა...).

აი ასეთი ერთეული იყო ეგრისი სხვა ასეთივე ერთეულების გვერდით ქართლთან ერთად და ლეონტი (თუ მისი წყარო) ამ ფაქტიდან ამოდიოდნენ, როცა „ცხოვრებასა" ქმნიდნენ. ამავე დროს, უეჭველია, მოიპოვებოდა რაღაც რეალური საფუძველი იმისათვის, რომ შექმნილიყო ისტორიული სურათი ქართლისა და ეგრისის იმ განსაკუთრებული ურთიერთსიახლოვისა ფარნავაზისა და ქუჯის ურთიერთობით რომ არის წარმოდგენილი. არც ეს არის, რა თქმა უნდა, ლეონტის მიერ შეთხზული. თუ პერსონიფიკაციით არა, არსებითად მაინც, ასეთი კულტურული და პოლიტიკური ერთობა ეგროსიან-ქართლოსიანთა „მოქცევაჲთაც" იგულისხმება ალექსანდრეს დროიდანვე. ასე რომ, თუ ლეონტის შემოქმედების აღმოჩენას დავისახავდით მიზნად, აქ ეს იქნებოდა ქართლოსის და მისთანათა (თარგამოსის ძეთა) კერძოდ, ეგრისის და ციხე გოჯის პერსონიფიკაცია ისევე, როგორც ფარნავაზის არმაზთან დაკავშირება... მოკლედ, ჩემი აზრი ისაა, რომ ეგრის-ქართლის ძველი კავშირი აქ საგანგებოდ ხაზგასმულია. ასევე ხაზგასმულია ქართლის უპირატესობის მომენტი „ჩრდილოეთის" თარგამოსიანებში, კერძოდ, ეგრისთან ურთიერთობაში...

შესაძლებელი ხდება ფიქრი, რომ ასეთ ტენდენციას საფუძველი ჯერ კიდევ მონათმფლობელური ქართლის ძლიერების ხანაშივე

ჩაეყარა (არგვეთი, სამოქალაქო...), ხოლო საბოლოო „ისტორიის“ სახე მან მიიღო საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის დროს... ამ ისტორიის ასეთი მიზნობრივი გამართულობის მოწმობაა, თანაც ნაგვიანევად გამართულობისა, რომ არც ერთი ცოცხალი ისტორიული პიროვნება, ბერძნული წყაროებით რომ არაერთია დასახელებული იმ ხანაში, აქ არ მოიხსენიება და არც სხვა ვინმე ეგრისელი ქუჯის გარდა ვერ დაუსახელებია ჩვენს წყაროს. არც ბერძენთა მონაწილეობა ეგრისის პოლიტიკურ ცხოვრებაში, თვით დიდი ომიც კი VI საუკუნეში არ აგონდება ჩვენს ავტორს... ყველაფერი ეს ლეონტის ისტორიის ზღაპრულობის მოწმობაა, რა, თქმა, უნდა, მაგრამ ეს კიდევ არაა საკმაო საბუთი იმისათვის, რომ ჩვენ ხელაღებით უარვყოთ ჩვენი წყარო და ქართლ-ეგრისის ძველი კულტურული და პოლიტიკური თანამშრომლობა ზღაპრადვე გამოვაცხადოთ... (მ—2, 16. ფურც. 10—14.).

4. ქ'ცა I, ლეონტი, 24_3

ფარნავაზმა აზონი დაამარცხა. „და მისცა ქუჯის ქ უ ე ყ ა ნ ა ე გ რ ი ს წ ყ ა ლ ს ა დ ა რ ი ო ნ ს შ უ ა, ზღვთგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და ს უ ა ნ ე თ ი, და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ. და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი“...

რატომ არ ეწოდა ს უ ა ნ ე თ ი ს, ან ა რ გ უ ე თ ი ს მსგავსად ეგრისს ეგრეთი (ერგეთი შდრ. ერკეთი)?? (მ—2, 7. ფურც. 82).

5. ქ'ცა I, ლეონტი, 24_1

ფარნავაზმა აზონი დაამარცხა, ბერძენნი განდევნა, ქართლი და ეგრისი გააერთიანა.

„ხოლო ეგრის წყალს ქვემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკვდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა“. ფარნავაზმა ქუჯის მისცა ცოლად თავისი დაჲ. „და მისცა ქუჯის ქ უ ე ყ ა ნ ა ე გ რ ი ს წ ყ ა ლ ს ა დ ა რ ი ო ნ ს შ უ ა. ზ ღ ვ თ გ ა ნ მ თ ა მ დ ე, რ ო მ ე ლ ს ა შ ი ნ ა ა რ ს ე გ რ ი ს ი დ ა ს უ ა ნ ე თ ი, და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ“.

ლეონტი, რა თქმა უნდა, არა ფიქრობს, რომ „ეგრის წყალს ქუემოთ“ ეთნიკური ეგრისია.

თუ ეს არა, რად არ ინებეს „მკვდრთა მის ადგილისათა“ განდგომა და თავისთავადობა?. და ან როგორ შეიწყნარეს ფარნავაზმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ქუჯიმ ეგრისელთა ასეთი მოქმედება (თუ ისინი ეთნიკურად ეგ-
რისელნი ყოფილიყვნენ)?...

ლეონტის წარმოდგენა შემდეგი შეიძლება იყოს [illegible]: ეთ-
ნიკური ეგრისი ესაა რიონიდან ეგრის წყლამდე და ზღვიდან მთამ-
დე (sic! ს ვ ა ნ ე თ ი თ); ეგრის წყლის ქვემოთ ეგრისელნი (მეგ-
რელნი) არ არიან, თუმცა ეგროსის წილნი არიან. („მერჩულე" —4,
ფურც. 18).

6. ქ^ცა I, ლეონტი, 24_{1-2}, 146_4

ფარნავაზმა ბერძნები (აზო) დაამარცხა, ქართლი ხელთ იგდო.
ქუჯიც დაემორჩილა. და ფარნავაზ „მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა
და ეგურსა ზედა"...

ეგრისის დასაპყრობლად „გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რა-
მეთუ მკჳდრთა მის ა დ გ ი ლ ი ს ა თ ა არა ინებეს განდგომა ბერ-
ძენთა"... ა დ გ ი ლ ი — ქუეყანა.

ეს ადგილია „ა ფ ხ ა ზ ე თ ი", საიდანაც ვახტანგის ყრმობისას
ეგრისის დასაპყრობლად „გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ
ბერძენთა ჰქონდა ეგრის-წყალს ქუემოთი კერძი ყოველი".

ლეონტი-ჯუანშერის კონცეფციით ეს „ეგრის წყალს ქუემოთი
კერძი ყოველი" ისევე ეგროსის წილი ქუეყანაა (ქ^ცა, 5_{12-15}),
როგორც დანარჩენი ეგრისი ლიხის მთასა და ეგრის წყალს შუა, ან
კიდევ შიდა ეგრისი სვანეთით, ეგრის წყალსა და რიონის შუა (ქ^ცა,
24_{1-5}).

ამრიგად არის ს ა მ ნ ა ი რ ი ეგრისი: 1. ეგროსის წილი — ლი-
ხის მთა ხაზარეთის მდინარე; 2. ლიხის მთა — ეგრის წყალი (ორნი
ერისთავნი ეგრისისანი — მარგვის და შიდა ეგრისის, თუმცა სხვა
ადგილას ესევე არგვეთი ეგრისში არ იგულისხმება... მერყეობს...)
3. ეგრის წყალი — რ ი ო ნ ი — „შ ი დ ა ე გ რ ი ს ი".

(ქ^ცა I, 24, ივანე ჯავახიშვილის კონიექტურა სადავოა: მთელი
ნახევარი დასავლეთ საქართველო განუსაზღვრელი რჩება!)[1] (მ—2, 6.
ფურც. 68).

---

[1] იგულისხმება ივ. ჯავახიშვილის შენიშვნა: „მარგუეთის" საზღვრებად
ლეონტი მროველს დადებული აქვს „მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდ-
რე ზღუადმდე, რიონს ზემოთ"... თავდაპირველად მე მგონია ეწერებოდა „ვიდრე
ზღურადმდე ეგრისისა რიონს ზემოთ" და მერმინდელ გადამწერთაგან დამახინ-
ჯებული იქმნება, თუ ასე შევასწორებთ, მაშინ მარგვეთის დასავლეთი საზღვარი
იქნება რიონი"... (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 51, ტბ.,
1965).

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ქ'ცა I, ლეონტი, 27_8

„მაშინ ამან საურმაგ წამოიყვანნა იგინი ყოველთა კავკასის თესავთა ნახევარნი, და რომელნიმე მათგანნი წარჩინებულ ყვნა, და სხუანი დასხნა მთიულეთს, დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი“.

აქ განმარტებულია ეგრისის მთიულეთი, „რომელ არს სუანეთი“.

აქ საინტერესო ისაა, რომ ეგრისის ნაწილი მთიულეთი, რომელიც ქართლის მთიულეთს ესაზღვრება არის სუანეთი, ე. ი. არ არის რაჭა (რაჭის მთიულეთი), (მ—2,16. ფურც. 47).

8. ქ'ცა I, ლეონტი, 38_{25}

„და ამისვე ადერკის მეფობასა შინა მოვიდეს ათორმეტთა წმიდათა მოციქულთაგანი ანდრია და სკმონ კანანელი აფხაზეთს და ეგრისს. და მუნ აღესრულა წმინდა სკმონ კანანელი ქალაქსა ნიკოფსისასა, საზღვარსა ბერძენთასა. ხოლო ანდრია მოაქცივნა მეგრელნი და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა“.

როგორც აქედან ჩანს, ლეონტი გარკვევით ჰგულისხმობს იმ ძველ დროს „აფხაზეთს“, ასე რომ ეგროსის წილ ეგრისში ლეონტის აფხაზეთიც ეგულება ისევე, როგორც, ვთქვათ, სუანეთი, ან მარგვსი, ან კიდევ ქართლში კლარჯეთი, ჯავახეთი, კახეთი და სხვა...

გასარკვევი ოღონდ ისაა, თუ ვის ჰგულისხმობს ლეონტი თუ მისი წყარო ამ „ახფაზეთში“ (მ—2, 16. ფურც. 26).

9. ქ'ცა I, ლეონტი, 53_{20}, 54_1

მეგრნი (—მეგრელნი) როგორაა ნაწარმოები?... ისევე როგორც „მარგვი“?

57_{12}: „მოვიდეს ერისთავთა თანა ეგრისათა“, და აქვე, 57_7 „ორნი ერისთავნი ეგრისისანი“.

57_{14}: „მაშინ ოვსთა და მეგრთა გარდამოვლეს მთა მცირე“...

იქვე 57_{18}: „მეგრთა და ქართველთა“...

65_{23}: ეგრი (ვარიანტი ეგრისი);

70_{20}: მირიან მეფეს „აქუნდა ეგრისიცა ვიდრე ეგრის წყლამდე“.

„ეგრის წყალი“ გამოთქმა მოწმობს რომ ის შექმნილია მანამ, ვიდრე ტერმინი „ეგრისი“ შეიქმნებოდა, რომ ეს გამოთქმა წარმოშობილია ე გ რ ი ს ა გ ა ნ, მაგრამ ხომ შეიძლებოდა რომ ასეთი სახელწოდების პუნქტი შემორჩენილიყოს გვიანაც?...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინცდამაინც ეგრის წყალი იმის უთუო მოწმობაა, რომ ტერმინი ე გ რ ი რეალურად არსებობდა (ამას მოწმობს სომხური Եգեր და აფხაზური აგრ...) (მ—2, 7. ფურც. 84).

10. ქცა I, ლეონტი, 57_7

აღნიშნულია „ორნი ერისთავნი ეგრისისანი“. ყოველ ეჭვს გარეშეა რომ ერთი მათგანი არის მარგვს (არგვეთის) ერისთავი (24), ხოლო მეორე იყო „ერისთავი ეგრისისა“ (24).

ასე რომ ეგრისში იყო ორი საერისთავო არგვეთის და ე გ რ ი ს.

ესაა par excellance ეგრისი, ისევე როგორც იყო „ქართლი“ და par excellance „ქართლი“ (შიდა და გარე) (მ—2, 16. ფურც. 13).

11. ქცა I. ლეონტი, 65_{22}

„და მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთით გალმართ ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს, და ე გ რ ს“.

როგორც ჩანს ლეონტი არ ჰგულისხმობს, რომ ე გ რ ი სპარსთა ხელთ იყო მაშინ, როცა ქართლი სპარსთა ხელთ იყო: სპარსთა მეფემ ქასრემ (მირიანის მამამ) მისცა მირიანს „ქართლი, სომხითი, რანი, მოვაკანი და ჰერეთი“ (64), ხოლო შემდეგ თავის ძმა ბარტამთან გაბრჭობის შედეგად მირიანს არგუნეს „ქართლი, სომხითი, რანი, ჰერეთი და მოვაკანი“ და „გ უ ლ ი ს-ს ა დ ე ბ ა დ მისცეს ჯაზირეთი, და შამის ნახევარი, და ადარბადაგანი“ (67). გამოდის რომ მირიანს ეგრი როგორც მამის ნამემკვიდრეები არ მიუღია... ან ხომ არ იგულისხმება ეგრი „ქართლში“? ასეთი მოსაზრების წინააღმდეგია ზემორე მოწმობა: ეგრი ცალკეა დასახელებული და ქართლი ცალკე... კი მაგრამ სად (ვისთან) იყო ეგრი, როცა ქართლი სპარსთა მეფეს ქასრეს ეპყრა?? ან თუ თავისთვის იყო, ვინ შემოიყვანა მირიანის ქართლში?...

ვვ. 70_{20}.

„და მეფობდა მირიან მუნ ქართლს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს. და აქუნდა ეგრისიცა ვიდრე ეგრის წყლამდე“...

ცხადია ლეონტის წარმოდგენაში ეგრისი მეტია: ის ეგრის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წყალს იქითაც იგულისხმება, ოღონდ ასეთია (ეგრის წყლამდე) ის ახლა შემცირებული... (მ—2,16. ფურც. 17).

12. ქცა I, ლეონტი, 136_{22}

„განდგეს კლარჯნი ვარაზ-ბაქარისაგან და მიერთნეს ბერძენთა. და დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღვითგან არსიანთამდე. და დარჩა ვარაზ-ბაქარს ქართლი თკნიერ კლარჯეთისა, დაჰერეთი და ეგრისი“ (რანი და მოვაკანი სპარსელებმა ჩამოართვეს).

ჰერეთისა და ეგრისის მდგომარეობა ლეონტისთან თავისებურია. ამ ქვეყნებთან ქართლის დამოკიდებულება მაინც განსხვავდება ქართლის დამოკიდებულებისაგან რანთან, მოვაკანთან, სომხითთან (და რამოდენადმე ჰგავს კავკასიანებთან, ვთქვათ დვალებთან, აფხაზებთან დამოკიდებულებას)... ჰერეთი და ეგრისი დასაწყისში ისეთივე ფასის ერთეულებია, როგორც ყველა სხვა რვაძმა თარგამოსიანები...

ქასრე სასანიანმა მირიანს მისცა ქართლი, სომხითი, რანი, მოვაკანი დაჰერეთი (64, 67). შემდეგ ბერძენთა შემწეობით თრდატ სომეხ არშაკუნიანთა უფლისწულმა სომხითი დაიბრუნა. ბერძნებმა თრდატ და მირიანი მოარიგეს და საზღვარი განუჩინეს (70). ამის შემდეგ მირიან მეფობდა ქართლს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს „და აქუნდა ეგრისიცა ვიდრე ეგრის წყლამდე“. (70) (ეს ლეონტით, ასე იყო ფარნავაზის დროიდანვე).

და აი მირიანის დროს ქრისტიანობა შემოვიდა. ქართლთან ერთად მირიანმა ჰერეთიც „განამტკიცა სარწმუნოებასა ზედა სამებისა წმიდისასა“ (128), ხოლო რანში ქრისტიანობის გავრცელების საქმეს დიდი ღვაწლი დასდო ბაქარ მირიანის ძემ (130). და აი ბაქარის შვილისშვილის ვარაზ-ბაქარ მირდატის ძის დროს. სპარსელებმა სომხითი და შემდეგ ქართლი ღაიმორჩილეს, დახარკეს. სპარსთა ერისთავმა ვარაზ-ბაქარს შემოუთვალა: „პირველად მომეც რანი და მოვაკანი, რამეთუ საზღვართა სპარსეთისაგანთა არს, და მათი არს, რომელნი სრულიად შვილნი არიან სპარსთა მეფეთანი და სხენან საყდართა მამათა მათთასა; და თქუენდა კმა არს ქართლი, რომელნი ნაშობნი ხართ მჯევლისანი. გაქუნდეს უკუე ქართლი და ხარკსა მისცემდეთ მეფეთა ხუასროვანთა“. (136). ვარაზ-ბაქარმა „მისცა რანი და მოვაკანი“ (136)... „ამისა შემდგომად განდგეს კლარჯნი ვარაზ-ბაქარისაგან და მიერთნეს ბერძენთა... და დარჩა

ვარაზ-ბაქარს ქართლი თუნიერ კლარჯეთისა, და ჰერეთი და ეგრისი“ (137). დამახასიათებელია, რომ სპარსეთი ვარაზ-ბაქარისაგან არ ითხოვს „ჰერეთს“ (ეგრისიც არაა მისი ყურადღების საგანი). სპარსეთის ერისთავის განცხადებით ვარაზ-ბაქარისათვის („ჩვენის ნაშობთათვის“) კმა არს „ქ ა რ თ ლ ი“. და ამ ქართლში კი აღმოჩნდა ჰერეთი და ეგრისიც. თითქო ისე გამოდის, რომ სპარსელები ჰერეთს და ე გ რ ი ს ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ „ქ ა რ თ ლ შ ი“ ჰ გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ენ. ეგრისს რომ თავი დავანებოთ (ის ჯერ კიდევ ფარნავაზის დროიდან პოლიტიკური ქართლის შემადგენლობაში იგულისხმება), ჰერეთი სპარსეთისათვის არ უნდა ყოფილიყო ყურადღების არაღირსი. ის ხომ ქართლის პოლიტიკურ ერთეულში მხოლოდ მირიანის დროიდან შევიდა რან-მოვაკანთან ერთად...

ეს გარემოება, ჰერეთის ცნობა ქართლისად სპარსელების მიერ, აიხსნება ლეონტის (თუ მისი წყაროს) რეალურ-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით: ჰერეთი ისე ორგანულად შემოვიდა ქართლში, ან უკეთ ქართლმა ისე ღრმად შეაღწია ჰერეთში, ჰერეთის გაქართულშინაარსიანება ისე შორს იყო წასული ამ დროისათვის (ე. ი. იმ დროისათვის, როცა ლეონტი, თუ მისი წყაროს შემქმნელები მოღვაწეობდნენ), რომ ის უკვე რანისა და მოვაკანის, ან სომხითის რიგის ქვეყნად არ ჩაითვლებოდა ქართლის მიმართ (ასევე ეგრისიც). ჰერეთი და ეგრისი, წარმოშობით ტოლღირებულების ერთეულები ყველა დანარჩენ თარგამოსიანელებთან, ახლა უფრო ახლოს იდგნენ ქართლთან ვიდრე სხვები. ეს იყო სინამდვილე, რომელსაც ისტორიული ახსნა ესაჭიროებოდა და ლეონტიმ, თუ მისი წყაროს შემქმნელებმა მარჯვედ მოუარეს საკითხს. ეგრისი უძველესიდანვე (ფარნავაზის დროიდანვე) ქართლის პოლიტიკურ ნაწილად გამოაცხადეს (ეგრისის უდიდესი ნაწილი ხომ ამ დროისათვის გაქართულშინაარსიანებული იყო), ხოლო ჰერეთი (ასევე გაქართულშინაარსიანებული) სპარსეთმაც კი თითქმის ქართლის პოლიტიკურ ერთეულში იცნო.

ქ ა რ თ ლ ი ს ქ ვ ე ყ ა ნ ა პოლიტიკურ-კულტურული შინაარსით... (მ—2,4. ფურც. 79—81).

13. ლეონტის პოლიტიკური აზროვნებისათვის ნიშანდობლივია, რომ ქართული სახელმწიფოს მშენებლობის თანასწორი მონაწილეა ეგრისი. ფარნავაზი ეგრისის დამპყრობელი კი არაა, არამედ ქუჯის მოკავშირეა. საერთო ძალით იბრძვიან დამპყრობელი ბერძნების წი-

ნაალმდეგ (აზო). (ამ ბრძოლაში მონაწილეობა არ ინებეს ეგრის წყლის იქითელებმა...) შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ტრაქტატი შექმნილია იმ დროს, როცა ეგრისი, იმპერიის მიერ შევიწროებული, აღმოსავლეთ მოძმისაკენ მიიწევდა, როცა იმპერია აფხაზეთს ეფერებოდა, როცა ამავე დროს ქართლი სულ უფრო და უფრო ღრმად შედიოდა მოძმე ეგრისში, როცა რიონის სამხრეთი ქართული ხდებოდა (ოძრეის საერისთავო... ვახუშტი...)... (მ—2, 3. ფურც. 20).

14. აკად. კ. კეკელიძე სარწმუნოა ლ. მროველის ისტორიულ-ლიტერატურულ განხილვა-შეფასებაში, რომ ლეონტი რუისის ეპისკოპოსია, რომ ის XI საუკუნის შუა ხანის (±) მოღვაწეა, რომ მას განუზრახავს დაეწერა ქართველთა თავგადასავალი დასაბამიდან და რომ მან ეს მოთხრობა ქართლში მეფობის გაუქმებამდე მოიყვანა. ლეონტის ლიტერატურული წყაროების მიკვლევაშიც, აკად. კ. კეკელიძე სარწმუნოა (ძირითადად).

ჩვენი ისტორიკოსების ამოცანა ამდენადვე გაადვილებულია, მიუხედავად ამისა ლეონტის ისტორიოგრაფიული განხილვა-შეფასება დიდი სიძნელის საკითხების გაშუქებას მოითხოვს, მაგრამ ლეონტის საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ასეთი სამუშაო უნდა გაწეულ იქნას. ქართული ისტორიოგრაფია დღეს იმ სიმაღლეს არის მიღწეული, რომ ლეონტის „კ რ ი ტ ი კ უ ლ ი ა თ ვ ი ს ე ბ ა“ ყოვლად გარდაუვალია (ამის მოწმობაა თუნდაც ის გარემოება, რომ ერთხელ უარყოფილი და განდევნილი ის კვლავ შემოვიდა ქართულ მეცნიერულ ისტორიოგრაფიაში; სამწუხაროდ, უარყოფითი ჰიპერკრიტიკა უკრიტიკობამ შეცვალა): ლეონტიმ ხომ ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ც ი ვ ი ლ ი ზ ე ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ი ამოცანად დაისახა და თავისი დროის შესაფერისად გადაჭრა. ამ საკითხის მეცნიერული შესწავლა ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა და ჩვენი მეცნიერება ამ საკითხის გაშუქებისას ვერასოდეს გვერდს ვერ აუვლის იმას, ვინც ეს საკითხი ჩვენს ისტორიოგრაფიაში პირველად დასვა და გააშუქა.

ლეონტის დებულებათა შეწყნარება თუ უარყოფა, მათი კრიტიკული განხილვა მუდამ სავალდებულოდ დარჩება ჩვენს ისტორიოგრაფიაში და ეს ასეც იყო დღემდე: ფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფია ლეონტის ისტორიულ კონცეფციას იზიარებდა, ბურჟუაზიული ხანის ქართული ისტორიოგრაფია ძირითადად უარყოფდა მას, თუმცა სამაგიეროს მოცემას, რამდენადმე მაინც მეცნიერულად დამაჯერებელი სურათის მოცემას ვერ ახერხებდა — თუ

ასეთად არ ჩავთვლით ენობრივი მოვლენების ანალიზის საფუძველზე აგებულს, დროსა და სივრცეში განუსაზღვრელ ისტორიული კონცეფციებს. ჩვენ დღეს შეუდარებლად უკეთეს პირობებში ვიმყოფებით. ლეონტის არსებითი კრიტიკაც შეგვიძლია და მისგან განსხვავებული ისტორიული კონცეფციის დასაბუთებაც. ასეთი მუშაობაც მიმდინარეობს დღეს საბჭოურ ისტორიოგრაფიაში, სრული იმედია, ის წარმატებით დასრულდება და ჩვენ ვალმოხდილნი გამოვალთ არა მარტო ჩვენი დროის საზოგადოების წინაშე, არამედ ჩვენი ცივილიზაციის ისტორიის პირველი ავტორის წინაშეც.

დღეს მე, ჩემი ამოცანის საჭიროებისდა მიხედვით, რამდენიმე კერძო საკითხს შევეხები. რა იყო იმის საფუძველი, რომ ლეონტი ეგროსის სამფლობელოს დასავლეთის საზღვარს ყუბანზე სდებდა? ლეონტით (თუ მისი წყაროთი) ეს ასე იყო ალექსანდრობამდის. მხოლოდ ფარნავაზ-ქუჯის აჯანყების დროს მოწყდა ძველ ეგრისს (თუ ეგროსის წილი იყო, მაშასადამე „ეგრისი" იყო. ლეონტის კონცეფციით ხომ ქვეყანა ამის უწინარეს ცარიელი იყო (?), ეს საკითხი დიდი მნიშვნელობისაა.. — და თარგამოსიანებმა — ჰაოსმა, ქართლოსმა, ჰეროსმა, ბარდოსმა, მოვაკანმა, ლეკოსმა, კავკასოსმა და ეგროსმა — დაასახლეს მათი წილი ქვეყნები მათივე ნათესავით...) მისი ერთი ნაწილი, რადგან „მკჯდრთა მის ადგილისათა არა ისურვეს ვანდგომა ბერძენთა". და ეს ნაწილი იყო ეგრის წყალს ქვემოთი ქვეყანა. ლეონტი არ აღნიშნავს, თუ რატომ არ ისურვეს ამ ეგროსიანებმა განდგომა, მაგრამ იმ საინტერესო ფაქტს მაინც აღნიშნავს, რომ მათ არ ისურვეს, მაშასადამე აქტიურად დაიჭირეს სხვა პოზიცია, ვიდრე დანარჩენმა ეგროსიანებმა იმ პოლიტიკურ სიტუაციაში, რომელიც შეიქმნა ალექსანდრობის შემდეგ, როცა ეგროსიანი ქუჯი ქართლოსიან ფარნავაზთან ერთად აუჯანყდა დამპყრობელ ბერძნებს (აზონს) ან, უკეთ, როცა ეგროსიანმა ქუჯიმ სცნო ქართლოსიანების (ფარნავაზის) უპირატესობა, ქართლოსიანთ ჰეგემონობა. ამიერიდან ლეონტის (თუ მის წყაროს) და ჯუანშერის წარმოდგენით ქართლოსიანები და ეგროსიანები (მისი ხსენებული ნაწილით, ანუ საკუთრივ ეგრისი, რომელშიაც უნდა ვიფიქროთ, იგულისხმება „შიდა ეგრისი" სვანეთით და გარე ეგრისი, ე. ი. არგვეთი) ერთიმეორეს არ გაჰყრიან და ერთ სახელმწიფოს ქმნიან, ერთ კულტურას ქმნიან. რამდენად საეჭვლიანია, ან რამდენად ნაგვიანევად შენათხზია ასეთი კონცეფცია, ეს ცალკე კვლევის საგანია, ჩვენთვის საყურადღებო კი ამჟამად ისაა, რომ ლეონტი თუ მისი წყარო ძველი ეგრისიდან გარკვე-

ვით სწყვეტს მის დასავლეთ ნაწილს და ის იმ სამყაროში არ შემოყავს ფარნავაზ-ქუჯის შემდეგ რომ შეიქმნა, ე. ი. ქართულ-ეგროსიანეტურის სამყაროში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუანშერი ავითარებს ლეონტის ამ კონცეფციას (ის, უეჭველია, იცნობს ლეონტის თხზულებას) და გადმოგვცემს შემდგომ თავგადასავალს ეგრის წყლის ქუემოთი ქვეყნისას. ბერძნები ხელაღებით არ უარყოფდნენ, იგულისხმება, ქართლოსიან-ეგროსიანების პრეტენზიას ეგრის წყლის ქვემოთ ქვეყანაზე (=„ა ფ ხ ა ზ ე თ ზ ე“) ოღონდ ხანდაზმულობას იშველიებენ.. მაინც ამ სადავო ქვეყნის ერთი ნაწილი — ეგრის წყალსა და კლისურას შორის ბერძნებმა დაუთმეს ვახტანგს (ნამზითვად მისცეს) და ამიერიდან ეგროსის წილი ქვეყნიდან მხოლოდ კლისურას დასავლეთი („სხუა აფხაზეთი„) რჩებოდა და ასე იყო ვიდრე VIII—IX საუკუნემდე, როცა ეგროსის წილი ქვეყანა „აფხაზეთად“ გამთლიანდა. ამ უკანასკნელ ვითარებას „მატიანე ქართლისას“ ავტორი გადმოგვცემს და ამით შეავსებს ლეონტი-ჯუანშერის კონცეფციას...

ამრიგად, ლიხის მთასა და მცირე ხაზარეთის მდინარეს შორის ქვეყანა ეგროსის წილი იყო, ეგროსიანებით დ ა ს ა ხ ლ ე ბ უ ლ ი ი ყ ო. ალექსანდრობიდან ამ ქვეყნის დასავლეთი ნაწილი ბერძენთა ხელში იყო (ისე რომ ამ ეგროსიანებს სურვილი არ ჰქონდათ სხვა ეგროსიანებთან ერთად ყოფნისა).

რა ნიადაგზე შეიძლებოდა შექმნილიყო ის შეხედულება, რომ ეს ქვეყანა ეგროსის წილი იყო, რომ იქ ეგროსიანები სახლობდნენ. ორში ერთი: 1. ან XI საუკუნეში, როცა ლეონტი წერდა (ან როცა ნისი წყარო იქმნებოდა) ეგრის წყლის ქუემოთი ქვეყანა (ე. ი. ჯუანშერის „აფხაზეთი“) ეგროსაანთა ქვეყანა იყო, ან 2. თუ ამ დროს ის ე გ რ ო ს ი ა ნ თ ა ქვეყანა აღარ იყო, იგულისხმებოდა, რომ ოდესმე ეს ქ ვ ე ყ ა ნ ა ე გ რ ო ს ი ა ნ თ ა ი ყ ო...

უეჭველია ლეონტის დროს ტერმინი აფხაზეთი არსებობდა (ამ ტერმინს იცნობს იოანე საბანის ძე, მერჩულე და XI საუკუნის ყველა მწერალი) და ყოვლად ცხადია, რომ ამ ტერმინს იცნობდა ლეონტი, თუნდაც რომ ეს მწერალი VIII საუკუნის მოღვაწე ყოფილიყო. ლეონტი არ გაურბის რომ პოლიტიკურ ეგრისში დაასახელოს ს ვ ა ნ ე თ ი, მაშ რა არის მიზეზი, რომ ეს ავტორი (თუ მისი წყარო) არ ასახელებს „აფხაზეთს“, მაგრამ ამავე დროს ეგრის წყალს ქვემოთ ქვეყანას (ეგროსის წილსვე) გამოჰყოფს ცალკე ერთეულად, რომლის მკვიდრებმა ბერძენთა ხელში ყოფნა ირჩიეს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო საქმეს ქართლოსიან-ეგროსიანებისას მხარი არ დაუჭერეს? უნდა ვიფიქროთ, ლეონტის წყარო არ იცნობდა ამ მხარისათვის სხვა საერთო სახელს გარდა ეგრისისა, ამიტომაც გამოიყენა წყარო აღწერით ტერმინს: „მკჳდრთა მის ადგილისათა“. მაინცდამაინც იმ დროს ლეონტის წყარო რომ გულისხმობს, იმ ადგილს ერთი რამ სპეციალური სახელი არა ჰქონია თორემ, ლეონტი (თუ მისი წყარო) ამას დაასახელებდა კიდევაც. ჩანს ის ქვეყანა საერთო ეგროსის წილში იგულისხმებოდა. მაგრამ დასაშვებია ისიც, რომ ლეონტი (თუ მისი წყარო) გულისხმობდა ეგროსის წილის ამ მხარის რაღაც განსხვავებულობას, ვთქვათ, სვანეთივით. ნაგრამ ტომობრივ სხვებურობას, შეიძლება ვიფიქროთ, მრავალ ტომების არსებობას, უპირატესად ეგროსიანელებისას, რომელნიც ერთ პოლიტიკურ სხეულად არ გაერთიანებულიყო. მაშინ ლეონტის (თუ მისი ყყაროს) კონცეფცია ასე წარმოდგებოდა: ეგროსის წილი ქვეყანა ალექსანდრობის ხანაში არაერთი ეგროსიანული ტომისაგან შედგებოდა (ისევე როგორც ქართლოსიანთა ქვეყანაც... კახი, კუხი, ქართი, მესხი...) შიდა ეგრისი, მარგვი, სვანეთი, ეგრის წყალს ქვემოთი ტომები. ალექსანდრობის დროიდან მთელი ეს ქვეყანა აზონის ხელთ იყო („დაიპყრა ქართლსა ზედა ეგრისიცა“ გვ. 19—შესანიშნავია!: ამ დაპყრობილ „ეგრისში“, ბუნებრივია, იგულისხმება ეგრის წყალს ქვემოთი მხარეც ეგროსის ნაწილისაგან. გამოდის, რომ ლეონტი ეგროსის წილს, ეგრის წყალს ქვემოთია თუ ზემოთი, — ეგრისს უწოდებს. და ეს ბუნებრივია მისი კონცეფციის მიხედვით). ასე რომ „შიდა ეგრისს“ უპირისპირდება გარე ეგრისის სახით არა მხოლოდ არგვეთი, არამედ, როგორც ჩანს, ეგრის წყლის ქვემოთი ქვეყანაც.

ასე იყო ფარნავაზის დრომდე, როცა ეგრის წყლის ქვემოთი ქვეყანა დანარჩენ ეგრისს გამოეყო... ამ ქვემო ქვეყანაში სხვა ეგრისულ ტომებს შორის შეიძლება „აფხაზებიც“ ცხოვრობდნენ „აფშილების“ გვერდით, ან ჩაჩებისა და სანების გვერდით... და ამ კონცაფციის მიხედვით აფხაზეთი გვიან გამოდის გამაერთიანებელ ტერმინად. მაინცდამაინც ასეთ გამაერთიანებელ ტერმინს ლეონტი (თუ მისი წყარო) არ იცნობს, უკეთ, ლეონტი მისდევს მის წყაროს, რომელიც ასეთ ტერმინს არ იცნობს, თორემ ლეონტი ისევე იცნობდა ამ ქვემოთის გამაერთიანებელ ტერმინს, როგორც მისი დროის სხვა მოღვაწენი (საბანისძე, მერჩულე, ჯუანშერი, მატიანეს ავტორი).

ლეონტის წყაროდ ამ ნაწილში რამოდენადმე საგულისხმებე-

ლია „მოქცევად ქართლისად“... (შდრ.!) მაშასადამე, აფხაზეთი გაჩნდა ან, ყოველ შემთხვევაში, გამაერთიანებელ ტერმინად იქცა ან, ალექსანდრობის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგრის წყალი რომ საზღვარი იყო, ამას მოწმობს როგორც ქართული (ლეონტი, ჯუანშერი), ისე ბერძნულ-რომაული წყაროები (არიანე, V საუკუნის პერიპლი, პროკოპი...), ოღონდ ლეონტით ეს იყო საზღვარი ეგროსიანთა შიგნითი, სატომო საზღვარი შიდა ეგრისსა და ეგრის წყალს ქუემოთს შორის, ჯუანშერით კი, ეს იყო საზღვარი საბერძნეთის სამფლობელოს „აფხაზეთს“ და საქართველოს სამფლობელოს ეგრისს შორის...

მაინც რა იყო საფუძველი იმისა, რომ ეგრის წყლის დასავლეთის საზღვარი ყუბანზეა დადებული? — ან ლეონტის დროს არსებული პოლიტიკური (და ეთნიკური) ვითარება, ან პოზიტიური გადმოცემა. პირველი ვარაუდი ვალდებულს გაგვხდიდა დაგვეშვა: რომ ლეონტის დროის „აფხაზეთი“ ყუბანის მდინარემდე აღწევდა, რომ მთელი ეს ტერიტორია „აფხაზებს“ ეჭირათ და რომ ეს „აფ ხ ა ზ ე ბ ი“ ლ ე ო ნ ტ ი ს ე გ რ ო ს ი ა ნ ე ბ ა დ მ ი ა ჩ ნ დ ა...

იმ შემთხვევაში კი, თუ ლეონტი თავისი დროის ვითარებას კი არა, ძველ წყაროს, ზეპირს თუ წერილობითს, გადმოგვცემს, ჩვენ ვალდებულნი ვართ დავუშვათ ეს წყარო ხსენებულ ტერიტორიას ან: 1. ოდესმე ეგროსიანელებით დასახლებულს, ხოლო აწ არაეგროსიანელებით სახეცვლილს გულისხმობდა, ან: 2. ოდესმე ეგროსიანელებით დასახლებულს, ხოლო აწიც ეგროსიანელებით (მხოლოდ ტომობრივად რამოდენადმე განსხვავებულს...) დასახლებულს გულისხმობდა...

ორივე შემთხვევაში ეს ტერიტორია უძველეს დროს ე გ რ ო ს ი ა ნ ე ლ ე ბ ი თ დ ა ს ა ხ ლ ე ბ უ ლ ი ი გ უ ლ ი ს ხ მ ე ბ ა. რაც შეეხება ლეონტის (თუ მის წყაროს) დროის ვითარებას, ამას ლეონტი ვერ გაგვირკვევს. დანამდვილებით ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ტერიტორიის აწინდელი მკვიდრნი (აფხაზები, აფშილები, ჩაჩები, სანიგები), ან ლეონტის და მის თანამედროვეებს ყველა ისინი, ან ზოგი მათგანი არაეგროსიანელებად მიაჩნიათ, ან ყველა ისინი, ან ზოგი მათგანი ეგროსიანელებად (ტომობრივად დანაწილებულ) მიაჩნიათ. მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ლეონტი თუ მისი წყარო არ გულისხმობენ ამ ქვეყანაში ასეთ ღრმა ცვლილებას — ეგროსიანელების შეცვლას კავკასიანელებით: მოსალოდნელი იყო, რომ ამ ფაქტს აღნიშნავდა ლეონტი თუ მისი წყარო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ აქ სამსჯელობო მასალას მოგვცემდა „ქართლის“ მაგალითი: ისევე როგორც „ქართლი“ იყოფა, „შიდა ქართლად“ საკუთრივ ქართლად და, საგულისხმებელია, სხვა ბევრ ადგილებად, რომელსაც თავისი საკუთარი სახელიც აქვთ (კახეთი, მესხეთი და სხვა), ასევე ეგრისიც იყოფა შიდა ეგრისად, რომელსაც სხვა სახელი, გარდა ეგრისისა, არა აქვს ეგრის წყალსა და რიონს შუა, (ეგრის წყალი გამოდის, სატომო საზღვარია ეგრისის ერთ-ერთი — ძირითადი ტომისა. ერგე სახელმწიფო საზღვარი...) მაშინ როცა სხვა ყველა ნაწილს თავ-თავისი საკუთარი სახელი აქვს. გარდა საერთო სახელისა „ეგრისი“ (არგვეთი, სკვმნია — ლეჩხუმი, გურია...). მაშასადამე რეალურად ისტორიული ვითარება ასე წარმოიდგინება: იყო ტომობრივი ეგრისი, შემდეგ რომ შიდა ეგრისი ეწოდებოდა და იყო პოლიტიკური ეგრისი, სადამდისაც ამ ეგრისის პოლიტიკური ჰეგემონობა (გარკვეულ დროს) აღწევდა. ამ პოლიტიკური ჰეგემონობის ქვეშ მოქცეული ყველა ეგროსიანული ტომი ეგრისში, არა ტომობრივს არამედ, შეიძლება, ტომთა კავშირის ადრესახელმწიფოებრივ გაერთიანების „ეგრისში“ შედიოდნენ: აქ იყვნენ ყველა ეს კოლხები (ს. ჯანაშია: კოლხი=ე-გრ-ი), ეგრის წყლის ქვემოთნი (აფშილები, აფხაზები, მისიმიანები, სანიგები...), თუ რიონს გარეთნი... ამის მოწმობად შეიძლება გამოდგებოდეს „ძველი ლაზიკა“ ბერძნული წყაროებისა... მაინცდამაინც ეს დროსა და ვითარებაში გაურკვეველი მოწმობა ქართულ ტრადიციასთან შეპირისპირებით (ყუბანი) ისტორიული მნიშვნელობისა ჩანს: რომ კოლხეთი (=„ეგრისი“, „ლაზიკა“) იმ ძველ დროს ეთნიკურ-პოლიტიკურად მართლაც უწევდა „სადა კავკასიის წუერი წასწუდების“...

დამახასიათებელია, რომ ლეონტის ერთ-ერთი წყარო — „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, აზონის სამეფოს დასავლეთის საზღვარს ეგრის წყალს უჩვენებს. ეს წყარო უეჭველია უფრო ადრეა დაწერილი, ვიდრე საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდებოდა და ამდენადვე ასეთი ტრადიციის არსებობა (X საუკუნეში და ამაზე უწინარეს) იმის მოწმობაა, რომ ეს ტრადიცია არ არის შექმნილი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ფაქტის გავლენით, რომ, ამიტომ ეს ტრადიცია ძველ რაღაც ფაქტებს ემყარება... მაგრამ კარგად შეიმჩნევა, რომ ლეონტი (და ჯუანშერი) იცნობს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“, თუმცა აქვე არანაკლები სიცხადით ჩანს, რომ ლეონტი არსებითად განსხვავდება „მოქცევაჲს“ კონ-

ცეფციისაგან და განსხვავდება იქამდე არსებითად, რომ იძულებული ვხდებით სხვადასხვა წყაროს არსებობა დავუშვათ თითოეული მათგანისათვის. დეტალური შედარება სხვა დროს, ახლა კი ზოგადად შეიძლება დაჯერებით აღინიშნოს: 1. „მოქცევაჲთ“ აზონი იყო პირველი ქართველი მეფე, ლეონტით აზონი იყო ალექსანდრეს ერისთავი უცხოელი და ქართველთა მტერი; 2. „მოქცევაჲთ“ ქართლში ქართველები აზონმა მოიყვანა არიან ქართლით ალექსანდრობის ხანაში, ლეონტით ქართლოსიანები ქართლოსმა მოიყვანა ძველისძველად; 3. „მოქცევაჲთ“ ქართველების უწინ ქართლში ბუნთურქები ისხდნენ, ლეონტით ქართლოსიანებზე უწინ ქართლში არავინა ჩანს, ქართლოსიანები აქ თითქო პირველმოსახლენი არიან; 4. „მოქცევაჲთ“ ქართველები არიან ქართლით მოდიან, ლეონტით ქართლოსი და მისი ნათესავი არარატ-მასისის ქვეყნიდან მოდიან (ეს შედარება დეტალური აუცილებელია ამ ორი ძირითადი წყაროს შეფასებისათვის, „ლეონტის საკითხის“ გარკვევისათვის. მოვასწრებ?...).

რაგინდ დამოკიდებული ჩანს ლეონტი მოსე ხორენელისაგან, კავკასიის ხალხთა მონათესავეობის და ქართველების ტომობრივი შეღგენილობის საკითხში ის არავისგან დამოკიდებული არა ჩანს (შეიძლება დავუშვათ, რომ ის იცნობდა ბერძნულ ქრისტიანულ მწერლობას, სადაც ხალხთა მონათესავეობის საკითხი და მისი სხვადასხვაგვარი გადაწყვეტა უხვად მოიპოვებოდა. მაგრამ ისეთი გადაწყვეტა, როგორსაც ჩვენი ავტორი გვთავაზობს, რამდენადაც ცნობილია, არავის მოეპოვება). მით უფრო საყურადღებოა ლეონტის ეს ორიგინალური კონცეფცია. ყალბი ეფრემისა და მოსე ხორენელის წიგნებში მოცემული იდეები ლეონტის არ ავალებდა მისი დროის კავკასიის ხალხები ურთიერთის მონათესავე თარგამოსიანებად წარმოედგინა. ქართველების შესაყვანად მსოფლიო ისტორიის ფერხულში საკმაო იქნებოდა, ვთქვათ, ქართლოსის გამოცხადება ჰაოსის ძმად და თუ ლეონტი ამას არ დაკმაყოფილდა და ამ კონცერტში მთელი კავკასიის ხალხები შემოიყვანა, უეჭველია, ამას საკმაო საფუძველი მოეპოვებოდა. აქ ჩვენი ავტორი უთუოდ ორიგინალურია და მოსე ხორენელის კონცეფციას ასწორებს და უპირისპირდება: ლეონტი ნათლად მოხაზავს ყველა ამ ხალხთა საზღვრებს, მაშინ როცა ხორენელით ჰაოსის სამფლობელოს ჩრდილო საზღვრები სრულიად გაურკვეველია („სადამდისაც ამ გმირის ხმა-

ლი მისწვდება“...) ხორენელით ჰაოსს ძმები არა ჰყავს და ის მხოლოდ საკუთარი ძალით (შვილები, შვილიშვილები) ებრძვის ნებროთს (ბელს). ლეონტით კი ჰაოსი, მართალია უფროსი, მაგრამ მაინც ძმაა თარგამოსიანთა და საერთო ძალით იბრძვიან ეს ძმები ჰაოსის სარდლობით ნებროთის წინააღმდეგ. ხორენელით სომხური ენა ჰაოსს ბაბილონის ენათა გაყოფიდან მოჰყვა. ლეონტით ბაბილონის გოდლით თარგამოსი წამოვიდა ენათა გაყოფის შედეგად და, იგულისხმება, მისი ენა, სომხური, იყო ყველა მისი შვილების ენაც. ლეონტიმ განძთა ქუაბით იცოდა, რომ ენათა გაყოფის შემდეგ „მიერიდგან იქნა ქუეყანა სამეოცდა ათ ენათა და სამეოცდა ათ მთავრად და ყოვლისა ენასა დაადგინეს მეფე“.

ცხადია, ლეონტის უნდა გაერკვია, როდის და როგორ წარმოიშვა ქართული. ენის საკითხში ლეონტი არ მისდევს განძთა ქვაბს (როგორც ეს ივანე ჯავახიშვილს ჰგონია). იქ სომხითი იმთავითვე იგულისხმება. ნოეს შვილებიო მამის სიკვდილის შემდეგ „...წარვიდეს აღმოსავლით და ჰპოვეს ველი ქუეყანასა და წურეულსა და დაეშენნეს მუნ და იყო სიტყუა მათი ერთ და ენასა ზრახვიდეს ადამისგან ვიდრე მუნ დღედმდე ენასა ასურულსა ფრიად ვრცელსა ვიდრე სომხითამდე და არს იგი მეფე ყოვლისა ენისა“... ლეონტით კი სომხითი ენათა გაყოფის შედეგად შეიქმნა, როცა ბაბილონით წამოსული თარგამოსი თავისი ნათესავით მასის — არარატის სანახებში დაეშენა. ცხადია სომხურიც ამ დროიდან არის აქ ნაგულისხმევი. თორემ ნოეს კიდობნის ადგილი — „სომხითი“ რომ ენის ნიშნით იყოს ნახმარი, მაშინ როგორღა ამბობს იგივე ავტორი („ქვაბი“), რომ ადამისითგან ამათი ენა ასურული იყოო? და თუ სემი, ქამი და იაფეტი ასურულად მეტყველებდნენ, გამოდის რომ სომხეთში, სადაც სომხურად მეტყველებდნენ, ნოეს ჩამომავლობას არ უცხოვრია, ან არადა სომხითში სომხურ ენაზე არ მეტყველებდნენ.

მაგრამ ლეონტის ორიგინალობა სხვაგან კიდევ უფრო თვალსაჩინოა. ვერსად, რა თქმა უნდა, ჩვენი ავტორი ვერ იპოვიდა კავკასიელ ხალხთა მონათესავეობის იმ სურათს, რომელიც მას აქვს მოცემული. კერძოდ ქართლოსიანთა ურთიერთდამოკიდებულებისა: ძმები, შვილები, შვილიშვილები მათი მეტ-ნაკლები სიახლოვის ხაზგასმით. აქ ლეონტი სრულიად დამოუკიდებელია და მისი მონაცემები ფრიად საგულისხმოა.

ეს დიდი მნიშვნელობის საკითხი მთელი სიღრმით უნდა დაისვას: სად, როდის, როგორ და რატომ შემუშავდა ლეონტის ეს თეორია კავკასიის ხალხთა მონათესაობისა, როგორ და რა წესებზე მოიხაზა XI საუკუნის ქართველი პოლიტიკური მოაზროვნის ცნობიერებაში ეს ერთეული — დ ი დ ი ქ ვ ე ყ ა ნ ა; სად და როდის ჩაისახა ასეთი იდეა, სად და როდის მიიღო ასეთი დასრულებული სახე? მართლაც და ხომ ვერ ვიფიქრებთ, რომ ასეთი მოხაზვის საკმაო საფუძველი ჩამომავლობითი მონათესაობის შესახებ „ცოდნა" იყო, წერილობით თუ ზეპირ გადმოცემის სახით არსებული? რა რეალურ-ისტორიული საფუძველი მოეძებნება ასეთ კონცეფციის შექმნას? ხომ არ არის ეს მოვლენა იმის ღრმა და ნიშანდობლივი მოწმობა, რომ კავკასიაში ამ დროს, ფეოდალური ურთიერთობის აღმავლობის ხანაში მიმდინარეობდა ისეთი პროცესი, რომელიც ხელს უწყობდა (იწვევდა) ასეთი მონათესაობის კონცეფციის შემუშავებას, თუ აქამდე შემონახული ზეპირგადმოცემის მეცნიერულ გამართვას. ერთი სიტყვით, მინდა ვთქვა, რომ ლეონტი მროველისეული კავკასიის ხალხთა მონათესაობის თეორია იკვებებოდა კავკასიის ფეოდალური საზოგადოებრივი ცხოვრების იმავე წყაროებით, რომელთაც საფუძველი შეუქმნეს ვეფხისტყაოსნის კულტურას, რომ ლეონტი მროველის მონათესაობა და ვეფხისტყაოსნის ძმადნაფიცობა ერთი და იმავე წყაროთი მორწყული ფეოდალური სამყაროს ნაყოფია.

რა თქმა უნდა, არაა მართებული ლეონტის კრიტიკა ამ ნაწილში იმ მხრით, რომ მან ქართველების ძმები (მეგრელები, ჰერები) და უფრო შორი მონათესავეები, შეიძლება საეჭვო მონათესავეებიც (კავკასიანები, ლეკები, სომხები, ალბანები) ერთხარისხიან მონათესავეებად წარმოადგინა. აწინდელი ჩვენი ცოდნის მოთხოვნა XI საუკუნის მწერლისაგან რა მეცნიერული სარგებელია. მთავარი და მეცნიერებისათვის საინტერესო სწორედ ის არის, თუ რატომ „ცდებოდა" ჩვენი ავტორი და რატომ ქართლოსიანებად არ წარმოგვიდგინა, ვთქვათ, ჰერნი და ეგრნი? აქ ხომ თეორია რაიმე არ ბოჭავდა მას? კაცმა რომ იფიქროს, კოლხების, ლაზების არაქართველობა ლეონტის შეეძლო ხალხთა მონათესაობის შემცველ ბერძნულ ქრისტიანულ მწერლობაში ამოეკითხაო, ასეთი ვარაუდი არ გამოდგებოდა: ლაზებისა და იბერიელთა ერთობაზე იქ არსადაა საუბარი. ასე რომ თუ ლეონტი იმ ლიტერატურას იცნობდა, გამოდის, რომ ის არ იზიარებდა ამ ცნობებს და ლაზებს (მეგრელებს) ქართლოსი-

ანების ძმებად წარმოიდგენდა ამ ლიტერატურული ცნობების სა-
პირისპიროდ. ასევე ითქმის ჰერებზეც. და როცა ასეთ პირობებში
ჰერნი და ეგრნი ჩვენს ავტორს ქართლოსიანთა ძმებად ჰყავს
მოდგენილი (ისევე როგორც ყველა სხვები), ამას უეჭველია, საკმაო
საფუძველი მოეპოვებოდა ლეონტისა და მისი დროის საზოგადოე-
ბის თვალში. თანაც ლეონტი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ როგორ შე-
მოვიდნენ როგორც ეგრები, ისე ჰერები ქართულ კულტურულ სამ-
ყაროში, როგორ „ქართველებად“ იქცნენ ისინი (სხვა მეზობელ
ტომებთან ერთად: დვალები, დურძუკები, სვანები, აფხაზები...) ასე
რომ ლეონტი აქ ყოვლად ისტორიული ჩანს და სწორედ ამის ახს-
ნაა საჭირო: რა საფუძველი ჰქონდა ლეონტის რომ ჰერებს და ეგ-
რებს ქართლოსიანებად წარმოიდგენდა.

ასევე ყოვლად ისტორიულია ლეონტი თვით ქართლოსიანთა
კლასიფიკაციის საკითხში... (მ—2, 17. ფურც. 1—11).

15. ქცა I, ჯუანშერი, 145_{22}, 146_{1}

ოსებმა „მოიტყუენეს ქართლი თავითგან მტკურისად ვიდრე
ხუნანამდე... რომელ დაურჩეს წარუტყუენველად ჭევნი ქართლისა-
ნი, კახეთი და კლარჯეთი და ეგრისი“. (სიმონ ყაუხჩიშვილის პუნქ-
ტუაცია პრინციპულ შეცდომას შეიცავს).

ეგრისი კახეთთან და კლარჯეთთან ერთად ქართლის ჭევადაა
გამოცხადებული.

ეს ასე იყო პოლიტიკურად, თორემ ჩვენმა ავტორმა კარგად
იცის, რომ ეგრისი ქართლოსიანთ ნათესავი არაა შდრ. აქვე 137_{2} (ამ
მოწმობის შესახებ მე სპეციალური შენიშვნა მაქვს „ქართლში“ —
ნახე) (მ—2, 16. ფურც. 16).

16. ქცა I, ჯუანშერი, 234_{31}, 235_{1-6}

მურვან ყრუმ როცა შეიტყო, რომ მეფენი ქართლისანი „წარ-
ვიდეს ეგრისად და მუნით კუალად მიიცვალნეს აფხაზეთად, შეუდ-
გა კუალსა მათსა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი
ეგრისის ქუეყანისანი. და ციხე იგი სამზღუდე, რომელ
არს ციხე-გოჯი. შემუსრა, და შევლო ზღუდე იგი საზღვა-
რი კლისურისა“...

ეგრისი ქუეყანა. კლისურის ზღუდე საზღ-
ვარია, იგულისხმება საზღვარი ქვეყანათ შორისი, რომელი ქვეყ-
ნის?? აქვე ქვემორე: ეს „იყო საზღვარი საბერძნეთისა და
საქართველოსა“. სამწუხაროდ, ჯუანშერი არ ასახელებს იმ

მიკროქვეყნებს (ეთნიკურ-სამეურნეო რაიონებს), რომელთა საზღვარი იყო კლისურა, თუმცა ამას მიყოლებული ცნობა, რომ მურვან ყრუმ „შემუსრა ქალაქი აფშილეთისა გვაფიქრებინებს, რომ კლისურა საზღვარზე იყო აფშილეთსა და რაღაც ტომს შორის (ეს ტომი არ იყვნენ ეგრისელნი, მაგრამ არც აფშილები იყვნენ თითქო) (მ—2,6. ფურც. 125).

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. ქ^ცა I, ჯუანშერი, 241_3

მირმა ანდერძად დაუგდო არჩილს: „მისცენ მათ (ე. ი. ერისთავებს) ასულნი ჩემნი და განუყვენ მათ ქუეყანანი ქართლისანი: ნახევარი შენ და ნახევარი მათ. ხოლო საუხუცესოდ რომელ მქონდა, მომიცემია შენდა, და გქონდეს საუხუცესოდ: ეგრისი, სუანეთი, თაკუერი, არგუეთი და გურია. ხოლო კლარჯეთი და შუა მთიულეთი მიეც ასულთა ჩემთა, რათა მუნ შინა იყვნენ ჟამთა ამათ ბოროტთა“. (მირი და არჩილი ამ დროს იყვნენ ანაკოფიაში). ეგრისში აქ იგულისხმება საკუთრივ ეგრისს გარდა ეგრის წყალსა და კლისურას შორის ქვეყანა; არჩილი ეუბნება ლეონ ერისთავს: „აწ უწყიეს შენება ადგილთა ჩუენთა კლისურითგან აღმართ. წარვალ და დავეშენები ციხე-გოჯს და ქუთათისს“. (242_{15}) და მერე „წარმოვიდა არჩილ და დაემკვდრა ეგრისს ვიდრე შორაპნადმდე“...

ეგრისია ეგრის წყლიდან ვიდრე შორაპნამდე, შეიძლება კლისურიდან?

ამ საკუთრივ ეგრისში არ შედის სუანეთი, თაკვერი, არგვეთი, გურია.

აქ გურია არგვეთის და სხვათა (ისევე როგორც თვით საკუთრივ ეგრისის) თანასწორი მნიშვნელობის ქვეყანაა. არგვეთსა და გურიას შორის ასეთივე მნიშვნელობის სხვა ქვეყანა დასახელებული არაა: ჩანს არც იყო...

ამ დროისათვის გურია, როგორც ჩანს, სავსებით გამოკვეთილი ქვეყანაა. (ხანისწყლიდან პეტრამდე?? ფერსათი??). (მ—2, 6. ფურც. 130).

18. ქ^ცა I, ჯუანშერი, 243_4

აფხაზეთიდან არჩილ მეფე წამოვიდა და „დაემკვდრა ეგრისს

ვიდრე შორაპნამდე. და განაგნა ყოველნი ციხენი და ქალაქნი და აღაშენა ციხე საზღუარსა ზედა გურიისა და საბერძნეთისასა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ადგილიდან ისა ჩანს, რომ ეგრისი შორაპნამდე მოდიოდა XI საუკუნის მოღვაწეთა წარმოდგენით და რომ გურია ან არ შედიოდა ეგრისში, ან თუ პოლიტიკურად შედიოდა ეგრისში, ის მაინც განსხვავებულ ქვეყნად იგულისხმებოდა. სამწუხაროდ ჯუანშერი არ ასახელებს ამ ციხეს. საფიქრებელია, რომ ეს ციხე იყოს პეტრა (ქაჯთა ციხე). არაა საფიქრებელი, რომ აქ იგულისხმებოდეს გონიო: ეს ციხე ლაზიკაში დიდი ომის დროსაც კი ბერძენთა ხელში იყო (ტუსაღებს აქ ათავსებდნენ) — VI ს-ში. მით უფრო ამის შემდეგ ლაზიკის დასუსტების ხანაში არაა საფიქრებელი, რომ ის ლაზიკის ხელთ გადმოვიდა... მაგრამ მოტანილი ადგილი ყურადღებას იქცევს იმ მხრით, რომ მოსალოდნელ „საზღუარსა ზედა საქართველოსასა და საბერძნეთისასა"-ს ნაცვლად შდრ. 235_{4-5} აქ წერია „გურიისა და საბერძნეთისასა". რატომ არ იხმარა აქაც გურიის ნაცვლად, „საქართველო", ან რატომ არ იხმარა იქ (235_{4-5}) საქართველოს ნაცვლად იმ ქვეყნის სახელი „ეგრის წყლის ქვემოთი კლისურამდე"? ან შეიძლება ამ ქვეყანას ერთი სახელი არ ჰქონდა? რად არ იხმარა „ეგრისი"? აკი „ეგრისში" ამის შემდეგ არაერთხელ გულისხმობს ამ ქვეყანასაც...

მოკლედ რომ ვთქვათ, მე ჯერჯერობით ვერ მოვახერხე მტკიცე რაიმე პრინციპი დამეჭირა ჯუანშერთან ამ ტერმინების ხმარებაში... საფიქრებელია, რომ ასეთი მკაცრი პრინციპი არ ჰქონდათ... რეალური ვითარების გავლენა იყო... (მ—2, 6. ფურც. 79, 127).

18. ქ'ცა I, მატიანე ქართლისა, 251_{11}

„ხოლო რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკუდროდ აფხაზეთი. ეს მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ—იდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჟუანშერ. და შემდგომად ამისსა ჯუანშერცა მიიცვალა".

ეპოქალური ხასიათის ამ პოლიტიკურ ცნობაში ჩვენი მიზნისათვის ის არის ალსანიშნავი, რომ ეგრისი ამ ავტორსაც აფხაზეთიდან ვიდრე ლიხამდე წარმოუდგენია და ამ ეგრისში ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულისხმობს არა მარტო შიდა ეგრისს, არამედ არგვეთსაც და გურიას. ერთი სიტყვით მატიანე ქართლისას ავტორის ცნობით ქალური მოვლენა მოხდა: ძველი ეგრისი (ეგრის წყალი) აღდგა, ოღონდ არა ეგრისის სახელით, ან ქართლის სახელით, არამედ აფხაზეთის სახელით, რადგან მეფე იქმნა აფხაზეთის ერისთავი.

ამრიგად წარმოიქმნა ახალი ქვეყანა ძველისძველი ეგრისის ადგილზე — აფხაზეთი (მ—2, 7. ფურც. 5).

20. ქცა I, მატიანე, 316[1]

გიორგი მეფეს (მეორეს) დიდებულები გაუდგნენ: „ივანე მოირთნა კახნი და დადგა ქსნის პირსა; და ნიანია წარუღო ქუთათისისა საჭურჭლე და შედგა ქუთათისს შიგა; და ვარდან გაადგინნა სუანნი ავისა მოხარკულნი, დაარბიეს და ამოსწყვდეს საეგრო“.

ეგრი თავდაპირველად ტომის სახელია (ტოტემი გრ? ეპონიმი ეგრი (ეგროსი), ისევე როგორც ქართ, კახ, და სხვა...) აქედან საეგრო ან ეგრისი — ეგრების ქვეყანა.

ეგრი ერქვა იმ ქვეყანასაც, რომელიც ეგრის ტომს აეთვისებინა, საეგრო მეორე რიგის წარმოება ჩანს. მ-ეგრ-ელი შეიძლება ამ კოლექტივის წევრის სახელიც ყოფილიყო, თუმცა არაა გამორიცხული, რომ კოლექტივის წევრსაც ეგრი ეწოდებოდა (სომხური **Եգերք** თითქო ამის მოწმობაა).

ასე რომ საეგრო და სამეგრელო ერთი და იმავე შინაარსის ცნებებია: საეგრო უფრო ძველი, სამეგრელო უფრო ახალი.

ჩვენი ავტორის ისტორიული გეოგრაფია ლიხს ქვემოთი კერძისა: არგვეთი, ლომსიანი, გურია, თაკვერი, სვანეთი, საეგრო, აფხაზეთი, სამოქალაქო (მ—2, 16. ფურც. 46).

[აფხაზეთი ქართულ წყაროებში, მისი დამოკიდებულება ქართულ სამყაროსთან]

1 ჰაბო, 59

ერთი საყურადღებო ფაქტი შეინიშნება. საბანის ძე შრომას წერს მანამდე ვიდრე აფხაზთა მთავარი მეფე გახდებოდა. ეს მთავარი კი ფლობს მთელ დას. საქართველოს; ამას გულისხმობს საბანის ძის მიერ ნაჩვენები საზღვრები ამ მხარისა, ამავე დროს საბა-

ნის ძე ამ ქვეყანას აფხაზეთს უწოდებს. ჩანს, აფხაზთა მთავარს ბერძენთა ნებართვით მიელი დას. საქართველო გაუერთიანებია ... ვისი პოლიტიკური უფლების ქვეშ, ისევე როგორც ლაზეთ-ეგრისს ... ანებდნენ ამ ქვეყანას IV—VI საუკუნეებში (აქაც რომის პოლიტიკა გარკვეულ როლს ასრულებდა). რა ნიადაგზე მოხდა აფხაზთა მთავრის ასეთი წარმატება?... იმ ნიადაგზე ხომ არა, რომ რომიც მხარს უჭერდა (ჩრდილოეთიდან თავის დაცვა), იბერიისა და აფხაზთა მთავრის თანხმობა კავშირი (სტეფანოზი, მირი და არჩილი, ლეონ I და რომის კეისარი)...

ასეა თუ ისე აფხაზეთი დას. საქართველოს მომცველი ცნება არის ჯერ კიდევ ლეონ II-ის გამეფებამდის, მისი მთავრობის დროსვე.

საბანის ძე აფხაზეთს აქ, რა თქმა უნდა, პოლიტიკური მნიშვნელობით ხმარობს. მან კარგად იცის, რომ ეს ძველი ეგრისია, ასევე პოლიტიკური მნიშვნელობის.

აქედან შესაძლებელი ხდება ლეონ II-ის როლის უფრო მიახლოებითი განსაზღვრა. მან რომის ბატონობა უკუაგდო და ეგრისის ოდინდელი ტერიტორია (კოლხეთი?), იბერია რომ დაპატრონებოდა (ცხენისწყალსა და ლიხს შორის?), გაიერთა... ვახუშტის აზრით მანვე მისტაცა ოძრხის ერისთავს გურია, ე. ი. იბერიის ეს ნაწილიც (მ—2, 16. ფურც. 76).

2. ჰაბო, 58_{23}, $59_{7,20}$

ნერსე ერისთავი ეუბნება „მეფესა მას ჩრდილოჲსასა, რაჲთა ვანუტეოს იგი მიერ ქუეყანად აფხაზეთისა, რამეთუ პირველადვე წარეგზავნნეს მას დედაჲ და ცოლი და შვილნი და მონაგები და ყოველნი სახლისა მისისანი, რამეთუ კრძალულ იყო ქუეყანაჲ იგი შიშისაგან სარკინოზთაჲსა...

და ვითარცა მიიწინეს იგინი ქუეყანად აფხაზეთისა. მთავარმან მის ქუეყანისამან შეიწყნარა ნერსჱ ყოვლით ერით მისითურთ“.

და ჰაბომ იხილა „ქუეყანაჲ იგი სავსჱ ქრისტჱს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკვდრად იპოვების საზღვართა მათთა. რამეთუ საზღვარ მათდა არს ზღუაჲ იგი პონტოჲსაი სამკვდრებელი ყოლადვე ქრისტიანეთაჲ, მისაზღვრადმდე ქალდიაჲსა, ტრაპეზუნტიაჲ მუნ არს, საყოფელი იგი აფსარეაჲსაი და ნაფსაჲს ნავთსადგური. და არს ქალაქები იგი და ადგილები საბრძანებელად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქრისტეს მსახურისა იონთა მეფისა, რომელი მოსაყდრე არსებულ
მას ქალაქსა კონსტანტინეპოვლისასა".

ჩვენი მკვლევრები თანხმობით სცნობენ, რომ ამ აფხაზეთში იოანე საბანის ძე მთელ დას. საქართველოს (ეგრის-აფხაზეთს) ჰგულისხმობს (იხ. კ. კეკელიძე, ს. ჯანაშია, პ. ინგოროყვა...) რაც, ჩვენც ვფიქრობთ, სწორი უნდა იყოს. შთაბეჭდილება ისეთია, რომ ხალდია აფხაზეთშია. ეს ახალი და უჩვეულო ამბავია და ამიტომაცაა, რომ ავტორი საგანგებოდ ჩამოთვლის ხალდიის ამ პუნქტებს. ამით ავტორს სურს უჩვენოს აფხაზეთის პოლიტიკური მორჭმულობა (სიდიდე) იონთა მეფის საბრძანებელში. თუ ასე არა, გაუგებარი და აუხსნელი იქნებოდა, საბანის ძის უწიგნურობის ნიშანი იქნებოდა აფხაზეთის დახასიათებისას მის საზღვრებს მიღმა ქვეყნის დახასიათება და თვით აფხაზეთზე კი დუმილი... ამიტომ ბუნებრივია იოანეს სურს თქვას: აფხაზეთი დიდი ქვეყანაა, მასში არა მარტო საკუთრივ აფხაზეთი შედის, არამედ ხალდიაც, სადაც ესა და ეს ქალაქებია და ადგილები და ყველაფერი ეს „საბრძანებელად ქრისტეს მოყვარისა იონთა მეფისა" არს. ამიტომაც „კრძალულ იყო ქვეყანაჲ იგი შიშისაგან სარკინოზთაჲსა"...

მთელ დას. საქართველოს რომ არ გულისხმობდეს, წარმოუდგენელია, იოანე საბანის ძეს ცალი სიტყვა არ დასცდენოდა ამ ვრცელი ქრისტიანეთის შესახებ, რომელზედაც ჰაბომ გამოიარა, ისევე როგორც ამავე ქვეყანაზე ჩაიარა და ამოიარა ნერსე ერისთავის ცოლშვილმა... და როგორ ადვილგასაგები იქნებოდა ნერსეს ცოლშვილის დახიზნვა საკუთრივ აფხაზეთში იმ დროს, როცა მთელი დას. საქართველო — ეგრისი, გურია, აფხაზეთი, — კეისრის საბრძანებელი, „კრძალულ იყო შიშისაგან სარკინოზთაჲსა", და ბოლოს, როგორი „საკუთრივ აფხაზეთი" შეიძლება იყოს ის „აფხაზეთი", რომლის საზღვარი იყო „მისაზღვრადმდე ქალდიაჲსა"? გამოდის, რომ აფხაზთა მთავარს ჯერ სამმართველოდ მიუღია ბერძენთა კეისრისაგან როგორც აფხაზეთი, ისე ეგრისი, ხოლო შემდეგ „დაუპყრია" ორივე მხარე, ე. ი. უარუყვია ბერძენთა მფლობელობა, ომით გაუდევნია ბერძენთა მეციხოვნენი, თავი მეფედ (სუვერენ მფლობელად) გამოუცხადებია, სამეფო ტახტი ქუთაისში გადმოუტანია, იბერიისაგან (ქართლისაგან) არგვეთი, შეიძლება, ფერსათით მიუტაცნია...

ამრიგად, აფხაზთა სამეფოს წარმოქმნის პოლიტიკური ისტორია ორ საფეხურად იყოფა: 1. აფხაზეთის მთავარი (როდის დაკარგა „მეფობა", აკი პროკოპი — აგათია აფხაზთა „მეფეებს" აღნიშნავენ, ისევე როგორც ლაზიკის მეფეებს?...) ძლიერდება (VIII ს.) და ის

ბერძენთა კეისრის ნებით (შეიძლება, რამოდენადმე ძალადობითაც) ლაზიკის საპირისპიროდ, ჩრდილოეთის ნომადების შესაკავებლად ეგრის (მორაპნამდე) აფხაზეთის მთავარი ხდება. 2. გაერთიანებული ეგრის-აფხაზეთის მთავარი აუჯანყდება კეისარს, სუვერენი („მეფე") ხდება, განდევნის კეისრის ძალას.

განთავისუფლებული ქვეყნის მეფე ქუთაისში ჯდება „აფხაზთა მეფის" სახელით.

მხოლოდ ამ პირობებში არის გასაგები, რომ აფხაზთა მთავარმა „აფხაზთა მეფის" ტიტული მიიღო: კანონზომიერი განვითარება ჩანს: „აფხაზეთის მთავარმა" ამ სახელით მთელი დას. საქართველო გაერთიანა, ამ „აფხაზეთში" მთელი დას. საქართველო იგულისხმებოდა და როცა, შემდეგ, ეს „აფხაზეთის მთავარი" დამოუკიდებელი ხელმწიფე გახდა, „მეფის" უფლების აღდგენა ამ გაერთიანებისათვის ბუნებრივი იყო: კოლხეთის მეფე, ლაზიკის მეფე — აფხაზეთის მეფე. თუ ასე არა, აფხაზეთის მთავარი ახლა, IX საუკუნეში, მეფის ტიტულს ვერ იკადრებდა... ასე ესმის ვახუშტისაც...

ვამბობთ IX საუკუნეშიო, იმიტომ რომ, იგულისხმება, ახლა „მეფის" შინაარში დიდი ხანია ცვლილება მომხდარიყო და ის ძველებურად რაგინდარა მფლობელს (მამასახლისს, ნახევრად საგვარეულო წყობის ქვეყნის მმართველს, სხვა დიდი ქვეყნისაგან დამოკიდებულ მმართველს...) კი არ ეწოდებოდა, არამედ დამოუკიდებელ ხელმწიფეს (სუვერენს), კეისარს, ხალიფას, ან მათ „ძ მ ე ბ ს"...

საბანის ძის დამოწმებული დრო ის ხანაა, როცა აფხაზთა მთავარი ჯერ კიდევ მეფე არაა. ის ბერძენთა მფლობელობის ქვეშ იმყოფება. ეს მოწმდება როგორც ქართული ტრადიციით (თუმცა ქართული ტრადიცია მხოლოდ საკუთრივ აფხაზეთს ჰგულისხმობს კეისრის საბრძანებელში), ისე ბერძნული წყაროებით (ბერძენთა მარცხიან ლაშქრობათა შესახებ IX საუკუნეში... ასეთი მარცხისდა მიუხედავად, კეისარი X საუკუნეშიაც კი არა სცნობდა აფხაზთა მეფის სუვერენობას...).

ასე რომ იოანე საბანის ძის ცნობის ის ადგილი, სადაც იონთა მეფის „საბრძანებელზეა" საუბარი ბუნებრივი ჩანს ისე გავიგოთ, როგორც ის კ. კეკელიძეს ესმის: რომ აფხაზეთი ამ „საბრძანებელში" იგულისხმება...

და აი, ამ გაერთიანებული ქვეყნის საზღვრები აქვს, ბუნებრივია, მოცემული იოანე საბანის ძეს.

იოანე აღნიშნავს: „ნეტარი ჰაბო უფროჲსლა ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ იხილა მან ქვეყანაჲ იგი სავსჱ ქრისტჱს სარ-

წმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკჳდრად იპოვებოს საზღვართა მათთა. რამეთუ საზღვარ მათდა არს ზღუაჲ იგი პონტოჲსაჲ, სამკჳდრებელი ყოლადვე ქრისტიანეთაჲ მისაზღვრადმდე ქალდიაჲსა (ცნებისათვის: „მისაზღვრადმდე“ იხილე ოთხთავი, მათე, 27$_{51}$: DE „და აჰა კრეტსაბმელი იგი ტაძრისაჲ მის განიპო ორად ზჳთგან, ვიდრე ქუედმდე, და ქუეყანა შეიძრა და კლდენი განსთქდეს“. მათე 27$_{51}$: C — „და აჰა კრეტსაბმელი ტაძრისაჲ მის განიპო ორგან ზენაჲთგან მ ი ქ უ ე ნ ა მ დ ე, და ქუეყანაჲ შეიძრა, და ლოდნი განსთქდეს“), ტრაპეზუნტიაჲ მუნ არს, საყოფელი იგი აფსარეაჲსაჲ და ნაფსაჲს ნავთსადგური. და არს ქალაქები იგი და ადგილები საბრძანებელად ქრისტჳს მსახურისა იონთა მეფისა, რომელი მოსაყდრე არს დიდსა მას ქალაქსა კოსტანტინეპოვლისასა“.

თუ მოტანილ ტექსტს ბუნებრივად, ძალდაუტანებლად გავიგებდით, თითქო საეჭვო არ უნდა იყოს, „საზღვარ მათდა“ (ე. ი. იმ საქრისტიანოსი, სადაც აფხაზეთია) „არს ზღუაჲ იგი პონტოჲსაჲ“... „მისაზღვრადმდე ქალდიაჲსა“. აქ ცნება „მისაზღვრადმდე“ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. მისი ასეთი თუ ისეთი გაგებისაგან დამოკიდებულია აფხაზეთის პოლიტიკური საზღვრის დადგენა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით (მე მგონია პ. ინგოროყვა მართალია ამ ცნების განმარტებაში). მაგრამ შეიძლება, ვფიქრობთ, თვით ეს განსამარტავი ცნება „მისაზღვრადმდე“ კონტექსტით განვმარტოთ. სრულიად მოულოდნელი, უცნაური და უწიგნური წერის მაგალითი იქნებოდა (რაც საბანის ძეს არასგზით არ ახასიათებს), თუ დავუშვებდით, რომ ავტორი უმიზეზოდ მოჰყვა იმაზე საუბარს, თუ რა ღირსშესანიშნავი ადგილებია აფხაზეთის მოსაზღვრე ქალდიაში.

საზღვრის ასეთი დასახელება ყოვლად უვიცური იქნებოდა, ხოლო თუ ამ ავტორს აფხაზეთს გარეშე ქრისტიანეთის დასახელება და იქ არსებული ქალაქების და ადგილების ჩვენება უნდოდა, რაღა ქალდიაჲთ შემოიფარგლა: იონთა მეფის საბრძანებელი სხვაც ბევრი იყო პონტოს ზღვის მიყოლებით. ასე რომ ძალდაუტანებელი და არახელოვნური გაგებით, აქ საბანის ძეს საუბარი აქვს ქალაქებსა და ადგილებზე, რომლებიც იპოვებიან „ზღუაჲ იგი პონტოჲსაჲს“ „საზღვართა“, ხოლო შემოდიან პოლიტიკურად აფხაზეთში და ყველაფერი ეს საბრძანებელია „იონთა მეფისა, რომელი მოსაყდრე არს დიდსა მას ქალაქსა კოსტანტინეპოვლისასა“. საბანის ძე აშკარაა, ასაბუთებს თავის აზრს, რომ ქრისტიანეთი კოსტანტინეპოლის ტახტის საბრძანებელია და ამით კრძალულ არს აფხაზეთიც მუსლიმთა

ხელყოფისაგან... ასე რომ აქ ყველაფერი რიგზეა და დასაბუთებულია და იოანე საბანის ძეც უწიგნურს და მოუქნელს არას ამბობს. თორემ გამოგვივიდოდა, რომ იონთა მეფის საბრძანებელი ქალდია არის და იმის იქით, ხოლო აფხაზეთი მის გარეთაა და ამავე დროს მუსლიმთაგან კრძალული კი არს... ეს ყოვლად გამოსარიცხავია.

ამრიგად, ტრაპეზუნტი აფხაზეთშია, მაშინ ქალდიაც აფხაზეთშია და „მისაზღვრამდე" ნიშნავს მთელ ქალდიას და არა ქალდიამდე ქვეყანას...

ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურაში მოტანილი ადგილი სადავოა. კ. კეკელიძის და პ. ინგოროყვას აზრით, აქ „საყოფელი აფსარეჲსაჲს" და ნაფსეჲს ნავთსადგურში იგულისხმება აფსარი (გონიო) და ნიკოფსია (საყოფელი აფსარეჲსაჲ — ჰო, მაგრამ ნაფსეჲ რომ ნიკოფსია იყოს, მე საეჭვო მეჩვენება). თუ მკვლევართა ამ მოსაზრებას გავიზიარებდით, ჩვენ უნდა დაგვეშვა, რომ როგორც ტრაპეზუნტია, ისე ეს ადგილები (საყოფელი იგი აფსარეჲსაჲ და ნაფსეჲს ნავთსადგური)—ყველა აფხაზეთში იგულისხმება და ეს იმიტომ, რომ ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან აფხაზეთს, როგორც ამას საბანის ძე ვარაუდობს, მხოლოდ წარმართული ქვეყნები ესაზღვრებიან და არა ბერძენთა მეფის ქვეშევრდომი ქვეყანა. ხოლო თუ ნაფსეჲს ნავთსადგური ნიკოფსია არის და ის კი, როგორც დავინახეთ, არ შეიძლება აფხაზეთში არ იყოს [ან კი რა აზრი ჰქონდა ამ დროს ნიკოფსია გამორთმეოდა აფხაზთა მთავარს, რომელიც იქამდე შეწყალებული ჩანს ბერძენთა მეფის მიერ (ამას ერთხმად სცნობენ ჩვენი მკვლევრები), რომ მთელი ლაზიკაც მისთვის მიუთვლიათ], ასევე არ შეიძლება (ეს უკვე კონტექსტის მიხედვით), რომ ტრაპეზუნტია და საყოფელი აფსარეჲსაჲ იმავე აფხაზეთში არ იყოს. ამ შემთხვევაში შემდგომი ტექსტი: „და არს ქალაქები იგი და ადგილები საბრძანებელად ქრისტჱს მსახურისა იონთა მეფისა" — იმას ჰგულისხმობს, რომ მთელი აფხაზეთი, ე. ი. ეგრისაფხაზეთი არს საბრძანებლად იონთა მეფისა, რაც, როგორც ვნახეთ, სარწმუნოდ გამოიყურება. მართლაცდა აფხაზეთის მთავარი, საბანის ძის გაგებით, ისევე არაა დამოუკიდებელი ხელისუფალი („მეფე"), როგორც არ არის დამოუკიდებელი ხელისუფალი მთავარი სტეფანოზ „ქართლის ერის მთავარი"... „იონთა მეფე" ისევე მეფეა, სუვერენია, მოსაყდრეა, როგორც მეფეა სარკინოზთა ხალიფა (ბაღდადს მოსაყდრე). აფხაზეთისა და ქართლის ხელისუფალნი მთავრებია ამ მ ე ფ ე თ ა „საბრძანებელში".

აკი როცა იონთა მეფისაგან დამოკიდებულება უარყო და თა-

ვი დამოუკიდებელ ხელმწიფედ გამოაცხადა აფხაზთა მთავარმა „საბელ იდვა მეფე აფხაზთა“. თუ ყველაფერ ამას სწორედ ასე გავიგებთ, ყველაფერი რიგზე იქნება: აფხაზეთის საზღვარია ქალდიდ (ჩათვლით), რომელშიაც ტრაპეზუნტია, საყოფელი აფსარეჯსაჯ და ნაფსაჯ ნავთსადგური შედიან, ან ეს ადგილები ქალდიაში არ არიან, არამედ საკუთრივ აფხაზეთში არიან და ქალდია აფხაზეთში არაა — ეს მიუღებელია. ერთი სიტყვით ტრაპეზუნტია, საყოფელი აფსარეჯსაჯ და ნაფსაჯს ნავთსადგური ა ფ ხ ა ზ ე თ შ ი ა (მართლაცდა თუ ნიფსაჯს ნავთსადგური ნიკოფსია არის და ნიკოფსია აფხაზეთში არის, მაშინ სხვა დანარჩენიც აფხაზეთშია, „იონთა მეფის საბრძანებელში“...).

მაგრამ დავუშვათ, ტრაპეზუნტია აფხაზეთის გარეთ არის ნაგულისხმევი ე. ი. ქალდია აფხაზეთის გარეთაა. მაშინ საყოფელი იგი აფსარეჯსაჯ და ნაფსაჯს ნავთსადგურიც ქალდიაში, აფხაზეთის გარეთ უნდა ვიგულისხმოთ და ამ შემთხვევაში ნაფსაჯს ნავთსადგურის ნიკოფსიად გაგება გამორიცხება და ის (ნაფსაჯს ნავთსადგური) შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე ქალდიის ქვეყანაში უნდა ვეძებოთ...

ქალდიის გულვებისათვის აფხაზეთის გარეთ ასევე ხელის შემშლელი გარემოებაა ეს ჩამოთვლა ქალდიაში არსებული ქალაქებისა და ადგილების: ეს როგორი აფხაზეთის საზღვარია, თუ საზღვარს ასახელებდა, ტრაპეზუნტია აფსარეჯს საყოფელის (გონიის) გვერდით?...

მაგრამ გვეტყვიან, ხომ შეიძლება, რომ ქალდიის ადგილების ასეთი დასახელებით საბანის ძე ახასიათებდა ამ ქვეყანას (ე. ი. ქალდიას), რომელიც საბრძანებელი იყო იონთა მეფისა? — მაშინ გამოვა, რომ იონთა მეფის საბრძანებლისაგან აფხაზეთი გამორიცხულია. შეიძლება კი რომ საბანის ძის პოლიტიკური წარმოდგენა ასეთი ყოფილიყო? და თუ აფხაზეთი იონთა მეფის საბრძანებლის გარეთ იყო, როგორღა იყო „კრძალულ“ ქუეყანა იგი შიშისაგან სარკინოზთაჯსა?? (საბანის ძის პოლიტიკური წარმოდგენით სამი „ხელმწიფე“ იყო თანაბარი ფასის: სუვერენი ბალდადის ხალიფა, ხაზართა ხაკანი და იონთა მეფე... ყველა სხვა მფლობელები ამათ საბრძანებელში იყვნენ — მ თ ა ვ რ ე ბ ი... ან შეიძლება ტერმინი „საბრძანებელით“ საბანის ძეს სურს აღნიშნოს უშუალო სამფლობელო ოთხთა მეფისა, მაშინ როცა აფხაზეთი, მისი აზრით, მაინც სხვაგვარი სამფლობელოა, ე. ი. ყმადნაფიცი ქვეყანაა საკუთარი დინასტიით, სამთავროა...). (მ—2, 16. ფურც. 52—59).

3. მერჩულემ დას. საქართველოს აღსანიშნავად ერთი ტერმინი იცის: აფხაზეთი, ის ეგრისს არ ხმარობს (მ—2, 5. ფურც. 231).

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ქ^ცა I, ჯუანშერი 215, ქრონიკები I, 53

ეფრემ მცირის „უწყებიდან“.

„მათვე ჟამთა შინა ისტუნიანეს მეფობისათა, აფხაზნიცა შეიცვალნეს უმჯობესად. და ქრისტიანობისაჲ შეიწყნარეს ქადაგებაჲ: რამეთუ პალატსა შინა იუსტინიანე მეფისასა იყო ვინმე საჭურისი, აფხაზი ნათესავით, და ევფრატა სახელის დებით, რომელი წარივლინა მეფისა მიერ ქადაგებად მათდა და აღთქუმად, ვითარმედ: ამიერითგან არცა ერთიღა ვინ ნათესავისა მათისაგანი განჯუ^ბულ იქმნეს მამაკაცობისაგან, რკინისა მიერ იძულებითა ბუნებისაჲთა: რამეთუ მრავალნი იყვნეს მათგანნი მსახურ სამეუფოჲსა საწოლისა, რომელთაჲ საჭურის იცის წოდებაჲ ჩუ^ბულებამან:. ვინაჲცა იუსტინიანე ტაძარი წმიდისა ღუთისმშობლისაჲ აღაშენა აფხაზეთსა შინა და მღდელნი დაადგინნა მას შინა, რათა უგანცხადებულესად ასწავებდენ შჯულსა ქრისტიანობისასა“.

აფხაზები XI საუკუნის ქართველის თვალში ცალკე ნათესავია, ნათესავის ნიშანი კი იყო ენა (მ—2, 16. ფურც. 72).

5. გ-ი ხუცეს მონაზონი, 154_4

ანტიოქიის პატრიარქთან გიორგი მთაწმინდელს დიდმნიშვნელოვანი პაექრობა ჰქონდა.

პატრიარქი საეკლესიო კანონის თანახმად მოითხოვდა, რომ „ქართლის“ ეკლესია ანტიოქიის პატრიარქს დაქვემდებარებოდა იმის საფუძველზე, რომ ქრისტეს მოციქულთაგანს იქ („ქართლში“) არავის უქადაგნია, მაშასადამე, სამოციქულო საყდარი იქ არ არის.

პატრიარქის ამ დებულების გასაბათილებლად გიორგი მთაწმინდელმა ანდრია მოციქულის მიმოსვლა დაუსახელა:

„ჩუენ პირველწოდებულისა... ნაწილნი ვართ და სამწყსონი და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი. და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი, სიმონს ვიტყჳ კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების. ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ“.

რა შინაარსითაა აქ ნახმარი ცნება აფხაზეთი (მე მგონია — მთელი დას. საქართველოს შინაარსით) სულერთია ის „ქუე-

ყ ა ნ ა ს ა ჩ უ ე ნ ს ა“ არის და არც არაფერი საცილობელი არ არის (მ—2, 16. ფურც. 65).

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. გ-ი ხუცეს მონაზონი, 159_8

გიორგი ათონელი შავი მთიდან საქართველოში მოდიოდა... „მოვიწიენით სამისონს ქალაქსა ზღკუს-კიდისასა. და მუნ განვყიდენით საჴედარნი ჩუენნი და ესრეთ ნავითა წარვემართენით კ ე რ ძ ო თ ა ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ა თ ა და კეთილითა და ჰამოჲთა ნიავითა მივიწიენით ფ ო თ ს და მიერ საჴედრითა ქუთათისს ჟამთა სთულისასა“.

აქ აფხაზეთი, ცხადია, დასავლეთ საქართველოს შინაარსითაა ნახმარი (მ—2, 16, ფურც. 60).

7. გ-ი ხუცეს მონაზონი, 160_{24}

ბაგრატ მეფე ქართლს იყო ზამთარმა მოატანა. მეფე „ჩუეულებისაებრ თჳსისა წარვიდა ა ფ ხ ა ზ ე თ ა დ და აწჳა ბერსაცა წარსლვად. რაჲთა მუნ დაიზამთროს და განისუენოს, და ვითარმედ არს ქუეყანაჲ იგი ბარი და ტფილი. და ვითარცა წამოვემართენით მივიწიენით ჭყონდიდს. მეფე ს რ უ ლ ი ა დ ა ფ ხ ა ზ ე თ ს შთასვლად წარემართა, ხოლო ჩუენ ეპისკოპოსმან ჭყონდიდელმან არა განგჳტევნა. რამეთუ მოწაფე იყო ბერისაჲ. და ზამთარი იგი მუნ დავყავთ“.

ჩვენ ზემოთაც (159) ვნახეთ, რომ ავტორი აფხაზეთს ხმარობს ძველი ეგრისის (ეგრის-აფხაზეთის) შინაარსით, ესევე ტერმინი აფხაზეთი მოეპოვება მას საკუთრივ აფხაზეთის მ ხ ა რ ი ს აღსანიშნავად: „ს რ უ ლ ი ა დ ა ფ ხ ა ზ ე თ ი“.

და ეს საერთო მოვლენაა: ეგრისი იყო შიდა, ანუ საკუთრივ ეგრისი, რომელიც მოიცავდა (პოლიტიკურად) დიდ ქვეყანას, ასევე აფხაზეთი, ასევე იყო იმერეთი (გვიან), რომელიც შედგებოდა საკუთრივ იმერეთისა და დანარჩენებისაგან, ასევე იყო ქართლი (შიდა ქართლი, ანუ საკუთრივ ქართლი და სხვა დანარჩენი), ასევე იყო კახეთი (კახეთი, კუხეთი, ჰერეთი)... (მ—2, 16. ფურც. 66).

8. ქ-ცა I, ჯუანშერი, 157_{61}

ვახტანგმა ოსები დაამარცხა, მოკავშირე ჯარი დაითხოვა „და

სპითა დიდითა ქართლისათა წარმოვიდა გზასა აფხაზეთისა. სულგრძელად და უშიშად იწყო ბრძოლა ციხეთა აფხაზეთისათა. რამეთუ მეფე ბერძენთა ლეონ დიდი უცალო იყო ბრძოლისაგან სპარსთასა, და ვერშემძლებელი იყო სპათა გამოგზავნად აფხაზეთს; და სამ წელ წარტყუენნა ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი ვიდრე ციხე-გოჯამდე. და მოვიდა სახლსა მისსა, ქალაქსა სამეუფოსა მცხეთას"...

აქ უკვე აფხაზეთი ეწოდება არა მარტო ეთნიკურ აფხაზეთს, არამედ მთელ იმ ეგროსის წილს, ტერიტორიას, რომელიც მიტაცებული ჰქონდა საბერძნეთს: ზემორე აფხაზეთად იგულისხმებოდა ეგრის წყლის ქვემო ქვეყანა ბერძენთა ხელში რომ იყო ფარნავაზის დროიდან, აქ ჯუანშერი ბერძენთა მიერ მიტაცებულობის ნიშნით „აფხაზეთში" გულისხმობს ქვეყანას ციხე — გოჯამდე. კონცეფცია ასეთია (თითქო): ეგროსის ქვეყნის ერთი ნაწილი ქართლოსიანთა ხელთაა, ესაა შიდა ეგრისი და მარგვისი (გარე ეგრისი) მეორე ნაწილი — ეგრის წყალს ქუემოთი ბერძენთა ხელთაა, — ესაა აფხაზეთი (იმ ქვეყნის მკვიდრნი, რომელთაც არ ისურვეს განდგომა ბერძენთაგან და ფარნავაზის დროიდანვე მათ ხელთ დარჩნენ). ვახტანგის დროს ბერძნებმა შიდა ეგრისის დიდი ნაწილი მიიტაცეს (ციხე-გოჯამდე) და ძველადვე მიტაცებულ ქვეყანას „აფხაზეთს" შეუერთეს და გაფართოვდა აფხაზეთის საზღვრები ქართლის საზღვრების შემცირების ხარჯზე.

როგორც „ქართლი", ისე „აფხაზეთი" აქ პოლიტიკური ცნებებია. „აფხაზეთი" საბერძნეთის მხარეა „ქართლი" ქართლოსიანთა მხარე (მ—2, 7. ფურც. 86).

9. ქცა I, ჯუანშერი, 177_{9-16}

კეისარი და ვახტანგი დამოყვრდნენ. საქმე წინდობისა განაგეს. ტერიტორიული საკითხებიც მოაგვარეს:

„უკუმოსცა კეისარმან საზღვარი ქართლისა, ციხე თუხარისი და ალარჯეთი ყოველი, ზღვთგან ვიდრე არსიანთამდე, და ჰევნი რომელნი მოსდგმანან ღადოთა.

და გამოიკითხა კეისარმან საზღვარი საბერძნეთისა, ქუეყანა ზღვს პირისა, რომელ არს აფხაზეთი, და რქუა ესრეთ: „ეგრის წყლითგან ვიდრე მდინარედმდე მცირისა ხაზარეთისა — ესე საზღვარი არს საბერძნეთისა ალექსანდრო-

ბითგან, რომელი აწ შენ მიგიღია მკლავითა ჩუენგან. აწ იგი უკუ-
მოგუეც, და ოდეს წარიყვანებდე ცოლსა შენსა, ასულსა ჩემსა, მა-
შინ მოგცე მისგან ქუეყანა". და დაუწერა ეგრის წყალსა
და კლისურასა შუა ქუეყანა ზითვად, და სხუა აფხა-
ზეთი უკუსცა ვახტანგ ბერძენთა".

შესანიშნავი მოწმობაა იმისა, თუ როგორ ესმოდათ XI საუკუ-
ნის ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს პოლიტიკური ვითარება.
(ჯუანშერი და ლეონტი აქ, ისევე როგორც სხვაგან, ყველაფერში
ერთიმეორეს ხვდებიან).

1. აფხაზეთის ტერიტორია უცილობელი
სიცხადითაა მოხაზული, რაც ლეონტისთანაც იგუ-
ლისხმებოდა—ქ'ცა, 24_1, თუმცა ქვეყნის ზოგადი—„ეგრის წყალს ქუე
მოთი" — და არა სახელდობრივ „აფხაზეთი" — აღნიშვნით [და ეს
იმიტომ ხომ არა, რომ „მკვდრთა მის ადგილისათა" ერთიანი სახე-
ლი იმ დროს არ ჰქონდათ და ლეონტი იმ ძველისძველ ვითარებას
გადმოგვცემს?... ხომ არ არის ეს ფაქტი იმის მაჩვენებელი, რომ
ლეონტი რაღაც სანდო წყაროს — ზეპირ გადმოცემას, თუ წერი-
ლობითს — შეუცვლელად იყენებს, ხოლო ჯუანშერი ამ ქვეყანას
აფხაზეთს უწოდებს მისი დროისათვის (XI ს.) შექმნილი ვითა-
რებისდა შესაბამისად, როცა მდინარითგან მცირისა ხაზარეთისა და
ეგრის წყალს შუა აფხაზეთი შექმნილიყო, — თუმცა არც მთლად
უდავოდ აფხაზეთი: ეს მზითვად გაცემული ნაწილი აფხაზეთისა
ეგრის წყალსა და კლისურას შორის, ერთი რაღაც „ქუეყანა" ჩანს.
მართალია აფხაზეთში შემავალი პოლიტიკურად, მაგრამ მაინც თა-
ვისთავადი ქუეყანა გარკვეულ საზღვრებში, ეგრის წყალი — კლი-
სურა. ამ საზღვრებს იქით იყო „სხუა (ე. ი. დანარჩენი) აფხაზე-
თი".

ასე რომ თითქო მითითება გვაქვს იმისა, რომ XI საუკუნეშიაც
არჩევდნენ, რომ პოლიტიკურად ერთი აფხაზეთი „ეგრის წყალს
ქუემოთი" ორი ქვეყნისაგან შედგებოდა: „ეგრის წყალსა და
კლისურასა შუა ქუეყანა" და „სხუა აფხაზე-
თი"].

2. ეგრისი, ისევე როგორც ლეონტისთან, აქაც შიდა ეგრისი და
გარე ეგრისი იგულისხმება: ბერძენთა კეისარს სიტყვაც კი არ ჩა-
მოუგდია ეგრის წყალ—ციხე-გოჯს შორის ტერიტორიაზე, ვახტანგ-
მა რომ მკლავით დაიბრუნა. მაგრამ ქართველი პოლიტიკური მოღ-
ვაწენი უცხო ქვეყნად არც აფხაზეთს უყურებენ. მათი წარმოდგე-
ნით ვახტანგი სხვისი ქვეყნების მიმტაცებელი არაა. და როცა მან

„საბერძნეთის საზღვარი“ აფხაზეთი დაიპყრო, ეს მან ჩაიდინა არა როგორც მიმტაცებელმა, არამედ შურის მაძიებელმა საკუთრივ ქართლის ქვეყნების (კლარჯეთი და შიდა ეგრის) მიტაცებისთვის... ჯუანშერს ისე აქვს მოთხრობილი, რომ შერიგებისას მსჯელობა შექმნილია მიტაცებ-მოტაცებული ქვეყნების შესახებ. კეისარს „გამოუკითხავს“ ვითარება და უცვნია, რომ შიდა ეგრისი და კლარჯეთი უდავოდ ქართლის სახელმწიფოს კუთვნილი ქვეყნებია (ამიტომაც კეისარმა კლარჯეთი უკუმოსცა ვახტანგს, ხოლო შიდა ეგრისი — ვახტანგის მიერ უკმოლებული თავისთვის არ მოითხოვა).

ეგრის წყლის ქვემოთი ქვეყნის შესახებ კი, რომელიც ვახტანგმა ასევე დაიპყრო სამი წლის ომით (ქ^ცა 157), მსჯელობა შექმნილა და კეისარს უხდება ამტკიცოს, რომ ეს ქვეყანა („აფხაზეთი“) ალექსანდრობიდან მათ ხელთაა. ხანდაზმულობის ეს საბუთი ასეთ წარმოდგენას ემყარება (ჯუანშერის წარმოდგენას): ეგრის წყლის ქვემოთი ეგროსის ნაწილია. მაგრამ ალექსანდრობიდანვე (ე. ი. უკვე ცხრაასი წელია) საზღვარი არს საბერძნეთისა და ეს ასეა იმის გამო — ასე ესმის ლეონტის, რომ „ჩვენდრთა მის ადგილისათა არა ინების განდგომა ბერძენთა“.

თავისთავად ფრიად საინტერესოა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის შექმნილი, თუ არსებულ-გადმოცემული ასეთი შეხედულება ეგრისსა და აფხაზეთზე... ეგრისიცა და აფხაზეთიც (ეგრის წყლის ქვემოთი ქვეყანა) ხომ იგივე ეგროსის წილია, მაშასადამე ეთნიკური მონათესავეობის პრინციპით ისინი თანაბრად მოძმეებია ქართლოსიანების. და მიუხედავად ამისა, ჩვენ პოლიტიკურ მოღვაწეთა დამოკიდებულება შიდა ეგრისისა და ეგრის წყლის ქვემოთისთან სხვადასხვანაირია. ეგრის წყლის ქვემოთი მხარს არ უჭერს ქართლოსიან ფარნავაზის დიდ საქმეს ქართლის სახელმწიფოს შექმნისას, მაშინ როცა შიდა ეგრისი თავგამოდებით იბრძვის ამ საქმისათვის... ეგრის წყლის ქვემოთი „საბერძნეთის საზღვარი“ ხდება. შიდა ეგრისი — ქართლის საზღვარი... ასეთი შეხედულება XI საუკუნეში ვერ შემუშავდებოდა, როცა „აფხაზეთი“ საქართველოს გაერთიანების საქმეს მეთაურობდა... ამიტომ საბუთიანია ვიფიქროთ, რომ ეს კონცეფცია შექმნილია წინა საუკუნეებში ფეოდალური აფხაზეთის სამეფოს წარმოქმნის ხანაში, როცა კეისრების პოლიტიკა (VI—VII სს) განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო აფხაზეთის სამთავროსათვის ლაზიკის დამდაბლების ხარჯზე... არც ის არ არის უმართებულო, რომ საკეისრო განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა აფხაზეთს უძველესი დროიდანვე (კოლ-

ზეთის დანაწილების ხარჯზე!) და მის დამოუკიდებლობას ეროვნული ბიბლიოთეკა
ლაზიკისაგან ხელს უწყობდა... [ერთადერთი შუალედი ხანა ლაზთა სამეფოს ძლიერების ხანა (IV—VI საუკუნეები), როცა რომი შეურიგდა ლაზთა უპირატესობას და ყველა ეს ტომობრივ-სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი (აფხაზეთი, აფსილეთი, სვანეთი) ლაზიკის ხელისად იცნო... მაგრამ საკეისრომ ჩქარა იგრძნო ამ პოლიტიკის უხერხულობა და ისევ ძველ გზას დაუბრუნდა, თუმცა სულ სხვა შედეგები მიიღო... ახლა სხვა დრო იყო, ფეოდალური ქვეყანა იშვებოდა]... აი ასეთი პოლიტიკური ურთიერთობის შედეგად იყო შექმნილი ეს ისტორიული კონცეფცია, საერთოდ სწორი: მცირე ხაზარეთის მდინარემდე ეგროსის წილია (კოლხეთი), ეგრის წყლამდე შიდა ეგრისია, ეგრის წყლის ქვემოთი ალბათ „*ქუემო ეგრისია", არგვეთი (ფერსათი გურია) ზემო ეგრისია და გარე ეგრისია, ამ ეგროსის წილ ქვეყანაშია სვანეთი, თაკვერი, არგვეთი, ფერსათი- გურია, შიდა ეგრისი და ეგრის წყლის ქვემოთი, სადაც გარკვეული დროიდან ერთი პოლიტიკური ერთეული ყალიბდება (ბერძენთა ხელის შეწყობით)...

საინტერესოა ეს ეგრის წყალსა და კლისურას შორის ქვეყანა. ის თუმცა „აფხაზეთია" ჯუანშერის განმარტებით, მაგრამ მაინც ცალკე ქვეყანა. საყურადღებოა, რომ გვიან XVI—XVII საუკუნეებში ეს ქვეყანა სავსებით მ ე გ რ უ ლ ი ა (ევლიას ჩაჩი? ო ჩ ა-მ-ჩ ი-რე, ღაწირი, ქვაციხე, კვახჭირი...) და აფხაზური ენა მხოლოდ კოდორის დასავლეთით არის. საფიქრებელია, რომ XI საუკუნეშიც კარგად ჩანდა ამ ქვეყნის განსხვავებულობა სხვა აფხაზეთისაგან... და ეს განსხვავებულობა VI საუკუნეშიაც დადასტურებულია პროკოპის მიერ, რომელიც აფხაზეთს გარკვევით უჩვენებს ანაკოფიის დასავლეთით. აფხაზეთის, რა თქმა უნდა, არა ეთნიკურის, არამედ პოლიტიკურის, აგრე წამოწევა აღმოსავლეთისაკენ საკეისროს ხელის შეწყობით ხდება VII—VIII საუკუნეებში. კიდევ მეტი, საქმე იქამდე მისულა (ვითომ ვახტანგის ყრმობისას), რომ ბერძნებს ეგრის წყალ-ციხე-გოჯს შორის ქვეყანა მოუტაციათ და ჯუანშერი ამ შიდა ეგრისს, ამ მიტაცების საფუძველზე, ე. ი. პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ „ ა ფ ხ ა ზ ე თ ა დ" გულისხმობს (ქ'ცა, 157. ვახტანგმაო „სამ წელ წარტყუენნა ყოველნი ციხენი ა ფ ხ ა ზ ე თ ი-ს ა ნ ი ვიდრე ციხე-გოჯამდე")...

აქ ჯუანშერი თავისი დროის პოლიტიკურ ტერმინს ხმარობს (მაინც სადაა ეს ეგრის წყალი? ე გ უ რ ი, ე გ რ ი...) (მ—2,6. ფურც. 97—101).

10. ქცა I, ჯუანშერი, 232_{23}—233_{7}

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაბობა ჩამოდგა. სტეფანოზ ერისმთავარს ორიგ... მიჰრ და არჩილ. „და განუყო ყოველი ხუასტაგი სამეფოსა მისისა, საგანძური ოქროსა და ვერცხლისა და თუალთა პატიოსანთა: და ნახევარი წარიღო ქუეყანასა ეგრისსა და წარიყუანა ძე თჳსი პირმშო მიჰრ“...

„შემდგომად მცირედთა ჟამთა შევიდა არჩილცა ეგრადვე“...

რაღაც ახალი და ისტორიულად რეალური ჩანს ამ დროიდან, თუ ცოტა უფრო გვიან, ქართლისა და ეგრისის ურთიერთობაში... თუმცა არჩილ მეფის ნაკვალევი მაინც და მაინც არ ეტყობა საბანის ძის პოლიტიკურ წარმოდგენას...

საბანის ძე აუთენტური წყაროა და ამ წყაროთი ის ქვეყანა (რომელი?) იონთა მეფის საბრძანებელია და არა ქართველ ხოსროიანებისა...

მაგრამ ლეონ II და შემდეგი „აფხაზთ მეფენი“ ხომ რეალურია... და ამის შემდგომი ისტორია მატიანე ქართლისაჲთ მოთხრობილი ხომ რეალურია... „მოქცევაჲც“ ხომ იზიარებს ლეონტის კონცეფციას ამ ნაწილში...

ჩანს უკვე IX—X საუკუნეში ცდილობენ ისტორიულად დაასაფუძვლონ ის, რაც განხორციელებულა (მერჩულეს „ქართლი“, უბისას შენება, ფერსათის მონასტერი) და ლეონტიმ ამ ამოცანის გამართვა აიღო თავის თავზე (მ—2,16. ფურც. 71).

11. ქცა I, ჯუანშერი, 234_{30-31}, 235_{1-10}

მურვან ყრუმ „ვითარ ცნა, რამეთუ მეფენი ქართლისანი და ყოველნი ნათესავნი მათნი წარვიდეს ეგრისად და მუნით კუალად მიიცვალნეს აფხაზეთად, შეუდგა კუალსა მათსა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისის ქუეყანისანი. და ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი, შემუსრა, და შევლო ზღუდე იგი საზღვარი კლისურისა...

და ვითარცა შევლო ყრუმან კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა, და შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი. და მოადგა ციხესა ანაკოფისასა... მუნ შინა იყვნეს მაშინ მეფენი ქართლისანი მირ და არჩილ; ხოლო მამა მათი გარდაცვალებულ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იყო და დამარხულ ეგრსა შინა. და ერისთავი კეისრისა ლეონ შესრულ იყო ციხესა შინა სობღისასა“.

შესანიშნავი ადგილია ცნობათა სიუხვით ისტორიული გეოგრაფიისათვის.

მირ და არჩილ არიან მეფენი ქართლისანი; მირ და არჩილი ქართლიდან „წარვიდეს ეგრისად და მუნით კუალად მიიცვალნეს აფხაზეთად“; მურვან ყრუ ლტოლვილების კვალს მიჰყვა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისის ქუეყანისანი... შემუსრა, და შევლო ზღუდე და საზღვარი კლისურისა“.

აქ ავტორი არ განმარტავს, თუ ეს „საზღვარი კლისურისა“ — „ზღუდე“ რას საზღვრავდა, მაგრამ შემდგომ აბზაცში (არაა საფიქრებელი, რომ ამ აბზაციდან სხვა ავტორი წერს... უფრო საფიქრებელია, რომ იგივე ავტორი წერს, მაგრამ სამუშაოს რამოდენიმე ხნით შეწყვეტის შემდეგ) იგივე ავტორი ხაზგასმით განმარტავს, რომ „კლისურა“ (ასეთი ყოფილა ჩვეულებრივი სახელი ამ სასაზღვრო ადგილისა...) „მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა“.

ეჭვს გარეშეა, ჩვენი ავტორი აქ ამ ტერმინებს „საბერძნეთს“ და „საქართველოს“ პოლიტიკური შინაარსით ხმარობს, თუ ასე არა, „ქალაქი აფშილეთისა ცხუმი“, ან „ციხე ანაკოფისა“ რა საბერძნეთი იყო... და აკი იქვე, ზემორე, ავტორი გვამცნობს, რომ მირ და არჩილ მეფენი ეგრისიდან „მიიცვალნეს აფხაზეთად“. ისინი კი, როგორც აქვეა აღნიშნული, ანაკოფიის ციხეში იყვნენ... ასე რომ სახელმწიფოებრივად ჯუანშერის წარმოდგენით არის ორი ქვეყანა. „საქართველო“ და „საბერძნეთი“. საზღვარი მათ შორის არის „ზღუდე იგი საზღვარი კლისურისა“.

მირ და არჩილი მეფენი ქართლისანი არიან. აშკარაა „ქართლისანი“ აქ მოძველებული ტერმინია ტრადიციით რომ მოდის (როცა მირ და არჩილის წინაპრები ქართლოსიანთა ნამემკვიდრეების გარდა სხვა ქვეყანას არ ფლობდნენ) და ამ მოძველებულ, ტომობრივ-ეთნიკური წარმოშობის ტერმინში შეტანილია ახალი შინაარსი, — ჰეროსის და ეგროსის წილი ქვეყნები... ეთნიკურ-ტომობრივად კი, ქართლის გვერდით და მის სწორად აქ იგულისხმება არაერთი ქვეყანა: ეგრისი (რომელიც ასევე ორგვარი შინაარსის მქონებელია) და აფხაზეთი (რომელიც ასევე ორგვარი

შინაარსის მქონებელია). ეგრისი ხომ „შიდა ეგრისისა“ და მაშასადამე, გარე ეგრისისაგან შედგება: ა რ გ ვ ე თ ი, მრავალჯერ ხსენებული და გ უ რ ი ა იმავე ჯუანშერის მიერ მოხსენებული (ტ. 238₁₅ 241₆) თაკვერი, სვანეთი და, ვინ იცის, — ფერსათი. საფიქრებელია,გარდა ამისა, რომ არც „ქვეყანა ქუთათისისა“ იგულისხმებოდა ამ დროს საკუთრივ ეგრისში...

პოლიტიკური აფხაზეთი კი, ჯუანშერის მოწმობით, ეთნიკურ-ტომობრივად შედგება შემდეგი ქვეყნებისაგან: ს ა კ უ თ რ ი ვ ა ფ ხ ა ზ ე თ ი, ა ფ შ ი ლ ე თ ი. ყველა ქვეყანა, რომელიც აფხაზეთის მეზობლად ცხოვრობს და საბერძნეთს ემორჩილება ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ ი ა. ან ა ფ ხ ა ზ ე თ ი ა (sic); ამიტომაც არის, რომ ეგრის წყალსა და კლისურას შორის ქვეყანა „აფხაზეთია“, როგორც ამას კეისარი გულისხმობს ვახტანგთან საუბარში (ამ ქვეყნის მიღმა აკი „ს ხ უ ა ა ფ ხ ა ზ ე თ ი ა“, ე. ი. დ ა ნ ა რ ჩ ე ნ ი ა ფ ხ ა ზ ე თ ი), მაგრამ ხომ ცხადია, რომ ეთნიკურ-ტომობრივად ეს ქვეყანა აფხაზეთი არაა, რომ კლისურას დასავლეთითაც კი ეთნიკურ-ტომობრივად აფხაზეთი კი არა, აფშილეთია (ცხუმი ქალაქი აფშილეთისაა), რომ, როგორც პროკოპი კესარიელი მოწმობს, აფხაზეთის ეთნიკურ-ტომობრივი საზღვარი სადღაც ანაკოფიის აღმოსავლეთით, ახლოს, გაივლიდა და რომ ანაკოფია იყო ს ა კ უ თ რ ი ვ ა ფ ხ ა ზ ე თ შ ი. ამასვე გულისხმობს ჯუანშერიც და სხვა ქართული წყაროებიც („თავადი ციხეთა აფხაზეთისათა“). სამწუხაროდ ჯუანშერს არ დასჭირებია ასეთივე ზედმიწევნით აღენიშნა პოლიტიკური აფხაზეთის სხვა ქვეყნები. ის აფხაზეთის მეზობელი ქვეყნების დასახელებით იფარგლება: დასავლეთით ჯიქეთი და ჩრდილოეთით ოსეთი...

დამახასიათებელია, რომ არც ლეონტი და არც ჯუანშერი ამ ეგრის წყლის ქვემო ქვეყანას ეთნიკურ-ტომობრივი ტერმინით არ იხსენიებენ. ეს გარემოება იმის მოწმობა მაინც არის, რომ ეს ქვეყანა არც „ეგრისია“ და არც „აფხაზეთი“, მაგრამ ის არც აფშილეთია: ჯუანშერს ჰქონდა შემთხვევა ეს აღენიშნა, თუ ეს აფშილეთი იყო, როცა კლისურის საზღვარზე, აფშილეთზე და მის ქალაქ ცხუმზე ლაპარაკობდა... ის კი არა, ისიც შეიძლება შენიშნულ იქნას, რომ ჯუანშერი საქართველო-საბერძნეთის შორის საზღვარზე მითითებისას (კლისური ზღუდე), ამ „ეგრის წყლის ქვემო ქვეყანას“ უკვე ეგრისში გულისხმობს და აფშილეთი იმ ზღუდის ჩრდილო-დასავლეთით მოსაზღვრე ქვეყანად ეგულება (წებელდა, აბჟუა, გუმი)... რომ, მაშასადამე, შეიძლება საფუძვლიანი ფიქრი, რომ ს ა ზ ღ ვ ა რ ი კ ლ ი ს უ რ ი ს ა არის არა იმპერატორის მიერ ნე-

ბისმიერად, მხოლოდ სამხედრო მოსაზრებით შერჩეული სიმაგრეთა სისტემა, არამედ „საზღვარი“ სატომთაშორისოც...

ჯუანშერი არ ამტკიცებს (თუმცა არც უარყოფს), რომ ეს „კლისურა“ ვახტანგ გორგასლის დროს უკვე ზღუდიანი იყო... თუ ეს შემთხვევითი გარემოება არაა და ჯუანშერის მიერ ამ ზღუდის მოუხსენებლობა იმას მოწმობს, რომ აქ იმ დროს ზღუდე არ იგულისხმებოდა, მაშასადამე აქ ანაქრონიზმია, ან კიდევ ე. ი. რომ „კლისურა“ უზღუდო ციწრო გასასვლელს — კარს — ნიშნავს, მაშინ კიდევ უფრო მეტი საბუთი გვეძლევა იმისა, რომ ეს ადგილი ტომობრივი საზღვარი იყო, რაღაც ტომსა და აფშილებს შორის, რომ მაშასადამე ეს ზღუდე გვიან (შედარებით) გაავლეს ამ სატომთაშორისო და სახელმწიფო საზღვარზე... (მაგრამ ვიდრე ამ ზღუდის არქეოლოგიური შესწავლა არა გვაქვს საუბარი საჭირო არაა...).

ლეონტი-ჯუანშერის პოლიტიკურ აზროვნებაზე დაკვირვებით კიდევ ერთი საინტერესო მომენტი შეინიშნება: „აფხაზეთი“ მისი სამეფოს სახით მის პოლიტიკურ გაფორმებამდე (ე. ი. ლეონ II აჯანყებამდე) იქმნება. პოლიტიკურად „აფხაზეთი“ ეწოდება ბერძენთა სამფლობელოს შავი ზღვის სანაპიროზე. ეს იყო ლაზთა მეფის (ჯუანშერ-ლეონტი ქართლის მეფის) საწინააღმდეგოდ, მის საპირისპიროდ მიღებული ღონისძიება... საბერძნეთის საზღვრების გაფართოება ამ ქვეყანაში ესაა აფხაზთა ერისთავის ქვეყნის გაფართოება... (მ—2,6. ფურც. 102—105).

12. ქ ცა I, ჯუანშერი 235_4

„და ვითარცა შევლო ყრუმან კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა. და შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი, და მოადგა ციხესა ანაკოფისასა... მუნ შინა იყვნეს მაშინ მეფენი ქართლისანი მირ და არჩილ; ხოლო მამა მათი გარდაცვალებულ იყო და დამარხულ ეგრსა შინა. და ერისთავი კეისრისა ლეონ შესრულ იყო ციხესა შინა სობღისასა, რომელ არს გარდასავალსა ოვსეთისასა“.

მოთხრობა რეალური იერისაა, რეალურობას მოწმობს ისიც, რომ აფხაზთა ერისთავი, შემდეგ აგრე განდიდებული, დამოწმებულია საბანის ძით. ხოლო მისი განდიდება ბერძენთა მეფის მიერ ამ ეპიზოდში (იხ. შემდეგ) არის დამოწმებული.

ქართული ისტორიული თვალსაზრისი, რომ პირველად კეისარმა გააძლიერა აფხაზეთის ერისთავი, ხოლო შემდეგ ეს ერისთავი აუჯანყდა კეისარს, მართალი ჩანს, ოღონ სოდ ლეონ II-ის აქცია გაუგებარია... ასე რომ საბანის ძის ცნობა ისე გაგებული, რომ იმ დროს აფხაზეთი მთელს ეგრისსაც მოიცავს სწორი ჩანს და ეს არის მაშინ „საბრძანებელი იონთა მეფისა". ხოლო თუ ეს ასეა, ჯუანშერის თხრობის ნაწილი იმის შესახებ, თითქო ბერძენთა კეისარი ეგრისს ქართლის მეფის სამფლობელოდ სცნობდა, საეჭვოა და, უნდა ვიფიქროთ, ნაწილობრივ მაინც, შეთხზულია... თუნდაც ის ფაქტი, რომ აფხაზეთის ერისთავი ბერძენთა მეფის მოხელე ეყმო ქართლის მეფეს, ან ის, რომ ეგრისს ბერძენთა კეისარი ქართლის მეფის სახელმწიფოდ სთვლის (და ეს იმ დროს, როცა ქართლის მეფენი თვით არიან არაბთა მიერ უკიდურესად შევიწროებული).

მაგრამ ჩვენ ასევე გადავაჭარბებდით ჩვენს კრიტიკაში, თუ ხელაღებით უარვყოფდით არჩილის (სტეფანოზ მიჰრით) მოღვაწეობას... ის დიდი მოვლენები, რომელსაც ადგილი ჰქონდა დასავლეთ საქართველოში VIII—IX საუკუნეთა მიჯნაზე, ის დიდი ნახტომი, რომელიც დას. საქართველოს საზოგადოებამ განიცადა, ის ღრმა მეტამორფოზი, როგორითაც ეს საზოგადოება წარმოდგა (ეგრისულ-აფხაზურიდან ქართულ ფეოდალურ საზოგადოებამდე), რა თქმა უნდა, ერთი თაობის მოვლენა არაა და ხანგრძლივსა და ღრმა პროცესს გულისხმობს... უნდა ვიფიქროთ, არც XI საუკუნის პოლიტიკურ მოღვაწეთათვის იყო ეს მოვლენა ადვილგასაგები და... განაგრძეს ლეონტის კონცეფცია იმით, რომ მურვან ყრუს ამბებს მოხერხებულად დაუკავშირეს სტეფანოსისა და მისი შვილების მოღვაწეობა ეგრისში (მეც მგონია ს. კაკაბაძე მართალია, რასაც ეთანხმება კ. კეკელიძე, რომ ქართლში მეფობის დროიდან, ვიდრე ბაგრატ IV დასასრულამდე ერთი ავტორის ნახელავია მთელი ეს ისტორია)... ამ ავტორებს (თუ ერთ ავტორს) ისეთივე საბუთი ჰქონდათ, რაც ლეონტის (თუ მის წყაროს): ქვეყანა ერთიანი ქართული კულტურის ასპარეზი გამხდარიყო. „აფხაზთა" მეფეები საქართველოს აშენებდნენ ეგრისში... და ახსნა სჭიროდა ამ უცნაურ მოვლენას და ჩვენმა ავტორებმა ბუნებრივად გამართეს ფაქტები: ხოსროიანებმა შეამზადეს ძველი ეგრისის გამოსვლა ფეოდალური საქართველოს გამაერთიანებლის როლში აფხაზთა მეფის მოთავეო-

ბით... ეს საეჭვო კონცეფცია იმდენად მაინც არის მართალი, რომ VII—VIII საუკუნეებში ქართლის შეღწევა დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით ინტენსიური უნდა ყოფილიყო (ბერძენი პროკოპი აღნიშნავს რიონის მარცხენა მხარის უდაბნოობას და ეს ვანისა და დაბლაგომის ქვეყანაში) (მ—2, 16. ფურც. 68—69).

13. ქ ცა I, ჯუანშერი 240₉

კეისარმა მოსწერა ლეონს (ყრუს წასვლასთან დაკავშირებით): „შენდა მიბრძანებიეს ერისთაობა ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ა შენ და შვილთა შენთა და მომავალთა შენთა მიუკუნისამდე. არამედ კეთილად პატივსცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა, და ამიერითგან ნულარამცა ჯელგეწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათთა ე გ რ ი ს ა თ ა, ვიდრემდის იყვნენ მანდა ანუ განვიდენ მანდით“.

ერთი სიტყვით, აზრი ამ ადგილისა (და საერთოდ მთელი ამ გადმოცემისა ყრუს ლაშქრობასთან დაკავშირებით) ისაა, რომ ქართული თვალსაზრისი ამზადებს საქართველოს გაერთიანების იდეას. კეისარი ლეონს საშვილიშვილოდ უმტკიცებს აფხაზეთის ერთიანობას და ხოსროიანებთან კეთილმეზობლობას ავალებს ამ თავის მოხელეს.

ეგრისი ამ თვალსაზრისით იმთავითვე ქართული სახელმწიფოებრიობის სარბიელია. აფხაზეთი კი („ალექსანდრობიდან“) ბერძენთა კეისრისაა [„საბერძნეთია“. როგორ კარგად ჩანს ეს უფლებრივი მომენტი ყველა ამ „სა“ ტერმინში. ეს „საბერძნეთი“ ხომ აქ იგივე „აფხაზეთია“ და მაშასადამე „აფხაზეთი“ არის „საბერძნეთი“. თითქო ხელშესახებად იგრძნობა, რომ „აფხაზეთი“ — იმისაგან დამოუკიდებლად, თუ რა წარმოშობისაა ეს „ეთ“ სუფიქსი: 1. მრავლობის აღმნიშვნელი სიტყვა (თი, თა) 2. genetivus pluralis — აღნიშნავს აფხაზ მრავლობას, ან აფხაზ მრავლობის ქვეყანას, ხოლო ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ ი აქ აღნიშნავს იმას, თუ ვის ხელთაა, ვის ეკუთვნის ეს ა ფ ხ ა ზ ე თ ი... საფრანგეთი, სასომხეთი...].

ჩვენი ავტორი, ჩანს, იზიარებს ლეონტის კონცეფციას არა მარტო იმის შესახებ, რომ ეგრისი იმთავითვე, ე. ი. ქართლის სამეფოს წარმოქმნის დღიდანვე, ფარნავაზიანების სამყაროში შედიოდა, არამედ აღიარებს ლეონტისთან ერთად იმ ფაქტს (ისტორიულ მოვლენას), რომ საბერძნეთი მუდამ დამპყრობელი იყო და მუდამ მტრობდა ქართლს (ამას ათქმევინებს ჩვენი ავტორი კეისარს).

ლეონტით ქართლის სამეფო ბერძენ დამპყრობელთა წინააღ-

მდეგ ბრძოლაში წარმოიშვა (ამ მხრივ ლეონტი სრულიად საქართველოს ალმდეგო შეხედულებას ავითარებს „მოქცევაჲსთან“ შედარებით). ხომ არ ზემოქმედებდა ლეონტის კონცეფციის შემუშავებაზე ამ ეპოქის ბერძენ-ქართველთა ურთიერთობა? და ხომ არ უბიძგებდა ესევე გარემოება მას სპარსეთისაკენ...), ქართლი კი, ჩვენი ავტორის წარმოდგენით (ამას ათქმევინებს ავტორი კეისარს), ქრისტიანობის მიღების შემდეგ მუდამ კეისრის სასარგებლოდ მოქმედებდა...

ეს იყო ლეონტის შეხედულება („ჯუანშერი“), რომელიც, საფიქრებელია, საუკუნეთა სიგრძეზე მართლაც შემუშავდა ქართლში და თავისი გამოხატულება ჰპოვა XI საუკუნის პოლიტიკურ მოღვაწეთა პირში. ბაგრატ III-ის, გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ის დროის ბერძენ-ქართველთა ურთიერთობა ასეთი შეხედულების შემუშავებისათვის პოხიერ ნიადაგს წარმოადგენდა.

ლეონტის კონცეფციას ჩვენი ავტორი იმ მხრითაც იზიარებს, რომ ბერძნებს საეგრისო ნაწილის ეგრის წყლიდან — ნიკოფსიამდე მიმტაცებლად სთვლის და სხვაგვარად არც აზროვნებდა მაშინ ქართველი პოლიტიკოსი: ამის დამაჯერებელი მოწმობაა გიორგი მთაწმინდელი, რომელიც საქართველოდ (და არაბერძენთაგან მიტაცებულად) სთვლის ნიკოფსიას, სადაც განისვენებს სიმონ კანანელი, ე. ი. საქართველოდ სთვლის მთელს აფხაზეთს...

ასეთი ტენდენციის მქონებელი ავტორები (ლეონტი, ჯუანშერი...), რა თქმა უნდა, არ შეთხზავდნენ აფხაზეთის საკეისროსადმი მიკუთვნებულობას, თუ ისეთი ფაქტი არ ექნებოდათ, რომლის უარყოფა შეუძლებელი იყო... მაგრამ რითლა უნდა აიხსნას, რომ ეგრისის დამოკიდებულებას საკეისროსაგან არ აღნიშნავენ (ეს ხომ მთელი ეპოქაა ორი-სამი საუკუნის სიგრძისა?...). უნდა ვიფიქროთ ჩვენი ავტორების ისტორიული მეხსიერება VI — VIII საუკუნეთა ფაქტებით (გადმოცემებით) იკვებებოდა, როცა კეისრების გულისყურმა აფხაზეთში გადაინაცვლა, როცა ეგრისი დიდად დაზარალებული (დიდი ომი, რიონის მარცხენა ნაპირის განადგურებულობა, ქართლის შეღწევა, ხელდებულების დაკარგვა) მიიჩრდილა... ასე რომ ჩვენს ავტორებს ჯიუტი ისტორიული ფაქტები ხელს უშლიდნენ ეგრისის ქართლთან დაკავშირებულობა ამ საუკუნეებში (VI—VIII) რომ ინტენსიურად მიმდინარეობდა, საუკუნეთა სიღრმეში გადაეტანათ...

ბ ერ ძ ე ნ თ ა ხ ე ლ ი ს ა ფ ხ ა ზ ე თ ი კი ყველას მოეხსენებოდა და აი ჩვენმა ავტორებმა ასევე დააძველეს ეს მოვლენაც და მაკედონელის მოსვლას დაუკავშირეს მათი გამოთიშვა საეგროდან. მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ერთი „ჯიუტი“ ფაქტი რჩებოდა, რომელიც გამართვას მოითხოვდა: ქვეყანა ეგრის წყალსა და კლისურას შორის. ჯერ ... კლისურის კედლები რად ღირდა და მეორეც ის ფაქტი, რომ მოსახლეობა ამ „აფხაზეთში“ ისეთი არ იყო, როგორც სხვა აფხაზეთში... და ჩვენმა ავტორებმა გამართეს ეს ჯიუტი ფაქტი და ამ ვეება სასაზღვრო კედელს, მათ სასახელოდ უნდა ითქვას, ისტორიაში ადგილი მოუძებნეს (თუმცა ის კი არ მოიხსენიეს თუ ვინ შექმნა ეს კედელი)...

და ამრიგად ჩვენმა ავტორებმა მწყობრი ისტორიული სურათი შექმნეს: ბერძენთა კეისარს მონაწილეობა მიაღებინეს აფხაზეთის გაძლიერებაში (ეს ასე იყო ნამდვილად), კეისარს აღიარებინეს ეგრისის „იმთავითვე“ კუთვნილება ქართლისადმი და კეისარი აფხაზეთ-ქართლში უზენაეს მეთვალყურედ გამოიყვანეს: აფხაზეთის კლისურამდე უშუალო მფლობელი, ქართლის მწყალობელ-სიუზერენი... (მ-2, 16. ფურც. 61—64).

14. ქცა I, ჯუანშერი 242_{15}

არჩილი ეუბნება ლეონს „აწ უწყიეს შენება ადგილთა ჩუენთა კლისურითგან აღმართ. წარვალ და დავეშენები ციხე-გოჯს და ქუთათისს. აწ ითხოვე თავისა შენისათჳს რა გნებავს ჩემგან, ნაცვლად კეთილისა მსახურებისა შენისა“.

ხოლო ლეონ რქუა: „მომცა მე კეისარმა ქუეყანა ესე მკჳდრობით კეთილად სიმჯნითა თქუენითა. ხოლო ამიერითგან არს ესე მამულობით სამკჳდრებელ ჩემდა კლისურითგან ვიდრე მდინარედმდე დიდად ხაზარეთად, სადა დასწუდების წუერი კავკასიისა ამის“.

XI საუკუნის მოღვაწეთა წარმოდგენით კლისურა იყო საზღვარი ბერძენთა კეისრისა და ქართლის მეფის სამფლობელოს შორის, რომ ბერძენთა კეისარმა აფხაზეთის მთავარს მკვიდრად მისცა ქუეყანა „კლისურითგან ვიდრე მდინარედმდე დიდად ხაზარეთად“....

ქართულმა წყაროებმა (ლეონტი) იციან, რომ ეგრის წყალს ქვემოთ კლისურამდე, ვახტანგ გორგასალამდე (შიდა) ეგრისში ერეკლეს მოდიოდა, არამედ სხვა აფხაზეთთან ერთად იყო და მამასადამე „აფხაზეთში“ შედიოდა (თუმცა არავინ იცის, თუ რა ერქვა მაშინ იმ ქვეყანას....). VI საუკუნიდან მოკიდებული კი, ეს ქვეყანა ეგრისში შემოდიოდა ბერძენთა კეისრისა და ქართლის მეფის მორიგების საფუძველზე... (მ—2, 16. ფურც. 80).

15. ქცა I, ლეონტი 247_7

არჩილის წამებაში ერთი საყურადღებო ადგილია, არჩილი ეუბნება ამირას: „მამამან ჩემმან და ძმამან დასხნეს ყოველნი საგანძურნი ციხესა მას, სადათ — იგი შეიქცა ყრუ ამირა და აწ აქუს იგი ბერძენთა“... ეს „ციხე“ (თუ ციხენი) კი, როგორც ეს აქვს მოხსენიებული ჯუანშერს (აქვე 236) არის ქუთათისი და ციხეგოჯი.

გამოდის, რომ ამ წყაროთი ეგრისი (და, თავისთავად ცხადია, აფხაზეთიც) VIII საუკუნის მეორე ნახევარში (?) ბერძენთა ხელქვეშეთი ქვეყანაა. ასე რომ ეს ცნობა კარგად უდგება საბანის ძის ცნობას აფხაზეთის ყოფნის შესახებ იონთა მეფის საბრძანებელში (მ—2, 16. ფურც. 78).

16. ქართული წყაროები (ლეონტი, ჯუანშერი) საკუთრივ აფხაზეთის შემოსვლას ქართულ კულტურულ სამყაროში უდიდესი მნიშვნელობის ფაქტად სთვლიან. მთელი ძველი ხანის განმავლობაში ეგროსის წილი ქვეყნის ეს მხარე ბერძენთა ხელში იყო და ქართულ კულტურულ შემოქმედებაში არ მონაწილეობდა. მხოლოდ გვიან, VI საუკუნიდან, ეგრის წყალსა და კლისურას შორის ქვეყანა ქართლის პოლიტიკურ საზღვრებში შემოდის და ბერძენთა სამფლობელო აფხაზეთი კლისურას დასავლეთით მდებარე ქვეყანას მოიცავს. ეს იყო ქართული წყაროების წარმოდგენით პირველი წარმატება ეგროსის წილი ქვეყნის შემოერთების ხაზით. მეორე და გადამწყვეტი გამარჯვება ეს იყო ლეონ I-ის შემოსვლა ქართულ ფეოდალურ სამყაროში (ბიზანტიის „ნებართვით“), ხოლო ამავე საუკუნის დასასრულს ეს პროცესი აფხაზეთის შემოსვლისა ქართულ კულტურულ სამყაროში დაგვირგვინდა ბიზანტიის უკუგდე-

ბით და ფეოდალურ ქართლთან საბოლოო გაერთიანებით... (მ—2, 16, ფურც. 169).

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. ქ˜ცა I, მატიანე 274_7

დავით კურაპალატმა უფლისციხეს „შემოკრიბნა ქართველნი აზნაურნი და უბრძანა: „ესე არს მკვდრი ტაოსი, ქართლისა და ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ა... ამას დაემორჩილენით ყოველნი“.

ეს „აფხაზეთი“ არის დასავლეთ საქართველო, რომელშიაც შეიძლება ჩიხას საერისთავო არ იგულისხმებოდეს, ან შეიძლება (ეს უფრო სწორი შეიძლება იყოს) ტაო, ქართლი, აფხაზეთი სამეფოების გაგებით იყო ნახმარი: ბაგრატი უფლებრივად მართლაც „მ კ ვ ი დ რ ი“ იყო ა მ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე რ თ ე უ ლ ე ბ ი ს ა. (მ—2, 16. ფურც. 37).

18. ქ˜ცა I, მატიანე 275_5

„და მეფობდა ა ფ ხ ა ზ ე თ ს თეოდოსი მწუხარე. განირყუნა ქუეყანა იგი...

ამავე ივანე მარუშის-ძემან ინება, რათა მოიყვანოს ბაგრატ მეფედ ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ა. და მის თანა ყოველთა დიდებულთა, ერისთავთა და აზნაურთა ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ა და ქ ა რ თ ლ ი ს ა თ ა გამოითხოვეს ბაგრატ მეფედ დავით კურაპალატისაგან... შ თ ა ი ყ ვ ა ნ ე ს იგი ა ფ ხ ა ზ ე თ ს, დალოცეს მეფედ და დაემორჩილნეს ყოველნი ბრძანებასა მისსა“.

პოლიტიკურად ქართლი „აფხაზთა მეფის სამფლობელოა“, მაგრამ ის ჯერ მაინც აფხაზეთად არ იწოდება, როგორც ეს მოუვიდა ე გ რ ი ს ს. აფხაზეთმა აკი მოიცვა ეგრისი. მაგრამ ეს იყო ჯერხნობით: როცა აფხაზთა მეფე თავის სატახტო ქალაქს, ს ა მ ე ფ ო ს ა ჯ დ ო მ ს ქართლში გადმოიტანდა, ისევე როგორც აფხაზთა მთავარმა თავისი საჯდომი ქუთაისში გადმოიტანა, ქართლსაც ბუნებრივია, აფხაზეთი ეწოდებოდა, როგორც ეს დავით აღმაშენებელმა მოიმოქმედა... და აკი ეწოდებოდა საქართველოს „აფხაზეთი“ მუსულმანურ სამყაროში...

ჯერ კი გარდამავალი ხანა იყო. აფხაზთ მეფეებს „ქართლი“ მხოლოდ ნაწილობრივ ეკუთვნოდათ (ეთნოგრაფიული ქართლი) და ქართველთა მეფე (და მეფეთ-მეფე) ჯერ კიდევ ბოგინობდნენ. მაინცდამაინც მატიანეს ავტორი „ქართლს“ „აფხაზეთში“ ჯერ არ გულისხ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მობს (278) და ბაგრატ მეფე მისი გადმოცემით არის „აფხაზთა და ქართველთა მეფე“ (278) (მ—2, 16. ფურც. 38).

19. ქ˜ცა I, მატიანე 279_1

ბაგრატმა კახეთს გალაშქრება დააპირა. „აწვა სპათა აფხაზეთისა და ქართლისათა, და თჳთ წარემართა ზემოთა ლაშქრითა, გაიარა თრიალეთი, გავლო ჯიდი მცხეთისა. და მოერთნეს ოანა აფხაზნი და ქართველნი. დადგა თიანეთს, და იწყო შემუსრვად კახეთისა... აღიღო ქუეყანა ჰერეთისა“...

აქ ყოვლად უდავოდ ჩანს: ქართ-ქართლი = შიდა ქართლი, ქართველნი = შიდა ქართლის მკვიდრნი, აფხაზეთი = დას. საქართველო, აფხაზნი = დას. საქართველოს მკვიდრნი (მ—2.16 ფურც. 41).

20. ქ˜ცა I, მატიანე 281_6

ბაგრატისთანაო „არავინ ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქუეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისასა“.

ჩვენი ავტორი ქართლს და აფხაზეთს არც ერთხელ ერთიმეორეში არ ურევს. ესენი ცალკე ქვეყნებია ერთ სამეფოდ გაერთიანებულნი.

ლეონტის ტენდენცია ქართლის ფართედ ხმარებისა (ეგრისის შემცველი) ჩვენს ავტორს არ აქვს, მის ქართლში შეიძლება ძველი იბერია კი იგულისხმებოდეს (ქართლი — ქართველთა მეფეების სამფლობელო შავშეთ-კლარჯეთი, სამცხე, ჯავახეთი და სხვა), მაგრამ აფხაზეთი ჩვენი ავტორის ქართლში არც ერთხელ არ იგულისხმება (მ—2, 16. ფურც. 42).

21. ქ˜ცა I, მატიანე 280_1, 281_{17}

სომეხთა მეფე გაგიკ „მოვიდა წინაშე ბაგრატ აფხაზთა მეფისა. შეკრბეს ორნივე ძოროკერტს“.

„ესე ბაგრატ, აფხაზთა და ქართველთა მეფე წარემატა ყოველთა ჴელმწიფეთა ყოვლითა განგებითა“.

ავტორი თანაბრად იხსენიებს ბაგრატ მეფეს ხან აფხაზთა მეფედ ხან აფხაზთა და ქართველთა მეფედ.

მაგრამ არც ერთხელ არ იხსენიებს მხოლოდ ქართველთა მეფედ. ამაშია სწორედ აფხაზთას უპირატესობა: ისაა გაერთიანების ინიციატორი... (კახა თორელიც კი აფხაზთა მეფეს უწოდებს დავით ლაშას ძეს...).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ჩვენი ავტორი „აფხაზთა და ქართველთაში“ ამ ტიტულის ისტორიას (ის თუ როგორ წარმოიქმნა ეს ტიტული) კი არ ეხმობს, არამედ რეალური ვითარებიდან ამოდის.

მატიანე 295_{12}, 297_{4}: „ბაგრატ აფხაზთა მეფე“; „აფხაზთა მეფისა ლაშქარნი“ ტფილისს შემოადგა. მინდოდა დამეჭირა რაიმე ნიშანი, თუ როგორ არის, რომ ზოგჯერ აფხაზთა მეფედ უწოდებს, ზოგჯერ კი აფხაზთა და ქართველთა მეფეს, მაგრამ ვერ შევნიშნე (მ—2, 16. ფურც. 43).

22. ქ˜ცა, I, მატიანე 299_{6}

„იყო ჟამი გაზაფხულისა და ბაგრატ აფხაზეთს იყო; მოადგა ანაკოფიას და მისწურა წასაღებელად“. ბაგრატს უხმეს ტფილისიდან... „წამოვიდა და მოაყენა ანაკოფიას გარე ქუაბულელ ჭაჭას ძე ოთაღო აფხაზეთისა ლაშქრითა. ამოიარა და მოვიდა ქუთათისს, და მოიყენა ქუთათისისა სამოქალაქოსა ლაშქარი, და გურიელნი აზნაურნი და ლომსიანნი მოიყვანნა ხუფათსა... ამოიარა მეფემან და მოვიდა ქართლს“.

აქ აფხაზეთი საკუთრივ აფხაზეთის შინაარსითაა ნახმარი: მისგან გამორიცხულია სამოქალაქო, გურია, ლომსიანნი... საინტერესო ლაშქრის წყობის სურათია: თემობით 1. აფხაზეთის, 2. ქუთაისის სამოქალაქოსი (მთელი ოდიშია?), 3. გურიისა, 4. ლომსიანთხევის (მ—2, 16, ფურც. 44).

23. ქ˜ცა I, მატიანე 303_{6}

ბაგრატ მეფემ ლიპარიტთან ბრძოლა წააგო. სამეფო დატოვა და საბერძნეთს წავიდა.

„ამისსა პირველ სუმოდა ძე მისი გიორგი ბაგრატს, დაუტევა ქუთათისს მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა და წარვიდა საბერძნეთს“.

ცხადია, სამეფო აფხაზეთისა ეწოდებოდა დასავლეთ საქართველოს ქუთათისით (ტახტი): როგორც წინა და შემდგომი ადგილებიდან ცხადია სხვა დანარჩენი საქართველო ლიპარიტს დარჩა.

ასევეა „აფხაზეთი“ გაგებული ქვემორეც: (304_{12}) ბაგრატ მეფე საბერძნეთიდან დაბრუნდა. მას „მიეგება ყოველი ლაშქარი აფხაზეთისა ზღუს პირსა ხუფათს“. იგულისხმება დასავლეთ საქართველოს ლაშქარი, რადგან „ზემოკერძი დაუკლებლად“

(იქვე) მხოლოდ ლიპარიტს ემორჩილებოდა, ხოლო „ლიხსა ქუეშე მოთი კერძი დაწყობით აქუნდა ბაგრატ“ (...)

აი, ეს „ლიხს ქუემოთიკერძი“ იყო „აფხაზეთი“ (მ—2, 16, ფურც. 50).

24. ქ ცა I, მატიანე 315_5

ბაგრატ მეფე (მეოთხე) „იყო კაცი სახითა უშუენიერესი ყოველთა კაცთასა, სრული სიბრძნითა, ფილოსოფოსი ენითა, სჳანი ბედითა, უმდიდრესი ყოველთა მეფეთა აფხაზეთისათა“.

აქ უკვე „აფხაზეთად“, აშკარაა. იგულისხმება როგორც საკუთრივ აფხაზეთი (— „ლიხის ქუემოთი კერძი“), ისე აფხაზეთი და ქართლიც, ე. ი. მთელი საქართველო: ამ „ყოველთა მეფეთა აფხაზეთისათა“-ში იგულისხმება ბაგრატის მამაც, პაპაც და საკუთრივ აფხაზეთის მეფენი („ლეონიდები“).

ასევე იხმარება აფხაზეთი საქართველოს გაგებით იქვე 315_{12}; გიორგი მეფე იყო „უუხუესი ყოველთა მეფეთა აფხაზეთისათა“ (მ—2, 16. ფურც. 45).

25. ქ ცა II, ბას. ე. მ. 115_{11}

გიორგი მეფის და რუსუდანი, „სძალ-ყოფილი დიდთა სულტანთა,... მამულად მოყვანებული დედოფლად დაჯდა ქართველთად. უფროსღა დიდებად სახლისა თჳსისად და ყოვლისა ამის სამეფოსა“.

ქართველთად აქ იმავე ფართე მნიშვნელობითაა ნახმარი. ქართველი აქ ნიშნავს მთელი საქართველოს მკვიდრს. ამის პირდაპირი ჩვენებაც აქვე მოიპოვება: „ეს ქართველთა დედოფალი“ იყო „დიდება სახლისა თჳსისა და ყოვლისა ამის სამეფოსა“.

მოულოდნელ-გაუმართლებელი იქნებოდა „ქართველთაში“, რომ ქართლის მკვიდრი გვეგულისხმა: რუსუდანი ბაგრატიონთა სახლის ყველა საქმეში, საშინაოში თუ საგარეოში, თამარის მეურვედ და საქმის მეთაურად გამოდის...

ამრიგად „აფხაზნი“, „აფხაზეთი“ თანდათან იცვლება „ქართველით“ და საქართველოთი და ეს ჯერ კიდევ მეათე საუკუნიდან მოკიდებული. აფხაზი („მეფე აფხაზთა“) ტრადიციით რჩება დას. საქართველოს მკვიდრის მნიშვნელობით ერთხანს და მასაც ქართვე-

ლი ფარავს, ხოლო აფხაზი და აფხაზეთი საერისთავოს სახელს აფხაზეთს შერჩება. უცხო ხალხებში კი აფხაზი იყენებენ — რჩება... აქ კი, ცოცხალ სინამდვილეში მას იგივე მოსდის, რაც ყოველ ცოცხალ ტერმინს (მ—2, 7. ფურც. 112).

26. ქ^ცა II, ჟ. ა. 179_{15}

„ამათ ულხინობთა ჭირთა შინა იყო რა ქუეყანა საქართველოსა, და სხუანიცა უდიდესნი ძნელბედობანი აღმოუჩნდებოდეს... ამათ ჭირთაგან შეიწრებული მეფე რუსუდან იყო რა ქუთათისს და ყოველსა აფხაზეთსა, და იქმნა ძე მისი დავით ვითარცა წლისა ხუთისა, ინება მეფედ ყოფად ძისა მისისა“.

კარგი მაგალითია: ქუეყანა საქართველოში შედის ყოველი აფხაზეთი, ე. ი. მთელი ლიხთიქითი. „აფხაზეთს“ ეს „ყოველი“ (ე. ი. მთელი, მთლიანი) დასჭირდა იმიტომ, რომ უამისოდ ჟამთააღმწერლის ენაზე „აფხაზეთი“ საკუთრივ აფხაზეთს საერისთავო ქვეყანას ნიშნავს (მ—2, 7. ფურც. 119).

27. ჯვარის მონასტრის ალაპი № 239

„ალაპი და პანაშვიდი აფხაზთა მეფეთ მეფისა კოსტანტინესი, ჯუარის მონასტრისა ახლად შემკაზმავისა“.

კოსტანტინე ლიხთიქითის მეფეთ მეფე იყო, გარდაიცვალა 1327 წელს.

ძველი ტრადიცია აღდგა, ან უკეთ ძველი შინაარსით წარმოჩნდა „აფხაზთა მეფეთ მეფე“ ლიხთიქითის მეფე, აფხაზთა მეფეებად, გაერთიანებულ საქართველოს მეფენიც ხომ იწოდებოდნენ (ცახა თორელის დაწერილი).

თუმცა კონსტანტინე რომ მეფეთ მეფობით მოიხსენიება, ეს გაერთიანების შედეგად შემუშავებული ტიტულის ტრადიციაა. პირველი მეფეთ მეფე იყო ბაგრატის მამა — გურგენი, რადგან მისი შვილი ბაგრატი მისივე სიცოცხლეში მეფე იქნა (იხ. სუმბატ...).

მაგრამ ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ისაა, რომ ქვეყნის ორ სატახტოდ გაყოფის შემდეგ, დასავლეთის ტახტს აფხაზთა მეფის ტახტი ეწოდა, ე. ი. ძველი სახელი დაუბრუნდა (თუმცა მეფეთ მეფობით), (მ—2, 16. ფურც. 49).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ქ'ცა I, ჯუანშერი, 177_{11}

ვახტანგი და კეისარი დაზავდნენ. „და გამოიკითხა კეისარმან საზღვარი საბერძნეთისა, ქუეყანა ზღვს პირისა, რომელ არს აფხაზეთი, და რქუა ესრეთ: „ეგრისწყლითგან ვიდრე მდინარედმდე მცირისა ხაზარეთისა—ესე საზღვარი არს საბერძნეთისა ალექსანდრობითგან, რომელი აწ შენ მიგიღია მკლავითა ჩუენგან, იწ იგი უკუმოგუეც, და ოდეს წარიყუანებდე ცოლსა შენსა, ასულსა ჩემსა, მაშინ მოგცე მისგან ქუეყანა". და დაუწერა ეგრის წყალსა და კლისურასა შუა ქუეყანა ზითვად, და ხუა აფხაზეთი უკუსცა ვახტანგ ბერძენთა".

კ. კეკელიძე მართალია, რომ ეს ავტორი (ვახტანგის მეფობის მომხრობი) იგივე ლეონტია. ვახტანგის ცხოვრება ისეთი ორგანული გაგრძელებაა მეფეთა ცხოვრებისა სტილით, მოთხრობის ხასიათით, მოვლენათა ცოდნით პოლიტიკური ურთიერთობის იგივეობით (ჯუანშერი აგრძელებს, ავითარებს, სწყვეტს იმ პოლიტიკურ ამბებს, რომელიც დასახული ჰქონდა, რომელიც შექმნილიყო ლეონტით, წინა ხანებში: ეგრის წყალი ალექსანდრობიდან, კლარჯეთის მიტაცებულობა ბერძენთა მიერ, სპარსეთთან ურთიერთობა...), რომ კეკელიძე, ვფიქრობთ, მართალია.

ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ ქვეყანა კლისურას და ეგრის წყალს შუა იგივე აფხაზეთია (XI საუკუნის მწერლის პოლიტიკური ტერმინოლოგიით!!), ოღონდ ეს ქვეყანა აფხაზეთი რაღაც ნიშნით მაინც განსხვავებულად არის საგულისხმებელი, ვიდრე „სხვა აფხაზეთი". ასე ესმოდათ, უნდა ვიფიქროთ, XI საუკუნის პოლიტიკურ მოღვაწეებს. ამისივე ნიშანი იყო კლისურა საზღვარი... რა საფუძველზე? იმ რეალურ-ისტორიულ საფუძველზე, ჩვენ რომ ანგარიშს ვერ ვუწევთ, — კლისურას კედელზე. მართლაცდა ეს კედელი ხომ სწორედ ამ ქვეყანას, ეგრის წყალსა და კლისურას შორის „აფხაზეთს", მოზღუდავს, გამოჰყოფს სხვა აფხაზეთისაგან და მას ეგრისს უერთებს!...

საფიქრებელი ხდება: ძველად (ალექსანდრობამდე) „აფხაზეთი", ე. ი. ზღვის პირის ქვეყანა ეგრისში შემოდიოდა (ცოლხეთი...) ეგრისის ქვეყანა სხვადასხვა ტომებისაგან შედგებოდა, (ისევე როგორც ქართლოსის ქვეყანა) შვილებისა და შვილიშვილების წილებად... ერთ-ერთი ასეთი წილი

ზღვის პირის ქვეყანა იყო, რომელიც თავის მხრივ ასევე მცირე ქვეყნებისაგან (ტომებისაგან) შედგებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგრისი ამ მხრით იყოფოდა: 1. — შიდა ეგრისად და 2. გარე ეგრისად. ამ უკანასკნელში შედიოდა არგვეთი (რომელიც, შეიძლება ვიფიქროთ, შედგებოდა საკუთრივ არგვეთისა და გურიისაგან) და აფხაზეთი, რომელშიც შედიოდნენ საკუთრივ აფხაზეთი, აფშილეთი, ჩაჩი, სანიგეთი... სვანეთიც ხომ ეგრისში შედიოდა...

იმ ქვეყანას („აფხაზეთს") იმ ძველ დროს, რა თქმა უნდა, აფხაზეთი არ ერქვა. ასეთი სახელი მას გვიან შეერქვა და სატომო საზღვარი ეგრის წყალი იყო. ეგრები, როგორც ჩანს, ძლიერად უტევდნენ აღმოსავლეთიდან „აფხაზურ" ტომებს აფშილებს, ჩაჩებს... გარკვეული დროისათვის, მეგრელთა შეღწევა კლისურამდე განხორციელდა... (ლაზიკის სამეფოს ძლიერების ხანაში ეს ფაქტი ბერძნული წყაროებითაც დასტურდება: აფხაზებს მეფეები ჰყავდათ, თუმცა ლაზებს მორჩილებენ. მათ აფშილებზე და მისიმიანებზე ხელი არ მიუწვდებათ. აფშილები და მისიმიანები ლაზებს მორჩილებენ და არც ოავისი საკუთარი მმართველები ჰყავდათ...). ასე რომ ეთნიკურად მეგრელთა გაძლიერება ხდება ამ სექტორში (ისევე როგორც სკკმნია სვანეთში), ამავე დროს ხდება მეგრელთა ეთნიკურად შევიწროება ქართის მიერ არგვეთ-გურიაში...

გარკვეულ დროს ბერძენთა სამეფოს პოლიტიკა გადაჭრით დგება „აფხაზთა" მხარეზე ზღვის პირის ქვეყანაში და მის გაძლიერებას (ეგრისის ხარჯზე) ხელს უწყობს: აფხაზეთი ხელს იწვდის სადავო ქვეყანაზე —ეგრის წყალსა და კლისურას შორის. აქ უსწრებს ახალი მოვლენა: ძველი დავა ეგროსის წილ ქვეყანაში ახალმა ქართულმა შეღწევამ დაასრულა — ქართული ფეოდალური სახელმწიფო „აფხაზეთი" იშვა ქუთაისით სათავეში...

ასე რომ ქართული წყაროებით, და ეს წყაროები აუთენტურია IX—XI საუკუნეთა ვითარებისათვის, საქმე ასე წარმოიდგინება: ძველი დროიდანვე სატომთაშორისო დავაა საკუთრივ ეგრისსა და გარე ეგრისს შორის. არგვეთსა და გურიაში ამ დავაში მესამე (ქარ-

თი) ერევა და საკუთრივ ეგრისი თანდათან უკან იხევს: არგვეთს საბოქალაქოც მიჰყვება, ხოლო კიდევ უფრო გვიან — თანამედროვ-
ეურია... ბრძოლა ამაზე არ დამთავრებულა და შიდა ეგრისსაც შე-
უტიეს (ვახუშტით ქუთაისის საერისთავოს საზღვრები ისულეთ-უნა-
გირაზე გადიოდა ცხენისწყლის გაღმა... საერთოდ კი ტერიტორია რი-
ონსა და აბაშას შორის საცილობელი გახდა). ასევე საცილობელი
იყო ტერიტორია ეგრის წყალსა და კლისურას შორის, სადაც შე-
ტევა შიდა ეგრისიდან მოდიოდა და აფხაზური ტომების ასიმილა-
ციით აღინიშნებოდა. საკუთრივ აფხაზეთი, თუ თავის შიგნით მცირე
ერთეულებს იმორჩილებდა, შიდა ეგრისთან მეტოქეობაში, მარცხ-
დებოდა, განსაკუთრებით ლაზთა სამეფოს აღმავლობის ხანაში (IV—
VI სს.): — ზღვის პირის ტომები სულ უფრო და უფრო ადრეფეო-
დალურ ეგრისში შემოდიოდნენ...

ბერძენთა პოლიტიკურმა ინტერესებმა აფხაზეთის გაძლიერება
მოითხოვა. საბერძნეთმა აფხაზეთის საშუალებით სცადა თავისი
მფლობელობის განაღდება შავი ზღვის აღმოსავლეთ ზღვისპირეთში
და სპარსეთთან ქიშპი... ჩრდილო კავკასიაც აქედან დასამხარ-ხელ-
მისაწვდომი იყო (ხაზარეთი, ალანები)... და აფხაზეთითვე სცადა ეგ-
რისის მორჩილებაში ყოლა... აფხაზეთი გაძლიერდა და მთელს ეგ-
რისზე წამოიწია (ეს უნდა იყოს დამოწმებული ი ო ა-
ნე საბანისძის თხზულებაში...., მაგრამ აქვე ყრუდ
ისიც დამოწმებულია, რასაც ჯუანშერი მოწმობს: ქართლის ძლიერი
შეღწევა ეგრისში — ქუთაისის საკითხი — და ქართების პრეტენ-
ზიები...). სწორედ ამ პირობებში უნდა იყოს შექმნილი ლეგენდა
ფარნავაზის და ქუჯის ურთიერთობის შესახებ, ქართების და ეგრე-
ბის ერთკულტურიანობის შესახებ, დაპირისპირებით ზღვის პირის
ეგრისთან, რომელიც ახლა ბერძნების მხარის დაჭერით მთელი ეგ-
რისის მიტაცებას ცდილობდა...

და ქართმა გაიმარჯვა: აფხაზეთმა ძველი ეგრისი მართლაც გა-
აერთიანა, მაგრამ ქართებზე დაყრდნობით... ამ ხანებისათვის ისეთი
ვითარება მომწიფდა, რომ კავკასიის სარბიელზე ქართული ფეოდა-

ლური ურთიერთობა ძლიერად გამოვიდა და მან ძველ ეგრისში ისევ ძლიერად მოიკიდა ფეხი, რომ საკუთრივ ქ ა რ თ ლ ი ს უ ბ ე ნ ე ბ ი ს ს ი ვ ი წ რ ო ვ ი ს პ ი რ ო ბ ე ბ შ ი (არაბების ბატონობა) აქ ქ ა რ თ უ ლ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ი შ ვ ა, აფხაზთა დინასტიის მეთაურობით... ქართლის პოლიტიკური დახმარების გარეშე მ ე ო რ ე ქ ა რ თ ლ ი (—აფხაზეთი) წარმოიშვა და დედა ქართლზე უმალვე პრეტენზია განაცხადა... (ა მ ი ს დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა ს მ ი ზ ნ ა დ ი ს ა ხ ა ვ ს ლ ე ო ნ ტ ი-ჯ უ ა ნ შ ე რ ი)...

VIII საუკუნეში აფხაზეთი—კ ლ ი ს უ რ ა ს დ ა ს ა ვ ლ ე თ ი თ— (ამ საზღვრებში კონსოლიდირებული — ამას გარკვევით უჭერენ მხარს ქართული წყაროები) გამოდის არა მცირე სატომო ტერიტორიის დასაუფლებლად (ამის მოწმობა არსადაა), არამედ გამოდის ძველი კოლხეთის, ან უფრო სწორად ძველი ლაზიკის (ეგრისის) როლში — მთელი ეგრისის გამაერთიანებლად. იწყებს ამას ბერძენთა დახმარებით და როგორც ქართული წყაროები მოწმობენ ქართული ელემენტის თანაგრძნობით (ბერძენთა კეისრის „წერილი“ ლეონ ერისთავს... გვირგვინები...) და ასრულებს ბერძენთაგან განდგომით და ქართველად ტრანსფორმაციით.

ამიერიდან კავკასიაში ფეოდალური ახალი ეროვნებანი არ კონსოლიდირდებიან და ამ ხანისათვის წარმოქმნილ ერთეულებში შედიან და შემოქმედებენ ან ქართულს, ან სომხურ (ცალკე საკითხია ალვანია...) ფეოდალურ გაერთიანებებში: მხოლოდ ქართლმა და სომხეთმა შეძლეს, დიდი ქვეყნების ჭიდილში თავი გამოიტანეს, საკუთარი ეროვნული სახით ფეოდალური ურთიერთობის სიმაღლეზე ავიდნენ, სხვები კი—ისეთი განვითარებული ერთეულებიც კი, როგორიც იყვნენ ალბანეთი და ეგრისი, ძველ სამყაროს გადაყვნენ.

და კიდევ ერთი რამ: რას ნიშნავს „კონსოლიდირება“ და რა ნიადაგზე ხდება ის და როდის? რა სალაპარაკოა დღეს, რომ ასეთი რამ მხოლოდ სისხლით მონათესავეობაზე და ენით სიახლოვეზე არ ხორციელდება.

სხვადასხვა დროს „კონსოლიდაციის“ საფუძველი სულ სხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასხვაა... ხოლო რაც შეეხება ტომურ შეღწევას და ასიმილაციას, ამას ხომ საუკუნეები სჭირდებოდა (ამ პირობებში „კონსოლიდაცია“ განვითარებულ ურთიერთობას ჰგულისხმობს ან კოლონიზაციას...). ეგრისმაც კი ვერ შეძლო „კონსოლიდაცია“ და ეგრისული არაერთი ტომი დაიკარგა და ეს იმიტომ, რომ მეურნეობრივად შეუკავშირებელნი იყვნენ ეს ტომები, ხოლო კულტურის ენა უცხო ჰქონდათ. კოლონიების არსებობა, ბერძნულ-რომაული სახელმწიფოებრივი და კულტურული გავლენა, ქართლის (ირანის) გავლენა მეტად ძლიერი აღმოჩნდა და მეგრული ცენტრი იქამდე ვერ გაძლიერდა, რომ ერთი მთლიანი ერთენოვანი ქვეყანა ჩამოყალიბებულიყო, როგორც ეს მოხდა, ვთქვათ, ქართლში, სადაც კახი, კუხი, ჰერიც კი... მესხი, ჯავახი, კლარჯი, შავში — ყველანი ქართულენოვანი შეიქმნენ.

(ლეონტიმაც კარგად იცის, რომ ერთენოვნობა აუცილებელია სახელმწიფოებისათვის... სხვა საბუთიც რომ არ გვქონდეს, ესეც საკმაოა ქართლის სამეფოს არსებობისა და მისი ეროვნული კულტურის დამოწმებისათვის იმ ძველ დროს... ასე რომ ლეონტი თუ დეტალებში არა, ზოგად პრინციპულად ყოვლად მართალია).

სულ სხვა ვითარებაა ეგრისში: აქაური ისტორიული გეოგრაფია საგულისხმო სურათს გვიშლის თვალწინ ქართლთან შედარებით: ეგრისში ძველი საგეოგრაფიო სახელები (მთლად უძველესის გამოკლებით) ეგრისულია, უფრო გვიანი კი ქართულია, ქართლში კი ძველი საგეოგრაფიო სახელები უცხოურია, ან წინაქართულია, ნაგვიანევი კი ქართულია. ეს კი იმას უცილობლად მოწმობს, რომ ეგრისული ტომების „კონსოლიდაცია“ არ მოხერხდა და ის ქართულმა დაიჭირა, ქართლში კი ეს „კონსოლიდაცია“ მოხდა, ქართულმა გაიმარჯვა და ქართული მონათმფლობელური სამეფოს მემკვიდრე ფეოდალური საქართველო იშვა. ეგრისში კი ეს არ მოხერხდა და არც არავითარი მეგრული ფეოდალური ეროვნება არ ჩამოყალიბებულა, არამედ თავისი ადგილი მან ფეოდალურ ქართულ ეროვნებაში იპოვა (8—2, 16, ფურც. 29—36).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ბაბილინა ლომინაძის მიერ აღმოჩენილი ფაქტი (აფხაზეთის საკათალიკოსო ტახტის გადმოტანის შესახებ — XVI ს. ნაწილი) ავსებს ლამბერტის და სხვათა ცნობებს აფხაზთა საზოგადოებრივ-სარწმუნოებრივი ვითარების შესახებ გვიანფეოდალურ ხანაში და მოწმობს (თუნდაც ნაწილობრივ) „მცნება სარჯულოს“ ცნობას (და სხვა მისგვარ ცნობებს) აფხაზთა სარწმუნოებრივი მიქცევის შესახებ.

მაინცდამაინც უდავოა, რომ აფხაზთა ასეთი სარწმუნოებრივი მეტამორფოზი, ეს არაა ნაგვიანევი ამბავი, როგორც ჩვენში ფიქრობენ, ეს არაა XVII საუკუნის მოვლენა, არამედ გაცილებით უფრო ადრე დაწყებული პროცესია. ჩვეულებრივ ისეა მიღებული, რომ ასეთი მეტამორფოზი მხოლოდ მთის ჩამოწოლის შედეგი იყო.

ფიქრობენ, რომ ეს ჩამოწოლა მოხდა გვიან, XVII ს-ში ცნობილ ანარქიასთან დაკავშირებით 1657—1700-ან წლებში. მაგრამ სხვები ამ ჩამოწოლას, როგორც ხანგრძლივ პროცესს წარმოიდგენენ და უკვე მონგოლობიდანვე იწყებენ (მაგალითად მე)... არც ახლა უარვყოფ ასეთ რასმეს (მთიელთ ჩამოწოლას); თითქო მცირე რამ ხელშესახები საამისოდ მასალა მოიპოვება კიდეც. კერძოდ ოსმალთა მიერ (ადლერის მხრიდან) დასავლეთის აფხაზთა (მთიანეთის) გამოყენება აღმოსავლეთ-სამხრეთი აფხაზეთის დასამორჩილებლად ქართულ ფეოდალური აფხაზეთის მისაქცევად... მაგრამ ვფიქრობთ სხვა საბუთიცაა საჭირო და ასეთი საბუთი მოიპოვება კიდეც: ისე რომ, მთის ჩამოწოლა ერთადერთ მომენტად არ გამოიყურება. მაინცდამაინც ამ მომენტის მნიშვნელობა მეტად შენელდება და მოვლენის ახსნაც უფრო ბუნებრივ-ისტორიულად გამოჩნდება. ეს სხვა საბუთი, მეფიქრება, არის ის, რომ ქრისტიანობა აფხაზეთში უცხო ენაზე იყო გავრცელებული და ასეთადვე რჩებოდა, რამდენადაც აფხაზები ამ ქრისტიანული ენების (ბერძნულის, ქართულის) მიმართ ენობრივად უცხონი იყვნენ და უცხონივე რჩებოდნენ. იმისათვის რომ წერილობითი სჯული შეეთვისებინათ საჭირო იყო: 1. აფ-

ხაზები საზოგადოებრივი განვითარების შესაფერის დონეზე მდგარიყვნენ და 2. ამ წერილობითი სჯულის ეროვნული ბიბლიოთეკა ბისათვის უნდა გასაგები ყოფილიყო... აფხაზები კი საზოგადოებრივი განვითარების ხაზით არაა საფიქრებელი, რომ დიდად დაწინაურებული იყვნენ. ამ მხრით აწინდელი აფხაზეთის ძველი მოსახლეობა ორი სხვადასხვა სახეობისა ჩანს: პირველი — ბარი—აღმოსავლეთი ეგრის წყალს ქვემოთ კელასურამდე, ძველიდანვე ქრისტიანული, ლაზების ძლიერი გავლენის ქვეშ მყოფი, გალაზების გზაზე მდგომი. ნიშანდობლივია XI საუკუნის ქართველების შეხედულება ამ ქვეყანაზე, როგორც V საუკუნიდანვე შემოსულზე (ნამზითვი) ქართულ კულტურულ სამყაროში (ლეონტი). პროკოპის და ლეონტი-ჯუანშერის ცნობები აქ ერთიმეორეს ეთანხმებიან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პროკოპი აბაზგიაში მხოლოდ აწინდელი აფხაზეთის დასავლეთს — მთიანეთს ჰგულისხმობს და აღმოსავლეთი — ბარი მას აფსილიად ეგულება; ლეონტი-ჯუანშერი კი თანახმად IX—X საუკუნეში წარმოქმნილი პოლიტიკური ვითარების საფუძველზე შექმნილი წარმოდგენისა, „აფხაზეთში“ გულისხმობენ აფშილეთსაც, თუმცა აფშილეთის არსებობა კარგად იციან. მაგრამ ვიმეორებთ, ეს (ლეონტი-ჯუანშერის) წარმოდგენა იყო ამ დროის პოლიტიკური ვითარების ანარეკლი და პროკოპის წარმოდგენას, სწორსა და რეალური ვითარების ამსახველს, არსებითად არ ეწინააღმდეგება. [ფრიად ნიშანდობლივია ამ ქვეყნის —ეგრისწყალ-კელასურს შორის — თავგადასავალი. ეს ტომი თავისთავადია (აფშილები) და II საუკუნეში საკუთარი მეფე ჰყავდა (არიანე), ეს ტომი ლაზთა მეფის მორჩილებაშია და ქრისტიანულია. მას ლაზები განაგებენ(VI ს.) იმ დროს, როცა აფხაზები დამოუკიდებელნი არიან (პროკოპი). ქართული წარმოდგენით ეს ტომი (ქვეყანა) V საუკუნიდან ქართულ სამყაროში შედის (ლეონტი-ჯუანშერი), თუმცა მათივე წარმოდგენით ამ ქვეყანას აფშილეთს უკვე „აფხაზეთი“ ეწოდება — IX—X საუკუნის მოვლენათა შედეგი. ლაზთა გავლენა, როგორც ჩანს, აქ არ წყდება და ეს ეგრის წყალს ქვემოთი ქვეყანა მეგრულენოვანი ხდება კოდორამდე (ლამბერტი)].

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მეორე მოიანეთ-დასავლეთი. ეს ნაწილი თავის მხრით ორ ერთეულად იყოფოდა: არიანე აქ ორ სამეფოს ასახელებს: აბაზგებისას და სანიგებისას, ორი მეფე ჰყავთ პროკოპის მიხედვით აფხაზებს... ქვეყნის ეს ნაწილი ქართული წარმოდგენით (ლეონტი) უფრო შორსა დგას ქართული სამყაროსაგან და ბერძენთაკენ არის პირმიქცეული. ასეთი წარმოდგენა შეიძლება ანარეკლი იყოს VII—VIII საუკუნეებში ბიზანტიის პოლიტიკისა, რომელიც სულ უფრო და უფრო პროაფხაზური ხდებოდა ლაზთა მეფეების საწინააღმდეგოდ. თუმცა პროკოპიდანაც კი ჩანს, რომ ბერძნები აფხაზეთში ძველიდანვე სხედან მაშინაც კი, როცა ლაზიკა მათი გარნიზონებისაგან ჯერ კიდევ თავისუფალი იყო. ასე რომ აფხაზეთის, განსაკუთრებით „სხუაი აფხაზეთის“ პრობერძნულობა (თავისად სთვლის მას ბიზანტია), ქართულ ტრადიციას რომ დაუცავს, რეალურ-ისტორიული საფუძვლისა ჩანს...

ამრიგად ეგრის წყალს ქვემოთი ქვეყანა ორი სახისა ჩანს: ქართული კულტურის გავლენის ქვეშ მყოფი (აფშილეთი) და ბერძნული ხელისუფლებისა და კულტურის გავლენის ქვეშ მყოფი საკუთრივ აფხაზეთი და სანიგეთი. ქრისტიანობაც კი სხვადასხვა დროს გავრცელდა ამ ქვეყნებში; აფშილეთში ის ადრევე უნდა გავრცელებულიყო ლაზიკის გაქრისტიანებასთან ერთად — VI ს-ში აფშილეთი საქრისტიანოა — მაშინ როცა აბაზგია-სანიგიაში ის (პროკოპის თანახმად) იუსტინიანე კეისრის თაოსნობით გავრცელდა...

ბერძნული ქრისტიანობა აფხაზეთისათვის უცხო, თავზე მოხვეული მოძღვრება იყო. მისი გაზიარება-შეთვისება მოითხოვდა: ან აფხაზები უნდა გაბერძნებულიყვნენ კულტურულად, ან ეს სარწმუნოება აფხაზურ ენაზე უნდა გამართულიყო, თუ არა, აფხაზეთში ქრისტიანობა მუდამ ზედაპირული დარჩებოდა, და თავის არსებობისათვის მუდამ ახალსა და ახალს ძალებს მოითხოვდა საბერძნეთიდან. საკუთრივ აფხაზეთში არც ერთი მონასტერი არ ჩანს, რომ სჯულის მეცნიერნი და მოძღვარნი ამოზრდილიყვნენ (მაქსიმე აღმსარებლის თავგადასავალში

ლაზიკა-აფშილეთის მონასტრები იხსენიება თითქო...). ბერძნული ქრისტიანობა ასეთ პირობებში ბერძნული კულტურის აფხაზეთ-ბიზანტიისა ბისათვის, ე. ი. მაღალი საზოგადოებისათვის თუ იქნებოდა ხელმისაწვდომი, გასაგები და სასურველი, თორემ აფხაზური მასებისათვს ის გაუგებარი (სოციალურად) და უცხო იყო, ხოლო ენობრივად მიუწვდომელი. ასეთ პირობებში მისი მხოლოდ ზედაპირულად შეთვისება თუ მოხერხდებოდა და, გასაგებია, აფხაზური ეროვნული ზეპირგადმოცემით, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სარწმუნოებრივი შეხედულებანი ცოცხალი რჩებოდნენ...

ასეთივე სურათებს ვხედავთ ჩვენ ენობრივად ქართულ ფ შ ა ვ შ ი (ხარჭაშნელი კახეთს გაიქცა), ღ უ ნ ძ ე თ შ ი (ღუნძთა კათალიკოსიც კი, ცნობილია, იყო და ის ისლამს კი არ გაუქრია, არამედ ადგილობრივმა წარმართობამ... ამავე დროს მათი მოძმე უდები (ბარელები) ქრისტიანობას შერჩნენ...). ფშავში (ფხოვი) ქრისტიანობას ხელს არ უწყობდა ამ თემის საზოგადოებრივი განვითარება (ისევე როგორც ხ ე ვ შ ი), ხოლო ღუნძეთში მას ხელს არ უწყობდა არც საზოგადოებრივი განვითარება და არც ენობრივი მომენტი, ისევე როგორც ალან-ოსეთში (დვალეთში) და სვანეთში...

ბერძნული ქრისტიანობა ეს იყო კოლონიების ქრისტიანობა და სანამ ძლიერი იყვნენ ეს კოლონიები, სანამ ძლიერი იყო მეტროპოლია (ეს კოლონიები, როგორც ჩანს სრულიად დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებად არასოდეს ქცეულან) — ბიზანტია და მისი გავლენა შავი ზღვისპირეთზე, კოლონიების მნიშვნელობა და გავლენაც გარშემო ადგილობრივ საზოგადოებაზე შესაფერისი ძალისა უნდა ყოფილიყო. კერძოდ ასევეა სავარაუდებელი ქრისტიანობის გავრცელების საქმეშიც.

(დამახასიათებელია ეკთეზისების ჩვენებანი: ლაზიკაში იგულისხმება პეტრას, როდოპოლისის, ფოთის, აბისენონ და ძეღანევის საეპისკოპოსონი... ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, „ეგრის წყლის ქვემო“ ქვეყანაშია. ჩ ა ნ ს ე ს ტ ე რ ი ტ ო რ ი ა — ე. ი. ა ფ ს ი ლ ი ა ლ ა ზ ი კ ა დ გ ა ნ ი ხ ი ლ ე ბ ო დ ა. აფხაზეთის სამთავარეპისკოპოსო სებასტოპოლისშია. უდავო მოწმობაა აფხაზეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავრცელებულობისა კლისურამდე და მაშასადამე აფშილეთის ქალაქი ცხუმის მოქცევისა აფხაზეთში, რომლის საზღვარი პროკოპის მეხედვით გუმისტა-ანაკოფიას შორის იდო. მაინცდამაინც ბიდან ისა ჩანს, რომ „ეგრის წყლის ქვემოთი“ ქვეყანა კლისურამდე ლაზიკაში იგულისხმება, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ეს იყო აფშილეთის აღმოსავლეთი ნაწილი, ლაზიკად ქცეული იმ დროს, როცა აფშილეთის დასავლეთი ნაწილი, კელასურ-გუმისტას შორის (აბჟუა?) აფხაზეთად მითვლილიყო. ქართული წყაროების და არიანეს შეწყობა აფსილიის შესახებ თითქო ასეთი დაშვების საფუძველს იძლევა...).

კონსტანტინოპოლის საპატრიარქო მართავს ამ ქვეყნების ქრისტიანულ ეკლესიას, ის ამარაგებს აფხაზეთის ეკლესიას მქადაგებლებით — მოძღვრებით („პაპებით“). ასევე იყო საქმე ლაზიკაშიაც. ქრისტიანობა ამ ქვეყნებში სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია და იუსტინიანეს ზრუნვა ქრისტიანობის გავრცელებაზე ნიშანდობლივია...

მაგრამ დამახასიათებელია, რომ ბიზანტია არ ცდილობს ხელი შეუწყოს აქ ადგილობრივი ქრისტიანობის (ლაზურად, აფხაზურად) ჩამოყალიბებას და კოლონიების პროზელიტობას სჯერდება. (მაშინ, როცა სულ სხვა სარწმუნოებრივი პოლიტიკა ახასიათებს მას იბერიის მიმართ...). ასეთ პირობებში ბერძნული ქრისტიანობა ბუნებრივია წარმატებით ვერ შეასრულებდა იმ მისიას, რისთვისაც მოწოდებული იყო, როგორც რელიგია: ფართო მასების ცნობიერებაში უცხო ენის სარწმუნოება ვერ სძლევდა დიდის ხნით შემუშავებულ ეროვნულ წარმოდგენებს. ასეთ პირობებში ქრისტიანობა ფორმალური ხასიათისა რჩებოდა და ბერძნულ კულტურას მეტ-ნაკლებად ზიარებული თვით მაღალი საზოგადოებაც კი, უფრო პოლიტიკურად იყო ახალი (უცხო) სარწმუნოების მიმდევარ-გამტარებელი, ვიდრე სარწმუნოებრივ-მსოფლმხედველურად. იოანე საბანის ძის მთელი ლიხთიქითი ქრისტიანულია და არავინ ურწმუნო იქ არ იპოვება. ასე იყო ოფიციალურად, პოლიტიკურად. ამის კმაყოფილი იყო ბიზანტია, ამას სჯერდებოდა იმპერატორის კარი: სპარსეთთან, არაბეთ-

თან, თუ მთის იქითთან ურთიერთობაში ეს იყო საიმედო მონაპოვარი... ასევე პოლიტიკურად უყურებდნენ ქრისტიანობას (ისევე, როგორც მაზდეიანობას, თუ მაჰმადიანობას) ადგილობრივი ტრადიციის (ხშირი გადასვლა-გადმოსვლანი...); რაც შეეხება ხალხის ფართო მასებს, ის თავის ძველ სარწმუნოებრივ წარმოდგენებს იცავდა და თუ ამ ახალი უცხო მოძღვრებიდან რამეს ითვისებდა ეს იმას და იმდენად, რამდენადაც ახლად შეძენილი მის ძველ ტრადიციულ წარმოდგენებს ეთანხმებოდა, ე. ი. მასები ისევ „წარმართნი" რჩებოდნენ, თუმცა ფორმალურად „ქრისტიანები" იყვნენ...

ამიტომაც ბიზანტიის მისუსტების პირობებში, კოლონიების მნიშვნელობის შემცირების პირობებში, ფეოდალური ურთიერთობის აღმავლობისა და ქართული კულტურის გავრცელების პირობებში ადვილშესაძლებელი გახდა დიდი მნიშვნელობის ფაქტი: — ლიხთიქითში ბერძნული ქრისტიანობის შეცვლა ქართული ქრისტიანობით. დიდხანს ამ ფაქტს არ სცნობდა საპატრიარქო (ნიკოლოზ მისტიკოსი — გიორგი II), არც, როგორც ჩანს, აფხაზთა მეფეები ეშურებოდნენ დემონსტრაციას ამ დელიკატურ საქმეში (ერთი საპატრიარქოს სამწყოს წართმევა მეორეს მიერ ყოვლად გამორიცხული იყო...). ამით აიხსნება, რომ აგრე გვიან უქმდება ფოთის სამიტროპოლო საყდარი (ქუთაისში გადმოაქვთ), ძეღანევის საეპისკოპოსო (ბედიაში გადააქვთ) პეტრას საეპისკოპოსო (ხინოში გადააქვთ)...

ჩნდება ახალი კათედრები ახალი, ფეოდალური, ურთიერთობის შესაფერისი. ამრიგად, ფეოდალურ საქართველოში ქართული ქრისტიანობა მყარდება (თუ იოანე საბანის ძე VIII საუკუნეში ქრისტიანობას — თუნდაც ბერძნულს — შეჰხარის „აფხაზეთში", გიორგი მერჩული იმას აცხადებს საზეიმოდ, რომ ქრისტიანობა იქ X საუკუნეში ქართულია.) სრულიად სარწმუნოა, რომ ქართული ქრისტიანობა ლიხთიქითში უძველესიდანვე უნდა შეღწეულიყო, რამდენადაც იბერიის პოლიტიკური საზღვრები არგვეთის დიდ ნაწილსაც მოიცავდა — სკანდა-შორაპნის ხაზი... X საუკუნის მოღვაწე, აფხაზთა

მეფე დემეტრე ლეონის ძეხომ ქართული ქრისტიანობის მოღვაწეა არგვეთში —უბისაში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ქრისტიანობის „აფხაზეთში“ (—ეგრისში) გავრცელებულობის მოწმობაა, რა თქმა უნდა, მცხეთის კათალიკოსის ეგრისის კათალიკოსად მოხსენიება VII ს-ში და სხვა... მაგრამ ეს საკითხი ცალკე შესასწავლი დიდი მნიშვნელობის საკითხია და მასზედ საუბარი იმედი გვაქვს იქ გვექნება, სადაც ადრეფეოდალური ლაზიკის შესახებ გვექნება საუბარი (მოვასწრებ?)... აქ კი შეიძლება ითქვას (სხვაგანაც მაქვს სადღაც ამის შესახებ მსჯელობა. „მაკეტშიაც“ კი მაქვს, ვგონებ...) მოკლედ: ქართული ტრადიცია ქართის კულტურის შეღწევის შესახებ ლიხთიქითში რეალურ-ისტორიული ეგრისა ჩანს; ბერძნული (თანამედროვეთა) ცნობები მოწმობენ ლეონტის ცნობის სიმართლეს, რომ არგვეთი ძველიდანვე ქართლის ნაწილად უქცევიათ. დღეს არქეოლოგიაც მოწმობს ამასვე (ბორი, კლდეეთი) (რომ არაფერი ვთქვათ ო. ჯაფარიძის მიერ ყურადღებამიქცეულ ფაქტზე: რომ საჩხერის ქვეყანა შიდა ქართლის ზეგანის კულტურის ქვეყანაა ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანაში... თუმცა ეს მოვლენა, შეიძლება იმ ხანისაც კი იყოს, როცა ქართის კულტურაზე ამ ქვეყანაში და საერთოდაც, ლაპარაკი ნაადრევი იყოს); პროკოპი კესარიელით სრულიად გარკვეულად ჩანს, რომ რიონის სამხრეთი ქვეყანა სუფსის ხეობით (უფრო კი შესაძლებელია, ნიგოითის ქედის ქვეყანა) თუმცა ლაზიკად ითვლება, მაგრამ არა ასეთ ლაზიკად, როგორც რიონის ჩრდილოეთი... საფიქრებელი ხდება, რომ ამ დროს ხდებოდა ამ დაზიანებული ტერიტორიის დასახლება სამცხე-არგვეთიდან (საჩინო-საჯავახო), სამცხიდან (ზემო გურია) და „ეგრის ქვეყნიდან“ (ბათომის ქვეყნიდან) — ქვემო გურია... ამავე ხანებში ქართის ელემენტი თაკვერსაც ასახლებს (რაჭა-ლეჩხუმი). ისტორიული და ისტორიულ-გეოგრაფიული დაკვირვებანი ამ დებულების წამოყენებას შესაძლებელს ყოფს...

ასე რომ ქართული ქრისტიანობის შეღწევა ლიხს ქვემო ქვეყა-

ნაში არსებითად განსხვავდებოდა ბერძნული ქრისტიანობის პოზიციებიდან ამავე ქვეყანაში. ბერძნული ელემენტი, ოღონდ საც უნდა ვიფიქროთ, ეს ქრისტიანობა თავდაპირველად ემყარებოდა ... ზღვისპირა კოლონიებში ბოგინობდა და მისი ხვედრითი წონა ლიხთიქითის საზოგადოებაში სულ უფრო და უფრო მცირდებოდა რომის მონათმფლობელური იმპერიის დასუსტებასთან დაკავშირებით. ბერძნული ენა ყოვლად უცხო იყო მოსახლეობის ფართო ფენებისათვის, ასევე უცხოდ გამოიყურებოდა ბერძნულ კულტურას ნაზიარები ბერძნული ქრისტიანობა...

ქართული ქრისტიანობა ქართული მოსახლეობის შეღწევას მისდევდა, ის ღვიძლი იყო ამ მოსახლეობისა. მაგრამ ქართული ქრისტიანობა მეგრულ მოსახლეობისათვისაც არ უნდა ყოფილიყო, რა თქმა უნდა, ისე შორს, როგორც ბერძნული ქრისტიანობა არც ენობრივად, არც კულტურულად... აღმავალ ფეოდალურ ურთიერთობასთან შეხამებული ქართული ქრისტიანობა ამ მხრითაც უფრო სათნო და მისაღები უნდა ყოფილიყო ფეოდალური ურთიერთობის საფეხურზე შემდგარი ეგრისისათვის... ამიტომაც მოხდა, რომ ქართული ქრისტიანობა ეგრისში მიიღეს, როგორც ღვიძლი და მის შემდგომ შემოქმედებაში ცხოვლად მონაწილეობენ (ჭყონდიდის სვეტი). ამ კონტექსტში დამაფიქრებელია: ის ქართული წარწერა პალესტინიდან, გ. წერეთელმა რომ გამოსცა, მართლა „ლაზთა მონასტრისა“ ხომ არ არის?

ამრიგად ქართული ქრისტიანობა ლიხთიქითში ქართული მოსახლეობით შედიოდა და იგი თავის მხრით ამ ქვეყანაში ქართიზაციის ძლიერ ფაქტორად გამოდიოდა. ამასვე დიდად ხელს უწყობდა არა მარტო ის გარემოება, რომ ქართები და მეგრელები საერთო კულტურის შემოქმედი ღვიძლი ძმები იყვნენ, არამედ ისიც, რომ საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით ისინი ერთ საფეხურზე იდგნენ — აღმავალი ფეოდალური ურთიერთობის საფუძველზე...

ლიხთიქითის მოსახლეობის კულტურული დაკავშირება ურთიერთთან განსაკუთრებით ინტენსიური უნდა ყოფილიყო სწორედ ამ ფეოდალური აღმავლობის ხანაში. ამ პროცესს ხელს ვერ უშლიდა

ბიზანტიის სამეფო კარის პოლიტიკა იქითკენ მიმართული, რომ ტომთა გათიშვის გზით საკუთარი ბატონობა შეენარჩუნებინა...

VIII—IX საუკუნეებში ეს კულტურული შერწყმა საკმაოდ შორს წასული პროცესი უნდა ყოფილიყო. თავისთავად ეს ინტენსიური პროცესი ქართის ელემენტის შეღწევისა ლიხთიქითში და ეს განსაკუთრებით იმ დროს, როცა იბერიას დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობა უკვე დაკარგული ჰქონდა და ძლიერ შევიწროებას განიცდიდა ჯერ სპარსელების, ხოლო შემდეგ არაბთა ბატონობის შედეგად, მაშასადამე, კოლონიზაცია არა ომით, დაპყრობით არამედ... უნდა ვიფიქროთ, მშვიდობიანად, — მოწმობაა იმისა, რომ ეს ორი ქვეყანა მჭიდრო კულტურულ კავშირში უნდა ყოფილიყო ურთიერთთან: — დაახლოებით ისეთივე პროცესი, როგორიც დგინდება კლარჯეთ-შავშეთისათვის VII—VIII საუკუნეებში. როცა ქართლიდან ლტოლვილებმა კვლავ დაასახლეს ამოწყვეტილი ქვეყანა...

IX საუკუნის დამდეგისათვის ლიხთიქითი აყვავებული ქვეყანაა. მოსახლეობა მშვიდობიანად ცხოვრობს და წინ მიიწევს. ბერძენთა მფლობელობა თითქმის ნომინალურია. აფხაზთა მთავარი, ბერძენთა-ვე მიერ გაძლიერებული, მთელ ლიხთიქითსა ფლობს, მაგრამ ეს არის აფხაზთა მიერ ეგრისის დაპყრობა. ეს არის აფხაზთა მთავრის ჰეგემონია, მაგრამ ძველი ტომების გაერთიანებისაგან ეს გაერთიანება არსებითად განსხვავებულია, ეს გაერთიანება არც ძველ ლაზთა მეფის ხელთ გაერთიანებას ჰგავს, არც, მით უფრო, კოლხთა სახელმწიფო გაერთიანებას. აფხაზთა მეფეების პოლიტიკის პროგრესულობა იმაში იყო, რომ ის როგორც ა ღ მ ა ვ ა ლ ი ფ ე ო დ ა ლ უ რ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს გ ა ნ ს ა ხ ი ე რ ე ბ ა, ბუნებრივია, ამ საზოგადოებას დაემყარა, ხოლო ეს საზოგადოება ძირითადად, კ უ ლ ტ უ რ უ ლ ა დ ქ ა რ თ უ ლ ი იყო და ეს იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა წარმოშობისა იყო ამ კულტურის მატარებელი: ქართლის, მეგრულის თუ აფხაზურის. ასეთ პირობებში გასაგებია აფხაზთა მეფეების ქართული პოლიტიკა, მათი „ქართლსა ზედა“ ბრძოლა. (ამ ბრძოლაში, გასაგებია, მცხეთის ეკლესია აფხაზთა მეფეების მხარეს უნდა მდგარიყო...).

უძველეს ხანაზე საუბარი (კოლხეთის სამეფოს ან ეგრისის სამ-

ფლობელოს შესახებ) ჯერჯერობით ნაადრევია (თუმცა ვანის გათხრებს, რაჭის გათხრებს და საერთოდ ლიხთიქითის არქეოლოგიას, თუ ისტორიულ გეოგრაფიას საკმაო შუქი შეაქვთ ამ უბნებზე), მაგრამ უფრო მოგვიანო ხანაში (ადრეფეოდალური ურთიერთობის ხანაში) ჩვენ რეალურად ვგრძნობთ, რომ ლიხთიქითი და განსაკუთრებით ამ ქვეყნის ბარ-ზეგანი ერთი კულტურის ქვეყანაა მიუხედავად აქ მცხოვრებ ტომთა განცალკევებულობისა.

მართალია ზოგი ტომი უფრო დაწინაურებულია, ზოგი უფრო პრიმიტიულია, მაგრამ მეტ-ნაკლებად ყველა ფეოდალური ურთიერთობის საფეხურზე ჩანან შემდგარი. (სხვა სურათია მთიანეთში, სადაც სამხედრო დემოკრატია მოჩანს). ქართულ ტრადიციას კარგად შემოუნახავს ეს მომენტი (ლეგენდაში გახვევის გზით: ფარნავაზის და ქუჯის მოღვაწეობა, ვახტანგ გორგასალის მოღვაწეობა, ეგრის წყლის ქვემოთის საგანგებო აღნიშვნა, ბერძენთა პრეტენზიები საკუთრივ აფხაზეთზე...).

და ეს კულტურული ურთიერთობა ახლა, ახალ ხანაში ამჟღავნებს ახალ ტენდენციას ამ ტომების უმაღლესი კლასების კულტურული შერწყმისას („ტომები" ამ ხანისათვის რუდიმენტულია...). ჩვენ არ ვიცით ოფსიტეს და სკეპარნას კულტურული სახე, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ლეონ აფხაზთა მთავარი, ისევე როგორც მისი მეზკვიდრენი, ქართული კულტურის წრეში არიან ძირითადად მოქცეულნი. დამახასიათებელია ქართული ტრადიციის ცნობა ლეონ მთავრის ყ მ ო ბ ი ს შესახებ ს ი ძ ო ბ ი თ. საშუალო საუკუნეებში სიძე-სიმამრობა და საერთოდ „მოყვარობა" მძევლობის გვერდით, ერთ-ერთი ძლიერად მოქმედი საშუალება იყო არა მარტო პოლიტიკური გავლენისათვის, არამედ კულტურული ურთიერთობის ხელის შეწყობისათვის.

ვინც ამ ინსტიტუტს დაკვირვებია, მისთვის საცილობელი არ შეიძლება იყოს ეს გარემოება და გასაგებიც იქნება ის დაჟინება, როგორც ამას ესა თუ ის ფეოდალური სახლი მიმართავდა. კულტურულ უპირატესობის პირობებში, ესა თუ ის სახლი მარჯვედ იყენებს ამ ინსტიტუტს მოყვრის სახლში თავისი კულტურული გავლენის

დასამყარებლად, ხოლო ნაკლები კულტურის მქონებელი არ ებრძვის ასეთ გავლენას, მით უფრო, თუ კულტურულ უპირატესობასთან ახლავს შესაფერისი პოლიტიკური ძალა... სხვა ანალოგიურ ფეოდალურ ხანისათვის დამახასიათებელ ინსტიტუტებთან (მამამძუძეობის, მძევლობის...) ერთად, მ ო ყ ვ რ ო ბ ა ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა კულტურული გავლენის შესატანად. ქრისტიანობა და ქართველობა ფეოდალური საზოგადოების უმაღლესი ფენებისათვის სინონიმურ ცნებად უნდა ქცეულიყო და ეს ასეც იყო. აფხაზი ლეონიდები და მათი უახლოესი გარემოცვა მხოლოდ ქრისტიანები კი არ ყოფილან, არამედ „ქართველი" ქრისტიანები. ფეოდალური ურთიერთობა მათ ამ პირობებში უმჭიდროესად აკავშირებდა მათივე კლასობრივ მოძმეებთან (იგივე პროცესი exceptis excipiendis ამავე დროს მიმდინარეობდა მეტის თუ ნაკლების ინტენსივობით ყველა არაქართულად მოსაუბრე ტომებს (თუ ხალხებს) შორის. დამახასიათებელია ქართული ტრადიცია: ამ ტრადიციას ეგრები ფარნავაზის დროიდანვე შემოჰყავს ქართულ კულტურულ სამყაროში, ჰერები ქრისტიანობის შემოსვლის დროიდან — მირიანი, ეგრის წყალს ქვემოთ კლისურამდე ვახტანგ გორგასლის დროიდან, ხოლო საკუთრივ აფხაზეთი, ამ ტრადიციას ბ ერ ძ ნ ე ბ ი ს ა დ მ ი მ ი დ რ ე კ ი ლ ა დ ეგულება...).

ასე რომ აფხაზი მაღალი საზოგადოება უნდა ქართული ყოფილიყო (და იყო კიდევაც), როცა აფხაზთ მეფეები საქართველოს გამაერთიანებლის როლში გამოვიდნენ. მაგრამ სულ სხვა იყო აფხაზთა მასების ვითარება.

აწინდელი აფხაზეთის ტერიტორია იმ ძველ დროს, როგორც ეს ცნობილია, სხვადასხვა ტომებით დასახლებული ქვეყნები იყო. მისი აღმოსავლეთი ნაწილი, „ეგრის წყლის ქვემოთი" (კლისურამდე), შიდა ეგრისის მეზობლად მდებარე ქვეყანა ოდესმე ცალკე სამეფო (II ს.), ადრე საშუალ საუკუნეებში ლაზთა სამეფოში შემოდიოდა. ქართული ტრადიციაც და ბერძნული წყაროებიც (პროკოპი) ამას თანახმად მოწმობენ. პროკოპით ისიც შეინიშნება თითქო, რომ ეს ქვეყანა უფრო მჭიდროდ არის ლაზიკასთან დაკავშირებული, ვიდრე

სხვა ასევე ლაზთა მეფის მორჩილებაში მყოფი არალაზური ქვეყნები (სკვმნია, სვანია...). შესაძლებელი ხდება იმის ფიქრიც, რომ ამ ქვეყანაში მეგრული ელემენტი ძლიერად იყო თავიდანვე გავრცელებული, განსაკუთრებით ქვეყნის ბარისა და ზეგანის ნაწილში (კოდორი, ოჩამჩირე, ჯიხახორა თითქო ამას მოწმობენ). ლ ა ზ უ რ ს ა მ ყ ა რ ო შ ი დარჩა ეს ქვეყანა მას შემდეგაც, რაც ლაზიკის სამეფო დაეცა და აფხაზეთის სამთავრო წამოიწია. და ასევე რჩებოდა ის საშუალსაუკუნეთა სიგრძეზე, ვიდრე XVII საუკუნის მიწურულამდე. ამ ხნის განმავლობაში ეს ქვეყანა მთლიანად გამეგრულდა, (ლამბერტი)...

აწინდელი აფხაზეთის მეორე ნაწილი, კოდორ-გუმისტას შორისი (შუა სოფელი) აფშილეთის ძირითადი ტერიტორია, საკუთრივ აფხაზეთის მეზობლად მდებარე ქვეყანა იყო (აქვე მთებში აფშილთა მეზობლად მისიმიელები სახლობდნენ...). აღმოსავლეთის მეზობელთა (ლაზების) გავლენა უფრო მცირე უნდა ყოფილიყო, მაინცდამაინც კლისურები იმის მოწმობაა, რომ იმ დროს (ამ კედლების აგების ეპოქაში) ეს ქვეყანა უფრო ახლოა (პოლიტიკურად) საკუთრივ აფხაზეთთან, ვიდრე ლაზიკასთან.

კიდევ უფრო შორს იდგა საკუთრივ აფხაზეთი (ანაკოფიის დასავლეთით). ის პოლიტიკურადაც არ მორჩილებდა ლაზთა მეფეებს, უმეშვეო პოლიტიკურ ურთიერთობაში იმყოფებოდა ბიზანტიასთან და ასე იყო, როგორც ჩანს, ძველი დროიდანვე... მეორე მხრით ეს საკუთრივ აფხაზეთი უფრო მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდა. ბუნებრივია, მთისძირობა, თუ მთის იქითაც მოძმეებთან...

ასე რომ თუ აფხაზთა მასა ბერძნული ქრისტიანობის გაუგებარი იყო, მისი ყოველმხრივი უცხოურობის გამო (მთის იქითელები მეტისმეტად მცირედ განიცდიდნენ ქრისტიანობის გავლენას და საბოლოოდ „წარმართნი“ რჩებოდნენ... ნიკოლოზ მისტიკოსი და გიორგი II...), ის ასეთივე უნდა აღმოჩენილიყო (დაახლოებით) თვით ქართული ქრისტიანობის მიმართაც, რომელსაც, სავარაუდოა, საკმაოდ გვიან უნდა შეეცვალა ბერძნული ქრისტიანობა... (ბიჭვინტის საეპისკოპოსოს დაარსების საკითხი... გიორგი II და ნიკოლოზ მისტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოსი... ეკთეზისები...)... რა თქმა უნდა ვითარება შეიცვალა და გვიან (XII—XIII სს) ქართული ქრისტიანობა უფრო ღრმად შეიჭრა ფენებში [და ეს იმ ნიადაგზე, რომ ქართული ფეოდალური ურთიერთობა კავკასიის ფეოდალური ურთიერთობის ცენტრი გახდა (ვეფხისტყაოსნის კულტურა)]. მაგრამ, საფიქრებელია, ქართული ქრისტიანობა და ქართული ფეოდალური კულტურა აქ მაინც ზედაპირული იყო და თავის შიგნით უპირატესად ფეოდალურ წრეებს ითრევდა, ხოლო ძირეული მასა ძველებურად რჩებოდა და ქრისტიანობას მხოლოდ თავისებურად „წარმართულად" ითვისებდა, მაშინ როცა ფეოდალური წრეები ქართველდებოდნენ (ქართული ფეოდალური კულტურა, ქართული მწიგნობრობა, ქართული ქრისტიანობა... ზრდილობა, მეფის თუ ფეოდალთა კარი, დარბაზის ყმები...).

ასეთივე რჩებოდნენ ყველა ეს კავკასიანები: ჩერქეზ-ჯიქები, ოსები, ღუნძები, დიდო და ავარები... ე. ი. ყველა ისინი, სადაც ქართულმა ქრისტიანობამ, ქართულმა კულტურამ საზოგადოების უფართოესი მასების გაქართველება ვერ შეძლო... [კიდევ და კიდევ ისმის საკითხი, როგორ მოხდა, რომ ჰერეთი გაქართდა (ქართები შესახლდნენ, სტრაბონის ცნობა კამბეჩანის მოსახლეობის შესახებ), სკვმნია, სამოქალაქო, არგვეთი, გურია გაქართდა, ხოლო ოდიში („შიდა ეგრისი") შერჩა „მეგრელობას" — ძველი პოლიტიკური ჰეგემონობის მატარებელი ხალხი... პოლიტიკური ცენტრი გარე ეგრისში ე. ი. ქუთაისში იქნა გადმოტანილი... ჰეგემონობა დაკარგა, ის ქართზე გადმოვიდა... ქუთათისის საერისთავო... შევიწროებული ოდიში, გაქართების საზღვარზე მდგომი, კულტურულად (ფეოდალურად) დიდი ხანია გაქართებული, შერჩა patua ენას.

ასე რომ „მეგრელობა" ფეოდალურ საქართველოში კულტურულად არც არსებობს; აქ ისეთივე ფეოდალური საქართველოა, როგორც მის მეზობელ გურიაში, ან სამოქალაქოში, თუ სხვაგან: ქართული კულტურა ღრმად არის ხალხში გამჯდარი და თუ რომელიმე აფხაზეთში მხოლოდ თავადები ქართველდებიან (ანჩაბაძე,

შარვაშიძე...), აქ ეს მოვლენა საერთო ტენდენციაა: თოფურიძე, ჯიქიძე, აფაქიძე, ჭორთოძე, ჭილაძე, მჯეცისძე, ემენელაის-ძე და სხვა ათასი...].

ეროვნული ბიბლიოთეკა

და როცა გვიან ქართული ფეოდალიზმის (ვეფხისტყაოსნის კულტურის და მისი ეკლესიის) ძალა შესუსტდა (ივანე ჯავახიშვილის გამოთქმით, თემობრივობა გამოცოცხლდა იხ. მისი „ისტორია" IV. 181). როცა მთამ შემოუტია ბარს [და თემობრივობის გამოცოცხლება აქ პირველ რიგში ერისთავ-აზნაურობისა და ქრისტიანული ეკლესიის წინააღმდეგ გამოსვლებში გამოიხატა; ასე იყო დიდოეთ-ავარიაში — გაქრა ქრისტიანობა, ასე იყო ქსან-არაგვზე (ძეგლის დება...), ასე იყო სვანეთში (ბაგრატ V...), ასე იყო დვალეთ-ოსეთში], — თემობრივობა აფხაზეთშიაც „გამოცოცხლდა". (მ— 2, 15. ფურც. 152—167).

3. ჩვენ რომ მხოლოდ უცხოურ წყაროებს დავემყაროთ სრულიად აუხსნელი დაგვრჩებოდა დასავლეთ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება VIII—IX საუკუნეში რომ შეიქმნა და რომელიც ქართული („აფხაზთა მეფის") სამეფოს წარმოქმნაში გამოიხატა... უცხოური წყაროები ცალი სიტყვითაც კი არ გვაცნობენ, რომ VIII საუკუნეში დასავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი გაქართებული იყო (არგვეთი, მოხირისი, საჯავახო, გურია, რაჭა, აჭარა). ამიტომ ქართული წყაროები, თუნდაც გვიანი, ამ გარემოებაზე რომ მიუთითებენ, სარწმუნოდ გამოიყურებიან. ქართული წყაროებით ის ჩანს, რომ აღმოსავლური და დასავლურ ქართული ტომების ეთნიკური შერწყმა დიდი ხანია მიმდინარეობდა და VIII საუკუნის მიწურულისათვის ამ პროცესმა ისეთ საფეხურს მიაღწია, რომ იქ, ლაზიკაში, ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა რეალურად შესაძლებელი გახდა, უკეთ, აქ სხვა სახელმწიფოს არსებობისათვის რეალური პირობები აღარ იყო. რა თქმა უნდა, იგულისხმება ფ ე ო დ ა ლ უ რ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო მთელი დასავლეთ საქართველოს გამაერთიანებელი.

ასე რომ აფხაზთ მეფეთა პოლიტიკა რომ ქართული იყო, ეს ლაზურის ქიშპით თუ შიშით გამოწვეული კი არ იყო, ა რ ა მ ე დ ე რ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თადერთი სწორი პოლიტიკა იყო დასხვა ან-
ჩევანი აფხაზთ მეფეებს არ ჰქონდათ... ეს ფეოდალ-
იქნებოდა ლაზთა დინასტია რომ ჩადგომოდა სათავეში ფეოდალუ-
რად გაერთიანებულ დასავლეთ საქართველოს... ლაზურიცა და აფ-
ხაზურიც გადასული ხანის ზესაფერისი იყო. ფეოდალური და-
სავლეთ საქართველო მხოლოდ ქართული შეი-
ძლება ყოფილიყო... უკეთ რომ ითქვას, ამ საფეხურის (მაღა-
ლი) ფეოდალური გაერთიანება ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე
სხვა არ შეიძლებოდა ყოფილიყო თუ არ ქართული... (წიგნი 56,
ფურც. 12—13).

4. ჩაჩ (ჩა(ნ)ჩ, ჩა(მ)ჩ, ჭა(ნ)ჭ, ჭაჭ) ფრიად გავრცელებული ჩანს. ამ ტომის ღრმა ქართველიზაციაზე (თუ იმთავითვე ქართველობაზე) მიუთითებს მისი აგრე გავრცელებულობა აქაურ ონომასტიკონში (ჩაჩავა, ჩაჩიბაია, ჩანჩიბაძე, ჩაჩბა. ჭაჭასძე, ჭანჭისძე, ჭანჭათა, ჭა-ჭიეთი, ჩანჩაბერი, ჩიჩიკაშვილი? ჩაჩაშვილი?...).

ასე რომ უთაღო ჭ ა ჭ ა ს ძ ე (X I ს.) შეიძლება მართლაც ჩაჩას-ძე ე. ი. ჩაჩბას სახელნაცვალი იყოს. შეიძლება ეს მხედართმთავარი ყველაზე ადრინდელი მოწმობა იყოს „აფხაზ“ ჩაჩბასი. ვინ იყვნენ ეს ჩაჩები? ევლიათი ის „ტომი“ იყო. ეგევე იგულისხმება ქართული ონომასტიკონითაც. თუ ევლიას ცნობა ჩაჩის „მ ე გ რ უ ლ ა დ ა ც“ საუბრის შესახებ სწორია, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ ეს ტომი ძლი-ერ ეგრიზაციას განიცდის (ევლია ჩაჩს თითქო აფხაზად სთვლის, მაგრამ ცალკე ტომად და მეგრულადაც მოსაუბრედ)[2]. ასე იყო თუ არა, ის მაინც ცხადია, რომ ჩაჩთა ეგრიზაცია ძლიერია. ეს თვით ამ ჩაჩის უძველესი წარმომადგენლის (ჩ ა ჩ ბ ა ს) გვარსახელიდან კარგად ჩანს: შ ა რ ვ ა შ ი ძ ე. ეს გვარსახელი აშკარად მეგრული წარმოებისაა: შ ა რ ვ ა შ ი პ ლ უ ს ქართული ძ ე. ევლიას ცნობა (ჩაჩის აფხაზობა) და ჩაჩის ონომასტიკონი (მისი გავრცელებულობა გურია სამეგრელოში და შარვაშისძის ჩაჩობა) შეიძლება ასე შევა-

[2] ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, გ. ფუთურიძის თარგმ. ნაკვ. I, თბ. 1971, გვ. 100

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგოთ: ჩაჩი ტომია კავკასიანური, შეიძლება აფშილების მონათესავე, უძლიერესი გავლენის ქვეშაა ეგრისის მხრით. ის [illegible] (ჩაჩბა კი არა, მაშინ ა გ რ ბ ა გვექნებოდა). მაგრამ გამორიცხულია განა ჩაჩის ქართველობა? მით უფრო, თუ ჭ ა ნ ჭ ა თ ს და ჭ ა ჭ ი ე თ ს (შეადარე ჭ ა ნ ი ე თ ი) ამავე ძირიდან ნაწარმოებად ვივარაუდებდით... ასე რომ ევლიას ცნობა არც ისე ფუძემდებლური ჩანს...

ჩაჩბა, ჩაჩიბა, ჩა(ნ)ჩიბა — ჩაჩური წარმოება კი არაა, არამედ აფხაზური, ისევე როგორც აგრბა. და ეს მოწმობანი ჩაჩის ტომის არსებობის დასამტკიცებლად გამოდგებიან მხოლოდ...

მეორე მხრით, თუ ევლია ჩაჩში მეგრულისაგან განსხვავებულს, აფხაზურის მონათესავე ტომს ხედავს, აფხაზები ამ ტომს „აფხაზებს“ არ ეძახიან, არამედ ჩაჩს და მეორეც, აფხაზები ჩაჩის ტომის შვილს, ყველაზედ განთქმულს -- ჩაჩბას — თუ ერთის მხრით ჩ ა ჩ ი ს შ ვ ი ლ ს (—ჭაჭას ძეს) უწოდებენ, მეორეს მხრით ამ გვარს ჩაჩშარვაშიძეს „ქართველს“ უწოდებენ. არაა საფიქრებელი რომ ეს „ქართველობა“ იმ ნიადაგზე მოხდა, რომ შარვაშიძე ფეოდალი „ქართულ სამყაროს“ ფეოდალი იყო (მაშინ ანჩაბაძეც და სხვებიც ქართველებად უნდა ეგულვათ აფხაზებს); ასე რომ ჩაჩბას ქართველობა თითქო უფრო ეთნიკურ მომენტს ჰგულისხმობს.. მაგრამ „შარვაშიძე“ ხომ ეგრისზე მიუთითებს უკეთ, იმ ტომზე, რომელიც მეგრულის დიალექტზე ქმნიდა თავის ონომასტიკონს... ასე რომ ჩაჩშარვაშიძის ქართველობა უფრო ფეოდალური კულტურის ერთიანობის შედეგადაა მიღებული, როცა ეს კულტურა საყოველთაო გახდა კავკასიის უდიდეს ნაწილში და როცა, საფიქრებელია ჩაჩშარვაშიძემ განსაკუთრებული ენერგია და უნარი გამოიჩინა და საქართველოს მეფეების („აფხაზთა მეფეების“) პოლიტიკის დასაყრდენი გახდა შორეულ (პროვინციად ქცეულ) აფხაზეთში...

ჩაჩის გავრცელებულობისათვის საინტერესოა აგრეთვე ქართლის საგეოგრაფიო სახელი ჩ ა ჩ უ ბ ე თ ი (ჭანჭათისა და ჭაჭიეთის ანალოგიით). ხომ არ გვაქვს ჩვენ აქ კვალი ფეოდალური ხანის „კოლონიზაციისა“, როცა მეორე მხრით ა ჩ ა ბ ე თ ი ც წარმოიშვა და სხვა და სხვა...

ფრიად საინტერესოა, თუ სად მოსახლეობდა ეს ჩაჩი (ჩაჩი ასეთი გავრცელებულობა გამორიცხავს იმის დაშვებას, რომ ტომი კი არ იყო არამედ მეთაურის, წინამძღოლის სახელისაგან წარმოები სახელი, აი როგორც მომთაბარე ტომებში იყო ყაჯარი, ოსმანი და სხვა...).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად გულისხმობს მას ევლია? ამასთან კავშირში ფრიად საყურადღებო ჩანს საგეოგრაფიო სახელი ო ჩ ა მ ჩ ი რ ე... დღეს მას ორგვარი ახსნა მოეპოვება ამხ. ამხ. ჯიქიასი და როგავასი. ამხ. როგავას ეტიმოლოგია იმ მხრით არის საყურადღებო, რომ ის ძველია და ზანური ენის საფუძველზე იხსნება. ასე რომ ჩვენი აფხაზოლოგების აფშილიის შუა გულში ასეთი ზანური წარმოების საგეოგრაფიო სახელი ფრიად ნიშანდობლივია... მაგრამ შეიძლება ო ჩ ა მ ჩ ი რ ე ჩაჩ-საც დაუკავშირდეს და ზანური ენის ნიადაგზევე აიხსნას: ო ჩ ა-(მ)ჩირე — ოჩა(ნ)ჩირე ოჩაჩირე — ჩაჩირი (მაგრამ რა არის ეს რი? სიმრავლის აღმნიშვნელი?...).

ამ ჩვენი სახელდახელო შენიშვნიდან ის მაინც ჩანს, რომ: 1. დასავლეთ საქართველოში ტომთა სიმრავლე აგრე ნიშანდობლივ ხაზგასმული ბერძენ მწერალთა მიერ (სტრაბონი, არიანე, პროკოპი და სხვანი) რეალური ამბავია, და რომ გულმოდგინე დაკვირვებით, როცა ჩვენ დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, ონომასტიკონი და ისტორიული გეოგრაფია გათვალისწინებული გვექნება, შესაძლებელია არაერთი იმ ძველი ტომის სახელისა და ადგილსამყოფელის დადგენა... 2. ისიც ჩანს, თუ როგორის ინტენსივობით ავრცელებდა ქართლი თავის დიდ საქმეს ქართველური, თუ არაქართველური ტომების შემოკრებისას. საფიქრებელი ხდება (და დასაშვებიც), რომ ქართლი მარჯვედ სარგებლობდა ტომების ურთიერთშორის ქიშპითაც... ისიც ნათელი ხდება, თუ რას ნიშნავს იმ დროს „ქართველი", რა ახალი შინაარსით ივსება ეს ცნება ფეოდალური ურთიერთობის მოწიფულობის ხანაში (ვეფხისტყაოსნის კულტურით), როგორ არის, რომ ჩაჩბა შარვაშიძე „ქართველია", ქართული კულტურის გამტარებელი. ალბათ ასეთივე უნდა წარმოვიდგინოთ „ქორთოძეთა" გვარი ეგრისში, ისევე როგორც დადიანი (სვანი). ეს ქრისტია-

ნიზაციის გამოხატულება კი არ ყოფილა (ესენი დიდი ხანია ქალკე-
დონიტები იყვნენ ბერძენ-ქრისტიანები...), არამედ ფეოდალური ბრ-
წოფულობის ხანის დადგომისა... ამ პროცესში ერთი იყო აფხაზი და
ჩაჩი (ანჩაბაძე, შარვაშიძეს არ ჩამოუვარდებოდა), სვანი, თუ ეგრი...
მ ა რ უ შ ი ა ნ ს, მ ა რ უ შ ი ს ძ ე ს, მ ა რ შ ა ნ ი ა ს ქართლის, უკეთ
საქართველოს პატრიოტობაში ვერავინ შეეცილება და არაა გამო-
რიცხული, რომ ეს გვარი ძირეულად დალი — წებელდელი სვანე-
ბი ყოფილიყვნენ... (წიგნი 56. ფურც. 17—20).

5. ქართული ფეოდალური აზროვნება მუდამ ერთ სამყაროდ
სთვლიდა კავკასიას (ლეონტი), კიდევ უფრო — „საქართველოს“,
რომლის სწორუფლებიანი წევრები იყვნენ ჰეროსის, ქართლოსის და
ეგროსის ხვედრი ქვეყნები — მათ შორის სვანეთი, აფხაზეთი... ყვე-
ლა ესენი „ქართველები“ იყვნენ და ეს არა მარტო კონფესიური
თვალსაზრისით, არამედ ფ ე ო დ ა ლ უ რ ი კ უ ლ ტ უ რ ი ს თ ვ ა ლ-
ს ა ზ რ ი ს ი თ. სხვა ე რ თ ი ა ნ ი ფ ე ო დ ა ლ უ რ-კ უ ლ ტ უ რ უ-
ლ ი ე რ თ ე უ ლ ი „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი“ ი მ დ ro ს ა რ
ა რ ს ე ბ ო ბ დ ა. (წიგნი 37. ფურც. 1).

6. განა ოსების ჩამოწოლა ქართლში XIV ს-ში უმალვე კლასთა
ბრძოლად არ იქცა? განა კახელების გ ა ლ ე კ ე ბ ა (დავით იმამყუ-
ლის წერილები ვახტანგთან) კლასთა ბრძოლა არ იყო? და განა
XVIII ს. ფაქტი „ს ა ი ნ გ ი ლ ო ს“ გაჩენა იმავე კლასთა ბრძოლის
ნიადაგზე არ აიხსნება? განა ლეკთა უპირატესობა ტომობრივი მო-
მენტი იყო?? ჩამოსულ ოსებს, როცა ისინი ტ ო მ უ რ ი რ ჩ ე ბ ი ა ნ
და არ ქართველდებიან, როცა ისინი ქართულ ფეოდალურ ურთი-
ერთობას გადაშენებით ემუქრებიან, ქართული ფეოდალური ხელი-
სუფლება არ ინდობს, „აღფხურის“ (გიორგი ბრწყინვალე) მათ.
ხოლო იგივე ფეოდალური ხელისუფლება (მეფე თავად-აზნაურობა)
ხიზნებად დაისვამს მათ და ბატონყმობას სთავაზობს, როცა ისინი
ტომობრივად კი არა, გლეხურად მოდიან. განა ასეთივე არაა სურა-
თი ჰერეთში? ლევანი, ალექსანდრე, თეიმურაზ, არჩილი, იმამყუ-
ლი... სად ტომობრივობა და სად აზონის აზნაურნი, სად ტომობრი-
ვობა და სად საურმაგის წარჩინებულნი, სად ტომობრივობა და სად

სპარსთა ჯარები (ქართველ მეფეებს), სად ტომობრივობა და სად ოსები და სხვა კავკასიელი როქის ჯარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად ტომობრივობა და სად ბაგრატ IV „წარმართნი“;

სად ტომობრივობა და სად ლიპარიტ ბაღვაშის ვარანგები და ტაღმანი:

სად ტომობრივობა და სად დავითის ყივჩაყები, მონასპა;

სად ტომობრივობა და სად ყუბასარი, ან ყივჩაყნიახალნი;

სად ტომობრივობა და სად ეს ქალაქები არაბულ-სპარსულ-სომხური მოსახლეობით;

სად ტომობრივობა და სად ორტაღები (ურია, სომეხი, მაჰმადიანი);

სად ტომობრივობა და სად ბრძოლა ველთან, მომთაბარეებთან;

სად ტომობრივობა და სად ბრძოლა მთასთან (მთიული, სვანი, ოსი);

სად ტომობრივობა და სად აზნაურთა მოსულობა.

მაგრამ ლეკებმა, ოსებისაგან განსხვავებით, ის შეძლეს რომ ტომობრივ ჩამოსახლდნენ და ქართულმა ფეოდალურმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო მათი „აღფხურა“, რაც შედეგი იყო სპარსეთ-ოსმალეთის მხრით მათი მხარის დაჭერისა ფეოდალური საქართველოს საზიანოდ (შაჰ-აბაზი და სხვა).

და რატომ არა გვაქვს საბუთი ასეთივე სურათი აფხაზეთშიაც ვივარაუდოთ? მთიული აფხაზები ტომობრივ ჩამოვიდნენ. დამჩდური აფხაზური მოსახლეობა ეძმო მოსულთ კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე (გაქართველებული აფხაზ თავად-აზნაურობის წინააღმდეგ ბრძოლაში). მაშასადამე აფხაზების ტომობრივი ჩამოსვლა და მათი ბრძოლა ქართული ფეოდალური ურთიერთობის წინააღმდეგ, იყო ამავე დროს ბრძოლა „ქართულის“ წინააღმდეგ და აფხაზეთი „მიიქცა წარმართად“. აღდგა ადრეული ფეოდალიზმი, აფხაზური მიწისმფლობელობა

(შარვაშიძე ისევ ჩაჩბა გახდა, ხოლო ანჩაბაძე — აჩბა). აფხაზი თავად-აზნაურობა შეურიგდა შექმნილ ვითარებას... და იწყო „აფხაზეთ-ზება“ არა მარტო მოძმე აფხაზებმა (ბარელებმა), არამედ ... ზღვისპირეთის ყველა გლეხმა. შ ე ი ქ მ ნ ა ა ფ ხ ა ზ ო ბ ა (ადრეული ფეოდალიზმი). „ქართულ“ ბატონყმობაში სულამოხუთული გლეხობა არა მარტო ზღვისპირეთისა მიეტანა აფხაზობას, არამედ აფხაზეთი ყველა ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი გლეხის თავშესაფარი გახდა. და შეიქმნა ა ხ ა ლ ი ა ფ ხ ა ზ ე თ ი. რა შუაშია აქ ტომობრივობა, ის რაღაცას ხელს უშლის, რაღაცას ხელს უწყობს და მისი როლი ამით ამოიწურება. არსებითია ერთი: კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ა („მერჩულე“-ს ფურც. 22—23).

7. შესანიშნავია ცნობა, ლამბერტი რომ გვაწვდის აფხაზი ქალის განათლებულობის შესახებ (ლევან დადიანის მეუღლე). ეს ქალი აფხაზეთის მთავრის ქალია, „აფხაზურ სამყაროში“ გაზრდილი. ამ ქალის ზ რ დ ი ლ ო ბ ა ტიპიურია ქართველი ფეოდალის ქალისათვის (262). ქსოვა-ქარგვა (ხელსაქმე), წერა-კითხვა, „დიასახლისობა“, სილამაზე, ყოფაქცევა — თ ი ნ ა თ ი ნ ი ს, ნ ე ს ტ ა ნ ი ს დ ა თ ა მ ა რ ი ს (თამარიც ხომ ქსოვდა და ქარგავდა, მწიგნობარი იყო და იამბიკოებს წერდა, ქვეშევრდომებს სათნოებით ნათელს, სითბოსა და სიყვარულს მიჰფენდა, გმირობას და სიქველეს ასაზრდოებდა). ხომ ცნობილია, რომ მწიგნობრობის ამ დაკნინების ხანაში საქართველოში განათლება ქალებმა შემოინახეს. ლევანის და მარიამი რადა ღირს — „ქართლის ცხოვრების“ გადამწერინებელი... ვეფხისტყაოსნის კულტურის დაცვის საქმე ფეოდალთა სახლებში ქალებმა იტვირთეს... და ნესტანის წერილზე არა მარტო ვანის ქვაბის ეკლესია-სამალავში შესმული მზეთუნახავი „ლოცულობდა“, არამედ ასევე სალოცავად ჰქონდა ეს წერილი (სიმბოლო ქართული ფეოდალური ქალის განათლებულობა — ზრდილობისა, გმირობისა, პატრიოტობისა) აფხაზ ქალს, (რომელსაც იმ დროს წიგნის ცოდნაში ვერავინ შეედრებოდა თურმე). ეს ჩვენება დ ო კ უ მ ე ნ ტ უ რ ი ა და განსაკუთრებით საყურადღებო. ეს ფაქტი იმის მოწმობაა, რომ ამ დროს ა ფ ხ ა ზ ი ფ ე ო დ ა ლ ი ს ს ა ხ ლ ი „ქ ა რ თ უ ლ ი ა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ესაა არა მხოლოდ ქრისტიანობის თვალსაზრისით, არამედ საერთო კულტურის თვალსაზრისით. (აფხაზი ბალი აფხაზეთში გაზრდილი სახელგანთქმულია, თავი მოაქვს იმ „ზრდილობით“, რაც საქართველოსათვის დამახასიათებელია, თავი მოაქვს ვეფხისტყაოსნის კულტურის მატარებლობით. აფხაზი მთავრის სასახლე ვეფხისტყაოსნის კულტურის კერაა: ქართული ფეოდალური კლასიკური „ზრდილობა“ სუფევს აფხაზი მთავრის სასახლეში). და საშუალსაუკუნეების აფხაზეთში არ არსებობდა ფეოდალური კულტურა გარდა ქართულისა, გარდა ვეფხისტყაოსნის კულტურისა... (გაიხსენე ალექსანდრე შარვაშიძის პროტესტი: „Я не абхазский, а грузинский князь“...) და ლევან დადიანის კარი, რომელიც ქართული კულტურის (ვეფხისტყაოსნის კულტურის) მართლაც სადგური იყო, სადაც ვეფხისტყაოსნის კულტურა იყო გამეფებული (ისევე, დარწმუნებული ვართ, როგორც აფხაზთა მთავრის კარზე...), აფხაზთა მთავრის ქალისათვის უცხო კულტურული სამყარო კი არ იყო, არამედ ღვიძლი, მშობლიური. ამას გულისხმობს ლამბერტი, როცა ამბობს, რომ ამ ქალს ტოლი არ ჰყავდა ზრდილობაშიო. ლამბერტი ამით ხაზს უსვამს იმ კულტურის ერთიანობას, რაც აგრე შემორჩენილი ყოფილა ფეოდალური საქართველოს მაღალ წრეებში ამ დაშლილობის დროს. დამახასიათებელია, რომ ლამბერტიმ კარგად იცის აფხაზი მასების განსხვავებულობა მეგრული მასებისაგან. ენის სხვაობა, ყოფა-ცხოვრების სხვაობა... და სწორედ ესაა დამახასიათებელი ფეოდალური ხანისათვის: ორი კულტურა, ამ კულტურების დაშორიშორება (ფეოდალების და გლეხების) და კლასობრივად მონათესავე საზოგადოების კულტურის ერთიანობა... (სომეხი ფეოდალი ქართველ ფეოდალთან უფრო ახლო იყო ვიდრე სომეხ გლეხთან...) ყველა ამას ემატებოდა აფხაზთა მთიელების ჩამოწოლა ე. ი. ადრეფეოდალური ურთიერთობის აღდგენა. (წიგნი 56 ფურც. 39).

8. СМОМПК, XLIV 31—52. თამარაშვილი, 133—137.

გრანჟიეს მოწმობა იმითაა საინტერესო, რომ ის მოქვს სამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრელოში გულისხმობს, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა იმით, რომ აქ ის საჭიროდ სცნობს სამოღვაწეოდ ეროვნულ მეგრული და ქართული, რომ მაშასადამე, მოქვის რაიონი მეგრელებით დასახლებული ეგულება (ქართული სახელმწიფო და ქრისტიანობის ენაა), რაც მისიონერულ მოღვაწეობისათვის აუცილებელია. აქ რომ იმ დროს სხვა ენის ხალხს ეცხოვრა, გრანჟიე (და მისიონერები) ამ ხალხის ენის შესწავლას ასევე, საფიქრებელია, საჭიროდ დაინახავდნენ...

ასე რომ მოქვის რაიონი (მოქვის საეპისკოპოსო) მე-17-ე საუკუნის დასაწყისს არა მარტო პოლიტიკურად სამეგრელოა, ის ეთნიკურადაც მეგრელებით არის დასახლებული.

9. СМОМПК, არქანჯელო ლამბერტი, 187,188.

ჩამოთვლის ველურ (дикие народы) ხალხებს კავკასიის მთებში რომ ცხოვრობენ. კოლხიდის უახლოესი მეზობლები არიანო: „сваны, абхазцы, аланы, черкесы, цики, (Zichi), карачаевцы. Все они хотя величают себя именем христиана, но ни по вере ни по набожности ничего христианского у них совершенно не заметно“.

ასწერს თითოეულს. იწყება სვანებით.

შემდეგ: «Теперь перейдем к остальным народам, которые живут в Кавказских горах. Больше на С. от Мингрелии живут абхазцы (Abcassi или Abaschi), которых турки называют абасами (Abbassa).» უქებს ბუნებას, ხალხის სილამაზეს, ჯოგთა სიმრავლეს, თევზს არ სჭამენ, კიბო ეზიზღებათ.

«В городах и крепостях абхазцы не живут, но (обыкновенно) собираются десять или двадцать семейств одной фамилии, выбирают какое-нибудь возвышенное место, строят здесь из соломы несколько шалашей и обводят все крепким забором и глубоким рвом. Последнее делают потому, что у них обычай грабить друг друга».

სახლში არაფერი აქვთ მორთულობისა (утварь). ერთიმეორეს ჰყიდიან მონებად. შეიარაღებული სძინავთ...

მკვდრებს ხის ორეში სდებენ და ხის წვერში ჰკიდებენ (190), იარაღს იმავე ხეზე ჰკიდებენ, ხოლო ცხენს შეკაზმავენ და იმდენს არბენინებენ, ვიდრე არ გასკდება (190).

„Про аланов и циков (Zichi) я отдельно ничего не скажу, потому, что у них такие же обычаи как и у их соседей — сванов и абхазцев". ესაა აფხაზები, მხოლოდ მთიელობით შეიძლება აიხსნას ეთნიკური ურნეობა, ყოფა და სხვა მთიელებთან მსგავსება.

10. СМОМПК XLIII, 200—201, ლამბერტი

ჩამოთვლის კოლხიდის მდინარეებს და: „Последняя из всех рек Коддора (Coddors — Кодор); это, должно быть Кораче (Corà̀ce), потому что вся Колхида расположена между Фазисом и Коракском, и совершенно так, как Фазис отделяет Мингрелию от Гурии, так Коракс отделяет ее от Абхазии, а как за Фазисом мингрельский язык сразу сменяется грузинским, так за Кораксом сменяется абхазским. Отсюда ясно, что Коддорс мингрельцев есть древний Коракс, потому что сейчас после переправы через Коддорс живут абхазцы (abcassi) со своим особенным языком».

ცხადია: ლამბერტის დროს კოდორის დასავლეთით აფხაზეთია. აფხაზი მოსახლეობაა, აფხაზური ენა ბატონობს. ლამბერტიმ კი იცის, რომ ასეთი საზღვარი ეთნიკურ-ენობრივი აფხაზებსა და მეგრელებს შორის (აბაზგებსა და კოლხებს შორის) იყო კორაქსი. ამ ნიადაგზე ლამბერტი ერთიმეორეს უიგივებს ამ ორ სახელს კოდორს და კორაქსს. საფიქრებელია, რომ ლამბერტის არ უნახავს კორაქსის კედლები, თორემ კოდორს ვერ გაუიგივებდა კორაქსს.

ძველი ეთნიკური საზღვარი კორაქსის მდინარე (კორაქსის კედელი), ლამბერტიმ მისი დროის ეთნიკურ საზღვრად გაიაზრა, მას არ ეყო ცოდნა-დაკვირვება, რომ ეთნიკურმა საზღვარმა აღმოსავლეთისაკენ გადმოინაცვლა.

11. არქანჯელო ლამბერტი, СМОМПК, XLIII, 2,128

„Границей Колхиды со стороны абхазцев или абасков служит река называемая туземцами Кодором (Coddors), а по моему мнению он и есть древний Коракс.

Сзади, с северо-западной стороны она (—Колхида—Н. Б.) окружена хребтом Кавказских гор, которые населены дикие варварские народы, описание и перечисление которых потребовало бы подлинного рассказа и даже целой книги. Ближайшими являются абхазцы (Abcassi), аланы, сваны, карачаевцы (Caraccioli), джики (Cichi), черкесы (Circassi). Все они именуются христианами, но живут без законов и занимаются охотой и грабежами. Разнообразие их наречий и языков удивительное. Каждая из этих народностей имеет свое собственное наречие, которое настолько разниться от наречия другой народности, что не находишь ни одного сходного звука между ними.

Из мест, которые сейчас имеют своих епископов, первое занимает Дранда (Dandra) на реке Кодоре (Cotace) на границе с Абхазией".

საზღვარი კოდორია. სახელად ქრისტიანები, ნამდვილად წარმართები...

ზემოთ მოყვანილი დაჟინებული მოწმობანი იმის შესახებ, რომ აფხაზები აგრე ჰგვანან კავკასიის მთიელ ხალხებს, ყოფაში, სარწმუნოებით, რომ ისინი ციხეებსა და ქალაქებში არ ცხოვრობენ, რომ, როგორც ჩანს, მეხორბლეობა ან სულ არა აქვთ, ან მეტად მცირე, რომ ისინი მეგრელებს არ ჰგვანან ყოფა-ცხოვრებით, — ყველაფერი ეს იმის მოწმობაა, რომ ისინი მთიულურ ცხოვრებას განაგრძობენ, რომ აფხაზები XVII საუკუნეში თავისთავადი ხალხია. კავკასიანელთა მონათესავე.

მეორე მხრივ, როგორც იყო აღნიშნული, მომწიფებულ საშუალო საუკუნეებში (VIII—XIII სს) აფხაზეთი არის განვითარებული ფეოდალური ქვეყანა, საიდანაც ქრისტიანობა მთაში ვრცელდებოდა. ამას მოწმობენ ბერძენი მწერლები, ქართული ფეოდალური მწერლობა (იოანე საბანის ძე), ამას მოწმობს აწინდელი აფხაზეთის არქიტექტურული ძეგლები... მე-15 საუკუნიდან აფხაზეთი „წარმართობს", აფხაზეთში უქმდება ზედიზედ საეპისკოპოსოები, ქრება ქრისტიანობა... („მერჩულე" — 4. ფუსკ. 2—10).

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. როგორ შეიძლება აფხაზეთზე მეცნიერული საუბარი, ამ ქვეყნის ისტორიაზე მსჯელობა და კელასურის კედლების არ გვთვალისწინება. ეს კედელი ხომ მთელი ეპოქის მაჩვენებელია. და ჩვენი ისტორიოგრაფიის ჩამორჩენილობაა, რომ ეს კედელი დღემდე შეუსწავლელ-შეუფასებელია. და განა ეს კედელი ეთნიკური საკითხების ძიებისას მცირე დასაყრდენს მოგვცემდა? ხომ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ეს ამოდენა ნაგებობა იმ მცირე ტერიტორიაზე მცხოვრებთა თუ მომთაბარეთა წინააღმდეგ იყო თავდასაცავად აგებული, რომელსაც ამას ჩრდილო-დასავლეთი აფხაზეთი წარმოადგენს? რა თქმა უნდა არა. ეს კედელი დასავლეთ კავკასიის (ამიერიმიერ დას. კავკასიის) და ყუბანის აუზის ტომთა მოძრაობის წინააღმდეგ, მათი მოწოლის წინააღმდეგ აგებული ღონისძიება ჩანს და კავშირი აქვს დარუბანდ-დარიალ და, თუ გნებავთ,(და შეიძლება ეს ყველაზე უფრო მაჩვენებელი იყოს) საინგილოში ასეთივე კედლებთან... და თუ ეს ასეა, მაშინ საკითხი ისმის, რატომ არის ეს კედელი გავლებული აქ? უეჭველია არა იმიტომ, რომ ბუნებრივი პირობები ამ თავდაცვითი ნაგებობისათვის აქ იყო უკეთესი. პირიქით, აქ ასეთი პირობები ყოვლად არახელსაყრელი იყო... მაშ რატომ არ იყო შერჩეული უკეთესი ბუნებრივი პირობები, ვთქვათ გაგრის ვიწროები, შემდეგ რომ დემურკაპს ეძახოდნენ, ან ანაკოფია და მაღალ მთის გადასასვლელები? ყველაზე უფრო საბუთიანია ვიფიქროთ, რომ ხსენებული ადგილები იმყოფებოდა იმათ ყოველმხრივ გარემოცვაში, რომელთა წინააღმდეგ ეს თავდაცვა იყო მიმართული, ე. ი. კელასურის კედელს მიღმა ტერიტორია მტრის „კონტროლს ქვეშ“ იმყოფებოდა, მაშასადამე აწინდელი აფხაზეთის ამ ნაწილის მოსახლეობა კელასურის კედლის მშენებელთა მტერი, ხოლო იმიერკავკასიელთა მოკეთე იყო. (რა თქმა უნდა, გამორიცხული არაა, რომ აქ მოსახლეობის ნაწილი კელასურელთა მომხრე — მოკეთენი იყვნენ, მაგრამ თუ ასეთები აქ ბინადრობდნენ, ისინი დაპყრობილნი უნდა ყოფილიყვნენ გაბატონებული პირიქითელი მოსულების მიერ). ასეა თუ ისე, იმ დროს როცა ამ გრანდიოზულ ნაგებობას ქმნიდნენ, აწინდელი აფხაზეთის ეს ჩრდილო-დასავლეთი

ნაწილი სხვა ტომს ეჭირა, ეპყრა პოლიტიკურად, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი სხვას... („მერჩულე“ — 4, ფურც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. ს. კაკაბაძე, კვლევა-ძიებანი... 51

სრულიად გაუგებარი იქნებოდა კოდორ-ენგურის შორისი სამეგრელოს ასეთი მტრული განადგურება, ხალხის სულ ერთიანად აყრა დაყიდვა (1672 წლიდან და შემდეგ) აფხაზთა მთავრების მიერ, თუ აქ სოციალურად ერთნაირი ვითარება იქნებოდა ნაგულისხმევი სამეგრელოსა და აფხაზეთში...

14. იბერულ-(კოლხურ-ლაზურ) კავკასიური მოდგმის ხვადასხვა ტომები (ფასიდში და სოხუმში 70 სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე იყრიდა თავს), ისევე როგორც ალბანიაში... (იბერიაში კი ეს სურათი აღარაა). კოლხთა (ლაზთა) უდიდესი გავლენა... კულტურის ერთიანობა... და ეს ერთიანობა იქამდე შორს იყო წასული (კოლხური კულტურა, შემდეგ ლაზური ე. ი. იგივე კოლხური...), რომ ლეონტი მროველი ერთ ხალხად სთვლის (ეგროსის ჩამომავლობად) ყველა ამათ (ისევე, როგორც ქართლოსის ჩამომავლობად სთვლის კახებს..., ისევე როგორც ალბანეთში, სადაც 26 სხვადასხვა ენა იყო სამ ძმას ჰხედავს: ჰეროსს, ბარდოსს, მოვაკანს...).

ლეონტის სვანებიც ეგრისში ეგულება, ალბათ ეგროსის ჩამომავლებად („მერჩულე“ — 4, ფურც. 16, 20).

15. ვახუშტი. აღწერა... 169

„...ქალაქი ანაკოფია. ეს აღაშენეს ბერძენთა აქავ ერეკლეოს კეისარმან დასვა ერისთავი აფხაზთა, ეგრისის მდინარის დასავლეთისა ზღვადმდე. იყო ქალაქი კეთილი... არამედ აწ ოჯერ არს. და საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა“.

გამოდის, რომ ერეკლე კეისარს სწორედ შუა სოფლისათვის დაუსვამს ერისთავი აფხაზთა და ეს ერისთავი აფხაზთა იჯდა ანაკოფიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაგიეროდ ქართული თვალსაზრისით ეს ოდიში (ვიწრო გაგებით) არის — „განდგნენ რა ეგრისის მდინარის იქითნი და მიერთნეს ბერძენთა, იტყოდიან: „ოდეში, იყომე ქვეყანა იგი ჩვენი“ (165).

„ხოლო სიგრძე ოდიშისა არს კავკასის თხემიდან ზღვამდე და ცხენის — წყლიდამ ზღვადმდევე და მეორე — ეგრისის — წყლიდამ ანაკოფიამდე“ (169).

როგორც ვხედავთ, ეს ტერიტორია შუა სოფელი (ეგრისის მდინარიდამ ანაკოფიამდე) საცილობელია. ხან ბერძენთ უჭირავთ და ამ ქვეყანას „აფხაზთა ერისთავი“ მართავს, მაგრამ მას ეგრისელები თავისად სთვლიან და როცა საშუალება აქვთ თავისად შემოაქვთ (ვახტანგ გორგასალი).

ვახუშტიმ კარგად იცის, რომ ოდიშის ეს ნაწილი ე. ი. ანაკოფიიდან „აწ ეგრისის მდინარემდე უპყრავსთ აფხაზთა“ (170). ვახუშტით ერთნაირად მიტოვებული აქვთ ქრისტიანობა აფხაზებს (172), ჯიქებს (172), ალანებს (173) (ამასვე მოწმობს ლამბერტიც).

ეს ალანები კავკასიის გადმოღმა ცხოვრობენ სვანეთის დასავლეთით... (173).

ალანები სვანებთან ერთად (ვახუშტით) კავკასიის მოდგმისანი არიან!!, ხოლო აფხაზები — ეგროსის ჩამომავალნი (170).

16. СМОМПК, XLIII. Карачай, В. М. Сысоева (137)

«Старики Карачаевцы точно указывают время прихода: 1) 120 летний старик Джанкезов говорил в 1896 году, что приход карачаевцев за Кубань случился 587 лет тому назад; (ე. ი. 1309 წელს—ნ. ბ.); 2) Хубиев и Алиев говорили, что из Кошкара в Золотой Орде Карча вышел в 1283 году» სისოევს ეს არა სწამს და ფიქრობს, რომ ამათი მოსვლა უნდა მხოლოდ XVI საუკუნეში მომხდარიყო. XIII-ს-ში მონგოლთა მფლო-

ბელობა დაიწყო. ამათ ნოღაელთა ურდო XV—XVI საუკუნეში გამოეყო, ხოლო ყარაჩაელები ამ უკანასკნელთ გამოეყვნენ. ამის მემდეგო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა რ ა ფ ე რ ი დ ა უ ჯ ე რ ე ბ ე ლ ი ყ ა რ ა ჩ ა ე ლ ე ბ ი ს გ ა დ ა ბ ი ს ე მ ა ში ა რ ა ა.

ეკლესიები დიდი და მცირე ზომისანი, ზოგი ფრესკებით მორთული, ბერძნული წარწერებით (97—116). სისოევის აზრით ეს ეკლესიები უნდა X საუკუნისანი იყვნენ. შეიძლება, მაგრამ, შეიძლება ცოტა უფრო გვიანიც. უეჭველია აფხაზეთიდან გავრცელებული ქრისტიანობაა („მერჩულე" — 4. ფურც. 16—27, 28).

17. თუ რა შორს იყო წასული მეგრული, თუ აფხაზური ფეოდალური საზოგადოების გაქართველება, თუ რამდენად რეალური იყო ეს „საქართველოები", ჩანს იქიდანაც, რომ დამოუკიდებელი არსებობის საუკუნეთა მანძილზე, სახელმწიფოებრივი არსებობის საუკუნეთა მანძილზე, გვიან ხანაში (XVI—XIX საუკუნეებში) ისინი ქართული ენით სარგებლობდნენ როგორც საეკლესიო, ისე სახელმწიფო-პოლიტიკურ ცხოვრებაში. დადიანის და შარვაშიძის (ისევე როგორც მათი თავად-აზნაურობის) კარი ქართული იყო და საღმრთო წერილის გვერდით კანცელარიის (დაგვრჩენია ასობით საბუთი) თუ პოეზიის და საერთოდ განათლების ენა აქ ქართული იყო (ვეფხისტყაოსნის გადამწერლები დადიანის კარზე, დადიანების წიგნთსაცავი...).

ვახუშტი, რა თქმა უნდა, მართალია და სანდო, როცა ამათ ს ა ში ნ ა ო ე ნ ა ზ ე ლაპარაკობს: „ენით არიან — დიდნი და წარჩინებულნი ქართულის ენითა, არამედ აქუსთ თჳსიცა ენა, გარნა წამხდარი ქართულივე, ვითარცა ღმერთი — ღორ(ონთ)ი, ჩემი—ჩქიმი. და აქუსთ წიგნი ქართულნივე და არა სხვა" ვახუშტი (170).

იქვე (172) აფხაზთა შესახებ: „ე ნ ა ს ა კ უ თ ა რ ი თ ჳ ს ი ა ქ უ ს თ, ა რ ა მ ე დ უ წ ყ ი ა ნ წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ თ ა ქ ა რ თ უ ლ ი" („მერჩულე"-6. ფურც. 24).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამატება

[შენიშვნები კახეთ-ჰერეთის შესახებ]

1. ერი მართლაც შეიძლება სამხედრო დემოკრატიის ხანის ტერმინი იყოს, ფეოდალურ ხანაშიაც შემორჩენილი. ეს ორეული ვაჟკაცობის („კეთილშობილების“ იერით რომ შეფერადდა ფეოდალურ ხანაში), მამაცობის იმ ხანიდან უნდა დამკვიდრებოდა მოსახლეობის ამ ფენას, როცა ის ერისთავის გარშემო გადამწყვეტი მნიშვნელობის სამხედრო ძალას წარმოადგენდა და ქვეყნის ბატონ-პატრონი ხდებოდა.

ამ სამხედრო დემოკრატიის მიწურულს, ან ადრეფეოდალური ურთიერთობის გარიჟრაჟზე უნდა შექმნილიყო ის პირობები, რომ „მდიდარნი ერისანი“ გამოყოფოდნენ „წვრილ ერს“... მძიმედ შეიარაღებული მხედარი და ქვეითობა ბუნებრივია ერთ სოციალურ ფენაში ველარ დარჩებოდა. და „ერის“ სახელი შერჩა უმრავლესობას წვრილ ერს, ქვეითს (საერო პური...), ხოლო უმცირესობამ „აზნაურობა“ დაიმკვიდრა, წაართვა ერს ჰეროვნობა და თვით მიისაკუთრა აგრეთვე თავისუფლება (აზნაურობა)...

ამით, რა თქმა უნდა, ერის ეთნიკური ვინაობის საკითხი არ დაისმის. ის შეიძლება მართლაც ჰერის (ერიახი) უკავშირდებოდეს, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, სამხედრო დემოკრატიის ხანაში ძლიერი ერთეული იყო („ერისთავი“ შეიძლება მხოლოდ ერის უფროსს „თავს“ სწოდებოდა. „ერი“ კი, ასეთი გაგებისას, უნდა მხედარ-მეომართა ჯგუფს, გუნდს რქმეოდა). ასე რომ ერისთავი ეთნიკური ჰერის უფროსი, თავი კი არ იყო, არამედ უკვე გაფორმებული ქართული ინსტიტუტია.

ქართულიამეთქი იმიტომ, რომ ეს ტერმინი ძირეული ქართულია: ერისთავი... (მ.—2.4. ფურც. 9).

2. „Проход из Иверии в Албанию идет через безводную и неровную Камвисину к реке Алазанию“. (Латышев Н. З.)

„... В Камвисине, в которой Арменийцы соприкасаются и с Иверами и с Албанами“ (Латышев, 141)

როგორც არ უნდა აიხსნას ეს ტექსტი, ის მაინც ცხადია, რომ უწყლო კამბეჩანი ის ადგილია, სადაც ერთიმეორეს ემეზობლებიან სომხები, იბერიელები და ალბანელები. უეჭველია უწყლო კამბეჩანი გარეკახეთს არასგზით არ შეერქმეოდა (მით უმეტეს იმ დროს), მაშასადამე უწყლო კამბეჩანი იმავე ადგილებში იგულისხმება, სადაც შემდეგ იგულისხმებოდა, (შირაქი) ან უფრო სწორად ქვემო ყარაია, გარეჯა, შირაქი... ეს ადგილები, მაშასადამე, იყო ამ სამი ხალხის შეხვედრის ადგილი—ე. ი. იბერიელები უკვე დიდი ხანია ძველ ეთნიკურ საზღვარს გადასულიყვნენ და ღრმად შეჭრილიყვნენ ალბანიაში აღმოსავლეთის მიმართულებით.

ზემომოტანილი მოწმობა კიდევ უფრო საინტერესოა იმ მხრივ, რომ ალბანია ნაგულისხმევია კამბეჩანის აღმოსავლეთით უპირატესად: გზა იბერიიდან ალბანიისაკენ ამ უწყლო კამბეჩანზე გადის ალაზნისაკენ. მაშასადამე ალბანია კამბეჩანს იქით (აღმოსავლეთით) არის და კამბეჩანი მხოლოდ ალბანეთს კი არ ეკუთვნის, არამედ არმენიას, იბერიას და ალბანიას. ყველა ამას კარგად ეთანხმება ქართული წყაროები, რომელთა მიხედვით ჰერეთი იმ დროისათვის უკვე ქაროლის სამეფოში შემავალი ერთეულია. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ჰ ე რ ო ს ი ქართლოსის ძ მ ა ა, ისევეა როგორც ეგროსი. ქართლოსი უ ფ რ ო ს ი ძ მ ა ა. ქართლოსის სამფლობელოში, მაშასადამე, ჰერეთი არ შემოდის, მაგრამ შემდეგ საქმე ისე ჩანს, რომ ჰერეთი სულ უფრო და უფრო ვიწროვდება და მისი ნაწილი სულ უფრო და უფრო „კახეთში“ შემოდის. ან არადა რჩება სახელად ჰერეთადვე, ხოლო რეალურად კახეთად იქცევა. სტრაბონი, ნინო (ბოდბეში), ვახტანგ გორგასალი ამის აშკარა მოწმობანია, ასე რომ, როცა VII—VIII საუკუნეებში და უფრო შემდეგ ჰერეთის საერისთავო და შემდეგ „ჰერეთის სამეფო“ წარმოიშვის, ეს არის არა ე თ ნ ი კ უ რ ი რ ე ა ლ ო ბ ა, ა რ ა მ ე დ ტ რ ა დ ი ც ი ა, რომლის შინაარსი უკვე მრავალი საუკუნეა რაც ქ ა რ თ უ ლ ი ე რ ო ვ ნ უ ლ ი ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ა.

მით უფრო უნდა ვთქვათ კახეთ-კუხეთზე, რომელიც ქართული ტრადიციის მიხედვითაც კი ქართლოსის ნაშიერია. ასევე ქართლოსის ნაშიერადვე (მცხეთოსის ძენი) სთვლის ტრადიცია ო ძ რ ა ხ ო ს ს და

ჯავახოსს. ეს მოვლენა იმის მოწმობა მაინც არის, რომ ხსენებული მხარეები (სამცხე და ჯავახეთი) ისე ძველადვე გაქართებული, რომ ტრადიცია მას ამთავითვე ქართულად სთვლის (6.1. ფურც. 169—170).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მინაწერები ს. კაკაბაძის წერილზე „О племени цанар" გვ. 100.

ის გარემოება, რომ ამ ტომს ქართულად წანარ-ები ეწოდებათ, ყოვლად საეჭვოს ხდის მათ იგივეობას სვანებთან.

ავტორით ისე გამოდის, რომ ქართველები სვანებს წანარებს უწოდებდნენ, ხოლო უცხოელები (ოსები და სხვა გადამთიელები) სონებს?...

ეს ცნობა ს. კაკაბაძეს გამორჩა: გიორგი მეფემ „მატიანე ქართლისაჲ"-ს ცნობით, „მოირთო ძალი კახეთისა და ჰერეთისა" (285_{12}). სუმბატ დავითის ძის ცნობით კი, გიორგი მეფემ „მოიყვანნა წანარნი და შაქნი" (ქ᾽ცა I, 383_{25}), თითქო ისე გამოდის, რომ ძალი კახეთისა ესაა წანარნი.

ციტატა „მეფეთა ცხოვრებიდან" „а других поселил в Мтиулети начиная от Дидоети до Егриси, что есть Сванети".

ეგრისის დაზუსტება სვანეთად ჩვენ წყაროს იმიტომ დასჭირდა, რომ ამ კავკასიანების (დურძუკების) თითქოსდა დასახლება ნაგულისხმევია მთის ძირობაზე. დასავლეთში ის აღწევდა ეგრისის ქვეყნამდე (ფართე გაგებით), უფრო ზუსტად კი სვანეთამდე... ასეთ აზრს (ს. კაკაბაძის მსგავსს) ბროსე დიდი ხნის წინ გამოთქვამდა (Histoire de la Georgie I,43 ივ). ს. კაკაბაძე ბროსეს არ იხსენიებს (წიგნი 38, გვ. 100, 107, 111).

4. ქ᾽ცა I, ლეონტი 130_{23}, 131_{8}

ბაქარ მეფემ „გაუცვალა ქუეყანა დისიძესა მისსა ფეროზს, რომელსა აქუნდა რანი ბარდავამდის მიცემულად მირიანისაგან, და მისცა მის წილ სამშჳლდითგან მიღმართ ქუეყანანი ვიდრე თავადმდე აბოცისა. მაშინღა ნათელ-იღო ფეროზ და ერმან მისმან".

„ამან ბაქარ ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი დიდსა სარწმუნოებასა შინა აღასრულნა, და განამრავლნა მღდელნი და დიაკონნი ყოველსა ქართლსა და რანსა ეკლესიათა მსახურებად".

აქვე უნდა გავიხსენოთ (გვ. 126) რომ „წმინდა ნინო წარემარ-

თა წარსლვად რ ა ნ ს, მოქცევად ფეროზისა. და ვითარცა მიეახლა კუხეთს დაბასა ბოდისასა... დასნეულდა მუნ...“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად ამ რანის საკითხი მეტად დამახასიათებელია. ფეროზის რანი ეს იყო ტ ერ ი ტ ო რ ი ა ხ უ ნ ა ნ ი დ ა ნ ბ ა რ დ ა ვ ა მ დ ე. ა მ ტ ე რ ი ტ ო რ ი ა ზ ე რ ო გ ო რ ც ჩ ა ნ ს ქ ა რ თ ვ ე ლ ებ ს პ რ ე ტ ე ნ ზ ი ა გ ა ს ჩ ე ნ ი ა თ. ფეროზის ქვეყნის მოქცევა ნინოს განზრახვა ყოფილა. ნინოს ეს არ დასცალდა, მაგრამ ფეროზის რანის საქმე ბაქარს მოუგვარებია ფეროზისა და მისი ერისათვის სამშვლდის საერისთავო მიუცია და მოუქცევია, ხოლო მისი დატოვებული ქვეყანა რ ა ნ ი, იგულისხმება, მოუნათლავს.

აქედან გასაგებია ის ახლო ინტერესი (პრეტენზია), ქართველები რომ ქართლის ამ სასაზღვრო ქვეყნის მიმართ იჩენენ... ჩვენ არ ვიცით ბაქარის მოღვაწეობა რანში მართლაც ასეთი იყო, თუ ეს ნაგვიანევად შენათხზია, მაგრამ ქართველების განსაკუთრებული დაინტერესებულობა რანის ამ ნაწილით ყოველ ეჭვს გარეშეა...

ასევე დგას საკითხი ჰერეთის მიმართაც. ის ხომ ჯერ ისევ მირიან მეფემ „გ ა ნ ა მ ტ კ ი ც ა ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ა ს ა ზ ე დ ა ს ა მ ე ბ ი ს ა წ მ ი დ ი ს ა ს ა“ (128). ამრიგად ყოველი ქართლი, ჰერეთი და რანის ნაწილი ქართლიდან განათლდა ნინოს ღვაწლით. ასეთი ისტორიის შემქმნელი ქართველი მოღვაწენი, დამოუკიდებლად იმისაგან მართლა იყო თუ არა ასეთი რამ ისტორიულად, სრულიად ბუნებრივია ნინოსა და ქართლის საგანმანათლებლო საქმიანობას ეგრისზეც გაავრცელებდნენ, ე. ი. გულისხმობდნენ, რომ ეგრისი ქართლიდან არის მოქცეული... ასე, რომ ნინოს და მირიანის საქრისტიანო მოღვაწეობის „ყოველი ქართლით“ შემოფარგვლა არ არის ისე გასაგები, თითქო მათი მოღვაწეობა ამ საზღვრებს არ გადასცდებოდა: როგორც დავიმოწმეთ ამ ყოველი ქართლის მოღვაწეებმა ჰერეთიც, რანიც თავისი სამოღვაწეო სარბიელად აქციეს (მ—2, 4. ფურც. 82—83).

5. ქ ॅ ცა I. მატიანე. 268_4

X ს. გიორგი აფხაზთა მეფე კახეთის მეფე კვირიკეს გადაგდებას უპირებდა. „გარდაიცვალა ფადლა ქორეპისკოპოსი. და დაჯდა კჳრიკე ქორეპისკოპოსად. იმისა შემდგომად გადგეს ა ზ ნ ა უ რ ნ ი გ ა რ დ ა ბ ა ნ ე ლ ნ ი, იწყეს ზრახვად ვიორგი მეფისა. გამოილაშქრა გიორგი მეფემან, ჩავიდა კახეთად, მოსწუა და ასწყჳდა, და წარვიდა თჳსადვე ქუეყანად“.

სრულიად წამოუდგენელია, რომ ეს გ ა რ დ ა ბ ა ნ ი იყოს

ლეონტის გარდაბნის საერისთავო (ქვემო ქართლში), ან მისი აღმოსავლეთი ქვეყანა, ან თბილისის მიდამოები, (მტკვრის მარცხნით): ყველა ესენი ამ დროს თბილისის საამიროში შედიოდნენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ ეს გარდაბანი უნდა იყოს შიგნით კახეთის გარდაბანი (წიგნი 5. ფურც. 104).

6. ქ^ცა I, დ^თის ისტორიკოსი, 340

დავით აღმაშენებელი თურქმანებს მუსრს ავლებდა: „გაზაფხულ განდიდნა მტკუარი, რომელ ნადინებსა ვერ დაეტია. ამისითა მინდობითა ჩადგეს თურქმანნი ბარდავს გულდებითა. მაშინ მონახნა მეფემან იგინიცა და ალონს მტკუარსა გაცურდა ყივჩაყითა დაუზრავსა მას წყალსა, მოსრნა თურქნი, არბია ბარდავი, და დაყო ორი დღე, და ნებიერად მოვიდა შინა სავსე ალაფითა. თუე იყო ივნისი“.

თურქები ბარდავს დგანან და იმედი აქვთ რომ დავითი მტკვარს ვერ გადალახავს: მდინარე ადიდებულია, ჩანს, დავითი მათ ეგულებათ მტკვრის მარცხენა მხარეზე რადგან ამ მდინარის მარჯვენა მხარეზე თვით არიან (ტერტერის წყალზე). მართლაც, მტკვრის მარჯვენა ნაპირით დავითის მისვლა არ იყო მოსალოდნელი, რადგან ქვეყნები, გაგი, შამქორი, განჯა, დმანისიც კი თურქთა ხელში იყო. ამიტომ ბარდავზე მისასვლელად კახეთის გზა იყო მოხერხებული. და ბარდავს მდგომნი თურქმანნიც აქედან ელიან დავითს. მეფეც აქედან წასულა და მტკვარი ალონს გაუცურავს. უნდა ვიფიქროთ ეს პუნქტი (ალონი) სადღაც მტკვრის მარცხენა ნაპირზეა ბარდავის ახლოს. ასე რომ გზა ბარდავიდან საქართველოში კახეთზე მოდიოდა (თბილისი ხომ ამ დროს დავითის ხელთ არ იყო. ასე რომ გზა ქართლიდან მცხეთა-მარტყოფ-ხაშმ-საგარეჯოზე, ან საგურამო-ერწოზე კახეთს და აქედან ალონს)... ალონი უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი პუნქტი ჩანს, ისევე როგორც მეორე ალონი უკიდურესი ჩრდილო დასავლეთი პუნქტია ძველი ალბანეთის.

შდრ. არგვეთა და არგვეთი, აჭარა და აჭი. საზანო...

ქართლი — ასევე სასაზღვრო ადგილია?? (მ—2, 19, ფურც. 8).

7. ქ ცა I, დ თის ისტორიკოსი, 328_{11}, 329_{13}

1104 წელს კვრიკე კახთა მეფე გარდაიცვალა, მის ადგილზე დაჯდა მისი ძმისწული აღსართან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითი მის შეპყრობას და ჰერეთ-კახეთის შემოერთებას ცდილობდა... და მართლაც, როგორც ჩანს, დავითის დასაქმულმა ჰერ დიდებულებმა, „არიშიანმან და ბარამ, და დედის ძმამან მათმან ქავთარ ბარამის ძემან“ შეიპყრეს აღსართან მეფე და „მოსცეს მეფესა (დავითს). და აღიხუნა მეფემან ჰერეთი და კახეთი, და ერწუხს ქმნა წყობანი დიდნი და ჯმა-განსმენილი იგი დიდი ძლევა“...

„ესრეთ და თვთმპყრობელობით დაიპყრა ჰერეთი, და კახეთი და ნებიერად აღიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი“. სრულიად გამორიცხულია, რომ აქ მთელი ჰერეთი არ იგულისხმებოდეს, ესე იგი ის ჰერეთი, რომელიც კახთა მეფის საბრძანებელში შემოდიოდა და რაღაც ნაწილი („დასავლეთი ჰერეთი“ პ. ინგოროყვა) იყოს ნაგულისხმევი. ამ დროს ეს ცნება ჰერეთი ერთი იყო და გარკვეული შინაარსი ჰქონდა მელქისედეკის დაწერილი კარგად არკვევს თუ ჰერეთი ამ დროს რა ქვეყანას ეწოდებოდა (ლაგოდეჯი—კაკი): მაინცდამაინც „დასავლეთი ჰერეთი“, ეს ხელოვნური სახელი აქ გამორიცხულია: მელქისედეკის ჰერეთი იმ დროსაც კახთა მეფის საქონებელია და არა გრიგოლისძეთა (გიშელთა) სამთავრო, რომელთა სამფლობელო („შაქნი?“) დავითმა 1117 წელს შემოიერთა. ეს მცირე სამთავრო ჩანს გადაურჩა კახთა მეფეებს შემოუერთებელი.

* * *

მას შემდეგ რაც კახეთ-ჰერეთი ბაგრატ III შემოიერთა, ხოლო შემდეგ კი განდგა (XI-ს-ში), აფხაზთა მეფეები (მეფე აფხაზთა და ქართველთა) ბუნებრივია კახეთს ეძებდნენ, მის ცალკე პოლიტიკურ არსებობას უკანონობად სთვლიდნენ... ამას კარგად ამჟღავნებს ისტორიკოსი ერწუხის ომის მოთხრობისას, რომ „უმრავლესნი ჰერ-კახნი მტერთავე თანა გარემოდგომილ იყვნენ ჩუენდა“. ე. ი. მტერი არის განძელი თურქ-სელჩუკები, რომელთა მხარეზე დამდგარან ჰერ-კახნი, ესენი მტერნი კი არა, მტრის მხარეს გადასულნი შინაურები არიან. ასე რომ ისტორიკოსის გაგებით ჰერნი და კიდევ უფრო კახნი (და მაშასადამე ყველა თარგამოსიანი) მტერი არაა. მტერი სელჩუკიანი თურქია. ამ შინაურებს განდგომა და მტერთა თანადგომა კი არა, მეფის (რომელსაც ღმერთი შველის) ნებისად ყოფნა ევალებათ. იმიტომ რომ ის ღვთის ნებას ას-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რულებს, მაშასადამე გაერთიანების საქმე საღმრთო საქმეა. ასეთია იდეური დასაფუძვლება ამ დიდი პროცესისა.

* * *

დავითის ისტორიკოსი მარტივად (ჩვენთვის მარტივად თორემ თვითონ, უეჭველია, კარგად ესმოდა) გადმოგვცემს:

„კახეთს მეფობდა კვრიკე, კაცი მეფობისავე თანა მეფე-ქმნილი ვნებათა ზედა და ჭეშმარიტი ქრისტიანე. მოსცა ჟამი ღმერთმან მეფესა დავითის და წარუღო კვრიკეს ციხეს ზედაზადენი. ქრონიკონი იყო სამას ოცდასამი“ (=1103 წ.) (326$_6$).

ისტორიკოსი აქ გულისხმობს, რა თქმა უნდა, ციხე ზედაზადენთან ერთად იმ ქვეყანასაც, რომელიც ამ ციხის შემავალი იყო. ეს ქვეყანა კი საკმაოდ მოზრდილ ტერიტორიას მოიცავდა (მუხნარს, ხერკს და არაგვის თიანეთს). მაინც საინტერესოა, თუ როგორ მოხდა, რომ მცხეთის საქონებელი მუხნარი და ხერკი კახთა მეფეების ხელში გადავიდა. ჩანს, მეფობის გაუქმებისა და ფეოდალური დაქსაქსულობის ხანაში, როცა მცხეთას ძლიერი ხელი არ იცავდა, არაბები ბატონობდნენ, როცა ქართლის ერისმთავრებს არ სცნობდნენ და ცალკეული ერისმთავრები ქვეყნებს იჩემებდნენ, კახეთის მთავარმა მიიტაცა მუხნარი ხერკი და ბაზალეთი (არაგვიდან ქსნამდე). ...ქვეყნობით ეს ზედაზადენის საციხისთავო ქვეყანა იყო.

შესანიშნავია ეს „მოსცა ჟამი ღმერთმან მეფესა დავითს“... მაშასადამე კახეთის დაპყრობაში დავითს ღმერთი შველის და ეს დამოუკიდებლად იმისგან, თუ როგორი მეფე ზის კახეთში (კვირიკეს ხომ ამ ისტორიკოსის აზრით წუნი არ დაედებოდა)... მაშ საქართველოს გაერთიანების საქმე საღმრთო საქმე იყო (მ—2, 29. ფურც. 28, 31, 33).

8. საარიშიანოსათვის

„არიშიანის სიგელში“ ნიშანდობლივი შეიძლება იყოს გრიგოლ ნაოხრებლის შვილის მოხსენიება (სამწუხაროდ ვეძისკვევის მდებარეობა არ ვიცით ეს რომ გვცოდნოდა ჩვენ ჩვენება გვექნებოდა არიშიანის სამოხელეო (საარიშიანო) ტერიტორიის შესახებ...).

ნაოხრებლის ძე კი ჩვენ გარკვევით გვხვდება XIII ს-ში ბელაქნის მხარეში. არ არის გამორიცხული, რომ ეს ისტორიული პირი იყოს იგივე ნაოკრებლის შვილი...

ამისგან დამოუკიდებლადაც არიშიანის ტერიტორიული განსაზღვრა, ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. როგორც „ქართლის ცხოვრება“, ისე დავითის ბრძანება და ათონის აღაპი (ქრონ. 1974) თანხმობით მოწმობენ, რომ „არიშიანი“ ჰერეთშია და სამივე შემთხვევაში ეს არიშიანი არის დ ი დ მ ო ხ ე ლ ე. და ეს დიდმოხელეობა არიშიანისა ჰერეთის ფეოდალურ პოლიტიკურ ერთეულში შემუშავებული ინსტიტუტია (ისევე როგორც დადიანი დასავლეთ საქართველოში). ე. ი. რომ არიშიანობა დავითს კი არ შეუქმნია, არამედ მან ის განადიდა...

გასარკვევია რა ურთიერთობაშია არიშიანი და ჰერეთის ერისთავი (თითქო ისე უნდა გვესმოდეს „ქართლის ცხოვრების“ შესაფერისი ადგილი, რომ ჰერეთის ერისთავის თანამდებობა არიშიანის საკითხავია: „ჴელთ უდვა“), რა ურთიერთობაშია გრიგოლისძენი და არიშიანი?

თუ მართალია ის, რომ არიშიანობა მეფეთა ადგილზე მჯდომია, მაშინ საარიშიანო მართლაც შეიძლება გულისხმობდეს ტერიტორიას ჰერეთის გაღმა მხრისას პლუს შაქი ვიდრე ჩალანუსუნამდე.

ასეთი დაშვებისას ხომ არ იქნება შესაძლებელი შაქის მხარის არეში როგორმე დაუკავშირდეს არიშიანს და საარიშიანოს??

გასაჭირი იმაშია, რომ არსებობს საკუთარი სახელი ა რ ე შ ი, ა რ ი შ ი და არსებობს საგეოგრაფიო სახელი არეში.

(არშას ციხე, არიშუ, არიში, არეში...).

შ. მ. საბ-ბი, 21 ,

დავით აღმაშენებლის ამ ბრძანებაში ა რ ი შ ი ა ნ ი ს აჯის გამო, გონივრულია ვიფიქროთ, რომ არიშიანი ხმარებულია მოხელის შინაარსით, უკეთ, თანამდებობის პირის შინაარსით აი ისევე, როგორც „დადიანი“ იმავე ეპოქაში ან „შერვაშიძე“ გვიან (განდგა დადიანი, გურიელი და შერვაშიძე...). არიშიანის აჯა მოწმობს, რომ ეს პირი უფლებამოსილია, რომ ის მოვალეა იშუამდგომლოს დიდი მნიშვნელობის აქტის შესახებ: რომ მეფემ გაათავისუფლოს ნიანია გრიგოლ ნაოხრებლის შვილი ლაშქრობის მოვალეობისაგან ნამზითვი მამულით. ჩანს იყო ვინმე ნიანია გრიგოლ ნაოხრებლის შვილი. ისიც ჩანს, რომ ეს ნიანია იყო გრიგოლ ნაოხრებლის სიძე და ის მამული ვეძისჴევი ამ გრიგოლისაგან ჰქონდა მიღებული ზითვად... ერთი სიტყვით გამოდის, რომ გრიგოლ ნაოხრებლის შვილს ვაჟი არ ჰყავდა, მისი მემკვიდრე ქალი იყო. გრიგოლმა ნიანია ზედსიძედ მოიყვანა და სიძე ამიერიდან მის ფეოდალურ მოვალეობას ასრულებდა და ის იმდენად გრიგოლის სახლის გამგრძელებელი იყო, ე. ი. ფეოდა-

ლური სახლის გაგებით გრიგოლის „შვილი“ იყო. (ამით აიხსნება ეს უჩვეულო გამოთქმა ნიანია გრიგოლ ნაოხრებლის შვილი...) ეროვნული ბიბლიოთეკა ღირსეული სამსახური გასწია. ის „დიდად ნამსახური იყო“ მეფისა. ნიანია მოხუცდა ლაშქრობა აღარ შეეძლო. მას ეს ნამზითვი ვეძისხევი უნდა დაეტოვებინა. ამ მამულს იმას მისცემდნენ, ვინც ამ მამულის ფეოდალურ სამსახურს გასწევდა. და აი გამოდის პირი ა რ ი შ ი ა ნ ი და მეფის წინაშე შუამდგომლობს ამ სახელმწიფო მნიშვნელობის ფაქტის გამო. რა თქმა უნდა, ა რ ი შ ი ა ნ ი აქ კერძო ვინმე არ შეიძლება იყოს, არამედ ოფიციალური პირი, რომელსაც ასეთი აჯის უფლება და მოვალეობა აქვს.

ამ არიშიანს აჯას, ჩანს, ის უადვილებდა, რომ ეს მამული ვეძისხევი ნიანიას ნამზვითი იყო, ე. ი. რამოდენიმედ მაინც, თუ მთლად არა, მეფის საკონტროლოდან გამოსული იყო...

მაგრამ რა უშლის ასე გავიგოთ: ნიანიას სხვა „მამულიც“ ჰქონდა. ის დაბერდა ლაშქრობა არ შეეძლო. სხვა მამულები ჩამოერთვა და ნამზითვი შეუნარჩუნეს... ხელოვნური გამოდის. მონაცემები არ გვაქვს. და არც ის უცნაური დასახელება — ნიანია გრიგოლ ნაოხრებლის შვილი — იქნება გასაგები...

ქ ᲪᲐ, I, 328_{10}, 1103 წ.

„რამეთუ ესე აღსართან, კახთა მეფედ ჯსენებული, შეიპყრეს ჰერთა დიდებულთა, ა რ ი შ ი ა ნ მ ა ნ და ბ ა რ ა მ, და დედის ძმამან მათმან ქავთარ ბარამის ძემან, და მოსცეს მეფესა. და აღიხუნა მეფემან ჰ ე რ ე თ ი და კახეთი, და ე რ წ უ ხ ს ქმნა წ ყ ო ბ ა ნ ი დიდნი და ჯმა-გასმენილი იგი დიდი ძლევა“...

მოცემულ ტექსტით ა რ ი შ ი ა ნ ი საკუთარი სახელია ისევე, როგორც ბ ა რ ა მ. არიშიანი და ბარამი ძმებია, მათი დედის ძმა არის ქ ა ვ თ ა რ ბარამის ძე, მაგრამ ხომ არ შეიძლება აქ არიშიანი იყოს ბარამის ს ა მ ო ხ ე ლ ე ო სახელი, ამას თითქოს მხარს უჭერს ერთ-ერთი ვარიანტის (Mm) ჩვენება — მ ი ს მ ა ნ ნაცვლად მ ა თ მ ა ნ — ისა. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ საკუთარი სახელი კახეთში იმ ღროს ჩვეულებრივია, როგორც ჩანს, ა რ ი შ ი (და აქედანვეა საგეოგრაფიო სახელი არიში). არიშიანი კი ამ საკუთარი სახელიდან ნაწარმოები გვარსახელია (შდრ. ვაჩნაძიანი). ამასვე მოწმობს. უნდა ვიფიქროთ, დავით აღმაშენებლის ბრძანება: „აწღა მოვიდა ჩუენს წინაშე არიშიანი და გუეაჯა“... აქ ა რ ი შ ი ა ნ ი ს ა მ ო ხ ე ლ ე ო სახელი ჩანს (დიდმოხელე — ერისთავი). ამას მოწმობს ბრძანების შინაარსი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ თუ მეორე წაკითხვაა სწორი, ე. ი. ბარამ არიშიანი კი არ იგულისხმება, არამედ ძმები არიშიანი და ბარამ, ასეთი წაკითხვისა საქმე გაჭირდებოდა. თუ არიშიანი საგვარეულო სახელია, არიშიანგან ნაწარმოები, მაშინ ბარამიც არიშიანია და როგორღა მოხდა, რომ ეს სახელი მხოლოდ ერთი ძმის საკუთარ სახელად იქცა, ხოლო შემდეგ სამოხელეო სახელად დარჩა. ან, შეიძლება, არიშიანი აქაც მოხელის (ერისთავის) აღმნიშვნელია და ბარამი ამ არიშიანის ნათესავი არაა:

„არიშიანმან (ერისთავმა) ბარამ და დედისძმამან მისმან ქავთარ ბარამის ძემან“ (?...).

მე კი მგონია, რომ: 1. ან იკითხებოდეს უნდა ა რ ი შ ი ა ნ მ ა ნ ბ ა რ ა მ, ან 2. არიშიანმან, ბარამ, მაგრამ არიშიანმან აქ უბრალო საკუთარი სახელი კი არაა როგორც ბარამ, არამედ ერისთავის დიდმოხელის ტიტული უსაკუთარსახელოდ... (წიგნი 5. ფურც. 101—102, 107—108, 109—110).

9. ქ ᲒᲪᲐ II, ი ს ტ ო რ ი ა ნ ი და ა ზ მ ა ნ ი, 11—12

XII საუკუნის 60-იანი წლები იყო, მეფე გიორგი მუსლიმანურ კოალიციას ებრძოდა. ბრძოლის საგანი ანისი იყო სომხეთით. მუსლიმანებმა შემოუტიეს და გაგი აიღეს. გიორგიმ ლაშქარი შემოიყარა და მტერს გაეგება. მტერმა ქართველთა ლაშქართან შებმა არ ისურვა, გაგი დააგდო და უკან დაიხია. ქართველები ეკლეციის წყალზე ეწივნენ მტერს. ისტორიკოსის აზრით ძლევა ქართველებს უნდა დარჩენოდათ „გარნა უქმ იქმნავე ესევითარი ძლევად განმზადებულება. ანტაკრა ექმნეს ვიეთნიმე დიდებულთაგანნი ვიდრე სადავეთაცა დაჭიდებადმდე, ხოლო უფროსლა ვ ა რ დ ა ნ კ ო ლ ო ნ კ ე ლ ი ს ძ ე, რომელსა მას ჟამსა ერისთაობაცა ეპყრა ჰერეთს, კაცი დღითა მომწყსებული და ბრძოლათა შინა ძლიერი და გამოცდილი (აქ ავტორი წიაღსვლით მსჯელობს შურისა და ურთიერთის მტრობაზე...). და არა მოუშუეს მეტყუელთა ამისთა: „ვინათგან გაქცეულა სულტანი ყოვლითა სპითა მისითა, ნუღარა აღზუავებულ მკადრებლობ ღმრთისა“. ჩვენი ავტორი დიდებულთა ამ საბუთს არ ცნობს: „ესრეთ მიზეზი უმიზეზო, სიტყუა უსიტყუე, საქმე უქმი“...

აქ ამჟამად ჩვენ ორი რამ გვაინტერესებს: 1. ვარდან კოლონკელისძე მ ა მ უ ლ ო ბ ი თ ჰ ე რ ე თ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი ა რ ა ა. ის რომელიღაც სხვა ჯელის მქონებელია, საფიქრებელია ხორნაბუჯის ერისთავი, და „მას ჟამსა ერისთაობაცა ეპყრა ჰერეთს“. აქ საინტერესო ისაა, რომ (თუ კოლონკელის ძე ხარნაბუჯის ერისთავია),

ჰერეთის ერისთავობა არ ეწოდება ხარნაბუ-
ჯის ერისთავობას, ჰერეთის ერისთავობაში „დასავლეთ ჰე-
რეთი“ (პავლე ინგოროყვას ნომენკლატურით) = კამბეჩიანი არ იგუ-
ლისხმება, არამედ მხოლოდ „აღმოსავლეთ ჰერეთი“, ალაზნის გაღ-
მა მხარი.

ასე რომ ჩვენი ავტორის ენაზე ჰერეთი განსაკუთრებით ალაზ-
ნის გაღმა მხარეს ეწოდება.

2. მოტანილი ადგილიდან ჩვენთვის საყურადღებო ისაა, რომ
კოლონკელის ძე აქ სხვა დიდებულებთან ერთად, თუ მოშურნედ და
არაკეთილის მსურველად არის კვალიფიცირებული, მ ო ღ ა ლ ა-
ტ ე დ მ ა ი ნ ც ა რ ი გ უ ლ ი ს ხ მ ე ბ ა, როგორც ამას ჰგონებს
პავლე ინგოროყვა და ამის გამო კოლონკელის ძის დასჯასაც კი
ვარაუდობს.

ვარდან კოლენკელის ძე რომ არ დაუსჯიათ იქიდან ჩანს, რომ
ჰერეთის ერისთავობა ამის შემდეგაც მის სახლში დარჩა და მხოლოდ
1184—1185 წლის ახლო მისტაცა მის სახლის კაცს (შვილს?) საღირ
კოლონკელის ძეს ასათ გრიგოლის ძემ „მ ძ ლ ა ვ რ ო ბ ი თ და მ ო-
რ ე ვ ი თ“, ე. ი. ისტორიკოსის აზრით — უსამართლოდ — ჰერეთის
ერისთავობა.

კი მაგრამ დემნას განდგომის დროს ჰერეთის ერისთავი არ იყო
გრიგოლ ასათის ძე?? (წიგნი 5, ფურც. 122).

10. ქ ცა II, ჟ. ა. 178_8, 207_{12}

აქედან უეჭველად ჩანს, რომ კამბეჩიანი ცალკე ქვეყანაა (ისევე
როგორც სომხითი), რომ ეს ქვეყანა ჰერეთი არაა, რომ ის ისეთივე
სამხედრო ერთეულია (საროშო) როგორც კახეთი ან ჰერეთი.

აქვე, ისტ. აზმ. 61_{8-11}

ცალკე საერისთავო ქვეყნად წარმოუდგენია „კ ა მ ბ ე ჩ ა ნ ი ს
ქ ვ ე ყ ა ნ ა“, სადაც ხორნაბუჯელი ერისთავი საქმობს საღირ მ ა ხ ა-
ტ ლ ის ძე.

აქვე, ჟ. ა. 230—231

ხორნაბუჯელი ისეთივე ქვეყნის მფლობელია როგორც თორღვა
პანკელი კახეთისა ან ჰერეთის ერისთავი... და საერთოდ ისე ჩანს
თითქოს რომ ხორნაბუჯის საერისთავო (კამბეჩიანი) ჰერეთის ერის-
თავებს არა ჰქონიათ. ხორნაბუჯელებს კამბეჩიანი (ხორნაბუჯით) არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუკარგავთ, ვიდრე არ გადაშენდნენ XIII საუკუნის მეორე ნახევარში...

თვალის მიდევნებაა საჭირო: ჰერეთი გაღმაა, გამრლმა კამბეჩიანია (ხორნაბუჯით). ეს არის ორი ცალ-ცალკე საერისთავო... (წიგნი 12, ფურც. 8).

[„ზემონი და ქუემონი", „იმერ"-„ამერი"]

1. ქ^ცა I, ჯუანშერი, 217_{19}

სპარსელებს ქართლი ეპყრათ. სპარსეთს გასაჭირი დაადგა, თურქები შემოესივნენ. „ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქუემონი, და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა, და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა და რათა იყვნენ ერისთავნი იგი თჳსთჳსსა საერისთაოსა შეუცვალებლად".

გამოთქმა „ზემონი და ქუემონი". გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, „ზემონი"-ში იგულისხმება ქართლის ერისთავები „ქუემონი"-ში" ეგრისის, არგვეთისა და ეგრისწყალს ქუემოთი (შდრ. ბაგრატის სიგელი და შესაფერი ადგილი „ქართლის ცხოვრებიდან").

ქ^ცა I, მატიანე ქართლისა, 279_1

ბაგრატ III-ემ დავით კახთა ქორეპისკოპოსს ქართლის ციხეების დატოვება მოსთხოვა. დავითმა უარი შემოუთვალა. ამ დროს ბაგრატი ლივს იყო (ჯავახეთში), ტაოს და ქართლის საქმეებს განაგებდა.

ბაგრატი გაწყრა „წარგზავნა კაცი მოსწრაფედ, აწჳა სპათა აფხაზეთისა და ქართლისათა და თჳით წარემართა ზემოთა ლაშქრითა, გაიარა თრიალეთი, გავლო ჯიდი მცხეთისა. და მოერთნეს თანა აფხაზნი და ქართველნი. დადგა თიანეთს, და იწყო შემუსრვად კახეთისა".

ზემოთა ლაშქრითა აქ, როგორც ადვილად შესამჩნევია, ნიშნავს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ე. ი. სამცხე-ჯავახეთის ლაშქარს.

სამწუხაროდ, ასევე ცხადი არ არის, თუ სახელდობრ რა მხარე იგულისხმება „ზემონი და ქვემონი"-ში.

მაგალითად აქვე გვ. 281_9; ბაგრატ მეფემ ქუთაისის ტაძრის კურთხევაზე „შემოკრიბნა მახლობელნი ყოველნი ჴელმწიფენი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კათალიკოსნი, მღდელთ-მოძღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინა-
მძღუარნი, და ყოველნი დიდებულნი ზ ე მ ო ნ ი და ქ უ ე მ ო ნ ი
მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი და სხუათა ყოველთა ს ა-
ქ ე ლ მ წ ი ფ ო თ ა ნ ი“.

სხვა ადგილას ჩვენ დავრწმუნდებით, რომ „ზემო“ მიემართე-
ბოდა ქართლს, ხოლო „ქუემო“ მიემართებოდა დას. საქართველოს.

ჩანს „ზემო“ და „ქუემო“ გეოგრაფიული ვითარებისდა კვალად
გამოითქმოდა და ის საგეოგრაფიო სახელს დამოუკიდებლად არ წარ-
მოადგენდა.

ქ ცა, I, მატიანე ქართლისა, 291_9

გიორგი მეფე გარდაიცვალა „მასვე ჟამსა მეფე იქნა ბაგრატ ყო-
ველსა მამულსა და სამეფოსა მისსა ზედა, ზემოსა და ქუემოსა, წე-
ლიწდისა ცხრისასა“.

მოტანილი ადგილის „ქუემოსა“ უთუოდ ნიშნავს დასავლეთ სა-
ქართველოს, აფხაზეთს...

ი ქ ვ ე, 296_{18}

ბიზანტიასთან მორიგდნენ „და შემდგომად ამისა მოირჭუნა და
ეუფლა ზ ე მ ო ს ა და ქ უ ე მ ო ს ა თავის მამულსა ზედა ბაგრატ“.

ამ ავტორს ეს გამოთქმა ზემოსა და ქუემოსა ახასიათებს. და
გულისხმობს, უდავოა „ა ფ ხ ა ზ ე თ ს“ (ქ უ ე მ ო ს ა) და „ქართლს“
ტაო-კლარჯეთ-მესხეთ-ჯავახეთის მითვლით — (ზემოსა).

ი ქ ვ ე, 298_{12}

„შემდგომად მცირედისა ჟამისა გამოიყვანა ლიპარიტ დემეტრე,
ძმა ბაგრატისი, საბერძნეთით ბერძენთა მეფისა ლაშქრითა. და მიერთ-
ნეს სხუანიცა ვინმე დიდებულნი და აზნაურნი, მოვლეს ზ ე მ ო
ქ უ ე ყ ა ნ ა და ჩ ა მ ო ვ ი დ ე ს ქ ა რ თ ლ ს, მოადგეს ატენს, არე-
არე მოწუეს ქართლი“.

აქ ზ ე მ ო ქ უ ე ყ ა ნ ა რა თქმა უნდა, მესხეთ-ჯავახეთი-თრია-
ლეთია...

ი ქ ვ ე, 302_3

ლიპარიტმა ბაგრატი დაამარცხა არყის ციხესთან, ბაგრატი გაიქ-
ცა. „მ ო ი რ ჭ უ ნ ა ლ ი პ ა რ ი ტ ზ ე მ ო ს ა ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა და
ა ღ ი ხ უ ნ ა ც ი ხ ე ნ ი, და მიიერთნა თავადნი კაცნი“.

აქაც „ზ ე მ ო ს ა ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა“ მესხეთ-ჯავახეთ-თრიალე-
თია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქვე, 302_9

„წარვიდა ლიპარიტ შუელად ბერძენთა ყოვლითა ჯარითა ამის ზედაჲს კერძისათა“.

ქ˜ცა, I, მატიანე ქართლისა, 304_{14}

„ლიპარიტ მოირჭუნა ზემოსა კერძსა დაუკლებლად... ხოლო ბაგრატს აქუნდა ლიხსა ქუემოითი კერძი დაწყობით“.

ავტორისათვის, როგორც ცხადად ჩანს, ზემოსა და ქვემოს განსაზღვრისათვის ამოსავალი არის ლიხი.

იქვე, 306_{16}

თურქები „წავიდეს ჯავახეთს და მოადგეს ახალქალაქს, რამეთუ მესხნი აზნაურნი და ზემოსა კერძისანი ძლიერად დგეს ახალქალაქს, და ბრძოდეს სამ დღე“...

ქ˜ცა I, მატიანე ქართლისა, 317_9

თურქები დაესხნენ ქართლს. „შეკრბა გიორგი მეფეთ-მეფე ყოვლითა სპითა მისითა, ზემოთა და ქუემოთა, და მოიყვანა მათ წინაშე აღსართან, კახთა მეფე, და დაჰმართეს ერთმანერთსა“...

აქ, რა თქმა უნდა, „ქუემოთაში“ იგულისხმება ლიხს ქუემოთი, ხოლო „ზემოთაში“ ლიხს ზემოთი (მესხეთი და სხვა).

გ-ი ხუცეს მონაზონი, $159_{13, 19}$

გიორგი ათონელი საბერძნეთიდან ქუთაისს მოვიდა. „ხოლო აცნობეს მსწრაფლ მეფესა, რამეთუ ზემოთა ქუეყანათა იყო“... მეფე გიორგიმ თავისთან იხმო „და წარმო-რაჲ-ვედით, და მოვიწიენით ქუეყანად ქართლისა, სადა იგი-იყო მეფე მთავართა თჳსთა თანა“.

ცხადია, ლიხთიქითის მიმართ ქუეყანა ქართლისა არის ზემო ქუეყანა.

ქართ. სამ. ძეგლები II, 19, დ˜თ აღმაშენებლის ანდერძიდან:

მემკვიდრე დიმიტრის დაუტოვეო... „ამას ყოველსა თანა-წარუძღუვანე წმიდაჲ ძელი ცხოვრებისაჲ და მივეც დროშა ჩემი სვიანი, აბჯარნი ჩემნი სამეფონი და საჭურჭლენი ჩემნი ზემონი და ქუემონი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროის მეფეთა საჭურჭლე დასახელებით არის აღნიშნული ატენის საჭურჭლე (აქვე 20) და ქუთაისის საჭურჭლე...

ბუნებრივია, თუ ქუთაისის საჭურჭლეს „ქუემონის“, ხოლო ატენის საჭურჭლეს ზემო საჭურჭლედ გავიგებთ...

ჰევთა ზ ე მ ო თ ა და ქ უ ე მ ო თ ა ს გაგებისათვის (მ—1, 29, ფურც. 21, 22, 23, 24, 25, 26. მ—2,7. ფურც. 145).

2. ქ˜ცა I, მატიანე, 305_{29}

ივანე ლიპარიტის ძე საბერძნეთს იყო გადახვეწილი. „და თკთ ბაგრატცა გამოიზიდნა გამოიყვანა ამას სამეფოსა, და უბოძა მ ა მ უ ლ ი ა რ გ უ ე თ ი ს ა და ქ ა რ თ ლ ი ს ა, და ჰმონებდა ერთგულობით“.

„ლ ი ხ ს ქ უ ე მ ო თ ი კ ე რ ძ ი“ „აფხაზეთი“ იყო. ლიხს ზემოთი „ქართლი“ იყო, მაგრამ „ლიხი“ რაღა იყო? ლიხი იგივე „არგუეთი“ იყო, რომელიც პოლიტიკურად თითქო ქართლში იმყოფებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეთნიკურად ის „ქართლში“ არ იგულისხმებოდა: ეს ამ ჩვენი ციტატიდან ჩანს. მაგრამ არგუეთი არც აფხაზეთი იყო...

ასევე ჩანს 309_{10}: კ ა ც ხ ი და ს უ ე რ ი ს ც ი ხ ე ა რ გ ვ ე თ შ ი (მ—2, 3. ფურც. 44).

3. ქ ა რ თ ვ ე ლ ი ე რ ი ს ი ს ტ ო რ ი ა I, 404, 1960 წ ლ ი ს გ ა მ ო ც ე მ ა

„იბერი“-საგან არის წარმოდგენილი „ივერი“, რომლის ნაშთად ქართველების სომხური სახელი „ვირქ“ უნდა ჩაითვალოს, და „იმერი“ იმერელი, იმერეთი“.

წინადადება ნათელი არაა, გამომცემელი თითქო (ავტორიც? ნახე 1913 წლის გამოცემა) იმას ამბობს, რომ „იბერისაგან არის წარმომდგარი.... „იმერი“, იმერელი, იმერეთი... (მ—2, 7. ურც. 122).

4. ქ˜ცა I, ც-ბა დავითისი, 331_{14}

„ხოლო ვიდრე ამა ჟამადმე ქალაქი ტფილისი, რუსთავი და სომხითი და ყ ო ვ ე ლ ი ს ა მ შ ჯ ლ დ ე და აგარანი თურქთა ჰქონდეს. ხოლო თრიალეთი და კლდე-კარნი ჰქონდეს თევდორეს, ჭყონდიდელისა დისწულსა, კაცსა გონიერსა და დიდად მყოფსა. რამეთუ რა მეფე გარდავიდის აფხაზეთად (აფხაზეთით). უმცრორე ეშინოდის თურქთა და მათთა ციხოვანთა. მას ჟამსა მეფე გარდავიდა ი მ ე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე თ ს; და შეკრბეს გიორგი ჭყონდიდელსა მწიგნობართუხუცესსა წინაშე თევდორე, აბულეთი და ივანე ორბელი, და სიმონ ... პარეს სამშჯლდე“.

ვგონებ პირველად გვხვდება ტერმინი ი მ ე რ ე თ ი. აქაც სიმონ ყაუხჩიშვილს, უფრო სწორი იქნებოდა უპირატესობა მიეცა საკითხავისათვის „იმერით“ „იმერითს“: ეს ფორმები უფრო ძველია და ი მ ე რ ე თ ი მიღებული ჩანს „იმიერით“, „იმერით“-ისაგან.

ეს ადგილი განსაკუთრებით საინტერესო იმითაა, რომ ავტორი აქ ამ სიტყვას ხმარობს არა როგორც გეოგრაფიულს, ან ეთნიკურ ტერმინს, არამედ როგორც საგეოგრაფიო ცნებას, მის მიერვე ზემორე მოხსენებული „ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს“ ნაცვლად (ე. ი. ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ქ ვ ე ყ ა ნ ა არის ი მ ი ე რ ე თ ი ს ქ ვ ე ყ ა ნ ა, ანუ აფხაზეთი არის იმიერეთი, ანუ აფხაზეთი არის იმერეთი).

ეს თ ან ით იგივე სუფიქსია, რაც სომხით, გელათი, ბაღდათი, ხრეითი. „დიდებულნი იმერნი და ამერნი“... ისტ. და აზმ. იმიერტაო ამიერტაო... (მ—2, 7. ფურც. 89).

5. ქართ. სამართ. ძეგლები II, 24

გიორგი III სიგელი.

„შეკრბეს ყოველნი სამეფოჲსა ჩუენისა მონაზონნი და ებისკოპოსნი ი მ ე რ ნ ი და ა მ ე რ ნ ი, კათალიკოზი, მოძღუარი და ყოველნი მეუდაბნოენი“...

თუ სწორია ეს წაკითხვა, (ეპისკოპოსი) ი მ ე რ ი (იმიერი) და (ეპისკოპოსი) ა მ ე რ ი (ამიერი) უკვე შემოსულია. თუ ეპისკოპოსი იყო „იმერი“, ასევე შეიძლებოდა ყოფილიყო წარჩინებული „იმერი“, აზნაური „იმერი“ და აგრე შემდეგ. ე. ი. ადამიანი „ი მ ე რ ი“. აქედან ქ ვ ე ყ ა ნ ა ი მ ე რ ე თ ი.

ეს ახსნა უფრო ბუნებრივია, ვიდრე ის, აქამდე რომ ვფიქრობდი (ი მ ი ე რ ი თ ქვეყანა — ამიერითი ქვეყანა — იმერითი ქვეყანა — იმერეთი და აქედან იმერელი): — რომ „იმერეთი“ მიღებულია იმერითისაგან (პროგრესული ასიმილაციით) და არა იმერისაგან, ი მ ე რ-ე თ-ი (მ—2, 7. ფურც. 132).

6. ქ ცა I, ლაშას მემატიანე, 369_2

თამარის დროისაო „ქარავანსა ვერვინ ძარცვდა ა მ ე რ ი და ი მ ე რ ი“.

ბუნებრივია, რომ შექმნილიყო ტერმინი „ი მ ე რ ე თ ი“ და რომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი მ ე რ ე თ ი გვიან ნაწარმოებია ყველა იმ ე თ ე ბ ი ს ანალოგიით. (ᲛᲐ—2, 7. ფურც. 90).

7. ქ˜ცა II, ისტ. აზმ. 15_{14}

გიორგი მეფე „ჟამსა ზამთრისასა გარდავიდის ლ ი ხ თ-ი მ ე-რ ი თ ს, და მიუწიის ზღუად პონტოსა, მოიწიის და მოინადირის ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი“.

ამ ლიხთ-ი მ ე რ ი თ შ ი მთელი დასავლეთ საქართველო იგულისხმება პონტოს ზღვამდე.

სწორი ფორმაა ლიხთიმერითი და კ. კეკელიძის კონიექტურა ლ ი ხ თ-ი მ ე რ ე თ ი შეცდომაა: ის ნაგვიანევია.

აქ „ლიხთიმერითი“ იგივე „აფხაზეთია“ და მაშასადამე ქვეყნის ეთნიკურ-ტერიტორიული აღნიშვნა კი არ არის, არამედ ზოგად გეოგრაფიული ცნება.

გამოდის, რომ იყო გეოგრაფიული ცნება ლიხთიმერითი. ადამიანი ამ დროს იყო ლიხთიმერი ან იმერი. მაგრამ იმერეთი მიღებულია არა იმერითისაგან, არამედ ი მ ე რ ი ს ა გ ა ნ: იმერ-ეთ-ი, იმერითისაგან ჩვენ ვერ მივიღებდით იმერელს, არამედ გვექნებოდა იმერითელი.

ამრიგად: იყო ლიხთიმიერი, ლ ი ხ თ ი მ ი ე რ ი თ ი აქედან განვითარდა იმიერი, იმერი, აქედან მივიღეთ იმერეთი, აქედან მივიღეთ იმერელი... (ᲛᲐ—2, 7. ფურც. 93).

8. ქ˜ცა II, ისტ. აზმ. 21_{3}

გიორგი მეფემაო „თანადგომითა... დიდებულთა ი მ ი ე რ თ ა და ა მ ი ე რ თ ა, ვაზირთა და სპასალართა“ მეფედ დასვა თამარიო.

იმიერი ქვეყანა,
იმერი დიდებული,
იმერი ადამიანი,

მაგრამ ა ღ ა რ ა გ ვ ა ქ ვ ს ი მ ე რ ი ქ ვ ე ყ ა ნ ა, არამედ გვაქვს ი მ ე რ ე თ ი, რაც მოწმობს, რომ ეს ერთსუფიქსიანი genitivus pluralis სიმრავლე კი არა, წ მ ი ნ დ ა გ ე ო გ რ ა ფ ი უ-ლ ი ც ნ ე ბ ა ა: ამიტომაც გვაქვს ი მ ე რ ე ლ ი (ᲛᲐ—2, 7. ფურც. 98).

9. ქ˜ცა II, ისტ. აზმ. 34_{14}

თამარმაო „იპყრნა ზღუთ პანტოსით ზღუადმდე გურგანისად და სპერითგან დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიისა ი მ ე რ ე ლ ნ ი

და ამერელნი ხაზარეთამდის და სკკთთამდის“ („იმერნი და ამერნი“ ვახუშტით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ უკვე იმერელნი ან იმერნი კავკასიის ჩრდილოეთის მცხოვრებნი არიან, ისევე როგორც ამერელნი ან ამერნი კავკასიის სამხრეთის მცხოვრებნი. — და, აშკარაა, არავითარი ტომობრივი ერთეულის მნიშვნელობა ამ ტერმინებს (იმერელნი იმერნი და ამერელნი ამერნი) არ აქვთ და ზოგადი მნიშვნელობის ცნებებია მთის იქითის და მთის აქათის აღსანიშნავად (მ—2, 7. ფურც. 101).

10. ქ^ცა II, ისტ. აზმ. 54_{13}

რუსი რომ დამარცხდა „ლიხთ-იმერთა დიდებულთა... ითხოვნეს ცხოველნი ხატნი და თჳთ დედოფალი რუსუდან მათ წინაშე საყოფელად“.

ლიხთიმერნი დიდებულნი; ლიხთიმერი დიდებული იმას მოწმობს, რომ იგულისხმებოდა ლიხთამერი დიდებული.

„იმერი“ რომ ეთნიკური ცნება ყოფილიყო, მაშინ „ლიხთ“ საჭირო არ იქნებოდა. სწორედ ეს „ლიხთ“ ანიჭებს იმერს საგეოგრაფიო სახელის ცნებას. როცა ამ დროს ხმარობენ „იმერს“ დამოუკიდებლად, ყოველთვის იგულისხმება „ლიხთ“. ასე რომ დამოუკიდებელი ცნება „იმერი“ ამ დროს შობის პროცესშია და იმერი ამ დროს სრულიადაც არ ნიშნავს დას. საქართველოს რომელიმე ერთი კუთხის მკვიდრს, არამედ გულისხმობს მთელი დასავლეთი საქართველოს ქვეყანას. მხოლოდ გვიან, როგორც ეტყობა, შემოდის ეს ცნება იმერი, იმერეთი დასავლეთ საქართველოს ერთი კუთხის აღსანიშნავად, სახელდობრ არგვეთ-სამოქალაქოს აღსანიშნავად, როცა ლიხთიმერით ქვეყანას პოლიტიკურად ჩამოშორდა ოდიში, აფხაზეთი და გურია.

ქვეყანა „იმერეთის“ წარმოშობისათვის (მ— 2, 7. ფურც. 104).

11. ქ^ცა II, ისტ. აზმ. 99_{16}

თამარიო „ჟამ გარდვიდიან აფხაზეთს და განაგიან საქმენი მანდაურნი, და მოინადირიან კეთილი იგი სანადირო გეგუთი და აჯამეთი, მერმე გარდმოვიდიან ქართლს, სომხითს და დადგიან დურს“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ფ ხ ა ზ ე თ შ ი ა გეგუთი და აჯამეთი და არა „ი მ ე რ ე თ შ ი“, ასეთი ტერმინი იმ დროს არ არსებობდა. რომ არსებულიყო სწორედ აქ იყო მისი მოხსენიების ადგილი, აკი ერთ-ერთ ვარიანტს ეს უმატებია — „იმერეთად“ (მ—2, 7. ფურც. 109).

12. ქ ᲪᲐ II, ჟ. ა. 217_{13}

უმეფობის ჟამს ეგარსლანი მეტისმეტად გაძლიერდა. მეფობა ეგულებოდა...

„ამისთჳს შეკრბეს მ თ ა ვ ა რ ნ ი ა მ ე რ ი ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო-ს ა ნ ი: შანშე, ვარამ გაგელი, ყუარყარე ჯაყელი, სარგის თმოგუელი... სურამელი გრიგოლ, ქართლის ერისთავი, გამრეკელი თორელი, ორბელნი, და მრავალნი ე რ ი ს მ თ ა ვ ა რ ნ ი და ძებნა ყველ ლაშას ძისა დავითისთჳს“.

ი ყ ო ა მ ე რ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო, ცხადია ი ყ ო ი მ ე რ ი ს ა-ქ ა რ თ ვ ე ლ ო.

ა მ ე რ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი შ ე დ ი ს ს ო მ ხ ი თ ი; ფორმა ა მ ი ე რ ი უკვე გადასულია (მ—2, 7. ფურც. 34).

13. ქ ᲪᲐ II, ჟ. ა. 275_{1}

„და კუალად ამათ ჟამთა დამშჳდნა ქ უ ე ყ ა ნ ა ლ ი ხ თ-ი მ ე რ ი“ (იგულისხმება დავით ნარინის დრო).

ეს ქვეყანა შეიცავს მთელ დასავლეთ საქართველოს და ამდენად ენაცვლება ძველს, ზოგად ცნებებს ე გ რ ი ს ს და ა ფ ხ ა ზ ე თ ს.

ასე რომ არაა სწორი ჩემი წინა მოსაზრება, რომ ეგრისის და აფხაზეთის შემცვლელი ზოგადი ცნება დასავლეთ საქართველოს აღსანიშნავად არ წარმოქმნილა-მეთქი.

როგორც ვხედავთ, ის წარმოქმნის პროცესში იყო, მაგრამ ასეთი ზოგადი შინაარსით საბოლოოდ ვერ გაფორმდა: ქვეყნის დაშლამ უსწრო და „ი მ ე რ ე თ ი“ დას. საქართველოს მხოლოდ ერთი მხარის სახელად დამკვიდრდა და სწორედ იმ ნაწილის, რომელიც ძველიდანვე ერთგვარ განსხვავებულობას ამჟღავნებდა და არც ღამოუკიდებელი სახელი ჰქონდა. („არგვეთი“ „იმერეთს“ არ ფარავს). „იმერეთი“, როგორც ქვეყანა გაერთიანების შემდგომი ხანის წარმონაქმია (არგვეთისა, ოკრიბისა, რაჭა-ლეჩხუმისა, ვაკე-სამოქალაქოსა და ფერსათისაგან შემდგარი ქვეყანა)... (მ—2, 7. ფურც. 134).

14. „კარის გარიგებით“ ი მ ი ე რ ი, ი მ ე რ ი, აღმოსავლეთ საქართველოს (და აქაურს) ნიშნავს, ამიერ, ამერი — დასავლეთ საქართველოს (მ—2, 16. ფურც. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. ნ. მარი, ჯვრის მონასტ. აღაპ. გვ. XXIII

მოსახსენებელი: „ი მ ე რ ე ლ თ მ ე ფ ე თ-მ ე ფ ე ა ლ ე ქ ს ა ნ-დ რ ე.

მამა მისი მეფე ბაგრატ, დედა დედოფალი (სახელი არაა). მეუღლე ალექსანდრესი დედოფალი თამარი“.

აქ „იმერელთ მეფეთ მეფე“, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ტომობრივი გაგებით, არამედ ლ ი ხ თ ი ქ ი თ ი ს გ ა გ ე ბ ი თ, ე. ი. აფხაზეთის გაგებით. აქ ალექსანდრე თუ XVI საუკუნის არა, XVII საუკუნისა არის...

აქვე გვ. XXII: „მოიჯსენე უფალო ყოველი ი მ ე რ ე ლ ნ ი მართლმადიდებელნი აფხაზეთის კ-ზი დავით, აფხაზეთის კ-ზი ლორთქიფანიძე. გრიგოლიოს“ და სხვ...

აქაც იმერელნი ტომობრივი გაგებით კი არა, ლიხთიქითის გაგებითაა ნახმარი... (მ—2, 16. ფურც. 48).

[მთა და ბარი]

1. სტრაბონის ცნობიდან მარტო ის რად ღირს, რომ ის არას ამბობს იბერთა ენის შესახებ, არ აღნიშნავს, რომ მათ მრავალი ენა აქვთ, მაშინ როცა ეს არ ავიწყდება ალბანელთა შესახებ. ამავე დროს აღნიშნავს მთის და ბარის იბერიელთა სხვადასხვაობას ცხოვრების პირობებით. მაშ რით არიან ეს მთიელები იბერიელნი (სხვაგვარად იცვამენ, სხვა მეურნეობა აქვთ, ვიდრე ბარელებს... ბარელები კი სომხებს და მიდებს ჰგვანან...) ერთადერთი დარჩა ე ნ ა. ან უნდა ვიფიქროთ ბარელმა იბერებმა დაიპყრეს მთიელები, სარმატები და გააიბერეს, ან ეს მთიელები და ბარელები უძველესიდანვე ერთისისხლნი იყვნენ და მთა და ბარმა ისინი ყოფის თვალსაზრისით დააშორიშორა. რას გულისხმობს სტრაბონი ცხადი არ არის, უფრო კი მეორეს, თითქო (მაგრამ „სარმატებს ენათესავებიანო“?...) იმიტომ, რომ სხვა ენის რომ ყოფილიყვნენ, დაპყრობილი რომ ყოფილიყვნენ სტრაბონი ამას აღნიშნავდა, როგორც აღნიშნა მესხების დაპყრობა იბერიელთ და სომხების მიერ, ან სომხების მიერ იბერიელთა ქვეყნების მიტაცება, მაგრამ მის დროს იყო სომ-

ხეთის ერთენიანობა, ალბანიის ერთი პოლიტიკური ერთეულობა, მაგრამ მრავალენიანობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრაბონით გამოდის, — სომხეთი მრავალტომიანია, მაგრამ ერთენიანია (ეს შეასწორა მანანდიანმა: უნდა ვიგულისხმოთ ერთი სახელმწიფო გაბატონებული ენა); ალბანიაც მრავალტომიანია (მონათესავე ტომები) და მრავალენიანია (ამას განვითარების გზით სომხეთის სიმაღლისათვის არ მიუღწევია), იბერია კი, როგორც ჩანს, ერთიანი იგულისხმება (ისევე შესწორება შეიძლება სჭიროდეს: ერთი სახელმწიფო და გაბატონებული ენა, თუმცა ყოფით განსხვავებულ მთიელებს რაღა აკავშირებს ბარელებთან, თუ არ ენის ერთობა?...) და მრავალტომიანი... მარტო ესეც საკმაოა იბერიის პოლიტიკური სურათის გასაგებად, ეს მთიელები განა დაპყრობილნი შეიძლება იყვნენ? მეურნეობით ისინი ბარისაგან დამოკიდებულნი არ ჩანან (ვითომ ყიშლაღები?), ყოფა და ქცევა სხვა აქვთ. მაშ რაში გამოიხატება მათი დაპყრობა-დამორჩილება? ასეთ პირობებში მათ როგორ შეიძლება უცხო (დამპყრობელის) ენა შეითვისონ?? უნდა ვიფიქროთ ბარი მოიწევს უძველესი დროიდანვე ღ ა ს ა ხ ლ ე ბ ი თ (მ—2, 19, ფურც. 4—5).

2. უეჭველია მთა „გარდუვალი“ და „საშინელი“ გვიან ხანაში გახდა, როცა კულტურის ცენტრი ბარში გადმოვიდა, როცა მიწათმოქმედება მთავარი, წამყვანი მეურნეობა გახდა. ძველად კი, როცა კულტურა უპირატესად მთიანეთისა იყო, როცა კულტურის „ც ე ნ ტ რ ე ბ ი“ მთისპირა ზოლში იყო, როცა მიწათმოქმედებას დამხმარე მნიშვნელობა ჰქონდა (ეს უდავოდ ჩანს ე. წ. ბრინჯაოს ხანაში. რა თქმა უნდა, ხალხი ამ დროს მკვიდრია და არა მსხემი, მაგრამ წამყვანი დარგი მაინც მესაქონლეობაა საზამთრო-საზაფხულო საძოვრებით), ხოლო წამყვანი დარგი მესაქონლეობა იყო, ამ დროს მთა უეჭველია უფრო ათვისებული იყო და ურთიერთობა მთის გადაღმა-გადმოღმის შორის უფრო ნორმალურია... (მ—2, 19. ფურც. 13).

3. ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო (განვითარებული საზოგადოებრივი ურთიერთობა, კლასობრივი საზოგადოება, ფულით, ვაჭრობით, ქალაქებით, ხელოსნობით, მიწათმოქმედებით) შეუძლებელია „მთაში“, თუ მას ბარი არ ახლავს; თუ ბარი არ განსაზღვრავს მის სახეს. მხოლოდ ბარში უმთოდ შესაძლებელია სახელმწიფო წარმოვიდგინოთ, მაგრამ შეუძლებელია მხოლოდ მთაში უბაროდ სახელმწიფოს წარმოდგენა. „მთა“ არ იძლევა საამისო პირობას... კავკასიის (და მცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე აზიის) სახელმწიფოები სწორედ ასეთი სამეურნეო შეერთებაა, სამეურნეო შერწყმაა მთისა და ბარის. მხოლოდ მთიანეთის სახელმწიფოს ჩვენ არ ვიცნობთ. იქ მთაში შეიძლება სამხედრო დემოკრატიამდე ამაღლდეს საზოგადოება, მაგრამ ამას ველარ ასცდება... მან, მთამ, სამხედრო დემოკრატიისამ შეიძლება დაიპყროს განვითარებული ბარი, გაუბატონდეს მას, მაგრამ ის ამითვე შედგება ახალ საფეხურზე, ბარის ურთიერთობის გაზიარების საფეხურზე, მისდამი (ბარისადმი) დამორჩილების საფეხურზე სახელმწიფოს წარმოქმნის საფეხურზე. ასე რომ კუნოვ-კაუცკის თეორია მთის მიერ ბარის დაპყრობისა და ამ ნიადაგზე გლეხის გაჩენის, ე. ი. ფეოდალურ სახელმწიფოს გაჩენის თეორია დაპყრობის გზით, — თავდაყირა დასაყენებელია: მთა კი არ იპყრობს ბარს, არამედ მთას იმორჩილებს მეურნეობრივად და, საბოლოოდ პოლიტიკურადაც მთის მიერ „დაპყრობილი" ბარი (მთიელთა მიერ დაპყრობილი ბარელები...).

ასე რომ ყოვლად არაისტორიულია და ზედაპირული ეს მთიანეთის სახელმწიფოები და არც რაიმე ცენტრის, სახელმწიფოს ცენტრის, დაგულვება შეიძლება სადღაც მთაში... გ ა უ გ ე ბ რ ო ბ ა ა ა მ ი ტ ო მ კ უ ლ ხ ა ს ც ე ნ ტ რ ი ს ა დ ღ ა ც ს ა მ ხ რ ე თ ში (მთაში), თუ კი კულხა სახელმწიფო იყო და რიონის აუზი ეკუთვნოდა. ხოლო თუ ეს აუზი არ ეკუთვნოდა, ის არც სახელმწიფო ყოფილა, არამედ სამხედრო დემოკრატიის ტიპის გაერთიანება, ან მუჰლიდების (ყაჩაღების) ბუდე ალამუტის ციხეში (მ—2.21. ფურც. 115—116).

4. საქართველო გ ა რ კ ვ ე უ ლ ი დ რ ო ი დ ა ნ მთა-ბარის კომპლექსებისგან შედგებოდა. დიაღ გ ა რ კ ვ ე უ ლ დ რ ო ი დ ა ნ, რადგან საზოგადოებრივი წარმოების გ ა რ კ ვ ე უ ლ ს ა ფ ე ხ უ რ ზ ე ჩ ნ დ ებ ა ა ს ე თ ი კ ო მ პ ლ ე ქ ს ი, ე. ი. საზოგადოებრივი წარმოების გარკვეული საფეხური მოითხოვს ასეთ კომპლექსს და ამ საფეხურზე მდგომი საზოგადოება ეუფლება ერთად მთას და ბარს; ი ს ი ნ ი ა მ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა ში ე რ თ ი-მ ე ო რ ე ს ა ვ ს ებ ენ.

ასეთი ქვეყნები, ზოგი უფრო მცირე, ზოგი უფრო დიდი, იყო ის ბუნებრივი ერთეულები, რომელთა ჯამი, გვიან, ერთობლივ ტომს (ქართლს, ეგრისს, ალბანეთს და სხვ.) ქმნიდნენ.

საჩხერეს ბარი და მთა, რაჭის, ქვემო ქართლის, შინა ქართლის, მუხრანის, ერწო-თიანეთის, შიგნით კახეთის, გარე კახეთის,

ბალმა მხარის და ა. შ. ასეთი ერთეულების დადგენა სახელმწიფოებრივ შეიძლება იყოს საქართველოს ისტორიის გარკვეული ხანის ტერიტორიული საგებად... (და კაცმა რომ თქვას, ტერიტორიული განვითარების ... საფეხურს ვერც გადასცილდა ფეოდალური საქართველო). (მ—1, 28. ფურც. 22).

5. ქ"ცა I, ჯუანშერი, 217_{11}

„და შვილნი ბაკურისნი დარჩეს მ თ ი უ ლ ე თ ს კ ა ხ ე თ ი ს ა-ს ა".

მ თ ი უ ლ ე თ ი ახლავს კახეთს, ის ახლავს ქართლსაც და ახლავს რაჭასაც (მ—2, 7. ფურც. 68).

6. X—XII საუკუნეებში არა მარტო „საქართველო" — ახალი ქ ვ ე ყ ა ნ ა — წარმოიქმნა, არამედ ჩაისახა კიდევ უფრო დიდი სამყარო კავკასია. მას ჯერ ისტორიულ-გეოგრაფიული სახელიც კი არ ჰქონია, მაგრამ ყველაფრიდან ჩანდა, რომ მისი სახელი „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ვ ე" იქნებოდა...

ამ ქვეყანაში არა მარტო კავკასიის სამხრეთი და აღმოსავლეთი (სომხითი, შარვანი), არამედ მთის იქითი კავკასიონიც (დაღესტან—ჩეჩნეთი, ოსეთი, ჩერქეზეთი) აქტიურად მონაწილეობდნენ. იქმნებოდა დიდი „მსოფლიო" რომლის მაორგანიზებელი ცენტრი საქართველო იყო... ამ ა ხ ა ლ ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი მთიანეთის მდგომარეობა მეტად თავისებური იყო. მთიანეთი, რამდენადაც უფრო მაღალ კულტურას ეზიარებოდა, სულ უფრო და უფრო შემოდიოდა ქართულ მსოფლიოში, სულ უფრო და უფრო აქტიური მონაწილე ხდებოდა ა ხ ა ლ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს მ შ ე ნ ებ ლ ო ბ ი ს ა...

მთიანეთი — საქართველოს სამხედრო რეზერვი, მთიანეთი — ქართული ქრისტიანობის სარბიელი, მთიანეთი — ვეფხისტყაოსნის „ქვეყანა"... მთიანეთი — ყველა თანაბრად როდი მონაწილეობდა, ზოგი (აფხაზეთი, დვალეთი, ჰერეთი) უშუალო ორგანული მონაწილე იყო, ზოგი უფრო ნაკლებად... (მ—2, 7. ფურც. 19).

7. ვახუშტი, აღწერა, 71

მაღრან-დვალეთის აღწერის ბოლოს: „ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გადმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინადგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან".

სხვას გარდა აქედან ისაა საინტერესო, რომ ვახუშტის მალორნდვალეთში ოსები გვიან მოსულებად მიაჩნია. წინათ კი აქ ქართველი გლეხები ისხდნენ. ამავე დროს ქვეყანას ჰქვიან მ ა ლ ო რ ნ ა ლ ე თ ი. აქ ეს ტერმინი ვახუშტის კონცეფციის ვითარებაში ვერ გაჩნდებოდა. ქართულად ნაწარმოები ეს ტერმინი ამის მოწმობაა, რომ ეს ქვეყანა დასახლებული ყოფილა დვალებით, რომელთაც ქართიზაცია ძლიერ განუცდიათ, იქამდე, რომ ქართულ ტრადიციას იქ „ქართველი" გლეხების ნამოსახლევი უგულისხმებია.

უნდა ვიფიქროთ, ვახუშტი ამ ტრადიციას იმეორებს.

მთისა და ბარის ურთიერთობის მომენტს შეეხება ეს საინტერესო ეპიზოდი... (წიგნი 8, ფურც. 83).

[გზებისათვის]

1. ზ ა რ ზ მ ე ლ ი, 320_{20}

„აჰა ესე რა ჯერ-ჩინებითა ღმრთისაჲთა ჟამთაცა ჩუენთა იხილვნეს ახალნი მნათობნი და მოძღუარნი და მასწავლელნი, ვითარცა ძუელსა შინა ელია და იოვანე, და შემდგომად პავლე თებელი და დიდი ანტონი, მაკარი, ეფთჳმი, საბა და გერასიმე. და რად გჳჴმს თჳთოეულად წარმოთქუმაჲ ყოველნი მსგავსნი და მობაძავნი მათნი, რომელთა ვლეს მოსწრაფებით ი წ რ ო ჲ და ს ა ჭ ი რ ვ ე ლ ი გ ზ ა ჲ, მ ი მ ყ ვ ა ნ ე ბ ე ლ ი ზ ე ც ი ს ა ქ ა ლ ა ქ ა დ, რ ო მ ლ ი ს ა ხ უ რ ო თ-მ ო ძ ღ უ ა რ დ ა შ ე მ ო ქ მ ე დ ღ მ ე რ თ ი ა რ ს".

ნიშანდობლივია ეს ხატოვანი თქმა, ბუნებრივია, ის შექმნილია რეალური მასალისაგან. ჩანს, ქალაქად მიმყვანებელი გზა „იწროჲ და საჭირველი" იყო. იყო ეს საერთო ქრისტიანული ფორმულა, თუ მხოლოდ ბასილ ზარზმელისა სულ ერთია, ქართულ ქალაქების ტოპოგრაფიას სავსებით შეესაბამება „გზა იწროჲ და საჭირველი"...

ასევე საინტერესოა გამოთქმა, რომ ქალაქს ჰყავს „ხ უ რ ო თ-მ ო ძ ღ უ ა რ ი დ ა შ ე მ ო ქ მ ე დ ი" (6, 4. ფურც. 62).

2. „ვანი" და მისგან ნაწარმოები საგეოგრაფიო სახელები განსაკუთრებით საინტერესოა. მისი თავდაპირველი მნიშვნელობისა (ეტიმოლოგიისა) და სადაურობისაგან დამოუკიდებლად ქართულ სინამდვილეში, მისი ისტორიის გარკვეულ დროს ეს ცნება უკავშირდება ს ა დ გ უ რ ს, ა ს პ ი ნ ძ ა ს, ხანას.... შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვანის თავდაპირველი მნიშვნელობა გზას და საგზაო პუნქტს კი არა, არამედ საერთოდ საცხოვრებელ ადგილს, სამკვიდრო ად-

გილს ნიშნავდა და მხოლოდ გვიან საგზაო დასასვენებელს (—მანზილს) შეერქვა, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ ეს სავანეებიც ამ-ულ დროს საგზაო დასასვენებელ ადგილებს აღნიშნავდნენ. ასეთ პირობებში ადვილგასაგები ხდება ამ საგეოგრაფიო სახელის სიმრავლე...

ასეთი გაგებისას ნათელია თავფარავანი და ნ ა რ დ ე ვ ა ნ ი (და ეს დამოუკიდებლად იმისგან, თუ რა წარმოშობისა არის ნარდევანი, ვარევანი, რატევანი და სხვ...).

შდრ. სომხური ვ ა ნ ე ბ ი... (მ—2, 19. ფურც. 106).

3. გზებზე მზირობა, მეკობრობა ჭაბუკობის სტილი იყო (ამირან დარეჯანიანი). სახელმწიფოს ინტერესები აღარ ეგუება მგზავრთა ძარცვას (თუმცა ბაჟი, რახტარი, ზვერი იგივე ძარცვაა შენელებულ-დაკანონებული). დავითმა, უეჭველია, ძლიერი ხელით აღკვეთა ჭაბუკთა ეს ხელობა და გზები ვაჭართა და მოგზაურთათვის უშიშარ ყო. (ამას მოწმობს გზებზე, ხიდებზე ზრუნვა). ამით მან ძლიერად შეუტია ჭაბუკობას. გიორგი III დროისათვის მეკობრობა კვლავ გაძლიერდა (ჭაბუკობას ახალი მომენტი დაერთო: მოლაშქრე-აზნაურთა გაღატაკება). გიორგი მესამემ ეს საკითხი დარბაზის რჩევის საქმედ გამოიტანა და უმკაცრესი ზომებით შეუტია მას. ეს იყო სახელმწიფოებრივი ბრძოლა ფეოდალური ანარქიის (მისი ჭაბუკობით), წინააღმდეგ...

(საინტერესოა, რომ შარდენს, კონტარინის ძარცვად ეჩვენებათ ქართული ფეოდალური საბაჟო გადასახადები).

აღმოსავლურ დესპოტიებში (ოსმალეთში) მგზავრთა და ვაჭართა ძარცვის უფლება ხელმწიფეს ჰქონდა მისაკუთრებული, რასაც თავისი მოხელეების ხელით ახორციელებდა... ასევე იყო მონგოლთა სახელმწიფოებში. ვაჭრებისათვის ეს უცილობლად უფრო ხელსაყრელი პირობა იყო... (ესაა მხოლოდ რომ სავაჭრო რასმეს ვეღარავინ აწარმოებდა...). („მერჩულე“ — 9. ფურც. 35).

4. ქ. ს. ძ. ტ. IV, 660, 1774 წ.

„ჩირიკაშვილი ტურა და მახარა რაზიას თავის სახლის წინ გზაზედ ელაპარაკებოდნენ: ჩვენც ამ გზაზედ საურმე გზა გვქონიაო; სამართალმა გაბრჭო: „საურმე გზა რაზიას წინ ჩირიკაშვილებს დარჩათ და შ ა რ ა დ დ ა ი დ ვ ა“.

როდესაც ს ა უ რ მ ე გ ზ ა ერთი კომლის სარგებლობისთვისაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გატანილი ის შარა არაა, შ ა რ ა იმ საურმე გზასა ჰქვიან, რომელიც ერთის კი არა, არამედ სხვის სარგებლობაშიაც არის.

გზა შეიძლება იყოს საურმეც და არასაურმეც (საცალფეხო); საურმე გზა შეიძლება შარა არ იყოს და შეიძლება შარა იყოს, რომ საურმე გზა შარა იყოს, ამისათვის ის შ ა რ ა დ უ ნ დ ა დ ა ი-დ ვ ა ს (3, 19 (ბ). ფურც. 70).

[ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა]

1. ა ლ გ-ე თ-ი, ალგისი, მ-ალგ—ისი, მან-გლისი.

მ ა ნ გ ლ ი ს ი საყურადღებო მაგალითია, „ცენტრის“ სახელის შერქმევისა ქვეყნისათვის. იყო ა ლ გ ტომი, აქედან ერთის მხრით მივიღეთ ალგ-ეთ-ი, მეორე მხრით ალგისი, მალგისი, მანგლისი....

ალგეთი დარჩა ქვეყნის სახელად („ალგეთს ლეკვები“), ხოლო მანგლისი პუნქტის სახელად და ამავე დროს ქვეყნის სახელად (მან-ჯალის).

შიდა ქართლის („ზენა სოფლის“) დამაკავშირებელი ქვეყანა ქვენა ქართლთან... (მ—2, 4. ფურც. 23).

2. ქ ᲪᲐ I, ლეონტი, 51_{13}

„იყვის ფარნავაზ სპასპეტი ქართლსა შინა, ხ ო ლ ო მ ე ფ ე ფ ა რ ს მ ა ნ ქ უ ე ლ ი ი ა რ ე ბ ო დ ი ს დ ა გ ა ნ ა გ ე ბ დ ი ს ს ა მ ე ფ ო ს ა თ ვ ს ს ა“.

და ასე იყო ქვეყნის მართვა ადრე და შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე. ბაგრატ III, დავით აღმაშენებელი, თამარი, გიორგი Ბრწყინვალე, ალექსანდრე I, — ყველანი „იარებოდის და განაგებ-დის“, „საქმესა მანდაურსა“, ურჩებს სწურთნიდეს, ერთგულთ შეი-წყალებდეს, აგვარებდნენ ხარკის და სამართლის საქმეებს... რა თქმა უნდა, ისეც მოხდებოდა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის საქმე „ცენტრში“ გაირჩეოდა (ოპიზარ-მიჯნაძორელთა საქმე ქუთაისს გაარჩიეს), მაგ-რამ ადმინისტრაციული ღონისძიებანი უპირატესად ადგილობრივ წყდებოდა მეფის მიერ. ასე რომ ქართველი მეფეები, რომ ზამთარს ერთ ადგილას იყვნენ, გაზაფხულს სხვაგან, შემოდგომას სხვაგან და ზაფხულს სხვაგან ეს მათი თავშესაქცევი სეირნობა კი არ იყო იმდე-ნად, რამდენადაც სახელმწიფოს მართვა-გამგეობის აუცილებლო-ბით გამოწვეული გარემოება...

თამარს, როგორც ჩანს, დიდად ეძნელებოდა ეს ბოლომოუღე-ბელი „იარებოდის“, მაგრამ სხვა გზა არ იყო... ადგილზე მსხდომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთ-ადმინისტრაციული მოხელენი (ერისთავთერისთავები, მეფეთა ადგილზე მსხდომნი) ადრე ივიწყებდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას (ქვეყნის ნატურალური მეურნეობა ამას ხელს უწყობდა) და განდგომის გუნებაზე ადვილად დგებოდნენ. ამიტომ მეფე რომ ამ ქვეყანას თავს მოაგონებდა, თვითონ რომ ეწვეოდა მას, იქ საკუთარ სამეფო სასახლეში მოიწვევდა ამ ქვეყნის აზნაურებს (დიდ და მცირე მოხელეებს) და ქვეყანას წესს დაუდებდა, — ეს სულ სხვა იყო, ვიდრე ამ ქვეყნის მმართველის (ერისთავთერისთავის) ცენტრში მიწვევა. ადგილზე მოსვლით ცენტრალური ხელისუფლება უშუალო კონტაქტს არ სწყვეტდა ხალხის (აზნაურობის, მოლაშქრეების) ფართო წრეებთან, საშუალებას არ აძლევდა ერისთავს, რათა ცენტრალურ ხელისუფლებასა და ხალხს შორის ჩამდგარიყო, როგორც ეს მოხდა XIII—XIV საუკუნეებში და შემდეგ...

მაგრამ არსებობდა საწინააღმდეგო ტენდენციაც: თბილისი სულ უფრო და უფრო ცენტრი ხდებოდა, მეფეს ერისთავები თავის გარშემო ჰყავდა, თბილისში ავალებდა ცხოვრებას და ცენტრალიზაციას ყოველ მხრივ ხელს უწყობდა... („მერჩული" — 9, ფურც. 32—33).

3. თორზე საუბრისას უნდა „შევასწორო" „ქართლის ცხოვრების" ჩემეული (და ალბათ სხვისეულიც) გაგება, რომ იქ „თორელნი-ში" თ ო რ ი პ უ ნ ქ ტ ი (სოფელი) კი არ იგულისხმება, არამედ თორი ქვეყანა, რომელშიაც შედიოდა თორის წყლისა (გუჯარეთის წყლისა), შავი წყლის და მიმდგომი წყლების (ნ ე ძ ვ ი ს, ს ა კ ი რ ი ს, დემოთის) და აგრეთვე მტკვრის სათანადო დინება.

ვახუშტის (51) ხეობა მეოთხე სასპასპეტოში შემოაქვს (52). მაშ როგორღა „არს მეოთხე სასპასპეტო თბილისიდამ ვიდრე ტაშისკარამდე (51) ??"... ძველ და ახალ ვითარებას ვახუშტი, ჩანს, ერთიმეორეში ურევს. თორი ძველად ცალკე სამხედრო ერთეული იყო („თორელნი").

თორი ვახუშტის ქართლში შემოაქვს (მეოთხე სასპასპეტოში).

თამარის დროს მიაწერს ვახუშტი ძველი ერთიანი ქართლის სასპასპეტოს დაყოფას (84) ორად: „ქართლის ერისთავი სხვა, ქსნის სხვა" (ვითომ?? — ნ. ბ.) „და შემდგომად განყოფისა ესრეთ სამ საერო ძოდ".

თუ ასეა გამოდის, რომ ხეობა ქართლში იგულისხმებოდა ლეონტის დროსვე (თუმცა ლეონტიც, ვახუშტივით, საკუთრივ ქართლის საზღვარს ტაშისკარში სდებს...). მაგრამ უნდა ვიფიქროთ შემ-

დეგი ხანის თორს ისიც ქართლში ჰგულისხმობდა... მაინცდამაინც X საუკუნეში საზღვარს ქართლსა და სამცხეს შორის იქვე [illegible] ხმობდნენ, სადაც გვიან (ნახე ნეძვი და კვირიკეწმინდა [illegible] ცბა (წიგნი 8. ფურც. 96, 99).

4. ქ ცა I, მატიანე, 261_{10}

„ხოლო ნასრა შეიპყრნა სამნი ციხენი სამცხეს: ოძრჯე, ჯუარის-ციხე და ლ ო მ ს ი ა ნ თ ა, გუარამისივე აღშენებული“.

უეჭველია სახელი ლომსიანთა მაშინ არ გაჩენილა, როცა გუარამმა ეს ციხე ააშენა. აქ ამ ადგილს ერქვა ლ ო მ ს ი ა ნ თ ა და ალბათ იგულისხმებოდა „გორა“ (ანალოგია: მცხეთა, გურიანთა, და სხვ.). იყო „ლომი“, შექმნა „ლომისი“, აქედან „ლომისიანი“, აქედან „ლომისიანთ-ხევი“, ლომსიანთ ხევი, ლოსიათ ხევი (ანუ ლ ო მ ი ს ი ა ნ თ ა გ ო რ ა). შემდეგ ჩამოსცილდა — „გორა“, როგორც სხვა შემთხვევებშიაც და დარჩა ლ ო მ ს ი ა ნ თ ა და გუარამმა ამ ადგილას ააშენა ციხე (ვინ იცის, სწორედ იმ გორაზე).

აქ საინტერესო ისაა, რომ ს ი სუფიქსი წინ უსწრებს თ ა სუფიქსს და მათ თანაარსებობას მოწმობს იმას გარდა, რომ ს ი სუფიქსი ქართის ტომის უეჭველი ნიშანია (მ—2, 19ა, ფურც. 150).

5. ქ ცა II, ჟ. ა. 242_4

სამცხის დასამორჩილებლად ულაუ ყაენმა არღუნი გამოგზავნა. ისიც „თუესა ივნისსა მოვიდა სამცხეს. ხოლო მესხნი რომელნიმე მიეგებნეს არღუნს და რომელნიმე წარჰყვეს მეფესა. და ესრეთ იწყო ოჯრებად და ტყვენვად სამცხესა და მოადგა ციხის-ჯუარსა, და უწყო ბრძოლა ძლიერად, რამეთუ არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებულ იყო. ხოლო ციხეს მყოფნი ძლიერად ბრძოდეს, და მრავალი კაცი მოკლეს... და ვითარ იხილა სიმტკიცე ციხის-ჯუარისა, რომელ არს ჯვარის ციხე, აიყარა და წარვიდა“.

ეს ციხის ჯვარი სამცხეშია და არა თორში (თორელი კახა ახლა მონგოლთ მხარეზე იყო). უკვე XIV ს-ში „ციხის ჯვარი“ შეცვლილი ყოფილა „ჯვარის ციხედ“. სხვა ადგილებიდანაც ჩანს, რომ ციხის ჯვარი სამცხისა სხვაა და თორის სხვა (შეიძლება ესაა შემდგომი დროის ახალციხე). (3, 30ა. ფურც. 157).

6. ქ ცა I, მატიანე, 289_{13}

ყრმა ბაგრატი რომ მძევლობიდან დაბრუნდა მას მიეგებნენ:

„დიდებულნი, ერისთავნი და აზნაურნი ტაოელნი, მესხნი და ქართველნი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ არც თუ მთლად უცილობელ ციტატში „ქართველნი“-ის ზოგადი გაგებით არაა მაინცდამაინც ნახმარი, როგორც ეს იგულისხმება ამავე ავტორთან 285_7, 288_1.

ამ ქართველნი-ში არ შედიან მესხნი და ტაოელნი, მაგრამ შედიან თუ არა ჯავახნი, კლარჯნი? (მ—2, 3. ფურც. 39).

7. ქცა I, მატიანე, 287_2

ბასილი მეფემ განდგომისათვის „მრავალთა მოჰკუეთა თავი მახვლითა, რომელთა თანა იყო ფერის, ძე ჯოჯიკისი, ნათესავით ტაოელი, და სხუანი იყვნეს ბერძენნი“.

„ნათესავით ტაოელი“ აქ დაპირისპირებულია ბერძენთან, ასე რომ ტაოელში აქ მხოლოდ სადაურობას ვერ ვიგულისხმებთ (მ—2, 3. ფურც. 38).

8. ქცა II, ისტ. აზმ. 27_2

თამარის კურთხევისას ჩანს კახაბერი — ერისთავი რაჭისა და თაკუერისა.

XI საუკუნეშიაც კი რაჭაარიცის ჯუანშერმა და დამახასიათებელია, რომ რაჭა თაკუერთან ერთად არის ერთ საერისთავო ქვეყნად გამოცხადებული.

იქვე, 33_{20}. 1185 წ...

„და ერისთავნი მის ჟამისანი ესენი იყვნეს:.. კახაბერ კახაბერისძე—რაჭისა და თაკუერის ერისთავად“ (მ—2, 7. ფურც. 18).

9. ქცა II, ჟ. ა. 316_{26}

ყივჩაყთა სადგომისათვის. ისინი ტფილისის ახლოს არიან: რომ საზაფხულოდ წავიდნენ, ამიტომ ტფილისი უნდა აშოიარონ. მტკვრის პირით ილტვიან „საზაფხულო“ სჭირდებათ. ჩანს ველში არიან. მაშ ისინი ტფილისის აღმოსავლეთით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე (დავითი მათ რომ დაეცა, მტკვარს არ გადასულა, მახათას დადგა, ჯვარის გზით მოსული) ცხოვრობენ. (თითქო ცხადია, რომ ყარაიას სახლობეხ ზამთრობით).

ქ^ცა II, ჟ. ა. 316_{24}

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ მრავალი რამ არის საინტერესო: 1. დავითმა 15000 ზეიცანი გამოიყვანა. ეს იყვნენ „ყოველნი მთიულნი“. რა გინდა წესით არ იყვნენ გამოყვანილნი თუნდაც ქუდზე კაცი — მაინც ეს რიცხვი მეტად დიდია. აქ ქსნის ხეობის მხოლოდ ნაწილი შეიძლება ყოფილიყო, არაგვის ხეობა სულ და ფშავ-ხევსურები.

2. XIV საუკუნის დასაწყისს ყივჩაყები ჯერ კიდევ ამ სახელითარიან ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთში. ისინი რომ საქართველოში არ იყვნენ, საზაფხულოდ აქ არ გაჩნდებოდნენ. მათი ყიშლაღები მტკვრის მარცხენა მხარეზეა, თითქოს ტფილისს ქვემოთ (შეიძლება ივრის სანაპიროებზე??).

3. საქართველოში ძველი საღოდებელი ისანსა და მახათას შორის (წიგნი 4. ფურც. 77, 84).

10. ქ^ცა II, ჟ. ა. 163_{8}

ჩინგიზმა ჯუჩი „წარავლინა დიდსა სიყივჩაყეთსა ზედა, ოვსეთს, ხაზარეთს და რუსეთს, ვიდრე ბნელეთამდე“.

თუ ამბობს საყივჩაყეთი, რატომ არ ამბობს სახაზარეთი ან სარუსეთი?

იქვე, 165_{18}

თათრებმა „განვლეს კარი დარუბანდისა და შევიდეს ყივჩაყეთს, რომელთა ბრძოლა აჰკიდეს და მრავალგან შემოებნეს ყივჩაყნი, და ყოველგან თათარნი მძლე ექმნნეს“.

აქ უკვე ყივჩაყეთს ხმარობს.

რაიმე განსხვავებას ხომ არ გულისხმობს საყივჩაყეთი და ყივჩაყეთი?

საყივჩაყეთში ეს სა შეიძლება გამეორება (შეცდომით) იყოს წინა სიტყვის ბოლო მარცვლისა: დიდსა საყივჩაყეთსა (მ—2, 4. ფურც. 35).

11. ქართულ-კახური ცნება სარწყავი, ურწყავი (поливная, неполивная) არ არის იმერულში, გურულში, ქობულეთურში და აჭარულში. სამაგიეროდ არის ნეხვი, ნაკელი, ნეხვმოყრილი, დანაკელებული, ნამსუქნი, მომდვინებული. ასე რომ დას. საქართველოში პრინციპულად სხვაა: აქ წყალი ნეხვის, ნაკელის, შლამის მოტანის საშუალებაა, აქ წყალს ეს მექანიკური როლი აკისრია და არა სინესტის შექმნა და ნიადაგის ორგანულ ნივთიერებათა გახს-

ნა... (ეს უნდა შეემჩნია მ. გეგეშიძეს). ამავე დროს არის „რ
ანავა-ს მნიშვნელობით, ცხადია: რუ არ არის რწყვასფ
კავშირებული (წიგნი 100, ფურც. 6).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

12. ვანელ მოხუცის გამოთქმა ფრიად საინტერესოა: „იქ
თურმე ნეფე ქვაბულიძე ცხოვრობდა, შემდეგ ამ ნე-
ფე ქვაბულიძეს დაესიძენ ახვლედიანებიო“...

გარდა იმისა, რომ ჩვენ აქედან ვიტყობთ, თუ ვინ იყვნენ შემ-
დეგდროინდელ ჩიჯავაძეთა წინაპარნი შეიძლება (სისხლით და პირ-
დაპირი არა, მაგრამ სოციალური კი). — აქ საინტერესოა თვით გა-
მოთქმა „ნეფე ქვაბულიძე“. ბუნებრივად გვაგონდება „მე-
ფეთა ბაღვივაშთა“, გამოთქმა ლიპარიტ-რატების შესახებ.
ესენიც ხომ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი სახლი იყო. ამ
ქვაბულიძეებმა, ბაღვივაშებმა (და სხვებმაც) ხომ არ მიიღეს მეფის
სახელწოდება VI—VIII საუკუნეებში, როცა ლაზიკაში „უმეფობა“
იყო?? ბაღვივაშებისა და ქვაბულიძეთა ტიპის, უნდა ვიფიქროთ, იყო
„ბაგრატ შაროელი ხელმწიფე“ ადარნასე კურაპალა-
ტის სიმამრი (იხ. გრ. ხანძთელის ც-ბა), ის იყო არა აფხაზეთიდან,
არამედ რაჭიდან... (წიგნი 4. ფურც. 18).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოკლებათა განმარტება

ქ^ცა — „ქართლის ცხოვრება", ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, I, 1955 წ., II, 1959 წ.

ც^ბა დავითისი — დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი.

ისტ. აზმ. — ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი.

ბ. ე. მ. — ბასილი ეზოს მოძღუარი.

ე. ა. — ქამთააღმწერელი.

ვახუშტი, აღწერა... — ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1941 წ.

საბა-სულხან საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბ. 1949 წ.

სვანეთის საისტორიო... — პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, თბ. 1941 წ.

მათე... მარკოზ... ლუკა... იოანე... — აკ. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, თბ. 1945 წ.

ევსტათი... — მარტვილობაჲ ევსტათი მცხეთელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ. 1963 წ.

ჰაბო... — მარტვილობაჲ ჰაბო ტფილელისაჲ, იქვე.

სერაპიონ... ზარზმელი... — ცხორებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ, იქვე.

მერჩულე... — ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ, იქვე.

გობრონ... — მარტვილობა გობრონისი, იქვე.

მოქცევა... — მოქცევაჲ ქართლისაჲ, იქვე.

გიორგი მცირე... — ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. II, ილია აბულაძის რედაქციით, თბ. 1967 წ.

ი^ნე და ეკვთიმეს ცხოვრება — ცხოვრებაჲ იოვანესი და ეთჳმესი, იქვე. ილარიონის ც^ბა — ცხორებაჲ ილარიონ ქართველისაჲ, იქვე.

ათ. კრებ. — ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა თბ., 1901 წ.

ქრონ... — თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, თბ. 1892 წ., II, 1897 წ.

შ. მღვიმის საბ-ბი — თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა, თბ. 1896 წ.

საქ. სიძვ. — საქართველოს სიძველენი, ეკვთ. თაყაიშვილის რედაქციით, III, დამატება, 1926 წ.,

ქ. ს. ძ. — ის. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, თბ. II, 1965 წ., III, 1970 წ., IV, 1972 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესხური მატიანე — ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის XV—XVI სს., თბ. 1961 წ.

საქ. ცხოვრება — საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., თბ. 1913 წ.

გეორგიკა...—ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ თბ. II, 1965 წ., III, 1936 წ., IV, 1952 წ.

თამარაშვილი — მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის... თბ. 1902 წ.

СМОМПК — Сборник материалов по описанию местностей и племен Кавказа.

Латышев — Латышев В. В. Известия Древних писателей о Скифии и Кавказе.

ყოველი კუპიურის ბოლოს, ავებში ჩასმული რიცხვებიდან პირველი მაგიდის, ან კარადის ნომერს აღნიშნავს, მეორე — საქაღალდისას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საძიებლები

1. გეოგრაფიული სახელები

აბაზგები, აბასგები 364, 476, 478, 491, 492, 494, 496—498, 500, 502—505, 595, 613.
აბასგია, 486, 492—494, 496, 503, 539, 594
აბასგია — აფშილია 363, 507
Абаски 613
აბაშა (მდ.) 463, 465, 481, 518, 589
აბაძახები 440
აბისენრნი 518, 596
აბოცი 97, 145, 152, 154, 155, 224, 239, 302, 304, 306, 311, 314, 318, 366, 623
აბქუა 576, 596
აბუკურა 288
აბულეთის გორა 32, 33, 37
აბულეთის წმ. გიორგი 32
Абхазия 56, 613, 614
Абхазы, Абхазцы, 391, 612, 613
აგარათა ციხე 311
აგარაკი 300, 301, 314
აგარანი 138, 308—311, 635
აგარათა ციხე 311
აგარიანნი 138
აგრ (ტომი) 541, 546
ადარბადაგანი 198, 546
ადლერი 593
ავარები 400, 603
ავარეთი, ავარია 604
აკიდოსი 371
ალავარი 312
აზეულას ციხე 312, 313
აზია, ასია 198, 229, 256, 489, 491, 496
ათინა 477, 482, 484
ათონის მონასტერი 372—374, 379, 623
ია 245, 466, 493
აკამფსისი 483—485
აკაურთა 21, 58
ალაევრდი 409
Алазан 622
ალაზანი 73, 236, 265, 461, 622, 631
ალამუთი, ალმუთი 178, 296, 517, 642
ალანები 277, 476, 495—498, 522, 590, 620, 637
ალანი 510
Аланы 612, 613
ალბანები, ალბანელები, 277, 391, 392, 409, 523, 557, 622, 640
ალაპინი 342
ალბანია, ალბანეთი 199, 213, 227, 245, 246, 250, 253, 346, 376, 398, 399, 409, 591, 618, 622, 625, 641, 642
Албания 622
Албанцы 391, 622
ალგეთი 14, 72, 116, 117, 224, 324, 338, 646
ალვანი (პუნქტი) 227, 243, 265, 275, 364
ალვანი (ტომი) 213, 217, 364
ალონი (პუნქტი) 138, 625
ამაზონები 496
ამასტრისი 482
ამერეთი, ამერი 535, 639, 640
ამერიკა 420
ამერნი, ამიერნი 636, 637
ამიერარაგვი 115
ამიერკავკასია 216, 217, 226, 230, 235—237, 242, 251, 261, 305, 360, 376, 394, 398, 399, 400, 407, 494, 541
ამიერი სამეფო 294, 295
ამიერტაო 636

ამირანის გორა 24
ანაკოფია 118, 384, 503, 504, 528, 529, 559, 573—577, 585, 596, 603, 617—619
ანგლო-საქსები 420
ანისი 101, 178—180, 198, 258, 287, 293, 294, 296, 307, 308, 346, 398, 630
ანტიოქია 246, 289, 375, 568
ანტიოქია (მცხეთისა) 233
არაბები 63, 80, 167, 168, 235, 269, 272, 273, 302, 314, 315, 351, 364, 400, 419, 449, 487, 578, 600, 627
არაბეთი 597
არაბი 412
არაგვი 11, 71—73, 92, 93, 115, 126, 152, 203, 206—208, 211—213, 216, 222, 225, 239, 240, 274, 315, 330, 338—340, 342, 353, 357, 417, 418, 423, 438, 604, 627, 650
არაგვის თიანეთი 627
არაგვის მთა 40
არანი 314
არარატი, აიარარატი 206, 250, 302
არარატ-მასისი 205, 210, 555
არგვეთა 243, 625
არგვეთი 15, 16, 54, 119, 146, 148, 149, 153, 154, 156, 157, 187, 191, 192, 249, 253, 275, 316, 317, 320, 321, 358, 360, 364, 365, 403, 409, 439, 442, 443, 444, 461, 468, 469, 471, 481, 486—488, 508, 510, 527, 528, 530, 531, 532, 534, 535, 537, 543, 544, 546, 550, 552, 554, 559, 561, 563, 573, 576, 589, 598, 599, 603, 604, 625, 632, 635, 638, 639
არგვეთლები 251, 316, 317
არდაველი 134
არეზი 224
არეში, არიში, არიშუ 628, 629, 630
არზენი 521, 524
არზნ 521
არზრუმი 236
არიანი 314
არიან ქართლი 206, 207, 210, 219—221, 237, 315, 334, 336, 401, 540, 555
არმაზი 42, 60, 92, 93, 112, 113, 136, 202—206, 208—211, 213—222, 229, 231—235, 239, 240, 327, 328, 331, 334—336, 353, 364, 366, 542
არმაზი (რეხულაზე) 209, 217, 218, 357, 421, 422, 424
არმაზის ეკლესია 217, 218
არმაზის ხევი 136, 204, 218 315
არმაზციხე, არმოზიკე 204, 205, 208, 209, 218
არმენები, არმენიელები 313, 400, 482, 523
არმენია 245, 303, 304 622
Armenia magna 310
Армениция, Армяне 391, 622
არსიანი 152 160, 547, 570
არტანი 64, 105, 152, 159, 170, 240, 241, 253, 302, 312, 318
არტანუჯი, ადრანუჯი, 65, 128, 139, 172, 180, 317, 320, 521, 522, 524, 530
არქაბე 483
არქეოპოლისი 148, 445, 463—466, 477, 493, 507, 508, 510—514, 517, 518
არქიელის გორა 453, 518, 519
არყის ციხე 307, 633
არშაკეთი 78
ასისფორი, ასისფორნი 170, 187, 530
ასპანელი 255
ასპი 31, 337
ასპინძა 31, 64, 337
ასტრახანი 475
ასფურაგანი 125
ატენელები 123
ატენი 299, 521, 633
ატენის საპურჭლე 635
ატენის სიონი 38, 408
ატენის ციხე 129, 319, 321, 521
ატენის ხეობა 71
აუსი 617
აფსარეჲ 562, 565—567
აფსარი 566, 567
აფსარ-ნაფსეის ნავსადგური 485
აფსარუ, აფსურტ 483, 484, 490, 491, 499
აფსუა 494
აფშილები, აფსილები 146, 418, 476, 478,

491, 494, 496, 497, 500, 503—507, 552—554, 559, 573, 577, 589, 594, 606
აფშილეთი, აფშილია, აფსილია, 14, 148, 157, 384, 486, 487, 492—494, 496, 497, 503—506, 514, 539, 559, 574, 575—577, 589, 594—596, 602, 607,
აფშილი 225, 237, 365, 414, 506
ფხაზები, აფხაზნი 47, 122, 144, 146, 178, 184 212, 252, 253, 282, 283, 286, 294, 295, 351, 367, 379, 386, 387, 391—393, 400, 405, 408, 414, 416—418, 491, 498, 499, 533, 547, 553—555, 558, 560, 562, 564, 567, 568, 574, 579, 584—586, 589—595, 600, 602, 603, 606, 608—616, 618—621, 632
აფხაზეთი 56, 63, 80, 87, 89, 97, 102, 104, 106, 107, 136, 137, 143, 146, 148, 158, 170, 185, 191, 192, 212, 249, 253, 267, 269, 271, 272, 278, 279, 283, 285, 286, 288, 289, 292, 294, 294, 295, 305, 311, 318, 354—356, 358, 359, 367, 386, 389, 396, 397, 406, 417, 429, 431, 475, 487, 494, 495, 502, 507, 514, 524, 526, 528—530, 534, 536, 538, 540, 544, 545, 549, 551—553, 558—596, 598, 601—604, 606, 608—611, 613—620, 632, 633, 635—640, 643, 651
აფხაზეთის გზა 570
აფხაზი 237, 271, 292, 296, 355, 365, 367, 387, 389, 395, 407, 413, 414, 416, 418, 568, 579, 586, 587, 590—592, 601—603, 605, 607—611, 613,
აღმოსავლეთ კახეთი 23
აღმოსავლეთ რომის იმპერია 404
აღმოსავლეთ საქართველო 34, 57, 64, 65, 176, 236, 248—250, 253, 278, 292, 295, 439, 457, 532, 541, 640
აღმოსავლურ ქართული ტომები 366, 604
აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთი 493
აშურიანის მინდორი 336
აჩაბეთი 606
აჩიგვარა 457
აწანგვარა 457, 555
აწყურის ციხე 172
აჭარა 88, 148, 152, 160, 170, 172, 187, 227, 240, 241, 251, 264, 395, 487, 488, 530, 539, 604, 625
აჭარა (პუნქტი) 227
აჭარისწყალი 112
აჭი 625
ახალგორი 15, 329, 423
ახალდაბა 512
ახალი მცხეთა 219, 220, 223, 224
ახალი სენაკი 220, 512
ახალსოფელი 512, 519, 520
ახალქალაქი (ჯავახ.) 173, 512, 634
ახალქალაქური 202, 212
ახალციხე 648
ახლო აღმოსავლეთი 246, 261, 383, 406
ახპატი, ჰაღბატი, 304, 306, 313
ახტალა 300
აჯამეთი 311, 443, 444, 447, 481, 638, 639
აჯამი 444

ბაბილონი 556
ბაბილონელთა ქალაქი 79
ბაგინეთი 60, 203—205, 212, 213, 215, 219, 222, 228,
ბაგინეთი (იმერეთში) 472
ბაგრატის ციხე 156
ბაზალეთი 41, 102, 117, 126, 338, 339, 351, 627
ბაზალი 237
ბათუმი, ბათომი, 136, 484, 491, 539
ბაიდარი 312
ბალიჭის ხევი 70, 71,
ბამბაკი 224
ბანა 521
ბანძა 462, 463, 465
ბაჟერის მთა 462
ბარაბიანნი 259
ბარგიყარია 31, 208, 213
ბარდავი 23, 133, 138, 198, 623—625
ბარაბიანთ კარი 57
ბასიანი 133, 176, 290, 291, 399
ბაღდადი, ბაღდათი 15, 444, 447, 468, 470—472, 481, 536, 636
ბაღდადი (არაბეთისა) 566, 567

ბაში 456, 458, 473
ბაშკადიკლარ 236
ბახვისწყალი 112
ბედენი 50, 231
ბედია 63, 112, 114, 156, 376, 449, 466, 598, 618, 619
ბელაქანი 627
ბელორუსია 420
ბელტის ციხე 205
ბერდუჯი 137, 152, 239, 300
ბერ-ჩელეთი 112
ბერძენი 270, 378, 519, 614
ბერძნები, ბერძენნი 97, 104—106, 151, 166, 252, 267, 269, 270, 286, 287, 298, 307, 323, 367, 378, 379, 383, 396, 400, 414, 415, 419, 443, 454, 485, 501, 510, 527, 540, 543—545, 547, 548, 550, 551, 560, 562, 563, 564, 566, 570—573, 577—582, 588—591, 595, 600, 601, 619, 633, 634, 649.
ბერძნეთი 22
Берн 232
ბეჭის ციხე 342
ბზიფი 56
ბიზანტია 272, 273, 364, 396, 405, 408, 415, 428, 435, 437, 468, 471, 495, 523, 524, 526, 582, 595—597, 600, 603, 633
ბიზანტიელები 364, 408, 479, 491, 514, 520
ბიზანტიონი 475, 498, 500
ბითვინიელები 482
ბირთვისი 65, 128, 320
ბიჭვინტა 49, 497, 499, 524, 603
ბიჯნისი 295
ბნავი 301
ბოასი 476, 482—484
ბობლა 81
ბოდავის მთები 330
ბოდავის ციხე 330
ბოდბე 622
ბოდი 624
ბოდო კლდე 172
ბოლნისი 15, 69, 224, 273, 395, 300, 301, 303, 304, 306, 314
ბოლნისის სიონი 38, 408, 431
ბოლოლი 70
ბომბოას ხიდი 460
ბორი 275, 403, 404, 442, 508, 509, 598
ბოროლა 56
ბორცვის ჯვარი (ქვ. ტბეთისა) 47
ბორცვის ჯვარი (მანგლისისა) 47
ბოსტანქალაქი — რუსთავი 44, 112, 113, 238, 239
ბოტისი 211
ბოჭორმა 119, 120—122, 127, 131, 281
ბჟინევი 60
ბრანჯეთი 22
ბრდაძორი 306
ბრეტონელები 401, 420
ბრეტონი 420
ბრიტები 401
ბრუქები 497, 498, 500
ბუნთურქები 256, 336, 555
ბურგუნდია 420
ბჭითი 343

გაგი 23, 100, 101, 134, 137, 180, 192, 195, 294, 300, 625, 630
გაგრა 617
გადიდი 228
გალები 401
განძა, განჯა 23, 101, 134, 198, 265, 294, 308, 311, 337, 459, 625
განძაკი 78, 337,
გარდაბანი 111, 152, 160, 180, 213, 216, 241, 281, 302, 303, 306, 366, 384, 624, 625
გარდაბან-გაჩიანელნი 283
გარდაბეთი 241, 386
გარდმანელები 400
გარდმანი 398—400
გარე კახეთი 240, 275, 622, 642
გარე ქართლი 240—242, 327, 328
გარეჯა 177, 193, 622
გარისი 511
გარნისი 101
გარყლობის ციხე 127
გაღმა მხარი 11, 318, 339, 643
გაჩეთი 241, 386
გაჩიანი 111, 139, 152, 213, 216, 240, 241, 281, 300, 301, 303, 326, 329, 384

გაჩიანი — სანადირო ქალაქი 22, 112, 243, 300, 301, 306, 404
გაჭრილი მთა 519, 520
გეგეჭკორი (პუნქტი) 462, 463
გეგუთი 156, 192, 311, 444, 447—449, 456, 526, 638, 639
გელათი, 15, 49, 102, 156, 298, 311, 322, 349, 444, 451, 458, 459, 460, 474, 475, 520, 526, 636
Georg a 623
გერმანელები 401
გეტის ხევი 70
გველეთი 72
გვიშტიბი 461
გილანელები 197
გიში 132
გლოლა 67
გოგოლეისუბანი 43, 478
გოდოგანი 459, 461, 519
გომარეთ-ბაშკიჩეთი 317
გომნა 511
გომორი და სოდომი 85
გონია, გონიო 483, 484, 560
გორა (სოფ.) 56
გორა (ბერეჟოული) 46
გორდი 454, 462
გორთა ჯვარის ციხე 47, 128, 342
გორი 25, 46, 47, 225, 331, 404, 421, 530,
გორი (ციხე) 54, 135, 203
გორისჯვარი 47
გორმაღალა, გორმაღალი 45, 46, 454, 456, 519
გოსტიბე — გარგარეთი 38
გოხები 333
გრიგოლწმინდანი 308, 309
გრუა, გრუი 339, 421—423
Грузинские племена 391
Грузия 391
გრძელი გორი 46
გუბაზეული 64
გუბისწყალი 449, 454, 460, 461, 519
ჯუბისწყალი (სოფელი) 462
გუგარეთი 250, 301, 304, 360, 366
გუდა (მგდ) 123
გუდაყვა 63

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულგულა 167, 265
გუმი 576
გუმისტა 596, 602
გურგანის ზღვა 637
გური 365
გურია 15, 16, 64, 65, 68, 72, 118, 146, 148, 149, 154, 156, 157, 159, 171, 180, 186, 190, 192, 249, 251, 252, 270, 357, 365, 403, 405, 409, 430, 439, 471, 474, 478, 479, 502, 527, 529, 530, 532, 534, 535, 539, 554, 559—563, 573, 576, 585, 589, 603, 604, 605, 638
გურიანთა ციხე 489, 648
Гурия 613
გურულები 146, 418,
გურჯისტანი 139, 179, 194, 198, 199, 416
გუჯარეთი 216
გუჯარეთი-გუგარეთი 224
გუჯარეთის წყალი 647

დაბაძველი 220, 512
დაბლაგომი 245, 446, 450, 472, 473, 478, 480, 493, 579
დაგვა 516
დათვის წყარო 212
დაიენები 51
დალი 607
დამასკო 311
დამჩხერლო 299
დარიალანი, დარიალი 267, 496, 617
დარუბანდელნი 266, 293
დარუბანდი 91, 291—293, 495, 617, 637
დარუბანდის კარი 266, 650
დას. საქართველო 12, 64, 65, 142, 156, 176, 236, 245, 246, 248—250, 253, 269, 277, 279, 292, 295, 349, 356, 366, 383, 417, 427, 430, 438, 439, 456, 473, 525, 526, 534, 536, 541, 544, 561—564, 568, 569, 578, 579, 583—586, 604, 605, 607, 628, 633, 637—640, 650, 651
დასავლურ ქართული ტომები 365, 604
დასო 301
დაღესტანი 390, 410, 643
დაღესტნელები 258

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დბანის ხევი, დაბანისის ხეობა 69—71, 224, 314
დბანისხეველნი 314
დედოლური 460, 461
დევის ნამუხლი 205, 213, 330
დემოთი 647
დემოთის ციხე 105
დემურკაპი 617
დეხვირი 516
დვალები 167, 391, 414, 416, 424, 547, 558, 644
დვალეთი 317, 406, 596, 604, 643
დვალეთის გზა 337
დვალი 237, 274, 388, 389, 413, 414, 416
დვინი 101, 235, 307, 311, 312, 398
დვრიტები 484
დიაუხები 52
დიდგორი 45, 46, 132, 212, 324
დიდი მცხეთა 43, 205, 208, 222—224, 330, 532
დიდი სომხეთი 399
დიდი სომხითი 305, 310—312
დიდი ჯიხაიში 449, 459
დიდოეთი 545, 604
დიდოელნი 603
Дидоети 623
დიდუბე 227
დილიკაური 470
დიმი 442—444, 447, 468—470, 472, 509, 511, 536
დიმნა 151, 275, 442, 443, 469, 471, 509—511, 539
დიოსკურია 431, 446, 492, 498
დისველი 328
დიღომი 31, 38, 40, 211, 213, 224, 227, 328, 330
დიხაგუძუბა 457
დიხაკურძულა 457, 463
დლივი 212, 285, 632
დმანისი 15, 61, 134, 135, 224, 301, 311, 469, 524, 625
დნეპრი 475
დოლომიტები 512
Джар 429
Джики 613
დრანდა 618
Дранда 614
დრის ხევი 71
დუმალა 469
დუმანი (ჯავახეთში) 469
დური 311, 312, 638
დურძუკეთი 93, 94, 256
დურძუკი 260, 388, 389
დურძუკნი 257, 259, 260, 295, 558, 623

ებრაელები 256, 409
ეგრები 250, 262, 263, 365, 379, 486, 487, 502, 539, 557, 558, 561, 589, 590, 602
Եգեր 539, 541, 546, 561
ეგრი 22, 112, 113, 151, 237, 255, 256, 260, 263—265, 270, 298, 364, 365, 388, 405, 409, 502, 539, 541, 545, 546, 554, 561, 573—575, 577, 579, 606, 607.
ეგრისი 15, 16, 63, 95, 104, 105, 112—114, 118, 146, 148, 149, 152—154, 156, 170, 171, 217, 227, 249, 259—261, 264—273, 277—280, 285, 298, 318, 365, 376, 384, 385, 397, 408, 439, 444, 449, 466, 502, 510, 526—528, 532—534, 538—554, 558, 559—564, 566, 568—584, 588—592, 598, 599, 600, 604, 606—608, 619, 620, 623, 624, 632, 639, 642
Егриси 623
ეგრის წყალი 97, 105, 106, 112, 151, 157, 160, 170, 260, 267, 269, 270, 385, 540, 541, 543—547, 549—554, 559—561, 570—573, 576, 580, 582, 588—591, 594—596, 601, 602, 619, 632
ეგროსიანები 162, 381, 542, 550—553
ევროპა 489, 491
ევქსინის პონტო, ევქსინი 476, 482—484, 490, 491, 498, 499, 501, 503,
ეზინკი 312
ეკლესია 312
ეკლეკი 306
ეკლეკის წყალი 630
ეკრიკტიკე 486, 534
ელენნი 374
ელინისტური სამყარო 472
ენგური 56, 425, 618

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენგურჰესის კაშხალი 425
ერანი, ირანი 314, 379, 433, 489, 592
ერაყი 198, 291
ერგე 554
ერები 314
ერედვი 356
ერიახი 372, 621
ერკეთი 364, 473, 534, 539, 543
ერუშეთი 212, 213, 323
ერწო 57, 342, 625, 642
ერწუხი 626, 629
ეფრემ (ქ. ბიბლ.) 77
ეცერი 67

ვაკე 14, 171, 253, 365, 405, 467, 515, 535—537, 639
ვაკე იმერეთი 451, 519
ვაკისჯვარი 478
ვალაშკერტი 178, 179
ვანანდი 305, 399, 418
ვანი 60, 245, 446, 456, 458, 466, 470—473, 478, 480, 481, 487, 493, 509, 525, 529, 530, 533, 536, 539, 579, 600
ვანის რაიონი 56, 228
ვანის ქვაბები 610
ვარანგები 456, 609
ვარდციხე, 249, 444—447, 450, 463, 464, 470, 472, 508, 511, 512, 518, 526
ვარევანი 645
ვარზაქარი 129, 308
ვარხუნა 511
ვასპურაკანი 398
ვაშნარი 477—479, 489
ვაჭევი 470
ველკეთილი 328
ვეჟინი 130
ვერე, ვერის ხევი 326
Վերայ աշխարհի 325
ვეძისხევი 627—629
ვიზირები 492
ვირქ 223, 635
ვიტერუხები 76
ვიწე 492
ვოსტანი 404
ვრაც-დაშტი 306
ვუშქული 65

ზადენი 42, 209, 335, 336
ზახა 71
ზანა 467
ზანავი 301, 330, 340
ზანათი 467, 502
ზანები 365, 384
ზანი 364, 365, 468, 502
ზანური ტომი, მოსახლეობა 450, 466, 469, 473, 488
ზარზმა 273, 369
ზედაზადენის, ზედაზნის ციხე 126, 188, 189, 344, 349, 352, 627
ზედაზენი 215, 228, 345, 347
ზემო ავჭალა 208
ზემო გურია 599
ზემო დიდგორი 211
ზემო ივერია 144
ზემო იმერეთი 53, 56
ზემო კერძო 65
ზემო მხარე 325
ზემო რაჭა 115, 426, 520, 539
ზემო ტაბახმელა 308
ზემო ქართლი 241, 328
ზემო ქვეყანა 129, 287, 326, 633, 634
ზემო ხეთი 64, 65
ზენა არტანი 311
ზენა სოფელი 93, 94, 97, 112, 155, 216, 218, 221, 224, 225, 231, 240—243, 250, 275, 282, 325—327, 340, 353, 355, 524, 646
ზესტაფონი 444, 470, 508
ზეღანეოსი, ძეღანევი 518, 524, 596, 598
ზვიდრიტები, ზიდრიტები 237, 409, 491, 492
Золотая орда 620
ზურგულა 457
ზურნაბადელნი 103
ზურტაკეტი 224
ზღუდერი 15

თავასა 467
თავრეკელები 197
თავრეკი, თავრიზი 197
თავფარავანი 645
თათრები 102, 178, 296, 520, 650
თაკვერი 14, 114, 115, 148, 150, 151,

153, 154, 157, 171, 191, 192, 353, 489, 505, 526, 527, 534, 559, 561, 573, 576, 589, 599, 649
თაკვერის გზა 475
თაკვერლები 251
„თამარა“ 484
თარგამოსიანები 91, 118, 162, 261, 275, 280, 302, 382, 385, 542, 547, 548, 550, 555, 556
თარსანნი 12, 418
თბილისი, ტფილისი 38, 43, 80, 93, 97, 102, 113, 128, 135, 136, 138, 139, 152, 155, 156, 158, 179, 203, 209, 212, 224, 226—228, 233—236, 239, 240, 268, 281, 287, 299, 309, 313, 326, 334, 338, 341, 404, 447, 468, 473, 517, 532, 585, 625, 635, 647, 649, 650
თბილისის კარი 228
თბილისის საამირო 191, 308, 309, 322, 399, 532, 625
თეთრიწყარო 231
თელავი 131, 301, 409
თელათგორი 46
თელოვანი 213, 221, 328, 421
თემისკური 496
თეოდოსიოპოლი 521
თერგი 71, 72, 267
თერმოდონტი 496
თერჯოლა 468
თეძმის ხევი, თეძმის ხეობა 55, 116, 117, 225
თეძმის ხევი, საგურამო 330
თიანეთი 57, 127, 212, 286, 329, 423, 584, 632, 642
თიხრევი 59, 60
თმოგვი 100, 119, 180, 194, 195
თორ-გუჯარეთი 317, 524
თორელნი 291, 294, 295, 647
თორი 116, 224, 227, 319, 647, 648
თორი (პუნქტი) 126, 227, 647
თორის წყალი 647
თორის ხეობა 317
თრიალეთი 13, 50, 71, 90, 97, 116, 119, 126, 127, 132, 133, 154, 155, 166, 180, 184, 191, 211, 212, 216, 224, 231, 232, 237, 273, 286, 288, 290, 291, 302, 305, 308, 314, 315—324, 327, 339, 343, 352, 366, 524, 528, 584, 632, 633, 635
თრიალეთ-გუგარქი 24
თრიალელნი 314
თრიალეთ-მანგლისი 225
თრიალეთ-ჯავახეთი 211, 231
თურქები 118, 132, 137, 138, 173, 178, 179, 187, 191, 287, 290, 309, 310, 346, 400, 414, 419, 438, 475, 498, 528, 531, 625, 632, 634, 635
თურქეთი 495
თურქი 413, 414, 495, 530
თურქმანნი 138, 310, 433, 437, 625
თურქ-სელჩუკები 187, 442, 626
თურქულ-მაჰმადიანური აღმოსავლეთი 416
თუში 364
თუშნი 22
თუხარისი 59, 93, 112, 129, 160, 238, 547, 570
თუხარისის ციხე 62
თხმელის ციხე 470
თხოთის მთა 233

იანეთი 452, 474
იაფეტიდები, იაფეტური ტომები 262, 263, 365, 394
იბერი 225, 238, 469, 635
იბერია 50, 148, 163, 164, 166, 209, 212, 219, 221, 222, 224, 234, 241, 244—248, 275, 285, 300, 301, 336, 351, 367, 376, 403—405, 407, 408, 410, 415, 423, 424, 433, 434, 442—444, 461, 467, 469—471, 476, 477, 479, 481, 482, 485—487, 490, 497, 500, 507—510, 522—525, 527, 538, 539, 562, 563, 584, 597, 598, 600, 618, 622, 641
იბერია — ქართლი 164
იბერიელნი, იბერიული მოსახლეობა 140, 210, 223, 225, 237, 245, 250, 275, 284, 336, 357, 367, 400, 404, 409, 423, 469, 470, 476, 485—489, 500, 504, 522, 539, 557, 618, 622, 640
იგოეთი 25
იერუსალიმი 82, 107, 277

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანწმიდა 342
ივერი 223, 400, 635
ივერია 144, 397,
Иверия 622
Иверы 391, 622
იმერეთი 22, 24, 63, 146, 190, 225 423, 430, 455, 502, 539, 569, 635—639
იმერელი 22, 297, 539, 635—637
იმერელნი, იმერლები 297, 640, 391
იმერი, იმიერი 22, 193, 223, 298, 400, 539, 635—640
იმერი სამეფო 102, 295
იმერნი, იმიერნი 636, 637
Имеретия 391
Имеры 391
იმერხევი 72
იმიერარაგვი 115
იმიერკავკასია 440, 495, 496, 615
იმიერკავკასიელნი 394, 495, 496, 617
იმიერტაო 373, 379, 636
იმნათი 15
ინგირი 112, 541
ინგლისელი 401
ინგლისი 401, 402
ინდოევროპული ტომები 394
ინდოეთი 404
ინდო, ინდოელი 412
იონნი 563—567, 574, 578, 582
იორ-არაგველნი 11, 12
იორი 11, 63, 72, 73, 236, 423, 650
იპპისი 500, 507, 522, 523
ირაგის ხეობა 71
ირანელები 489
ისნი 43, 650
ისნის ველი 341
ისულა 449
ისულეთი 449, 467, 468, 589
იშხანი 373

კაბენი 312, 421, 422, 424
კაენი 100, 191, 192
კაეწონი, კაიწონი 100, 192
კავთის ხევი 116, 225, 324
Кавказские горы 612, 613
კავკასი, კავკასიონი 216, 239, 376, 424, 476, 494—496, 498, 520, 545, 643
კავკასია 22, 91, 130, 147, 167, 198, 199, 232, 242, 261, 262, 278, 279, 299, 302, 305, 346, 359, 363, 364, 366, 376, 390, 394, 399, 411, 495, 494, 508—542, 554, 555, 557, 581, 590, 591, 602, 606, 607, 609, 612 614 615, 617, 619, 620, 637, 638, 641, 643
კავკასიანები 246, 250, 251, 259, 265, 267, 268, 381, 476, 547, 553, 557, 603, 606, 614, 623
კაზრეთის ხეობა 70
კაკი 23, 626
კალა 43, 234, 541
კალის ხევი (სვანეთში) 68
კალმახი 119
კამბეჩანი, კამბეჩიანი, კამბიზენე 102, 174, 180, 360, 409, 603, 622, 631, 632
Камвисина 622
კანგარი 304, 311
Карачаевцы 612, 613, 620
Карачай 620
კარი 23, 137, 237
კარნიფორა 290
კარნუ-ქალაქი 102, 137, 293, 312, 373
კარსანი 204, 212—215, 218, 219, 221, 224, 225, 232, 328
Картвелы 391
კარუკულმართი 13
Карча 620
კასპი 15, 25, 31, 54, 76, 93, 112, 136, 216, 233, 238, 240, 266, 276, 325, 329—337, 353, 355, 364, 404
კასპიის კარი 494—496
კასპის გორა 333
Каспы 232
კასრის კარი 495
კასტერის ფონი 461
კასტერის წისქვილი 461
კასტილია 420
კასტირი (გუბისწყალზე) 449, 461, 468
კასტირის ხიდი 454, 460
კასხები 364
კაქვაქარი 129, 308
კაცხი 37, 54, 55, 316, 322, 323, 635
კახაბერი 487
კახეთი 11, 12, 14—16, 24, 62, 63, 68,

69, 72, 73, 102, 111, 119—122, 126—130, 142, 143, 146, 151—153, 155, 158, 160, 167, 171, 180, 181, 188, 212, 216, 236, 240—242, 266, 268, 269, 272, 273, 275, 281, 284—286, 297, 298, 305, 306, 318, 323, 337—344, 349, 351—353, 358, 378, 384, 399, 400, 417, 423, 429, 430, 441, 545, 554 558, 569, 584, 596, 622—627, 629, 631, 632, 643
კახელები, კახნი, კახელი 11, 12, 47, 76, 120, 128, 131, 144, 146, 237, 252, 255, 281—283, 286, 287, 295, 307, 355, 379, 384, 386, 391, 417, 441, 561, 608, 618, 626, 632
კახეთი-კუხეთი 153, 242, 326, 327, 622
კახეთის მთა 233, 239
კახეთ-კუხეთ-ჰერეთი 187
კახეთ-ჰერეთი 190, 191, 264, 621, 626
Кахетия 391
კახი 282, 293, 297, 316, 387, 388, 539, 552, 561, 592
კეთილა 465
კეთილარი 465
კელასურელნი 617
კელასური, კლისურა, კლისური 97, 106, 107, 157, 260, 269, 270, 384, 385, 551, 558—560, 571, 573—577, 581, 582, 588—590, 594, 596, 602
კელასურის ზღუდე, კედელი 494, 558, 576, 588, 616, 617
კელტები 401
კეჩუთი 70
კვალითი 573
კვირიკეწმინდა 276, 648
კიკეთი 61, 312
კიმერი 372
კინტრიში 478, 479
კირაკოზას სოფელი 81
კლარჯები 76, 283, 284, 295, 316, 547, 649
კლარჯეთი 62, 63, 89, 97, 104—106, 111, 118, 119, 139, 151—156, 158, 160, 169—171, 187, 239—242, 250, 253, 259, 260, 264, 266—268, 272—274, 284, 285, 287, 290, 301, 305, 341, 353, 357, 379, 384, 530, 531, 545, 547, 548, 558, 559, 570, 572, 588, 635
კლარჯი 255, 273, 592
კლდეეთი 403, 404, 442, 508, 509
კლდეკარი, კლდეკარნი 65, 116, 119, 126, 127, 129, 211—213, 222, 236, 290, 307, 315, 317—322, 324, 514, 521, 524
კლდეკარ-მანგლისი 317
კოდმანი — 43
Кодор 612—614
კოდორი 494, 507, 573, 594, 602, 613, 614, 618,
კოლა 152, 159, 312
კოლასკური 461
კოლხები 251, 276, 365, 408, 443, 469, 475, 478, 483, 484, 486, 490, 502, 538, 539, 554, 557, 613, 618
კოლხეთი, კოლხიდა 16, 145, 166, 217, 225, 245—248, 251, 252, 265, 276, 284, 365, 376, 397, 404, 423, 433, 434, 442—444, 447, 472, 473, 475, 478—481, 488, 490, 492, 501—503, 505, 507—509, 522, 538, 554, 562, 564, 572, 573, 588., 591, 600, 605, 612.
კოლხი-იბერნი 225
Колхида 613
კოლხური თემები, ტომი 250, 480, 486, 487, 503.
კოლხურ-ლაზური სამყარო, ტომები 539, 618
კოჟორი, კოჯორი 128, 308, 312, 313, 424
Коракс 613
კორაქსი 613
Кораче 612
კორაქსი 613
კორინთა 123
კოტაისი 525
კოტაიქი 418
კოტმანი 97, 155
Кошкар 620
კოშკი 129, 308
კოხები, კუხები 76, 283, 286
კოხტას თავი 296, 608
კოხტა ღვთისმშობელი 422
კრწანისი 328
Кубань 620

კუდიგორა 46
კულაში 452, 458, 522
კულხა 397, 642
კურსები 451
კუხეთი 111, 151—153, 155, 160, 216, 236, 240—242, 259, 353, 384, 569
კუხი 552, 592

ლაგოდეხი 626
Лаз 360
ლაზან 502
ლაზია, ლაზიკა 143, 247, 249, 363, 367, 396, 397, 404, 405, 408, 415, 435, 442, 444, 446, 447, 449, 452, 456, 460, 463, 465, 466, 468, 471, 473, 475—477, 479—494, 497, 499, 500—510, 512—515, 517, 518, 522—526, 538, 539, 554, 560, 563, 564, 566, 572, 573, 589, 591, 595, 596, 598, 602—604
ლაზები 245, 246, 249, 265, 397, 408, 417, 418, 442, 443, 445, 447, 449, 469—471, 473, 475, 476, 478, 480, 481, 483—494, 497—502, 504—510, 513—515, 518—520, 523, 538, 539, 557, 562, 573, 577, 589, 590, 594, 595, 599, 600 602, 603, 605, 618, 651
ლაზი 365, 449, 486, 502, 513, 515
ლაზ-სვან-ჩაჩები 157
ლაილაში 329
ლალვერი 65, 66
ლამარია 425
ლარგვისი 167, 317
ლარის გორა 27
ლატალი 439
ლაშარის გორი 56
ლეკანი 265
ლეკები 10, 12, 39, 381, 400, 411, 418, 429, 557, 608, 609
ლეკეთი 406, 408, 430
ლეკსი 407, 413
ლენინაკანი 366
ლენინგორი 421, 423
ლეჩხუმი 14, 68, 187, 253, 365, 426, 427, 428, 431, 454, 456, 460, 462, 475, 488, 489, 502, 519, 539, 554
ლეჩხუმლები 418, 439
ლეხაინდრავო 463
ლეხურა 25, 332
ლიახვი 15
ლიახვის ხეობა 316, 356, 423, 495, 615
ლიპარიტეთი 22
ლიხთამერი, ლიხთაქეთი 191, 192, 297, 638
ლიხთიმერი, ლიხთიმერნი 95, 193, 637—639
ლიხთიქეთი 158, 191, 192, 286, 587, 596, 598—601, 634, 640
ლიხთიქითნი 294
ლიხი 65, 151, 239, 269, 290, 376, 423, 509, 510, 540, 544, 551, 560—562, 586, 599, 634, 635, 638
ლომეკის მდინარე 71, 72
ლომთაგორა 21, 22, 28, 57, 125
ლომისა 48
ლომსიანთა 73, 74, 648
ლომსიანი 561
ლოპოტი 62
ლორე 100, 133, 135, 176, 195, 308, 310, 311, 524
ლოსიანთხევი ლომსიანთხევი 64, 74, 529, 585, 648
ლოქი 69, 70, 71
ლოწობანი 120, 121, 123
ლოპინი 342
ლუკი, ლოკი, 129, 308
ლუკუნი 70

მაგანის წყალი 425
მათხოჯი 460, 462
მაკედონი 95
მაკრონია 492
მაკრონები 484, 491, 492
მანგლის-თრიალეთი 343
მანგლისი. 15, 23, 38, 132, 133, 212, 224, 323, 324, 524, 646
მანგლისის ქვეყანა 269
მანგლისის ყელი 211, 212,
მანგლისის ხევი 97, 155, 158, 308, 319, 321, 338, 339
მანგლისის ჯვარი 431
მანრალოი 486, 534
მარანდელები 196
მარანის ციხე 120, 122

მარგვეთი, მარგვისი, მარგვი 150, 151, 153, 160, 353, 510, 511, 544—546, 552, 570
მარგველები 409, 418
მარგველი 282, 296, 364
მარგის მერე 171
მარტაზი 221
მარტვილი 462, 463, 518
მარტყოფი 370, 625
მარუხი 495
მასის-არარატი, მასისი 302, 556
მაღლაკ-წყალტუბო 460
მაღრან-დვალეთი 71, 643, 644
მაშავერი 69, 70, 71
მაჩხაანი 328
მახათა 649, 650
მახელონები 491
მგლინავი 64
მეგრელები, ეგრისელები 104, 146, 252, 277, 283, 365, 377, 381, 397, 400, 414, 467, 502, 544, 545, 557, 559, 589, 599, 611—614, 619
მეგრელი, ეგრისელი 298, 381, 414, 416, 539, 543, 561, 608
მეგრნი 539, 545
მეგრული ტომები 363, 365
მეგრულ-ჭანური ტომები 366, 367, 486,
მესეტი — 67, 68
მესტია — 67, 431
მესტლიტა 208
მესხები 57, 58, 146, 171, 178, 194, 221, 223, 225, 237, 245, 246, 250, 283, 286, 290, 294, 296, 364, 384, 386, 387, 405, 408, 409, 417, 485—487, 524, 539, 634, 640, 648, 649
მესხეთი 190, 212, 251, 287, 297, 298, 366, 389, 403, 408, 409, 485, 554, 614, 634
მესხეთ-ჯავახეთი 191, 633
მესხი 225, 255, 282, 288, 292, 293, 297, 387, 388, 552, 592
Месхи 391
მესხურ-ზანური ტომები 409
მეტეხი 25
მეჯუდა 274
მზვარე 38, 40
მთაქართლი 202
მთიულები 12, 38, 40, 41, 259, 295, 411
მთიულეთ-გუდამაყარი 38
მთიულეთი 38, 40, 71, 97, 100, 142, 165, 257, 357, 412, 545, 559, 643
მთიულეთის თემი (სვანეთში) 67, 69
მთიული 609
მიანა 197
მიდები, მიდიელები 225, 495, 506, 522, 640
Мингрелия 612, 613
მისაქციელი 330, 342
მისიმიანები 363, 491, 492, 497, 505, 539, 554, 589, 602
მისიმიანეთი 496, 497, 514
მიქელფონი 473, 481
მლაშე 41
მლეთა, მელთა 28, 57
მოდამნახე 524
მოვაკანელნი 381
მოვაკანი 160, 198, 265, 266, 546—548
მონგოლები 102, 103, 177—181, 198, 199, 294—296, 323, 387, 416, 424, 433, 438, 620, 645, 648
მონგოლ-თათრები 437
მოსინიკები 251, 328
მოსოქი 366
მოქვი 449, 611
მოქვის წყალი 512
მოღრისი 184
მოწამეთა 468
მოხირისი, მუხერისი 16, 444, 449, 452, 454, 455, 460, 463—466, 471, 475, 477, 480, 488, 493, 494, 500, 508, 509, 513—515, 519, 520, 522—527, 531, 533, 536, 537, 604
Mochora 523, 524
მჟავისი 116
Мтнулети 623
მტკვარ-არაზის აუზი 61
მტკვარი 15, 71, 92, 106, 116, 137, 138, 152, 160, 204—208, 211, 213, 215, 216, 218, 219, 222, 225, 227, 239, 266, 275, 276, 299, 300, 321, 323, 330, 332, 333, 336, 353, 356, 357, 404, 558, 625, 647, 649, 650

მტუერის ციხე 112, 238
მულახი 68, 431
მუქალი 68
მურღულის ხეობა 409
მუსხი 364
მუხათგვერდი 213, 224, 328
მუხათგვერდის ტბა 211, 213
მუხნარი, მუხრანი 72, 126, 188—190, 193, 203, 208, 222, 225, 281, 328, 330, 337—346, 349, 351—353, 404, 627, 642
მუხნარის გზა 341
მუხრან-ნასტაგისი 208
მუხრან-ხერკი 322
მუხურიში 522
მღვიმევი 60
მცხეთა 22, 31, 43, 49, 57, 58, 76, 93, 103, 112, 113, 118, 136, 138, 139, 151, 161, 166, 188, 202, 203, 205—213, 215, 216, 218, 220—224, 226, 228, 229, 231—240, 244, 247, 250, 251, 259, 276, 277, 281, 284, 286, 323, 327, 329, — 331, 334—337, 343, 349, 351, 353, 355—357, 364, 366, 401, 403, 404, 407, 408, 424, 442, 449, 509, 527, 532, 540, 541, 546, 570, 584, 598, 600, 625, 627, 632, 648
მცხეთის ჯვარი 47, 217, 228, 233, 273, 422, 431
მცხეთოსიანნი 268, 274
მცირე აზია 641, 642
მწვანე ყვავილი 459
მჭადიჯვარი 26

ნაგარევი 519
ნაბაღრები 15, 30—32, 37, 38, 40, 408
ნაბაღრების ხატი 32
ნაბოსლევი 519
ნაგვაზაუ 465
ნაზარის სოფელი 57, 312
ნაზარეთი 85
ნაზვრევი 333
ნანუთის ქედი 469
ნაოხვამუ 457
ნარდევანი 524, 645
ნარეკვავი 353
ნარეკვავის ხრამი 342
ნართები 618
ნარღუევი (ნაღვარევი) 342
ნასამქედულარი გორე 461
ნასტაგისი 26, 27, 44, 330
ნატანები 478, 479
ნაფეტვარი 215
ნაფსეჲ 562, 565—567
ნაფსიორი 485
ნაქალაქევი, ნოქალაქევი 454, 460, 462, 466, 467, 472, 480, 518, 533
ნაქერალა 519—521
ნაქულბაქევი 202, 208, 215
ნაქურდევი 12
ნაცარგორა 46
ნაციხარი 469
ნაშარმაგევი 290
ნახარებაუ 462
ნახიდური 70, 312
ნახჩევანი 120—122
ნაჯახოუ 465
ნაჯბადინი 312
ნებოძირი 508
ნეძვი 276, 647, 648
ნიგალი 170
ნიგოითი 45, 450, 598
ნიკორწმინდა 90, 156, 357, 449, 535,
ნიკოფსი 104, 191, 192, 291, 499, 500, 545, 566—568, 580
ნინოწმინდა 115, 213—215, 217, 218, 228, 234, 408, 409
ნიქოზი 357, 424
ნიჩბისი 25, 225
ნიჩბისის წყალი 324
ნიჩბისის ხევი 41
ნორგიალი 82
Норгиали 82
ნორმანები 401
ნოსრი 62
ნოსტე, ნოსტევი 27, 212
ნოსტე (მდ.) 152, 160
ნოღა 465, 472, 474
ნოღადიდი 465
ნოღაელნი 620
ნოღელა 465
ნოღის ხევი 465
ნოჯიხევი 463

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუხპატი 137

ობჩა 470
ოდიში 101, 148, 149, 191, 359, 425, 439, 451, 467, 502, 528, 530, 534, 585, 603, 604, 619, 638
ოდიშ-აფხაზეთი 191
ოდიშ-გურია 24
ოზურგეთი 457
ოკამის გორა 330
ოკრიბა 455, 519—521, 534, 535, 537, 639
ოლთისნი 137
ონი 329
ონოგური, ონოგურისი 462, 463, 465, 513, 514, 518, 519, 536
ონორიატები 482
ონოღია 462, 465
ოპიზა 65, 89,
ორბეთი 21,100, 128, 191, 192, 243,
ორბის ციხე 112, 238, 239, 243, 276
ორკე 473, 474
ოროტი 133
ოსები 105, 253, 254, 266—268, 293, 295, 337, 391, 399, 409, 411, 423, 424, 545, 558, 569, 603, 608, 609, 615, 623, 643, 644
ოსეთი 67, 68, 174, 266—268, 293, 424, 520, 576, 577, 596, 604, 643, 650
ოსთა კარი 495, 496
ოსი 407, 411—413, 416, 609
ოსიაური 429
ოსმალები 10, 121, 135, 297, 454, 470, 593
ოსმალეთი 429, 433, 437, 609, 614, 645
ოფეთი 472
ოფიტარა 438
ოფრეთი 129, 308,
ოფშქვითი 456, 458
ოქროს ურდო 615
ოყურეში 456
ოჩამჩირე 576, 602, 607
ოჩე 474
ოძისი 353
ოძრახე, ოძრხე, ოძრხევი 23, 54, 73, 74, 93, 106, 112, 152, 153, 160, 172, 238, 273, 329, 331, 332, 353, 549, 562, 648
ოძრხეთი 386
ოხერხიდა 72
ოხომირა, ოხომირი 454, 457, 515, 523, 524

პალარი 333
პალიასტომი 526
პანკისი 114, 115, 128, 297, 357
პარალი 333
პარხალი 274
პატარა ხინო 479
პატრიკეთი 448, 452, 456—458
პაფლაგონიელები 482
პერსარმენია 471
პერსარმენიელები 485, 486
პეტრა 444, 471—473, 477—481, 484, 485, 489—491, 493, 499, 501, 507—510, 514—518, 527, 559, 560, 596, 598
პეტრეს ციხე 121
პირიქითი კავკასია 376
პიტარეთი 37
პიტიუნტი 476, 498, 499, 504,
პლოვდივი 43
პონტო 246, 247, 475, 482, 483, 485, 489, 493, 499
პონტოელები 477, 482, 483
პონტოს ზღვა 239, 562, 565, 637

ჟალეთი 14, 131, 139, 329
ჟალეთის სიონი 38, 408
ჟინვანი 100, 101, 274, 338, 397
ჟინო 502

რაზმითის მთა 117
რანი 95, 145, 160, 167, 198, 254, 259, 265—267, 270, 272, 278, 306, 314, 315, 382, 546—548, 623, 624.
რანნი 144, 381, 386, 417
რატევანი 645
Рача 115, 253
რაჭა 14, 23, 67, 68, 102, 114, 115, 150, 154, 157, 171, 180, 187, 191, 192, 249, 296, 298, 357, 365, 427, 429, 455, 462, 471, 488, 489, 519, 520,

527, 528, 532, 534, 545, 600, 604, 642, 643, 649, 651
რაჭა-ლეჩხუმი 488, 599, 639
რაჭველები 251, 417
რაჭველი 295
რახსი 178, 191
რეხულა 217, 218, 325, 332, 333, 336, 357.
რიზე 477, 482—484, 491
რიონი, რეონი 151, 156, 157, 251, 444, 456, 458, 466, 471—474, 477—481, 490, 493, 507, 508, 510, 511, 519, 521, 527, 529, 534—537, 543, 544, 549, 554, 579, 580, 589, 598, 619, 641
რიშაყალა 309
რკონი 25, 356
როდოპოლისი 249, 444, 445, 477, 489, 493, 508, 510—512, 514, 527, 596
როკითი 447
რომაელები, ჰრომნი 254, 255, 401 408, 443, 445, 459, 470, 471, 475—477, 480—484, 489, 494—496, 498—500, 503—508, 510, 511, 515, 516, 519, 540
რომგუარი 198
რომი 43, 95, 246, 247, 251, 397, 404, 434, 435, 437, 468, 470, 471, 475, 478, 489, 491, 493, 497, 500, 502, 503, 507, 510, 539, 562, 573, 599
რუეთი 344
რუისი 248, 357, 421, 422, 549
რუისის არხი 248
რუისპირი 44
რუის-ურბნისი 189, 289, 98, 377, 419
რუსები 420
რუსეთი 22, 406, 420, 650
რუსთავი 100, 136, 139, 190, 259, 308, 309, 310, 329, 338, 635
რუსი 401, 526
რუშავა 455

საამილახორო 22
საარიშიანო 198, 252, 627, 628
საბარათაშვილო 327, 328
საბერძნეთი 22, 97, 102, 106, 107, 118, 127, 138, 171, 187, 198, 212, 213, 270, 288, 289, 321, 380, 384, 386, 431, 530, 553, 558, 560, 570, 579, 581, 582, 585, 588, 590, 595, 603, 615—635.
საბირები 476, 496, 512
საბიტახჩა 524
საგარეჯო 625
საგვარჯილე 34
საგიმის წყალი 294
საგოდებელი, საღოდებელი 88, 650,
საგურამო 330, 625
სადადეშქელიანო 426, 441
სადადიანო სვანეთი 426
საეგრო 131, 192, 532, 534, 539, 561, 580
სავანის ველი 213
სავანის ხევი 208
საზანო 227, 243, 275, 364, 467, 502, 510, 625
სათოვლია 38
სათურქეთი 22
საიმერეთო 22
საინგილო 11, 12, 410, 608, 617
საკაჟია 468
საკახეთო 22
საკვერნიეს გორა 46
საკირე 647
Саки 232
სალიპარტიანო 22, 462, 536
სალომინაო 465, 472, 511, 529, 534, 535
სამაჯალო 324, 524
სამგორი 46, 427
სამეგრელო 22, 358, 427, 430, 461, 463, 502, 539, 561, 605, 611, 612, 615—618
სამთავისი 357, 424
სამთავრო 32, 205, 221, 232—234
სამისონი 569
სამიქელაო 22
სამოქალაქო 133, 146, 148, 180, 187, 192, 251, 365, 418, 471, 480, 524, 525, 527—537, 543, 561, 585, 589, 603, 604, 638, 639
სამტრედია 448, 458, 467, 472

სამშვილდე 15, 96, 112, 114, 128—130, 133, 134, 136, 145, 152, 153, 180, 238, 260, 273, 300—303, 306—311, 322, 329, 353, 422, 623, 624, 626
სამცხე 23, 56, 64, 73, 90, 102, 111, 119, 146, 148, 152, 155, 158, 160, 171, 187, 192, 216, 240—242, 274, 276, 277, 279, 285, 288, 305, 332, 337, 364, 366, 367, 384, 408, 444, 488, 530, 584, 599, 623, 648
სამცხე-აჭარა 153
სამცხეთო-სამუხრანო 330
სამცხე-საათაბაგო 146
სამცხე-ჯავახეთი 65, 327, 632
სამწევრისი 421
სამხრეთ ალბანეთი 399
სამხრეთ-დასავლეთი საქართველო 278, 632
სამხრეთ-კავკასიელნი 394
სამხრეთ საქართველო 64, 297
სანაინი 304, 306, 313
სანები 484, 552
სანიგები 192, 418, 483, 491, 498—500, 503—505, 553, 554, 595
სანიგეთი 492, 499, 589, 595
სანიგი 237, 365
საპიტიახშო 224, 315
Саранин 271
სართიჭალა 44
სარკინე, სარკინეთი 54, 229, 232, 329—332, 336, 404
სარკინოზნი 80, 167, 168, 270, 271 562, 563, 566, 567
სარკინოზი 271, 378
სარმატები 275, 404, 640
სარმატ-სკვითები 358
სარმატული ტომები 245
სარუსეთო 22
სასანიანთა სპარსეთი 471
სასირეთი 25, 27, 28, 287, 307
სასომხეთი 22, 102, 579,
სასპერები 238, 276, 539
საფარჯანიანო 536
საფრანგეთი 22, 401, 402, 579
საქარეს გორი 46
საქართლოსიანო 373
საქართველო 7—10, 13—18, 22, 24, 39, 41, 57, 69, 70, 95, 101—103, 111, 112, 134, 142—147, 159, 165, 166, 169, 170, 176—180, 184—187, 189—191, 193, 194, 196—203, 207, 217, 232, 235, 236, 244, 251, 252, 258, 260, 262, 264, 270, 273, 277, 278, 282, 285, 286, 288, 289, 291—299, 305, 317, 327, 343, 345—347, 349—351, 357—359, 364, 377, 380, 381, 384—386, 389—393, 396—399, 402, 403, 405—408, 410—413, 416, 417, 419, 425, 428—430, 432—434, 436—439, 442—443, 448, 463, 534, 539, 543, 553, 554, 558, 560, 569, 572, 574—480, 583, 585—587, 592, 598, 602, 604, 606—611, 615, 620, 625, 627, 639, 642, 643, 650
საქართლის ციხე 22, 275
საქვაბლიძო 536
საქრისტიანო აღმოსავლეთი 347
საღვინე 470
საყავრე 116
საყავრის ხევი 116
საყარაულო 57
საყდრის ყელი 43
საყვავის ტყე 473
საყიჩაყეთი 22, 650
საყულია 456, 458
საჩინო 511, 599
საჩიჯავაძო 472, 534
საჩხეიძო 535, 536
საჩხერე 58, 403, 404, 524, 598, 642
საციციანო 328
საცხენისი 71
საწირე 519
საწულუკიძო 461
საწურბლია 451, 452, 458
საჭამია სერი 64
საჭილაო 22
საჯავახიანო 22
საჯავახო 56, 465, 471, 473, 474, 478, 487, 509, 534, 539, 599, 604
საჯავახო-სალომინაო 22
სებასტოპოლი, სებასტოპოლისი 477, 480,

497—499, 503—505, 524, 525
სევსამორა 208
სეიდაბადი 313
სელჩუკიანი თურქნი 346, 626
სემი (მდ) 461
სენაკი 463, 467
სეტი 65, 67
სვანები 131, 146, 149, 191, 263, 364, 400, 414, 418, 425—432, 435, 436, 438, 440, 441, 455, 491, 495, 496, 505, 530, 558, 561, 607, 612, 619, 623
სვანია, სვანეთი 62, 64, 65—69, 73, 124, 141, 146, 149—151, 153, 154, 192, 260, 353, 358, 359, 363, 406, 417, 425—432, 435, 436, 438—442, 466, 475, 485—489, 493, 502, 515, 518—520, 524, 526—528, 534, 536, 537, 539, 543—545, 550—552, 559, 561, 573, 576, 589, 596, 602, 604, 608, 620, 623
Сванети 623
სვანი 237, 260, 365, 388, 395, 413, 414, 426—431, 435, 439, 607, 609
სვანური ტომები 363
Сваны 612, 613
სვეტიცხოველი 208, 233, 327
სვირი 470
სივნიეთი 296, 398, 418
სივნიელები 400
სიმონეთი 459, 461
სინას მთა 285
სინოპი 447
სიონი 23, 114, 357
Сионы 114
სირის გორა, სირთა გორა 28
სკანდე, სკანდა 249, 269, 365, 443, 459, 461, 464, 467, 477, 481, 485, 509, 510, 513, 514, 523, 598
სკვითები 495
სკვითეთი 638
სკვიმიელნი 489, 491
სკვიმნია 363, 456, 460, 485—489, 493, 515, 518, 519, 520, 524, 539, 554, 589, 602, 603
სკვირეთი 145, 152, 224, 239, 308, 319, 321
Scorcia, Scorua 617
Скифы 232
Schissornum 617, 618
სკურჩა (ისკურია) 618
სობღის ციხე 575, 577
სომეხი 250, 271, 276, 303, 305, 306, 378, 389, 390, 398, 411, 413, 414, 415, 609, 611
სომეხნი, სომხები 83, 100, 105, 118, 129, 140, 144, 225, 250—253, 261, 264, 282, 294, 295, 298, 299, 300, 304—306, 308, 313, 314, 349, 373, 378—381, 383, 386, 391, 392, 398—400, 409, 416, 417, 419, 476, 557, 584, 622, 640
სომხეთი 22, 88, 89, 164, 174, 198, 199, 213, 217, 248, 250, 253, 258, 284, 296, 301, 305, 312, 346, 360, 376, 379, 380, 398, 399, 416, 437, 591, 630, 640, 641
სომხითარნი 291, 292, 294—296, 313
სომხითი (დიდი) 174
სომხითი 100—102, 118, 128, 134, 160, 176, 180, 195, 224, 240, 270, 272, 278, 294, 301—304, 306—314, 318, 359, 415, 524, 540, 546—548, 556, 631, 635, 636, 638, 639, 643
სომხით-ზორაკერტი 399
სომხით-საბარათიანო 224, 300
სონები 623
სოხუმი 618
სპარსეთი 22, 78, 79, 94, 160, 164, 176, 196, 197, 291, 300, 307, 310, 346, 380, 471, 475, 489,497, 500, 503, 510, 547, 548, 580, 588, 590, 597, 609, 632
სპარსელები, სპარსნი 62, 83, 105, 106, 118, 152, 203, 226, 227, 236, 254, 259, 268, 313, 323, 338, 400, 408, 443, 445, 449, 454, 471, 473, 475, 480, 481, 485, 490, 495, 499, 501, 505—507, 510—516, 519, 520, 522, 523, 525, 546, 547, 570, 600, 609, 632
სპარსელი, სპარსი 255, 377, 444, 522
სპერები 238
სპერის ზღვა 92, 93, 160, 217, 238—240
სპერის ქვეყანა 248, 415, 637
სპონეთი 489
სტამბოლი 297
სუერის ციხე 635

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სურამი 15
სურმანი 178, 179,
სუსურმენე 482, 484
სუფსა 473, 474, 478, 479, 485, 598
სუჯეთი 14
სხალდიდი 213
სხალტბა 344
სხვილოსი 123, 524

ტაბალი 226
ტანა 71
ტანას ხეობა 225, 524
ტაო, ტაონი 89, 119, 137, 180, 236, 239, 250, 264, 274, 277, 278, 283, 285, 290, 305 311, 323, 367, 372, 373, 379, 399, 415 488, 517, 583, 632
ტაოელი, ტაოელნი, 162, 295, 296, 316, 387, 388, 400, 416, 649
ტაო-კლარჯეთი 366, 399, 633
ტაოსკარი 521
ტაოხი 225
ტარონი 167
ტარსუ 375
ტასისკარი, ტაშისკარი 93, 152, 160, 239, 240, 276, 340, 647
ტასკუნები 504
ტაშირი 69—71, 97, 152, 154, 155, 224, 302, 311, 314, 318, 366
ტბეთი 127, 166
ტელეფისი 464, 477, 490, 514
ტერტერის წყალი 625
ტეხური 449, 463, 466, 512
ტინის მთა 330
ტობანიერი 472
ტოლები 472, 474, 490
ტოლების ნაციხვარი 450
ტონთიო 54
ტორნე 71
ტრაპეზუნტელები 293, 477, 482—484, 491
ტრაპეზუნტი, ტრაპიზონი 293, 482—484, 498, 499, 504, 505, 562, 565—567
Триалети 231
ტყაჩირი 456, 458
ტყიბული 519, 520

უბისა 574, 598
უდაბნოს ალერი 212
უდე 56
უდები 400, 596,
უდი 398
უელსი 420
უკრაინელები 420
ულევი 470
ულუმბას მონასტერი 370, 371
უნაგირა 462, 589
უპიტი 221
ურბნისი, ორბნისი 21, 54, 56, 58, 93, 238, 240, 248, 273, 276, 329, 331, 332, 357, 404, 421
ურეკი 478
ურია 609
ურიანი 174, 340
ურიანი ქართველნი 255
ურიასტანი 408
[illegible]
უფლეთი 241, 386
უფლისა კარი 467
უფლისციხე 15, 22, 54, 65, 76, 93, 112 119, 172, 216, 225, 236, 238, 240, 243, 276, 320, 325, 330—333, 335, 336, 353—356, 404, 583
უფლოსიანნი 268
უქიმერიონი 452, 454, 513, 514, 518—520
უშქული 67, 68, 425
უჯარმა 43, 62, 63, 119—121, 136, 139, 234, 259

Фазис 613
ფაზისი (ქალაქი) 446, 480, 492, 499, 508, 514
ფაზისი (მდ) 444—446, 470, 476, 477, 480, 481, 487—490, 507—511
ფანავარი 93, 106, 152, 160, 239, 240, 315
ფარნავაზიანნი 280
ფარცხისი 128, 308, 309
ფასიდი 618
ფერსათი 16, 251, 403, 439, 447, 472,

473, 487, 511, 535, 559, 563, 573, 576, 639
ფერსათის მონასტერი 574
ფილისტიმი 174
ფინეზაურის ხევი 70
ფიფინეთი 429
ფიქვები 40
ფიქვნარი 245, 446, 473, 478, 480
ფოთი 136, 156, 431, 445, 465, 481, 508, 510, 516, 525, 526, 533, 569, 596, 598
ფუთი 470
ფრანგები 420
ფრანგეთი (ბრანჯეთი) 22
ფრანგი 401
ფრანკები 401
ფშავები 412
ფშაველნი 429
ფშავი 406, 596
ფშავ-ხევსურები 650
ფშავ-ხევსურეთი 56, 425
ფხვენისი 21, 123, 275, 364
ფხოველი 429
ფხოველნი 21
ფხოვენი 364
ფხოვი 237, 275, 359, 364, 596

ქავაზინი 308, 309
ქალდეველთა ქვეყანა 79, 86, 87
ქალდეველნი 256
ქალდია 562, 563, 565—567
ქანაანი 79
ქანდა 343
ქართები 178, 225, 251, 252, 262, 275, 400, 413, 423, 424, 539, 590, 599, 603
ქართველები, ქართველნი 23, 42, 48, 94, 105, 118, 144, 178, 196, 197, 199, 200, 207, 212, 238, 254—257, 259, 260, 262—264, 267, 268, 270, 273, 281, 283, 286, 287, 289—297, 299, 304, 305, 313—315, 339, 342, 346, 349, 351, 363, 364, 371—378, 380, 381, 386—388, 390, 398, 399, 401, 408, 414, 415—418, 424, 430, 509, 540, 545, 549, 555, 557, 558, 580, 583—586, 594, 608, 616, 618, 623, 624, 632, 643, 649
ქართველი 9, 21, 39, 48, 90, 209, 217, 241, 255—258, 260, 261, 271, 273, 277, 282, 286, 288, 289, 291—293, 295, 299, 303, 305, 357, 359, 363, 373, 375, 378, 379, 381—383, 389—391, 399, 400, 403, 406—410, 414, 416, 419, 423, 449, 502, 541, 555, 557, 568, 571, 572, 574, 586, 591, 601, 606—608, 610, 611, 616, 624, 635, 644, 646
ქართველურ-კავკასიური ტომები 144, 242
ქართლეთი 386
ქართლელი, ქართლელები 196, 225, 288, 289, 291, 296, 608
ქართლ-კახეთი 236, 390
ქართლი (პუნქტი) 49, 60, 93, 114, 136, 202—204, 206—222, 224, 225, 227—229, 231, 233—235, 238, 242, 243, 275, 276, 281, 324, 327, 328, 330, 353, 355, 364, 541, 625
ქართლი 15, 16, 22, 24, 31, 38—41, 57, 62, 63, 76, 80, 85—88, 92, 93, 95—99, 101, 102, 105, 106, 111—113, 115, 116, 118, 119, 121—124, 127, 129, 130, 135, 136, 140, 143, 146, 149—151, 154, 155, 157, 158, 160—163, 167, 168, 171, 172, 175, 177, 184, 185, 187, 190, 191, 200, 202, 203, 205, 207, 209, 210, 212, 215—217, 219, 222—233, 235—244, 250—300, 302—307, 309—316, 318, 319, 321, 323—329, 336—342, 349—360, 367, 377, 378, 380—382, 384—388, 390, 397—399, 403, 405, 409, 410 414, 419, 423, 429, 430, 435, 438, 471, 479, 507, 509, 510, 520, 527, 529, 530, 531, 533, 538, 540, 542—549, 552, 554, 555, 558, 559, 561, 563, 566, 568, 569, 570, 572, 574, 575, 577—586, 590—592, 598, 600, 607, 608, 622, 623, 624, 627, 628, 632—635, 638, 639, 642, 643, 646—648, 550
ქართლის კარნი 227, 228, 242, 275
ქართლის ქედი 31, 32, 39
ქართლის ყელი 113, 218, 215, 218
ქართლის ხევი 113, 212, 213, 215, 217—219

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლის ხევი 113, 212, 213, 215, 217—219
ქართი 93, 210, 221, 223—225, 227, 235—238, 242, 248—251, 265, 336, 359, 364, 365, 367, 384, 388, 395, 396, 400, 405, 407—411, 414—416, 418, 423, 424, 539, 552, 561, 584, 589, 590, 598—600 604, 648
ქართლოსიანნი 150, 151, 161, 162, 211, 238, 241, 252—260, 263, 265, 266, 268, 274, 275, 279, 281, 282, 302, 327, 379, 381, 382, 385, 542, 550—552, 555—558, 570, 572, 577
ქართულ-ქართველური ტომები 150, 252, 357, 358, 363, 364, 376, 391—395, 406, 432, 433, 607
ქაშაგეთი 293
ქაშაგი 226, 365
ქაშაგნი 192, 293
ქაჯეთი 517
ქაჯეთის ციხე 413, 517
ქაჯთა ქალაქი 112, 517
ქაჯთა ციხე 450, 517, 560
ქვათახევი 225
ქვაყუდე 56
ქვაციხე 53—56, 316, 450, 457, 467, 573
ქვაცხელები 56
ქვახვრელი 307
ქვედაგორი 46
ქვეზადენი 228
ქვედა საქარა 470
ქვემო აჭარა 409, 465
ქვემო გურია 446, 465, 487, 489, 516, 517
ქვემო ივერია 144
ქვემო კერძო 65
ქვემო რაჭა 115, 520, 539
ქვემო სანაპირო 134, 198
ქვემო სვანეთი 441
ქვემო ტაო 170
ქვემო ქართლი 39, 100, 130, 145, 213, 216, 221, 224, 225, 231 241, 242, 248, 250, 260, 300, 302—304, 319, 325—328, 366, 399, 625, 642, 646
ქვემო ყარაია 622
ქვემო ხეთი 64, 65
ქვეყანა სოფელი 216, 221, 224, 231, 240—243, 304, 325, 327,
ქვენა არტანი 311
ქვეშის ჭალა 307
ქვეშის ციხე 70, 100, 192
ქვეშის ხევი 70
ქვილიშორის სასაფლაო 451
ქვილიშორის ციხე 450, 453—457
ქვიშილეთი 519
ქვიშილეთის ციხე 453, 515, 520
ქეჩაროხი 333
ქიზიყი 14, 141
ქისტები 423
ქლუხორი 495
ქობულეთი 15, 439, 450, 516, 530
ქრცხინვალი 274
ქსანი (მდ) 44, 72, 117, 127, 131, 208, 274, 336, 339—342, 351, 353, 421—424, 438, 561, 627
ქსანი 330, 364, 417, 418, 604, 647
ქსნის მთა 40
ქსნის ხევი 15, 117, 225, 316, 353, 650
ქსოვრისი 330, 421, 423
ქუაბთა თავი 233
ქუთათი 444, 513, 537
ქუთათისი, ქუთაისი 15, 23, 51, 65, 69, 102, 131, 133, 156, 245, 288, 290, 428, 429, 442, 447—449, 452—455, 458, 460, 467, 468, 472, 474, 493, 508, 513—515, 519, 522, 524—534, 536, 537, 559, 561, 563, 564, 569, 576, 581—583, 585, 587, 589, 590, 598, 604, 632, 634, 646
ქუთაისის სამოქალაქო 522, 528, 529—533, 536, 537, 585
ქუთაისის საჭურჭლე 635
ქუთაისის ციხე 533
ქორთა, ქურთა 57
ქურდები 12, 125
ქურდევანი 12
ქურდთა, ქურთა 12
ქურდ-ვაჭრის ხევი, ქურდის ხევი 12, 97, 134, 155
ქურდნი 418
ქურთაული 71
ქურთები 408

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქცია 69, 116, 312

ღადო 239, 570
ღალიძგა 494, 507
ღართის ვიწროები 339, 342
ღაწირი 573
ღუნძეთი 293, 596
ღუნძი 413
ღუნძნი 293, 418, 603

ყანჩიეთი 123, 423, 424
ყარაია 649
ყარაღაჯი 69
ყარაჩაელები 620
ყარსი 236, 367, 398, 399
ყელი 71
ყელი (ციმთან) 469
ყვიპის წყალი 474
ყვარელი 429
ყველის ციხე 88, 320
ყვირილა 249, 442—444, 477, 481, 508, 510—511, 529, 534, 536
ყივჩაყები 138, 174, 189, 310, 428, 609, 649, 650
ყივჩაყეთი 650
ყივჩაყი 411, 625
ყიზილბაშები 10, 121, 433, 437
ყირიმი 447
ყოველი აღმოსავლეთი 289
ყოველი მთიულეთი 158, 338, 352
ყოველი მთიულნი 650
ყოველი სამოქალაქო 536
ყოველი სამშვილდე 23, 309, 635
ყოველი საქართველო 288, 296, 356, 377, 437
ყოველი ქართლი 257—259, 354, 377, 384, 623, 624
ყორანთა 21, 22, 58, 125, 328
ყორნისი 22, 58
ყუბანი 550, 553, 554, 617
ყუელი 65, 119, 341
ყუმი 461

შავი ზღვა 246, 250, 329, 495, 505, 567, 577, 590, 596
შავი მთა 569
შავი ტყე 330
შავი წყალი 647
შავშები შავშნი 76, 137, 283, 295,
შავშეთ-კლარჯეთი 139, 283, 284, 367, 384, 488, 584, 600
შავშეთი 56, 82, 88, 89, 127, 139, 160, 166, 170, 187, 241, 250, 274, 283, 287
Шавшети 82
შავში 592
შარვანი 198, 293, 310, 346, 398, 643
შარვანშეთი სახლი 293
შარვაშეთი 287
შაკიხი 167
შამახიის მთა 102, 179
შამი 106, 178, 546
შამქორი 625
შარობი 41
შაფათას ღელე 519
შაქი 628
შაქი-შემახია 12
შაქნი 398, 400, 623, 626
შემახია 198
შემოქმედი 479
შენგავითი 61
შთასავალი 71, 72,
შიდა გურია 481
შიდა ეგრისი 16, 150, 151, 153, 240, 267, 269, 270, 353, 544, 550, 552—554, 561, 569—573, 576, 582, 589, 590, 602, 603
შიდა კახეთი 11, 171, 240, 275, 625, 642
შიდა ქალაქი 327
შიდა ქართლი 23, 39, 50, 65, 93, 94, 112, 138, 152, 153, 160, 213, 216, 218, 219, 224 225, 238, 240—242, 272, 273, 275, 276, 282, 283, 287, 288, 291, 302, 321, 323 325—328, 339, 340, 353, 355, 356, 366, 384, 399, 546, 554, 569, 584, 598, 642, 646
შიომღვიმე, მღვიმე 188, 189, 339, 342—344, 346—350, 628
შირაკი 399, 415, 418
შირაქი 622
შორაპანი, სარაპანი 118, 151, 249, 269, 275, 357, 365, 442, 443, 464, 467—

471, 477, 481, 485, 493, 508—511, 513, 514, 523, 528, 536, 559, 560, 598
შოტლანდია 420
შოტლანდიელები 401, 420
შტორი 128
შუაგორი 46
შუა კავკასიელნი 394
შუა კავკასიონი 399
შუამდინარეთი 79
შუამთის გორა 472
შუა მთიულეთი 154
შუა სოფელი 231
შუა სოფელი (აფხ.) 602, 619
შუა ცხვირი 32, 38
შუბათი 211
შუბლაძეების უბანი 449, 452, 458
შულავერი 166
შულავერი-არტანი 159, 253, 320
შურის ციხე 43
შხეფი, შხეთი 467

ჩალანუსუნ 628
ჩარგაზი 365
ჩასავალი 71
ჩაჩ-აფშილები 157
ჩაჩი 14, 500, 552, 553, 573, 589, 605, — 607
ჩაჩუბეთი 606
ჩელეთი 238
Черкессы 612, 613
ჩერქეზები 603, 618
ჩერქეზეთი, ჩერქეზი 71, 72, 643
ჩეჩნეთი 643
ჩიკორანთ გორა 57
ჩინეთი 408
ჩინელი, ჩინი 412
ჩიხა 58, 281, 354, 356, 524, 583
ჩიხორი 58, 464
ჩოლაბური 449, 450, 468
ჩოხატაური 473, 474
ჩრდილოეთ ალბანეთი 399
ჩრდილოეთ კავკასია 590, 615
ჩრდილო მხარენი 304, 325
ჩუნეში 522
ჩური, ჩორი 494—496
ჩხარი 58, 467
ჩხენიში 522
ჩხერი 58
ჩხერიმელა 442, 443, 508
ჩხიკვთა 21, 28, 57, 58

ცაგერი 67, 462
Цанар 623
ცაიში 67, 518
ცენა 67
ცეცხლაური 478
ცივწყალა 472
Цики 612
ციხე 473
ციხე-გოჯი 105, 151, 267, 447, 462, 512, 527—529, 533, 534, 536, 537, 542, 543, 558, 559, 570, 571, 573, 574, 581, 582
ციხეფიდი 31, 54, 136, 205, 208, 213, 221, 330—332
ციხესულორი 450, 472
ციხისძირი 353, 405
ციხისჯვარი 172, 648
ციხურა 449, 450, 468, 470
ცროლის მთა 540
ცურფავი 240, 250, 300, 301
ცუცხვათი 453—455, 458, 513, 519 — 521, 524
ცხენის ტერფი 227
ცხენისწყალი 112, 157, 449, 460—462, 509 523, 537, 562, 589, 619
ცხინვალი 15, 225, 329, 397
ცხომარი 431
ცხომი, ცხუმი 136, 156, 157, 191, 384, 431, 497, 498, 525, 559, 574—577, 596, 619

ძალისა 274
ძამა 15, 72, 171
ძამის ციხე 171, 172
ძამის ხეობა 171, 172, 225
ძარღუას სოფელი 81, 369
ძეგვი 31, 38, 40, 213, 221, 225, 330
ძეგვის წყალი 330
ძევრი 455
ძევრის ციხე 457
ძევრის ხიდი 459, 461

ძველი ანაგა 206, 220, 512
ძველი არქევანი 512
ძველი ბერ 512
ძველი ბოდბე 220
ძველი გავაზი 206, 220, 512
ძველი გაჩიანი 512
ძველი ლაზიკა 554
ძველი მცხეთა 43, 205—207, 210, 219—223, 334, 512
ძველი ნეკრესი 512
ძველი სარკინეთი 512
ძველი სენაკი 220, 512
ძველი ჩელეთი 512
ძველი ჰერეთი 512
ძირულა 442, 443, 508
ძორაგეტი, ზორაკერტი 180, 301, 306—308, 584

წალენჯიხის რაიონი 425
წალკა 315
წანარები 12, 378, 423, 623
წანარეთი 12, 14, 269
წაღულისთავი 290
წებელდა 576, 607
წერეფთის ციხე 127
წერონისი 21, 58, 125
წვერო 53
წიბილე 505, 506, 514
წითელქალაქი 25
წილკანი 188, 274, 275, 340—342, 349, 357, 424
წინწყარო 15
წირქვალი, წირქოლი 339, 421, 423, 424
წიფნაგვარე, წიფნაგარე 45
წიწამური 208, 209, 216, 222, 228, 229, 330
წლევი 330
წობენი 21, 275, 364
წოვა 364
წიფი 304, 306
წრომი 431
წუნდა 105, 106, 152, 153, 159, 238, 258, 329, 353
წუქეთი 166
წულრუღაშენი 306
წყალთა-შუა 312
წყალტუბო 453, 454, 461, 462
წყალწითელა 458—460, 468, 519, 521
წყისე 209, 273

ჭანები 146
ჭანეთი 277, 502
ჭანეთის მთები 482, 484
ჭანი 364
ჭანიეთი 364, 606
ჭანჭათა 605, 606
ჭარ-ბელაქანი 429, 430
ჭართალი 237, 275
ჭარი 23
ჭაჭიეთი 605, 606
ჭვარები 116
ჭილიტების სერი 211, 212, 215
ჭიქიანი 41
ჭიშურა 458, 459, 461, 519, 521
ჭოროხი 290, 478, 484
ჭყონიგვარა 45
ჭყონდიდი 156, 187, 449, 480, 518, 526, 526, 530, 531, 536, 569, 599

ხაზარები 268, 302, 560, 567
ხაზარეთი 87, 590, 638, 650
ხაზარეთის მდინარე (მცირე და დიდი) 157, 376, 540, 544, 551, 570, 571, 573, 581, 588
ხაზარი 118
ხაიში 425
ხალდია 563
ხალვაშიანთ უბანი 516
ხალიბები 251
ხანისწყალი 112, 443—445, 470, 511
ხანძთა 89, 274
ხაშმი 625
ხაჩენი 198
ხევი 12, 71, 72, 142, 357, 596
ხევი (გურიაში) 64, 72, 478
ხევის წყალი 478
ხევკორდულა 31
ხევსურები 412
ხევსურეთი 406, 615
ხევხმელა 52, 117
ხეისწყალა 72
ხეკორძი 31

ზერკი 97, 126, 155, 158, 208, 330, 338, 340, 342, 344, 351, 352, 404, 627
ზერკის მთა 339
ზერკ-საგურამო 352
ზეობა 276, 277, 511, 647
ზვარაზმელები177, 179, 180, 294
ზიდარი 63, 72
ზიდი (სოფ.) 460—462
ზიდისთავი 473
ზიზანაათ გორა 56, 60
ზინო 479, 598
ზინწის ხევი 70
ზიხანი 172, 180
ზლათი 23, 198
ზობი 431
ზობის წყალი 426, 428, 431
ზოვლე, ზოვლევი, ზულევი, ზულები 23, 25—27, 29, 30, 52, 57, 71, 117, 332
ზოვლიგორა 23, 25, 26, 28—30, 54, 55, 74, 229, 333
ზოვლის ხევი 117
ზომლე 26
ზომული 455, 457, 460, 515
ზომულის ციხე 453, 454
ზონი 454, 455, 459—463
ზოჟორნი 304, 306
ზორასანი 198, 291
ზორნაბუჯი 114, 128, 174, 357, 630—632
ზორძენე 244, 509
ზრეითი 636
ზუნამისი 273
ზუნანი 92, 133, 137, 138, 152, 153, 155, 217, 238, 240, 243, 266, 300 — 301, 303, 308, 326, 329, 353, 404, 558, 624
ზუნძები 391
ზუნწი 462
ზუფათი 290, 528, 529, 585
ზუცუბანი 478
ზმელი, ტაბახმელა 311

ჯავახები 76,283, 286, 291, 539, 649
ჯავახი 169, 225, 282, 592
ჯავახეთი 24, 50, 97, 98, 102, 105, 106, 111, 119, 152, 154, 155, 158-160, 211, 212, 216, 222, 240—242, 258, 273, 274, 279, 287, 302, 305, 311, 318, 322—324, 384, 469, 524, 545, 584, 623, 632, 634
ჯაზირეთი, ჯაზირი 106, 546
ჯამჯამა 71
ჯვარი, ჯუარი 38, 97, 155, 158, 338, 408, 649
ჯვარი (სამეგრელოსი) 425
ჯვარის მონასტერი 587, 640
ჯვარპატიოსანი 38, 421
ჯვარი პატიოსანი 422
ჯვარისციხე 648
ჯიმანსტარო 405
ჯიქები, ზიქები 295, 400, 476, 498—500, 603, 620
ჯიქი 365
ჯიქეთი 120, 576
ჯიქთუბანი 451, 452
ჯიხათი 450
ჯიხაიში 448—450, 452, 457—459, 522
ჯიხანჯირი 405, 450
ჯიხანჯური 450
ჯიხახორა 512, 602
ჯუარის ციხე 73
ჯუმათი 46, 479

ჰადიში 108
ჰაიასტანი 304
ჰაიები 265, 304
ჰალაბი 311
ჰაოსიანნი 280, 303, 306
ჰარიან-ქართლი, ჰერიან-ქართლი 225
ჰენიოხია 492
ჰენიოხები, ენიოხები 484, 491, 492
ჰერაკლია 482
ჰერები, ერები 146, 225, 237, 246, 250—252, 265, 283, 295, 379, 381, 398, 400, 405, 409, 414, 416, 557, 558, 602, 626
ჰერეთი 12, 14, 15, 88, 102, 112, 114, 127, 130, 132, 148, 150, 152, 153, 158, 160, 167, 180, 188, 198, 213, 217, 234, 239, 253, 254, 259—261, 265,

272—274, 276, 278, 279, 284—286, 297, 300, 305, 311, 353, 358, 360, 385, 389, 399, 403, 406, 408, 410, 415, 444, 540, 546—548, 569, 584, 603, 608, 609, 622—624, 626, 628—632, 643
ჰერეთ-კახეთი 158, 172, 173, 626
ჰერეთ-ხორანთა 112
ჰერი 260, 265, 271, 359, 364, 388, 389, 405, 413, 414, 416, 539, 592, 608, 621, 626
ჰერ-კახები 178 290, 292, 294, 296, 386, 387, 626
ჰერ-კახ-კამეჩანი 296
ჰონნი 336
ჰრომნი ფროთატოსელნი 256
ჰუნები 476, 494—496
ჰუნური ტომები 496
ჰური 238
ჰურიანი 95, 259

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. პირთა სახელები

აბაზ ბაკურიანის ძე 373
აბაზას ძე მარილელი 344
აბაზასძენი 181, 352, 356, 375
აბიბოს ნეკრესელი 379
აბრაჰამ 79, 86
აბულასან 115
აბულასვარ მანუჩეს მამა 307, 308
აბულაძე ი. 303
აბულეთი 636
აბულეთის ძენი 191, 339, 344, 352
აბუსერი 172
აგათია 154, 166, 478, 487, 493, 513, 515, 516, 518, 525, 531, 537, 541, 563
აგათანგელოსი 380
აგიაშვილები 521
აგიაშვილი 456
აგრბა 506
ადამ 556
ადარნასე ადარნასიანი (ე—ვი) 155, 158
ადარნასე ბაგრატიონი 170, 320
ადარნასე (გვარამის ძმა) 304
ადარნასე ერისათვი სამშვილდისა 153, 353
ადარნასე კორაპალატი 651
ადარნასე ძამელი მთავარი 171
ადერკი (მეფე) 95, 545
ადრიანე 504
ადონცი 524
აეტი 447, 490, 505
ავაგ ამირსპასალარი და ათაბაგი 95, 101, 102, 178, 179, 198, 295, 296
ავთანდილი 109, 413
აზო, აზონი 61, 124, 162, 206, 207, 210, 219, 220, 254, 255, 334, 336, 401, 509, 540, 541, 543, 544, 549, 550, 552, 554, 555, 609
ათრაქა შარაღანის ძე 174
აინინა 202, 228
ალექსანდრე I, 646
ალექსანდრე ბატონიშვილი 426
ალექსანდრე იმერთ მეფე 426, 640
ალექსანდრე კახთა მეფე 120, 609,
ალექსანდრე მაკედონელი 25, 205, 207, 210, 254, 334, 336, 386, 540—542, 555, 580
Алиев 620
ალფარსლან 307, 308
ამაზასპ 337
ამაღლობელი 456,
ამენელაის ძე 363
ამილახვრები 13
ამილახორი რევაზ 357
ამუნასკირი 363
ამყოლაძე 520
ანდრია მოციქული 104, 289, 298, 375, 377, 545, 568
ანელი 305
ანონიმი 504,
ანტონი გლონისთავის ძე 177, 193
ანტონ დიდი 644

ანტონ საღირის ძე 176
ანჩაბაძე 604, 606, 607, 610
ანჩაბაძე ზ. 158, 413, 590, 592, 608
არგვეთელი 316
არგონავტები 145, 473, 490
არდამ 118
არზოკ 105
არიანე 209, 246, 252, 478, 484, 491, 492, 497, 498, 504, 505, 553, 594, 596, 607
არიკ 205, 210,
არიშიანი 353, 441, 442, 627—630
არიშიანი (სახელი) 626, 629, 630
არმაზელ 105
არსენ ბერი 346, 349, 419
არსენ ნინოწმინდელი 379
არსენი (რუის-ურბნისის ძეგლის წერის ავტორი) 419
არსენი 379
არსოკ (VI მეფე) 205, 210, 334, 335, 355
არსუკ (X მეფე) 216, 329, 335
არტავაზ ერისთავი კლარჯეთისა 153, 353
არტანუჯელი 169
არტაქსია 248, 304, 509
არქანჯელო ლამბერტი 430, 593, 594, 602, 610—613, 620
არღუნ 648
არშაკ მეფე 258
არშუშა პიტიახში 162, 224, 226, 303,
არჩილ (მეფე) 63, 96, 97, 103, 104, 118, 137, 141, 142, 145, 154, 157, 158, 165, 167, 253, 265, 269—271,315—317, 338, 378, 440, 441, 526—528, 533, 534, 559, 562, 574, 575, 577, 578, 581, 582
არჩილ მეფე (პოეტი) 418, 429, 609
არჯევან ჰოლოლას ძე 127
ასამ გრიგოლის ძე 132
ასამ მთავარი 174
ასიმი 378
ასპარუგ 203
ატენელები 169
ატენელი 126
აფაქია 417
აფაქიძე ა. 65, 209, 233
აფაქიძე 417, 604
აფრიდონი 94, 118, 253
აფრიდონი (ქართვ. ხელისუფალი) 194, 195
აფსირტე 483
აშოტ კურაპალატი 64, 138, 139, 143, 175, 316, 341, 409, 521
აშოტ მარილელი 47, 128
აღბუღა ათაბაგი 441
აღსართან (კახთა მეფე) 626, 629, 634
აღსართან გაგიკის ძე 130, 131
აჩბა 610
ახალაია 462
ახალციხელი ივანე 176, 291
ახალციხელი შალვა 176, 291
ახვლედიანები 651

ბაგინეთელები 204
ბაგრატ (გვარამის ძმა) 304, 316
ბაგრატ დიდი 438
ბაგრატ III, 63, 122, 127, 129, 156, 165, 166, 172, 173, 180, 184, 185, 188, 212, 283, 285, 286, 319, 320, 323, 339, 356, 526, 580, 581, 583, 584, 587, 626, 633, 646
ბაგრატ IV 65, 127—131, 156, 172, 287, 288, 306—310, 321, 324, 339, 341, 356, 375, 376, 528—530, 534, 535, 569, 578, 580, 585, 586, 609, 633—635, 648
ბაგრატ რეგვენი 286
ბაგრატ V 604, 608
ბაგრატ შაროელი 651
ბაგრატ (იმერეთის მეფის ალექსანდრეს მამა) 640
ბაგრატ ძე დემეტრესი (ჩიხის ერისთავის ძმა) 354
ბაგრატიონები 156, 167, 168, 175, 248, 265, 272, 273, 284, 408
ბაკურ ერისთავი 150, 153, 353
ბაკურ მეფე 303, 643
ბათო ყაენი 297
ბარამ 626, 629, 630
ბარდოსი 550, 618
ბარზაბოდ ერისთავი 145, 382
ბარტამ 546

ბასილი ბაგრატის ძე 91
ბასილი ეზოს მოძღვარი (ბ. ე. მ.) 176, 180, 192, 292, 293, 294, 301, 311, 586
ბასილი ზარზმელი 269, 644
ბასილი კეისარი 133, 173, 286, 649
ბასილი სოფენელი 523
ბასილი უჯარმელი 193
ბაქარ მეფე 259, 547, 623, 624
ბაღდა 444
ბაღდავა 444
ბაღდავაძე 444
ბაღვაშები 37, 54, 104, 126, 166, 169, 181, 308, 317—319, 322, 352, 416
ბაღვაში 162, 172, 184, 308, 319, 320, 363
ბაღვივაშნი 651
ბაშელი კაკაბაძე 448
ბაპლაუნდი 162
ბედიელ-ალავერდელი 191
ბედიელი 619
ბელ 556
Белокуров 115
ბენიამენ 296
ბერექიანები 439
ბერძენიშვილი დ. 40, 214, 448, 458, 470
ბერძენიშვილი ნ. 154, 202, 213, 236, 266, 297, 351, 442, 483, 485, 486, 496, 620. 647
Бердзенишвили Н. 613
ბერძენიშვილი ნინო 24, 31, 40, 232, 332, 333, 461, 468
ბერძნიშვილი მამისა 432
ბექა 95, 194, 441
ბექა ჯაყელი 608
ბეშქენ ჯაყელი 129
ბიბილურები 142, 316, 317
ბიბილური 75, 317, 412
ბივრიტიან ერისთავი 153, 353
ბიზანტიელი 498, 524
ბოცო სამცხის სპასალარი 192
ბრატმან 210
ბრატმან (VIII მეფე) 206, 334, 335
ბროსე მ. 623
ბურდული 48
ბურდუხან დედოფალი 292
გა 228
გაგიკ (კახთა მეფე) 306, 342
გაგიკ (სომეხთა მეფე) 584
გამრეკელი (ამირსპასალარი) 100
გამრეკელი თორელი 102, 639
გარდაბანელი 149, 378
გარდაბანელნი, გარდაბანელნი აზნაურნი 120, 121, 171, 624
განძელნი, განჯელნი 312, 626
გარდაბოსი 145, 152, 238—241, 273, 274, 276, 300, 326, 327, 384
გარდავა, გარდავაძე 417
გარდაფხაძეები 441
გარუჩავა 469
გაჩიოსი 22, 145, 152, 238, 241, 273, 274, 276, 326, 327, 384
გაცი 228
გეგეშიძე მ. 651
გელოვანები 441
გვიშტიბელი 461
გერასიმე (მოძღვ.) 644
გერგესეველნი 77
გიორგი (წმ) 67, 374, 431,
გიორგი I 133, 173, 286, 528, 580, 623, 633
გიორგი II 131, 137, 188, 189, 288, 343, 530, 561, 585, 586, 634
გიორგი III 162, 292, 342—344, 536, 586, 630, 636, 637, 645
გიორგი აფხ. მეფე (IX ს.) 281, 354
გიორგი აფხ. მეფე (X ს.) 120—122, 125, 281, 283, 356, 624
გიორგი II (ბიზ. მწერალი) 597, 603
გიორგი ბრწყინვალე 115, 193, 194, 424, 438, 608, 609, 646
გიორგი დაყუდებული 289, 419
გიორგი ლაშა 133, 180, 193, 294, 311, 425, 536, 616, 636, 639
გიორგი მერჩულე 82, 83, 89, 90, 100, 240, 267, 274, 276, 277, 279, 281, 284, 289, 299, 354, 373, 375, 377—379, 387, 390, 414, 415. 419, 551, 552. 568, 574, 598
გიორგი მთაწმინდელი 90, 91, 298, 356, 375, 376, 377, 387, 415, 419, 568, 569, 580, 634

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მცირე 173, 419
გიორგი რუსი 134, 192, 638
გიორგი მთავარეპისკოპოსი (XIII ს.) 356
გიორგი ხუცეს მონაზონი 288, 289, 374—376, 568, 569, 634
გიორგი ჭყონდიდელი 190, 636
გიშელნი 626
გობეჯიშვილი გერმ. 462
გობრონ (წმ.) 88, 89
გოგიძე 455
გოგოლაშვილი 451
გოდერიძე ვალ. 461
გოდერძი მგდეური 122
გოდერძი ერისთავი 342
გორგასლიანები 175
გორდეევი 536
გრანქიე 611
გრიგოლ არტანუჯის ერისთავი 172
გრიგოლ ბაკურიანის ძე 137, 415, 416
გრიგოლ განმანათლებელი 290, 380
გრიგოლ დიაკონი 261
გრიგოლ ერისთავი ჰერეთისა 150, 153, 353
გრიგოლის ძე ასათ 631
გრიგოლისძენი 132, 626, 628
გრიგოლ მთავარი 341
გრიგოლ ნაოხრებლის შვილი 627—629
გრიგოლ სურამელი 102, 177, 639
გრიგოლ ფხუენელი 122
გრიგოლ ქართლისა მამასახლისი 226
გრიგოლ ხანძთელი 82, 83, 250, 273, 274, 276, 648, 651
გუარამ მამფალი 302, 304, 306, 316, 318, 648
გუარამ კურაპალატი 73, 74, 154,
გუბაზი 473, 480, 481, 500, 506, 514
გურამ 228
გურანდუხტ 184, 185
გურანდუხტ (დავითის მეუღლე) 174
გურგენ მეფე 283, 285, 356, 587
გურიელები 439, 528, 529, 535, 585
გურიელი 417, 428, 628
გძელიშვილი იოს. 229

დაგისთე 473, 481, 500
დადეშქელიანები 440, 441
დადიან-ბედიანი 294
დადიანები 100, 156, 431, 624
დადიანი 362, 417, 428, 467, 607, 619, 621, 628
დავით 86
დავით აფხ. კათალიკოსი 640
დავით აღმაშენებელი 23, 122, 132, 133, 137, 156, 165, 166, 174, 180, 181, 187—191, 193, 236, 265, 308—311, 321, 322, 339, 343—349, 351, 352, 379, 386, 387, 419, 429, 434, 441, 442, 458, 459, 475, 528, 531, 583, 609, 625—629, 634, 635, 645, 646
დავით (არგვ. მთავარი) 316, 537
დავით ბაგრატის ძე (IX ს.) 119, 315, 318
დავით გარეჯელი 162
დავით (გიორგი ბრწყინვალეს ძმა) 194
დავით იმამყული 608
დავითის ისტორიკოსი 12, 23, 132, 164, 165, 188, 309, 311, 352, 379, 388, 528, 530, 531, 625—627
დავით კურაპალატი 283, 305, 320, 323, 355, 373, 379, 400, 583
დავით VIII 649, 650
დავით ნარინი 459, 587, 639
დავით სომეხთა მეფე 287, 306, 307
დავით სოსლანი 193, 416
Давид Строитель 391
დავით ქორეპისკოპოსი 120, 127, 339, 632
დანანა 202, 228
დაჩი (ვახტანგის ძე) 62, 106, 159, 160, 268
დაჩი კორინთელი 122
დაჩი სხვილოსელი 122
დებორიანი 362
დედალოურელები 461
დევდორიანები 439
დემეტრე I 344, 634
დემეტრე (ბაგრატ IV ძმა) 129, 287, 307, 633
დემეტრე ერისთავი კახეთისა 153, 353
დემეტრე მეფე აფხაზთა (ლეონის ძე) 171, 281, 354, 355, 598
დემნა 631

დიმიტრი (წმ) 374
დინარ დედოფალი 277
დიონ კასიუს 166
დონაური (ქორეპისკოპოსი) 143
დონაური 162
დონდუა ვ. 22
Джанкезов 620

ეგარსლან ბაკურციხელი 102, 178, 179, 296, 639
ეგროსი 22, 112, 150, 152, 263—265, 267, 269, 274, 277, 280, 376, 384, 464, 540, 541, 544, 545, 550—552, 561, 570, 572, 573, 575, 582, 589, 608, 618, 619, 622
ედიბერიძე 455
ედიშერაშვილი 26
ევაგრე ციხედიდელი 182, 219, 221, 269
ევლია ჩელები 573, 605, 606
ევსტათე მცხეთელი 78, 79, 226, 379, 408
ევფრატა 568
ეზრა 372, 373
ეზრა ანჩელი 166
ელია მოძღვარი 644
ელიავა გ. 463
ემენელაის ძე 604
ეპიფანე ეპისკოპოსი 293
ერისთავები 13
ერაკლე კეისარი 619
ერეკლე II 357, 425
ერეკლე (მუხრანბატონის ძე) 297
ერემიანი ს. 301
ესუქნი 193
ეტვიფანე მამა 274
ეტიფანე 258
ეფთვიმი მოძღვარი 644
ეფრემ დიდი 277
ეფრემ მცირე 568
ექვთიმე მთაწმინდელი 288, 289, 371, 372, 374, 415, 419

ვალაშკერტელი 305
ვარაზ-ბაკურ გამრეკელი 307
ვარაზ-ბაქარ 105, 259, 260, 267, 547, 548
ვარაზვარდ მთავარი 174
ვარამ გაგელი (მსახურთუხუცესი) 101, 102, 178, 179, 291, 294—296, 639
ვარდანი (შუშანიკის მამა) 303
ვარდან დადიანი 156, 191, 192, 534
ვარდანისძეები 100, 181, 428, 439
ვარდანისძე-დადიანები 428
ვარდანიძე 455
ვარდან კოლონკელის ძე 630
ვარდან სვანთა ერისთავი 131, 561
ვარდციხელები 445
ვარზაბაქარ 72
ვარზმან 155
ვარსქენ პიტიახში 162, 163, 224, 303
ვაშაკიძე ბ. 451
ვაშაკიძეები 449
ვაჩე ძე გურგენ ბერისა 128
ვაჩნაძიანი 629
ვაჩიბერიძე გ. 457
ვაჩიბერიძე თ. 457
ვახტანგ გორგასალი 10, 31, 44, 62, 96, 97, 105, 106, 139, 143, 149—151, 153—155, 157, 159, 163, 164, 168, 170, 173, 175, 203, 227, 260, 266—268, 284, 301, 314, 330, 338, 340, 353, 380, 382, 408, 424, 540, 551, 569—573, 576, 577, 582, 588, 601, 602, 619, 622
ვახტანგ VI 185, 312, 327, 419, 608
ვახტანგ მეფე (XIV ს.) 134
ვახუშტი 12, 41, 42, 69—72, 113, 116, 117, 123, 156, 157, 168, 175, 182, 183, 186, 192, 201, 202, 227, 265, 284, 299, 312—314, 318, 324, 328, 330, 353, 442, 453, 456, 462, 465—467, 478, 502, 511, 512, 516, 534, 535—537, 549, 562, 564, 589, 616, 619—621, 638, 643, 644 647
ვეჟან ბუზმირი 78

ზადენი 228
ზარიადრი 248
ზაქარია გაგელი 176, 291
ზაქარია ვარამის ძე 134
ზაქარია მხარგრძელი 100, 176, 179, 196, 197, 291, 389
ზაქარაია ბ. 217
ზევახი 247

ზენონი 90
ზენონ მღვდელი 274
ზოსიმე 415
ზურაბ ერისთავი 212, 426
ზურაბ (წიკლაური) 38

თანდილა (წიკლაური) 38
თამარაშვილი მ. 611, 617
თამარ დედოფალი (ალექსანდრე იმერთა მეფის მეუღლე) 640
თამარ დედოფალი (ვახტანგ მეფის ასული, XVIII ს.) 185, 390
თამარ მეფე 134, 166, 176, 177, 179, 188, 191—193, 195, 196, 248, 249, 291—293, 301, 308, 311, 312, 389, 424, 425, 429, 431, 536, 586, 610, 618, 636—638, 646, 647, 649
თამარის ისტორიკოსი 502, 536
თარგამოსი 91, 92, 205, 207, 239, 280, 540, 542, 556
თარხანიანნი 103
თარხან ხაზარი 267
თარხნიშვილი 103
თაყაიდონ თმოგველი 176, 291
თაყაიშვილი ექვთ. 428
თბილელნი 529
თეიმურაზ I 419, 609
თეიმურაზ II 390
თევდორე (ცყონდიდელის დისწული) 635, 636
თეკლა 109
თემესტია 228
თემურ-ლენგი 433, 437, 438
თეოდორე 276
თეოდოსი მწუხარე 583
თეოდოსი (ძმა დემეტრე აფხ. მეფისა) 171, 281, 354, 355
თეოფილე ტარსუს მიტროპოლიტი 375
თმოგველი 126
თინათინი 610
თორელი 125, 126, 179, 282
თორთლაძე ოთ. 448, 458, 459, 468
თორღვა პანკელი 297, 631
თოფურია 417
თოფურია ვარ. 22
თოფურიძე 417, 604
თრდატ 380
თრდატ უფლისწული (არშაკუნიანი) 547
თრიალელი 316
თუმანიშვილი 517
თუხარელი 126

იაკობ ცურტაველი 240
იასონი 490
იაფეტი 162, 556
იაშვილი 456
იერემია 47
იესე ოსეს ძე 418
იესო ქრისტე 76, 77, 79, 80, 82, 83, 85, 87, 99, 270, 277, 334, 368, 372, 382, 563—566, 568
ივანე აბაზას ძე 306, 356
ივანე აბულეთის ძე 352
ივანე ათაბაგი (მსახურთუხუცესი) 101, 134, 176, 197, 291, 294
ივანე არშას ძე 120, 121, 129
ივანე ვარდანის ძე 134, 192
ივანე ლიპარიტის ძე 131, 309, 321, 341, 561, 635
ივანე სხვილოსელი 122
ივანე შავლიანი 354
Иващенко М. М. 56
ილარიონ (სამთავისის მაშენებელი) 424
ილარიონ ქართველი (ეახი) 143, 162, 288, 370, 371, 379, 387, 415, 416,
ილარიონ წმ. მამა 372
იმამყული 609
ინგოროყვა პ. 309, 352, 353,409, 426, 563, 566, 593, 618, 619, 626, 631
იობენალ 99
იოვანე აბუსერი 128
იოვანე არჩილის ძე 271, 560
იოვანე ზოსიმე 379, 415, 419
იოვანე თომას ძე (გუზი) 515
იოვანე კათალიკოსი 196
იოვანე მარუშის ძე 172, 355, 356, 383, 608
იოვანე მახარებელი 77, 373
იოვანე მთაწმინდელი 288, 371—373, 379, 419
იოვანე მოძღვარი 349, 644
იოვანე ორბელი 636

იოვანე პატრი 617,
იოვანე პეტრიწი 387
იოვანე პეტრიწონელი 416
იოვანე საბანის ძე 86, 298, 379, 419, 487, 551, 552, 561—567, 574, 577, 578, 582, 590, 597, 598, 614
იოვანე ტაოელი 288
იოვანე ციბე 501, 514, 516, 517,
იოსებ თბილელი 212,
იოსელიანები 439, 440, 461
ისაკ ტოლოშელის ძე 131
ისე წილკნელი 340
ისკანდერ 314
იუსტინიანე 364, 445, 471, 477, 493, 497, 501, 503, 507, 508, 517, 568, 595, 597
იუსუფ აბუ-საჯის ძე 119

კავკასოს 550
კაკაბაძე (ბაშელი) 448
კაკაბაძე ს. 209, 243, 244, 359, 431, 433, 509, 510, 512, 518, 578, 618, 623
კალმახელები 169, 315
კალმახელი 125, 126
კარელი 305
კარნუქალაქელნი 293
კარპაკი 247
კაუცკი 642
კაცხელი 315—318
კახაბერ გურიელი 608
კახაბერ ერისთავი რაჭისა 649
კახა თორელი 25, 584, 587, 648
კახოსი 152, 153, 167, 171, 238—240, 265, 274, 384
კვირიკე დიდი 47, 127, 128, 188, 306, 342, 626, 627
კვირიკე სამშვილდარი 129, 130, 307, 308
კვირიკიანები 303, 304
კვირიკე ჭორეპისკოპოსი (X ს.) 120—123, 129, 171, 281
კვირიკე (წმ) 431
კეკელიძე კ. 207, 285, 419, 549, 563, 564, 566, 578, 588, 637
კიკალიშვილი ((ბანძელი) 462
კირიონ კათალიკოსი 379
კოვალევსკი 412
კოლონკელის ძე ვარდან 631
კოლონკელის ძე საღირ 631
კონდაკოვი 497
კონტარინი 645
კონსტანტი აფხ. მეფე (X ს.) 354
კონსტანტინე კახაბ 143, 148, 316
კონსტანტინე კეისარი 127
კონსტანტინე (არაგვ. მთავარი) 316, 537
კონსტანტინე მეფეთ-მეფე აფხ. (1327 წ.). 587
კონსტანტინე პორფიროგენეტი 373, 521, 524
კორინთელი 125
Куфтин Б. А. 61, 231
კულაკოვსკი 497
კუნოვი 642
კუფტინი ბ. 230, 359, 363
კუპაიძეები, კუპეიძეები 426, 439
კუხოსი 152, 153, 238—240, 265, 274, 384

ლამარია 431
Латышев Н. З. 622
ლევან დადიანი 526, 610, 611
ლევან (კახ. მეფე) 609
ლეკოს 550
ლეონ ბერძენთა მეფე 570
ლეონ I (აფხ. მეფე) 104, 269, 319, 320, 500, 562, 581, 582, 601, 619
ლეონ აფხ. ერისთავი (შემდეგ მეფე ლეონ I) 157, 158, 270, 316, 559, 560, 575, 577, 579, 591
ლეონ II (აფხ. მეფე) 269, 281, 354, 500, 562, 574, 577, 578
ლეონ III (აფხ. მეფე) 126, 338, 339
ლეონიდები 581, 586, 601
ლეონტი მროველი 16, 22, 23, 61—63, 72, 75, 76, 83, 84, 91—96, 99, 104, 105, 111—114, 116—118, 140, 142, 145, 150—152, 156, 161—164, 179, 182, 202, 203, 205—207, 209—211, 217, 221, 222, 226, 233, 235, 238—242, 252, 253—267, 271, 272, 275—277, 279, 820, 287, 298—302, 321, 326, 327, 330, 337, 339, 340, 342, 346, 373, 376—385, 408, 409, 414, 419, 469, 476, 495, 511, 517, 539—558, 571,

572, 574, 576—580, 582, 584, 588, 590, 592, 594, 595, 598, 607, 618, 619, 623, 625, 646, 647.
ლიპარიტ ბაღვაში, ბაღუაში, ბაღვივაში (XI ს.) 65, 119, 129, 287, 288, 306, 307, 320, 321, 356, 585, 586, 609, 633, 634
ლიპარიტ I 315—319, 324, 514, 524
ლიპარიტ (დავითის თანამედროვე) 290, 321
ლიპარიტ-რატები 651
ლომთათიძე გ. 407
ლომინაძე ბ. 593
ლორთქიფანიძე გრიგოლ 640
ლორთქიფანიძე მ. 433
ლორთქიფანიძე ოთ. 40, 41, 407
ლომსიანნი აზნაურნი 528, 529, 535, 585
ლუარსაბ მეფე 212
ლუკა (მხრბ) 77, 107, 108
ლურსმანიძე 455

მათე (მხრბ.) 77, 85, 108, 565
მათიაშვილი 3,, 211, 212, 221
მაიქან სპასპეტი 378
მაკარი მოძღვარი 644
მალიქ-შაჰი 188, 309
მაისურაძე ილ. 56
მამა უანჩაელი 122
მამიკონიანები 248
მანანდიანი 641
მანუჩა აბულასვარის ძე 307, 308
მარგიანი გრ. 425
მარიამ დედოფალი (ბაგრატ IV დედა) 307, 528
მარიამ დედოფალი (ლევან დადიანის და) 610
მარი ნ. 22, 228, 233, 234, 243, 244, 262, 263, 360, 361, 365, 366, 367, 391—395, 397, 399, 400, 427, 487, 640
მარილელი 126
მარკოზ (მხრბ.) 76
Марр Н. 360, 391
მარუშიანი 607
მარუშიანნი 162
მარუშის ძე 607
მარშანია 607
„მატიანე ქართლისა"-ს ავტორი 272, 273, 282, 283, 287, 309, 341, 551, 552, 561, 583
მატო მღვდელი 274
მაქსიმე აღმსარებელი 460, 595
მაწყვერელი (ეპისკ.) 332
მაყა პატრონი კაეწონისა 192
მაჰავარიანები 439
მაჰელი 128
მეგრელიშვილები 463
მედეა 483
Меликишвили Г. 51
მელიქიშვილი გ. 237, 363
მელიქსეთ-ბეგი ლ. 209, 234
მელქისედეკი 626
მენანდრე პროტიქტორი 495
მერმეროე 479, 481, 495, 507, 508, 510, 511, 513, 519
მესროპ-მაშტოცი 380
მესხი 454
მესხიშვილი ი. 333
მითრიდატე პონტოელი 251, 397, 478, 502
მირანდუხტ 266
მირდატ (დარჩის ნახევარძმა) 159, 160
მირდატ (მეფე) 62, 96, 105—107, 145, 547
მირვან (მეფე) 205, 210, 257
მირი 97, 141, 156, 157, 253, 270, 526, 527, 533, 534, 559, 562, 574, 575, 577, 578
მირიან (ატენის ხევისუფალი) 129
მირიან მეფე 95, 143, 208, 212, 218, 259, 260, 323, 338, 377, 378, 380, 545—548, 602, 623, 624
მირეან (IX მეფე) 211, 334, 335
მირიან სამცხელი 162
მიქაელ მირიანის ძე 192, 257, 293
მიქელ 82
Михаил 82
მიჰრი 154, 155
მოდისტოსი 188, 189, 348
მოვაკან 550, 618
მოურავისშვილები 103
მულახელები 430
მულახელი 429

მურვან ყრუ 137, 139, 202, 270, 384, 467, 518, 533, 558, 559, 574, 575, 577—579, 582
მურვან ჯაყელი 341
მუსხელიშვილი დ. 50
მუჰლიდები 642
მცხეთოსი 22, 76, 93, 145, 152, 155, 159, 160, 206, 211, 235, 238—240, 266, 274—277, 284, 318, 326, 340, 384, 539, 541, 542, 623
მხარგრძელები 101, 178, 181, 294, 408
მჭეცისძე 604

ნადიმაშვილი ს. 23
ნადირშაჰი 390
ნასარ ერისთავი წუნდისა 153, 353
ნასრა, ნასრი 64, 73, 175, 648
ნაოხრებლის ძე 627
ნახჭევნელნი 312
ნებროთი 91, 92, 556
ნერსარან ერისთავი ხუნანისა 153, 155, 353
ნერსე ერისთავი 86, 87, 143, 562, 563
ნერსე ნერსეიანი ერისთავი, 155, 158
ნერსე სომეხთა კათალიკოსი 373
ნესტანი 610
ნიანია გრიგოლ ნაოხრებლის სიძე 628, 629
ნიანია ლიპარიტის ძე 321
ნიანია ქვაბულის ძე 131, 341, 530, 561
ნიკოლეიშვილი გ. 459
ნიკოლოზ კათალიკოსი 213
ნიკოლოზ კათალიკოსი (XIII ს.) 176, 356
ნინო (წმ.) 96, 98, 99, 202, 207, 208, 212, 228, 229, 233, 259, 260, 284, 289, 298, 323, 374, 377, 378, 380, 408, 622, 623
ნიჟარაძე 456
ნიჟარაძეები 439
ნიქოზელი 356
ნიშნიანიძე 456
ნოე 106, 162, 556
ნაღაიდელი 465
ნუგზარ ერისთავი 426

ოდისევსი 432
ოთაღო შარვაშის ძე 608
ომან ხერხეულიძე 390
ოპიზარ-მიჯნაძორელნი 67, 646
ოპიზარნი 156
ორბელები, ორბელნი 181, 639
ორბელი 195
ორბელიანები 248, 408
ოროზ-მოროზი 409
ოსმანი 606
ოფსიტე 601
ოძრხოსი 93, 152, 153, 160, 238—240, 273, 274, 284, 384, 623

პავლე თებელი 644
პავლე მამაჲ 374
პავლე მოციქული 139
პაპუნა ორბელიანი 429
პეტრე მოციქული 139
პილატე 107
პიოტროვსკი ბ. 230
პოლეკარპოს 96
პომპეუსი 166, 502
პროკოპი კესარიელი 156, 166, 275, 357, 405, 408, 409, 473, 475, 476—487, 489—496, 498—501, 503—506, 508—509, 513—516, 518, 519, 522, 523, 527, 531, 541, 553, 563, 573, 576, 579, 594, 595, 596, 598, 602, 607

ჟამთააღმწერელი, რ. ა. 23, 010—109, 134, 177, 178, 193, 198, 294—297, 387, 388, 587, 631, 639, 648—650
ჟორდანია 451
ჟორდანია თ. 219, 220
ჟორჟოლიანები 439

რაზია 645
რაჟდენი (წმ.) 379
რატი ლიპარიტის ძე 319, 321
რატი ერისთავი (დავითის თანამედროვე) 322
რატიშვილები 423
რევი (მეფე) 338
რიჩგვიანები 440
რობაქიძე ალ. 432

როგავა გ. 607
როკ (მეფე) 334, 335
როსტომ მეფე 312, 313
როსტომ ბიბილური 167, 316
რუისელი 356
რუსთველი 353
რუსი 136, 219
რუსუდან (გიორგი III და) 292, 586, 638
რუსუდან მეფე 295, 587, 619
რუხაძე ივ. 448, 451

საკაძე გიორგი 212
საბა მოძღვარი 644
საბა მტბევარი 127, 166
საბინინი 104
საკდუხტ (მირდატის ცოლი) 96, 145
საზუერელნი 123
საკანდელიძე 467
სამარა მამასახლისი 539
სამთავნელი 356, 357
სამნაღირ ერისთავი 150, 153, 353
სამოელი 79
სამუელ ქართლის კათალიკოსი 226
სამშვილდარ-ზორაკერტელი მეფენი 145, 303, 306—308
სამძივარის ქალი 162
სარა ფხუენელი 122
სარგის ვარამის ძე 100, 176
სარგის თმოგველი 416, 639
საურმაგ მეფე 94, 182, 202, 203, 205, 210, 256, 257, 545, 609
საღირ მახატლის ძე 631
სემი 556
სერაპიონ ზარზმელი 81, 108, 368, 369
სვიმონ კანანელი 104, 289, 545, 568, 580
სვიმონ საკვირველმოქმედი 345
სიდონია 96
სიმონ მეფე (ქართლისა) 121, 135
სიმონ მეფე (იმერეთისა) 456
სისოევი 620
სირიელი მამები 284
სკეპარნა 601
სოსელია გ. 398
სოტერიძე 496
სტეფანოზ ვარჯანის ძე 128
სტეფანოზ (არჩილ-მირის მამა) 156, 527, 562, 574, 578
სტეფანოზ მთავარი 97, 566
სტრაბონი 140, 210, 225, 245, 246, 251, 275, 358, 404, 409, 423, 434, 436, 442, 443, 603, 607, 622, 640, 641
სულა კალმახელი 172
სულხან საბა ორბელიანი 46, 109, 314
სუმბატ 89
სუმბატ არტანუჯელი 175
სუმბატ დავითის ძე 64, 138, 139, 162, 166, 173—175, 528, 587, 623
სუმბატ (კვირიკე სამშვილდარის ძმა) 129, 130, 307, 308
სუმბატ ტიეზერაკალი 354
სურამელები 181
სურამელი 125, 126
სხვილოსელი 125
Сысоев В. М. 620

ტარიელი 109, 413
ტაოსკარელნი 181
ტაციტუსი 166
ტბელები 123, 162, 316
ტბელი 125, 126
ტბელ-ფხვენელები 169
ტერდეტი 506, 507
ტრაიანე 483

უვაროვა 497
ულაუ ყაენი 648
ურბნისელი 356
უფლოსი 22, 93, 152, 238—241, 266, 273—279, 284, 318, 326, 327, 340, 355, 384, 539
უობოს ხაზართა მეფე 302

ფადლა კვირიკეს ძე 120—122 171, 624
ფადლონი 131, 306, 308, 339, 341, 342
ფავნელები 162, 169
ფავნელი 125, 126
ფანასკერტელი 126
ფარნავაზი 10, 61, 124, 140, 149—154, 156, 159—164, 202, 204, 205, 210, 214, 222, 255—257, 261, 262, 267, 279, 280, 301, 377—380, 442—444, 466, 469, 509—511, 539, 540, 542—544,

547, 548, 550—552, 570, 572, 590, 601 602
ფარნავაზ სპასპეტი 646
ფარნავაზიანნი 75, 161, 579
ფარნაჯობ მეფე 210, 335
ფარნაჯომ 302, 378
ფარესმანე 491
ფარსადან გორგიჯანიძე 134, 313
ფარსანტი 507
ფარსმან თმოგველი 129
ფარსმან მეფე 143, 250, 358, 409, 504, 646
ფარსმან ფარუხი 267
ფარჯანიანები 439, 535
ფატმან 517
ფებრონია 82
ფერის ძე ჯოჯიკისი 649
ფეროზი 145, 154, 260, 623, 624
ფიცხელაური კ. 232
ფრიდონი 109, 413
ფოთელები 516
ფუთურიძე გ. 605
ფხვენელი 125
ფხველნი 162, 316

ქავთარ ბარამის ძე 626, 629, 630
ქავთარ ტბელი 184
ქაიხოსრო (სპარს. მეფე) 118, 302,
ქამი 556
ქართლოსი 22, 92, 150, 152, 155, 202, 205—207, 211, 222, 225, 235, 238—240, 242, 256—258, 263—265, 274—280, 282, 285, 293, 300, 318, 353, 373, 381—384, 414, 464, 540—542, 550, 555, 588, 607, 618, 622, 623
ქასრე ამბარვეზი 160
ქასრე სასანიანი 377, 546, 547
ქაჩიბაძეები 37
ქაჯები 517
ქეკაპოს 254
ქვაბლიძეები, ქვაბულიძე — ქვაბულიძეები, 162, 439, 530, 651
ქვაბულისძენი 181, 530, 535
ქვაციხელი 316
ქრისტეფორე 276
ქსენოფონტე 484
ქორთოძენი 607
ქუაბულელ ჭაჭას ძე ოთაღო 529, 565
ქურდიანი 12, 125
ქურდოვანიძე 12
ქუჯი 151, 152, 160, 279, 280, 466, 512, 539, 540, 542—544, 548, 550, 551, 590, 601, 619

ღამბაშიძე ნ. 336
ღვთისმშობელი 371 374, 379, 526, 568
ღვინიაშვილი 333
ღოღობერიძე 454
ღოღობერიძენი 453
ღუდუშაური 75

ყაზან ყაენი 134
ყანჩაელი 424
ყანჩაელნი 422
ყანჩაელნი აზნაურნი 423
ყაუხჩიშვილი ს. 64, 203, 266, 309, 310, 327, 337, 443, 445, 449, 470, 490, 498, 504, 518, 519, 521, 523, 524, 558, 636
ყალბი ეფრემი 555
ყაჯარი 606
ყვარყვარე (II) ათაბაგი 297
ყვარყვარე (I) ციხისჯვარელ ჯაყელი 176, 639
ყიფიანები 439
ყუბასარი 181, 195, 411, 428, 609
ყუთლუ არსლანი 181

შანშე მანდატურთუხუცესი 101, 102, 178, 179, 294, 295, 296, 636
შანიძე აკ. 258, 490
შარაშენიძე 162
შარაშიძე 48
შარაშიძე ქრ. 297
შარდენი 645
შარვაშიძე 604—607, 610, 620, 628
შარვაშიძე ალ. 611
შარვაშიძე გ. 392
შარვაშიძეები 616
შაროელი ხელმწიფე 162
შაჰ-აბაზი 609
შერვაშიძე 417
შარვაშიძე გ. 392

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შიო (წმ. მამა) 346, 350
შმერლინგი რ. 218
შოთა გრიგოლის ძე 132
შოთა რუსთაველი 298, 412, 413, 415, 517
შუბლაძეები 449, 452, 458
შურტა (ძმა კვირიკესი) 120—122
შუშანიკი 233, 303, 304, 379

ჩანჩაბერი 605
ჩანჩახ ფალელი 127
ჩანჩიბაძე 605
ჩარკვიანები 439, 440
ჩაჩავა 605
ჩაჩაშვილი 605
ჩაჩბა 605, 606, 610
ჩაჩიბაია 605
ჩაჩ-შარვაშიძე 606
ჩიმაკაძე ავთ. 460
ჩინგიზ ყაენი 650
ჩირიკაშვილი მახარა 645
ჩირიკაშვილი ტურა 645
ჩიქობავა არნ. 79, 81
ჩიქოვანები 439, 463,
ჩიჩიკაშკილი 605
ჩიჯავაძენი 535, 651
ჩორჩანელი 125, 142, 143, 162, 269, 369
ჩორჩანელი გიორგი 108, 109
ჩოფან (ნოინი) 193
ჩუბინაშვილი გ. 218, 422, 430
ჩუბინიშვილი ტ. 468
ჩხეტია 417, 469
ჩხეტისძენი 535
ჩხეტიძე 417

ცინცაძე ვ. 421, 423
ციციშვილები 409
ციხედიდელები 123
ცქიტიშვილი გ. 23, 25, 38, 50, 53, 469, 470
ცოტნე დადიანი 101, 102, 296, 608

ძამელები 123, 169
ძამელი 126, 149, 162, 172, 316, 319
ძაგან 188, 189, 344, 348, 349, 352
ძაგანის სახლი 339, 344, 345, 347, 352

ძნელაძე შ. 474

წერეთლები 408
წერეთელი გ. 166, 599
წიკლაური სვ. 38, 40, 41
წილკნელი 340, 356
წირქუალელი 130

ჭაბუკიანები 439
ჭაბუკიანი პ. 448, 451, 453, 474
ჭავჭავაძე ილია 32
ჭანჭისძე 605
ჭაჭასძე 605, 606
ჭაჭასძე უთაღო 605
ჭიაბერი 100, 101, 181
ჭილაძე 604
ჭიჭინაძე ზ. 390
ჭკადუა 425, 431
ჭორთოძე 604
ჭყონდიდელი 189, 569
ჭყონდიდელ-უჯარმელი 193

ხაინდრავები 463
ხარაძე რ. 432
ხარჭაშნელი 596
ხაჭაპურიძე გ. 46
ხახვილა 47, 128, 342
ხახუა არშის ძე 120, 122
ხახუტაიშვილი დ. 53
ხვედელიანი 362
ხორენელი მოსე 260, 261, 276, 373, 379, 380, 542, 555, 556
Хоренский М. 167
ხორიანე 500, 507, 522, 523
ხორნაბუჯელი 126, 631
ხოსიაური ხვთისო 56
ხოსრო (მეფე) 479, 495, 499, 500, 508
ხოსროიანები, ხოსროვანნი 167, 168, 272, 527, 533, 534, 547, 574, 578, 579
ხოშტარია ე. 30, 40, 41
ხუაშაგ 95
Хубиев 620

ჯავახიშვილი ივ. 12, 64, 65, 100, 173, 203, 211, 231, 243, 244, 262, 263, 288, 346, 349, 381, 386, 399, 417, 448, 487, 519, 544, 556, 604

ჯავახოსი 152, 153, 159, 238, 239, 240, 273, 284, 384, 623
ჯალალედინი 101, 198, 295
ჯანაშია 392
ჯანაშია ს. 22, 56, 167, 168, 224, 265, 325, 327, 350, 351, 539, 554, 555, 563
ჯანელიძე 454
ჯანელიძეები 455
ჯაფარ ამირა 306
ჯაფარიძე 67
ჯაფარიძე ოთ. 598
ჯაფარიძეები 426, 439
ჯაყელი 126
ჯაში 530
ჯახუა 465,
ჯედი დისწული გოდერძისი 128
ჯიქია 417
ჯიქია ს. 135, 607
ჯიქიძე 417, 604
ჯოჯიკი 136, 219, 649
ჯუანშერი (არჩილის ძე) 170, 271, 360
ჯუანშერი (ისტ.) 62, 63, 96, 98, 105, 106, 113, 118, 137, 140, 142, 145, 150, 154—160, 162, 165, 167—179, 203, 227, 228, 265, 268, 272, 275, 303, 330, 338, 340, 382, 384, 385, 526, 528, 544, 550—554, 558—560, 568—576, 582, 588, 590, 594, 632, 643, 649
ჯუანშერ სპასპეტი 153, 353
ჯუანშერ ჯუანშერიანი 155, 158, 338
ჯუჩი 650

ჰაბო 80, 85—88, 136, 270, 271, 367, 368, 561—564
ჰაოსი 280, 302, 304, 550, 555, 556
ჰეროდე 107, 108, 145
ჰეროდოტე 210, 276
ჰეროსი 150, 167, 264, 265, 277, 384, 550, 575, 607, 618, 622
ჰუმედ ხალილის ძე 272
ჰურიანი 77

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

წინასიტყვაობა 5

ნაწილი I. [ქვეყანა] 7

საქართველოს ისტორიული გეოგრაფია [ზოგადი დებულებები]. . . . 7

ქვეყანა (ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი ცნება) 17

[გორა, დაბა, ციხე] 23

[ხევი] 61

[სოფელი] 76

[ქვეყანა, საზღვარი, საბრძანისი] 85

[ქვეყნის ცენტრი — ციხე, ციხე — ქვეყანა] 109

[ქვეყნის ცენტრი — ციხე-ქალაქი და მიმდგომი მისი] 134

[ქვეყანა სამამასახლისოდან საერისთავომდე. ქვეყანათა ერთიანობის საფუძვლები] 140

[საერისთავო ქვეყნების ცვლა] 151

[ქვეყანა სამთავრო] 167

[ქვეყანა სამეფო] 184

[ქვეყანა „ყოველი საქართველო“] 196

ნაწილი II. ქართლი 202

[მთა ქართლი, არმაზი, მცხეთა] 202

[ქართის ტომის არეალი] 236

[„ქართლოსიანი“, „ქართველი“, „ყოველი ქართლი“] 253

[ქვემო ქართლი] 300

[შიდა ქართლი] 325

[მუხრანი და ქართლ-კახეთის საზღვარი] 337

[დაუმთავრებელი წერილი] ერთი ქვეყნის ისტორიიდან [მუხრანი] 345

[ქართლის ერისთავი] 353

ქართველი ერის ეთნიკური განვითარებისათვის 357

[ქართველური ტომები წინაფეოდალურ ხანაში] 357

[„ერი“, „ნათესავი“, „ქართველთა ნათესავი“] 367

[ფეოდალური ხანის ქართველი ხალხი] 391

ნაწილი III. (ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურებიდან)

[ქსნის ხეობა] 421

[სვანეთი, 1964 წ.] 425

[ლაზიკის ისტორიული გეოგრაფიისათვის] 442

[შენიშვნები ლაზიკის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ] . . 475

[მოხირისი-ქუთაისის სამოქალაქო] 522

ნაწილი IV. ეგრისი, აფხაზეთი 538
[ეგრისი და ქართლთან მისი ურთიერთობის განვითარება] . . 538
[აფხაზეთი ქართულ წყაროებში. მისი დამოკიდებულება ქართულ სამყაროსთან] 561
[შენიშვნები აფხაზეთის ისტორიულ განვითარებაზე] . . . 588
დამატება 621
[შენიშვნები, კახეთ-ჰერეთის შესახებ] 621
[„ზემონი და ქვემონი“, „იმერ-ამერი“] 632
[მთა და ბარი] 640
[გზებისათვის] 644
[სხვადასხვა] 646

შემოკლებათა განმარტება 652
საძიებლები 654

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი დ. ბერძენიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი დ. ბაქრაძე
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
მხატვარი გ. ნადირაძე
კორექტორი ლ. შაბურიშვილი

გადაეცა წარმოებას 3.12.74; ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.4.75;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 43.5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 38.06;

უე 00966; ტირაჟი 2000; შეკვეთა № 3540

ფასი 3 მან 85 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Николай Александрович Бердзенишвили

ВОПРОСЫ ИСТОРИИ ГРУЗИИ

VIII

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „მეცნიერება“ 1976 წ. გამოსცემს შემდეგ წიგნებს:

1. საიუბილეო კრებული, მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100-წლისთავისადმი.

2. საიუბილეო კრებული, მიძღვნილი ნ. ბერძენიშვილის 80-წლისთავისადმი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა